

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: როგორ ვისწავლოთ და გავიგოთ

ფრანსუა ლოკიე, დერეკ ბლეიდსი

მეორე გამოცემა
განახლებული და გაფართოებული



ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: როგორ
ვისწავლოთ და გავიგოთ

მეორე გამოცემა

ფრანსუა ლოკიე, დერეკ ბლეიდსი

Understanding National

Accounts

SECOND EDITION

François Lequiller, Derek Blades



ეს თარგმანი ქვეყნდება ეთგო-სთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ეს არ არის ეთგო-ს ოფიციალური თარგმანი. თარგმანის ხარისხი და დედანთან ტექსტის შესაბამისობა წარმოადგენს მხოლოდ თარგმანის სარედაქციო კოლეგიის პასუხისმგებლობას. დედანთან შედარებით თარგმანში გამოვლენილი განსხვავების შემთხვევაში ვალიდურად მიიჩნევა მხოლოდ დედანის ტექსტი.

ეს წიგნი ითარგმნა თსუ სასწავლო ლიტერატურის თარგმნის პროექტის ფარგლებში.

სამეცნიერო რედაქტორი: პროფესორი სიმონ გელაშვილი
რედაქტორი: პროფესორი ქეთევან მარშავა

მთარგმნელები: ასოცირებული პროფესორი მარინე მინდორაშვილი
ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე

ეს ნაშრომი გამოქვეყნდა ეთგო-ს გენერალური მდივნის ხელმძღვანელობით. აქ გამოთქმული მოსაზრებები და არგუმენტები ზედმიწევნით არ ასახავს ეთგო-ს წევრი ქვეყნების ოფიციალურ მოსაზრებებს.

ეს დოკუმენტი მთლიანობაში და აქ გამოყენებული რუკები არ აყენებს ზიანს რომელიმე ქვეყნის სტატუსს, სუვერენიტეტს, საერთაშორისო საზღვრების დელიმიტაციას და ამა თუ იმ ტერიტორიის, ქალაქის ან არეს საზღვრებს და დასახელებას.

ისრაელის სტატისტიკური მონაცემები მოწოდებულია შესაბამისი ოფიციალური ორგანოების მიერ. ამ მონაცემების გამოყენება არ აყენებს ზიანს გოლანის მაღლობების, აღმოსავლეთ იერუსალიმისა და დასავლეთ სანაპიროზე ისრაელის დასახლებების სტატუსს საერთაშორისო სამართლის პირობების გათვალისწინებით.

პირველად გამოქვეყნებულია ეთგო-ს მიერ ინგლისურ ენაზე:

Understanding National Accounts: Second Edition

© 2014 OECD

ყველა უფლება დაცულია.

© 2015 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

წინასიტყვაობა

დღეს, როგორც არასდროს, ეროვნული ანგარიშები თანამედროვე ეკონომიკური სტატისტიკის სისტემის ყურადღების ცენტრშია. გლობალურმა ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა უფრო მეტად წარმოაჩინა ეკონომიკური საქმიანობის თანამედროვე, საიმედო და ყოვლისმომცველი მონიტორინგის სისტემის მნიშვნელობა; ამავე დროს მიგვითითა, რომ საჭიროა ანგარიშების გაფართოებისათვის ახალ მიმართულებებსა და საკითხებზე მუშაობა. ეროვნული ანგარიშები კონცეპტუალურ და ფაქტობრივ ინსტრუმენტს წარმოადგენს ეთგო-ს ქვეყნების ასეულობით სტატისტიკური წყაროს შესაბამისობაში მოსაყვანად. ისინი გვაწვდიან ძირითად მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს პოლიტიკის შესამუშავებლად.

თუმცა, ისმის კითხვები, აქვთ თუ არა მომხმარებლებს საკმაო ცოდნა იმის შესახებ, თუ რა მდიდარ ინფორმაციას შეიცავს ეროვნული ანგარიშები და რამდენად სრულად იყენებენ ისინი ეას-ის ანალიტიკურ და სტატისტიკურ პოტენციალს. ამასთან, როგორ უნდა განვსაზღვროთ, რამდენად სწორად ესმით მომხმარებლებს ის რთული ცნებები და შეზღუდვები, რომელიც საფუძვლად უდევს ეას-ს? ასევე, ესმით თუ არა პრობლემები საერთაშორისო შედარებებთან დაკავშირებით? მოცემული წიგნის მეორე გამოცემაში თქვენ ნახავთ პასუხებს ყველა და არამარტო ამ კითხვებზე მსუბუქი, მისაწვდომი, მაგრამ მკაცრი ფორმით. ამ წიგნის წინა, 2006 წლის გამოცემა ძალიან კარგად მიიღო როგორც ეკონომიკური სტატისტიკის მცოდნე ადამიანთა წრემ, ასევე არასპეციალისტებმა. და მართლაც, მრავალმა მკითხველმა მისწერა ავტორებს, რომ „წიგნის საშუალებით ისინი პირველად გაეცნენ ეროვნულ ანგარიშთა სისტემას და ეს არ იყო რთული და მოსაბუზრებელი!“

2006 წლის შემდეგ ოთხი უმნიშვნელოვანესი ცვლილება მოხდა, რამაც განაპირობა წინა გამოცემის განახლება. პირველი, ფინანსურმა კრიზისმა, რომელიც თავს დაატყდა ეთგო-ს ქვეყნებს, ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საჭიროა უკეთ აიხსნას სამეურნეო საქმიანობაში მიმდინარე მნიშვნელოვანი ძვრები, რომლებიც ასახვას ჰპოვებს ეროვნულ ანგარიშებში. მეორე, 2008 წელს ეროვნულ ანგარიშთა სისტემამ (ეას) მნიშვნელოვანი მოდერნიზაცია განიცადა. ამის ერთ-ერთი მაგალითია კვლევებსა და შემუშავებაზე (R&D) გაწეული დანახარჯების მიკუთვნება ცოდნაში ჩადებულ ინვესტიციაზე. ადრე ეს მუხლი მხოლოდ მიმდინარე ხარჯი იყო. მესამე, ახალი აქცენტების შეტანამ „უკეთესი ცხოვრების“ გაგებაში, რომელიც გასცდა ეკონომიკური ზრდისა და მშპ-ის ტრადიციული მიზნების საზღვრებს, საშუალება მოგვცა, რომ ეროვნული ანგარიშების საშუალებით თვალი გავადევნოთ

შინამეურნეობების მატერიალური კეთილდღეობის დონეს. და ბოლოს, მიმდინარე ეტაპზე, ახალი მონაცემები „დამატებული ღირებულებით ვაჭრობის“ შესახებ ძირითადი ეროვნული ანგარიშების პარალელურად განიხილება, რაც საშუალებას გვაძლევს უკეთ გავიგოთ ეკონომიკებს შორის გაზრდილი ურთიერთკავშირი.

„ეროვნულ ანგარიშთა სისტემის გაგების“ ეს ახალი, გაფართოებული ვერსია ზემოთ მოყვანილი ოთხივე სიახლეს მოიცავს. კერძოდ, ამ ნაშრომის გამოქვეყნება იმ დროს დაემთხვა, როდესაც ეთგო-ს ყველა წევრმა ქვეყანამ პრაქტიკულად დანერგა ეროვნული ანგარიშების 2008 წლის ვერსია.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს გამოცემა, ისევე როგორც წინა პუბლიკაცია, დიდი კეთილგანწყობით იქნება მიღებული უამრავი ახალგაზრდა სტატისტიკოსის, სტუდენტის, ჟურნალისტის, ეკონომისტისა და მოქალაქის მიერ, ვისაც სურს უფრო მეტი იცოდეს ეკონომიკური განვითარების გაზომვისათვის საჭირო სტატისტიკის შესახებ ეთგო-ს ქვეყნებში.



მარტინ დიურანი
ეთგო-ს მთავარი ეკონომისტი და დირექტორი,
სტატისტიკის სამმართველო

შინაარსი

მადლობა

თავი 1. ძირითადი მაკროეკონომიკური აგრეგატები	17
1. მშპ-ის განსაზღვრა	20
2. პირველი ძირითადი განტოლება: მშპ-ის ფიზიკური მოცულობის მიღება ..	27
3. მოთხოვნის განსაზღვრა: ინვესტიციებისა და მოხმარების როლი	32
4. მეორე ძირითადი განტოლება: გლობალური გამოშვებისა და მოთხოვნის ტოლობა	33
5. მესამე ძირითადი განტოლება: გლობალური გამოშვებისა და შემოსავლების ტოლობა	38
საკვანძო მომენტები	47
ჩაულრმავდით	48
სავარჯიშოები	56
თავი 2. განსხვავება ფიზიკური მოცულობისა და ფასების მატებას შორის	60
1. გაფრთხილება: შეადარეთ ფიზიკური მოცულობები	61
2. ფიზიკური მოცულობისა და ფასის მიხედვით დაყოფის გამოყენება დროით ცვლილებებში	64
3. აგრეგირების სირთულეები	65
4. ფიზიკური მოცულობისა და ფასის ინდექსები	69
5. მუდმივი ფასები	72
6. „ჯაჭვური“ ანგარიშები და ადიტიურობის დაკარგვა	73
7. ჯაჭვური გადახმის არასასურველი პრაქტიკული შედეგები	77
8. განსაკუთრებული შემთხვევები	79
9. რაც შეეხება ფასის ინდექსებს	83
საკვანძო მომენტები	86

ჩაუღრმავდით	87
სავარჯიშოები	90
თავი 3. საერთაშორისო შედარებები	96
1. მატების ტემპების შედარება	97
2. კოეფიციენტების შედარება: დაზოგვის დონის მაგალითი, მოგების ნორმა და სახელმწიფო ვალის დონე	100
3. ცვლადების დონეების შედარება: მშპ-ის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე	105
4. მოცულობა/ფასის სივრცითი ჩაშლა: მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტები	108
5. ცვლადების აბსოლუტური მნიშვნელობების შედარება: შინამეურნეობის მოხმარება	118
საკვანძო მომენტები	122
სავარჯიშოები	123
თავი 4. წარმოება: რას მოიცავს და რას არ მოიცავს	125
1. წარმოების საზღვრები	129
2. არალეგალური და იატაკქვეშა ეკონომიკა	132
3. გამოშვებისა და დამატებული ღირებულების გაზომვა: ზოგადი შემთხვევა	134
4. გამოშვებისა და დამატებული ღირებულების გაზომვა: განსაკუთრებული შემთხვევები	138
5. ნომენკლატურები და კლასიფიკაციები	142
საკვანძო მომენტები	147
ჩაუღრმავდით	148
სავარჯიშოები	154

თავი 5. მშპ-ის საბოლოო გამოყენების განსაზღვრა	157
1. საბოლოო გამოყენება ეროვნულ ანგარიშებში	159
2. შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების დანახარჯები	162
3. სახელმწიფო მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარების ხარჯები.....	169
4. შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების (NPISHs, შმაკო) საბოლოო მოხმარების ხარჯები	171
5. მოხმარების დანახარჯებიდან რეალურ მოხმარებამდე	172
6. ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	174
7. მარაგების ცვლილება	180
8. ფასეულობის წმინდა შეძენა	183
9. საქონლისა და მომსახურების ექსპორტი და იმპორტი	184
საკვანძო მომენტები.....	192
ჩაუღრმავდით	194
სავარჯიშოები	199
თავი 6. შინამეურნეობების ანგარიში.....	203
1. შინამეურნეობების ანგარიშის სამი საკვანძო ინდიკატორი	205
2. შინამეურნეობების სექტორის ანგარიშები.....	208
3. შინამეურნეობების განკარგვადი შემოსავლისა და მოხმარების გაზომვის ალტერნატიული გზა.....	222
საკვანძო მომენტები.....	226
ჩაუღრმავდით	227
სავარჯიშოები	235
თავი 7. ბიზნეს-ანგარიშები.....	238
1. ურთიერთკავშირი ფირმასა (საწარმოს) და კორპორაციას შორის.....	241

2. კორპორაციების სექტორის ანგარიშების სტრუქტურა	243
3. კორპორაციებიდან ფირმებამდე	255
საკვანძო მომენტები.....	259
ჩაულრმავდით	260
სავარჯიშოები	265

თავი 8. ფინანსური ანგარიში და აქტივების და პასივების ბალანსი..... 270

1. შინამეურნეობების სიმდიდრის მნიშვნელობა ეკონომიკური მდგომარეობის მიმდინარე ანალიზში	271
2. ოთხმაგი ჩაწერის პრინციპი	273
3. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები	280
4. კავშირი ფინანსურ ნაკადებსა და ფინანსურ მარაგებს შორის.....	287
5. არაფინანსური აქტივები.....	291
6. აქტივებისა და პასივების ანგარიშები	293
7. ინსტიტუციური სექტორის ანგარიშების სრული ნაკრები	295
საკვანძო მომენტები.....	299
ჩაულრმავდით.....	301
სავარჯიშოები	316

თავი 9. სახელმწიფო მართვის ორგანოების ანგარიში..... 320

1. სახელმწიფო მართვის ორგანოების გამარტივებული დიაგრამა.....	323
2. სახელმწიფო მართვის ორგანოების ანგარიშის დეტალური სტრუქტურა ...	327
3. რას მოიცავს სახელმწიფო მართვის ორგანოები?.....	335
4. საჯარო ფინანსების ძირითადი ინდიკატორები.....	340
საკვანძო მომენტები.....	343
ჩაულრმავდით	344
სავარჯიშოები	349

თავი 10. დანახარჯები-გამოშვების ცხრილი და ინტეგრირებული ეკონომიკური ანგარიშები	354
1. რესურსები-გამოყენების ცხრილები	356
2. ერთობლივი მიწოდებისა და საბოლოო გამოყენების ცხრილები	362
3. შუალედური გამოყენების ცხრილი.....	365
4. დანახარჯები-გამოშვების ცხრილი	367
5. დანახარჯები-გამოშვების ცხრილის გამოყენება ეკონომიკურ ანალიზში ...	369
6. დამატებული ღირებულებების ჯამიდან მშპ-მდე.....	371
7. ინტეგრირებული ეკონომიკური ანგარიში	375
8. გადასვლა მშპ-დან ეროვნულ შემოსავალზე.....	378
საკვანძო მომენტები.....	382
ჩაუღრმავდით	383
სავარჯიშოები	394

თავი 11. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ტექნიკური მხარე: კომპილაცია და ანგარიშგება	405
1. კვარტალური ეროვნული ანგარიშები.....	406
2. წლიური ეროვნული ანგარიშები	413
3. ეროვნული ანგარიშების გადახედვა და მათი სიზუსტე	415
4. ყოვლისმომცველი გადახედვები	419
5. ეროვნულ ანგარიშებთან დაკავშირებული სხვა მონაცემთა მწკრივები.....	420
საკვანძო მომენტები.....	423
ჩაუღრმავდით	424
სავარჯიშოები	427

თავი 12. აშშ-ის ეროვნული შემოსავალი და პროდუქციის ანგარიშები.....	430
---	-----

1. წინაპირობა	432
2. NIPA-ს ცხრილები	435
3. NIPA-ს გავრცელება	443
4. NIPA-სთან დაკავშირებული სხვა პროგრამები	445
5. კვარტალური მთლიანი შიდა პროდუქტის კომპილაცია.....	448
6. კვარტალური მშპ-ის მოსამზადებელი მეთოდოლოგიები	453
ჩაულრმავდით	465

თავი 13. **2007-2009 წლების ფინანსური კრიზისისა და რეცესიის ასახვა**

ეროვნულ ანგარიშებში	473
1. დიდი რეცესია	477
2. ნელი ეკონომიკური გაუმჯობესება	504
3. ფინანსური კრიზისის წინაპირობა	506

თავი 14. **ეროვნულ ანგარიშთა საერთაშორისო სისტემები: წარსული და**

მომავალი	515
1. როგორ იწყებოდა ისტორია.....	516
2. ... პირველ თანამედროვე ანგარიშებამდე	516
3. 1953 წლის ეას-ი	517
4. 1968 წლის ეას-ი	519
5. 1993 წლის ეას-ი	521
6. 1995 წლის აეს-ი	523
7. 2008 წლის ეას-ი	524

თავი 15. **მშპ, როგორც კეთილდღეობის საზომი. დღის წესრიგშია „მშპ-ის მიღმა“
საკითხები.....**

1. კეთილდღეობის უკეთესი საზომები ეროვნული ანგარიშების ფარგლებში	536
---	-----

2. კეთილდღეობის საზომები ეროვნული ანგარიშების მიღმა.....	544
3. კარგადყოფნის გაზომვა: უფრო ვრცლად საკითხზე „მშპ-ის მიღმა“	553
თავი 16. ეროვნული ანგარიშები გლობალიზებულ სამყაროში.....	564
1. მზარდი გლობალიზაციის მტკიცებულება.....	567
2. ახალი სტატისტიკური ინსტრუმენტი გლობალიზაციის გავლენის გასაზომად: ვაჭრობა დამატებული ღირებულებით	571
3. კარგი ეროვნული ანგარიშების კომპილაციის გაგრძელება გლობალიზებულ სამყაროში	579
საძიებელი	586
გლოსარიუმი.....	589

შენიშვნა მკითხველისთვის

ეს სახელმძღვანელო დიდი რაოდენობით შეიცავს მონაცემებს, რომლებიც ძირითადად ეთგო-ს წყაროებიდან არის მოპოვებული. ამ წიგნში გამოყენებულ ცხრილებთან და გრაფიკებთან მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება StatLinks. თუმცა, მკითხველს უნდა ახსოვდეს, რომ ეროვნული ანგარიშები მუდმივად განახლებადია. ამგვარად, შეიძლება შეგხვდეთ განსხვავებები ერთი და იგივე ცვლადის ორ მნიშვნელობას შორის ორ სხვადასხვა ცხრილს ან ელექტრონულ ფაილში, ან მოცემულ სახელმძღვანელოსა და სხვადასხვა ეროვნული სტატისტიკური სამსახურის ან ეთგო-ს უკანასკნელ პუბლიკაციებში. ეს არ არის გამოწვეული შეცდომით, უბრალოდ უნდა გვახსოვდეს, რომ სახელმძღვანელოს სხვადასხვა ნაწილის განახლება წლის განმავლობაში სხვადასხვა თარიღს უკავშირდება (2013 - 2014-ის შუა პერიოდებში). ასევე, და განსაკუთრებით ამ პერიოდის ბოლოს, ეთგო-ს მრავალი წევრი ქვეყანა გადავიდა ძველი ეას 1993 / აეს 1995-იდან ახალ ეას 2008 / აეს 2010-ზე. ამიტომ, ეს ცვლილება არ არის ასახული ზოგიერთ ცხრილში, რომელიც უფრო ადრე განახლდა, ვიდრე ხელმისაწვდომი იქნებოდა აღნიშნული ცვლილებები (იხ. ჩანართი 1.1 თავი 1-ში).

იხილეთ ეთგო-ს პუბლიკაციები შემდეგ მისამართებზე:



http://twitter.com/OECD_Pubs



<http://www.facebook.com/OECDPublications>



<http://www.linkedin.com/groups/OECD-Publications-4645871>



<http://www.youtube.com/oecdilibrary>




<http://www.oecd.org/oecdirect/>

ამ წიგნს აქვს...



Excel® -ის ფაილის გადმოტანის სერვისი ბეჭდური გვერდიდან!

მოიძიეთ StatLinks  ცხრილებისა და ნახაზების ქვემოთ. Excel®-ის მითითებული სამუშაო ფურცლის ჩამოსატვირთად ჩაწერეთ ბმული თქვენს ინტერნეტ-ბრაუზერში შემდეგი პრეფიქსით <http://dx.doi.org>, ან დაკლიკეთ ელექტრონული წიგნის ბმულზე.

მადლობა

ამ წიგნის თანაავტორი დერეკ ბლეიდსი 2014 წლის 25 ივნისს გარდაიცვალა. მთელი სიცოცხლის მანძილზე ის აქტიურად იყო ჩართული ეროვნული ანგარიშების საერთაშორისო ქსელში, კერძოდ ეთგო-ს მუშაობაში ამ მიმართულებით. ის იყო ნამდვილი პროფესიონალი, პედაგოგი და კარგი ადამიანი, რომელიც ყველას დააკლდა. ფრანსუა ლოკიე მის გარეშე ვერ დაწერდა ამ სახელმძღვანელოს.

ავტორები მადლობას უხდებიან ყველას, ვინც გარკვეული წვლილი შეიტანა ამ სახელმძღვანელოს შექმნასა და გამოცემაში.

თავი 1

ძირითადი მაკროეკონომიკური აგრეგატები

ამ თავში მოცემულია ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების საწყისი განსაზღვრებები, რომლებიც აღებულია ეთგო-ს ეკონომიკური პერსპექტივების 2013 წლის მაისის გამოცემიდან. ქვეყნის მაგალითად მოტანილია გერმანია. ამ თავში ჯერ განხილულია მშპ, ხოლო შემდეგ ეთგო-ს ეკონომისტების მიერ გამოყენებული მთავარი ინდიკატორები: კერძო მოხმარება, ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება, მშპ-ის დეფლატორი, შინამეურნეო-ბების დანაზოგის დონე და სამთავრობო დაწესებულებების ფინანსური ბალანსი.

ამ თავში ჩვენი მიზანია მოგვითხროთ ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების საწყისი განმარტებები (ქვემოთ, ცხრილში მათი ჩამონათვალი მოტანილია წყაროდან „ეთგო-ს ეკონომიკური პერსპექტივები, მაისი 2013“ [OECD Economic Outlook May 2013](#) (OECD, 2013a).¹ პირველ თავში თვალსაჩინოებისთვის ავირჩიეთ გერმანიის მაგალითი, თუმცა, შეგვეძლო ეთგო-ს ნებისმიერი სხვა ქვეყანა განგვხილავს, რამდენადაც ეთგო-ს ეკონომიკური პერსპექტივების კრებულში ცალკეული ქვეყნისადმი მიძღვნილი თავების სტრუქტურა ყველა ქვეყნისთვის ერთნაირია.

ამ წიგნის თითოეულ თავში მაგალითად განხილულია სხვადასხვა ქვეყანა.

ცხრილი 1.1. მთავარი მაკროეკონომიკური ცვლადები
გერმანია,^a 2005 წლის ევრო, წლიური პროცენტული ცვლილება

	2010	2011	2012	2013	2014
საბოლოო პირადი მოხმარება	0.8	1.7	0.6	1.0	2.2
მთლიანი კაპიტალის ფორმირება	9.8	7.6	-4.9	-0.5	5.4
მთლიანი შიდა პროდუქტი	4.0	3.1	0.9	0.4	1.9
იმპორტი	10.9	7.5	2.2	1.9	6.4
ექსპორტი	13.4	7.9	4.3	0.9	4.6
შინამეურნეობების წმინდა დანაზოგის დონე	10.9	10.4	10.3	10.3	10.1
მშპ-ის დეფლატორი	0.9	0.8	1.3	1.2	1.7
მთავრობის წმინდა დაკრედიტება, პროცენტობით მშპ-სთან	-4.2	-0.8	0.2	-0.2	0.0

a) ეთგო-ს ეკონომიკური პერსპექტივების კრებული დათარიღებულია 2013 წლის მაისით. ამ დროისთვის 2013 და 2014 წლის მონაცემები წარმოადგენს ეთგო-ს ეკონომისტების მიერ აგებულ პროგნოზებს. 2010, 2011 და 2012 წლის მონაცემები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტატისტიკის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ფაქტობრივი დაკვირვებებიდან არის აღებული.

წყარო: OECD (2013), “OECD Economic Outlook No. 93”, OECD Economic Outlook: Statistics and Projections (database), doi: <http://dx.doi.org/10.1787/data-00655-en>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143526>

ეთგო-ს ეკონომისტები 2013 წლის მაისში ასეთ კომენტარებს აკეთებდნენ:

„მას შემდეგ, რაც 2012 წლის განმავლობაში ჯერ შემცირდა და შემდეგ 2013 წლის პირველ კვარტალში უარყოფითი გახდა მშპ-ის მატება, წლის განმავლობაში

მოსალოდნელია მდგომარეობის თანდათან გამოსწორება და 2014 წლისათვის 2%-იანი მატების მიღწევა. მიუხედავად იმისა, რომ ევროზონაში ეკონომიკის მოდუნებული აქტივობა უკან დახევს აღდგენის პროცესს, მოსალოდნელია მსოფლიო ვაჭრობის ფარგლებში ექსპორტის ზრდის ტემპის გადიდება. ხელფასიდან და დასაქმებიდან მიღებული შემოსავლები დაბალ საპროცენტო განაკვეთთან ერთად ხელს შეუწყობს შიდა მოთხოვნას და მიმდინარე ოპერაციების პროფიციტი მშპ-ის 6%-მდე შემცირდება. გარკვეულწილად მოსალოდნელია უმუშევრობის დონის შემცირება, თუმცა სამომხმარებლო ფასების ინფლაცია შესაძლოა 2%-მდე გაიზარდოს 2014 წელს“ (OECD, 2013a).

2013 წლის მაისში გერმანიის ეკონომიკის განხილვისას ეთგო-ს ეკონომისტები 2014 წლისათვის პროგნოზირებდნენ **მთლიანი შიდა პროდუქტის** (ცნობილია, როგორც **მშპ**) ზრდას მსოფლიო ვაჭრობის გაძლიერებისა და შესაბამისად ექსპორტის მატების ხარჯზე.

მუქი შრიფტით გამოყოფილი ტერმინების განსაზღვრებები შეგიძლიათ იხილოთ ამ წიგნის გლოსარიუმში.

2009 წელი გერმანიისა და ეთგო-ს ქვეყნების უმეტესობისთვის საშინელი წელი იყო: მშპ 5.1%-ით შემცირდა. ცხრილში ნაჩვენებია 2010 წელს მშპ-ის ვარდნა (4.0%), მცირე მატება 2012 (0.9%) და 2013 (0.4%) წლებში და მოსალოდნელი მატება (1.9%) 2014 წელს. ეს უკანასკნელი ციფრი დადებით პერსპექტივას აჩვენებს, თუმცა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ევროზონაში კრიზისის შემდგომ განვითარებაზე, რადგან ის პოტენციურ საფრთხეს უქმნის მოსალოდნელ აღდგენის პროცესს. 2012 და 2013 წლებს შორის ტემპის შენელება 0.5 პროცენტული პუნქტით მოხდა. შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ეს ძალიან ცოტაა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეროვნული ანგარიშების ცვლადები მილიარდებში იზომება.

პრაქტიკაში, ეთგო-ს ქვეყნების უმეტესობა ეროვნულ ანგარიშებს მილიონებში აქვეყნებს და ამიტომ ცხრილების უმეტესობაში საზომად მილიონია მითითებული. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მონაცემები მილიონის დონეზე ზუსტია. გონივრულია ამ მონაცემების დამრგვალება მილიარდამდე.

გერმანიის შემთხვევაში, მშპ-ის 1%-ს შეესაბამება დაახლოებით 26 მილიარდი ევრო და ამიტომ მისი 0.5%, რომელიც 13 მილიარდია და დაახლოებით 400 000 დასაქმებულის წლიურ შემოსავალს წარმოადგენს, მნიშვნელოვანი რიცხვია.

ამ თავს დავიწყებთ მშპ-ის განსაზღვრით, შემდეგ გადავალთ ეთგო-ს ეკონომისტების მიერ გამოყენებულ მთავარ ინდიკატორებზე: კერძო მოხმარება, ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება, მშპ-ის დეფლატორი, **შინამეურნეობების** დანაზოგის დონე და **სამთავრობო დაწესებულებების** ფინანსური ბალანსი. ამ თავში განხილული ეროვნული ანგარიშების მონაცემების გასაცნობად შეგიძლიათ ისარგებლოთ ეთგო-ს ვებ-გვერდით ამ წიგნისთვის ან ეთგო-ს ვებ გვერდით, სადაც მოტანილია „კვარტალური ეროვნული ანგარიშები“ (quarterly national accounts) ან „წლიური ეროვნული ანგარიშები“ (annual national accounts). კვარტალური ანგარიშები უფრო მოსახერხებელია მათთვის, ვისაც უკანასკნელი მონაცემები აინტერესებს.

1. მშპ-ის განსაზღვრა

მშპ, მთლიანი შიდა პროდუქტი, ყველაზე ხშირად გამოყენებადი ინდიკატორია ეროვნულ ანგარიშებში. შეიძლება ითქვას, რომ ის მთელი ეროვნულ ანგარიშთა სისტემის გულშია მოთავსებული და მისი განმარტება საერთაშორისო დონეზეა შეთანხმებული (ჩანართი 1.1 „ცნობარები“). მშპ განმეორებითი აღრიცხვის გარეშე, მხოლოდ ერთი რიცხვით გამოსახავს მთელ *შედეგს* (ან *გამომშვებას*), რომელიც წარმოებულია ყველა *ფირმის, არასამთავრობო ინსტიტუციის, სამთავრობო ორგანოების და შინამეურნეობების* მიერ მოცემულ ქვეყანაში მოცემული პერიოდის განმავლობაში, მიუხედავად საქონლის და მომსახურების სახისა, იმ პირობით, რომ მათი წარმოება მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე ხდება. მისი გამოთვლა უმეტესად კვარტალურად ან წლიურად ხდება, თუმცა თვიურადაც შესაძლებელია.

ჩანართი 1.1 ცნობარები და მათი გამოყენება

ეროვნული ანგარიშების მარეგულირებელი სტანდარტები თავმოყრილია ორ საერთაშორისო ცნობარში: „ეროვნულ ანგარიშთა სისტემა 2008“ (SNA 2008), რომელიც მსოფლიო მასშტაბით არის მიღებული და მისი ევროპული ვერსია „ანგარიშების ევროპული სისტემა 2010“ (ESA 2010, აეს 2010). გლობალურ ცნობარს (SNA 2008, ეას 2008) ხელს აწერს ხუთი წამყვანი საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაცია: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (ეთგო),

მსოფლიო ბანკი (მბ) და ევროპის კომისია (ევროკომისია). ევროპული ცნობარი სრულ თანხვედრაშია გლობალურ ცნობართან და დამატებით სასარგებლო დეტალებს შეიცავს. ასევე, იურიდიულად მას უფრო საკანონმდებლო ხასიათი აქვს, რადგან ევროპული ნორმების თანახმად, ეთგო-ს წევრი ქვეყნებისთვის ის სავალდებულოა. ამ რეკომენდაციებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მონაცემთა შესადარისობის თვალსაზრისით, თუმცა სამომავლოდ კვლავ გათვალისწინებულია გაუმჯობესება ამ მიმართულებით (იხ. თავი 3). ეს 2008-ისა და აეს 2010-ის სრული ვერსიები ხელმისაწვდომია ინტერნეტში.

გაფრთხილება: მიუხედავად იმისა, რომ ცნობარები დათარიღებულია 2008 ან 2010 წლით, მათი დანერგვა დროს მოითხოვს, რადგან ეროვნული ანგარიშების სტატისტიკის წარმოება საკმაოდ შრომატევადია. ეს წიგნი 2014 წელს გამოქვეყნდა, სწორედ იმ დროს, როდესაც ეთგო-ს წევრი ქვეყნები ამთავრებდნენ მათ დანერგვას. აშშ-იმ, ავსტრალიამ, ისრაელმა, მექსიკამ და კანადამ ბოლო ვერსია 2013 წელს დანერგა, კორეამ კი - 2014 წლის მარტში. რაც შეეხება ევროპულ ქვეყნებს, მათ აეს 2010 მხოლოდ 2014 წლის ოქტომბერში დანერგეს, სწორედ მაშინ, როდესაც ეს წიგნი უნდა გამოსულიყო. ამიტომ მოცემული წიგნის თავებში საილუსტრაციო მონაცემები ეას-ის წინა ვერსიიდან არის ნასესხები. თუმცა, არ ღირს აღნიშნულისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება. წინა სისტემასთან შედარებით, მთავარი ცვლილება იმაში მდგომარეობს, რომ დანახარჯები კვლევასა და შემუშავებაზე (R & D), თანამედროვე სისტემაში აღირიცხება როგორც ინვესტიცია და არა როგორც შუალედური მოხმარება (იხ. თავი 14). პრაქტიკულად, ეს იწვევს აშშ-ის მშპ-ის გადიდებას დაახლოებით +2.5%-ით, ხოლო ევროკავშირში საშუალოდ +1.9%-ით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს გავლენა „სტრუქტურული“ ხასიათისაა იმ აზრით, რომ ასე თუ ისე ყველა წელს შეეხო. სხვა სიტყვებით, მშპ-ის დროითი მწკრივი თითქმის ერთი და იმავე მნიშვნელობით შეიცვალა ყველა წლის მიხედვით, ამიტომ მშპ-ის მატების ტემპი, რაც მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური ინდიკატორია, მხოლოდ უმნიშვნელოდ შეიცვალა. იმისათვის, რომ ნახოთ, თუ რა ცვლილებები მოხდა ამ მიმართულებით საფრანგეთში, სადაც ახალი ანგარიშები 2014 წლის მაისში გამოჩნდა, იხ. თავი 14. გერმანიისთვის იხ. ცხრილი 1.1-ის statlink-ი, რომელშიც ნაჩვენებია ის განსხვავებები, რაც აეს 2010-ის დანერგვამ გამოიწვია 1.1 ცხრილში ჩამოთვლილ ინდიკატორებში.

მიუხედავად ამისა, ქვეყანაში წარმოების მთლიანი მოცულობის გაანგარიშება მარტივი საკითხი არ არის (იხ. ჩანართები „სიზუსტე“ და „შეზღუდვები და მახეები“ ამ თავის ბოლოს), ამიტომ ეროვნული ანგარიშების წარმოებაზე პასუხისმგებელ პირებს უწევთ ინოვაციური მეთოდების შემუშავება მისი გაანგარიშებისთვის.

ცალკე აღებული ერთი ფირმის წარმოების მოცულობის გაანგარიშება საკმაოდ ადვილია. მაგალითად, მაკარონის მწარმოებელი ფირმისთვის ის შეიძლება გაიზომოს წლის განმავლობაში გამოშვებული მაკარონის ოდენობით ტონებში, ან თუ ტონების

რაოდენობას მაკარონის ფასზე გადავამრავლებთ, გამოშვების მოცულობას დოლარებში მივიღებთ (ან ევროებში, თუ გერმანიის მაგალითს გამოვიყენებთ, რადგან ევრო ამ ქვეყნის ეროვნული ვალუტაა). თუმცა, თუ მაკროეკონომიკური მაჩვენებლის მიღება გვსურს, შეგვიძლია ვნახოთ, რომ დოლარში გაზომილი ყველა ფირმის გამოშვების შეჯამება სწორ შედეგამდე ვერ მიგვიყვანს. მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი გაანგარიშების შედეგი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ფირმის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე.

კვლავ მივუბრუნდეთ მაკარონის წარმოების მაგალითს მოცემულ რეგიონში, ოღონდ ამ შემთხვევაში განვიხილოთ წარმოების ორ სცენარი. დავუშვათ, რომ პირველ წელს რეგიონში მხოლოდ ერთი ფირმაა A, რომელიც მაკარონსაც აწარმოებს და ფქვილსაც მაკარონის წარმოებისათვის. მისი გამოშვება 100 000 დოლარია, რაც შეესაბამება მის მიერ წარმოებულ 100 ტონა მაკარონს, 1 ტონის ფასი 1 000 დოლარია. ახლა დავუშვათ, რომ მომავალ წელს ფირმა A ორად გაიყო, რომელთაგან A1 აწარმოებს და ყიდის 30 000 დოლარის ღირებულების ფქვილს A2-ისთვის, ხოლო A2 ახდენს მაკარონის საბოლოო წარმოებას. ფირმა A2 ისევ იმდენივე მაკარონს აწარმოებს, რამდენსაც წინა წელს, ანუ 100 ტონას და 1 ტონას ისევ 1 000 დოლარად ჰყიდის.

მაკარონის წარმოება

	წელი 1	
	ფირმა A	
გამოშვება	\$ 100 000	
	წელი 2	
	ფირმა A1	ფირმა A2
გამოშვება	\$ 30 000	\$ 100 000

თუ პირველ წელს რეგიონის გამოშვება 100 000 დოლარი იყო, მეორე წელს მთლიანი გამოშვება ორივე ფირმის გამოშვების ჯამის ტოლი უნდა იყოს, ანუ A1+A2 (30 000 დოლ + 100 000 დოლ). მაგრამ ამ ჯამის გამოყენება რეგიონის ეკონომიკური აქტივობის მაკროეკონომიკურ ინდიკატორად აბსურდული იქნება. ეს ციფრი (130 000 დოლ.) გამოშვების 30%-იანმა ტემპს გვიჩვენებს (130 000/100 000=1.30, ან +30%) მაშინ, როდესაც მაკროეკონომიკურ დონეზე ფაქტობრივად არავითარი ცვლილება არ მომხდარა. მეორე წლის განმავლობაში რეგიონში მაკარონის იმავე რაოდენობის წარმოება მოხდა იგივე ფასად. ცვლილებები განიცადა მხოლოდ ფირმების ორგანიზაციულ-სამართლებრივმა და კომერციულმა მოწყობამ.

სწორედ ამ განსხვავებამ წარმოშვა იდეა იმის თაობაზე, რომ თითოეული ფირმის წვლილი არა მთლიანი გამოშვების, არამედ **დამატებული ღირებულების** მიხედვით

უნდა შეფასებულიყო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დამატებული ღირებულება დანამატია ფირმის დანახარჯების ნაკადებზე, ანუ საწარმოო მოხმარებაზე. კვლავ მივუბრუნდეთ მაკარონის მაგალითს. პირველ წელთან შედარებით, როდესაც მხოლოდ ერთი, A ფირმა აწარმოებდა მაკარონს, მეორე წელს A2 ფირმის მიერ წარმოებული დამატებული ღირებულება 100 000\$-ის ტოლი არ არის. A2 ფირმა 30 000\$-ის ღირებულების ფქვილს ყიდულობს A1-ისგან, რომელიც პირველ წელს თვითონ აწარმოებდა ფქვილსაც და ამას გამოშვებაში არ ითვალისწინებდა. ამიტომ, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა A2 ფირმის დამატებულ ღირებულებას სხვაობით ანგარიშობს: 100 000\$ – 30 000\$. ანუ A2 ფირმის გამოშვების ღირებულებას აკლდება იმ საქონლისა და მომსახურების ღირებულება, რაც მის წარმოებაზე დახარჯა მოცემული პერიოდის განმავლობაში.

საქონელი და მომსახურება, რომელიც მოცემული პერიოდის განმავლობაში დაიხარჯა წარმოების პროცესში, არის **შუალედური მოხმარება**. გამოშვებიდან შუალედური მოხმარების გამორიცხვით ჩვენ თავიდან ვიცილებთ განმეორებით (დუბლირებულ) აღრიცხვას, რასაც ადგილი ექნებოდა, თუ A1 და A2 ფირმებს გამოშვებებს შევკრებდით. მეორე წელს ფქვილის გამოშვება ფაქტობრივად ორჯერ იქნა გათვალისწინებული: პირველად, A1 ფირმის გამოშვების ღირებულებაში (30 000 დოლარი) და მეორედ, A2 ფირმის გამოშვების ღირებულებაში (რომლის გამოშვების ღირებულებაშიც, 100 000 დოლარი, ფაქტობრივად შედის ნაყიდი და წარმოების პროცესში გამოყენებული ფქვილის ღირებულება).

თუ იგივე მსჯელობას ყველა ფირმისთვის გამოვიყენებთ და თითოეულისათვის დამატებულ ღირებულებას გავიანგარიშებთ, მაშინ შესაძლებელი იქნება მათი შეჯამება *ორმაგი აღრიცხვის გარეშე*. შედეგად მივიღებთ ინდიკატორს, რომელიც არ იქნება დამოკიდებული ფირმის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე. თვალსაჩინოებისთვის იხილეთ ქვემოთ ცხრილი, რომელშიც მონაწილეობს ფერმაც, რომელიც ხორბალს აწარმოებს შემდგომში ამ ხორბლიდან ფქვილის საწარმოებლად. სიმარტივისთვის დავუშვათ, რომ ფერმერს არ აქვს შუალედური მოხმარება; ის საკუთარ სამუშაო ძალას და მანქანა-მოწყობილობებს იყენებს სათესლე მასალისა და სასუქის ყიდვის გარეშე. როგორც დიაგრამიდან ჩანს, თითოეული მწარმოებელი ერთეულის გამოშვება იცვლება, თუმცა თითოეული ერთეულისთვის დამატებული ღირებულების ჯამი 100 000 დოლარის ტოლი რჩება ორგანიზაციული მოწყობისგან დამოუკიდებლად.

წელი 1

ფერმერი

ფირმა A

დანახარჯები	სამუშაო ძალა+მანქანა- მოწყობილობები+ხორბალი	სამუშაო ძალა+მანქანა- მოწყობილობები+ხორბალი
გამოშვება	\$10 000	\$ 100 000
შუალედური მოხმარება	0	\$10 000
დამატებული ღირებულება	\$10 000	\$90 000

წელი 2

დანახარჯები	ფერმერი სამუშაო ძალა+მანქანა- მოწყობილობები	ფირმა A1 სამუშაო ძალა+მანქანა- მოწყობილობები +ხორბალი	ფირმა A2 სამუშაო ძალა+მანქანა- მოწყობილობები +ფქვილი
გამოშვება	\$10 000	\$ 30 000	\$100 000
შუალედური მოხმარება	0	\$10 000	\$30 000
დამატებული ღირებულება	\$10 000	\$20 000	\$70 000

აი, ამიტომ არის მშპ თითოეული ფირმის, სამთავრობო ინსტიტუციებისა და შინამეურნეობების მიერ წარმოებული დამატებული ღირებულებების ჯამი მოცემულ ქვეყანაში: $მშპ = \sum \text{დამატებული ღირებულებები}$.

უფრო ზუსტად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „მშპ = \sum დამატებული ღირებულებები, პლუს გადასახადები და მინუს სუბსიდიები პროდუქტებზე“. იხ. ცხრილი 1.5.

რადგან თითოეული დამატებული ღირებულება გამოშვებისა და შუალედური მოხმარების სხვაობის ტოლია, მშპ საბოლოოდ შეიძლება ასე ჩავწეროთ: $მშპ = \sum \text{გამოშვებები} - \sum \text{შუალედური მოხმარებები}$.

მშპ-ის კომპოზიტიური ფორმულა (რომელიც ცნობილია, როგორც “აგრეგატული”), ქმნის გამოშვების მაკროეკონომიკურ ინდიკატორს, რომელიც ორგანიზაციული სტრუქტურისაგან დამოუკიდებელია და არ შეიცავს განმეორებით აღრიცხვას. ეს ფორმულა შეიძლება მაგალითად მოვიყვანოთ იმ სამი არსებითი წესის თვალსაჩინოებისათვის, რასაც იყენებენ ხოლმე ეროვნულ ანგარიშთა სისტემის აგებისას, როდესაც მიკროეკონომიკიდან მაკროეკონომიკურ გაანგარიშებებს აწარმოებენ:

- განმეორებითი აღრიცხვის გამორიცხვა;

- ეკონომიკურად მნიშვნელოვანი აგრეგატების შემუშავება (ე.ი. რომელთა ღირებულება არ არის დამოკიდებული არაეკონომიკურ ფაქტორებზე);
- და ისეთი ინდიკატორების შექმნა, რომელთა გაზომვა პრაქტიკულად შესაძლებელია.

მშპ და სხვა აგრეგატები

და მაინც, რატომ „მთლიანი შიდა პროდუქტი“ ან მშპ? კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს არის „პროდუქტი“, რის გაზომვასაც ვცდილობთ, ანუ წარმოების საბოლოო შედეგი. „შიდა“ ნიშნავს, რომ პროდუქტი წარმოებულია ქვეყნის ან ქვეყნების ჯგუფის ეკონომიკურ ტერიტორიაზე (ფაქტობრივად, სავსებით შესაძლებელია მშპ-ის გაზომვა ქვეყნების ჯგუფის მიხედვით, მაგალითად ევროზონისთვის). სიტყვა „მთლიანი“ ნიშნავს, რომ მშპ-ის გაანგარიშებისას მისი ღირებულებიდან არ გამოირიცხება **ძირითადი კაპიტალის მოხმარება** (იხ. ქვემოთ).

ტერმინი „შიდა“ არ ნიშნავს „ეროვნულს“. ეს უკანასკნელი გამოიყენება მთლიანი ეროვნული შემოსავლის, ან მეშ-ის შემთხვევაში, რასაც ეას-ის ადრინდელ ვერსიებში მთლიანი ეროვნული პროდუქტი, ან მეპ წოდებოდა (ჩვეულებისამებრ, „მეპ“ ახლაც ფართოდ გამოიყენება). მშპ ზომავს *წარმოების* ერთობლივ მოცულობას ტერიტორიაზე, მაშინ როდესაც მეშ ზომავს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ეკონომიკური აგენტის მთლიან *შემოსავალს* (კაპიტალის მატებიდან ან დანაკარგიდან მიღებული შემოსავლის გარდა).

იმისათვის, რომ მშპ-დან მივიღოთ მეშ, საჭიროა მშპ-ს დავუმატოთ რეზიდენტების მიერ მიღებული შემოსავლები საზღვარგარეთიდან და გამოვაკლოთ მოცემულ ქვეყანაში არარეზიდენტების მიერ წარმოების შედეგად მიღებული შემოსავლები, რომლებიც საზღვარგარეთ გადაიზავნება. მაგალითად, თუ ადამიანი ცხოვრობს გერმანიაში და მუშაობს მეზობელ შვეიცარიაში ან ლუქსემბურგში, მაშინ მისი ხელფასი უნდა დავუმატოთ გერმანიის მშპ-ს, რათა გერმანიის მეშ მივიღოთ. საპირისპიროდ, სეზონურად ან მუდმივად მომუშავეების ხელფასი, რომლებიც საფრანგეთში ან პოლონეთში ცხოვრობენ და საზღვარგარეთ, გერმანიაში მუშაობენ, უნდა გამოვრიცხოთ გერმანიის მშპ-დან, რათა გერმანიის მეშ მივიღოთ.

დიდ ქვეყნებში, როგორც მაგალითად, გერმანიაა, განსხვავება მშპ-სა და მეშ-ს შორის დიდი არ არის (მაგ. 2.4%, როგორც ჩანს ქვემოთ ცხრილში). მაგრამ დიდია განსხვავება პატარა ქვეყნებისთვის, როგორცაა მაგ. ლუქსემბურგი, რომელიც თავისი მშპ-ის დიდ ნაწილს ხელფასისა და სხვა პირველადი შემოსავლების სახით უხდის „**დანარჩენ მსოფლიოს**“ (ეს ტერმინი ეროვნულ ანგარიშიანობაში იმის აღმნიშვნელია, რომ იგულისხმება „ყველა ქვეყანა ლუქსემბურგის გარდა“, ამ შემთხვევაში).

პირველად შემოსავლებში შედის აგრეთვე ლუქსემბურგში ინვესტირებული თანხებიდან მიღებული სარგებელი. ლუქსემბურგი ასევე მნიშვნელოვან პირველად შემოსავალს იღებს გარედან საპროცენტო სარგებლის ჩათვლით. საბოლოო ჯამში, ლუქსემბურგის მშპ-სა და მეშ-ს შორის განსხვავება დაახლოებით -31.9%-ია. ლუქსემბურგის მსგავსად, ირლანდიაც მაღალ დივიდენდებს უხდის დანარჩენ მსოფლიოს. ირლანდიაში მრავლადაა ამერიკული ტრანსნაციონალური ფირმების მშობელი კომპანიები, რომლებიც ნაწილობრივ გადასახადების გამო საქმიანობენ ირლანდიაში. შედეგად, ირლანდიის მეშ 18.3%-ით დაბალია მის მშპ-ზე. ლუქსემბურგსა და ირლანდიაში მეშ ნაკლებია მშპ-ზე, ხოლო შვეიცარიასა და გერმანიაში საპირისპირო სიტუაციაა.

ცხრილი 1.2. მშპ-სა და მეშ-ის შედარება გერმანიის, ლუქსემბურგისა და ირლანდიის მაგალითზე
მილიონი ევრო

2012 წელი	გერმანია	ლუქსემბურგი	ირლანდია
B1_GS1: მთლიანი შიდა პროდუქტი	2 666 400	42 899	163 938
(+) D1_D4FRS2: პირველადი შემოსავლების მიღება დანარჩენი მსოფლიოდან	206 600	101 109	58 316
(-) D1_D4TOS2: პირველადი შემოსავლების გადახდა დანარჩენი მსოფლიოსათვის	142 930	114 784	88 390
B5_GS1: მთლიანი ეროვნული შემოსავალი საბაზრო ფასებში	2 730 070	29 225	133 864
განსხვავება მშპ-სა და მეშ-ს შორის (%)	2,4	-31,9	-18,3

წყარო: OECD (2013), "Aggregate National Accounts: Disposable income and net lending/borrowing", OECD National Accounts Statistics (database), <http://dx.doi.org/10.1787/data-00002-en>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143536>

ერთმანეთისგან ასევე უნდა განვასხვაოთ მშპ და წმინდა შიდა პროდუქტი (წმპ). საქონლისა და მომსახურების წამოებისთვის („გამოშვება“) სულ მცირე, სამი ფაქტორია საჭირო: შრომა („სამუშაო ძალა“), საქონელი და მომსახურება (შუალედური მოხმარება) და კაპიტალი (მოწყობილობები). ეს ფაქტორები ქმნის წარმოების პროცესის „დანახარჯებს“.

იმისათვის, რომ ჭეშმარიტად ახლადშექმნილი ღირებულება მივიღოთ რაიმე პერიოდისთვის, უნდა გამოვრიცხოთ გამოყენებული კაპიტალის ღირებულება (მაგალითად, მანქანა-მოწყობილობების „ცვეთა“), რაც ცნობილია, როგორც ძირითადი კაპიტალის მოხმარება. როდესაც ძირითადი კაპიტალის მოხმარება გამოირიცხება, შედეგად მიიღება წმინდა დამატებული ღირებულება და წმპ

წარმოადგენს წმინდა დამატებული ღირებულებების ჯამს: წმპ = Σ წმინდა დამატებული ღირებულებები. მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად წმპ უფრო კარგი საზომია, რადგან მისგან გამოირიცხება წარმოების პროცესში გამოყენებული მანქანა-მოწყობილობებისა და სხვა კაპიტალური აქტივების ღირებულება, ის მშპ-სთან შედარებით უფრო იშვიათად გამოიყენება. ამავე მიზეზის გამო, თეორიულად წმინდა ეროვნული შემოსავალი (წემ) მთლიანი ეროვნული შემოსავალთან შედარებით წარმოებული შემოსავლების უფრო კარგი საზომია, რადგან ის გამორიცხავს კაპიტალური აქტივების მოხმარებას. თუმცა, ორი მიზეზის გამო ეთგო-ს ეკონომისტები უპირატესობას უფრო მშპ-სა და მეშ-ს ანიჭებენ, ვიდრე წმპ-ს და წემ-ს. პირველი, ძირითადი კაპიტალის მოხმარების გაანგარიშების მეთოდები რთულია და განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, რაც საეჭვოს ხდის მათ შესადარისობას და მეორე, ქვეყნების რანჟირების ან მატების ტემპების ანალიზის დროს განსხვავება მშპ-სა და წმპ-ს შორის მცირეა და არ ცვლის მიღებულ დასკვნებს.

2. პირველი ძირითადი განტოლება: მშპ-ის ფიზიკური მოცულობის მიღება

მოდით, დავუბრუნდეთ ამ თავის დასაწყისში მოტანილ 1.1 ცხრილს: „ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადები“. როგორც ეთგო-ს ეკონომისტების კომენტარებიდან ჩანს (ცხრილის ქვემოთ), მათ მშპ-ის მატება კი არ აინტერესებთ როგორც ასეთი, არამედ მისი „რეალური“ მატება. რას ნიშნავს ეს გამოთქმა?

ეკონომისტები და ჟურნალისტები მშპ-ის ანალიზის დროს “რეალური მშპ-ის მატების” ნაცვლად ჩვეულებრივად იყენებენ ტერმინს “მატება”. მაგალითად, გავრცელებული გამოთქმაა: “2%-იანი მატება”, ნაცვლად “რეალური მშპ-ის 2%-იანი მატებისა”. ამგვარ უზუსტობას ხშირად მივყავართ ისეთ უცნაურ ტერმინოლოგიამდე, როგორცაა მაგალითად, “უარყოფითი მატება”, რაც ოქსიმორონია; უკეთესი იქნება, თუ ვიტყვი, რომ „მშპ-ის ფიზიკური მოცულობა შემცირდა“. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ანგარიშიანობაში უპირატესობას ანიჭებენ ტერმინს “მშპ-ის ფიზიკური მოცულობა”, ნაცვლად “რეალური მშპ“-ისა, რადგან ინფლაციაც ისეთივე “რეალურია”, როგორც მშპ-ის ზრდა.

მაკროეკონომიკის „ანი და ბანი“ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გავარკვიოთ, თუ მიმდინარე ფასებში გამოსახული მაკროეკონომიკური აგრეგატების ცვლილებაში რა წვლილი შეაქვს რაოდენობას და რა წვლილი შეაქვს ფასების ცვლილებას. დავუშვათ,

პირველ წელს აწარმოეს 100 000 დოლარის ღირებულების მაკარონი, ხოლო მეორე წელს - 110 000. მაკროეკონომისტს დაუყოვნებლად სჭირდება პასუხის მიღება კითხვაზე: რამ გამოიწვია ეს 10%-იანი მატება (რაც შეიძლება დავახასიათოთ ტერმინებით „ნომინალური“, „ღირებულება“, ან უფრო უკეთესად, „მიმდინარე ფასებში“), წარმოებული მაკარონის ფიზიკური მოცულობის ზრდამ თუ ფასის ზრდამ? რაოდენობრივი მატება დადებითი ახალი ამბავია, ხოლო ფასების მატებას („ინფლაცია“) უარყოფითი მოვლენები ახლავს თან. კარგი მატებისა (ფიზიკური მოცულობა) და ცუდი მატების (ინფლაცია) გათვალისწინებით, ეროვნულ ანგარიშსწორებაში „მიმდინარე ფასებში გამოსახული მშპ-ის“ ცვლილებების გასამიჯნად ორ კომპონენტს იყენებენ: (1) რაოდენობრივი ცვლილების კომპონენტი (“რეალური მშპ”, ან უპირატესად “**მშპ-ის ფიზიკური მოცულობა**”) და (2) ფასების ცვლილების ინდიკატორი, ან “**მშპ-ის დეფლატორი**”). ამ ცვლილებების გამიჯვნისათვის შემუშავებულ რთულ მეთოდებს დეტალურად გავეცნობით მეორე თავში.

გავიხსენოთ ადრე მოტანილი მაგალითიდან, რომ 100 000 დოლარის ღირებულების მაკარონი 100 ტონა მაკარონის (რაოდენობა) ნამრავლია 1 000 დოლარზე (1 ტონის ფასი). სწორედ ასევე, მშპ-ის მატების ტემპი მიმდინარე ფასებში ზუსტად ტოლია მშპ-ის ფიზიკური მოცულობის მატების ტემპის ნამრავლისა მშპ-ის დეფლატორის მატების ტემპზე.

ძირითადი განტოლება (1)

$$[1 + \text{მიმდინარე ფასებში მშპ - ის მატების ტემპი (გაყოფილი 100 - ზე)}] =$$

$$[1 + \text{მშპ - ის ფიზიკური მოცულობის მატების ტემპი (გაყოფილი 100 - ზე)}] \times$$

$$[1 + \text{მშპ - ის დეფლატორის მატების ტემპი (გაყოფილი 100 - ზე)}]$$

ეს ეროვნული ანგარიშების ძირითადი განტოლებაა და და ტერმინი „დეფლატორი“ უშუალოდ აქედან გამომდინარეობს. ეს იმის გამო ხდება, რომ ძირითადი განტოლებიდან შემდეგი განტოლება მიიღება:

$$[1 + \text{მშპ - ის ფიზიკური მოცულობის მატების ტემპი /100}] =$$

$$[1 + \text{მიმდინარე ფასებში მშპ - ის მატების ტემპი /100}] /$$

$$[1 + \text{მშპ - ის დეფლატორის მატების ტემპი /100}]$$


აქედან გამომდინარე, ერთ შემთხვევაში ჩვენ ვახდენთ მიმდინარე ფასებში გამოსახული მშპ-ის “დეფლატირებას” (ე.ი. გაყოფას) ფასის ინდიკატორით (მშპ-ის

დეფლატორი) მშპ-ის რაოდენობრივი ინდიკატორის (მშპ-ის ფიზიკური მოცულობა) მისაღებად. შებრუნებით, მშპ-ის მიმდინარე ღირებულების მისაღებად ხდება მშპ-ის ფიზიკური მოცულობის “ინფლაცირება” ფასის ინდიკატორით. მიაქციეთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ განტოლებები, რომლებშიც ასახულია მშპ-ის ცვლილების დაყოფა ფიზიკურ მოცულობად და ფასის ფაქტორად, ეროვნული ანგარიშების სხვა საკვანძო ცვლადებსაც ეხება, კერძოდ ინვესტიციებს და მოხმარებას. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ამ განტოლებაში აბსოლუტური დონეებიც გამოიყენება. ამდენად, მშპ-ის ფიზიკური მოცულობა აბსოლუტურ სიდიდეებში (ანუ „საბაზისო“ წლის მილიონ დოლარებში) ტოლია მიმდინარე ფასებში გამოსახული მშპ-ის აბსოლუტური დონის (ანუ მილიონ დოლარებში) ფარდობისა არაპირდაპირ დეფლატორზე, რომელიც ფასის ინდექსის განაყოფია 100-ზე. როდესაც ეს ოპერაცია შესრულდება, მშპ-ის ფიზიკური მოცულობის საბაზისო წელი იმ წლის შესაბამისი იქნება, რომლისთვისაც ფასების ინდექსი ჩვეულებრივ 100-ის ტოლია.

მაკროეკონომისტები დიდ ყურადღებას არ უთმობენ მშპ-ის დინამიკას მიმდინარე ფასებში. ის არც ეთგო-ს ძირითად ცხრილში ჩანს გერმანიისთვის (იხ. ცხრილი 1.1). აღნიშნულისგან განსხვავებით, მის ორ კომპონენტს - რეალურ მშპ-სა და მშპ-ის დეფლატორს თვალსაჩინო ადგილი ეთმობა ამ ცხრილში, რომელთაგან პირველი ზრდის გასაზომად გამოიყენება, ხოლო მეორე ინფლაციისთვის. თუმცა, მრავალი მნიშვნელოვანი აგრეგატის სტანდარტიზაციის მიზნით, როგორცაა ბიუჯეტის დეფიციტი, ექსპორტ-იმპორტის სალდო, ეროვნული დანაზოგი და ა.შ. მიმდინარე ფასებში გამოსახული მშპ გვხვდება შესაბამისი კოეფიციენტების მნიშვნელში. ასეთი თანაფარდობების გაანგარიშება მშპ-სთან მიმართებით პროცენტებში ხდება. ამასთან, მრიცხველიც და მნიშვნელიც მიმდინარე ფასებში აისახება და იმ ცვლადების საერთაშორისო შედარებებში გამოიყენება, რომელთა შედარება ქვეყნების მასშტაბიდან გამომდინარე შეუძლებელი იქნებოდა.

ნახაზზე 1.1 ასახულია ურთიერთკავშირი გერმანიის მიმდინარე ფასებში გამოსახულ მშპ-ს, მშპ-ის ფიზიკურ მოცულობასა და მშპ-ის დეფლატორს შორის. ეთგო-ს წინა ცხრილისგან განსხვავებით, რომელიც მატების ტემპებს შეიცავდა, ეს ნახაზი „აბსოლუტური დონეებით“ არის აგებული. სხვა სიტყვებით, ორი აგრეგატი - მშპ მიმდინარე ფასებში და მშპ-ის ფიზიკური მოცულობა - მილიარდ ევროებშია გამოსახული.

ნახაზი 1.1. მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულება და ფიზიკური მოცულობა
გერმანია, მლნ ევრო



წყარო: OECD (2013), "Aggregate National Accounts: Gross domestic product", OECD National Accounts Statistics (database), <http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143546>

როგორც გრაფიკიდან ჩანს, 2008 წელს გერმანიის მშპ მიმდინარე ფასებში დაახლოებით 2 470 მლრდ ევრო იყო, ხოლო მისი ფიზიკური მოცულობა (ე.ი უცვლელ ფასებში, რაც ცხრილში ნაჩვენებია როგორც „მშპ 2005 წლის ფასებში“) დაახლოებით 2 410 მლრდ ევრო. მშპ-ის დეფლატორი (ინფლაცია) მლრდ ევროებში არ აისახება და ამიტომ არ არის დატანილი ნახაზზე,² თუმცა ის შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ხაზებს შორის დაცილება მიმდინარე ფასებში შეფასებულ მშპ-სა და მშპ-ს მოცულობას შორის. 2005 წლის შემდეგ დიაგრამის ხაზებს შორის დაცილება ინფლაციის მანიშნებელია³. ეს რომ ნამდვილად ასეა, დააკვირდით 2005 წლის შემდეგ მიმდინარე ფასებში გამოსახული მშპ-ს მუქ ხაზს, რომელიც უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მშპ-ის მოცულობა (წყვეტილი ხაზი).

მიაქციეთ ყურადღება, რომ ნახაზზე 2005 წელს ორივე წრფე ერთმანეთს ეხება. ეს იმის გამო მოხდა, რომ ყველა წლისთვის მშპ-ის მოცულობა 2005 წლის ფასებშია

გადაყვანილი. განსაზღვრის მიხედვით, ამ კონკრეტულ წელს („საბაზისო წელი“ ან „ფიქსირებული წელი“) ორი აგრეგატი - მშპ მიმდინარე ფასებში და მშპ-ის მოცულობა ერთმანეთს ემთხვევა. ამ საკითხს კვლავ დავუბრუნდებით მე-2 თავში, თუმცა ამ მაგალითიდან უნდა დავიმახსოვროთ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, აგრეგატი ფიზიკური მოცულობით არის წარმოდგენილი თუ არა. აღსანიშნავია, რომ საბაზისო წლის შერჩევა ნაკლებად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მატების ტემპების გამოთვლისას, რაც ეკონომისტების ინტერესის მთავარი ობიექტია.

ცხრილში 1.3 ნაჩვენებია გერმანიის მშპ-ის დეფლატორის ცვლილება. როგორც ჩანს, 2010-12 წლებისათვის დამახასიათებელი იყო ინფლაციის დაბალი დონე, რომელიც 1%-ის ფარგლებში რჩებოდა. შედარებისთვის მოცემულია აგრეთვე სამომხმარებლო ფასების ინდექსის (სფი)⁴ წლიური ცვლილებაც. ეს ინდექსიც აგრეთვე ინფლაციის მახასიათებელია და უფრო ხშირად გამოიყენება, უმეტესწილად იმის გამო, რომ ყოველთვიურად იანგარიშება და მოსახლეობის ინტერესის სფეროში ხვდება, რადგან ისეთ მნიშვნელოვან აგრეგატს უკავშირდება, როგორც მოხმარებაა. მშპ-ის დეფლატორი, რომელიც ასევე ცნობილია როგორც „მშპ-ის ფასების არაპირდაპირი ინდექსი“ ან მარტივად „მშპ-ის არაპირდაპირი დეფლატორი“, ერთი მხრივ, მოცვის ხარისხით უფრო სრულია, ვიდრე სფი, რადგან ის წარმოების საშუალებებსაც მოიცავს, თუმცა მეორე მხრივ ნაკლებად სრულია, რადგან მხოლოდ შიდა ინფლაციას ზომავს და იმპორტის ფასების ცვლილება პირდაპირ არ გაითვალისწინება. გარდა ამისა, ქვეყნების მცირე გამონაკლისის გარდა, სადაც ეროვნული ანგარიშები ყოველთვიურად იანგარიშება, მშპ-ის დეფლატორი მხოლოდ კვარტალურად გაიანგარიშება.

ცხრილი 1.3. მშპ-ის დეფლატორი და სამომხმარებლო ფასების ინდექსი გერმანია, წლიური მატების ტემპები %-ობით

	2010	2011	2012	2013	2014
PGDP: მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორი, საბაზრო ფასებში	0.9	0.8	1.3	1.2	1.7
CPIH: სამომხმარებლო ფასების ინდექსი, ჰარმონიზებული	1.2	2.5	2.1	1.6	2.0

წყარო: OECD (2013), “OECD Economic Outlook No. 93”, OECD Economic Outlook: Statistics and Projections (database), doi: <http://dx.doi.org/10.1787/data-00655-en>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143552>

3. მოთხოვნის განსაზღვრა: ინვესტიციებისა და მოხმარების როლი

დავუბრუნდეთ 1.1 ცხრილს ამ თავის დასაწყისში. ეთგო-ს ეკონომისტები ყურადღებას ამახვილებენ ამ ცხრილის ცვლადზე „მთლიანი კაპიტალის ფორმირება“, როგორც ფირმებისა და შინამეურნეობების მიერ განხორციელებულ ინვესტიციებზე, რომელიც 2012 წელს 4.9%-ით შემცირდა, ხოლო 2013 წელს 0.5%-ით, თუმცა 2014 წელს ნავარაუდები იყო 5.4%-იანი მატება. რეალური მშპ-ის მსგავსად, ეს ცვლადიც ცხრილში „2005 წლის ფასებშია“ გამოსახული, სხვა სიტყვებით, მოცემულია მისი ფიზიკური მოცულობა. მაკროეკონომიკური აგრეგატისთვის 3%-ზე მაღალი მატება კარგი მაჩვენებელია, მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი და ინდოეთი უფრო მაღალ მატებასაც აჩვენებენ. თუმცა, ამ სახელმძღვანელოს წერის დროს ეს მხოლოდ პროგნოზული გაანგარიშებები იყო.

ეროვნულ ანგარიშებში ინვესტიცია, ანუ მანქანა-მოწყობილობების (პროგრამული უზრუნველყოფის ჩათვლით), შენობების (ოფისები, ინფრასტრუქტურა, საცხოვრისები) და მარაგების შექმნა ცნობილია **მთლიანი კაპიტალის ფორმირების (GCF)** სახელით. თუ აქედან მარაგებს („მარაგების ცვლილებას“) გამოვრიცხავთ, დარჩება მხოლოდ შენობა-ნაგებობებისა და ტექნიკის შექმნა, რასაც **ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება (GFCE)** ეწოდება. ეს ცვლადი ზომავს დანახარჯებს იმ პროდუქტებზე, რომლებიც მომავალი წარმოების პროცესში გამოიყენება და მათ მთლიანობაში „ფიქსირებულ“ კაპიტალს“ უწოდებენ.⁵ რატომ არ უწოდებენ მათ უბრალოდ ინვესტიციას, როგორც ამას ხშირად აკეთებენ ეკონომისტები? იმიტომ, რომ სიტყვა „ინვესტიცია“ ყოველდღიურ გამოყენებაში ისევე ასოცირდება ფინანსურ ინვესტიციასთან (მაგ. „საფონდო ბირჟაზე მე განვახორციელე ინვესტირება აქციებში“), როგორც მანქანა-მოწყობილობების და შენობების შექმნასთან. და ბოლოს, სიტყვა „მთლიანი“ გვიჩვენებს, რომ დანახარჯების გაზომვისას არ გამოირიცხება ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა).

ეთგო-ს ეკონომისტები გარკვეულწილად ანგარიშობდნენ „ხელფასსა და დასაქმებიდან მიღებულ შემოსავალს შიდა მოთხოვნის ხელშეწყობისთვის“. „კერძო საბოლოო მოხმარება“ შიდა მოთხოვნის მნიშვნელოვანი ნაწილია და ეთგო-ს ეკონომისტები 2014 წლისთვის ვარაუდობდნენ მის შემცირებას 2.2%-ით. ეროვნულ ანგარიშშიანობაში „კერძო მოხმარება“ არსებითად ცნობილია როგორც შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების დანახარჯები.

კერძო მოხმარება შინამეურნეობების მოხმარების დანახარჯებთან ერთად ასევე მოიცავს „შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების“ (შმაკო)

დანახარჯებსაც. „შინამეურნეობებისა“ და „შმაკო-ების“ განსაზღვრისთვის იხილეთ თავები 5 და 6.

ეს ცვლადი აერთიანებს მომხმარებლის მიერ განხორციელებულ შესყიდვებს: საკვებზე, ტანსაცმელზე, საცხოვრებლის მომსახურებაზე (იჯარა), ენერჯიაზე, გრძელვადიანი მოხმარების საგნებზე (კერძოდ, ავტომობილი), ჯანდაცვაზე, დასვენებასა და სხვა მრავალფეროვან მომსახურებაზე. მოხმარების დანახარჯებში არ შედის შინამეურნეობების მიერ საცხოვრისების შექმნა, რაც შინამეურნეობების ძირითადი კაპიტალის მთლიან ფორმირებაში გაითვალისწინება. „მოხმარების“ ცვლადი დაგროვების (ძირითადი კაპიტალის ფორმირების) საპირისპიროა, რადგან მასში მხოლოდ ის შესყიდვები გაითვალისწინება, რომელთა მოხმარება („სრული ათვისება“ ან „განადგურება“) გარკვეული პერიოდის განმავლობაში ხდება, ხოლო შესყიდვები ძირითადი კაპიტალის ფორმირებისთვის ითვალისწინებს მათ გამოყენებას სამომავლო წარმოების პროცესში. თუმცა ეს განმარტება მაინც გარკვეულწილად ბუნდოვანია, რადგან შინამეურნეობების მიერ ავტომობილის (საქონელი, რომელიც ხანგრძლივად გამოიყენება) შექმნა კლასიფიცირებულია როგორც მოხმარება (იხ. ჩანართი „შეზღუდვები და მახეები“). რატომ „საბოლოო“ მოხმარება? ის განსხვავდება შუალედური მოხმარებისგან, რომელიც ადრე ვახსენეთ. მშპ-ის შემდეგ, ეროვნულ ანგარიშებში შინამეურნეობების საბოლოო მოხმარება უდაოდ ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლადია ის ზოგადად მშპ-ის 60%-ს შეადგენს. მართლაც, ეკონომიკური მოდელი, რომელიც ეროვნული ანგარიშების საფუძველს წარმოადგენს, ასეთი მოხმარების მაქსიმიზაციისკენ არის მიმართული, თუმცა დღეისათვის იზრდება შეშფოთება მისი მდგრადობის შესახებ გრძელვადიან პერიოდში („მდგრადი განვითარება“).

4. მეორე ძირითადი განტოლება: გლობალური გამოშვებისა და მოთხოვნის ტოლობა

რა თქმა უნდა, მოხმარება და ინვესტიციები „საბოლოო“ მაკროეკონომიკური მოთხოვნის ორი ძირითადი კომპონენტია. ეროვნული ანგარიშების დიდი მომხიბვლელი სწორედ იმაშია, რომ ის წარმოადგენს ეკონომიკის „იგივურ“ მოდელს, ან დაბალანსებულ მოთხოვნასა და მიწოდებას. ფაქტობრივად, ეროვნული ანგარიშების მეორე ძირითადი განტოლება ასე ჩაიწერება:

ძირითადი განტოლება (2)

მშპ = საბოლოო მოთხოვნის აგრეგატების ჯამი

ამ მნიშვნელოვანი განტოლების არსის გასარკვევად კვლავ დავუბრუნდეთ მაკარონის წარმოების მაგალითს.

წელი 2			
	ფერმერი	ფირმა A1	ფირმა A2
დანახარჯები	სამუშაო ძალა+მანქანა- მოწყობილობები	სამუშაო ძალა+მანქანა- მოწყობილობები +ხორბალი	სამუშაო ძალა+მანქანა- მოწყობილობები +ფქვილი
გამოშვება	\$10 000	\$ 30 000	\$100 000
შუალედური მოხმარება	0	\$10 000	\$30 000
დამატებული ღირებულება	\$10 000	\$20 000	\$70 000

გაიხსენეთ, რომ მშპ წარმოადგენს დამატებული ღირებულებების ჯამს, ან მთლიანი გამოშვების ჯამს მინუს მთლიანი შუალედური მოხმარება. თუ შევაჯამებთ გამოშვებას, ეს ნიშნავს, რომ ერთმანეთს უნდა დავუმატოთ ხორბლის ღირებულება 10 000 დოლარი, ფქვილის ღირებულება 30 000 დოლარი და მაკარონის ღირებულება 100 000 დოლარი, რაც საბოლოო ჯამში 140 000 დოლარია. თუ ახლა შუალედურ მოხმარებას გამოვაკლებთ, ეს ნიშნავს, რომ უნდა გამოვაკლოთ ხორბლის ღირებულება 10 000 დოლარი, ფქვილის ღირებულება 30 000 დოლარი და დავტოვოთ მხოლოდ მაკარონის ღირებულება 100 000 დოლარი. თუ გავამარტივებთ და არ გავითვალისწინებთ მარაგების მატებას ქარხანასა და დისტრიბუციაში, 100 000 დოლარი ზუსტად შეესაბამება შინამეურნეობების შესყიდვებს, სხვა სიტყვებით, შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების დანახარჯებს.

ეს მაგალითი გვიჩვენებს, მშპ, ყველა დამატებული ღირებულების ჯამი, *განსაზღვრის* მიხედვით საბოლოო მოთხოვნის ტოლია, რაც ამ შემთხვევაში მხოლოდ შინამეურნეობების მოთხოვნის ტოლია მაკარონზე.

მხოლოდ მცირე შემუშავებაა საჭირო, რომ ეს მაგალითი რეალობას უფრო მივუახლოვოთ. თუ მაგალითში შემოვიყვანთ მაკარონის წარმოებისთვის საჭირო მანქანა-მოწყობილობების ფირმას, შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ მშპ ზუსტად მაკარონის მოხმარებისა და მისი წარმოებისთვის საჭირო დანადგარების მოხმარების ჯამის ტოლია. ამასთან, თუ დავუშვებთ, რომ ეკონომიკა ღიაა იმპორტისთვის და საგარეო მოთხოვნა ექსპორტში აისახება, მაშინ განტოლება ამ დამატებული ნაკადებით ასეთ სახეს მიიღებს:

$$\text{მშპ} + \text{იმპორტი} = \text{შინამეურნეობების მოხმარება} + \text{მთლიანი კაპიტალის ფორმირება} + \text{ექსპორტი}$$

განტოლების მარცხენა მხარე წარმოადგენს მიწოდებას მაკროეკონომიკურ დონეზე, რომელიც შედგება შიდა პროდუქტისგან (მშპ) და საგარეო მიწოდებისგან (იმპორტი). მარჯვენა მხარე წარმოადგენს საბოლოო მოთხოვნას, რომელიც ორად იყოფა: შიდა მოთხოვნად (შინამეურნეობების მოხმარება და მთლიანი კაპიტალის ფორმირება) და საგარეო მოთხოვნად (ექსპორტი). მაკროეკონომისტები ამ განტოლებას ხშირად სხვა, მათემატიკურად ეკვივალენტური ფორმით იყენებენ:

$$\text{მშპ} = \text{შინამეურნეობების მოხმარება} + \text{მთლიანი კაპიტალის ფორმირება} + \text{წმინდა ექსპორტი}$$

განტოლების მარცხენა მხარე ახლა მხოლოდ მშპ-ით არის წარმოდგენილი, რაც ეკონომიკური აქტივობის მთავარი ინდიკატორია. მარჯვენა მხარე შედგება „საბოლოო გამოყენებისგან“, რომლის შემადგენელი კომპონენტებია შიდა მოთხოვნა და „წმინდა ექსპორტი“, რაც ექსპორტისა და იმპორტის სხვაობას წარმოადგენს. ეს ძირითადი განტოლება ეკონომიკის მდგომარეობის ანალიზისთვის. კეინსის მოძღვრების შესაბამისად, ის იდეალურად იასახავს მიწოდებაზე მოთხოვნის გავლენას. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ეროვნული ანგარიშების შემუშავება 1940-იან წლებში მიმდინარეობდა, სწორედ კეინსის მთავარი აღმოჩენების შემდეგ.

მეტი სიზუსტისთვის, ზემოთ მოტანილი განტოლება უფრო რთული სახით უნდა წარმოავადგინოთ, როგორც ეს 1.4 ცხრილშია. ეროვნული ანგარიშების მეორე ძირითადი განტოლება ადვილი დასამტკიცებელია, თუ შევხედავთ ამ ცხრილს. თუ ცხრილის გამუქებულ სტრიქონებს (მთლიანი საბოლოო მოხმარება, მთლიანი კაპიტალის ფორმირება, საქონლისა და მომსახურების საგარეო ბალანსი) შევკრებთ, მშპ-ს მილიონ ევროებში მივიღებთ. ცხრილში ხდება შმაკო-ების („შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების“) კონცეფციის წარდგენა, რომლის ხვედრითი წილი მშპ-ში მხოლოდ 1.6%-ია⁶. ამდენად, მცირე სიდიდის გამო ეკონომისტები მას ხშირად უმატებენ შინამეურნეობების მოხმარებას და ასე იქმნება აგრეგატი „კერძო მოხმარება“.

უფრო მნიშვნელოვანია სახელმწიფო მართვის ორგანოების მოხმარება (მშპ-ის 19.3%), რომელიც ძირითადი კაპიტალის ფორმირებას აჭარბებს (17.6%), მაგრამ მნიშვნელოვნად მცირეა შინამეურნეობების მოხმარებაზე (55.9%). „სახელმწიფო მართვის ორგანოების მოხმარების“ მნიშვნელობას კვლავ დავუბრუნდებით მე-5 თავში. ცხრილში ასევე გვხვდება მარაგების ცვლადი („მარაგების ცვლილება“). მიუხედავად იმისა, რომ ის მცირე აბსოლუტური მნიშვნელობით არის ხოლმე წარმოდგენილი, მარაგების ცვლილება მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოკლევადიან პერსპექტივაში. რეალურად, მარაგები „ამორტიზატორის“ როლს ასრულებს

წარმოებასა და შინამეურნეობისა და ფირმების საბოლოო მოთხოვნას შორის. მიაქციეთ ყურადღება, რომ სხვა ცვლადებისგან განსხვავებით, მარაგების ცვლილება მშპ-ის ხვედრითი წილით ან მატების ტემპით კი არ არის ცხრილში წარმოდგენილი, არამედ როგორც მშპ-ის მატების შემადგენელი ელემენტი (იხ. ჩანართი 1.2: „მშპ-ის მატებაში შეტანილი წვლილი“).

ცხრილი 1.4. გერმანია, დანახარჯების მეთოდი
გერმანია, 2012

კოდები ^a		მლნ. ევრო	მშპ-ის %
B1_GE	მთლიანი შიდა პროდუქტი (დანახარჯების მეთოდი)	2 666 400	
P3	საბოლოო მოხმარების დანახარჯები	2 048 220	
	<i>მათ შორის:</i>		
P31S14	შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების დანახარჯები	1 490 500	55.9
P31S15	შმაკო-ების საბოლოო მოხმარების დანახარჯები	43 370	1.6
P3S13	სახელმწიფო მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარების დანახარჯები	514 350	19.3
P5	მთლიანი კაპიტალის ფორმირება	460 270	
	<i>მათ შორის:</i>		
P51	ძირითადი კაპიტალის ფორმირება	470 550	17.6
P52	მარაგების ცვლილება	- 13 150	
B11	საქონლისა და მომსახურების საგარეო ბალანსი	157 910	
	<i>მათ შორის:</i>		
P6	საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	1 381 030	51.8
P7	საქონლისა და მომსახურების იმპორტი	1 223 120	45.9

a) ამ ცხრილში ნაჩვენებია ეას-ის ოფიციალური კოდები, რომელთა ნახვა შესაძლებელია ამ წიგნის თანმხლებ ვებ-გვერდზე. კოდები ადვილად მონაცემების გაგებას და დამუშავებას.

წყარო: OECD (2013), "Aggregate National Accounts: Gross domestic product", OECD National Accounts Statistics (database), <http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143564>

მოკლევადიანი მაკროეკონომიკური ანალიზი ძირითადად წინა გვერდზე მოტანილ განტოლებას ეყრდნობა, ოღონდ ფიზიკური მოცულობით. განტოლება გვაძლევს მშპ-ის ზრდის მატემატიკურ ახსნას სხვადასხვა კომპონენტების დახმარებით. ეროვნული ანგარიშების ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ მიწოდებაზე მოთხოვნის გავლენის ძირითადი მაკროეკონომიკური კონცეფცია კონკრეტულ ფორმას იძენს

განტოლებაში.⁷ ეს განტოლება საფუძვლად დაედო აგრეთვე ეთგო-ს ეკონომისტების შენიშვნას: „იმ დროს, როდესაც ევროზონაში შენელებული საქმიანობა აკავებს გაჯანსაღების პროცესს, მსოფლიო ვაჭრობის აღმავლობა სავარაუდოდ გაზრდის ექსპორტის მატების ტემპებს ... და შესაბამისად მშპ-საც“.

ჩანართი 1.2. მშპ-ის მატებაში შეტანილი წვლილი

ამ ჩანართში, Δ ნიშანს გამოვიყენებთ ორ წელს (ორ კვარტალს) შორის განსხვავების აღსანიშნავად. ამდენად, ΔGDP_t ნიშნავს: $GDP_t - GDP_{t-1}$. სხვა სიტყვებით, ეს არის სხვაობა მშპ-ებს შორის t და $t-1$ წლებში (კვარტალებში). ამ აღნიშვნებს თუ გამოვიყენებთ, მაშინ $\Delta GDP_t / GDP_{t-1}$ იქნება მშპ-ის მატების ტემპი t წელს (კვარტალში) $t-1$ წელთან (კვარტალთან) მიმართებით.

საწყის წერტილად გამოვიყენოთ ფიზიკური მოცულობის გამარტივებული განტოლება $GDP_t = C_t + I_t + X_t$, (სადაც, მშპ = საბოლოო მოხმარება + ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება + ექსპორტი). გამარტივებულ განტოლებაში ჩვენ დავუშვით, რომ არ გვაქვს იმპორტი და მარაგები. მათემატიკურად, შედეგად ვიღებთ „სხვაობების“ განტოლებას: $\Delta GDP_t = \Delta C_t + \Delta I_t + \Delta X_t$. თუ განტოლების ორივე მხარეს გავყოფთ GDP_{t-1} -ზე, მივიღებთ (ა) განტოლებას:

$$\frac{\Delta GDP_t}{GDP_{t-1}} = \frac{\Delta C_t}{GDP_{t-1}} + \frac{\Delta I_t}{GDP_{t-1}} + \frac{\Delta X_t}{GDP_{t-1}}$$

თუ ამ განტოლების მარჯვენა ნაწილში ყველა წევრს გავყოფთ და გავამრავლებთ თავისივე მნიშვნელობაზე $t-1$ წელს და დავალაგებთ მიღებულ მნიშვნელობებს,

მივიღებთ (ბ) განტოლებას:

$$\frac{\Delta GDP_t}{GDP_{t-1}} = \frac{C_{t-1}}{GDP_{t-1}} \frac{\Delta C_t}{C_{t-1}} + \frac{I_{t-1}}{GDP_{t-1}} \frac{\Delta I_t}{I_{t-1}} + \frac{X_{t-1}}{GDP_{t-1}} \frac{\Delta X_t}{X_{t-1}}$$

მეორე განტოლების სიტყვიერი ინტერპრეტაცია ასეთია: მშპ-ის მატება ჩაიშლება შემდეგი სახით - მოხმარების წვლილს პლუს ინვესტიციების წვლილი და პლუს ექსპორტის წვლილი. თითოეული წვლილი ტოლია ცვლადის წონის ნამრავლისა ამავე ცვლადის მატების ტემპზე მიმდინარე პერიოდში. ცვლადის წონა არის მისი წინა წლის მნიშვნელობის განაყოფი წინა წლის მშპ-ზე.

მშპ-ის მატების ჩაშლა ფართოდ გამოიყენება მაკროეკონომიკაში. როგორც ხედავთ, ის ეფუძნება მეორე ძირითად განტოლებას. მისი გამოყენება შესაძლებელია ამ თავის

ბოლოს მოტანილ მე-4 სავარჯიშოში, რომელიც მარაგების ცვლილებისა და წმინდა ექსპორტის წვლილის გაანგარიშებას მოიცავს. იმის გამო, რომ ეს ცვლადები შეიძლება დადებითი ან უარყოფითი იყოს, მათი წვლილის გამოსათვლელად აუცილებელია განტოლების (ა) ვარიანტის გამოყენება. მაკროეკონომიკურ ცხრილებში, სადაც მატების ტემპებია მოტანილი, მარაგების ცვლილება და წმინდა ექსპორტი არასოდეს არ არის ნაჩვენები პროცენტული მატების ტემპებით, მხოლოდ მათი წვლილია ნაჩვენები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მატებაში შეტანილი წვლილის გამოთვლა ძირითადად მშპ-ისა და საბოლოო მოთხოვნის იდენტურობის გათვალისწინებით ხდება. სამწუხაროდ, როდესაც ჯაჭვურად დაკავშირებულ ფიზიკური მოცულობის საზომებს ვიყენებთ, მათემატიკური კავშირი სრულიად ვალიდური აღარ არის, რადგან შედეგები არაადიტიურია. მე-2 თავში ახსნილია ფიზიკური მოცულობის ჯაჭვურად დაკავშირებული ანგარიშები, მათი უპირატესობები და ნაკლოვანებები და ნაჩვენებია როგორ უნდა ჩავწეროთ მატებაში შეტანილი წვლილი ამ ახალ კონტექსტში.

5. მესამე ძირითადი განტოლება: გლობალური გამოშვებისა და შემოსავლების ტოლობა

წინა ქვეთავში განვიხილეთ პირველი მაკროეკონომიკური იგივეობა გლობალურ გამოშვებასა (რომელიც დამატებული ღირებულებების შეჯამებით იზომება) და საბოლოო მოთხოვნას შორის. არის მეორე იგივეობაც, ამ შემთხვევაში გლობალურ გამოშვებასა და ეკონომიკური აგენტების შემოსავლებს შორის. ნებისმიერი საწარმოო აქტივობა წარმოშობს შემოსავალს, რომელიც ნაწილდება „წარმოების სამ ფაქტორს“ შორის: შრომა, კაპიტალი და შუალედური მოხმარება. რამდენადაც დამატებული ღირებულება უდრის გამოშვებას მინუს შუალედური მოხმარება, ეს მეორე მაკროეკონომიკური იგივეობა გამარტივებულად შეიძლება ჩაიწეროს შუალედური მოხმარების გამორიცხვით და დამატებული ღირებულების გამოყენებით გამოშვების გლობალურ ინდიკატორად. ეს ნიშნავს, რომ ახლა დამატებულ ღირებულებას უკვე ქმნის ორი ფაქტორი, კერძოდ შრომა და კაპიტალი, რომელთა კომპენსირება ხდება შესაბამისად შრომის ანაზღაურებით და წარმოების შედეგად მიღებული მოგებით. ეს შემოსავლების სწორედ ის სახეებია, რომლებიც შემდგომში საშუალებას აძლევს ეკონომიკურ აგენტებს - შინამეურნეობებს და ფირმებს - მოიხმარონ და განახორციელონ ინვესტიციები. მაგალითად, ჩვენთვის უკვე ცნობილი მაკრონის

წარმოების შედეგად შექმნილი მშპ, რომელიც ღირებულება 100 000 დოლარია, ნაწილდება ფერმერის და ორი ფირმის, A1 და A2, მოგებასა და A1 და A2 ფირმების მომუშავეების ანაზღაურებაზე.

საბოლოოდ, ორი მაკროეკონომიკური იგივეობა შეიძლება შეჯამდეს შემდეგ ორმაგ ძირითად განტოლებაში:

ძირითადი განტოლება (3)

$$\begin{aligned} & \text{გამოშვება (დამატებული ღირებულებების ჯამი)} = \\ & \text{შემოსავლები (დაქირავებულთა ანაზღაურება + კომპანიების მოგება)} = \\ & \text{საბოლოო მოთხოვნა (მოხმარება + ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება +} \\ & \text{წმინდა ექსპორტი)} \end{aligned}$$

შინამეურნეობების, საწარმოების და სამთავრობო სექტორის ანგარიშების განხილვით ჩვენ მოგაწვდით შემოსავლის ასახვის გზებს ეროვნულ ანგარიშებში, ამ მომენტისთვის კი აღვნიშნოთ შემდეგი ძირითადი შედეგი: მშპ ასევე მთლიანი შემოსავლის ტოლია. ეს მესამე ძირითადი განტოლებაა. ასევე აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ანგარიშებში იყენებენ ტერმინს „დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება“ და არა ხელფასს, რადგან სამუშაო ძალის ღირებულება მოიცავს ასევე დამქირავებლის მიერ გადახდილ სოციალურ ანარიცხებსაც, ამასთან, მოგება ცნობილია როგორც **საოპერაციო მოგება** ან ზოგ შემთხვევაში როგორც **შერეული შემოსავალი**.⁸ საოპერაციო მოგება არის „მთლიანი“, თუ მისგან არ გამოირიცხება კაპიტალის ცვეთა, რომელიც ეროვნულ ანგარიშებში ცნობილია როგორც „ძირითადი კაპიტალის მოხმარება“. რეალურად, უმჯობესია ამ მოგების „წმინდა“ საფუძველზე გაანგარიშება, ანუ ძირითადი კაპიტალის მოხმარების გამორიცხვით, რასაც მე-7 თავში ვნახავთ.

მშპ-ის გაზომვის სამი გზა

თუ შევაჯამებთ, არსებობს მშპ-ს გაანგარიშების სამი „მეთოდი“: (1) წარმოების (მთლიანი დამატებული ღირებულებების ჯამი); (2) საბოლოო მოთხოვნის (მოხმარება + ინვესტიციები + წმინდა ექსპორტი) და (3) შემოსავლების (დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება + მთლიანი საოპერაციო მოგება + მთლიანი შერეული შემოსავალი).⁹

1.5 ცხრილში ნაჩვენებია სამივე მეთოდის იგივეობა 1991 და 2012 წლებში. ეს ცხრილი მცირედ გართულებულია ზემოთ მოტანილ ორმაგ განტოლებასთან შედარებით. სახელდობრ, იმით, რომ აქ შემოტანილია მუხლი **გადასახადებს მიწუს სუბსიდიები**. თუმცა, ამ მომენტისთვის შეგვიძლია ყურადღება არ მივაქციოთ აღნიშნულს. ქვემოთ

მკითხველს შეუძლია დარწმუნდეს, რომ „სამივე“ მშპ ზუსტად ერთმანეთის ტოლია და 1991 წელს ის 1 535 მლრდ ევროს შეადგენს, ხოლო 2012 წელს 2 666 მლრდ ევროს.¹⁰ ორი წლის შედეგების შედარებით შესაძლებელია იმ ფუნდამენტური ცვლილებების დანახვა, რაც გერმანიამ გაერთიანების შემდეგ განიცადა და ასევე შეგვიძლია 2008 წლის კრიზისის გავლენის შეფასებაც. როგორც ჩანს ნახაზზე 1.2, დაქირავებულთა შრომის ანაზღაურების ხვედრითი წილი 1991 წლიდან რეგულარულად მცირდებოდა 56.0%-დან 49.0%-მდე 2007 წელს, ხოლო 2012 წლისთვის კვლავ გაიზარდა 51.6%-მდე. ეს აღმავლობა უკავშირდება 2008-09 წლების კრიზისის მოკიდან გამოსვლას.

ცხრილი 1.5. მშპ-ს გაანგარიშების სამი მეთოდი


გერმანია, მლრდ ევრო

		1991	2012
მშპ	მთლიანი შიდა პროდუქტი (წარმოების მეთოდი)	1 535	2 666
B1B	მთლიანი დამატებული ღირებულება საბაზისო ფასებში, ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასების გარეშე	1 393	2 387
D21_D31	+ გადასახადები პროდუქციაზე მინუს სუბსიდიები	141	280
მშპ	მთლიანი შიდა პროდუქტი (დანახარჯების მეთოდი)	1 535	2 666
P3	საბოლოო მოხმარების ხარჯები	1 171	2 048
P5	+ მთლიანი დაგროვება	369	460
P6	+ საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	394	1 381
P7	- საქონლისა და მომსახურების იმპორტი	400	1 223
მშპ	მთლიანი შიდა პროდუქტი (შემოსავლების მეთოდი)	1 535	2 666
D1	დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება	859	1 376
B2 + B3	+ მთლიანი საოპერაციო მოგება და მთლიანი შერეული შემოსავალი	554	1 016
D2	+ გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე მინუს სუბსიდიები	122	274

წყარო: OECD (2013), "Aggregate National Accounts: Gross domestic product", OECD National Accounts Statistics (database), <http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143571>

ნახაზი 1.2. დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება
პროცენტობით მშპ-სთან, გერმანია



წყარო: OECD (2013), "Aggregate National Accounts: Gross domestic product", OECD National Accounts Statistics (database), <http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143584>

დანაზოგის დონე და სახელმწიფო მართვის ორგანოების ფინანსური ბალანსი

1.1 ცხრილში გამოყენებულია ორი ძირითადი მაკროეკონომიკური აგრეგატი, რომელთა განმარტება ჯერ არ გაკეთებულა: შინამეურნეობების დანაზოგის დონე და სახელმწიფო მართვის ორგანოების ფინანსური ბალანსი. ისინი მოტანილია ქვემოთ ცხრილში.

გერმანია

უახლოესი შედეგებისა და პროგნოზების შეჯამება

	2010	2011	2012	2013	2014
შინამეურნეობების დანაზოგების დონე ^ა	10.9	10.4	10.3	10.3	10.1
სახელმწიფო მართვის ორგანოების ფინანსური ბალანსი ^ბ	-4.2	-0.8	0.2	-0.2	0.0

a) წმინდა დანაზოგის პროცენტული წილი წმინდა განკარგვად შემოსავალში.

b) მშპ-ის %.

წყარო: OECD (2013), "OECD Economic Outlook No. 93", OECD Economic Outlook: Statistics and Projections (database), doi: <http://dx.doi.org/10.1787/data-00655-en>.

შინამეურნეობების დანაზოგის დონე არის შინამეურნეობების დანაზოგის პროცენტი მათ განკარგვად შემოსავალში,¹¹ ორივე ეს ცვლადი მიმდინარე პერიოდის ფასებშია გამოსახული. ეს კოეფიციენტი ასახავს შინამეურნეობების შემოსავლების იმ ნაწილს, რომელიც არ არის მოხმარებული. 2012 წელს გერმანიაში შინამეურნეობების დანაზოგის დონე 10.3% იყო. სხვა სიტყვებით, შემოსავლის ყოველი ათასი ევროდან (გადასახადების გადახდის შემდეგ) 103 ევრო დაიზოგა საცხოვრებელი ბინების ინვესტირებაზე, შეინახეს ნაღდი ფულის სახით ან შეიძინეს ისეთი ფინანსური პროდუქტები, როგორცაა აქციები, ობლიგაციები ან სიცოცხლის დაზღვევა. ამ ცვლადს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მაკროეკონომიკაში, რადგან მისი შეფასება განსაზღვრავს ურთიერთკავშირს შემოსავალსა და მოხმარებას შორის. სახელმწიფო მართვის ორგანოების ფინანსური ბალანსი შეესაბამება ბიუჯეტის პროფიციტს ან დეფიციტს.

„სახელმწიფო მართვის ორგანოები“ მოიცავს ცენტრალურ ხელისუფლებას, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, სოციალურ უზრუნველყოფას და მრავალ ორგანიზაციას, რომელიც მათზეა დამოკიდებული. მიუხედავად ამისა, ის არ მოიცავს ისეთ ორგანიზაციებს, როგორცაა რკინიგზა, სატელეფონო კომპანიები ან ელექტროენერგეტიკული ფირმები, რომლებიც ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფო საკუთრებაშია. ამ კლასიფიკაციებს კიდევ დავუბრუნდებით მე-7 და მე-9 თავებში.

ეს აგრეგატი ეროვნულ ანგარიშებში უფრო რთული, მაგრამ გამომსახველი სახელწოდებით გვხვდება „სახელმწიფო მმართველობის ორგანოების წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება“. ეს ცვლადი წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შემოსავლებისა და დანახარჯების სხვაობას, იქნება ეს „მიმდინარე“ (საჯარო მოხელეთა ანაზღაურება, სახელმწიფო ვალის საპროცენტო განაკვეთი) თუ „კაპიტალური“ (ინვესტიცია). უარყოფითი სალდო იმის მანიშნებელია, რომ მთავრობას სესხის აღების საჭიროება უჩნდება. თუ ხარჯები აჭარბებს შემოსავლებს, აუცილებელი ხდება ამ განსხვავების დაფინანსება, რაც ძირითადად სახელმწიფო ვალის აღების ხარჯზე ხდება. დადებითი სალდო დაფინანსების საკმარისი მოცულობის მანიშნებელია. გაერთიანების შემდეგ, 1991

წლიდან მოყოლებული, გერმანიაში დადებითი სალდო სამჯერ აღინიშნა - 2000, 2007 და 2012 წლებში და სავარაუდოდ, 2014 წლის ბიუჯეტიც დაბალანსებული იქნება. მასტრიხტის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ევროპული ქვეყნებისთვის უკვე ტრადიციული გახდა „წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხების“ პროცენტობით გამოსახვა მშპ-სთან მიმდინარე ფასებში. ეს ერთ-ერთი შემთხვევაა, როდესაც მშპ-ის მოცულობა მიმდინარე ფასებში აბსოლუტურ გამოსახულებაში გვევლინება მნიშვნელად. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა ერთმანეთს შევადაროთ ქვეყნების დეფიციტი სხვადასხვა ზომის ეკონომიკების ავტომატური დარეგულირებით, რასაც საფუძვლად უდევს „მასტრიხტის კრიტერიუმი“, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ის 3%-ს. ბოლო ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის შემდეგ ევროკავშირის მთავრობების უმეტესობა „გადაჭარბებული დეფიციტის“ წინაშე აღმოჩნდა, რადგან ისინი იძულებული იყვნენ გაეზარდათ სოციალური ხარჯები, კერძოდ, უმუშევრობის შემწეობები, თუმცა საგადასახადო და სოციალური ანარიცხებიდან მიღებული შემოსავლები შემცირებული იყო ეკონომიკის შენელებული ზრდის გამო. 2010-11 წლებში ევროკომისიამ მნიშვნელოვნად გაზარდა სტაბილურობისა და ზრდის პაკტის შეზღუდვები, რათა ამ დეფიციტის დაგროვების შედეგად გაზრდილი ვალის გამოწვევებისთვის ეპასუხა. ამით დავასრულეთ ყველა იმ ცვლადის მიმოხილვა, რომლებიც მოტანილია ცხრილში 1.1 „ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადები“.

შენიშვნები

1. [The OECD Economic Outlook](#) (ეთგო-ს ეკონომიკური პერსპექტივები) წელიწადში ორჯერ აქვეყნებს ეთგო-ს თითოეული წვერი ქვეყნისა და მთლიანობაში ეთგო-ს ქვეყნების მაკროეკონომიკურ პროგნოზებს. ყოველი გამოცემა დანომრილია, მაგალითად, 2013 წლის მაისის ნომერი იყო 93.
2. როდესაც მშპ-ის დეფლატორი არ არის ნაჩვენები მატების ტემპის სახით, ისევე როგორც ფასის ყველა ინდექსი, ის წარმოდგენილია როგორც განზომილების გარეშე მოცემული რიცხვების მწკრივი, რომელთა ცვლილება წარმოადგენს ფასების ცვლილებას საბაზისო წელთან, ანუ 100-თან შედარებით.
3. სწორად რომ ვთქვათ, ორდინატისთვის საჭირო იყო ლოგარითმული სკალის გამოყენება.
4. ფაქტობრივად, ჩვენ აქ გვაქვს ამ ინდექსის ევროპული ვერსია, რომელიც ცნობილია როგორც “Harmonised index of consumer prices” (HICP) გერმანიისთვის.
5. კაპიტალის „ცვლადი“-სგან განსხვავებით, რომელიც მოიცავს მარაგების ცვლილებას. ეს ტერმინები უკავშირდება კარლ მარქსის სახელს, რომელმაც სათავე დაუდო ეროვნული ანგარიშების რამდენიმე იდეას.
6. არაკომერციულ ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ მშპ-ში, თუმცა მათი უმეტესობა სხვა სექტორში გაითვალისწინება. მაგალითად, სადაზღვევო ურთიერთფონდები სადაზღვევო სექტორშია გაერთიანებული. შმაკო-ების სექტორში არაკომერციული ორგანიზაციების მხოლოდ მცირე ნაწილია გაერთიანებული, სახელდობრ, ისინი, რომლებიც ფინანსდება და კონტროლდება შინამეურნეობების მიერ.
7. სამწუხაროდ, გამოთვლის თანამედროვე მეთოდებით მეორე ძირითადი განტოლება ფიზიკური მოცულობის ნაწილში დარღვეულია. არაადიტიურობის ამ პრობლემას მე-2 თავში დავუბრუნდებით. ამ მომენტისთვის შესაძლებელია მისი იგნორირება.
8. „შერეული შემოსავალი“ გამოიყენება „არაკორპორირებული საწარმოების“ მთლიანი საოპერაციო შემოსავლის დასახასიათებლად. ამ საკითხს უფრო ფართოდ შევხებით მე-6 თავში.
9. ასევე შესაძლებელია წმინდა შიდა პროდუქტის გამოთვლა სამი მეთოდით: წარმოების მეთოდით (წმინდა დამატებული ღირებულებების ჯამი); საბოლოო მოთხოვნის მეთოდით (მოხმარება + წმინდა ინვესტიციები + წმინდა ექსპორტი); და შემოსავლების მეთოდით (დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება + წმინდა საოპერაციო მოგება + წმინდა შერეული შემოსავალი).
10. სტატისტიკური განსხვავებების გამო ეს ტოლობა მკაცრად არ არის შენარჩუნებული ყველა ქვეყანაში, სახელდობრ, აშშ-ში. იხილეთ მე-19 და მე-12 თავები. მეტიც, და ეს შენიშვნა ვრცელდება წიგნის დანარჩენ ნაწილზეც (სავარჯიშოების ჩათვლით), ცხრილებში მოტანილი რიცხვები დამრგვალებულია, ამიტომ ჯამი ზუსტად არ ემთხვევა შესაკრებების ჯამს. შესაძლებელია შეცდომაც გაიპაროს, მაგრამ უფრო ხშირად დამრგვალებული რიცხვების ჯამი არ ემთხვევა დამრგვალებულ ჯამს. ასეთ შემთხვევას აქვს ადგილი 1.5 ცხრილში რიცხვისთვის 1 535, როდესაც მშპ-ს ვანგარიშობთ საბოლოო მოთხოვნის მეთოდით 1991

წლისთვის. აქ არ არის შეცდომა. უბრალოდ, ტოლობას ადგილი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რიცხვები მილიონ ევროშია გამოსახული და არა მაშინ, თუ ისინი მილიარდ ევრომდეა დამრგვალებული.

11. ამ შემთხვევაში დანაზოგი და განკარგვადი შემოსავალი ორივე წმინდა აგრეგატია, რაც ნიშნავს, რომ ძირითადი კაპიტალის, როგორცაა შინამეურნეობების საკუთრებაში არსებული საცხოვრისები, მოხმარება გამოკლებულია ორივე აგრეგატიდან. ასევე შესაძლებელია მთლიანი დანაზოგის გამოთვლაც.

ბიბლიოგრაფია

European System of Accounts 2010 (ESA 2010), ISBN 978-92-79-31242-7 doi: <http://dx.doi.org/10.2785/16644>.

OECD (2013a), *OECD Economic Outlook*, Vol. 2013/1, OECD Publishing, doi: http://dx.doi.org/10.1787/eco_outlook-v2013-1-en.

OECD (2013b), “OECD Economic Outlook No. 93”, OECD Economic Outlook: Statistics and Projections (database), doi: <http://dx.doi.org/10.1787/data-00655-en>.

OECD (2013c), “Aggregate National Accounts: Disposable income and net lending/borrowing”, OECD National Accounts Statistics (database), <http://dx.doi.org/10.1787/data-00002-en>.

OECD (2013d), “Aggregate National Accounts: Gross domestic product”, OECD National Accounts Statistics (database), <http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en>.

SNA 2008, European Commission, International Monetary Fund, Organisation for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank, New York, 2009, System of National Accounts 2008, <http://unstats.un.org/unsd/nationalaccount/docs/SNA2008.pdf>.

საკვანძო მომენტები

- მშპ წარმოადგენს ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებული გამოშვების ჯამს მინუს შუალედური მოხმარება (დამატებული გადასახადები და მინუს სუბსიდიები პროდუქტებზე).
- მშპ უდრის ქვეყნის ტერიტორიაზე თითოეული ფირმის, არაკომერციული ინსტიტუციის, მთავრობისა და შინამეურნეობის მიერ წარმოებული მთლიანი დამატებული ღირებულების ჯამს (დამატებული გადასახადები და მინუს სუბსიდიები პროდუქტებზე).
- მშპ-ის ფიზიკური მოცულობის ცვლილება მაკროეკონომიკური აქტივობის ცვლილების ძირითადი ინდიკატორია.
- პირველი ძირითადი იგივეობა: მშპ-ის ვარიაციის ინდექსი (ან ნებისმიერი სხვა ცვლადის) მიმდინარე ფასებში ორად იყოფა, რომელთაგან ერთია ფიზიკური მოცულობის ვარიაციის ინდექსი და მეორე - ფასების ვარიაციის ინდექსი, რომელიც „დეფლატორის“ ან „ფასების არაპირდაპირი ინდექსის“ სახელით არის ცნობილი. დეფლატორი შეიძლება გამოვიყენოთ ინფლაციის საზომად, თუმცა ის განსხვავდება სამომხმარებლო ფასების ინდექსისგან.
- მეორე ძირითადი იგივეობა: მშპ საბოლოო მოთხოვნის აგრეგატების ჯამის ტოლია.
- მესამე ძირითადი იგივეობა: მშპ შემოსავლების (დაქირავებულთა ანაზღაურება, მთლიანი საოპერაციო მოგება და ფირმების მთლიანი შერეული შემოსავალი) ჯამის ტოლია (დამატებული გადასახადები და მინუს სუბსიდიები პროდუქტებზე).
- ამიტომ, არსებობს მშპ-ის გაანგარიშების სამი ეკვივალენტური მიდგომა: წარმოების მეთოდი: (მთლიანი დამატებული ღირებულებების ჯამი); საბოლოო მოთხოვნის მეთოდი (საბოლოო მოხმარების ჯამს პლუს ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება, პლუს ცვლილებები მარაგებში და წმინდა ექსპორტი); და შემოსავლების მეთოდი (დაქირავებულთა ანაზღაურების, მთლიანი საოპერაციო მოგებისა და შერეული შემოსავლის ჯამი).

ჩაუღრმავდით

როგორ მიიღება ეს ციფრები?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ალბათ ყველაზე რთულია ეროვნულ ანგარიშთა შემოკლებულ სახელმძღვანელოში, მაგრამ მაინც შევეცდებით. საილუსტრაციოდ გამოვიყენებთ საფრანგეთის მაგალითს, რადგან ავტორებისთვის ის უკეთ არის ცნობილი. მიუხედავად ამისა, შეუძლებელია, რომ მკითხველს ზუსტი პასუხები გავცეთ, რადგან სხვადასხვა მეთოდები გამოიყენება, რაც ბუნებრივია ანგარიშების შედგენის დროს, რომლებიც ყველა ეკონომიკურ აგენტს მოიცავს. კერძოდ, საფრანგეთში ეს 25 მლნ შინამეურნეობის საფუძველზე ხდება.

მიუხედავად სახელწოდების მსგავსებისა, ეროვნულ ანგარიშებს ცოტა რამ აქვს საერთო კომპანიის საბუღალტრო ანგარიშებთან. საერთო ჩარჩოები მსგავსია, თუმცა მონაცემთა წყაროები სრულიად განსხვავებული. საწარმოს ბუღალტერს გააჩნია მიმდინარე პერიოდში განხორციელებული ყველა ოპერაციის რეგისტრი უკანასკნელ ცენტამდე სიზუსტით. ეროვნულ ანგარიშებზე მომუშავეს კი მსგავსი არაფერი გააჩნია ყველა აგენტისთვის, განსაკუთრებით კი შინამეურნეობებისთვის. ამის გამო, მიზანშეწონილი იქნება, თუ „ეროვნულ ანგარიშთა სტატისტიკის“ შესახებ ვისაუბრებთ. ტერმინ „სტატისტიკის“ დამატება გულისხმობს, რომ ადგილი ექნება მიახლოებით გამოთვლებს, შეფასებებს და გადახედვებს, ეს სწორედ ის მომენტებია, რასაც ეროვნული მონაგარიშები იყენებენ და რაც საერთოდ მიუღებელია კომპანიის ბუღალტერისთვის.

საფრანგეთში ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ფარგლებში ციფრების გამოთვლის ძირითადი მეთოდები ადმინისტრაციული რესურსების სრულად გამოყენებას ეფუძნება. ერთი მხრივ, ის მოიცავს საფრანგეთის სტატისტიკის ოფისის (Insee) მონაცემთა ბაზას, რომელიც კომპანიების საგადასახადო დეკლარაციების ბაზაზეა აგებული და მეორე მხრივ, ცენტრალიზებულ ინფორმაციას, რომლის თავმოყრაც სახელმწიფო დაწესებულებებიდან ხდება სახელმწიფო აღრიცხვის სისტემის მიერ. საგადასახადო წყარო რეგულარულად აწვდის Insee-ს ამომწურავ ინფორმაციას 2 მლნ-ზე მეტი ფირმის შესახებ, რადგან მათ გააჩნიათ საკმარისად სრული ანგარიშების წარდგენის ვალდებულება მკაცრად გაწერილი წესების შესაბამისად. ამ ანგარიშების საფუძველზე შესაძლებელია თითოეული ფირმის (მსხვილი ფირმების შემთხვევაში) ან ფირმების ჯგუფის (მცირე ფირმების შემთხვევაში) დამატებული ღირებულების გაანგარიშება და შემდეგ მათი შეჯამება. ეს ფარავს კერძო სექტორს (ანუ „საბაზრო“ სექტორს ეროვნულ ანგარიშებში). რაც შეეხება „არასაბაზრო“ სექტორს (ცენტრალური მთავრობა, ადგილობრივი ორგანოები და ათეულ ათასობით სამთავრობო

ინსტიტუცია), მათი ანგარიშების ცენტრალიზაცია ხდება სახელმწიფო ანგარიშების დირექტორატის “Direction de la Comptabilité Publique” მიერ ფინანსთა სამინისტროში, რაც საშუალებას იძლევა საკმაო სიზუსტით მოხდეს არასაბაზრო სექტორის დამატებული ღირებულების გაანგარიშება.

შინამეურნეობების შემთხვევაში, რომელთა მოხმარება მშპ-ის 60%-ს შეადგენს, ასეთი პირდაპირი წყარო არ არსებობს. ეროვნული შინამეურნეობების ანგარიში ხშირად არაპირდაპირ გაიანგარიშება სხვა წყაროებიდან მიღებული სტატისტიკის გამოყენებით. მაგალითად, დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება, რომელსაც შინამეურნეობები იღებენ, გაიანგარიშება ფირმების, არაკომერციული ორგანიზაციებისა და სამთავრობო ერთეულების შრომის ანაზღაურების შეჯამებით. შემდეგი გავრცელებული მეთოდია შინამეურნეობების აგრეგატების მიღება „სხვაობის“ ბაზაზე. ავიღოთ მაგალითად, დივიდენდები. როგორც წესი, ცნობილია ფირმების მიერ გაცემული დივიდენდების ოდენობა და მათი მიმღებების ვინაობა ფირმებისა და სამთავრობო ორგანიზაციების მიხედვით. საგადამხდელო ბალანსიდან შესაძლებელია დანარჩენი მსოფლიოდან მიღებული და გაცემული დივიდენდების შეფასება, საიდანაც მიღებულ წმინდა დივიდენდებს ანგარიშობენ. არსებობს მაკროეკონომიკური „ გაანგარიშების წესი“, რომლის მიხედვითაც: „ფირმების მიერ გაცემული დივიდენდები = ფირმებისა და სამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიღებული დივიდენდები + წმინდა დივიდენდები საზღვარგარეთიდან + შინამეურნეობების მიერ მიღებული დივიდენდები“. თუ ამ ტოლობას შევაბრუნებთ, მივიღებთ: „შინამეურნეობების მიერ მიღებული დივიდენდები = ფირმების მიერ გაცემული დივიდენდები - ფირმებისა და სამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიღებული დივიდენდები - წმინდა დივიდენდები საზღვარგარეთიდან“. ანუ, შინამეურნეობების მიერ მიღებული დივიდენდები „საბალანსო“ სხვაობით მიიღება. შინამეურნეობებთან დაკავშირებით ეროვნული მოანგარიშები რა თქმა უნდა უპირატესობას პირდაპირ გაანგარიშებას ანიჭებენ, რადგან საბალანსო სხვაობის შედეგად შეცდომების კონცენტრირება მხოლოდ ერთ ელემენტზე, შინამეურნეობებზე მოდის. მიუხედავად ამისა, საუბარიც არ შეიძლება იმის თაობაზე, რომ შინამეურნეობებმა აწარმოონ ანგარიშები, ამიტომ ის გზა უნდა ავირჩიოთ, რომელიც ამ ეტაპზე საუკეთესოა.

რაც შეეხება ცვლილების გაზომვას, აქ წყაროები განსხვავებულია კვარტალურ (რომლებიც უფრო ადრე ქვეყნდება) და წლიურ ანგარიშებს შორის. კვარტალური ანგარიშები ეროვნული ანგარიშების ცვლადების თვითონ ინდიკატორებს ეყრდნობა. ეს ინდიკატორები შეიძლება ზუსტად არ შეესაბამებოდეს იმ განსაზღვრებებს, რაც ეროვნულ ანგარიშიანობაში გამოიყენება, მაგრამ მათი მიღება სწრაფად არის

შესაძლებელი. მაგალითად, გამოყენება ეფუძნება თვითური ბრუნვის სტატისტიკას, რასაც საფრანგეთის ოფიციალური სტატისტიკა დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარაციებიდან იღებს, რათა მოახდინოს „მიმდინარე ფასებში გამოშვების“ ექსტრაპოლირება და მატების ტემპის ჩვენება. რა თქმა უნდა, ბრუნვის ციფრები არ ემთხვევა გამოშვებას მარაგებში შესაძლო ცვლილების გამო, მაგრამ ამის გარდა სხვა უფრო მიზანშეწონილი ცვლადი არ არის ხელმისაწვდომი. ეს „დროებითი“ ციფრები შედგომში გადაიხედება, როდესაც ხელმისაწვდომი იქნება კომპანიების ანგარიშებიდან მიღებული ინფორმაცია (ერთი წლის შემდეგ), ე.წ. „ნახევრად საბოლოო“ და „საბოლოო“ (ორი წლის შემდეგ), როდესაც კვაზი-კომპანიებიდან იქნება ამომწურავი ინფორმაცია მიღებული. ეს ტერმინი ფაქტობრივად გადაჭარბებულია, რადგან „საბოლოო“ ანგარიშები თავად შეიძლება განახლდეს მოგვიანებით ახალი „საბაზისო“ წლის შემოდებასთან დაკავშირებით. ამ საკითხს კვლავ დავუბრუნდებით მე-10 თავში.

ეროვნული ანგარიშების სიზუსტე

უკეთესი იქნება, თუ ეროვნულ ანგარიშებს „ეროვნული ანგარიშების სტატისტიკას“ ვუწოდებდით, რადგან აღნიშნულის გარეშე კვალიფიციურ მომხმარებელს შეიძლება ეგონოს, რომ ისინი ისევე ზუსტია, როგორც კომპანიის ბიზნეს-ანგარიშები. ეს არ არის მართალი. კერძოდ, რადგან ტექნიკური მიზეზების გამო მშპ ხშირად ეროვნული ვალუტის ერთეულებში მილიონებში გამოისახება, მომხმარებელმა უნდა იცოდეს, რომ ის ძალიან, ძალიან შორს არის სიზუსტისგან მილიონის დონეზე. ეროვნული ანგარიშების ხარისხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყანაში არსებული სტატისტიკური სისტემის ხარისხზე. ყველა ქვეყანაში, მეტ-ნაკლებად, ეს სისტემა არ მოიცავს ყველა ერთეულს, რის გამოც მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა ხდება საჭირო. შესაბამისად, ეროვნულ ანგარიშთა მონაცემები მიახლოებულია. ვფიქრობთ ციფრებით შეუძლებელია მშპ-ის სიზუსტის განსაზღვრა. რა თქმა უნდა, ეროვნული ანგარიშები, ისევე როგორც მშპ, არ არის ერთი დიდი დაკვირვების შედეგი, რომლისთვისაც შესაძლებელი იქნებოდა ნდობის ინტერვალის განსაზღვრა. ეს არის მრავალი წყაროდან მოზიდული მონაცემის რთული, კომპლექსური ნარევი, რომელთაგან ბევრი კორექტირებას მოითხოვს სანამ ეროვნული ანგარიშების მონაცემთა ბაზაში მოხვდება, ხოლო მომავალში მათი შესაბამისობისა და შეთანხმებისთვის კვლავ ხდება კორექტირებები ხშირად არამეცნიერული მეთოდების საშუალებით.

სასარგებლო იქნება ვიცოდეთ, რომ მშპ-ის დონე შეიძლება 1-დან 3 პროცენტამდე შეიცვალოს, როდესაც დამატებითი ინფორმაცია ჩნდება (კონცეპტუალური

ცვლილებების გარეშე). ხდება ხოლმე, მაგრამ იშვიათად, როდესაც ქვეყანა თავის მშპ-ს 15%-მდე ცვლის (იტალია 1987 წელი, ჩინეთი 2005 წელი). საერთაშორისო შედარებების დროს მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეროვნული ანგარიშების ხარისხი ყველა ქვეყანაში ერთნაირი არ არის (იხ. თავი 3, საერთაშორისო შედარებები). მთლიანობაში, ეთგო-ს სტატისტიკის დირექტორატს მიაჩნია, რომ შესაძლოა შეცდომაში შეგვიყვანოს ქვეყნების მკაცრი რანჟირების შემოღებამ მსყიდველუნარიანობის პარიტეტით ერთ სულზე გაანგარიშებული მშპ-ის მიხედვით, თუ შედეგის მიხედვით ქვეყნები 5 პროცენტთან დიაპაზონში არიან ერთმანეთისგან დაშორებული.

შეზღუდვები და მახეები

დღეისათვის ეკონომიკური ინფორმაციის ნაკადისთვის ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შედეგები იმდენად ორგანულია, რომ ტენდენციად იქცა იმის დავიწყება, თუ რამდენად ამბიციური იყო თავიდან ეს პროექტი და რჩება კიდევ ასეთად. შემთხვევითი არ არის, რომ ეას-ის ორი მთავარი შემქმნელი (საიმონ კუზნეცი აშშ-იდან და რიჩარდ სტოუნი დიდი ბრიტანეთიდან) ნობელის პრემიით დაჯილდოვდა ეკონომიკის დარგში. ამასთან, უნდა გავიაზროთ, რომ ეას-ის მიზნის მიღწევა, რომელიც მდგომარეობს შინაგანად დაკავშირებული ცხრილების მეშვეობით ქვეყნის მთლიანი სამეურნეო საქმიანობის შეჯამებაში, მნიშვნელოვან მიახლოებებსა და შეთანხმებებს უკავშირდება, რომლებიც ხშირად საკამათოა. ამიტომ კარგად უნდა გავიგოთ ამ შეთანხმებების არსი. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

ეას-ში არ შედის შინამეურნეობების შიდა წარმოება (საკვების დამზადება, დასუფთავება, სხვადასხვა დავალებების შესრულება). მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნული ძალიან გაზრდიდა ბაზრის მოცულობებს. ამ მოსაზრების კრიტიკა შესაძლებელია იმ კუთხით, რომ თუ მამაკაცი ცოლად შეირთავს მზარეულს, ეს გამოიწვევს მშპ-ის შემცირებას - რაც პრინციპში მართალია, მაგრამ ნუ მოვახდენთ პრობლემის მარგინალიზაციას.

მეორე მხრივ, ეას-ში შედის საკუთარ სახლში ცხოვრების მომსახურების შეფასება, ე.წ. „იმპუტირებული რენტა“ და მისი შეფასება საკმაოდ რთულია, რადგან შეუძლებელია ამ ტრანსაქციაზე დაკვირვება. თუმცა, თუ ამას არ გავაკეთებთ, მშპ საკუთარ ბინებში მცხოვრებთა პროპორციულად შემცირდება.

მშპ მოიცავს აგრეთვე ქვეყნის მთავრობის დამატებულ ღირებულებას. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის მიერ გაწეული სერვისი შეიძლება განხილულ იყოს როგორც სხვა დარგების შუალედური მოხმარება, ეას-ში სამთავრობო სერვისი საბოლოო მოხმარებად განიხილება. რეალობაში რა თქმა უნდა, ფირმები მოიხმარენ პოლიციისა

და სხვა კოლექტიურ მომსახურებებს, მაგრამ იმის გამო, რომ დღეისათვის შეუძლებელია ამ შუალედური მოხმარების შეფასება, ხდება მისი იგნორირება და შესაბამისად ვიღებთ მშპ-ის გადაჭარბებულ შეფასებას.

ეას-ში იატაკქვეშა (არალეგალური) ეკონომიკის გაზომვა კარგად ვერ ხერხდება. არაკანონიერი საქმიანობები უნდა შევიტანოთ ეას-ში, მაგრამ ეს პრაქტიკულად შეუძლებელია. თუმცა, ეროვნული სტატისტიკის სამსახურები ცდილობენ აღნიშნულის გამოსწორებას და ითვალისწინებენ იატაკქვეშა დასაქმებას ან გადასახადების დაფარვას. მაგალითად, საფრანგეთმა ამ კორექტირებებით მშპ დაახლოებით 4%-ით გაზარდა.

ეას-ის მიმდინარე ვერსიაში რეკომენდირებულია კვლევებსა და შემუშავებაზე გაწეული დანახარჯების (R&D), გათვალისწინება (პროგრამული უზრუნველყოფის ჩათვლით) ინვესტიციად და არა მიმდინარე დანახარჯად ანუ შუალედურ მოხმარებად, რაც ქვეყნების მიხედვით მშპ-ის 10-დან 4%-მდე მატებას გამოიწვევს. ეს იმის გამო ხდება, რომ შუალედური მოხმარებისგან განსხვავებით ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება საბოლოო მოთხოვნის ნაწილია და შესაბამისად მშპ-ისაც (მე-2 ძირითადი იგივეობა).

ბინის შესყიდვაზე გაწეული დანახარჯები ეას-ში ძირითადი კაპიტალის დაგროვებას მიეკუთვნება, ხოლო შინამეურნეობების დანახარჯები გრძელვადიან სამომხმარებლო საქონელზე, კერძოდ ავტომობილზე, დანახარჯად არის მიჩნეული. მიუხედავად იმისა, რომ ავტომობილის გამოყენება საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ხდება, ეს ვადა მაინც არ აჭარბებს ბინის გამოყენების ხანგრძლივობას. ამ მაგალითით გიჩვენეთ, რომ სადღაც უნდა გაველო ზღვარს მოხმარებასა და ინვესტირებას შორის და ამ არჩევანზე შეჩერდნენ.

შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, რომ საგზაო შემთხვევების რიცხვის ზრდა ზრდის მშპ-ს, რადგან მაგალითად, მატულობს საგანგებო სიტუაციების სამსახურების მომსახურება. საპირისპიროდ, ინტუიციურად შეიძლება ასეთ სიტუაციებში მშპ-ის შემცირება გვსურდეს. ასეთ დროს ასევე შესაძლებელია მოხდეს წარმოების შედეგისა (მშპ) და კეთილდღეობის საზომების (იხ. თავი 15) აღრევა. უმეტესად, მშპ არის წარმოების წვლილის საზომი კეთილდღეობაში. კეთილდღეობას კიდევ სხვა მრავალი განზომილება გააჩნია, რაც მშპ-თი არ იზომება.

აღნიშნულ კონვენციებს კვლავ დავუბრუნდებით ამ წიგნში. ეს საკითხი ღიაა კრიტიკისთვის, მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ მათი მიღება ხანგრძლივი მსჯელობების შედეგად მოხდა და ისინი პრაქტიკულად დასაბუთებულია. მაგალითად, მე-10 თავში ვნახავთ, რომ არაპირადაპირი

გადასახადები შეიძლება ითქვას, ორჯერ გაითვალისწინება მშპ-ში, მაგრამ ეს ერთადერთი გადაწყვეტა იყო, რომელმაც სხვა კრიტერიუმებიც დააკმაყოფილა.

რადგან ეროვნულ ანგარიშებში გვაქვს მნიშვნელოვანი შეზღუდვები, ის არ უნდა გავაკრიტიკოთ მისი მიზნებისა და განსაზღვრებების ნაწილში. ბევრ ადამიანს აინტერესებს, რატომ არ აისახება მშპ-ში ბუნებრივი კატასტროფები (ან ტერორისტთა თავდასხმების შედეგები). ეს იმის გამო ხდება, რომ ადამიანებს არ ესმით მშპ-ის განმარტება. როგორც ვიცით, მშპ წარმოების შედეგს ზომავს მოცემულ პერიოდში. ადამიანებს ახასიათებთ მშპ-ის გაიგივება ქვეყნის ეკონომიკურ სიმდიდრესთან. უდავოა, რომ კატასტროფები ანგრევს ინფრასტრუქტურას* და ნაწილობრივ ეკონომიკურ სიმდიდრეს, მაგრამ მათი შედეგი არ არის ნეგატიური წარმოება და ამის გამო პირდაპირ არ იწვევენ მშპ-ის შემცირებას. მათი დესტრუქციული ზემოქმედება არაპირდაპირი გზით, პოზიტიურ ან ნეგატიურ გავლენას ახდენს მშპ-ზე. მაგალითად, როდესაც ქარხანა ინგრევა, ეს იწვევს წარმოების შემცირებას, თუმცა მისი მშენებლობა კვლავ იწვევს წარმოების ზრდას. ამ კონტექსტში პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ბუნებრივ კატასტროფებს შეიძლება დადებითი გავლენა ჰქონდეს მშპ-ზე (სიტყვა „პოზიტიურის“ წმინდა მათემატიკური გაგებით).

ზემოაღნიშნულიდან მკითხველისთვის ალბათ გასაგებია, რომ მშპ არ წარმოადგენს „ეროვნული სიმდიდრის საზომს“, როგორც ზოგჯერ მას მიიჩნევენ. ეროვნული სიმდიდრე წარმოადგენს აქტივების მარაგს, ხოლო მშპ არის გამოშვების ნაკადი. უკეთეს შემთხვევაში მშპ შეიძლება ჩავთვალოთ ეროვნული სიმდიდრის ცვლილების საზომად, მაგრამ არც ეს არის სწორი, რადგან მშპ არ მოიცავს მთლიანობაში ამ ცვლილებას, რადგან ის გამორიცხავს კაპიტალიდან მიღებულ შემოსავლებსა და ზარალს. მიტომ აუმჯობესია მშპ განვმარტოთ როგორც წარმოების მთლიანი მოცულობა განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში.

მალმხმობები (იარლიყები)

ეროვნული ანგარიშები რთულია, მაგრამ ამავე დროს მნიშვნელოვანი შედეგები აქვს. მაგალითად, ევროკავშირის წევრი ქვეყნების შენატანების დიდ ნაწილი ევროკომისიის ბიუჯეტში მათი მშპ-ების (უფრო ზუსტად მეშ-ების) შეფარდებით დონეზეა დამოკიდებული. როდესაც ხდება მეთოდების მოდიფიცირება ან ციფრების განახლება, ეროვნული მონგარიშებისთვის სასარგებლოა იმის სწრაფი ცოდნა,

* ჰუმანური კაპიტალის შეფასება (იხ. თავი 15) გვხვდება ეკონომიკური ანგარიშების მხოლოდ რამდენიმე სისტემაში და არა ეროვნულ ანგარიშებში. ამიტომ ჰუმანური დანაკარგები არ გვხვდება ამ ჩამონათვალში.

მოახდინა თუ არა ამ გარდაქმნებმა „ზეგავლენა მშპ-ზე“ მათ „ჟარგონზე“. ამ კითხვაზე სწავი პასუხისთვის ეროვნული ანგარიშების ექსპერტები განსაზღვრულ „მალმხმობებს (იარლიყებს)“ იყენებენ. მაგალითად, ამ წესს ისინი საბოლოო მოთხოვნის საფუძველზე იყენებენ: მშპ იცვლება მაშინ, როდესაც საბოლოო მოთხოვნის ელემენტი იცვლება.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი. 2012 წელს მოხდა 2010 წლის ანგარიშების ხელახლა გადაანგარიშება მონაცემთა ბაზის საფუძველზე, რომელიც შედგებოდა კომპანიის კომპლექსური ანგარიშებისგან. საიმედოობის უფრო მაღალი ხარისხის მქონე მონაცემების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ დასაქმების დროებითი სამსახურების გამოშვება (სხვა სიტყვებით, სამუშაო ძალის დაქირავება) საწყის პერიოდში მნიშვნელოვნად იყო დაკლებული. აღნიშნული ფაქტს წარმოების შესამჩნევ ზრდამდე მივყავართ. აქვს თუ არა ზემოხსენებულს გავლენა მშპ-ზე? პასუხი უარყოფითია. სამუშაო ძალის დაქირავება არ წარმოადგენს შინამეურნეობების მოხმარების ნაწილს; ეს არც ინვესტიციებია; ასევე, ის არ შედის საგარეო ვაჭრობაშიც (ან ძალიან მცირე დოზით). ამიტომ ის არ ჩნდება შინამეურნეობების საბოლოო მოთხოვნაში და წარმოადგენს შუალედურ მოხმარებას. შედეგად, მშპ არ განიცდის მის გავლენას. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ არანაირ მოდიფიკაციას არ ჰქონდა ადგილი. ერთი მხრივ, შეიცვალა დამატებული ღირებულების განაწილება სხვადასხვა დარგებს შორის, რამაც გამოიწვია მომსახურების გადიდება და მრეწველობის შემცირება, რადგან მისი შუალედური მოხმარება გაიზარდა. თუმცა, მთლიანი გამოშვების ნეიტრალიზება მაინც მოხდა შუალედური მოხმარების გადიდების ხარჯზე. აღნიშნული შემთხვევის პრაქტიკული გამოყენების მაგალითი იხ. სავარჯიშოში 7.

საბოლოო მოთხოვნის ეს წესი მრავალ შემთხვევაში გამოიყენება. განვიხილოთ ორი სხვა მაგალითი, დანახარჯები კვლევასა და შემუშავებაზე (R&D) და დამატებული ღირებულების გადასახადი გაყიდვებზე (VAT). 2008 წლის ეას-ში R&D-სთან დაკავშირებით ახალი წესები ამოქმედდა. კერძოდ, შუალედური მოხმარების ნაცვლად, R&D-ს შესყიდვები ახლა ძირითადი კაპიტალის მთლიან დაგროვებას (GFCF) მიეკუთვნება. აქვს თუ არა ამ მოდიფიკაციას გავლენა მშპ-ზე? პასუხი არის დიახ, რადგან GFCF არის საბოლოო მოთხოვნის ნაწილი, რაც შესაბამისად შეიცვალა. დავუშვათ, მთავრობამ გადაწყვიტა საბიუჯეტო ხარჯების დაფინანსების მიზნით 5 მლრდ ევროთი შეამციროს საშემოსავლო გადასახადი (რაც არაპოპულარულია) და შესაბამისად გაზარდოს VAT (უფრო ნაკლებად მტკივნეული გადასახადი). მაკროეკონომიკურ დონეზე ეს მოდიფიკაცია ნეიტრალურად ჩანს, სანამ დეფიციტი არ შეიცვლება. მაგრამ მთლად ასეც არ არის საქმე. რადგან საბოლოო მოთხოვნა

შინამეურნეობების მოხმარებას მოიცავს, რომელიც საბაზრო ფასებით იზომება და შეიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს, ამიტომ მშპ-ც 5 მლრდ ევროთი გაიზრდება (სხვა თანაბარ პირობებში). ამგვარად, შეიძლება ვაჩვენოთ, რომ სახელმწიფო დაფინანსების წყარომ (პირდაპირი ან არაპირდაპირი გადასახადები), შეიძლება გავლენა მოახდინოს ბიუჯეტის დეფიციტის მასტრიხტის კრიტერიუმზე ისე, რომ დეფიციტში არავითარი ცვლილება არ მოხდეს. ეს იმის გამო ხდება, რომ ამ კრიტერიუმის მნიშვნელში მშპ გვაქვს. მოცემულ შემთხვევაში ეს კრიტერიუმი მაინც შეიცვლება, თუ დეფიციტი უცვლელი იქნება. ეროვნული ანგარიშები სავსეა სიურპრიზებით.

მეორე მხრივ, მშპ არ შეიცვლება, თუ საბოლოო მოთხოვნის ორი ელემენტი საპირისპირო მიმართულებით შეიცვლება. მაგალითად, თუ ექსპორტის შეფასება შემცირდება, მაგრამ მისი განეიტრალება საბოლოო მოხმარების მატებით მოხდება, მშპ უცვლელი დარჩება.

პირველი თავის სავარჯიშოები

სავარჯიშო 1: დაკვირვებები და პროგნოზები

გადადით ეთგო-ს ვებ-გვერდზე (www.oecd.org). მონახეთ „ეკონომიკური პერსპექტივების“ ("Economic Outlook") უკანასკნელი პუბლიკაცია და ამ მონაცემებით განაახლეთ ცხრილი 1.1. შეადარეთ ძველი და ახალი მონაცემები და გააკეთეთ კომენტარები. რამ გამოიწვია ამ ციფრების ცვლილება? რა მიმართულებით დაუშვეს შეცდომები ეთგო-ს პროგნოზის ტემპმა?

სავარჯიშო 2: მშპ-ის მარტივი გაანგარიშება

განვიხილოთ ოთხი კომპანია: ფირმა A სამთომომპოვებელი საწარმოა, რომელიც რკინის მადანს მოიპოვებს; ფირმა B ასხამს ფოლადს, იყენებს რკინას და უშვებს ფოლადის ფურცლებს და სხმულებს; ფირმა C ავტომობილებს ამზადებს ფოლადის გამოყენებით; ფირმა D აწარმოებს მანქანებსა და რობოტებს, ასევე ფოლადის გამოყენებით. გაიანგარიშეთ მთლიანი გამოშვება, შუალედური მოხმარება და დამატებული ღირებულება მლნ ევროში შემდეგი მონაცემების საფუძველზე.

ფირმა A აწარმოებს 50 000 ტონა რკინის მადანს, ერთ ტონას 200 ევროდ, პერიოდის განმავლობაში მისი შესყიდვები შეადგენს ერთ მანქანას, რომელიც ფირმა D-ს მიერ არის წარმოებული და ღირს 10 მლნ ევრო. ფირმა B აწარმოებს 15 000 ტონა ფოლადის ფურცელს, ერთ ტონას ჰყიდის 3000 ევროდ, მთლიანად ყიდულობს და იყენებს წარმოებაში ფირმა A-ს მიერ წარმოებულ რკინის მადანს. ფირმა C ამზადებს 5000 ავტომობილს და მთლიანად ჰყიდის შინამეურნეობებზე თითო 15 000 ევროდ, ყიდულობს 20 მლნ ევროს ღირებულების ფოლადის ფურცელს ფირმა B-საგან, მაგრამ აქედან მხოლოდ 18 მლნ ღირებულების ნაწარმს იყენებს ავტომობილების წარმოებაში. ამასთან, ფირმა C-მ საზღვარგარეთიდან, შვილობილი კომპანიიდან შემოიტანა 5000 ძრავა, თითო 4000 ევროდ და შიდა ბაზარზე შეიძინა ფირმა D-ს მიერ დამზადებული 2 რობოტი. ფირმა D-მ გაყიდა ერთი მანქანა 10 მლნ ევროდ და 2 რობოტი, თითო 5 მლნ ევროდ, გამოიყენა 10 მლნ ევროს ფოლადის ფურცელი ფირმა B-საგან.

ამ ეკონომიკისთვის გაიანგარიშეთ მშპ. ასევე გაიანგარიშეთ მისი საბოლოო მოთხოვნა იმ დაშვებით, რომ ექსპორტს ადგილი არ ჰქონია. დაამტკიცეთ, რომ მშპ საბოლოო მოთხოვნის ტოლია. (გაიხსენეთ, რომ მანქანა-მოწყობილობების შეძენა არის GFCF და არა შუალედური მოხმარება).

სავარჯიშო 3: ურთიერთკავშირი მიმდინარე ფასებს, ფიზიკურ მოცულობასა და დეფლატორს შორის

ქვემოთ, ცხრილში ნაჩვენებია საფრანგეთის მშპ-ის მატების ტემპი მიმდინარე ფასებში და დეფლატორის მატების ტემპები. 2005 წელს მშპ მიმდინარე ფასებში 1 718 047 მლნ ევრო იყო. გაიანგარიშეთ მშპ-ის ფიზიკური მოცულობა მილიონებში „2005 წლის ევროში“. აჩვენეთ, როგორ უნდა მოხდეს მშპ-ის ფიზიკური მოცულობის გაანგარიშება ევროში პირდაპირ მატების ტემპებიდან აბსოლუტური მოცულობებისა და დაყოფის გარეშე. გააკეთეთ კომენტარები.

	2005	2006	2007	2008	2009
(1) მატების ტემპი, მშპ	1.83	2.47	2.29	-0.08	-3.15
(2) მატების ტემპი, დეფლატორი	1.91	2.14	2.59	2.54	0.72

სავარჯიშო 4: მატებაში შეტანილი წვლილის გაანგარიშება

ცხრილში ქვემოთ წარმოდგენილია საფრანგეთის ეროვნული კვარტალური ანგარიშები Q2 2013-ისთვის ფიზიკური მოცულობით წინა წლის ფასებში, საბაზისო წელია 2005. გამოიყენეთ ტექსტში მოტანილი ჩანართი და ასეულებამდე სიზუსტით გაიანგარიშეთ Q2 2013-ის მატებაში შიდა მოთხოვნის წვლილი მარაგების გარეშე, მარაგების და წმინდა ექსპორტის წვლილი. გააკეთეთ კომენტარები.

გაფრთხილება: სავარჯიშოს გამარტივების მიზნით, მარაგების ცვლილება დათვლილია როგორც განტოლების საბალანსო მუხლი. ეს საშუალებას გვაძლევს გვერდი ავუაროთ ჯაჭვური გადაბმის სირთულეებს (იხ. თავი 2 ჯაჭვურად დაკავშირებული ეროვნული ანგარიშებისთვის).

კვარტალური ეროვნული ანგარიშები
ფიზიკური მოცულობები წინა წლის ფასებში, საბაზისო 2005 წელი

	Q1 2013	Q2 2013
მარაგების მატება	-958	-274
იმპორტი	131 850	134 137
ექსპორტი	125 297	127 769
წმინდა ექსპორტი	-6 553	-6 368
მთლიანი საბოლოო შიდა მოთხოვნა მარაგების გარეშე	458 369	459 839
მთლიანი შიდა პროდუქტი	450 858	453 197

სავარჯიშო 5: სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი და მასტრიხტის კრიტერიუმი

მოტანილი ცხრილის საფუძველზე განსაზღვრეთ, აკმაყოფილებს თუ არა საფრანგეთი საბიუჯეტო დეფიციტის კრიტერიუმს (არა უმეტეს მშპ-ის 3%-ისა) მოცემული პერიოდის განმავლობაში.

	2007	2008	2009	2010	2011	2012
ხარჯები, სულ	992.6	1 030.0	1 070.6	1 095.6	1 118.5	1 151.2
შემოსავლები, სულ	940.7	965.4	928.0	958.3	1 012.7	1 052.4
მთლიანი შიდა პროდუქტი	1 886.8	1 933.2	1 885.8	1 936.7	2 001.4	2 032.3

სავარჯიშო 6: სინონიმები

ეროვნულ ანგარიშებში გამოყენებული ტერმინოლოგიის გარდა ეკონომისტები ხშირად მათი სინონიმების ფართო სპექტრს იყენებენ. ამოარჩიეთ დახრილი შრიფტით მოტანილი ტერმინებიდან სწორი სინონიმები შემდეგი ტერმინებისთვის: (A) მშპ მიმდინარე ფასებში; (B) მშპ-ის ფიზიკური მოცულობა; (C) მშპ-ის დეფლატორი; (D) ბიუჯეტის დეფიციტი. გაითვალისწინეთ, რომ ქვემოთ მოტანილი ტერმინებიდან ყველა არ არის სინონიმი ზემოთ მოტანილი ტერმინებისთვის.

1. მთლიანი ეროვნული პროდუქტი,
2. მთლიანი ეროვნული შემოსავალი მიმდინარე ფასებში,
3. ნომინალური მშპ,
4. გამოშვების ჯამი ევროებში,
5. მშპ-ის რაოდენობა,
6. მშპ-ის ღირებულება,
7. მშპ მუდმივ ფასებში,
8. მთლიანი დამატებული ღირებულებების ჯამის ფიზიკური მოცულობა,
9. დეფლაცირებული წმინდა შიდა პროდუქტი,
10. რეალური მშპ,
11. მშპ-ის ფასების ინდექსი,
12. სამომხმარებლო ფასების ინდექსი,
13. მშპ 1995 წლის ფასებში,
14. დეფლაცირებული შემოსავლების ჯამი,
15. „მატება“,
16. სახელმწიფო საწარმოების დაფინანსების პოტენციალი,
17. მთავრობის წმინდა სესხება.

სავარჯიშო 7: მოდიფიკაციების გავლენა მშპ-ზე

(დავუბრუნდეთ მე-2 სავარჯიშოს და „მალმხმობების“ ჩანართს). მე-2 სავარჯიშოში თქვენ გაინაგრიეთ ამ ეკონომიკის მშპ. ახლა დავუშვათ, რომ გამოგრჩათ ფირმა C-ს მიერ (ავტომობილების წარმოება) ფირმა E-სგან (დროებითი დასაქმების სააგენტო) სამუშაო ძალის დაქირავება 15 მლნ ევროდ. ჰქონდა თუ არა ადგილი მშპ-ის მოდიფიკაციას ამ ახალი ინფორმაციის საფუძველზე? თქვენი პასუხი განამტკიცეთ

ცხრილში მრეწველობის სხვადასხვა დარგების ცვლილებების საფუძველზე და გააკეთეთ კომენტარები.

სავარჯიშო 8: დეფლატორები და მატება

21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში კამათის საგანი გახდა ევროპისა და აშშ-ის მატების ტემპების შესადარისობა. კერძოდ, ეს ეხება ფირმების ინვესტიციების დეფლატორს კომპიუტერული ტექნიკისთვის, რაც დანახარჯების მსხვილ მუხლს წარმოადგენს. აშშ-ში გამოყენებული მეთოდების საფუძველზე ეს დეფლატორი უფრო სწრაფად ეცემა, ვიდრე ევროპაში (იხ. ჩანართი მე-2 თავის მე-3 ქვეთავში). პირველი, ახსენით, რატომ იწვევს კომპიუტერების შემენის მატების ტემპებისთვის სხვადასხვა მეთოდის გამოყენება მშპ-ის ფიზიკური მოცულობის მატების განსხვავებას მიმდინარე ფასებში. გააგრძელეთ ახსნა, თუ რატომ შემცირდება ეს განსხვავება (თითქმის მთლიანად) თუ ევროპული ქვეყნები მცირე რაოდენობის (ან საერთოდ არცერთ) კომპიუტერებს აწარმოებენ.

ამ სავარჯიშოების ამოხსნები შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე:

<http://dx.doi.org/10.1787/9789264214637-19-en>

თავი 2

განსხვავება ფიზიკური მოცულობისა და ფასების მატებას შორის

ამ თავში განხილულია წარმოებული საქონლისა და მომსახურების ფიზიკური მოცულობის ცვლილების შედეგად გამოწვეული მატება, რაც ხელმისაწვდომია მომხმარებლებისა და ინვესტორებისთვის. ეროვნული ანგარიშების მთავარი ამოცანაა მონეტარული აგრეგატების ცვლილებაში ცალ-ცალკე გამოყოს ფიზიკური მოცულობისა და ფასის წვლილი. თავში დეტალურად არის ახსნილი, თუ როგორ იქცევიან ამ შემთხვევაში სტატისტიკოსები და როგორ ასხვავებენ ისინი ამ ცვლილებებს ფიზიკური მოცულობა/ფასის დანაწილებით.

მაქსიმალურად შესაძლებელი მატების მიღწევა ყველასათვის სასურველია; კერძოდ, დღეს უპირატესობა ენიჭება „გრძელვადიან“ ან „მდგრად“ ზრდას. თავისთავად, „მატება“ უკავშირდება წარმოებული საქონლისა და მომსახურების ფიზიკური მოცულობის ცვლილებას, რაც ხელმისაწვდომია მომხმარებლებისა და ინვესტორებისთვის. ეროვნული ანგარიშების მთავარი ამოცანაა მონეტარული აგრეგატების ცვლილებაში ცალ-ცალკე გამოიყოს ფიზიკური მოცულობისა და ფასის წვლილი. რაოდენობრივი მატება, ან როგორც ეროვნული მოანგარიშები ამბობენ „მოცულობების“ მატება, ზოგადად კარგი მოვლენაა. რაც შეეხება ფასების ზრდას, ანუ ინფლაციას, ეს ზოგადად კარგი არ არის. ეროვნულ ანგარიშებში მონეტარული აგრეგატების ცვლილებას შედარებით ნაკლები ადგილი ეთმობა. თუმცა, ის ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ხდება, თუ ეროვნული მოანგარიშების ჟარგონზე ამ აგრეგატების „მოცულობა/ფასის“ მიხედვით ჩაშლა გვსურს. სწორად ამის გამოა, რომ ამ უაღრესად ტექნიკურ თავს უფრო ადრე ვიხილავთ, ვიდრე გამოშვებას ან საბოლოო გამოყენებას.

1. გაფრთხილება: შედარებით ფიზიკური მოცულობები

ქვემოთ, ეთგო-ს მონაცემთა ბაზიდან მოტანილია მშპ-ის მატების ცხრილი ნიდერლანდების, მექსიკისა და თურქეთისთვის 1980-1012 წლებში. ერთი შეხედვით, ჩანს, რომ მექსიკამ და თურქეთმა ნიდერლანდებთან შედარებით საკმაო პროგრესს მიაღწია. და მართლაც, ნიდერლანდების საშუალოწლიური მატება 6.1%-ია, მექსიკის 43.8%, ხოლო თურქეთის - 74.2%. თუმცა, ეს მსჯელობა მახის შემცველია. საკმარისია, თვალი შევავლოთ ცხრილის სათაურის ქვეშ ფრაზას „მიმდინარე ფასებში“, რომ ნათელი გახდება, თუ სინამდვილეში რასთან გვაქვს საქმე: მაშასადამე, ჩვენ ვადარებთ ფიზიკურ მოცულობებს მიმდინარე წლის ფასებში. შესაბამისად, ეს მოცულობები სრულად განიცდის ფასის, ან ინფლაციის ზეგავლენას, რასაც ადგილი ჰქონდა 1980-1012 წლებში. შედეგად, მექსიკამ და თურქეთმა ჭინებადი ინფლაციის საფუძველზე მაღალი მატება აჩვენეს, ხოლო ნიდერლანდები მნიშვნელოვნად დაბალ ინფლაციას ინარჩუნებდა 1980-იანების ბოლოდან.

ცხრილი 2.1. მშპ-ის საშუალოწლიური მატების ტემპი 1980-1012 წლებში
მიმდინარე ფასებში

ნიდერლანდები	6.1
მექსიკა	43.8
თურქეთი	74.2

წყარო: OECD (2013), "Aggregate National Accounts: Gross domestic product", OECD National Accounts Statistics (database), <http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143598>

ამის გამო, ზემოთ მოტანილი საერთაშორისო შედარება აზრს მოკლებულია. როგორც იტყვიან, ერთმანეთისგან უნდა გავარჩიოთ ხორბალი (მატება „მოცულობის“ მიხედვით“) და ბზე (ინფლაცია, ან ფასების ცვლილება). შესაბამისად, მეორე ცხრილში ნაჩვენებია ფიზიკური მოცულობის ცვლილება ფასების ცვლილებასთან ერთად. ახლა უკვე ნიდერლანდების მდგომარეობა შეიცვალა უკეთესობისკენ, მისი მატება მცირედ ჩამოუვარდება დანარჩენ ორ ქვეყანას, ინფლაცია კი ბევრად დაბალია.

ცხრილი 2.1. მშპ, ფიზიკური მოცულობისა და ფასების ინდექსები
წლიური მატების ტემპი, 1980-1012

	მოცულობა	ფასი
ნიდერლანდები	3.1	2.9
მექსიკა	3.6	38.8
თურქეთი	6.3	63.8

წყარო: OECD (2013), "Aggregate National Accounts: Gross domestic product", OECD National Accounts Statistics (database), <http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143598>

ამასთან, თუ მოცულობის მატებას მოსახლეობის მატებითაც გავაკორექტირებთ, ნიდერლანდების საქმე კიდევ უფრო კარგად იქნება, რადგან იმავე პერიოდში მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის მატებამ 1.7% შეადგინა, ხოლო მექსიკაში 0.5% და თურქეთში 1.7%.

ამ თავის მიზანია დეტალურად ავხსნათ, როგორ ასხვავებენ სტატისტიკოსები მოცულობის ცვლილებას ფასის ცვლილებისგან, ანუ ვუბრუნდებით მატების ჩაშლას *მოცულობა/ფასის* მიხედვით.

ზემოთ მოტანილი მეორე საერთაშორისო შედარება სწორიც რომ ყოფილიყო, ის მაინც არ იქნებოდა სრულყოფილი, რადგან არაფერია ნათქვამი თითოეული ქვეყნის მშპ-ის *შესადარისობის დონეზე*. ამ ნაკლოვანების აღმოფხვრა საკმაოდ ადვილია. შესაძლებელია ავიღოთ მშპ მიმდინარე ფასებში და შემდეგ ორი მოდიფიკაცია გამოვიყენოთ. პირველი, გავყოთ მშპ ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობაზე, ანუ გავიანგარიშოთ მშპ მოსახლეობის ერთ სულზე და თავიდან ავირიდოთ ისეთი შედარებების გაკეთება, რაც მიუღებელია. მეორე, ყველა შემთხვევისთვის ერთი და

იგივე ვალუტა გამოვიყენოთ. ეთგო-ს პრაქტიკაში მიღებულია აშშ დოლარის გამოყენება, თუმცა ასეთივე წარმატებით შეგვიძლია ევროს, ან მექსიკური პესოს გამოყენებაც; აქ მნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ ერთი საზომი ერთეული გამოვიყენოთ. შემდეგ ცხრილში მოცემულია სამივე ქვეყნის მიხედვით მშპ მოსახლეობის ერთ სულზე აშშ დოლარში. რასზე მეტყველებს ეს ციფრები? ნიდერლანდების მოსახლეობის საშუალოწლიური შემოსავალი დანარჩენი ორი ქვეყნის მოსახლეობის შემოსავლებს აღემატება: თუ დავუშვებთ, რომ ნიდერლანდები 100-ია, მასთან მიმართებით თურქეთი 22.9, ხოლო მექსიკა 23.2-ია. მაგრამ, არის თუ არა ეს ციფრები, ნამდვილად შესადარი?

ცხრილი 2.2. მშპ მოსახლეობის ერთ სულზე
2012

	ერთ სულზე, აშშ დოლ.	ნიდერლანდები = 100
ნიდერლანდები	45 970	100.0
მექსიკა	10 648	23.2
თურქეთი	10 525	22.9

წყარო: OECD (2013), "Aggregate National Accounts: Gross domestic product", OECD National Accounts Statistics (database), <http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143612>

ასე ნამდვილად ვერ ვიტყვით, რადგან თუ ანგარიშები ჩვეულებრივ ერთეულებშია გამოსახული, ისინი მხოლოდ მოცულობების მიხედვით შედარებას არ ექვემდებარება. განსაზღვრული საქონლისა და მომსახურების ფასები ქვეყნების მიხედვით ფრიად განსხვავებულია. მაგალითად, თუ ამსტერდამში 100 კვ.მ საბინაო ფართის დაქირავება 2000 ევრო ჯდება, ამ ფასად სტამბულში ან მეხიკოში 300 კვ.მ-ის დაქირავებაა შესაძლებელი. ამიტომ უფრო შორს უნდა წავიდეთ და ისე მოვახდინოთ ფასების დონის ელიმინირება, რომ მხოლოდ მოცულობები შევადაროთ და გამოვრიცხოთ ფასების ზეგავლენა. ამ მიზნით ეთგო იყენებს „მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტს“. თუმცა შემდეგ ცხრილში სწორედ ასეთი შედარებაა გაკეთებული. ამ კორექტირების შედეგად ჩანს, რომ დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით ცხოვრების დონე ნიდერლანდებში უფრო მაღალია, თუმცა ასევე აწეულია მშპ ერთ სულზე თურქეთსა და მექსიკაში. აბსოლუტური სიდიდეების ამ საერთაშორისო შედარებას ეროვნულ ანგარიშიანობაში სტატისტიკოსები აღწერენ როგორც *მოცულობა/ფასის სივრცით ჩაშლას*. ეს ხერხი უფრო დეტალურად იქნება

წარმოდგენილი მე-3 თავში. ამ თავში ძირითად აქცენტს მოცულობა/ფასის დროში ჩაშლაზე გავაკეთებთ.

ცხრილი 2.3. მშპ მოსახლეობის ერთ სულზე მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტით 2012

	მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტით აშშ დოლ.	ნიდერლანდები = 1
ნიდერლანდები	43 146	100.0
მექსიკა	18 288	42.4
თურქეთი	18 114	42.0

წყარო: OECD (2013), "Aggregate National Accounts: Gross domestic product", OECD National Accounts Statistics (database), <http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143620>

2. ფიზიკური მოცულობისა და ფასის მიხედვით დაყოფის გამოყენება დროით ცვლილებებში

„მოცულობების შედარების“ პირობის შესასრულებლად საჭიროა ეროვნული ანგარიშების აგრეგატების გამოთვლა ფიზიკურ გამოსახულებაში. ამისთვის, პირველი ნაბიჯია დეტალური სტატისტიკის მიღება თითოეული პროდუქტის ფიზიკური მოცულობის შესახებ. შემდეგ, მეორე ნაბიჯია მათი აგრეგირება ან ჯამის გამოთვლა.

ზოგადად, დეტალური სტატისტიკა ეროვნულ ანგარიშებში სამი სახისაა: ა) რაოდენობებში გამოსახული სტატისტიკა, როგორცაა წარმოებული ფოლადი ტონებში; ბ) მიმდინარე ფასებში გამოსახული სტატისტიკა („ღირებულებით გამოსახულებაში“ ან „ნომინალური“), როგორცაა კომპანიის ანგარიშებიდან მიღებული მონაცემები და გ) ფასების ინდექსები, როგორცაა შინამეურნეობების სამომხმარებლო ფასების ინდექსის (CPI) შემადგენელი კომპონენტები. ა) ტიპის სტატისტიკა ეროვნული მონაგარიშების მიერ უშუალოდ ფიზიკური მოცულობის ცვლილების გასაზომად გამოიყენება დეტალური კლასიფიკაციების ფარგლებში. რაიმე კონკრეტული სახის ფოლადის გამოშვების მოცულობის ცვლილება შემდეგ ამ ფოლადისგან დამზადებული პროდუქტის მოცულობის ცვლილებაში იჩენს თავს.

თუ რაოდენობების შესახებ ინფორმაცია არ გაგვაჩნია, მაშინ ეროვნულ ანგარიშთანობაში ხდება ბ) და გ) ტიპის სტატისტიკების კომბინაცია. როგორც პირველ ძირითად იგივეობაში ვნახეთ, თუ მიმდინარე ფასებში ასახულ ღირებულებას

შესაბამისი პროდუქტების ფასების ცვლილებაზე გავყოფთ, მივიღებთ ცვლილებას ფიზიკურ მოცულობაში. აღნიშნულს ეროვნულ ანგარიშიანობაში „დეფლაცირება“ ეწოდება. ამ თავის ბოლოს, პირველ სავრჯიშოში მოცემულია „დეფლაცირების“ მარტივი მაგალითი.

მაკროეკონომიკური ზრდის გასაზომად ეროვნული მოანგარიშები მონაცემთა ასობით მწკრივს იყენებენ, რომლებშიც რაოდენობები პირდაპირ არის მოცემული, ან მათი მიღება დეფლაცირებით ხდება. საფრანგეთში, და ალბათ ქვეყნების უმრავლესობაში, დამატებული ღირებულების დეტალური მწკრივების 85% მიმდინარე ფასებში ასახული გამოშვების დეფლაცირებით მიიღება ფასების ინდექსების საშუალებით. დეფლაცირების მეთოდის გამოყენებისას სასურველი შედეგის მისაღებად აუცილებელია გვქონდეს კარგი ციფრები გაყიდვების ან შესაბამისი მონეტარული ნაკადებისთვის (მიმდინარე ფასებში) და ასევე, შესაფერისი ფასების ინდექსები. ეთგო-ს ქვეყნებში ამ შემთხვევაში იყენებენ ბრუნვის ინდექსებს, სამომხმარებლო ფასებისა და მწარმოებელთა ფასების ინდექსებს. ეს ინდიკატორები განმსაზღვრელია ეროვნული ანგარიშებისთვის, თუმცა მათი ჩამოთვლა სცილდება ამ სახელმძღვანელოს ფარგლებს. ამ თავის დარჩენილ ნაწილში განვიხილავთ მხოლოდ ერთ და საკმაოდ რთულ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ გავაერთიანოთ (მოვახდინოთ აგრეგირება) ეს დეტალური სტატისტიკა ფიზიკურ მოცულობაში.

3. აგრეგირების სირთულებები

მარტივი ეკონომიკის შემთხვევაში, სადაც ერთი მწარმოებელი და ერთი მომხმარებელია, ფიზიკურ მოცულობაში მაკროეკონომიკური ზრდის გაზომვის პრობლემა არ დადგებოდა. საჭირო იქნებოდა მხოლოდ ამ წარმოებულ პროდუქტის ტონების (ან უფრო ზოგადად, რაიმე ფიზიკური ერთეულის) დათვლა. თუმცა, ეკონომიკა უამრავ განსხვავებულ საქონელსა და მომსახურებას, აერთიანებს. როგორ უნდა დავაჯამოთ ისინი მაკროეკონომიკური ინდიკატორის მისაღებად? პირველი, ჩვენ გვჭირდება საერთო საზომი ერთეული. მაგალითად, შესაძლებელია ტონებში გამოსახული ფიზიკური მოცულობების შეჯამება. მაგრამ რამდენად მიზანშეწონილია ტონობით ვაშლის, ტონობით ტანსაცმლისა და ტონობით საბრძოლო ტანკის შეჯამება? არმიის ლოჯისტიკისთვის შეიძლება შედეგი საინტერესო იყოს, მაგრამ მაკროეკონომიკური თვალსაზრისით მას აზრი არ ექნება. იქნება თუ არა სწორი, თუ მაკროეკონომიკური ინდიკატორის მისაღებად ყველა წარმოებულ ავტომობილს დავუმატებთ ერთმანეთს? რა თქმა უნდა არა, რადგან თუ პატარა იაფ ავტომობილს ძვირადღირებულს დავამატებთ, მთლიანი გამოშვების დამახინჯებულ სურათს მივიღებთ: დიდი მანქანა უფრო მეტად „დაითვლება“

ეკონომიკური თვალსაზრისით, ვიდრე პატარა. ამის გამო, იქმნება „აგრეგირების“ პრობლემა, რომელიც მაკროეკონომიკური გაზომვებისთვის მთავარია.

ეკონომისტებისთვის ამ პრობლემის გადაჭრა სავსებით გასაგებია. ის ფასის სტრუქტურას ეყრდნობა. თუ პროდუქტები მონეტარულ ერთეულებშია გამოსახული, მაშინ მათი შეჯამება ლეგიტიმურია. მაშასადამე, თუ პატარა ავტომობილებს მათ ფასზე გადავამრავლებთ და დავამატებთ ძვირადღირებული ავტომობილების რაოდენობის ნამრავლს მათ შესაბამის ფასებზე, მივიღებთ ავტომობილების მწარმოებელთა მთლიან ბრუნვას და ის ასევე შინამეურნეობების მიერ ნაყიდი ავტომობილების მთლიანი ღირებულების ტოლი იქნება. ასეთი სახით აგრეგირებული ციფრები, სადაც ერთეულები მათი ფასებით არის „შეწონილი“, ადიტიურია და მათ მაკროეკონომიკური მნიშვნელობა აქვთ. პროდუქტების შედარებითი ფასი ფიზიკური რაოდენობებისთვის ეკონომიკური შეწონვის კარგ სისტემას ქმნის, რადგან ის წარმოადგენს პროდუქტების წარმოების შედარებით ღირებულებას და/ან მომხმარებლების მიერ გამოვლენილ შედარებით უპირატესობას. ნათელია, რომ ფასების დაწესება ყოველთვის შედარებითი ღირებულების ან შედარებითი უპირატესობების საფუძველზე არ ხდება და ისინი შეიძლება მონოპოლისტური ქცევის ან საგადასახადო რყევების ზეგავლენას განიცდიდეს. მიუხედავად ამისა, ფართო გაგებით, შედარებითი ფასების სტრუქტურა შეწონვის ვალიდურ სისტემას უზრუნველყოფს.

ამიტომ, ფიზიკური მოცულობების გაანგარიშებისთვის ეროვნულ ანგარიშებში ფიზიკური ერთეულები მათივე ფასით შეიწონება. მაგრამ აქ კიდევ ერთი პრობლემა რჩება. რადგან ჩვენი მიზანია მოცულობის ცვლილების გაზომვა, საჭირო ხდება რამდენიმე განსხვავებული პერიოდის გამოყენება. სამწუხაროდ, ფასებიც ხშირად იცვლება მოცულობებთან ერთად. ამის გამო, საჭირო ხდება ფასების ცვლილების „გაყინვა“. ორ პერიოდს შორის მოცულობის ცვლილების გასაზომად ეროვნული მოანგარიშები ერთი პერიოდის მოცულობის ნამრავლს მისივე ფასზე ადარებენ მეორე პერიოდში ფასის *იმავე* სტრუქტურასთან შეწონილ ფიზიკურ ერთეულებს. მაგალითი უფრო გაგვიადვილებს აღნიშნულის სწორად გაგებას.

დავუშვათ, გვაქვს ორი ტიპის ავტომობილი: პატარა, რომელსაც ასე აღვნიშნავთ “s” და დიდი “l”. პატარა ავტომობილების რაოდენობა აღვნიშნოთ Q_s -ით და დიდების - Q_l -ით. ამ ცვლადებს დავუმატოთ ინდექსი t , რაც მიაჩნებებს, რომ ჩვენ ვიხილავთ ცვლადს t პერიოდში. მაგალითად, $Q_{s,t}$ ნიშნავს, რომ პატარა ავტომობილების გარკვეული რაოდენობა t პერიოდშია წარმოებული (ან შესყიდული). P_s -ით აღვნიშნოთ პატარა ავტომობილების ფასი, ხოლო P_l -ით დიდების. იმისათვის, რომ

ვნახოთ, თუ რა ცვლილებას ჰქონდა ადგილი t და t' პერიოდებს შორის, ეროვნული მონაგარიშეები ერთმანეთს ადარებენ t პერიოდის $(Q_{s,t} \times P_s) + (Q_{i,t} \times P_i)$ და t' პერიოდის $(Q_{s,t'} \times P_s) + (Q_{i,t'} \times P_i)$ მოცულობებს. როგორც ჩანს, ორივე პერიოდისთვის P_s და P_i ფასები უცვლელია. ფაქტობრივად შესაძლებელია ფასის სხვა წყვილების შერჩევაც: t პერიოდისთვის, t' პერიოდისთვის ან ამ ორის კომბინაციით. მიუხედავად ამისა, დაწყვილება მაინც იგივე იქნება ამ ორი პერიოდისთვის. აქედან გამომდინარეობს მოცულობების გაანგარიშების სისტემის აღწერაც, კერძოდ, **შეფასება მუდმივი (უცვლელი) ფასებით**. მე-2 სავარჯიშოში მოცემულია მუდმივ ფასებში შეფასების მაგალითი.

რაოდენობებით მანიპულირებამ შეიძლება გაკვირვება გამოიწვიოს ახალბედა მომხმარებელში, რომლისთვისაც ჯერ უცხოა ეს სისტემა. დავუშვათ, დიდი მანქანის ფასი ორჯერ აღემატება პატარისას. ასევე დავუშვათ, რომ ორივე წლის განმავლობაში მწარმოებელი იგივე რაოდენობის ავტომობილებს უშვებს (ვთქვათ, 100), მაგრამ დიდი ავტომობილების ხვდრითი წილი 50%-იდან 80%-მდე იზრდება. გავიანგარიშოთ მოცულობის ცვლილება წინა ფორმულების გამოყენებით. ის ტოლია $(80 \times 2) + (20 \times 1)$, რაც არის მეორე წელს წარმოებული ავტომობილების მოცულობა, გაყოფილი $(50 \times 2) + (50 \times 1)$ -ზე, რაც პირველ წელს წარმოებული ავტომობილების მოცულობაა. ამ გაანგარიშების შედეგია 1.2, რაც ნიშნავს 20%-იან მატებას.

ეს მაგალითი იმაზე მეტყველებს, რომ მოცულობის ცვლილების გასაზომად არ არის აუცილებელი დიდი და პატარა ავტომობილების ფასების ცოდნა აბსოლუტურ გამოსახულებაში, მნიშვნელოვანია მათი შედარებითი ფასების ცოდნა.

ეს ნიშნავს შემდეგს: მიუხედავად იმისა, რომ ავტომობილების საერთო რაოდენობა არ შეცვლილა, ეროვნულ ანგარიშებში 20%-იანი მატება ჩაიწერა. არის თუ არა ეს ნამდვილად სიურპრიზი? არა, რადგან ეროვნულ ანგარიშებში მოცულობა ზომავს არა გამოშვებული მანქანების რაოდენობის მატებას, არამედ მომხმარებლის მიერ მიღებულ სარგებელს. ცხადია, სარგებელი 20%-ით გაიზარდა შედარებითი ფასების გამოყენებით. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ძვირადღირებული ავტომობილის სარგებლიანობა უფრო მეტია, ვიდრე პატარისა. ძალიან მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან განვასხვაოთ რაოდენობების ზრდა და მოცულობების ზრდა, რათა მივხვდეთ, თუ როგორ ხდება ეროვნულ ანგარიშებში მატების ჩაწერა.

კერძოდ, მოცულობაში ხდება ყველა სახის ხარისხობრივი განსხვავების ასახვა. მაგალითად, ეროვნულ ანგარიშებში არ ხდება უმაღლესი ხარისხის საწვავისა და მეორე ხარისხის საწვავის ერთად აღრიცხვა ტონებში, თუ მსგავსების მიუხედავად, ისინი სრულიად ურთიერთშემცვლელი არ არის. ასევე, ეროვნულ ანგარიშებში ითვალისწინებენ პროდუქტის გასაღების ობიექტსაც (მცირე ადგილობრივი მაღაზია ან სუპერმარკეტი), რადგან ეს პროდუქტის ერთ-ერთი მახასიათებელია და არ ხდება ორი იდენტური პროდუქტის ერთმანეთზე დამატება, თუ ისინი განსხვავებული საცალო ობიექტებიდან იყიდება. ასეთ ხარისხობრივ განსხვავებებს განსაკუთრებით დიდი გავლენა აქვს კომპიუტერების (იხ. ჩანართი 2.1) შემთხვევაში. როდესაც ბაზარზე ახალი პროდუქტების წარდგენა ხდება, არსებითად ძნელდება მოცულობისა და ფასების გაზომვა. ასეთ დროს მუდმივი ფასების გამოყენება არაადეკვატურია, რადგან იგულისხმება, რომ ყველა პროდუქტი წინა პერიოდშიც იყო ბაზარზე, რაც არასწორია ახალი პროდუქტებისთვის (მობილური ტელეფონები, მაგალითად, 1990-იანების შუა პერიოდი).

ჩანართი 2.1. ეროვნული ანგარიშების მიხედვით კომპიუტერების მოცულობა მკვეთრად იზრდება

დავუშვათ, A წლის განმავლობაში X ტიპის 1000 კომპიუტერი გაიყიდა, რომელთა სიმძლავრე P_x -ია, ხოლო სიჩქარე V_x . ახლა დავუშვათ, რომ $A + 1$ წლის განმავლობაში Y ტიპის 1000 კომპიუტერი გაიყიდა, რომელთა პარამეტრებია P_y და V_y და ერთეულის ფასი არ შეცვლილა. მიკროპროცესორების პროგრესის გამო, P_y და V_y უფრო ძლიერია, ვიდრე P_x და V_x .

რა თქმა უნდა, ეროვნული მონაცემები არ ფიქრობენ, რომ კომპიუტერების მოცულობა მათი რაოდენობის ტოლია. ისინი ითვალისწინებენ კომპიუტერების ხარისხს და მათ შესაბამისი ფასით შეწონიან. უმეტეს შემთხვევაში, Y ტიპის კომპიუტერები წინა A პერიოდში ბაზარზე არ იყო, შესაბამისად, არც მათი ფასი გვაქვს შეწონვისთვის. ამიტომ, სტატისტიკოსები ეკონომეტრიკულ (ე.წ. “ჰედონურ”) თეორიას იყენებენ კომპიუტერების ფასსა და მის ძირითად მახასიათებლებს შორის ურთიერთკავშირის შესასწავლად, ე.ი., რა უჯდება კომპიუტერის შესყიდვა მომხმარებელს სიმძლავრისა და სიჩქარის გაუმჯობესების ხარჯზე. ამ ურთიერთკავშირების შესწავლით ადგენენ, რა ფასი ექნებოდა Y ტიპის კომპიუტერს A წელს. დავუშვათ, შეფასებით, ახალი Y კომპიუტერის ფასი A წელს 20%-ით მაღალი იყო X ტიპის კომპიუტერზე. ეს ნიშნავს, რომ Y -ის ფასი მომდევნო წელს 20%-ით შემცირდა. ეს ჰიპოთეზა რეალისტურია, რადგან ყველასათვის ცნობილია, რომ კომპიუტერების ფასი სწრაფად მცირდება მაშინაც კი, თუ მათი სიმძლავრე იზრდება.

ამიტომ, ეროვნულ ანგარიშებში $A + 1$ წელს კომპიუტერის ფასები “ A წლის ფასებით” უნდა გამოვსახოთ, ე.ი. A წელთან შედარებით 20%-ით მაღლა. შესაბამისად, ეროვნულ ანგარიშებში კომპიუტერების მოცულობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე შესყიდული კომპიუტერებისა. აქედან გამომდინარე, უკვე გასაგები ხდება იმ ფენომენის არსი, რომელსაც ეროვნული მონგარიშები იყენებენ: ჯაჭვურად გადაბმული და არა მუდმივ ფასებში გამოსახული ანგარიშები (იხ. შემდგომი ჩანართები).

იგივე ფენომენს შეიძლება დავაკვირდეთ ავტომობილების შემთხვევაშიც, თუ მერსედესის ფასი ფიატის ფასამდე დაეცემა. ხალხი უფრო მეტად დაიწყებს მერსედესების შესყიდვას, ხოლო ეროვნულ ანგარიშებში ჩაიწერება მოცულობის მკვეთრი ზრდა, თუნდაც გაყიდული ავტომობილების რაოდენობა არ შეიცვალოს. სამწუხაროდ, ასეთი რამ ხდება ავტომობილების შემთხვევაში.

4. ფიზიკური მოცულობისა და ფასის ინდექსები

ახლა საჭიროა საკმაოდ გრძელი მათემატიკური გადახვევა გავაკეთოთ და ავხსნათ *ფიზიკური მოცულობისა და ფასის ინდექსები*, რათა მკითხველისთვის სრულიად გასაგები გახდეს, თუ როგორ ხდება ეროვნულ ანგარიშებში მოცულობის გაზომვა. **ფიზიკური მოცულობის ინდექსი** წარმოადგენს ორ პერიოდს შორის საქონლისა და მომსახურების მოცემული ჩამონათვალის რაოდენობრივი ცვლილების შეწონილ საშუალოს. ტრადიციულად, მოცემული პერიოდისთვის ამ ინდექსების სტანდარტული მნიშვნელობაა 100, თუმცა ამ წიგნში დათქმის მიხედვით მათი სტანდარტული მნიშვნელობა იქნება 1 და არა 100. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, თუმცა, როგორც მოცულობის, ისე ფასის ინდექსები ისეთი რიცხვებია, რომელთა ინტერპრეტირება მხოლოდ ცვლილების პირობებშია შესაძლებელი. ასევე, დათქმის მიხედვით, საწყისი პერიოდი აღინიშნება 0-ით, ხოლო შესადარი პერიოდი t -თი. დროის ეს პერიოდები შეიძლება ან თანმიმდევრული იყოს, ან არა.

თუ t პერიოდში რაიმე პროდუქტის რაოდენობას ან ფასს შესაბამისად იმავე პროდუქტის რაოდენობასა ან ფასზე გავყოფთ 0 პერიოდში, მივიღებთ $\frac{q_t}{q_0}$ ან $\frac{p_t}{p_0}$, რაც

ცნობილია როგორც ფიზიკური მოცულობის ან ფასის დონეები ან ინდივიდუალური ინდექსები. რაოდენობისა და ფასის დონეები არ არის დამოკიდებული მათ საზომ ერთეულებზე. ინდექსების უმრავლესობა რაოდენობისა და ფასის დონეების შეწონილ საშუალოს წარმოადგენს ან მათგან გამომდინარეობს. ძირითადად, ეს ფორმულები ინდივიდუალური ინდექსების შეწონვისა და გამოყენებული საშუალოს

სახის, სახელდობრ, არითმეტიკული, გეომეტრიული, ჰარმონიული და სხვ., მიხედვით განსხვავდება.

ინდექსებს შორის ყველაზე ხშირად ლასპერესისა და პააშეს ინდექსებს იყენებენ. ეს სტატისტიკოსები მე-19 საუკუნეში მოღვაწეობდნენ. ეროვნული ანგარიშების სისტემების უმრავლესობაში (და კერძოდ ევროპულშიც) ლასპერესის ინდექსით მოცულობის ცვლილებას ანგარიშობენ, ხოლო პააშეს ინდექსით - ფასების ცვლილებას. ორივე შემთხვევაში რაოდენობის ან ფასის დონის შეწონილი საშუალოები გამოიყენება, ხოლო წონებად აღებულია საქონლისა და მომსახურების მიმდინარე ფასებში გამოსახული ღირებულებები დროის ერთ-ერთ შესადარ პერიოდში.

დავუშვათ, რომ $v_{ij} = p_{ij} q_{ij}$ არის i პროდუქტის მიმდინარე ფასში გამოსახული ღირებულება j პერიოდში. ლასპერესის ფიზიკური მოცულობის ინდექსი (L_q) წარმოადგენს რაოდენობის ინდექსის შეწონილ საშუალოს:

$$L_q = \sum_i \frac{v_{io}(q_{it}:q_{io})}{\sum_i v_{io}} \quad (1)$$

შეწონვისთვის გამოყენებული პერიოდი ცნობილი როგორც „საბაზისო“. ძირითადად (მაგრამ არა ყოველთვის), ის ემთხვევა „ათვლის“ პერიოდს, რომლისთვისაც ინდექსის სტანდარტიზებული მნიშვნელობა 100-ის ტოლია. რადგან შეჯამების დროს საქონლისა და მომსახურების ერთი და იგივე ნაკრებს ვიყენებთ, შესაძლებელია ინდექსი i აღარ მივუთითოთ (1) ტიპის გამოსახულებაში. და რადგან განსაზღვრის მიხედვით $v_{ij} = p_{ij} q_{ij}$, შესაძლებელია მისი შეცვლა (1)-ში (2)

გამოსახულების მისაღებად:

$$L_q = \frac{\sum p_o q_t}{\sum p_o q_o} \quad (2)$$

(1) და (2) გამოსახულებები ალგებრულად იდენტურია. ეს ნიშნავს, რომ მუდმივ ფასებში ფიზიკური მოცულობის ცვლილება შეიძლება ორი გზით გაიზომოს: საქონლისა და მომსახურების რაოდენობების საშუალო ცვლილება შეიძლება შეეწონოს საბაზისო პერიოდის მიმდინარე ფასებში გამოსახული ღირებულებებით; ან t პერიოდის რაოდენობები გავამრავლოთ საბაზისო ფასებზე და გავყოთ საბაზისო პერიოდის მიმდინარე ფასებში გამოსახულ ღირებულებაზე. მე-3 სავარჯიშოში მოტანილია შესაბამისი მაგალითი დიდ და პატარა ავტომობილებთან დაკავშირებით.

პააშეს ფასების ინდექსი ლასპეირესის შებრუნებულია და ის წონებად იყენებს t პერიოდის მნიშვნელობებს მიმდინარე ფასებში და ამ ინდექსში არითმეტიკულის ნაცვლად ფასის საშუალო ჰარმონიული ინდექსია გამოყენებული.

პააშეს ფასების ინდექსს, P_p , ასეთი სახე აქვს:

$$P_p = \frac{\sum v_t}{\sum v_t(p_0 \div p_t)} = \frac{\sum p_t q_t}{\sum p_0 q_t} \quad (3)$$

ამ ფორმულიდან ცხადად ჩანს, რომ ფასის ინდექსი გვაქვს, რადგან ამ შემთხვევაში ფასები იცვლება და რაოდენობები დაფიქსირებულია, მოცულობის ინდექსისგან განსხვავებით, რაც ადრე ვნახეთ. პააშეს ინდექსის ინტერპრეტირება შესაძლებელია ლასპეირესის ინდექსის „უკუღმა გადაბრუნებით“. სხვა სიტყვებით, ეს არის ლასპეირესის შებრუნებული ინდექსი 0 პერიოდისთვის, სადაც საბაზისო პერიოდად t გვევლინება. ლასპეირესისა და პააშეს ინდექსების უკუდამოკიდებულება მრავალ სიმეტრიას წარმოშობს, რაც შეიძლება გაანგარიშებებში გამოვიყენოთ.

კერძოდ, ლასპეირესის ფიზიკური მოცულობის ინდექსის ნამრავლი პააშეს შესაბამის ფასების ინდექსზე გვადლევს მიმდინარე ფასებში საქონლისა და მომსახურების ღირებულების ცვლილებას 0 და t პერიოდებს შორის, ე.ი.:

$$L_q P_p = \frac{\sum p_0 q_t \sum p_t q_t}{\sum p_0 q_0 \sum p_0 q_t} = \frac{\sum v_t}{\sum v_0} \quad (4)$$

ეს არის ძირითადი ურთიერთკავშირი (4) ეროვნულ ანგარიშებში. თუ მარჯვნიდან მარცხნივ წავიკითხავთ, ის გვიჩვენებს, რომ მიმდინარე ფასებში აგრეგატის ვარიაცია ფიზიკური მოცულობისა და ფასების ინდექსის ნამრავლის ტოლია. მისი საშუალებით მათემატიკურად ახსნილია „პირველი ძირითადი იგივეობა“ პირველი თავიდან. მოცემული ტოლობა მუდმივად გამოიყენება ეროვნულ ანგარიშებში. მაგალითად, ის გამოიყენება ფიზიკური მოცულობის არაპირდაპირ მისაღებად, თუ ღირებულების ცვლილებას პააშეს ფასების ინდექსზე გავყოფთ. ამ მეთოდზე ადრეც ვიმსჯელებთ და ის ცნობილია, როგორც „დეფლატირება“:

$$L_q = \frac{\sum v_t}{P_p \sum v_0} \quad (5)$$

იმის გამო, რომ ზოგადად ფასების ინდექსის გამოთვლა უფრო ადვილია და ნაკლებდანახარჯიანია, ეკონომიკურ სტატისტიკაში მოცულობების მიღება ჩვეულებრივ, დეფლატირების გამოყენებით ხდება. ეს პრაქტიკა ასევე გაზიარებულია ეროვნულ ანგარიშებშიც (იხ. სავარჯიშო4).

5. მუდმივი ფასები

ახლა განვიხილოთ ლასპეირესის მოცულობის ინდექსის ქრონოლოგიური მწკრივი:

$$\frac{\sum p_0 q_0}{\sum p_0 q_0}, \frac{\sum p_0 q_1}{\sum p_0 q_0}, \dots, \frac{\sum p_0 q_t}{\sum p_0 q_0} \quad (6)$$

თუ მწკრივის ყველა წევრს გადავამრავლებთ საერთო გამყოფზე $\sum p_0 q_0$, მივიღებთ ე.წ.

„მუდმივი ფასების“ მწკრივს, რაც უკვე ვნახეთ ზემოთ დიდი და პატარა ავტომობილების მაგალითში:

$$\sum p_0 q_0, \sum p_0 q_1, \dots, \sum p_0 q_t \quad (7)$$

ამ მწკრივის შესადარი მომენტები ერთი პერიოდიდან მეორემდე შესაბამისი ლასპეირესის ინდექსის იდენტურია, რაც (6) ფორმულაშია მოცემული; ეს მწკრივები ერთმანეთისგან მხოლოდ მეორე მწკრივის პირველი წევრის სკალით იქნება განსხვავებული. ტერმინი „მუდმივი ფასები“ აღნიშნავს, რომ ეს აგრეგატები ფიქსირებული პერიოდის, ამ შემთხვევაში, 0-ოვანი პერიოდის ფასების სტრუქტურას იყენებენ.

ეროვნულ ანგარიშებში მუდმივი ფასები ფართოდ გამოიყენებოდა, რადგან მათ ერთი სასარგებლო თვისება გააჩნდათ, კერძოდ, მიღებული აგრეგატების ადიტიურობა; სხვა სიტყვებით, შესაძლებელია ამ ანგარიშების ცალკეული „ნაწილების“ შეკრება ან გამოკლება. მაგალითად, მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების გამოშვების მოცულობა ზუსტად თითოეულის გამოშვების ჯამის ტოლია. შემდგომში ვნახავთ, რომ, როდესაც მოცემული ადიტიურობის თვისება იკარგება, ამ სისტემის გამოყენების მიტოვება მოგვიწევს, რადგან ეას 2008-ის მიხედვით მოცულობის უფრო რთული ინდიკატორების გამოთვლა მოგვიწევს, რაც უკვე დანერგილია ეთგო-ს ქვეყნებში.

ის ერთეულები, რომელთა გამოყენებით ანგარიშები მუდმივ ფასებშია გამოსახული, მაინც ხელოვნურია. ამ პირობით, სახეზეა განზომილების გარეშე მწკრივების გამრავლება (მე-6 ფორმულაში მოცემული ინდექსების მწკრივი, სადაც ღირებულება საბაზისო წლის მიმდინარე ფასებშია გამოსახული ($\sum p_0 q_0$)), შეიძლება დავასკვნათ,

რომ შედეგად ვიღებთ მწკრივს, რომელიც მიმდინარე ფულად გამოსახულებაშია (მაგ. მლრდ ევროებში). თუმცა, იმის გამო, რომ გამოყენებულია წარსული პერიოდის და არა მიმდინარე პერიოდის ფასები, გამოიყენება შემდეგი ტერმინოლოგია: „ანგარიშები [საბაზისო წლის] [ფულად გამოსახულებაში]“, მაგალითად „2005 წლის ევროში“. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერმინოლოგია ფართოდ გამოიყენება, მას თანდაყოლილი სისუსტე გააჩნია: სახელდობრ, „2005 წლის ევროში“ იმდენი ღირებულება იქნება, რამდენიც ტრანსაქციაა; ასე მაგალითად, შინამეურნეობების

მოხმარების მწკრივში „2005 წლის ევროში“ ღირებულებების გადასათვლელად დეფლაცირება ხდება სამომხმარებლო ფასების ინდექსით, ხოლო ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირებისთვის გამოყენებული ღირებულებები გადათვლილია მისი შესაბამისი ფასების ინდექსით და ა.შ.

ამიტომ, როდესაც ეროვნული ანგარიშები მუდმივ ფასებშია გამოსახული და საბაზისო პერიოდი არის 2005, ვამბობთ, რომ აგრეგატები „2005 წლის ფასებშია“ გამოსახული. ამასთან, ფიზიკური მოცულობით წარმოდგენილი ეროვნული ანგარიშების გაანგარიშება არ ხდება პირდაპირ მუდმივ ფასებში, არამედ ხდება მისი ჯაჭვური დაკავშირება წინა წლის მუდმივ ფასებთან. სწორედ ამ სირთულესთან გვექნება შეხება მომდევნო ქვეთავში.

6. „ჯაჭვური“ ანგარიშები და ადიტიურობის დაკარგვა

საჭირო არ არის დეტალურად ჩავუღრმავდეთ ფიზიკური მოცულობის ინდექსებს იმისათვის, რომ შედარებით ადვილად ავხსნათ შემდეგი: მუდმივი ფასები სრულად არ აკმაყოფილებს ეკონომიკური ანალიზის მოთხოვნებს. ფიქსირებული წლის შერჩევა ნიშნავს, რომ რაც უფრო დაგვირდებით საბაზისო წელს, მაინც ფასების ძველი სტრუქტურა უნდა გამოვიყენოთ, რომელიც სულ უფრო დაშორებული იქნება მიმდინარე სტრუქტურისგან. მაგალითად, სანამ საფრანგეთში რეფორმები გატარდებოდა, ეროვნულ ანგარიშებში საბაზისოდ 18 წლის წინანდელ ფასებს იყენებდნენ (1998 წლამდე „საბაზისო წელი 1980“ იყო). რაც უფრო დაშორებულია საბაზისო წელი, მით უფრო იზრდება შეცდომების რისკი. მაგალითად, 1990-იანების ბოლოს შესყიდული კომპიუტერების „რაოდენობები“ წლიდან წლამდე მკვეთრად იზრდებოდა. არც ისე გონივრული იყო 1980 წლის ფასების სტრუქტურის გამოყენება წონებად, რადგან მაშინ კომპიუტერების შედარებითი ფასი ძალიან მაღალი იყო. მეორე მხრივ, ეს სწორი იყო, რადგან კომპიუტერების შედარებითი ფასი მკვეთრად დაეცა ბაზრის გაჯერების გამო. ამ ზრდის შეწონვა ძველი ფასების სტრუქტურით იწვევს ფიზიკური მოცულობის გადაჭარბებით შეფასებას, ხოლო უკანასკნელ პერიოდებში ფასების კლება - მის არაჯეროვან შეფასებას, რაც ისტორიულ სურათს ამახინჯებს (იხ. ჩანართი 2.2 ქვემოთ).


სწორედ ამ მიზეზის გამო გამოიყენება ეროვნულ ანგარიშშიანობაში „ჯაჭვური გადაბმის (დაკავშირების) მეთოდი“. ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება და სამ ეტაპს მოიცავს. პირველ ეტაპზე ანგარიშები წინა წლის ფასებით გაიანგარიშება. წინა წლის ფასების სტრუქტურა მიმდინარე პერიოდის მოცულობების ცვლილების შესაწონად ვალიდურია. ამ გზით ვიღებთ აგრეგატების ცვლილებას წინა და მიმდინარე პერიოდებს შორის და აღნიშნული გვევლინება როგორც მიმდინარე „ანგარიშები წინა

წლის ფასებით“. შემდეგ, ეს ცვლილებები ერთმანეთს გადაეჯაჭვება (ანუ თითოეული მათგანი მომდევნოზე გადამრავლდება) აგრეგატების მიხედვით. ამ გზით ვიღებთ მატების ტემპების მწკრივს, რომელთაგან თითოეული წინა პერიოდის ფასების სტრუქტურას იყენებს. და ბოლოს, მოცულობის მწკრივის დონეების მისაღებად, ეს მწკრივი მრავლდება ანგარიშების ღირებულებაზე ათვლის წლის მიმდინარე ფასებში, რაც ამ ეტაპზე მრავალი ქვეყნისთვის არის 2005 წლის ფასები (თუმცა, ის ყოველ ხუთ წელიწადში იცვლება).

ჩანართი 2.2. დამახინჯების მაგალითი მუდმივი ფასების გამოყენების დროს

მოცულობის შეფასებაში საკმაოდ დაშორებული საბაზისო წლის მუდმივი ფასების გამოყენება დამახინჯებას იწვევს, რაც უფრო მნიშვნელოვანი ხდება, თუ სახეზეა არსებითი ვარიაციები შედარებით ფასებში. ამისთვის ყველაზე კარგი მაგალითია კომპიუტერები. 1980-2000 წლებში საფრანგეთში ძირითადი კაპიტალის მთლიან დაგროვებაში მოწყობილობებისთვის (ტრანსპორტის გარდა) საბაზისოდ 1980 წლის ფასები გამოიყენოდა, $1980 = 100$. პერიოდის ბოლოსთვის კომპიუტერების ფასების ინდექსი 8.7 პუნქტით დაეცა, ხოლო სხვა მოწყობილობებისთვის ამ ინდექსმა 136.1 შეადგინა. ახლა ეს იმ აგრეგატის მოცულობას შევადაროთ, რომელშიც კომპიუტერებიც შედის და დანარჩენი მოწყობილობებიც. თუ 1980 წლის მუდმივ ფასებს გამოვიყენებთ, მაშინ ორ პერიოდს შორის ფასების ცვლილება 316% იქნება, ხოლო თუ წინა წლის მუდმივ ფასებს გამოვიყენებთ და შემდეგ ჯაჭვურად გადავაბამთ, მაშინ ის მხოლოდ 143% იქნება და ეს სწორი ციფრია. პირველ შემთხვევაში, რომელიც 1980 წლის შედარებითი ფასების სტრუქტურაზეა დაფუძნებული, გადაჭარბებით არის შეფასებული კომპიუტერებში განხორციელებული ინვესტიციები, რადგან მათი შედარებითი ფასი მნიშვნელოვნად დაეცა.

ნახაზი 2.1. განსხვავება 1980 წლის მუდმივ ფასებსა და ჯაჭვურ ფასებს შორის საფრანგეთი, კომპიუტერები და სხვა მაკომპლექტებელი ნაწილები



წყარო: OECD (2013), "Aggregate National Accounts: Gross domestic product", OECD National Accounts Statistics (database), <http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143602>

ჯაჭვური გადაბმის უპირატესობა იმაშია, რომ წინა წლის ფასების სტრუქტურა უფრო რელევანტურია, ვიდრე შორეული წარსულისა. შეიძლება იმის ჩვენება, რომ თეორიულად, წინა და მიმდინარე პერიოდის საშუალო ფასების სტრუქტურა მოცულობის ცვლილებისათვის უკეთესი საზომია. ჯაჭვური მოცულობები, სადაც წინა წლის ფასების სტრუქტურაა გამოყენებული, ჩვეულებრივ აღიწერება როგორც „ლასპირესის ჯაჭვები“; თუ ინდექსებში წინა და მიმდინარე პერიოდის საშუალო ფასების სტრუქტურა გამოიყენება, მაშინ ეს „ფიშერის ჯაჭვებია“. პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ქვეყნების უმრავლესობა ლასპირესის ჯაჭვებს იყენებს, თუმცა კანადასა და აშშ-ში ახლა ფიშერის ჯაჭვებს იყენებენ (იხ. ჩანართი 2.3. ქვემოთ). ჩვეულებრივ, ამ ინდექსებს შორის განსხვავება ძალიან მცირეა. ფიშერის ჯაჭვური ინდექსები კარგად არის მორგებული აშშ-ის ეროვნული ანგარიშების პრაქტიკაზე, თუმცა სხვა ქვეყნები მიიჩნევენ, რომ მათი ძირითადი სირთულე ამ ტიპის ინდექსების სრული არაადიტიურობაა. ცხადია, რომ ეს ქვეყნები თავიანთ ეროვნულ ანგარიშებში წარმოების პროცესს იყენებენ, რაც თავის მხრივ ბუღალტრულ

იგივეობებს ეყრდნობა და ამისთვის მინიმუმ წინა წლის ფასებით შეფასებული ანგარიშების ადიტიურობა აუცილებლობას წარმოადგენს.

ლასპეირესის ჯაჭვური მოცულობების წარდგენა ასე უნდა ხდებოდეს: „ანგარიშები წინა წლის ფასებში, ჯაჭვური, ათვლის წელი 2005“. თუმცა, პრაქტიკაში ქვეყნებიც და ეკონომისტებიც აგრძელებენ „მუდმივი ფასების“ გამოყენებას ან უბრალოდ უთითებენ, როგორც ანგარიშებს „2005 წლის ევროში“ (ამ თავის ბოლოს, მე-5 სავარჯიშოში ნაჩვენებია ჯაჭვური მოცულობების გაანგარიშების სამი საფეხური). ჯაჭვური ანგარიშების უპირატესობა მუდმივ ფასებთან შედარებით იმაშია, რომ მათი საშუალებით შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ ფასების ცვლილების დამახინჯება და მათი გადამეტებული შეფასება, როგორც ეს ზემოთ ვნახეთ. აშშ-ში პირველად დანერგეს ჯაჭვური ანგარიშები და მათ გამოთვალეს, რომ ჯაჭვურთან შედარებით ფიქსირებული, 1996 წლის ფასების გამოყენება საბაზისოდ 2001 - 2003 წლებში აშშ-ის მშპ-ს 1.6%-ით გაზრდიდა; წლიური 2.7%-ის ნაცვლად, წლიური მატება 4.3% იქნებოდა, რაც არარეალისტურად ჩანს. ამ განსხვავების სათავე კომპიუტერებიდან მოდის, რომელთა მოცულობის ზრდა 2001-03 წლებში გადამეტებული იქნებოდა 1996 წლის ფასებით.

ჯაჭვური მეთოდის დიდი ნაკლოვანებაა ჯაჭვურად დაკავშირებული მოცულობების დონეების არაადიტიურობა. კერძოდ, და ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს, აღარ არის შესაძლებელი ერთი აგრეგატის მოცულობის მიღება სხვა აგრეგატების მოცულობების კომბინაციით (შეკრებით ან გამოკლებით). მაგალითად, მსხვილი საკლასიფიკაციო მუხლი უკვე აღარ მიიღება მისი შესაბამისი შედარებით დეტალიზებული მუხლების დაჯამებით. მე-6 სავარჯიშოში ნაჩვენებია, თუ როგორ უნდა გავიანგარიშოთ ყველა წესის დაცვით აგრეგატი, თუ ის სტატისტიკური ინსტიტუტის მიერ არ არის უზრუნველყოფილი. ჩანართი „შეზღუდვები ეროვნულ ანგარიშებში“ გვიჩვენებს, რომ ეს პრობლემა აგრეთვე გავლენას ახდენს მატებაში შეტანილი წვლილის გაანგარიშებაზე.

ჩანართი 2.3. როგორ მიიღება ფიზიკური მოცულობები აშშ-ის ეროვნულ ანგარიშებში

აშშ-ის ეროვნულ ანგარიშების მოცულობების მწკრივები (NIPA, თავი 12) მიიღება ფიშერის მოცულობების ჯაჭვური ინდექსებით, რომლებშიც მიმდინარე ეტაპზე ათვლის წერტილად 2009 წლის ფასებია გამოყენებული (აშშ-ში ტერმინი „ათვლის წელი“ გამოიყენება „საბაზისო წლის“ ნაცვლად). მწკრივებს სათაურში მითითებული აქვს „ჯაჭვურად (2009) დოლარებში“ ან ზოგჯერ უფრო მარტივად „ჯაჭვურად დოლარებში“. თითოეული კვარტალის მიხედვით მოცულობის ცვლილება

გაიანგარიშება ფიშერის ინდექსით, რომელიც ლასპეირესისა და პააშეს ფიზიკური მოცულობის ინდექსების გეომეტრიული საშუალოა. ამ ინდექსის უპირატესობა იმაშია, რომ წონებად ორივე პერიოდის ფასებია გამოყენებული. ეს კვარტალური ინდექსები შემდეგ ჯაჭვურად უკავშირდება ერთმანეთს (მრავლდება ერთმანეთზე) და ხდება ინდექსების დროითი მწკრივის ფორმირება, რომლისთვისაც შეთანხმების მიხედვით ათვლის წლად აღებულია 2009 = 100. ეს ათვლის წელი 4-5 წელში ერთხელ იცვლება, როდესაც ხდება ეროვნული ანგარიშების სრული გადახედვა. შემდეგ დროის ეს მწკრივი მრავლდება მოცემული აგრეგატის ღირებულებაზე 2009 წლის მიმდინარე ფასებში. ამგვარად, მომხმარებელი მიიღებს დროით მწკრივს, რომელიც გამოსახულია „2009 წლის მლრდ დოლარებში“. სხვა ჯაჭვური მწკრივების მსგავსად, ეს აგრეგატებიც არაადიტიურია. მე-7 სავარჯიშოში ნახავთ, თუ როგორ უნდა გაკეთდეს პროგნოზები ამ კომპლექსური ჯაჭვური მწკრივების გამოყენებით.

7. ჯაჭვური გადაბმის არასასურველი პრაქტიკული შედეგები

ჯაჭვური გადაბმა ეთგო-ს თითქმის ყველა ქვეყანაშია დანერგილი როგორც წლიური, ისე კვარტალური ანგარიშებისთვის. როგორც წინ ავხსენით, მას მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნია ფიქსირებული წლის ფასებში გამოსახვასთან შედარებით, რადგან აგრეგატის *ზრდის ტემპი* უფრო ზუსტია. თუმცა, აქვს მნიშვნელოვანი ნაკლოვანებაც, რაც ჯაჭვურად გადაბმული დონეების არაადიტიურობაში გამოიხატება და ამის გამო მომხმარებლებს არ ეძლევათ საშუალება იოლად გააკეთონ გარკვეული გაანგარიშებები საბალანსო იგივეობების საფუძველზე. ეს ყოველივე მაკროეკონომისტებისთვის ფრიად საგანგაშოა. მაგალითად, იმის გამო, რომ ჯაჭვური გადაბმა ეთგო-ს თითქმის ყველა ქვეყანაშია დანერგილი, „კირკიტა“ ეკონომისტისთვის შეუძლებელია ისეთი მარტივი ჯამის მიღება, როგორცაა საბოლოო მოთხოვნის ფიზიკური მოცულობის დროითი მწკრივები, რაც შიდა და გარე საბოლოო მოთხოვნის ჯამს ეფუძნება. სახელდობრ, მეორე ძირითადი იგივეობა, რომელიც პირველ თავშია მოტანილი. $GDP = C + GFC + X - M$, მათემატიკურად დარღვეულია, რადგან დამატებითი ნარჩენობითი წევრია ამ განტოლების ორ წევრს შორის. ამ ნარჩენობით წევრს ეკონომიკური ინტერპრეტაცია არ გააჩნია.

პრაქტიკულად, ეკონომისტები თავიანთ ეკონომიკურ მოდელებში ფუნქციებისთვის რეგულარულად იყენებენ ჯამებს, შუალედურ შედეგებს ან სხვაობებს. ნაკლებად კირკიტა (ან შეზღუდული დროის გამო) ეკონომისტი უგულებელყოფს არაადიტიურობის პრობლემას და აგრძელებს იგივეობების გამოყენებას, თითქოს ისინი ისევ ძალაში იყოს. თუ ნარჩენობითი წევრი მცირეა, მაშინ ეს მისაღებია. მაგრამ, თუ ეს ისეთ აგრეგატებს ეხება, რომელთა დროითი მწკრივები მნიშვნელოვან

განსხვავებებს შეიცავს შედარებით შეფასებაში, როგორც ეს კომპიუტერების შემთხვევაში იყო, მაშინ ეს უკვე უფუნურობაა.

სხვების მსგავსად, ეთგო-ს ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ აგებულ პროგნოზშიც ჯამები და სხვაობებია გამოყენებული. თუმცა, რადგან მას სურს, რომ ზუსტად ის ინდიკატორები მიიღოს, რასაც ეთგო-ს წევრი ქვეყნები აქვეყნებენ, მათ აქვთ ვალდებულება, რომ ძალიან სკურპულოზურად მიუდგნენ ამ საკითხს. ამიტომ, ყველა ჯამი, შუალედური ჯამი და სხვაობა ორ-საფეხურად მიიღება, რაც ითვალისწინებს თითოეული ქვეყნისთვის ჯაჭვური გაანგარიშებების ზუსტ გამეორებას. მაგალითად, ჯამური საბოლოო მოთხოვნა, რომელიც წინ ვახსენეთ, პირდაპირ კი არ მიიღება, არამედ ორ ეტაპად. პირველად სათითაოდ გაიანგარიშებენ შიდა და გარე მოთხოვნის ფიზიკურ მოცულობას *წინა წლის ფასებში*. ეს მიიღება თითოეული ცვლადის ზრდის ტემპების გამოყენებით წინა წლის ფასებში. შემდეგ ამ ორი მოცულობის ჯამს ითვლიან და აქედან იღებენ შესაბამის სწორ ზრდის ტემპს. ეს მისაღები, ვალიდური პროცესია, რადგან *წინა წლის ფასებში* გამოსახული მოცულობები ადიტიურია, მინიმუმ იმ ქვეყნებისთვის (ეთგო-ს უმეტეს ქვეყნებში), რომლებიც ლასპეირესის ჯაჭვურ ინდექსებს იყენებენ. ეს ძალიან კარგი მიახლოებაა რამდენიმე ქვეყნისთვის, რომლებიც ფიშერის ინდექსებს იყენებენ (აშშ, კანადა).

ამ სკურპულოზური მიდგომის დამახასიათებელი თავისებურებაა ის, რომ არც ერთი მოცულობის დონე არ არის ჯაჭვურად გადაბმული. გამოიყენება მხოლოდ მატების ტემპები და დონეები მიმდინარე ფასებში. იბადება კითხვა: მაშ რატომ აქვეყნებენ სტატისტიკის სამსახურები ფიზიკური მოცულობის ჯაჭვურ დროით მწკრივებს? სავარაუდოდ, ეს ჩვეულების გამო ხდება, რადგან ფიზიკური მოცულობის ჯაჭვური დროითი მწკრივების გამოყენება რეალურად არ შეიძლება; მათ ვერ გამოვიყენებთ საბალანსო იგივეობებში და ვერც ხვედრით წილებს გამოვთვლით. მათი საშუალებით მხოლოდ ზრდის ტემპების მიღებაა შესაძლებელი. მაშინ, რატომ არ შეიძლება პირდაპირ ზრდის ტემპების გამოქვეყნება? ეს სწორედ ის შემთხვევაა, რის გამოც აშშ-ის ეკონომიკური ანალიზის ბიურომ (BEA) შეაჩერა ზოგიერთი ფიზიკური მოცულობის ჯაჭვური აგრეგატის (ე.ი. „2009 წლის დოლარებში“) გამოქვეყნება, რადგან სავარაუდოდ მომხმარებლები არასწორად მოახდენდნენ მათ ინტერპრეტირებას.

ბოლოს, და ეს არანაკლებ მნიშვნელოვანია, განვიხილოთ როგორ უნდა მოვიქცეთ ორი ცვლადის შემთხვევაში, რომელთაც განსაზღვრის თანახმად, ვერ გამოვსახავთ ზრდის ტემპებით, რადგან ეს აზროსმოკლებული იქნება: ეს არის მარაგების ცვლილების მოცულობა და წმინდა ექსპორტის ცვლილების მოცულობა. აღნიშნული ცვლადები ეთგო-ს ძირითადი აგრეგატების ცხრილის ჩამონათვალში გვხვდება [OECD](#)

[Economic Outlook \(OECD, 2013\)](#). სხვა ყველა ცვლადისგან განსხვავებით, ისინი ზრდის ტემპით კი არ არის წარმოდგენილი, არამედ მშპ-ის ზრდაში შეტანილი წვლილის მიხედვით. ზრდის ტემპების გამოყენების მიზანშეუწონლობა განპირობებულია იმით, რომ ისინი ერთ პერიოდში შეიძლება უარყოფითი იყოს, მეორე პერიოდში კი დადებითი და პირიქით. ამიტომ ეს ცვლადები მშპ-ის ზრდაში შეტანილი წვლილით არის წარმოდგენილი. თუ აუცილებლობა მოითხოვს, რომ ისინი ჯაჭვურად დაკავშირებული დონეებით წარმოვადგინოთ, მაშინ მარტივი გადაწყვეტა იქნება, თუ ამ დონეებს ისე გამოვთვლით, როგორც ადიტიური მონაცემების შემთხვევაში (იხ. ჩანართი 2.5: „შეტანილი წვლილი და ადიტიურობა“).

მიმდინარე ეტაპზე ეთგო-ს მრავალი ქვეყანა წმინდა ექსპორტის ჯაჭვურ დონეს ანგარიშობს სხვაობის სახით ჯაჭვურ ექსპორტსა და ჯაჭვურ იმპორტს შორის. მაგრამ ეს მიდგომა მშპ-ში წმინდა ექსპორტის ზუსტი წვლილის გამოთვლის საშუალებას არ იძლევა.

შეიძლება ეს რთულად ჩანს, თუმცა სინამდვილეში საკმაოდ ადვილია და აღნიშნული ნაჩვენებია მე-7 სავარჯიშოში. ასევე, ამ თავის ბოლოს იხილეთ განყოფილება „ჩაულრმავდით: მარაგების მატების ჯაჭვურად გადაბმული დონეები და სხვა მსგავსი ცვლადები“.

მთლიანობაში, ამ ქვეთავის ლოგიკა იმაში მდგომარეობს, რომ თუ ჯაჭვური გადაბმა იწვევს ადიტიურობის დაკარგვას, ასეთი დონეები შეიძლება შეიცვალოს ზრდის ტემპებით და/ან მატებაში შეტანილი წვლილით. სახელდობრ, მშპ-ის ზრდაში შეტანილი წვლილის ცხრილები ისეთი მოცულობებით არის წარმოდგენილი, რომელიც ადიტიურად რჩება (მინიმუმ წლიური მონაცემებისთვის* და როდესაც ისინი სწორად დგება ადიტიური ანგარიშების გამოყენებით), იმის მიუხედავად, ლასპეირესის ინდექსი იქნება გამოყენებული, თუ ფიშერის. ამდენად, უფრო მეტად მოსალოდნელია, რომ ეკონომეტრიკულ მოდელებში სულ უფრო მეტად გამოიყენებენ ზრდაში შეტანილ წვლილს და სტატისტიკური სამსახურები პროირიტეტად მიიჩნევენ მას.

8. განსაკუთრებული შემთხვევები

როგორც ცნობილია, ეროვნული ანგარიშები მთელ ეკონომიკას მოიცავს, თუმცა გვხვდება ცალკეული პროდუქტები, რომელთა რაოდენობის განსაზღვრა ყოველთვის არ არის გასაგები. უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხება უნიკალურ პროდუქტებს.

* ზოგადად, კვარტალური წვლილი მთლიანობაში არაადიტიურია.

მაგალითად, ძალიან რთულია გემსაშენის პროდუქციის მოცულობის განსაზღვრა, რადგან პრაქტიკულად სულ განსხვავებული გემების მშენებლობა ხდება. ყოველი გემი უნიკალურია და უამრავი ელემენტისგან შედგება. მაშ როგორ უნდა მოხდეს ორი წლის საქმიანობის შედარება?

მეორე მაგალითია ფირმებისთვის კომპიუტერული ან ბიზნეს-სამართლებრივი მომსახურება. როგორ განისაზღვრება ასეთი მომსახურების რაოდენობა? ერთ-ერთი შესაძლებლობაა დამხმარე ინდიკატორების, როგორცაა დახარჯული საათების რაოდენობა, გამოყენება. მაგალითად, პროგრამული უზრუნველყოფით მომსახურება შეიძლება შეფასდეს კომპიუტერული ექსპერტების მიერ ნამუშევარი დროის მიხედვით. ანალოგიურ შედეგამდე მივალთ, თუ მოცულობის ინდიკატორს მივიღებთ პროგრამული უზრუნველყოფის ფირმების ბრუნვის დეფლატირებით საათობრივი ანაზღაურების ინდექსით. ასეთი მეთოდის გამოყენება ხშირად უხდებათ ეროვნულ მოანგარიშებს. თუმცა, ეს საკითხი არ არის დახურული და ღიაა საკამათოდ. ერთი მხრივ, ჩნდება ირიბი მინიშნება კომპიუტერული ექსპერტების შრომის მწარმოებლობის არაეფექტურობაზე, თუმცა ეს არარეალისტური ჰიპოთეზაა. საბედნიეროდ, ასეთი სერვისების მოცულობა გავლენას არ ახდენს მშპ-ზე, რადგან ისინი შუალედურ მოხმარებას განეკუთვნებიან და მათგან მხოლოდ საბოლოო მოხმარებაში შემავალი ელემენტები ახდენენ ეფექტს მშპ-ზე (იხ. ჩანართი „მალმხმობები“ პირველ თავში). მიუხედავად ამისა, ასეთი გაზომვები გავლენას ახდენს მშპ-ის სექტორულ განაწილებაზე.

ასეთი სიძნელეები თავს იჩენს საზოგადოებრივი სერვისების შემთხვევაშიც. ისინი მშპ-ის მნიშვნელოვან ნაწილს ქმნიან, რაც მოიცავს განათლებას, თავდაცვას, მართლწესრიგს, სამთავრობო მმართველობას და წარმოადგენენ საბოლოო მოთხოვნის ელემენტებს. ასეთ შემთხვევებში ფასები არ გვაქვს, რადგან მათო გამოშვება არ იყიდება. ამასთან, დეფლატირებაც შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ ეს სერვისები არ იყიდება, მათ აქვთ ღირებულება, რომელიც შედგება საჯარო მოხელეთა ანაზღაურებისგან, სხვადასხვა სახის შუალედური მოხმარებისგან (მაგალითად, ელექტროენერგია, ტელეკომუნიკაცია, საკანცელარიო და სხვა საოფისე საკუთვნიობები და ა.შ.) და ასევე ძირითადი კაპიტალის მოხმარებისგან. გამოშვების მოცულობის გაანგარიშების დროს ჯერ უნდა მოვახდინოთ ამ დანახარჯების სათითაოდ დეფლატირება და შემდეგ შეჯამება. მაგალითად, უნდა მოხდეს სათითაოდ ხელფასების დეფლატირება მასწავლებლებისთვის, სახელმწიფო საავადმყოფოების ექიმებისთვის, სამხედროებისთვის და სხვა საჯარო მოსამსახურეებისთვის. კომპიუტერული მომსახურების პერსონალის მსგავსად, ეს

მეთოდი შრომის მწარმოებლურობის მუდმივ დონეს გულისხმობს, რაც სულ მცირე, საკამათოა.

ამ მიზნით მრავალი სტატისტიკური სამსახური განიხილავს მოცულობის პირდაპირი ინდიკატორების შემოღებას, რომლებსაც „გამომშვების ინდიკატორებს“ უწოდებენ. მაგალითად, განათლების შემთხვევაში, პირდაპირი ინდიკატორი შეიძლება იყოს იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომელთაც წარმატებით დაასრულეს სწავლა. აქაც ნაკლოვანება ჩნდება, რადგან ამ მეთოდის მიხედვით ყველა მოსწავლე იდენტურად განიხილება და გამოცდების სტანდარტები უცვლელი რჩება. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში ინდიკატორებად შეიძლება გამოვიყენოთ პაციენტების შეწონვა მათ მკურნალობაზე გაწეული დანახარჯების დიფერენცირებით. ის ინდიკატორი საკმაოდ იმედისმომცემია.

სამწუხაროდ, სხვა სამთავრობო სერვისებისთვის ძალიან ძნელია შესაბამისი ინდიკატორების მოძებნა. მაგალითად, როგორ გამოვთვალოთ დაბეგვრის ინსპექტორების, მეხანძრეების ან შეიარაღებულ ძალებში მოსამსახურეთა გამოშვება? ამ შემთხვევაში ის დაიყვანება დანახარჯების დეფლატირებაზე შესაბამისი ხელფასის ინდექსით. ჩვეულებრივი პრაქტიკაა გადახდილი ანაზღაურების დეფლატირება საბაზისო ანაზღაურების მატების ხარჯზე, რაც შეთანხმებულია სამთავრობო და დაქირავებულთა წარმომადგენლებს შორის. მიუხედავად ამისა, სამთავრობო ხელფასის ფონდი მხოლოდ ამის გამო კი არ იცვლება, არამედ იმიტომაც, რომ სამუშაო ძალის შემადგენლობა იცვლება: თუ პერსონალი წინა წელთან შედარებით უფრო კვალიფიციური იქნება, მაშინ ხელფასის ფონდი გაიზრდება. ამასთან, ბევრ ქვეყანაში ნამსახურობის წლებთან ერთად სამთავრობო მოხელეების ხელფასები იზრდება. როგორ შენიშნეთ, დეფლატირების პროცესში უნდა გათვალისწინებული იყოს ერთი მხრივ, უფრო მაღალკვალიფიციური კადრების მიღება სამუშაოზე, ან საჯარო მოხელეების ასაკში შესვლა (და შესაბამისად მათი მწარმოებლურობის გაზრდა). ამ ფაქტორების გათვალისწინებით, სამთავრობო გამოშვების ზრდის დასაბუთებისთვის დიდი ემპირიული საფუძველი არ გვაქვს, მაგრამ მოცემული მომენტისთვის ეროვნულ მონაგარიშეებს სხვა ალტერნატივა არ გააჩნიათ.

საბანკო და სადაზღვევო საქმიანობებისთვის კიდევ უფრო რთულია მოცულობა/ფასის მიხედვით ჩაშლა. ჩვენ ვნახავთ მე-4 თავში, რომ ამ საქმიანობების გამოშვება „სხვაობის“ საფუძველზე ხდება: ბანკების შემთხვევაში მიღებულ და გაცემულ საპროცენტო სარგებელს შორის, ხოლო დაზღვევის შემთხვევაში - სადაზღვევო პრემიებსა და სადაზღვევო ანაზღაურებას შორის. გაზომვის ასეთი მეთოდი საშუალებას არ გვაძლევს განსხვავება მოვახდინოთ მოცულობასა და ფასს

შორის. ამ შემთხვევაში ასეთი ტიპის სერვისების მოცულობის დადგენა გართულებულია და ქვეყნები განსხვავებულ მეთოდებს იყენებენ.

განსაკუთრებული მიდგომა გამოიყენება ვაჭრობის, ტრანსპორტისა და პროდუქტებზე გადასახადების შემთხვევაში. ბევრი ქვეყანა მიმართავს **რესურსებისა და გამოყენების ცხრილებს** (იხ. თავი 10) და იყენებს შემდეგ განტოლებას:

გამოშვება + იმპორტი + სავაჭრო და სატრანსპორტო დანამატები + გადასახადები პროდუქტებზე - სუბსიდიები პროდუქტებზე = შუალედური მოხმარება + საბოლოო გამოყენება მარაგების გარეშე + მარაგების მატება.

იმისათვის, რომ მოცულობის წონასწორობას მივაღწიოთ, საჭიროა „დანამატების მოცულობის“ და „გადასახადების და სუბსიდიების მოცულობის“ შეფასება. ეს სულ მცირე უცნაური კონცეფციაა, რადგან ფასებს ითვალისწინებს და არა მოცულობის ელემენტებს.

მიღებული შეთანხმების თანახმად ასე იქცევინ: მოცულობად განიხილება საბაზისო წლის გადასახადი(ანუ წინა წელი ლასპირისის ჯაჭვური ინდექსების გამოყენების შემთხვევაში) მიმდინარე წლის საგადასახადო ბაზის მიმართ, რომელიც ფიზიკური მოცულობებით ფასდება. მაგალითად, 2013 წელს ავტომობილების მოხმარების დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) 2012 წლის ფასებში იქნება დღგ-ს დონე 2012 წლისთვის, რომელიც გამოიყენება 2013 წლის მოხმარებასთან 2012 წლის ფასებში. საბაზისო პროდუქტის შემთხვევაში დღგ-ს მოცულობა ზუსტად საგადასახადო ბაზის მოცულობის მიმართულებით იმოდრავებს. ზუსტად ასევე ხდება სუბსიდიებისა და დანამატების შემთხვევაშიც (გამონაკლისებისთვის იხ. ჩანართი 2.4 ქვემოთ). ეროვნული მოანგარიშები იმისთვის ცდილობენ გადასახადებისა და დანამატების მოცულობის წარმოდგენას, რომ ჰქონდეთ ანგარიშები როგორც მოცულობის, ისე ფასის მიხედვით.

ჩანართი 2.4. კომპიუტერებზე დანამატების შემთხვევა

როგორც ადრე ავხსენით, განსაზღვრის მიხედვით, კომპიუტერების გაყიდვების მოცულობაზე სავაჭრო დანამატი მათი შესყიდვების მოცულობის შესაბამისად დგება. თუმცა, მრავალ ქვეყანაში კომპიუტერების შესყიდვების მოცულობას ეროვნულ ანგარიშებში არა გაყიდული კომპიუტერების რაოდენობის, არამედ მათი სიმძლავრის მიხედვით ანგარიშობენ. ეს სიმძლავრე უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე გაყიდვების რაოდენობა. მაშინ არის თუ არა მიზანშეწონილი ვიფიქროთ, რომ სავაჭრო დანამატების მოცულობა კომპიუტერების მოცულობასთან ერთად იზრდება? ეს იგივეა თუ ვიტყვით, რომ საცალო ქსელიდან კომპიუტერების გაყიდვების სავაჭრო საქმიანობა (ან ინტერნეტით) კომპიუტერების სიმძლავრის პროპორციულია.

რეალურად, კომერციული საქმიანობის მოცულობა ერთი და იგივეა როგორც მძლავრი, ისე არამძლავრი კომპიუტერებისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით, შეიძლება ვთქვათ, რომ ეროვნული მოანგარიშები კომპიუტერების შემთხვევაში გადაჭარბებით აფასებენ კომერციული საქმიანობის გამოშვების მოცულობას. საბედნიეროდ, წარმოქმნილი მოცულობები დიდი არ არის და არ ახდენს გავლენას მშპ-ზე, გავლენა თავს იჩენს მხოლოდ დამატებული ღირებულების გადანაწილებაზე მრეწველობასა და მომსახურებას შორის.

9. რაც შეეხება ფასების ინდექსებს

აქამდე ბევრი არაფერი გვითქვამს ფასების ინდექსების შესახებ, რადგან ყურადღება გავამახვილეთ მოცულობების შეფასებაზე. პრაქტიკულად, როდესაც მოცულობების გაანგარიშების მეთოდი განისაზღვრება, ფასების ინდექსების გამოთვლაც უკვე მთლიანდ განსაზღვრულია, რადგან, როგორც პირველი თავის პირველ ძირითად იგივეობაშია ჩამოყალიბებული: *მიმდინარე ფასებში ცვლადის ვარიაცია ჩაიშლება ვარიაციად მოცულობაში და ვარიაციად ფასებში*. ეს პრინციპი დამტკიცებულია აგრეთვე ამ თავის (4) განტოლებაში. რადგან ვარიაცია მიმდინარე ფასებში მარტივი და ცხადია და რამდენადაც უკვე განსაზღვრული გვაქვს მოცულობის ვარიაცია, სხვა არაფერი დაგვრჩენია იმის გარდა, რომ ფასების ვარიაციის მისაღებად ინდექსი მიმდინარე ფასებში გავყოთ მოცულობის ინდექსზე. გაიხსენეთ, რომ როდესაც მოცულობა ლასპერესის ინდექსით გამოისახება, ამ გაყოფის შედეგი განსაზღვრის მიხედვით პააშეს ინდექსი ქნება (ჯაჭვური ინდექსი ჯაჭვური ანგარიშების შემთხვევაში) და არა ლასპერესის ინდექსი.

რეალურად, მაკროეკონომისტები ნაკლებად იყენებენ ფასების ინდექსებს ეროვნულ ანგარიშებში (რომლებსაც ისინი მოიხსენიებენ როგორც „ფასების არაპირდაპირ ინდექსებს“ ან „არაპირდაპირ დეფლატორებს“) მოცულობებთან შედარებით. ინფლაციაზე დაკვირვებისთვის ისინი უფრო ხშირად სამომხმარებლო ფასების ინდექსებს (სფი) იყენებენ შინამეურნეობების მოხმარების დეფლატორთან შედარებით. შევნიშნავთ, რომ სფი თვითონ სიხშირით გაიანგარიშება, მაშინ როცა შინამეურნეობების მოხმარების დეფლატორი - უკეთეს შემთხვევაში, კვარტალში ერთხელ. მიუხედავად ამისა, აშშ-ში მაკროეკონომისტები სულ უფრო ხშირად იყენებენ შინამეურნეობების მოხმარების დეფლატორს (რომელსაც უწოდებენ „პერსონალური სამომხმარებლო დანახარჯების (PCE) არაპირდაპირი ფასების ინდექსს“, იხ. თავი 12). ეროვნულ ანგარიშებში შინამეურნეობების მოხმარების ფასების ინდექსი ასევე ფართოდ გამოიყენება შინამეურნეობების მთლიანი

განკარგვადი შემოსავლის მსყიდველობითუნარიანობის გამოსათვლელად (იხ. თავი 6).

ჩანართი 2.5. წვლილი და ადიტიურობა

ჯაჭვურ ანგარიშებში არაადიტიურობის პრობლემა ასევე გავლენას ახდენს მშპ-ის მატებაში შეტანილ წვლილზე. ჯერ გავიხსენოთ წვლილის გაანგარიშების მეთოდი. გამარტივებული მაგალითის საფუძველზე დავუშვათ, რომ მშპ-ში მხოლოდ ორი აგრეგატია: შინამეურნეობების მოხმარება C_t და ექსპორტი X_t . GDP_t -თი აღნიშნულია მშპ t წელს. Δ -თი აღნიშნულია აგრეგატის ვარიაცია, ანუ ΔGDP იქნება მშპ-ის ვარიაცია t და $t + 1$ წლებს შორის. ამ აღნიშვნების გამოყენებით მშპ-ის მატების ტემპი ასე ჩაიწერება: $\Delta GDP \div GDP_t$.

თუ საწყისად ავიღებთ განტოლებას $GDP_t = C_t + X_t$, შეიძლება დავწეროთ $GDP_{t+1} - GDP_t = C_{t+1} - C_t + X_{t+1} - X_t$, რომელიც მიღებული აღნიშვნების საფუძველზე ასე ჩაიწერება: $\Delta GDP = \Delta C + \Delta X$, ან თუ გავყოფთ GDP_t -ზე, გვექნება:

$$\frac{\Delta GDP}{GDP_t} = \frac{\Delta C}{GDP_t} + \frac{\Delta X}{GDP_t}$$

თუ ამ განტოლების მარჯვენა ნაწილში ყველა წევრს გავყოფთ და გავამრავლებთ თავისივე მნიშვნელობაზე (C ან X -ზე), მივიღებთ:

$$\frac{\Delta GDP}{GDP_t} = \frac{C_t}{GDP_t} \times \frac{\Delta C}{C_t} + \frac{X_t}{GDP_t} \frac{\Delta X}{X_t}$$

ამგვარად, ასეთი შედეგი მივიღებთ: მშპ-ის მატების ტემპი უდრის მოხმარების მატების ტემპს შეწონილს მოხმარების ხვედრითი წილით წინა წლის მშპ-ში დამატებული ექსპორტის მატების ტემპი შეწონილი ექსპორტის ხვედრითი წილით წინა წლის მშპ-ში. განტოლების მარჯვენა ნაწილში ორი წევრი წარმოადგენს მოხმარებისა და ექსპორტის „წვლილს მშპ-ის მატების ტემპში“. ამ ორი უკანასკნელის ჯამი მშპ-ის მატების ტემპის ტოლია.

როგორც შეგვიძლია დავინახოთ, ეს შედეგი სათავეს იღებს განტოლებიდან $GDP_t = C_t + X_t$. ჯაჭვურად დაკავშირებული მონაცემებისთვის ეს განტოლება უკვე ირღვევა, რადგან ჯაჭვური ანგარიშები არაადიტიურია. ამიტომ, ზუსტი წვლილის გამოსათვლელად აუცილებელია ადიტიურ ანგარიშებთან დაბრუნება (იხ. სავარჯიშო 6 ამ თავის ბოლოს) და გაანგარიშებების ჩატარება. მხოლოდ ადიტიური ანგარიშებით არის შესაძლებელი მატებაში შეტანილი წვლილის სწორად გაანგარიშება, სწორედ ამ

მეთოდს იყენებენ სტატისტიკური სამსახურები, როდესაც მატებაში შეტანილი წვლილის ცხრილებს აქვეყნებენ. აღსანიშნავია, რომ სტატისტიკური სამსახურები ამ მონაცემებს მოცულობის ჯაჭვური ანგარიშებიდან კი არ ანგარიშობენ, არამედ ადიტიური ანგარიშებიდან, რაც ადვილად ხელმისაწვდომი არ არის მომხმარებლებისთვის. მატებაში შეტანილი წვლილის სწორი ცხრილების გამოყენების უპირატესობა იმაშია, რომ რადგან ისინი ადიტიური ანგარიშებიდან მიიღება, თვითონაც ადიტიურები არიან. მაშასადამე, ეკონომისტებს შეუძლიათ გამოითვალონ სხვადასხვა ხვედრითი წილების ჯამები და სხვაობები მარაგების ცვლილებისა და წმინდა ექსპორტის ჩათვლით, როგორც ეს ნაჩვენებია მე-7 სავარჯიშოში.

ბიბლიოგრაფია

OECD (2013a), “OECD Economic Outlook No. 93”, OECD Economic Outlook: Statistics and Projections (database), doi:<http://dx.doi.org/10.1787/data-00655-en>.

OECD (2013b), “Aggregate National Accounts: Gross domestic product”, OECD National Accounts Statistics (database), <http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en>.

საკვანძო მომენტები

- მატების ტემპების შედარებებში გამოიყენეთ მოცულობის მწკრივები და არა მიმდინარე ფასების მწკრივები.
- ეროვნულ ანგარიშებში მოცულობის დეტალური ინდექსები ჩვეულებრივ მიიღება მიმდინარე ფასებში შეფასებული მონაცემების დეფლაციებით შესაბამისი ფასების ინდექსებით.
- რაოდენობების აგრეგირების მიზნით ეროვნული მონგარიშები იყენებენ ფასების ფიქსირებულ სტრუქტურას. ამ გზით მიღებულ მოცულობებს უწოდებენ ანგარიშებს მუდმივ ფასებში. ფასების ფიქსირებული სტრუქტურის შესაბამის წელს საბაზისო წელი ეწოდება.
- მოცულობის ცვლილება რაოდენობის ცვლილების იდენტური არ არის, რადგან მასში გათვალისწინებულია ხარისხობრივი განსხვავებები და პროდუქტების ფასების დონეები.
- ეროვნულ ანგარიშებში მოცულობის აგრეგირებული ინდექსების გასაანგარიშებლად ყველაზე ხშირად ლასპეირესის ფიზიკური მოცულობის ინდექსს იყენებენ.
- ლასპეირესის ფიზიკური მოცულობის ინდექსი არის რაოდენობების ცვლილების შეწონილი საშუალო, სადაც წონებად საბაზისო პერიოდის მიმდინარე ფასებია გამოყენებული.
- პააშეს ფასების ინდექსი ეროვნულ ანგარიშებში აგრეგირებული ფასების ყველაზე ხშირად გამოყენებული ფორმულაა.
- ლასპეირესის ფიზიკური მოცულობის ინდექსისა და პააშეს ფასების ინდექსის ნამრავლი მიმდინარე ფასების ინდექსის ტოლია.
- ეთგო-ს უმეტეს ქვეყნებში ეროვნულ ანგარიშებში მოცულობა გაიანგარიშება წინა წლის ფასებში და შემდეგ ხდება მათი ჯაჭვური გადაბმა. ჯაჭვური ანგარიშები წინა წლის ფასებს იყენებს წონებად და ამიტომ შესაბამისია მოცულობების ცვლილების გასაზომად. მათი ნაკლოვანებაა არაადიტიურობა.
- ჩრდილოეთ ამერიკის ეროვნულ ანგარიშებში მოცულობისთვის ასევე იყენებენ ჯაჭვურ პრინციპს, ოღონდ ისინი ეფუძნება ფიშერის მოცულობისა და ფასის ინდექსებს. მათი დონეებიც ასევე არაადიტიურია.
- რეკომენდირებულია მოცულობის მატების გამოსახვა მატებაში შეტანილი წვლილის საშუალებით. წვლილი ადიტიურია, თუ ის ადიტიური ანგარიშებიდან არის გაანგარიშებული.

ჩაულრმავდით

მარაგების ცვლილების ჯაჭვური დონეები და სხვა მსგავსი ცვლადები

ჯაჭვური დონეების აგება მარაგების ცვლილებისთვის პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნულ CI(Y)-ით მარაგების ცვლილება Y წელს. პრინციპში, თუ ჯაჭვური მოცულობების ძირითად ფორმულაში წინა წლის ფასებია გამოყენებული, მაშინ CI(Y) ჯაჭვური = CI(Y - 1) ჯაჭვური × [CI(Y) წინა წლის ფასებში ÷ CI(Y - 1) მიმდინარე ფასებში].

მაგრამ, როგორც გამოცდილებამ აჩვენა, ზემოთ მოტანილი ფორმულის გამოყენება მარაგების ცვლილებისთვის მიუღებელია. მართლაც, შედეგად ვიღებთ მარაგების ჯაჭვური მოცულობების უკიდურეს მნიშვნელობებს (იმ მიზეზთა გამო, რაც აღწერილია ქვეთავის ბოლოს). ეს ექსტრემალური მნიშვნელობები არ შეიძლება გამოვიყენოთ მშპ-ის მატებაში შეტანილი წვლილის გამოსათვლელად, თუმცა, როგორც ტექსტში ავხსენით, ეკონომისტები მარაგების მოცულობის ცვლილებას მაინც იყენებენ ამ მიზნით. როგორ უნდა მოვიქცეთ? როგორც ტექსტშია ახსნილი, ერთ-ერთი გამოსავალია ასეთი მწკრივებში ჯაჭვური დონეებისგან თავის არიდება. მიუხედავად ამისა, ბევრი სტატისტიკოსი მაინც ცდილობს ამ ფორმატის გამოყენებას. საინტერესოა ერთ-ერთი ახსნა: ის ემყარება იმ ფაქტს, რომ ზემოთ მოყვანილი ფორმულა მათემატიკურად შემდეგი ადიტიური ფორმულის იდენტურია: CI(Y) ჯაჭვური = CI(Y - 1) ჯაჭვური + [CI(Y) წინა წლის ფასებში - CI(Y - 1) მიმდინარე ფასებში] ÷ CI(Y - 1)-ის ჯაჭვური ფასების ინდექსი. მიუხედავად ამისა, ეს ფორმულაც გამოუყენებელია, რადგან CI(Y - 1)-ის ჯაჭვური ფასების ინდექსმაც შეიძლება უკიდურესი მნიშვნელობა მიიღოს.

უკიდურესი მნიშვნელობების თავიდან ასაცილებლად სხვა გამოსავალია ზედა ადიტიური ფორმულის ჩანაცვლება ფასების მიზანშეწონილი ჯაჭვური ინდექსით. ამ მიზნით შესაძლებელია მწარმოებელთა ფასების ინდექსების გამოყენება იმ საქონლისთვის, რომლის მარაგებსაც ვანგარიშობთ, ან მთლიანობაში მარაგების ცვლილებისთვის მშპ-ის ფასების ჯაჭვური ინდექსის გამოყენება. თუ ამ ხერხს მივმართავთ, უნდა ვაჩვენოთ, რომ მშპ-ის წვლილის გამოსათვლელად ჯაჭვური CI(Y)-ის გამოყენება მართებულია. მოდით, დავამტკიცოთ აღნიშნული. საწყის ფორმულას დავრქვათ F. ის ტოლია:

$CI(Y) \text{ ჯაჭვური} = CI(Y - 1) \text{ ჯაჭვური} + [CI(Y) \text{ წინა წლის ფასებში} - CI(Y - 1) \text{ მიმდინარე ფასებში}] \div GDP(Y - 1)\text{-ის ფასების ინდექსი.}$

ეს იგივეა, რაც: $CI(Y)$ ჯაჭვური = $CI(Y-1)$ ჯაჭვური + [$CI(Y)$ წინა წლის ფასებში – $CI(Y-1)$ მიმდინარე ფასებში] ÷ [$GDP(Y-1)$ მიმდინარე ფასებში ÷ $GDP(Y-1)$ ჯაჭვური].

აქედან, შეგვიძლია მივიღოთ: [$CI(Y)$ ჯაჭვური – $CI(Y-1)$ ჯაჭვური] ÷ $GDP(Y-1)$ ჯაჭვური = [$CI(Y)$ წინა წლის ფასებში – $CI(Y-1)$ მიმდინარე ფასებში] ÷ [$GDP(Y-1)$ მიმდინარე ფასებში].

ზედა განტოლების მეორე ნაწილი ზუსტად სწორი ფორმულაა $CI(Y)$ -ის წვლილის გამოსათვლელად მშპ-ს მატებაში, რადგან წინა წლის ფასებში ანგარიშები ადიტიურია. ამდენად, F ფორმულა (იმ აზრით, რომ მოცულობის მწკრივები ადიტიურია) შეიძლება ამ მიზნით იყოს გამოყენებული. აღსანიშნავია, რომ F გვიჩვენებს შემდეგს: მარაგების ჯაჭვური ცვლილებები შეიძლება დაგროვილი ცვლილებით წარმოვადგინოთ წინა წლის ფასებში, ხოლო თითოეული ბმულის დეფლაცირება მოვახდინოთ მშპ-ის ჯაჭვური ფასების ინდექსით. ასეთი სახით წარმოდგენილი მარაგების ცვლილებების ჯაჭვური მწკრივები გონივრულია, რადგან ასახავს აზრობრივ კავშირს წინა წლის ფასებში გამოსახულ მარაგების ცვლილებასა და მარაგების ცვლილების ჯაჭვურ მოცულობებს შორის.

F ფორმულა შეიძლება ალტერნატივად განვიხილოთ მე-7 სავარჯიშოში მოტანილისთვის. ფაქტობრივად, ორივე ფორმულა სწორია და ისეთ დროით მწკრივებს გვაძლევს, საიდანაც შესაძლებელია მშპ-ის მატებაში წვლილის სწორად გაანგარიშება. ამასთან, ორ დამატებას გავაკეთებთ. პირველი, ფორმულა F შეგვიძლია სხვა ცვლადებისთვისაც გამოვიყენოთ, მაგ. წმინდა ექსპორტისთვის. მეორე, არსებობს მიზეზები, რომელთა გამოც პირველი ფორმულა ექსტრემალურ მნიშვნელობებს იღებს. მათემატიკური თვალსაზრისით, მიზეზი ის არის, რომ მარაგების ცვლილება შეიძლება დადებითიც იყოს და უარყოფითიც და ასევე ძალიან ახლოს ნულთან. პირველი განტოლების მეორე ნაწილი შეიძლება მასობრივად დადებითი ან უარყოფითი იყოს და ექსტრემალურად მგრძნობიარე სულ მცირე ცვლილებების მიმართ. სტატისტიკურად მიზეზი იმაშია, რომ ჯაჭვური გადაბმა არ არის შესაბამისი მარაგების ცვლილების მოცულობის გასაზომად. ცხადია, შეიძლება დავამტკიცოთ, რომ ჯაჭვური გადაბმა შეიძლება მხოლოდ მაშინ გამოვიყენოთ, თუ ფასების სტრუქტურა რეგულარულად იცვლება სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების აგრეგირებისას. ამის კარგი მაგალითია კომპიუტერების ფასების რეგულარული კლება სხვა მოწყობილობებთან შედარებით. მიუხედავად ამისა, რადგან მარაგები

უკიდურესად ჰეტეროგენულ საქონელს მოიცავს ერთი პერიოდიდან მეორემდე, არ არის შესაბამისი ჯაჭვური გადაბმის მეთოდის გამოყენება.

მე-2 თავის სავარჯიშოები

სავარჯიშო 1. დეფლაციების გამოყენება მოცულობის მისაღებად

დეფლაციების გამოყენება საკმაოდ ადვილია. დავუშვათ, კანფეტების გამყიდველის ბრუნვამ ოქტომბერში 1 200 ევრო შეადგინა. 1 ნოემბერს ის 12%-ით მაღლა სწევს ფასებს. მისმა ბრუნვამ ნოემბერში 1 680 ევრო შეადგინა. დეფლაციების გამოყენებით გამოთვალეთ კანფეტების გაყიდვების მოცულობის ზრდა. შეამოწმეთ თქვენი გაანგარიშებები რაოდენობების დახმარებით, იმ პირობით, რომ მომატებამდე კანფეტის ფასი 1.25 ევრო იყო. ახლა დაუშვით, რომ მომატების ნაცვლად ფასები 12%-ით დაეცა, ხოლო ბრუნვა იგივე დარჩა. ახლა როგორი იქნება მოცულობის ზრდა?

სავარჯიშო 2. მოცულობის გაანგარიშება ფასების სხვადასხვა დონეებით

განვიხილოთ სამი პროდუქტი A, B და C რაოდენობებისა და ფასების შესაბამისი მწკრივებით სამ პერიოდში:

	პერიოდი 1		პერიოდი 2		პერიოდი 3	
	რაოდენობა	ფასი	რაოდენობა	ფასი	რაოდენობა	ფასი
A	20	5	40	3	60	2
B	150	0.2	145	0.25	160	0.25
C	12	25	6	40	5	35

თითოეული პერიოდისთვის გაიანგარიშეთ ღირებულება მიმდინარე ფასებში, მოცულობა პერიოდი 1-ის მუდმივ ფასებში, მოცულობა პერიოდი 2-ის მუდმივ ფასებში და მატების ტემპები 2/1 და 3/2 სამივე პროდუქტის აგრეგირების საფუძველზე. გააკეთეთ კომენტარები შედეგებთან დაკავშირებით.

სავარჯიშო 3. ლასპეირესის ინდექსის გაანგარიშება და გამოთვლის მეთოდების ეკვივალენტურობა

ამ სავარჯიშოს მიზანია ამ თავის მე-4 ქვეთავში წარმოდგენილი ლასპეირესის ორი ფორმულის ეკვივალენტურობის ჩვენება. ფორმულა (1) არის შეწონილი ინდექსის გამოსათვლელად; ფორმულა (2) შეესაბამება ანგარიშების მატების ტემპის გამოთვლას მუდმივ ფასებში.

მაგალითად მოტანილია ორი ტიპის, დიდი და პატარა ავტომობილების გაყიდვები სხვადასხვა ფასებში. პირველად გამოიყენეთ ფორმულა (2) ყველა მანქანის ფიზიკური მოცულობის მატების ტემპის გამოსათვლელად და შემდეგ გამოიყენეთ ფორმულა (1) მოცულობის შეწონილი ინდექსისთვის. შეადარეთ თეორიულ შედეგს.

	პერიოდი 1		პერიოდი 2	
	რაოდენობა	ფასი	რაოდენობა	ფასი
პატარა ავტომობილები	1 000	10.0	600	10.5
დიდი ავტომობილები	200	20.0	600	21.0

სავარჯიშო 4. ლასპეირესის და პააშეს ინდექსების გამოთვლა და დეფლაცირება

გამოიყენეთ სავარჯიშო 3-ის მონაცემები. გამოთვალეთ ინდექსი მიმდინარე ფასებში. გამოთვალეთ პააშეს ინდექსი. მიიღეთ ლასპეირესის მოცულობის ინდექსი დეფლაცირების საშუალებით. დაამტკიცეთ, რომ იგივე შედეგი მიიღეთ, რაც მე-3 სავარჯიშოში.

სავარჯიშო 5. „ჯაჭვური ანგარიშების“ გამოთვლა (ლასპეირესის ჯაჭვური ინდექსები)

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფასები და რაოდენობები სამი პროდუქტისთვის: A, B და C. ჩვენი მიზანია გამოვთვალოთ სამი პროდუქტისგან შემდგარი აგრეგატის მოცულობა საფრანგეთის ეროვნულ ანგარიშებში გამოყენებული მეთოდით, რომელიც ცნობილია, როგორც „ანგარიშები წინა წლის ფასებით, ჯაჭვური, საბაზისო 2010 წელი“. პირველად გამოთვალეთ ოთხივე წლისთვის $A + B + C$ ანგარიში მიმდინარე ფასებში. შემდეგ გამოთვალეთ ბოლო სამი წლის მოცულობები წინა წლის ფასებში. ამის შემდეგ, გამოთვალეთ ამ მოცულობების მატების ტემპები (ფრთხილად, არ მოყვეთ მახეში). შემდეგ ჯაჭვურად გადააბით ეს მატების ტემპები ბაზად 2010 წლის გამოყენებით. არის თუ არა განსხვავებები ამ მწკრივსა და წინა წლის ფასებში ასახულ მატების ტემპების მწკრივს შორის?

შემდეგ, შეადარეთ ეს შედეგები მუდმივ ფასებში გადათვლილს (ანუ „ანგარიშებს 2010 წლის ფასებში“) აბსოლუტური დონეებისა და მატების ტემპების მისაღებად.

	2009		2010		2011		2012	
	რაოდენობა	ფასი	რაოდენობა	ფასი	რაოდენობა	ფასი	რაოდენობა	ფასი
A	20.00	5.00	40.00	4.00	60.00	2.00	90.00	1.00
B	150.00	0.20	145.00	0.25	160.00	0.25	175.00	0.30
C	12.00	25.00	6.00	40.00	5.00	40.00	7.00	36.00
აგრეგატი A + B + C	2009		2010		2011		2012	
ანგარიშები მიმდინარე ფასებში								

ანგარიშები წინა წლის ფასებში

მატების ტემპები

ანგარიშები წინა წლის ფასებში, ჯაჭვური, საბაზისო 2010 წელი

ანგარიშები 2010 წლის ფასებში

მატების ტემპები

სავარჯიშო 6. ჯაჭვური ინდექსები და ადიტიურობის დაკარგვა

ქვემოთ მოტანილი ცხრილი აღებულია საფრანგეთის ეროვნული ანგარიშებიდან, როდესაც ჯერ კიდევ ეას 1993-ს იყენებდნენ. ცხრილის ქვემდებარეში მოცემულია მშპ-ის მოცულობა (წინა წლის ფასებში, ჯაჭვური, 2005 წლის საბაზისო ფასებში).

თითოეული აგრეგატისთვის ასევე მოცემულია ყოველწლიური ცვლილება სიზუსტის მაღალი ხარისხით (სამი ნიშანი მძიმის შემდეგ). თავად გამოთვალეთ მთლიანი რესურსები მშპ-ისა და იმპორტის დაჯამებით და შეადარეთ ის საფრანგეთის სტატისტიკური სამსახურის მიერ (INSEE) გამოთვლილს. ხომ არ გადაწყვიტეთ, რომ INSEE-ს უბრალო ჯამის გამოთვლა არ შეუძლია? თუ არა, მაშ სად წარმოიქმნა პრობლემა? შეეცადეთ აღადგინოთ INSEE-ს მატების ტემპი 2011-სა და 2012 წლებს შორის იმ პირობით, რომ ანგარიშები წინა წლის ფასებშია და 2011 წელს მშპ მიმდინარე ფასებში მშპ = 2 001.4 იყო, ხოლო იმპორტი = 597.6. რა დასკვნა გამოიტანეთ?

(2005 წლის ევრო, მლრდ)	2009	2010	2011	2012
მშპ	1 742.58	1 772.64	1 808.57	1 808.82
%-ობით		1.725	2.027	0.014
იმპორტი	468.75	510.48	536.68	531.02
%-ობით		8.902	5.132	-1.053
მთლიანი რესურსები	2 211.28	2 281.36	2 343.01	2 337.59
%-ობით		3.169	2.702	-0.232

წყარო: Insee: National Accounts: Gross domestic product and main economic aggregates: Gross domestic product and its components in volume at chained prices (Billions of 2005 Euros).

სავარჯიშო 7. მარაგების მოცულობის ცვლილება: დონეები თუ წვლილი მშპ-ში?

დავუშვათ, რომ მშპ ორად არის დაყოფილი: საბოლოო მოთხოვნას მინუს მარაგების ცვლილება (FDLI) და მარაგების ცვლილება (I). ქვემოთ მოტანილი ანგარიშები წელი 1-ის ფასებშია გამოსახული:

წელი 1-ის ფასებში	წელი 1	წელი 2
საბოლოო მოთხოვნას მინუს მარაგების ცვლილება (FDLI)	1 430	1 468
მარაგების ცვლილება (I)	-43	69
მშპ (GDP)	1387	1537

სწორი იქნება თუ არა, თუ ვიტყით, რომ წელი 1-ის ფასებში გამოსახული ანგარიშები მიმდინარე ფასებშია? სწორი იქნება თუ არა, თუ ვიტყით, რომ წელი 2-ის ანგარიშები მოცულობით გამოსახულებაშია?

რატომ არის ეს ანგარიშები ადიტიური (მაგ. $GDP = FDLI + I$)? გამოთვალეთ მატების ტემპები წელი 2-ისთვის. რატომ არის შეუძლებელი I-ს მატების ტემპის გამოთვლა? გამოთვალეთ ორივე ფაქტორის წვლილი მშპ-ის ცვლილებაში.

ქვემოთ წარმოდგენილია მოცულობის ანგარიშები წელი 3-ისთვის წელი 2-ის ფასებში. გამოთვალეთ მატების ტემპები და წვლილი მშპ-ის მატებაში.

წელი 2-ის ფასებში	წელი 2	წელი 3
საბოლოო მოთხოვნას მინუს მარაგების ცვლილება (FDLI)	1 490 1 363	1 490 1 363
მარაგების ცვლილება (I)	123	148
მშპ (GDP)	1 613	1 511

როგორ წარმოადგენდა ეთგო-ს ეკონომიკის დეპარტამენტი ცხრილს, რომელშიც სამივე წელი იქნებოდა? ახსენით, რატომ არის შეუძლებელი მარაგების ცვლილების გამო იმავე ცხრილის, მაგრამ ყველა მონაცემის იოლად წარმოდგენა ჯაჭვურად გადაბმული დონეებით (ე.ი., სადაც წელი 1 ათვლის წელია)? მოიფიქრეთ ისეთი გადაწყვეტა, რომ მარაგების ცვლილება ზუსტად შეესაბამებოდეს მის წვლილს მშპ-ში.

სავარჯიშო 8. აშშ-ის მიდგომა: პროგნოზირება ჯაჭვური ანგარიშების გამოყენებით

როგორც ადრე ავხსენით, ჯაჭვური მოცულობების ნაკლი იმაშია, რომ ისინი კარგავენ ადიტიურობას, რაც პროგნოზისტებს პრობლემებს უქმნის. ეს სავარჯიშო ეყრდნობა აშშ-ის ეკონომიკური ანალიზის ბიუროს (BEA) მიერ გამოქვეყნებულ სტატის და მისი საშუალებით საკმაო სიზუსტით არის შესაძლებელი BEA-ს შედეგებთან მიახლოება ფიშერის ჯაჭვური ინდექსების დახმარებით. გამარტივებული მიდგომის დროს გამოიყენება ადიტიური ანგარიშები „წინა კვარტალის“ ფასებში.

ცხრილში ნაჩვენებია 2002 წლის დასაწყისში არსებული ვითარება. პირველ ორ სვეტში BEA-ს მონაცემებია ამ დროისთვის. პირველ სვეტში მოტანილია მონაცემები მიმდინარე ფასებში („დონე მიმდინარე დოლარებში“). მეორე სვეტში მოცემულია „დონე ჯაჭვურ დოლარებში“. მესამე სვეტში მოტანილია უცნობი პროგნოზისტის მიერ აგებული პროგნოზები 2002 წლის მეორე კვარტალისთვის (2002 Q2). ეს პროგნოზები გამოსახულია მატების ტემპებით (რა თქმა უნდა, მოცულობების საშუალებით). *მნიშვნელოვანი ცნობა:* აშშ-ის ანგარიშებში კვარტალური მატება ტრადიციულად „წლიურ დონესთან“ მიმართებით კეთდება. ეს ნიშნავს, რომ ყოველკვარტალური მატება $\frac{1}{4}$ ხარისხშია აყვანილი. მაგალითად, 2.0 არის მრძელვადიანი მოხმარების საქონლის მატების ტემპი მეორე კვარტალში. ფაქტობრივად, ეს ნიშნავს, რომ კვარტალური მატება არის $(1 - (1 + 0.02)^{(1/4)}) = +0.496\%$. მხოლოდ ასეთი კვარტალური ტემპები უნდა გამოვიყენოთ წინა კვარტალის დონეებთან.

პირველი სამი სვეტის მონაცემებით გამოთვალეთ მშპ-ის მატების ტემპი 2002 Q2-ისთვის წლიურ დონესთან შედარებით ორი გზით. პირველი, სწორი მიდგომის გამოყენებით, მშპ-ის თითოეული კომპონენტისთვის 2002 Q1-ის მიმდინარე დოლარებში გამოიყენეთ კვარტალური მატების ტემპი და მიიღეთ მეოთხე სვეტში მონაცემები 2002 Q1-ის ფასებში, ან „2002 Q1-ის დოლარების“ დონეები. ახლა უკვე შეგიძლიათ მიღებული მონაცემების დაჯამება და მშპ-ის მიღება, საიდანაც შეგიძლიათ წლიური მატების ტემპის გაანგარიშება. რასაკვირველია, ეს ანგარიშები ადიტიურია, რადგან წინა პერიოდის ფასებშია ასახული. შედეგად უნდა მიიღოთ მშპ-ის წლიური მატება 1.3%. მეორე, არასწორი გადაწყვეტის შემთხვევაში, მიმართეთ მშპ-ის თითოეული კომპონენტისთვის კვარტალური მატების ტემპის გაანგარიშებას 2002 Q1-ის ჯაჭვური დოლარებით. მიიღეთ მშპ-ის მატება ამ მონაცემების საშუალებით. გააკეთეთ კომენტარები მშპ-ის გაზომვის ორი განსხვავებული გზის შესახებ. ამის შემდეგ, როგორ უნდა აიგოს 2002 Q3-ის პროგნოზი?

	2002 Q1			სწორი გადაწყვეტა	არასწორი გადაწყვეტა
	დონე მიმდინარე დოლარებში	დონე ჯაჭვურ დოლარებში	საპროგნოზო მატების ტემპი წლიურ დონესთან	2002 Q2 „2002 Q1-ის დოლარების“ დონეები	დონე ჯაჭვურ დოლარებში
პირადი მოხმარების დანახარჯები					
გრძელვადიანი მოხმარების საქონელი	859	976	2.0	?	?
მოკლევადიანი მოხმარების საქონელი	2 085	1 921	-0.1	?	?
მომსახურება	4 230	3 642	2.7	?	?
მთლიანი კერძო შიდა ინვესტირება	1 559	1 551	7.9	?	?
ფიქსირებული ინვესტიცია					
არასაცხოვრებელი ნაგებობები	288	243	-17.6	?	?
მოწყობილობები და კომპიუტერები	838	954	3.3	?	?
საცხოვრებელი	463	384	2.7	?	?
კერძო მარაგების ცვლილება		-29		?	?
საქონლისა და მომსახურების წმინდა ექსპორტი					
საქონელი	680	738	15.9	?	?
მომსახურება	298	292	10.7	?	?
იმპორტი				?	?
საქონელი	1 102	1 250	27.9	?	?
მომსახურება	235	226	-2.1	?	?
სამთავრობო მოხმარება და ინვესტირება				?	?
ფედერალური	672	598	7.5	?	?
შტატი და ადგილობრივი	1 267	1 099	-1.7	?	?
მშპ ნაშთის გამოკლებამდე		9 343			?
ნაშთი		20			?
მშპ	10 313	9 363		?	?
საპროგნოზო მატება				??	??

ამ სავარჯიშოების ამოხსნები შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე:

<http://dx.doi.org/10.1787/9789264214637-19-en>

თავი 3

საერთაშორისო შედარებები

ამ თავში შედარებულია სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ანგარიშების მონაცემები. ქვეყნების შედარება საკმაოდ ძნელია, რადგან: შესაძლებელია ეროვნული ანგარიშების ცვლადების გაანგარიშების სტატისტიკური მეთოდები განსხვავდებოდეს ქვეყნების მიხედვით; ქვეყნების ეროვნული ინსტიტუციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ქვეყნები ერთმანეთისგან განსხვავდება ეროვნული ვალუტისა და ფასების მიხედვით. მიუხედავად ამისა, ასეთი შედარებების გაკეთება შესაძლებელია, თუ ზოგიერთ შემთხვევაში კორექტივებს შევიტანთ. საერთაშორისო შედარებებისთვის გამოიყენება: განსაზღვრული ცვლადების მატების ტემპები (მშპ-ის მოცულობა), განსაზღვრული კოეფიციენტები (მოგების ნორმა ან სახელმწიფო ვალის დონე) და განსაზღვრული ეროვნული ცვლადების აბსოლუტური მნიშვნელობები სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით (როგორცაა მშპ-ის დონე მოსახლეობის ერთ სულზე).

მე-2 თავში განვიხილეთ *მოცემული ქვეყნის* ეროვნული ანგარიშების მონაცემების შესადარისობა დროში. ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ უნდა დავაცალკევოთ მოცულობის ცვლილებები ფასების ცვლილებისგან. ამ თავში განვიხილეთ იქნება მონაცემთა შედარება *ცალკეულ ქვეყნებს შორის*. ქვეყნებს შორის შედარებები უფრო რთულია მინიმუმ სამი მიზეზის გამო: (1) საერთაშორისო დონეზე ეროვნული ანგარიშების ცვლადების გაზომვის სინქრონიზაციაზე მიმართული ძალისხმევის მიუხედავად, გამოყენებული სტატისტიკური მეთოდები შეიძლება განსხვავებული იყოს ქვეყნების მიხედვით; (2) ქვეყნების ეროვნული ინსტიტუციები შეიძლება განსხვავებული იყოს და (3) ქვეყნები ერთმანეთისგან განსხვავდება ეროვნული ვალუტისა და ფასების მიხედვით.

მიუხედავად ამ სიძნელებისა, საერთაშორისო შედარებები ეთგო-ს მისიის ნაწილს წარმოადგენს წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკის რეკომენდაციების გასაწევად. ასეთი საერთაშორისო შედარებები სამ დონეზე განიხილება. პირველი და უმარტივესია განსაზღვრული ცვლადების მატების ტემპების, როგორცაა მშპ-ის ფიზიკური მოცულობა, შედარება. ამ შემთხვევაში ქვეყნების მიხედვით ვალუტისა და ინსტიტუციების განსხვავებას დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება. მეორე დონეზე, რაც მეორე ქვეთავში იქნება განვიხილეთ, ხდება კოეფიციენტების შედარება, როგორცაა მოგების ნორმა ან სახელმწიფო ვალი. ამ შემთხვევაში ქვეყანათა შორის შედარებებზე შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს სტატისტიკური მეთოდების განსხვავებამ და ინსტიტუციებმა, თუმცა განსხვავებულ ვალუტას არც აქ ენიჭება დიდი მნიშვნელობა. მესამე დონეზე ხდება ქვეყნებს შორის განსაზღვრული ეროვნული ცვლადების აბსოლუტური მნიშვნელობების შედარება, როგორც არის მშპ-ს დონე მოსახლეობის ერთ სულზე ან შინამეურნეობების მოხმარება ერთ სულზე. სწორედ ბოლო დონეა ყველაზე პრობლემური. ეს პრობლემა იმის გამო ჩნდება, რომ უკვე დასახელებულ ორ ფაქტორს მესამეც ემატება, კერძოდ, განსხვავებული ვალუტა, რაც „**მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტების**“ გამოყენებით უნდა გადაწყდეს. ამ შემთხვევაში დღის წესრიგში დგება მოცულობა/ფასის *სივრცითი* ჩაშლა ქვეყნებს შორის და არა მოცემული ქვეყნისთვის დროის სხვადასხვა პერიოდებში.

1. მატების ტემპების შედარება

ეთგო-ს ეკონომიკური პერსპექტივების კრებული [[OECD Economic Outlook \(OECD, 2013\)](#)], რომელიც წელიწადში ორჯერ ჩატარებული დაკვირვების შედეგებზეა აგებული, იწყება მშპ-ის ფიზიკური მოცულობის მატების ტემპების შედარებით სამი მთავარი ქვეყნის, ან არეს მიხედვით.

ცხრილი 3.1. მშპ-ის წლიური პროცენტული მატების ტემპი

	1995-2012 წწ. საშუალო	2008	2009	2010	2011	2012
იაპონია	0.8	-1.0	-5.5	4.7	-0.6	2.0
აშშ	2.5	-0.3	-2.8	2.5	1.8	2.8
ევროზონა (17 ქვეყანა)	1.5	0.4	-4.4	2.0	1.6	-0.7

წყარო: OECD (2013), *OECD Economic Outlook*, Vol. 2013/2, OECD Publishing, doi: <http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143638>

ცხრილში 3.1 ნაჩვენებია მშპ-ის მატების კვაზისტრუქტურული განსხვავებები სამი მთავარი არეს მიხედვით. 1995-2012 წლებში აშშ-ის საშუალოწლიური მატება 1.7 პროცენტული პუნქტით აღემატებოდა იაპონიის მატების ტემპს, ხოლო ევროზონას 1.0 პროცენტით. თუ ეს მცირე პროცენტული განსხვავება სამომავლოდაც შენარჩუნდება, აშშ-ის შეფარდებითი ეკონომიკური ძლიერება ძალიან სწრაფად გახდება იმაზე გაცილებით მნიშვნელოვანი, ვიდრე დღეს არის. მომავალი ათი წლის განმავლობაში აშშ სხვა ქვეყნებს 1.01¹⁰ ანუ +10.5 პუნქტით გაასწრებს! ეს უზარმაზარი განსხვავებაა და სერიოზულ გავლენას მოახდენს სხვა ქვეყნებზე.

რა თქმა უნდა, ზემოთ მოტანილი საერთაშორისო შედარება სრულიად დამაჯერებელი არ არის. ფაქტობრივად, ფუნდამენტური განსხვავებაა აშშ-ს, ევროპასა და იაპონიას შორის. აშშ-ის მოსახლეობა სტრუქტურულად ბევრად დინამიურია, ის წლიურად 1.0%-ით იზრდება იაპონიასთან (0.1%) და ევროპასთან (0.4%) შედარებით. ეს ნიშნავს, რომ თუ გვსურს ვალიდური გრძელვადიანი დასკვნების გაკეთება, უკეთესია, თუ მშპ-ის მატებას მოსახლეობის ერთ სულზე გავიანგარიშებთ. თუ ამ კორექტირებას გამოვიყენებთ, ვნახავთ, რომ განსხვავება აშშ-სა და იაპონიას შორის 0.8 პუნქტამდე შემცირდება (1.7-ის ნაცვლად) და 0.4-მდე ევროზონისთვის (1.0-ის ნაცვლად).

ცხრილი 3.2. რეალური მშპ-ისა და ერთ მოსახლეზე რეალური მშპ-ის მატების ტემპები

	1995-2012, საშუალოწლიური მატების ტემპები პროცენტულად			
	რეალური მშპ	აშშ-სთან განსხვავება	რეალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე	აშშ-სთან განსხვავება
იაპონია	0.8	-1.7	0.7	-0.8
აშშ	2.5	0.0	1.5	0.0
ევროზონა(17 ქვეყანა)	1.5	-1.0	1.1	-0.4

წყარო: OECD (2013), "Aggregate National Accounts: Gross domestic product", OECD National Accounts Statistics (database), <http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143647>

ეს განსხვავებები შესამჩნევია, განსაკუთრებით იაპონიისთვის. რაც შეეხება ევროზონას, განსხვავება უფრო მცირეა, რაც შეიძლება იმით ავხსნათ, რომ ევროზონის შიგნით არსებული არსებითი განსხვავებები შენიღბულია. ეთგო-ს მთავარი საზრუნავი მიმდინარე ეტაპზე იმაში მდგომარეობს, რომ ამ შედეგების გამოყენებით დაარწმუნოს ნაკლებად განვითარებული ქვეყნები სტრუქტურული რეფორმების გატარებაში მათი ეკონომიკური ზრდის და უმუშევრობის შემცირების მიზნით.

არის თუ არა მშპ-ის მატების ტემპების შედარებები სტატისტიკურად ვალიდური? აღსანიშნავია, რომ სტატისტიკისა და ეროვნული ანგარიშების საერთაშორისო სახელმძღვანელოების მიღებით სტატისტიკოსთა საერთაშორისო თემი იმ განსაზღვრებებსა და შეთანხმებებს იყენებს, რაც ყველა ქვეყნისთვის საერთოა. ეროვნული ანგარიშების შემთხვევაში საცნობარო სახელმძღვანელოდ მიჩნეულია ეროვნულ ანგარიშთა სისტემის 2008 წლის ვერსია (SNA 2008). ევროკავშირის ქვეყნებისთვის ასეთ სახელმძღვანელოდ ითვლება ანგარიშების ევროპული სისტემის 2010 წლის ვერსია (ESA 2010), რომელსაც კანონის ძალა აქვს ევროკავშირის ქვეყნებისთვის.

იხ. პირველ თავში ჩანართი 1.1: „ცნობარები და მათი გამოყენება“ და აგრეთვე თავი 14.

ეს რა თქმა უნდა, სარწმუნო არგუმენტია მომხმარებლებისთვის. ამ განსაზღვრებებისა და შეთანხმებების საფუძველზე ეთგო-ს ქვეყნებს შორის შესადარისობის მაღალი დონეა, რაც საშუალებას იძლევა, რომ ეთგო-ს საუკეთესო მონაცემთა ბაზა გააჩნდეს ეროვნული ანგარიშების საერთაშორისო შედარებებისთვის (იხ. ჩანართი 3.1: "ეთგო-ს საერთაშორისო მონაცემთა ბაზა").

ჩანართი 3.1 ეთგო-ს საერთაშორისო მონაცემთა ბაზა

ეთგო წევრი-ქვეყნებიდან აგროვებს ათასობით მწკრივს წლიური და კვარტალური ეროვნული ანგარიშებისთვის:

- ყოველკვარტალურად: კვარტალური ეროვნული ანგარიშები

- წელიწადში ერთხელ (თებერვალი და ივლისი): „ეთგო-ს ქვეყნების ეროვნული ანგარიშები“, გამოცემა 1: ძირითადი აგრეგატები; „ეთგო-ს ქვეყნების ეროვნული ანგარიშები“, გამოცემა 2: დეტალური ცხრილები.
- წელიწადში ერთხელ (დეკემბერი): „ეთგო-ს ქვეყნების ეროვნული ანგარიშები“, ფინანსური ბალანსები; „ეთგო-ს ქვეყნების ეროვნული ანგარიშები“, სამთავრობო დაწესებულებები.

ეთგო-ს პროგნოზების მონაცემთა ბაზების გავრცელება ხდება წელიწადში ორჯერ, ეთგო-ს ეკონომიკური პერსპექტივების გამოცემაზე დართული ცხრილების სახით.

ეთგო-ს მონაცემთა ბაზები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <http://www.oecd-ilibrary.org/>

2. კოეფიციენტების შედარება: დაზოგვის დონის მაგალითი, მოგების ნორმა და სახელმწიფო ვალის დონე

შინამეურნეობების დაზოგვის დონე ეროვნული ანგარიშების ერთ-ერთი ძირითადი ცვლადია (იხ. თავი 1). ის მიიღება დაზოგვის ფარდობით (შეფარდებით) განკარგვად შემოსავალთან (100-ზე გამრავლებით) და გვიჩვენებს შემოსავლის განაწილებას მოხმარებასა და დაზოგვას შორის, რაც ეკონომიკური ანალიზისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციაა. როგორც აღმოჩნდა, იაპონიასა და აშშ-ში დაზოგვის დონე მნიშვნელოვნად დაბალია სხვა ქვეყნებთან შედარებით, როგორცაა ავსტრალია ან გერმანია.

ცხრილი 3.3. შინამეურნეობების დაზოგვის დონე პროცენტობით
წმინდა დაზოგვა, თუ არ არის მითითებული

	2009	2010	2011	2012
ავსტრალია	9.8	11.0	11.7	10.5
ფინეთი	4.2	3.6	1.3	0.9
გერმანია	10.9	10.9	10.4	10.3
იტალია	7.1	4.9	4.3	3.6
იაპონია	2.3	2.1	2.6	1.5
გაერთიანებული სამეფო*	7.0	7.3	6.7	7.2
აშშ	6.4	5.9	5.9	5.8

* მთლიანი დაზოგვა

წყარო.: OECD (2013), “Detailed National Accounts: Non-financial accounts by sectors, annual”, OECD National Accounts Statistics (database), doi: <http://dx.doi.org/10.1787/data-00034-en>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143659>

თუ ცხრილში 3.3 ნაჩვენები იქნებოდა აშშ-ის შინამეურნეობების დაზოგვის დონეები 2008 წლის ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის წინ, ვნახავდით, რომ ისინი თითქმის არაფერს არ ზოგავდნენ, ანუ მათი მთელი შემოსავალი მოხმარებაზე იხარჯებოდა. 2008 წლის კრიზისამდე განკარგვადი შემოსავლის დაახლოებით 0% იზოგებოდა. ერთი მხრივ, ეს გვიჩვენებს, რომ აშშ-ის შინამეურნეობებს მომავლის მტკიცე რწმენა გააჩნდათ, ხოლო მეორე მხრივ, ისინი არანაირ მონაწილეობას არ იღებდნენ ქვეყნის ინვესტირებაში. ასეთ ინვესტიციებს ახორციელებდნენ უცხოელი ინვესტორები, რომლებიც მტკიცედ ენდობოდნენ აშშ-ის ეკონომიკას და აგრძელებდნენ აშშ-ის სახაზინო ობლიგაციების შესყიდვას. თუმცა, ეკონომიკურმა კრიზისმა ეს სურათი შეცვალა. მკვეთად გაზრდილ და შენარჩუნებულ უმუშევრობასთან ერთად შემცირდა აშშ-ის შინამეურნეობების ნდობა მომავლისადმი, რაც აისახა დაზოგვის გაზრდილ დონეებში, თუმცა ის მაინც დაბალია ევროპასთან შედარებით. აშშ-ში ზოგიერთების შეშფოთებას იწვევს ის, რომ აღნიშნული გავლენას მოახდენს უცხოელი ინვესტორების ნდობაზე, თუმცა დანარჩენები ფიქრობენ, რომ ეს დისბალანსი თანდათან უმტკივნეულოდ გაქრება ახალი კრიზისის წარმოქმნის გარეშე.

საპირისპიროდ, აღსანიშნავია გერმანიის შინამეურნეობების ძალიან განსხვავებული ქცევა, რაც მათი შემოსავლის 10%-ის დაზოგვაში გამოიხატება. მრავალი ეკონომისტი ცდილობს ამ განსხვავებისთვის ამოხსნის პოვნას, რადგან ეს ქვეყნები ფაქტობრივად ერთმანეთის მსაგავსია. ზოგს მიაჩნია, რომ თუ შინამეურნეობებს არ აქვთ მყარი გარანტიები, რომ იშოვნიან სამუშაოს და კარგი პენსია ექნებათ, მაშინ დაზოგვის დონე კლებულობს. მაგრამ გამოდგება ასეთი ახსნა გერმანიისთვის? იტალიის შემთხვევაც საკმაოდ უცნაურია, რადგან ქვეყანა სერიოზული კრიზისის წინაშეა. ეთგო-ს ეკონომისტებმა სცადეს დაზოგვის ნორმის შემცირების ახსნა 2008 წლის კრიზისით, რამაც იტალიელების განკარგვადი შემოსავლები შეამცირა.

ამ მონაცემების შესადარისობის დარღვევის ერთ-ერთი წყაროა დაზოგვის ნორმის გაანგარიშება ორი განსხვავებული გზით: (1) „წმინდა“ მიდგომით, როდესაც დაზოგვის ნორმის მრიცხველიდან (დაზოგვა, S) და მნიშვნელიდან (განკარგვადი შემოსავალი, DI) ერთდროულად ხდება ძირითადი კაპიტალის მოხმარების (CFC) გამორიცხვა; ან (2) „მთლიანი“ მიდგომით, როდესაც ძირითადი კაპიტალის მოხმარების გამორიცხვა არ ხდება არც მრიცხველიდან და არც მნიშვნელიდან. პირველი მიდგომის შედეგად ვიღებთ „წმინდა“ დაზოგვის ნორმას: $(S - CFC)/(DI - CFC)$; მეორე მიდგომა გვაძლევს „მთლიან“ ნორმას: S/DI . მათემატიკურად პირველი შედეგი მეორეზე დაბალია. ზემოთ, ცხრილში 3.3, ნაჩვენებია „წმინდა“ ნორმები

გაერთიანებული სამეფოს გარდა, რადგან ეს შემთხვევა მაგალითის (ქეისის) სახით არის შემდგომ განხილული.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ქვეყანა, და მათ შორის ეთგო-ც უპირატესობას „წმინდა“ კოეფიციენტებს ანიჭებს, გაერთიანებულმა სამეფომ და რამდენიმე სხვა ქვეყანამ მთლიანი კოეფიციენტები გამოაქვეყნეს. არსებობს რამდენიმე მიზეზი მთლიანი კოეფიციენტების გამოყენებისათვის. კერძოდ, პირველი, ის უფრო მჭიდროდ შესაბამისობაშია დაკვირვებად ფინანსურ ნაკადებთან, ხოლო წმინდა ნორმა უფრო ხელოვნურია, რადგან იმპუტირებულ ნაკადს, ანუ ძირითადი კაპიტალის მოხმარებას შეიცავს. მეორე, იმის გამო, რომ შესაძლოა სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულად ანგარიშობენ ძირითადი კაპიტალის მოხმარებას, სავარაუდოდ, წმინდა ნორმები უფრო ნაკლებად შესაძარისია. ყველა შემთხვევაში, ერთმანეთთან არ უნდა შევადაროთ წმინდა და მთლიანი ნორმები. თუმცა, ცხრილში 3.3 ასეთი შეცდომის დაშვების ალბათობა არსებობს, რადგან როგორც სქოლიოშია მითითებული, გაერთიანებული სამეფოს დაზოგვის ნორმა მთლიანია, ხოლო დანარჩენი ქვეყნების - წმინდა.

ცხრილში 3.4 ეს შეცდომა გასწორებულია და ყველა ქვეყნისთვის ნაჩვენებია წმინდა ნორმა, გაერთიანებული სამეფოს ჩათვლით. ამ ცხრილში გაერთიანებული სამეფოს ნორმა აშშ-ზე ნაკლებია და არა აშშ-სა და გერმანიას შორისაა, როგორც ვითარებაც იყო ცხრილში 3.3. დაიმახსოვრეთ, როდესაც საერთაშორისო შედარებებია წარმოდგენილი, აუცილებლად საჭიროა დაკვირვება და უხეში შეცდომებისგან თავის დაზღვევისთვის სქოლიოს ნახვა.

ცხრილი 3.4. შინამეურნეობების დაზოგვის ნორმა პროცენტობით


	2009	2010	2011	2012
ავსტრალია	9.8	11.0	11.7	10.5
ფინეთი	4.2	3.6	1.3	0.9
გერმანია	10.9	10.9	10.4	10.3
იტალია	7.1	4.9	4.3	3.6
იაპონია	2.3	2.1	2.6	1.5
გაერთიანებული სამეფო	2.3	2.9	2.2	2.8
აშშ	6.4	5.9	5.9	5.8

წყარო: OECD (2013), “Detailed National Accounts: Non-financial accounts by sectors, annual”, OECD National Accounts Statistics (database), doi: <http://dx.doi.org/10.1787/data-00034-en>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143663>

კოეფიციენტების შესადარისობა უფრო დიდი პრობლემაა, როდესაც მოგების ნორმაზე ან დონეზეა საუბარი. როგორც მე-7 თავში ნახავთ, ეკონომისტები ამ კოეფიციენტს ითვლიან მთლიანი (ან წმინდა) საოპერაციო მოგების ფარდობით მთლიანი (ან წმინდა) დამატებულ ღირებულებასთან და ამით აფასებენ ბიზნესის მომგებიანობას. თუ ნახაზე 3.1 დავაკვირდებით „არაფინანსური კორპორაციების“ სექტორის მოგების დონეს ქვეყნებს შორის, ვნახავთ, რომ საკმაოდ დიდი განსხვავებაა სამი მთავარი ევროპული პარტნიორი ქვეყნის მოგების დონეებში, როგორცაა საფრანგეთი, გერმანია და იტალია. სახელდობრ, მიუხედავად იმისა, რომ იტალიის ინდიკატორი მცირდება, ის მაინც სისტემატურად მაღალი რჩება გერმანიისა და უმეტესად საფრანგეთის მოგების ნორმაზე.

ნახაზი 3.1. არაფინანსური კორპორაციების მოგების ნორმა მთლიანი საოპერაციო მოგება/მთლიანი დამატებული ღირებულება, %




წყარო: OECD (2014) “Detailed National Accounts: Non-financial accounts by sectors, annual”, OECD National Accounts Statistics (database), doi: <http://dx.doi.org/10.1787/data-00034-en>. OECD calculations.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143671>

თუმცა, ეს შედარება მცდარია, რადგან „არაფინანსური სექტორის“ სტრუქტურა ამ სამ ქვეყანაში განსხვავებულია. საფრანგეთისგან განსხვავებით, გერმანიასა და იტალიაში „არაფინანსურ სექტორში“ შედის „კვაზიკორპორაციების“ მნიშვნელოვანი რაოდენობა. ეს არის ინდმეწარმეების მცირე საწარმოები, სადაც მომუშავეები ანაზღაურების გარეშე მუშაობენ. ასეთი ტიპის მომუშავეთა შრომის ანაზღაურება განსაზღვრის მიხედვით საოპერაციო მოგებაში ერთიანდება. ამიტომ, გერმანიასა და

იტალიაში საშუალო საოპერაციო მოგება გადაჭარბებით არის შეფასებული (ინფლაცირებულია) საფრანგეთთან შედარებით, სადაც ანაზღაურების გარეშე მომუშავეები არ კლასიფიცირდებიან არაფინანსური კორპორაციების სექტორში. ნახაზზე 3.2 ნაჩვენებია კორექტირებული მოგების დონე იტალიისთვის, ამ შემთხვევაში მოგებაში არ არის შეტანილი ანაზღაურების გარეშე მომუშავეთა ხელფასი. როგორც ხედავთ, იტალიის მოგების შესადარი დონე დაუახლოვდა საფრანგეთის დონეს. ასეთი კორექტირება შეუძლებელი იყო გერმანიისთვის. მაგრამ თუ ამას შევძლებდით, მისი მრუდიც უფრო დაბლა დაიწევდა.

ნახაზი 3.2. არაფინანსური კორპორაციების კორექტირებული მოგების დონე მთლიანი საოპერაციო მოგება/მთლიანი დამატებული ღირებულება, %



წყარო.: OECD (2013), “Detailed National Accounts: Non-financial accounts by sectors, annual”, OECD National Accounts Statistics (database), doi: <http://dx.doi.org/10.1787/data-00034-en>. OECD calculations.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143681>


ასევე, მარტივი არ არის „სახელმწიფო ვალის“ დონის (ანუ ვალი/მშპ) საერთაშორისო შედარებები, თუმცა ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური ინდიკატორია. პირველი, ამ ფრაზაში სიტყვა „სახელმწიფო“ შეიძლება განსხვავებულად აღიქმებოდეს სხვადასხვა ქვეყანაში. ევროპაში ის ეფუძნება სახელმწიფო დაწესებულებებს (იხ. თავი 9). ევროპის გარეთ, სახელმწიფო ვალის ქვეშ უფრო გაფართოებული კონცეფციაა ჩადებული და იმ სახელმწიფო კორპორაციებსაც მოიცავს, რომლებიც კომერციულ საქმიანობას ეწევიან და სამთავრობო დაწესებულებების მიერ კონტროლირდება. ამ კოეფიციენტის

საერთაშორისო შესადარისობაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს კონსოლიდაციამ, სალდირებამ და ვალის დაფარვის სხვადასხვა ინსტრუმენტებმა, რაც მე-13 თავის 13.3 ჩანართშია ახსნილი.

3. ცვლადების დონეების შედარება: მშპ-ის ფიზიკური მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე

ქვემოთ წარმოდგენილი ნახაზი ძალიან მარტივი, მაგრამ მრავლისმთქმელია. ის გვიჩვენებს ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის დონეებს იაპონიაში, გაერთიანებულ სამეფოსა და ევროზონაში აშშ-სთან მიმართებით, რომელიც 100-ის ტოლია. ნახაზზე 3.3 ჩანს, რომ იაპონიის, ევროზონისა და ასევე გაერთიანებული სამეფოს მშპ-ები ერთ სულზე აშშ-ის ერთ სულზე მშპ-ის 70-80%-ის ფარგლებში მერყეობს. როგორც ვხედავთ, 1995 წლისთვის ეს შეფარდება აშშ-სთან ევროზონისა და გაერთიანებული სამეფოსთვის დაახლოებით 71.0%, ხოლო იაპონიისთვის 80.0% იყო.

ნახაზი 3.3. აშშ-ის რეალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, 1980-2012 ინდექსები, საბაზისო 2005 წლის მუკ-ით და 2005 წლის ფასებით (აშშ = 100)



წყარო: OECD (2013), "Aggregate National Accounts: Gross domestic product", OECD National Accounts Statistics (database), <http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143694>

მართალია, ეს არ არის ნაჩვენები ნახაზზე, მაგრამ 1980-1994 წლებში იაპონიის ეკონომიკა აშშ-ზე მაღალი ტემპებით იზრდებოდა და შედეგად, მშპ მოსახლეობის ერთ სულზე აშშ-ს დონეს უახლოვდებოდა. თუმცა, მისმა შეფარდებითმა დონემ მხოლოდ 1994 წელს მიაღწია პიკს და დაახლოებით 82% შეადგინა. ამის შემდეგ, იაპონიაში დაიწყო სასტიკი „დეფლაცია“ (ეკონომიკური სტაგნაცია და ფასების ვარდნა) და შემდგომი 10 წლის განმავლობაში აშშ-სთან მიმართებით 10 წლის წინანდელი მონაპოვარი სრულიად დაკარგა. შესაბამისად, 1995 და 2012 წლებს შორის იაპონამ აშშ-სთან მიმართებაში 10 პროცენტული პუნქტი დაკარგა.

1980 წლამდე ევროზონამაც შედარებითი ზრდა აჩვენა აშშ-სთან მიმართებით, რამაც გარკვეულად მათი დაახლოების იმედები გააჩინა, თუმცა ევროზონაშიც 1980-1994 წლებთან შედარებით სტაგნაცია დაიწყო და შედარებით დაიწია ამ ინდიკატორმა. აშშ-სთან შედარებით, 2012 წელს ევროზონაში ერთ სულზე მშპ 5%-ით ნაკლები იყო, ვიდრე 1995 წელს. ეს ძირითადად გამოწვეული იყო დიდი კონტინენტური ქვეყნების (გერმანია, საფრანგეთი და იტალია) და არა მცირე ქვეყნების მიზეზით. თუ დავაკვირდებით გაერთიანებული სამეფოს შედეგებს, რომელიც ევროზონაში არ შედის, ვნახავთ, რომ ეს კლება ყველა ევროპული ქვეყნისთვის არ იყო დამახასიათებელი. საპირისპიროდ, გაერთიანებულმა სამეფომ, რომელმაც ამ ინდიკატორის შედარებითი კლება აჩვენა 1970-იანებში, მკვეთრი ნახტომი გააკეთა 1980-იანებში და უკანასკნელი 25 წლის მანძილზე რამდენიმე პროცენტული პუნქტით გააუმჯობესა ის. მიუხედავად ამისა, მან კრიზისის ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადა აშშ-სთან მიმართებით. უკანასკნელი დიდი რეცესიის განმავლობაში აშშ-მ შეინარჩუნა მშპ-ის მაღალი შეფარდებითი დონე მოსახლეობის ერთ სულზე იაპონიასთან და ევროზონასთან შედარებით.

წმინდა სტატისტიკური თვალსაზრისით, ნახაზი 3.3 წარმოადგენს ცალკეული ქვეყნების მშპ-ების აბსოლუტური დონეების ორიგინალურ შედარებას აშშ-ს დონესთან და ამავე დროს ერთ სულზე მშპ-ების მატების ტემპების შედარებას დროში. მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ აქ ერთმანეთს ვადარებთ ერთ სულზე მშპ-ების *ფიზიკურ მოცულობებს* და არა მონეტარულ მნიშვნელობებს. იმისათვის, რომ ერთმანეთს შევადაროთ სხვადასხვა ქვეყნის მშპ-ების ფიზიკური მოცულობები განსხვავებული ეროვნული ვალუტით, რომელთაც სხვადასხვა მსყიდველობითუნარიანობა აქვთ, საჭიროა მოცულობა/ფასის მიხედვით სივრცითი ჩაშლა „მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტების“ (PPP) მეთოდის გამოყენებით.

ჩანართი 3.2. მშპ და კეთილდღეობის გაზომვა

ხშირად, კრიტიკული მოსაზრებები გაისმის მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის, როგორც კეთილდღეობის საზომის, ნაკლოვანებების მიმართ, რასაც ასე თუ ისე გულისხმობს მისი საერთაშორისო შედარებები. უნდა ითქვას, რომ ეს კრიტიკა მართებულია. თუმცა, აქვე დავძენთ, რომ მშპ მოსახლეობის ერთ სულზე არ არის ეკონომიკური და სოციალური „კეთილდღეობის“ საზომი (იხ. თავი 15). ის არც სიმდიდრის საზომია. ის მხოლოდ საქონლისა და მომსახურების წარმოების მოცულობის საზომია. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წარმოება, თავის მხრივ, კეთილდღეობის მნიშვნელოვანი განზომილებაა. ჩვენ ყველანი მოვიხმართ საქონელსა და მომსახურებას და მოხარულნი ვიქნებით, თუ უფრო მეტი გვექნება. მშპ-ის მყარი ზრდა ასევე ხასიათდება უმუშევრობის შემცირებით. თუმცა, საკამათო არ არის, რომ არსებობს კეთილდღეობის ისეთი განზომილებები, რომლებიც არ აისახება მშპ-ში, როგორცაა დასვენებისათვის აქტივობების არჩევის შესაძლებლობა, სოციალური უთანაბრობა, საქონლისა და პერსონალური უსაფრთხოება და გარემოს მდგომარეობა. ამიტომ, მიზანშეწონილი იქნება, თუ დავსვამთ კითხვას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა წარვმართოთ ეკონომიკური განვითარება ისე, რომ ის ჰუმანურ განვითარებას და კეთილდღეობას ემსახუროდეს.

როგორ უნდა მოხდეს ამ ალტერნატიული ფაქტორების გათვალისწინება? ეროვნული სტატისტიკური სამსახურების სტატისტიკოსები ემხრობიან მოსაზრებას, რომ მხოლოდ ერთი ინდიკატორის, მშპ-ს ნაცვლად, რამდენიმე ან ყველა ამ ფაქტორის გასათვალისწინებლად ინდიკატორების სიმრავლე უნდა გამოვიყენოთ, რომელთა შორის მშპ ერთ-ერთი მათგანი იქნება. სწორედ ასე იქცევა ეთგო, როდესაც უკეთესი ცხოვრების ინდექსს აქვეყნებს.*

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ეკონომისტი (უმეტესად უნივერსიტეტებში) მიიჩნევს, რომ საჭიროა რაიმე ერთი სუპერ-მშპ-ის მსგავსი ინდიკატორის შემუშავება, რომელიც გააერთიანებს როგორც საქონლისა და მომსახურების წარმოებას, ისე სოციალურ და გარემოსდაცვით ფაქტორებს. ამ ინდიკატორში უნდა აისახოს გარემოს გაუარესების, სოციალ-ეკონომიკური უთანასწორობისა და ძალადობის ზრდის შედეგები. ამის შემდეგ უფრო გაადვილდება ქვეყნების რანჟირება ყველა დონეზე მიღწეული წარმატების მიხედვით. რამდენიმე ორგანიზაციამ მიაღწია კიდევ ამ ტიპის ინდექსის შემუშავებას, როგორცაა გაერო-ს მიერ გაანგარიშებული „ჰუმანური განვითარების ინდექსი“, რომელიც სამი კომპონენტისგან შედგება: ცხოვრების დონე, განათლების დონე და ჯანმრთელობის მდგომარეობა. ასევე, სხვა ეკონომისტებსაც ჰქონდათ ასეთი ინდიკატორების წარმოდგენის მცდელობა.

მაგრამ, „სუპერ-მშპ-ის“ ინდიკატორის პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ გაუგებარია, თუ როგორ უნდა მოხდეს სოციალური და გარემოს განზომილებების გაერთიანება საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა „ფასები“ უნდა გამოვიყენოთ გარემოსა და სოციალური უთანასწორობის შესაწონად რძის ან მოწყობილობების წარმოებასთან ურთიერთკავშირში? ყველა წამოყენებული წონის იდეა საკმაოდ საკამათოა და ნდობას უკარგავს ასეთ ინდექსს. შეიძლება ვაჩვენოთ, რომ ქვეყნების რანჟირების დროს ძნელად დათვლადი ფაქტორების წონების ვარიაცია მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევს. ამიტომ, იქამდე, სანამ სტატისტიკოსები კონსენსუსამდე არ მივლენ ასეთი ინდიკატორის გაანგარიშების მეთოდის შესახებ, მცირე შანსია, რომ ოფიციალური სტატისტიკების წარმომადგენლები გამოითვლიან „სუპერ-მშპ-ის ინდექსს“.

*უკეთესი ცხოვრების ინდექსის შესახებ ეწვიეთ ვებგვერდს: <http://www.oecdbetterlifeindex.org/>.

4. მოცულობა/ფასის სივრცითი ჩაშლა: მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტები*

აქ მთავარი ამოცანაა მოცემული პერიოდისთვის (ჩვეულებრივ, ერთი წელი) მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის აბსოლუტური დონების (ან სხვა ცვლადების, როგორცაა მოხმარება) შედარება სხვადასხვა ქვეყანას ან რეგიონს შორის ფიზიკური მოცულობით. რატომ ფიზიკური მოცულობით? იმიტომ, რომ ჩვენი მიზანია თითოეულ ქვეყანაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობის და არა მონეტარული მნიშვნელობების შედარება. მონეტარული მნიშვნელობები ფასებს შორის სხვაობის გავლენას განიცდის. როგორ უნდა მოხდეს ფიზიკური მოცულობების შედარება სივრცეში (ანუ ქვეყნებს, რეგიონებს ან ზონებს შორის)?

გაიხსენეთ, როდესაც ცალკეული ქვეყნის მშპ-ების მატებას ვაანალიზებდით დროში, მაშინ, მშპ-ის ფიზიკური მოცულობის გამოსათვლელად მიმდინარე ფასებში გამოსახულ მშპ-ს ვყოფდით ფასების ინდექსზე, რომელიც საბაზისო პერიოდში 100-ის ტოლი იყო. ზუსტად იმავე მიდგომას ვიყენებთ სივრცითი შედარებების დროს. მშპ-ის მოცულობა მიიღება მიმდინარე ფასებში მშპ-ის გაყოფით „მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტების“ ინდექსზე, რომელიც მოცემული ქვეყნისთვის 100-ის ტოლია. ამდენად, თუ ფასების დროით ინდექსში „საბაზისო“ პერიოდი იყო გამოყენებული ათვლის წერტილად (რომლისთვისაც ინდექსი 100-ის ტოლია), სივრცულ ინდექსებში ბაზად გამოიყენება ქვეყანა ან რეგიონი და არა დროის პერიოდი. სივრცითი შედარებებისთვის ეთგო ჩვეულებრივ იყენებს ეთგო-ს ქვეყნების ფასების საშუალო დონეს, ან უფრო მარტივად, აშშ-ის ფასების დონეს.

ამიტომ, ეთგო-ს მიერ წარმოდგენილ „მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტებში“ აშშ = 1 (ან 100).

*უფრო სრულად იხ. Purchasing Power Parities and Real Expenditures 2007, 2005 Benchmark Year (2008 Edition), OECD and Eurostat.


მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტების (PPP) თვალსაჩინოების გამარტივების მიზნით ჯერ ისეთი ქვეყნები განვიხილოთ, სადაც საერთო ვალუტაა, რათა თავიდან ავიცილოთ გაცვლითი კურსებთან დაკავშირებული მანიპულაციები. ასევე, სიმარტივისთვის დავუშვათ, რომ ორ ქვეყანაში მხოლოდ ერთი პროდუქტი - ჰამბურგერი იწარმოება. ახლა დავუშვათ, რომ მშპ-ები მიმდინარე ფასებშია გამოსახული ერთი და იმავე ვალუტაში და A ქვეყნისთვის ის 1000-ის ტოლია, ხოლო B ქვეყნისთვის - 1 200-ის კონკრეტული დროის პერიოდში. ამიტომ, შეგვიძლია დავწეროთ, რომ $GDP_a = 1 000$, $GDP_b = 1 200$. შემდეგ, რადგან მხოლოდ ერთი პროდუქტი, ჰამბურგერი გვაქვს, მშპ-ები ასე შეგვიძლია ჩავწეროთ: $P_a * H_a$ და $P_b * H_b$, სადაც, P_a ევროებში გამოსახული ჰამბურგერის ფასია A ქვეყნისთვის და H_a არის A ქვეყანაში წარმოებული ჰამბურგერების რაოდენობა (ასევე B ქვეყნისთვისაც). ჩვენი მიზანია ერთმანეთს შევადაროთ მოცულობები, ე.ი. H_a და H_b რაოდენობები. ამისათვის უნდა გამოვთვალოთ ფასების დონე PPP, რომელსაც ეწოდება „B-ს მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი A-ს მიმართ“, როგორც: $PPP = P_b \div P_a$. თუ მოვახდენთ B-ს მშპ-ის დეფლაცირებას ამ პარიტეტით, ანუ სხვა სიტყვებით, GDP_b -ს გავყოფთ PPP-ზე, მივიღებთ $P_a \times H_b$. შედეგად მივიღებთ B ქვეყნის მშპ-ის მოცულობას „A ქვეყნის ფასებში“. შემდეგ, თუ ამ მოცულობას გავყოფთ GDP_a -ზე, მივიღებთ $H_b \div H_a$, რაც მოცულობის მიხედვით ზუსტად ის შედარებითი შეფასებაა, რაც გვჭირდება. ჩანს, რომ: (1) PPP არის იდენტური პროდუქტის ფასების დონეების ფარდობა ორ ქვეყანაში; (2) მოცულობა, რომელიც მიიღება ქვეყნის მშპ-ის დეფლაცირებით მისი PPP-ს საშუალებით, წარმოადგენს მის მშპ-ს *საბაზისო ქვეყნის ფასებში*, რაც იძლევა ორი ქვეყნის ფასების დონეებს შორის განსხვავების ელიმინირების საშუალებას; და (3) ამ მშპ-ის მოცულობის ფარდობა საბაზისო ქვეყნის მშპ-სთან მიმდინარე ფასებში, გვამლევს განსხვავებას *მოცულობაში*, რაც ჩვენი მიზანია.

ახლა დავუშვათ, რომ ორ ქვეყანაში განსხვავებული ვალუტაა. A ქვეყანაში (მაგ. აშშ) დოლარია, ხოლო B ქვეყანაში - ევრო. თუ A ქვეყანაში ჰამბურგერის ფასია P_a დოლარებში და B ქვეყანაში P_b ევროში, მაშინ A და B ქვეყნებს შორის PPP ისევ $P_b \div P_a$ -ს ტოლი იქნება. თუმცა, ამ შემთხვევაში, PPP ვალუტების თანაფარდობით

არის გამოსახული, რადგან ის ერთ დოლარზე ევროების ეკვივალენტურია. მაშ როგორ უნდა მოხდეს ახლა მისი ინტერპრეტირება? ეს არის ევროების რაოდენობა, რომელიც შეიძლება დაიხარჯოს B ქვეყანაში ჰამბურგერების იმავე რაოდენობის შესაძენად, რომლისთვისაც ერთი დოლარის დახარჯვა იქნებოდა საჭირო A ქვეყანაში. შესაბამისად, PPP არის გარდაქმნის დონე, რომელიც ამ ორი ვალუტის მსიდველობითუნარიანობას ათანაბრებს. როდესაც B ქვეყნის მშპ-ს PPP-ზე ვყოფთ, ორ კურდღელს ვკლავთ: ჩვენ ვახდენთ ამ ორი ქვეყნის ფასების დონეებს შორის განსხვავების ელიმინირებას; და ორ ღირებულებას საბაზისო ქვეყნის ვალუტაში ავსახავთ.

რატომ არ ვიყენებთ სავალუტო ბაზარზე არსებულ რეალურ (ფაქტობრივ) გაცვლით კურსს? იმიტომ, რომ გაცვლითი კურსით არ ხდება ორი ქვეყნის ფასების დონეების განსხვავების კორექტირება და ამის გამო, რეალურად ვერ შევადარებთ საქონლისა და მომსახურების მოცულობებს ერთ სულზე. ახლა, ვცადოთ და შევადაროთ ერთმანეთს შვედეთისა და აშშ-ის მშპ-ები მოსახლეობის ერთ სულზე გაცვლითი კურსების საშუალებით. პირველად, კრონებში გამოსახული მშპ ერთ სულზე გავყოთ კრონა/დოლარის გაცვლით კურსზე. ჩვენ მივიღებთ შვედეთის მშპ-ს ერთ სულზე დოლარებში. პირდაპირი შედარებისთვის, ეს მიღებული ოდენობა (დოლარებში) უნდა გავყოთ აშშ-ის მშპ-ის მნიშვნელობაზე მოსახლეობის ერთ სულზე (და 100-ზე გავამრავლოთ). ეს გვამღევს წყვეტილ მრუდს ნახაზზე 3.4, რომელიც წარმოადგენს პროცენტებში გამოსახულ ინდექსს შვედეთისა და აშშ-ის (რომელიც შეთანხმებისამებრ 100-ის ტოლია) ერთ სულზე მშპ-ების ფარდობის შედეგად. ამ ინდექსის მნიშვნელობა შეგიძლიათ ნახაზის მარცხენა ორდინატაზე ნახოთ.

ნახაზი 3.4 მშპ მოსახლეობის ერთ სულზე გაცვლითი კურსების გამოყენებით
მოსახლეობის ერთ სულზე შვედეთის მშპ-ის პროცენტი აშშ-ის მშპ-სთან მოსახლეობის ერთ სულზე და აშშ დოლარი ერთ შვედურ კრონაზე



წყარო.: OECD (2013), "Aggregate National Accounts: Gross domestic product", OECD National Accounts Statistics (database), <http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143707>

მრუდის მოხაზულობა აშკარად გვიჩვენებს, რომ ეს გაანგარიშება მშპ-ის რელატიური მოცულობის სწორი ინდიკატორი არ არის. სრულიად ნათელია, რომ არ არის სწორი მოვლენების შემდეგი განვითარება: 1990 წელს შვედეთის მშპ-მ ერთ სულზე (წყვეტილი ხაზი) აშშ-ის მიმართ 120% შეადგინა, შემდეგ დავარდა და მხოლოდ 10 წლის შემდეგ, 2011 წელს გაუტოლდა 1990 წლის დონეს. აღნიშნული ცვალებადობა შეიძლება აშშ დოლარისა და შვედური კრონის გაცვლითი კურსების მოძრაობასთან (უწყვეტი ხაზი) დააკავშიროთ. ნახაზზე თვალსაჩინოდ ჩანს ორ ცვლადს შორის კორელაცია: ცხადზე ცხადია, რომ ორივე მრუდი მუდმივად ერთი მიმართულებით მოძრაობს. ამდენად, გაცვლითი კურსი არ არის კარგი რელატიური დეფლატორი.


ამგვარად, საბაზრო გაცვლითი კურსების გამოყენება არ არის შესაძლებელი. ამის ნაცვლად, აუცილებელია სპეციალური ინდექსების აგება სივრცითი მოცულობა/ფასის ჩასაშლელად, ან მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის (PPP) განსაზღვრა. ეს PPP ინდექსები წარმოადგენს იდენტურ პროდუქტებზე ფასების ფარდობას, რომელზეც ადრე ვიმსჯელებთ. ასეთი ტიპის ინდექსები მშპ-ის

თითოეული შემადგენელი მუხლისთვის უნდა გამოვითვალოთ (საბოლოო მოხმარება, GFCF, ექსპორტი, იმპორტი). ხოლო მშპ-ის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი ამ ინდექსების გასაშუალოებით მიიღება. ამიტომ, PPP არის მშპ-ის სივრცითი დეფლატორი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ერთმანეთს შევადაროთ სხვადასხვა ქვეყნის მოცულობების აბსოლუტური სიდიდეები ეროვნული ფასების განსხვავების ელიმინირებით. როგორც ვნახეთ, ასეთი დეფლატორის გამოყენება არ არის შეზღუდული განსხვავებული ვალუტის მქონე ქვეყნებში. მისი გამოყენება ასევე შეიძლება საერთო ვალუტის მქონე ქვეყნებში (მაგალითად, ევროზონის ქვეყნებში), ან ერთი ქვეყნის რეგიონებს შორის (სავსებით შესაძლებელია, რომ ფასების დონეები გეოგრაფიულ რეგიონებს შორის მნიშვნელოვნად განსხვავებული იყოს), მიუხედავად იმისა, რომ მათ ერთი ვალუტა აქვთ. მაგალითად, საფრანგეთის შემთხვევაში, ერთი და იგივე ხელფასის ღირებულება პროვინციებში უფრო მაღალია, ვიდრე პარიზში, რადგან პარიზში ბევრად მაღალია საცხოვრებლის ფასები.

ნახაზზე 3.5 ნაჩვენებია შვედეთისა და აშშ-ის მშპ-ების დამოკიდებულება ორი განსხვავებული მეთოდით. პირველი, უწყვეტი ხაზით წარმოდგენილი უკვე ვიხილეთ ნახაზზე 3.4. ეს არასწორი მეთოდია, რომელიც გულისხმობს მოსახლეობის ერთ სულზე შვედეთის მშპ-ის გაყოფას გაცვლით კურსზე. მეორე, წყვეტილი ხაზით გამოსახული, მოიცავს იგივე ციფრების ფარდობას შვედეთის მშპ-ის PPP-ზე და აქ $აშშ = 1$. ამ სწორი მეთოდის გამოყენებით შეიძლება დავასკვნათ, რომ შვედეთის მშპ მოსახლეობის ერთ სულზე სრულიად სტაბილური იყო და ასეთად რჩებოდა აშშ-სთან შედარებით 80%-ის ფარგლებში; ის მცირედით დავარდა 1980 და 2004 წლებში და ასევე მცირედი აღმავალი ტრენდი აჩვენა 2005 წელს.

ნახაზი 3.5. სწორი და არასწორი მშპ ერთ სულზე

მოსახლეობის ერთ სულზე შვედეთის მშპ-ის პროცენტი აშშ-ის მშპ-სთან მოსახლეობის ერთ სულზე, დეფლატირებული გაცვლითი კურსებით და PPP-თი




წყარო: OECD (2013), "Aggregate National Accounts: Gross domestic product", OECD National Accounts Statistics (database), <http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143712>

ისმის კითხვა: რა კავშირია PPP-სა და გაცვლით კურსს შორის? ნახაზზე 3.6 შვედეთის PPP აშშ-სთან მიმართებაში წარმოდგენილია წყვეტილი ხაზით, ხოლო აშშ დოლარსა და შვედურ კრონას შორის გაცვლითი კურსი - უწყვეტი ხაზით.

ნახაზი 3.6. PPP-ები და გაცვლითი კურსები

შვედური კრონა ერთ აშშ დოლარზე PPP-ებისა და გაცვლითი კურსების გამოყენებით



წყარო: OECD (2014), "Aggregate National Accounts: PPPs and exchange rates", OECD National Accounts Statistics (database), doi: <http://dx.doi.org/10.1787/data-00004-en>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143726>

3.6 ნახაზზე ნაჩვენები ციფრები არის 3.4 ნახაზის შებრუნებული (1/X).

ორივე გრაფიკი ერთი და იგივე საზომი ერთეულებით არის წარმოდგენილი, ე.ი. შვედური კრონების რაოდენობა ერთ აშშ დოლარზე, თუმცა, PPP არის შვედური კრონების რაოდენობა, რომელიც უნდა დაიხარჯოს შვედეთში იმავე რაოდენობის საქონლისა და მომსახურების შესაძენად, რაც აშშ-ში ერთი დოლარი დაგვიჯდებოდა, მაშინ როდესაც გაცვლითი კურსი ეს არის შვედურ კრონასა და აშშ დოლარს შორის სავალუტო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების შედეგი. ზოგჯერ ამტკიცებენ, რომ PPP წონასწორული გაცვლითი კურსის სახეობაა. შეიძლება ითქვას, რომ თუ სავალუტო ბაზრებზე გაცვლითი კურსი PPP-ზე დაბალია, მოსალოდნელია, რომ გაცვლითი კურსი გაიზარდოს (ან შებრუნებით), რადგან დოლარის მფლობელებს უჩნდებათ შვედეთში მათი დახარჯვის მოტივაცია, ან შებრუნებით.

მიუხედავად იმისა, რომ ნახაზზე ნათლად ჩანს გაცვლითი კურსის რყევები PPP-ს გარშემო, ამ შედარების გამარტივებული ინტერპრეტაციისგან თავი უნდა შევიკავოთ. რყევები სავალუტო ბაზრებზე ბევრ სხვა ფაქტორზეა დამოკიდებული. ამიტომ, მიზანშეწონილი არ იქნება ვალუტებით სპეკულირება ეთგო-ს მიერ გამოთვლილ

PPP-ებთან შედარებით. უფრო მეტიც, ვალუტით ვაჭრობას განაპირობებს ექსპორტი, იმპორტი და კაპიტალის მოძრაობები, მაშინ როდესაც PPP გამოითვლება ყველა საქონლისა და მომსახურებისთვის, მათ შორის ისეთი პროდუქტებისთვის, რომელიც არც იმპორტირებული და არც ექსპორტირებული არ არის.

რეალურად, PPP-ს გამოთვლა საკმაოდ რთულია. ის ეფუძნება თითოეულ ქვეყანაში შესადარისი პროდუქტების რეპრეზენტატულ შერჩევას. ძირითადი სირთულე პროდუქტების შერჩევაზე მოდის. ამისათვის, პროდუქტი უნდა იყოს როგორც შესადარისი, ისე რეპრეზენტატული (ანუ ისეთი სახის, რომ მისი შესყიდვები თითოეულ ქვეყანაში ხდებოდეს). ჰამბურგერებისთვის ეს ადვილია, მაგრამ ძნელია სხვა საქონლისა და მომსახურებისთვის, რომელიც ხშირად ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია. თუ მრავალი პროდუქტი და რეგიონი გვაქვს, მაშინ შესადარისი საქონლისა და მომსახურების კალათისთვის ერთობლივი მსყიდველობით-უნარიანობის პარიტეტი წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნის (ზონის ან რეგიონის) მიხედვით ფასების დონის შეწონილ საშუალოს. ეს კალათა მოიცავს საბოლოო მოთხოვნის ყველა კომპონენტს (მოხმარება, ინვესტიცია, წმინდა ექსპორტი). ამასთან, PPP-ს გამოსათვლელი ფორმულაც უფრო რთულია იმასთან შედარებით, რაც დროში მოცულობა/ფასის ჩაშლისთვის გამოვიყენეთ. ამიტომ, უნდა დავუბრუნდეთ საზომს, რომელიც არის „სიმეტრიული“ და „ტრანზიტული“. სიმეტრიულობა ნიშნავს შემდეგს: B ქვეყნის შედარებითი (შეფარდებითი) მოცულობა A-ს მიმართ მისი შებრუნებულის ტოლია, ანუ A ქვეყნის შედარებითი მოცულობისა B-ს მიმართ. ტრანზიტულობა ნიშნავს, რომ თუ C ქვეყანა B-ს 80%-ია და B არის A-ს 75%, მაშინ პირდაპირ შეგვიძლია გამოვითვალოთ, რომ C ტოლია $(0.8 \times 0.75) \times A$.


მიუხედავად იმისა, რომ PPP-ს მიღება რთულია, შეგვიძლია მოვახდინოთ ჰამბურგერის მაგალითიდან ჩამოყალიბებული ძირითადი პრინციპების ექსტრაპოლირება: (1) PPP ფასების ფარდობაა; (2) PPP არის გაცვლითი კურსი, რომელიც ათანაბრებს შერჩეული საქონლისა და მომსახურების კალათის ფასს; (3) PPP-ს მისაღებად გამოიყენება საბაზისო ქვეყანა ან ქვეყნების ჯგუფი, ამიტომ სიდიდეები, რომლებიც PPP-ებით არის გამოსახული, ყოველთვის შეფარდებითია. PPP-ების გამოსათვლელად ეთგო ხშირად იყენებს აშშ-ს ათვლის, ან საბაზისო ქვეყანად და ამიტომ არის, რომ ეთგო-ს ცხრილებში ხშირად ჩნდება „აშშ = 100“. მაგრამ ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ აღნიშნული რაღაც განსაკუთრებულია, ვიდრე საპრეზენტაციო არჩევანი. რა თქმა უნდა, ეთგო ზოგჯერ ეთგო-ს საშუალოსაც იყენებს საბაზისოდ და მას 100-ს უტოლებს. ერთხელ კიდევ უნდა აღინიშნოს, რომ ისევე როგორც მოცულობის ნებისმიერ ციფრს, PPP-ებით გამოსახულ ცვლადის დონეს თავისთავად მნიშვნელობა არ გააჩნია. მნიშვნელოვანია მხოლოდ

შეფარდებითი დონეები და ეს შეფარდებითი დონეები არ არის დამოკიდებული საბაზისო ქვეყნის შერჩევაზე. შეფარდებითი დონეებისთვის აბსოლუტურად სულ ერთია, აშშ იქნება 100-ის ტოლი, თუ ეთგო-ს საშუალო იქნება 100.

ქვემოთ, ნახაზზე 3.7 მოტანილია 2012 წლისთვის ეთგო-ს ქვეყნების ჯგუფისთვის განსხვავებები მშპ-ებს შორის, რომლებიც მიმდინარე გაცვლითი კურსით და მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტებით არის გამოსახული. როგორც ჩანს, გაცვლით კურსებთან შედარებით PPP-ების გამოყენების მთავარი ეფექტი იმაში მდგომარეობს, რომ იზრდება შედარებით ღარიბი ქვეყნების, როგორცაა უნგრეთი, მექსიკა, პოლონეთი და თურქეთი, შეფარდებითი მშპ-ები. რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ შედარებით ღარიბ ქვეყნებში ფასების შეფარდებითი დონე მდიდარ ქვეყნებთან შედარებით დაბალია და ეს განსხვავება სრულად არ არის ჩართული გაცვლითი კურსების ბაზარზე. შემდეგი ფაქტორია ის, რომ PPP-ში ჩართული საქონლიდან ყველა არ არის საერთაშორისო ვაჭრობის ობიექტი, როგორცაა საბინაო ფონდი. ბინების მშენებლობა ღარიბ ქვეყნებში უფრო იაფია მდიდარ ქვეყნებთან შედარებით. ამის გამო, დეფლატორად PPP-ს გამოყენება უკეთეს სურათს იძლევა თითოეული ქვეყნის ფაქტობრივი შემოსავლების შესახებ, განსაკუთრებით შედარებით ღარიბი ქვეყნებისთვის.

ნახაზი 3.7. მშპ მოსახლეობის ერთ სულზე გაცვლითი კურსებისა და PPP-ების გამოყენებით

პროცენტობით აშშ-ის მშპ-სთან მოსახლეობის ერთ სულზე



წყარო: OECD (2013), “Aggregate National Accounts: Gross domestic product”, OECD National Accounts Statistics (database), <http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143738>

მიუხედავად იმისა, რომ PPP-ები უფრო მოხერხებულია მოცულობების საერთაშორისო შედარებებისთვის, ვიდრე გაცვლითი კურსები, ის მაინც უფრო სტატისტიკური კონცეფციაა, ვიდრე ზუსტი საზომი. კერძოდ, PPP-ები უფრო ძნელი გამოსათვლელია, ვიდრე ფასების ინდექსები დროში. შედარებით იოლია ბინების საქირავნო ფასების მატების გამოთვლა დროში, ვიდრე ვარშავას ან მადრიდში მათი ფასების შედარება. არსებობს კიდევ ერთი დაბრკოლება: ბიუჯეტები, რომლებიც PPP-სთვის ფასების მოსაპოვებლად გამოიყოფა, მცირეა და შედეგად, დროში ფასების ინდექსებზე გაწეული დანახარჯებისგან განსხვავებით, დაკვირვებების მცირე რაოდენობა მიიღება. ზოგადად თუ ვიმსჯელებთ, წლიდან წლამდე PPP-ების გამოთვლებში დიდი სხვაობებია, ამიტომ დროში მშპ-ების მოცულობების შედარებისთვის ეთგო-ს რეკომენდაციაა, რომ არ მოვახდინოთ ერთ სულზე მშპ-ების

დეფლაცირება „მიმდინარე“ PPP-ებით. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ გამოთვლებს მუდმივად განახლებადი ფასების სტრუქტურის გამოყენების უპირატესობა აქვს, დროთა განმავლობაში ისინი ჰომოგენურობას კარგავენ.

უკეთესი იქნება, თუ გამოვიყენებთ მშპ-ის მოცულობის ეროვნულ მწკრივს საბაზისო წლის ფასებში (მაგ. 2005) და მის დაფლაცირებას მოვახდენთ ფიქსირებული წლის (მაგ. 2005) PPP-თი, თუმცა, იგივე წლის გამოყენება საჭირო არ არის. ამ გზით მივიღებთ მწკრივებს, რომლებიც მოცულობების შედარების ორ სახესთან არის დაკავშირებული: მოცულობა დროთა განმავლობაში და სივრცითი მოცულობა. აღნიშნულის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული ქვეყნის მიხედვით შესაძლებელია როგორც ერთ სულზე მშპ-ის მატების, ისე ქვეყნებს შორის შედარებების წარმოდგენა მოცულობის დონეზე.

მეორე მხრივ, მათი ნაკლოვანება უცვლელი ფასების გამოყენებაა. მაგალითად, მათი საშუალებით ხდება კომპიუტერების მძლავრი მწარმოებელი ქვეყნების შედარებითი მშპ-ის მოცულობის გადაჭარბებით შეფასება, რომელთა ფასებიც დროთა განმავლობაში იაფდება. იმის გამო, რომ წარსული პერიოდის ფასების ინდექსებზე ხდება დაყრდნობა, უფრო დიდ წონას ანიჭებენ კომპიუტერებს, ვიდრე ეს ახლანდელი ფასების გამოყენებით იქნებოდა შესაძლებელი.

ეს მეთოდი ცნობილია, როგორც „მუდმივი PPP“, რომელიც გამოყენებულია ნახაზზე 3.3 და ამიტომაც სათაურში გვხვდება ფრაზა „საბაზისო 2005 წლის მუპ-ით“. ფაქტობრივად, მიუხედავად იმისა, რომ აქ ნაჩვენებია ერთ სულზე მშპ-ების შეფარდებითი მწკრივები აშშ-სთან მიმართებით 1995 - 2012 წლებში, აქ მხოლოდ 2005 წლის PPP არის გამოყენებული. სხვა წლებისთვის ციფრების მისაღებად დაინტერესებული ქვეყნებისთვის გამოყენებულია ერთ სულზე მშპ-ების მოცულობის ცვლილება 2005 წლის დონეებთან შედარებით. ამ თავის ბოლოს, პირველ სავარჯიშოში ახსნილია ამ მეთოდის გამოყენების ტექნიკა. უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იხ. <http://www.oecd.org/std/47359870.pdf%20> ან <http://www.oecd.org/dataoecd/50/27/1961296.pdf>.

5. ცვლადების აბსოლუტური მნიშვნელობების შედარება: შინამეურნეობების მოხმარება

გარდა იმ სიძნელებისა, რაც თან ახლავს შესაბამისი სივრცითი ფასების ინდექსების პოვნას დეფლატორის ასაგებად, ქვეყნებს შორის შედარებებს ართულებს

ინსტიტუციური განსხვავებებიც. მაგალითად, შინამეურნეობების მოხმარების აბსოლუტური მნიშვნელობები ისეთ მახეს შეიცავს, რომ ძალზე ადვილია მასში გაბმა. როგორც მე-5 თავშია ახსნილი, ეროვნულ ანგარიშებში შინამეურნეობების მოხმარებისთვის ორი განსაზღვრაა მოტანილი:


- **შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების დანახარჯები** არის შინამეურნეობების მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვები.
- **შინამეურნეობების რეალური ინდივიდუალური მოხმარება.** ის უდრის შინამეურნეობების მოხმარების დანახარჯებს (ზემოთ) დამატებული „ინდივიდუალური მოხმარება“, რომელიც არის სამთავრობო დაწესებულებებისა და შმაკო-ების (შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები) დანახარჯები, რაც პირდაპირ მიემართება შინამეურნეობების კეთილდღეობისთვის, როგორცაა მაგალითად, ჯანდაცვა და განათლება. ამ მომსახურების საფასურს შინამეურნეობები პირდაპირ არ იხდიან (ისინი გადასახდების სახით არაპირდაპირ იხდიან), თუმცა იღებენ აქედან სარგებელს.

თუ გვსურს, რომ მოსახლეობის ერთ სულზე საერთაშორისო შედარებები აზრიანი იყოს, ის უნდა ეფუძნებოდეს რეალურ ინდივიდუალურ მოხმარებას და არა მოხმარების დანახარჯებს. ეს იმის გამოა, რომ დანახარჯების წილი, რომელსაც პირდაპირ ეწევიან შინამეურნეობები ჯანდაცვასა და განათლებაზე და დანახარჯების წილი, რომელსაც მთავრობა ეწევა, სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავებულია. თუ მოხმარებას გამოიყენებთ რეალური მოხმარების ნაცვლად, შეიძლება გაუგებრობაში მოხვდეთ და ნაკლებად შეაფასოთ ერთ სულზე ისეთი ქვეყნების მოხმარება, რომლებიც ასეთი დანახარჯების ფართო „სოციალიზაციას“ ახდენენ (დასავლეთ ევროპის ქვეყნები) იმ ქვეყნებთან შედარებით, სადაც ასეთი დანახარჯები კერძო სექტორის მხრებზეა (აშშ). სწორედ ამიტომ არის, რომ ეთგო-ს ეროვნული ანგარიშების მოცულობის მწკრივები ერთ სულზე რეალურ ინდივიდუალურ მოხმარებაზეა აგებული და დეფლაცირებულია შესაბამისი PPP-თი.

ნახაზზე 3.8 ნაჩვენებია მოხმარების დანახარჯებისა და რეალური ინდივიდუალური მოხმარების ხვედრითი წილები მშპ-ში 10 ქვეყნისთვის 2012 წელს (მიმდინარე ფასებში, ეროვნულ ვალუტაში). ათივე ქვეყნისთვის შინამეურნეობების საბოლოო მოხმარება მშპ-ის 45-65% შეადგენს, ხოლო ინდივიდუალური მოხმარება დაახლოებით 70%-ს. ყველაზე განსხვავებული საფრანგეთის და დანიის მონაცემებია, რადგან მათი დანახარჯები ჯანდაცვასა და განათლებაზე დიდ წილად „სოციალიზებულია“.

საერთოდ, ამის გამო, ეროვნულ ანგარიშებში აბსოლუტური დონეების საერთაშორისო შედარებები პრობლემატურია. ერთი და იმავე საკითხზე ყველა ქვეყანა ერთ შეთანხმებას არ იყენებს. როგორც პირველ ქვეთავში ვნახეთ, ეს დიდ გავლენას არ ახდენს მატების ტემპების შედარებაზე, თუმცა თავს იჩენს აბსოლუტური მნიშვნელობების შედარებისას, რაც მშპ-ს სტრუქტურას რამდენიმე პროცენტული პუნქტით ცვლის. ამ სიძნელებთან ერთად, დიდი ვარიაციაა სტატისტიკური სისტემების ხარისხში. ბევრი ქვეყნის სტატისტიკურ სამსახურს გააჩნია ფირმების ამომწურავი რეგისტრი და ხელი მიუწვდება საგადასახადო დეკლარაციებზე (გადამხდელთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე). ამიტომ, ასეთი სამსახურები სრულად მოიცავენ ქვეყნის ეკონომიკას მთლიანობაში. დანარჩენ ქვეყნებს ასეთი ამომწურავი მონაცემთა ბაზა არ გააჩნიათ. პრინციპში, ქვეყნები თავიანთ მშპ-ს აკორექტირებენ „დაუკვირვებადი“ ან „იატაკვეშა“ ეკონომიკის გათვალისწინებით, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ეს ყველასთვის საერთო მეთოდებით ხდება. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ილუზია არ უნდა გავვიჩნდეს, რომ მშპ-ს დონეები ზედმიწევნით ზუსტია, ან რომ განსხვავებები ძალიან მცირეა - სულ რაღაც რამდენიმე პუნქტი.

ნახაზი 3.8. შინამეურნეობები: საბოლოო მოხმარების დანახარჯები ინდივიდუალური მოხმარების წინააღმდეგ მშპ-ის პროცენტი, 2012



წყარო: OECD (2013), "Aggregate National Accounts: Gross domestic product", OECD National Accounts Statistics (database), <http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143743>

ამ პრობლემებისა და იმის გათვალისწინებით, რომ მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტების გამოთვლას აკლია სიზუსტე, უნდა ვიცოდეთ, რომ შეუძლებელია შეუზღუდავი ნდობა გვექონდეს აბსოლუტური დონეების შედარებების მიმართ. მაგალითად, ეთგო-ში ორ ქვეყანას შორის მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ებს შორის 5%-ზე ნაკლები განსხვავება რეალურად მნიშვნელოვნად არ მიიჩნევა. ამასთან, დაიმახსოვრეთ, რომ მოცულობების მატების ტემპებს შორის 0.2%-იანი განსხვავება უკვე მნიშვნელოვანია. ხშირად ჟურნალისტები დიდ ამბავს ატეხენ ხოლმე იმის გამო, რომ ერთი ქვეყნის მშპ-მ ერთ სულზე მეორე ქვეყანას ერთზე ნაკლები პროცენტით გადაასწრო. ასეთი სახის ინფორმაციას ფრთხილად უნდა მივუდგეთ და თუ განსხვავება ძალიან მცირე რჩება, უნდა ვნახოთ, დასტურდება თუ არა აღნიშნული მატების ტრენდებით. თუ ასე არ არის, უფრო გონივრული იქნება, თუ ვიტყვით, რომ ორი ქვეყნის მშპ-ები მოსახლეობის ერთ სულზე „დაახლოებით თანაბარია“.

ბიბლიოგრაფია

OECD (2014), “Aggregate National Accounts: PPPs and exchange rates”, OECD National Accounts Statistics (database), doi: <http://dx.doi.org/10.1787/data-00004-en>.

OECD (2013a), OECD Economic Outlook, Vol. 2013/2, OECD Publishing, <http://dx.doi.org/10.1787/data-00004-en>.

OECD (2013b), “Aggregate National Accounts: Gross domestic product”, OECD National Accounts Statistics (database), <http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en>.

OECD (2013c), “Aggregate National Accounts: Population and employment by main activity”, OECD National Accounts Statistics (database), doi: <http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en>.

OECD (2013), “Detailed National Accounts: Non-financial accounts by sectors, annual”, OECD National Accounts Statistics (database), doi: <http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en>.

საკვანძო მომენტები

- ეროვნულ ანგარიშებში გამოყენებული განსაზღვრებები და შეთანხმებები საერთაშორისოა. პრინციპში, ამიტომ არის შესაძლებელი სხვადასხვა ქვეყნებს შორის ეროვნული ანგარიშების მონაცემების შედარება.
- პრაქტიკულად, გამოყენებული მეთოდები ზუსტად იგივე არ არის და ქვეყნების ინსტიტუციებიც განსხვავებულია. საბოლოო ანალიზში ეროვნული ანგარიშების ცვლადების მატების ტემპები უფრო შესადარისია, ვიდრე აბსოლუტური დონეები.
- ცალკეული ცვლადების შემთხვევაში აუცილებელია შესაბამისი გარდაქმნების ჩატარება: მაგალითად, გაყოფა მოსახლეობის რიცხოვნობაზე (შედეგად მიიღება აგრეგატი „მოსახლეობის ერთ სულზე“) ან ინსტიტუციური განსხვავებების გათვალისწინება.
- იმისათვის, რომ ერთმანეთს შევადაროთ სხვადასხვა ქვეყნის ან რეგიონის მშპ-ის მოცულობები მოსახლეობის ერთ სულზე, საჭიროა მათი დეფლაცირება მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტებით (PPP) და არა ვალუტების ფაქტობრივი გაცვლითი კურსებით.
- როდესაც მშპ-ს (ან სხვა ცვლადს) შესაბამის PPP-ზე ვყოფთ, ეს გვაძლევს იმის საშუალებას, რომ მოვახდინოთ ფასების დონეების განსხვავების ელიმინირება და ცვლადების მოცულობების ერთმანეთთან შედარება.
- PPP-ს გამოთვლა შესაძლებელია საერთო ვალუტის მქონე სხვადასხვა ქვეყნისთვის (ან ერთი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონისთვის), რამდენადაც ვალუტის მსყიდველობითუნარიანობა სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონში განსხვავებულია.

მე-3 თავის სავარჯიშოები

სავარჯიშო 1. მშპ-ის გამოთვლა მოსახლეობის ერთ სულზე უცვლელი და მიმდინარე PPP-ს საშუალებით

კითხვა 1: ცხრილში 1 მოცემულია აშშ-ის, შვედეთისა და იაპონიის PPP-ები: ცხრილში 2 იმავე ქვეყნებისთვის მოცემულია მშპ-ის მოცულობა (2005 წლის ფასებში); ცხრილში 3 მოტანილია ამ ქვეყნების მოსახლეობის რიცხოვნობა. ამ მონაცემების დახმარებით ააგეთ ახალი ცხრილი *მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის მოცულობისთვის (აშშ = 100) მუდმივი 2005 წლის PPP-ით*. მიღებული შედეგები წარმოადგინეთ ნახაზი 3.3-ის მსგავსად.

კითხვა 2: ცხრილში 4 წარმოდგენილია იგივე ქვეყნების მშპ-ები, ამ შემთხვევაში მიმდინარე ფასებში. მოახდინეთ მშპ-ების დეფლაცირება *მიმდინარე PPP-ებით*. შეადარეთ კითხვა 1-ისა და კითხვა 2-ის პასუხები. გააკეთეთ კომენტარები განსხვავებებზე.

ცხრილი 1. მშპ-ის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტები

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
იაპონია	155.11	149.86	143.77	139.82	134.16	129.55	124.86	120.22	116.85	116.35	112.42
შვედეთი	9.14	9.35	9.35	9.34	9.11	9.38	9.09	8.89	8.77	8.96	9.07
აშშ	1.00	1.00	1.00	1.00	1.00	1.00	1.00	1.00	1.00	1.00	1.00

ცხრილი 2. მშპ-ის ფიზიკური მოცულობა 2005 წლის ფასებში, ეროვნულ ვალუტაში, მლრდ

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
იაპონია	474 830.2	476 518.1	477 897.8	485 950.9	497 422.9	503 903.0	512 433.6	523 667.1	518 212.4	489 570.9	512 346.3
შვედეთი	2 425.1	2 455.7	2 516.7	2 575.5	2 684.5	2 769.4	2 888.4	2 984.1	2 965.8	2 816.7	3 001.4
აშშ	11 558.8	11 668.4	11 875.7	12 207.1	12 670.8	13 095.4	13 444.6	13 685.2	13 645.5	13 263.1	13 595.6

ცხრილი 3. მოსახლეობის რიცხოვნობა, ათასი კაცი

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
იაპონია	126 926	127 133	127 401	127 635	127 734	127 755	127 839	127 980	128 046	128 034	128 043
შვედეთი	8 872	8 896	8 925	8 958	8 994	9 030	9 081	9 148	9 220	9 299	9 379
აშშ	282 398	285 225	287 955	290 626	293 262	295 993	298 818	301 696	304 543	307 240	309 776

ცხრილი 4. მშპ მიმდინარე ფასებში, ეროვნულ ვალუტაში, მლრდ

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
იაპონია	509 860.0	505 543.2	499 147.0	498 854.8	503 725.3	503 903.0	506 687.0	512 975.2	501 209.3	471 138.7	482 384.4
შვედეთი	2 265.4	2 348.4	2 443.6	2 544.9	2 661.0	2 769.4	2 944.5	3 126.0	3 204.3	3 105.8	3 337.5
აშშ	10 289.7	10 625.3	10 980.2	11 512.2	12 277.0	13 095.4	13 857.9	14 480.3	14 720.3	14 417.9	14 958.3

ამ სავარჯიშოების ამოხსნები შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე:

<http://dx.doi.org/10.1787/9789264214637-21-en>

თავი 4

წარმოება: რა შედის და რა არ შედის

ამ თავში განხილულია წარმოების გაზომვის საკითხები. ფართო გაგებით, წარმოების შედეგია საქონლისა და მომსახურების „გამოშვება“, სამუშაო ადგილების შექმნა და შემოსავლების გენერირება. გამოშვება ეროვნული ანგარიშების მთავარი კონცეფციაა, მაგრამ რა შედის ზუსტად მასში? ამ თავში განვიხილავთ „წარმოების საზღვრებს“ და ვნახავთ, თუ როგორ მივიდნენ ეკონომისტები იმ აზრამდე, თუ რა შეეტანათ ან არ შეეტანათ წარმოების შემადგენლობაში. აქვე განვიხილავთ არალეგალური და იატაკქვეშა ეკონომიკების კავშირს წარმოების საზღვრებთან და ასევე გამოშვებისა და დამატებული ღირებულების შეფასების საკითხებს.

წარმოება არის ის, რასაც მივყავართ „გამოშვებამდე“ (ეს ტერმინი გამოიყენება ეროვნულ ანგარიშებში), სამუშაო ადგილების შექმნამდე, მომუშავეებისა და კაპიტალის მფლობელების შემოსავლების გენერირებამდე, ხოლო შედეგად ვიღებთ საქონელსა და მომსახურებას მაღაზიების დახლებზე. გამოშვება ეკონომიკის ძირითადი კონცეფციაა. არსებითად, ეკონომისტების მიერ ის ფიზიკური მოცულობით გამოიყენება (ანუ, არა მიმდინარე ფასებში).

გამოშვება წარმოების სამი ფაქტორით მიიღწევა: შრომა, კაპიტალი და შუალედური მოხმარება (რესურსები). სტანდარტულ მაკროეკონომიკურ პრეზენტაციებში მის საზომად უფრო ხშირად გამოიყენება დამატებული ღირებულება (ვინემ ? გამოშვება), რაც საშუალებას გვაძლევს გამოვრიცხოთ შუალედური მოხმარება და წარმოების ფაქტორებად მხოლოდ შრომა და კაპიტალი წარმოვადგინოთ. როდესაც ეთგო-ს ეკონომისტები გამოშვების ზრდის მოდელირებას ახდენენ ფიზიკური მოცულობით (ან დამატებული ღირებულებით, როდესაც განტოლების ორივე მხრიდან ხდება შუალედური მოხმარების გამორიცხვა), შემდეგ ფორმულას იყენებენ:

$$Y' = [f(L,K) \times MFP]'$$

სადაც, Y' არის დამატებული ღირებულების მატების ტემპი; L -ით აღნიშნულია შრომა და K -თი კაპიტალი; f არის წარმოების ფუნქცია. $'$ -ით აღნიშნულია წარმოებული.

MFP წარმოადგენს „მრავალფაქტორიან მწარმოებლურობას“, რაც დამატებული ღირებულების ცვლილების ნაწილია, რომელიც არ შეიძლება მივაკუთვნოთ სამუშაო ძალის მოცულობის ან კაპიტალის დანახარჯების ცვლილებას. მისი ცვლილების დონე წარმოადგენს წვლილს დამატებული ღირებულების მატებაში და არის შრომისა და კაპიტალის მეტი მწარმოებლური კომბინაციის შედეგი (მაგალითად, სამუშაოს გაუმჯობესებული ორგანიზაცია ან ახალი ტექნოლოგიები. ხშირად MFP -ს „უხილავ

ტექნოლოგიურ პროგრესს“ უწოდებენ, რადგან ის ტექნიკური პროგრესის შედეგს წარმოადგენს, რომელიც არ აისახება კაპიტალისა და შრომის გაზომვაში. MFP

პირდაპირ არ გაიზომება, ის შეიძლება მხოლოდ ზემოთ მოტანილი ფორმულის ნაშთის სახით მივიღოთ. მისი მოუხელთებელი ბუნების მიუხედავად, ის ცხოვრების დონის გაუმჯობესების გრძელვადიანი მამოძრავებელი ძალაა. უკანასკნელმა კვლევებმა აჩვენა, რომ ის სწრაფი ტემპებით იზრდება აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიასა და ევროპის ნორდიკულ ქვეყნებში, ვიდრე საფრანგეთში, გერმანიასა და იტალიაში. აღნიშნულმა ფაქტმა კონტინენტურ ევროპაში განამტკიცა აზრი იმის შესახებ, რომ საჭიროა ინვესტირება ახალ ტექნოლოგიებში, კვლევებსა და დამუშავებებში (R&D) და სტრუქტურულ რეფორმებში.

გამოშვების (დამატებული ღირებულების) ფიზიკური მოცულობის სტატისტიკას ეთგო-ს ეკონომისტები ასევე იყენებენ „გამოშვების ნაპრაღის“ შეფასების მიზნით. ეს წევრ-ქვეყნებში კეთდება ეკონომიკური მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგის მიზნით. ძირითადი იდეა მარტივია. რამდენი უნდა იყოს მშპ-ის მაქსიმალური მატების ტემპი მოცემული მომენტისთვის არსებული სამუშაო ძალისა და კაპიტალის პირობებში, რომ მან არ გამოიწვიოს ინფლაცია? აღნიშნულს შეესაბამება „პოტენციური მშპ“-ის დონე. პოტენციურ მშპ-ს ადარებენ დაკვირვებად მშპ-ს. თუ დაკვირვებადი მშპ პოტენციურზე დაბალია, მაშინ ამბობენ, რომ „გამოშვების ნაპრაღი“ უარყოფითია. ასეთ დროს მთავრობა მიმართავს მოთხოვნის სტიმულირებას გადასახადების შემცირების ან დამატებითი ხარჯების გაწევის გზით (მთავარი ინფრასტრუქტურული პროექტები და /ან საჯარო მოხელეების დაქირავება, მაგალითად). თავისი მხრიდან, ცენტრალურმა ბანკმა შეიძლება შეამციროს საკვანძო საპროცენტო განაკვეთები. თუ ადგილი აქვს „დადებით ნაპრაღს“ - ფაქტობრივი მატება აჭარბებს პოტენციურ მატებას - შეიძლება გაძნელდეს მთავრობის მიერ დანახარჯების მობილიზება ან გადასახადების შემცირება ინფლაციის წარმოქმნის გარეშე, ხოლო ცენტრალური ბანკის ჩვეულებრივი რეაქცია იქნება საკვანძო საპროცენტო განაკვეთების გაზრდა.

მიუხედავად იმისა, რომ პოტენციური მშპ-ის იდეა თავისთავად მარტივია, მისი გაანგარიშება საკმაოდ რთულია, რადგან მოითხოვს კაპიტალის მარაგისა და ამ კაპიტალით უზრუნველყოფილი სერვისების ღირებულების შეფასებას, ასევე სამუშაო ძალის გაზომვასაც. ეს უკანასკნელი უბრალოდ სამუშაო ძალის რაოდენობა კი არა, ნამუშევარი საათების რაოდენობაა, რომელიც სამუშაო ძალის უნარების თვისებრივი შემადგენელით არის კორექტირებული. შემდგომ, აუცილებელია მაკროეკონომიკური წარმოების ფუნქციის შეფასება, რაც ეხება წარმოების ფაქტორების კავშირს გამოშვებასთან. ამ სირთულეების მიუხედავად, ეთგო თავისი წევრი-ქვეყნებისთვის ითვლის პოტენციურ მშპ-ს და შედეგად მიღებულ „გამოშვების ჩავარდნებს“. მაგალითად, 2013 წელს ეთგო-ს ეკონომისტები ფიქრობდნენ, რომ იაპონიის გამოშვების ჩავარდნა ნული იყო (რაც ნიშნავს, რომ მატება პოტენციურ დონეზე იყო), ხოლო უარყოფითი - აშშ-ში (-3.1), გერმანიასა (-0.8) და საფრანგეთში (-2.4) (OECD, 2013). ეს ციფრები ეკონომიკური ციკლის ფაზების შესაბამისად იცვლება.

ეკონომიკური ზრდა მდგრადი არ არის, ის „ეკონომიკურ ციკლებს“ მიჰყვება. რეცესიის (მშპ-ის დაბალი ზრდა, ზოგჯერ ვარდნა) შემდეგ ეკონომიკის მამოძრავებელია გაზრდილი მოთხოვნა (კორპორაციების ინვესტირება), რაც იწვევს

გამოცოცხლებას, აღწევს თავის პიკს და შემდეგ ისევ რეცესია იწყება. მთლიანი ციკლი ჩვეულებრივ 6-10 წლამდე გრძელდება, ხოლო შემდეგ ახალი ციკლი იწყება.

პოტენციური მშპ-ის არაინფლაციური მატება მიიღწევა მხოლოდ კაპიტალისა და შრომის მწარმოებლურობის ერთობლივი ზრდის პირობებში (იხ. ჩანართი 4.1) და აღნიშნულის მისაღწევად ერთ-ერთი გზა არის სტრუქტურული რეფორმები.

ეთგო მუდმივად აქვეყნებს კვლევებს „სტრუქტურული რეფორმების“ საშუალებით წევრი-ქვეყნების მიერ მიღწეული პროგრესის შესახებ. ეს ფრაზა ხშირად შემფოთების საბაბი ხდება პროფესიული კავშირებისთვის, რომლებიც აღნიშნულის მიღმა ხედავენ სოციალური უფლებების, გარანტირებული მინიმალური ხელფასის, უმუშევრობის შემწეობებისა და სამუშაოს დაკარგვის საშიშროებას. თუმცა, ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა, რადგან სტრუქტურული რეფორმები მოიცავს საქონლისა და მომსახურების და ასევე შრომის ბაზრის დერეგულაციას. პროდუქტების ბაზრის სტრუქტურული რეფორმა გულისხმობს მწარმოებლების გაზრდილ კონკურენტუნარიანობას, მაგალითად, უცხოელი კონკურენტებისთვის ბაზრის გახსნას, კარტელების და სხვა ანტიმონოპოლიური წამოწყებების გაუქმებას, სახელმწიფო მონოპოლიებზე უარის თქმას, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორცაა სარკინიგზო და საჰაერო ტრანსპორტი, ტელეკომუნიკაციები, ელექტროენერგეტიკა, გაზის და წყლის მიწოდება.

ჩანართი 4.1. ერთობლივი შრომის მწარმოებლურობა

ერთობლივი შრომის მწარმოებლურობა განისაზღვრება გამოშვების ფარდობით შრომასთან. თუ Y -ით აღვნიშნავთ გამოშვების მოცულობას და L -ით შრომას, მაშინ შრომის მწარმოებლურობა იქნება Y/L . ე.ი. შრომის ერთეულზე გამოშვების მოცულობა. მაკროეკონომიკურ კვლევებში ეკონომისტები ამ კოეფიციენტის მრიცხველში გამოშვების ნაცვლად უპირატესობას დამატებულ ღირებულებას ანიჭებენ (ე.ი. მშპ). მნიშვნელი, ანუ შრომის მოცულობა იზომება მომუშვეთა რიცხოვნობის ნამრავლით საშუალოდ ნამუშევარ საათებზე (რომელიც უკეთეს შემთხვევაში უნარებით არის კორექტირებული). პრაქტიკულად უფრო დიდ ინტერესს იწვევს შრომის მწარმოებლურობის მატების ტემპი და არა მისი აბსოლუტური დონე. ეს ნიშნავს $Y' - L'$ -ის (Y/L -ის ნაცვლად) გაანგარიშებას, სადაც Y' არის დამატებული ღირებულების მოცულობის მატება და L' შრომის მოცულობის მატება.

იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ კონკრეტულად რომელ სექტორებშია გასატარებელი სტრუქტურული რეფორმები, ეთგო-ს ეკონომისტები წევრი-ქვეყნების მასშტაბით უამრავ დარგში ადარებენ ერთმანეთს მწარმოებლურობის მონაცემებს. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ისეთი დარგების ზრდას, როგორცაა მანქანათმშენებლობა, საავიაციო და ელექტროენერგეტიკული კომპანიები. შემდეგ ახდენენ ყველაზე მაღალი მატების მქონე ქვეყნებში ინსტიტუციური სტრუქტურების იდენტიფიკაციას. ის, რაც ცხადად მუშაობს ასეთ ქვეყნებში, სხვაგანაც უნდა იქნეს მოსინჯული. ყველა ეს ანალიზი ეროვნული ანგარიშებიდან მიღებულ მონაცემებს ეფუძნება, როგორცაა გამოშვება ან დამატებული ღირებულების ფიზიკური მოცულობა.

1. წარმოების საზღვრები

როგორც ზემოაღნიშნულიდან ვნახეთ, **გამოშვება** ეროვნული მოანგარიშებისთვის ძირითადი კონცეფციაა, საიდანაც ისინი მნიშვნელოვან მონაცემებს იღებენ.

თუმცა, „გამოშვების“ კონცეფცია უცხოა ბულალტერიისთვის, რომელიც ექსკლუზიურად „გაყიდვებზე“ ორიენტირებული.

ახალ ვნახოთ, რას მოიცავს ზუსტად გამოშვება. ამისთვის საჭიროა „წარმოების საზღვრების“ დადგენა, რაც საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, თუ რა *შევიტანოთ* და რა *გამოვრიცხოთ* მშპ-დან. მუხლებს უდიდესი ნაწილი, რაც მშპ-შია შესატანი, საკამათო არ არის. დასაწყისისთვის, გამოშვებაში შეაქვთ ის, რაც ქმნის საქონელსა და მომსახურებას შინამეურნეობების ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის და რასაც ფირმები შეისყიდიან საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად. აქ საყურადღებო სიტყვაა „ყიდვა“, რაც გულისხმობს, რომ მშპ-ში შედის ყველა „მონეტიზებული“ ტრანსაქცია. მაგრამ, რა შეიძლება ითქვას საჯარო მოხელეებსა და შეირაღებული ძალების წარმომადგენლებზე? მინისტრების ან მეომრების გამოშვებას არავინ ყიდულობს. შემდეგი ბუნდოვანება ჩნდება შინამეურნეობების მიერ გაწეულ მომსახურებაში. თუ პირი მეორე პირისთვის წმენდს ფანჯრებს, ეს გამოშვებაა, რადგან მომსახურებაში ხდება ფულის გადახდა. მაგრამ, თუ პირი თავის საკუთარ ფანჯარას წმენდს? შედის თუ არა ეს წარმოების საზღვრებში?

როგორც მოგვიანებით ვნახავთ, სამთავრობო დაწესებულებების მიერ გაწეული მომსახურების შეტანა მშპ-ში ძირითადი შეთანხმების შედეგია. მიუხედავად იმისა, რომ ეს მომსახურება არ იყიდება, ის მაინც შეიტანება გამოშვებაში (დამატებულ

ღირებულებაში) და ეროვნულ ანგარიშებში მას სამთავრობო დაწესებულებების არასაბაზრო მომსახურება ეწოდება. ეს დამატებული ღირებულება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის ეთგო-ს ქვეყნების მიხედვით მშპ-ის 15-20%-ს შეადგენს. ამის საპირისპიროდ, შინამეურნეობების მიერ გაწეული ისეთი არასაბაზრო მომსახურებები, როგორცაა საკვების მომზადება, დასუფთავება, ბავშვების აღზრდა და ა.შ., ერთი გამონაკლისის გარდა, არ შედის ეროვნულ ანგარიშებში. ეს გამონაკლისია საკუთარ სახლში ცხოვრების მომსახურება. ეროვნულ ანგარიშებში ეს ისე განიხილება, თითქოს სახლის მესაკუთრე თავის თავს უწევს მომსახურებას. ეროვნული ანგარიშების ენაზე, ეს არის „იმპუტირებული“ ტრანსაქცია, რომელიც ისე ფასდება, როგორც ასეთი ტიპის საცხოვრებლის დაქირავების შემთხვევაში გადახდილი ბინის ქირა. აღნიშნული იმპუტირებული რენტა ემატება რეალურ რენტას და გამოითვლება „საცხოვრებელზე გაწეული დანახარჯები“.

იმპუტაციები მხოლოდ განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც საჭიროა მაკროეკონომიკური აგრეგატების დროში ცვლილებების ანალიზი ან ქვეყნებს შორის შედარება. სწორედ ასე ხდება ბინათმფლობელების იმპუტურებული რენტის შემთხვევაში. თუ ამ გამოშვებას არ შევიტანთ მშპ-ში, მაშინ ეს გამოიწვევს მშპ-ის სტრუქტურულ ცვლილებას დროთა განმავლობაში, რადგან საკუთრებაში არსებული სახლების გრძელვადიან ტრენდს ავტომატურად მოჰყვება ფაქტობრივი რენტის დადმავალი ტრენდი (და ამიტომ მშპ-ისაც, სხვა თანაბარ პირობებში). ასევე გაძნელებოდა სხვადასხვა ქვეყნების მშპ-ის შედარებებიც, რადგან ბინების მესაკუთრეთა დონე ქვეყნებს შორის მნიშვნელოვნად ცვალებადია.

იმპუტაციის სხვა მაგალითია შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისთვის დამზადებული საქონელი (უმეტესად საკვები). ეს საკმაოდ მცირე მუხლია ეთგო-ს ქვეყნების გამოშვებაში, თუმცა, განვითარებად ქვეყნებში საკმაოდ მაღალია საკუთარი წარმოების პროდუქციის მოხმარების ხვედრითი წილი. ზოგ ქვეყანაში ფერმერები და შინამეურნეობები მოიხმარენ საკუთარი წარმოების იარაღებს, შენობა-ნაგებობებს და ტანსაცმელს. შეთანხმების მიხედვით, ეროვნულ ანგარიშებში ასეთი სახის პროდუქციის იმპუტირება გამოშვებაში იმ ფასებით ხდება, რაც ბაზარზე აქვს აღნიშნულ საქონელს. მეორე მხრივ, როგორც ვნახეთ, შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისთვის დამზადებული საქონლისაგან განსხვავებით, მათ მიერ გაწეული მომსახურების იმპუტირება არ ხდება ეროვნულ ანგარიშებში, გარდა საკუთარ სახლში ცხოვრების მომსახურებისა. ასევე არ შეიტანება ანაზღაურების გარეშე შინამეურნეობების მიერ გაწეული მომსახურებაც (მეზობლის გაფუჭებული წყალგაყვანილობის შეკეთება ანაზღაურების გარეშე).


როდესაც მომსახურების გაწევა ანაზღაურების საფუძველზე ხდება, მათი შეტანა გამოშვებაში შეფასების საშუალებით ხდება, მაგალითად, გაკვეთილის ჩატარების ან ბავშვის დატოვების საფასურის მიხედვით.

ეს გამორიცხვები შეიძლება საკამათოდ მოგეჩვენოთ, თუმცა მათი უპირატესობა იმაშია, რომ შეიძლება თავიდან ავიცილოთ იმპუტაციების გაზრდილი რაოდენობა, რომელთაგან ზოგიერთი საკმაოდ რთული გასაკეთებელია (იხ. ჩანართი „შინამეურნეობების მომსახურება“, ამ თავის ბოლოს).

და ბოლოს, ეროვნული მოანგარიშების განსაზღვრით, გამოშვება წარმოადგენს სამიდან ერთი ან მეტი წარმოების ფაქტორის გამოყენების შედეგს: შრომა, კაპიტალი და შუალედური მოხმარება (მატერიალური რესურსები). ამ აუცილებელ პირობას გამოშვების ძალიან გაფართოებულ განსაზღვრამდე მივყავართ. თუმცა, თუ ქვემოთ შევხედავთ „გადაწყვიტებათა ხეს“, ვნახავთ, რომ ეს განსაზღვრა სხვა კრიტერიუმის შემოტანით ვიწროვდება (დიაგრამის წაკითხვა დაიწყეთ ზედა მარცხენა კუთხიდან). ეროვნული ანგარიშების უმნიშვნელოვანესი ბლოკები ზედა მარჯვენა კუთხეშია განლაგებული, საიდანაც ვიგებთ, რომ გამოშვება არსებითად იმ საქონლისა და მომსახურებისგან შედგება, რომლებიც განსაზღვრული ეკონომიკური აგენტების მიერ არის წარმოებული სხვა ეკონომიკურ აგენტებზე გასაყიდად (ფულით, ან განსაკუთრებულ შემთხვევაში, ბარტერით). ეთგო-ს ქვეყნებისთვის ეს არის გამოშვების ქვაკუთხედი. თუმცა, არ უნდა მოვახდინოთ სამთავრობო დაწესებულებების მიერ გაწეული არასაბაზრო მომსახურებისა და იმპუტირებული რენტის იგნორირება გამოშვებაში.

სანამ დეტალებს ჩავუღრმვდებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეროვნულ ანგარიშებში გამოშვების პერიოდი შეიძლება იყოს წელი ან კვარტალი. გამოშვება არის „ნაკადის ცვლადი“ განსხვავებით „მარაგის ცვლადისგან“, რომლითაც იზომება მაგალითად, მზა პროდუქციის მარაგი მოცემული წლის 31 დეკემბრისთვის. ნაკადის ცვლადები შეგვიძლია შევკრიბოთ; სხვა სიტყვებით, მოცემული წლის გამოშვება კვარტალური გამოშვებების ჯამის ტოლია. მარაგის ცვლადების შემთხვევაში ასე არ ხდება.

წარმოების გადაწყვეტილებათა ხე



2. არალეგალური და იატაკქვეშა ეკონომიკა


ზემოთ მოტანილ დიაგრამაზე ერთმანეთისგან არ არის გამოიჯნული ლეგალური და არალეგალური წარმოება. ამიტომ, შეიძლება დავასკვნათ, რომ არალეგალური საქმიანობები წარმოების საზღვრებში შედის და მაშასადამე, მშპ-შიც გაითვალისწინება. ასეთი საქმიანობა ორი სახისაა: (1) არალეგალური (არაკანონიერი), როგორცაა ვაჭრობა მოპარული საქონლით, ორგანიზებული პროსტიტუცია (იმ ქვეყნებში, სადაც ეს არაკანონიერია), ნარკოტიკების წარმოება-გასაღება და (2) კანონიერი, მაგრამ კანონის დარღვევით წარმოებული საქმიანობა, როგორცაა მაგალითად, წყალმომარაგების სისტემის გაყვანა ან შეკეთება ნაღდი ანგარიშსწორებით საგადასახადო სამსახურში დეკლარირების გარეშე.

მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, ეთგო-ს უმეტეს ქვეყნებში არალეგალური საქმიანობა უმნიშვნელოა. გაანგარიშებებით, უმეტეს შემთხვევაში, ის მშპ-ის 1%-ზე ნაკლებს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად ასეთი საქმიანობები შედის მშპ-ში, პრაქტიკაში მათი გაანგარიშება არ ხდება და ამდენად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ციფრები არ ფიგურირებენ მშპ-ში.* მეორე მხრივ, კანონიერი საქმიანობები, რომელთა წარმოება არალეგალურად ხდება (გადასახადებისა და სოციალური შენატანებისგან თავის არიდების მიზნით), ქმნის „შავ“ ან „ფარულ“ ეკონომიკას და შეფასებების მიხედვით, ეთგო-ს ქვეყნებში ის მშპ-ის 2-დან 15%-მდეა. ეს ხვედრითი წილი იმდენად დიდია, რომ ეროვნულ მოანგარიშებს უხდებათ სპეციალური მეთოდების შემუშავება მშპ-ში მათ შესატანად. ნახაზზე 4.1 ნაჩვენებია ფარული და იატაკქვეშა საქმიანობების ხვედრითი წილი მშპ-ში. ასეთი ტიპის მონაცემები „დაუკვირვებად“ ეკონომიკას მიეკუთვნება, რადგან ჩვეულებრივი დაკვირვებებით შეუძლებელია მათზე ინფორმაციის მიღება. როგორც ნახაზიდან ჩანს, ამ პერიოდისთვის ესპანეთში დაუკვირვებადი ეკონომიკა მშპ-ის 11.2%-ს შეადგენდა. ეს დამატებული ღირებულების ის ხვედრითი წილია, რომლის გაანგარიშება სპეციალური მეთოდების გამოყენებით მოხერხდა. ამიტომ, არასწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ეროვნული მოანგარიშები არ ითვალისწინებენ „იატაკქვეშა“ ეკონომიკას. კონკრეტული მაგალითი განხილულია რუბრიკის „ჩაუღრმავდით“ ჩანართში „კორექტირებების გამოყენება საფრანგეთის იატაკქვეშა ეკონომიკისთვის“.

ნახაზი 4.1. მშპ-ში შეტანილი დაუკვირვებადი საქმიანობები (შერჩეული ქვეყნების მიხედვით)

%-ული კორექტირებები იატაკქვეშა ეკონომიკისთვის, 2002 წლის მომიჯნავე პერიოდი

* უნდა აღინიშნოს, რომ სულ უფრო მეტი ქვეყანა ცდილობს არალეგალურ საქმიანობებზე „ხელის ჩავლებას“. 2014 წლიდან ევროკავშირში ახალი სტანდარტებით სავალდებულო გახდა ასეთი საქმიანობების შეფასება ყოველი წლის ბოლოსათვის.



წყარო: United Nations Economic Commission for Europe: Non-observed economy in national accounts, Survey of country practices (2008).

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143750>

3. გამოშვებისა და დამატებული ღირებულების გაზომვა: ზოგადი შემთხვევა

როგორც ადრე აღვნიშნეთ, ეროვნულ ანგარიშებში გამოშვება ძირითადად ისეთი საქონლისა და მომსახურებისგან შედგება, რომლებიც სხვა აგენტებზე გასაყიდად არის წარმოებული (გამოშვება, რომელიც გასაყიდად არ არის წარმოებული, ცალკეული შემთხვევების გარდა, ეროვნულ ანგარიშებში არ გატარდება). ასევე, პირველ თავში ვნახეთ, რომ ამასთან დაკავშირებით ჩნდება აგრეგირების პრობლემა, რამდენადაც ამგვარად გაზომილი გამოშვებების ჯამი შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს. და ეს ხდება არა იმიტომ, რომ წარმოებული საქონელი და მომსახურება იზრდება, არამედ იმის გამო, რომ ფირმებს შეუძლიათ საზღვარგარეთიდან მიიღონ ის საქმიანობები (აუტსორსინგი), რომლების მიღებაც

ადრე ქვეყნის შიგნით იყი შესაძლებელი (იხ. ჩანართი 4.2: „ინტერნალიზაციისა და ექსტერნალიზაციის ხაფანგი“). ამის გამო, ეროვნულმა მოანგარიშებმა შექმნეს **დამატებული ღირებულების** კონცეფცია, რასაც მოგვიანებით მივუბრუნდებით.

მიუხედავად იმისა, რომ დამატებული ღირებულება გამოშვებაზე უფრო პროირიტეტულია, გამოშვების კონცეფციას ფართო გამოყენება აქვს ეროვნულ ანგარიშებში. როგორ იზომება ის? ჩვეულებრივ, გამოშვება მიმდინარე ფასებში იზომება გაყიდვებით. თუმცა, კორექტირება მაინც აუცილებელია. საქონლის შემთხვევაში, მინიმუმ გამოშვების ნაწილი, რომელიც მოცემულ პერიოდშია წარმოებული, შეიძლება არ გაიყიდოს და საწყობში გადავიდეს მარაგის სახით. ასევე, ზოგიერთმა საქონელმა (რომელიც მიმდინარე პერიოდში არ იყო წარმოებული) შეიძლება დატოვოს მარაგების კატეგორია და გაიყიდოს. და ბოლოს, გამოშვების ნაწილი შეიძლება არ იყოს დასრულებული პერიოდის განმავლობაში და გადავიდეს მარაგებში როგორც „დაუმთავრებელი წარმოება“. საბოლოოდ, გამოშვება მიმდინარე ფასებში ასე გაიზომება: გაყიდვებს პლუს მზა პროდუქტებისა და დაუმთავრებელი წარმოების მარაგების ცვლილება (დადებითი ან უარყოფითი). ეს ფორმულა რეგულარულად გამოიყენება გამოშვების გაანგარიშებაში, რადგან მონაცემები რეალურად არსებობს კომპანიების ანგარიშებში, თუმცა არა ყოველთვის მისაღები ფორმით (იხ. ჩანართი 4.3).

ჩანართი 4.2. „ინტერნალიზაციისა და ექსტერნალიზაციის მახე

გამოშვების შეფასების დროს ეროვნულ მოანგარიშებს არ შეაქვთ მის შემადგენლობაში „საკუთარი წარმოების“ პროდუქცია, ანუ შუალედური საქონელი და მომსახურება, რომელიც წარმოებული და მოხმარებულია კომპანიების შიგნით. ფირმების საკუთარი წარმოების პროდუქცია ეროვნულ ანგარიშებში მხოლოდ მაშინ აისახება, თუ ის ინვესტირებისთვის გამოიყენება. მაგალითად, თუ კომპანია მანქანებს აწარმოებს, მაშინ ეროვნული მოანგარიშები არ გაატარებენ ანგარიშებში ძრავებს მანქანებისთვის, რომლებიც იმავე კომპანიაში იწარმოება. ასევე, არ გაითვალისწინება ამ კომპანიის შიგნით გაწეული პერსონალური მომსახურება. საკუთარი წარმოების შუალედური საქონლისა და მომსახურების გათვალისწინება გამოშვებას გაუმართლებლად გაბერავს. მეორე მხრივ, თუ პერსონალური მომსახურება და ძრავების წარმოება გარეთ ხდება, ე.ი. მანქანის მწარმოებელი მათ სხვა კომპანიისგან ყიდულობს, მაშინ ეს უნდა აისახოს გამოშვებაში. შესაბამისად, ერთი ორგანიზაციული ფორმიდან მეორეზე გადასვლამ შეიძლება ისე გაბეროს მთლიანი გამოშვება, რომ რეალურად არ იყოს წარმოებული ახალი საქონელი და მომსახურება. ამიტომ, საჭირო გახდა დამატებული ღირებულების კონცეფციის (იხ.

თავი 1) შემოტანა, რომელიც მთლიანობაში ფირმების ორგანიზაციული ცვლილებებისგან დამოუკიდებელია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საკუთარი წარმოების კაპიტალური საქონელი, როგორცაა მანქანები ან კომპიუტერები, ჩაიწერება ეროვნულ ანგარიშებში. მაშ, რატომ არ აისახება ეროვნულ ანგარიშებში საკუთარი წარმოების შუალედური საქონელი? ეს იმის გამო ხდება, რომ შუალედური საქონელი და მომსახურება გავლენას არ ახდენს მშპ-ზე, რადგან, როგორც ვიცით, განსაზღვის მიხედვით ისინი წარმოების პროცესში მოიხმარება. კაპიტალური საქონელი კი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამოიყენება.

ჩანართი 4.3. მარაგების ღირებულების ცვლილების პრობლემა

შეიძლება ვიფიქროთ, რომ მარაგების ცვლილების მონაცემების გამოყენება კომპანიის ანგარიშებიდან მარტივი საქმეა. თუმცა, პრაქტიკულად, ეს არც თუ ისე ადვილია, რადგან მარაგები ქმნის ჰოლდინგურ მოგებას, როდესაც ფასები მაღლა იწევს და ჰოლდინგურ ზარალს, თუ ფასები ვარდება. ეროვნული ანგარიშების ფუძემდებლური პრინციპია ჰოლდინგური მოგებისა და ზარალის გამორიცხვა გამოშვებიდან. მართლაც, თუ ფირმა ჰოლდინგურ მოგებას იქიდან იღებს, რომ პროდუქციას მხოლოდ მარაგებში ინახავს, ეს არ არის მწარმოებლური პროცესი და ამიტომ ის არ უნდა შევიტანოთ მშპ-ში. შედეგად, საჭიროა მოვახდინოთ კომპანიის მარაგების ცვლილებების კორექტირება, რათა გამოვრიცხოთ ჰოლდინგური მოგება ან ზარალი.

რაც შეეხება გამოშვების შეფასებისთვის გამოყენებულ ფასებს, ეს არის „საბაზისო ფასები“, რომელსაც შეესაბამება ერთეული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც მწარმოებელს რჩება ხელზე.

ეთგო-ს ქვეყნებში გამოთვლისათვის აშშ, რომელიც გამოშვებასა და დამატებულ ღირებულებას საბაზრო ფასებში ანგარიშობს (ე.ი. გადასახადების ჩათვლით). იხ. თავი 12.

საბაზისო ფასებში არ შედის გადასახადები პროდუქტებზე (მაგალითად, დამატებული ღირებულების გადასახადი ან სპეციალური გადასახადები ნავთობსა ან ალკოჰოლურ სასმელებზე) იმის გამო, რომ ეს თანხები არ რჩება მწარმოებელთან, არამედ მიემართება საგადასახადო ორგანოებში. მეორე მხრივ, საბაზისო ფასებში შედის სუბსიდიები პროდუქტებზე. ამიტომ, ეროვნულ ანგარიშებში,

ექსპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასები დაბალი არ არის, რაც შესაძლებელი გახდა ეთგო-ს ქვეყნებში ფერმერებისათვის გაწეული ექსპორტის სუბსიდირებით, შესაბამისად, გაყიდვის ფასს ემატება სუბსიდიები, რაც უფრო ახლოს არის რეალურ დანახარჯებთან. და ბოლოს, გამოშვების ფიზიკური მოცულობა მიიღება მიმდინარე ფასებში გამოშვების დეფლაციებით შესაბამისი ფასების ინდექსით.

შუალედური მოხმარება წარმოადგენს პროდუქციის შექმნაზე გაწეული მასალების, ნედლეულის და ნახევარფაბრიკატების ღირებულებას, ასევე საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე დახარჯული ელექტროენერჯის, რენტის, კომპიუტერული მომსახურების, დაზღვევის, იურიდიულ, საბუღალტრო და სხვა სერვისების ღირებულებას. მოკლედ, შუალედურ მოხმარებაში შედის ყველაფერი, რაც საჭიროა გასაყიდად წარმოებული საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად, გარდა შიდა სამუშაო ძალისა და მანქანა-დანადგარებისა და შენობა-ნაგებობების მიერ გაწეული მომსახურებისა.

იმის გამო, რომ გამოშვება გაყიდვების ტოლი არ არის, არც შუალედური მოხმარებისთვის შესყიდული საქონლისა და მომსახურების ღირებულება არ ემთხვევა მათ შესყიდვებს. ეს იმის გამოა, რომ შუალედური მოხმარების ზოგიერთი საქონელი წინა პერიოდებშია ნაყიდი და მიმდინარე პერიოდში გამოიყენება წარმოების პროცესში. ასევე, პერიოდის განმავლობაში შესყიდული საქონელი შეიძლება პერიოდის დასრულების შემდეგ იქნეს გამოყენებული და ამასობაში საწყობში იმყოფებოდეს. შედეგად, შუალედური მოხმარება უდრის პერიოდის განმავლობაში შესყიდვებს მინუს საქონლისა და მომსახურების მარაგების ცვლილება (დადებითი ან უარყოფითი). ასეთ მარაგებს ფირმები „მატერიალურ მარაგებად“ მოიხსენიებენ. გამოშვების მსგავსად, შუალედური მოხმარებაც ნაკადია, რასაც შეესაბამება მოხმარება პერიოდის განმავლობაში (წელი ან კვარტალი). აღნიშნულს მიყვავართ შუალედური მოხმარების განმარტებიდან ისეთი საქონლის გამორიცხვამდე, რომლებიც მთლიანად არ მოიხმარება წარმოების პროცესში, როგორცაა მაგალითად მანქანა-დანადგარები ან კომპიუტერული ტექნიკა. ეს კაპიტალური საქონელი კლასიფიცირებულია როგორც „ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება“ ან GFCF.

როგორც დასახელებიდან გამომდინარეობს, **დამატებული ღირებულება** ზომავს იმ ღირებულებას, რომელსაც ფირმები გამოშვებაზე დახარჯულ პროდუქტებს ამატებენ და ის ტოლია: გამოშვებას მინუს შუალედური მოხმარება. გამოშვებისა და შუალედური მოხმარების განსაზღვრიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ დამატებული ღირებულება მიმდინარე ფასებში ტოლია: გაყიდვებს მინუს

შესყიდვები პლუს მარაგების მთლიანი ცვლილება (მზა პროდუქცია, დაუმთავრებელი წარმოება და ნედლეული და მასალები). დამატებული ღირებულება ეროვნული ანგარიშების ცენტრალური კონცეფციაა. თუმცა, რადგან ის ორი მონეტარული სიდიდის (გამოშვებას მინუს შუალედური მოხმარება) სხვაობაა, პირველი შეხედვით არ ჩანს, თუ რას წარმოადგენს ის. ამისთვის კარგი იქნება, თუ წარმოვიდგენთ, რომ მიმდინარე ფასებში დამატებული ღირებულება არის წარმოების შედეგად წარმოქმნილი ფულის რაოდენობა, რომელიც მიემართება:

- შრომის ანაზღაურებასა და სოციალურ შენატანებზე (დასაქმებულთა კომპენსაცია);
- წარმოების გადასახადებზე (განსხვავდება პროდუქტების გადასახადისგან) საოპერაციო სუბსიდიების გამოკლებით;
- წარმოების პროცესში გაცვეთილი მოწყობილობების შეცვლაზე (ძირითადი კაპიტალის მოხმარება);
- სესხების პროცენტების გადახდაზე;
- აქციონერთა დივიდენდებზე;
- ახალი მოწყობილობების შეძენაზე და
- ფინანსურ დაზოგვაზე - ან ფირმების ინვესტიციებზე ფინანსურ პროდუქტებში.

ზოგჯერ, ეროვნულ ანგარიშებში ეს მიდგომა გამოიყენება პრაქტიკაში ფირმების დამატებული ღირებულების გასაზომად (იხ. ჩანართი „არაფინანსური დაწესებულებების დამატებული ღირებულებისთვის საჭირო მონაცემთა წყაროები საფრანგეთში“ ამ თავის ბოლოს). დამატებული ღირებულების ფიზიკური მოცულობა არის გამოშვებისა და შუალედური მოხმარების ფიზიკური მოცულობების სხვაობა.

4. გამოშვებისა და დამატებული ღირებულების გაზომვა: განსაკუთრებული შემთხვევები

მიმდინარე ფასებში გამოშვების განსაზღვრა, როგორც გაყიდვებს პლუს მზა პროდუქტებისა და დაუმთავრებელი წარმოების მარაგების ცვლილება, პრაქტიკულად მთელი ბიზნეს სექტორისთვის არის მისაღები ეროვნულ ანგარიშებში. ეს სექტორი ასევე ცნობილია როგორც **საბაზრო სექტორი**, რომლისთვისაც არსებობს ბაზარი რეგისტრირებული გაყიდვებით, ტრანსაქციებით და ფასებით, რაც მისი პირდაპირი გაზომვის საშუალებას გვაძლევს. მიუხედავად ამისა, საბაზრო სექტორშიც არის ისეთი საქმიანობები, რომელთა გამოშვების გაზომვა და განსაზღვრა რთულია. ასეთია ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები და საცალო დისტრიბუტორები, რომელთა გამოშვების განსაზღვრა გაყიდვების საფუძველზე

კარგად არ მუშაობს. ჩამოთვლილთაგან ყველა საქმიანობა საბაზროა, მაგრამ მათი გამოშვების შესყიდვა ძირითადად არაპირდაპირ ხდება. ამის გამო, საჭიროა გამოშვების ალტერნატიული საზომი. უფრო მეტიც, არის ისეთი საქმიანობები, როგორცაა **არასაბაზრო სექტორი**, რომლისთვისაც გაყიდვების ცნება არ არსებობს. ის ძირითადად სახელმწიფო დაწესებულებებით არის წარმოდგენილი. ასეთი დაწესებულებები არ ყიდნიან თავიანთ მომსახურებას და ამიტომ აუცილებელია მათი გამოშვებისათვის განსხვავებული საზომის პოვნა.

არასაბაზრო მწარმოებლები აწარმოებენ მომსახურებას და რიგ შემთხვევაში საქონელს, რომელიც უფასოდ ან ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასებით მიეწოდება საზოგადოებას, რაც ნიშნავს, რომ ეს ფასები წარმოების ღირებულების მხოლოდ ნახევარზე ნაკლებს ფარავს. სახელმწიფო დაწესებულებები არასაბაზრო მწარმოებლების მნიშვნელოვანი ნაწილია, თუმცა არის სხვაც, სახელდობრ, არაკომერციული ინსტიტუციები (იხ. თავი 5). სახელმწიფო დაწესებულებების მიერ განხორციელებული მომსახურების დიდ ნაწილი - თავდაცვა, ეკონომიკური პოლიტიკა, საგარეო პოლიტიკა, საზოგადოებრივი განათლება და საზოგადოებრივი ჯანდაცვა - საზოგადოებას უფასოდ მიეწოდება. ცხადია, რომ ეს მომსახურება საზოგადოებას გადასახადებისა და სოციალური შენატანების ხარჯზე მიეწოდება, მაგრამ პირდაპირი კავშირი გადასახადის გადახდასა და მიღებული მომსახურების დონეს შორის არ არსებობს. მოქალაქეებს და ფირმებს არ შეუძლიათ გადასახადების შეცვლა იმის მიხედვით, თუ რა მოცულობის თავდაცვისა ან პოლიციის მომსახურება უნდა მოიხმარონ. გადასახადი არის სავალდებულო სამთავრობო ტრანსფერი და არ წარმოადგენს საზოგადოების მომსახურებისთვის გადახდილ ფასს.

ზოგიერთი სამთავრობო მომსახურება, როგორც არის განათლება და ჯანდაცვა, შინამეურნეობებს ინდივიდუალურად გაეწევთ, რაც ნიშნავს, რომ შესაძლებელია მათი მომხმარებლების ვინაობის ცოდნა. სხვა მომსახურება კოლექტიურად გაიწევა, ამიტომ შეუძლებელია იმის ცოდნა, თუ ვინ რას მოიხმარს. თვალსაჩინოებისთვის, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ პოლიციის მოსახურება: ყველა ეკონომიკური აგენტი, შინამეურნეობები და ფირმები, მოიხმარენ პოლიციის მომსახურების ნაწილს, თუმცა შეუძლებელია იმის ცოდნა, თუ რამდენს მოიხმარს თითოეული მათგანი. ინდივიდუალური მომსახურების შემთხვევაში, მთავრობამ შეიძლება ზოგჯერ მომხმარებელს ფასის ნაწილი გადაახდევინოს (მაგალითად, წილის შეტანა საავადმყოფოს საწოლის დაკავებისთვის), მაგრამ ეს ფასი ჩვეულებრივ ბევრად დაბალია ამ მომსახურების წარმოების დანახარჯებზე და ამიტომ, ასეთი მომსახურება არასაბაზროდ არის მიჩნეული.

არასაბაზრო გამოშვება, ინდივიდუალური იქნება ის თუ კოლექტიური, თუ ადგილი არა აქვს გაყიდვებს, შეთანხმების მიხედვით, მიმდინარე ფასებში წარმოებაზე გაწეული დანახარჯების ჯამის ტოლია და მოიცავს: (ა) შუალედურ მოხმარებას; (ბ) დასაქმებულთა ანაზღაურებას; (გ) ძირითადი კაპიტალის მოხმარებას, რაც არის არასაბაზრო მწარმოებლების მიერ მოწყობილობების გამოყენების ღირებულება (იხ. შემდეგი ჩანართი 4.4); და იშვიათად, (დ) სხვა გადახდილ გადასახადებს წარმოებაზე. ამ თავის ბოლოს, მე-4 სავარჯიშოში ნაჩვენებია, რომ ეროვნულ ანგარიშებში არასაბაზრო გამოშვების მიჩნევა არამომგებიან საქმიანობად - ძალიან დასაბუთებული დაშვებაა.

გამოშვების ზოგადი ფორმულის გამოყენება **ბანკების გამოშვების** გასაზომად არ გამოდგება, რადგან ბანკებს თავიანთი მომსახურების მხოლოდ მცირე ნაწილი (მაგალითად, სავალუტო გაცვლითი ოპერაციების საკომისიოები, ჩეკების დამუშავების საკომისიოები, საფონდო ბაზრის ტრანსაქციების მოსაკრებლები, ინდივიდუალური ფინანსური კონსულტაციების საფასური) აქვთ პირდაპირ გაზომილი, მაგრამ არა მათი მომსახურების ქვაკუთხედი - სესხების გაცემა.

ჩანართი 4.4. არის თუ არა სახელმწიფო დაწესებულებების გამოშვება შემცირებული?

სანამ ფირმა კაპიტალური საქონლის ყიდვას გადაწყვეტს, ის ითვლის მოგებას ან მიღებულ შემოსავალს ინვესტირებიდან. ეს შემოსავალი უნდა ეყოს ძირითადი კაპიტალის მოხმარების ანაზღაურებას პლუს წმინდა შემოსავალი, რომელიც, მინიმუმ ამ სახსრების ფინანსურ პროდუქტებში (ობლიგაციებში, მაგალითად) ინვესტირებით მისაღები საპროცენტო განაკვეთის ტოლი უნდა იყოს. თუ შემოსავალი არ არის საკმარისი ამ ორი ელემენტის დასაფარად, მაშინ გამჭრიახი მეწარმე ფიზიკური კაპიტალის ნაცვლად ფინანსურ პროდუქტებს იყიდის. ძირითადი კაპიტალის მოხმარებისა და ამ წმინდა შემოსავლის ჯამი ცნობილია, როგორც კაპიტალიდან მიღებული მომსახურება.

სახელმწიფო დაწესებულებების შემთხვევაში, გამოშვების გაზომვისათვის წარმოების ხარჯებში შედის ძირითადი კაპიტალის მოხმარება, მაგრამ არ შედის წმინდა შემოსავალი. ფირმისათვის წმინდა შემოსავალი ახლოს არის მის საოპერაციო მოგებასთან (იხ. თავი 7). რადგან სამთავრობო მომსახურება არ იყიდება (ან იყიდება ძალიან დაბალი ფასით), შეუძლებელია მისი წმინდა საოპერაციო მოგების გაანგარიშება, მაგრამ წმინდა მოგების შეფასება შესაძლებელია შესაბამისი საპროცენტო განაკვეთის დარიცხვით სახელმწიფო დაწესებულებების კაპიტალზე. შეიძლება განსხვავებული მოსაზრებები არსებობდეს შესაბამისი საპროცენტო განაკვეთის ირგვლივ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ არასაბაზრო გამოშვების გამოთვლის

არსებული მეთოდი მნიშვნელოვნად ამცირებს სახელმწიფო დაწესებულებების წვლილს მშპ-ში. მაგალითად, სახელმწიფო საავადმყოფოში სკანერი ან რენტგენის აპარატი წმინდა შემოსავალს არ ქმნის, მაგრამ კერძო კლინიკაში - ქმნის.

ზოგადი ფორმულის გამოყენებით, მიღებული დამატებული ღირებულება ძალიან დაბალი იქნება, თუ არა უარყოფითი; სხვა სიტყვებით, მათი შუალედური მოხმარება გაყიდვებზე მეტი იქნება! რადგან ცხადია, რომ ბანკები მომგებიანი ორგანიზაციებია, აქ რაღაც არასწორია. ცნობილია, რომ ბანკების მოგების ქვაკუთხედეა სხვაობა გაცემულ სესხებზე დარიცხულ პროცენტსა და დეპოზიტზე დარიცხულ პროცენტს შორის. სხვაობა ამ ორ საპროცენტო განაკვეთს შორის, რომელიც ბანკების შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს ქმნის, ცნობილია როგორც **ფინანსური შუამავლობის** მომსახურება. ფაქტობრივად, ბანკები ნამდვილი შუამავლები არიან მათ შორის, ვისაც უნდა დაზოგვა - ძირითადად, შინამეურნეობები - და ვისაც სურს სესხება - ძირითადად, ფირმები. ბანკების გარეშე ძალიან ძნელი იქნებოდა ამ ორი აგენტის დაახლოვება. ამიტომ, ეროვნულ ანგარიშებში ბანკების გამოშვება მიმდინარე ფასებში იზომება, როგორც მათ გაყიდვებს პლუს სხვაობა მიღებულ და გაცემულ საპროცენტო სარგებელს შორის. ეს სხვაობა, რაც მთელის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, ცნობილია როგორც **ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება**, ან FISIM (იხ. რუბრიკა „ჩაუღრმავდით“).

ბანკებთან შედარებით, **სადაზღვევო კომპანიების** გამოშვების გაზომვა კიდევ უფრო პრობლემურია. სიმარტივისთვის აქ არ შევვებით სიცოცხლის დაზღვევას, არამედ მხოლოდ ქონების (ავტომობილების, სახლის და ა.შ.) დაზღვევას. სახსრები, რომლებიც დაზღვეულებისგან მიიღება პრემიების სახით, არ წარმოადგენს მზღვეველის მომსახურების საფასურს, არამედ ძირითადად იმ ფონდში მიემართება, საიდანაც შემდეგ პრეტენზიების ანაზღაურება ხდება. აღნიშნული სადაზღვევო პრემიები ფარავს ანაზღაურებას პლუს მენეჯმენტის დანახარჯები და პლუს სადაზღვევო ფირმების მოგება. სადაზღვევო კომპანიების გამოშვებას შეესაბამება ბოლო ორი მუხლი: მენეჯმენტის დანახარჯები და მოგება. ამიტომ, გამოშვება *მიღებულ პრემიებსა და გადახდილ პრეტენზიებს შორის სხვაობის ტოლი იქნება*, რომელიც მათემატიკურად მენეჯმენტის დანახარჯებისა და მოგების ჯამის ტოლია. თუმცა, რეალურად საქმე უფრო რთულად არის, რადგან სადაზღვევო კომპანიები დაუყოვნებლად ახორციელებენ მიღებული პრემიების ინვესტირებას და ტოვებენ ასე, სანამ არ დადგება პრეტენზიების განაღდებას დრო. ამიტომ, ეკონომიკურად თუ ვიტყვით, ისინი იღებენ შემოსავალს, რომელიც, დაზღვეულს (შინამეურნეობა ან ფირმა) ეკუთვნის და არა მზღვეველს. აქედან გამომდინარე, ეროვნული

მოანგარიშები ახდენენ მზღვეველისგან დაზღვეულისთვის ამ შემოსავლების გადარიცხვის იმპუტირებას, რომელსაც შემდეგ ისინი უკან გადაურიცხავენ სადაზღვევო კომპანიას. ეს ისე ჩანს, თითქოს შინამეურნეობებს მხოლოდ პრემია კი არ გამოეყოფათ, არამედ საინვესტიციო შემოსავალიც. საბოლოოდ, სადაზღვევო კომპანიების გამოშვება მიმდინარე ფასებში ტოლია პრემიებს *პლუს* საინვესტიციო შემოსავალი და *მინუს* ანაზღაურება.

როდესაც ეროვნულ ანგარიშებში **დისტრიბუციის** (საბითუმო და საცალო) გამოშვებას ზომავენ, აქაც სპეციალური კატეგორიის შემოღება ხდება საჭირო. ზოგადი ფორმულის საშუალებით მთლიანი გამოშვება საგრძნობლად გაიზრდება, რადგან სადისტრიბუციო არხებით განხორციელებული გაყიდვები უკვე რეგისტრირებულია ფაქტობრივი მწარმოებლების მიერ, როგორც გამოშვებული საქონლის ღირებულება. ამიტომ, დისტრიბუციის გამოშვება გაყიდული პროდუქციიდან მიღებული მარჟით გაიზომება. ამდენად, დისტრიბუციის გამოშვება მიმდინარე ფასებში ტოლია მათი გაყიდვების ღირებულებას მინუს ხელახალი გადაყიდვისთვის პროდუქტების შესყიდვების ღირებულება.

ეს კეთდება იმ დაშვებით, რომ ინფლაციის დონე დაბალია და შესყიდვებსა და ხელახალ გადაყიდვას შორის პერიოდში საბაზრო ფასები მნიშვნელოვნად არ აიწევს. თუ ეს დაშვება ირღვევა, მაშინ ფასების მატება უნდა იყოს გათვალისწინებული და გამოკლებული მარჟიდან. დაიმახსოვრეთ, რომ ეროვნულ ანგარიშებში ჰოლდინგური მოგება ან ზარალი გამოშვებაში არ გაითვალისწინება.

ეს ცნობილია, როგორც მათი დისტრიბუციის მარჟა. ამის გამო, დისტრიბუტორების შუალედური მოხმარებიდან ამოღებულია შესყიდვები გადაყიდვის მიზნით; ის მხოლოდ რენტის, ელექტროენერჯის, რეკლამის, შეფუთვისა და სხვა საოპერაციო დანახარჯებისგან შედგება. მათი დამატებული ღირებულება ჩვეულებრივ, გამოშვებიდან შუალედური მოხმარების გამორიცხვით მიიღება.

5. ნომენკლატურები და კლასიფიკაციები

წარმოების ფართო საზღვრებს, რომელიც ეროვნულ ანგარიშებში გამოიყენება, რამდენიმე უპირატესობა აქვს. ის უზრუნველყოფს მთლიანი წარმოების (ან მთლიანი დამატებული ღირებულების) სასარგებლო, თუმცა მიახლოებული საზომის გამოყენებას, რაც საშუალებას გვაძლევს დროში ერთმანეთს შევადაროთ ქვეყნები. თუმცა, ეს მეტად გლობალურია იმ ეკონომისტებისთვის, რომლებსაც სურთ, რომ ეკონომიკის უფრო ვიწროდ განსაზღვრულ ნაწილებზე შეაჩერონ თავიანთი

ყურადღება. მაგალითად, მხოლოდ საბაზრო სექტორის მწარმოებლობაზე და არა სახელმწიფო დაწესებულებების გამოშვებასა და შინამეურნეობების მიერ საცხოვრებელზე გაწეულ იმპუტირებულ რენტაზე. სხვა შემთხვევებში, მკვლევარს სურს ყურადღება გაამახვილოს სოფლის მეურნეობაზე, ლითონის დამუშავებასა ან ბიზნესის მომსახურებაზე.

აღნიშნული მიზნით, ეროვნული მოანგარიშები იყენებენ საქმიანობების (ასევე უწოდებენ დარგებსაც) კლასიფიკაციებს (ზოგჯერ ნომენკლატურების სახელითაც გამოიყენება). საქმიანობის დარგი განისაზღვრება ჰომოგენური მწარმოებელი ერთეულების დაჯგუფებით. დარგების იდენტიფიცირება მათ მიერ წარმოებული საქონლითა და მომსახურებით ხდება, რაც ნიშნავს, რომ დარგის გამოშვების იდენტიფიკაცია მხოლოდ მის მიერ გამოშვებული პროდუქციის ექსკლუზიური საკლასიფიკაციო დასათაურებაში არის აღწერილი. საერთაშორისო მასშტაბით საქმიანობებისთვის გამოიყენება საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია ISIC Revision 4, ანუ მეოთხე ვერსია.

საერთაშორისო მასშტაბით პროდუქციის სტანდარტული კლასიფიკაციაა CPC (Central Product Classification) და ის აღწერილია მე-11 თავში.

ცხრილში 4.1 ნაჩვენებია ძირითადი დარგების პროცენტული წილები მთლიან დამატებულ ღირებულებაში ეთგო-ს ოთხი ქვეყნისთვის. ეს კლასიფიკაცია განხილულია ე.წ. A10 დონეზე (ათი მთავარი დარგი გამოყოფილია მსხვილი შრიფტით) და ისინი დაყოფილია 21 სექციად (დარგების დასახელება აღნიშნულია ასოებით A-დან U-მდე). მაგალითად, A10-ის დონე 2 „მრეწველობა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება და სხვა სამრეწველო საქმიანობები“ ოთხ სექციად არის ჩაშლილი: B სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, C მრეწველობა, D ელექტრობა, გაზი, ორთქლი და ჰაერის კონდიცირება და E წყლის მიწოდება, კანალიზაცია, ნარჩენების მენეჯმენტი და რეკულტივაცია. ხშირად, ფირმები სხვადასხვა საქმიანობით არიან დაკავებული, რადგან მათი საქმიანობა დივერსიფიცირებულია. ასეთ შემთხვევებში ხდება მათი ჩაშლა ვირტუალურ ერთეულებად, რომლებიც ჰომოგენურ საქონელს აწარმოებენ. მაგალითად, დარგი „მრეწველობა“ მოიცავს ყველა მწარმოებელ ერთეულს, რომლებიც აწარმოებს სამრეწველო საქონელს, იქნება ეს მთლიანი ფირმა, თუ მისი ნაწილი, რომელიც ცნობილია, როგორც „დაწესებულება“. სტრუქტურული განსხვავებების დანახვა შეიძლება განვითარებულ ქვეყნებსა (მაგალითად, აშშ და საფრანგეთი), სადაც მომსახურებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს (მაგალითად, კორეა) შორის

შედარებით, სადაც კვლავ მაღალია მრეწველობის წილი. აღსანიშნავია, რომ ცხრილში მშპ არ ემთხვევა მთლიანი დამატებული ღირებულებების ჯამს. ეს არ არის შეცდომა; მშპ არის მთლიანი დამატებული ღირებულებების ჯამს დამატებული წმინდა გადასახადები პროდუქტებზე (გადასახადებს მინუს სუბსიდიები პროდუქტებზე, იხ. თავები 1 და 10).

**ცხრილი 4.1 დამატებული ღირებულება საქმიანობის სახის მიხედვით მიმდინარე ფასებში
ჯამური დამატებული ღირებულების პროცენტი, 2010**

	დარგი	საფრანგეთი	კორეა	იტალია	აშშ
A	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და მეთევზეობა	1.8	1.9	2.6	1.1
	დამამუშავებელი მრეწველობა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება და სხვა სამრეწველო საქმიანობები	12.8	19.0	33.1	15.5
B	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება	0.1	0.3	0.2	1.6
C	დამამუშავებელი მრეწველობა	10.3	16.1	30.3	11.7
D	ელექტრობა, გაზი, ორთქლი და ჰაერის კონდიცირება	1.6	1.7	1.8	1.8
E	წყლის მიწოდება, კანალიზაცია, ნარჩენების მენეჯმენტი და რეკულტივაცია	0.8	0.8	0.8	0.3
F	მშენებლობა	6.1	6.1	6.3	3.5
	საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ტრანსპორტი და სასაწყობო მეურნეობა, განთავსება და საკვებით მომსახურება	18.4	20.4	15.4	17.6
G	საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილებისა და მოტოციკლების შეკეთება	11.0	10.7	8.9	11.6
H	ტრანსპორტი და სასაწყობო მეურნეობა	4.8	5.6	4.2	3.2
I	განთავსება და საკვებით მომსახურება	2.5	4.1	2.3	2.9
J	ინფორმაცია და კავშირგაბმულობა	5.0	4.5	4.0	5.6
K	ფინანსური და სადაზღვევო მომსახურება	4.8	5.3	6.8	8.5
L	ოპერაციები უძრავი ქონებით	13.2	13.4	7.1	10.8
	პროფესიული, სამეცნიერო, ტექნიკური, ადმინისტრაციული მომსახურება და უზრუნველყოფა	12.0	8.4	5.4	12.1
M	პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	6.4	6.0	3.2	8.1
N	ადმინისტრაციული და უზრუნველყოფის საქმიანობები	5.6	2.5	2.1	4.0
	სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა, განათლება, ჯანდაცვა და სოციალური მოსახურება	22.6	16.8	17.4	21.9
O	სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა, სოციალური დაცვა	7.8	6.8	6.2	8.8
P	განათლება	5.7	6.2	4.7	5.5
Q	ჯანდაცვა და სოციალური სამუშაოები	9.1	4.5	5.9	7.6
	სხვა მომსახურება	3.4	2.4	7.6	3.4
R	ხელოვნება, გართობა და რეკრეაცია	1.5	1.4	1.0	1.0
S	სხვა მომსახურება	1.6	1.1	1.4	2.3

T	შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მოსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისთვის	0.4	0.0	1.1	0.1
U	ექსტერიტორიული ორგანიზაციების საქმიანობა	0.0	0.0	0.0	0.0
სულ დამატებული ღირებულება		100.0	100.0	100.0	100.0

წყარო: OECD (2013), "STAN Industry Rev. 4", STAN: OECD Structural Analysis Statistics (database), doi: <http://dx.doi.org/10.1787/888933143785>

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143775>

უფრო დეტალური სურათის მისაღებად შევხედოთ ცხრილს 4.2, რომელიც საერთაშორისო კლასიფიკაციის "A38" დონეს ეფუძნება. აქ მოცემულია ბელგიის გამოშვება, შუალედური მოხმარება და დამატებული ღირებულება 2010 წლისთვის და ჩაშლილია მრეწველობის ქვედარგების მიხედვით.

ცხრილი 4.2. მრეწველობის დარგების გამოშვება, შუალედური მოხმარება და დამატებული ღირებულება ბელგია, 2010, მლნ ევრო

დარგის კოდი და დასახელება	გამოშვება	შუალედური მოხმარება	მოლიანი დამატებული ღირებულება
C დამამუშავებელი მრეწველობა	198 876	155 126	43 751
CA საკვები პროდუქტების, სასმელების და თამბაქოს წარმოება	32 685	26 069	6 616
CB ტექსტილის, ტანსაცმლის, ბეწვისა და დაკავშირებული პროდუქტების წარმოება	5 648	4 145	1 502
CC ხე-ტყის დამუშავება და ქაღალდის წარმოება; საგამომცემლო და პოლიგრაფიული საქმიანობა	10 527	7 642	2 884
CD კოქსისა და ნავთობპროდუქტების წარმოება	30 397	29 048	1 349
CE ქიმიური ნაწარმის წარმოება	26 857	20 603	6 254
CF სამედიცინო პროდუქტებისა და პრეპარატების წარმოება	9 364	5 270	4 095
CG რეზინისა და პლასტმასის წარმოება	12 544	8 618	3 927
CH მეტალურგიული მრეწველობა და ლითონის შხა ნაკეთობები	33 057	26 571	6 486
CI კომპიუტერებისა და პერიფერიული მოწყობილობების წარმოება	3 559	2 302	1 257
CJ ელექტრომოწყობილობების წარმოება	3 506	2 116	1 390
CK მანქანებისა და მოწყობილობების წარმოება	8 070	5 131	2 939
CL სატრანსპორტო საშუალებების წარმოება	17 096	14 016	3 080
CM მრეწველობის სხვა წარმოება; მანქანებისა და მოწყობილობების დაყენება და შეკეთება	5 567	3 595	1 971

წყარო OECD (2013), "STAN Industry Rev. 4", STAN: OECD Structural Analysis Statistics (database), doi: <http://dx.doi.org/10.1787/data-00649-en>

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143785>

ბიბლიოგრაფია

Ahmad, N. and S. Koh (2011), “Incorporating Estimates of Household Production of Non-Market Services into International Comparisons of Material Well-Being”, *OECD Statistics Working Papers*, No. 2011/07, OECD Publishing, doi: <http://dx.doi.org/10.1787/5kg3h0jgk87g-en>.

OECD (2013a), *OECD Economic Outlook*, Vol. 2013/1, OECD Publishing, doi: http://dx.doi.org/10.1787/eco_outlook-v2013-1-en.

OECD (2013b), “STAN Industry Rev. 4”, STAN: OECD Structural Analysis Statistics (database), doi: <http://dx.doi.org/10.1787/data-00649-en>.

United Nations Economic Commission for Europe: Non-observed economy in national accounts, Survey of country practices (2008), UNITED NATIONS PUBLICATION Sales No. E.08.II.E.8- ISBN 978-92-1-116987-4 -ISSN 0069-8458.

საკვანძო მომენტები

- წარმოების საზღვრები, რომელიც ეროვნულ ანგარიშებშია გამოყენებული, მოიცავს:
 - ❖ საქონლისა და მომსახურების წარმოებას გასაყიდად, რაც ცნობილია როგორც საბაზრო გამოშვება;
 - ❖ პროდუქციას, რომელიც გასაყიდად არ არის წარმოებული, ცნობილია როგორც არასაბაზრო გამოშვება და მოიცავს სახელმწიფო მართვის ორგანოებისა და არაკომერციული ინსტიტუციების გამოშვებას;
 - ❖ შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისთვის წარმოებულ საქონელს და ბიზნესის მიერ საკუთარი მოხმარებისთვის წარმოებულ კაპიტალურ საქონელს;
 - ❖ ბინათმფლობელთა საცხოვრებელზე გაწეულ დანახარჯებს (იმპუტირებულ რენტას), რომელიც არ მოიცავს საკუთარი მოხმარებისთვის გაწეულ სხვა მომსახურებას.
- საბაზრო გამოშვებას მიმდინარე ფასებში, რომელიც ასე იზომება: გაყიდვებს პლუს მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი პროდუქციის მარაგების ცვლილება.
- გამოშვება საბაზისო ფასებში იზომება, რაც ნიშნავს, რომ ეს არის თითოეული გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს დამატებული სუბსიდიები პროდუქტებზე და მინუს გადასახდები პროდუქტებზე.
- არასაბაზრო გამოშვება (სახელმწიფო მართვის ორგანოები და არაკომერციული ორგანიზაციები) იზომება დანახარჯების ჯამს დამატებული შუალედური მოხმარება, დასაქმებულთა ანაზღაურება, ძირითადი კაპიტალის მოხმარება და სხვა გადასახადები წარმოებაზე.
- საკუთარ სახლში ცხოვრების იმპუტირებული რენტა გამოითვლება შესაბამისი საცხოვრებლის დაქირავების ღირებულებით.
- სიმარტივისთვის ბანკების გამოშვებას ითვლიან მიღებული და გაცემული საპროცენტო სარგებლის სხვაობით დამატებული პირდაპირ გაზომილი მომსახურების გაყიდვები.
- სადაზღვევო კომპანიების გამოშვება უდრის სხვაობას პრემიებსა და ანაზღაურებას შორის დამატებული საინვესტიციო შემოსავალი.
- დისტრიბუციის სექტორის გამოშვება გაიზომება სადისტრიბუციო მარჟით.

ჩაულრმავდით


შინამეურნეობების მომსახურება

ოფიციალური ეროვნული ანგარიშების შემადგენლობაში არ შეაქვთ შინამეურნეობის წევრების მიერ გაწეული საშინაო და პერსონალური მომსახურება საკუთარი მოხმარებისთვის. ეს ნიშნავს, რომ ისეთი საქმიანობები, როგორცაა საკვების მომზადება, სახლის დასუფთავება, ტანსაცმლის რეცხვა და ბავშვებისა და მოხუცების მოვლა, გამორიცხულია მშპ-დან, თუ ეს საქმიანობები არაანაზღაურებადია. საკითხის ასე დაყენებამ ცნობილი ეკონომისტი და ეროვნული ანგარიშების პიონერი ჯონ ჰიკსი იმ შენიშვნამდე მიიყვანა, რომ შესაძლებელია მშპ შემცირდეს, თუ ვინმე თავის მზარეულს ცოლად შეირთავსო.

ასეთი სახის საქმიანობების გამორიცხვა მშპ-დან ეროვნული მონაგარიშების მიერ პრაქტიკული მოსაზრებების გამო მოხდა: ეს არის სიძნელეები, რაც თან ახლავს ასეთი საქმიანობებისთვის ღირებულების იმპუტაციას და შედეგები, რაც შემდგომ შეიძლება მოჰყვეს მშპ-ის ვარიაციის ანალიზს, რადგან მისი მნიშვნელოვანი ნაწილი სრულიად „გამოგონებული“ იქნებოდა. მართლაც, როგორ უნდა შეფასდეს დედის მომსახურება, რომელიც თავისი ოჯახისთვის ამზადებს სადილს? იმ ფასით, რომლითაც სწრაფი კვების ობიექტში აფასებენ ჰამბურგერის მომზადებას, თუ იმ ფასით, რომელსაც შეფ-მზარეულს უხდებიან სამვარსკვლავიან რესტორანში? ეს მეთოდი განეკუთვნება „აღდგენით (შენაცვლების) ღირებულებას“. მეორე მხრივ, ზოგიერთის აზრით, დედის იმპუტირებული ანაზღაურების შეფასებისთვის უნდა გამოეყენებინათ „ფარული დანახარჯები“, სხვა სიტყვებით, რა შემოსავალი შეიძლება ჰქონოდა დედას, მას რომ ემუშავა შინამეურნეობის გარეთ. შეფასების ამ მეთოდის გამოყენებამ შეიძლება ძალიან განსხვავებული შედეგები მოგვცეს. მაგალითად, თუ დედა არის უფროსი აღმასრულებელი, მისი ფარული დანახარჯები ბევრად მაღალი იქნება იმასთან შედარებით, თუ ის მოლარე იქნებოდა სუპერმარკეტში. დამატებით სირთულეს წარმოშობს ისეთი საქმიანობები, სადაც ერთობლივი წარმოებაა. მაგალითად, მამა, რომელიც ბოსტნეულს ჭრის სადილისთვის, თვალს ადევნებს ახალშობილს და მეორე ბავშვს ეხმარება საშინაო დავალების შესრულებაში. როგორ უნდა გავანაწილოთ დრო თითოეულ ამ საქმიანობაზე? შეიძლება თუ არა, რომ ამ საქმიანობების ღირებულება შემცირდეს, რადგან ისინი ერთდროულად სრულდება? ეთგო-ს სამუშაო მოხსენებაში „შინამეურნეობის არასაბაზრო წარმოების ჩართვა მატერიალური კეთილდღეობის საერთაშორისო შედარებებში“ (Incorporating Estimates of Household Production of Non-Market Services into International Comparisons of Material Well-Being”, Ahmad and al., 2011) ახსნილია განსხვავებები ამ ორ მიდგომას

შორის, რომელიც ქვემოთ არის მოტანილი ციფრებში. გაერთიანებული სამეფოს მაგალითში შეფასებების განსხვავება ძალიან კარგად არის ნაჩვენები. თუ შინამეურნეობების არასაბაზრო წარმოებას აღდგენითი ღირებულებით გამოვთვლით, ის მშპ-ის 26.0%-ია, ხოლო თუ ფარული დანახარჯების მეთოდით, მაშინ - 68.0%.

ნახაზი 4.2. შინამეურნეობების არასაბაზრო მომსახურების წარმოება
მშპ-ის %



წყარო: Ahmad, N. and S. Koh (2011), "Incorporating Estimates of Household Production of Non-Market Services into International Comparisons of Material Well-Being", *OECD Statistics Working Papers*, No. 2011/07, OECD Publishing, [doi: http://dx.doi.org/10.1787/5kg3h0jgk87g-en](http://dx.doi.org/10.1787/5kg3h0jgk87g-en).

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143768>

ეროვნულ ანგარიშებში აღნაზღაურებელი საყოფაცხოვრებო მომსახურების გატანა წარმოების საზღვრებს მიღმა კვაზი-წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილება იყო. ბევრ

ქვეყანაში აუნაზღაურებელი მომსახურება ძირითადად ქალების მხრებზეა და ისევე მნიშვნელოვანია ზოგადად კეთილდღეობისთვის, როგორც ანაზღაურებადი მომსახურება, რომელიც წარმოების საზღვრებში ხვდება. ძირითადად, ამ მომსახურების გამორიცხვა პრაქტიკული მოსაზრებების გამო მოხდა. მეტიც, ამ საქმიანობების შეტანა წარმოების საზღვრებში სხვა ინდიკატორების მნიშვნელობებსაც შეცვლიდა, როგორც არის შინამეურნეობების განკარგვადი შემოსავალი და საბოლოო მოხმარების დანახარჯები. ორივე ეს ინდიკატორი აუნაზღაურებელი მომსახურების ტოლი ღირებულებით გაიზრდებოდა. შედეგად, მას, ვინც სამუშაოს დაკარგავდა, შეიძლება აღმოეჩინა, რომ მისი შემოსავალი იზრდება, რადგან სხვა დამატებითი აუნაზღაურებელი საქმიანობებიდან მიღებული შემოსავალი გადაამეტებდა მის დანაკარგებს ნაღდ ვალუტაში. მიუხედავად ამისა, საზოგადოების მეტი ინფორმირებულობის მიზნით, ზოგიერთი სტატისტიკური სამსახური აქვეყნებს ე.წ. სატელიტურ ანგარიშებს, რომლებშიც მოტანილია აუნაზღაურებელი საშინაო მომსახურების შეფასებები. ეს ანგარიშები დანართის სახით ახლავს ეროვნულ ანგარიშებს და გვიჩვენებს, თუ რის ტოლი იქნებოდა მშპ, თუ აუნაზღაურებელი საშინაო მომსახურება იქნებოდა მასში შეტანილი.

კორექტირების გამოყენება საფრანგეთის იატაკქვეშა ეკონომიკისთვის

იატაკქვეშა ეკონომიკის გათვალისწინების მიზნით ეთგო-ს ყველა ქვეყანას შეაქვს შესწორებები ოფიციალურად მიღებულ მშპ-ში. საფრანგეთის შემთხვევაში, ეს კორექტირება დაახლოებით 4%-ის ტოლია. ამასთან, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს ციფრი მხოლოდ მიახლოებითია. საფრანგეთის სტატისტიკის სამსახური (INSEE) იატაკქვეშა ეკონომიკას სამად აჯგუფებს: არაკანონიერი (ნარკოტიკებით ვაჭრობა, ორგანიზებული პროსტიტუცია და ა.შ.); შავი შრომა (არაკანონიერი საწარმოები) და საგადასახადო თაღლითობა. სხვა სტატისტიკური ინსტიტუტების მსგავსად, INSEE არ ცდილობს ამ აკრძალული საქმიანობების შეფასებას. შავი შრომის გასათვალისწინებლად ის მშპ-ს 1%-ით აკორექტირებს. ეს მიდგომა საკმაოდ ემპირიულია: ოფიციალური გამოძიებებისა და სოციალ-ეკონომიკური კვლევების საფუძველზე ის არჩევს ეკონომიკის იმ სექტორებს, სადაც იატაკქვეშა საქმიანობის მაღალი ალბათობაა და შემდეგ, ძალიან უხეშად, სექტორების მიხედვით ახდენს მათ რანჟირებას ექსპერტების მოსაზრებებზე დაყრდნობით.

საგადასახადო თაღლითობისა და გადასახადებისგან თავის არიდების შემთხვევაში მშპ-ს კორექტირება დაახლოებით 3%-ით ხდება, რომელთაგან 2.5% დოკუმენტებთან დაკავშირებული თვალთმაქცობაა და 0.5% გადაუხდელი დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ). პირველის შემთხვევაში, წყაროდ გამოყენებულია

საგადასახადო სამსახურების მიერ გაკეთებული შერჩევების საფუძველზე მიღებული საგამომიებო შედეგები. რაც შეეხება დამატებული ღირებულების გადასახადს, აქ წყაროდ გამოყენებულია თეორიული დღგ დასაბეგრი ტრანსაქციებისთვის და მისი შედარება რეალურად მიღებულ დღგ-ს შორის. ამის გარდა, ხდება აგრეთვე არადეკლარირებული გასამრჯელოებისა და შეღავათების კორექტირებებიც, რომელთა ხვედრითი წილი მშპ-ში დაახლოებით 0.5%-ია.

არაფინანსური დაწესებულებების დამატებული ღირებულების მონაცემთა წყაროები: საფრანგეთის მაგალითი

ეროვნული ანგარიშებისათვის ხარისხის მიღწევის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა მის მიერ გამოყენებული ინდივიდუალური ფირმების ანგარიშების ექსტენსიური აგრეგირება. საფრანგეთის სტატისტიკის სამსახურს (და ეს ასეა სხვა ქვეყნების შემთხვევაშიც), თუმცა გარკვეული წინააღმდეგობების დაძლევათ, შეუძლია საგადასახადო სამსახურებიდან ყველა გადამხდელი ფირმის ანგარიშზე ჰქონდეს წვდომა. ეს წყარო პრაქტიკულად ამომწურავ ინფორმაციას იძლევა ფირმებისა და ინდემწარმეების შესახებ. სწორედ ამ წყაროზე დაყრდნობით ხდება მშპ-ის უდიდესი ნაწილის შეფასება. არაფინანსური დაწესებულებების გაყიდვები მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს არაფინანსური სექტორის გამოშვების გაანგარიშებისთვის. თუმცა, ეს არც ისე მარტივია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, რადგან ზოგჯერ კომპანიების ანგარიშებს უამრავი კორექტირება სჭირდება, რადგან იქ ზუსტად ის განმარტებები არ არის გამოყენებული, რაც ეროვნულ ანგარიშებში. ასევე საჭიროა კორექტივების შეტანა იატაკქვეშა ეკონომიკის გასათვალისწინებლად და მიღებული მონაცემების შეჯერება უფრო სანდო წყაროებიდან, როგორც არის ბიუჯეტი. მაგალითად, ეროვნული მოანგარიშები უნდა დარწმუნდნენ, რომ დაწესებულებების მიერ გადახდილი გადასახადები, როგორც მათ ანგარიშებში აქვთ მითითებული, შესაბამისი ორგანოების მიერ მიღებული გადასახადების ჯამის ტოლია. თუ ეს ასე არ ხდება, მაშინ სახელმწიფო დაწესებულებებს ენიჭება პროორიტეტი და კომპანიების ანგარიშებიც შესაბამისად იცვლება. ასეთ კორექტირებას ცვლილებები შეაქვს კომპანიების მოგების გაზომვაში (მთლიანი საოპერაციო მოგება). ამ ციფრებს ემატება INSEE-ს მიერ ჩატარებული საწარმოთა კვლევები (EAE, ან Enquête Annuelle d'Entreprise), რომლის შედეგებიც ძირითადად გაყიდვების დეტალური ჩაშლისთვის გამოიყენება დარგების მიხედვით.

FISIM

FISIM-ით, ან ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასებით აღიწერება ბანკების მიერ მომხმარებლებისთვის გაწეული მომსახურება, რომელიც ინვოისში არ არის გაწერილი. ბანკის დეპოზიტორებისთვის ეს სერვისი ზოგადად მოიცავს მიმდინარე ანგარიშების მენჯმენტს, საბანკო შეტყობინებების გაგზავნას და ანგარიშებს შორის განხორციელებულ ტრანსფერებს. მოცემული ოპერაციების ინვოისში ასახვის ნაცვლად, ბანკი ამცირებს დეპოზიტორთა საპროცენტო განაკვეთს. ეს საპროცენტო განაკვეთი ფაქტობრივად იმაზე დაბალია, თუ რომელიმე კლიენტი თვითონ მონდომებდა ფულის გასესხებას. ბანკის მსესხებლისთვის ეს მომსახურება მოიცავს კლიენტის კრედიტუნარიანობის მონიტორინგს, ფინანსურ კონსალტინგს, დროში გადახდების გადანაწილებას და ამ გადახდების ჩაწერას საბუღალტრო ანგარიშებში. ამ მომსახურების ღირებულება საპროცენტო განაკვეთის ორგანული შემადგენელი ნაწილია და ბანკი მას მსესხებლებისგან იღებს უკან.

მიმდინარე ფასებში FISIM გამარტივებული ფორმულით ასე გამოითვლება:

$$(rl - rr) \times L + (rr - rd) \times D$$

სადაც, rl არის დაკვირვებადი საპროცენტო განაკვეთი სესხებზე, rr ე.წ. საბაზისო განაკვეთია, rd დეპოზიტების დაკვირვებადი დონე, L სესხების ოდენობა და D დეპოზიტების ოდენობა. საბაზისო განაკვეთი rr წმინდა საპროცენტო განაკვეთის შეფასებაა, რისკის ელემენტის გარეშე და ამგვარად, ეკონომიკური აგენტის პრეფერენციებს შეესაბამება. მსესხებლების მიერ გადახდილ საპროცენტო განაკვეთსა (rl) და საბაზისო განაკვეთს (rr) შორის სხვაობა გამოიყენება მსესხებლებისთვის FISIM-ის ფასის გასაზომად, ხოლო დეპოზიტორებისთვის - სხვაობა საბაზისო განაკვეთს (rr) და დეპოზიტებზე (rd) მიღებულ საბანკო განაკვეთს შორის. ეს ფასები შემდეგ მრავლდება მთლიან სესხებზე და მთლიან დეპოზიტებზე და მიიღება სხვადასხვა ეკონომიკური აგენტის მიერ მოხმარებული მთლიანი FISIM.

ლოგიკურად, თუ FISIM გამოიყენება გამოშვების გაზომვაში, მაშინ ის ასევე უნდა აისახოს ამ სერვისის მომხმარებლების მხარესაც. ამიტომ, მსესხებელი ფირმისთვის ის ჩაიწერება როგორც შუალედური მოხმარება. შინამეურნეობისთვის, რომელსაც დეპოზიტი აქვს ბანკში ან სესხს იღებს ბანკიდან, FISIM იქნება საბოლოო მოხმარების დანახარჯის ელემენტი. დიდი ხნის განმავლობაში, აშშ-ს, კანადისა და ავსტრალიის გარდა, FISIM მთელი ეკონომიკისთვის შუალედურ მოხმარებად განიხილებოდა. საბედნიეროდ, ამ პრობლემის გადაწყვეტა 2005 წელს მოხდა და ის ეთგო-ს ყველა ქვეყანამ გაიზიარა. თუმცა, მაინც რჩება საბაზისო საპროცენტო განაკვეთის შერჩევის

პრობლემა. ევროპულმა ქვეყნებმა აირჩიეს ბანკთაშორისი მოკლევადიანი და გრძელვადიანი განაკვეთების საშუალო მნიშვნელობა, ხოლო აშშ-ში სახაზინო ობლიგაციების განაკვეთის დონე. შინამეურნეობებსა და საწარმოებს შორის გადანაწილება მოხდა ამ ორი ჯგუფის დეპოზიტებისა და სესხების პროპორციულად. 2007-2009 წლების ფინანსურმა კრიზისმა გააძლიერა ბანკებისადმი და მათი როლის შეფასებისადმი ინტერესი ეროვნულ ანგარიშებში. ზოგიერთები იქამდეც მივიდნენ, რომ მათი აზრით, ბანკებს ეროვნულ ანგარიშებში არავითარი დადებითი გამოშვება არ უნდა ჰქონოდათ, რადგან სწორედ მათ გამო დაიწყო 2007-09 წლების დიდი რეცესია. სხვები ასე შორს არ წასულან, მაგრამ მათი აზრით, ეროვნულ ანგარიშებში შეუსაბამობა მოხდა, რადგან რეცესიის დროს ბანკების გაზრდილი გამოშვება დაფიქსირდა, რაც ლოგიკას ეწინააღმდეგება. ამ მოსაზრებებში გარკვეული შესწორებაა შესატანი. გასათვალისწინებელია, რომ ეროვნულ მონაგარიშებს ჯერ კიდევ არ გააჩნიათ საბანკო გამოშვების მოცულობის შესაბამისი საზომი და ამასთან ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ეროვნულ ანგარიშებში მნიშვნელოვანია მოცულობის გაზომვა და არა მისი მიმდინარე ფასებში გაზომვა. ამ აზრით, ნებისმიერი გაზრდილი ვარიაცია *rl, rd* და *rr*-ს შორის არის FISIM-ის ფასის და არა მოცულობის ცვლილება.

სხვაგვარად, რისკის პრემიის ცვლილება წარმოადგენს საშუამავლო მომსახურების ფასის ცვლილებას. ყოველ შემთხვევაში, ფინანსური სექტორის გამოშვება აშშ-ის ეროვნულ ანგარიშებში 2007-12 წლებში არ გაზრდილა; პირიქით, ის შემცირდა მიმდინარე ფასებშიც და ფიზიკური მოცულობითაც.

მე-4 თავის სავარჯიშოები

სავარჯიშო 1. წარმოების სტრუქტურის ცვლილება

ქვემოთ მოტანილია ცხრილი ავსტრალიის ეროვნული ანგარიშებიდან მიმდინარე ფასებში. აჩვენეთ, რომ ავსტრალიის ეკონომიკა თანდათან მომსახურების ეკონომიკად გარდაიქმნა. აჩვენეთ ეს გრაფიკულად. რომელ დარგებში შეიძლება იყოს არასაბაზრო საქმიანობები? რომელ დარგში იქნება გამოყენებული საკუთარ სახლში ცხოვრებისთვის იმპუტირებული რენტა? რა განსხვავებაა ამ ცხრილის მიხედვით გამოთვლილ დამატებული ღირებულებების ჯამსა და მშპ-ს შორის? რომელ დარგებში აღინიშნა სწრაფი ზრდა 1980 წლის შემდეგ? შედეგი ასახეთ საშუალოწლიური მატების ტემპით. რომელი დარგები განვითარდა ყველაზე ნაკლებად? არის თუ არა ეს შედეგი მიმდინარე ფასებში სრულიად დამაჯერებელი?

	1980	1995	2011
სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და მეთევზეობა	3 400	3 883	4 494
დამამუშავებელი მრეწველობა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება და სხვა სამრეწველო საქმიანობები	19 139	37 199	61 376
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება	921	543	1 389
დამამუშავებელი მრეწველობა	15 819	30 581	50 925
ელექტრობა, გაზი, ორთქლი და ჰაერის კონდიციონირება	1 899	4 192	6 082
წყლის მიწოდება, კანალიზაცია, ნარჩენების მენეჯმენტი და რეკულტივაცია	500	1 883	2 980
მშენებლობა	5 755	12 758	18 499
საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ტრანსპორტი და სასაწყობო მეურნეობა, განთავსება და საკვებით მომსახურება	16 458	35 210	61 080
საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილებისა და მოტოციკლების შეკეთება	9 931	20 478	34 911
ტრანსპორტი და სასაწყობო მეურნეობა	3 854	8 531	12 819
განთავსება და საკვებით მომსახურება	2 673	6 201	13 350
ინფორმაცია და კავშირგაბმულობა	1 746	5 240	8 278
ფინანსური და სადაზღვევო მომსახურება	3 532	8 997	13 876
ოპერაციები უძრავი ქონებით	3 011	12 013	26 050
პროფესიული, სამეცნიერო, ტექნიკური, ადმინისტრაციული მომსახურება და უზრუნველყოფა	2 225	9 023	24 043
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	1 318	5 154	12 642
ადმინისტრაციული და უზრუნველყოფის საქმიანობები	907	3 869	11 401
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა, განათლება, ჯანდაცვა და სოციალური მოსახურება	11 024	28 754	47 219

სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა, სოციალური დაცვა	3 940	10 632	15 545
განათლება	3 765	8 782	14 774
ჯანდაცვა და სოციალური სამუშაოები	3 319	9 339	16 900
სხვა მომსახურება	1 642	4 295	7 617
ხელოვნება, გართობა და რეკრეაცია	441	1 600	3 374
სხვა მომსახურება	1 149	2 630	4 136
შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მოსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისთვის	52	64	107
სულ დამატებული ღირებულება	67 931	157 371	272 532
მშპ	76 359	174 794	299 240

სავარჯიშო 2. დარგები და პროდუქცია

ცხრილში 4.2 მოტანილია ბელგიის სამრეწველო დარგების გამოშვება, შუალედური მოხმარება და დამატებული ღირებულება. გამოიყენეთ ეს ცხრილი და დააკავშირეთ ერთმანეთთან ეს სამი მნიშვნელობა. ცალკეული დარგებისთვის მოახდინეთ განსხვავების ილუსტრირება მათ ე.წ. ექსტერნალიზაციის დონესთან. რა ცვლილებებს განიცდის ეს ცხრილი, თუ გვსურს მონაცემების წარმოდგენა არა დარგების, არამედ პროდუქციის მიხედვით?

სავარჯიშო 3. გამოშვების გამოთვლა

გვაქვს შემდეგი მონაცემები მანქანების მწარმოებელი ფირმის შესახებ. გაყიდვები: 353 500. შესყიდვები: ნედლეული: 540 000; დროებითი დასაქმების სერვისი: 350 500; ჩარხები: 264 000. მზა პროდუქციის მარაგები პერიოდის დასაწყისში: 245 000; პერიოდის ბოლოს: 346 700. ნედლეულის მარაგები პერიოდის დასაწყისში: 73 200; პერიოდის ბოლოს: 43 000. გამოთვალეთ გამოშვება, შუალედური მოხმარება და დამატებული ღირებულება მიმდინარე ფასებში იმ დაშვებით, რომ პერიოდის განმავლობაში ფასები არ შეცვლილა. რატომ არის ბოლო პირობა მნიშვნელოვანი?

სავარჯიშო 4. გამოშვების გამოთვლა: არასაბაზრო შემთხვევა

გვაქვს შემდეგი მონაცემები ერთ-ერთი სამთავრობო დაწესებულების შესახებ. საჯარო მოხელეთა შრომის ანაზღაურება: 562 980; დამსაქმებელთა სოციალური შენატანები: 65 450; მასალების შესყიდვა: 85 340; საგადასახადო შემოსავლები: 485 770; ცვეთა: 124 320. გამოთვალეთ გამოშვება, შუალედური მოხმარება და დამატებული ღირებულება. დაადასტურეთ ვარაუდი იმის შესახებ, რომ გამოშვების გაზომვის მიხედვით ეს ერთეული არაკომერციულია.

სავარჯიშო 5. გამოშვების გამოთვლა: ბანკები

გვაქვს შემდეგი მონაცემები ბანკის შესახებ. გაცვლითი ოპერაციების საკომისიოები: 32 980; საფონდო ბაზარზე ვაჭრობის საკომისიოები: 23 430; მიღებული პროცენტები: 357 850; გადახდილი პროცენტები: 204 650; მასალების შესყიდვა: 34 520; IT მომსახურება: 32 890; პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა: 12 590; მასალების მარაგი პერიოდის დასაწყისში: 7 420; მასალების მარაგი პერიოდის ბოლოს: 3 860. გამოთვალეთ გამოშვება, შუალედური მოხმარება და დამატებული ღირებულება. დაუშვით, რომ FISIM არის მიღებული და გაცემული პროცენტების სხვაობა.

სავარჯიშო 6. გამოშვების გამოთვლა: დისტრიბუცია

გვაქვს შემდეგი მონაცემები საცალო ქსელის შესახებ. გაყიდვები: 4 567 800; შესყიდვები სულ: 4 120 500 (მათ შორის, საქონელი გადასაყიდად: 3 987 350); ხელახლა გასაყიდი საქონლის მარაგი პერიოდის დასაწყისში: 476 000; პერიოდის ბოლოს: 548 400; მასალების მარაგი პერიოდის დასაწყისში: 120; პერიოდის ბოლოს: 3 250. გამოთვალეთ გამოშვება, შუალედური მოხმარება და დამატებული ღირებულება. ინფლაცია უმნიშვნელოა.

სავარჯიშო 7. გამოშვების გამოთვლა: სადაზღვევო კომპანიები

გვაქვს შემდეგი მონაცემები სადაზღვევო კომპანიის შესახებ. მიღებული პრემია: 210 400; გადახდილი პრეტენზიები: 187 500; რეზერვების ინვესტირებიდან მიღებული შემოსავალი: 34 270; საკანცელარიო მასალების შესყიდვები: 24 320; მასალების მარაგი პერიოდის დასაწყისში: 5 630; პერიოდის ბოლოს: 20. გამოთვალეთ გამოშვება, შუალედური მოხმარება და დამატებული ღირებულება. ახლა დაუშვით, რომ განსაკუთრებული პრეტენზიის საფუძველზე მოთხოვნა გაიზარდა 245 000-მდე. ხელახლა გამოთვალეთ გამოშვება. როგორ ინტერპრეტაციას გაუკეთებთ ამ შედეგს?

ამ სავარჯიშოების ამოხსნები შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე:

<http://dx.doi.org/10.1787/9789264214637-22-en>

თავი 5

მშპ-ის საბოლოო გამოყენების განსაზღვრა

მოკლევადიან პერიოდში რეალური მშპ-ის მატებას განაპირობებს ცვლილებები მშპ-ის საბოლოო გამოყენებაში. ზოგადად, ინფლაციისა და უმუშევრობის სასურველი დონის შესანარჩუნებლად მთავრობები ცდილობენ გავლენა მოახდინონ სამ ცვლადზე: მოთხოვნა შინამეურნეობების მხრიდან, სამთავრობო (საზოგადოებრივი) მოხმარება და ინვესტიციები. მთლიანობაში, სამივე ცვლადი ცნობილია როგორც შიდა მოთხოვნა. სამომავლო ეკონომიკური განვითარების პროგნოზირების მიზნით ეკონომისტები აკვირდებიან არა მარტი შიდა მოთხოვნას, არამედ გარე მოთხოვნასა და წმინდა ექსპორტსაც. ამ თავში განხილულია მოთხოვნის განსაზღვრა და გაზომვა, აგრეთვე ის, თუ რა შედის საბოლოო გამოყენების თითოეულ კომპონენტში.

მოკლევადიან პერიოდში რეალური მშპ-ის მატებას განაპირობებს ცვლილებები მშპ-ის საბოლოო გამოყენებაში, ანუ ეკონომისტების ენაზე - მოთხოვნაში. ამ თავში მოცემულია ამ მოთხოვნის კომპონენტების განსაზღვრა.

ეთგო-ს 2013 წლის ეკონომიკური პერსპექტივების პუბლიკაციაში გაერთიანებული სამეფოს (ამ თავში თვალსაჩინოებისთვის შერჩეული ქვეყანა) უკანასკნელი პერიოდის ეკონომიკურ მდგომარეობაზე ავტორები წერდნენ:

„ევროზონის სავაჭრო პარტნიორების სისუსტე, რეალური შემოსავლების მატების დაბალი ტემპი და საზოგადოებრივი და კერძო სექტორების აუცილებელად გასასტუმრებელი ვალები სიძნელეებს უქმნის ეკონომიკას. მატების პროცესის დაწყება მოსალოდნელია თანდათან, 2013-2014 წლებში, როგორც კი მთლიანი ფიქსირებული ინვესტიციები და ექსპორტი იმპულსს მიიღებს. ინფლაციური მოლოდინი სამიზნე ინფლაციაზე მაღალია, თუმცა, სავარაუდოდ ეს პროცესი შეიძლება შენელდეს ეკონომიკის მოდუნების გამო. გლობალური გაჯანსაღების პროცესი ჩამქრალია, განსაკუთრებით ევროპაში და ჯერ კიდევ დაუბალანსებელი საზოგადოებრივი და კერძო სექტორები აკავებს ზრდის პროცესს. ელასტიური შრომის ბაზრის მიუხედავად, კერძო მოხმარებას უკან სწევს დაბალი რეალური საშუალო შემოსავლები, მყიფე რწმენა მომავლისადმი და შინამეურნეობების ლევერიჯის შემცირება (დელევერიჯიზაცია). კერძო ინვესტიციებს აბრკოლებს დაბალი მოთხოვნა და გაურკვევლობის მაღალი ალბათობა. უკანასკნელ წლებში არსებული მოთხოვნის დაბალი დონის გამო გაცვლითი კურსის ვარდნამ არ გამოიწვია ექსპორტის წახალისება. ჯერ-ჯერობით, გაერთიანებული სამეფოს უცხოურ ბაზრებზეც არ არის სახარბიელო მდგომარეობა, რაც გამოიხატება ფინანსური მომსახურებისა და ნავთობის მიწოდების შეფერხებებში“. (OECD, 2013a)

ინფლაციისა და უმუშევრობის სასურველი დონის შესანარჩუნებლად მთავრობები ცდილობენ გავლენა მოახდინონ სამ ცვლაზე: (1) მოთხოვნა შინამეურნეობების მხრიდან (ან ეროვნული ანგარიშების ტერმინოლოგიით „დანახარჯები შინამეურნეობების მოხმარებაზე“); (2) საზოგადოებრივი მოხმარება (ან „დანახარჯები სახელმწიფო მართვის ორგანოების მოხმარებაზე“) და (3) ინვესტიციები (ან „ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება“). ამ ცვლადებზე გავლენის მოსახდენად მთავრობები ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებს იყენებენ (იხ. რუბრიკა „ჩაუღრმავდით: როგორ მოქმედებს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა?“).

მთლიანობაში, სამივე ცვლადი ცნობილია, როგორც შიგა მოთხოვნა. საბოლოო მოთხოვნის მთავარი კომპონენტია ასევე ექსპორტიც, თუმცა ამ შემთხვევაში ის გარე

მოთხოვნაში შედის. საზოგადოდ მიღებულია, რომ წმინდა ექსპორტი უდრის ექსპორტს მინუს იმპორტი.

ამ ცვლადებზე დაყრდნობით აკეთებენ ეკონომისტები სამომავლო პროგნოზებს. უპირველესად, მაკროეკონომიკური პროგნოზები ემყარება საბოლოო გამოყენების შეფასებას უკანასკნელი ცვლილებების საფუძველზე მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გათვალისწინებით. მას შემდეგ, რაც მომზადდება პროგნოზები ეთგო-ს თითოეული ქვეყნისთვის, ეთგო-ს ეკონომისტები წევრი-ქვეყნების ფინანსური და სავაჭრო კავშირების ცოდნის საფუძველზე არკვევენ მათ შესაბამისობას ეთგო-ს მთელი ზონის ფარგლებში. ეს საშუალებას იძლევა, რომ შეფასდეს თითოეული ქვეყნის ფისკალური და ფინანსური ეფექტი ყველა დანარჩენ ქვეყანაზე.

ამ თავში ვნახავთ, თუ რა შედის საბოლოო გამოყენების თითოეულ კომპონენტში. ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ეკონომისტებს ამ ცვლადების მოცულობის ცვლილებები უფრო აინტერესებთ, ვიდრე მათი მოძრაობა მიმდინარე ფასებში. მოცემული თავის ზოგიერთ ცხრილში მონაცემები მიმდინარე ფასებშია, თუმცა, მაკროეკონომიკური პროგნოზირების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ამ ცვლადების მოცულობის გამოყენება (ე.ი. მიმდინარე ფასებში გამოსახული ცვლადის დეფლატირება შესაბამისი ფასების ინდექსით). სავარჯიშო 1-ში ნაჩვენებია, თუ როგორ უნდა გარდავქმნათ მიმდინარე ფასებში ასახული საბოლოო მოხმარების მონაცემები ფიზიკურ მოცულობებად.

1. საბოლოო გამოყენება ეროვნულ ანგარიშებში

ცხრილში 5.1 ნაჩვენებია საბოლოო გამოყენების ძირითადი კომპონენტები და მათი მნიშვნელობა გაერთიანებული სამეფოს მშპ-სთვის. ცხრილიდან ნათლად ჩანს „შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების დანახარჯების“ მნიშვნელობა, რომლის წილი გაერთიანებული სამეფოს მშპ-ში 60%-ია. ასეთივე ტენდენცია დამახასიათებელია ეთგო-ს სხვა ქვეყნებისთვისაც.

რას ნიშნავს „საბოლოო გამოყენება“?

უპირველეს ყოვლისა, რატომ „გამოყენება“? ძალიან მარტივად, იმიტომ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ბაზარზე გამოტანილი რესურსების გამოყენებასთან, ეს რესურსები მოედინება გამოშვებიდან, იმპორტიდან და მარაგების ამოღებიდან. დიდწილად ეს გამოყენებები შედგება ეკონომიკური აგენტების მიერ განხორციელებული შესყიდვებისგან და ამიტომ, *საბოლოო დანახარჯების* განხილვისას *საბოლოო მოხმარებას* ვგულისხმობთ: ამ ორი ტერმინის მნიშვნელობა ერთნაირია.

შემდეგ, რატომ „საბოლოო“? ეროვნულ ანგარიშებში რესურსების გამოყენება შეიძლება იყოს *შუალედური* ან *საბოლოო*. შუალედური გამოყენება მოიცავს წარმოების პროცესში მოხმარებულ საქონელსა და მომსახურებას მოცემულ ეკონომიკურ ტერიტორიაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (ერთი წელი); საბოლოო გამოყენება ყველა სხვა საქონელსა და მომსახურებას მოიცავს. მიაქციეთ ყურადღება, რომ საქონლისა ან მომსახურების ბუნება არ განსაზღვრავს მის შეტანას შუალედურ ან საბოლოო გამოყენებაში. მაგალითად, თუ სტეიკს შინამეურნეობა შეიძენს, ეს „საბოლოო მოხმარება“, ხოლო თუ რესტორანი - ის „შუალედურია“. ასევე, ფოლადის ფურცელი შუალედური მოხმარების საქონელია, მაგრამ ის შეიძლება საბოლოოდ იყოს, თუ მიმდინარე პერიოდში მარაგშია ჩადებული და გამიზნულია მომდევნო პერიოდში გასაყიდად ან საექსპორტოდ. „საბოლოო“ მიეკუთვნება ყველა საქონელსა და მომსახურებას, რომელიც სრულად არ არის გამოყენებული საწარმოო პროცესში იმავე საანგარიშო პერიოდში. შემდეგ ვნახავთ, რომ საჭიროა გარკვეული პირობების შემოტანა, რათა ერთმანეთისგან გავარჩიოთ „საბოლოო“ და „შუალედური“.

ცხრილი 5.1. გაერთიანებული სამეფო: საბოლოო გამოყენების წილი მშპ-ში მიმდინარე ფასებში, მშპ-ის %

ეას-ის კოდი		1980	1990	2000	2005	2012
P31S14	შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების ხარჯები	57.7	60.0	63.2	62.2	63.3
	შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული	1.4	2.0	2.4	2.4	2.5
P31S15	ორგანიზაციების საბოლოო მოხმარების ხარჯები					
P3S13	სახელმწიფო მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარების ხარჯები	21.9	19.6	18.3	21.0	21.8
P51	ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	19.2	20.4	17.4	16.8	14.3
P52	მარაგების ცვლილება	-1.1	-0.3	0.5	0.4	0.3
P53	ფასეულობის შექმნა, წმინდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.1
P6	საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	27.1	24.2	27.3	26.6	31.6
P7	საქონლისა და მომსახურების იმპორტი	-24.7	-25.9	-29.2	-29.4	-33.8
DB1_GE	სტატისტიკური განსხვავება	0.0	0.0	0.0	0.0	-0.2
B1_GE	მთლიანი შიდა პროდუქტი (დანახარჯების მეთოდი)	100.0	100.0	100.0	100.0	100.0

წყარო: OECD (2013), "Aggregate National Accounts: Gross domestic product", OECD National Accounts Statistics (database), <http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143804>

შინამეურნეობების შემთხვევაში, მათი საწარმოო საქმიანობისა და საცხოვრისებისგან დამოუკიდებლად, მათ მიერ შექმნილი ყველა საქონელი და მომსახურება,

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მათი უდიდესი ნაწილი საანგარიშო პერიოდში მოიხმარება, არ გამოიყენება საწარმოო პროცესში. აქ აუცილებელია გავიხსენოთ გამოშვების განმარტება მე-4 თავიდან: ეროვნული ანგარიშების კონცეფციით საკვების მომზადება და ტანსაცმლის რეცხვა სახლში არ განიხილება გამოშვებად. შედეგად, სტეიკის ხორცი არ განიხილება შუალედურ მოხმარებად საკვების მომზადებისთვის შინამეურნეობაში. შეიძლება პროტესტი წარმოიშვას ცალკეულ საქონელთან დაკავშირებით, რომელთა შესყიდვა და მთლიანად მოხმარება არ ხდება მიმდინარე პერიოდში: მაგალითად, ღვინო და კონსერვები შეიძლება მრავალი წლის განმავლობაში შევინახოთ, ხოლო გრძელვადიანი მოხმარების საგნები, როგორცაა ავტომობილი, კომპიუტერი და ელექტრომოწყობილობები, მათ მფლობელებს მრავალი წლის განმავლობაში უწევს სამსახურს. ამ პროტესტთან დაკავშირებით არსებობს *შეთანხმების* თაობაზე, რომ გარდა საცხოვრისებისა, ითვლება, რომ ყველა საქონელი და მომსახურება მთლიანად მოიხმარება, რადგან ისინი შინამეურნეობის მიერ არის შეძენილი.

შემდეგი მნიშვნელოვანი მომენტი *შეთანხმება* იმის შესახებ, რომ სახელმწიფო მართვის ორგანოებისა და არაკომერციული ორგანიზაციების დანახარჯები კლასიფიცირებულია როგორც „საბოლოო“: ეს შეიძლება იყოს დანახარჯები საბოლოო მოხმარებაზე ან მთლიანი კაპიტალის ფორმირებაზე (GCF). შეიძლება დაისვას კითხვა იმის შესახებ, აქვს თუ არა ზოგიერთ მომსახურებას შუალედური მოხმარების ხასიათი? თუ განათლებისა და ჯანდაცვის მომსახურების „საბოლოო“ ბუნებაში ძნელია ექვსის შეტანა, არის საზოგადოებრივი მომსახურების სახეები, როგორცაა თავდაცვა, პოლიციის მომსახურება, ქუჩების განათება და გზების კეთილმოწყობა, რომელთაც „შუალედური“ მოხმარების თვისებები აქვთ. მათ აშკარად შეაქვთ თავიანთი წვლილი წარმოების პროცესში, რადგან, თუ მთავრობა ვერ დაიცავს ქვეყანას უცხო ძალების შემოჭრისგან, ვერ დაიცავს კანონიერებას და არ ექნება გამართული საგზაო სისტემა, აღნიშნულმა შეიძლება კატასტროფული წვლილი შეიტანოს გამოშვების ვარდნაში, რაც ხშირად ხდება განვითარებად ქვეყნებში.

პრობლემა იმაშია, რომ შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ ამ ჩამოთვლილი მომსახურებიდან რა წვლილი შეაქვს სახელმწიფო მართვის ორგანოებს კერძო ფირმების გამოშვებაში ან მთლიანად მოსახლეობის კეთილდღეობაში. როგორც შინამეურნეობები, ისე ფირმები სარგებლობენ საზოგადოებრივი უსაფრთხოებით, გზების ქსელით და სხვა მრავალი სიკეთით. თუ შესაძლებელი იქნებოდა სახელმწიფო მართვის ორგანოების მომსახურების დანაწილება წარმოების პროცესში შეტანილი წვლილის მიხედვით, მაშინ წარმოების დანახარჯები ძალიან ალბათურად

გადანაწილდებოდა მწარმოებლებს შორის. სწორედ ამის გამო, ეროვნულ ანგარიშებში სახელმწიფო მართვის ორგანოების ყველა მომსახურება განიხილება როგორც „საბოლოო“.

აღნიშნულის საპირისპიროდ, ფირმების მიერ გაწეული ყველა დანახარჯი საქონელსა და მომსახურებაზე მიჩნეულია „შუალედურად“, გარდა ინვესტიციებისა (GFCF) და მარაგების ცვლილებისა. საინვესტიციო საქონლის შესყიდვები ჩაიწერება საბოლოო და არა შუალედურ ხარჯებში, რადგან ამ საქონლის მოხმარება (ეროვნულ ანგარიშებში მოიხსენიებენ როგორც *ძირითადი კაპიტალის მოხმარებას*, ხოლო ეკონომისტები - როგორც *ცვეთას*) ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ხდება. მარაგების ცვლილება ასევე საბოლოო გამოყენების ნაწილია, რადგან შესაბამისი საქონლის მოხმარება იმავე საანგარიშო პერიოდში არ ხდება.

„საბოლოო“ გამოყენებაში ასევე განიხილება ექსპორტი - საქონლისა და მომსახურების გაყიდვა საზღვარგარეთ - (იმის მიუხედავად, თუ მათი მოხმარება იმპორტიორი ქვეყნის საწარმოო პროცესში მოხდება), რადგან ექსპორტიორი ქვეყნის თვალთახედვით ეს არის მათი საბოლოო გაყიდვა. იმპორტიორი ქვეყნის თვალთახედვით, იმპორტირებული საქონელი და მოსახურება შეიტანება ან საბოლოო საქონელსა და მომსახურებაში, ან შუალედურ მოხმარებაში და *მთლიანი შიდა პროდუქტის* მისაღებად გამოაკლდება საბოლოო საქონლისა და მომსახურების ჯამს. სწორედ ამის გამოა, რომ იმპორტს უარყოფითი ნიშანი აქვს ცხრილში 5.1.

შევაჯამოთ, „საბოლოო“ საქონლისა და მომსახურების განსაზღვრა რამდენიმე კონვენციაზეა დაფუძნებული. სკეპტიკოსების აზრით, ეს შეიძლება არადადამაკმაყოფილებელი იყოს, რადგან სხვა შეთანხმებების პირობებში სულ სხვა ეროვნულ ანგარიშებს მივიღებდით. თუმცა, შეიძლება სრულიად გარკვევით ვთქვათ, რომ, ის სტატისტიკა, რომელიც ამ შეთანხმებების საფუძველზე მიიღება, უკვე მრავალი წლის განმავლობაში აწვდის სასარგებლო ინფორმაციას და ეხმარება ქვეყნის მენეჯმენტს გადაწყვეტილებების მიღებაში.

2. შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების დანახარჯები

შინამეურნეობების საბოლოო მოხმარება საბოლოო გამოყენების უდიდესი კომპონენტია. ის მოიცავს:

1. *საქონლისა და მომსახურების შესყიდვებს შინამეურნეობების მიერ ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის*: ტანსაცმელი, ხანგრძლივი მოხმარების საყოფაცხოვრებო ნივთები, რენტა, ტრანსპორტი, პერსონალური მომსახურება და ა.შ. ეს შესყიდვები შინამეურნეობების სამომხმარებლო დანახარჯების უდიდეს ნაწილს შეადგენს. აღსანიშნავია სამი პუნქტი:

- ამ შესყიდვებიდან ზოგიერთი კრედიტით ხდება. ამ შემთხვევაში, ეროვნული მონაგარიშები ტრანსაქციას სამ ნაწილად ყოფენ: თვით საქონლის ფასი (მაგალითად, ავტომობილი); სესხის გამცემი ფინანსური კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯები და პროცენტების გადახდა. პირველი ნაწილი მიეკუთვნება შინამეურნეობების დანახარჯებს „ავტომობილების“ კატეგორიაში; მეორე - შინამეურნეობების დანახარჯებს „ფინანსური მომსახურების“ კატეგორიაში, მაგრამ მესამე გამოირიცხება შინამეურნეობების დანახარჯებიდან და ჩაითვლება საპროცენტო განაკვეთის გადახდებში¹ შინამეურნეობის პირველადი შემოსავლის ანგარიშში (იხ. თავი 6). აღსანიშნავია, რომ მანქანის შეძენაზე გაწეული დანახარჯი სრულად გატარდება ავტომობილის შესყიდვის გაფორმებისთანავე და არა სესხის დაფარვის შემდეგ, თუნდაც შესყიდვა ფინანსური ლიზინგის საფუძველზე ხდებოდეს.
- საბოლოო გამოყენებას მიეკუთვნება ასევე საცხოვრისების შეძენა, მაგრამ ის შედის არა მოხმარების დანახარჯებში, არამედ ძირითადი კაპიტალის მთლიან ფორმირებაში. ეროვნული ანგარიშების მიხედვით, საცხოვრებლის მომსახურება შეიძლება გასწიოს როგორც მფლობელმა, ისე დამქირავებელმა. შინამეურნეობები ინვესტირებას ახდენენ საცხოვრებლის შეძენაში და ასევე შუალედურ დანახარჯებსაც ეწევიან: მაგალითად, სამშენებლო მასალების შეყიდვები ბინის კარგ მდგომარეობაში შენახვისთვის, ელექტროგაყვანილობის შეკეთებას, სანტექნიკურ მომსახურებასა და ა.შ.² ორივე, როგორც საცხოვრისის შეძენა (კაპიტალის ფორმირება), ისე რემონტსა და ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული დანახარჯები (შუალედური მოხმარება) გამოირიცხება შინამეურნეობის საბოლოო მოხმარების დანახარჯებიდან. პირველი მათგანი რჩება საბოლოო გამოყენებაში, ხოლო მეორე - შუალედურ მოხმარებაში.
- ეროვნულ ანგარიშებში შინამეურნეობის სექტორში შედის ინდივიდუალური მეწარმეობა, ე.წ. არაკორპორირებული საწარმოები (იხ. თავი 6). შესაბამისად, შინამეურნეობების დანახარჯები წარმოების პროცესში მოხმარებულ საქონელსა და მომსახურებაზე შედის არაკორპორირებული საწარმოების შუალედურ მოხმარებაში და არა შინამეურნეობის საბოლოო მოხმარებაში.

2. *სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ მიწოდებულ საქონელსა და მომსახურებაზე განხორციელებული ნაწილობრივი გადახდები.* აქ შედის ნაწილობრივი გადახდები საზოგადოებრივი მომსახურებისთვის - მაგალითად, ბილეთის ფასი სახელმწიფო მუზეუმში, რომელიც მხოლოდ მომსახურების ნაწილს ფარავს. თუ რეცეპტით გამოწერილი მედიკამენტების და სამედიცინო მომსახურების

ნაწილს სახელმწიფო ფარავს, მაშინ შინამეურნეობების ასეთი დანახარჯებიც ამ მუხლში შევა.³ ის ნაწილი, რომელიც სახელმწიფოს მიერ იფარება, მიეკუთვნება სახელმწიფო მართვის ორგანოების დანახარჯებს და შინამეურნეობების ფაქტობრივ მოხმარებას, როგორ შემდგომში იქნება ნაჩვენები.

3. *სახელმწიფო მართვის ორგანოებისთვის გადახდილი გადასახადები სხვადასხვა ტიპის ლიცენზიებისა და ნებართვებისთვის (როდესაც ეს კეთდება ნამდვილი, ავთენტური მომსახურების სანაცვლოდ).* აუცილებელი გადასახადები შექმნილია სახელმწიფო მართვის ორგანოების შემოსავლის ფორმირებისთვის, ისინი მიიჩნევა გადასახადად და ამიტომ გამორიცხულია შინამეურნეობების მოხმარების დანახარჯებიდან. ლიცენზიებსა და ნებართვებს შორის საზღვარი გარკვეულწილად შემთხვევითია: სატრანსპორტო საშუალებების, ნავების ან თვითმფრინავების ფლობის ლიცენზია განიხილება როგორც გადასახადი, ხოლო პასპორტის ან მართვის მოწმობის ასაღებად გადახდილი მოსაკრებელი მიეკუთვნება გაწეული მომსახურების ანაზღაურებას. ზოგიერთ ქვეყანაში მოსაკრებელი სახელმწიფო ტელევიზიით სარგებლობისთვის შინამეურნეობის საბოლოო მოხმარების დანახარჯებში შედის, ხოლო გაერთიანებულ სამეფოში ის ჩაიწერება როგორც გადასახადი (იხ. ჩანართი: „ეროვნული ანგარიშების შეზღუდვები: ტელევიზიის და უფასო ინტერნეტის მოხმარება“.)

შინამეურნეობის სამომხმარებლო დანახარჯები ასევე მოიცავს გარკვეული რაოდენობის **იმპუტირებულ** დანახარჯებს. დანახარჯების ასეთი მუხლები რეალურად არ არსებობს, მათ „ენიჭება“ ღირებულება ან ხდება ამ ღირებულების „იმპუტირება“, რათა ქვეყნებს შორის დროში გაუმჯობესდეს შესადარისობა. დანახარჯების ძირითადი იმპუტირებული მუხლებია:

- *ბინათმფლობელის იმპუტირებული იჯარა.* თუ ადამიანები საკუთარ საცხოვრისში ცხოვრობენ, ეროვნულ ანგარიშებში ეს განიხილება, როგორც საკუთარი თავისთვის საბინაო მომსახურების მიყიდვა. ამიტომ, ეროვნულ ანგარიშებში ასახვას პოვენს როგორც მეიჯარის მიერ გადახდილი ფაქტიური გადასახადი, ისე ბინათმფლობელის იმპუტირებული იჯარა. ქვეყნების უმეტესობაში ეს არის შინამეურნეობების ინდივიდუალური მოხმარების ყველაზე დიდი იმპუტირებული მუხლი. იმპუტირებული იჯარა გაიზომება შესაბამისი ბინის დაქირავების ღირებულებით ქვეყნის იმავე ნაწილში.
- *საკუთარი წარმოების საქონლის მოხმარება.* ეს მუხლი მოიცავს საკუთარი წარმოების საქონლის (იზომება შესაბამისი საქონლის საბაზრო ფასით) მოხმარებას. აქ ყველაზე მნიშვნელოვანია ფერმერების მიერ საკუთარი და საოჯახო მოხმარებისთვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება.

აღსანიშნავია, რომ იმპუტაციები მხოლოდ საქონლისთვის კეთდება. საკუთარ სახლში ცხოვრების მომსახურების გარდა არანაირი იმპუტაცია არ კეთდება ისეთ მომსახურებებზე, როგორცაა საკვების მომზადება, ბავშვების მიხედვა, დასუფთავება და ა.შ., როდესაც ეს მომსახურება შინამეურნეობის შიგნით ხდება.

- *ანაზღაურება ნატურით.* დასაქმებულმა შეიძლება მიიღოს საქონელი და მომსახურება უფასოდ ან ძალიან დაბალ ფასებში, როგორც მისი ანაზღაურების ნაწილი. მაგალითად, რკინიგზის მუშაკებმა შეიძლება მეტ-ნაკლებად უფასოდ იმოგზაურონ მატარებლით, შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები ხშირად იღებენ უფასო საკვებს და ა.შ. ეროვნულ ანგარიშებში ნატურით ანაზღაურება დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული ღირებულებით ფასდება და შემდეგ ემატება დასაქმებულთა ანაზღაურებას, რომელიც შინამეურნეობების სამომხმარებლო დანახარჯებში აისახება.
- *ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება (FISIM).* ბანკები თავის კლიენტებს გარკვეული სახის მომსახურებას უფასოდ ან ღირებულებაზე დაბალ ფასში უწევენ. აღნიშნული ხარჯების დაფარვა ხდება დეპოზიტებთან შედარებით უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთის დაწესებით გაცემულ სესხებზე. FISIM (იხ. თავი 4) სესხებზე იზომება მიღებულ პროცენტსა და საბაზისო განაკვეთს შორის სხვაობით. მეორე მხრივ, FISIM დეპოზიტებზე იზომება საბაზისო განაკვეთსა და გაცემულ პროცენტებს შორის სხვაობით. ამ FISIM-ის ნაწილი შინამეურნეობების მიერ მოიხმარება და ამიტომ შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების დანახარჯებში უნდა იქნეს შეტანილი, ან იპოთეკური სესხების შემთხვევაში - როგორც კომუნალური მომსახურების შუალედურ მოხმარებაში.

მოხმარება შიდა ტერიტორიის გარეთ

შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების ხარჯებში უნდა შევიტანოთ ყველა სამომხმარებლო ხარჯი, რომელიც რეზიდენტი შინამეურნეობების მიერ არის გაწეული გაერთიანებულ სამეფოსა (ამ თავში საილუსტრაციოდ გამოყენებული ქვეყანა, გს) და მის ფარგლებს გარეთ.

„რეზიდენტობისა“ და „ეკონომიკური ტერიტორიის“ შესახებ იხ. ამ თავის მე-9 ქვეთავში.

ეს ნიშნავს, რომ გს-ს შიდა ტერიტორიაზე მოხმარებას უნდა დავუმატოთ გს-დან წასული ტურისტების მოხმარება საზღვარგარეთ. რადგან ეროვნული მონაგარიშეებისთვის უცნობია, თუ რას მოიხმარენ გს-ს ტურისტები საზღვარგარეთ, ამიტომ როგორც შიდა ტერიტორიაზე, ისე საზღვარგარეთ მოხმარებულ ღირებულებას ჩაწერენ მუხლში „რეზიდენტი შინამეურნეობების დანახარჯები საზღვარგარეთ“, რომელიც გატარდება როგორც იმპორტი და დაემატება შიდა ტერიტორიაზე განხორციელებულ მოხმარებას (აღნიშნულის შესახებ არსებობს დეტალური ინფორმაცია). შესაბამისად, შიდა ტერიტორიაზე მოხმარება უნდა შემცირდეს უცხოელი ტურისტების მიერ განხორციელებული შესყიდვების თანხით.

საბოლოო მოხმარების ფასთა სისტემა

ეროვნულ ანგარიშებში მოქმედი წესის მიხედვით, საბოლოო მოხმარების ფასები უნდა შეთანხმებული იყოს ტრანსაქციის მონაწილე მხარეებს შორის. ეს ფასები ცნობილია როგორც *საბაზრო* ან *შესყიდვის ფასები*. შინამეურნეობების გადახდებს შეესაბამება მაღაზიებში გადახდილი ფასები. შენიშვნები:

- საბოლოო გამოყენების ფასებში შედის გამოუქვითავი დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) და სხვა გადასახადები პროდუქტებზე, როგორცაა გადასახადი გაყიდვებიდან, სპეციალური გადასახადები თამბაქოზე, ალკოჰოლზე ან საწვავზე. ჩანართში „გადასახადების ტიპოლოგია“ ახსნილია განსხვავება *პროდუქტებზე გადასახადებს შორის* - გაყიდვების გადასახადი და დღგ, რომლებიც ჩართულია შინამეურნეობების სამომხმარებლო დანახარჯებში და მიმდინარე გადასახადები შემოსავალსა და კეთილდღეობაზე, რომლებიც გამოირიცხება.
- საბოლოო გამოყენების ფასები მოიცავს სატრანსპორტო და მარკეტინგის ხარჯებს.
- საბოლოო გამოყენების ფასები წმინდა ფასდაკლებებია, რადგან ისინი შეიძლება დაწესებულ ფასზე (ან „კატალოგის ფასებზე“) დაბალი იყოს, თუ ფასდაკლება გამყიდველის სპონტანური გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდება ვაჭრობის წახალისების მიზნით.
- საბოლოო გამოყენების ფასები მოიცავს აგრეთვე ტაქსებში, რესტორნებსა და საპარიკმახეროებში გადახდილ გასამრჯელოებსაც.

ჩანართი 5.1. გადასახადების ტიპოლოგია

ეროვნულ ანგარიშებში შინამეურნეობებისა და სხვა აგენტების გადასახადები ოთხ ჯგუფად იყოფა: გადასახადები პროდუქტებზე (D21); მიმდინარე გადასახადები

შემოსავალსა და კეთილდღეობაზე (სიმდიდრეზე)(D5); სხვა გადასახადები წარმოებაზე (D29); და კაპიტალური გადასახადები (D91). აქ განვიხილავთ მხოლოდ პირველ ორ ჯგუფს, რომელიც უდიდესია. პირველი ჯგუფის გადასახადებს ხშირად „არაპირდაპირ გადასახადებს“ უწოდებენ, ხოლო მეორე ჯგუფს - „პირდაპირ გადასახადებს“.

ეთგო-ს ქვეყნებში გადასახადები პროდუქტებზე ძირითადად მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს, გაყიდვების (ბრუნვის) გადასახადს და სხვა სპეციალურ გადასახადებს, როგორცაა აქციზები საწვავზე, თამბაქოსა და ალკოჰოლურ სასმელებზე. აქ შეიძლება ჩავთოთ სხვა უმნიშვნელო გადასახადები და საბაჟო გადასახადები. ეს გადასახადები გროვდება საქონლის გაყიდვასთან ერთად და ამიტომ ფასის განუყოფელ ნაწილს შეადგენენ. მოხმარების ეკონომიკური ანალიზის თვალსაზრისით, ფასები, რომლებშიც „შედის გადასახადები პროდუქტებზე“ ყველაზე მისაღებია და ამიტომ გამოიყენება ეროვნულ ანგარიშებში. თუ უცხოელი ტურისტებისთვის საქონლის მიყიდვა დღგ-ს ან ბრუნვის გადასახადის გარეშე ხდება, მაშინ ისინი ამ გადასახადების გარეშე ჩაიწერება, მაშინაც კი, თუ მიყიდველი თავიდან იხდის მას და შემდეგ უკან უბრუნდება. ასეთ გადასახადებზე ამბობენ, რომ ისინი „გამოსაქვითია“. ეროვნულ ანგარიშებში გამოყენებულ ფასებში არ შედის გამოსაქვითი გადასახადები.

მიმდინარე გადასახადები შემოსავალსა და კეთილდღეობაზე მოიცავს გადასახადებს დასაქმებულებიდან მიღებულ შემოსავლებზე და არაკორპორირებული საწარმოების მოგებიდან, ასევე ადგილობრივ გადასახადებს, ქონების და სხვა ნაკლებად მნიშვნელოვან გადასახადებს. ეს „პირდაპირი“ გადასახადები არ შედის მოხმარების დანახარჯებში, არამედ განიხილება როგორც ტრანსფერი, ანუ გადახდა, რომელსაც პირდაპირ შემხვედრი ნაკადი არ ახლავს. ეს გადასახადები აისახება შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიშში, როგორც ახსნილი იქნება მე-6 თავში, შინამეურნეობის ანგარიშში.

შინამეურნეობის დანახარჯების კლასიფიკაცია

შინამეურნეობის დანახარჯების კლასიფიკაცია ცნობილია, როგორც COICOP – *Classification of Individual Consumption by Purpose* (ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკაცია დანიშნულების მიხედვით). ამ შემთხვევაში პროდუქტები კლასიფიცირდება სათაურების ქვეშ, რომელიც უფრო მეტად მორგებულია მოხმარების ანალიზზე, ვიდრე პროდუქციის სტანდარტული კლასიფიკაცია. ცხრილში 5.2 მოტანილია ცვლილებები მოხმარების დანახარჯებში გაერთიანებულ სამეფოში აღნიშნული კლასიფიკაციის გამოყენებით. როგორც ჩანს, უკანასკნელი 25

წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი კლება აღინიშნა ყოველდღიური მოხმარების დანახარჯებში (საკვები, ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო, ტანსაცმელი), ხოლო გაიზარდა დასვენებასა და მომსახურებაზე დანახარჯების ხვედრითი წილი. ასეთივე სიტუაციაა იმ ქვეყნებში, სადაც რეალურად გაიზარდა შემოსავლები. ეკონომისტები ამბობენ, რომ „საბაზისო საქონლის მოთხოვნაზე შემოსავლის ელასტიურობა მცირდება მომსახურებასთან შედარებით“. ერთი ცვლადის მეორესთან მიმართების ელასტიურობა გაიზომება ფარდობით, რომლის მრიცხველშია პირველის მატების ტემპის ინდექსი და მნიშვნელში - მეორის მატების ტემპის ინდექსი. ამ შემთხვევაში, მომსახურების ელასტიურობა შემოსავალთან მიმართებით ტოლი იქნება: $(100 + \text{მომსახურების მოთხოვნის მატება}) \div (100 + \text{შემოსავლის მატების დონე})$.

ცხრილიდან ასევე ჩანს მთავარი პრობლემა, თუ მხოლოდ შინამეურნეობების მიერ პირდაპირ განხორციელებულ დანახარჯებს შევხედავთ. ჯანდაცვასა (CP060) და განათლებაზე (CP100) გაწეული დანახარჯები ძალიან დაბალია, რადგან აქ მხოლოდ ის ხარჯებია, რომლებიც უშუალოდ შინამეურნეობების მიერ გაიწევა. ფაქტობრივად, ამ მომსახურების დიდი ნაწილი უფასოა, რადგან არაპირდაპირ ფინანსდება გადასახადებიდან ან სოციალური შენატანებიდან. ამიტომ, სინამდვილეში ჯანდაცვისა და განათლების მომსახურების მოხმარება შინამეურნეობების მხრიდან გაცილებით მაღალია, მაგრამ ისინი ჩაიწერება *სახელმწიფო მართვის ორგანოების ინდივიდუალურ მოხმარებაში* და არა *შინამეურნეობების მოხმარების ხარჯებში*. აღნიშნულ საკითხს დავუბრუნდებით მე-5 ქვეთავში.

საბოლოო შენიშვნა ამ ცხრილთან დაკავშირებით არის ის, რომ ქვემოდან მეორე და მესამე სტრიქონებში მოტანილია ტურისტული დანახარჯები. როგორც ადრე აღვნიშნეთ, იმისათვის, რომ გაერთიანებული სამეფოს რეზიდენტი შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების დანახარჯები მივიღოთ, გს-ს რეზიდენტების შიდა მოხმარებას უნდა დავუმატოთ გარე მოხმარება საზღვარგარეთ და გამოვაკლოთ არარეზიდენტი შინამეურნეობების მოხმარება გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე (ამიტომ არის ეს ციფრი უარყოფითი).

ცხრილი 5.2. გაერთიანებული სამეფო: შინამეურნეობების დანახარჯების ხვედრითი წილი კლასიფიკაციაში დანიშნულების მიხედვით
მიმდინარე ფასებში, მთლიანი საბოლოო მოხმარების დანახარჯების პროცენტი

	1980	1995	2012
P31CP010 საკვები და არალკოჰოლური სასმელები	17.8	10.7	9.1

P31CP020	ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო და ნარკოტიკები	5.7	4.1	3.6
P31CP030	ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	7.7	6.1	5.8
P31CP040	საცხოვრებელი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სხვა სათბობი	16.0	18.8	25.8
P31CP050	ავეჯი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და სახლის მიმდინარე მომსახურება	6.9	5.9	4.9
P31CP060	ჯანდაცვა	0.9	1.5	1.6
P31CP070	ტრანსპორტი	15.0	13.8	14.3
P31CP080	კავშირგაბმულობა	1.7	2.1	2.1
P31CP090	რეკრეაცია და კულტურა	9.9	11.2	10.5
P31CP100	განათლება	0.9	1.3	1.5
P31CP110	რესტორნები და სასტუმროები	10.7	11.0	9.8
P31CP120	სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	7.4	13.3	10.4
P33	რეზიდენტი შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების დანახარჯები საზღვარგარეთ	2.0	3.0	2.9
P34	რეზიდენტი შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების დანახარჯები ტერიტორიაზე	-2.6	-2.9	-2.4
P31NC	რეზიდენტი შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების დანახარჯები შინ და საზღვარგარეთ, სულ	100.0	100.0	100.0

წყარო: OECD (2014), "Detailed National Accounts: Non-financial accounts by sectors, annual", OECD National Accounts Statistics (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00034-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00034-en).

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143812>

3. სახელმწიფო მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარების ხარჯები

ეს საბოლოო გამოყენების მეორე უდიდესი შემადგენელია. შეთანხმების მიხედვით, სახელმწიფო მართვის ორგანოების დანახარჯები მიიჩნევა თვით სახელმწიფო მართვის ორგანოების საბოლოო გამოყენების (საბოლოო მოხმარება ან ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება, GFCF) ნაწილად. მაგალითად, პოლიციის და განათლების დანახარჯები მიიჩნევა სახელმწიფო მართვის ორგანოების მოხმარებად. რა დევს ამ უცნაური შეთანხმების უკან იმ პირობით, რომ ამ მომსახურებას შინამეურნეობები და დაწესებულებები იყენებენ? ძირითადად, ეს იმის გამო ხდება, რომ არავინ იცის, თუ როგორ უნდა მივაკუთვნოთ ეს ხარჯები ბენეფიციარებს, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გადასახადებს იხდიან, შინამეურნეობები ამ მომსახურებას არ ყიდულობენ. ამიტომ, გადაწყდა, რომ ეს დანახარჯები ბენეფიციარებს კი არ მივაკუთვნოთ, არამედ მთლიანად სახელმწიფო მართვის ორგანოებს. სხვა უპირატესობებთან ერთად, ეს საშუალებას გვაძლევს მეტი სიახლოვე შევინარჩუნოთ რეალურ ფულად ნაკადებთან.

ბუღალტრული ტერმინოლოგიით, სახელმწიფო მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარების ხარჯები იმ ღირებულების ტოლია, რაც შეადგენს შემდეგი მუხლების ჯამს:

- სახელმწიფო მართვის ორგანოებში მომუშავეთა შრომის ანაზღაურება;
- *პლუს* სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ განხორციელებული მასალებისა და სხვა შუალედური მოხმარების ელემენტების შესყიდვები;
- *პლუს* სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ ძირითადი კაპიტალის მოხმარება;
- *პლუს* სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვები შინამეურნეობებისთვის (მაგალითად, ჯანდაცვის მომსახურების ანაზღაურება, საბინაო სუბსიდირება და ა.შ.);
- *პლუს* სხვა გადახდილი გადასახადები წარმოებაზე (მალიან მცირე მოცულობის მუხლი);
- *მინუს* ნაწილობრივი გადახდები შინამეურნეობების და ფირმების მხრიდან სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ გაწეულ მომსახურებაზე (მუზეუმებში, სამთავრობო პუბლიკაციებზე და ა.შ.);
- *მინუს* საკუთარი წარმოების ძირითადი კაპიტალის ფორმირება.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს ხარჯი სახელმწიფო მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარებაში ჩაიწერება, ეროვნული მოანგარიშები ერთმანეთისგან არჩევენ მის „კოლექტიურ“ და „ინდივიდუალურ“ მოხმარებას. *ინდივიდუალური მოხმარების დანახარჯები* გაიწევა ინდივიდუალური შინამეურნეობის მიმართ. როგორც ცხრილი 5.3-დან ჩანს, გაერთიანებულ სამეფოში ინდივიდუალური ხარჯები მთელი ხარჯების 60%-ს შეადგენს. მისი მნიშვნელოვანი ზრდა ბოლო 30-35 წელს უკავშირდება. ეს ხარჯები ძირითადად ფარავს საზოგადოებრივ განათლებას და ჯანდაცვას. ეს ის ხარჯია, რომელიც არ იყო მოცემული ცხრილში 5.2 და რომელიც აუცილებელია შინამეურნეობების მიერ მოხმარებული საქონლისა და მომსახურების ნამდვილი სურათის შესაქმნელად. ინდივიდუალური ხარჯები ასევე მოიცავს დახმარებებს სოციალური საცხოვრებლებისთვის, მუზეუმების საოპერაციო ხარჯებს და სხვა დანახარჯებს შინამეურნეობებისთვის.

კოლექტიური მოხმარების ხარჯები განეკუთვნება სახელმწიფო მართვის ორგანოების საქმიანობის ხარჯებს არა ინდივიდუალური შინამეურნეობის ან ფირმისთვის, არამედ მთელი საზოგადოებისთვის. მაგალითად, კონგრესი, ეროვნული ასამბლეა, პარლამენტი, საგარეო საქმეთა სამინისტრო, თავდაცვა და უშიშროება, შინაგან საქმეთა ორგანოები, გარემოს დაცვა და სახელმწიფო მართვის ორგანოების R&D საქმიანობები.

მოხმარების ამ ორ კატეგორიას შორის მნიშვნელოვანი ეკონომიკური განსხვავებაა. ინდივიდუალური დანახარჯები მეტ-ნაკლებად ამ სერვისის მომხმარებელი შინამეურნეობების რაოდენობაზე დამოკიდებული. 10 000 ბავშვის სწავლება უფრო მეტი დაჯდება, ვიდრე 5 000-ის. მეორე მხრივ, კოლექტიური მომსახურება უფრო ნაკლებად არის დამოკიდებული „მომხმარებლების“ რაოდენობაზე. თავდაცვის მომსახურება ქვეყანაში მცხოვრებ ყველა ადამიანს სჭირდება. დიდ ქვეყნებს შეიძლება უფრო დიდი ჯარი ჰყავდეთ, თუმცა პირდაპირი კავშირი მოსახლეობის რიცხოვნობასა და მათი მომსახურების ღირებულებას შორის არ არსებობს.

ცხრილი 5.3. გაერთიანებული სამეფო:სახელმწიფო მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარების ხარჯების ჩაშლა

	1980	2000	2012
P31S13 სახელმწიფო მართვის ორგანოების ინდივიდუალური მოხმარების ხარჯები	47.9	57.2	63.3
P32S13 სახელმწიფო მართვის ორგანოების კოლექტიური მოხმარების ხარჯები	53.6	42.8	36.7
P3S13 სახელმწიფო მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარების ხარჯები	100.0	100.0	100.0

წყარო: OECD (2013), “Aggregate National Accounts: Gross domestic product”, OECD National Accounts Statistics (database), <http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143828>

4. შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების (NPISHs, შმაკო) საბოლოო მოხმარების ხარჯები

შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები (NPISHs, შმაკო) არის შინამეურნეობების ჯგუფების მიერ ფორმირებული ერთეულები საკუთარი თავისთვის ან სხვა შინამეურნეობებისთვის მომსახურების გასაწევად არაკომერციულ საწყისებზე. შმაკოები მოიცავს პოლიტიკურ პარტიებს, სავაჭრო კავშირებს, რელიგიურ ორგანიზაციებს, სპორტულ კლუბებს, კულტურულ ასოციაციებს, საქველმოქმედო და სხვა ორგანიზაციებს ფილანტროპული მიზნებით (წითელი ჯვარი და ა.შ.) და ცალკეულ საქველმოქმედო ფონდებს. ზოგიერთ ქვეყანაში უნივერსიტეტების გარკვეული რაოდენობაც შედის ამ სექტორში. აღსანიშნავია, რომ ყველა შმაკოს არა აქვს არაკომერციული მიზნები. შმაკოების დიდი ნაწილი შინამეურნეობების შემოწირულობების და საწევრო გადასახადების საფუძველზე საქმიანობს, თუმცა, თუ ისინი პირდაპირ შინამეურნეობების მხრიდან არ ფინანსდება, მაგალითად, კონტროლდება ან ფინანსდება დაწესებულებების მიერ (სავაჭრო პალატები, პროფესიული ასოციაციები, ორმხრივი სადაზღვევო კომპანიები და სხვ.), მაშინ ისინი საწარმოო დაწესებულებების სექტორში შედიან. თუ შმაკოს

ზედამხედველობას და დაფინანსებას მთავრობა ახორციელებს, მაშინ ისინი სამთავრობო სექტორში შედიან. და ბოლოს, შმაკოების სექტორი ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მხოლოდ მცირე სექტორია.

სახელმწიფო მართვის ორგანოების მსგავსად, შმაკოები „არასაბაზრო მომსახურებას“ ახორციელებენ. ამიტომ ისინი სახელმწიფო მართვის ორგანოების მსგავსად განიხილება ეროვნულ ანგარიშებში. მათი გამოშვების შეფასება ხარჯების მიხედვით ხდება და შეთანხმების მიხედვით, შმაკოები „თვითონ მოიხმარენ“ თავიანთ მომსახურებას. ამიტომ, შმაკოების საბოლოო მოხმარების ხარჯები მათი საოპერაციო ხარჯების ტოლია. აღსანიშნავია, რომ საქველმოქმედო ორგანიზაციებისთვის გადარიცხული შემოწირულობები არ წარმოადგენს მომსახურების გადასახადს. ისინი გატარდება შინამეურნეობის შემოსავლის მეორადი განაწილების ანგარიშში როგორც ტრანსფერი (იხ. თავი 6).

როგორც ადრე ვნახეთ, სახელმწიფო მართვის ორგანოების მომსახურება იყოფა ინდივიდუალურად და კოლექტიურად. შმაკოების შემთხვევაში ასე არ ხდება, რადგან ისინი შინამეურნეობებს ინდივიდუალურად უწევენ მომსახურებას და ამიტომ მათი დანახარჯებიც ინდივიდუალურია.

5. მოხმარების დანახარჯებიდან რეალურ მოხმარებამდე

შინამეურნეობების მოხმარების გაუმჯობესების მიზნით მასში ინდივიდუალური მოხმარების ჩართვით, რომელიც სახელმწიფო მართვის ორგანოების ან შმაკოების მიერ არის დაფინანსებული, ეროვნულმა მოანგარიშებმა შეიმუშავეს რეალური მოხმარების კონცეფცია. შინამეურნეობების რეალური მოხმარება ტოლია შინამეურნეობების მოხმარების ხარჯებს პლუს სახელმწიფო მართვის ორგანოებისა და შმაკოების ინდივიდუალური მოხმარების დანახარჯები. ეს ინდივიდუალური მოხმარების ხარჯები ცნობილია „ნატურალური ტრანსფერების“ სახით. ცხრილში 5.4 ნაჩვენებია გადასვლა ცნებიდან „ვინ ხარჯავს“ ცნებამდე - „ვინ მოიხმარს“.

ცხრილი 5.4. გაერთიანებული სამეფო: გადასვლა ცნებიდან „ვინ ხარჯავს“ ცნებამდე „ვინ მოიხმარს“

2012, მლრდ ეროვნულ ვალუტაში			
<i>(P3) საბოლოო მოხმარების</i>		<i>(P4) რეალური საბოლოო მოხმარება(ვინ</i>	
<i>დანახარჯები(ვინ ხარჯავს?)</i>		<i>მოიხმარს?)</i>	
შინამეურნეობა (S14)	შინამეურნეობების	991.0	(P4S14)
	საბოლოო მოხმარების		1 245.8
	ხარჯები (P3IS14)		

			შინამეურნეობების	991.0	
			საბოლოო მოხმარების		
			ხარჯები(P31S14)		
			შმაკობის საბოლოო	38.8	
			მოხმარების		
			ხარჯები(P31S15)		
			მართვის ორგანოების	216.0	
			ინდივიდუალური		
			მოხმარების ხარჯები		
			(P31S13)		
შმაკო (S15)	შმაკობის	საბოლოო	38.8		არავინ (0)
	მოხმარების				
	ხარჯები(P31S15)				
მართვის ორგანოები (S13)	მართვის	ორგანოების	341.2		
	საბოლოო	მოხმარების			
	ხარჯები (P3S13)				
	მართვის	ორგანოების	216.0	მართვის	ორგანოების
	ინდივიდუალური			კოლექტიური	მოხმარების
	მოხმარების			ხარჯები(P32S13)	
	ხარჯები(P31S13)				
	მართვის	ორგანოების	125.2		
	კოლექტიური				
	მოხმარების				
	ხარჯები(P32S13)				

წყარო: OECD (2013), "Aggregate National Accounts: Gross domestic product", OECD National Accounts Statistics (database), <http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143836>

რეალური მოხმარების სტატისტიკას ორი ანალიტიკური უპირატესობა აქვს. პირველი, ეს არის საზომი, რომელიც უფრო უახლოვდება შინამეურნეობის კეთილდღეობას (იხ. თავი 15). ჯანდაცვისა და განათლების მოხმარების ანალიზისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ შინამეურნეობების მიერ *პირდაპირ* გაწეული დანახარჯები, აქ გათვალისწინებული უნდა იყოს მთავრობის მიერ შინამეურნეობებისთვის მოტანილი სარგებელიც. *შინამეურნეობების რეალური საბოლოო მოხმარება* ავსებს ამ დანაკლისს. მეორე უპირატესობაა ის, რომ შინამეურნეობების მოხმარების საერთაშორისო შედარებებს აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ ისინი დამყარებულია რეალურ მოხმარებაზე და არა მოხმარების დანახარჯებზე, როგორც ეს ნაჩვენებია იყო მე-3 თავში.

6. ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება

ინვესტიცია, ან უფრო ზუსტად ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება (GFCF), მოთხოვნის ეკონომიკური ანალიზის მნიშვნელოვანი ცვლადია. „წმინდა“ შინამეურნეობისთვის (ანუ, თუ გამოვრიცხავთ არაკორპორირებულ მეწარმეებს), GFCF შედგება საცხოვრისების შესყიდვებისგან. ეს კარგი ინდიკატორია შინამეურნეობის მომავლისადმი რწმენისა და მოხმარების დანახარჯების ცვლილებების პროგნოზირებისთვის. სახელმწიფო მართვის ორგანოების GFCF ძირითადად შედგება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისგან, თავდაცვის სისტემების ინვესტიციების (საბრძოლო სისტემების ჩათვლით), საოფისე შენობების, სკოლების, საავადმყოფოებისა და ა.შ. ძირითადი კაპიტალისგან.

თუმცა, ეკონომისტების ძირითადი ყურადღების საგანია ბიზნეს სექტორის (არაფინანსური, ფინანსური კორპორაციები და არაკორპორირებული საწარმოები) ძირითადი კაპიტალის ფორმირება. ეს ინვესტიციების უმსხვილესი კომპონენტია და ხშირად მისი ცვლილებები სათავეს უდებს ეკონომიკური ციკლის დასაწყისს და დასრულებას. ის აგრეთვე განსაზღვრავს შრომის მწარმოებლურობის ზრდასაც.

ეროვნულ ანგარიშებში ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება წარმოადგენს **წარმოებული ძირითადი კაპიტალის წმინდა შესყიდვებს**, ე.ი. ეს არის აქტივები, რომლებიც საწარმოო პროცესში ერთ წელზე მეტი ხნით გამოიყენება: მანქანა-დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები, ოფისები, საწარმოო შენობები, პროგრამული უზრუნველყოფა, R&D და ა.შ. ამ განმარტებაში გამოყენებულ ცალკეულ სიტყვებთან დაკავშირებით საჭიროა გარკვეული სიცხადის შეტანა:

ტერმინი „ძირითადი (ფიქსირებული)“ გამოიყენება „ცვალებადი“ კაპიტალის საპირისპიროდ, რომელიც მარაგებისგან შედგება. ეს სახელწოდება სათავეს იღებს კარლ მარქსისგან, რომლის იდეებმაც ასახვა ჰპოვა ეროვნულ ანგარიშებში.

- სიტყვა *ფიქსირებული (ძირითადი)* იმის აღმნიშვნელია, რომ აქ არ შედის მარაგების მატება. ეს არ ნიშნავს, რომ მოწყობილობები არ გადაადგილდება.

მაგალითად, სატრანსპორტო მოწყობილობები (ავტომობილები, სატვირთო ტრანსპორტი, გემები, თვითმფრინავები), ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით არ არის დაფიქსირებული, ისინი მოძრავია, მაგრამ შედის GFCF-ში. ასევე პროდუქტული პირუტყვის შემთხვევაშიც (კერძოდ, მეწველი ძროხები), რომლებიც ასევე შედის GFCF-ში.

- *წმინდა შესყიდვა* ნიშნავს, რომ GFCF-ში ჩაიწერება ფიქსირებული აქტივების შეძენას მინუს ფიქსირებული აქტივების გაყიდვა აქტივების მეორად ბაზარზე.

ამიტომ, თეორიულადაც კი შეუძლებელია, რომ ფიქსირებული აქტივების მთლიანი ფორმირება უარყოფითი იყოს. მაგალითად ავტომობილების გამქირავებელი ფირმების სატრანსპორტო საშუალებები ძალიან სწრაფად იცვლება. ისინი დიდი რაოდენობით ყიდულობენ მანქანებს და ამავე დროს სწრაფადვე იცილებენ მათ თავიდან, რის შედეგადაც უარყოფითი წვლილი შეაქვთ GFCF-ში. რაღაც მომენტში შესაძლებელია, რომ კონკრეტული ფირმის შესყიდვები ნაკლები იყოს გაყიდვებზე, თუმცა მაკროეკონომიკურ დონეზე ასეთი სიტუაცია ნაკლებად სავარაუდოა, რადგან ერთი ფირმის მიერ მეორად ბაზარზე მოწყობილობის გაყიდვა მეორე ფირმისთვის შესყიდვას ნიშნავს.

ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ GFCF-ში შედის გამოყენებული კაპიტალური საქონელი. მრავალ განვითარებად ქვეყანაში ხდება განვითარებული ქვეყნებიდან მეორადი მანქანა-მოწყობილობების იმპორტი.

- ტერმინი „წარმოებული აქტივები“ მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ GFCF-ში შედის მხოლოდ წარმოების პროცესის შედეგად შექმნილი აქტივები, რომლებიც აღიარებულია ეროვნული ანგარიშების მიერ. ეროვნული ანგარიშების ბალანსებში ხდება არაწარმოებული აქტივების, როგორცაა მიწა, ველური ტყე, ნავთობი და სასარგებლო წიაღისეულის ტრანსაქციების გატარება, თუმცა, ისინი არ შედის GFCF-ში, რადგან არ არის ადამიანის მიერ შექმნილი. ეროვნული ანგარიშების კონცეფციით ბუნება არ განიხილება მწარმოებლად.

ჩანართი 5.2. განსაკუთრებული შემთხვევა: ფინანსური ლიზინგი

კაპიტალური აქტივების ყიდვის ნაცვლად, ფირმები ხშირად არჩევენ ფინანსური ლიზინგის გამოყენებას, რომელიც შედგება რეგულარული საიჯარო გადასახადებისგან და საიჯარო პერიოდის ბოლოს აქტივის შესყიდვით სრულდება. მაგალითად, ასეთი წესით ხდება მფრინავი აპარატების შესყიდვები. ასეთი კომპანიები მრავალფეროვან და დიდი რაოდენობით კაპიტალურ საქონელს ფლობენ, ისინი რეალურად კი არ იყენებენ მათ, არამედ სხვებზე აქირავებენ. ეკონომიკური თვალსაზრისით, ფირმა თვითმფრინავის მფლობელი ხდება ფინანსური ლიზინგის გაფორმებისთანავე, მაშინ, როდესაც ის რეალური მფლობელი ჯერ არ არის. ლეგალურთან შედარებით, ეროვნული მონაგარიშეები ეკონომიკურ ასპექტებს უფრო პროირიტეტულად მიიჩნევენ და ამიტომ, ამ აქტივებს ასახავენ არაფინანსური კორპორაციების ანგარიშებში, ამ შემთხვევაში თვითმფრინავებს.

GFCF-ის საზღვრები

ეკონომისტიებმა, ეროვნულმა მოანგარიშებმა და ბუღალტრებმა დიდი დრო დაუთმეს ძირითადი კაპიტალის განსაზღვრასა და გაზომვას, რადგან მისი საშუალებით ხდება კაპიტალის მარაგის გაზომვა (იხ. თავი 8), რომელიც თავის მხრივ, განსაზღვრავს ზრდას. პრინციპში, რაც უფრო მეტია კაპიტალი, მით მეტია ზრდის შანსი.

კაპიტალური საქონლის უმეტესობის შესახებ ძირითადი შეთანხმება მიღწეულია. ასეთია სატრანსპორტო საშუალებები, მანქანა-მოწყობილობები, ჩარხები და დანადგარები, ოფისები, საწყობები, ქარხნები და ძირითადი სამოქალაქო საინჟინრო ნაგებობები, რაც ძირითად კაპიტალს მიეკუთვნება. თუმცა, არსებობს გარკვეული სახის დანახარჯები (პროგრამულ უზრუნველყოფაზე, კვლევებსა და განვითარებაზე, სავაჭრო ნიშნებზე), რომლებიც ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირებისა და შუალედური მოხმარების მიჯნაზეა. ამ დისკუსიის ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორია ის, რომ წინ ნახსენები აქტივები სრულად არ მოიხმარება წარმოების პროცესში, ხოლო ბოლოს ნახსენები - სრულად მოიხმარება. მაინც სად გადის საზღვრის ხაზი?

ტრადიციულად, ძირითად კაპიტალში განიხილავდნენ მხოლოდ მატერიალურ საქონელს (ასევე უწოდებენ „ფიზიკურ“ ან „ხილულ“ საქონელს“). ეს ის მუხლებია, რომელსაც წინა ქვეთავის დასაწყისიდანვე შევხვებთ. თუმცა, სულ უფრო მეტი ეკონომისტი და ბუღალტერი აღიარებს, რომ ზოგიერთი დანახარჯი, რომელსაც არა აქვს მატერიალური ფორმა, მთლიანად არ მოიხმარება საწარმოო პროცესში. ამდენად, ხდება ამ ხარჯების „კაპიტალიზაცია“ და ისინი ცნობილია, როგორც „უხილავი აქტივები“ ან „ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტები“.

მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ დანახარჯები გეოლოგიურ-სამიეზო სამუშაოებზე. მიუხედავად იმისა, რომ მომპოვებელი ფირმების მიერ ეს ხარჯები დიდი ხანია კაპიტალურად არის მიჩნეული და არა მიმდინარე დანახარჯად (შუალედური მოხმარება), ამ ფაქტის აღიარებას დიდი დრო დასჭირდა ეროვნული მოანგარიშების მიერ. მათი თავშეკავება იქიდან მომდინარეობს, რომ გეოლოგიურ-სამიეზო სამუშაოები მთლიანად ცოდნის შექმნაა (არის თუ არა მადანი მოცემულ ტერიტორიაზე?). ეს ცვლილება მხოლოდ ეას-ის 93 წლის ვერსიაში შევიდა და დღეს ყველა დანახარჯი, რომელიც გეოლოგიურ-სამიეზო სამუშაოებზე გაიწევა, *თუნდაც ეს უშედეგო იყოს*, მიიჩნევა ძირითადი კაპიტალის მთლიან ფორმირებად. ეს ბოლო შენიშვნა უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს, რადგან თანამედროვე სამიეზო ტექნოლოგიები წარმატების გარანტიას ნამდვილად იძლევა: ასეთმა კომპანიებმა

გამოცდილების საფუძველზე იციან, თუ დანახარჯების რა პროცენტი სჭირდება წარმატების მიღწევას.

ძირითადი კაპიტალის მთლიან ფორმირებაში შედის აგრეთვე უხილავი აქტივებიც. ასეთია *პროგრამული უზრუნველყოფა, მონაცემთა ბაზები და გასართობი, ლიტერატურული და ხელოვნების ნიმუშების ორიგინალები*.⁴ პროგრამული უზრუნველყოფის შექმნასა ან შექმნაზე გაწეული ხარჯები იმავე პერიოდში არ მოიხმარება, რამდენადაც პროგრამის გამოყენება რამდენიმე წლის განმავლობაში ხდება. ეს ხარჯები, იქნება ეს კონკრეტულად შექმნილი პროგრამული პროდუქტები (მაგალითად თვითმფრინავის დაჯავშნის სისტემა), თუ ხელახალი რეპროდუქციის მიზნით შექმნილი (როგორცაა Microsoft-ის მიერ შექმნილი Windows) ან რეპროდუქციები (Windows-ის მრავალწლიანი გამოყენების უფლების ყიდვა Microsoft-ისგან), ყველა შედის GFCF-ში.

შემდეგი ნაბიჯი GFCF-ის გაფართოებისკენ გადაიდგა ეას 2008-ში, როდესაც R&D (კვლევები და განვითარება) ხარჯები აღიარეს GFCF-ის ნაწილად. ცხადია, რომ დიდი ინვესტიციების ჩადებაა საჭირო R&D-ში ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქტების მისაღებად. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითია ფარმაცევტული მრეწველობა და საწარმოები, რომლებიც ICT (საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები) ტექნოლოგიებს იყენებენ. გარკვეული დისკუსია ახლდა უფასოდ შესაძლებელი ცოდნის მიღებას მთავრობის R&D დანახარჯების ბაზაზე, თუმცა ბოლოს გადაწყდა, რომ შესაძლებელია ამ ხარჯების კაპიტალიზაცია, რადგან მათ სარგებელი მოაქვთ საზოგადოებისთვის მთლიანობაში (ასევეა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით).

ეროვნული ანგარიშების გადასახედიდან, გარკვეულ სიძნელეებს აქვს ადგილი იმის გამო, რომ პრაქტიკული თვალსაზრისით მათ გადაუხვიეს ბუღალტრული აღრიცხვის შეთანხმებებიდან. თავიანთ ანგარიშებში ფირმები პროგრამული უზრუნველყოფის შექმნას ან შესყიდვას, ან R&D დანახარჯებს მხოლოდ ნაწილობრივად ატარებენ კაპიტალურ ხარჯებში, ხოლო ფირმების ანგარიშები ეროვნული ანგარიშების სტატისტიკური წყაროა. რატომ მოხდა ასე? პირველი, რადგან ფირმების ბუღალტრები თავს იზღვევენ: როდესაც არ არის გარკვეული, ექნება თუ არა კომპიუტერულ პროგრამას ან R&D დანახარჯებს რეალური შედეგი, საბუღალტრო სტანდარტების რეკომენდაციის მიხედვით, ეს ხარჯები შუალედურ მოხმარებაში გაითვალისწინება და არა როგორც ინვესტიცია ძირითად კაპიტალში. ამ მიზეზის გამო, პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელი ფირმები, როგორცაა მაგალითად, Microsoft, ბალანსის აქტივებში არ აჩვენებს პროგრამულ უზრუნველყოფას. მეორე, რადგან ფირმები დაინტერესებული არიან, რომ

პროგრამული უზრუნველყოფისა და R&D დანახარჯები მიმდინარე ხარჯებში ასახონ, ეს საშუალებას იძლევა, რომ მოხდეს ამ ხარჯების გამოქვითვა მოგებიდან, რაც იმავდროულად ამცირებს მათ გადასახადებსაც. დასასრულ, უნდა ითქვას, რომ ეროვნული მონაგარიშეებისთვის არსებული წყაროები არადამაკმაყოფილებელია და პროგრამულ უზრუნველყოფაში ჩადებული კაპიტალური ინვესტიციების შესაფასებლად მათ სხვა წყაროების მოძიება უხდებათ, რაც საკმაოდ მოახლოებით ინფორმაციას იძლევა.

GFCF-ის კლასიფიკაცია

ეროვნულ ანგარიშებში GFCF-ის მონაცემების წარდგენა სხვადასხვა გზით არის შესაძლებელი. პირველი, GFCF-ის ჩაშლა შესაძლებელია წარმოებული პროდუქციის ბუნების მიხედვით, თუ გამოვიყენებთ პროდუქციის სტანდარტულ კლასიფიკაციას. თუმცა, ეს კლასიფიკაცია უფრო გამოშვებაზეა მორგებული, ვიდრე ინვესტიციებზე. მეორე, GFCF-ის ჩაშლა შესაძლებელია საქმიანობის სახის ან სექტორის მიხედვით, რომელიც ეწევა ინვესტირებას. მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს შემთხვევაში, ცხრილში 5.5, GFCF ნაჩვენებია ინვესტიციის განმახორციელებელი დარგის მიხედვით. როგორც ჩანს, მრეწველობა არ არის ყველაზე მოწინავე ამ საქმეში; 2012 წელს ინვესტიციებში ხვედრითი წილით გამოირჩეოდა ბიზნესის მომსახურება, სატრანსპორტო და სასაწყობო ფირმები და ოპერაციები უძრავი ქონებით. აღსანიშნავია ინვესტიციების კლება სახელმწიფო მმართველობაში. ფაქტობრივად, ეს ციფრი, 31 953 მლნ, გაერთიანებული სამეფოს მთავრობის ინვესტიციების ეფექტურ შემცირებას კი არ შეესაბამება, არამედ უარყოფით სატრანსფერო ხარჯებს ერთობლიობაში, თუმცა, შეთანხმების მიხედვით ეროვნული მონაგარიშეების მიერ ასეთი სახით იქნა ასახული.

ცხრილი 5.5 გაერთიანებული სამეფო: ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება (P51) საქმიანობის სახის მიხედვით

მლნ ფუნტი სტერლინგი, მიმდინარე ფასები, 2012

სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და მეთევზეობა	3 262
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება	17 556
დამამუშავებელი მრეწველობა	18 707
ელექტრობა, გაზი, ორთქლი და ჰაერის კონდიცირება	16 988
წყლის მიწოდება, კანალიზაცია, ნარჩენების მენეჯმენტი და რეკულტივაცია	12 144
მშენებლობა	8 547
საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილებისა და მოტოციკლების შეკეთება	15 150
ტრანსპორტი და სასაწყობო მეურნეობა	30 646

განთავსება და საკვებით მომსახურება	8 019
ინფორმაცია და კავშირგაბმულობა	18 732
ფინანსური და სადაზღვევო მომსახურება	11 934
ოპერაციები უძრავი ქონებით	72 223
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური მომსახურება	6 271
ადმინისტრაციული და უზრუნველყოფის საქმიანობები	1 736
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა, სოციალური დაცვა	- 31 953
განათლება	2 543
ჯანდაცვა და სოციალური სამუშაოები	2 476
ხელოვნება, გართობა და რეკრეაცია	7 397
სხვა მომსახურება	1 874
სულ	224 252

წყარო: OECD (2014), "Detailed National Accounts: Capital formation by activity", OECD NationalAccounts Statistics (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00008-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00008-en).

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143845>

თუმცა, შესაძლებელია მატრიცის სახით ორი კატეგორიის კომბინაციაც: პროდუქციის ბუნებისა და ინვესტიციის განმახორციელებელი სექტორის მიხედვით. ცხრილში 5.6 ნაჩვენებია GFCF-ის ჩაშლა ინსტიტუციური სექტორებისა და აქტივების სახის მიხედვით 2012 წელს, აქტივების კლასიფიკაციის გამოყენებით:

- მატერიალური ძირითადი კაპიტალი:
 1. საცხოვრისები (მიწის გარეშე).
 2. სხვა შენობები და ნაგებობები.
 3. სატრანსპორტო საშუალებები.
 4. სხვა დაზგები და დანადგარები.
- უხილავი (არამატერიალური) ძირითადი კაპიტალი:⁵
 1. სასარგებლო წიაღისეულის მოძიებაზე გაწეული ხარჯები.
 2. პროგრამული უზრუნველყოფა - სტანდარტული ან სპეციალურად შემუშავებული, ორიგინალები ან ასლები.
 3. ლიტერატურული და ხელოვნების ნიმუშების ორიგინალები, როგორცაა ფილმები, რომანები ან მუსიკა. ამ აქტივებიდან შესაძლებელია როიალტის (ჰონორარების) მიღება.


მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ GFCF-ის კლასიფიკაციაში არ შედის მიწის ღირებულება, რომელზეც დგას შენობები და ნაგებობები, რადგან მიწა არ არის წარმოებული აქტივი. მიუხედავად იმისა, რომ არაწარმოებული აქტივები არ შედის GFCF-ის შემადგენლობაში, მათზე საკუთრების უფლების გადასვლის ხარჯები

(ტრანსპორტირება და ინსტალაცია) და ასევე ადმინისტრაციული ხარჯები (ადვოკატის მომსახურება ან ამ საქონლის ყიდვასთან დაკავშირებული გადასახადები), შედის GFCF-ის შემადგენლობაში როგორც გაერთიანებული სამეფოს ეროვნული ანგარიშების ცალკე კატეგორია. წარმოებული აქტივების შემთხვევაში ეს ხარჯები თვით აქტივების ფასშია გათვალისწინებული.

ცხრილი 5.6 გაერთიანებული სამეფო: ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება აქტივის სახისა და ინსტიტუციური სექტორის მიხედვით

	სახელმწიფო არაფინანსური კორპორაციები	კერძო არაფინანსური კორპორაციები	ფინანსური კორპორაციები	ცენტრალური მთავრობა	ადგილობრივი მთავრობა	შინამეურნეობები და შპს-ები	სულ
საცხოვრისები (მიწის გარეშე)	3 017	1 011	0	94	0	47 012	51 135
სხვა შენობები და ნაგებობები	335	42 795	1 065	9 606	13 984	2 156	69 942
სატრანსპორტო საშუალებები	223	5 054	41	36	420	270	6 043
სხვა დაზგები და დანადგარები	999	33 114	3 238	3 862	1 209	2 174	44 595
არამატერიალური ძირითადი კაპიტალი	1 987	28 188	3 539	575	288	1 843	36 421
არაწარმოებულ აქტივებზე საკუთრების უფლების გადასვლასთან დაკავშირებული ხარჯები	- 378	4 365	- 884	1 393	8 769	8 769	16 116
ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	6 185	114 526	6 999	15 568	18 753	62 221	224 252

წყარო: Office for National Statistics (2013): United Kingdom National Accounts, The Blue Book, United Kingdom National Accounts – The Blue Book, 2013 Edition.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/88893314385>

გამოყენებული ფასების სისტემა

ყველა საბოლოო გამოყენების მსგავსად, ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება ფასდება შესყიდვის ფასებით. უმეტეს შემთხვევებში, მისი ჩაწერის დროს გამოირიცხება დღე, რადგან დღე ზოგადად მთლიანად გამოსარიცხია ფირმის მიერ განხორციელებული ინვესტირების შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, კაპიტალური საქონლის შესყიდვის ფასებში შედის ტრანსპორტირებისა და ინსტალაციის ხარჯები და ის სპეციფიური გადასახადები, რაც დაკავშირებულია ასეთი საქონლის შესყიდვასთან. მაგალითად, ადვოკატის მომსახურების ხარჯი გაითვალისწინება საცხოვრისის შესყიდვის ფასში (მაგრამ, არა მიწის ღირებულება, რომელზეც ის არის აშენებული).

7. მარაგების ცვლილება

შემდეგი მუხლი, რომელიც საბოლოო გამოყენების ცხრილში გვხვდება, არის მარაგების ცვლილება, ე.ი. სხვაობა მარაგებში ჩადებასა და ამოღებას შორის.

ჩვეულებრივ ეკონომიკურ ენაზე იყენებენ ტერმინს „ფონდების მშენებლობა“ ან „ფონდების ცვლილება“, თუმცა ოფიციალურად, ეროვნულ ანგარიშებში გამოიყენება „მარაგების ცვლილება“. პრინციპში, საბოლოო გამოყენების ნაწილიშეიძლება იყოს მხოლოდ მარაგების მატება, ხოლო ამოღება უნდა დაკლასიფიცირდეს როგორც რესურსები. თუმცა, უფრო კომპაქტური ანგარიშების შესადგენად გადაწყდა, რომ მარაგების ამოღება გატარდეს როგორც უარყოფითი წვლილი მარაგებში და მოხდეს ამ ორი ნაკადის კომბინირება.

პირველი, მარაგები შედგება რესურსების მარაგებისგან, რომლებიც შემდეგ წარმოების პროცესში გამოიყენება როგორც შუალედური მოხმარება (კომპანიების ანგარიშებში ეს მუხლი ცნობილია როგორც „მატერიალური მარაგები“). მეორე, ის მოიცავს მზა ნაკეთობების მარაგებს, რომლებიც ჯერ არ არის გაყიდული. მესამე, ის მოიცავს საქონლის მარაგებს ხელახალი გაყიდვისთვის, ეს ძირითადად ეხება საბითუმო და საცალო ვაჭრობას. მეოთხე, ის აგრეთვე მოიცავს სტრატეგიულ მარაგებს (საკვები, საწვავი, მარაგები სასოფლო-სამეურნეო ბაზრებზე ინტერვენციებისთვის), რომელიც მთავრობის მიერ იმართება. ბოლოს, ის მოიცავს „დაუმთავრებელ წარმოებას“, ეს არის საქონელი წარმოების პროცესში, რომელიც ვერ მოხვდება მომხმარებელთან საანგარიშო პერიოდში. ამიტომ ამ საქონლის ღირებულება გათვალისწინებულია მარაგებში. დაუმთავრებელი წარმოების მნიშვნელოვანი კომპონენტებია გემები, ნავთობის საბურღი პლატფორმები და შენობები, რომელთა დასრულებას რამდენიმე თვიდან რამდენიმე წლამდე სჭირდება.⁶

შეიძლება ვინმეს ეგონოს, რომ მარაგების ცვლილების გამოთვლა, თუ ავიღებთ პერიოდის ბოლო ღირებულებას და გამოვაკლებთ საწყისი პერიოდის ღირებულებას, ადვილია, რადგან ეს ინფორმაცია არსებობს კომპანიების ანგარიშებში. პრაქტიკულად, ამის გაკეთება კომპანიების ანგარიშებიდან ძნელია, რადგან მარაგები ქმნის ჰოლდინგურ მოგებას ან ზარალს იმის მიხედვით, იწევს თუ ვარდება მარაგების საბაზრო ფასები. აღნიშნული მოგება ან ზარალი საწარმოო პროცესის შედეგი არ არის და მას არ შეუძლია წვლილის შეტანა მშპ-ში, რომელიც თავისი არსით წარმოების ინდიკატორია.

მშპ-დან ჰოლდინგური მოგების ან ზარალის გამორიცხვა არ ნიშნავს, რომ ისინი იგნორირებულია ეროვნულ ანგარიშებში. მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ შემოსავლებზე, როდესაც ფასები იწევს ან ვარდება. ჰოლდინგურ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებული მოლოდინები და მათი რეალიზაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მწარმოებლებისა და მომხმარებლების ქცევაზე.

მიუხედავად ამისა, ეროვნულ ანგარიშებში ისინი ჩაიწერება არა როგორც მშპ-ის ელემენტები, არამედ, როგორც „გადაფასების ანგარიშის“ მუხლები (იხ. თავი 8).

დავუშვათ, რომ ფასები იწევს, ხოლო მარაგების ცვლილება გამოითვლება პერიოდის ბოლოსა და დასაწყისში მარაგების ღირებულების სხვაობით. ამ წესით გამოთვლილ ღირებულებაში იქნება მოგება კაპიტალზე (“ფონდების გაძვირება”), რაც უნდა გამოირიცხოს, თუ გვინდა, რომ ეროვნულ ანგარიშებში სწორად მოხდეს მარაგების ცვლილების ასახვა.

ამ ქვეთავში მოვახდინეთ მარაგების ფასების მატების ილუსტრაცია, თუმცა სავსებით შესაძლებელია, რომ მოხდეს მარაგების ფასების კლებაც. ამ შემთხვევაში ადგილი ექნება „მარაგების ჰოლდინგურ ზარალს“ და „ფონდების გაუფასურებას“.

თუ პერიოდის ბოლოს მარაგები მხოლოდ იმ პროდუქტებისგან შედგება, რაც პერიოდის დასაწყისში იყო, ანუ პერიოდის განმავლობაში არც მარაგების მიმატება და არც მოკლება არ მომხდარა, მაშინ ჰოლდინგური მოგების დათვლა და მისი გამორიცხვა ადვილია და ის ინფლაციის დონისა და პერიოდის დასაწყისში მარაგების საწყისი ღირებულების ნამრავლის ტოლია. მაგრამ, რეალურად, მარაგებიდან საქონლის ამოღება და მარაგების შევსება სხვადასხვა მომენტებში ხდება და სავსებით შესაძლებელია, რომ პერიოდის ბოლოს საწყისი მარაგიდან არც ერთი საქონელი აღარ იყოს წარმოდგენილი.

თუ ფასები იცვლება და მუდმივად ხდება პროდუქტების ჩადება და ამოღება მარაგებიდან, ამ ცვლილებების შეფასება ეროვნულ ანგარიშებში სამი გზით ხდება. პირველი გზა თეორიულად სწორია, მაგრამ მისი პრაქტიკული გამოყენება შეუძლებელია. მეორე გზა ფართოდ გამოიყენება, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან არასრულყოფილი მიახლოებაა. მესამე გზა იოლია, მაგრამ ძალიან ირიბია და ამიტომ სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო.

- თეორიულად სწორი მეთოდი გულისხმობს ახლადშემოსული მარაგების შეფასებას ამდროისთვის არსებული საბაზრო ფასებით და გასული მარაგების შეფასებას გასვლის მომენტში არსებული საბაზრო ფასებით. ასეთი წესით გაანგარიშებული მარაგების ცვლილება ეროვნული ანგარიშებისთვის მისაღებია, თუმცა, სამწუხაროდ ინფორმაციის არაარსებობის გამო შეუძლებელია.

- შედეგად, თეორიული მეთოდი იცვლება მიახლოებითი მეთოდით, რომელიც მარაგების ცვლილების შესაფასებლად იყენებს პერიოდის დასაწყისისა და ბოლოს საშუალო ფასებს ან შუა პერიოდის ფასებს (იხ. სავარჯიშო 3).
- მესამე მეთოდი ძალიან ირიბია და შედგება რესურსებისა და გამოყენების ცხრილიდან (იხ. თავი 10) ყველა სხვა მუხლების გაანგარიშების შედეგად მიღებული ნაშთის გამოყენებისგან მარაგების ცვლილებად. ეს მეთოდი თეორიულად ზუსტია, მაგრამ „მარაგების ცვლილების“ მუხლი ყველა დანარჩენი მუხლების გაანგარიშების დროს დაშვებულ შეცდომას ითავსებს.

მარაგების ცვლილების ეკონომიკური ანალიზი

მარაგების ცვლილება მატების დონის სავარაუდო ცვლილებების ძალიან მნიშვნელოვანი ინდიკატორია. მიუხედავად ამისა, მარაგების ცვლილების ინტერპრეტაცია რთულია, რადგან ის ორი განსხვავებული ტიპის საქონელს მოიცავს: რესურსებს და მზა პროდუქციას. რესურსების სახით მარაგების ზრდა დადებითი ნიშანია, რომელიც მწარმოებლების მიერ წარმოების გაზრდის მოლოდინთან არის დაკავშირებული. საპირისპიროდ, მზა პროდუქციის მარაგების მატება იმის მანიშნებელია, რომ მწარმოებელს სირთულეები შეექმნა გასაღებაში და იძულებული იქნება შეამციროს გამოშვება და დაითხოვოს მომუშავეები. სასარგებლო იქნება, თუ ამ ციფრების ინტერპრეტაციას დაემატება მრეწველობის დარგების კვლევებიდან მიღებული ინფორმაცია.


8. ფასეულობის წმინდა შექენა

ეს მუხლი ძალიან მცირეა (იხ. ცხრილი 5.1) და მაკროეკონომისტებისთვის მხოლოდ ცნობისმოყვარეობის საგანს წარმოადგენს. ფასეულობა არის საქონელი, რომელსაც ყიდულობენ არა საწარმოო პროცესში გამოსაყენებლად, არამედ იმისთვის, რომ მათი ღირებულება დროთა განმავლობაში გაიზარდოს (ან მინიმუმ იგივე დარჩეს). ფასეულობის მაგალითებია ძვირფასი ქვები, ძვირფასი ლითონები და ანტიკვარული ნიმუშები. როგორც წესი, ასეთი ობიექტების ტრანსაქციები შინამეურნეობებს შორის ხდება და ამიტომ კონსოლიდირებულია (სხვა სიტყვებით, გაბათილებულია) ეროვნულ ანგარიშებში, იმ გამონაკლისის გარდა, როდესაც ეს საქონელი კვეთს საზღვარს. ცალკეულ ქვეყნებში - სახელდობრ, გაერთიანებულ სამეფოსა და ჰონკონგში ბანკები ინვესტირებას ახდენენ ძვირფას მეტალებში და ეს კლასიფიცირებულია როგორც ფასეულობა. ამასთან შევნიშნავთ, რომ ცენტრალურ ბანკებში შენახული ოქროს მარაგი კლასიფიცირებულია როგორც „მონეტარული ოქრო“ და ის ფინანსური ანგარიშის აქტივებში აისახება და არა ფასეულობაში.

9. საქონლისა და მომსახურების ექსპორტი და იმპორტი

ექსპორტი და იმპორტი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის საკვანძო აგრეგატებია. დღევანდელ უკიდურესად გლობალიზებულ სამყაროში თუ აშშ-ს (მსოფლიოს უდიდესი ეროვნული ეკონომიკა, შეადგენს მსოფლიო მშპ-ის 20%-ს) ეკონომიკა აჩქარდება ან შენელებს, ეს გავლენას იქონიებს სხვა ქვეყნებზეც (იხ. თავი 16). ასეთივე ურთიერთკავშირია სხვა ქვეყნებს შორისაც, რადგან ისინი მზარდი ოდენობით ცვლიან ერთმანეთთან საქონელსა და მომსახურებას. აქ დიდ როლს თამაშობს გაცვლითი კურსები. თუ ფუნტი სტერლინგი ან ევრო დოლართან მიმართებაში გამყარდება, აღნიშნული შეამცირებს ექსპორტს გაერთიანებული სამეფოდან ან ევროზონიდან. (გაითვალისწინეთ, რომ მათი საწვავის იმპორტი შემცირდება, რამდენადაც საწვავი დოლარებში ფასდება). როგორც 5.1 ნახაზიდან ჩანს, გაერთიანებული სამეფოს “გახსნილობის ხარისხი” 65%-ია, მაგრამ ის გაცილებით ნაკლებია უფრო მცირე ევროპული ქვეყნის, ბელგიის მაჩვენებელზე, რადგან ის უფრო ღიაა ექსპორტისა და იმპორტისათვის. “გახსნილობის ხარისხი” ჩვეულებრივ ასე გაიანგარიშება: $[(\text{ექსპორტი} + \text{იმპორტი})/\text{მშპ}] \times 100$. ის ზომავს, თუ რამდენად არის ქვეყანა დამოკიდებული მისი სავაჭრო პარტნიორების სავაჭრო ნაკადებზე. ბელგიის შემთხვევაში ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, თუ რამდენად გაიზარდა მისი გახსნილობა საგარეო ვაჭრობის მიმართ, განსაკუთრებით 1993 წლის შემდეგ, როდესაც ამოქმედდა ერთიანი ევროპული ბაზარი.

ნახაზი 5.1. ბელგია და გაერთიანებული სამეფო: გახსნილობის ხარისხი იმპორტისა და ექსპორტის ჯამის წილი მშპ-ში



წყარო: OECD (2013), "Aggregate National Accounts: Gross domestic product", OECD National Accounts Statistics (database), <http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143796>

ეროვნულ ანგარიშებში „საგარეო ვაჭრობა“ ნიშნავს საგარეო ვაჭრობას საქონლითა და მომსახურებით. თუმცა, რადგან საქონლით ვაჭრობის მონაცემების მიღება მომსახურებასთან შედარებით უფრო ადრე არის შესაძლებელი, ჩამოყალიბდა ტრადიცია, -რომელიც საზოგადოდ საკამათოა - რომ „საგარეო ვაჭრობის“ ქვეშ მხოლოდ საქონლით ვაჭრობას მოიაზრებენ. აქ საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა. საბაჟო სტატისტიკა არ მოიცავს მომსახურებას და თუ მხოლოდ საბაჟოს მონაცემებს დავყვრდნობით, მაშინ მხოლოდ საქონლით ვაჭრობაზე გვექნება წარმოდგენა; საგარეო ვაჭრობის ციფრები საგადაძმდელო ბალანსსა და ეროვნულ ანგარიშებში მოიცავს როგორც საქონელს, ისე მომსახურებას.

ეს შენიშვნები ხაზს უსვამს ექსპორტისა და იმპორტის ანალიტიკურ მნიშვნელობას ეროვნული ანგარიშების მომხმარებლებისთვის (უფრო მეტი იხ. თავში 16). ეს ნაკადები ტრადიციულად ოთხ ნაწილად იყოფა: საქონლით საგარეო ვაჭრობა; მომსახურებით საგარეო ვაჭრობა; პირდაპირი შესყიდვები არარეზიდენტების მიერ ეკონომიკურ ტერიტორიაზე (განიხილება როგორც მომსახურების ექსპორტი); და პირდაპირი შესყიდვები რეზიდენტების მიერ დანარჩენი მსოფლიოდან (განიხილება როგორც მომსახურების იმპორტი). თუ ბოლო ორ მუხლს გაერთიანებული სამეფოს მაგალითზე განვიხილავთ, გვექნება უცხოელი ტურისტების მიერ განხორციელებული შესყიდვები გაერთიანებული სამეფოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე და გაერთიანებული სამეფოს რეზიდენტების მიერ განხორციელებული შესყიდვები საზღვარგარეთ, რაც ამ თავი მე-2 ქვეთავში იყო განხილული. ჩვენ აღარ დავუბრუნდებით ექსპორტი/იმპორტი გამოთვლებს, თუმცა აუცილებელია სამი მნიშვნელოვანი კონცეფციის განსაზღვრა: *ეკონომიკური ტერიტორია, რეზიდენტობა და დანარჩენი მსოფლიო*. ეს კონცეფციები აუცილებელია ექსპორტისა და იმპორტის ზუსტი განსაზღვრისთვის.

ქვეყნის **ეკონომიკური ტერიტორია** არის სახელმწიფოს გეოგრაფიული ტერიტორია. ის მოიცავს საჰაერო სივრცეს, ტერიტორიულ წყლებს, მის ტერიტორიულ ანკლავებს (მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს საელჩოები საზღვარგარეთის ქვეყნებში) და თავისუფალ ზონებს. საპირისპიროდ, მასში არ შედის გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე არსებული სხვა ქვეყნების საელჩოები. ეკონომიკური ტერიტორიის

განსაზღვრა მნიშვნელოვანია, რადგან ეროვნულ ანგარიშებში ჩაიწერება მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე არსებული გამოშვება. გაერთიანებული სამეფოს უცხოური ფილიალი გაერთიანებული სამეფოს ეროვნული ანგარიშების თვალთახედვით პროდუქტიული არ არის, ამიტომ იმ ქვეყნის გამოშვებაში აისახება, სადაც მდებარეობს შვილობილი კომპანია.

ეროვნული ანგარიშებით მოცული ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკურმა ტერიტორიამ გარკვეული ცვლილება განიცადა. მაგალითად, არც თუ ისე დიდი ხანია (1999 წელს), რაც საფრანგეთის ეროვნულ ანგარიშებში შეაქვთ საზღვარგარეთული დეპარტამენტები. ადრე, საფრანგეთის ეკონომიკურ ტერიტორია შეზღუდული იყო მეტროპოლიებისთვის. ამის გამო, ამ დეპარტამენტების გამოშვება საფრანგეთის ეროვნულ ანგარიშებში კი არა, არამედ ექსპორტ-იმპორტის სახით აისახებოდა. ახლა სიტუაცია შეიცვალა და ამ მეტროპოლიების გამოშვება უკვე აისახება საფრანგეთის ეროვნულ ანგარიშებში. ასეთი ტიპის განსხვავებები ქვეყნის ოფიციალური და ეკონომიკური ტერიტორიების განსაზღვრაში იშვიათი არ არის; მაგალითად, აშშ-ის ეროვნულ ანგარიშებში არ შეაქვთ პუერტო-რიკო. თუმცა, აღნიშნულის რაოდენობრივი ეფექტი ანგარიშებზე უმნიშვნელოა.

რეზიდენტობის კონცეფცია ეკონომიკურ ტერიტორიასთან არის დაკავშირებული. ერთეული ითვლება მოცემული ქვეყნის რეზიდენტად, თუ მისი „ეკონომიკურ ინტერესთა ცენტრი“ ამ ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზეა. ეს ნიშნავს, რომ ერთეული მოცემულ ეკონომიკურ ტერიტორიაზე ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში საქმიანობს. ეროვნული ანგარიშების ინსტიტუციურ სექტორებში მხოლოდ რეზიდენტი ერთეულები შეაქვთ. ფირმების უმრავლესობა, არაკორპორირებული საწარმოების ჩათვლით, რომლებიც მოცემულ ტერიტორიაზე საქმიანობენ, რეზიდენტებად განიხილება. შინამეურნეობების შემთხვევაში ძირითადი პირობაა ის, თუ სად ხარჯავენ ისინი შემოსავალს. რეზიდენტად მიიჩნევა ის შინამეურნეობა, რომელიც ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ცხოვრობს მოცემულ ტერიტორიაზე და სამომხმარებლო დანახარჯების უდიდეს ნაწილს აქვე ახორციელებს. გამოირიცხებიან შინამეურნეობის ის წევრები, რომლებიც მუშაობენ ქვეყანაში, მაგრამ ცხოვრობენ და ხარჯავენ შემოსავლებს საზღვარგარეთ. მაგალითად, თუ გაერთიანებულ სამეფოში სეზონური მომუშავეები ჩადიან რამდენიმე თვით, ისინი არ განიხილებიან რეზიდენტებად, რადგან მათი განკარგვადი შემოსავალი არ შედის გაერთიანებული სამეფოს შინამეურნეობების განკარგვად შემოსავალში. საპირისპიროდ, თუ ბრიტანელი მომუშავეები ცხოვრობენ და მოიხმარენ გაერთიანებულ სამეფოში, ხოლო ირლანდიაში მუშაობენ, მაშინ ისინი გაერთიანებული სამეფოს რეზიდენტები არიან. უცხოელი ტურისტები, რომლებიც

გაერთიანებულ სამეფოში მოიხმარენ მხოლოდ მოკლე პერიოდის (ჩვეულებრივ, რამდენიმე კვირა) განმავლობაში, არ ჩაითვლებიან რეზიდენტებად.

დანარჩენი მსოფლიო შედგება არარეზიდენტი ერთეულებისგან, რომლებიც ტრანსაქციებს ახორციელებენ განსახილველ ქვეყანასთან, ამ შემთხვევაში გაერთიანებულ სამეფოსთან. ამიტომ, დანარჩენი მსოფლიო მოიცავს ყველა არარეზიდენტ ერთეულს, რომელიც თავის პროდუქციას ყიდის გაერთიანებული სამეფოს რეზიდენტებზე (გაერთიანებულ სამეფოს თვალთახედვით, ეს გაყიდვები იმპორტს მიეკუთვნება), ხოლო ყველა შესყიდვა, რომელსაც არარეზიდენტები ახორციელებენ გაერთიანებული სამეფოდან, ექსპორტს მიეკუთვნება. საქონლისა და მომსახურების ექსპორტი და იმპორტი დანარჩენ მსოფლიოსთან ძირითადი ტრანსაქციებია, თუმცა აქ კიდევ სხვა მრავალი კატეგორიაა: შრომის ანაზღაურება არარეზიდენტი შინამეურნეობებისთვის; იმიგრანტი რეზიდენტი მომუშავეების მიერ თავიანთი შინამეურნეობებისთვის გაგაზაფნილი შემოსავლის ნაწილი; ევროპული სუბსიდიების გადარიცხვა გაერთიანებული სამეფოსთვის; გაერთიანებული სამეფოს მიერ ევროპისთვის დღგ-ს გადახდა და ა.შ. მთლიანობაში ეს ტრანსაქციები აისახება დანარჩენი მსოფლიოს ანგარიშში, რომელიც შედის „ინტეგრირებულანგარიშში“ (იხ. თავი 10). დანარჩენი მსოფლიოს ანგარიშის ძირითადი წყაროა საგადამხდელო ბალანსი.

აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ბოლოს მიღებული სტანდარტების მიხედვით (ეას 2008), ექსპორტისა და იმპორტის ჩაწერა რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის მხოლოდ მესაკუთრის (ეკონომიკური) ცვლილების საფუძველზე ხდება. ამ თვალსაზრისით ხდება გადახვევა ე.წ. „საქონლით ვაჭრობის სტატისტიკიდან“, სადაც იმპორტისა და ექსპორტის რეგისტრაცია საქონლის მიერ ეროვნული საზღვრის გადაკვეთის საფუძველზე ხდება. რეგისტრაციის ამ ორ ხერხს შორის განსხვავებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს, განსაკუთრებით მზარდი გლობალური საწარმოო შესაძლებლობების პირობებში. განვიხილოთ მაგალითი ამ განსხვავების შესახებ. საქონლის გადაყიდვა გულისხმობს, ვთქვათ, A ქვეყანაში წარმოებული საქონლის შესყიდვას ბითუმად მოვაჭრის მიერ B ქვეყანაში გასატანად და შემდეგ მის გადაყიდვას C ქვეყანაში. ეროვნულ ანგარიშებში ეს საქონელი განიხილება როგორც A ქვეყნის იმპორტი (რეალურად უარყოფითი ექსპორტია) და ექსპორტი, თუმცა ამ საქონელს დიდი ხნის განმავლობაში არ გადაუკვეთია ქვეყნის საზღვარი. შემდეგი მაგალითი უკავშირდება „გადასამუშაველ საქონელს“, რომელშიც ქვეყანა ნახევარფაბრიკატს აგზავნის B ქვეყანაში შემდეგი დამუშავების მიზნით. მზა პროდუქცია ისევ უკან უბრუნდება A ქვეყანას. ამ შემთხვევაში ვაკვირდებით საქონლის მიერ საზღვრის რამდენჯერმე

გადაკვეთას საკუთრების ცვლილების გარეშე. ეროვნულ ანგარიშებში დამუშავებისთვის გადახდილი გადასახადი ჩაიწერება როგორც მომსახურების იმპორტი და არა როგორც საქონლის იმპორტი ან ექსპორტი.

მიუხედავად იმისა, რომ იზრდება მომსახურებით ვაჭრობა, საქონლით ვაჭრობა მაინც რჩება ქვეყანასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის სავაჭრო ურთიერთობის ბირთვად. დიდი ხნის განმავლობაში საქონლის ექსპორტისა და იმპორტის მონაცემები საუკეთესო იყო ეროვნულ ანგარიშებში, რადგან საბაჟოებს ის სჭირდებოდათ გადასახადის აკრეფისა და საგარეო ვაჭრობის მონტორინგისთვის. ამ სტატისტიკის ხარისხიმას შემდეგ შეირყა, რაც ერთიანი ევროპული ბაზარი ჩამოყალიბდა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის გაუქმდა საბაჟო კონტროლი. თუმცა კონკრეტული ქვეყნების სტატისტიკურმა სამსახურებმა განაგრძეს ექსპორტ-იმპორტის მონტორინგი კვლევების საშუალებით. ამ კვლევების გარეშე ეროვნული ანგარიშების აგება შეუძლებელი იქნებოდა.

საბაჟო სტატისტიკაში ექსპორტისა და იმპორტის მოცულობები უაღრესად დეტალიზებულია პროდუქტების მიხედვით (რამდენიმე ათასი მუხლი) და შესაბამის ზომის ერთეულებში აისახება: ტონა, ერთეულების რაოდენობა და ა.შ. ეს ინფორმაცია გამოიყენება ეროვნული მოანგარიშების მიერ ექსპორტისა და იმპორტის ფასების გასაანგარიშებლად ღირებულების გაყოფით რაოდენობაზე. ფასების ეს ინდექსები ცნობილია „ერთეულის ღირებულების ინდექსების“ სახელწოდებით. ეს მეთოდოლოგია ხშირად ხდება კრიტიკის საგანი, რადგან მიუხედავად დეტალიზებული სტატისტიკისა, აქ შერეულია სხვადასხვა ხარისხის პროდუქციის ფასები. შედეგად, ერთეულის ღირებულების ინდექსები შეიძლება ერთი პერიოდიდან მეორემდე მნიშვნელოვნად იცვლებოდეს, ამიტომ ეროვნულ მოანგარიშებს მათი მოსწორება უხდებათ. ზოგიერთ ქვეყანაში ამ ნაკლოვანების თავიდან ასაცილებლად ექსპორტ-იმპორტის ფასების სპეციალურ კვლევებს ატარებენ.

ეროვნულ ანგარიშებში საიმპორტო საქონლის შეფასება “cif” ფასებში ხდება, რაც ნიშნავს, რომ ამ ფასებში შედის ღირებულება, დაზღვევა და ფრახტი (cost, insurance, freight), როდესაც ისინი გადაკვეთენ გაერთიანებული სამეფოს საზღვარს. თავის მხრივ, ექსპორტის შეფასება ხდება “fob” ფასებში, ანუ ეს ფასები აერთიანებს სატრანსპორტო და დაზღვევის ფასებს ექსპორტიორი ქვეყნის საზღვრამდე, მაგრამ არა სატრანსპორტო და დაზღვევის ხარჯებს იმპორტიორი ქვეყნის საზღვრის იქით. ამიტომ არის, რომ ეროვნული ანგარიშების ცხრილებში იმპორტი “cif” ფასებშია მოცემული, ხოლო ექსპორტი “fob” ფასებში. თუ უფრო გავართულებთ, მთლიანი იმპორტი ეროვნულ ანგარიშებში “fob” ფასებში გამოითვლება, სხვა სიტყვებით,

გამოირიცხება ტრანსპორტირების ხარჯები საზღვრამდე. “fob” ფასებში გადაყვანა აიოლებს შედარებებს საგადამხდელო ბალანსთან და შედეგად აისახება მუხლში “cif-fob კორექტირება“, რაც ახსნილია მე-10 თავში.

ცვლილებები იმპორტისა და ექსპორტის ფასებში გამოითვლება **ვაჭრობის პირობების ინდექსებით**. ის გამოითვლება ექსპორტისა და იმპორტის ფასების ინდექსების ფარდობით. მე-4 სავარჯიშოში მოტანილია მათი გამოთვლის მაგალითი.

საგარეო ვაჭრობაში ჩართული მომსახურებით საგარეო ვაჭრობა ბევრად მცირეა საქონლით ვაჭრობაზე. მიუხედავად ამისა, ეს ნაკადები სწრაფად იზრდება. უკანასკნელ პერიოდამდე მომსახურების იმპორტი და ექსპორტი ძირითადად წარმოდგენილი იყო სატრანსპორტო მომსახურებითა (საზღვაო, საჰაერო) და დაზღვევით (უფრო ხშირად გადაზღვევა). დაიმახსოვრეთ, რომ არარეზიდენტი შინამეურნეობის დანახარჯები შიდა ეკონომიკურ ტერიტორიაზე კლასიფიცირებულია მუხლში „ტურისტული მომსახურება“. უკანასკნელ პერიოდში იზრდება ისეთი მომსახურების აუთსორსინგი, როგორცაა ქოლცენტრები, საქონლის დამუშავება, პროგრამული უზრუნველყოფით ვაჭრობა, მონაცემთა დამუშავება. იზრდება აგრეთვე „სამედიცინო ტურიზმი“ იმ სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით, რომელიც ზოგიერთ ქვეყანაში არაკანონიერია ან ძალიან ძვირია.

მომსახურებით ვაჭრობის სტატისტიკური წყაროები ჩვეულებრივ უფრო უხარისხოა, რადგან ასეთი ვაჭრობის იდენტიფიკაცია რთულია. საკმაოდ დიდი ხნის წინ, ძირითად წყაროს შეადგენდა კომერციული ბანკების მიერ ცენტრალური ბანკისთვის წარდგენილი დეკლარაციები დანარჩენ მსოფლიოსთან წარმოებული ტრანსაქციების შესახებ უცხო ქვეყნის სავალუტო რეზერვების მონიტორინგის მიზნით. თუმცა, მრავალ ქვეყანაში ასეთ დეკლარაციებს აღარ იყენებენ, მონაცემების მიღება ძირითადად დანარჩენი მსოფლიოს მთავარი ოპერატორების კვლევებიდან ხდება. მომდევნო ათწლეულის გამოწვევა სწორედ მზარდ ვაჭრობას უკავშირდება მომსახურებით, რაც უფრო დეტალურად მე-16 თავშია განხილული.

შენიშვნები

1. აქ არ ვითვალისწინებთ განაკვეთის ნაწილს, რომელიც ჩაწერილია როგორც ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება (FISIM, იხ. თავი 4), რომელიც განიხილება როგორც შუალედური მოხმარება ან საბოლოო მოხმარების ხარჯები.
2. აქ უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალური რემონტიც ასევე შედის GFCF-ში.
3. ნაწილი, რომელიც ანაზღაურდება ურთიერთფონდებისაან კერძო სადაზღვევო კომპანიების მიერ, ასევე შედის შინამეურნეობების მოხმარების ხარჯებში.

4. გასართობი ჟანრის ორიგინალებს მატერიალური ფორმა აქვთ დაბეჭდილი რომანების, ფილმების ან კომპაქტ-დისკების სახით. მაგრამ ამ ფორმებს ეკონომიკური ღირებულება მხოლოდ მაშინ აქვთ, როდესაც მათზე საავტორო უფლებები ვრცელდება. ეს დაცულობა განსაზღვრავს მათ ღირებულებას და კლასიფიკაციას არამატერიალურ აქტივებში. პრაქტიკულად, ეროვნულ ანგარიშებში ამ აქტივების შეფასება ძალიან პრობლემატურია.

5. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ეს მონაცემები შეესაბამება ეას 1993-ს და ამის გამო ინვესტიციებში არ შედის R&D.

6. ერთადერთი გამონაკლისი, როდესაც დაუმთავრებელი სამუშაოები არ ჩაიწერება დაუმთავრებელ წარმოებაში არის ის შემთხვევა, როდესაც ნაწილობრივად დასრულებულ პროექტს უკვე ჰყავს მფლობელი, რომელმაც თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა, არის წარმოებული საკუთარი საბოლოო გამოყენებისთვის, ან მასზე არსებობს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება.

ბიბლიოგრაფია

Insee Databases (2013), Statistical indices and series: Macroeconomic Database:National Accounts,http://www.bdm.insee.fr/bdm2/index?request_locale=en.

OECD (2014), “Detailed National Accounts: Capital formation by activity”, OECD National Accounts Statistics (database),[doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00008-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00008-en).

OECD (2014), “Detailed National Accounts: Non-financial accounts by sectors, annual”, OECD National Accounts Statistics (database),[doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00034-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00034-en).

OECD (2013a), *OECD Economic Outlook*, Vol. 2013/1, OECD Publishing,[doi: http://dx.doi.org/10.1787/eco_outlook-v2013-1-en](http://dx.doi.org/10.1787/eco_outlook-v2013-1-en).

OECD (2013b), “Aggregate National Accounts: Gross domestic product”, OECD National Accounts Statistics (database),<http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en>.

Office for National Statistics (2013), United Kingdom National Accounts, The Blue Book, *United Kingdom National Accounts – The Blue Book, 2013 Edition*.

System of National Accounts 2008, European Commission, International Monetary Fund, Organisation for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank, New York, 2009,<http://unstats.un.org/unsd/nationalaccount/docs/SNA2008.pdf>.

Vanoli, A. (2005), “A history of national accounts”, IOS press.

საკვანძო მომენტები

- სიტყვა „მოთხოვნის“ ქვეშ ეკონომისტები მოიაზრებენ იმას, რაც შედის საბოლოო გამოყენებაში ეროვნული ანგარიშების კონცეფციით: შინამეურნეობების და სახელმწიფო მართვის ორგანოების მოხმარების დანახარჯები; ინვესტიციები (GFCF); მარაგების ცვლილება და წმინდა ექსპორტი (ექსპორტს მინუს იმპორტი).
- საწარმოო ერთეულის შემთხვევაში გამოყენება შეიძლება იყოს „საბოლოო“ და „შუალედური“. საბოლოო მიეკუთვნება იმ საქონელსა და მომსახურებას, რომელიც პერიოდის განმავლობაში მთლიანად არ მოიხმარება საწარმოო პროცესში, ანუ GFCF და მარაგების ცვლილება. შუალედური მიეკუთვნება იმ საქონელსა და მომსახურებას, რომელიც მთლიანად მოიხმარება საწარმოო პროცესში პერიოდის განმავლობაში.
- შეთანხმების მიხედვით, საცხოვრებლის გარდა, ყველა საქონელი და მომსახურება, რომელიც შინამეურნეობის მიერ არის შესყიდული, საბოლოო მოხმარებას მიეკუთვნება, თუნდაც ეს იყოს გრძელვადიანი მოხმარების საგნები, რომლებიც მთლიანად არ მოიხმარება პერიოდის განმავლობაში. შინამეურნეობების მიერ საცხოვრებლის შესყიდვა (ისევე როგორც მისი კაპიტალური რემონტი) მიეკუთვნება GFCF-ს.
- შეთანხმების მიხედვით, სახელმწიფო მართვის ორგანოები მოიხმარენ მათ მიერ წარმოებულ მომსახურებას. სახელმწიფო მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარების დანახარჯები ტოლია: დასაქმებულთა ანაზღაურებას პლუს შუალედური მოხმარება, პლუს ძირითადი კაპიტალის მოხმარება, პლუს შინამეურნეობებისთვის საქონლისა და მომსახურების შესყიდვა ბაზარზე, პლუს წარმოების სხვა გადასახადები, მინუს ნაწილობრივი გადახდები, მინუს საკუთარი მოხმარებისთვის ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება.
- საბოლოო მოხმარების დროს გამოიყენება საბაზრო ფასი (ან შესყიდვის ფასი), რომელიც მოიცავს სავაჭრო-სატრანსპორტო დანამატებს და აგრეთვე გამოუქვითავ დღგ-ს და გადასახადებს პროდუქტებზე.
- რეალური ინდივიდუალური მოხმარება ტოლია შინამეურნეობის მოხმარების დანახარჯებს დამატებული სახელმწიფო მართვის ორგანოების მოხმარების ინდივიდუალური ხარჯები და შმაკოების ხარჯები.
- ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება, რომელიც მოკლედ ცნობილია, როგორც ინვესტიცია, განისაზღვრება წარმოებული ძირითადი კაპიტალის წმინდა შესყიდვებით.

- მარაგების ცვლილება ტოლია მარაგების მატებას *მინუს* ამოღება მარაგებიდან. ამ ცვლილებების შეფასება პერიოდის დასაწყისში არსებული ან პერიოდის ბოლოს არსებული მარაგებით პრობლემურია, რადგან ადგილი აქვს ჰოლდინგურ მოგებას ან ზარალს. ეს უნდა გამოირიცხოს მარაგების ცვლილებიდან.
- უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისგან საქონლის ექსპორტი და იმპორტი და მომსახურების ექსპორტი და იმპორტი. დეტალური იმპორტის შეფასება ხდება “cif” ფასებში, ხოლო დეტალური ექსპორტის - “fob” ფასებში. ორივე, იმპორტის საერთო მოცულობა და დეტალური ექსპორტი ფასდება “fob” ფასებში.

ჩაულრმავდით

როგორ მოქმედებს მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა?

ცენტრალური ბანკი მონეტარული პოლიტიკით გავლენას ახდენს საპროცენტო განაკვეთებზე პირდაპირ ან ფულის მიწოდების გზით. ფისკალური პოლიტიკა შედგება მთავრობის მიერ მოდიფიცირებული საგადასახადო განაკვეთებისგან და საზოგადოებრივი დანახარჯების მატების ან კლებისგან.

მონეტარული პოლიტიკის მიხედვით, საპროცენტო განაკვეთების ზრდამ უნდა გამოიწვიოს შინამეურნეობების სამომხმარებლო დანახარჯების კლება, რადგან იზრდება სესხის მომსახურების პროცენტი, რაც დაზოგვის უპირატესობაზეა გათვლილი. ის აგრეთვე შეამცირებს ძირითადი კაპიტალის მთლიან ფორმირებას უპირველესად იმის გამო, რომ შინამეურნეობების შემცირებული მოხმარება ამცირებს ფირმის სტიმულს ინვესტირებისადმი ახალ დანადგარებსა და მოწყობილობებში და მეორე, რადგან ამცირებს სესხის ხარჯს. შესაბამისად, განაკვეთების შემცირება ასტიმულირებს შინამეურნეობების ხარჯებს და კორპორაციების ინვესტიციებს.

წარსულში ბევრი მთავრობა ცდილობდა ექსპორტის წახალისებას და იმპორტის შემცირებას მონეტარული პოლიტიკის სხვადასხვა ინსტრუმენტებით, სახელდობრ, გაცვლითი კურსების მანიპულირებით. უფრო მოგვიანებით, ეთგო-ს უმეტესი მთავრობები ისე შორს წავიდნენ, რომ თავიანთ სავაჭრო პარტნიორებთან შედარებით გაცვლითი კურსის სტაბილურობისთვის შეეცადნენ ევროზონის ქვეყნებთან კურსების კორექტირებას.

ფისკალური პოლიტიკა ორი არხის გავლით მოქმედებს: შემოსავლების მატება ან კლება და დანახარჯების მატება ან კლება. საშემოსავლო გადასახადების განაკვეთების შემცირება დაუყოვნებელ გავლენას ახდენს შინამეურნეობების შემოსავლებზე და არაპირდაპირ - ხარჯვაზე. გაზრდილ ხარჯვას მეორადი გავლენა აქვს კაპიტალის ფორმირებაზე (ფირმები ზრდიან ინვესტიციებს გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად). მოგების შემცირებული გადასახადები ასტიმულირებს მწარმოებლებს გამოშვების გაზრდისკენ უფრო მეტი ინვესტირებით ან არსებული საშუალებების წარმადობის გაზრდით.

სახელმწიფო მართვის ორგანოები ახორციელებენ მიმდინარე დანახარჯებს საჯარო მოხელეების შრომის ანაზღაურებაზე და დანახარჯებს კაპიტალის ფორმირებაზე (გზები, რკინიგზა, ურბანული განვითარება და ა.შ.). ამ ორი ტიპის დანახარჯის ზრდა ავტომატურად ზრდის მშპ-ს და ასევე აქვს მეორადი ეფექტებიც, რაც გამოიხატება გაზრდილი ხელფასების გავლენაში შინამეურნეობების სამომხმარებლო

დანახარჯებზე და ასევე, სამშენებლო მასალებზე გაზრდილი მოთხოვნა სტიმულს აძლევს მის მომმარაგებელ დარგებს.

ევროზონის ქვეყნებს ახლა ბევრად ნაკლები თავისუფლება აქვთ მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გატარებაში. მათ აღარ აქვთ შესაძლებლობა, რომ მოახდინონ გაცვლითი კურსების კორექტირება და ძალიან მცირე კონტროლი აქვთ ევროს გაცვლით კურსზე. საპროცენტო განაკვეთები ექსკლუზიურად ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ განისაზღვრება. მიუხედავად იმისა, რომ ფისკალური პოლიტიკა გარკვეულწილად ნაკლებად შეზღუდულია, ევროპის სტაბილურობისა და ზრდის პაქტით დაწესებულია ზედა ზღვარი, რომელიც შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობის ხვედრითი წილს მშპ-ში 3%-ით განსაზღვრავს, თუმცა, 2008 წლის ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის ფონზე ეს მიზნები არ შეიძლება რეალიზებული იყოს. მთავრობებს შეუძლიათ გადასახადების შემცირება, თუმცა ისინი ვალდებული არიან შემდეგ შესაბამისად შეკვეცონ დანახარჯები და თავიდან აიცილონ გლობალური გავლენა ეკონომიკაზე.

შეზღუდვები ეროვნულ ანგარიშებში: რეკლამით დაფინანსებული სატელევიზიო და ინტერნეტ-მომსახურების მოხმარება

ქვეყნების უმეტესობაში საათების მიხედვით სატელევიზიო მომსახურების მოხმარება საკმაოდ მაღალია. განსაკუთრებით იმ შინამეურნეობებში, სადაც ბავშვები არიან. თუმცა, ეს საკითხი ძალიან სუსტად არის ასახული შინამეურნეობების მოხმარებაში. ეს სტატისტიკა მხოლოდ იმ ხარჯებს გვიჩვენებს, რომელსაც შინამეურნეობები ეწევიან საკაბელო ტელევიზიის მომსახურებისთვის, ან ზოგ ქვეყანაში - საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსებისთვის. შინამეურნეობების მიერ ტელევიზიის „მოხმარება“ არ ასახავს სატელევიზიო სერვისს, რომელიც რეკლამის ხარჯზე ფინანსდება. მართალია, რეკლამის ღირებულება ჩადებულია იმ საქონლისა და მომსახურების ფასში, რომელსაც შინამეურნეობები მოიხმარენ, მაგრამ არა როგორც ტელევიზიის მოხმარებას და არა მოცულობით გამოსახულებაში. ეროვნულ ანგარიშებში კომერციული ტელევიზიები განიხილება მხოლოდ როგორც სარეკლამო მედია (ცინიკოსები ალბათ იტყვიან, რომ ეს მართლაც ასეა...).

სურათი მაშინ რთულდება, როდესაც ზოგიერთი მთავრობა საზოგადოებრივი მაუწყებლობისთვის გადასახადს აწესებს. საფრანგეთი აღნიშნულს განიხილავს როგორც მომსახურების გადასახადს და ის შეაქვს შინამეურნეობების სამომხმარებლო დანახარჯებში. მეორე მხრივ, გაერთიანებულ სამეფოში ეს გადასახადი პირდაპირია და გამოირიცხება შინამეურნეობების მოხმარების დანახარჯებიდან. ისეთ ქვეყნებში,

როგორც საფრანგეთია, რომელიც გადასახადს აწესებს საზოგადოებრივ მაუწყებლობაზე, საინტერესო პარადოქსს ექნება ადგილი, თუ ის გააუქმებს გადასახადს და მას ბიუჯეტიდან დააფინანსებს ან მოახდენს საზოგადოებრივი არხების პრივატიზაციას. შინამეურნეობების მიერ ტელევიზიის მოხმარება და შესაბამისად მშპ-ც შემცირდება მხოლოდ იმის გამო, რომ დაფინანსების წყარო შეიცვალა. თავისუფალი სატელევიზიო მომსახურების ჩაწერის პრობლემა ეროვნულ ანგარიშებში მოიხსნება, თუ მოხდება „უფასო“ მომსახურების ღირებულების იმპუტაცია და ის შევა შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების ხარჯებში. თუმცა ეროვნული მოანგარიშები ჯერ ასე შორს არ წასულან იმის მიუხედავად, რომ პრაქტიკული გადაწყვეტა უკვე შემოთავაზებულია (იხ. ჩანართი 28, Vanoli, 2005). თანდათან იზრდება იმ ტიპის უფასო მომსახურება შინამეურნეობებისთვის, რომელიც არსებითად რეკლამით ფინანსდება და ის მნიშვნელოვნად ფართოვდება ინტერნეტის მომსახურების ფორმით (გუგლი, ფეისბუკი, ვიკიპედია და ა.შ.)! ზოგიერთი ეკონომისტის გამოთვლებით, ამით მილიონები აკლდება საბოლოო მოხმარების გაზომვას და შესაბამისად, მშპ-საც.

მონაცემთა წყაროები: როგორ მიიღება ციფრები?

ისევე როგორც სხვა თავებში, აქაც საფრანგეთის მაგალითს მოვიშველიებთ საბოლოო გამოყენებისათვის მონაცემთა წყაროებისა და მეთოდების დასახასიათებლად. დავიწყებთ შედარებით იოლი შემთხვევებით და შემდეგ გადავალთ უფრო რთულზე. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკისთვის (საბაჟო) და საგადამხდელო ბალანსისთვის (საფრანგეთის ცენტრალური ბანკი) საჭიროა ინფორმაცია არა მხოლოდ საქონლის, არამედ მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის შესახებ. გარდა ტრადიციული ფუნქციისა, რომ გაეკონტროლებინა საზღვარზე ყოველგვარი საქონლის გადაადგილება, საბაჟოს შესანიშნავი ინფორმაცია გააჩნდა ეროვნული ანგარიშებისთვის. თუმცა, ერთიანი ევროპული ბაზრის ჩამოყალიბებამ 1993 წელს გააუქმა დეკლარაციების შევსება ევროპის შიგა ნაკადებზე.

ამის მაგივრად, ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნების საბაჟოები კვაზი-ამომწურავ კვლევას ატარებენ. ევროპის დონეზე მნიშვნელოვან „ასიმეტრიას“ აქვს ადგილი, რადგან ექსპორტის ჩანაწერი ახლა თითქმის 2.5%-ით მაღალია იმპორტზე. ეს შეიძლება იმის გამო მომხდარიყო, რომ ზოგიერთი ქვეყანა გადაჭარბებით აფასებს ექსპორტს ან ამცირებს იმპორტს. ზოგიერთი მიმომხილველის აზრით, შეიძლება ადგილი ჰქონოდა ექსპორტის გაყალბებას (საექსპორტო დეკლარაციების გადამეტებული შეფასება იმასთან დაკავშირებით, რომ ექსპორტი არ იბეგრება დღ-თი). მიუხედავად წარმოშობილი ეჭვებისა, ეროვნული მოანგარიშები ამ წყაროს

ეყრდნობიან, რადგან დღეისათვის სხვა არ არსებობს და მიუხედავად ნაკლოვანებებისა, ის მაინც საუკეთესო წყაროდ რჩება ეროვნული ანგარიშებისთვის.

21-ე საუკუნის პირველ დეკადაში საგადამხდელი ბალანსის მონაცემები, რომელიც მოიცავს ყველა ტრანსაქციას დანარჩენ მსოფლიოსთან, მიიღებოდა კომერციული ბანკებიდან და უმსხვილესი სამრეწველო ფირმებიდან. აღნიშნული გზით თითქმის ამომწურავი ინფორმაციის მიღება იყო შესაძლებელი. ამ მონეტარული ნაკადების დახარისხება საშუალებას იძლეოდა მიეღოთ ამომწურავი ინფორმაცია მომსახურების შესყიდვებისა და გაყიდვების შესახებ, კერძოდ ტრანსპორტისა და დაზღვევის მხრივ. მიმდინარე ეტაპზე ევროკავშირის ქვეყნებში ეს სისტემა, რომელიც ნაღდ ანაგარიშსწორებაზე იყო აგებული, შეიცვალა რეზიდენტების პირდაპირი გამოკითხვით, რომლებსაც ტრანსაქციები აქვთ დანარჩენ მსოფლიოსთან.

საფრანგეთის ცენტრალური ბანკი ანგარიშობს აგრეთვე ტურისტულ ბალანსსაც, ანუ რამდენს ხარჯავენ უცხოელი ტურისტები საფრანგეთში და ფრანგები საზღვარგარეთ. თუმცა, ამ შემთხვევაშიც გარკვეულ დესტაბილიზაციას აქვს ადგილი, რადგან ბანკები უკვე აღარ წარადგენენ დეკლარაციებს შიდა ევროპული ნაკადების შესახებ და ევროს შემოტანამ გააუქმა ერთ-ერთი წყარო ტურისტული ბალანსის შესადგენად, სახელდობრ, უცხოური ვალუტის ფრანკით შეძენის სტატისტიკა და პირიქით. საბაჟოს მსგავსად, საფრანგეთის ცენტრალური ბანკიც ატარებს კვლევებს, რათა არ მოხდეს მონაცემების წყვეტა, რომელსაც დაეყრდნობიან ეროვნული მონაგარიშეები. ამასთან, ისინი სხვა წყაროებსაც იყენებენ, სადაც ეს შესაძლებელია.

როგორც ჩანს, სულ უფრო გამწვანდება ეროვნული ანგარიშების შედგენა ევროპაში, რადგან ის სულ უფრო უნიფიცირებული და მულტინაციონალური ხდება. ერთ დღეს შეიძლება თოთოეული ევროპული ქვეყნის ეროვნული ანგარიშები გაერთიანებული ევროპის რეგიონული ანგარიშები გახდეს. მაგრამ ამ დღემდე ჯერ დიდი დროა. ამასობაში გაგრძელდება მიმდინარე ანგარიშების გამოქვეყნება სავარაუდოდ ხარისხის გაუარესების ხარჯზე, კერძოდ კი - ტრანსაქციების ნაწილში დანარჩენ მსოფლიოსთან.

სახელმწიფო მართვის ორგანოების მოხმარების დანახარჯები სამთავრობო ანგარიშების საფუძველზე დგება. ეს ანგარიშები საკმაოდ სრული და მაღალი ხარისხისაა (იხ. თავი 9). ისინი კარგ ინფორმაციას აწვდიან შრომის ანაზღაურების, ძირითადი კაპიტალის მოხმარებისა და ნატურალური ტრანსფერების შესახებ. სამთავრობო ძირითადი კაპიტალის მოხმარების გაანგარიშება ხდება იმპუტირებული სახით და ცვეთის გაანგარიშების დროს მხედველობაში მიიღება აქტივის სავარაუდო მომსახურების ვადა. ეს რა თქმა უნდა, დაახლოებითი გაანგარიშებაა.

ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირების წყაროა ძირითადი კაპიტალის შემოსვლას მინუს გასვლა, რომელიც საგადასახადო დეკლარაციებშია გაწერილი. როგორც ადრე ვნახეთ, საფრანგეთის სტატისტიკის სამსახურს თითქმის ყველა საგადასახადო დეკლარაციასთან აქვს წვდომა. ამიტომ, ეს კარგი წყაროა. მიუხედავად ამისა, მას შეზღუდვებიც აქვს ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტებზე, როგორცაა პროგრამული უზრუნველყოფა და R&D, რადგან ფირმები არ ითვალისწინებენ ეროვნული ანგარიშების მოთხოვნებს.

იგივე წყარო გამოიყენება მარაგების ცვლილებების გასაზომადაც. თუმცა, „ფონდების გამძირება“ გარკვეულ პრობლემებს ქმნის.

შინამეურნეობების მოხმარების დანახარჯების შემთხვევაში მონაცემთა წყარო უფრო არაპირდაპირია. საქონლის უმეტესობისთვის ათვლის წერტილია საცალო ვაჭრობა, საიდანაც ხდება საწარმოებისთვის განკუთვნილი გაყიდვების გამორიცხვა, რომელიც შუალედურ მოხმარებაში გაითვალისწინება. სხვა პროდუქტებისთვის სხვადასხვა კორპორაციებისა და სამთავრობო წყაროებს იყენებენ, როგორცაა ავტომობილების რეგისტრაცია, საგადასახადო მონაცემები ალკოჰოლისა და თამბაქოს გაყიდვებზე, სახელმწიფო ენერგეტიკული კომპანიების გაყიდვები და სატრანსპორტო კომპანიების გაყიდვები. შედარებით ნაკლები გამოიყენება აქვს სტატისტიკის სამსახურის მიერ ჩატარებულ შინამეურნეობების საბიუჯეტო კვლევებს. როგორც სხვა ევროპულ ქვეყნებში, სტატისტიკურ სამსახურსაც საფრანგეთშიმიეცა დავალება, რომ შეემცირებინა შერჩევის ზომა და კვლევების სიხშირე, რადგან ძალიან ძვირი ჯდება და რესპონდენტი შინამეურნეობების მიერ არ იყო კარგად მიღებული.

ამ უამრავი წყაროდან მიღებული ინფორმაციის ერთმანეთთან შეჯერება ხდება რესურსებისა და გამოყენების ცხრილებში, რომელსაც შესაბამისობაში მოჰყავს საქონლისა და მომსახურების მთლიანი მიწოდება მათ საბოლოო და შუალედურ გამოყენებასთან. ამ შეფასების მექანიზმი აღწერილია მე-10 თავში.

მე-5 თავის სავარჯიშოები

სავარჯიშო 1. საბოლოო გამოყენების ფიზიკური მოცულობა (ამ სავარჯიშოში გამოყენებულია მე-2 თავიდან მიღებული ცოდნა)

ამ ცხრილში მოტანილია მე-5 თავის 5.1 ცხრილის ფრანგული ვერსია მლრდ ევროებში, მიმდინარე ფასებში. მეორე ცხრილში ნაჩვენებია შესაბამისი ფასების ინდექსები. რატომ ენიჭება მატების ანალიზში უპირატესობა მოცულობის ანგარიშებს მიმდინარე ფასებთან შედარებით?

ამ ორი ცხრილის საფუძველზე გამოთვალეთ საბოლოო გამოყენების ცხრილი ფიზიკური მოცულობით 2005 წლის ფასებში. მშპ-ის ფიზიკური მოცულობები 2005 და 2006 წლებში საბოლოო გამოყენების მოცულობის ტოლია 2005 და 2006 წლებში, მაგრამ რატომ არ ემთხვევა ისინი 2007 წელს?

ამ სავარჯიშოს ბოლოს დავუშვათ, რომ მოცულობები ადიტიურია. ამ დაშვების გათვალისწინებით გამოთვალეთ შიდა მოთხოვნა და გარე მოთხოვნა. გამოთვალეთ შიდა მოთხოვნისა და გარე მოთხოვნის წვლილი მშპ-ის მატებაში 2006 და 2007 წლებში.

საბოლოო გამოყენება, მლრდ ევროებში, მიმდინარე ფასებში

		2005	2006	2007
P31S14	შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების ხარჯები	57.7	60.0	63.2
		1.4	2.0	2.4
P31S15	შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების საბოლოო მოხმარების ხარჯები	21.9	19.6	18.3
P3S13	სახელმწიფო მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარების ხარჯები	19.2	20.4	17.4
P51				
P52	მარაგების ცვლილება	-1.1	-0.3	0.5
P53	ფასულობის შექმნა, წმინდა	0.0	0.0	0.0
P6	საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	27.1	24.2	27.3
P7	საქონლისა და მომსახურების იმპორტი	-24.7	-25.9	-29.2
DB1_GE	სტატისტიკური განსხვავება	0.0	0.0	0.0
B1_GE	მთლიანი შიდა პროდუქტი (დანახარჯების მეთოდი)	100.0	100.0	100.0

საბოლოო გამოყენების ფასების ინდექსები (2005 = 100)

		2005	2006	2007
P31S14	შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების ხარჯები	100.00	60.0	63.2
		100.00	2.0	2.4
P31S15	შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების საბოლოო მოხმარების ხარჯები	100.00	19.6	18.3
P3S13	სახელმწიფო მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარების ხარჯები	100.00	20.4	17.4
P51	ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	100.00	-0.3	0.5
P52	მარაგების ცვლილება	100.00	0.0	0.0
P53	ფასეულობის შექმნა, წმინდა	100.00	24.2	27.3
P6	საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	100.00	-25.9	-29.2
P7	საქონლისა და მომსახურების იმპორტი	100.00	0.0	0.0
DB1_GE	სტატისტიკური განსხვავება	100.00	100.0	100.0
B1_GE	მთლიანი შიდა პროდუქტი (დანახარჯების მეთოდი)	100.00	100.0	100.0

სავარჯიშო 2. სწორია, მცდარია ან შეარჩიეთ ჩამონათვალიდან

- ა) რომელი შედის შინამეურნეობის მოხმარების დანახარჯებში: სამთავრობო მოსაკრებელი საზოგადოებრივი მაუწყებლის მომსახურებისთვის; საცხოვრებლის შექმნა; სესხის პროცენტის გადახდა; პარკინგის გადასახადი; მართვის მოწმობის გადასახადი?
- ბ) ფერმერი ყოველწლიურად აწარმოებს 300 ლიტრ ღვინოს. ის ყიდის მეზობლებზე 160 ლიტრს და საკუთარი მოხმარებისთვის იტოვებს 140 ლიტრს. რომელი ციფრი უნდა შევიტანოთ შინამეურნეობის მოხმარებაში: 160 ლიტრი თუ 300 ლიტრი?
- გ) შინამეურნეობების მთლიანი სამომხმარებლო დანახარჯები მოიცავს უცხოელი ტურისტების მოხმარებას საფრანგეთში. სწორია თუ მცდარი?
- დ) შინამეურნეობების რეალური მოხმარება უდრის შინამეურნეობის მოხმარების დანახარჯებს დამატებული სახელმწიფო მართვის ორგანოების მოხმარების დანახარჯები. სწორია თუ მცდარი?
- ე) სახელმწიფო მართვის ორგანოების რეალური მოხმარება მისი კოლექტიური მოხმარების დანახარჯების ტოლია. სწორია თუ მცდარი?
- ვ) დანახარჯების ჩამოთვლილი მუხლებიდან რომელია „კოლექტიური“ და რომელი „ინდივიდუალური“: დაწყებითი განათლება; სამედიცინო გამოკვლევა; წამლების საფასურის ანაზღაურება; პოლიცია და სახანძრო დაცვა; საოპერაციო ხარჯები და

საპენსიო ფონდები; უფასო კონცერტების ღირებულება მუნიციპალურ პარკებში; გაერო-ს ჯარებში ქვეყნის საჯარისო ფორმირებების სამსახურის ხარჯები.

ზ) ძირითადი კაპიტალის ფორმირებიდან გამოირიცხება სატრანსპორტო მოწყობილობები და ცოცხალი პირუტყვი. სწორია თუ მცდარი?

სავარჯიშო 3. მარაგების ცვლილების შეფასება გამვირების გამორიცხვით

ცხრილის პირველ სტრიქონში წარმოდგენილია მარაგების ფასები თითოეული ქვე-პერიოდის მანძილზე. შემდეგ სტრიქონებში რაოდენობებია. შეავსეთ ფერადი უჯრები და გაითვალისწინეთ, რომ *სწორი მეთოდი* შედგება მარაგების მატების, ამოღების და მარაგების ფასისგან შესაბამისი პერიოდის განმავლობაში. *დაახლოებითი მეთოდი* შედგება საშუალო ფასის გამოყენებისგან ქვე-პერიოდების განმავლობაში და ამ ფასის გამოყენებისგან მარაგების რაოდენობების ცვლილებაში. *არასწორი მეთოდი* შედგება პერიოდის ბოლოსა და დასაწყისს შორის ღირებულებების სხვაობის გაანგარიშებისგან. გააკეთეთ კომენტარი ამ სხვაობებთან დაკავშირებით. გამოთვალეთ „ფონდების გამვირება“.

ქვე-პერიოდი	1	2	3	4	5	6
ფასი	4	5	5	7	6	9
რაოდენობები						
მარაგი ქვე-პერიოდის დასაწყისში	10					
მარაგების მატება ქვე-პერიოდის განმავლობაში(+)	3			1	6	3
მარაგების ამოღება ქვე-პერიოდის განმავლობაში(-)		2	7		4	
მარაგი ქვე-პერიოდის ბოლოს						
მატების ღირებულება (ფასი×რაოდენობა)						
ამოღების ღირებულება (ფასი×რაოდენობა)						
საშუალო ფასი ქვე-პერიოდების განმავლობაში						
არასწორი მეთოდი						
ა) მარაგის ღირებულება პერიოდის დასაწყისში მიმდინარე ფასებში:						
ბ) მარაგის ღირებულება პერიოდის ბოლოს მიმდინარე ფასებში:						
გ) სხვაობა (ბ) – (ა), მარაგის გამვირების ჩათვლით:						
სწორი მეთოდი						
ა) მატების მთლიანი ღირებულება:						
ბ) ამოღების მთლიანი ღირებულება:						
გ) მარაგების ცვლილების სწორი გაზომვა (მარაგების გამვირების						

გამორიცხვით):



დაახლოებითი მეთოდი

ა) რაოდენობა პერიოდის დასაწყისში:



ბ) რაოდენობა პერიოდის ბოლოს:



გ) მარაგების ცვლილების დაახლოებით გაზომვა (მარაგების გამვირების გამორიცხვით)



სავარჯიშო 4. ვაჭრობის პირობები

გამოიყენეთ შემდეგი ცხრილები (მოცემულია საფრანგეთის იმპორტი და ექსპორტი საქონლითა და მომსახურებით მიმდინარე ფასებში, ფიზიკურ გამოსახულებაში) და შეასრულეთ შემდეგი დავალებები:

ა) გაიანგარიშეთ ექსპორტის ფასის ინდექსი 2005-12 წლებისთვის.

ბ) გაიანგარიშეთ იმპორტის ფასის ინდექსი 2005-12 წლებისთვის.

გ) ამ მონაცემების საფუძველზე გამოთვალეთ ვაჭრობის პირობები ამ პერიოდისთვის.

იმპორტი და ექსპორტი მიმდინარე ფასებში
მლრდ ევროებში

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
იმპორტი	463.8	504.7	535.9	561.7	475.1	538.3	597.6	602.6
ექსპორტი	452.9	485.9	506.7	521.0	440.7	494.5	538.3	557.6

იმპორტისა და ექსპორტის ფიზიკური მოცულობა
მლრდ ევროებში

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
იმპორტი	463.8	487.2	514.0	518.7	468.7	510.5	536.7	531.0
ექსპორტი	452.9	476.3	487.5	485.9	427.1	467.6	492.8	504.6

წყარო: Insee Databases (2013): Statistical indices and series: Macroeconomic Database: NationalAccounts http://www.bdm.insee.fr/bdm2/index?request_locale=en.

ამ სავარჯიშოების ამოხსნები შეგიძლიათ იხილოთ

მისამართზე: <http://dx.doi.org/10.1787/9789264214637-23-en>

თავი 6

შინამეურნეობების ანგარიში

ამ თავში განსაზღვრულია შინამეურნეობების ანგარიშის სამი საკვანძო ინდიკატორი: შინამეურნეობების ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე, შინამეურნეობების განკარგვადი შემოსავალი და დანაზოგი. შემდეგ ვნახავთ, თუ როგორ ხდება ამ ინდიკატორების იდენტიფიცირება და პრეზენტაცია შინამეურნეობების სექტორის ანგარიშებში. ბოლოს, ამ თავში განხილულია შინამეურნეობების განკარგვადი შემოსავლისა და მოხმარების გაზომვის ალტერნატიული გზა, რომელიც შემოთავაზებულია ეას 2008-ში.

შინამეურნეობა არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც კოლექტიურ პასუხისმგებლობას იღებს გამოკვებასა და ერთ ჭერქვეშ ცხოვრებაზე. შინამეურნეობაში შეიძლება ცხოვრობდეს ერთი, ორი ან მეტი ადამიანი და ისინი ძირითადად ნათესაური ნიშნით არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. თუმცა, არის აგრეთვე „ინსტიტუციური“ შინამეურნეობებიც, როგორცაა ერთ ბარაკში ან გემზე მცხოვრები შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები, პატიმრები სატუსალოებში ან ბერები მონასტრებში. ეროვნულ ანგარიშებში არ ხდება ამ კატეგორიების განსხვავება და ყველა ისინი გაერთიანებულია „შინამეურნეობების სექტორში“, რომლის კოდია S14. პრაქტიკულად, შინამეურნეობების სექტორის ძირითად მასას ოჯახები შეადგენენ. ეროვნულ ანგარიშებში წარმოდგენილ სხვა სექტორებს - *კორპორაციებს, სახელმწიფო მართვის ორგანოებსა და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციულ ორგანიზაციებს (შმაკო)* მხოლოდ ერთი მიზანი აქვთ - სახელდობრ, საქონლისა და მომსახურების წარმოება. შინამეურნეობების შემთხვევაში საქმე უფრო რთულადაა. თუ შინამეურნეობების წევრები დასაქმებული არიან, მიღებული შემოსავლებით ისინი ყოველდღიურად იძენენ საქონელსა და მომსახურებას, ან ინვესტიციებს დებენ ფინანსურ აქტივებში. ამასთან, ხშირად შინამეურნეობის წევრებს საოჯახო ბიზნესიც აქვთ, როგორცაა კაფე, მაღაზია, ტაქსებით მომსახურების ფირმა ან ფერმა. ეს საქმიანობები ეროვნულ ანგარიშებში აღწერილია ტერმინით *არაკორპორირებული საწარმოები*; მათ არ ჰყავთ აქციონერები და მათი პასუხისმგებლობა არ არის შეზღუდული დეფოლტის შემთხვევაში (იხ. თავი 7 ბიზნეს სექტორის შესახებ). შინამეურნეობები აწარმოებენ საბინაო მომსახურებასაც (რეალური ან იმპუტირებული).

აქედან გამომდინარე, შინამეურნეობების ანგარიშებში ორი ძირითადი ფუნქციაა წარმოდგენილი: ერთი მხრივ, საქონლისა და მომსახურების გამოშვება და მეორე მხრივ, შემოსავლის გადანაწილება მოხმარებასა და დაზოგვას შორის. ნაწილობრივ, სტატისტიკური მიზნებით არ ხდება ამ ორი ფუნქციის განსხვავება. ზოგადად, შესაძლებელია ტრანსაქციების (რომელიც ეხება წარმოებას, შუალედურ მოხმარებას, შრომის ანაზღაურებას და გადასახადებს წარმოებაზე) განცალკევება „წმინდა“ შინამეურნეობასა და არაკორპორირებულ საწარმოებს შორის. ცალკეულ ქვეყნებში (საფრანგეთი, აშშ) ქვეყნდება არაკორპორირებული საწარმოების ნაწილობრივი ანგარიშები. თუმცა, პრაქტიკულად შეუძლებელია სრული ანგარიშების წარდგენა „წმინდა“ შინამეურნეობებისა და არაკორპორირებული საწარმოების მიხედვით.

ეთგო-ს ზოგიერთი ქვეყანა ერთად აქვეყნებს შინამეურნეობებისა და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების (შმაკო) ანგარიშებს. აღნიშნულის არგუმენტად გამოყენებულია ის ფაქტი, რომ შმაკოების

დიდი ნაწილი შინამეურნეობების მიერაა დაფინანსებული და რადგან მათი მიზანი შინამეურნეობების მომსახურებაა, ამიტომ მათი ანგარიშები ასიმილირებული უნდა იყოს შინამეურნეობების ანგარიშებთან. მეტიც, შმაკოების სექტორი ძალიან მცირეა, ამიტომ მათი ჩართვა შინამეურნეობების ანგარიშებში დიდ გავლენას არ ახდენს საბოლოო შედეგზე. და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ანგარიშების რეკომენდაციით შმაკოების სექტორის ანგარიშები ცალკე უნდა გაკეთდეს, პრაქტიკაში, იმ მომხმარებლებს, რომელთაც სურთ საერთაშორისო შედარებების გაკეთება, უფრო ხშირად უწევთ „შინამეურნეობები + შმაკოები“-ს ანუ S14 + S15-ის შედარება, ვიდრე ცალკე აღებული S14 სექტორისა.

ეკონომისტებისთვის შინამეურნეობების, როგორც „მომხმარებლის“ ფუნქციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. *შინამეურნეობების ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე* პირდაპირ და დაუყოვნებელ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. თვით შინამეურნეობების მოხმარება *შინამეურნეობების განკარგვად შემოსავალსა* და მის გადანაწილებაზეა დამოკიდებული მოხმარებასა და *დაზოგვას* შორის. დახრილი შრიფტით მოტანილი ტერმინოლოგია ასახავს შინამეურნეობების ანგარიშის სამ საკვანძო ინდიკატორს, რომელსაც ამ თავში განვიხილავთ.

1. შინამეურნეობების ანგარიშის სამი საკვანძო ინდიკატორი

ცხრილში 6.1 ნაჩვენებია დანახარჯების პროცენტული ხვედრითი წილები იაპონიის მშპ-ში: *შინამეურნეობების ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე; სახელმწიფო მართვის ორგანოების ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე; მთლიანი კაპიტალის ფორმირება* და ბოლოს, *ექსპორტი*. მშპ-ის ზრდა ან კლება ჩამოთვლილთაგან ერთი ან სხვა დანარჩენი კომპონენტების ვარიაციის შედეგია. იაპონიის ეკონომიკის ანალიტიკოსები ხშირად წერენ ხოლმე, რომ მატება „მოხდა ექსპორტის ხარჯზე“, „შენელდა“ მოხმარების გამო, ან რომ მასზე გავლენა მოახდინა ან არ მოახდინა ამ ფაქტორების კომბინაციამ. თუმცა, ცხრილიდან აშკარად ჩანს შინამეურნეობების მიერ საბოლოო მოხმარებაზე გაწეული ხარჯების დომინანტური როლი. ეს ხარჯები მშპ-ის 60%-ს შეადგენს, ამიტომ ამ აგრეგატს გადამწყვეტი გავლენა აქვს მშპ-ზე.

ცხადია, იმისათვის რომ გაიზარდოს ან შემცირდეს შინამეურნეობების მოხმარება, მრავალი მიზეზი შეიძლება არსებობდეს. პირველ ყოვლისა, ეს შეიძლება იყოს შემოსავლის ვარიაციები, ან ჰოლდინგური მოგების ან ზარალის რეალიზაცია ფინანსური ან უძრავი ქონების ინვესტიციებში. მიუხედავად ამისა, მოხმარების დონეს განაპირობებს ის, თუ როგორ ხედავს შინამეურნეობა მის ახლო მომავალს: შემოსავლების სავარაუდო ზრდა ან კლება; უმუშევრობის რისკი; ინფლაციური მოლოდინები. სამომხმარებლო ქცევის გავლენამ მშპ-ზე ეკონომისტებს უბიძგა უფრო

ღრმად შეესწავლათ „შინამეურნეობების მორალის“ ინდიკატორები, რომელიც შინამეურნეობების კვლევებიდან მიიღება: აქვთ თუ არა მომავლის იმედი, აპირებენ თუ არა ახლო მომავალში შესყიდვების განხორციელებას და გაუმჯობესდა თუ გაუარესდა უკანასკნელ პერიოდში მათი ფინანსური მდგომარეობა.

ცხრილი 6.1. იაპონია: საბოლოო გამოყენება
მშპ-ის %

კოდი		2010	2011	2012
B1_G	მთლიანი შიდა პროდუქტი (დანახარჯების მეთოდი)	100.0	100.0	100.0
P31S14	შინამეურნეობების ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე	58.0	59.1	59.5
P31S15	შმაკოების ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე	1.2	1.4	1.5
P3S13	სახელმწიფო მართვის ორგანოების ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე	19.7	20.4	20.5
P5	მთლიანი კაპიტალის ფორმირება	19.8	20.0	20.6
P6	საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	15.2	15.1	14.7
P7	(-)საქონლისა და მომსახურების იმპორტი	14.0	16.1	16.6

წყარო: OECD (2013), "Aggregate National Accounts: Gross domestic product", OECD National Accounts Statistics (database), <http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143862>

მეორე მნიშვნელოვანი მუხლია მთლიანი კაპიტალის ფორმირება. მისი უდიდესი ნაწილი პირდაპირ არის დაკავშირებული შინამეურნეობებთან, რადგან შედგება ბინების შესყიდვისგან, რაც შინამეურნეობების GFCF-ია (ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება). ეს ინვესტიცია ნაწილობრივ შინამეურნეობების დანაზოგიდან ფინანსდება.

მეორე საკვანძო ინდიკატორი, შინამეურნეობების დანაზოგი, დიდ ადგილს იკავებს ეთგო-ს ქვეყნების მთლიან დანაზოგში (50%-ზე მეტი). ცხრილში 6.2 ნაჩვენებია შინამეურნეობებისა და შმაკოების დანაზოგების ხვედრითი წილი. ეს პროპორცია ტრადიციულად მაღალი იყო იაპონიაში, თუმცა 2010 წლისთვის დაახლოებით 75%-ს მიაღწია. ეს აღწერს პოსტკრიზისულ სიტუაციას, როდესაც სამთავრობო დეფიციტმა (უარყოფითი დანაზოგი) არნახულ დონეს მიაღწია, ისევე როგორც კორპორაციების მოგებამ (დადებითი დანაზოგი). შინამეურნეობების დანაზოგით შესაძლებელია სხვა სექტორების ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირების დაფინანსება (მანქანა-მოწყობილობები, ქარხნები, სატრანსპორტო საშუალებები, გზები, რკინიგზები, საკომუნიკაციო ქსელი და ა.შ.) და ამავე დროს, ნაწილობრივ საკუთრად შინამეურნეობების GFCF-საც (საცხოვრებლის შექმნა). მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მნიშვნელოვანი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დაფიქსირდა შინამეურნეობების დანაზოგსა და მშპ-ის ზრდას შორის.

ამ მხრივ აშშ გამონაკლისს წარმოადგენს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შინამეურნეობების დანაზოგის დონე შედარებით დაბალი იყო. სამაგიეროდ მაღალი GFCF-ის ხარჯზე მშპ-ის მატება მეტ-ნაკლებად სტაბილური იყო. ამ სიტუაციის ახსნა შეიძლება იმ ფაქტით, რომ აშშ-ის ეკონომიკა უცხოელი ინვესტორებისთვის მიმზიდველი იყო. სხვა სიტყვებით, აშშ-ის ინვესტიციები საზღვარგარეთის შინამეურნეობების მიერ ფინანსდებოდა.

ცხრილი 6.2. იაპონია: შიდა ეკონომიკის წმინდა დანაზოგის დაყოფა სექტორების მიხედვით

%-ულად წმინდა დანაზოგთან მთლიანობაში

		1980	1990	2000	2010
B8N-S1	მთლიანად ეკონომიკა	100.0	100.0	100.0	100.0
B8N-S11_S12	კორპორაციები	28.3	14.7	61.3	504.9
B8N-S13	სახელმწიფო მართვის ორგანოები	10.1	34.8	- 29.0	-479.7
B8N-S14_S15	შინამეურნეობები და შმაკოები	61.5	50.5	67.7	74.8

წყარო: OECD (2013), "Detailed National Accounts: Non-financial accounts by sectors, annual", OECD National Accounts Statistics (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00034-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00034-en).

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143871>

მაკროეკონომიკურ დონეზე დანაზოგი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ის უზრუნველყოფს ოჯახების ფინანსურ უსაფრთხოებას სამუშაოს დაკარგვის ან ავადმყოფობის დროს და ნაწილობრივ ფარავს მოხუცებულობის პენსიასაც. აღნიშნული რისკებისგან თავის დასაზღვევად შექმნილი სოციალური დაცვის სისტემები რთულ ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რადგან ეთგო-ს ქვეყნებში იზრდება ხანდაზმულთა რაოდენობა. უკანასკნელ წლებში ჩატარებული ეკონომიკური კვლევების საფუძველზე ეთგო-ს ეკონომისტები რეკომენდაციას აძლევენ მთავრობებს, რათა შესაბამისი სტიმულირებით საშუალება მისცენ შინამეურნეობებს თვითონ დააფინანსონ პენსიები.

მესამე საკვანძო ინდიკატორი, **შინამეურნეობების განკარგვადი შემოსავალი**, წარმოადგენს შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების ხარჯებისა და დანაზოგის ჯამს. როგორც ვნახეთ, ამ ორი კომპონენტის ზრდა სასურველია რამდენიმე მიზეზის გამო: შინამეურნეობების ხარჯების ზრდა საბოლოო მოხმარებაზე ასტიმულირებს მშპ-ის ზრდას, ხოლო დანაზოგის ზრდა - ინვესტიციების ნაწილობრივ დაფინანსებას და ამავე დროს უმსუბუქებს ტვირთს სოციალური დაცვის სისტემებს.

ცხადია, ამ შედეგის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ შინამეურნეობების შემოსავლების მატებით, ხოლო ეს მატება დიდწილად ეკონომიკური შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენების ფუნქციაა.

2. შინამეურნეობების სექტორის ანგარიშები

ზემოთ განხილული სამივე ინდიკატორი გვხვდება შინამეურნეობების სექტორის ანგარიშებში. მნიშვნელოვანია დავიმახსოვროთ, რომ აქედან დაწყებული, ყველა ეს ანგარიში და ეს ინდიკატორები მიმდინარე ფასებში იქნება გამოსახული და არა ფიზიკური მოცულობით.

შინამეურნეობების ანგარიშები იყოფა „არაფინანსურ“ და „ფინანსურ“ ანგარიშებად. ფინანსური ანგარიშები განხილულია მე-8 თავში. ამ ეტაპზე, განვიხილოთ არაფინანსური ანგარიშები, დაწყებული წარმოების ანგარიშით და დამთავრებული კაპიტალის ანგარიშით. ჩვენს მიერ განხილულ ანგარიშებს T-ანგარიშის ფორმა აქვს. ფაქტობრივად, შინამეურნეობების უმეტესობა შემოსავლებსა და ხარჯებს ასე იწერს:

ხარჯები	შემოსავალი
1	ა)
2	ბ)
3., და ა.შ.	გ) და ა.შ.

ეროვნულ ანგარიშებში შემოსავლები ცნობილია როგორც „რესურსები“ და ჩაიწერება მარჯვენა სვეტში. ხარჯები ცნობილია როგორც „გამოყენება“ და ჩაიწერება მარცხენა სვეტში. გამოყენების სვეტის ბოლო მუხლია „დამაბალანსებელი მუხლი“. ამ მუხლით ხდება გამოყენებისა და რესურსების დაბალანსება. სხვადასხვა ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლები (დამატებული ღირებულება, საოპერაციო მოგება, განკარგვადი შემოსავალი, დანაზოგი და წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება) ეკონომიკური ანალიზისთვის მნიშვნელოვან აგრეგატებს წარმოადგენს. აქ განხილული ანგარიშების დამაბალანსებელი მუხლები მუქი შრიფტით არის წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ თითოეული დამაბალანსებელი მუხლის სრული გაგებისთვის აუცილებელია წინა ანგარიშების შემოწმება. მაგალითად, იმისათვის, რომ პასუხი გავცეთ კითხვას „რა არის შინამეურნეობების დანაზოგი?“ აუცილებელია ვნახოთ იმ მუხლების მწკრივი, რომლებიც დაემატა ან გამოაკლდა წინა ანგარიშების საწყის მუხლებს. აღნიშნული უფრო ნათელი გახდება, თუ თანმიმდევრობით მივყვებით შინამეურნეობების სექტორის ანგარიშებს.

სხვადასხვა მუხლის მნიშვნელოვნების გასაგებად ავირჩიეთ იტალიის შინამეურნეობების ანგარიშები 2012 წლისთვის (მლდ ევროებში, მიმდინარე ფასებში). ცხრილში მოცემულია თითოეული ტრანსაქციის კოდი (მაგ. გამოშვების კოდია P1). ეს კოდები გამოიყენება საერთაშორისო ცნობარებში (ეას 2008 და აეს 2010).

კოდის საწყისი ასო ემთხვევა ტერმინების დასაწყისს ევროკავშირის სასაუბრო ენაზე (ინგლისური): „P“ გვიჩვენებს პროდუქციას, „D“ გადანაწილების ტრანსაქციებს; „F“ ფინანსურ ტრანსაქციებს; „B“ დამაბალანსებელ მუხლებს და „K“ (გერმანული სიტყვიდან “Kapital”) გვიჩვენებს კაპიტალის დაგროვების მუხლებს. ეს მოკლე და ზუსტად განსაზღვრული კოდები ძალიან სასარგებლოა.

წარმოების ანგარიში

ანგარიშებს შორის პირველია წარმოების ანგარიში. ეს ძალიან მოკლე ანგარიში სამი მუხლისგან შედგება: გამოშვება, შუალედური მოხმარება და პირველი დამაბალანსებელი მუხლი, მთლიანი დამატებული ღირებულება, რომელიც წინა ორი მუხლის სხვაობას წარმოადგენს. პირველ ცხრილში ქვემოთ, შინამეურნეობები და შმაკოები ერთად არის დაჯგუფებული იმის დასადასტურებლად, რომ ცალკეული ქვეყნები აგრეგირებულად წარმოადგენენ ამ ორი სექტორის ანგარიშებს. მცირე ცვლილება გამოიხატება „წმინდა დამატებული ღირებულების“ ჩართვაში, რომელიც ტოლია მთლიან დამატებულ ღირებულებას მინუს ძირითადი კაპიტალის მოხმარება.

ცხრილი 6.3. იტალია: შინამეურნეობებისა და შმაკოების(S14 + S15) წარმოების ანგარიში

მლრდ ევროებში, 2012

გამოყენება		რესურსები	
P2. შუალედური მოხმარება	136.6	P1. გამოშვება	543.7
B1G. მთლიანი დამატებული ღირებულება	407.1		
K1. ძირითადი კაპიტალის მოხმარება	89.6		
B1N. წმინდა დამატებული ღირებულება	317.5		

წყარო: I.stat Statistics (2013): National Accounts: Annual sector accounts, http://dati.istat.it/Index.aspx?DataSetCode=DCGN_SEOCONTIASA&Lang=

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143886>

თუ გამოვრიცხავთ შმაკოებს და მხოლოდ შინამეურნეობების (S14) წარმოების ანგარიშს შევხედავთ, ვნახავთ, რომ შმაკოების წილი მართლაც ძალიან მცირეა და აქ შეიძლება მისი იგნორირება.

ცხრილი 6.4. იტალია: შინამეურნეობების (S14) წარმოების ანგარიში
მლრდ ევროებში, 2012

გამოყენება		რესურსები	
P2. შუალედური მოხმარება	133.4	P1. გამოშვება	536.2
B1G. მთლიანი დამატებული ღირებულება	402.9		
K1. ძირითადი კაპიტალის მოხმარება	89.3		
B1N. წმინდა დამატებული ღირებულება	313.6		

წყარო: I.stat Statistics (2013): National Accounts: Annual sector accounts, [http://dati.istat.it/Index.aspx?DataSetCode=DCCN_SEQCONTIASA&Lang=.](http://dati.istat.it/Index.aspx?DataSetCode=DCCN_SEQCONTIASA&Lang=)

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143896>

შინამეურნეობების წარმოების ანგარიშში ასახულია არაკორპორირებული საწარმოების საქმიანობები: ფერმები, საცალო მაღაზიები, ტაქსი, სილამაზის სალონები და ა.შ. თუმცა აქ აგრეთვე შედის შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისთვის წარმოებული საქონელი და საცხოვრებლის მომსახურება მათთვის, ვინც ქირაობს საცხოვრისს და მათთვის, ვისი საკუთრებაც არის ის. შესაბამისად, მარჯვენე ნაჩვენებ *გამოშვებაში* ასახულია ბინათმფლობელების იმპუტირებული რენტა, ხოლო მარცხნივ, შუალედურ მოხმარებაში (არაკორპორირებული მეწარმეების შუალედურ მოხმარებასთან ერთად) ის დანახარჯები, რასაც ბინათმფლობელები ეწევიან ბინების კარგ მდგომარეობაში შენარჩუნებისთვის.

შემოსავლების ფორმირების ანგარიში

შემდეგი ანგარიშია *შემოსავლების ფორმირების ანგარიში*, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ნაწილდება დამატებული ღირებულება შრომის ანაზღაურებასა და წარმოების კაპიტალურ ფაქტორებს შორის.

ეს ანგარიში იწყება რესურსების მხარეზე წინა ანგარიშიდან გადმოსული დამაბალანსებელი მუხლით - წმინდა დამატებული ღირებულება.

ცხრილი 6.5. იტალია: შინამეურნეობების (S14) შემოსავლების ფორმირების ანგარიში

მლრდ ევროებში, 2012

გამოყენება		რესურსები
		B1N.წმინდა დამატებული ღირებულება 313.6
D1.	შრომის ანაზღაურება	50.1
	D11. ხელფასი	40.9
	D12. სოციალური ანარიცხები	9.2
D2.	გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე	20.7
D3.	(-) სუბსიდიები	3.8
B2N.	საოპერაციო მოგება, წმინდა	72.9
B3N.	შერეული შემოსავალი, წმინდა	173.7

წყარო: I.stat Statistics (2013): National Accounts: Annual sector accounts, [http://dati.istat.it/Index.aspx?DataSetCode=DCCN_SEQCONTIASA&Lang=.](http://dati.istat.it/Index.aspx?DataSetCode=DCCN_SEQCONTIASA&Lang=)

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143907>

გამოყენების სვეტში ორი მთავარი მუხლია: „შრომის ანაზღაურება“ და „წმინდა გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე“. როდესაც ეს მუხლები გამოაკლდება წმინდა დამატებულ ღირებულებას, მივიღებთ ორ დამაბალანსებელ მუხლს, კერძოდ, წმინდა საოპერაციო მოგებას და წმინდა შერეულ შემოსავალს.

ამ შემთხვევაში შრომის ანაზღაურება ფარავს მხოლოდ არაკორპორირებული საწარმოების მომუშავეებს. შრომის ანაზღაურება შედგება ხელფასებისგან ნაღდ ვალუტაში, ნატურალური ანაზღაურებისგან (მაგალითად, უფასო ბინა) და არაკორპორირებული მეწარმის მიერ თავისი მომუშავეების სახელით გადახდილი სოციალური ანარიცხებისგან. აქედან ჩანს, რომ შრომის ანაზღაურება მხოლოდ ხელფასი კი არა, არამედ სამუშაო ძალის მთლიანი ღირებულებაა.

მუხლი წმინდა გადასახადები წარმოებაზე შედგება გადასახადებისგან წარმოების ფაქტორების (შრომა და კაპიტალი) ფლობასა ან გამოყენებაზე. მაგალითად, ბინათმფლობელის მიერ ქონებაზე გადახდილი გადასახადი. სიტყვა „წმინდა“ ნიშნავს, რომ გადასახადებიდან გამოირიცხება სუბსიდიები წარმოებაზე. სუბსიდიები გამოიწვევდა დამაბალანსებელი მუხლების, შერეული შემოსავლისა და საოპერაციო მოგების გადიდებას. შინამეურნეობების შემოსავლების ფორმირების ანგარიშში სუბსიდიები ძირითადად ფერმერებზე გამოიყოფა.

ფინანსური და არაფინანსური კორპორაციების სექტორებისთვის დამაბალანსებელი მუხლი ამ ანგარიშში მხოლოდ წმინდა საოპერაციო მოგებაა, რომელიც ზომავს წარმოების პროცესში გამოყენებული კაპიტალის ანაზღაურებას, ან სხვა სიტყვებით, ის „მოგების“ ძირითადი საზომია ეროვნულ ანგარიშებში (იხ. თავი 7).

თუმცა, მდგომარეობა უფრო რთულადაა არაკორპორირებული საწარმოების შემთხვევაში, რადგან აქ ხშირად შეუძლებელია ცალ-ცალკე კაპიტალის და შრომის ანაზღაურების გაზომვა. მაგალითად, ავიღოთ საოჯახო საცალო ვაჭრობის ბიზნესი ან

საოჯახო ტაქსების ფირმა. მას შემდეგ, რაც დამატებულ ღირებულებას გამოაკლდება შრომის ანაზღაურება და წმინდა გადასახადები წარმოებაზე, რჩება ინვესტირებული კაპიტალის ანაზღაურება (ამ შემთხვევაში ნაგებობები, მოწყობლობები და სატრანსპორტო საშუალებები) და ასევე საწარმოს მფლობელისა და მისი ოჯახის წევრების შრომის ანაზღაურება. ფინანსური და არაფინანსური კორპორაციების მფლობელებისგან განსხვავებით, საოჯახო ფირმების მფლობელები არ არიან ვალდებულნი, რომ თავიანთ ბალანსში ასახონ გამოყენებული ძირითადი კაპიტალის ღირებულება, რაც ფაქტობრივად შეუძლებელიცაა. ტაქსის გამოყენება შესაძლებელია როგორც პროფესიული, ასევე საოჯახო საჭიროებებისთვის.

იმის გამო, რომ შეუძლებელია კაპიტალიდან მიღებული შემოსავლისა და შრომიდან მიღებული შემოსავლის განსხვავება, შემოიღეს **შერეული შემოსავლის** ცნება, რომელიც *შემოსავლების ფორმირების ანგარიშის* დამაბალანსებელი მუხლია. ცხრილში, ზემოთ, 173.3 მლრდ ევრო ჩაწერილია, როგორც შერეული შემოსავალი. თუმცა, არის ერთი მუხლი, რომელზეც არავითარი ეჭვი არ გვეპარება, რომ ეს არის შემოსავალი კაპიტალიდან და ამიტომ მისი დამაბალანსებელი მუხლი იქნება **წმინდა საოპერაციო მოგება**. ეს არის იმპუტირებული საქმიანობა, საკუთარ სახლში ცხოვრების მომსახურება, რომლიდან მიღებული საოპერაციო მოგებაც 72.9 მლრდ ევროს ტოლია.

შერეული შემოსავლის შემთხვევაში მაკროეკონომისტები ზოგჯერ ცდილობენ განასხვავონ ერთმანეთისგან წარმოების პროცესში გამოყენებული ხარჯები კაპიტალზე და სამუშაო ძალაზე. ამისთვის სულ მცირე, ორი მეთოდი არსებობს (იხ. რუბრიკა „ჩაულრმავდით: მთლიანი შერეული შემოსავლის ჩაშლა“).

პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში

შემდეგი ანგარიშია *პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში*. სიტყვა „პირველადი“ ნიშნავს, რომ შემოსავლის წარმოქმნა დაკავშირებულია საწარმოო ან მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ პროცესთან. საპირისპიროდ, „მეორადი“ ნიშნავს, რომ შემოსავალი შედგება შინამეურნეობის მიერ გადარიცხული ან მისთვის გადმორიცხული ფულადი ტრანსფერებისგან, რაც არ უკავშირდება საწარმოო პროცესს.

ცხრილი 6.6 იტალია: შინამეურნეობების (S14) პირველადი შემოსავლების ანგარიში
მლრდ ევროებში, 2012

გამოყენება		რესურსები	
D4. შემოსავლები საკუთრებიდან	15.0	B2N. საოპერაციო მოგება, წმინდა	72.9

D41.პროცენტი	10.6	B3N. შერეული შემოსავალი, წმინდა	173.7
D45.რენტა	4.4	D1. შრომის ანაზღაურება	672.6
		D11.ხელფასი	490.8
		D12.მომუშავეთა სოციალური ანარიცხები	181.8
		D4. შემოსავალი საკუთრებიდან	196.8
		D41.პროცენტი	52.1
		D42. კორპორაციების განაწილებული შემოსავალი	124.6
		D43.პუი-ს რეინვესტირებული შემოსავლები	0.0
		D44.სადაზღვევო პოლისის მფლობელების შემოსავლები საკუთრებიდან	17.9
B5N. პირველადი შემოსავლების ბალანსი, წმინდა	1100.9	D45.რენტა	2.1

წყარო: I.stat Statistics (2013): National Accounts: Annual sector accounts, [http://dati.istat.it/Index.aspx?DataSetCode=DCCN_SEQCONTIASA&Lang=.](http://dati.istat.it/Index.aspx?DataSetCode=DCCN_SEQCONTIASA&Lang=)

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143916>

ჩვეულებრივ, დასაწყისისთვის რესურსებში გვაქვს წინა ანგარიშიდან გადმოსული დამაბალანსებელი მუხლი **წმინდა შერეული შემოსავალი/წმინდა საოპერაციო მოგება**.

რესურსებში მომუშავეთა *შრომის ანაზღაურება* ბევრად უფრო ფართო მუხლია, ვიდრე მისი შესაბამისი მუხლი წინა ანგარიშში. ეს იმის გამოა, რომ ამ შემთხვევაში ის მოიცავს არა მხოლოდ არაკორპორირებული საწარმოების მომუშავეთა, არამედ ყველა მომუშავეს მიერ ყველა ფირმაში, სახელმწიფო მართვის ორგანოებსა ან შმაკოებში მიღებულ შრომის ანაზღაურებას. ეს შინამეურნეობების შემოსავლების უდიდესი მუხლია. როგორც ადრე ვნახეთ, მომუშავეთა

შრომის ანაზღაურება მოიცავს სამუშაო ძალაზე გაწეულ ყველა დანახარჯს სოციალური ანარიცხების, მათ შორის „იმპუტირებულის“ ჩათვლით. შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს სოციალური ანარიცხების ასახვა შინამეურნეობების მიერ მიღებულ შემოსავლების რესურსებში. აღნიშნულის ასახვას დაეხმოს იხილეთ რუბრიკა „ჩაუღრმავდით: რეალური და იმპუტირებული სოციალური ანარიცხები“.

მუხლში „პროცენტები“(D41) ასახულია შინამეურნეობების მიერ მიღებული პროცენტები ფინანსური ინვესტიციებიდან. მუხლს D42 შეესაბამება კომპანიების მიერ შინამეურნეობებისთვის გადახდილი დივიდენდები და „ამოღებები კვაზიკორპორაციების შემოსავლებიდან“ (D422). ეს ბოლო მუხლი პრინციპში დარეზერვებულია კვაზიკორპორაციების მფლობელთა გადახდებისთვის. მართალია,

„კვაზიკორპორაციები“ ლეგალური თვალსაზრისით არ არის კორპორაციები (ამიტომ ლეგალური თვალსაზრისით არ იხდიან დივიდენდებს), მაგრამ აქვთ საერთო კორპორაციებთან. ეს მუხლი ძალიან მცირეა, რადგან კვაზიკორპორაციები საკმაოდ ცოტაა. მიუხედავად ამისა, იტალიის ეროვნული ანგარიშები უჩვეულოა, რადგან არაკორპორირებული საწარმოები ხუთზე მეტი დასაქმებულით მიიჩნევა „კვაზიკორპორაციებად“ და ამიტომ კლასიფიცირებულია კორპორაციების სექტორში. მუხლი D422 იტალიის შემთხვევაში მიეკუთვნება მცირე ინდივიდუალური საწარმოების შერეულ შემოსავალს, რომელიც სხვა ქვეყნებში შინამეურნეობების ანგარიშშია კლასიფიცირებული.*

მუხლი D44 შედგება იმპუტირებული პროცენტისგან, რომელსაც შინამეურნეობები იღებენ თავიანთი სიცოცხლის დაზღვევის პოლისებიდან, იმის მიუხედავად (აქციებიდან ან დაზოგვის ანგარიშებისგან განსხვავებით), შეუძლიათ თუ არა პროცენტის თავისუფლად გამოყენება. რუბრიკაში „ჩაურმავდით: დაზღვევა“ ახსნილია სიცოცხლის დაზღვევისა და დაზღვევის სხვა სახეების დეტალები. ბოლოს, მუხლი D45 შედგება მიწიდან ან სასარგებლო წიაღისეულიდან (ქვანახშირის ან რკინის მარაგი) მიღებული რენტისგან. თუ მიწის ან სასარგებლო წიაღისეულის მფლობელები გადაწყვეტენ, რომ ისინი ჩართონ სხვების მიერ განხორციელებულ საწარმოო პროცესში, მაშინ ისინი პირველადი შემოსავლების ბენეფიციარებად განიხილებიან. მეორე მხრივ, თუ ისინი რენტას იღებენ იმისთვის, რომ ვარგის მდგომარეობაში მოიყვანონ საცხოვრებელი (ან სხვა რომელიმე ძირითადი კაპიტალი, როგორცაა პერსონალური საქონელი ან სატრანსპორტო საშუალება), მაშინ ეს განიხილება როგორც მომსახურების შესყიდვა. ამიტომ ისინი ჩართულია წარმოების ანგარიშის გამოშვებაში და არ გამოჩნდება მუხლში D45.

გამოყენების სვეტში შედის მუხლი D4 „შემოსავლები საკუთრებიდან“, რომელსაც შინამეურნეობები იხდიან. აღსანიშნავია, რომ პროცენტის ქვე-მუხლებში შედის როგორც შინამეურნეობების მიერ სამომხმარებლო ან იპოთეკურ სესხზე გადახდილი პროცენტი, ასევე არაკორპორირებული საწარმოების მიერ სესხზე გადახდილი პროცენტი, სახელდობრ, მანქანა-დანადგარების ან ნაგებობების შესყიდვისთვის.

როდესაც რესურსებს აკლდება გამოყენება, შედეგად ვიღებთ შემდეგ დამაბალანსებელ მუხლს: **პირველადი შემოსავლების ბალანსს**. ეს დამაბალანსებელი მუხლი შემდეგ გადადის მეოთხე ანგარიშის რესურსებში, რომელსაც ეწოდება *შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში*.

*ეს სწორია გერმანიის შემთხვევაშიც. მოგების დონეების შესადარისობისთვის იხ. თავი 3.

შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში

შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიშში მრავალი ტრანსფერი გვხვდება, რომლებსაც ადგილი აქვს პირველადი შემოსავლების განაწილების შემდეგ და მათი მიზანია სოციალური უთანაბრობის აღმოფხვრა. ამ ტრანსფერებს მნიშვნელოვანი შედეგი მოაქვს, თუ მთავრობას შემუშავებული აქვს შემოსავლების გადანაწილების გეგმა მდიდარი შინამეურნეობებიდან ღარიბებისკენ. თუმცა, ამ ანგარიშში კერძო ინიციატივებიც აისახება, როგორც არის საქველმოქმედო შემოწირულობები ან იმიგრანტი დასაქმებულების მიერ თავიანთი ოჯახებისთვის გაგზავნილი თანხები.

ამ ანგარიშში ჩაწერილი ყველა ტრანსფერი „მიმდინარე“ („კაპიტალურის“ საპირისპიროდ) იმის გამო, რომ მათი გადახდა შემოსავლებიდან ხდება (და არა კაპიტალიდან) ან იმ მიზეზის გამო, რომ ბენეფიციარები მას განიხილავენ, როგორც მიმდინარე შემოსავლის ნაწილს.

ცხრილი 6.7იტალია: შინამეურნეობების (S14) შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში

მლრდ ევროებში, 2012

გამოყენება		რესურსები	
D5.	მიმდინარე გადასახადები შემოსავალზე, სიმდიდრეზე და ა.შ.	199.7	B5N. პირველადი შემოსავლების ბალანსი, წმინდა 1100.9
D61.	სოციალური ანარიცხები	252.3	D61. სოციალური ანარიცხები 2.5
D6111.	დამსაქმებლის რეალური სოციალური ანარიცხები	167.5	D62. სოციალური შეღავათები გარდა ნატურალური სოციალური ტრანსფერებისა
D6112.	დასაქმებულის სოციალური ანარიცხები	40.4	D7. სხვა მიმდინარე ტრანსფერები 25.9
D6113.	თვითდასაქმებულებისა და დაუსაქმებელი პირების სოციალური ანარიცხები	30.1	D72. არა-სიცოცხლის დაზღვევის პრემიები 17.6
D612.	იმპუტირებული სოციალური ანარიცხები	14.3	D75. სხვადასხვა მიმდინარე ტრანსფერი 8.3
D62.	სოციალური შეღავათები გარდა ნატურალური სოციალური ტრანსფერებისა	1.9	
D7.	სხვა მიმდინარე ტრანსფერები	40.2	
D71.	წმინდა არა-სიცოცხლის დაზღვევის პრემიები	16.7	
D75.	სხვადასხვა მიმდინარე ტრანსფერი	23.4	
=B6N.	განკარგვადი შემოსავალი, წმინდა	980.4	

+ K1.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	89.3
B6G.	განკარგვადი შემოსავალი, მთლიანი	1069.7

წყარო: I.stat Statistics (2013): National Accounts: Annual sector accounts, [http://dati.istat.it/Index.aspx?DataSetCode=DCCN_SEOCONTIASA&Lang=.](http://dati.istat.it/Index.aspx?DataSetCode=DCCN_SEOCONTIASA&Lang=)

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143920>

რესურსების სვეტში მესამე მუხლია D62 *სოციალური შეღავათები გარდა ნატურალური სოციალური ტრანსფერებისა*. ეს არის მიმდინარე სოციალური ტრანსფერები შინამეურნეობებისთვის (ხანდაზმულობის პენსია, უმუშევრობის შემწეობა, შეღავათები ოჯახებისა და დედებისთვის, ბიულეტენის ანაზღაურება). გაითვალისწინეთ, რომ ამ ტრანსფერებში არ შედის არც მედიკამენტებისა და სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება და არც კომუნალური შეღავათები, რადგან ეს არის ნატურალური სოციალური ტრანსფერები და ჩაიწერება სხვა ანგარიშში, როგორც კორექტირებული განკარგვადი შემოსავალის ნაწილი. ამ ბოლო კონცეფციას თავის ბოლოში დავუბრუნდებით.

სოციალური შეღავათები (D62) ორად იყოფა: „სოციალური დაზღვევის შეღავათები“ და „სოციალური დახმარების შეღავათები“. სოციალური დაზღვევის შეღავათების გადახდა ხდება სოციალური დაცვის გეგმებიდან, რომელიც ორგანიზებულია მთავრობის ან კერძო საპენსიო გეგმის მიერ გადახდილი ანარიცხების საწარმოებში. სოციალური დახმარების შეღავათების მიზნებიც დაახლოებით იგივეა, თუმცა მიმღებ პირებს (ბენეფიციარებს) არ აქვთ გადახდილი ანარიცხები და წესით არ არის მათთვის გათვალისწინებული. სოციალური დახმარების შეღავათების მაგალითებია საარსებო შემწეობები ღარიბებისთვის და თავშესაფრის მამიებლებისთვის.

რესურსების სვეტში ბოლო ორი მუხლია *სხვა მიმდინარე ტრანსფერები*. ეს ტრანსფერები ორი სახისაა: უბედური შემთხვევის გამო სადაზღვევო პრეტენზიების წაყენება (ხანძარი, გაქურდვა, საგზაო შემთხვევა და ა.შ.) და სხვადასხვა მიმდინარე ტრანსფერი (საზღვარგარეთ მცხოვრები ნათესავების მიერ ფულის გაგზავნა, შმაკოების გრანტები უნარშეზღუდული და სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის, სამთავრობო დახმარებები წყალდიდობის ან სხვა ბუნებრივი კატასტროფების გამო დაზარალებულებისთვის და სხვ.).

გამოყენების სვეტში პირველი მუხლია *D5 მიმდინარე გადასახადები შემოსავალსა და სიმდიდრეზე*. მიმდინარე გადასახადები შემოსავალზე მოიცავს პერსონალური შემოსავლის გადასახადს და გადასახადს არაკორპორირებული საწარმოების „შერეულ შემოსავალზე“. მიმდინარე გადასახადები სიმდიდრეზე მოიცავს რეგულარულ გადასახადებს (ჩვეულებრივ წლიურად) შინამეურნეობის წმინდა

სიმდიდრეზე (მაგალითად, სოლიდარობის გადასახადი საფრანგეთში). გაითვალისწინეთ, რომ აქ არ შედის გადასახადი მემკვიდრეობის მიღებაზე, რადგან ეს განსაკუთრებული გადასახადია და ის განიხილება კაპიტალურ ტრანსფერად.

შემდეგი მუხლია *სოციალური ანარიცხები*. როგორც ახსნილია ამ თავის ბოლოს რუბრიკაში („ჩაუღრმავდით: რეალური და იმპუტირებული სოციალური ანარიცხები“), ეს მუხლი მოიცავს დამსაქმებლის მიერ დასაქმებულთა სახელით გადახდილ ანარიცხებს სოცულზუნველყოფის ფონდში, თვითონ დასაქმებულების მიერ გადახდილ ანარიცხებს, იმპუტირებულ სოციალურ ანარიცხებს და არაკორპორირებული საწარმოების (იგივე თვითდასაქმებულთა) მესაკუთრეთა მიერ გადახდილ ანარიცხებს.

გამოყენების სვეტში ბოლო მუხლია *სხვა მიმდინარე ტრანსფერები*. წმინდა არა-სიცოცხლის დაზღვევის პრემიები არის არა-სიცოცხლის დაზღვევის პოლისებზე გადახდილ პრემიებს მინუს სადაზღვევო კომპანიის მენეჯმენტის მომსახურების ანაზღაურება (უფრო დეტალურად იხ. ჩანართი „დაზღვევა“ ამ თავის ბოლოს). სხვადასხვა მიმდინარე ტრანსფერი მოიცავს მიგრანტი მომუშავეების მიერ თავიანთი ოჯახებისთვის გაგზავნილ ფინანსურ ტრანსფერებს, შმაკობის საჩუქრებს, პარკინგის გადასახადს და ა.შ.

რესურსებსა და გამოყენებას შორის სხვაობის შედეგად ვიღებთ **წმინდა განკარგვად შემოსავალს (NDI)**. ეს საკვანძო ინდიკატორი გვიჩვენებს, თუ რა სახსრები რჩება შინამეურნეობას მოხმარებისა და დაზოგვისთვის არსებული კაპიტალის შეცვლის შემდეგ. „წმინდა“ იმის გამოა, რომ ის სახსრები, რაც საჭიროა კაპიტალური აქტივების (საცხოვრისები და არაკორპორირებული საწარმოების მოწყობილობები) შესაცვლელად, უკვე გამოკლებულია. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ეკონომისტისთვის უფრო მისაღებია *მთლიანი განკარგვადი შემოსავლის (GDI)* გამოყენება, რომელიც მიიღება წმინდა განკარგვად შემოსავალზე ძირითადი კაპიტალის მოხმარების დამატებით. ამის ერთ-ერთი მიზეზი ფიქსირებული კაპიტალის მოხმარების გაანგარიშებაში არსებული ეჭვებია; კერძოდ, ამ გაანგარიშებების საერთაშორისო შესადარისობა. მეორე მიზეზი არის ის, რომ GDI-ს ანალიზი და კორელაცია საბოლოო მოხმარების მოცულობასთან მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტებით უკეთ არის შესაძლებელი. GDI-ს *მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის* მისაღებად უნდა მოვახდინოთ GDI-ს დეფლაცირება შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების ხარჯების ფასების ინდექსით. თუ GDI-ს მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი იზრდება, ეს ნიშნავს, რომ GDI ინფლაციაზე სწრაფად იზრდება და ამიტომ არის შანსი, რომ შინამეურნეობების მოხმარება გაიზრდება.

ერთი რამ კიდევ უნდა აღინიშნოს NDI-სთან დაკავშირებით: შინამეურნეობების აგრეგირებული შემოსავალი შეიცავს ქვე-მუხლებს, რომლებიც კონკრეტული გამოყენებისთვის არის გამიზნული და არ ექვემდებარება კომპრომისის შინამეურნეობის მოხმარებასა და დაზოგვას შორის. მაგალითად:

- *გამოშვების მუხლი წარმოების ანგარიშში* შეიცავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს და აგრეთვე საკუთარ სახლში ცხოვრების მომსახურების იმპუტირებულ რენტას, რომელიც უკან უბრუნდებათ თვით მწარმოებლებს. შედეგად, ამ აქტივობებიდან მიღებული დამატებული ღირებულება, როგორც შემდგომში განკარგვადი შემოსავლის ნაწილი, განკუთვნილია მხოლოდ მწარმოებელთა მიერ მოხმარებისთვის. ეთგო-ს ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოხმარება თვით მწარმოებლების მიერ უმნიშვნელოა, ხოლო რაც შეეხება იმპუტირებულ რენტას, მისი მასშტაბები მნიშვნელოვანია.
- *პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშში* მომუშავეთა შრომის ანაზღაურების მუხლი მოიცავს ნატურით ანაზღაურებას, თუმცა, ეს შემოსავალი უკვე „დახარჯულია“ მომუშავეთათვის გადახდილი საქონლისა და მომსახურების სახით.
- *პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშში* საკუთრებიდან მიღებული პროცენტის (D41) ნაწილი მოიცავს პოლისის მფლობელების სახელით არასიცოცხლის სადაზღვევო რეზერვებზე იმპუტირებულ პროცენტს, რაც მიჩნეულია სადაზღვევო კომპანიების მიერ გაწეული მომსახურების მოხმარებად.

და ბოლოს, წმინდა განკარგვად შემოსავალთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ კონცეფცია, რომელიც ეროვნულ ანგარიშებში გამოიყენება, განსხვავდება ცალკეული ეკონომისტების მიერ გამოყენებული თეორიული კონცეფციისგან (იხ. რუბრიკა „ჩაულრმავდით: შემოსავალი ეროვნულ ანგარიშებსა და ეკონომიკურ თეორიაში“). კერძოდ, ის არ შეიცავს ჰოლდინგურ მოგებას ან ზარალს აქციებსა ან უძრავ ქონებაზე.

განკარგვადი შემოსავლის გამოყენების ანგარიში

წინა ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლი, *წმინდა განკარგვადი შემოსავალი*, ნაჩვენებია *განკარგვადი შემოსავლის გამოყენების ანგარიშის* რესურსების საწყის მუხლში.

ცხრილი 6.8 იტალია: შინამეურნეობების (S14) შემოსავლების გამოყენების ანგარიში
მლრდ ევროებში, 2012

გამოყენება		რესურსები	
P3. ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე	947.1	B6N. განკარგვადი შემოსავალი, წმინდა	980.4
D8. საპენსიო ცვლილების კორექტირება	0.6	D8. საპენსიო ცვლილების კორექტირება	3.4
B8N. წმინდა დანაზოგი	36.2		

წყარო: I.stat Statistics (2013): National Accounts: Annual sector accounts, http://dati.istat.it/Index.aspx?DataSetCode=DCCN_SEOCONTIASA&Lang=.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143939>

რესურსების მეორე მუხლში (D8) კორექტირების შეტანა აუცილებელია იმ წესის გამო, რომლითაც რეგულირდება ანარიცხების მიღება საპენსიო ფონდებში და ამ ფონდებიდან პენსიების გაცემა *შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიშში*. ეს კორექტირება განაპირობა შინამეურნეობების მიერ საპენსიო ფონდებში შენატანების იმავე ჭრილში განხილვამ, როგორც ეს სოცუზრუნველყოფის ფონდებშია. თუ ვთანხმდებით იმაზე, რომ შინამეურნეობების სამომხმარებლო ქცევაზე საპენსიო ფონდების გავლენა სოცუზრუნველყოფის ფონდების მსგავსია, მაშინ ლოგიკურად იგივე ქმედებები უნდა განვახორციელოთ მათ მიმართ. თუმცა, საპენსიო ფონდების ტრანსაქციები ასევე გატარდება ფინანსურ ანგარიშში (იხ. თავი 8). ამიტომ, არაფინანსურ ანგარიშში აუცილებელია კორექტირება, რათა დამაბალანსებელი მუხლი (*დანაზოგი*) სწორად გადავიდეს ფინანსურ ანგარიშში. შინამეურნეობების დაზოგვის ნორმის გაანგარიშების დროს D8 მუხლი უნდა დაემატოს ამ წილადის მნიშვნელს (განკარგვადი შემოსავალი), რადგან ის შედის მის მრიცხველში (*დანაზოგი*).

„განკარგვადი შემოსავლის გამოყენების“ ანგარიში მხოლოდ ორი მუხლისგან შედგება, სახელდობრ, *ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე* და დამაბალანსებელი მუხლი, **წმინდა დანაზოგი**. შინამეურნეობების ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე ფართოდ იყო განხილული მე-5 თავში, თუმცა, კარგი იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ ის ძირითადად შედგება ყოველდღიური მოხმარების საქონლისა და მომსახურების შესყიდვებისგან (ტანსაცმელი, საკვები, გრძელვადიანი მოხმარების საგნები, რენტა, ტრანსპორტი, პერსონალური მომსახურება და ა.შ.), *პლუს*:

- იმპუტირებული რენტა, რომელსაც „იხდიან“ შინამეურნეობები საკუთარ სახლში ცხოვრებისთვის;
- შინამეურნეობების მიერ წარმოებული საქონლის გამოშვების შეფასებული ღირებულება, განსაკუთრებით მემცენარეობის და მეცხოველეობის პროდუქციის, რომელიც შინამეურნეობაში მოიხმარება;
- ნატურალური ანაზღაურების სახით მიღებული საქონელი და მომსახურება;

მეორე მხრივ, შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების ხარჯებში არ შედის:

- საცხოვრებელი ბინების და სახლების შექმნა. ეს არის ძირითადი კაპიტალი და ამიტომ ჩაიწერება კაპიტალის ანგარიშში (GFCF);
- სხვა ტიპის შენობების და მოწყობილობების შექმნა, ძირითადად საოჯახო საწარმოებისთვის, რაც ასევე GFCF-ს მიეკუთვნება;
- საოჯახო ფირმების მიერ შუალედური მოხმარების საქონლის შესყიდვები (თესლი და სასუქი ფერმერების შემთხვევაში, საღებავები და ფუნჯები დეკორატორების შემთხვევაში, საწვავი და სათადარიგო ნაწილები ტაქსისტების შემთხვევაში და ა.შ.). ეს ყველა შუალედური მოხმარების მუხლებია და არა საბოლოო მოხმარების;
- „ფასეულობების“ შექმნა (მინუს გაყიდვები) - ოქროს მონეტების, ანტიკვარიატის, იშვიათი მარკების და ხელოვნების ნიმუშების ჩათვლით, რომლებიც ნაყიდა „ფასეულობის მარაგის“ სახით, განიხილება როგორც მყიდველის მიერ ჩადებული ინვესტიცია, რომლის ღირებულება სავარაუდოდ დროთა განმავლობაში გაიზრდება (ან მინიმუმ, არ შემცირდება).

დამაბალანსებელი მუხლი, **წმინდა დანაზოგი**, წარმოადგენს სხვაობას წმინდა განკარგვად შემოსავალსა და მოხმარებას შორის. ეს მესამე საკვანძო ინდიკატორია. მიიღება რა ორი მსხვილი აგრეგატის სხვაობის საფუძველზე, ის გარდაუვლად შეიცავს შეცდომებს. მცირე შესწორებაც კი რომელიმე ხსენებულ აგრეგატში ავტომატურად გამოიწვევს შედარებით მნიშვნელოვან ცვლილებას ბალანსში. ამიტომ ფრთხილად უნდა ვიყოთ დანაზოგის თავდაპირველ პუბლიკაციაში, რადგან ის მომდევნო ორი-სამი წლის შემდეგ სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად შეიცვლება.

პრაქტიკაში ანალიტიკოსებს შინამეურნეობების დანაზოგზე მეტად მისი დაზოგვის ნორმა უფრო აინტერესებთ, რომელიც შინამეურნეობების დანაზოგისა და განკარგვადი შემოსავლის ფარდობით მიიღება (რომელსაც ემატება კორექტირებული D8). საერთაშორისო შედარებებისთვის მნიშვნელოვანია ერთი და იგივე განმარტებების გამოყენება. ეთგო-ს მეთოდი მდგომარეობს წმინდა დანაზოგის ნორმის გამოყენებაში. ქვემოთ ცხრილში მოტანილია იტალიისა და სხვა განვითარებული ქვეყნების დანაზოგის ნორმები უკანასკნელ წლებში.

ცხრილი 6.9 შინამეურნეობების წმინდა დანაზოგის ნორმა პროცენტულად განკარგვად შემოსავალთან

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
საფრანგეთი	11.2	11.7	11.7	12.6	12.1	12.2	

გერმანია	10.8	11.0	11.5	10.9	10.9	10.4	10.3
იტალია	9.5	8.9	8.5	7.1	4.9	4.3	3.6
იაპონია	1.3	1.1	0.6	2.3	2.1	2.3	
აშშ	3.5	3.2	5.2	6.4	5.9	5.9	5.8

წყარო: OECD (2014), "Detailed National Accounts: Non-financial accounts by sectors, annual", OECD National Accounts Statistics (database).

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143946>

კაპიტალის ანგარიში

დამაბალანსებელი მუხლი წმინდა დანაზოგი გადადის კაპიტალის ანგარიშის რესურსების თავში, რომელიც არაფინანსური ანგარიშების ბოლო ანგარიშია. რადგან გამოყენებაში „ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება“ გვაქვს, ამიტომ ეს ანგარიში „მთლიან“ მუხლებზეა აგებული. შესაბამისად, რესურსებში გვაქვს მთლიანი დაგროვება, რომელიც წმინდა დაგროვებისა და ძირითადი კაპიტალის მოხმარების ჯამის ტოლია.

ცხრილი 6.10. იტალია: შინამეურნეობების (S14) კაპიტალის დაგროვების ანგარიში მლრდ ევროებში, 2012

გამოყენება		რესურსები	
P51.ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	102.0	B8N. წმინდა დანაზოგი	36.2
P52. მარაგების ცვლილება	0.8	K1.ძირითადი კაპიტალის მოხმარება	89.3
P53.ფასულობების შესყიდვებს მინუს გაყიდვები	2.3	B8.მთლიანი დანაზოგი	125.5
K2. არაწარმოებული არაფინანსური აქტივების შესყიდვებს მინუს გაყიდვები	0.1	D9.წმინდა კაპიტალური ტრანსფერები, მიღებული	-0.1
B9. წმინდა დაკრედიტება(+)/წმინდა სესხება (-)	20.1		

წყარო: I.stat Statistics (2013): National Accounts: Annual sector accounts, http://dati.istat.it/Index.aspx?DataSetCode=DCCN_SEOCONTIASA&Lang=

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143956>

ამ ანგარიშში ერთადერთი განსხვავებული მუხლია წმინდა კაპიტალური ტრანსფერების მიღება, D9. აქ სიტყვა „წმინდა“ იმ აზრით არის გამოყენებული, რომ

მიღებულ კაპიტალურ ტრანსფერებს აკლდება გაცემული. მიღებაში იგულისხმება საინვესტიციო გადარიცხვები. გადახდებში - ძირითადად, სამემკვიდრო გადასახადი. ზოგიერთ ქვეყანაში მიღებულ კაპიტალურ ტრანსფერებში ასევე შედის კორექტირებები მიღებულ გადასახადებსა და სოციალურ ანარიცხებს შორის და გადახდილ გადასახადებსა და სოციალურ ანარიცხებს შორის.

მთლიანი დანაზოგი გამოიყენება ფინანსური და არაფინანსური აქტივების შესაძენად. გამოყენების სვეტში პირველი ოთხი მუხლი გამოიყენება არაფინანსური აქტივების შესაძენად. პირველი მათგანი, *ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება* მოიცავს საცხოვრებლის ან მოწყობილობების შესყიდვებს (არაკორპორირებული საწარმოების მიერ) და ასევე ხეხილის ბაღების, ვენახების ან ტყის გაშენებას. *მარაგების ცვლილებაში* შედის მზა პროდუქციის მარაგები და შუალედური მოხმარების საქონლის მოხმარება არაკორპორირებული საწარმოების მიერ. *ფასეულობებში* შედის ძვირფასი ლითონები, ანტიკვარიატი და ხელოვნების ნიმუშები, მათი შესყიდვა „ინვესტიციად“ განიხილება. ხშირად მათი შეძენა ხელახალი გადაყიდვის მოსაზრებას უკავშირდება. *არაწარმოებული არაფინანსური აქტივებია* პატენტები, საავტორო უფლებები, საარენდო და სხვა უფლებამონაცვლე ხელშეკრულებები, რომელიც უფლებას აძლევს მფლობელს რომ გამოიყენოს მიწა, შენობები ან მინერალური რესურსები.

დამაბალანსებელი მუხლი **B9 წმინდა დაკრედიტება(+)/წმინდა სესხება (-)** განკუთვნილია ფინანსური აქტივების შესაძენად (მაგალითად, სამემწახველო ანგარიშზე შესანახად) ან ვალის დასაფარად (მაგალითად, სესხის დაფარვა ავტომობილზე ან უძრავ ქონებაზე) და თითქმის ყოველთვის დადებითია შინამეურნეობების სექტორისთვის მთლიანობაში. თუმცა, უკანასკნელ პერიოდში ესპანეთსა და ირლანდიაში შინამეურნეობები დროებით მსესხებლებად იქცნენ საცხოვრებლის ბუმთან დაკავშირებით. „წმინდა დაკრედიტებას“ ზოგჯერ „ფინანსურ დანაზოგსაც“ უწოდებენ. ზოგიერთი ქვეყანა აქვეყნებს „ფინანსური დაზოგის ნორმას“, რაც წმინდა დაკრედიტების ფარდობაა შინამეურნეობების მთლიან განკარგვად შემოსავალთან (და 100-ზე გამრავლებული).

3. შინამეურნეობის განკარგვადი შემოსავლისა და მოხმარების გაზომვის ალტერნატიული გზა

ეას 2008-ში განსაზღვრულია შინამეურნეობის განკარგვადი შემოსავლისა და მოხმარების გაზომვის ალტერნატიული გზა, რომელიც სახელმწიფო მართვის ორგანოების და შმაკოების ხარჯებს შინამეურნეობების სასარგებლოდ ითვალისწინებს.

სახელმწიფო მართვის ორგანოები და შმაკოები შინამეურნეობებს ფრიად განსხვავებული სახის მომსახურებას სთავაზობენ: ეს არის კოლექტიური მომსახურება მთელი საზოგადოების სასარგებლოდ და ინდივიდუალური ხასიათის მომსახურებები. *კოლექტიური მომსახურების* მაგალითებია: თავდაცვა, კანონიერების დაცვა, გადასახადების შეგროვება, კონტროლი საჯარო სექტორის ხარჯებზე, გარემოს დაბინძურების კონტროლი, კანონიერების დაცვა და ზოგადად, საზოგადოებრივი მენეჯმენტი. თეორიულად, ამ სიკეთით მთელი საზოგადოება სარგებლობს და შეუძლებელია იმის გამოთვლა, თუ რამდენად ისარგებლა ამ მომსახურებით ინდივიდუალურად შინამეურნეობამ.

სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ გაწეული „ინდივიდუალური მომსახურება“ მოიცავს ჯანდაცვას, განათლებას, სოციალურ მომსახურებას, საცხოვრებელთან დაკავშირებულ კომუნალურ მომსახურებას, რეკრეაციასა და კულტურულ მომსახურებას. ამ შემთხვევაში უკვე შესაძლებელია იმის გამოთვლა, თუ რა ოდენობის მომსახურება მიიღო თითოეულმა შინამეურნეობამ. ამ სერვისებს შინამეურნეობები თავიანთი საჭიროებისამებრ იღებენ. მაგალითად, უშვილო შინამეურნეობა უფრო ნაკლებად გამოიყენებს განათლების მომსახურებას, ვიდრე მრავალშვილიანი. ასევე, ჯანდაცვის მომსახურების მიღება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ხშირია ავდმყოფობის შემთხვევა შინამეურნეობაში.


სხვა ტრანსფერებთან ერთად, ამ ინდივიდუალურ მომსახურებას ეას 2008 განიხილავს შემოსავლის ანგარიშში, რომელსაც *ნატურალური შემოსავლების გადანაწილების ანგარიში* ეწოდება. ამ ანგარიშში ის ჩაიწერება რესურსების სვეტის *ნატურალური სოციალური ტრანსფერების* მუხლში.

სახელმწიფო მართვის ორგანოებისა და შმაკოების მიერ განხორციელებულ ნატურალურ სოციალურ ტრანსფერებს მიეკუთვნება უამრავი ზემოთ უკვე ნახსენები მომსახურება (ჯანდაცვა, განათლება და სხვ.), ამასთან ისეთი საქონლისა და მომსახურების შესყიდვის ანაზღაურება, როგორცაა სამედიცინო კონსულტაციები და წამლები, ასევე კომუნალური შეღავათები. დამაბალანსებელი მუხლი, **კორექტირებული წმინდა განკარგავდი შემოსავალი** უდრის განკარგავდი შემოსავლისა და ნატურალური სოციალური ტრანსფერების ჯამს.

ცხრილი 6.11. იტალია: შინამეურნეობების (S14) ნატურალური შემოსავლების გადანაწილება
მლრდ ევროებში, 2012

გამოყენება	რესურსები
	B6N.წმინდა განკარგავდი შემოსავალი 980.4


B7N. კორექტირებული წმინდა განკარგვადი შემოსავალი	1173.3	D63.ნატურალური ტრანსფერები	სოციალური	192.8
---	--------	----------------------------	-----------	-------

წყარო: I.stat Statistics (2013): National Accounts: Annual sector accounts, [http://dati.istat.it/Index.aspx?DataSetCode=DCCN_SEQCONTIASA&Lang=.](http://dati.istat.it/Index.aspx?DataSetCode=DCCN_SEQCONTIASA&Lang=)
StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143962>

განკარგვადი შემოსავლის გასაზომად ალტერნატიული მეთოდის შემოღებამ ლოგიკურად განაპირობა ახალი ანგარიშის შექმნა მისი გამოყენების თვალსაჩინოებისთვის. ამ ახალი ანგარიშის სახელია *კორექტირებული წმინდა განკარგვადი შემოსავლის გამოყენების ანგარიში*.

ცხრილი 6.12. იტალია: შინამეურნეობების (S14) წმინდა განკარგვადი შემოსავლის გამოყენების ანგარიში მლრდ ევროებში, 2012

გამოყენება		რესურსები	
P41.ფაქტობრივი ინდივიდუალური მოხმარება	1139.9	B7N. კორექტირებული წმინდა განკარგვადი შემოსავალი	1173.3
D8. საპენსიო ცვლილებების კორექტირება	0.6	D8. საპენსიო ცვლილებების კორექტირება	3.4
B8N. წმინდა დანაზოგი	36.2		

წყარო: I.stat Statistics (2013): National Accounts: Annual sector accounts, [http://dati.istat.it/Index.aspx?DataSetCode=DCCN_SEQCONTIASA&Lang=.](http://dati.istat.it/Index.aspx?DataSetCode=DCCN_SEQCONTIASA&Lang=)
StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143974>

გამოყენების სვეტში პირველი მუხლია *ფაქტობრივი ინდივიდუალური მოხმარება*. გაითვალისწინეთ, რომ აქ აღარ არის ნახსენები „ხარჯები“. ფაქტობრივი ინდივიდუალური მოხმარება ზომავს შინამეურნეობების მიერ ფაქტობრივად მოხმარებულ საქონლისა და მომსახურების ღირებულებას, რომელშიც ასევე შედის სახელმწიფო მართვის ორგანოებისა და შმაკოების მიერ დაფინანსებული საქონელი და მომსახურება. ეს სწორედ ის ღირებულებაა, რომელიც სახელმწიფო მართვის ორგანოებისა და შმაკოების მოხმარების ნაწილია და განიხილება როგორც წინა თავებში აღწერილი „ინდივიდუალური“ მომსახურება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ ალტერნატიული ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლი, **წმინდა დანაზოგი**, შინამეურნეობების ტრადიციული შემოსავლების

ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლის იდენტურია. ეს იმის გამო ხდება, რომ როგორც კორექტირებული განკარგვადი შემოსავალი, ისე ფაქტობრივი საბოლოო მოხმარება ერთი და იმავე თანხით გაიზარდა (ნატურალური სოციალური ტრანსფერები) და ამიტომ, სხვაობაანუ **დანაზოგი**, უცვლელი დარჩა. როგორც უკვე მე-3 თავში აღვნიშნეთ, *კორექტირებული განკარგვადი შემოსავალი* და *ფაქტობრივი ინდივიდუალური მოხმარება* ძირითადად საერთაშორისო შედარებების დროს გამოიყენება.

ბიბლიოგრაფია

- I.stat Statistics (2013), National Accounts: Annual sector accounts, http://dati.istat.it/Index.aspx?DataSetCode=DCCN_SEQCONTIASA&Lang=.
- OECD (2013), “Aggregate National Accounts: Gross domestic product”, OECD NationalAccounts Statistics (database), <http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en>.
- OECD (2014), “Detailed National Accounts: Non-financial accounts by sectors, annual”, OECD National Accounts Statistics (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00034-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00034-en).
- System of National Accounts 2008, European Commission, International Monetary Fund, Organisation for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank, New York, 2009, <http://unstats.un.org/unsd/nationalaccount/docs/SNA2008.pdf>.

საკვანძო მომენტები

- შინამეურნეობა არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც კოლექტიურ პასუხისმგებლობას იღებს გამოკვებასა და ერთ ჭერქვეშ ცხოვრებაზე. შინამეურნეობაში შეიძლება ცხოვრობდეს ერთი, ორი ან მეტი ადამიანი და ისინი ძირითადად ნათესაური ნიშნით არიან დაკავშირებული ერთმანეთთან.
- შინამეურნეობის სექტორის ძირითადი ფუნქცია მოხმარებაა, თუმცა მას წარმოების ფუნქციაც გააჩნია.
- შინამეურნეობის სექტორის გამოშვება მოიცავს არაკორპორირებული საწარმოებისა და შინამეურნეობების მიერ საკუთარ სახლში ცხოვრების მომსახურებას.
- „მთლიანი განკარგვადი შემოსავალი“ და „წმინდა განკარგვადი შემოსავალი“ (GDI და NDI) ყველაზე მნიშვნელოვანი დამაბალანსებელი მუხლებია შინამეურნეობების მდგომარეობის შესწავლისთვის, რადგან ეს არის შემაჯამებელი მუხლები მოხმარებისა და დაზოგვის გაზომვისთვის.
- ცვლილებები მთლიანი განკარგვადი შემოსავლის მსყიდველობითუნარიანობაში განსაზღვრავს ცვლილებებს შინამეურნეობების მიერ მოხმარებული საქონლისა და მომსახურების ფიზიკურ მოცულობაში.
- დანაზოგი ტოლია განკარგვად შემოსავალს მინუს ხარჯები მოხმარებაზე; ან ალტერნატიულად, კორექტირებულ განკარგვად შემოსავალს მინუს ფაქტობრივი ინდივიდუალური მოხმარება. ფინანსური დაზოგვა იგივეა, რაც შინამეურნეობების წმინდა დაკრედიტება.
- მთლიანი დაზოგვის ნორმა უდრის მთლიანი დანაზოგის ფარდობას GDI-თან (პლუს მუხლი D8). წმინდა დაზოგვის ნორმა უდრის წმინდა დანაზოგის ფარდობას წმინდა განკარგვად შემოსავალთან (პლუს მუხლი D8).
- ნატურალური სოციალური ტრანსფერები სახელმწიფო მართვის ორგანოებისა და შმაკოების „ინდივიდუალური“ მოხმარების ტოლია.

ჩაუღრმავდით

მთლიანი შერეული შემოსავლის ჩაშლა

როდესაც ეკონომისტები ცდილობენ შრომის ანაზღაურებისა და მოგების ხვედრითი წილის გაზომვას მთლიან დამატებულ ღირებულებაში, ისინი მიმართავენ ეროვნულ ანგარიშებს; ასევე, ეროვნული ანგარიშების დახმარებით ხსნიან ისინი მწარმოებლურობის ცვლილებას დროში და ქვეყნებს შორის (იხ. მე-4 თავის შესავალი). ეკონომისტების აზრით, რთულია ეკონომიკური ანალიზის გაკეთება, სანამ როგორც არაკორპორირებული საწარმოებისთვის, ისე კორპორაციებისთვის არ არის დადგენილი წარმოების ამ ორი ფაქტორის წვლილი შემოსავლებში. სწორედ ამის გამოა, რომ ისინი ცდილობენ შერეული შემოსავლების ჩაშლას ორ კომპონენტად: მესაკუთრის ფარული (არაპირდაპირი) ხელფასი და კაპიტალუკუება. ამისათვის, არაკორპორირებული საწარმოებისთვის ორი გზა არსებობს. პირველი მგომარეობს მომუშავეებისა და ოჯახის დამხმარე წევრებისთვის შრომის ანაზღაურების შეფასებაში. ამის შემდეგ, კაპიტალის უკუგება იქნება სხვაობა შერეულ შემოსავალსა და ამ ციფრს შორის. მეორე მეთოდი მდგომარეობს კაპიტალუკუების შეფასებაში იმ დაშვებით, რომ შერეული შემოსავლის დანარჩენი ნაწილი შრომის ანაზღაურებაზე მოდის. პირველი მეთოდის გამოყენება ძირითადად დაფუძნებულია დამოუკიდებელი მომუშავეების რაოდენობაზე, რომელთა რიცხოვნობის მიღება ოჯახის მომუშავე წევრების კვლევებიდან ან აღწერებიდან შეიძლება იმ დაშვებით, რომ ისინი იმავე ანაზღაურებას იღებენ, რასაც მსგავს საქმიანობებში ჩართული დაქირავებული მომუშავეები. მეორე მეთოდი საწყისად იღებს არაკორპორირებული მეწარმეების ძირითადი კაპიტალის შეფასებას, ზოგჯერ უფრო დაბალი ღირებულებით, რათა გათვალისწინებული იყოს ძირითადი კაპიტალის გამოყენება სხვა კერძო მიზნებითაც. შემდეგ, ასეთივე ძირითადი კაპიტალიდან მიღებული უკუგების გავრცელება ხდება არაკორპორირებულ საწარმოებზეც.

მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად ორივე მეთოდი ვალიდურია, პრაქტიკაში პირველი მეთოდი უფრო ფართოდ გამოიყენება, ალბათ იმის გამო, რომ მონაცემების მიღება შედარებით იოლია. შესაძლებელია ორივე მეთოდის ერთად გამოყენებაც, მაგრამ ამ შემთხვევაში მიღებული ჯამი ანგარიშებში ჩაწერილ შერეულ შემოსავალზე გაცილებით მეტი გამოდის. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ არაკორპორირებული საწარმოების მფლობელები საკუთარი საქმიანობიდან მიღებული კმაყოფილების განცდით „ფსიქოლოგიურ შემოსავალს“ იღებენ და უფრო ნაკლებ უკუგებას

სჯერდებიან შრომიდან და კაპიტალიდან, ვიდრე ეს კორპორაციის შემთხვევაში იქნებოდა.

რეალური და იმპუტირებული სოციალური ანარიცხები

„მომუშავეთა შრომის ანაზღაურება“ ეროვნულ ანგარიშებშია ისეა განსაზღვრული, რომ გვიჩვენოს სამუშაო ძალაზე, როგორც წარმოების ფაქტორზე გაწეულისრული არაპირდაპირი ხარჯები. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ რეალურ სამყაროში სოციალური ანარიცხები პირდაპირ მომუშავეთა მიერ გადახდილი ანარიცხებით ივსება, რომელიც მათ არასოდეს არ უნახავთ, ეროვნულ ანგარიშებში ისინი განიხილება როგორც შინამეურნეობებისთვის გადახდილი ანაზღაურების ნაწილი. შედეგად, მუხლი „მომუშავეთა შრომის ანაზღაურება“ შეიცავს ყველა შენატანს იმპუტირებული ანარიცხების ჩათვლით (იხ. ქვემოთ) და ამდენად, ასახავს შრომის მთლიან ღირებულებას. იმისათვის, რომ ბოლოს ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვეს, „შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში“ სხვა ფიქტიურ ნაკადსაც შეიცავს, ამჯერად შინამეურნეობებიდან გადარიცხულს სოციალურ ფონდებში. ამის შედეგად სოციალური ანარიცხებისთვის გვაქვს შემდეგი ფიქტიური სქემა: დამსაქმებელი - > შინამეურნეობა - > სოციალური დაზღვევის ფონდები. როდესაც ვახდენთ შინამეურნეობის ანგარიშის ინტერპრეტაციას, ეს სქემა არ უნდა დაგვავიწყდეს.

ქვეყნების უმეტესობაში, დამსაქმებელი და დასაქმებულები ვალდებული არიან რეგულარულად გადარიცხონ თანხები სოცულზრუნველყოფის ფონდებში, საიდანაც შემდეგ ხდება დასაქმებულთა სამედიცინო ხარჯების, უმუშევრობის შემწეობების და პენსიების გადმორიცხვა. თუმცა, ცალკეული დასაქმებულები ამ ანარიცხებს პირდაპირ უხდებიან დამსაქმებელს სოცულზრუნველყოფის ფონდების გვერდის ავლით. ამ შემთხვევაში, ეროვნული ანგარიშების კონცეფციით, ეს დამსაქმებლები და დასაქმებულები იხდიან „იმპუტირებულ“ სოციალურ ანარიცხებს. ისინი შეაფასებენ მომუშავეთა რაოდენობას, რომლებმაც ანარიცხები უნდა შეიტანონ შემდგომში უკუგების მისაღებად და ამ იმპუტირებულ ანარიცხებს შეიტანენ მუხლში „მომუშავეთა შრომის ანაზღაურება“. ამდენად, ასე ჩაიწერება შრომის სრული დანახარჯები ანგარიშებში. მიღებული შემოსავლები ჩაიწერება „შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიშის“ რესურსებში სხვა სოციალურ შემოსავლებთან ერთად. იმის გამო, რომ ძნელი შესაფასებელია, თუ რა სარგებელს მიიღებენ მომუშავეები ამ ანარიცხებიდან, ეროვნული მოანგარიშები იზიარებენ პრინციპს, რომ იმპუტირებული სოციალური ანარიცხები ფაქტობრივად მიღებული სარგებლის ეკვივალენტურია. მიუხედავად ამისა, ეროვნულ ანგარიშებში მომავალში მისაღები საპენსიო სქემების შეფასება სულ უფრო ხშირად აქტუარების მიერ ხდება და არა

ეფექტური ანარიცხების ბაზაზე, რაც დაკავშირებულია დამატებითი იმპუტირებული ელემენტის შემოტანასთან.

საპენსიო ფონდები და სოცუზრუნველყოფის გეგმები

ერთ-ერთი რთული მუხლი, განსაკუთრებით საერთაშორისო შედარებებში, არის მომუშავეთა საპენსიო ანარიცხებისა და საპენსიო სარგებლის ჩაწერა. საპენსიო სისტემაში ორ ძირითად ტიპს არჩევენ: ერთნი ფუნქციონირებენ როგორც „საშემნახველო (დაზოგვითი) გეგმები“ (ასევე ცნობილია, როგორც „კაპიტალიზაციის“ გეგმები), ხოლო მეორენი - „სატრანსფერო გეგმებით“ (ასევე ცნობილია, როგორც „გადანაწილების მიხედვით“ ან „წინასწარგადახდები“). თუ საპენსიო გეგმა დაზოგვითია (ხშირად გვხვდება როგორც „საპენსიო ფონდი“), თითოეული მომუშავე რიცხავს თანხებს ფონდში, საიდანაც მომავალში მიიღებს პენსიას. ამდენად, ეროვნული მონაგარიშეები ამ ანარიცხებს (როგორც დამსაქმებლის, ასევე დასაქმებულების) ჩაწერენ დანაზოგის სახით (ანუ, დასაქმებულთა საპენსიო აქტივების მატებაში) და პენსიის მიღების შემდეგ როგორც „დანახარჯებს“ (ანუ, პენსიონერთა საპენსიო აქტივების შემცირებას).

საპირისპიროდ, საპენსიო გეგმა არის სატრანსფერო გეგმა (დაზოგვის გეგმისგან განსხვავებით), როდესაც მიმდინარე დასაქმებულების საპენსიო ანარიცხები გამოიყენება მიმდინარე პენსიონერებზე პენსიების გასაცემად. ამ შემთხვევაში (რაც დამახასიათებელია სოცუზრუნველყოფის საპენსიო სისტემებისთვის), ეროვნული მონაგარიშეები საპენსიო ანარიცხებს გამოაკლებენ შემოსავლებიდან (და ასევე ხდება მათი გამოკლება დაზოგვიდან), ხოლო საპენსიო შემოსავლები განიხილება შემოსავლის ნაწილად (და ამდენად შეიტანება დანაზოგში). როგორც ხედავთ, შემოსავლებზე ზემოქმედების კუთხით, ამ ორ მეთოდს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. შემოსავლების ჰარმონიზების მიზნით, ეას 2008-ის რეკომენდაციაა პარალელურ რეჟიმში მოხდეს დაზოგვითი გეგმების საპენსიო ანარიცხებისა და სარგებლის (ე.ი. საპენსიო ფონდების) ისე გატარება, როგორც სატრანსფერო გეგმებისა (ე.ი. სოცდაზღვევა). მიუხედავად ამისა, ეს მაინც ქმნის ასიმეტრიას ანგარიშებში, რაც უნდა გასწორდეს მუხლით „D8 კორექტირება საპენსიო უფლებებთან დაკავშირებით“, განკარგვადი შემოსავლების გამოყენების ანგარიშში. აღსანიშნავია, რომ აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში ამ მუხლს არ იყენებენ, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყნები საპენსიო ფონდებს იყენებენ, ისინი არ მიმართავენ პარალელურ ჩაწერას, რაც ამ განსხვავებას იწვევს.

მრავალ ქვეყანაში მიმდინარეობს საპენსიო რეფორმები, განსაკუთრებით მძაფრად დგას ეს პრობლემა „ბეიბიბუმერების“ თაობისთვის (რომლებიც დაიბადნენ აშშ-ში

1945-60 წლებში). რეფორმები ორი მიმართულებით მიმდინარეობს: პირველი, საპენსიო დაპირებების შემცირება და/ან ანარიცხების გაზრდა; მეორე, „გადარიცხვების დადგენილი გეგმების“ გარდაქმნა „ანარიცხების დადგენილ გეგმებად“. ამ ბოლო წინანდადებაში გარკვეული სიცხადის შეტანაა საჭირო.

- **გადარიცხვების დადგენილი გეგმის** დროს საპენსიო თანხის გაანგარიშება ხდება პროცენტულად ხელფასიდან. ამ ტიპის გეგმის შემთხვევაში სპონსორად თვით დასაქმებული გვევლინება, რომელიც საპენსიო რისკის მატარებელია. გადარიცხვების დადგენილი გეგმის დროს ხდება წინასწარ გადახდები, ამიტომ ისინი დაუფინანსებელია. ასეთი სისტემა გავრცელებულია კონტინენტური ევროპის ქვეყნებში.
- **ანარიცხების დადგენილი გეგმები** დაზოგვითია: ეს არის პენსიების მიღება დასაქმებულებისა და დამსაქმებლის ანარიცხების აკუმულირების საფუძველზე დასაქმებულის სახელით. ამდენად, დასაქმებული არ ატარებს საპენსიო დაპირების ფინანსურ რისკს. ასეთი ტიპის გეგმებს აქვს დაფინანსება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ აკუმულირებული თანხების საშუალებით ხდება ინვესტირება, რის შედეგადაც იქმნება ფინანსური და არაფინანსური რეზერვები. პენსიების გადახდა შემდეგ ამ რეზერვებიდან ხდება.

ეროვნული ანგარიშების ბოლო ვერსია მოქნილ მიდგომას იყენებს დაუფინანსებელი საპენსიო გეგმების მიმართ. ზოგიერთ ქვეყანაში, ბუღალტრული აღრიცხვის რეკომენდაციების საფუძველზე დაუფინანსებელი საპენსიო გეგმების ჩაწერა დაზოგვითი გეგმის მსავსად ხდება. ეს მოითხოვს ამ გეგმებისთვის საპენსიო ვალდებულებების გამოთვლას (და ამდენად, საპენსიო აქტივებისა მომუშავეებისთვის) აქტუარული მეთოდებით. ეს მეთოდი იყენებს მომუშავის დემოგრაფიულ მონაცემებს და დამსაქმებლის მიერ მიწოდებულ მომუშავის საპენსიო გადინებების მოსალოდნელ ნაკადებს. შემდეგ ხდება ამ გადინებების გარდაქმნა მიმდინარე ვალდებულებებად და საალრიცხვო განაკვეთით მათი დისკონტირება. ზოგიერთი ქვეყანა (ძირითადად კონტინენტური ევროპა) კვლავ აგრძელებს დაუფინანსებელი საპენსიო გეგმების გამოყენებას. ამდენად, სრული შესადარისობა არ იქნება ეთგო-ს ქვეყნებს შორის საპენსიო ნაკადებსა და გადინებებს შორის. ეას 2008 მოუწოდებს ეთგო-ს ყველა ქვეყანას, რომ აწარმოონ დამატებითი ცხრილები, სადაც ყველა საპენსიო ნაკადი და ფონდი შესადარი ფორმატით იქნება წარმოდგენილი. წინასწარ არ შეიძლება იმის თქმა, რომ ეს ძალზე სასარგებლო ცხრილი ეთგო-ს ყველა ქვეყნისთვის იქნება შესაძლებელი. ევროკავშირის ქვეყნებს აქვთ ვალდებულება, რომ ანგარიშთა ევროპული სისტემა 2010-დან ამ ცხრილზე 2017 წლისთვის გადავიდნენ.

თუ ეთგო-ს სხვა ქვეყნებიც მიაღწევენ იგივეს, იმედია, საბოლოოდ სრულიად შესადარისი მონაცემები გვექნება საპენსიო ნაკადებისა და ფონდების შესახებ.

დაზღვევა

ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ დაზღვევის ორი ტიპი: არა-სიცოცხლის (ხშირად უწოდებენ უბედური შემთხვევებისგან დაზღვევას) და სიცოცხლის დაზღვევა. პირველ შემთხვევაში, დაზღვეულის კომპენსირება ხდება გაქურდვის, საგზაო შემთხვევების, ხანძრის, ბუნებრივი კატასტროფების, სხეულის დაზიანების, ზარალის და ა.შ. შემთხვევებში. არა-სიცოცხლის დაზღვევა ასევე ფარავს „სიცოცხლის“ ტიპის დაზღვევასაც, რაც უფრო „სიკვდილისგან“ დაზღვევას ჰგავს. ასეთი დაზღვევის დროს, დაზღვეულის მიერ დასახელებული ბენეფიციარი წინასწარ განსაზღვრულ თანხას იღებს დაზღვეულის სიკვდილის შემთხვევაში (წინასწარ განსაზღვრულ ასაკამდე სიცოცხლის ვადიანი დაზღვევის ფარგლებში) და ნებისმიერ დროს „მთელსიცოცხლის დაზღვევის“ შემთხვევაში). სიცოცხლის ვადიანი დაზღვევა გარკვეული ფსონია დაზღვეულსა და დამზღვევს შორის. თუ პოლისის მფლობელი ვადამდე მოკვდება, ის „იგებს“ იმ აზრით, რომ სადაზღვევო კომპანია გარკვეულ კაპიტალს გადაუხდის ბენეფიციარებს. წინააღმდეგ შემთხვევაში „იგებს“ სადაზღვევო კომპანია, რადგან ის არ გადაუხდის პრემიას ბენეფიციარს. ეს დაზღვევა მოქმედებს არა-სიცოცხლის დაზღვევის მსგავსად და სრულიად განსხვავებულია სიცოცხლის დაზღვევისგან, რასაც ქვემოთ ვნახავთ.

არა-სიცოცხლის დაზღვევის შემთხვევაში ეროვნული მოანგარიშები პოლისის მფლობელის მიერ გადახდილ პრემიას ორ ნაწილად ყოფენ: გაწეული მომსახურების ანაზღაურება და წმინდა პრემია, ანუ ნაშთი. მომსახურების პრემიაში შედის საპრემიო ფონდის მენეჯმენტის, საკონსულტაციო მომსახურების, პრეტენზიების დამუშავების, საჯაროობისა და სხვა მიმდინარე დანახარჯების ანაზღაურება. დაშვების თანახმად, მომსახურების ანაზღაურება უდრის მიღებულ პრემიებსა და გადახდებს შორის სხვაობას დამატებული „პრემიალური დანამატი“. ეს დანამატი შეესაბამება საკუთრებიდან მიღებულ შემოსავალს, რომელსაც სადაზღვევო კომპანია იღებს ფინანსურ ან არაფინანსურ აქტივებში ინვესტირებიდან. ეროვნული მოანგარიშები ამ შემოსავალს აკუთვნებენ პოლისის მფლობელს და ამიტომ ასახავენ მას როგორც პოლისის მფლობელის მიერ „მიღებულს“ (პირველადი შემოსავლების განაწილების რესურსებში), სანამ არ მოხდება მისი გადარიცხვა სადაზღვევო კომპანიისთვის გაწეული მომსახურების ასანაზღაურებლად. მომსახურების ანაზღაურება წარმოადგენს შინამეურნეობის საბოლოო მოხმარების დანახარჯს. წმინდა პრემია (პრემიას მინუს მომსახურების ანაზღაურება) განიხილება როგორც

ტრანსფერი პრემიების გადამხდელი პოლისის მფლობელებსა და პრეტენზიების წამყენებელი პოლისის მფლობელებს შორის. ეს წმინდა პრემია ჩაიწერება „სხვა მიმდინარე ტრანსფერებში“ შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიშის გამოყენებაში, რადგან ანაზღაურებული პრეტენზიები ჩაწერილია „სხვა მიმდინარე ტრანსფერების“ მუხლში იმავე ანგარიშის რესურსებში.

არა-სიცოცხლის დაზღვევისგან განსხვავებით, სიცოცხლის დაზღვევა სრულიად განსხვავებულია. სიცოცხლის დაზღვევის პოლისი ან კონტრაქტი არის პიროვნების მიერ კაპიტალის დაგროვების ერთ-ერთი გზა, რომლის გადახდაც წინაწარ შეთანხმებულ დროს ხდება ინვესტირებული პრემიების ზრდის ხარჯზე. სიცოცხლის დაზღვევა ითვალისწინებს პრემიების ან ანარიცხების გადახდას რეგულარულად, ის ზემოთ განხილული დაზოგვითი გეგმის მსგავსია და ამიტომ სხვა ფინანსურ ინვესტიციებს ჰგავს.

ანარიცხების და ამოღებების გატარება ფინანსურ ანგარიშში ხდება, თუმცა სიცოცხლის დაზღვევა ორ არაფინანსურ ტრანსაქციას მოითხოვს, რომლებიც არაფინანსურ ანგარიშებში გატარდება. პირველი, არა-სიცოცხლის დაზღვევის მსგავსად, პოლისის მფლობელი სადაზღვევო კომპანიას უხდის მომსახურების გადასახადს. უმეტესად, სადაზღვევო კომპანიები მომსახურების გადასახადს ცალკე იწერენ, ამიტომ საჭირო აღარ არის მისი შეფასება. ის შედის შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების დანახარჯებში. მეორე, როდესაც სადაზღვევო კომპანია ინვესტირებიდან მიიღებს სარგებელს და სანამ პოლისის მფლობელს არ შეუძლია მისი მიღება პოლისის ვადის დადგომამდე, იურიდიულად ის პოლისის მფლობელის „საკუთრებაა“. ამიტომ ის ჩაიწერება შემოსავლების პირველადი განაწილების ანგარიშის რესურსებში. საქმის ასეთ სვლას არამარტო იურიდიული, არამედ ეკონომიკური საფუძვლებიც აქვს. როდესაც სიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტით ჩვეულებრივზე მაღალი შემოსავლის შეთავაზება ხდება, პოლისის მფლობელი თავს უფრო მდიდრად გრძნობს და ზრდის მოხმარებას (ე.წ. „კეთილდღეობის ეფექტი“). თუ შეთავაზებული შემოსავალი ჩვეულებრივზე დაბალი იქნება, დაზღვეული შეამცირებს მოხმარებას.

შემოსავალი ეროვნულ ანგარიშებსა და ეკონომიკურ თეორიაში

ეროვნულ ანგარიშებში შემოსავალი განისაზღვრება როგორც წმინდა რესურსების წარმოშობა პირდაპირ ან გადანაწილების საფუძველზე ნორმალური მწარმოებლური საქმიანობიდან და რომელიც პოტენციურად მოხმარებისთვის არის განკუთვნილი. მეორე მხრივ, ზოგიერთი ეკონომისტი შემოსავალს განსაზღვრავს როგორც მაქსიმალურ თანხას, რომელიც შეიძლება იყოს მოხმარებული მოცემულ პერიოდში

შინამეურნეობის რეალური წმინდა სიმდიდრის შემცირების გარეშე (წმინდა სიმდიდრე არის სხვაობა აქტივებსა და ვალდებულებებს შორის: რეალური წმინდა სიმდიდრე არის საბოლოო მოხმარების ფასების ინდექსით დეფლაცირებული ეს სხვაობა). ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ სწორად გავიგოთ რა განსხვავებაა ამ ორ განსაზღვრებას შორის:

- მოგება კაპიტალზე ან ზარალი, რომელიც ცნობილია „ჰოლდინგური მოგება/ზარალის“ სახით, ეროვნულ ანგარიშებში დაკავშირებულია ფასების ცვლილებასთან ძირითად აქტივებზე (სახელდობრ, საცხოვრებელზე) ან ფინანსურ აქტივებზე (სახელდობრ, აქციები). უკანასკნელ პერიოდში ეთგო-ს შინამეურნეობებმა თავიანთ თავზე გამოსცადეს როგორც მოგება, ისე ზარალი ამ აქტივებიდან. შეიძლება გავიხსენოთ საფონდო ბაზრის გაბერვა 1990-იან წლებში და ფასების ვარდნა 2000 წლიდან. უფრო მოგვიანებით, საცხოვრებლის კრიზისი 2007-09 წლებში ჯერ აშშ-ში, შემდეგ ირლანდიასა და ესპანეთში, რამაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უპრეცედენტო რეცესია გამოიწვია. როდესაც ფასების ცვლილება დადებითია, ჰოლდინგური მოგება საშუალებას აძლევს შინამეურნეობებს განკარგვად შემოსავალზე ბევრად უფრო მეტი მოიხმარონ თავიანთი სიმდიდრის ათვისების გარეშე. საპირისპიროდ, უარყოფითი ჰოლდინგური მოგების (ანუ ზარალის) შემთხვევაში თავიანთ განკარგვად შემოსავალზე ნაკლებს მოიხმარენ და ამით აკომპენსირებენ წმინდა სიმდიდრის კლებას. ეს მოცულობები შეიძლება შევიტანოთ ეკონომისტების მიერ განმარტებულ შემოსავალში, მაგრამ არა ეროვნულ ანგარიშებში.
- მეორე განსხვავება იმაშია, რომ თეორიულ შემოსავალში (ეკონომისტების განმარტებაში) შეტანილია კაპიტალური ტრანსფერები. თუმცა, ეროვნულ ანგარიშებში განკარგვადი შემოსავლების გაანგარიშებაში მხოლოდ მიმდინარე ტრანსფერები შედის.
- ბოლოს, შინამეურნეობის წმინდა სიმდიდრეზე შეიძლება გავლენა ისეთმა მოვლენებმა მოახდინოს, რომლებიც სრულიად არ არის დაკავშირებული ეროვნული ანგარიშებით აღიარებულ საქმიანობებთან. წყალდიდობა, ტყის ხანძრები, ქარიშხლები და მიწისძვრები ამცირებს წმინდა სიმდიდრეს ნაგებობებისა და სხვა ქონების განადგურების გზით. საპირისპიროდ, შეიძლება ფერმერმა თავის მიწაზე ნავთობი აღმოაჩინოს და მისი წმინდა სიმდიდრე გაიზარდოს. აქტივების ასეთი ცვლილების თანხები ჩაიწერება „სხვა ცვლილებების“ სახით აქტივების ანგარიშში, მაგრამ ეროვნულ ანგარიშებში ისინი შემოსავლად არ განიხილება.

- მიუხედავად ამისა, ეროვნულ ანგარიშებში სხვადასხვა ანგარიშების კომბინირებით შესაძლებელია შინამეურნეობების წმინდა სიმდიდრის გაანგარიშება შემოსავლის თეორიული კონცეფციით და არა განკარგვადი შემოსავლის ბაზაზე.

მე-6 თავის სავარჯიშოები

სავარჯიშო 1. სწორია თუ მცდარი?

ა) როდესაც აქციების ფასი იზრდება:

I. შინამეურნეობის განკარგვადი შემოსავალი იზრდება;

II. შინამეურნეობის დანაზოგი მცირდება.

ბ) თუ მდგმური იყიდის ბინას, რომელსაც ადრე ქირაობდა, მშპ გაიზრდება, რადგან ახლა მასში შედის მესაკუთრე-ბინათმფლობელის იმპუტირებული საიჯარო შემოსავალი.

გ) როდესაც რომელიმე მოცემულ წელს ჩვეულებრივზე მეტად იზრდება საგზაო შემთხვევების რიცხვი, მაშინ შინამეურნეობების განკარგვადი შემოსავალი ჩვეულებრივზე მაღალი იქნება.

დ) საშემოსავლო გადასახადის ზრდა ავტომატურად გამოიწვევს შინამეურნეობების განკარგვადი შემოსავლის შემცირებას.

ე) თუ ფერმერის ზეთისხილის პლანტაციები ქარიშხალმა დააზიანა, ეს ავტომატურად გამოიწვევს მისი განკარგვადი შემოსავლის შემცირებას.

ვ) მემკვიდრეობაზე გადასახადის შემცირება ავტომატურად გამოიწვევს შინამეურნეობის დანაზოგის შემცირებას.

ზ) სტომატოლოგიურ მომსახურებაზე გადარიცხვების შემცირება გამოიწვევს:

I. მშპ-ის მატებას;

II. შინამეურნეობის განკარგვადი შემოსავლის შემცირებას.

სავარჯიშო 2. შეამოწმეთ, რამდენად კარგად იცით შინამეურნეობების ანგარიში

ქვემოთ აღწერილი ტრანსაქციები მიმდევრობით შეიტანეთ ანგარიშებში დაწყებული წარმოების ანგარიშიდან - განკარგვადი შემოსავლის გამოყენებამდე.

დევონების შინამეურნეობაში ცხოვრობს ჟაკი, მისი ცოლი მონიკა, ქალიშვილი ნიკოლი, მონიკას დედა სიმონი და ჟაკის ძმა ქსავიე. წლის განმავლობაში:

- ჟაკმა, რომელიც მაღაზიის მენეჯერია, ხელფასის სახით მიიღო 2 000. მისმა მომუშავემ გადაიხადა სოციალური ანარიცხი 20. ჟაკი იხდის საშემოსავლო გადასახდს 25 და სოციალურ ანარიცხს 15. ის 100-ს ხარჯავს საკვებზე და ტრანსპორტზე და 280-ს იხდის ახალი ავტომობილის შესაძენად. თავის შენაძენს ის აფინანსებს სესხით და პროცენტზე იხდის 5-ს მთელი წლის განმავლობაში. თავისი ხელფასის დარჩენილ ნაწილს აძლევს მონიკას, რომელიც პასუხისმგებელია შინამეურნეობების ხარჯებზე.

- მონიკა უმუშევარია და წლის განმავლობაში იღებს უმუშევრობის შემწეობას 350. ის იხდის 1 900-ს საკვებზე, 120-ს იჯარაზე და 15-ს შინამეურნეობის დაზღვევაზე. (მონიკამ არ იცის, მაგრამ 15-იდან 5 გათვალისწინებულია სადაზღვევო კომპანიის მომსახურების ანაზღაურებისთვის).
- სიმონი საპენსიო ფონდიდან იღებს 45-ს და სოცურუნველყოფის პენსიას 265-ს. ის ტანსაცმელზე ხარჯავს 130-ს და ნიკოლს ჯიბის ფულად აძლევს 25-ს.
- ბების მიერ მიცემული ჯიბის ფულს ნიკოლი მთლიანად ტკბილეულის შესაძენად ხარჯავს. ის ასევე ჯიბის ფულს 30, მშობლებისგანაც იღებს, მაგრამ მას ინახავს ველოსიპედის შესაძენად.
- ქსავიეს არ გააჩნია მუდმივი სამუშაო, მაგრამ სამღებრო სამუშაოებს იღებს მეზობლებისგან. აქედან მისი შემოსავალი 1 500-ია წლის განმავლობაში, საიდანაც 400-ს ხარჯავს საღებავსა და ფუნჯებზე, ზოგჯერ დასახმარებლად თავის მეგობარს ეძახის და ამაში 40-ს უხდის. ერთხელ, სამუშაოზე მან არალიცენზირებულ ადგილზე გააჩერა თავისი ფურგონი და მანქანა დაზიანდა, რის გამოსასწორებლადაც 20 დახარჯა. ის ხარჯავს 450-ს სიგარეტზე, ლუდსა და ფეხბურთის ბილეთებზე. ის ალიმენტს უხდის 60-ს თავის ყოფილ ცოლს.

წარმოების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
შუალედური მოხმარება დამატებული ღირებულება	გამოშვება

პირველადი შემოსავლების ფორმირების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
შრომის ანაზღაურება ხელფასი სოციალური ანარიცხები წმინდა გადასახადები წარმოებაზე შერეული შემოსავალი/ საოპერაციო მოგება	დამატებული ღირებულება

პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
შემოსავლები საკუთრებიდან	შერეული შემოსავალი/ საოპერაციო მოგება

პროცენტი რენტა	შრომის ანაზღაურება ხელფასი სოციალური ანარიცხები შემოსავალი საკუთრებიდან პროცენტი და დივიდენდები რენტა
პირველადი შემოსავლების ბალანსი	

შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
მიმდინარე გადასახადები შემოსავალზე, სიმდიდრეზე და ა.შ.	პირველადი შემოსავლების ბალანსი
სოციალური ანარიცხები დამსაქმებლის რეალური სოციალური ანარიცხები დასაქმებულის სოციალური ანარიცხები თვითდასაქმებულების სოციალური ანარიცხები	სოციალური ანარიცხები სოციალური შეღავათები გარდა ნატურალური სოციალური ტრანსფერებისა
სხვა მიმდინარე ტრანსფერები წმინდა არა-სიცოცხლის დაზღვევის პრემიები	სხვა მიმდინარე ტრანსფერები არა-სიცოცხლის დაზღვევის პრეტენზიები
სხვადასხვა მიმდინარე ტრანსფერი	სხვადასხვა მიმდინარე ტრანსფერი
განკარგვადი შემოსავალი	

შემოსავლების გამოყენების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე	განკარგვადი შემოსავალი, წმინდა საპენსიო ცვლილების კორექტირება
დანაზოგი	

ამ სავარჯიშოების ამოხსნები შეგიძლიათ იხილოთ
მისამართზე: <http://dx.doi.org/10.1787/9789264214637-24-en>

თავი 7

ბიზნეს-ანგარიშები

ეროვნული ანგარიშებისთვის მნიშვნელოვანია ინსტიტუციური ჩარჩო, რომელშიც ფირმა საქმიანობს. ეროვნულ ანგარიშებში საწარმოები ორ ჯგუფად იყოფა: კორპორაციები და „არაკორპორირებული საწარმოები“. ეს უკანასკნელი მცირე ზომისაა, არ გააჩნია კორპორაციის სტატუსი და ანგარიშების სრული ნაკრები, თუმცა მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მთლიან დამატებულ ღირებულებაში. ამ თავში ჯერ განვიხილავთ არაფინანსურ კორპორაციებს, ხოლო შემდგომ - არაფინანსურ არაკორპორირებულ საწარმოებს.

ეთგო-ს ეკონომისტებისთვის მნიშვნელოვანია ის ინსტიტუციური ჩარჩო, რომელშიც საწარმოები (ფირმები) საქმიანობენ. მათი მიზანია გააუმჯობესონ ფირმის საქმიანობა და სხვა შედეგებთან ერთად გაზარდონ დასაქმება. საფრანგეთისადმი მიძღვნილ ანგარიშში ეთგო-ს ეკონომისტებმა რამდენიმე სტრუქტურული რეფორმა შესთავაზეს ფირმებს, მაგალითად:

- შემცირდეს მუდმივი კონტრაქტების პროტექციონიზმი (გახანგრძლივდეს გამოსაცდელი ვადა, გაფართოვდეს ეკონომიკური რეზერვების (მომუშავეების შემცირება) განმარტება, შემცირდეს დათხოვნები და სასამართლო პროცედურები, შემცირდეს ვალდებულებების გადამისამართება), ამასთან გაძლიერდეს კავშირი სარგებლის სახეებს შორის, უფრო მაღალ საფეხურზე ავიდეს სამუშაოს ძებნისა და მასში მონაწილეობის აქტიური საზომები. მოხდეს უმუშევრობის შემწეობების რეფორმირება, რათა მათი ეფექტურობა გაიზარდოს მოკლევადიან პერიოდში და არა მოგვიანებით, მოხდეს პროფესიული ტრენინგების გაუმჯობესება.
- შემცირდეს სამუშაო ძალის ღირებულება მედიანურთან შედარებით, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის. საშუალოვადიან პერიოდში შემცირდეს სოციალური ანარიცხები, ამასთან მოხდეს სახელმწიფო ხარჯების შეკვეცა და არაეფექტური საგადასახადო ხარჯების შემცირება, გაიზარდოს გადასახადები უძრავ ქონებაზე, მემკვიდრეობაზე და გარემოს დაცვაზე.
- შემცირდეს პროფესიული მომსახურების წესები, თუ ისინი სცილდება უშუალოდ მომხმარებლების დაცვას. შერბილდეს საცალო ვაჭრობის სფეროში საფასო კონკურენციაზე შეზღუდვები და მოხდეს ქსელური დარგების პოტენციურად კონკურენტულ სეგმენტებში შეღწევის სამართლებრივი ბარიერების გამარტივება.

ეროვნულ ანგარიშებში საწარმოები ორ ჯგუფად იყოფა: კორპორაციები და „არაკორპორირებული საწარმოები“ (ან „ინდივიდუალური საწარმოები“). ინდივიდუალური საწარმოები მცირე ზომისაა, მათ არ აქვთ კორპორაციის სტატუსი და ბუღალტრული ანგარიშების სრული ნაკრები. მათი დაჯგუფება ხდება შინამეურნეობებთან ერთად და ხშირად მათი ტრანსაქციების გამორჩევა შესაბამისი შინამეურნეობის, როგორც მომხმარებლისგან, შეუძლებელია. აღნიშნულის გამო, ხშირად ეკონომიკური ანალიზი მხოლოდ კორპორაციებით შემოიზღუდება, მიუხედავად იმისა, რომ არაკორპორირებულ საწარმოებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ჯამურ დამატებულ ღირებულებაში. ცხრილში ნაჩვენებია სხვადასხვა ინსტიტუციური სექტორის წვლილი დამატებულ ღირებულებაში ეთგო-ს ქვეყნების მიხედვით.

ცხრილი 7.1. მთლიანი დამატებული ღირებულება სექტორების მიხედვით
პროცენტულად ჯამურ დამატებულ ღირებულებასთან, 2011

		საფრანგეთი	საბერძნეთი	ნიდერლანდები	შვეიცარია
S11-S12	კორპორაციები	61.1	44.1	70.7	75.4
S13	სახელმწიფო მართვის ორგანოები	18.2	17.4	14.0	10.2
S14-S15	შინამეურნეობები ^a	20.6	38.6	15.2	14.4
S1	მთლიანად ეკონომიკა	100.0	100.0	100.0	100.0

a) მოიცავს არაკორპორირებულ საწარმოებს და შმაკოებს (S15)

წყარო: OECD (2014), "Detailed National Accounts: Non-financial accounts by sectors, annual", OECD National Accounts Statistics (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00034-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00034-en).

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143982>

როგორც ცხრილიდან ჩანს, დამატებულ ღირებულებაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით წარმოდგენილია კორპორაციების სექტორი, რომელსაც ბევრად ჩამორჩება სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორი. ასევე მაღალია შინამეურნეობების ხვედრითი წილი, რაც განპირობებულია საკუთარ სახლში ცხოვრების რენტის იმპუტირებით. თუმცა, საკმაოდ მაღალია არაკორპორირებული საწარმოების წვლილიც. საბერძნეთის შემთხვევაში, შინამეურნეობების თითქმის 40%-მდე წვლილი იმით არის განპირობებული, რომ ფირმების დიდ რაოდენობას არ გააჩნია კორპორაციის სტატუსი და ისინი შინამეურნეობებთან ერთად არის დაჯგუფებული ეროვნულ ანგარიშებში.

რაც შეეხება საკუთრივ კორპორაციებს, ეროვნულ ანგარიშებში ისინი ორ მთავარ ქვეჯგუფად იყოფა: არაფინანსური კორპორაციები (S11) და ფინანსური კორპორაციები (S12). ფინანსური კორპორაციები (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები) საკვანძო როლს ასრულებს ეკონომიკაში, მაგრამ მათი ანგარიშების ანალიზი უფრო რთულია არაფინანსურ კორპორაციებთან შედარებით. ამიტომ, ამ და სხვა მიზეზების გამო, ეს სექტორი ცალკე განიხილება ეროვნულ ანგარიშებში. ფინანსური კორპორაციების შესახებ უფრო ფართოდ იხილეთ მე-10 თავში.

ცხრილი 7.2. საფრანგეთი: მთლიანი დამატებული ღირებულების დაყოფა
სექტორების მიხედვით

პროცენტულად ჯამურ მთლიან დამატებულ ღირებულებასთან, 2011

S11	არაფინანსური კორპორაციები	56.1
S12	ფინანსური კორპორაციები	5.0
S13	სახელმწიფო მართვის ორგანოები	18.2
S14	შინამეურნეობები	18.9
S14AA	არაფინანსური ინდივიდუალური საწარმოები	7.6
S14A	„წმინდა“ შინამეურნეობები	11.3
S15	შმაკოები	1.7

წყარო: Insee Databases (2013): Statistical indices and series: Macroeconomic Database: National Accounts http://www.bdm.insee.fr/bdm2/index?request_locale=en.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933143993>

ამ ცხრილიდანაც ჩანს, რომ მთლიან დამატებულ ღირებულებაში ინდივიდუალური საწარმოების ხვედრითი წილი 7.6%-ია, რაც ფინანსურ კორპორაციებზე მაღალია. გადაწყვეტილების მიმღები პირები ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდნენ მცირე და საშუალო საწარმოებს (SMEs). კანონმდებლობით, ზოგიერთი SMEs არ მიეკუთვნება კორპორაციებს (S11), ამიტომ ბევრ ქვეყანაში მათ კორპორაციებს კი არა, არამედ არაკორპორირებულ საწარმოებს აკუთვნებენ შინამეურნეობის სექტორში (S14). ეს მცირე ზომის ერთეულები ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სოფლის მეურნეობასა და თავისუფალ პროფესიებში, ასევე „სტარტ-აპის“ სახით მრეწველობაშიც (გავიხსენოთ თუნდაც Microsoft®, რომელმაც საქმიანობა დაიწყო როგორც არაკორპორირებულმა საწარმომ).

თუმცა, აღსანიშნავია, რომ მათი წილი ჯამურ დამატებულ ღირებულებაში შეზღუდულია, რადგან, თუ მოხდება მათი გაფართოება, ეს მცირე ფირმები უკვე კორპორაციებად გარდაიქმნება. ამიტომ არის, რომ კორპორაციების სექტორი, კერძოდ არაფინანსური კორპორაციები, განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში ეკონომიკური ზრდის ხერხემალს წარმოადგენს. ამ თავში ჯერ განვიხილავთ არაფინანსური კორპორაციების ანაგარიშებს და შემდეგ დავუბრუნდებით არაკორპორირებულ საწარმოებს.

1. ურთიერთკავშირი ფირმასა (საწარმოს) და კორპორაციას შორის

ეროვნულ ანგარიშებში საწარმო არის ინსტიტუციური ერთეული, სხვა სიტყვებით, ეკონომიკური აგენტი, რომელსაც დამოუკიდებლად შეუძლია გადაწყვეტილების მიღება და მისი მიზანია ბაზრისთვის საქონლისა და მომსახურების წარმოება. სიტყვა „ბაზარი“ ძალიან მნიშვნელოვანია; ეს ნიშნავს, რომ პროდუქტები ბაზარზე ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ფასებით იყიდება. ეროვნულ ანგარიშებში საბაზრო პროდუქციის განსაზღვრის ერთ-ერთი კრიტერიუმია ანაზღაურებს თუ არა ფასი პროდუქტის წარმოებაზე გაწეული ხარჯების 50%-ზე მეტს. ეს განმარტება გამორიცხავს სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ წარმოებულ უფასო, ან თითქმის უფასო მომსახურებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს განმარტება „მოგებაზე ორიენტირებისგან“ საკმაოდ შორს დგას (თუ ფირმის გაყიდვები ხარჯების მხოლოდ 51%-ს ფარავს, მაშინ საჭირო გახდება სუბსიდირება), მაინც ჩანს, რომ ფირმის ქცევა

ალტრუიზმზე არ არის დაფუძნებული - სახელმწიფო მართვის ორგანოებისა და შმაკობისგან განსხვავებით.

კორპორაცია საწარმოს ფორმაა, რომელიც იურიდიულად განცალკევებულია მისი მფლობელებისგან. ეს განცალკევება მის მფლობელებს აძლევს იმ უპირატესობას, რომ გაკოტრების შემთხვევაში ისინი პასუხს აგებენ მხოლოდ იმ თანხებზე, რაც ჩადებული აქვთ ინვესტორებს და აღნიშნული არ ვრცელდება მათ პირად აქტივებზე (დატაცების შემთხვევის გარდა). არაკორპორირებული საწარმოების შემთხვევაში რაიმე იურიდიული განსხვავება ფირმასა და მის მფლობელებს შორის არ არის და ეს უკანასკნელი პირადად არის პასუხისმგებელი ყველა დავალიანებაზე ბიზნესის გაკოტრების შემთხვევაში. **კორპორაციად** გადაქცევისთვის ფირმა უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ იურიდიულ პირობებს, რომელთა შორის რამდენიმე ძვირადღირებულია. ამით აიხსნება, რომ მცირე ფირმების მფლობელები არ იყენებენ აღნიშნულ უპირატესობებს.

კორპორაციებს აქვთ ვალდებულება, რომ გამოაქვეყნონ ანგარიშების სრული ნაკრები, სადაც ჩაწერილი იქნება ფინანსური და არაფინანსური ფასეულობები პერიოდის დასაწყისისთვის („აქტივებისა და პასივების ბალანსის გახსნა“) და ბოლოსთვის („აქტივებისა და პასივების ბალანსის დახურვა“), ასევე შემოსულობები და გადახდები ამ ორ თარიღს შორის. ჩვეულებრივ, პერიოდი კალენდარულ წელს ემთხვევა. ეს ანგარიშები კორპორაციების სექტორის მაკროეკონომიკური ანგარიშების შედგენის მნიშვნელოვანი წყაროა.

საპირისპიროდ, არაკორპორირებული საწარმოების უმეტესობას არ გააჩნია ანგარიშების სრული ნაკრები. ზოგიერთი ტრანსაქციის გამორჩევა მფლობელის, როგორც შინამეურნეობისგან, შეუძლებელია. ამიტომ, ეროვნულ ანგარიშებში ისინი შინამეურნეობის სექტორშია გაერთიანებული. აღსანიშნავია ორი მომენტი:

- ზოგიერთი არაფინანსური კორპორაცია შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ სახელმწიფოს მფლობელობაში იყოს. ასეთ კორპორაციებს „სახელმწიფო“ საწარმოები ეწოდება. მიუხედავად ამისა, მათი კლასიფიცირება არ ხდება სახელმწიფო მართვის ორგანოებთან, რადგან პროდუქტებს ეკონომიკურად მნიშვნელოვან ფასებში ჰყიდიან. ზოგჯერ ეს ფირმები კერძო კორპორაციებისგან განსხვავებულად იქცევიან და ამით ანალიტიკოსებს პრობლემას უქმნიან. მაგალითად, გარკვეულ სახელმწიფო საწარმოს აქვს საზოგადოებრივი მომსახურების ფუნქცია, რომელიც ხშირად ზღუდავს მას, რომ რეალური ზღვრული ღირებულების საფუძველზე გაყიდოს პროდუქცია. თუ სახელმწიფო საწარმო ზუსტად იმავე წესებით არ სარგებლობს, როგორც კერძო საწარმოები, მაშინ ეროვნული მოანგარიშების

აზრით, უნდა შეიქმნას ცალკე ანგარიში. პრაქტიკაში ამას ძალიან ცოტა ქვეყანა აკეთებს (მაგ. გაერთიანებული სამეფო).

- ეროვნული მოანგარიშებისთვის ძირეული განსხვავება კორპორაციებსა და არაკორპორირებულ საწარმოებს შორის მათი იურიდიული სტატუსიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ იქიდან, აწარმოებენ თუ არა ისინი ანგარიშების სრულ ნაკრებს. არსებობს მსხვილი ერთეულები (მაგალითად, შმაკოები, სამედიცინო პრაქტიკა ან კოოპერატივები), რომლებიც იურიდიულად არ წარმოადგენს კორპორაციებს, მაგრამ აქვეყნებს თავის ბალანსს და ტრანსაქციებს. ასეთ ერთეულებს უწოდებენ „კვაზიკორპორაციებს“ და მათი კლასიფიკაცია კორპორაციებთან ერთად ხდება. ზოგ ქვეყანაში (იტალია, გერმანია) „კვაზიკორპორაციების“ საზღვრებს არაკორპორირებული საწარმოებით აფართოებენ, რაც იწვევს მოგების ხვედრითი წილების თანაფარდობის ინტერპრეტაციის მოდიფიცირებას (იხ. თავი 3).

2. კორპორაციების სექტორის ანგარიშების სტრუქტურა

დანარჩენი ინსტიტუციური ერთეულების მსგავსად, ეროვნულ ანგარიშებში კორპორაციების სექტორის ანგარიშები *არაფინანსურ* და *ფინანსურ ანგარიშებად* იყოფა. ფინანსურ ანგარიშებს მე-8 თავში განვიხილავთ. აქ მხოლოდ არაფინანსურ ანგარიშებს განვიხილავთ - *წარმოების ანგარიშიდან კაპიტალის ანგარიშამდე*. ამ ანგარიშებიდან გავიგებთ, თუ როგორ ხდება წარმოებიდან მიღებული შემოსავლის დანაწილება წარმოების ფაქტორებს შორის (შრომა და კაპიტალი); როგორ იზრდება ან მცირდება ეს შემოსავალი „საკუთრებიდან მიღებული“ შემოსავლის ან სხვადასხვა სახის ტრანსფერების ხარჯზე (ძირითადად გადასახადები); და რჩება ფირმას არაფინანსური ან ფინანსური აქტივების შესაძენად. ყველა ეს ინფორმაცია მიმდინარე ფასებშია ასახული.

წარმოებისა და შემოსავლის ანგარიშებში შემოსულობები მარჯვენა სვეტში - რესურსებში აისახება, ხოლო ხარჯები - მარცხენა, გამოყენების სვეტში. კაპიტალის ანგარიში გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება კაპიტალის ფორმირების დაფინანსება. ამიტომ *ცვლილებები აქტივებში* მარცხნივ არის ნაჩვენები, ხოლო მარჯვენა სვეტში - *ცვლილებები ვალდებულებებში და კაპიტალის წმინდა ღირებულება*. მარცხენა სვეტის ბოლო სტრიქონი *დამბალანსებელი მუხლია* და ის რესურსებისა და გამოყენების სხვაობის ტოლია. ანგარიშების დაბალანსების შედეგად მიიღება *დამატებული ღირებულება, საოპერაციო მოგება, დანაზოგი ან წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება*. ამ აგრეგატებს დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ

ანალიზში. ქვემოთ მოტანილ ანგარიშებში დამაბალანსებელი მუხლები მუქი შრიფტით არის მოცემული. ყველა ანგარიშის ცალკეული მუხლები 2011 წლის ფასებშია გამოსახული, მლრდ ევროებში. ამ თავში თვალსაჩინოებისთვის ჯერ განხილულია საფრანგეთის არაფინანსური კორპორაციების სექტორი და შემდეგ ავსტრალიის არაფინანსური კორპორაციების სექტორი.

კორპორაციების სექტორის წარმოების ანგარიში

პირველი ანგარიში არის *წარმოების ანგარიში*. ის შედგება მხოლოდ სამი მუხლისგან: მარჯვნივ - *გამოშვება* (სხვა სიტყვებით, *რესურსებში*); მარცხნივ - *შუალედური მოხმარება* (*გამოყენებაში*) და დამაბალანსებელი მუხლი (მარცხნივ, ამ ორი მუხლის სხვაობა) *მთლიანი დამატებული ღირებულება*.

2011 წელს არაფინანსური კორპორაციების გამოშვებამ 2 548.7 მლრდ ევრო შეადგინა, რაც ბევრად მაღალია საფრანგეთის მშპ-ზე (2 001.4 მლრდ ევრო). ეს არც არის გასაკვირი, რადგან გამოშვება განმეორებით აღრიცხვას შეიცავს და ერთი ფირმის გამოშვება შეიძლება დანარჩენი ფირმებისთვის შუალედური მოხმარება იყოს. ამის გამო, მთლიანი გამოშვება არ არის მაკროეკონომიკური აგრეგატი, რომელიც შეიძლება ანალიტიკური მიზნებისთვის გამოვიყენოთ. ამის ნაცვლად, ვიყენებთ გამოყენების დამაბალანსებელ მუხლს - არაფინანსური კორპორაციების მთლიან დამატებულ ღირებულებას, რომელიც 1 006.5 მლრდ ევროს ტოლია.

ფირმების გამოშვება იყოფა საბაზრო გამოშვებად და გამოშვებად საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის. მომსახურების ცალკეული დარგების გარდა (მაგ. საცალო ვაჭრობა), რომლებისთვისაც სპეციალური შეთანხმებები გამოიყენება, საბაზრო გამოშვება, რომელიც მთელი გამოშვების უდიდეს ნაწილს შეადგენს, გაიზომება როგორც გაყიდვების ჯამს პლუს მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების მარაგების ცვლილება. არაფინანსური კორპორაციების მიერ საკუთარი მოხმარებისთვის წარმოებული გამოშვება შედგება არაფინანსური აქტივების ღირებულებისგან, რომელიც ფირმას საკუთარი მოხმარებისთვის სჭირდება (მაგალითად, პროგრამული უზრუნველყოფა მხოლოდ კორპორაციული საჭიროებისთვის). მისი მოცულობა საკმაოდ მცირეა (დაახლოებით მთელი გამოშვების 1%).¹ შუალედური მოხმარება გაიზომება როგორც წარმოების პროცესისთვის შესყიდული საქონლისა და მომსახურების ჯამს მინუს მათი მარაგების ცვლილება.

ცხრილი 7.3. საფრანგეთი: არაფინანსური კორპორაციების წარმოების ანგარიში
მლრდ ევროში, 2011

გამოყენება		რესურსები	
P2. შუალედური მოხმარება	1 542.1	P1. გამოშვება	2 548.7
B1G. მთლიანი დამატებული ღირებულება	1 006.5		
K1. ძირითადი კაპიტალის მოხმარება	160.1		
B1N. წმინდა დამატებული ღირებულება	844.0		

წყარო: OECD (2014), "Detailed National Accounts: Non-financial accounts by sectors, annual", OECD National Accounts Statistics (database), <http://dx.doi.org/10.1787/data-00034-en>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144005>

აღსანიშნავია, რომ გამოყენებაში აგრეთვე უნდა გავითვალისწინოთ ძირითადი კაპიტალის მოხმარება. ძირითადი კაპიტალის მოხმარება არის წარმოებული კაპიტალის ღირებულების შემცირება ფიზიკური და მორალური ცვეთის გამო. ის, ისევე როგორც შუალედური მოხმარება, წარმოების ხარჯს წარმოადგენს და კორპორაციის „ნამდვილი“ დამატებული ღირებულების მისაღებად უნდა გამოვრიცხოთ გამოშვებიდან. შედეგად მიიღება წმინდა დამატებული ღირებულება. ძირითადი კაპიტალის მოხმარების შეფასება (იხ. „ჩაუღრმავდით“) რთულია, ამიტომ სტატისტიკური სამსახურები კორპორაციების სექტორის ანგარიშებში უმეტესად „მთლიან“ აგრეგატებს აქვეყნებენ, ვიდრე „წმინდას“. მიუხედავად ამისა, ანალიტიკური მიზნებისთვის წმინდა დამატებული მუხლები უფრო მისაღებია. ამ თავის ბოლოს, სავარჯიშო 1-ში ნაჩვენებია, თუ როგორ უნდა მივიღოთ მთლიანი დამატებული მუხლებიდან და კოეფიციენტებიდან მათი წმინდა ეკვივალენტები.

შემოსავლის ფორმირების ანგარიში კორპორაციების სექტორში

ანგარიშების მიმდევრობაში შემდეგი ანგარიშია შემოსავლების ფორმირების ანგარიში. ამ ანგარიშში ნაჩვენებია, თუ როგორ ხდება შექმნილი დამატებული ღირებულების განაწილება წარმოების ორ ფაქტორს შორის: სამუშაო ძალაზე (შრომის ანაზღაურება) და კაპიტალზე (მთლიანი საოპერაციო მოგება). ანგარიში იწყება მარჯვნივ ჩაწერილი მთლიანი დამატებული ღირებულებით (ცალკეულ შემთხვევებში შეგიძლიათ წმინდა დამატებული ღირებულებით დაიწყოთ). გამოყენებაში პირველი მუხლია მომუშავეთა შრომის ანაზღაურება, რომელიც თავის მხრივ ორად იყოფა: მომუშავეთა ხელფასი და სოციალური ანარცხები.

აღსანიშნავია, რომ ხელფასში შედის სოციალური ანარცხები და საშემოსავლო გადასახადი. პრაქტიკულად, მიუხედავად იმისა, რომ მომუშავე არ იღებს ხელზე

სოციალურ ანარიცხებს (ისინი პირდაპირ გადაირიცხება სოცდაზღვევის გეგმებში, საგადასახადო სამსახურებში და ა.შ.), ეროვნულ ანგარიშებში ეს ისე აისახება, თითქოს მომუშავეები იღებენ მას. ეს იმის გამო ხდება, რომ გაიზომოს სამუშაო ძალზე გაწეული ჯამური ხარჯები. ამ ანარიცხებში შედის დამქირავებლის მიერ რეალურად გადახდილი და ე.წ. იმპუტირებული ანარიცხები. ანარიცხების სქემა დეტალურად მე-6 თავშია ახნილი.

ცხრილი 7.4. საფრანგეთი: არაფინანსური კორპორაციების შემოსავლების ფორმირების ანგარიში
მლრდ ევროში, 2011

გამოყენება		რესურსები
D1.	შრომის ანაზღაურება	676.5
D11.	ხელფასი	511.0
D12.	სოციალური ანარიცხები	165.5
D29.	სხვა გადასახადები წარმოებაზე	53.2
D39.	სხვა სუბსიდიები წარმოებაზე	16.3
B2.	საოპერაციო მოგება, მთლიანი	293.2
K1.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	160.1
B2N.	საოპერაციო მოგება, წმინდა	133.0
		B1N. წმინდა დამატებული ღირებულება 1 006.5

წყარო: OECD (2014), "Detailed National Accounts: Non-financial accounts by sectors, annual", OECD National Accounts Statistics (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00034-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00034-en).

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144010>

სხვა გადასახადები და სხვა სუბსიდიები წარმოებაზე (D29 და D39) არის სხვაობები - ჯამურ გადასახადებს და სუბსიდიებს წარმოებაზე მინუს გადასახადები და სუბსიდიები პროდუქტებზე (D21 და D31), შესაბამისად. ეს უკანასკნელი (რომელიც შეიცავს დღგ-ს) არ ჩნდება კორპორაციების ანგარიშებში იმ შემთხვევაშიც კი, თუ კორპორაციები პრაქტიკულად აგროვებენ გადასახადებს, რადგან ეროვნულ ანგარიშებში წარმოება ფასდება საბაზისო ფასებში, რაც ნიშნავს, რომ გამოირიცხება გადასახადები პროდუქტებზე და შეიტანება სუბსიდიები პროდუქტებზე.

სანამ მთლიან საოპერაციო მოგებაზე გადავიდოდეთ, რომელიც ასახავს კაპიტალური ფაქტორის კომპენსაციას, უფრო დეტალურად უნდა განვიხილოთ სხვა გადასახადები წარმოებაზე (D29) და სხვა სუბსიდიები წარმოებაზე (D39). ეს გადასახადები შედგება ხელფასიდან გადახდილი გადასახადების ან გადახდილი კაპიტალისგან, რომელსაც ფირმები იხდიან (საფრანგეთში ეს არის გადასახადები მიწაზე, შენობებზე და კომპანების სოლიდარობის გადასახადი). სუბსიდიები წარმოებაზე არის მთავრობის მიერ ფირმებისთვის გადაირიცხული სუბსიდიები წარმოების სტიმულირების მიზნით. საფრანგეთში სუბსიდიები წარმოებაზე ძირითადად ფერმერებზე გაიცემა,

რომლებიც კლასიფიცირებულია როგორც არაკორპორირებული საწარმოები და არა როგორც კორპორაციები. გაითვალისწინეთ, რომ ზოგჯერ ეროვნული მონაგარიშეები ცოტა რთულად აზროვნებენ. ამ შემთხვევაში, სუბსიდიები ნაჩვენებია არა როგორც შემოსავალი, არამედ როგორც უარყოფითი გამოყენება.


სხვა გადასახადებისა და სხვა სუბსიდიების ასეთი ჩაწერის უპირატესობა იმაშია, რომ ისინი შეიძლება ერთ მუხლში გავაერთიანოთ როგორც „სხვა გადასახადებს მინუს სხვა სუბსიდიები წარმოებაზე“.

მთლიანი საოპერაციო მოგება (ან ძირითადი კაპიტალის მოხმარების გამორიცხვის შემდეგ **წმინდა საოპერაციო მოგება**) ფირმის საქმიანობის ძირითადი საზომია. ეს საზომი ბუღალტრული მოგებისგან განსხვავებულია, რაც ახსნილია რუბრიკაში „ჩაუღრმავდით“ ამ თავის ბოლოს. ამიტომ, ეროვნული მონაგარიშეები „მოგების“ ნაცვლად სხვა ტერმინებს იყენებენ.

შეგვიძლია გამოვთვალოთ *მოგების ხვედრითი წილი* (ან მოგების ნორმა), რომელიც მთლიანი საოპერაციო მოგებისა და მთლიანი დამატებული ღირებულების ფარდობის ტოლია. ეროვნულ ანგარიშებში ეს ფირმის საქმიანობის შეფასების მთავარი ინდიკატორია. როგორც ადრე აღვნიშნეთ, უკეთესი იქნება, თუ წმინდა მოგების წილს გამოვიყენებთ, რომელიც წმინდა საოპერაციო მოგებისა და წმინდა დამატებული ღირებულების ფარდობით მიიღება. ქვემოთ, ნახაზზე ნაჩვენებია წმინდა და მთლიანი საოპერაციო მოგების წილის დინამიკა 1990 წლიდან. როგორც ვხედავთ, ორივე ხაზი თითქმის ერთმანეთის პარარელურია, თუმცა, წმინდა მოგების წილი უფრო მეტად შემცირდა უკანასკნელი კრიზისის შედეგად. ამიტომ, საერთაშორისო შედარებებში ცვლადების დონეების და არა ცვლილებების შედარების დროს ძალიან მნიშვნელოვანია, რომელს ავირჩევთ - წმინდა მოგების წილს, თუ მთლიანი მოგების წილს. ამასთან, ასევე მნიშვნელოვანია შესაძლო განსხვავებების კორექტირება „არაფინანსური სექტორის“ განსაზღვრასთან დაკავშირებით. როგორც მე-3 თავში ვნახეთ, ზოგიერთი ქვეყანა (გერმანია, იტალია) ამ სექტორში აერთიანებს „კვაზიკორპორაციებს“, სადაც დიდი რაოდენობით აუნაზღაურებელი მომუშავეებია და ამით მთლიან საოპერაციო მოგებაში ხდება შერეული შემოსავლების ელემენტების შეტანა. მიუხედავად ამისა, თითოეული ქვეყნისთვის მოგების წილის ცვლილება ყოველთვის მნიშვნელოვანია. 1996-1998 წლებში საფრანგეთის არაფინანსურ კორპორაციებში გაიზარდა როგორც მთლიანი, ისე წმინდა საოპერაციო მოგების წილი. 1998 წლის შემდეგ ეს კოეფიციენტი სტაბილური იყო კრიზისამდე. ეროვნული ანგარიშების კვარტალურ ცხრილებში,

რომელიც საფრანგეთისთვის ქვეყნდება, ორი მათგანი ძალიან საინტერესოა, რადგან ჩანს, თუ საიდან წარმოიშვა ცვლილებები მოგების წილებში. ეს ცხრილები მოტანილია მე-4 და მე-5 სავარჯიშოებში (რამდენადაც ეს რთული სავარჯიშოებია, ჩვენი რჩევაა პირდაპირ ამოხსნაში ჩაიხედოთ).

ნახაზი 7.1. საფრანგეთი: წმინდა და მთლიანი მოგების წილები, არაფინანსური კორპორაციები
 პროცენტულად მთლიან დამატებულ ღირებულებასთან



წყარო: OECD (2014), “Detailed National Accounts: Non-financial accounts by sectors, annual”, OECD National Accounts Statistics (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00034-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00034-en).

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144036>

შემოსავლების განაწილების ანგარიში

ახლა გვერდზე გადავდეთ საფრანგეთის ანგარიშები და კორპორაციების სექტორისთვის გადავიდეთ ავსტრალიის ანგარიშებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყანა სრულიად განსხვავებულია, იქაც ასევე ეროვნული ანგარიშები გამოიყენება. თუმცა, ავსტრალია არ ანგარიშობს წარმოებისა და შემოსავლების ფორმირების ანგარიშს და კორპორაციებისთვის ის პირდაპირ მესამე საფეხურიდან იწყებს ანგარიშების შედგენას, რომელიც ცნობილია, როგორც *შემოსავლების განაწილების ანგარიში*. ეს ანგარიში იწყება საოპერაციო მოგებიდან, შემდეგ აქ ნაჩვენებია ყველა ტრანსფერი, რომელსაც იღებენ ან გასცემენ კორპორაციები.

ცხრილი 7.5. ავსტრალია: არაფინანსური კორპორაციების (S11)* შემოსავლების განაწილების ანგარიში

მლრდ ავსტრალიურ დოლარებში, 2012

გამოყენება			რესურსები		
D4.	შემოსავალი გადახდილი	საკუთრებიდან, 130.2	B2N.	წმინდა საოპერაციო მოგება	192.1
D5.	მიმდინარე გადასახადები შემოსავალზე, კაპიტალზე და ა.შ.	47.1	D4.	შემოსავალი საკუთრებიდან სულ, მისაღები	36.0
D62.	სოციალური შეღავათები		D61.	სოციალური ანარიცხები	
D7.	სხვა მიმდინარე ტრანსფერები, სულ	9.8	D7.	სხვა მიმდინარე ტრანსფერები	4.4
B6N.	წმინდა განკარგავდი შემოსავალი = B8N.	45.4			
	წმინდა დანაზოგი				

* ფისკალური წელი იწყება 2012 წლის 1 ივლისს და მთავრდება 2013 წლის 30 ივნისს.

წყარო: Australian bureau of statistics (2013), Australian system of National Accounts: Table 17. Non-Financial Corporations Income Account, <http://www.abs.gov.au/AUSSTATS/abs@.nsf/DetailsPage/5204.02012-13?OpenDocument>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144028>

უპირველეს ყოვლისა, ეს ტრანსფერები მოიცავს შემოსავლებს საკუთრებიდან. რადგან აქ სიტყვა „სულ“(D4) არის გამოყენებული, მასში ხუთი ტიპის შემოსავალი შედის საკუთრებიდან: პროცენტი (D41); კორპორაციების განაწილებული მოგება (D42); პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეინვესტირებული შემოსავლები (D43); გადახდები საინვესტიციო შემოსავლიდან (მათ შორისაა საკუთრებიდან მიღებული შემოსავალი სადაზღვევო პოლისების მფლობელებისთვის) (D44); და მიწისა და სასარგებლო წიაღისეულის რენტა (D45). მათი უმეტესობა შეიძლება გამოჩნდეს როგორც რესურსებში, ისე გამოყენებაში. ამ მუხლების ანალიზისთვის მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ ეროვნულ ანგარიშებში კორპორაციების ანგარიშები „არაკონსოლიდირებულია“. როდესაც სექტორის მრავალი ერთეულის ანგარიშების აგრეგირება ხდება, „კონსოლიდაცია“ ნიშნავს ერთი და იმავე სექტორის ერთეულებს შორის ტრანსაქციების ელიმინაციას. ერთეულებს შორის რჩება მხოლოდ ის ტრანსაქციები, რომელიც სხვა სექტორის ერთეულებთან არის დაკავშირებული. საპირისპიროდ, როდესაც არ ხდება კონსოლიდაცია, ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ ჯამდება ტრანსაქციები, იქნება ეს შიდა სექტორული, თუ გარე სექტორული.

ამ არაკონსოლიდირებულ ანგარიშებში ავსტრალიის არაფინანსური სექტორის მიერ მისაღები შემოსავლები საკუთრებიდან 2012 წელს მოიცავს მაგალითად, გადასახდელ დივიდენდებს, რომელიც განაწილებული შემოსავლის ნაწილია და ცალკეულმა კორპორაციებმა სხვა კორპორაციებს უნდა გადაუხადონ. ფაქტობრივად ძალიან ძნელია კორპორაციების ანგარიშების კონსოლიდაცია, რადგან უცნობია, არის თუ არა კორპორაცია გადამხდელი ან მიმღები. ხშირად უცნობია, თუ ვის გადაერიცხა

თანხები, ან ვისგან არის მიღებული. ამდენად, ავსტრალიის არაფინანსური კორპორაციების არაკონსოლიდირებულ ანგარიშებში არაფინანსურმა კორპორაციებმა უნდა გადაიხადონ 130.2 მლრდ ავსტრალიური დოლარი. მაგრამ ეს არ არის მხოლოდ სხვა სექტორებისთვის (ფინანსური კორპორაციები, შინამეურნეობები, სახელმწიფო მართვის ორგანოები და დანარჩენი მსოფლიო) გადასარიცხი. საკუთრებიდან მიღებული შემოსავლის დიდი ნაწილი სხვა არაფინანსურ კორპორაციებსაც გადაერიცხებათ და ამით შეიძლება ავხსნათ საკუთრებიდან მისაღები შემოსავლების მოცულობა (36.0 მლრდ ავსტრალიური დოლარი). იმისათვის, რომ მივიღოთ სხვა აგენტების (ფინანსური კორპორაციები, შინამეურნეობები, სახელმწიფო მართვის ორგანოები და დანარჩენი მსოფლიო) მიერ მიღებული წმინდა შემოსავლები საკუთრებიდან, საჭიროა გამოვთვალოთ სხვაობა გადასახდელ (130.2) და მისაღებ (36.0) შემოსავლებს შორის, ანუ 94.2 მლრდ ავსტრალიური დოლარი.

- D41- *პროცენტი*. ეს არის, მაგალითად, არაფინანსური კორპორაციების მიერ ბანკიდან (ფინანსური კორპორაციები) აღებულ სესხზე გადახდილი პროცენტები. ეს შეიძლება იყოს ასევე ობლიგაციაზე გადახდილი პროცენტები.
- D42 - *კორპორაციების განაწილებული მოგება*. ეს არის ფირმის აქციონერებზე განაწილებული მოგება, ძირითადად დივიდენდების სახით. ამავე დროს, კორპორაციები სხვა კორპორაციებიდანაც იღებენ დივიდენდებს. ამ შემთხვევაში „განაწილებულ შემოსავალში“ ყველა მეთოდია გამოყენებული მისი მოგების ნაწილის გასანაწილებლად, ახალი აქციების გამოშვების ჩათვლით. ის მოიცავს აგრეთვე შემოსავლებს, რომელსაც მფლობელები იღებენ თავიანთი კვაზიკორპორაციებიდან.

შენიშვნა ექსპერტებისთვის: ამ ნაკადის საპირისპირო ნაკადი ჩნდება ფინანსური ანგარიშების F5 მუხლში (აქციები და მოგებაში მონაწილეობის სხვა აქტივები).

- D43 - *პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეინვესტირებული შემოსავლები*. ეს მუხლი იმით არის საინტერესო, რომ ასახავს იმპუტაციას ეროვნულ ანგარიშებში. ამ შემთხვევაში ითვალისწინებენ ტრანსნაციონალური ფირმების (მშობელი კომპანია) მიერ საზღვარგარეთ განლაგებული სხვა ფირმების (შვილობილი კომპანიები) კონტროლის ფენომენს. ერთი ფირმა მეორეს იმ შემთხვევაში აკონტროლებს, თუ ის ერევა მისი გადაწყვეტილებების მიღებაში, განსაკუთრებით შემოსავლის განაწილების დროს. ამ შემთხვევაში მშობელ

კომპანიას აბსოლუტურად დამოუკიდებლად შეუძლია გადაწყვიტოს, დაიტოვოს დივიდენდი, თუ შვილობილ კომპანიას გადაურიცხოს. გამდიდრების რეალური ხარისხის ასახვის მიზნით (ან გადარიცხვის, თუ შვილობილი ზარალს განიცდის), ამ სტრიქონში ჩაიწერება მოგების მოცულობა, რომელიც დივიდენდების სახით არ განაწილდა, მაგრამ გადაერიცხა შვილობილ კომპანიას.

მიუხედავად იმისა, რომ აღიწერება როგორც „რეინვესტირებული მოგება“, ეს მუხლი შეიძლება უარყოფითი იყოს, თუ შვილობილი კომპანია ზარალს განიცდის. ეს შეიძლება ვნახოთ როგორც „რესურსებში“, ისე „გამოყენებაში“. „რესურსებში“ არის ის თანხები, რომელიც ავსტრალიური ტრანსნაციონალური კომპანიებიდან გადაირიცხა საზღვარგარეთის შვილობილ კომპანიებს; „გამოყენებაში“ არის თანხები, რომელიც უცხოური ტრანსნაციონალური კომპანიებიდან გადაირიცხა ავსტრალიურ შვილობილ კომპანიებში. დიდი ინტერესის მიუხედავად, ეს არ არის ადვილად „დასაჭერი“ მუხლი, რადგან ტრანსნაციონალური კორპორაციების უცხოური შვილობილების შესახებ ინფორმაცია დიდი ხარისხით ვერ დაიკვებნის. სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს მზარდი გლობალიზაცია და „კონკრეტული მიზნით შექმნილი ერთეულები“ გადასახადების შემცირების მიზნით. შემდეგი თავისებურება ის არის, რომ ახსნა-განმარტებას ადგილი აქვს მხოლოდ ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან და საინვესტიციო ფონდებთან, (იხ. ქვემოთ) დაკავშირებით: ეროვნულ მოანგარიშებს არ მოყავთ არგუმენტაციები მშობელ და შვილობილ კომპანიებთან დაკავშირებით.

- D44 - *გადახდები საინვესტიციო შემოსავლიდან.* ტრანსაქციების ეს კატეგორია მოიცავს სამ მუხლს: სადაზღვევო პოლისების მფლობელების შემოსავლები საკუთრებიდან, შემოსავლები საპენსიო ინვესტიციებიდან და შემოსავლები კოლექტიური საინვესტიციო სააქციო ფონდებიდან. პირველი მუხლი არის იმპუტირებული ნაკადი, რომელსაც შეესაბამება სადაზღვევო კომპანიების ტექნიკური რეზერვების ინვესტირებიდან მიღებული შემოსავლები. რამდენადაც ეს ტექნიკური რეზერვები ეკუთვნის პოლისის მფლობელებს (ამ შემთხვევაში არაფინანსურ კორპორაციებს) და არა სადაზღვევო კომპანიებს, ეროვნულ ანგარიშებში ჩაწერის შემდეგი წესი გამოიყენება: საკუთრებიდან მიღებული შემოსავალი ჯერ გადაერიცხება პოლისების მფლობელებს და შემდეგ უკან გადაერიცხება სადაზღვევო კომპანიებს მათი მოხმარების სახით. მეორე მუხლი ასევე იმპუტირებული ნაკადია და უკავშირდება საპენსიო

ინვესტირებიდან მიღებულ შემოსავლებს.² მესამე მუხლი მოიცავს საინვესტიციო ფონდების განაწილებელ შემოსავლებს, რომლებიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეინვესტირებული შემოსავლების მსგავსად განიხილება - როგორც განაწილებული და შემდგომ რეინვესტირებული.

- D45 - *მიწისა და სასარგებლო წიაღისეულის რენტა*. ეს მეხუთე ტიპის შემოსავალი საკუთრებიდან შედეგება მიწისა და სასარგებლო წიაღისეულის (ნავთობი, ქვანახშირი, მინერალური რესურსები) ფლობიდან მიღებული რენტისგან იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპლუატაცია სხვების მიერ ხდება. გათვალისწინეთ, რომ ეს მუხლი არ მოიცავს საოფისე შენობების რენტას და რენტას კორპორაციების მიერ გამოყენებული ავტომობილებიდან, რაც არის მომსახურების შესყიდვა და ჩაიწერება წარმოების ანგარიშის შუალედური მოხმარების მუხლში.

შემდეგი მუხლი შემოსავლების განაწილების „გამოყენებაში“ არის მიმდინარე გადასახადები შემოსავალზე (D5). ეს მუხლი ძირითადად კორპორაციების გადასახადებისგან შედგება, რამაც 2012 წელს 47.1 მლრდ ავსტრალიური დოლარი შეადგინა. შემოსავლების განაწილების ანგარიში ასევე შეიცავს მიღებულ სოციალურ ანარიცხებს (D61) და გადახდილ სოციალურ შეღავათებს (D62). შეიძლება ცოტა უჩვეულოდ ჩანს, რომ სოციალური ანარიცხების უმრავლესობა სოციალური დაზღვევის გეგმებში გადაირიცხება და შემდეგ ამავე გეგმებიდან გადაიხდება სოციალური შეღავათების სახით, თუმცა, ისინი არ შედის არაფინანსურ სექტორში. აღნიშნული ნაკადების არსებობა იმით არის განპირობებული, რომ მსხვილ ფირმებს საკუთარი საპენსიო და სოციალური დაზღვევის სისტემები გააჩნიათ. ამ შემთხვევაში, სოციალური შეღავათები პირდაპირ გადაერიცხებათ მიმდინარე ან ყოფილ მომუშავეებს. მიუხედავად ამისა, ეროვნულ ანგარიშებში შემდეგი სქემა გამოიყენება: ამ შეღავათების შესაბამისი სოციალური ანარიცხები ჯერ გადაერიცხებათ მომუშავეებს როგორც შრომის ანაზღაურების ნაწილი, შემდეგ უკან ბრუნდება ამავე კორპორაციებში, რომლებსაც ისინი სოციალური შეღავათების გასაცემად გამოიყენებენ. როგორც ადრე ვნახეთ, ეს გართულებული სისტემა გვიჩვენებს სამუშაო ძალაზე გაწეულ დანახარჯებს მთლიანობაში. თუმცა, ავსტრალია ამ შემთხვევაში არ მიყვება 2008 წლის ეას-ს. მიუხედავად იმისა, რომ ავსტრალიის ეროვნული ანგარიშები სცნობს დამსაქმებლის მიერ იმპუტირებული ანარიცხების გადარიცხვას მომუშავეებისთვის, ის აღარ ასახავს მომუშავეების მიერ განხორციელებულ უკუ გადარიცხვებს დამსაქმებლისთვის. შესაბამისად, ანგარიშში არ არის ჩანაწერები სოციალური შეღავათებისთვის (D61 და D62). ავსტრალია

ერთადერთი გამონაკლისი არ არის, რომელმაც ამ შემთხვევაში გადაუხვია საერთაშორისო სტანდარტიდან.

ამ ანგარიშის დანარჩენი მუხლებია „სხვა მიმდინარე ტრანსფერები“ (D7). კერძოდ, ის შედგება ნაკადებისგან, რომლებიც დაკავშირებულია არა სიცოცხლის დაზღვევის პოლისებთან. კორპორაციები იღებენ არა სიცოცხლის პრეტენზიების ანაზღაურებას და იხდიან წმინდა არა სიცოცხლის დაზღვევის პრემიებს. რამდენადაც ეროვნული ანგარიშები დარიცხვის ბაზაზე აიგება (იხ. თავი 10), ამ პრეტენზიების ანაზღაურება პერიოდის განმავლობაში კი არ ხდება, არამედ პერიოდის დადგომის გამო. რას ნიშნავს სიტყვა „წმინდა“, რომელიც სადაზღვევო პრემიებთან გამოიყენება? ეს იმის გამოა, რომ ეროვნულ ანგარიშებში არჩევენ სადაზღვევო პრემიის გადახდის სამ ელემენტს: (1) გადასახადი დაზღვევის მენეჯმენტის მომსახურებისთვის; (2) პოლისის თითოეული მფლობელის მონაწილეობა ანაზღაურებულ პრეტენზიებში; (3) დღგ და დაზღვევის სპეციფიური გადასახადები. წმინდა პრემიას შეესაბამება მხოლოდ მეორე ელემენტი. პირველი ელემენტი შუალედურ მოხმრებაში შედის და ჩნდება არაფინანსური კორპორაციების წარმოების ანგარიშში. მესამე ელემენტის შესახებ ინფორმაციას მოიპოვებენ სადაზღვევო კომპანიები, თუმცა ის არ ჩნდება ეროვნულ ანგარიშებში. სამაგიეროდ, ის ჩაიწერება როგორც მთავრობის მიერ მიღებული, თუმცა გადამხდელის ჩვენების გარეშე. დაზღვევასთან დაკავშირებული საკითხების დეტალური განხილვისთვის იხილეთ რუბრიკა „ჩაუღრმავდით: დაზღვევა - არის თუ არა წმინდა პრემიები ანაზღაურებული პრეტენზიების ტოლი?“ ამ ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია **წმინდა განკარგვადი შემოსავალი (B6N)**. ეს დამაბალანსებელი მუხლი კორპორაციების შემთხვევაში **წმინდა დანაზოგის (B8N)** ტოლია, რადგან განსაზღვრის მიხედვით კორპორაციებს არ აქვთ საბოლოო მოხმარება.

კაპიტალის ანგარიში

ახლა განვიხილოთ არაფინანსური კორპორაციების ბოლო ანგარიში, სახელდობრ, *კაპიტალის ანგარიში*. ეს ანგარიში აღწერს, თუ როგორ ხდება დანაზოგის გამოყენება კორპორაციების მიერ ინვესტიციების დაფინანსებისთვის (GFCF) არაფინანსური აქტივებისა და მარაგების ცვლილებაში. ამასთან, „გამოყენების“ ნაცვლად აქ მარცხენა სვეტში გვაქვს ცვლილებები აქტივებში, ხოლო მარჯვენა მხარეს - „ცვლილებები ვალდებულებებსა და კაპიტალის წმინდა ღირებულებაში“.

ცხრილი 7.6. ავსტრალია: არაფინანსური კორპორაციების (S11) კაპიტალის ანგარიში
მლრდ ავსტრალიურ დოლარებში, 2012

ცვლილებები აქტივებში				ცვლილებები აქტივებსა და კაპიტალის წმინდა ღირებულებაში		
P51	ძირითადი კაპიტალის ფორმირება	მთლიანი	230.7	B8N	წმინდა დანაზოგი	45.4
P52	მარაგების ცვლილება		4.6	K1	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	114.1
K2	არაწარმოებული არაფინანსური აქტივების შესყიდვებს მინუს გაყიდვები		- 1.0	B8	მთლიანი დანაზოგი	159.4
B9	წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება (-)		- 69.7	D9	წმინდა კაპიტალური ტრანსფერები, სულ	5.2

წყარო: Australian bureau of statistics (2013), Australian system of National Accounts: Table 18. Nonfinancial Corporations Capital Account, <http://www.abs.gov.au/AUSSTATS/abs@.nsf/DetailsPage/5204.02012-13?OpenDocument>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144040>

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2012 წელს ავსტრალიური ფირმების წმინდა დანაზოგი 45.4 მლრდ ავსტრალიური დოლარის ტოლია. თუმცა, მარჯვენა მხარეს მთლიანი დანაზოგის (B8) მისაღებად საჭიროა წმინდა დანაზოგს დაემატოს ძირითადი კაპიტალის მოხმარება (K1), რათა ის შევადაროთ მარცხენა მხარეს მდებარე ძირითადი კაპიტალის მთლიან ფორმირებას. თუ მარცხნივ ძირითადი კაპიტალის წმინდა ფორმირება გვექნება, მაშინ ასეთი კორექტირება აღარ დაგვჭირდება. თუმცა, უკვე ტრადიციად იქცა აქტივების ცვლილებაში ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირების ჩვენება. ამ მონაცემების მიხედვით მთლიანმა დანაზოგმა 159.4 მლრდ ავსტრალიური დოლარი შეადგინა, რაც შეიძლება ფირმებმა თავიანთი ძირითადი კაპიტალის ინვესტირების დაფინანსებაზე გამოიყენონ 230.7 მლრდ ავსტრალიური დოლარის ოდენობით. დამატებითი სახსრებისთვის მათ დასჭირდათ 69.7 მლრდ ავსტრალიური დოლარის სესხება. ამით შეიძლება ავხსნათ ის ფაქტი, რომ მთლიან დანაზოგს ზოგჯერ „თვითდაფინანსებას“ მიაწერენ ხოლმე. სხვა სიტყვებით, ის გამოიყენება ინვესტიციების დასაფინანსებლად ფირმის საკუთარი რესურსებით. შეგვიძლია გამოვთვალოთ „თვითდაფინანსების კოეფიციენტი“, თუ მთლიან დანაზოგს ძირითადი კაპიტალის მთლიან ფორმირებაზე გავყოფთ. ის გვიჩვენებს, თუ რამდენი პროცენტის დაფინანსება ხდება დანაზოგის ხარჯზე, საკუთარი რესურსებით - საბანკო კრედიტების აღების ან ახალი აქციებისა და ობლიგაციების გამოშვების გარეშე.

წმინდა კაპიტალური ტრანსფერების მიღება (D9) მოიცავს კვლევითი ლაბორატორიებისთვის გაცემული სამთავრობო გრანტების ოდენობებს შენობებისა და მოწყობილობებისთვის. გადახდილი კაპიტალური ტრანსფერები მოიცავს ადგილობრივი მთავრობისთვის გადახდილ ანარიცხებს უძრავი ქონების

დეველოპერებისაგან გზების ასაგებად და ქვანახშირის მომპოვებლების ანარიცხებს სარკინიგზო ხაზების მშენებლობისთვის.

დამაბალანსებელი მუხლია **B9 წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება** - „წმინდა დაკრედიტება“, როდესაც ის დადებითია და „წმინდა სესხება“, როდესაც ის უარყოფითია. არაფინანსური კორპორაციების შემთხვევაში ის ფაქტობრივად ხშირად უარყოფითია. ტრადიციულად, ასეთ შემთხვევაში, ფირმები მიმართავენ შინამეურნეობების დანაზოგებს ინვესტიციების დაფინანსებისთვის საბანკო კრედიტის აღების ან ახალი აქციებისა და ობლიგაციების გამოშვებით.

თუ ვნახავთ ავსტრალიის *ფინანსურ ანგარიშებს*, შევამჩნევთ, რომ *არაფინანსური კორპორაციების* წმინდა სესხება 69.4 მლრდ ავსტრალიური დოლარია, რაც თითქმის კაპიტალის ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლის ტოლია. უჩვეულო არ არის, რომ კაპიტალისა და ფინანსურ ანგარიშებში წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხების მუხლებს შორის განსხვავებაა. ორივე ანგარიშში წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება დამაბალანსებელი მუხლებია. მუხლებს შორის ეს განსხვავება ასახავს შეუსაბამობებს კაპიტალის ანგარიშში წარმოდგენილ „რეალურ“ ეკონომიკასა და ფინანსურ მონაცემებს შორის ფინანსურ ანგარიშში. როგორც მე-8 თავში ვნახავთ, ფინანსურ ანგარიშებში ხშირად სხვა წყაროებია გამოყენებული (ძირითადად ბანკებიდან), ვიდრე არაფინანსურ ანგარიშებში (კორპორაციის ანგარიშები).

3. კორპორაციებიდან ფირმებამდე

ჩვენ დატალურად განვიხილეთ კორპორაციების ანგარიშები. თუმცა, პრაქტიკაში მაკროეკონომისტებს ბევრად უფრო აინტერესებთ ყველა საწარმოს ანგარიში, მიუხედავად იმისა, კორპორირებულია თუ არა ისინი. ანალიზის პროცესში იურიდიულ სტატუსზე მეტად უფრო საინტერესოა ეკონომიკის მთლიანობაში დანახვა. არაკორპორირებული საწარმოები ისეთივე მწარმოებლები არიან, როგორც სხვები. სამწუხაროდ, ეროვნულ ანგარიშებში დღეისათვის შეუძლებელია ყველა საწარმოსათვის ანგარიშების სრული ნაკრების წარმოდგენა, რადგან განსაზღვრის მიხედვით, არაკორპორირებულ საწარმოებს არ გააჩნიათ ანგარიშების სრული ნაკრები. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში, როგორცაა საფრანგეთი და აშშ, ითვლიან არასრულ ანგარიშებს ყველა საწარმოსთვის. საფრანგეთში საწარმოთა ეს ჯგუფი ცნობილია როგორც “NFCs-UEs” (ფრანგულად: “SNFEI”), რომელშიც შედის „არაფინანსური კორპორაციები და არაკორპორირებული საწარმოები“ (“*sociétés non financières et entreprises individuelles*”). ამ ჯგუფში არ შედის ფინანსური კორპორაციები. მსგავს სექტორს აშშ-ში უწოდებენ „ბიზნეს სექტორს“, რომელიც ფინანსურ კორპორაციებსაც აერთიანებს (იხ. თავი 12). ზოგიერთი ქვეყანა (გერმანია,

იტალია) არაკორპორირებული საწარმოების ნაწილს „კვაზიკორპორაციებად“ განიხილავს და აერთიანებს მათ არაფინანსური კორპორაციების სექტორში.

ვინ არიან ეს ინდემწარმეები თავიანთ არაკორპორირებულ საწარმოებთან (UEs) ერთად? ესენი არიან შინამეურნეობების წევრები, რომლებიც მართავენ საოჯახო ფირმებს, როგორცაა საცალო მაღაზიები, ტაქსის კომპანიები, ფერმა, სამედიცინო ან იურიდიული ფირმა, რომელთაც არ აქვთ კორპორაციის სტატუსი. ფერმერები არაკორპორირებული მეწარმეების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ, თუმცა დიდია თვითდასაქმებული ექიმების, ადვოკატების და არქიტექტორების ხვედრითი წილიც. აღსანიშნავია, რომ საკუთარ ბინებში მცხოვრებნი ეროვნული ანგარიშების მიხედვით არ განიხილებიან ინდემწარმეებად. მათ მიერ კომუნალური მომსახურების იმპუტირებული გამოშვება და დაკავშირებული ტრანსაქციები „წმინდა“ შინამეურნეობის სექტორს მიეკუთვნება. ასეთივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც ბინათმფლობელი აქირავებს ბინას და მდგმურებისგან იღებს რენტას. იმის მიუხედავად, რომ საბინაო (კომუნალური) მომსახურება ერთის მიერ მეორის მოხმარებისთვის იწარმოება, ეს შინამეურნეობები ინდივიდუალურ საწარმოებად არ განიხილება.

ეკონომიკური თვალსაზრისით, არაკორპორირებული საწარმოები ისეთივე მწარმოებლები არიან, როგორც კორპორაციები. თუმცა, სტატისტიკური თვალსაზრისით, შეუძლებელია, რომ მათი საქმიანობები, რაც დაკავშირებულია არაკორპორირებულ წარმოებასთან, გავარჩიოთ იმ ტრანსაქციებისგან, რომელიც შინამეურნეობის ფუნქციებთან არის დაკავშირებული. ამით აიხსნება ის ფაქტი, თუ რატომ არის შეუძლებელი ანგარიშების სრული ნაკრების წარმოება როგორც არაკორპორირებული საწარმოების, ისე „წმინდა“ შინამეურნეობებისთვის (არაკორპორირებული საწარმოების მწარმოებლური აქტივობების ტრანსაქციების გარდა).

მიუხედავად ამისა, საფრანგეთს მაინც აქვს არასრული ანგარიშები არაკორპორირებული საწარმოებისთვის. ამის შემდეგ საჭიროა მხოლოდ ამ ანგარიშების დამატება არაფინანსური კორპორაციების ანგარიშებზე და მივიღებთ ანგარიშების ნაკრებს ყველა არაფინანსური საბაზრო მწარმოებლისთვის. ეს არასრული ანგარიშები საშუალებას იძლევა, რომ გამოვთვალოთ მთლიანი მოგების წილი (ან წმინდა მოგების წილი), რაც ადრე განვიხილეთ, ოღონდ ამ შემთხვევაში არაკორპორირებული საწარმოების გათვალისწინებით.

ცხრილი 7.7. საფრანგეთი: მოგების წილების შედარება - არაფინანსური კორპორაციები და არაფინანსურ კორპორაციებს პლუს არაკორპორირებული საწარმოები

პროცენტულად დამატებულ ღირებულებასთან

	2008	2009	2010	2011
არაფინანსური კორპორაციების მოგების წილი (S11)	31.5	29.1	30.1	28.6
არაფინანსურ კორპორაციებს პლუს არაკორპორირებული საწარმოების მოგების წილი (S11+ S14A)	38.1	35.8	36.7	35.3

წყარო: Insee Databases (2013): Statistical indices and series: Macroeconomic Database: National Accounts http://www.bdm.insee.fr/bdm2/index?request_locale=en.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144055>

როგორც ჩანს, არაფინანსური კორპორაციებისა და არაკორპორირებული საწარმოების მოგების წილი ცალკე აღებულ არაფინანსური კორპორაციების წილზე მაღალია. ამ ფაქტმა შეიძლება გვიბიძგოს დასკვნამდე, რომ არაკორპორირებული საწარმოების საქმიანობა უფრო წარმატებულია, მაგრამ ეს არ იქნება სწორი. არაფინანსური კორპორაციებისა და არაკორპორირებული საწარმოების მოგების წილი იმის გამოა მაღალი, რომ არაკორპორირებული საწარმოების „მოგება“ განსაზღვრის მიხედვით შეიცავს ინდივიდუალური საწარმოების მიერ წარმოების პროცესში გაწეული ხარჯების ანაზღაურებას. ეს ანაზღაურება მოგებაში მაღალი ხვედრითი წილით არის წარმოდგენილი (დაახლოებით 80%), რაც ცხადია, მაღლა სწევს მოგების წილს. აღნიშნულის გამო, ამ ინდიკატორის ანალიტიკური შინაარსი მკვეთრად შემცირდა. ფაქტობრივად, არაკორპორირებული საწარმოების შემოსავლების ფორმირების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია „შერეული შემოსავალი“ (კოდით B3), ხოლო არაფინანსური კორპორაციებისა - „საოპერაციო მოგება“ (კოდით B2). ტერმინის „შერეული შემოსავალი“ გამოყენება მიგვანიშნებს, რომ საოპერაციო მოგების ამ ფორმის გამოყენება არ არის შესაძარისი კორპორაციებთან, რადგან მასში „შერეულია“ კაპიტალისა და შრომის ფაქტორების ანაზღაურება. შედარების გაუმჯობესების მიზნით, ზოგჯერ არაფინანსური კორპორაციებისა და არაკორპორირებული საწარმოების მომგებიანობის გასაზომად იყენებენ შემოსავლის შეფასებას მფლობელისა და დასაქმებულების მიერ გაწეულ შრომის დანახარჯებზე და ამისთვის შრომის საშუალო შემოსავლიანობას ითვლიან მომუშავეებისთვის. როდესაც არაფინანსური კორპორაციების მოგების წილს ქვეყნებს შორის ადარებენ, მნიშვნელოვანია იმის შემოწმება, არის თუ არა ინდემწარმეების კლასიფიკაცია ჰარმონიზებული. მესამე თავში განხილულია მოგების წილების შედარება საფრანგეთს, გერმანიასა და იტალიას შორის. ამ ორ უკანასკნელ ქვეყანაში მრავალი „კვაზიკორპორაციის“ ჩართვამ უამრავი ანაზღაურების გარეშე მომუშავე ინდემწარმით, გაზომვის შეცდომები გამოიწვია.

შენიშვნები

1. ეს პროცენტი მნიშვნელოვნად მაღალი იქნება, როდესაც 2008 წლის ახალი სტანდარტები დაინერგება. ამ სტანდარტების მიხედვით, R&D ძირითადად შიდაწარმოებას განეკუთვნება, რაც ასევე განიხილება ძირითადი კაპიტალის მთლიან ფორმირებაში (GFCF).
2. განსაზღვრული ანარიცხების საპენსიო სქემებისთვის (იხ. თავი 6), ეს მუხლი ფონდის მიერ განხორციელებული ინვესტირებიდან მიღებული შემოსავლის ტოლია და ის ნაწილდება საპენსიო სქემის მონაწილეთა შორის. განსაზღვრული შეღავათების სქემების შემთხვევაში, როდესაც პენსია დაკავშირებულია პენსიონერის წარსულ ხელფასთან, საინვესტიციო შემოსავალი დისკონტირებულია სამომავლო შემოსავლების მიმდინარე ღირებულებით.

ბიბლიოგრაფია

- Australian bureau of statistics (2013a), Australian system of National Accounts: Table 17. Non-Financial Corporations Income Account, <http://www.abs.gov.au/AUSSTATS/abs@.nsf/DetailsPage/5204.02012-13?OpenDocument>.
- Australian bureau of statistics (2013b): Australian system of National Accounts: Table 18. Non-financial Corporations Capital Account, <http://www.abs.gov.au/AUSSTATS/abs@.nsf/DetailsPage/5204.02012-13?OpenDocument>.
- Insee Databases (2013), Statistical indices and series: Macroeconomic Database: National Accounts http://www.bdm.insee.fr/bdm2/index?request_locale=en.
- OECD (2014), “Detailed National Accounts: Non-financial accounts by sectors, annual”, OECD National Accounts Statistics (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00034-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00034-en).

საკვანძო მომენტები

- საწარმო არის ინსტიტუციური ერთეული, რომლის მიზანია საბაზრო საქონლისა და მომსახურების წარმოება; სხვა სიტყვებით, ის ბაზარზე პროდუქციას ყიდის ეკონომიკურად მნიშვნელოვან ფასებში.
- ერთ-ერთი კრიტერიუმი, რომელსაც ეროვნული მოანგარიშები იყენებენ ფასის ეკონომიკური მნიშვნელოვნების დასადგენად, არის გაყიდვების ხარჯებთან თანაფარდობის გამოთვლა. თუ ეს თანაფარდობა 50%-ზე მაღალია, მაშინ საწარმო „საბაზრო“ ერთეულს მიეკუთვნება.
- კორპორაციების სექტორი ძირითადად იმ ფირმებისგან შედგება, რომლებიც იურიდიულად გაფორმებულია როგორც კორპორაციები და არაკორპორირებული საწარმოებისგან განსხვავებით აქვთ ანგარიშების სრული ნაკრები. არაფინანსური კორპორაციების სექტორში არ შედის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და სხვა ფინანსური შუამავლები, ამასთან მოიცავს არაფინანსურ სახელმწიფო საწარმოებს, რომელიც ეკუთვნის მთავრობას და მის მიერ კონტროლდება.
- ზოგ ქვეყანაში ადგენენ ანგარიშებს საწარმოთა ჯგუფისთვის, რომელშიც გაერთიანებულია კორპორაციები და არაკორპორირებული საწარმოები. ამ დაჯგუფებას ზოგჯერ „ბიზნეს სექტორს“ უწოდებენ. მიუხედავად ამისა, შეუძლებელია ამ ჯგუფისთვის არასრულ ანგარიშებზე მეტის შედგენა, რადგან განსაზღვრის მიხედვით არაკორპორირებულ საწარმოებს არ გააჩნიათ ანგარიშების სრული ნაკრები.
- ეროვნულ ანგარიშებში მოგების წილი არაფინანსური კორპორაციების საქმიანობის მნიშვნელოვანი ინდიკატორია. უფრო ხშირად ამ ინდიკატორის „წმინდა“ ვერსიას ითვლიან, ანუ წმინდა საოპერაციო მოგების ფარდობას წმინდა დამატებულ ღირებულებასთან (შემდეგ 100-ზე ამრავლებენ). თეორიულად, წმინდა წილი მოგების მთლიან წილთან შედარებით უფრო მისაღებია, რადგან მასში არ შედის ცვეთა (ძირითადი კაპიტალის მოხმარება).
- „თვითდაფინანსების დონე (კოეფიციენტი)“ ზომავს იმ პროპორციას, რომლითაც ფიქსირებული ინვესტიციების დაფინანსება ხდება ფირმის დანაზოგის ხარჯზე - გარე დაფინანსების გარეშე (ბანკის სესხი, აქციების ან ობლიგაციების გამოშვება). მას ითვლიან მთლიანი დანაზოგის ფარდობით ძირითადი კაპიტალის მთლიან ფორმირებასთან (შემდეგ 100-ზე ამრავლებენ).

ჩაულრმავდით

ძირითადი კაპიტალის მოხმარება, ცვეთა და ამორტიზაცია

ძირითადი კაპიტალის მოხმარება 2008 წლის ეას-ში შემდეგი სახით არის განმარტებული: „მწარმოებლის საკუთრებაში არსებული და მის მიერ გამოყენებული ძირითადი კაპიტალის მარაგის მიმდინარე ღირებულების შემცირება მიმდინარე პერიოდში ფიზიკური ცვეთის, ნორმალური მორალური ცვეთისა და შემთხვევითი დაზიანების გამო“ (ეას 2008, პარაგრაფი 6.240). ამ განმარტებას ეკონომისტები ცვეთისთვისაც იყენებენ. ამიტომ, ეროვნულ ანგარიშებში ძირითადი კაპიტალის მოხმარება შეგვიძლია ცვეთის სინონიმად გამოვიყენოთ. კომპანიების ბუღალტრები იყენებენ ტერმინს „ამორტიზაცია“, რომელიც კონცეპტუალურად იგივეა, ოღონდ ეროვნულ ანგარიშებთან შედარებით ცოტა სხვანაირად იზომება. ამ რუბრიკაში ახსნილია ეს განსხვავებები.

ზემოთ მოტანილ განმარტებაში საკვანძო ნაწილია „...მიმდინარე ღირებულების შემცირება“. ეროვნული მოანგარიშები ძირითადი კაპიტალის მოხმარებას ზომავენ „ცვეთის კოეფიციენტით“ თითოეული კაპიტალური აქტივის მიმდინარე ღირებულებასთან ანუ საბაზრო ღირებულებასთან მიმართებით, ხოლო ბუღალტრები - ცვეთის კოეფიციენტის გამოსათვლელად ძირითადი კაპიტალის თავდაპირველ (ანუ ისტორიულ) ღირებულებას იყენებენ. როდესაც კაპიტალურ საქონელზე ფასები მატულობს, მაშინ ეს განსხვავება ძალიან მნიშვნელოვანი ხდება. ბუღალტრული აღრიცხვის ეს მეთოდი ნაწილობრივ შეიძლება საგადასახადო მოსაზრებებით ავსხნათ. წესის მიხედვით, კომპანიის ბუღალტერმა უნდა გადააფასოს აქტივები, მაგრამ თუ ეს გადაფასება იბეგრება, მაშინ თავიდან იცილებენ მას და უმეტეს შემთხვევაში ძირითადი კაპიტალი ისევ თავდაპირველი ღირებულებით არის შეფასებული. ეროვნული მოანგარიშები არ განიცდიან საგადასახადო წნეხს და ამიტომ უპირატესობას ანიჭებენ ასეთი მუხლების შეფასებას საბაზრო ფასებში.

როგორც ბუღალტრები, ისე ეროვნული მოანგარიშები, ხშირად აკეთებენ დაშვებას, რომ კაპიტალური საქონელი თავის ღირებულებას მუდმივი პროპორციის მიხედვით კარგავს, რასაც „წრფივი“ ცვეთა ეწოდება. მაგალითად, თუ რომელიმე კაპიტალური აქტივის სამსახურის ვადა 10 წელია, დაუშვებენ, რომ ყოველწლიურად ის თავისი ღირებულების 1/10-ს კარგავს. ახლა დაუშვათ, რომ აქტივის ასაკი უკვე მეცხრე წელს ითვლის და რვა წლის წინ მისი ფასი 100-ის ტოლი იყო. ამასთან გაითვალისწინეთ, რომ ინფლაციის გამო ამ აქტივის ფასი ყოველწლიურად 4%-ით იზრდებოდა. ამ სიტუაციაში:

- კომერციული ფირმის ბუღალტერი მეცხრე წელს ცვეთას ჩვეულებრივ დაარიცხავს $100 \div 10 = 10$ -ის ოდენობით.
- ეროვნული მოანგარიშე ძირითადი კაპიტალის მოხმარებას მე-9 წლისთვის ასე გაიანგარიშებს $[100 \times 1.04^8] \div 10 = 13.7$. სხვა სიტყვებით, ეროვნული მოანგარიშე ჯერ კუმულაციური ინფლაციით გადაიანგარიშებს აქტივის ღირებულებას და შემდეგ გაიანგარიშებს ცვეთას.

ასე აიხსნება ეს განსხვავება ეკონომიკური თვალსაზრისით. ინფლაციის გამო აქტივის გამოყენების რეალური ღირებულება მე-9 წელს 10 კი არა, არამედ 13.7-ია, სწორედ ეს თანხა უნდა გადადოს საწარმომ, რომ ამ აქტივის სამსახურის ვადის ამოწურვის შემდეგ შეძლოს ახალი კაპიტალის შესყიდვა. არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ამ ორ სისტემას შორის, კერძოდ კომპანიის ბუღალტერი ყველანაირად ცდილობს აქტივის მოქმედებიდან გასვლის (ლიკვიდაციის) ის დონე გამოიყენოს, რაც საგადასახადო თვალსაზრისით უფრო სასურველია, მაშინ როცა ეროვნული მოანგარიშეები ყველანაირად ცდილობენ ფიზიკური და ეკონომიკური კანონების გამოყენებას. მაგალითად, თუ საგადასახადო სამსახური თანხმობას განაცხადებს იმაზე, რომ სატვირთო ავტომობილი სამ წელიწადში გაცვდება, კომპანიის ბუღალტერი ზუსტად ასე მოიქცევა, თუმცა, ეროვნული მოანგარიშე გაითვალისწინებს, რომ სატვირთო ავტომობილის მომსახურების ვადა 10 წელია და სწორედ ამ ხნის განმავლობაში მოახდენს მის ამორტიზაციას. საბოლოო ანალიზში ეროვნული მოანგარიშე ძირითადი კაპიტალის ცვეთის გაანგარიშებაში პირდაპირ ვერ გამოიყენებს დარიცხული ცვეთის თანხების ჯამს (რაც ფირმების მიერ არის დეკლარირებული). ამისათვის ეროვნულ ანგარიშებში შემუშავებულია საკუთარი მეთოდი, რომელიც „უწყვეტი ინვენტარიზაციის“ სახელით არის ცნობილი (PIM), იხ. თავი 8. მიმდინარე ეტაპზე ეს მეთოდი საუკეთესოა ძირითადი კაპიტალის მოხმარების გაანგარიშებისთვის, მაგრამ ის უამრავ დაშვებას მოიცავს მომსახურების ვადისა და ცვეთის დონის შესახებ. სავარაუდოდ, ეს ხსნის იმ ფაქტს, თუ რატომ ანიჭებენ უპირატესობას ეროვნული მოანგარიშეები არასრულყოფილ ბალანსებს (მთლიანს და არა წმინდას), რადგან მიაჩნიათ, რომ ისინი უფრო საიმედოა, ვიდრე სწორი ციფრები, რომლებიც ნაკლებად საიმედოა.

მოგება და მთლიანი საოპერაციო მოგება: არ აურიოთ ერთმანეთში

ეროვნულ ანგარიშებში მთლიანი საოპერაციო მოგება არის შემოსავლის ნაწილი, რომელიც კაპიტალიდან მიიღება წარმოების შედეგად. ის განსხვავდება კომპანიის ანგარიშებში ასახული მოგებისგან რამდენიმე მიზეზის გამო. ქვემოთ მოტანილია

დიაგრამა (რომელიც მიახლოებითია) მიზნად ისახავს ორი მომენტის შესაბამისობაში მოყვანას:

წმინდა საოპერაციო მოგება (ეროვნული ანგარიშები)	
პლუს	ძირითადი კაპიტალის მოხმარება
=	მთლიანი საოპერაციო მოგება (ეროვნული ანგარიშები)
მინუს	ცვეთა (კომპანიის ანგარიშები)
პლუს	ინვენტარიზაცია (ეროვნული ანგარიშები)
მინუს	კონცეპტუალური და პრაქტიკული განსხვავებები (ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტები, თაღლითობა, სალიზინგო შეთანხმებები)
მინუს	საკუთრებიდან გადახდილი შემოსავლები განაწილებული შემოსავლისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან რეინვესტირებული შემოსავლების გარეშე
პლუს	საკუთრებიდან მიღებული შემოსავლები (ეროვნული ანგარიშები)
პლუს	კაპიტალის მატებისა და ზარალის განსაკუთრებული შემთხვევები
=	მოგება გადასახადების გადახდამდე (კომპანიის ანგარიშები)
მინუს	მოგების გადასახადი
=	მოგება გადასახადების გადახდის შემდეგ (კომპანიის ანგარიშები)

შესაბამისობაში მოყვანის პირველი ეტაპია წმინდა საოპერაციო მოგებაზე ძირითადი კაპიტალის მოხმარების დამატება მთლიანი საოპერაციო მოგების მისაღებად. შემდეგ ვაკლებთ კომპანიის ბუღალტრული ცვეთის საზომს. ამის შემდეგ აუცილებელია მარაგებს დავამატოთ ჰოლდინგური მოგება ან ზარალი, რასაც ეწოდება „მარაგების შეფასების კორექტირება(ინვენტარიზაცია)“. კომპანიის ბუღალტერს ეს მუხლი შეაქვს მოგების გაანგარიშებაში, მაშინ როცა ეროვნულ ანგარიშებში ის გამოირიცხება გამოშვებიდან და შესაბამისად, საოპერაციო მოგებიდანაც. შემდეგ, აუცილებელია გარკვეული კონცეპტუალური განსხვავებების კორექტირება. მაგალითად, ეროვნულ ანგარიშებში ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტები ინვესტიციაა და არა შუალედური მოხმარება. ეს იმისთვის კეთდება, რომ შესაბამისმა ხარჯებმა გავლენა არ მოახდინოს საოპერაციო მოგებაზე (ამორტიზაციის გარდა), ამ დროს კი ის ზოგადად გავლენას ახდენს კომპანიის მოგების გაანგარიშებაზე. აღნიშნულის მსგავსად, ეროვნული მოანგარიშები აკორექტირებენ ფირმიდან მიღებულ ციფრებს, რადგან ხშირია მოგების დაკლების შემთხვევები ცალკეულ სექტორებში. ამასთან სალიზინგო შეთანხმებებიც განსხვავებულად აისახება ამ ორ სააღრიცხვო სისტემაში.

შემდეგი ეტაპია საკუთრებიდან მიღებული შემოსავლის დამატება და გადახდილი შემოსავლის გამოკლება. უკანასკნელში არ შედის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული შემოსავლები პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან. ბუღალტრული მოგების გაანგარიშების დროს ხდება ამ მუხლების გათვალისწინება. და ბოლოს, კომპანიის მოგების გაანგარიშების დროს „განსაკუთრებული“ ტრანსაქციების გათვალისწინება ხდება. მაგალითად, კომპანიის მოგებაში შეიძლება შედიოდეს კაპიტალის მატება შვილობილი კომპანიების რეალიზაციიდან ან სავალუტო ტრანსაქციებიდან. ასეთი ელემენტების დამატებამ შეიძლება მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოიწვიოს - ნებისმიერი მიმართულებით - ეროვნულ ანგარიშებსა და კომპანიის მოგებებს შორის.

და ბოლოს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეროვნულ ანგარიშებში მხოლოდ ის საოპერაციო მოგება აისახება, რომელიც ფირმების საქმიანობის შედეგად მიიღება ეკონომიკურ ტერიტორიაზე. ამიტომ, შეუძლებელია ტრანსნაციონალური კომპანიების გაცხადებული მოგების შედარება ეროვნული ანგარიშების საოპერაციო მოგებასთან, რადგან ტრანსნაციონალური კომპანიების მოგებაში საზღვარგარეთული შვილობილი კომპანებიც შედის.

დაზღვევა: არის თუ არა ტოლი წმინდა პრემიები და გადახდილი პრეტენზიები?

იდეა, რომელიც საფუძვლად უდევს არა სიცოცხლის დაზღვევის ტრანსაქციების მოდელირებას ეროვნულ ანგარიშებში, შეიძლება შემდეგი მარტივი მაგალითის საშუალებით შეჯამდეს. ამ მაგალითში GP აღნიშნავს მთლიან პრემიებს, სხვა სიტყვებით, თანხას, რომელიც ასახულია თქვენს სადაზღვევო ინვოისში (გამარტივების მიზნით მხედველობაში არ მიიღება დამატებული ღირებულების გადასახადი); S არის სადაზღვევო მომსახურება (ე.ი. არა სიცოცხლის დაზღვევის გამოშვება ეროვნულ ანგარიშებში, რომელიც იზომება ადმინისტრაციული ხარჯებისა და სადაზღვევო კომპანიების საოპერაციო მოგების ჯამით*); II არის საინვესტიციო შემოსავალი და C წარმოადგენს გადასახდელ პრეტენზიებს. წმინდა პრემიები NP, ტოლია მთლიან პრემიებს პლუს საინვესტიციო შემოსავალი და მინუს სადაზღვევო მომსახურება, რა გვაძლევს პირველ განტოლებას (1) $NP = GP + II - S$. სადაზღვევო მომსახურება იზომება როგორც $GP + II - C$, ანუ მთლიან პრემიებს პლუს საინვესტიციო შემოსავალი და მინუს გადასახდელი პრეტენზიები, რაც გვაძლევს მეორე განტოლებას: (2) $S = GP + II - C$. ამ ორი განტოლების გარდაქმნის შედეგად

* სადაზღვევო კომპანიების გამოშვების სრული აღწერა მოცემულია მე-4 თავში.

ვიღებთ, რომ $NP = C$, ამდენად, წმინდა პრემიები პრეტენზიების ტოლია. ეს „იგივეობა“ ორ განმარტებას მოითხოვს.

პირველი, ეს იგივეობა ძალაშია მხოლოდ მთელი ეკონომიკის და არა მისი ცალკეული ინსტიტუციური სექტორებისთვის. მაგალითად, 2011 წელს საფრანგეთში არა სიციცხლის დაზღვევის პრემიები 36.0 მლრდ ევრო იყო, ხოლო სულ პრეტენზიები - 33.6 მლრდ ევრო (განსხვავება ახსნილი იყო ნაკადებით დანარჩენი მსოფლიოდან და პირიქით). მიუხედავად ამისა, ეს არ გულისხმობს, რომ არაფინანსური სექტორის მიერ გადახდილი წმინდა პრემიები არაფინანსური კორპორაციების პრეტენზიების ტოლია. სრულიად შესაძლებელია, რომ მათ ნაკლები შემთხვევები ჰქონდათ სხვა აგენტებთან შედარებით. ალბათ ასეთ ვითარებას ჰქონდა ადგილი 2011 წელს საფრანგეთში, რადგან არაფინანსური კორპორაციების წმინდა პრემიები 9.9 მლრდ ევრო იყო, ხოლო მათი პრეტენზიები მხოლოდ 4.5 მლრდ ევრო. თუმცა, ასეთი სიტუაცია ალბათ ვეღარ გაგრძელდება: თუ სტრუქტურული მიზეზების გამო არაფინანსურ კორპორაციებს ნაკლები ხარჯები აქვთ შემთხვევების გამო, ვიდრე ისინი პრემიების სახით იხდიან, მაშინ ლოგიკური იქნება, თუ პრემიები შემცირდება.

მეორე შენიშვნა არის ის, რომ ეს იგივეობა ლოგიკურად საეჭვოა. რა სასწაული უნდა მოხდეს, რომ პრეტენზიები პრემიების ტოლი იყოს, როდესაც სადაზღვევო ბიზნესი თავისთავად არაპროგნოზირებადია? ზოგიერთი წელი კატასტროფულია; სხვა დროს შედარებით მცირე პრეტენზიებია. ეს ყველაფერი ალბათობაა - თეორია, რომელიც სადაზღვევო პროფესიის ქვაკუთხედიანია. ცხადია, ე.წ. საშუალოების კანონი გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება. მაგრამ პრაქტიკულად, შემთხვევების არამდგრადობა და შესაბამისად პრეტენზიებისაც, მიანიშნებს, რომ პრემიები და პრეტენზიები მხოლოდ იშვიათად არის ტოლი. მიუხედავად ამისა, ეროვნულ ანგარიშებში სასწაული მარტივად მიიღწევა: ეს არამდგრადი განსხვავება მიეკუთვნება გამოშვებას, რომელიც შედგება სადაზღვევო მომსახურებისგან S , როგორც ნაჩვენებია განტოლებაში (2). ამიტომ ეკვივალენტურმა საბალანსო იგივეობამ $NP = C$, სადაზღვევო მომსახურების გამოშვებაში შეიძლება მიგვიყვანოს როგორც მნიშვნელოვან ცვლილებებამდე, ისე უარყოფით მნიშვნელობებამდე. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ ეროვნულმა მონაგარიშეებმა გადაწყვიტეს, რომ ეს არამდგრადობა აღარ მიეკუთვნოს S -ს, არამედ ტრანსფერს შემოსავლების განაწილების ანგარიშში. ეს წინადადება ეფუძნებოდა იმ არგუმენტს, რომ S -ის მიმდინარე არამდგრადობა უარყოფით გავლენას ახდენდა მშპ-ის ინტერპრეტაციაზე. ეს რეფორმა შევიდა ეას 2008-ის განახლებულ ვერსიაში.

მე-7 თავის სავარჯიშოები

სავარჯიშო 1. სააღრიცხვო ბალანსები და კოეფიციენტები: მთლიანიდან წმინდისკენ
 ეს სავარჯიშო აგებულია საფრანგეთის ეროვნულ ანგარიშებზე. ის მოიცავს წმინდა ბალანსებისა და კოეფიციენტების გაანგარიშებას მთლიანი ბალანსებიდან. პირველი კითხვა: მოძებნეთ INSEE-ის ვებ გვერდზე (www.insee.fr) წლიური ეროვნული ანგარიშების ცხრილი, რომელშიც იქნება არაფინანსური კორპორაციების (“sociétés non financières”) ძირითადი კაპიტალის მოხმარება (“consommation de capital fixe”) 2009-2011 წლებში. მეორე კითხვა: ამავე ვებ გვერდზე მოძებნეთ ძირითადი მთლიანი საბალანსო ცხრილები არაფინანსური კორპორაციებისთვის ამავე პერიოდში (მთლიანი დამატებული ღირებულება - “valeur ajoutée brute” - და მთლიანი საოპერაციო მოგება - “excédent brut d’exploitation”). გამოთვალეთ წმინდა ბალანსები. მიღებული შედეგებიდან გამოთვალეთ მოგების მთლიანი და წმინდა კოეფიციენტები.

სავარჯიშო 2. შეამოწმეთ თქვენი ცოდნა ეროვნულ ანგარიშებში

ქვემოთ მოცემულია სარეკლამო ფირმის ტრანსაქციები. ეს ტრანსაქციები სწორად მოათავსეთ ქვემოთ მოტანილ ანგარიშებში და აჩვენეთ, რომ ფირმის მთლიანი დანაზოგი უდრის 620 K\$-ს (1 K\$ = 1 000 \$).

შემოსავლები	K\$
1. გაყიდვები	4 500
2. პროცენტი საბანკო ანგარიშზე	30
3. ხანძრის გამო ანაზღაურებული პრეტენზია	10

ხარჯები	K\$
4. ქაღალდი, საღებავი და სხვა საოფისე საკანცელარიო მასალები წლის განმავლობაში	380
5. გადახდილი რენტა დამატებითი ოფისისთვის	150
6. ელექტროენერჯისა და ტელეფონების გადასახადები	60
7. გენერალური დირექტორის ანაზღაურება	300
8. პერსონალის ანაზღაურება, სულ	1 500
9. დამსაქმებლის სოციალური უზრუნველყოფის ანარიცხები პერსონალის შრომის ანაზღაურებიდან	800
10. აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდები	420
11. გადახდილი მოგების გადასახადი	180
12. კომპიუტერებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა	240
13. კომპიუტერების შესაძენად აღებული სესხის პროცენტი	40

14. შენობების დაცვის მომსახურებაზე გადახდილი გადასახადი	70
15. საკუთრების გადასახადი საოფისე შენობებზე	20

წარმოების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
P2. შუალედური მოხმარება	P1. გამოშვება P11. საბაზრო P12. საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის

პირველადი შემოსავლების ფორმირების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
D1. შრომის ანაზღაურება D11. ხელფასი D121. დამსაქმებლის რეალური სოციალური ანარიცხები D122. დამსაქმებლის იმპუტირებული სოციალური ანარიცხები D29. სხვა გადასახადები წარმოებაზე D39. სხვა სუბსიდიები წარმოებაზე B2. მთლიანი საოპერაციო მოგება	B1. მთლიანი დამატებული ღირებულება

პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
D4. შემოსავალი საკუთრებიდან: D41. პროცენტი D42. დივიდენდები D43. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეინვესტირებული შემოსავლები D44. მიწიდან და სასარგებლო წიაღისეულიდან მიღებული რენტა B5. პირველადი შემოსავლების სალდო	B2. მთლიანი საოპერაციო მოგება D4. შემოსავალი საკუთრებიდან: D41. პროცენტი D42. დივიდენდები D43. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეინვესტირებული შემოსავლები D45. მიწიდან და სასარგებლო წიაღისეულიდან მიღებული რენტა

შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
D51. მიმდინარე გადასახადები შემოსავალზე D622. სოციალური შეღავათები კერძო დაფინანსებით D71. არა სიცოცხლის დაზღვევის პრემიები	B5. მთლიანი პირველადი შემოსავლების სალდო D61. სოციალური ანარიცხები: D611. რეალური სოციალური ანარიცხები D612. იმპუტირებული სოციალური ანარიცხები

D75. სხვადასხვა მიმდინარე ტრანსფერი	D72. არა სიცოცხლის დაზღვევის პრეტენზიები
B6. განკარგავადი შემოსავალი	D75. სხვა მიმდინარე ტრანსფერები

შემოსავლების გამოყენების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
B8. მთლიანი დანაზოგი	B6. მთლიანი განკარგავადი შემოსავალი, წმინდა

სავარჯიშო 3. რამდენიმე საერთაშორისო შედარება ყველა კორპორაციისთვის (არაფინანსურის ჩათვლით), 2011 წელი

ქვემოთ მოტანილი მონაცემების საფუძველზე გამოთვალეთ სამი მნიშვნელოვანი კოეფიციენტი კორპორაციებისთვის თითოეულ ქვეყანაში: წმინდა მოგების წილი ($\frac{NOS}{NVA}$); ინვესტიციების წილი ($\frac{GFCF}{GVA}$); და თვითდაფინანსების კოეფიციენტი ($\frac{\text{მთლიანი დანაზოგი}}{GFCF}$). გაითვალისწინეთ, რომ მოგების წილი წმინდა უნდა იყოს, ხოლო ინვესტიციების წილი და თვითდაფინანსების კოეფიციენტი - მთლიანი. გერმანიის მოგების წილი მნიშვნელოვნად მაღალია სხვებთან შედარებით. არის თუ არა ეს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი?

	გერმანია	საფრანგეთი	ესპანეთი
	მლნ ევრო	მლნ ევრო	მლნ ევრო
მთლიანი დამატებული ღირებულება	2 334 890	1 793 759	959 762
მთლიანი საოპერაციო მოგება და შერეული შემოსავალი	1 019 420	665 557	445 104
შერეული შემოსავალი	229 000	121 699	153 136
მთლიანი საოპერაციო მოგება	790 420	543 859	291 968
დანაზოგი, წმინდა	248 440	87 160	12 240
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	391 070	279 212	168 394
GFCF	473 170	399 953	216 695
მოგების წილი (წმინდა)			
ინვესტიციების წილი			
თვითდაფინანსების წილი			

სავარჯიშო 4. (რთული) მოგების წილის გაანგარიშება არაფინანსურ კორპორაციებში
ცხრილი შედგენილია საფრანგეთის კვარტალური ანგარიშების მიხედვით (დეტალური შედეგები).

არაფინანსური კორპორაციების მთლიანი მოგების წილის (ნორმის) ჩაშლა (%)		
	2011	2012
მოგების წილი (%)	35.7	35.1
მოგების წილის ცვლილება	-0.9	-0.6
მოგების წილის ცვლილებაში შეტანილი წვლილი		
შრომის მწარმოებლურობა (+)	1.1	0.2
დასაქმებულების რეალური ანაზღაურება (-)	0.8	0.2
კოეფიციენტი: მდღ-ს ფასი/საბოლოო მოხმარების ფასი (+)	-0.8	-0.4
სხვა ელემენტები (+)	-0.5	-0.2

ახსენით მოგების წილის ცვლილება შემდეგი ფაქტორების ხარჯზე: შრომის მწარმოებლურობა, დასაქმებულების რეალური ანაზღაურების მატება, მდღ-ს ფასი/საბოლოო მოხმარების ფასის კოეფიციენტი და სხვა ელემენტები. ამ მიზნით, დაიწყეთ მოგების ნორმის განმარტებით და განტოლებით $GOS = GVA - CE - TNS$, სადაც, GVA არის მთლიანი დამატებული ღირებულება, GOS მთლიანი საოპერაციო მოგება, CE მომუშავეების ანაზღაურება (დამსაქმებლის სოციალური ანარიცხების ჩათვლით) და TNS წარმოების გადასახადებს მინუს სუბსიდიები (ეს მუხლი ნაჩვენებია იქნება „სხვა ელემენტებში“). გამოიყენეთ შრომის მწარმოებლურობის განსაზღვრება (დამატებული ღირებულების მოცულობა/დასაქმება) და რეალური ხელფასის დონე (საათობრივი ანაზღაურება/საბოლოო მოხმარების ფასი). ამ ცვლადებზე დაყრდნობით გააკეთეთ კომენტარები მოგების წილის ცვლილებაზე 2011 და 2012 წლებში. აქვს თუ არა ამ ყოველივეს კავშირი სახელფასო მოლაპარაკებებთან, როდესაც ამბობენ, რომ რეალური სახელფასო განაკვეთები (დამქირავებლის სოცანარიცხების ჩათვლით) შეიძლება გაიზარდოს მწარმოებლურობის მატების თანხით?

სავარჯიშო 5 (რთული). მწარმოებლის ფასები და წარმოების ხარჯები

ეს ცხრილი ასევე შედგენილია საფრანგეთის კვარტალური ანგარიშების მიხედვით (დეტალური შედეგები). წინა სავარჯიშოს ცხრილისგან განსხვავებით, ღირებულების ცალკეული ელემენტის პროცენტული ცვლილება არ წარმოადგენს ერთეულის ჯამური ღირებულების წილს. რაც შეეხება ერთეული ხელფასის ხარჯის ელემენტებს, ისინი ჯამური ხელფასის მიმართ არის გაანგარიშებული პროცენტულად.

წარმოების ხარჯების ცვლილება
%-ულად

	2011	2012
არაფინანსური კორპორაციები		
მწარმოებლის ფასი	2.6	1.4
ერთეულის ღირებულება	3.4	1.7
<i>მათ შორის შუალედური მოხმარება</i>	4.2	1.1
<i>წარმოების გადასახადები</i>	18.8	9.6
<i>ხელფასის ხარჯი</i>	1.1	2.6
ერთეული ხელფასის ხარჯის ელემენტები		
<i>საშუალო ხელფასი ერთ სულზე (+)</i>	2.7	1.9
<i>მწარმოებლურობა^a(-)</i>	2.2	-0.5
<i>სოციალური ანარიცხები, დამსაქმებელი (+)</i>	0.6	0.1

a) მწარმოებლურობა გაანგარიშებულია გამოშვების მიხედვით.

როგორ განმარტავთ ამ ცხრილიდან ჯამურ ღირებულებას? როგორ უნდა გამოვიყვანოთ ერთეულის ღირებულება? შეიძლება თუ არა ერთეულის ღირებულების ანალიზით მწარმოებლის ფასის ახსნა? რა ურთიერთკავშირია ერთეულის ღირებულებასა და მის კომპონენტებს შორის? დაწერეთ ურთიერთკავშირის შესახებ ერთეული ხელფასის ღირებულებასა და მის სამ კომპონენტს შორის (საშუალო ხელფასი ერთ სულზე, მწარმოებლურობა და დამსაქმებლის სოციალური ანარიცხები). ახსენით (+) და (-). რატომ იყო ცხრილის სქოლიოში მითითებული, რომ მწარმოებლურობა „გამოშვების“ ბაზაზე იანგარიშებოდა, მაშინ როცა წინა სავარჯიშოში „დამატებული ღირებულება“ იყო გამოყენებული?

ამ სავარჯიშოების ამოხსნები შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე:

<http://dx.doi.org/10.1787/9789264214637-25-en>

თავი 8

ფინანსური ანგარიში და აქტივების და პასივების ბალანსი

ფინანსური ანგარიში და აქტივებისა და პასივების ბალანსი ეროვნულ ანგარიშებში წარმოადგენს შინამეურნეობებისა და სხვა ინსტიტუციური სექტორების (ფინანსური და არაფინანსური კორპორაციები და სახელმწიფო მართვის ორგანოები) ფინანსური და არაფინანსური კაპიტალის მონაცემთა წყაროს. ეს ანგარიშები საშუალებას გვაძლევს გავიანგარიშოთ არა მარტო სხვადასხვა ჯგუფების კაპიტალის წმინდა ღირებულება მოცემული მომენტისთვის, არამედ მათი დროში ცვლილებაც. ამ თავში აღწერილია ამ ანგარიშების ორგანიზაცია.

შინამეურნეობების საბოლოო მოხმარება მშპ-ის 60%-ს შეადგენს, ამდენად ამ ინდიკატორის ერთი ან ორი პროცენტით ცვლილება წყვეტს ეკონომიკის ბედს. ამიტომ, შინამეურნეობების მოხმარებაზე მოქმედი ფაქტორები ეთგო-ს ეკონომისტების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ არის. მათ შორის უმნიშვნელოვანესია განკარგვადი შემოსავალი, თუმცა არა მხოლოდ ეს აგრეგატი. მოხმარების გარდა, მნიშვნელოვანია შინამეურნეობების სიმდიდრე.

1. შინამეურნეობების სიმდიდრის მნიშვნელობა ეკონომიკური მდგომარეობის მიმდინარე ანალიზში

შინამეურნეობები ფლობენ ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებს (ეს უკანასკნელი ძირითადად საცხოვრებლით, სახლებით არის წარმოდგენილი), რაც მათ სიმდიდრეს შეადგენს. როდესაც სხვა საქონლისა და მომსახურების ფასებთან შედარებით ამ აქტივების ღირებულება იზრდება, მაგალითად, აქციების ფასის ან ბინების ფასის მატება, შინამეურნეობები თავს უფრო მდიდრად გრძნობენ და უჩნდებათ მიდრეკილება უფრო მეტი დახარჯონ, ვიდრე დაზოგონ. სწორედ ეს აქტივებია ყველაზე მეტად მგრძობიარე კაპიტალური ან „ჰოლდინგური შემოსავლებისადმი“ (იხ. რუბრიკა „ჩაულრმავდით: ჰოლდინგური მოგება და ზარალი და საბაზრო ფასები ეროვნულ ანგარიშებში“). შემოსავლების მოცულობა განსაკუთრებით შთამბეჭდავი 21-ე საუკუნის პირველი ათწლეულის პირველ ნახევარში იყო, როდესაც საცხოვრებლის ფასებმა მნიშვნელოვნად აიწია. სამწუხაროდ, ეს შთამბეჭდავი ტრენდი ბინების კრიზისის გამო ამავე ათწლეულის მეორე ნახევარში კრახით დასრულდა. ეფექტი, რომელიც შინამეურნეობების ქცევაზე ახდენს გავლენას, ცნობილია, როგორც „სიმდიდრის ეფექტი“. ის ყველაზე მეტად შესამჩნევი აშშ-ში გახდა, როდესაც ბინების გაბერილი ფასების ბუშტი განსაკუთრებით ფეთქებადსაშიში გახდა.

ეთგო რეგულარულად აქვეყნებს შინამეურნეობების სიმდიდრის ინდიკატორებს. ქვემოთ, ცხრილში მოტანილია კანადის, გაერთიანებული სამეფოსა და აშშ-ის მონაცემები.

ცხრილი 8.1. შინამეურნეობების სიმდიდრე და დავალიანება პროცენტობით წმინდა განკარგვად შემოსავალთან

	კანადა			გაერთიანებული სამეფო			აშშ		
	2000	2005	2010	2000	2005	2010	2000	2005	2010
წმინდა სიმდიდრე	531.1	561.7	578.3	770.9	832.1	825.6	590.7	659.6	536.3
წმინდა ფინანსური კაპიტალი	254.0	227.5	218.0	380.5	303.3	298.4	360.5	353.0	325.3
არაფინანსური აქტივები	277.1	334.2	360.3	390.5	528.7	527.3	230.1	306.6	211.0
ფინანსური აქტივები	373.1	363.5	377.3	498.4	467.4	464.8	460.9	484.0	448.0

მათ შორის: აქციები	89.1	83.4	96.3	114.4	76.9	71.1	148.1	127.4	119.4
ვალდებულებები	119.1	136.0	159.3	117.9	164.0	166.4	100.4	131.0	122.7
მათ შორის: იპოთეკა	73.6	83.2	99.8	86.0	122.6	..	67.5	97.9	90.5

წყარო: OECD (2013), "OECD Economic Outlook No. 93", OECD Economic Outlook: Statistics and Projections (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00655-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00655-en).

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144065>

ცხრილში 8.1 მონაცემები მოტანილია პროცენტობით წმინდა განკარგვად შემოსავალთან, რაც საშუალებას გვაძლევს წლების მანძილზე ერთმანეთს შევადაროთ სიმდიდრის მაჩვენებლები. მაგალითად, 2010 წელს კანადაში შინამეურნეობების წმინდა სიმდიდრე მათი წმინდა წლიური განკარგვადი შემოსავლის 578.3%-ის ეკვივალენტური, ანუ თითქმის ექვსი წლის შემოსავლის ტოლი იყო. სიმდიდრე მოიცავს ფინანსურ აქტივებს (საბანკო ანგარიშებს, საშემნახველო ანგარიშებს, აქციებს, სხვა ფასიან ქაღალდებს, ობლიგაციებს და სხვა სავალო ფასიან ქაღალდებს) და არაფინანსურ აქტივებს (მიწა, საცხოვრისი, პროდუქტული აქტივები ან ინდივიდუალური საწარმოები და ა.შ.). თუმცა, შინამეურნეობებს ვალეზიც აქვთ (იპოთეკა, სამომხმარებლო სესხები და ა.შ.) და ის არ არის რეალურად მდიდარი, თუ მნიშვნელოვან ფინანსურ სიმდიდრეს ფლობს, მაგრამ ამავე დროს დიდი რაოდენობით დავალიანება აქვს. სწორედ ამიტომ არის, რომ ეკონომისტები სწავლობენ წმინდა სიმდიდრეს, რაც უდრის ფინანსური და არაფინანსური აქტივების ჯამს მინუს ჯამური ვალდებულებები (ყველა ვალდებულება ფინანსურია). მაგალითად, 2010 წლისთვის ფინანსური და არაფინანსური აქტივების ჯამმა კანადაში 737.3% (377.3% + 360.3%) შეადგინა, მაგრამ ვალდებულებების გამოკლების შემდეგ, რაც 159.3%-ის ტოლი იყო, წმინდა სიმდიდრემ მხოლოდ 578.3% შეადგინა, რაც გაერთიანებულ სამეფოსთან შედარებით საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია, მაგრამ ბევრად მაღალია აშშ-ზე.

ცხრილში ასევე ასახულია საუკუნის პირველი ათწლეულში ბინების ფასების გაბერვის ეფექტი შინამეურნეობების სიმდიდრეზე. 2000-2005 წლებში აშშ-ში შინამეურნეობების არაფინანსური აქტივების ღირებულების წილი 230.1%-დან 306.6%-მდე გაიზარდა. ეს ზრდა გარკვეულწილად შეძენილი საცხოვრისების ფიზიკურმა მოცულობამაც განაპირობა, მაგრამ აღნიშნული ძირითადად ბინებზე ფასების მატებით იყო განპირობებული. თუმცა, 2007 წელს ფასები დაეცა და არარეალიზებული ჰოლდინგური მოგება სწრაფად ჩაანაცვლა არარეალიზებულმა ჰოლდინგურმა ზარალმა და ამერიკული შინამეურნეობების არაფინანსური აქტივების წილი 2010 წელს 211.0%-მდე დაეცა. საცხოვრისის ფასები ფასიანი ქაღალდების ბაზართან შედარებით ნაკლებად ცვლებადია, მაგრამ ახასიათებს

აღმასვლა და ვარდნა. ეს ნაკლებად მტკივნეული იქნებოდა ეკონომიკისთვის, რომ არა „სიმდიდრის ეფექტი“. სამწუხაროდ, აშშ-ში ბინებზე ფასების ვარდნამ არამარტო უშუალო გავლენა მოახდინა შინამეურნეობების მოხმარებაზე, არამედ დიდი ფინანსური ინსტიტუტების კრაზიც გამოიწვია, რომლებმაც არასწორად დააბანდეს ინვესტიციები მყიდვე ფინანსურ ინსტრუმენტებში (ე.წ. „subprimes“). ამ კრაზმა 2008-2009 წლებში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უდიდესი რეცესია გამოიწვია.

ფინანსური ტრანსაქციების ანგარიშები, რაც ზოგადად ფინანსური ანგარიშების (ზოგჯერ ფინანსური ნაკადების) და აქტივების და პასივების ბალანსის (ზოგჯერ აქტივების და ვალდებულებების ანგარიშების) სახელით არის ცნობილი, ეროვნულ ანგარიშებში შინამეურნეობებისთვის იმ მონაცემების წყაროა, რომელიც უკვე განვიხილეთ. თუმცა, ფინანსური და აქტივებისა და პასივების ანგარიშები არსებობს არა მხოლოდ შინამეურნეობებისთვის, არამედ ყველა ინსტიტუციური სექტორისთვის (ფინანსური და არაფინანსური კორპორაციები და სახელმწიფო მართვის ორგანოები) და ნაწილობრივ, დანარჩენი მსოფლიოსთვის. ეს ანგარიშები საშუალებას გვაძლევს გამოვთვალოთ არა მხოლოდ სხვადასხვა აგენტებისგან შემდგარი ჯგუფების (ე.ი. ინსტიტუციური სექტორების) წმინდა სიმდიდრე მოცემული მომენტისთვის, არამედ ისიც, თუ როგორ წარმოიქმნა ის დროთა განმავლობაში. ამ თავში აღწერილია ამ ანგარიშების ორგანიზაციის პროცესი.

2. ოთხმაგი ჩაწერის პრინციპი

წინა თავებში ვაჩვენეთ, როგორ ხდება ეროვნულ ანგარიშებში წარმოების, მოხმარებისა და განაწილების ტრანსაქციების ჩაწერა სხვადასხვა ინსტიტუციურ სექტორს შორის. ამ ტრანსაქციების ბოლოს ეკონომიკური აგენტები აღმოჩნდებიან მსესხებლის მდგომარეობაში, როდესაც იმაზე მეტს ხარჯავენ, რაც მიიღეს, ან გამსესხებლის მდგომარეობაში, თუ მათი შემოსავალი ხარჯებზე მეტია. ფინანსური ანგარიშები გვიჩვენებს, თუ როგორ იღებენ მსესხებელი სექტორები მათთვის საჭირო ფინანსურ რესურსებს და როგორ იყენებენ გამსესხებლები თავიანთ შემოსავლებს. ზოგადად, არაფინანსური კორპორაციები გლობალურად მსესხებლები არიან, ხოლო შინამეურნეობები - გლობალურად გამსესხებლები*. „გლობალური“ ნიშნავს, რომ მსესხებლის ან გამსესხებლის სტატუსი მთელ სექტორს ეკუთვნის და არა მის

* იმ ქვეყნებში, სადაც 2005-2010 წლებში ფასებმა საგრძნობლად აიწია საცხოვრებელზე (აშშ, ესპანეთი და ირლანდია), შინამეურნეობები იმდენად დიდ ინვესტირებას ახდენდნენ ბინებში, რომ გლობალურად, თუმცა დროებით მსესხებლები გახდნენ.

თითოეულ ერთეულს (მაგალითად, ღარიბი შინამეურნეობების უდიდესი ნაწილი არ არის გამსესხებელი).

აქ ვნახავთ, რომ ვისაც უმუშავია კომპანიის ანგარიშებზე, მაშინვე აღმოაჩენს ეროვნული ანგარიშების მსგავსებას ბუღალტრულ ანგარიშებთან (ე.წ. „ორმაგი ჩაწერის სისტემა“), რადგან თითოეული ტრანსაქცია ორჯერ ჩაიწერება: ერთხელ, როგორც ტრანსაქცია, რომელიც დაკავშირებულია წარმოებასთან, მოხმარებასთან და ა.შ. და მეორეჯერ, როგორც მონეტარული ტრანსაქცია; როგორც ეროვნული მოანგარიშები იტყოდნენ, ერთხელ, როგორც არაფინანსური ტრანსაქცია და ერთხელ, როგორც ფინანსური ტრანსაქცია. ეს სისტემა გვიჩვენებს, რომ ეროვნულ ანგარიშებს შორის მაღალი დონის ინტეგრაციაა.

ბარტერისგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ ისე ჩაიწერება, როგორც არაფინანსური ტრანსაქცია, ყველა სხვა ტრანსაქციას შემხვედრი ფულადი ტრანსაქცია ახლავს თან. როგორც ეროვნული მოანგარიშები ამბობენ, *თითოეულ არაფინანსურ ტრანსაქციას ფინანსური „ასლი“ ახლავს*. მაგალითად, H შინამეურნეობა ყიდულობს ტელევიზორს 300 აშშ დოლარად. ეს ჩაიწერება როგორც 300 აშშ დოლარის მოხმარება არაფინანსური ტრანსაქციის სახით. ამ შესყიდვის გამო შინამეურნეობის საბანკო ანგარიში 300 აშშ დოლარით შემცირდა, რაც ფინანსური ტრანსაქციით აისახება, ანუ ჩაიწერება ფინანსურ ანგარიშში. აგენტის მიერ განხორციელებული ტრანსაქცია ორჯერ ჩაიწერება: ერთხელ არაფინანსურ ანგარიშში და მეორეჯერ - ფინანსურ ანგარიშში, როგორც ეს ქვემოთ T-ტიპის ანგარიშშია წარმოდგენილი.

შინამეურნეობა H-ის ანგარიშები

არაფინანსური ტრანსაქციები		ფინანსური ტრანსაქციები	
გამოყენება	რესურსები	გამოყენება	რესურსები
მოხმარება	300	საბანკო დეპოზიტის შემცირება	300

იგივე ტრანსაქცია შეგვიძლია ჩავწეროთ კორპორაცია C-ს თვალთახედვით, რომელმაც ტელევიზორი მიჰყიდა შინამეურნეობა H-ს. ამ შემთხვევაშიც, ჩაწერა ორჯერ მოხდება, მაგრამ კორპორაციისთვის ტრანსაქციის გატარება „რესურსებში“ აისახება: ერთხელ, როგორც არაფინანსური ტრანსაქციების ანგარიშის გამოშვებაში და მეორეჯერ, როგორც ფინანსური ტრანსაქციების ანგარიშში - კომპანიის საბანკო ბალანსის მატების სახით.

კორპორაცია C-ს ანგარიშები

არაფინანსური ტრანსაქციები		ფინანსური ტრანსაქციები	
გამოყენება	რესურსები	გამოყენება	რესურსები
	გამოშვება 300		საბანკო დეპოზიტის გაზრდა 300

ეს ნიშნავს, რომ მთლიანობაში ერთი ტრანსაქცია ეროვნულ ანგარიშებში ოთხჯერ ჩაიწერება, ამიტომ ჰქვია ამ ქვეთავს ოთხმაგი ბუღალტერია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ტრანსაქციებში მონაწილე ორივე სექტორისთვის ორ-ორი ჩანაწერი გვაქვს.

პრაქტიკულად, ფინანსური ანგარიშები ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ახლა ვნახეთ. თუ წინა მაგალითს გავაგრძელებთ, ერთი მხრივ, იმის მიუხედავად, იზრდება თუ მცირდება თანხები საბანკო ანგარიშზე, საბანკო ანგარიშების ყველა ტრანსაქცია T-ანგარიშის ერთი და იმავე მხარეს ხდება.

უფრო მეტიც, ფინანსურ ანგარიშებში “გამოყენების“ ეკვივალენტურ სვეტს ჰქვია „აქტივების ცვლილება (აღინიშნება როგორც Δ აქტივები) და „რესურსების“ სვეტს - „ვალდებულებების ცვლილება“ (აღინიშნება როგორც Δ ვალდებულებები). ამ ტერმინოლოგიის გამოყენებით ჩვენი წინა მაგალითი ასე ჩაიწერება:

შინამეურნეობა H-ის ანგარიშები

არაფინანსური ტრანსაქციები		ფინანსური ტრანსაქციები	
გამოყენება	რესურსები	Δ აქტივები	Δ ვალდებულებები
მობმარება 300		საბანკო ბალანსი -300	

კორპორაცია C-ს ანგარიშები

არაფინანსური ტრანსაქციები		ფინანსური ტრანსაქციები	
გამოყენება	რესურსები	Δ აქტივები	Δ ვალდებულებები
	გამოშვება 300	საბანკო ბალანსი +300	

როგორც ვხედავთ, ფინანსურ ანგარიშში გვაქვს ტრანსაქცია, რომელსაც უარყოფითი ნიშანი აქვს. შინამეურნეობის საბანკო ბალანსის შემცირება 300 აშშ დოლარით ჩაიწერა როგორც -300 აქტივების ცვლილებაში. ეს გარკვეულწილად ართულებს საქმეს, თუმცა ეს ჩანაწერი ადვილად აღიქმება, რადგან უარყოფითი ნიშანი ფინანსური აქტივების შემცირებაზე მიანიშნებს. მოცემული პერიოდის განმავლობაში

საბანკო ანგარიშზე შეიძლება უამრავმა ტრანსაქციამ მოიყაროს თავი, რომელთაგან ზოგი დადებითი ნიშნით იქნება და ზოგი - უარყოფითით, თუმცა ფინანსურ ანგარიშში ჩაიწერება მხოლოდ ამ ჩანაწერების ალგებრული ჯამი.

ვალდებულებების მხარეს იწერება ვალები. ცოტას თუ გავართულებთ ჩვენს მაგალითს და დავუშვებთ, რომ შინამეურნეობა H-მა ტელევიზორის შესაძენად ბანკიდან სესხი გამოიტანა, მაშინ 300 აშშ დოლარი ჩაიწერება დადებითი ნიშნით „ვალდებულებების ცვლილებაში“, რაც შეესაბამება შინამეურნეობის საბანკო ბალანსის ზრდას. გაითვალისწინეთ, რომ სავსებით შესაძლებელია ვალდებულებების ცვლილებას უარყოფითი ნიშანი ჰქონდეს, მაგალითად, თუ შინამეურნეობა დაფარავს სესხს, მაშინ ეს ჩაიწერება მარჯვენა სვეტის „ვალდებულებების ცვლილებაში“ (უფრო შესაბამისი მაგალითი განხილულია რუბრიკაში „ჩაუღრმავდით: უფრო შევსებული მაგალითი ფინანსური ანგარიშების ასაგებად“). საბოლოო ცვლილება პრეზენტაციაში მოიცავს თითოეული აგენტისთვის ფინანსური ანგარიშების მოთავსებას ერთმანეთის ქვეშ და არა გვერდიგვერდ.

შინამეურნეობა H-ის ანგარიშები		კორპორაცია C-ს ანგარიშები	
არაფინანსური ტრანსაქციები		არაფინანსური ტრანსაქციები	
გამოყენება	რესურსები	გამოყენება	რესურსები
მოხმარება	300	გამომშვება	300

შინამეურნეობა H-ის ანგარიშები		კორპორაცია C-ს ანგარიშები	
ფინანსური ტრანსაქციები		ფინანსური ტრანსაქციები	
Δ აქტივები	Δ ვალდებულებები	Δ აქტივები	Δ ვალდებულებები
საბანკო ბალანსი (სესხიდან მიღებული თანხა) +300 (ტელევიზორში გადახდილი თანხა) -300	აღებული სესხი +300	საბანკო ბალანსი +300	

T-ანგარიშის საშუალებით იოლია ანგარიშებს შორის ურთიერთკავშირის ვიზუალიზაცია, რომელიც ოთხმაგ ჩაწერას მოიცავს. ამ ურთიერთკავშირებს შეიძლება ვუწოდოთ „ბუღალტრული (საანგარიშო) იგივეობები“. *პირველი იგივეობა* არის კონსოლიდაცია, რომელიც წარმოადგენს არაფინანსური ტრანსაქციების გადაფარვას, ანუ რესურსებში გამოშვების 300 აშშ დოლარი გადაიფარება

გამოყენებაში მოხმარების 300 აშშ დოლარით. ფინანსური ანგარიშებისგან განსხვავებით არაფინანსურ ანგარიშებში არ გვხვდება ციფრები უარყოფითი ნიშნით (არსებობს გამონაკლისებიც). მიუხედავად ამისა, შეგიძლიათ „ვირტუალურად“ მიწის ნიშანი დაუსვათ გამოყენების ტრანსაქციას და დადებითი ნიშანი - რესურსების ტრანსაქციას. ამდენად, დადებითი ნიშანი ექნება გამოშვებას (+300 აშშ დოლარი) და უარყოფითი - მოხმარებას (-300 აშშ დოლარი). ეს მოგვცემს (-300 +300 = 0). ამდენად, ბუღალტრული იგივეობა დაცულია.

თუ ვთქვით, დავივიწყებთ, რომ მაგალითი გავართულეთ შინამეურნეობის მიერ სესხის აღებით, *მეორე იგივეობა* არის ფინანსური ტრანსაქციების სტრიქონში შინამეურნეობის საბანკო ანგარიშზე არსებული -\$300-ისა და კომპანიის ბალანსზე არსებული +\$300-ის გადაფარვა: (-300 +300 = 0).

იმისათვის, რომ უფრო ნათლად მოვახდინოთ ამ ორი ბუღალტრული ურთიერთკავშირის წარმოდგენა, შემოვიტანოთ დამაბალანსებელი მუხლი, რომელიც უზრუნველყოფს კავშირს არაფინანსურ და ფინანსურ ტრანსაქციებს შორის. ეს არის **წმინდა დაკრედიტება(+)/წმინდა სესხება(-)**, რომლის კოდია **B9**.

წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება არის ყველა არაფინანსური ტრანსაქციის ბალანსი. მას შემდეგ, რაც აგენტები აწარმოებენ გამოშვებას, გადაიხდიან შრომის ანაზღაურებას, მოიხმარენ, გადაიხდიან გადასახადებს, მიიღებენ შემოსავლებს და ა.შ. და მიღებულთან შედარებით უფრო ნაკლებს დახარჯავენ, მაშინ მათ უჩნდებათ „დაფინანსების შესაძლებლობა“, (ანუ მათ შექმნეს „წმინდა დაკრედიტება“), ხოლო თუ პირიქით, თუ მიღებულზე უფრო მეტი დახარჯეს, მაშინ მათ უნდა ისესხონ, რაც გულისხმობს „ფინანსურ მოთხოვნებს“ (ანუ, მათ შექმნეს „წმინდა სესხების“ სიტუაცია). ეს დამაბალანსებელი მუხლი სხვა არაფინანსური დამაბალანსებელი მუხლების მსგავსად შეიტანება გამოყენების მხარეს და ის რესურსებისა და გამოყენების სხვაობის ტოლია. თუ შედეგი დადებითია, მაშინ ეს არის დაკრედიტება; თუ უარყოფითია, მაშინ ეს იქნება სესხება. სიმარტივისთვის წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება ერთი მუხლით არის წარმოდგენილი; თუ ჩნდება დაფინანსების შესაძლებლობა, მაშინ გვექნება წმინდა დაკრედიტება დადებითი ნიშნით, ხოლო, თუ ფინანსური მოთხოვნა ჩნდება, მაშინ გვაქვს წმინდა სესხება უარყოფითი ნიშნით. ქვემოთ მოტანილია ცხრილები, რომელიც გვიჩვენებს ზემოთ განხილული მაგალითის ანგარიშებს დამაბალანსებელი მუხლის - B9 ჩათვლით.

შინამეურნეობა H-ის ანგარიშები		კორპორაცია C-ს ანგარიშები	
არაფინანსური ტრანსაქციები		არაფინანსური ტრანსაქციები	
გამოყენება	რესურსები	გამოყენება	რესურსები

მოხმარება	300		გამოშვება 300
B9 დაკრედიტება/წმინდა სესხება	წმინდა -300	B9 დაკრედიტება/წმინდა სესხება	წმინდა +300

შინამეურნეობა H-ის ანგარიშები		კორპორაცია C-ს ანგარიშები	
ფინანსური ტრანსაქციები		ფინანსური ტრანსაქციები	
Δ აქტივები	Δ ვალდებულებები	Δ აქტივები	Δ ვალდებულებები
საბანკო ბალანსი -300	B9 წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება -300	საბანკო ბალანსი +300	B9 წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება +300

B9 არის ყველა არაფინანსური ტრანსაქციისა და ამავე დროს ყველა ფინანსური ტრანსაქციის ბალანსი. შესაბამისად, იმავე ციფრს ვიპოვით ფინანსური ანგარიშების მარჯვენა სვეტში და ის გაიანგარიშება როგორც აქტივების ცვლილების ჯამს მინუს ვალდებულებების ცვლილებების ჯამი. ფინანსური ანგარიშების თვალთახედვით, ეს დამაბალანსებელი მუხლი შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს როგორც ფინანსური კაპიტალის წმინდა ღირებულების ცვლილება. თუ აგენტი დაკრედიტების სიტუაციაშია, ეს ნიშნავს, რომ სხვა თანაბარ პირობებში (როდესაც მხედველობაში არ მიიღება აქტივების ფასი ან მოცულობის სხვა ცვლილებები), ის ფინანსურად უფრო მდიდარი ხდება მოცემული პერიოდის განმავლობაში. გასათვალისწინებელია, რომ ეს შეიძლება სხვადასხვა ფაქტორების გამო მოხდეს. აგენტს შეუძლია გაზარდოს მოთხოვნები სხვა აგენტის მიმართ ან შეამციროს თავისი ვალი, ან ორივე ერთად. საპირისპიროდ, თუ აგენტი მსესხებლის სიტუაციაშია, მაშინ მისი ფინანსური კაპიტალის წმინდა ღირებულება პერიოდის განმავლობაში მცირდება სხვა თანაბარ პირობებში.

საბოლოო ბუღალტრული იგივეობა გამომდინარეობს (თეორიულად) ფინანსური და არაფინანსური ანგარიშების დამაბალანსებელი მუხლების მკაცრი იგივეობიდან. განსაზღვრის მიხედვით, ეს ორი “B9” ერთმანეთის ტოლია. მოტანილი მაგალითის მიხედვით, კორპორაციისა და შინამეურნეობისთვის ეს ტოლობა დაცულია. სამწუხაროდ, რეალურად ასე არ ხდება ეროვნულ ანგარიშებში; და არა იმიტომ, რომ რაიმე გადახვევას აქვს ადგილი ძირითადი წესიდან. საქმე იმაშია, რომ ფინანსური და არაფინანსური ანგარიშები მონაცემთა განსხვავებულ წყაროებს იყენებს. ეს

სხვაობა B9-ის გაზომვაში ცნობილია როგორც „სტატისტიკური განსხვავება“. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ზოგჯერ არაფინანსური ანგარიშების B9 კოდირებულია როგორც “B9A”, ხოლო ფინანსურისა - როგორც “B9B”. სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორის ანგარიშებში B9A და B9B-ს შორის განსხვავება არ არის. ერთი მხრივ, იმის გამო, რომ ამ სექტორის მონაცემები მაღალი ხარისხისაა, ხოლო მეორე მხრივ, იმის გამო, რომ ევროპაში ცდილობენ ყველაზე „სუფთა“ ანგარიშები აწარმოონ, რაც ევროკომისიის მიერ მოწმდება (იხ. თავი 9). სახელმწიფო მართვის ორგანოების შემთხვევაში B9A ხშირად ზუსტად B9B-ს ტოლია, ან თითქმის ტოლია.

მნიშვნელოვანია, რომ ფირმებისთვის ცნობილი იყოს სამივე იგივეობა, რათა სწორად ჩაწერონ ეს კომპლექსური ოპერაციები (იხ. სავარჯიშო 2 და 3 ამ თავის ბოლოს). ამ სამი იგივეობის ან თეორემის მნიშვნელოვანი შედეგია ის, რომ ჩაკეტილ ეკონომიკაში (რომელსაც არ აქვს ურთიერთკავშირი დანარჩენ მსოფლიოსთან), განსაზღვრის მიხედვით ყველა სექტორის წმინდა დაკრედიტებისა და წმინდა სესხების ჯამი ნულის ტოლია. სხვა სიტყვებით, ერთი აგენტის წმინდა დაკრედიტება მეორის წმინდა სესხებაა, როგორც ნახავთ 8.1 ჩანართში „დანაზოგი და ინვესტიცია“. ღია ეკონომიკაში რეზიდენტი აგენტების წმინდა დაკრედიტებისა და წმინდა სესხების ჯამი დანარჩენი მსოფლიოს წმინდა დაკრედიტებისა და წმინდა სესხების ჯამის ტოლია, თუმცა საპირისპირო ნიშნით.

ჩანართი 8.1. დანაზოგი და ინვესტიცია

მაკროეკონომიკის შესავლის საბაზისო კეინსიანური მოდელია: $Y = C + I$ და $R = Y$. ეს განტოლებები ასე უნდა წავიკითხოთ: მოთხოვნა Y უდრის მოხმარებას C პლუს ინვესტიციები I ; შემოსავალი R უდრის გამოშვებას Y , რომელიც თავის მხრივ, მოთხოვნის ტოლია. აქედან მიიღება ცნობილი განტოლება:

$$\text{დანაზოგი} = R - C = I,$$

რომელიც ადგენს ძირითად წესს, რომ დანაზოგი ინვესტიციის ტოლია. თუ დავუშვებთ, რომ ფირმები არ იყენებენ თვითდაფინანსებისთვის თავის ინვესტიციებს და შინამეურნეობები არ იღებენ მონაწილეობას ინვესტირებაში, ეს იმ „თეორემის“ ტოლფასი იქნება, რომ წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხების ჯამი დახურულ ეკონომიკაში ნულის ტოლია. პრაქტიკულად, შინამეურნეობები ზოგავენ და ამის გამო ისინი ძირითადად წმინდა კრედიტორები არიან. თავის მხრივ, ფირმებმა უნდა მოძებნონ სახსრები თავიანთი ინვესტიციებისთვის. აქ წარმოდგენილი გამარტივებული პირობებით შინამეურნეობების წმინდა დაკრედიტება ზუსტად ფარავს ფირმების წმინდა სესხებას. ეს არის კეინსის საბაზისო

მოდელის ხელახალი ფორმულირება, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორი თანხვედრაა ამ და ეროვნული ანგარიშების მოდელს შორის.

ჩვენი რჩევაა, რომ სავარჯიშო 2-ის შესრულებამდე კარგად წაიკითხოთ ეს თავი. გარდა ამ თავში აღწერილი იგივეობებისა, ნახავთ, რომ არსებობს ისეთი ტრანსაქციები, რომლებიც მხოლოდ ფინანსური ხასიათისაა, ამიტომ მათ ჩანაწერი არაფინანსურ ანგარიშში არ ექნებათ. მაგალითად, თუ შინამეურნეობა ჰყიდის აქციებს, მაშინ ორი ჩანაწერი გაკეთდება მხოლოდ ფინანსურ აქტივებში და მას არ ექნება შესაბამისი ჩანაწერი არაფინანსურ ანგარიშში.

3. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

ჩვენს მიერ განხილულ ძალიან მარტივ მაგალითში მხოლოდ ერთი ტიპის ფინანსური აქტივი (საბანკო ანგარიში) და ორი აგენტი გამოვიყენეთ. სინამდვილეში, უამრავი მოთხოვნა და ვალდებულება არსებობს უამრავ ინსტიტუციურ სექტორთან ერთად. კერძოდ, აღსანიშნავია მნიშვნელოვანი დეტალები ფინანსური ინსტიტუციების სხვადასხვა კატეგორიებთან მიმართებით. ამ ფინანსური ქვესექტორების ჩამონათვალი მოცემულია მე-10 თავის 10.2 ჩანართში.

რუბრიკაში „ჩაუღრმავდით: ფინანსური ანგარიშების ინტეგრირებული სისტემა“ - მოცემულია ინფორმაციის სრული ჩამონათვალი, რომელიც შეგვიძლია ფინანსური ანგარიშებიდან მივიღოთ. მიუხედავად ამისა, სანამ ჩავუღრმავდებით დეტალებს, შევხედოთ გამარტივებულ ფინანსურ ანგარიშებს, საიდანაც ჩანს, რომ ისინი არც ისე რთულია, როგორც ეს ინტეგრირებული სისტემიდან ჩანს.

ფინანსური ანგარიშების გამარტივებული პრეზენტაცია

	ფინანსური აქტივები Δ		ვალდებულებები Δ	
	ფინანსური ინსტიტუციები (FI)	არაფინანსური აგენტები (NFA)	ფინანსური ინსტიტუციები (FI)	არაფინანსური აგენტები (NFA)
დეპოზიტები		W	W	
სესხები	X			X
ბანკთაშორისი დაფინანსება	Y		Y	
ფასიანი ქაღალდები	Z1	Z2	Z3	Z4

ამ გამარტივებულ პრეზენტაციაში უჯრებში დიდი ასოებით ნაჩვენებია ის ძირითადი ტრანსაქციები, რომლებიც ძირითადი ბუღალტრული იგივეობებისთვის

გვჭირდება. როგორც პრეზენტაციიდან ჩანს, ფინანსურ ანგარიშებში ხდება აქტივებისა და პასივების (ასევე მათი ცვლილების) ასახვა *ფინანსური ინსტიტუციების სექტორსა* (ძირითადად ბანკები) და *არაფინანსურ სექტორს* (შინამეურნეობები, არაფინანსური კორპორაციები, სახელმწიფო მართვის ორგანოები). ფინანსური აქტივების ძირითადი სახეები ნაჩვენებია ცხრილის მარცხენა სვეტში: *დეპოზიტები* (მიმდინარე ანგარიშების ჩათვლით), *სესხები* (საბანკო სესხები კორპორაციებსა და შინამეურნეობებს), *ბანკთაშორისი დაფინანსება* (ყველა ტრანსაქცია ბანკებს შორის, რომელიც საჭიროა ფინანსური სისტემის გამართული მუშაობისთვის - იხ. ჩანართი 8.2, ქვემოთ) და *ფასიანი ქაღალდები* (ობლიგაციები და აქციები).

მაგალითად, დეპოზიტები (W) წარმოადგენს აქტივებს არაფინანსური სექტორისთვის და ვალდებულებებს ფინანსური სექტორისთვის და ერთის ჯამი მეორის ჯამის ტოლია. სესხები (X) ძირითადად აქტივებია ფინანსური ინსტიტუტებისთვის და ვალდებულებები - შინამეურნეობებისთვის და ამჯერადაც, მათი ჯამები ერთმანეთის ტოლია. ბანკთაშორისი რეფინანსირება (Y) ხშირად ასტრონომიულ ციფრებს აღწევს და რადგან ეს შიდა ანგარიშებია ფინანსური სექტორისთვის, თითქმის ერთნაირი თანხები იწერება აქტივებსა და ვალდებულებებში, რამაც ნაწილობრივ განაპირობა 2007-08 წლების ფინანსური კრიზისი. მხოლოდ ფასიანი ქაღალდები (Z) ჩაიწერება როგორც აქტივების, ისე ვალდებულებების მხარეს ვირტუალურად ყველა ინსტიტუციური სექტორისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის. გამონაკლისია შინამეურნეობების სექტორი, რადგან ის არ უშვებს ფასიან ქაღალდებს. სხვა სტრიქონებში დაცული იგივეობების მსგავსად, ფასიანი ქაღალდების გამოშვება ($Z3 + Z4$) მათი შესყიდვების ($Z1 + Z2$) ტოლია.


ჩანართი 8.2. შეიძლება თუ არა ფინანსური ანგარიშების გამოყენება 2007-08 წლების ფინანსური კრიზისის წინასწარმეტყველებისთვის?

მაკროეკონომისტებისა და საბანკო ზედამხედველობის ექსპერტების 99%-მა ვერ შეძლო ეწინასწარმეტყველა 2007-08 წლების ფინანსური კრიზისი, რომელიც აშშ-ში დაიწყო ე.წ. “subprime” კრიზისის, ანუ არასაიმედო საკრედიტო ისტორიის მქონე პირებზე იპოთეკური სესხების გაცემის გამო. „საბპრაიმები“ ეს არის გირაოს გარეშე გაცემული სესხები მაღალი განაკვეთით, რადგან მათი გადაუხდელობის რისკი დიდია. მათი შეფუთვა ხდება ფინანსური აქტივებით (აქტივებით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდებით), რომლებიც ფინანსურ ბაზრებზე ბრწყინვალე რეიტინგებით იყიდებოდა, თუმცა ისინი დიდი რისკის შემცველი იყო. შეიძლება თუ არა მოახლოებული ქარიშხლის დანახვა, თუ უფრო კარგად

დაუკვირდებოდნენ ფინანსურ ანგარიშებს? თუ შევხედავთ ამ მოვლენების შემდგომ აგებულ ნახაზს, რომელზეც ასახულია ახალი გრძელვადიანი სესხები (უმთავრესად იპოთეკური) მიმართება (თუ შეფარდება?) პირად შემოსავალთან კრიზისამდე ოცი წლის განმავლობაში, შევამჩნევთ, რომ ამ თანაფარდობამ არნახულ სიმაღლეს მიაღწია ზუსტად კრიზისამდე. ამიტომ ეკონომისტებს კარგად უნდა შეეხედათ ფინანსური ანგარიშებისთვის. თუმცა, ადვილია პრობლემის დანახვა, როდესაც მოსახდენი უკვე მოხდება და კრიზისის შემდგომ უფსკრულს ვხედავთ. ადრე ამის დანახვა გაცილებით ძნელი იყო, რადგან ფინანსური ანგარიშები არ გვამლევს პირდაპირ ინფორმაციას რისკის შემცველი ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ. ადვილი იყო იმის დანახვა, რომ იპოთეკა ერთ დღეს იფეთქებდა, მაგრამ ძნელი იყო იმის მიხვედრა, თუ რამდენად მომწამვლელი იქნებოდა ის. როგორც მე-13 თავშია ახსნილი, ფინანსური ანგარიშების დეტალიზაციის ხარისხი არადაამაკმაყოფილებელია, კერძოდ, ფინანსური წარმოებულების კუთხით (აშშ-ის სარეზერვო სისტემა არ აქვეყნებს მონაცემებს ფინანსური წარმოებულების შესახებ მის „ფულად ნაკადებში“), რომელიც კრიზისის ცენტრში აღმოჩნდა. კრიზისის შემდეგ, G20-ის ქვეყნებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა ისეთი მონაცემების დამუშავება დაიწყეს, რომლებიც უფრო მიდრეკილი იყვნენ რისკისკენ. აგვაცილებს თუ არა ეს მომდევნო ფინანსურ კრიზისს?

ფაქტობრივად, ეროვნული ანგარიშების ფინანსური ტრანსაქციების ცხრილში ბევრად უფრო მეტი სვეტი და სტრიქონია, ვიდრე ამ გამარტივებულ ცხრილში. კერძოდ, უამრავი ფინანსური აქტივია ჩაშლილი „ლიკვიდურობის“ დონის მიხედვით (ფინანსური ტერმინი, რომელიც ზომავს აქტივის ტრანსფორმაციის შესაძლებლობას ნაღდ ფულად ან გადახდის სხვა მიღებულ საშუალებად: მაგალითად, მიმდინარე საბანკო ანგარიში მაღალლიკვიდურია, ხოლო აქცია ნაკლებადლიკვიდურია, რადგან ჯერ ის უნდა გაიყიდოს, რაც საკომისიოს გადახდას გულისხმობს). ქვემოთ მოტანილია მთავარი ფინანსური აქტივების ჩამონათვალი, რომელიც ეროვნულ ანგარიშებში გვხვდება. ვალდებულებების ჩამონათვალი ფინანსური აქტივების იდენტურია, რამდენადაც ერთი სექტორის ან აგენტის ფინანსური აქტივი აუცილებლად მეორე სექტორის ან აგენტის ვალდებულებების იდენტურია (იხ. ჩანართი 8.3 „პროფესიული ხერხები: როგორ გავარჩიოთ ერთმანეთისგან ფინანსური და არაფინანსური აქტივები“).

ნახაზი 8.1. აშშ: შინამეურნეობების სესხების თანაფარდობა პირად შემოსავალთან



წყარო: Bureau of Economic Analysis (2013), National Income and Product Accounts Tables, <http://www.bea.gov/iTable/iTable.cfm?ReqID=9&step=1#reqid=9&step=3&isuri=1&904=2012&903=58&906=a&905=1990&910=x&911=0> და OECD (2014), “Financial Accounts: Non-consolidated flows, annual”, OECD National Accounts Statistics (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00023-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00023-en).

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144077>

ჩანართი 8.3. პროფესიული ხერხები: როგორ გავარჩიოთ ერთმანეთისგან ფინანსური და არაფინანსური აქტივები

ერთი აგენტის ფინანსური აქტივი შესაბამისად მეორე აგენტის ვალდებულებაა. მაგალითად, საბანკო ანგარიში შინამეურნეობის აქტივია, ხოლო ბანკისთვის - ვალდებულება. ბანკნოტები მათი მფლობელებისთვის აქტივებს წარმოადგენს, ხოლო ცენტრალური ბანკისთვის, რომელმაც ისინი გამოუშვა - ვალდებულებაა. სესხი აქტივია გამსესხებლისთვის, ხოლო ვალდებულება - მსესხებლისთვის და ა.შ. მეორე მხრივ, არაფინანსურ აქტივს არ გააჩნია მისი საპირისპირო ვალდებულება. თუ შინამეურნეობა ფლობს სახლს, ის მისი აქტივია, მაგრამ არავის ვალდებულებას არ წარმოადგენს. თუ ფირმა ჩარხს ფლობს, ეს მისი აქტივია, მაგრამ სხვა აგენტისთვის ის არ არის ვალდებულება.

ქვემოთ მოცემულია ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ახალი ეას 2008/ აეს 2010-ის მიხედვით (*ფრჩხილებში მოტანილია მხოლოდ ძველი ეას 1993/აეს 1995-ის განსხვავებული მუხლები*):

F1 - *მონეტარული ოქრო და ნსუ*. ეს მუხლი ძირითადად ცენტრალურ ბანკებს აქვთ. მოიცავს სავალუტო რეზერვების სახით შენახულ ოქროს პლუს ნასესხობის სპეციალური უფლებები. ეს უკანასკნელი არის საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შექმნილი სპეციალური აქტივები ცენტრალურ ბანკებში. არსებობს სამი გამონაკლისი: გაერთიანებულ სამეფოში F1 ჩაიწერება S1311 სექტორში (სახელმწიფო მართვის ორგანოები), ხოლო აშშ-სა და იაპონიაში ის განაწილებულია S121 (ცენტრალური ბანკი) და S1311-ს (სახელმწიფო მართვის ორგანოები) შორის.

F2 - *ნაღდი ფული და დეპოზიტები*. ეს მუხლი მოიცავს „ნაღდ ფულს“, კოდი F21 (რომელიც აქტივია მფლობელის ხელში, ხოლო ვალდებულება ძირითადად ცენტრალური ბანკებისთვის). ის ასევე მოიცავს „გადასაყვან დეპოზიტებს“, კოდი F22, რომელიც თავის მხრივ მოიცავს მოთხოვნამდე დეპოზიტებს და ასევე „სხვა დეპოზიტებს“ (F29). F2 მუხლი ზუსტად არ შეესაბამება ე.წ. მონეტარულ აგრეგატებს (იხ. რუბრიკა „ჩაულრმავდით: ფინანსური ანგარიშები და ფულის მიწოდება: ევროზონის მაგალითი“, ამ თავის ბოლოს).

F3 - *სავალო ფასიანი ქაღალდები (ეას 1993: ფასიანი ქაღალდები აქციების გარდა)*. ეას 1993-ში ეს მუხლი ჩაშლილი იყო ორ ქვემუხლად: F33 „ფასიანი ქაღალდები აქციების და ფინანსური წარმოებულების გარდა“ და F34 „ფინანსური წარმოებულები“. ეას 2008-ში ფინანსური წარმოებულები ამ მუხლში აღარ არის კლასიფიცირებული, არამედ F71-ში (იხ. ქვემოთ). ამდენად ეას 2008-ში ეს მუხლი მოიცავს მხოლოდ სავალო ფასიან ქაღალდებს და ის დაყოფილია ორ ქვემუხლად: მოკლევადიანი (F31) და გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდები (F32) და ასევე მოიცავს სახელმწიფო ხაზინის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებს ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად. მასში შედის აგრეთვე არაფინანსური კორპორაციებისა და ფინანსური ინსტიტუციების მიერ გამოშვებული ობლიგაციები.

F4 - *სესხები*. ამ მუხლში შედის ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც წარმოიქმნება როდესაც კრედიტორები პირდაპირ გაასესხებენ ფულს დებიტორებზე. ეს მუხლი მოიცავს სამომხმარებლო სესხებს, იპოთეკურ და ბიზნეს სესხებს. F3-ის მსგავსად, F4-იც ორ ქვემუხლად იყოფა: მოკლევადიანი (ერთ წელზე ნაკლები) და გრძელვადიანი სესხები (ერთ წელზე მეტი). ამ დაყოფას თავისი შეზღუდვები აქვს. ერთი მხრივ, სესხები ზოგჯერ ხელახალი მოლაპარაკების საგანი ხდება. მეორე მხრივ, გრძელვადიანი სესხი დაფარვის ბოლო პერიოდისთვის მოკლევადიანი ხდება.

F5 - *სააქციო კაპიტალი და საინვესტიციო ფონდების აქციები (ეას 1993: აქციები და სხვა სააქციო კაპიტალი)*. ეს მუხლი მოიცავს კომპანიების კოტირებულ და არაკოტირებულ აქციებს (F51) და საინვესტიციო ფონდების აქციებს (F52). არაკოტირებული აქციების შეფასება ფინანსური კომპანიების აქილევსის ქუსლია. ფაქტობრივად ძალიან ძნელია მათი საბაზრო ფასის განსაზღვრა, სანამ არ მოხდება მათი ბაზარზე გატანა. მეტიც, ეს აქციები არაფინანსური და ფინანსური ინსტიტუციების ვალდებულებებად ჩაიწერება მაშინაც კი, თუ ისინი ამ სექტორების ვალი კი არა, არამედ მათი „საკუთარი ფონდების“ განსხვავებული ფორმაა. საინვესტიციო ფონდების აქციები (F52) არის აქციების განკარგვა არაპირდაპირ, ბანკებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების მართვაში არსებული პორტფელების საშუალებით (ქონების პორტფელების ჩათვლით). ამ მუხლის მნიშვნელობა თანდათან იზრდება, რადგან, როგორც ჩანს, შინამეურნეობები უპირატესობას ამ პროდუქტს ანიჭებენ, ვიდრე აქციების ან ობლიგაციების პირდაპირ ფლობას.

F6 - *დაზღვევის, საპენსიო უზრუნველყოფისა და სტანდარტიზებული გარანტიების პროგრამები (ეას 1993: დაზღვევის ტექნიკური რეზერვები)*. ეას 1993-ში ეს მუხლი ორად იყო გაყოფილი F61-სა „შინამეურნეობების წმინდა სააქციო კაპიტალი სიცოცხლის დაზღვევის რეზერვებსა და საპენსიო ფონდების რეზერვებში“ და F62-ს „პრემიებისა და რეზერვების წინასწარგადახდა პრეტენზიების გამო“. F61-ში წარმოდგენილი იყო შინამეურნეობების მიერ ინვესტირებული კუმულაციური დანაზოგები სიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტებსა და საპენსიო ფონდების კაპიტალიზაციაში. ამ აქტივების ღირებულება ეროვნულ ანგარიშებში შინამეურნეობებს მიეკუთვნება, თუმცა ეს აქტივები იმ კომპანიების აქტივებისა და პასივების ბალანსებში ჩნდება, რომლებიც ამ ფონდებს მართავენ. ეს კუთვნილება სწორად ასახავს ეკონომიკურ რეალობას, რადგან დანაზოგი შინამეურნეობას ეკუთვნის და არა მის მმართველ კომპანიას. ცხადია, გარკვეულ ეტაპზე ეს თანხები შინამეურნეობებს დაუბრუნდება ანუიტეტების ან პენსიების სახით. საპენსიო გეგმების „განაწილების“ (ან „ტრანსფერის“) არაპირდაპირი ვალი, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც „გადახდა პენსიაზე გასვლის შემდეგ (pay-as-you-go)“ (ხშირად სოცურუნველყოფისა და საჯარო მოხელეების საპენსიო გეგმები, მინიმუმ რამდენიმე ევროპულ ქვეყანაში), არ ჩაიწერება ეროვნულ ანგარიშებში. ამ დროისათვის, საპენსიო გეგმების განსხვავებებმა შეიძლება დიდი სიძნელები შექმნას ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო შედარებების კუთხით. კერძოდ, იმ ქვეყნებში, სადაც კაპიტალიზაციაზე აგებული სისტემებია, ისინი შინამეურნეობების აქტივებად ჩაიწერება, ხოლო სახელმწიფო სისტემის „pay-as-you-go“ ქვეყნებში (საფრანგეთი, გერმანია, იტალია და ესპანეთი) - არა. საერთაშორისო შედარებების

სირთულეები შეიძლება გადაიჭრას ეთგო-ს ყველა წევრი ქვეყნის მიერ დამხმარე ცხრილის შევსებით, სადაც შეფასდება ყველა საპენსიო ვალდებულება, სოციალური დაცვის ჩათვლით. F62 მუხლი წარმოადგენს უბედური შემთხვევებისგან დაზღვევის პრემიების წინასწარგადახდას და სადაზღვევო კომპანიების გადაუხდელობის პრეტენზიებს.

ეას 2008-ში ამ მუხლს ეწოდება „დაზღვევის, საპენსიო უზრუნველყოფისა და სტანდარტიზებული გარანტიების პროგრამები“. ძველ F62-ს ახლა ჰქვია F61 („არა სიცოცხლის დაზღვევის ტექნიკური რეზერვები“). ძველი F61 ჩაშლილია ოთხ ქვეკატეგორიად (F62-დან F65-მდე) და შეიქმნა ახალი კატეგორია F66- „მოთხოვნების დარეგულირების რეზერვები სტანდარტიზებული გარანტიებით“. ეს უკანასკნელი ძველ ეას-ში არ იყო მიჩნეული აქტივი/ვალდებულებად.

F7 - წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები და მომუშავეებისთვის აქციების ოპციონები (ეას 1993: F34). ეს საკმაოდ ვრცელი მუხლია და ძირითადად ბანკთაშორისი დაფინანსებისთვის გამოიყენება, გარდა მომუშავეთა ოპციონების მცირე კატეგორიისა (F72). ფინანსური წარმოებულების (F71) აღწერა ამ სახელმძღვანელოსთვის გარკვეულწილად რთულია.

F8 - სხვა დებიტორული/კრედიტორული დავალიანება (ეას 1993: F7). ეს მუხლი მოიცავს ორ ქვემუხლს: F81 (ეას 1993: F71) „კომერციული კრედიტები და ავანსები“ და F89 (ეას 1993: F79) „სხვა დებიტორული/კრედიტორული დავალიანება“. პირველი მათგანი ძალიან მნიშვნელოვანი მუხლია, რადგან მოიცავს კომერციულ ტრანსაქციებთან დაკავშირებულ კრედიტებს (მაგალითად, საფრანგეთში ფირმებს შორის გადახდები საქონელსა და მომსახურებაზე 60-დღიან საფუძველზე აგებული, რაც ნიშნავს, რომ გამყიდველი თანახმაა 60 დღის დაგვიანებით მიიღოს ანაზღაურება გაყიდულ პროდუქციაზე). მეორე ქვემუხლი მოიცავს ყველა ფარულ (არაცხად) კრედიტს, რომელიც ეხება ხელფასს, გადასახადებს, რენტას და ა.შ. ეროვნულ ანგარიშებში, ისევე როგორც კომპანიების ბუღალტერიაში, ტრანსაქციების ჩაწერა „დარიცხვის ბაზაზე“ ხდება, რაც ნიშნავს, რომ ტრანსაქცია ისე უნდა იყოს ჩაწერილი, რომ ანგარიშში ნებისმიერი მომენტისთვის უნდა იყოს ასახული აგენტის უფლებებისა და ვალდებულებების ღირებულება. მაგალითად, შესაძლებელია, რომ მომუშავეს ხელფასი გადაუხადონ ორი ან სამი თვის დაგვიანებით, მაგრამ ხელფასი უნდა გატარდეს იმ თვეში, როდესაც ეს სამუშაო შესრულდა, რადგან ვალდებულება ამ დროს წარმოიშვა. რადგან მოხდა ხელფასის დარიცხვა, მაგრამ ფაქტობრივად არ მოხდა მისი გადახდა, ეს არის მომუშავეს მიერ ფირმისთვის წაყენებული მოთხოვნა, რომელიც გატარდება ქვემუხლში F89. ანალოგიურად მოხდება სახელმწიფო გადასახადების შემთხვევაშიც, რომელიც ჯერ არ არის გადახდილი.

4. კავშირი ფინანსურ ნაკადებსა და ფინანსურ მარაგებს შორის

როგორც ამ თავის დასაწყისში აღვნიშნეთ, ფინანსური ანგარიშების მთავარი დანიშნულებაა მონაცემების უზრუნველყოფა ინსტიტუციური სექტორების წმინდა სიმდიდრის (ანუ აქტივებს *მინუს* ვალდებულებები) შესახებ, რომელიც ასევე ცნობილია როგორც კაპიტალის წმინდა ღირებულება. აქტივებისა და პასივების ბალანსი, ან მარაგი ჩაიწერება დროის გარკვეული მომენტისთვის. ჩვეულებრივ, ეროვნულ ანგარიშებში ეს არის 31 დეკემბერი, თუმცა ამავე დროს მრავალი ქვეყანა და ევროპის ცენტრალური ბანკიც აქვეყნებს კვარტალურ ფინანსურ ანგარიშებს. განვიხილოთ H შინამეურნეობის მაგალითი გაერთიანებულ სამეფოში, რომელსაც A წლის 31 დეკემბერს საბანკო ანგარიშზე £2 000 ჰქონდა, ფლობდა £13 500 აქციებს და £23 000 ობლიგაციებს, ამასთან, მისი მოკლევადიანი სამომხმარებლო სესხი შეადგენდა £3 500-ს, ხოლო გრძელვადიანი იპოთეკური სესხი £7 500 -ს.

აქტივებისა და პასივების მარაგები 31/12/A-სთვის

ფინანსური აქტივები	
F2 ნაღდი ფული და დეპოზიტები	2 000
F5 აქციები	13 500
F3 ფასიანი ქაღალდები აქციების გარდა	23 000
პასივები	
F41 მოკლევადიანი სესხები	3 500
F42 გრძელვადიანი სესხები	7 500

დავიწყით იმ სიტუაციით, რომელიც A წლის 31 დეკემბრისთვის ჰქონდა შინამეურნეობას და შევასრულოთ ის ტრანსაქციები, რომელიც მან განახორციელა A + 1 წლის განმავლობაში. ის ხარჯავს მოხმარებაზე £35 000-ს, შრომის ანაზღაურების სახით იღებს £37 000-ს, ყიდის £6 500-ის აქციებს, იხდის £1 500-ს მოკლევადიან და £2 500-ს გრძელვადიან სესხებზე. ამ ტრანსაქციებზე (ფინანსური ნაკადებზე) დაკვირვება შეიძლება ორ თანმიმდევრულ ფინანსურ ანგარიშში (ანუ ორ ფინანსურ მარაგს შორის).

ფინანსური ანგარიშები A + 1 წლისთვის

Δ ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივების წმინდა შესყიდვა)	A + 1 წლის განმავლობაში
F2 ნაღდი ფული და დეპოზიტები	-35 000
	+37 000
	+6 500
	-1 500
	-2 500
	-4 500

F5 აქციები	-6 500
Δ პასივები (ვალდებულებების წმინდა შესყიდვა)	A + 1 წლის განმავლობაში
F41 მოკლევადიანი სესხები	-1 500
F42 გრძელვადიანი სესხები	-2 500

ფინანსური ტრანსაქციები ჩაიწერება ფაქტობრივად გადახდილი ფასების მიხედვით, ანუ მიმდინარე ფუნტ სტერლინგებში. თუ ტრანსაქციები სხვა ვალუტაში (ევრო, დოლარი, იენა ან სხვა) ხდება, მაშინ ტრანსაქციის დღის კურსის მიხედვით უნდა მოხდეს მათი კონვერტაცია. ასევე ხდება აქციებისა და ობლიგაციების ტრანსაქციების შემთხვევაშიც, თუ მათი ფასები გაყიდვის ან ყიდვის დროს იცვლება.

შეიძლება გვეფიქრა, რომ სიტუაცია 31/12/A + 1-ისთვის ტოლი იქნება 31/12/A-ს პლუს ცვლილებები A + 1 წლის განმავლობაში, თუმცა, სულ მცირე, გასათვალისწინებელია აქტივების ფასების ცვლილების გავლენა. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, ფინანსური (და არაფინანსური) აქტივებისა და ვალდებულებების მარაგები ფასდება იმ საბაზრო ფასებით, რომელიც მოქმედებს ანგარიშების წარდგენის დღეს: ჩვეულებრივ, 31 დეკემბერს წლიური ანგარიშებისთვის და კალენდარული კვარტალის ბოლო დღეს კვარტალური ანგარიშებისთვის. მაგრამ აქციებისა და ობლიგაციების საბაზრო ფასები იცვლება (მაგალითად, ობლიგაციის ფასი საპროცენტო განაკვეთის უკუპროპორციულად იცვლება, იხ. დანართი “ჩაულრმავდით: აქტივების შეფასება და მისი ურთიერთკავშირი ეკონომიკურ თეორიასთან”). ამდენად, აგენტის მფლობელობაში არსებული აქტივის ფასი შეიძლება შეიცვალოს 31/12/A და 31/12/A + 1-ს შორის, თუნდაც არანაირ ტრანსაქციას არ ჰქონდეს ადგილი, უბრალოდ ფასების ცვლილების გამო, რასაც მივყავართ ჰოლდინგურ მოგებამდე ან ზარალამდე.

დავუბრუნდეთ იგივე მაგალითს და დავუშვათ, რომ 31/12/ A და 31/12/A + 1-ს შორის აქციების ფასი 20%-ით დაეცა. ასევე დავუშვათ, რომ ამ დანაკარგის შესასუსტებლად შინამეურნეობამ გაყიდა თავისი აქციების მნიშვნელოვანი ნაწილი (მოვლენების გასამარტივებლად დავუშვათ, რომ აქციები გაიყიდა წლის დასაწყისში, სანამ ფასები დაეცემოდა). ამდენად, 20%-იანი ჰოლდინგური ზარალი შეეხო მხოლოდ დარჩენილ £7 000-ს, ე.ი. ზარალმა შეადგინა £1 400. ამასთან, ასევე დავუშვათ, რომ შინამეურნეობის ობლიგაციების პორტფელის 6% შედგება სახაზინო ობლიგაციებისგან, რომელთა საპროცენტო განაკვეთი წლის განმავლობაში 4%-ით დაეცა. ამ შემთხვევაში, ობლიგაციების 6%-ის საბაზრო ფასი გაიზრდება (ობლიგაციების ღირებულების გაანგარიშება იხილეთ სავარჯიშო 4-ში). დავუშვათ, რომ აღნიშნულით შეიქმნა ჰოლდინგური მოგება £3 200. აქტივების ფასების ყველა ეს ცვლილება ჩაიწერება სპეციალურ ანგარიშში, რომელსაც ეწოდება „გადაფასების

ანგარიში“. რადგან ჩვენს მაგალითში აქტივების მხარეს არსებულ ნაღდ ფულსა და ვალდებულებების მხარეს არსებული სესხებს ეს გადაფასება არ ეხება, ისინი არ იქნება წარმოდგენილი ამ ანგარიშში.

გადაფასების ანგარიში A + 1 წლისთვის

Δ ფინანსური აქტივები, რომელსაც შეეხო გადაფასება	A + 1 წლის განმავლობაში
F5 აქციები	-1 400
F3 ფასიანი ქაღალდები აქციების გარდა	+3 200

ახლა უკვე შეგვიძლია ფინანსური მარაგების ღირებულება გავიანგარიშოთ A + 1 პერიოდის ბოლოს, რომელიც ტოლია A პერიოდის ბოლოს არსებულ ბალანსს (ან A + 1 პერიოდის დასაწყისის), ან მარაგს *პლუს* აქტივების ან ვალდებულებების ტრანსაქციები წლის განმავლობაში, *პლუს* გადაფასება. მაგალითად, აქციების ღირებულება 31/12/A + 1-ში უდრის £13 500-ს (31/12/A-ს ბალანსი) *მინუს* £6 500 (აქციების გაყიდვა) *მინუს* £1 400 (ჰოლდინგური ზარალი დარჩენილ აქციებზე), რაც გვაძლევს £5 600-ს.

	ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 31/12/A	ფინანსური ტრანსაქციები A + 1 წლის განმავლობაში	გადაფასება A + 1 წლის განმავლობაში	ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 31/12/A + 1
აქტივები				
F2 ნაღდი ფული და დეპოზიტები	2 000	4 500		6 500
F5 აქციები	13 500	-6 500	-1 400	5 600
F3 ფასიანი ქაღალდები აქციების გარდა	23 000		+3 200	26 200
პასივები				
F41 მოკლევადიანი სესხები	3 500	-1 500		2 000
F42 გრძელვადიანი სესხები	7 500	-2 500		5 000

ამ მაგალითში ასახული სრული ინფორმაცია შინამეურნეობების ფინანსური ანგარიშებისთვის (გარდა „მოცულობის სხვა ცვლილებებისა“). სრული ფინანსური ანგარიშები (ფინანსური ანგარიშების ინტეგრირებული სისტემა) გვიჩვენებს ფინანსურ ანგარიშებს, გადაფასების ანგარიშებს, მოცულობის სხვა ცვლილებებს (არ არის შეტანილი ამ მაგალითში) და ფინანსური სიმდიდრის ანგარიშებს (ასევე ეწოდება „ფინანსური აქტივებისა და პასივების ანგარიშები“, რომელიც მოიცავს ყველა სექტორის უამრავი მუხლის ბალანსს ანუ მარაგებს). გადაფასებისა და

მოცულობის სხვა ცვლილების ანგარიშებს ერთობლიობაში ეწოდება "ანგარიშების შეთანხმება", რადგან ტრანსაქციებთან ერთად მათ შესაბამისობაში მოჰყავთ აქტივები და პასივები პერიოდის დასაწყისსა და პერიოდის ბოლოს. როგორც მოველოდით, ეს ანგარიშები უფრო დეტალიზებულია ფინანსური კორპორაციებისთვის, რადგან ისინი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ სხვადასხვა სექტორს შორის ფინანსური ურთიერთკავშირების მენეჯმენტში და წარმოადგენენ უმთავრეს სტატისტიკურ წყაროს ფინანსური ანგარიშებისთვის.

სრულ ფინანსურ ანგარიშებს სამი მხარე აქვს: პირველი, აქ თავმოყრილია ფინანსური ტრანსაქციების ანგარიშები; მეორე, გადაფასების ანგარიშები და ასევე მოცულობის სხვა ცვლილებების ანგარიშები (ანუ ანგარიშების შეთანხმება) და ფინანსური სიმდიდრის ანგარიშები, რომელიც გვიჩვენებს ბალანსების (მარაგების) მდგომარეობას. ეს ფინანსური სიმდიდრე წარმოადგენს კაპიტალის წმინდა ღირებულების (რომელიც განხილული იქნება ამ თავის ბოლოს) ფინანსურ შემადგენელს. ინტეგრირებული ფინანსური სისტემის ანგარიშები განხილული იქნება დანართში „ჩაუღრმავდით“. ამ ქვეთავში განხილული იქნება ესპანეთის ფინანსური ანგარიშები, რომელიც ესპანეთის ბანკის მიერ არის გამოქვეყნებული და მოიცავს ფინანსურ სიმდიდრეს 1012 წლის დასაწყისისთვის, ნაკადებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მასზე წლის განმავლობაში (ანუ ფინანსური ტრანსაქციები, გადაფასება და მოცულობის სხვა ცვლილებები) და ფინანსური სიმდიდრე 2012 წლის ბოლოსთვის. ყველა ეს ანგარიში ეხება ეკონომიკას მთლიანობაში და ყველა რეზიდენტ სექტორს. სიმარტივისთვის ეს ქვეთავი არ მოიცავს არაფინანსურ კორპორაციებს და სახელმწიფო მართვის ორგანოებს.

მთლიანობაში ეს ცხრილები გვიჩვენებს თითოეული სექტორის წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხების ფინანსურ შემადგენელს და მათი სიმდიდრის აგებულებას. საპირისპიროდ, თითოეული ფინანსური აქტივისთვის, მაგალითად აქციებისთვის, იქნება ის გამოშვებული ერთი თუ ყველა სექტორის მიერ, გვეცოდინება გამოშვების წმინდა ნაკადები პერიოდის განმავლობაში და მყიდველი სექტორები და ბოლოს, ეკონომიკის ფინანსური კაპიტალის წმინდა ღირებულებაში გამოშვებული აქციების ჯამური ღირებულება და პერიოდის ბოლოსთვის (ამ შემთხვევაში 2012 წელი); ასევე ის სექტორები, რომლებმაც გამოუშვეს და რომლებსაც პორტფელში აქვთ ეს აქციები. ფინანსური ანგარიშები წლიურად დგება ფინანსური ინსტიტუციების სექტორის (ცენტრალური ბანკები, ბანკები და სხვა შუამავლები) პრინციპების გათვალისწინებით - იხ. ჩანართი: „მონაცემთა წყაროები: ფინანსური ანგარიშების სტატისტიკური წყაროები“. ფინანსურ ინსტიტუტების მიერ

გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშები ყველა სექტორის ფინანსური ანგარიშების შედგენის ძირითადი წყაროა.

5. არაფინანსური აქტივები

სხვადასხვა აგენტის, და მათ შორის განსაკუთრებით შინამეურნეობების წმინდა სიმდიდრე მხოლოდ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისგან კი არ შედგება, არამედ არაფინანსური აქტივებისგანაც, როგორცაა საბინაო მეურნეობა. სხვადასხვა ქვეყანაში შინამეურნეობების არაფინანსური სიმდიდრე საბინაო მეურნეობისა და სხვა არაფინანსური აქტივების სახით, რომელიც საცხოვრისებს მოიცავს, ფინანსურ აქტივებზე უფრო მაღალი ღირებულებისაა. მრავალი შინამეურნეობა ანიჭებს უპირატესობას თავისი დანაზოგის ჩადებას უძრავ ქონებაში. შინამეურნეობების არაფინანსური აქტივები მოიცავს ინდივიდუალური მეწარმეების (რომლებიც შინამეურნეობის სექტორში კლასიფიცირდებიან) საკუთრებაში არსებულ მანქანა-მოწყობილობებს, ჩარხებს და პროგრამულ უზრუნველყოფას.

ეროვნულ ანგარიშებში არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია: შენობები და სხვა ნაგებობები; მანქანა-მოწყობილობები და დანადგარები; ნედლეულის მარაგები; ფასეულობა; მიწა; სასარგებლო წიაღისეული; არაკულტივირებადი ბიოლოგიური რესურსები; წყლის მარაგი, რომელზეც ვრცელდება საკუთრებისა და მისი გადაცემის უფლება და განსაზღვრული უხილავი აქტივები (პროგრამული უზრუნველყოფა, პატენტები, ლიცენზიები, უფლებამონაცვლე ხელშეკრულებები, კვლევა და განვითარება). საინტერესოა, რომ ეროვნულ ანგარიშებში ერთმანეთისგან არჩევენ მიწის ღირებულებას და მიწაზე აღმართული ნაგებობების ღირებულებას, თუმცა პრაქტიკულად მათი გაყოფა შეუძლებელია.

ეს-ში აქტივების განსაზღვრა შემდეგი სახით ხდება: *“ფუნქციონირებს როგორც ღირებულების მარაგი, რომელზეც ინდივიდუალურად ან კოლექტიურად ვრცელდება ინსტიტუციური ერთეულის საკუთრების უფლება და რომელთა ფლობით ან გამოყენებით მფლობელი იღებს ეკონომიკურ შემოსავალს გარკვეული დროის განმავლობაში“. ამ განმარტებიდან გამორიცხულია ე.წ. ჰუმანური კაპიტალი, რაზეც მსჯელობა იქნება ამ თავის ბოლოს რუბრიკაში „ჩაუღრმავდით: შეზღუდვები ეროვნულ ანგარიშებში: რა გამოირიცხება აქტივების და პასივების ანგარიშებიდან“.*

არაფინანსური აქტივების ღირებულების (ე.წ. **კაპიტალის მარაგები**) შეფასებისთვის ჩვეულებრივ იყენებენ უწყვეტი ინვენტარიზაციის მეთოდს (PIM). ეს მეთოდი ეყრდნობა GFCF ტრანსაქციების წარსულ მონაცემებს ფიზიკური მოცულობით და იყენებს მარტივ პრინციპს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ დღევანდელი მარაგი

უდრის განხორციელებულ ინვესტიციებს მინუს გამოყენება. იყენებს რა დაშვებებს ფიზიკური ცვეთისა და მოქმედებიდან გამოსვლის სხვა შემთხვევებისთვის, ეს მეთოდი საკუთრივ ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირების საკმაოდ გრძელ მწკრივებს ეყრდნობა. თითოეული წლიური ინვესტიცია ზრდის მარაგებს, ხოლო ცვეთა და მოქმედებიდან გასვლა - ამცირებს მას.

ამ მეთოდით შესაძლებელია ძირითადი კაპიტალის მთლიანი (ან წმინდა) მარაგის გაანგარიშება n პერიოდის ბოლოსთვის, ანუ $GC(n)$ უდრის ძირითადი კაპიტალის მარაგს წინა პერიოდის ბოლოს $GC(n - 1)$ დამატებული $GFCF$ n -პერიოდში, $GFCF(n)$, მინუს მისი მოქმედებიდან გასვლა $DEC(n)$ (ან შესაბამისად, ძირითადი კაპიტალის მოხმარება $CFC(n)$). მთლიანი კაპიტალის მარაგისთვის გვექნება: $GC(n) = GC(n - 1) + GFCF(n) - DEC(n)$, ხოლო წმინდა კაპიტალის მარაგისთვის: $NC(n) = NC(n - 1) + GFCF(n) - CFC(n)$. ამ გზით გაზომილი წმინდა კაპიტალის მარაგი ფიქსირებული აქტივების საბაზრო ღირებულებაა და წმინდა სიმდიდრის ძირითად კომპონენტს წარმოადგენს ქვეყნისა და მათი მფლობელი ინსტიტუციური სექტორებისთვის. მთლიანი კაპიტალის მარაგს რაიმე მკაფიო ეკონომიკური მნიშვნელობა არ გააჩნია: ზოგჯერ მას წარმოების ფუნქციაში იყენებენ (იხ. მე-4 თავის შესავალი), თუმცა ამ მიზნით ეკონომისტები ახლა უფრო მეტად კაპიტალურ მომსახურებას იყენებენ. (OECD, 2001).

ამ ფორმულიდან ჩანს, რომ კაპიტალის მარაგები წარმოადგენს კაპიტალურ მოწყობილობებში ჩადებული ინვესტიციების, მოქმედებიდან გასვლისა და ფიზიკური ცვეთის ფუნქციას. თუ $GFCF$ -ის წარსული მწკრივები საკმარისად გრძელია, მაშინ თავდაპირველ GC და NC -ს დიდი მნიშვნელობა აღარ ენიჭება, რადგან დროთა განმავლობაში თავდაპირველი აქტივები გავა კაპიტალის მარაგებიდან. მიუხედავად ამისა, ყველაფერი დამოკიდებულია $DEC(n)$ და $CFC(n)$ -ის შეფასებაზე, რომლებიც თავის მხრივ ეყრდნობა დაშვებებს სხვადასხვა სახის აქტივის სამსახურის საშუალო ვადასთან დაკავშირებით, ანუ „მოკვდაობის ფუნქციებს“ (რომლებსაც არამატერიალური აქტივებისთვის “მორალური ცვეთის ფუნქციები” ეწოდება), რომელიც აღწერს მოქმედებიდან გასვლის განაწილებას ამ საშუალოს ირგვლივ და ფიზიკურ ცვეთას. ეთგო-ს ქვეყნებში სხვადასხვა ტიპის მოკვდაობის ფუნქციებს იყენებენ. მრავალ ევროპულ ქვეყანაში გამოიყენება ნორმალური ლოგარითმული ფუნქციები, ხოლო დანარჩენებში - ვეიბულის ან უინფრის ფუნქციები. ფიზიკური ცვეთა ჩვეულებრივ წრფივად არის მიჩნეული, რაც იმას ნიშნავს, რომ ცვეთა თანაბარზომიერად მიმდინარეობს აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში, თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში, აშშ-ის ჩათვლით დაშვებულია, რომ ცვეთა მუდმივი სიჩქარით ხდება. სხვადასხვა სახის აქტივის

საშუალო სასიცოცხლო ვადის დადგენა ძალიან მნიშვნელოვანია უწყვეტი ინვენტარიზაციის მეთოდის გამოყენების დროს. ცალკეულ ქვეყნებში ეს პარამეტრები საწარმოთა კვლევებიდან მიიღება. საფრანგეთის მაგალითიდან: IT მოწყობილობისთვის სამსახურის ვადად მიჩნეულია ხუთი წელი; სატრანსპორტო მოწყობილობებისთვის - შვიდიდან 15 წლამდე; შენობა - 25 წელი და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა - 60 წელი. ამ დაშვებების საფუძველზე შეგვიძლია მივიღოთ „ჩამოწერის ნორმები“ D_i . $DEC(n) = \sum_i GFCF(n-i) \times D_i$. ძირითადი კაპიტალის C_i მოხმარების ნორმები ჩამოწერის ნორმების წრფივი მოსწორებით მიიღება და გვაძლევს $CFC(n) = \sum_i GFCF(n-i) \times C_i$. ეს ყოველივე საშუალებას გვაძლევს გამოვთვალოთ მთლიანი კაპიტალისა $GC(n)$ და წმინდა კაპიტალის $NC(n)$ მოცულობები. კაპიტალის მარაგებისა და ძირითადი კაპიტალის მოხმარების მიმდინარე ფასებში ასახვისთვის იგივე ფორმულა გამოიყენება, მაგრამ ფასების ინდექსების გამოყენებით.

6. აქტივებისა და პასივების ანგარიშები

აქტივებისა და პასივების ანგარიშები წარმოადგენს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცხრილების სინთეზს სხვადასხვა ინსტიტუციური სექტორისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის. შეგვიძლია მხოლოდ ერთი ცხრილიდან დავინახოთ თითოეული სექტორის აქტივები და ვალდებულებები და შესაბამისად გავზომოთ მაკროეკონომიკური აგენტების ჯამური წმინდა სიმდიდრე მოცემული თარიღისთვის (როგორც წესი, 31 დეკემბერი). შეფასებები მიმდინარე ფასებში კეთდება და ამიტომ, მოცემული თარიღისთვის ეს სიმდიდრის საუკეთესო შეფასებაა (მიუხედავად იმისა, თუ ის პოტენციურია, რადგან არარეალიზებულია). თუმცა, სიმდიდრის შეფასების დროს მოქმედებს ეროვნულ ანგარიშებში გამოყენებული საზღვრები აქტივებთან და პასივებთან დაკავშირებით (იხ. ცხრილი რუბრიკაში „ჩაულრმავდით“, ამ თავის ბოლოს).

ქვემოთ მოტანილია აქტივებისა და პასივების შემაჯამებელი მოდელი, რომელსაც გამოვიყენებთ „წმინდა სიმდიდრის“ განსაზღვრისათვის. ეს დასათაურება ეროვნულ ანგარიშებში ყველაზე ყოვლისმომცველია.

აქტივებისა და პასივების გამარტივებული ანგარიში 31/12/A-ისთვის ნებისმიერ სექტორში

აქტივები		ვალდებულებები	
არაფინანსური აქტივები	NFA	წმინდა სიმდიდრე (აქტივებისა და სხვა საკუთარი კაპიტალის	C = A-L

ფინანსური აქტივები	FA	ჩათვლით) ვალდებულებები (აქციებისა და სხვა საკუთარი კაპიტალის გარდა)	L
სულ	$A = NFA + FA$	სულ	A

როგორც ცხრილიდან ჩანს, ინსტიტუციური სექტორის წმინდა სიმდიდრე უდრის სულ აქტივებს A (ფინანსური აქტივები FA და არაფინანსური აქტივები NFA) მინუს სულ ვალდებულებები L, საიდანაც გამოირიცხება აქციები და სხვა საკუთარი კაპიტალი, რადგან ის არ წარმოადგენს ვალს, არამედ კომპანიების საკუთარი ფონდების ნაწილია. ცხადია, არაფინანსური კორპორაციებისა და ფინანსური ინსტიტუტების შემთხვევაში წმინდა სიმდიდრე მოიცავს აქციებს, რადგან შეთანხმების მიხედვით, აქციები ვალდებულებების სვეტში ჩაიწერება და არ ნიშნავს, რომ არაფინანსური კორპორაციები და ფინანსური ინსტიტუტები ვინმესგან სესხულობენ მათ. სხვა სიტყვებით, აქციები არ წარმოადგენს კომპანიების ვალს, რამდენადაც თავიანთი ბუნების შესაბამისად, აქციების მფლობელებს (შინამეურნეობები, არაფინანსური და ფინანსური ინსტიტუციები) არ შეუძლიათ მოსთხოვონ მათ აქციების გამოსყიდვა იქამდე, სანამ ისინი საქმიანობას აგრძელებენ. რამდენადაც შინამეურნეობებს თავიანთი ანგარიშების ვალდებულების მხარეს არ აქვთ აქციები, მათ შემთხვევაში წმინდა სიმდიდრე ტოლია აქტივებს მინუს ჯამური ვალდებულებები.

ზოგჯერ გვხვდება *ფინანსური წმინდა სიმდიდრის* კატეგორიაც. ეს ასევე წმინდა სიმდიდრის ციფრია, მაგრამ მოიცავს მხოლოდ ფინანსურ აქტივებს და ვალდებულებებს და არ ითვალისწინებს არაფინანსურ აქტივებს. ეს გარკვეულწილად ვიწრო კონცეფციაა, რამდენადაც არაფინანსური აქტივები ისეთივე მნიშვნელოვანია აგენტის საქმიანობისთვის, როგორც ფინანსური აქტივები.

აქტივებისა და პასივების ანგარიშების ცხრილებიდან შესაძლებელია იმის გაგება, თუ როგორ მოხდა წმინდა სიმდიდრის ფორმირება, სხვა სიტყვებით, როგორ მოხდა წინა წლის ბოლოს არსებული მარაგებიდან მიმდინარე წლის ბოლოს წმინდა სიმდიდრის მიღება. მარაგების ცვლილება შეიძლება რამდენიმე ფაქტორმა გამოიწვიოს:

- ძირითადი კაპიტალის მოხმარება: ის ზომავს არაფინანსური აქტივების ფიზიკურ და მორალურ ცვეთას.
- ფაქტობრივი ცვლილებები ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებში: არაფინანსური აქტივების შემთხვევაში ეს მიიღწევა ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირების შედეგად, ხოლო ფინანსური აქტივების შემთხვევაში იმ ფინანსური ტრანსაქციებით, რომლებიც ზემოთ აღვწერეთ.

- გადაფასება: ეს არის ჰოლდინგური მოგებისა და ზარალის გათვალისწინება ფინანსური და არაფინანსური აქტივების შეფასებაში.
- ფიზიკური მოცულობის სხვა ცვლილებები: ეს არის განსაკუთრებული ტრანსაქციები, რომლებიც ზოგადად არაეკონომიკური ხასიათისაა და შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ინსტიტუციური სექტორებისა და დანარჩენი მსოფლიოს სიმდიდრეზე. მაგალითად, შენობების ნგრევა ბუნებრივი კატასტროფების ან ომების გამო, რაც უარყოფითი ნიშნით ჩაიწერება; ნავთობის ახალი საბადოს აღმოჩენა, რომელიც დადებითად აისახება სიმდიდრეზე. ფინანსური აქტივების შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს დავალიანების ჩამოწერა მსესხებლის გადახდისუნარობის გამო. ამავე მუხლში ჩაიწერება აგრეთვე სექტორული კლასიფიკაციის ცვლილებების ეფექტები.

ამ ცვლილებების გათვალისწინება მოხდა ცხრილში, რომელიც წარმოდგენილი იქნება შემდეგი ქვეთავის ბოლოს.

7. ინსტიტუციური სექტორის ანგარიშების სრული ნაკრები

ახლა უკვე მზად ვართ იმისთვის, რომ მოვახდინოთ ინსტიტუციური სექტორის (მაგალითად, ფინანსური და არაფინანსური) სრული ანგარიშების ვიზუალიზაცია წარმოების ანგარიშიდან აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსის ჩათვლით გამარტივებული დიაგრამის სახით, რომელიც მოიცავს ყველა ფინანსურ და არაფინანსურ ტრანსაქციას.

გაითვალისწინეთ, რომ პირველი ცხრილის პირველ ბლოკში, რომელსაც “T” ფორმა აქვს და მოიცავს არაფინანსურ ანგარიშებს (წარმოების ანგარიშიდან კაპიტალის ანგარიშის ჩათვლით), გამოყენება მარცხენა სვეტშია და რესურსები მარჯვენაში; ცხრილის მეორე ბლოკში, რომელიც ფინანსურ ანგარიშებს მოიცავს, „ფინანსური აქტივების წმინდა შესყიდვა“ (ან „ცვლილებები ფინანსურ აქტივებში“) მაცხნივ არის მოცემული, ხოლო „ვალდებულებების წმინდა წარმოქმნა“ (ან „ცვლილებები ვალდებულებებში“) - მარჯვნივ.

მეორე ცხრილში ნაჩვენებია კავშირი წინა პერიოდის მარაგებსა (სვეტი 1) და მიმდინარე პერიოდის ბოლოს არსებულ მარაგებს (სვეტი 7) შორის. მე-2-7 სვეტებში ნაჩვენებია ნაკადების ცვლილებები მიმდინარე პერიოდში; ეს არის კაპიტალური ნაკადები (სვეტი 2 და 3), ფინანსური ნაკადები (სვეტი 4) და შეთანხმების ანგარიშებიდან მიღებული ცვლილებები მარაგებში (სვეტი 5 და 6) რომლებიც არ მიიღება ტრანსაქციებიდან. “X”-ით აღნიშნულია ის უჯრები, რომლებიც შეიძლება შეიცავდეს მონაცემებს.

ინსტიტუციური სექტორის ანგარიშები

	გამოყენება	რესურსები
1. არაფინანსური ანგარიშები		
წარმოების ანგარიში	P2. შუალედური მოხმარება B1. დამატებული ღირებულება, მთლიანი	P1. გამოშვება
შემოსავლების ფორმირების ანგარიში	D1. შრომის ანაზღაურება D1. სხვა გადასახადები წარმოებაზე (მინუს სუბსიდიები) K1. ძირითადი კაპიტალის მოხმარება B2N საოპერაციო მოგება, წმინდა	B1. დამატებული ღირებულება, მთლიანი
შემოსავლების განაწილების ანგარიში	D4. ქონებიდან მიღებული შემოსავალი D5. მიმდინარე გადასახადები შემოსავალსა და სიმდიდრეზე D6. სოციალური შეღავათები (დამსაქმებლის მიერ გადახდილი) D7. მიმდინარე ტრანსფერები B8N დანაზოგი, წმინდა	B2N საოპერაციო მოგება D6. სოციალური შენატანები (დამსაქმებლის მიერ მიღებული) D7. მიმდინარე ტრანსფერები
კაპიტალის ანგარიში	P5. ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება K1. ძირითადი კაპიტალის მოხმარება (მინუს ნიშნით) B9A წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება	B8N დანაზოგი, წმინდა D9. კაპიტალური ტრანსფერები
	ფინანსური აქტივების წმინდა შესყიდვა (ცვლილებები ფინანსურ აქტივებში)	ფინანსური ვალდებულებების წმინდა აღება (ცვლილებები ვალდებულებებში)
2. ფინანსური ანგარიშები		
	F2. ნაღდი ფული და დეპოზიტები F3. სავალო ფასიანი ქაღალდები F4. სესხები F5. სააქციო კაპიტალი და საინვესტიციო ფონდების აქციები F6. დაზღვევის, საპენსიო უზრუნველყოფისა და სტანდარტიზებული	F1. მონეტარული ოქრო და ნსუ ^ა F2. ნაღდი ფული და დეპოზიტები F3. სავალო ფასიანი ქაღალდები F4. სესხები F5. სააქციო კაპიტალი და საინვესტიციო ფონდების აქციები F6. დაზღვევის, საპენსიო უზრუნველყოფისა და სტანდარტიზებული

	გარანტიების პროგრამები	გარანტიების პროგრამები
	F7. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები და მომუშავეების მიერ აქციების შეძენის ოპციონები	F7. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები და მომუშავეების მიერ აქციების შეძენის ოპციონები
	F8. სხვა დებიტორული/კრედიტორული დავალიანება	F8. სხვა დებიტორული/კრედიტორული დავალიანება
		B9.B წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება

a) მონეტარული ოქრო და ნსუ გამოჩნდება მხოლოდ ეროვნული ბანკისა და მსგავსი ინსტიტუციების აქტივებში, საკომპენსაციო ჩანაწერი გამოჩნდება დანარჩენი მსოფლიოს ანგარიშში მინუს ნიშნით.

კავშირი აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშებს შორის პერიოდის დასაწყისსა

და ბოლოს

	წინა წლის მარაგები 12/31	მინუს ძირითადი კაპიტალის მოხმარება	პლუს ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	პლუს ფინანსური ტრანსაქციები	პლუს გადაფასება	პლუს მოცულობის სხვა ცვლილებები	= მარაგები მიმდინარე წლის 12/31
	1	2	3	4	5	6	7 = 1 -2 +3 +4 + 5 +6
ფინანსური აქტივები	X			X	X	X	X
არაფინანსური აქტივები	X	X	X		X	X	X
ვალდებულებები აქციების სახით	X			X	X	X	X
ვალდებულებები (აქციების გარეშე)	X			X	X	X	X
წმინდა სიმდიდრე (აქციების ჩათვლით)	X						X

ბიბლიოგრაფია

Banco de España (2014), Cuentas Financieras de la Economía Española, <http://www.bde.es/webbde/en/estadis/ccff/cfcap2.html>.

Bureau of Economic Analysis (2013), National Income and Product Accounts Tables, <http://www.bea.gov/iTable/iTable.cfm?ReqID=9&step=1#reqid=9&step=3&isuri=1&904=2012&903=58&906=a&905=1990&910=x&911=0>.

OECD (2013), “OECD Economic Outlook No. 93”, OECD Economic Outlook: Statistics and Projections (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00655-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00655-en).

OECD (2013a), “Detailed National Accounts: Non-financial accounts by sectors, annual”, OECD National Accounts Statistics (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00034-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00034-en).

OECD (2013b), “Financial Accounts: Non-consolidated flows, annual”, OECD National Accounts Statistics (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00023-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00023-en).

OECD (2001), “Measurement of Capital Stocks, Consumption of Fixed Capital and Capital Services”, OECD, Paris, 2001.

SNA 2008, European Commission, International Monetary Fund, Organisation for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank, New York, 2009, System of National Accounts 2008, <http://unstats.un.org/unsd/nationalaccount/docs/SNA2008.pdf>.

საკვანძო მომენტები

- ზოგადად, ეროვნულ ანგარიშებში აგენტის მიერ განხორციელებული ტრანსაქცია ორჯერ ჩაიწერება: ერთხელ არაფინანსურ ანგარიშში და მეორედ ფინანსურ ანგარიშში. თუმცა, როდესაც ტრანსაქცია წმინდად ფინანსურია, მაშინ ის ორჯერ ჩაიწერება ფინანსურ ანგარიშებში და მას არ ექნება გავლენა წმინდა დაკრედიტება/სესხებაზე.
- იმის გამო, რომ ტრანსაქციაში ორი აგენტი მონაწილეობს, ის ოთხჯერ ჩაიწერება, ე.ი. ორჯერ თითოეული აგენტისთვის.
- სრულ ფინანსურ ანგარიშებში ჯერ უნდა გავყვეთ ნაკადების კვალს და შემდეგ აგენტის ფინანსური აქტივებისა და პასივების მარაგებს და შეთანხმების ანგარიშებს. ფინანსური ნაკადების დამაბალანსებელი მუხლია B9B „წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება“; ფინანსური მარაგების დამაბალანსებელია წმინდა სიმდიდრე (ანუ ფინანსური სიმდიდრე).
- თუ აგენტი წმინდა დაკრედიტების პოზიციაშია (გადაფასებისა და აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობის ცვლილების გათვალისწინების გარეშე), ეს ნიშნავს, რომ მისი ფინანსური წმინდა სიმდიდრე პერიოდის განმავლობაში გაიზარდა. საპირისპიროდ, თუ აგენტი მსესხებლის პოზიციაშია (გადაფასებისა და აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობის ცვლილების გათვალისწინების გარეშე), მისი ფინანსური წმინდა სიმდიდრე პერიოდის განმავლობაში შემცირდა.
- თეორიულად, B9B მუხლი არაფინანსური ანგარიშების დამაბალანსებელი B9A მუხლის ტოლია. პრაქტიკულად, მათ შორის არსებობს განსხვავება, რასაც სტატისტიკური განსხვავება ეწოდება.
- თეორემა: ჩაკეტილ ეკონომიკაში სხვადასხვა აგენტის B9 მუხლების ჯამი ნულის ტოლია.
- აქტივ-პასივების ბალანსი გვამღევს ინსტიტუციური სექტორების წმინდა სიმდიდრის შეფასებას მოცემული თარიღისთვის.
- ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მარაგები საბაზრო ფასებით ფასდება (იმ დღის მდგომარეობით, როდესაც ანგარიში დგება, ჩვეულებრივ, 31/12/A). ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ტრანსაქციების შეფასება ხდება ტრანსაქციის დროს მოქმედი ფასებით.

- განსხვავება პერიოდის დასაწყისსა და ბოლოს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მარაგებს შორის წარმოიშვება ტრანსაქციების, გადაფასებებისა და აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობის სხვა ცვლილებების გამო.
- ინსტიტუციური სექტორის წმინდა სიმდიდრე ტოლია ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებს მინუს ვალდებულებები (არაფინანსური კორპორაციებისა და ფინანსური ინსტიტუციების შემთხვევაში გამოირიცხება აქციები და სხვა კაპიტალი). ეს არის ინსტიტუციური სექტორების წმინდა სიმდიდრის ყველაზე ფართო საზომი მოცემული თარიღისთვის.

ჩაულრმავდით

ჰოლდინგური მოგება ან ზარალი და საბაზრო ფასები ეროვნულ ანგარიშებში

შინამეურნეობებისა და კორპორაციების აქტივების ფასები დროში იცვლება. აქციების ფასები ისევე იცვლება ბირჟაზე, როგორც შენობებისა და საცხოვრისების ფასები მოთხოვნა-მიწოდების კანონისა და ეკონომიკური სიტუაციის შესაბამისად. როდესაც ეკონომიკური აგენტის მფლობელობაში არსებული აქციების ფასი ზემოთ იწევს, მაშინ ის იღებს ჰოლდინგურ მოგებას; როდესაც ფასები ვარდება, მაშინ ის ზარალობს. ერთმანეთისგან ასხვავებენ „არარეალიზებულ“ და „რეალიზებულ“ მოგებას და ზარალს. ტიპიურ „არარეალიზებულ“ მოგებას ან ზარალს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც აქციის ფასი იცვლება, მაგრამ აგენტს ჯერ არ გაუყიდა აქცია. საპირისპიროდ, რეალიზებული მოგება (ან ზარალი) მაშინ დგება, როდესაც აგენტმა გაყიდა აქციები. შედეგად, აგენტი იღებს რეალიზებულ მოგებას (რომელიც უმეტეს შემთხვევებში იხეგრება). მიუხედავად ამისა, ეროვნული მონგარიშების სამიზნე არარეალიზებული ჰოლდინგური შემოსავლებია და არა - რეალიზებული; ნაწილობრივ, იმის გამო ხდება, რომ ეკონომიკური აგენტები თავს უფრო მდიდრად გრძნობენ, როდესაც ფასები იწევს, იმის მიუხედავად, ყიდიან თუ არა აქციებს. ყველა შემთხვევაში, რეალიზებული ჰოლდინგური მოგება ძნელი გასაზომია.

ეროვნულ ანგარიშებში აქტივებისა და პასივების შეფასება ზოგადად 31 დეკემბრის მდგომარეობით ხდება. ეს წესი მოქმედებს როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში. ამიტომ, საწყის მნიშვნელობასა (1 იანვარი) და საბოლოო მნიშვნელობას (31 დეკემბერი) შორის სხვაობა ჰოლდინგურ მოგებას და ზარალსაც მოიცავს. აღნიშნული ჩაიწერება ეროვნულ ანგარიშებში და ეკონომისტები ამ მონაცემებს იყენებენ „სიმდიდრის ეფექტის“ გამოსათვლელად. მიუხედავად ამისა, ეს ცვლილებები არ ჩაიწერება შემოსავლის ანგარიშებში, არამედ ცალკე „გადაფასების ანგარიშში“, რომელიც შემოსავლების ანგარიშის მომდევნო ანგარიშია. შედეგად, ჰოლდინგური მოგება და ზარალი, იქნება ეს არარეალიზებული თუ რეალიზებული, არ ახდენს გავლენას აგენტის შემოსავლის გაზომვაზე, კომპანიის ბუღალტერიაში გავრცელებული პრაქტიკისგან განსხვავებით. ეროვნულ ანგარიშებში აგენტის შემოსავლები მთლიანად გამოშვებიდან და მისი გადანაწილებიდან გამომდინარეობს და არა ჰოლდინგური მოგებიდან ან ზარალიდან. ამ შეთანხმებას თავისი უპირატესობა აქვს, რადგან თავიდან გვაცილებს შემოსავლის გაზომვისას ისეთი ელემენტის გათვალისწინებას, რომელიც

მოუხელთებელია და შეიძლება მხოლოდ პოტენციური იყოს. მას აქვს ნაკლოვანებაც, რამდენადაც აგენტები ცვლიან თავიანთ ქცევას ჰოლდინგური მოგების ან ზარალის შესაბამისად. ფაქტობრივად, თუ აგენტი აღნიშნულს ამჩნევს, მაშინ რეალურად განსხვავება აღარ არის რეალიზებულ ჰოლდინგურ მოგებასა და შრომიდან მიღებულ შემოსავალს შორის, იმ ფაქტისგან დამოუკიდებლად, რომ რეალიზებული კაპიტალური მოგება პროგნოზულზე მცირეა (ამასთან, შეიძლება ზოგიერთი სამეწარმეო შემოსავლის ან ანაზღაურების წინასწარმეტყველებაც არ იყოს ადვილი). გარდა ამისა, ეროვნულ ანგარიშებში გარკვეული წინააღმდეგობაც იქმნება იმით, რომ რეალიზებული მოგება კაპიტალიდან იბეგრება და აკლდება განკარგვად შემოსავალს, ხოლო მოგება კაპიტალიდან, რომელზეც ეს გადასახადია დაფუძნებული, არ წარმოადგენს განკარგვადი შემოსავლის ნაწილს.

ეროვნულ ანგარიშებში ასევე სადისკუსიოა აქტივებისა და პასივების შეფასება საბაზრო ფასებით. ფაქტობრივად, ეს „სიმდიდრე“ შეიძლება მხოლოდ პოტენციური იყოს. მაგალითად, უბრალო მოსაზრებამ იმის შესახებ, რომ ვინმეს აქციების დიდი პორტფელი აქვს ფირმაში, რომელიც შეუძლია განკარგოს, შეიძლება გამოიწვიოს ფასების ვარდნა აქციებზე და შეამციროს აქციების მფლობელის პოტენციალი - მიიღოს ჰოლდინგური მოგება. ასევე მსხვილი ინვესტორის მიერ ქონების გაყიდვის შემთხვევაშიც (სადაზღვევო კომპანია ან ბანკი). ამ შემთხვევაში კომპანიების ბუღალტრები უფრო მეტ სიფრთხილეს იჩენენ ეროვნულ მონგარიშებთან შედარებით და შესყიდვის ფასებს იყენებენ (ზოგიერთი კოტირებული აქციების გამოკლებით, რომელთათვისაც პოტენციური ჰოლდინგური მოგება პრაქტიკულად გარანტირებული რეალური მოგებაა). ეს სიფრთხილე სიძნელეებს ქმნის კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების ზუსტ ინტერპრეტაციაში. სხვადასხვა თარიღით შეფასებული აქტივებისა და პასივების ღირებულების ჯამი ეკონომიკურ რეალობას სწორად ვერ ასახავს. ეროვნულ ანგარიშებსა და კომპანიების ბუღალტერიას შორის არსებული განსხვავებები ხელს უშლის აქტივებისა და პასივების ბალანსის მონაცემების გამოყენებას ეროვნულ ანგარიშებში. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, რომ ამ მონაცემების უკეთესი თანხვედრა მოხდეს, თუ კომპანიების მიერ გამოყენებული იქნება „სამართლიანი ღირებულების“ პრინციპი. ეს პრინციპი ეროვნულ ანგარიშებში გამოყენებული შეფასების ეკვივალენტურია. ის რეკომენდებულია აქტივებისა და პასივების შესაფასებლად საბუღალტრო აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს აწესებს კომპანიებისთვის.

ფინანსური აქტივების შეფასების ბოლო დეტალია გადასახადების, მოსაკრებლებისა და ხარჯების გამორიცხვა ფასებიდან, არაფინანსური აქტივების ფასებისგან

განსხვავებით. ორივე შემთხვევაში, მოსაკრებლები და ხარჯები მომსახურების გადასახადს შეესაბამება. ფინანსური აქტივების შემთხვევაში მომსახურება არაპირადაპირ მოიხმარება; არაფინანსური აქტივების შემთხვევაში ის მოიხმარება კაპიტალური საქონლის სახით, ამდენად, ის შეიტანება ფასში.

ჩანაწერების უფრო სრული მაგალითი ფინანსურ ანგარიშებში

ეს მაგალითი შეიძლება გამოვიყენოთ დამატებითი ინფორმაციის წადგენისთვის, რომელიც გამომდინარეობს „აქტივების/პასივების ცვლილებებიდან“ და შევადაროთ ის „გამოყენება/რესურსების“ მარტივ პრეზენტაციას. დავუშვათ, რომ აგენტი (მაგალითად, ბანკი) მოცემულ პერიოდში სესხულობს 100-ს, იხდის 20-ს წინა სესხზე, ასესხებს 50-ს და წინათ გაცემულ სესხზე იღებს 10-ს.

გამარტვებული გამოყენება/რესურსების მიხედვით ასეთი ჩანაწერი გვექნება:

რესურსები: $110 = (100 + 10)$

გამოყენება: $70 = (20 + 50)$

ბანკი 100-ს იღებს სესხით და 10-ს მისთვის სესხის გადახდით, რაც შედეგად გვაძლევს 110-ს. ის იხდის 20-ს სესხზე და ასესხებს 50-ს, რაც გამოყენების ჯამში გვაძლევს 70-ს.

მაგრამ ეროვნულ ანგარიშებში ასეთი ჩანაწერი გვექნება:

ცვლილებები აქტივებში: $40 = (50 - 10)$

ცვლილებები პასივებში: $80 = (100 - 20)$

როგორ უნდა მოვახდინოთ ამ ციფრების ინტერპრეტაცია ეროვნულ ანგარიშებში? აქტივებისა და პასივების საშუალებით ბანკის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად საკვანძო მომენტია ის, რომ აგენტმა გაზარდა თავისი აქტივები 50-ის გასესხებით და შეამცირა ისინი 10-ის მიღებით წინათ აღებულ სესხზე. ამასთან, მან გაზარდა თავისი ვალდებულებები 100-ით (სესხის თანხა) და შეამცირა ისინი 20-ით, რადგან წინა ვალის თანხა გადაიხადა ნაწილობრივ.

ეროვნულ ანგარიშებში მხოლოდ ციფრების საშუალებით არის შესაძლებელი რეალური ინფორმაციის მიღება აქტივებისა და პასივების შესახებ, სხვა სიტყვებით აგენტის წმინდა სიმდიდრეზე, რომელიც აქ 40-ით შემცირდა, რამდენადაც ვალდებულებების ცვლილება (80), 40-ით მეტია აქტივების ცვლილებაზე (40). ეს ეწინააღმდეგება გამოყენება/რესურსების გამარტივებულ ანალიზს, რომელიც უბრალოდ აგენტის ნაღდი ვალუტის მდგომარეობას აღწერს.

ფინანსური ანგარიშები და ფულის მიწოდება: ევროზონის მაგალითი

“ფულის მიწოდების” განსაზღვრის დროს გვჭირდება ფულის აგრეგატების მეტად ან ნაკლებად გაფართოებული განსაზღვრებები, რომელიც ცნობილია, როგორც M1, M2 ან M3. ეს “M” აგრეგატები ფულის პროგრესულად გაფართოებულ განსაზღვრას ეფუძნება. ამ ეტაპზე ევროზონაში მნიშვნელოვანია არა ცალკეული ქვეყნის, არამედ მთელი ზონისთვის ფულის მიწოდება (ზოგიერთი ქვეყნის ცენტრალური ბანკი აგრძელებს ფულის მიწოდების ციფრების გამოქვეყნებას, მაგრამ აღნიშნული მხოლოდ ამ ქვეყნების წვლილს გვიჩვენებს ზონისათვის ფულის მიწოდებაში, თუმცა ქვეყნის ტრენდები არ გაითვალისწინება მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებებში. ევროპის ცენტრალური ბანკი (ECB) “M” აგრეგატებს ზუსტად მიყვება და ძირითადად “M3”-ს იყენებს საზომად, თუმცა, 2003 წლიდან ეს უფრო ნაკლებადმნიშვნელოვანი საკითხია ინფლაციის ინდიკატორთან შედარებით. მიუხედავად ამისა, M3 ძალიან სწრაფად იზრდება და ECB-ს შეუძლია გარკვეული გადაწყვეტილებების მიღება მის საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებით). ფინანსურ ანგარიშებსა და ფულის მიწოდების აგრეგატებს შორის ცხადი ურთიერთკავშირია. თუ ზემოთ, ტექსტში განხილული ფინანსური ანგარიშებიდან ამოვიღებთ გამარტივებულ სქემას „ფინანსური ინსტიტუციებისთვის“, მივიღებთ:

აქტივებისა და პასივების გამარტივებული ბალანსი ფინანსური ინსტიტუციებისთვის (FI)

	აქტივები	პასივები
	ფინანსური ინსტიტუციები (FI)	ფინანსური ინსტიტუციები (FI)
დეპოზიტები		W
სესხები	X	
ბანკთაშორისი დაფინანსება	Y	Y
ფასიანი ქაღალდები	ZI	Z3

იმის გათვალისწინებით, რომ ბანკთაშორისი დაფინანსება აქტივებისა და პასივების მხარეს დაახლოებით ერთნაირია, შეგვიძლია ეს სტრიქონი გავაუქმოთ. შემდეგ, დაშვებულია, რომ ფასიანი ქაღალდები ვალდებულებების მხარეს მხოლოდ შეთანხმების მიხედვით აისახება, ამიტომ უპირატესობა მივანიჭოთ მათ ასახვას აქტივების მხარეს უარყოფითი ნიშნით „სტაბილური რესურსების“ სახელწოდებით. გვექნება ასეთი ცხრილი:

ფულის მიწოდება და მისი მოპირდაპირე მხარეები

	აქტივები	პასივები
	ფინანსური ინსტიტუციები (FI)	ფინანსური ინსტიტუციები (FI)

დეპოზიტები		W
სესხები	X	
ფასიანი ქაღალდები	Y	
სტაბილური რესურსები	-Z3	

მაშინ ფულის მიწოდება ფინანსური ინსტიტუციების დეპოზიტების ჯამის W ტოლია ვალდებულებების მხარეს. მის მოპირდაპირედ აქტივებში სამი მუხლია: სესხებს პლუს ფასიანი ქაღალდები მინუს სტაბილური რესურსები. ფულის მიწოდების ზუსტი განსაზღვრა დეპოზიტების განსაზღვრის სიფართოვეზეა დამოკიდებული. ქვემოთ მოტანილია კლებადი ლიკვიდურობით M1, M2 და M3-ის განსაზღვრებები W-ში შეტანილი მუხლების მიხედვით:

$M1 =$ მიმოქცევაში არსებული ფული (F21) + უვადო დეპოზიტები (F22)

$M2 =$ M1 + სამ თვემდე დასაფარი დეპოზიტები (F29-ში კლასიფიცირებული პროდუქტების ჩათვლით) + ვადიანი დეპოზიტები ორ წლამდე დაფარვით.

$M3 =$ M2 + შესყიდვის ხელშეკრულებები + შენატანები ურთიერთდახმარების სავალუტო ფონდებში + ფასიანი ქაღალდები აქციების გარდა და მონაწილეობის უფლებები ორ წლამდე ვადით ევროზონის სავალუტო ფინანსური ინსტიტუციების გამოშვებებში.

M2 და M3-ის გარკვეული მუხლების განსაზღვრებები არ ემთხვევა ფინანსური ანგარიშების კატეგორიებს (სახელდობრ, მინიშნებაზე - ორ წლამდე ვადით). ამიტომ, თუ ექსპერტი არ ხარ ამ საქმეში, ადვილი არ არის მონეტარული აგრეგატებისა და ფინანსური ანგარიშების შეთანხმება.

მონაცემთა წყაროები: ფინანსური ანგარიშების სტატისტიკური წყაროები

ამ ნაწილში გავაშუქებთ კანადის ფინანსური ანგარიშების წყაროებს. კანადის ფინანსური ანგარიშების სტატისტიკური წყაროებია: ბანკების აქტივ-პასივების ბალანსები, ფინანსური და არაფინანსური კოპრორაციების სტატისტიკური კვლევები და ასევე ადმინისტრაციული და სამთავრობო სააგენტოების მონაცემები. არარეზიდენტების შესახებ მონაცემების მიღება ხდება საგადაამხდელო ბალანსიდან და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციიდან. ფინანსური ანგარიშების დანიშნულებაა თავი მოუყაროს ამ ინფორმაციას და წარმოადგინოს შესაბამისი, სწორი და საიმედო ინფორმაცია ტრანსაქციებისა და მარაგების ანალიზის მიზნით. ინფორმაცია „ჩარტერული“ ბანკების (კომერციული ბანკი, შექმნილი ბანკების შესახებ კანონის საფუძველზე) შესახებ ფინანსური ანგარიშების განუყოფელი ნაწილია. კომერციული ბანკების შესახებ ინფორმაცია სამმხრივი შეთანხმების (ცენტრალური ბანკი, ფინანსური ინსტიტუციების მარეგულირებელი და კანადის სტატისტიკის

სამსახური) საფუძველზე იქმნება, რომლის მიხედვით კანადაში დარეგისტრირებული ბანკები კანადის სტატისტიკის სამსახურს კვარტალურად აწვდის ინფორმაციას შემოსავლებზე, აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ და ასევე დამატებით ინფორმაციას. დამატებითი ინფორმაცია მოიცავს მნიშვნელოვან მონაცემებს დეპოზიტების მიღებისა და სესხების გაცემის შესახებ ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებისთვის. მაგალითად, შინამეურნეობების სესხების შეფასებისთვის ძირითადად გამოყენებულია ბანკების სასესხო აქტივების დეტალები. მიმდინარე სამუშაოებში შედის ბანკების პერიოდული ანგარიშების განხილვა. ბანკების გარდა სხვა ფინანსური ინსტიტუტების კვარტალური კვლევებიც მიმდინარეობს საწარმოთა კვარტალური კვლევების ფარგლებში: ბანკებთან დაკავშირებული საქმიანობები, სიცოცხლის დაზღვევის ბიზნესი (სეგმენტების მიხედვით), საინვესტიციო ფონდები, აქტივების ფინანსური ინსტრუმენტების ფონდი, ჰოლდინგური კომპანიები, სასესხო კომპანიები, სავაჭრო-საფინანსო კომპანიები, სამომხმარებლო სასესხო კომპანიები და სხვა ფინანსური ერთეულები მონაწილეობენ ასეთ კვლევებში.

კვლევის კითხვარი საკმაოდ დეტალიზებულია აქტივების ჩაშლისთვის, რათა საიმედო ინფორმაცია იყოს მოპოვებული საპირისპირო ჩანაწერების შესაფასებლად, მაგალითად, საინვესტიციო ფონდების კვლევები საშუალებას იძლევა შინამეურნეობების ურთიერთფონდების აქტივების შეფასებისთვის. არაფინანსური კორპორაციების შეფასებები მიიღება საწარმოთა კვარტალური კვლევებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსურ ანგარიშებში მხოლოდ არაფინანსური კომპანიების ჯამური მაჩვენებლები ქვეყნდება, მათი შესწავლა საკმარისად დეტალიზებულია. საპენსიო ფონდების კვარტალური კვლევები სოციალური სტატისტიკის პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილია და ისინი ინსტიტუციური ინვესტორის აქტივების საკმაო წილს შეადგენს. წმინდა საპენსიო აქტივები დამსაქმებლის მიერ დაფინანსებული საპენსიო გეგმების მნიშვნელოვანი აქტივებია შინამეურნეობების ანგარიშებში. სამთავრობო სექტორის მონაცემები (ფედერალური, პროვინციები და ადგილობრივი) ივსება სახელმწიფო ანგარიშების აუდიტის შედეგებიდან და ადმინისტრაციული მონაცემებიდან. სახელმწიფო საწარმოების შესახებ მონაცემები კვარტალური კვლევებიდან მიიღება. ფასიან ქალაქებთან (აქციები, კორპორატიული და სამთავრობო ობლიგაციები) დაკავშირებული მონაცემები მიიღება მონაცემთა ბაზიდან, რომელიც ავსებს კვლევებიდან მიღებულ ინფორმაციას.

ფინანსური ტრანსაქციების აქტივების შესახებ ინფორმაცია ძირითადად კორექტირებული (მოგება კაპიტალზე, უცხოური ვალუტის კორექტირებები და სხვ.)

აქტივ-პასივების ბალანსებიდან მიიღება. კორექტირება ხდება სპეციალური კვლევებიდან და აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასებიდან ინსტრუმენტების მიხედვით. აქტივების ტრანსაქციებთან ერთად, საგადამხდელო ბალანსში გამოიყენება მონაცემთა ბაზა დეპოზიტართა მხრიდან ფასიანი ქაღალდების შესყიდვების შესახებ.

შინამეურნეობების სექტორის ანგარიშები არაპირდაპირი მეთოდებით აიგება. შეფასებები ძირითადად ეყრდნობა ფინანსური ინსტიტუციებიდან მიღებული აქტივების ფლობის საპირისპირო მონაცემებს (დეპოზიტები, საპენსიო ფონდების რეზერვები, საინვესტიციო ფონდების ფასიანი ქაღალდები, დაზღვევის ტექნიკური რეზერვები და ობლიგაციები) და ვალდებულებებს. თუმცა, შერჩეული აქტივების გაანგარიშებისას ნარჩენობითი ანალიზი გამოიყენება. კერძოდ, ადვილად რეალიზებადი ფასიანი ქაღალდებისთვის. რადგან მათი ხვედრითი წილი მცირეა შინამეურნეობების სექტორში, ასეთი ჰოლდინგების მონაცემები, რამდენადაც მათი მონაცემები სხვაობის საფუძველზე მიიღება, სისტემაში არსებული ინფორმაციის ხარისხზეა დამოკიდებული. ადვილად არარეალიზებადი ფასიანი ქაღალდების შესახებ ინფორმაცია ასევე ნარჩენობითია. კანადაში ახლა იწყება შინამეურნეობების პირდაპირი კვლევები ფინანსური ანგარიშებისთვის.

კანადაში, როგორც ბევრ ქვეყანაში, ფინანსური ანგარიშები საბანკო სტატისტიკის ბაზაზე აიგება, ხოლო არაფინანსური ანგარიშები - არაფინანსური კორპორაციების სტატისტიკის გამოყენებით. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ B9 მუხლის B9A და B9B ქვემუხლები პრაქტიკულად არ არის თანხვედრაში და შემოტანილია სტატისტიკური განსხვავების სტრიქონი. ბევრ ევროპულ ქვეყანაში ამ წესიდან გადახვევა არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ საბანკო და ადმინისტრაციული წყაროები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს სახელმწიფო მართვის ორგანოების ანგარიშებთან, რადგან აქ სტატისტიკური განსხვავება მცირეა. და ბოლოს, ზოგიერთ ქვეყანაში ფინანსური ანგარიშებისთვის საჭირო მონაცემები მხოლოდ მარაგების შესახებ არის შესაძლებელი. ამ შემთხვევაში, ნაკადების მონაცემებიც სხვაობით მიიღება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ხდება აქტივების/პასივების ცვლილების იმპუტაცია (იხ. სავარჯიშო 6).

აქტივების შეფასება და მისი ურთიერთკავშირი ეკონომიკურ თეორიასთან

ეროვნულ ანგარიშებში ეკონომიკური აქტივი ეს არის მატერიალური და არამატერიალური საქონელი, რომელზეც ვრცელდება საკუთრების უფლება და რომლის ფლობით და განკარგვით მფლობელი იღებს სარგებელს.

ეკონომიკურ თეორიაში ასეთი აქტივის ღირებულება მომავალში მისაღები შემოსავლის „დღევანდელი ღირებულების“ ტოლია. დავუშვათ, რომ ყოველწლიურად აქტივიდან მიღებული შემოსავალი S_t -ს ტოლია (t -თი აღნიშნულია წელი) T წლამდე. შემდეგ, თუ გვაქვს სრულყოფილი ინფორმაცია და სრულყოფილი კონკურენცია, აქტივის საბაზრო ფასი იქნება $\sum S_t \div (1 + r_f)^t$, რომელიც ჯამდება 1-დან T წლამდე, r_f დისკონტის (ფასდაკლების) განაკვეთია, სხვა სიტყვებით, აგენტის მიერ მინიჭებული უპირატესობა (საპროცენტო განაკვეთი, რომელიც რისკის პრემიას არ შეიცავს). ეს მეთოდი შეიძლება გამოგვეყენებინა ეროვნულ ანგარიშებში აქტივების შესაფასებლად, თუმცა პრაქტიკულად რთულია და ამიტომ სხვა მეთოდებს მიმართავენ. მიუხედავად ამისა, ახლანდელი ღირებულების გამოთვლა გვეხმარება ცალკეული ჩანაწერის გაგებაში ეროვნულ ანგარიშებში.

განვიხილოთ ობლიგაციის მაგალითი, რომელიც შესყიდულია 1 000-ად და ყოველწლიურად მოაქვს 10% ან 100, ხუთი წლის განმავლობაში. მისი ღირებულება თითოეული წლიური ნაკადის ახლანდელი ღირებულებების ჯამის ტოლია, სხვა სიტყვებით, წლიური ნაკადის ფარდობისა დისკონტის განაკვეთზე, რომელიც აყვანილია დროის პერიოდების რაოდენობის ხარისხში. შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ეს ღირებულება 1 000-ის ტოლია, რაც ობლიგაციის შესასყიდი ფასია.

პერიოდი t	წლიური ნაკადი	დისკონტის ან საპროცენტო განაკვეთი $[(1 + 10\%)^t]$	ახლანდელი ღირებულება (სვეტი (2) გაყოფილი სვეტზე (3))
(1)	(2)	(3)	(4)
1	100	1.1	90.90909
2	100	1.21	82.64463
3	100	1.331	75.13148
4	100	1.4641	68.30135
5	1 100	1.61051	683.0135
ახლანდელი ღირებულებების ჯამი			1 000

ახლა დავუშვათ, რომ კაპიტალის ბაზრებზე საპროცენტო განაკვეთი დაეცა. მაგალითად, დავუშვათ, რომ მე-3 პერიოდის ბოლოს ის 5%-მდე დავარდა. ობლიგაციის ღირებულება ახლანდელი ღირებულებების გამოყენებით ერთდროულად აიწევს 1 136.162-მდე, რაც მომდევნო ცხრილშია ნაჩვენები. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ამ ღირებულებით ბაზარი წონასწორობის წერტილს პოულობს. ეს იმის გამო ხდება, რომ ობლიგაციამ ორჯერ 10%-იანი სარგებელი მოიტანა. ამდენად, ობლიგაციების მეორად ბაზარზე მისი საბაზრო ფასი აიწევს. ეროვნულ ანგარიშებში ობლიგაციის ღირებულების ეს მატება (ან კლება, თუ საპროცენტო განაკვეთი აიწევს)

აისახება გადაფასების ანგარიშში, როგორც ჰოლდინგური მოგება (ან ზარალი). მე-4 სავარჯიშოში განხილულია უფრო გართულებული შემთხვევა, როდესაც ობლიგაციები ნომინალის ქვემოთ არის გამოშვებული ან ნულოვანი კუპონით.

პერიოდი t	წლიური ნაკადი	დისკონტის ან საპროცენტო განაკვეთი $[(1 + 5\%)]^t$	ახლანდელი ღირებულება (სვეტი (2) გაყოფილი სვეტზე (3))
3	100	1.05	95.2381
4	100	1.1025	90.70295
5	1 100	1.157625	950.2214
ახლანდელი ღირებულებების ჯამი			1 136.162

ამ უტყუარ ლოგიკურ გაანგარიშებას, რომელიც ახლანდელი ღირებულებების ჯამს ეფუძნება, უამრავი გამოყენება აქვს ეროვნულ ანგარიშებში. დავუშვათ, რომ აგენტი, მაგალითად, სახელმწიფო მართვის ორგანო, იღებს ვალდებულებას, რომ გადაიხდის ყოველწლიურად St-ს 10 წლის მანძილზე პენსიის სახით მიმდინარე წელს მიღებული A-ს ჯამის სანაცვლოდ, რომელიც შეიძლება საპენსიო შენატანების ავანსად იყოს განხილული. მე-3 სავარჯიშოში ვნახავთ, რომ ამ ტრანსაქციის ჩაწერა ეროვნულ ანგარიშებში აუცილებლად მოითხოვს საპროცენტო განაკვეთის ელემენტს.

ეროვნული ანგარიშების შეზღუდვები: რა გამოირიცხება აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსიდან

ინვესტიციების ზოგადმა განმარტებამ: „დღეს გაწეული დანახარჯები, რომელიც მომავალში უზრუნველყოფს შემოსავლებს“, შეიძლება აქტივების გაფართოებულ გაგებამდე მიგვიყვანოს. ამიტომ ეროვნულ ანგარიშებში აქტივებიდან გამოირიცხება: 1) ჰუმანური კაპიტალი, რომელიც შეიძლება განვსაზღვროთ როგორც მიმდინარე ხარჯები ინდივიდების სწავლებაზე; 2) ბუნებრივი კაპიტალის ღირებულება, რომელიც არამინერალური წარმოშობისაა (ბუნებრივად ამოსული წყალი, ჰაერი და ა.შ.); 3) საზოგადოებრივი ძეგლები (ვერსალი, სტოუნჰენჯი, რომის ფორუმი, მაჩუ-პიგჩუ და ა.შ.) 4) შინამეურნეობების გრძელვადიანი მოხმარების საგნები, რომლებიც მოხმარებაში ჩაიწერება, მიუხედავად იმისა, რომ მათი მოხმარების ვადა ერთ წელზე მეტია; 5) საპენსიო უფლებები „pay-as-you-go“ გეგმებში; 6) განსაზღვრული არამატერიალური აქტივები, როგორცაა სავაჭრო ნიშნები, მოხმარებლის გუდვილი და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ეას 2008/აეს 2010-ში აქტივების საზღვარი გაფართოვდა და მასში შევიდა კვლევა და განვითარება (R&D) და მსხვილი საბრძოლო იარაღის სისტემები. ვალდებულებების ნაწილში ისეთი პირობითი აქტივები, როგორცაა სავალლო გარანტიები ან პირობები, ეროვნულ ანგარიშებში არ განიხილება

ვალდებულებად. მაგალითად, სახელმწიფო საწარმოს ვალი, რომლის გარანტორი სახელმწიფოა, არ ჩაიწერება სახელმწიფო მართვის ორგანოს ვალდებულებად.

უკანასკნელ წლებში ეკონომისტები დიდ ყურადღებას უთმობენ ჰუმანური კაპიტალის შეფასებას. ეს გულისხმობს თითოეული ინდივიდისთვის საბაზრო ღირებულების, როგორც მისი განათლების დონის ფუნქციის მინიჭებას. ამ პრინციპის გამოყენებით ანგარიშობენ აკადემიური სწავლების ახლანდელ ღირებულებას, როგორც მომავალში გაზრდილი ხელფასის მიღების საშუალებას. ეას 2008-ში ეს ახსნილია (§ 1.54)-ში:

„ხშირად ფიქრობენ, რომ პერსონალის სწავლება უნდა დაკლასიფიცირდეს როგორც ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება ინვესტიციის სახით ადამიანურ კაპიტალში. ცოდნის, უნარებისა და კვალიფიკაციის მიღება ამალღებს ამ ადამიანების საწარმოო პოტენციალს და წარმოადგენს მომავალში შემოსავლის მიღების წყაროს. მიუხედავად იმისა, რომ ცოდნა, უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია ფართო გაგებით უდაოდ აქტივებია, ისინი მაინც არ შეიძლება გავათანაბროთ ძირითად კაპიტალთან ეას-ის კონცეფციით. მათი მიღება ხდება სწავლის, მეცადინეობისა და პრაქტიკის საფუძველზე და არ შეიძლება სხვა ვინმემ გააკეთოს თვით მოსწავლის გარდა. ამიტომ ცოდნის მიღება არ წარმოადგენს საწარმოო პროცესს ცოდნის გადაცემისაგან განსხვავებით, რაც განათლების მომსახურებას წარმოადგენს“.

განათლების აქტივები პიროვნებებშია განხორციელებული. არ შეიძლება მათი გადაცემა და საწარმოების იმ აქტივ-პასივების ბალანსში ასახვა, სადაც ისინი მუშაობენ (იმ იშვიათი შემთხვევების გარდა, როდესაც მაღალკვალიფიციური მომუშავეები კონტრაქტის საფუძველზე გარკვეული ვადით მუშაობენ). ეს უკანასკნელი წინადადება ნათელს ჰფენს, თუ რატომ ითვლებიან გამოჩენილი ფეხბურთელები ამა თუ იმ კლუბის აქტივად. ცხადია, რომ მოთამაშესთან დადებული კონტრაქტია აქტივი და არა თვითონ მოთამაშე.

ფინანსური ანგარიშების ინტეგრირებული სისტემა

ესპანეთის ბანკი აქვეყნებს ფინანსური ანგარიშების ინტეგრირებულ სისტემას. ის მოიცავს ფინანსური წმინდა სიმდიდრის ანგარიშებს (ფინანსური ბალანსი) და ფინანსური აქტივების მოცულობის სხვა ცვლილებებს მთელი ეკონომიკისთვის, დანარჩენი მსოფლიოსა და რეზიდენტი სექტორებისთვის. ცხრილები 8.2, 8.3 და 8.4 მომზადებულია ესპანეთის ბანკის პუბლიკაციების მიხედვით (Banco de España, 2014). ის მოიცავს შემაჯამებელ ფინანსურ ბალანსებს 2012 წლის დასაწყისისა და

ბოლოსთვის და სხვა ანგარიშებს 2012 წლისათვის. ცხრილებში მუხლების კოდები ძველი ეას 93-ის კოდებს შეესაბამება.

ამ ცხრილების წაკითხვა საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, თუ როგორ არის ერთმანეთთან დაკავშირებული ანგარიშები და რა ანალიტიკური ღირებულება აქვთ მათ. მათი კითხვისას გონებაში უნდა გვქონდეს, რომ „ფინანსური აქტივების“ და „ვალდებულებების“ შემთხვევაში შეხება გვექნება ისეთ მუხლებთან, როგორცაა: 1) აქტივებისა და პასივების ფინანსური მარაგები (ნაჩვენებია სამივე ცხრილის სვეტებში 1 და 5); 2) ფინანსური აქტივების წმინდა შესყიდვა და ვალდებულებების წმინდა მიღება (სვეტი 2, მიიღება ფინანსური ანგარიშებიდან); 3) ფინანსური აქტივების გადაფასების ანგარიშები (სვეტი 3) და 4) სხვა ცვლილებები ფინანსური აქტივების მოცულობის ანგარიშებში (სვეტი 4). ცხრილებში 8.3 და 8.4 ფინანსური ინსტიტუციების ანგარიშები არ არის კონსოლიდირებული. გამარტივების მიზნით სხვა სექტორები არ გვიჩვენებია.

ცხრილში 8.2 ნაჩვენებია ანგარიშები მთელი ეკონომიკისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის. მთელი ეკონომიკის ანგარიშები კონსოლიდირებულია, რაც ნიშნავს, რომ რეზიდენტ სექტორებს შორის ყველა შიდა ტრანსაქცია გადაფარულია. დანარჩენი მსოფლიოს ანგარიშები კონსოლიდირებულია განსაზღვრის მიხედვით, რადგან ის მხოლოდ მოცემული ქვეყნის ურთიერთკავშირს ასახავს დანარჩენ მსოფლიოსთან. ამ ცხრილიდან შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ რადგან მთლიანად ეკონომიკაში ანგარიშები კონსოლიდირებულია, მთელი ეკონომიკის აქტივები (მონეტარული ოქროსა და ნსუ-ს გარდა) დანარჩენი მსოფლიოს ვალდებულებების ტოლია და პირიქით, ესპანეთთან მიმართებაში დანარჩენი მსოფლიოს აქტივები ესპანეთის ვალდებულებების ტოლია დანარჩენი მსოფლიოსადმი.

თითოეულ ფინანსურ აქტივს გააჩნია მისი მეორე მხარე, ვალდებულება, გარდა მონეტარული ოქროსი, რომელიც შეთანხმების მიხედვით მხოლოდ ფინანსური აქტივია. ცხრილში 8.2 ნაჩვენებია მთლიანი ეკონომიკის აქტივებისა (თუ 2012 წლის დასაწყისში მის მოცულობას გამოვაკლებთ 14.2 მლრდ-ს, მონეტარული ოქრო და ნსუ, დარჩება 1 343.9 მლრდ) და დანარჩენი მსოფლიოს ვალდებულებების იგივეობა (2012 წლის დასაწყისში 1 343.9 მლრდ-ს ტოლია). მონეტარული ოქროსა და ნსუ-ს შემთხვევისთვის, მათ მთლიან ჯამს ეკონომიკაში (ზემოთ ნახსენები 14.2 მლრდ) პლუს იგივე აქტივების ჯამი დანარჩენი მსოფლიოსთვის (-14.2 მლრდ) ნულის ტოლია, რადგან შეთანხმების მიხედვით, ეს ფინანსური აქტივების მხოლოდ ერთი სახეა, რომელსაც საპირისპირო ვალდებულება არ გააჩნია. ამიტომ, ტრანსაქციები მონეტარული ოქროთი და ნსუ-თი ყოველთვის გულისხმობს ამ აქტივების მფლობელობის ცვლილებას. ცხრილიდან 8.2 ჩანს აგრეთვე, რომ ესპანეთის წმინდა

სიმდიდრე დანარჩენ მსოფლიოსთან მიმართებაში არის -917.8 და -927.0 მლრდ ევრო 2012 წლის დასაწყისისთვის და ბოლოსთვის, შესაბამისად. ცხრილიდან ასევე ჩანს, რომ წლის განმავლობაში გაიზარდა ტრანსაქციების დებიტორული პოზიცია (-6.7) და გადაფასება (-5.8) და შემცირდა მოცულობის სხვა ცვლილებები (3.3).

როგორც 8.3 ცხრილიდან ჩანს, სესხები ფინანსური ინსტიტუციების მთავარი აქტივებია (სესხებმა 2012 წლის დასაწყისში 2 025.8 მლრდ ევრო შეადგინა, ხოლო პერიოდის განმავლობაში 72.9 მლრდ დაიფარა). ამასთან ნაღდი ფული და დეპოზიტები ნაჩვენებია პორტფელში (ანუ აქტივებში) და კერძოდ, მნიშვნელოვანია შინამეურნეობებისა და შმაკოების სექტორებისთვის (პერიოდის დასაწყისში დეპოზიტებმა 855.4 მლრდ შეადგინა). აქციები ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან აქტივს შინამეურნეობებისა და შმაკოებისთვის (512.8 მლრდ პერიოდის დასაწყისში) და ფინანსური ინსტიტუციებისთვის (380.4 მლრდ).

ვალდებულებების მხარეს (ცხრილი 8.4) ფინანსური ინსტიტუციების ძირითადი პასივია ნაღდი ფული და დეპოზიტები (2 817.6 მლრდ პერიოდის დასაწყისში). მეორე ადგილზეა ფასიანი ქაღალდები აქციების გარდა და სესხები (1 047.3 და 437.3 მლრდ შესაბამისად), ხოლო შინამეურნეობებისა და შმაკოების ძირითადი ვალდებულება სესხებია (874.3 მლრდ).

და ბოლოს, ესპანეთის ანგარიშებისთვის, რომლის ნახვა შესაძლებელია ვებ გვერდზე <http://www.bde.es>, დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები: 1) ანგარიშები კვარტალურია და წლიური ანგარიშების მიღება კვარტალურიდან ხდება, სადაც წმინდა სიმდიდრის ციფრები შეესაბამება წლის ბოლო კვარტალს და კვარტალური ნაკადების (ტრანსაქციებს, გადაფასებას და მოცულობის სხვა ცვლილებებს) ჯამს; 2) მათი გამოქვეყნება ხდება ზუსტად დაანონსებული განრიგის მიხედვით; 3) მათი ჩაშლა ხდება სექტორების შიგნით (ქვესექტორებისა და ზოგჯერ აგენტების მიხედვით); მაგალითად, ანგარიშები დგება როგორც სახელმწიფო მართვის ორგანოების, ისე ცენტრალური მთავრობის, ავტონომიური კომუნების, ადგილობრივი მთავრობისა და სოციალური დაცვის ადმინისტრაციებისთვის და 4) აქ წარმოდგენილია ჩაშლა ინსტრუმენტების მიხედვით: ა) სახეების მიხედვით; მაგალითად, აქციები დაყოფილია; დარეგისტრირებული აქციები, დაურეგისტრირებული აქციები, სხვა კაპიტალი საინვესტიციო ფონდების გარდა, მონაწილეობა საინვესტიციო ფონდებში და საინვესტიციო კომპანიების მიერ გამოშვებული აქციები და ბ) საპირისპირო სექტორების მიხედვით (პრინციპით „ვის - ვის“), მაგალითად, შეგვიძლია ვნახოთ, შინამეურნეობებისა და შმაკოების ხელში არსებული აქციები ვის მიერ არის გამოშვებული: დანარჩენი მსოფლიოს, არაფინანსური კომპანიების თუ ფინანსური ინსტიტუციების მიერ.

ცხრილი 8.2. ესპანეთი: აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსების კავშირი 2012 წლის დასაწყისსა და ბოლოსთვის

ფინანსური აქტივები, საბუღალტრო ნაშთები და ვალდებულებები (მლრდ ევრო)

კოდები	ფინანსური კაპიტალი პერიოდის დასაწყისში	ფინანსური ტრანსაქციების ანგარიში	სხვა ცვლილებები ფინანსურ აქტივებში		ფინანსური კაპიტალი პერიოდის ბოლოს	
			გადაფასების ანგარიში	სხვა ცვლილებები მოცულობის ანგარიშში		
	1	2	3	4	5 = 1 + 2 = 3 + 4	
მთლიანად ეკონომიკა (კონსოლიდირებული)	S1	1 358.1	17.7	-9.1	3.3	1 370.2
მონეტარული ოქრო და ნსუ	F/FA.1	14.2	0.0	0.3		14.6
ნადი ფული და დეპოზიტები	F/FA.2	256.8	6.5	-0.3	0.0	263.0
ფასიანი ქაღალდები აქციების გარდა	F/FA.3	283.3	-12.7	4.0		274.5
სესხები	F/FA.4	197.9	19.3	-0.4	-0.3	216.5
აქციები და სხვა კაპიტალი	F/FA.5	550.2	4.2	-12.7		541.6
დაზღვევის ტექნიკური რეზერვები	F/FA.6	5.3	0.4			5.7
სხვა დებიტორული/კრედიტორული დავალიანება	F/FA.7	50.6	0.1	3.6		54.3
დანარჩენი მსოფლიო	S2	2261.7	24.4	-3.6	0.0	2 282.6
მონეტარული ოქრო და ნსუ	F/FA.1	-14.2	0.0	-0.3		-14.6
ნადი ფული და დეპოზიტები	F/FA.2	642.4	5.9	-0.4		648.0
ფასიანი ქაღალდები აქციების გარდა	F/FA.3	680.5	-57.9	10.7		633.3
სესხები	F/FA.4	382.1	42.3	-4.5		419.9
აქციები და სხვა კაპიტალი	F/FA.5	521.7	35.4	-9.1	0.0	548.1
დაზღვევის ტექნიკური რეზერვები	F/FA.6	4.6	0.0			4.7
სხვა დებიტორული/კრედიტორული დავალიანება	F/FA.7	44.6	- 1.3			43.3
მთლიანად ეკონომიკა (კონსოლიდირებული)	S1	1 358.1	17.7	-9.1	3.3	1 370.2
1. ბუღალტრული ნაშთები (FA- L)	(FA- L)	-917.8	-6.7	-5.8	3.3	-927.0
წმინდა კაპიტალი პერიოდის დასაწყისში	BE.90	-917.8				
დაფინანსების შესაძლებლობა/მოთხოვნები	B9.		-6.7			
გადაფასება	BE.10.3			-5.8		
მოცულობის სხვა ცვლილებები	BE.10.2				3.3	
წმინდა კაპიტალი პერიოდის ბოლოს	BE.90					-927.0
2. სულ ვალდებულებები	F/FA	2 275.9	24.4	-3.3		2 297.3
ნადი ფული და დეპოზიტები	F/FA.2	642.4	5.9	-0.4		648.0
ფასიანი ქაღალდები აქციების გარდა	F/FA.3	680.5	-57.9	10.7		633.3
სესხები	F/FA.4	382.1	42.3	-4.5		419.9
აქციები და სხვა კაპიტალი	F/FA.5	521.7	35.4	-9.1	0.0	548.1

დაზღვევის რეზერვები	ტექნიკური	F/FA.6	4.6	0.0			4.7
სხვა დებიტორული/კრედიტორული დავალიანება		F/FA.7	44.6	- 1.3			43.3
დანარჩენი მსოფლიო	S2		2 261.7	24.4	-3.6	0.0	2 282.6
1. ბუღალტრული ნაშთები	(FA- L)		917.8	6.7	5.8	-3.3	927.0
წმინდა კაპიტალი პერიოდის დასაწყისში		BE.90	917.8				
დაფინანსების შესაძლებლობა/მოთხოვნები		B9.		6.7			
გადაფასება		BE.10.3			5.8		
მოცულობის სხვა ცვლილებები		BE.10.2				-3.3	
წმინდა კაპიტალი პერიოდის ბოლოს		BE.90					927.0
2. სულ ვალდებულებები	F/FA		1 343.9	17.7	-9.4	3.3	1 355.6
ნაღდი ფული და დეპოზიტები		F/FA.2	256.8	6.5	-0.3	0.0	263.0
ფასიანი ქაღალდები აქციების გარდა		F/FA.3	283.3	-12.7	4.0	-	274.5
სესხები		F/FA.4	197.9	19.3	-0.4	-0.3	216.5
აქციები და სხვა კაპიტალი		F/FA.5	550.2	4.2	-12.7	-	541.6
დაზღვევის რეზერვები	ტექნიკური	F/FA.6	5.3	0.4	-	-	5.7
სხვა დებიტორული დავალიანება		F/FA.7	50.6	0.1	3.6	-	54.3

წყარო: Banco de España (2014): Financial Accounts of the Spanish Economy, <http://www.bde.es/webbde/en/estadis/ccff/cfcap2.html>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144088>

ცხრილი 8.3. ესპანეთი: აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსების კავშირი 2012 წლის დასაწყისსა და ბოლოსთვის
რეზიდენტი სექტორები (ფინანსური ინსტიტუციები არ არის კონსოლიდირებული)
ფინანსური აქტივები (მლრდ ევრო)

კოდები	ფინანსური კაპიტალი პერიოდის დასაწყისში	ფინანსური ტრანსაქციების ანგარიში	სხვა ცვლილებები ფინანსურ აქტივებში		ფინანსური კაპიტალი პერიოდის ბოლოს	
			გადაფასების ანგარიში	სხვა ცვლილებები მოცულობის ანგარიშში		
	1	2	4	5	6=1-დან 5-მდე	
ფინანსური ინსტიტუციები	S12	4 924.8	206.6	14.5	- 50.9	5 094.9
მონეტარული ოქრო და ნსუ	F/FA.1	14.2	0.0	0.3	-	14.6
ნაღდი ფული და დეპოზიტები	F/FA.2	1 264.0	123.7	- 0.5	- 7.5	1 379.8
ფასიანი ქაღალდები აქციების გარდა	F/FA.3	1 139.0	147.9	19.6	- 1.2	1 305.2
სესხები	F/FA.4	2 025.8	- 72.9	- 0.5	- 39.7	1 912.8
აქციები და სხვა კაპიტალი	F/FA.5	380.4	2.1	- 4.5	- 1.5	376.4
დაზღვევის ტექნიკური რეზერვები	F/FA.6	17.0	0.7	-	-	17.8
სხვა კრედიტორული დავალიანება	F/FA.7	84.4	5.0	-	- 1.0	88.4
შინამეურნეობები და შმაკოები	S14+S15	1 764.6	- 6.7	38.6	- 1.2	1 795.2
ნაღდი ფული და დეპოზიტები	F/FA.2	855.4	3.3	-	-	858.7

ფასიანი ქაღალდები აქციების გარდა	F/FA.3	69.8	- 15.9	-	5.2	59.2
სესხები	F/FA.4	-	-	-	-	-
აქციები და სხვა კაპიტალი	F/FA.5	512.8	8.3	26.7	- 1.2	546.6
დაზღვევის ტექნიკური რეზერვები	F/FA.6	263.9	1.0	6.6	-	271.5
სხვა კრედიტორული დავალიანება	F/FA.7	62.7	- 3.5	-	-	59.3

წყარო: Banco de España (2014): Financial Accounts of the Spanish Economy, <http://www.bde.es/webbde/en/estadis/ccff/cfcap2.html>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144093>

ცხრილი 8.4. ესპანეთი: აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსების კავშირი 2012 წლის დასაწყისსა და ბოლოსთვის

რეზიდენტი სექტორები (ფინანსური ინსტიტუციები არ არის კონსოლიდირებული)
ბუღალტრული ნაშთები და ვალდებულებები (მლრდ ევრო)

	კოდები	ფინანსური	ფინანსური	სხვა ცვლილებები ფინანსურ		ფინანსური
		კაპიტალი	ტრანსაქციების	აქტივებში	ფინანსურ	
		პერიოდის	ანგარიში	გადაფასების	სხვა	კაპიტალი
		დასაწყისში		ანგარიში	ცვლილებები	პერიოდის
					მოცულობის	ბოლოს
					ანგარიშში	
		1	2	4	5	6=1 to 5
ფინანსური ინსტიტუციები (1+2)	S.12	4 924.8	206.6	14.5	- 50.9	5 094.9
1) ბუღალტრული ნაშთები	(FA- L)	151.3	66.1	- 21.4	- 39.7	156.4
წმინდა კაპიტალი პერიოდის დასაწყისში	BE.90	151.3	-	-	-	-
დაფინანსების შესაძლებლობა/მოთხოვნები	B9.	-	66.1	-	-	-
გადაფასება	BE.10.3	-	-	- 21.4	-	-
მოცულობის სხვა ცვლილებები	BE.10.2	-	-	-	- 39.7	-
წმინდა კაპიტალი პერიოდის ბოლოს	BE.90	-	-	-	-	156.4
2) სულ ვალდებულებები	F/FA	4 773.4	140.4	35.8	- 11.2	4 938.5
ნაღდი ფული და დეპოზიტები	F/FA.2	2 817.6	132.9	- 1.0	- 7.5	2 942.1
ფასიანი ქაღალდები აქციების გარდა	F/FA.3	1 047.3	13.9	27.4	- 2.6	1 086.1
სესხები	F/FA.4	104.0	- 8.9	-	-	95.1
აქციები და სხვა კაპიტალი	F/FA.5	437.3	1.3	2.8	- 0.7	440.7
დაზღვევის ტექნიკური რეზერვები	F/FA.6	311.0	1.8	6.6	-	319.4
სხვა დებიტორული დავალიანება	F/FA.7	56.2	- 0.6	- 0.5	-	55.1
შინამეურნეობები და შმაკოები (1+2)	S14*+S15	1 764.6	- 6.7	38.6	- 1.2	1 795.2
1) ბუღალტრული ნაშთები	(FA- L)	827.9	21.7	39.1	5.2	893.8
წმინდა კაპიტალი პერიოდის დასაწყისში	BE.90	827.9	-	-	-	-
დაფინანსების შესაძლებლობა/მოთხოვნები	B9.	-	21.7	-	-	-
გადაფასება	BE.10.3	-	-	39.1	-	-
მოცულობის სხვა ცვლილებები	BE.10.2	-	-	-	5.2	-
წმინდა კაპიტალი პერიოდის ბოლოს	BE.90	-	-	-	-	893.8
2) სულ ვალდებულებები	F/FA	936.8	- 28.4	- 0.6	- 6.4	901.4
სესხები	F/FA.4	874.3	- 35.5	- 0.6	- 1.4	836.8
სხვა დებიტორული დავალიანება	F/FA.7	62.5	7.1	- 5.0	-	64.6

წყარო: Banco de España (2014): Financial Accounts of the Spanish Economy, <http://www.bde.es/webbde/en/estadis/ccff/cfcap2.html>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144103>

მე-8 თავის სავარჯიშოები

სავარჯიშო 1. სწორია თუ მცდარი შემდეგი დებულებები?

ეროვნულ ანგარიშებში: ა) ჰოლდინგური მოგება ემატება აგენტის შემოსავლებს; ბ) ჰოლდინგური ზარალი ამცირებს აგენტის შემოსავალს; გ) ზოგადად, ტრანსაქცია ოთხჯერ ჩაიწერება; დ) ყოველ არაფინანსურ ტრანსაქციას აქვს საპირისპირო ფინანსური ტრანსაქცია; ე) ყოველ ფინანსურ ტრანსაქციას აქვს საპირისპირო არაფინანსური ტრანსაქცია; ვ) აქტივის ფასი მუდმივად შესყიდვის ფასის ტოლია; ზ) ჰუმანური კაპიტალი შედის ეროვნული სიმდიდრის შემადგენლობაში; თ) ჩაკეტილ ეკონომიკაში B9 დამაბალანსებელი მუხლების ჯამი ნულის ტოლია; ი) ვალის გადახდა იწვევს აქტივების გადიდებას; კ) წმინდა ღირებულებებს შორის განსხვავება მიმდინარე წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წინა წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანად აიხსნება B9 დამაბალანსებელი მუხლით.

სავარჯიშო 2. ორმაგი ჩაწერა

შინამეურნეობა H დასაქმებულია C კორპორაციაში, მწარმოებელი/სუპერმარკეტი. გამარტივებისთვის დავუშვათ, რომ შინამეურნეობის ყველა ეკონომიკური ტრანსაქცია მხოლოდ ამ კომპანიასთან არის დაკავშირებული. H იღებს ხელფასს 40 000-ის ოდენობით კორპორაციიდან და მოიხმარს 30 000-ს ამ კორპორაციიდან პროდუქტების საყიდლად. დარჩენილი 10 000-დან, ყიდულობს 2 000-ის აქციებს კორპორაციიდან და დარჩენილი 8 000-ით იხდის წინა წელს დამსაქმებლისგან აღებულ სესხს 15 000-ს. კორპორაცია H-ს უხდის დივიდენდს 200-ს, H იხდის კორპორაციის საპროცენტო განაკვეთს 300-ს. ამის შემდეგ, კორპორაცია H-ს სხვა სესხს აძლევს 9 000-ის ოდენობით. ააგეთ ფინანსური და არაფინანსური T-ანგარიშები. შეამოწმეთ ანგარიში იგივეობები. იგივე ჩანაწერს გააკეთებდით თუ არა სესხად 9 000-ის ჩაწერისთვის H-თან, თუ კორპორაცია ბანკი იქნებოდა? ამ ტრანსაქციებს შორის ერთი წმინდად ფინანსური ტრანსაქცია და აჩვენეთ, რომ ის არ ახდენს გავლენას B9-ზე და შესაბამისად, წმინდა სიმდიდრეზე.

სავარჯიშო 3 (რთული). დარიცხვის მეთოდის გამოყენება

დავუშვათ, რომ აგენტმა, ამ შემთხვევაში ცენტრალურმა მთავრობამ უნდა გადაუხადოს S მოცულობის პენსია T წლების პერიოდის განმავლობაში

შინამეურნეობებს, რომლებმაც A თანხა შეიტანეს 0 წელს. ამ სავარჯიშოს მიზანია, რომ ეს ტრანსაქცია ჩაწეროთ დარიცხვის ბაზაზე.

კითხვა 1: აჩვენეთ ურთიერთკავშირი A-სა და S გადახდების მწკრივს შორის ახლანდელი (მიმდინარე) ღირებულების გამოყენებით.

კითხვა 2: ჩაწერეთ საწყისი ტრანსაქცია და S გადახდების მწკრივი ფინანსური T-ანგარიშის გამოყენებით პროცენტის გარეშე.

კითხვა 3: გაიანგარიშეთ ცენტრალური მთავრობის ვალის ნაშთი პირველი პერიოდის გადახდების შემდეგ და აჩვენეთ რომ ის განსხვავდება ამ ნაშთის მიმდინარე ღირებულებისგან. გააკეთეთ დასკვნა, რომ აუცილებელია პროცენტის ჩაწერა. ააგეთ ყველა საკორესპონდენტო T-ანგარიში. გაავლეთ პარალელი სესხთან. დაასაბუთეთ, რომ ცენტრალური მთავრობის B9 უარყოფითია. დაასკვნით, რომ თუ საპროცენტო განაკვეთი ჩაწერილი იქნება, ეს ტრანსაქცია ნეიტრალური იქნება აგენტის სიმდიდრისადმი.

სავარჯიშო 4. ობლიგაციის ღირებულების გამოთვლა

ეს სავარჯიშო უშუალოდ დაკავშირებულია დისკუსიასთან აქტივის ღირებულების შესახებ, რომელიც წამოჭრილი იყო რუბრიკაში: „ჩაუღრმავდით“. საბაზრო საპროცენტო განაკვეთი 4%-ია. დავუშვათ, ეს არის 2004 წელს გამოშვებული 1 500 აშშ დოლარის სახაზინო ობლიგაცია და მისი კუპონია 60 აშშ დოლარი ყოველწლიურად 10 წლის განმავლობაში.

კითხვა 1: დაასაბუთეთ, რომ ობლიგაცია გამოშვებულია საბაზრო ფასით და რომ გამოშვების ფასი შეესაბამება მის სამომავლო შემოსავლის ახლანდელ ფასს.

კითხვა 2: დავუშვათ, რომ 2007 წელს ამ ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა 6%-მდე. რა იქნება ობლიგაციის ახალი ფასი მეორად ბაზარზე? როგორ ჩაწერენ ეროვნულ ანგარიშებში ფასის ამ განსხვავებას ობლიგაციის მფლობელისა და გამომშვებისთვის? გააკეთეთ კომენტარი.

კითხვა 3: დაუბრუნდით პირველ კითხვას. დავუშვათ, იგივე ობლიგაციას მთავრობა უშვებს 1 250 აშშ დოლარად. როგორ უნდა განვიხილოთ სხვაობა საბაზრო ფასთან ეროვნულ ანგარიშებში?

კითხვა 4: დავუშვათ, მთავრობა ამ ობლიგაციას ნულოვანი კუპონით უშვებს და ყიდის 1 014 აშშ დოლარად. როგორ განვიხილება ეს შემთხვევა ეროვნულ ანგარიშებში?

სავარჯიშო 5. ვალის გაუქმება

ოთხმაგი ჩაწერის საშუალებით ჩაწერეთ ესპანეთის მთავრობის ტრანსაქცია, რომლითაც ის აუქმებს სესხს 1 000-ის ოდენობით კომპანიაზე, რომელიც ვერ იხდიდა გადასახადებს. ააგეთ გამარტივებული T-ანგარიში ორი აგენტისთვის ტრანსაქციამდე და შემდეგ აღწერეთ ეს ტრანსაქცია ნაკადების საშუალებით. განსაზღვრეთ ცენტრალური მთავრობისა და ფირმის გავლენა B9-ზე. დაასაბუთეთ ეს ეკონომიკურად. ფინანსური და არაფინანსური ბუღალტრული B9-ს იგივეობიდან დაასკვნით, რომ სავალდებულოა არაფინანსური ტრანსაქციების საპირისპირო ტრანსაქციების ჩაწერა (D99, კაპიტალური ტრანსფერი).

გააკეთეთ დასკვნები იმის შესახებ, თუ რა მოყვება ესპანეთის მთავრობის მიერ ვალის გაუქმებას განვითარებადი ქვეყნისთვის.

სავარჯიშო 6. ნაკადების გაანგარიშება საბაზრო ფასებში ასახული მარაგების გამოყენებით

ფინანსური ანგარიშების ძირითადი წყარო ბანკის ბალანსებია. წლიდან-წლამდე ცვლილებების ($S^t - S^{t-1}$) გამოყენება შესაძლებელია ნაკადის (F) გამოსათვლელად, თუმცა, როგორც ვნახეთ, ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ ნაკადი და გადაფასება. ორივე მათგანის შეფასება შესაძლებელია მარტივი დაშვებების გამოყენებით. ამ სავარჯიშოში მოვახდენთ ამ გაანგარიშებების ილუსტრაციას. საწყისად გამოვიყენოთ განტოლება:

$$S^t - S^{t-1} + vS^{t-1} + F + \frac{v}{2}F,$$

სადაც v არის ფასთა სხვაობა $t-1$ და t -ს შორის. ამ განტოლებაში ასახულია, რომ მარაგი S^t პერიოდის ბოლოს ტოლია მარაგს, S^{t-1} პერიოდის დასაწყისში, დამატებული vS^{t-1} პერიოდის დასაწყისში მარაგის გადაფასება, პლუს ტრანსაქცია (F), პლუს $\frac{v}{2}F$ ტრანსაქციის გადაფასება. გაკეთებულია დაშვება, რომ F ტრანსაქციას ადგილი ჰქონდა პერიოდის შუაში, ანუ $\frac{v}{2}$ პერიოდში.

გამოიყენეთ ეს განტოლება F-ის გამოსათვლელად ამ შემთხვევაში აშშ დოლარში ნომინირებული სესხისთვის. დავუშვათ,

S^{t-1} (ევროებში) = 1 000; $S^t = 1 500$; აშშ დოლარი/ევროს გაცვლითი კურსი $t-1$ -ში = 1; აშშ დოლარი/ევროს გაცვლითი კურსი t -ში = 0.8.

ამ სავარჯიშოების ამოხსნები შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე:

<http://dx.doi.org/10.1787/9789264214637-26-en>

თავი 9

სახელმწიფო მართვის ორგანოების ანგარიში

ამ თავში აღწერილია სახელმწიფო მართვის ორგანოების ანგარიშები და სახელმწიფო მართვის ორგანოების სტრუქტურა. აქ ახსნილია, როგორ უნდა გამოვთვალოთ საჯარო ფინანსების ოთხი მთავარი ინდიკატორი: სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, სახელმწიფო ვალი, სახელმწიფო მართვის ორგანოების ხარჯები და გადასახადები და აუცილებელი სოციალური შენატანები.

ეთგო-ს წვერი ქვეყნების ეკონომიკურ მიმოხილვებში ყოველთვის მოტანილია ფისკალური მონაცემების სიღრმისეული ანალიზი. ხშირად, ეთგო-ს ეკონომისტები მთავრობის ფისკალურ პოლიტიკას აკრიტიკებენ. ქვემოთ გთავაზობთ 2013 წლის მიმოხილვის ამონარიდს საფრანგეთის შესახებ:

“1970-იანი წლებიდან მოყოლებული, სახელმწიფო ბიუჯეტი დეფიციტური იყო, რამაც გამოიწვია სახელმწიფო ვალის ხვედრითი წილის ზრდა მშპ-სთან მიმართებით. ბიუჯეტში დასახული მიზნებისკენ სწრაფვამ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე აამალა ქვეყნის ფისკალური სანდოობა, რაც სახელმწიფო ვალის დაბალ საპროცენტო განაკვეთებში აისახა. სახელმწიფო ვალის ფარდობა მშპ-სთან (მაასტრიხტის განსაზღვრებით) 2001 წელს 57%-დან 91%-მდე გაიზარდა 2012 წელს და 2014 წლისთვის დაახლოებით 96%-ს უნდა მიაღწიოს. სახელმწიფო დავალიანების შემცირება უმნიშვნელოვანესია მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და გრძელვადიანი ზრდისათვის. სახელმწიფო ხარჯები 2013 წლისთვის სტაბილურად უნდა შენარჩუნდეს 2011 და 2012 წლების დონეზე, ე.ი. 56.3% და თანდათანობით შემცირდეს 2017 წლისთვის 53.1%-მდე. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული ღონისძიებები ხარჯების შესამცირებლად. ხარჯების შეკვეცასთან შედარებით გადასახადების გაზრდა შეიძლება უფრო მიმზიდველი აღმოჩნდეს, რადგან მოკლევადიან პერიოდში ეს ნაკლებ სოციალურ წინააღმდეგობას გამოიწვევს, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ფინანსურ ბაზრებზე, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში ხარჯების შეკვეცა უფრო ნაკლებად დააზარალებს ეკონომიკურ ზრდას, ვიდრე გადასახადების მომატება, რადგან ის უფრო ძლიერ და ხანგრძლივ ვალდებულებებთან არის დაკავშირებული. იმ ფონზე, რომ საფრანგეთში ისედაც მაღალი გადასახადებია, საშუალოვადიან პერიოდში დიდი იმედების დამყარება გადასახადების მომატებაზე ფისკალური კონსოლიდაციის მიზნით საკმაოდ რისკიანია“ (OECD, 2013).

როგორც 9.1 ცხრილშია (გამოქვეყნებულია INSEE-ის მიერ, საფრანგეთის სტატისტიკური სამსახური) მოცემული, საფრანგეთის ბიუჯეტის დეფიციტმა მშპ-ის მიმართ 2009 წელს 7.5% შეადგინა, ხოლო 2012 წელს 4.8%-მდე შემცირდა, თუმცა მაასტრიხტის 3%-ან კრიტერიუმზე ჯერ ისევ მაღალია. ასევე, 2009 წელს სახელმწიფო ვალმა ბევრად გადააჭარბა 60%-იან ზღვარს მშპ-სთან მიმართებაში და უფრო მეტად გაიზარდა 2010-2012 წლებში. ეს გამოიწვია სახელმწიფო ხარჯების მუდმივმა ზრდამ (2012-ში მშპ-ის 56.6%), მაშინ, როდესაც 2012 წელს გადასახადებმა და სავალდებულო სოციალურმა შენატანებმა მშპ-ის მხოლოდ 45.0% შეადგინა). ეთგო-ს ეკონომისტები ხშირად იყენებენ „სტრუქტურული დეფიციტის“

ინდიკატორს ფისკალური პოლიტიკის ტრენდის უკეთ გასაგებად (იხ. ჩანართი 9.1: “ციკლურად კორექტირებული ფინანსური ბალანსი”).

ყველა ინდიკატორი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, INSEE-ის მიერ გამოქვეყნებული სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორის ეროვნული ანგარიშებიდან არის ამოღებული. ეს არც არის გასაკვირი, რადგან სახელმწიფო მართვის ორგანოები მთავარი მაკროეკონომიკური აგენტია და მისი პოლიტიკის ანალიზისთვის სავსებით ნორმალურია მაკროეკონომიკური ანგარიშების გამოყენება. აღსანიშნავია, რომ საჯარო ფინანსების ანალიზში ეროვნული ანგარიშების გამოყენება გააქტიურა მასტრიხტის კრიტერიუმის გამოყენებამ ევროკავშირის ქვეყნებში (იხ. რუბრიკა „ჩაუღრმავდით: მასტრიხტის კრიტერიუმი“). ამის შემდეგ, ევროპელი ეროვნული მონაგარიშეებისთვის სახელმწიფო მართვის ორგანოების ანგარიშების შედგენა იმდენად მნიშვნელოვანი გახდა, რომ ევროპაში ეროვნულ ანგარიშები მშპ პლუს “S13-B9”-ად მონათლეს (ეს არის ბიუჯეტის შემოსავლები/დეფიციტის კოდი). მაკროეკონომისტებმა საფუძვლიანად უნდა ისწავლონ ეს განმარტებები, წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი ალბათობით, მათი ანალიზი აზრსმოკლებული იქნება.

ცხრილი 9.1. საფრანგეთის სახელმწიფო მართვის ორგანოების ანგარიში
მშპ-ის პროცენტი

	2009	2010	2011	2012
ბიუჯეტის დეფიციტი ^ა	-7,5	-7,1	-5,3	-4,8
სახელმწიფო ვალი ^ა	79,2	82,4	85,8	90,2
სახელმწიფო ხარჯები	56,8	56,6	55,9	56,6
გადასახადები და სავალდებულო სოციალური შენატანები	42,1	42,5	43,7	45,0

ა) მასტრიხტის კრიტერიუმის მიხედვით

წყარო: Insee Databases (2013): Statistical indices and series: Macroeconomic Database: National Accounts
http://www.bdm.insee.fr/bdm2/index?request_locale=en.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144116>

ამ თავს დავიწყებთ გამარტივებული დიაგრამის საშუალებით სახელმწიფო მართვის ორგანოების ანგარიშის აღწერით. შემდეგ, აღვწერთ სახელმწიფო მართვის ორგანოების შედგენილობას და დავასრულებთ საჯარო ფინანსების ოთხი მთავარი ინდიკატორის გაანგარიშებით.

ჩანართი 9.1. ციკლურად კორექტირებული ფინანსური ბალანსი (ან „სტრუქტურული დეფიციტი“)

სახელმწიფო ხარჯები და შემოსავლები ხშირად ბევრად არის დამოკიდებული ეკონომიკურ განვითარებაზე. ეკონომიკური ვარდნისა და მოხმარების შენელების

დროს იკლებს საგადასახადო შემოსავლები და იზრდება სახელმწიფო ხარჯები, რადგან უფრო მეტ უმუშევარს ესაჭიროება სოციალური დახმარება და უმუშევრობის შემწეობა. მეორე მხრივ, აღმავლობის პერიოდში საჯარო ფინანსების მდგომარეობა უმჯობესდება, რადგან საგადასახადო ბუმი დგება და სოციალური შეღავათების მიმღებთა რაოდენობა კლებულობს. პოლიტიკის დისკრეციული ცვლილების არარსებობის დროს, ეს რყევები საგადასახადო შემოსავლებსა და სახელმწიფო ხარჯებში აძნელებს იმის შეფასებას, თუ როგორია ფისკალური პოზიცია მოცემულ პერიოდში: ექსპანსიური, ნეიტრალური თუ შემზღვეველი და იმის განსჯას, იქნება თუ არა მდგრადი ფისკალური ბალანსი გრძელვადიან პერიოდში.

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ეკონომისტებმა შეიმუშავეს ციკლურად დარეგულირებული ფისკალური ბალანსები ანუ „სტრუქტურული ბალანსები“ ან „სტრუქტურული დეფიციტები“, რაც საშუალებას იძლევა ერთმანეთისგან გავაცალკეოთ სამთავრობო ბალანსების სტრუქტურული და ციკლური კომპონენტები. ასეთი ბალანსების მისაღებად საჭიროა განისაზღვროს: (1) როგორი იქნება ქვეყნის ციკლურად დარეგულირებული გამოშვება (იხ. თავი 4) და (2) რა რეაქცია იქნება საგადასახადო შემოსავლებს და სახელმწიფო ხარჯებს, თუ ფაქტობრივი გამოშვება მისი პოტენციური მნიშვნელობიდან გადაიხრება ეკონომიკური ციკლის განმავლობაში. ჟირუარდმა და ანდრემ [Girouard and André (2005)] დეტალურად განიხილეს ეთგო-ში გამოყენებული მეთოდოლოგია. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა ერთჯერადმა ფაქტორმა შეიძლება შესწორების გარეშე საეჭვო გახადოს ციკლურად კორექტირებული საჯარო ფინანსების მონაცემები დინამიკაში და ქვეყნებს შორის. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სახელმწიფო საწარმოებიდან მომავალი საპენსიო ვალდებულებების ტრანსფერი სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორში, რასაც თან ახლავს არსებული აქტივების გადატანა საწარმოს საპენსიო ფონდიდან სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორში. ეას 93-ში ტრანსფერის დროს ციკლურად კორექტირებული ბალანსი გაუმჯობესდა, თუმცა აღნიშნულმა გრძელვადიან პერიოდში გაუარესება გამოიწვია. ამ ქმედებით ევროკავშირის კომისიისა და ეთგო-ს ეკონომისტებმა არა მხოლოდ ეკონომიკური ციკლის, არამედ ამ „ერთჯერადი“ ფაქტორების გავლენაც გაანეიტრალეს. (ეს წინადადება ცოტა რთულად იკითხება) თუმცა, ერთჯერადი ფაქტორების განმარტება კვლავ ბუნდოვანია.

1. სახელმწიფო მართვის ორგანოების გამარტივებული დიაგრამა

სახელმწიფო მართვის ორგანოები (GG) ქმნის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუციურ სექტორს, რომელიც მოიცავს ცენტრალურ მთავრობას, ადგილობრივ მთავრობას და სოციალური უზრუნველყოფის ფონდებს. ფედერალურ ქვეყნებში, როგორც გერმანიაა, აქ ასევე შედის ქვეყნის ხელისუფლებაც, ე.წ. „Länder“. სახელმწიფო მართვის ორგანოების ოფიციალური კოდი ეროვნულ ანგარიშებში არის „S13“. მარტივად თუ ვიტყვით, ამ სექტორს ორი ფუნქცია აქვს: არასაბაზრო მომსახურების წარმოება (განათლება, ჯანდაცვა, თავდაცვა, პოლიცია და ა.შ.) და შემოსავლის გადანაწილება (სოციალური შეღავათები, სუბსიდიები). ამ ფუნქციების დასაფინანსებლად მთავრობა აწესებს გადასახადებსა და სოციალურ შენატანებს. მათი ნაწილი საჯარო მოხელეების ხელფასზე მიდის, ნაწილი კი - არასაბაზრო მომსახურების შუალედურ მოხმარებასა და ინვესტიციებზე, დანარჩენი გადანაწილდება სოციალურ შეღავათებსა და სუბსიდიებზე.

ეროვნულ ანგარიშებში ყველა ინსტიტუციური ერთეულისთვის, იქნება ეს კერძო, თუ სახელმწიფო, ერთიანი სააღრიცხვო სქემაა გამოყენებული. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ სამთავრობო სააგენტოებს ფირმებისგან განსხვავებული სტრუქტურა აქვთ. ერთი მხრივ, სამთავრობო მომსახურებას არ გააჩნია გასაყიდი ფასი, რამდენადაც ის უფასოა. მეორე მხრივ, სახელმწიფო მართვის ორგანოების მიზანს არ წარმოადგენს საოპერაციო მოგების მიღება. ფაქტობრივად, ეკონომისტები განსხვავებულ აგრეგატებს იყენებენ ფირმებისა და სახელმწიფო ორგანოებისთვის: ფირმების შემთხვევაში მათ ძირითადად აინტერესებთ მოგების ნორმა (წმინდა საოპერაციო მოგება/დამატებული ღირებულება), ხოლო სახელმწიფო მართვის ორგანოების დროს - წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება (რომლის კოდია „B9“).

ჩანართი 9.2. რატომ არის მნიშვნელოვანი B9 მუხლი?

სახელმწიფო მართვის ორგანოების B9 მუხლი (წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება) შემოსავლების და ხარჯების სხვაობაა. უარყოფითი B9 მიანიშნებს ბიუჯეტის დეფიციტზე ან „წმინდა სესხებაზე“, რაც გვიჩვენებს, რომ მთავრობამ დაფინანსების მიზნით სესხი უნდა აიღოს. მთავრობა უნდა ცდილობდეს, რომ იმაზე მეტი არ დახარჯოს, რასაც სტრუქტურულ საფუძველზე აგროვებს. ზოგადად, სესხება იწვევს სახელმწიფო ვალის გაზრდას და ვალის პროცენტების გადახდას, რაც ტვირთად აწვება მომავალ თაობებს. დადებითი B9 მიანიშნებს წმინდა დაკრედიტებაზე, ან „გადაჭარბებაზე“, რაც მთავრობას საშუალებას აძლევს შეამციროს ვალი. B9 მუხლი მასტრიხტის შეღებვების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია (იხ. რუბრიკა „ჩაუღრმავდით“ ამ თავის ბოლოს). შედეგად, ევროპის ქვეყნები დიდ ყურადღებას უთმობენ ამ დამაბალანსებელ მუხლს.

ცალკეული არაეფროპული ქვეყნები, მაგალითად, აშშ, უპირატესობას ანიჭებს სხვა დამაბალანსებელ მუხლს, სახელდობრ, წმინდა დანაზოგს (B8N). B9 ბალანსის ნაკლოვანება იმაში მდგომარეობს, რომ ის შეიძლება უარყოფითი გახდეს მთავრობის მიერ განხორციელებული ინვესტიციების შედეგად, რაც უმეტეს შემთხვევებში დადებითია თავისი ბუნებით, რადგან სამომავლო გამოშვებაში შეაქვს წვლილი. წმინდა დანაზოგს (B8N) ის უპირატესობა აქვს, რომ მასზე გავლენას არ ახდენს გარკვეული მოცულობის ინვესტირება მოცემულ პერიოდში, რადგან მხოლოდ მიმდინარე ოპერაციებს ასახავს, სახელდობრ, მიმდინარე შემოსავლებს და მიმდინარე ხარჯებს (ძირითადი კაპიტალის მოხმარების ჩათვლით). ამ დამაბალანსებელი მუხლის გამოყენებით ქვეყნები აკეთებენ დაშვებას, რომ საშუალოდ, მიმდინარე ხარჯები მიმდინარე შემოსავლებით დაიფარება (იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლებელია ინვესტიციების განხორციელება სესხების საშუალებით). ამ წესს ხშირად „ოქროს წესს“ უწოდებენ.

ქვემოთ მოტანილია სახელმწიფო მართვის ორგანოების ანგარიშის გამარტივებული ნახაზი, საიდანაც ჩანს, თუ როგორ ახერხებენ ეროვნული მონაგარიშეები კონკრეტული „არასაბაზრო“ ოპერაციების ჩართვას ანგარიშების ზოგად სქემაში. სხვა სექტორების მსგავსად, სახელმწიფო მართვის ორგანოების ანგარიშიც “T” ფორმისაა, რომლის მარჯვენა მხარეს წარმოდგენილია „რესურსები“, ხოლო მარცხნივ - „გამოყენება“. ფერადი უჯრებით გამოყოფილია ფაქტობრივი მონეტარული ნაკადები (სხვა სიტყვებით, შემოსავლები და ხარჯები), რომელთა შორისაა: გადასახადები და სოციალური შენატანები „რესურსებში“; დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება, შუალედური მოხმარება, სუბსიდიები, სოციალური შეღავათები, ვალის მომსახურების პროცენტი და GFCF „გამოყენებაში“. ამ ფერადი სექციის ბოლოს, სტრიქონში ჩაწერილია დამაბალანსებელი მუხლი - წმინდა სესხება/წმინდა დაკრედიტება. ყველა ეს მოცულობა მიმდინარე ფასებშია ასახული.

ახლა ამ სქემას უნდა დავუმატოთ არამონეტარული ტრანსაქციები (რამდენადაც ისინი უფასოა). ეს იმპუტირებული მუხლები წარმოდგენილია დახრილი შრიფტით უფრო უჯრებში. ანგარიშის ზედა მარჯვენა კუთხეში „რესურსებში“ ვნახავთ, რომ არასაბაზრო მომსახურების გამოშვება ჯამური ხარჯების ტოლია (შრომის ანაზღაურებას პლუს შუალედური მოხმარება პლუს ძირითადი კაპიტალის მოხმარება - იხ. თავი 4). შედეგად, მოგება, ან უფრო ზუსტად, წმინდა საოპერაციო მოგება (NOS) - ნულის ტოლია, რაც არ უნდა გაგვიკვირდეს, როდესაც არაკომერციულ ინსტიტუციებთან გვაქვს საქმე. ეს არასაბაზრო გამოშვება მიეწოდება შინამეურნეობებს და ფირმებს, თუმცა ჩაიწერება არა როგორც მათი, არამედ როგორც

სახელმწიფო მართვის ორგანოების მოხმარება. ამდენად, იმისთვის, რომ რესურსებში მოცემული მთავრობის „იმპუტირებული“ გამოშვება დაბალანსდეს, „განაწილებაში“ გვაქვს სახელმწიფო მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარება, რომელიც არასაბაზრო გამოშვების ტოლია (გარკვეულწილად გამარტივებულია ჩანართი 9.4. „სახელმწიფო მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარების ხარჯების განსაზღვრა“, ამ თავის ბოლოს).

სახელმწიფო მართვის ორგანოების ანგარიში: გამარტივებული დიაგრამა

ფერად უჯრებში ნაჩვენებია მონეტარული ნაკადები, უფეროში - იმპუტირებული ნაკადები

გამოყენება	რესურსები
	არასაბაზრო მომსახურების გამოშვება
შრომის ანაზღაურება	
შუალედური მოხმარება	
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	მოგება = $NOS = 0$
სუბსიდიები	გადასახადები
სოციალური შეღავათები	
ვალის პროცენტი	
	სოციალური შენატანები
<i>საბოლოო მოხმარება არასაბაზრო მომსახურების გამოშვების ტოლია (გარკვეული გამარტივებით)</i>	
GFCF	
წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება	

აღსანიშნავია, რომ „სახელმწიფო მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარება“ ანგარიშების წარმოების წესების (შეთანხმების) საფუძველზეა მიღებული. სახელმწიფო მართვის ორგანოები ფაქტობრივად არ მოიხმარს საკუთარ გამოშვებას. ამ გამოშვებას საზოგადოებრივი მომსახურების სახით მოიხმარენ შინამეურნეობები და ფირმები. როგორც ვხედავთ, აქ არ არის რაიმე დაკვირვებადი მონეტარული ტრანსაქცია (მომსახურება უფასოა), თუმცა, ეროვნული მოანგარიშები ფიქრობდნენ თუ ვისთვის მიეკუთვნებინათ კონკრეტულად ეს მოხმარება, შინამეურნეობებისა თუ ფირმებისთვის - და ის მიაკუთვნეს თვითონ სახელმწიფო მართვის ორგანოებს. ასევე შევნიშნავთ, რომ „იმპუტირებული“ მუხლები (არასაბაზრო მომსახურების გამოშვება და საბოლოო მოხმარება) გავლენას არ ახდენს დამაბალანსებელ მუხლზე (წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება), რადგან მათი ერთდროული დამატება რესურსებსა და გამოყენებაში მათ გაბათილებას გამოიწვევს. ბოლოს, წმინდა

დაკრედიტება/წმინდა სესხება ფაქტობრივი შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობის ტოლი რჩება.

იმ წესიდან, რომ მხოლოდ ფაქტობრივი ნაკადები ახდენს გავლენას წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხების გაანგარიშებაზე, არსებობს გამონაკლისი. მაგალითად, როდესაც მთავრობა ჩამოწერს განვითარებადი ქვეყნის სესხს, არანაირი გადახდა არ ხდება, მაგრამ ეს თანხა ეროვნულ ანგარიშებში ისევ ჩაიწერება როგორც კაპიტალური ტრანსფერის მოხმარება. ამიტომ, ეს გავლენას ახდენს წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო მართვის ორგანოების ანგარიშის გამარტივებული დიაგრამა წარმოგვიდგენს ოთხ მთავარ კვაზიპრინციპს: (1) წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება მნიშვნელოვანი დამაბალანსებელი მუხლია, რომელიც წარმოადგენს ფაქტობრივი შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობას; (2) განმარტების მიხედვით, არასაბაზრო გამოშვება ჯამური დანახარჯების ტოლია; (3) სახელმწიფო მართვის ორგანოების წმინდა საოპერაციო მოგება ნულის ტოლია; (4) სახელმწიფო მართვის ორგანოები თვითონ მოიხმარენ რასაც აწარმოებენ, ანგარიშების წარმოების წესების შესაბამისად.

2. სახელმწიფო მართვის ორგანოების ანგარიშის დეტალური სტრუქტურა

ამ ქვეთავში ნაჩვენებია საფრანგეთის ანგარიშების სრული ნაკრები 2011 წლისთვის (ფინანსური ანგარიშებისა და აქტივებისა და პასივების ბალანსის ჩათვლით). ანგარიშებში ნაჩვენებია, თუ როგორ ხდება ეროვნულ ანგარიშებთან სახელმწიფო მართვის ორგანოების ანგარიშების ინტეგრაცია წარმოებიდან აქტივ-პასივების ბალანსამდე. ამ შემთხვევაში, T-ფორმის მოდელისგან განსხვავებით, გამოყენების მუხლები რესურსების ქვემოთ იქნება ჩაწერილი. ფაქტობრივად, ეს მხოლოდ პრეზენტაციისთვის კეთდება და გავლენას არ ახდენს ანალიზზე.

როგორც წესი, თითოეული ანგარიში სრულდება დამაბალანსებელი მუხლით, რომელიც კოდირებულია დიდი B ასოთი (მაგალითად, “B1 დამატებული ღირებულება, მთლიანი“) და ნაჩვენებია როგორც გამოყენების ბოლოს, ისე რესურსების თავში. მაგალითად, წარმოების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია მთლიანი დამატებული ღირებულება, რომელიც შემდგომ ნაჩვენებია შემოსავლების ფორმირების ანგარიშის რესურსებში. ნაჩვენებია ზოგიერთი შუალედური დამაბალანსებელი მუხლი (მაგალითად, განკარგვადი შემოსავალი), თუმცა მათ

დიდი მნიშვნელობა არ ენიჭებათ სახელმწიფო მართვის ორგანოებში და ამიტომ იშვიათად განიხილება ეკონომისტების მიერ. სამაგიეროდ, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საბოლოო დამაბალანსებელ მუხლს „წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება“. სხვადასხვა სახის მეორადი ტრანსაქციები ერთად არის დაჯგუფებული მუხლში „სხვადასხვა“, რადგან მათი მნიშვნელობა მარგინალურია და ამდენად, მხოლოდ სპეციალისტებისთვის არის საინტერესო.

დავიწყით ანალიზი ანგარიშების ზედა ნაწილიდან. სახელმწიფო მართვის ორგანოების გამოშვება ძირითადად არასაბაზრო გამოშვებისგან შედგება (376.8 მლრდ ევრო 2011 წელს), რომლის განსაზღვრა და შეფასება ახსნილია დიაგრამაზე და მე-4 თავში.

ამ მუხლის ოფიციალური სახელწოდებაა „სხვა არასაბაზრო გამოშვება“, მაგრამ ტექსტში და დიაგრამაზე გამარტივებული სახით არის წარმოდგენილი.

აქ გვხვდება აგრეთვე გარკვეული საბაზრო გამოშვება და გამოშვება საკუთარი მოხმარებისთვის (ჯამურად 59.4 მლრდ ევრო). ეს უკანასკნელი შედგება სახელმწიფო მართვის ორგანოების გაყიდვებისგან (პუბლიკაციები, საავადმყოფოების გაყიდვები, საბრძოლო გემების გაყიდვები, წყლით მომარაგება საზოგადოებრივი სინდიკატების მიერ). გამოშვება საკუთარი მოხმარებისთვის ძირითადად შედგება შიდა მოხმარებისათვის გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფის წარმოებისგან.

მას შემდეგ, რაც ჯამურ გამოშვებას გამოაკლდება შუალედური მოხმარება 109.6 მლრდ ევრო (რომელიც წარმოადგენს საქმიანობის საოპერაციო ხარჯებს, როგორცაა ქაღალდი, ტელეფონი, რენტა და ა.შ.), მიიღება სახელმწიფო მართვის ორგანოების მთლიანი დამატებული ღირებულება 326.7 მლრდ ევრო, რომელიც მშპ-ის 16.3%-ია (იხ. ჩანართი 9.3: „შეზღუდვები და მახეები“). შემოსავლების ფორმირების ანგარიშის ხარჯების დიდი ნაწილი საჯარო მოხელეების ანაზღაურებაზე მოდის (262.7 მლრდ ევრო), რომელიც ფაქტობრივ და იმპუტირებულ სოციალურ შენატანებს მოიცავს (იხ. თავი 6). საფრანგეთში სახელმწიფო მართვის ორგანოების იმპუტირებული სოციალური შენატანები საკმაოდ მაღალია, რადგან სახელმწიფო თავისი მოხელეებისთვის თვითონ გამოდის საპენსიო სისტემის მმართველად და ამიტომ არ იხდის დამსაქმებლის შენატანებს. ამიტომ, საჭირო ხდება ამ მუხლის იმპუტირება, რათა შეფასდეს საჯარო მოხელეების დაქირავების ფაქტობრივი ღირებულება.

ცხრილი 9.2. სახელმწიფო მართვის ორგანოების არაფინანსური ანგარიშები
საფრანგეთი, 2011

წარმოების ანგარიში		
<i>სულ რესურსები</i>		
P11_P12	საბაზრო გამოშვება და გამოშვება საკუთარი მოხმარებისთვის	59.4
P13	არასაბაზრო გამოშვება	376.8
<i>სულ გამოყენება</i>		
P2	შუალედური მოხმარება	109.6
B1G	მთლიანი შიდა პროდუქტი/ მთლიანი დამატებული ღირებულება	326.7
K1	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	53.8
B1N	წმინდა შიდა პროდუქტი/ წმინდა დამატებული ღირებულება	272.9
შემოსავლების ფორმირების ანგარიში		
<i>სულ რესურსები</i>		
B1N	წმინდა შიდა პროდუქტი/ წმინდა დამატებული ღირებულება	272.9
<i>სულ გამოყენება</i>		
D1	შრომის ანაზღაურება	262.7
	სხვადასხვა	6.3
B2N	წმინდა საოპერაციო მოგება	3.8
პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში		
<i>სულ რესურსები</i>		
B2N	წმინდა საოპერაციო მოგება	3.8
D2	გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე, მისაღები	305.2
	სხვადასხვა	- 13.4
<i>სულ გამოყენება</i>		
D41	პროცენტი	52.6
B5N	წმინდა ეროვნული შემოსავალი/ პირველადი შემოსავლების წმინდა სალდო	242.9
შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში		
<i>სულ რესურსები</i>		
B5N	წმინდა ეროვნული შემოსავალი/ პირველადი შემოსავლების წმინდა სალდო	242.9
D5	მიმდინარე გადასახადები შემოსავალზე, ქონებაზე და ა.შ.	224.6
D61	სოციალური შენატანები	375.6
D7	სხვა მიმდინარე ტრანსფერები	14.3
<i>სულ გამოყენება</i>		
D5	მიმდინარე გადასახადები შემოსავალზე, ქონებაზე და ა.შ., გადასახდელი	0.1
D62	სოციალური შეღავათები ნატურალური სოციალური ტრანსფერების გარდა	388.7
D631	ნატურალური სოციალური ტრანსფერები (საბაზრო მწარმოებლების მიერ)	122.0
D7	სხვა მიმდინარე ტრანსფერები	64.9
B6N	წმინდა განკარგვადი შემოსავალი	403.7
შემოსავლების გამოყენების ანგარიში		
<i>სულ რესურსები</i>		
B6N	წმინდა განკარგვადი შემოსავალი	403.7
<i>სულ გამოყენება</i>		
P3	საბოლოო მოხმარების ხარჯები	490.0
P31	--- ინდივიდუალური მოხმარების ხარჯები	320.5
P32	--- კოლექტიური მოხმარების ხარჯები	169.5
B8N	წმინდა დანაზოგი	- 86.2

კაპიტალის ანგარიში

<i>სულ რესურსები</i>		
B8N	წმინდა დანაზოგი	- 86.2
	წმინდა კაპიტალური ტრანსფერები	- 9.1
<i>სულ გამოყენება</i>		
P5	მთლიანი კაპიტალის ფორმირება	62.5
	-- ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	62.7
	-- სხვა	- 0.2
K1	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	53.8
P5N	წმინდა კაპიტალის ფორმირება	8.7
B9	წმინდა დაკრედიტება (+)/წმინდა სესხება (-)	- 105.9

ცხრილი 9.2. სახელმწიფო მართვის ორგანოების ფინანსური ანგარიშები
საფრანგეთი, 2011

<i>ფინანსური ანგარიში</i>		
	<i>ცვლილებები ვალდებულებებში (ტრანსაქციების ნაკადები)</i>	133.3
F2	ნაღდი ფული და დეპოზიტები	7.1
F3	ფასიანი ქაღალდები აქციების გარდა	125.1
F4	სესხები	- 9.6
F5	აქციები და სხვა კაპიტალში მონაწილეობის სხვა სახეები	
F6	დაზღვევის ტექნიკური რეზერვები	
F7	სხვა კრედიტორული დავალიანება	10.8
	<i>ცვლილებები აქტივებში (ტრანსაქციების ნაკადები)</i>	27.5
F1	მონეტარული ოქრო და ნსუ	
F2	ფასიანი ქაღალდები აქციების გარდა	15.9
F3	სესხები	- 4.7
F4	აქციები და სხვა კაპიტალში მონაწილეობის სხვა სახეები	7.0
F5	დაზღვევის ტექნიკური რეზერვები	- 4.8
F6	ფასიანი ქაღალდები აქციების გარდა	0.0
F7	სხვა დებიტორული დავალიანება	14.1

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144124>

სახელმწიფო მართვის ორგანოების აქტივების და ვალდებულებების ბალანსი, 2011

	ღირებულება 2011 წლის დასაწყისში	ტრანსაქციები	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	გადაფასება	მოცულობის სხვა ცვლილებები და კორექტირება	ღირებულება 2011 წლის ბოლოს
არაფინანსური აქტივები	1 693.8	63.0	53.6	54.6	5.6	1 763.4
ფინანსური აქტივები (კონსოლიდირებული)	921.4	31.4		- 30.0	- 1.1	921.7
ფინანსური ვალდებულებები (კონსოლიდირებული)	2 030.9	135.3		11.6	0.1	2 177.8
წმინდა სიმდიდრე	584.3	- 40.9	53.6	13.1	4.4	507.2

წყარო: Insee Databases (2013): Statistical indices and series: Macroeconomic Database: National Accounts http://www.bdm.insee.fr/bdm2/index?request_locale=en; და OECD (2014), “General Government Accounts: Main aggregates”, OECD National Accounts Statistics (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00020-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00020-en) და OECD (2014), “Financial Accounts: Consolidated flows, annual”, OECD National Accounts Statistics (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00022-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00022-en).

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144124>

წმინდა საოპერაციო მოგება 3.8 მლრდ ევროს ტოლია, რომელიც მაკროანგარიშების ამ დონეზე პრაქტიკულად ნულის ტოლია. ეს გარკვეულწილად გასაკვირია, რადგან ადრე აღვნიშნეთ, რომ სახელმწიფო მართვის ორგანოების მოგება ნულია განსაზღვრის მიხედვით. საქმე იმაშია, რომ დიაგრამა ძალიან გამარტივებულია და რამდენადაც სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორის მცირე ნაწილი საქმიანობს როგორც საბაზრო საწარმოები (მაგალითად, წყლით უზრუნველყოფის ერთეულები), ამიტომ ისინი იწერენ საოპერაციო მოგებას ან ზარალს. ეს მოცულობები ძალიან მცირეა და უნდა გვახსოვდეს, რომ პრინციპულად, სახელმწიფო მართვის ორგანოების წმინდა საოპერაციო მოგება ნულის ტოლია. აღნიშნულს შეიძლება ვუწოდოთ ეროვნული ანგარიშების ერთ-ერთი ძირითადი იგივეობა.

ჩანართი 9.3. მშპ-ის ხვედრითი წილების შეზღუდვები და მახეები

საჯარო ფინანსების ყველა ძირითადი ინდიკატორი ჩვეულებრივ პროცენტულად გამოისახება, როგორც მშპ-ის ხვედრითი წილი, სხვა სიტყვებით, მოცულობები მიმდინარე ფასებში იყოფა მშპ-ზე მიმდინარე ფასებში და 100-ზე მრავლდება. ეს საშუალებას იძლევა, რომ შევადაროთ სხვადასხვა ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტი (მლრდ ევროებში ან სხვა ვალუტაში). სხვა შემთხვევაში, აბსოლუტური მნიშვნელობებით ამას აზრი არ ექნებოდა, რადგან დიდ ქვეყანას უფრო მეტი შესაძლებლობები აქვს იმისთვის, რომ დააფინანსოს თავისი დეფიციტი, ხოლო პატარა ქვეყანას მცირე საგადასახადო და სასესხო პოტენციალი აქვს. საჯარო ფინანსების ყველა ინდიკატორი შეიძლება წარმოვადგინოთ მშპ-ს ხვედრითი წილის სახით, განსაკუთრებით კი მთავრობის ხარჯები და ფისკალური ტვირთი, რომელიც გადასახადებისა და სავალდებულო სოციალური შენატანების ჯამია. ეს ორი ინდიკატორი ფართოდ გამოიყენება მთავრობის როლის მნიშვნელობის შესაფასებლად ეკონომიკაში, რომელიც საფრანგეთში საკმაოდ მაღალია (უდიდესი ეთგო-ს ქვეყნებს შორის). თუმცა, ეს მიდგომა ღიაა კრიტიკისთვის. მშპ წარმოადგენს დამატებული ღირებულებების ჯამს. ამიტომ, მთავრობის მნიშვნელობა მშპ-ისთვის უნდა გაიზომოს მისი დამატებული ღირებულების ხვედრითი წილით მშპ-ში, რომელიც საფრანგეთში 16.3%-ია. თუმცა, ამ მკაცრი საზომითაც საფრანგეთი უდიდეს კოეფიციენტს ინარჩუნებს ეთგო-ს ქვეყნებს შორის.

შემდეგ გვაქვს ორი ძირითადი ანგარიში: „პირველადი შემოსავლების განაწილების“ და „შემოსავლების მეორადი განაწილების“.

განსხვავება ამ ორ ანგარიშს („პირველადი“ და „მეორადი“) შორის გარკვეულწილად ხელოვნურია და არ უნდა განვიხილოთ რაიმე განსაკუთრებული დატვირთვის მატარებლად.

ამ ანგარიშების რესურსებში „არაპირდაპირ გადასახადებს“ ეწოდება „გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე“ (306.2 მლრდ ევრო), რომელიც საფრანგეთის შემთხვევაში შედგება დამატებული ღირებულების გადასახადისა (VAT) და ნავთობპროდუქტებზე შიდა გადასახადისგან (TIPP). გამოყენებაში ყურადღება მიაქცეით სახელმწიფო ვალის მომსახურების პროცენტის თანხას (52.6 მლრდ ევრო). ასევე აღსანიშნავია ე.წ. პირდაპირი გადასახადები, რომელიც ეროვნულ ანგარიშებში ცნობილია როგორც „გადასახადები შემოსავალსა და ქონებაზე“ (224.6 მლრდ ევრო) და მოიცავს კორპორაციების მოგების გადასახადს და ასევე უამრავ გადასახადს ქონებაზე.

რესურსების ნაწილში მოცემულია მნიშვნელოვანი მოცულობის სოციალური შენატანები, რომელსაც სოციალური უზრუნველყოფის ფონდები იღებენ (375 მლრდ ევრო) და შემდეგ ანაწილებენ შინამეურნეობებზე. აღსანიშნავია, რომ სოციალური უზრუნველყოფის ფონდები ექსკლუზიურად სოციალური შენატანებით არ ფინანსდება, არამედ სხვა საერთო გადასახადებით და ზოგჯერ სესხებითაც. გადასახადები და სოციალური შენატანები „დარიცხვის ბაზაზე“ იზომება (იხ. ჩანართი „დარიცხვის მეთოდი და სამთავრობო ანგარიშები“, ამ თავის ბოლოს).

ეროვნულ ანგარიშებში სოციალური შეღავათების ანალიზი გარკვეულწილად რთულია. კლასიფიკაციაში ერთმანეთისგან განსხვავებულია **სოციალური ტრანსფერები ნატურალური ტრანსფერების გარდა (D62) და ნატურალური სოციალური ტრანსფერები (D631)**. კოდით D62 ჩაიწერება გადარიცხვების დიდი ნაწილი შინამეურნეობებისთვის სოციალური დაზღვევის ფონდებიდან, სოციალური უზრუნველყოფისა და დახმარების ფონდებიდან (პენსიები, სამშობიარო დახმარებები, საოჯახო დახმარებები, გარდაცვალებასთან დაკავშირებული დახმარებები და ა.შ.). ის გამოყენებაში ჩაწერილი „სოციალური შეღავათების“ (388.7 მლრდ ევრო) ერთი ნაწილია (შინამეურნეობების ანგარიშში ის რესურსებში გვხვდება). მეორე ნაწილი ასევე მნიშვნელოვანია და წარმოადგენს სამედიცინო გადარიცხვებს სოციალური უზრუნველყოფის ფონდებიდან (D631, 122 მლრდ ევრო). აქ შედის წამლების, ექიმთან ვიზიტების, პაციენტების ტრანსპორტირების, სახლში მომსახურებისა და კომუნალური ხარჯების ანაზღაურება. გარკვეულწილად უცნაურია, რომ ამ სოციალური შეღავათების მიღება არ არის ნაჩვენები შინამეურნეობების სექტორში და ის ნაჩვენებია დამხმარე ანგარიშში, რომელსაც ეწოდება „კორექტირებული განკარგვადი შემოსავალი“, სადაც ის ნაჩვენებია როგორც სახელმწიფო მართვის ორგანოების და არა შინამეურნეობების საბოლოო მოხმარება.

ამით შეიძლება ავხსნათ ის ფაქტი, რომ ჯამი (P3) **სახელმწიფო მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარება** (490.0 მლრდ ევრო) უფრო მაღალია, ვიდრე არასაბაზრო გამოშვება (376.8 მლრდ ევრო) იმის საპირისპიროდ, რაც გამარტივებულ დიაგრამაში იყო ნაჩვენები. საქმე იმაშია, რომ **ნატურალური სოციალური ტრანსფერების** დიდი ნაწილი, რომელიც წამოადგენს სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ შინამეურნეობებისთვის საბაზრო მწარმოებლებისგან საქონლისა და მომსახურების შეძენას, ჩაიწერება როგორც სახელმწიფო მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარების ხარჯები და არა როგორც სოციალური შეღავათები. საქმეს ისიც ართულებს, რომ ეროვნული მოანგარიშები სახელმწიფო მართვის ორგანოების გაყიდვების მცირე ნაწილს ანგარიშებში წერენ როგორც შინამეურნეობების „ნაწილობრივ გადახდებს“. საფრანგეთის შემთხვევაში მას მიეკუთვნება

საავადმყოფოს დღიური გადასახადი, რაც მთლიანი ჰოსპიტალიზაციის ხარჯების მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენს. ამგვარად, სახელმწიფო მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარების ხარჯების ფორმულა უფრო რთულია, ვიდრე ჩანს გამარტივებულ დიაგრამაზე. აღნიშნული ნაჩვენებია ჩანართში 9.4:

ჩანართი 9.4. სახელმწიფო მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარების ხარჯების განსაზღვრა

P3/S13 სახელმწიფო მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარების ხარჯები = P13/S13 არასაბაზრო გამოშვება – P131/S13 შინამეურნეობების ნაწილობრივი გადახდები + [D6311 + D63121 + D63131]/S13 ნატურალური სოციალური ტრანსფერები, რაც წარმოადგენს საბაზრო მწარმოებლებისგან პროდუქტების შესყიდვას შინამეურნეობებისთვის. ეს მლრდ ევროებში გვაძლევს: $376.8 - 8.9 + 122.0 = 490.0$. სამწუხაროდ, ბოლო ორი ციფრი ფიგურულ ფრჩხილში არ არის ნაჩვენები INSEE-ის მიერ გამოქვეყნებულ ცხრილში. ამისთვის უნდა იხილოთ დამხმარე ანგარიშები.

თავის მხრივ, სახელმწიფო მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარების ხარჯები ორად არის დაყოფილი: **ინდივიდუალური მოხმარების ხარჯები** (320.5 მლრდ ევრო) და **კოლექტიური მოხმარების ხარჯები** (169.5 მლრდ ევრო). პირველი მოიცავს იმ ხარჯებს, რომელიც განკუთვნილია ძირითადად შინამეურნეობების განათლებისა და ჯანდაცვისთვის. მეორე ფარავს ყველა სხვა ხარჯს, თუმცა გადაწყვეტით არ შეიძლება იმის თქმა, თუ ვინ მოიხმარს უშუალოდ ამ ხარჯებს - ფირმები თუ შინამეურნეობები. ეს არის კოლექტიური ხარჯების მუხლი, რომელშიც შედის სამთავრობო ადმინისტრირება, თავდაცვა, პოლიციის მომსახურება და ა.შ. როგორც მე-3 და მე-5 თავებში იყო აღნიშნული, თუ შევაჯამებთ ინდივიდუალური მოხმარების ხარჯებსა და შინამეურნეობების ხარჯებს, მივიღებთ **შინამეურნეობის ფაქტობრივ (რეალურ) საბოლოო მოხმარებას**. ეს კონცეფცია გამოიყენება საერთაშორისო შედარებებში.

„გამოყენების“ მხარეს არის სახელმწიფო მართვის ორგანოების კაპიტალის წმინდა ფორმირება, რომელიც უდრის კაპიტალის მთლიან ფორმირებას, GCF (62.5 მლრდ ევრო) მინუს ძირითადი კაპიტალის მოხმარება (53.8 მლრდ ევრო). და ბოლოს, ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი მუხლი, სახელმწიფო მართვის ორგანოების **წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება (B9A)**, რომელიც 2011 წელს უარყოფითი იყო, -105.9 მლრდ ევრო, რაც ბიუჯეტის დეფიციტზე ან სესხებაზე მიაწინებს. ეს დამაბალანსებელი მუხლი მაასტრიხტის უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია. ამ მუხლით მთავრდება ანგარიშთა მიმდევრობა, რომელიც ცნობილია როგორც სახელმწიფო მართვის ორგანოების **არაფინანსური ანგარიშები**.

არაფინანსურ ანგარიშებს მოსდევს ფინანსური ანგარიშები, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ აფინანსებს მთავრობა ბიუჯეტის დეფიციტს. როგორც „ვალდებულებების ცვლილებიდან“ ჩანს, (განმარტებებისთვის იხ. თავი 8), ეს მოხდა ძირითადად ფასიანი ქაღალდების ანუ სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით, რომელსაც საფრანგეთში ეწოდება: BTF (მოკლევადიანი), BTAN (საშუალოვადიანი) ან OAT (გრძელვადიანი), 125.1 მლრდ ევროს ოდენობით. აქ კომენტარებს არ გავაკეთებთ მცირე ფინანსური ტრანსაქციების შესახებ, თუმცა შევჩერდებით „ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ტრანსაქციების სალდოზე (ბალანსზე)“, რომელიც წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხების მეორე დასახელებაა (ფაქტობრივად, მას იგივე კოდი აქვს: B9B). უნდა აღინიშნოს, რომ აქ B9B დამაბალანსებელი მუხლი ზუსტად ემთხვევა B9A-ს, რაც ხაზს უსვამს სახელმწიფო მართვის ორგანოების ანგარიშების მაღალ ხარისხს ბიზნესის და შინამეურნეობის ანგარიშებთან შედარებით (იხ. ჩანართი „წყაროები“ ამ თავის ბოლოს).

როგორც აქტივ-პასივების ბალანსის „ფინანსური ვალდებულებების“ სტრიქონიდან ჩანს, სახაზინო ობლიგაციების გამოშვების ხარჯზე სახელმწიფო ვალი გაიზარდა (135.3 მლრდ ევრო). სახელმწიფო ვალმა, ეროვნული ანგარიშების განმარტების მიხედვით (რომელიც განსხვავებულია მასტრიხტის ხელშეკრულების მიხედვით), შეადგინა 2 177.8 მლრდ ევრო. INSEE-ს მიხედვით, სახელმწიფო მართვის ორგანოების ჯამურმა აქტივებმა 2 685.0 მლრდ ევრო შეადგინა მიმდინარე ფასებში, რომელთაგან 1 763.4 მლრდ არაფინანსური აქტივებია (მიწა, შენობები, სხვა ნაგებობები) და 921.7 მლრდ - ფინანსური აქტივები (ძირითადად დარეგისტრირებული ან დაურეგისტრირებელი აქციები სახელმწიფო საწარმოებში). აღსანიშნავია, რომ INSEE-ს შეფასებით სახელმწიფო მართვის ორგანოების წმინდა სიმდიდრე გაიზარდა 2011 წელს, ხოლო მთავრობამ ამავე დროს ძალიან მნიშვნელოვნად გაზარდა ვალი. ეს მესიჯები წინააღმდეგობრივია: პირველი დადებითია, მეორე კი - უარყოფითი. დადებითი მესიჯი მეტ დაკვირვებას მოითხოვს, რადგან წმინდა სიმდიდრის ზრდა არსებითად არაფინანსური აქტივების გადაფასებით იყო განპირობებული (+54.6). სავარაუდოდ, ეს განაპირობა სახელმწიფო შენობების ჰოლდინგურმა მოგებამ. თუმცა, ეს შეფასებები ძალიან მიახლოებითია, რადგან, სავარაუდოდ, ძნელია სახელმწიფო შენობების გაყიდვა, ეს მხოლოდ „პოტენციური“ შემოსავალია.

3. რას მოიცავს სახელმწიფო მართვის ორგანოები?

რა თქმა უნდა, სახელმწიფო მართვის ორგანოების ანგარიშები მთლიანობაში იმაზეა დამოკიდებული, თუ რა შედის ამ სექტორში. ცხადია, აქ შედის ქვეყნის

ადმინისტრაციის შემადგენელი ნაწილები, როგორცაა ფინანსთა სამინისტრო ან განათლების სამინისტრო. ფაქტობრივად, ყველა ერთეული, რომელიც ბიუჯეტიდან ფინანსდება, ამ სექტორში შედის. თუმცა არის ბევრი ერთეული, კერძოდ საფრანგეთში, რომელიც „საბაზრო“ და „არასაბაზროს“ ზღვარზეა. ეროვნულ ანგარიშებში ამბობენ, რომ ისინი „საბაზრო და არასაბაზრო სექტორებს შორისაა“. მაგალითად, შედის თუ არა სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორში სახელმწიფო საწარმო Électricité de France (EDF) და საფრანგეთის ფოსტა? არის თუ არა ამავე სექტორის ნაწილი უნივერსიტეტი ან საშუალო სკოლა? რადგან წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება ამ ერთეულების წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხების ჯამის ტოლია, ამიტომ ბიუჯეტის დეფიციტის სწორი გაანგარიშებისა და საერთაშორისო შედარებების მიზნით მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ რომელი ერთეულები შედიან ამ სექტორში.

იმისათვის, რომ **ინსტიტუციური ერთეული** გახდეს სახელმწიფო მართვის ორგანოების ნაწილი, ეროვნულ ანგარიშებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ გადაწყვეტილების მიღების პროცესს. ინსტიტუციური ერთეული არის ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების ცენტრი, რომელიც დამოუკიდებელია მთავარი ფუნქციის შესრულებაში და გააჩნია ანგარიშთა სრული ნაკრები. მისი დამოუკიდებლობა იმაში ვლინდება, რომ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებები, გააფორმოს ხელშეკრულებები და აიღოს ვალი საკუთარი სახელით. თუ ერთეულს ეს ნიშნები არ ახასიათებს, მაშინ ის იმ ინსტიტუციური ერთეულის შემადგენლობაში უნდა შევიდეს, რომელიც მის მაგივრად მიიღებს გადაწყვეტილებებს.

სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორში ერთიანდება ის ინსტიტუციური ერთეულები, რომელთა ძირითადი საქმიანობაა არასაბაზრო საქონლისა და მომსახურების წარმოება ან შემოსავლებისა და ეროვნული სიმდიდრის გადანაწილება. არასაბაზრო მწარმოებლები აწარმოებენ მომსახურებას - ზოგჯერ საქონელსაც - უფასოდ ან ისეთ ფასებში, რომელიც **ეკონომიკურად უმნიშვნელოა**. ეს კონცეფცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმისთვის, რომ გაირკვეს, არის თუ არა ერთეული სახელმწიფო მართვის ორგანოების შემადგენლობაში. ეროვნულ ანგარიშებში ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასები განისაზღვრება როგორც „ფასები, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა არა აქვს მწარმოებლების სასურველ მიწოდებებსა ან მყიდველების სასურველ შესასყიდ მოცულობებზე“. პრაქტიკული ინტერპრეტაცია კი გულისხმობს, რომ უმნიშვნელო ფასის დროს ამ ფასით იფარება მხოლოდ ღირებულების ნახევარზე ნაკლები. ავიღოთ მაგალითად EDF, მსხვილი ელექტროენერგეტიკული საწარმო. ეჭვგარეშეა, ის ინსტიტუციური ერთეულია (აქვს ანგარიშების სრული კრებული), მაგრამ ის არ არის არასაბაზრო მწარმოებელი,

რადგან ელექტროენერგიას ეკონომიკურად მნიშვნელოვან ფასებში ყიდის (ფასები ფარავს ხარჯებს: ხშირად EDF ძალიან მომგებიანია). ამიტომ, სხვა სახელმწიფო საწარმოებთან ერთად, როგორცაა რკინიგზა და ფოსტა, ისიც საწარმოთა სექტორში შედის და არა სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორში. ახლა ავიღოთ საფრანგეთის სტატისტიკური სამსახური, INSEE. ის არ წარმოადგენს ინსტიტუციურ ერთეულს, რადგან ძალიან შეზღუდული ფინანსური ავტონომია აქვს და არ შეუძლია მნიშვნელოვანი ვალის აღება საკუთარი სახელით. ამის გამო, ის შედის მისი ზედამხედველი ინსტიტუციური ერთეულის - ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში, რომელიც თავის მხრივ ერთიანდება ერთეულში, რომელიც ცენტრალური მთავრობის სახელით არის ცნობილი. ამიტომ, INSEE წარმოადგენს სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორს, რადგან ცენტრალური მთავრობა ამ სექტორის ნაწილია. ამ ძირითადი პრინციპების საფუძველზე ეროვნულმა მონაგარიშეებმა შეიმუშავეს გადაწყვეტილებათა მიღების ხე, რომელიც სამი კონკრეტული კითხვისგან შედგება (იხ. ჩანართი 9.5, ქვემოთ).

ჩანართი 9.5. გადაწყვეტილებათა ხე სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორში ინსტიტუციური ერთეულების გაერთიანებისთვის

გადაწყვეტილებათა ხე სამი ერთმანეთთან დაკავშირებული კითხვისგან შედგება: პირველი კითხვა: არის თუ არა ერთეული ინსტიტუციური ერთეული? თუ ასეა, მაშინ გადადით შემდეგ კითხვაზე; თუ არა, მაშინ ის სხვა ინსტიტუციური ერთეულის დაქვემდებარებაშია (როგორც ზემოთ ვნახეთ საფრანგეთის სტატისტიკური სამსახურის შემთხვევაში).

მეორე კითხვა: არის თუ არა ის საჯარო? განმარტება: არის თუ არა ის იმ ერთეულის კონტროლქვეშ, რომელიც სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორშია? თუ ასეა, მაშინ გადადით შემდეგ კითხვაზე; თუ არა, მაშინ ის არ არის სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორში.

მესამე კითხვა: აწარმოებს თუ არა ის არასაბაზრო საქონელსა და მომსახურებას? აქ მთავარი კრიტერიუმია აწარმოებს თუ არა ის საქონელსა და მომსახურებას ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ფასებით, ანუ გასაყიდი ფასი უნდა ფარავდეს პროდუქციის ღირებულების 50%-ზე ნაკლებს. თუ ასეა, მაშინ ერთეული შედის სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორში.

ახლა გადაწყვეტილების მიღების ეს პროცესი გამოვიყენოთ ფერმასთან მიმართებით. არის თუ არა ის ინსტიტუციური ერთეული? დიახ. ხდება თუ არა მისი კონტროლი სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ? არა. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში ფერმები სახელმწიფოს მიერ არის სუბსიდირებული, ისინი არ მიეკუთვნება

სახელმწიფო მართვის ორგანოებს. ახლა განვიხილოთ “Réseau Ferré de France”-ს შემთხვევა. ეს არის სახელმწიფო საწარმო, რომელიც მართავს საფრანგეთის რკინიგზის ინფრასტრუქტურას (ამასთან, SNCF მართავს ამ ინფრასტრუქტურის ტრანსპორტს). ეს არის ინსტიტუციური ერთეული. ის კონტროლდება სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ (მის მენეჯერს ნიშნავს ცენტრალური მთავრობა). მიუხედავად ამისა, მისი გაყიდვები (მოსაკრებელი SNCF-იდან) ფარავს მისი ღირებულების 50%-ზე ცოტა მეტს. ამიტომ, ის არ არის სახელმწიფო მართვის ორგანოების ნაწილი.* მოცემული ხის გამოყენების შემდეგაც რჩება სადაო შემთხვევები, მაგალითად, ფინანსურ ერთეულებთან დაკავშირებით, რადგან მათი გაყიდვები პრაქტიკულ პრობლემებთან არის დაკავშირებული.

*SNCF/RF-ის რეფორმის საფუძველზე, რომელიც 2014 წლის ივნისში გახდა ცნობილი, შეიძლება ეს დასკვნა აღარ იყოს სწორი.

ცხრილში 9.3 ასახულია საფრანგეთის სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორი (ფრჩხილებში მოცემულია თითოეული ელემენტის ხარჯები მათი მნიშვნელობის შესაფასებლად ¹⁾). სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორი სამ ქვესექტორად არის წარმოდგენილი: ცენტრალური მთავრობა (S1311), ადგილობრივი მთავრობა (S1313) და სოცუზრუნველყოფის ფონდები (S1314).

საერთაშორისო კლასიფიკაციაში გათვალისწინებულია ოთხი ქვესექტორი S1312-ის ჩათვლით, რომელიც ფედერაციის შემთხვევაში მოიცავს „სახელმწიფოს“ დონეს. მაგალითად, გერმანიაში ქვესექტორი S1312 მოიცავს “Länder”-ს (მიწები).

ცენტრალური მთავრობა, თუ მას „სახელმწიფოს“ ვიწრო გაგებით გავაიგივებთ, თავისი შემოსავლებითა და ხარჯებით სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორის უდიდესი ერთეულია (ხარჯები 414.6 მლრდ ევროს შეადგენს). საფრანგეთში ცენტრალური მთავრობის შემადგენლობაში შედის ასევე 800-მდე ორგანიზაცია, რომლებსაც კოლექტიურად „ცენტრალური მთავრობის სააგენტოებს“ უწოდებენ. ეს არის ინსტიტუციური და კვაზიინსტიტუციური ერთეულები, რომლებიც ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ. მათ შემადგენლობაშია უნივერსიტეტები, ყველა სპეციალიზებული სკოლა, ატომური ენერგეტიკის კომისია (CEA) და მეცნიერული კვლევების ეროვნული ცენტრი (CNRS). აქედან ჩანს, რომ საფრანგეთში საჯარო სექტორს განათლებისა და მეცნიერებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

**ცხრილი 9.3. საფრანგეთის სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორის
შემადგენლობა**

სახელმწიფო მართვის ორგანოები (S13) (ჯამური ხარჯი 2011: 1 118.5 მლრდ ევრო)	ქვეყანა (S13111) (ჯამური ხარჯი 2011: 414.6 მლრდ ევრო)	სახელმწიფო ბიუჯეტი სპეციალური სახაზინო ანგარიშები დაქვემდებარებული ბიუჯეტები სახაზინო ოპერაციები
	ცენტრალური მთავრობის სააგენტოები (S13112) (ჯამური ხარჯი 2011: 79.5 მლრდ ევრო)	მოიცავს დაახლოებით 800 ერთეულს, რომლებიც ადმინისტრირების სფეროში საქმიანობენ, ასახავს სახელმწიფოს ცენტრალიზაციისა და ინტერვენციის ტრადიციას განსაკუთრებით განათლებაში, კვლევებსა და კულტურის სფეროში.
	ადგილობრივი ორგანოები (S13131) (ჯამური ხარჯი 2011: 215.7 მლრდ ევრო)	„კომუნები“, „დეპარტამენტები“, რეგიონები, კომუნათაშორისი სინდიკატები, ურბანული გაერთიანებები და არასაბაზრო ნახევრად ოფიციალური საწარმოები “régies”
	ადგილობრივი მთავრობის სააგენტოები (S13132) (ჯამური ხარჯი 2011: 34.1 მლრდ ევრო)	
სოციალური დაცვის ფონდები (S1314) (ჯამური ხარჯი 2011: 532.1 მლრდ ევრო)	სოციალური უზრუნველყოფის ფონდები (S13141) (ჯამური ხარჯი 2011: 508.2 მლრდ ევრო)	სოციალური დაცვის სისტემა; სპეციალური ფონდები; სხვა დამხმარე საპენსიო ფონდები დასაქმებულებისა და დამოუკიდებელი მომუშავეებისთვის
	სოციალური დაზღვევის მიერ კონტროლირებადი	სახელმწიფო საავადმყოფოები; სხვა ერთეულები

წყარო: Insee Databases (2013): Statistical indices and series: Macroeconomic Database: National Accounts http://www.bdm.insee.fr/bdm2/index?request_locale=en.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144135>

ადგილობრივი ორგანოები მოიცავს რეგიონებს (22, 2014 წელს), დეპარტამენტებს (101) და კომუნებს (დაახლოებით 36 000) მათთან დაკავშირებულ ორგანიზაციებთან ერთად. და ბოლოს, სოციალური დაცვის ფონდები მოიცავს შემდეგ ფონდებს დასაქმებულებისა და დამოუკიდებელი მომუშავეებისთვის: (CNAM: დაავადებები, CNAF: ოჯახი, CNAVTS: პენსია), UNEDIC (უმუშევრების დაზღვევა), დამხმარე საპენსიო სქემებს (AGIRC, ARRCO) და უდიდეს მუხლს, საჯარო საავადმყოფოებს, ან უფრო ზუსტად, საავადმყოფოებს, რომლებიც მონაწილეობენ საჯარო საავადმყოფოების მომსახურებაში.

4. საჯარო ფინანსების ძირითადი ინდიკატორები

ამ თავის დასაწყისში, ცხრილში მოცემული იყო ოთხი ინდიკატორი: (1) ბიუჯეტის დეფიციტი; (2) სახელმწიფო ვალი; (3) სახელმწიფო ხარჯები და (4) გადასახადები და სავალდებულო სოციალური შენატანები. ჩვეულებრივ, ეს ინდიკატორები მშპ-სთან მიმართებით არის ნაჩვენები პროცენტულად (სხვა სიტყვებით, იყოფა მშპ-ზე მიმდინარე ფასებში და შემდეგ 100-ზე მრავლდება). ევროკავშირის ქვეყნებში პირველი ორი ინდიკატორი მაასტრიხტის კრიტერიუმში შედის და წარედგინება ევროკომისიას. მომდევნო ორი მთავარი არ არის ეროვნულ ანგარიშებში, თუმცა იქიდან მიიღება. (საიდან?) ისინი არ შედიან მაასტრიხტის კრიტერიუმში.

ბიუჯეტის დეფიციტი: მუხლი B9A „სახელმწიფო მართვის ორგანოების წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება“. როდესაც ეს მუხლი უარყოფითია, ადგილი აქვს დეფიციტს და როდესაც დადებითია, ადგილი აქვს გადაჭარბებას.

სახელმწიფო ვალი: სახელმწიფო მართვის ორგანოების აქტივების და პასივების ბალანსში ასახული ვალის მოცულობა. ევროკავშირის ქვეყნებში „შეტყობინებული“ (ან მაასტრიხტისთვის მოხსენებული) სახელმწიფო ვალი მნიშვნელოვნად განსხვავდება ეროვნულ ანგარიშებში ჩაწერილი ვალისგან სამი მიზეზის გამო: პირველი, შეტყობინებული ვალი კონსოლიდირებულია, რაც ნიშნავს, რომ ცენტრალური მთავრობის ერთეულების ვალები ერთმანეთში გადაიფარება. მაგალითად, ცენტრალური მთავრობის ვალი ადგილობრივი ორგანოებისადმი. მეორე, შეტყობინებული ვალი ნომინალური ღირებულებით ფასდება და არა საბაზროთი, როგორც ეროვნულ ანგარიშებშია. და ბოლოს, შეტყობინებული ვალი მოიცავს მხოლოდ ვალის ნაწილს, აქედან გამომდინარეობს საპენსიო ვალდებულებები,

გადაუხდელი დარიცხული პროცენტები და ძალიან მოკლევადიანი სესხები (კომერციული სესხები და ავანსები). სავარჯიშო 8-ში ნაჩვენებია ამ ორი განმარტების შეთანხმება.

სახელმწიფო ხარჯები: ეს არის ჯამური ფაქტობრივი ხარჯები, ანუ მონეტარული გადახდები სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ.² ეს ინდიკატორი ფართოდ გამოიყენება ეროვნულ ეკონომიკაში სახელმწიფო მართვის ორგანოების როლის შესაფასებლად. პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, საფრანგეთის მთავრობები ყოველთვის ცდილობდნენ ამ მნიშვნელოვანი ინდიკატორის შემცირებას.

გადასახადები და სოციალური შენატანები: ამ ინდიკატორს ბევრი საერთო აქვს წინა ინდიკატორთან, თუმცა ის სახელმწიფო მართვის ორგანოების შემოსავლებით იზომება და არა ხარჯებით. როგორც დასახელებიდან ჩანს, მასში აისახება გადასახადები და ფაქტობრივი შენატანები (და არა იმპუტირებული შენატანები), რაც შინამეურნეობებმა და ფირმებმა უნდა გადაუხადონ სახელმწიფო მართვის ორგანოებს. საფრანგეთს ყველა სხვა ქვეყანასთან შედარებით მაღალი გადასახადები აქვს (იხ. ცხრილი 9.4) და ყველა მთავრობა ცდილობდა მის შემცირებას.

საფრანგეთში ამ ინდიკატორს უწოდებენ “prélèvements obligatoires”, რაც ითარგმნება როგორც „სავალდებულო მოსაკრებლები“.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ქვეყნები ასევე იხდიან გადასახადებს ევროკავშირის ინსტიტუციებში (დამატებული ღირებულების გადასახადის წილს ევროპის თანამეგობრობაში). ამის გამო, უფრო ზუსტი იქნება, თუ ამ მუხლს ერქმევა გადასახადები და სოციალური შენატანები *სახელმწიფო მართვის ორგანოებსა და ევროკავშირის ინსტიტუციებში*.

ცხრილი 9.4. გადასახადები და სავალდებულო შენატანები
მშპ-ის პროცენტი, 2010

საფრანგეთი	42.9
გერმანია	36.1
იტალია	42.9
შვედეთი	45.5
აშშ	24.8
ეთგო - სულ	33.8

წყარო: OECD (2012), “Economy-wide regulation”, OECD Product Market Regulation Statistics (database), [doi: 10.1787/data-00593-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00593-en).

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144143>

შენიშვნები

1. ზოგჯერ, დაბალი დონის ნაწილების ჯამი მაღალ დონესთან შედარებით უფრო მეტია. ეს იმის გამო ხდება, რომ როდესაც ერთი დონით წინ მივიწევთ, ჯვარედინი ტრანსაქციების კონსოლიდაცია მათ გაბათილებას იწვევს. მაგალითად, ცენტრალურ მთავრობასა და ადგილობრივ მთავრობებს შორის ტრანსაქციები ითვლება ცენტრალური და არა საერთო მთავრობის ხარჯად, რადგან ეს ხარჯი სადმე გამოჩნდება შემოსავლის სახით ადგილობრივი მთავრობებისთვის, რომლებიც საერთო სახელმწიფო მართვის ორგანოებში შედიან.
2. მხოლოდ პრინციპში, რადგან პრაქტიკულად ისეთ მოცულობებს მოიცავს, რომლებიც ფაქტობრივად გადახდილი არ არის. (მგონი აქ ცოტა გაუგებარია) მაგალითად, იმპუტირებული შენატანები (შედის დასაქმებულთა ანაზღაურებაში) ან ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება საკუთარი მოხმარებისათვის გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფის ფორმით. მეტიც, ეს თანხა მოიცავს (რა გასაკვირიც არ უნდა იყოს) გარკვეულ „უარყოფით ხარჯებს“, როგორცაა შემოსავლები მობილური სატელეკომუნიკაციო ლიცენზიების გაყიდვიდან.

ბიბლიოგრაფია

- Girouard, N. and C. André (2005), “Measuring Cyclically-adjusted Budget Balances for OECD Countries”, *OECD Economics Department Working Papers*, No. 434, OECD Publishing, [doi: http://dx.doi.org/10.1787/787626008442](http://dx.doi.org/10.1787/787626008442).
- Insee Databases (2013): Statistical indices and series: Macroeconomic Database: National Accounts http://www.bdm.insee.fr/bdm2/index?request_locale=en.
- OECD (2014), “Financial Accounts: Consolidated flows, annual”, OECD National Accounts Statistics (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00022-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00022-en).
- OECD (2014), “General Government Accounts: Main aggregates”, OECD National Accounts Statistics (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00020-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00020-en).
- OECD (2013), *OECD Economic Surveys: France 2013*, OECD Publishing, [doi: http://dx.doi.org/10.1787/eco_surveys-fra-2013-en](http://dx.doi.org/10.1787/eco_surveys-fra-2013-en).
- OECD (2012), “Economy-wide regulation”, OECD Product Market Regulation Statistics (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00593-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00593-en).

საკვანძო მომენტები

- სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორი შედგება ინსტიტუციური ერთეულებისგან, რომლებიც აწარმოებენ არასაბაზრო საქონელსა და მომსახურებას და ეწევიან შემოსავლებისა და ეროვნული სიმდიდრის გადანაწილებას.
- არასაბაზრო გამოშვება მოიცავს შუალედური მოხმარების, მომუშავეთა შრომის ანაზღაურების და ძირითადი კაპიტალის მოხმარების ხარჯებს.
- სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორის წმინდა საოპერაციო მოგება განსაზღვრის მიხედვით ნულის ტოლია.
- ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში მიღებული შეთანხმების მიხედვით, სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორის არასაბაზრო გამოშვება მთლიანად მოიხმარება სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორის მიერ.
- სახელმწიფო მართვის ორგანოების მოხმარება უდრის არასაბაზრო გამოშვებას (მინუს ნაწილობრივი გადახდები) პლუს ნატურალური სოციალური ტრანსფერები, რომელიც მთავრობის მიერ არის შესყიდული შინამეურნეობებისთვის.
- ბიუჯეტის დეფიციტი იზომება B9 მუხლით - სახელმწიფო მართვის ორგანოების „წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება“. თუ ის უარყოფითია, ეს ნიშნავს დეფიციტს; თუ დადებითია, ეს ნიშნავს გადაჭარბებას.
- გადასახადები და სოციალური შენატანები მოიცავს შინამეურნეობებისა და ფირმების მიერ სახელმწიფო მართვის ორგანოებისთვის გადახდილ გადასახადებსა და ფაქტობრივ სოციალურ შენატანებს, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებისთვის, გადახდებს ევროპული ინსტიტუციებისთვისაც.

ჩაულრმავდით

მაასტრიხტის კრიტერიუმი

როდესაც ევროპის ქვეყნებმა გადაწყვეტილება მიიღეს ერთიანი ვალუტის შემოღებასთან დაკავშირებით, საჭირო გახდა ისეთი ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც ევროკავშირს დაიცავდა ცალკეული ქვეყნების არასასურველი ფისკალური მენეჯმენტის გავლენებისგან. თუ ერთი ქვეყანა დაუშვებს ბიუჯეტის დეფიციტს და ამით გაზრდის სახელმწიფო ვალს, რაც მომავალ თაობებს დიდ საზრუნავს გაუჩენს, ეს მთელი ევროზონის დესტაბილიზაციას გამოიწვევს და ფინანსური ბაზრები მიუღებელ დონემდე ასწევს საპროცენტო განაკვეთებს, რაც აუცილებლად რისკის წინაშე დააყენებს ქვეყანას. მიუხედავად მაასტრიხტის ხელშეკრულების შეზღუდვებისა, ყველამ დავინახეთ, რაც მოხდა 2009 წელს საბერძნეთში, ამიტომ მთელი ევროზონა იბრძვის, რომ ეს კატასტროფა სხვა ქვეყნებს დომინოს პრინციპით არ გადაედოს. ევროკომისიამ გადაწყვიტა გაემკაცრებინა შეზღუდვები და გააფართოვა კონკურენტუნარიანობის დისბალანსის კვლევის ანალიზი ევროზონაში. ეს დისბალანსი ერთადერთი ვალუტის არსებობაში იმალებოდა. დავუბრუნდეთ სტატისტიკურ შეფასებებს, პოლიტიკოსები აგრძელებენ ფისკალური წესების შემოღებას ევროკავშირის მთავრობებისთვის ე.წ. „მაასტრიხტის ხელშეკრულების“ საუძველზე. იმის გამო, რომ ეროვნული ანგარიშები საერთაშორისო დონეზე საუკეთესო შესადარისი საანგარიშო სისტემაა, მაასტრიხტის ხელშეკრულებაში ჩადებული კრიტერიუმები ეროვნულ ანგარიშებში გამოყენებულ განმარტებებთან შესაბამისობაში არის მოყვანილი. ყოველი წლის 1 აპრილს და 1 ოქტომბერს ამ კრიტერიუმებთან შესაბამისობა მოხსენდება ევროკომისიას. მათ შორის პირველი კრიტერიუმია შეტყობინებული (მოხსენებული) ბიუჯეტის დეფიციტი, რომელიც S13-B9 მუხლით იზომება ეროვნულ ანგარიშებში. ის მშპ-ის 3%-ზე ნაკლები უნდა იყოს. მეორე კრიტერიუმია შეტყობინებული სახელმწიფო ვალი (განსაზღვრება იხ. ტექსტში), ის მშპ-ის 60%-ზე ნაკლები უნდა იყოს. სანამ ამ კრიტერიუმს მიიღებდნენ, ევროსტატმა რთულ პირობებში საკმაო მოცულობის სამუშაო გასწია ერთიანი რეკომენდაციების შესამუშავებლად. საბოლოო ჯამში, საჯარო ანგარიშების აქტუალობა, შესადარისობა და გამჭვირვალობა გაიზარდა ეროვნული ანგარიშების გამოყენების შემდეგ.

ფაქტობრივად, მაასტრიხტის ხელშეკრულების ეს ორი კრიტერიუმი ერთმანეთთან დაკავშირებულია, რადგან დეფიციტი ვალის გაზრდას იწვევს.

თავდაპირველად, კავშირი 3%-სა და 60%-ს შორის მექანიკური იყო: დაუშვებს, რომ 3%-იანი დეფიციტი ის მოცულობაა, რომელიც ასტაბილურებს 60%-ან ვალს, თუ ნომინალური მშპ 5%-ით იზრდება (რაც მეტ-ნაკლებად გავრცელებული შემთხვევა იყო). ზოგიერთი ეკონომისტი თვლის, რომ მასტრიხტის კრიტერიუმმა უნდა გაითვალისწინოს ქვეყნის ეკონომიკური სიტუაცია. მათი აზრით, აბსურდულია რეცესიის დროს ხარჯების შეკვეცა იმისთვის, რომ არ დაირღვეს კრიტერიუმის მოთხოვნა. ამიტომ ევროკომისია იქითკენ მიისწრაფვის, რომ განიხილოს გრძელვადიანი ტრენდები და მიზნად დაისახა სტრუქტურული დეფიციტის გადალახვა, ანუ დეფიციტის დარეგულირება ეკონომიკური ციკლის გავლენის გათვალისწინებით. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ვალის კრიტერიუმი ასე ვთქვათ, ეწინააღმდეგება კაპიტალის მენეჯმენტის თეორიულ საფუძვლებს, რადგან ის კონცენტრირებულია „მთლიან ვალზე“ და არ ითვალისწინებს არსებულ აქტივებს. კაპიტალის მენეჯმენტის თეორია უპირატესობას „წმინდა ვალს“ ანიჭებს, რომელიც უდრის ვალდებულებებს მინუს აქტივები. ასე იმიტომ ხდება, რომ ორ ქვეყანაში მთლიანი ვალის ერთნაირი მოცულობის შემთხვევაში დიაგნოზი სხვადასხვა იქნება, თუ ის აქტივების მოცულობაზე იქნება დამოკიდებული.

მაგალითად, ერთ ქვეყანას შეიძლება არ ჰქონდეს აქტივები, მეორე კი მნიშვნელოვან აქციებს ფლობდეს. ამ აქციების გაყიდვით შეიძლება მეორე მთავრობამ შეამციროს ვალი, რაც პირველ შემთხვევაში არ გამოგვადგება. პრაქტიკულად, სახელმწიფო მართვის ორგანოების აქტივების გაზომვა რთულია, ასევე რთულია მათი გაყიდვა. სავარაუდოდ, ამით აიხსნება, თუ რატომ ანიჭებს მასტრიხტის ხელშეკრულება უპირატესობას მთლიან ვალს და არა წმინდას. მიუხედავად ამისა, აღნიშნულმა შეიძლება გარკვეული პარადოქსებიც გამოიწვიოს (იხ. სავარჯიშო 7).

მონაცემთა წყაროები: როგორ მიიღება ციფრები?

სახელმწიფო მართვის ორგანოების ანგარიშები ყველაზე ზუსტი ანგარიშებია. შინამეურნეობებისა და ფირმებისგან განსხვავებით, ამ სექტორის ანგარიშები დგება მასში შემავალი ყველა ინსტიტუციური ერთეულის ანგარიშების შეჯამების და არა შერჩევების საფუძველზე. ამიტომ, სახელმწიფო მართვის ორგანოებისთვის ანგარიშების შევსების მეთოდი უფრო ბუღალტრულია, ვიდრე სტატისტიკური. საფრანგეთში სახელმწიფო მართვის ორგანოების ანგარიშები, სოციალური დაცვის სისტემა და სხვა მრავალი ადგილობრივი ერთეული მიმაგრებულია საჯარო ანგარიშების დირექტორატზე “Direction de la Comptabilité Publique” ფინანსთა

სამინისტროში. აქ 30-მდე ადამიანია დასაქმებული, რომლებსაც ევალუბათ ათასობით ანგარიშისა და ბიუჯეტის მუხლების გარდაქმნა ეროვნულ ანგარიშების აგრეგატებად INSEE-ის მითითებების შესაბამისად. ამასთან, კომპილაციის მეთოდი აქ სტატისტიკურია, რადგან პირველადი შეფასებების დროს ჯერ კიდევ ყველა ანგარიში, განსაკუთრებით სოციალური დაცვის სფეროდან, არ არის მზად. მაგალითად, სახელმწიფო მართვის ორგანოებისთვის 2012 წლის პირველადი შეფასებები INSEE-მ 2013 წლის 27 მარტს გამოაქვეყნა. შემდგომ ხდება პირველადი შეფასებების გადახედვა (რევიზია).

სახელმწიფო მართვის ორგანოების ანგარიშების სრულყოფილებას ორი დადებითი შედეგი აქვს: (1) ბევრ ქვეყანაში ამ სექტორისთვის საჭირო არ არის არაფინანსური და ფინანსური ანგარიშების (B9A და B9B, შესაბამისად) შეთანხმება (ე.წ. „სტატისტიკური განსხვავება“ ძალიან მცირეა). (2) ეროვნულ მოანგარიშებს შეუძლიათ სახელმწიფო მართვის ორგანოების ანგარიშების გამოყენება სხვა სექტორების ანგარიშების გასაუმჯობესებლად. მაგალითად, რადგან ამ სექტორში შესაბამისი მონაცემებია გამოყენებული სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ მიღებული სოციალური შენატანების შესახებ, ის შეიძლება გამოვიყენოთ საწარმოთა ანგარიშების გასაუმჯობესებლად, სადაც გადახდილი შენატანები ამომწურავად არ არის წარმოდგენილი. ამის გამო, ეროვნული მოანგარიშების აზრით, სახელმწიფო მართვის ორგანოების ანგარიშები „პილოტის“ როლს ასრულებს.

პროფესიული ხერხები: ხაზის ზევით და ქვევით

საჯარო ფინანსების არასპეციალისტისთვის უამრავი საჯარო დაწესებულების ანგარიშის ანალიზი კომშარს ემსგავსება, როდესაც მათი შეკრება („კონსოლიდაცია“) ხდება საჭირო. ამ ერთეულებს შორის იმდენი ტრანსაქცია და ნაკადია, რომ ადვილია ურთიერთკავშირებში დაზნევა და შეცდომების დაშვება დეფიციტის გამოთვლებში. ეროვნულ ანგარიშებში მარტივი სტანდარტი გამოიყენება, რომელიც მათემატიკურადაც გამოსახება: წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხების მუხლი ადიტიური ცვლადია. სხვა სიტყვებით, ჯამური წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხების მისაღებად საჭიროა თითოეული ერთეულის წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხების შეკრება. ამიტომ ეროვნულ ანგარიშებში იოლია სამთავრობო ერთეულის რეკლასიფიკაციის გავლენის გაზომვა. ამ ერთეულის წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება პირდაპირ დაემატება სახელმწიფო მართვის ორგანოების წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხებას მათ შორის ურთიერთობების გარკვევის გარეშე.

ზოგჯერ მითითება კეთდება ე.წ. „ხაზის ზევით“ და „ხაზის ქვევით“ აღრიცხვასთან დაკავშირებით. რას ნიშნავს ეს უცნაური ტერმინები? რაიმეს დასამალად

გამოიყენებიან? არა. ზოგჯერ ეროვნული მონაგარიშეები მათ იმისთვის იყენებენ, რომ აღწერონ, აქვს თუ არა მოცემულ ოპერაციას გავლენა დეფიციტზე. „ხაზი“ ნიშნავს B9A მუხლს. ოპერაცია არის „ხაზის ზევით“ (მისი ფაქტობრივი ადგილმდებარეობა ანგარიშთა მიმდევრობაში), თუ ის გავლენას ახდენს B9A-ზე და „ხაზის ქვევით“, თუ არ ახდენს გავლენას. განვიხილოთ მაგალითი. ცენტრალურ მთავრობას შეუძლია ნაღდი ფულის მიღება (ან მაგალითად, ვალის ნაწილის გამოსყიდვა), თუ გაყიდის ფასიან ქაღალდებს ან ქონებას. თუ ის აქციებს ყიდის, ოპერაცია ხაზის ქვევითაა (ეროვნული მონაგარიშეები ამბობენ, რომ ეს „სრულიად ფინანსური“ ოპერაციაა). ეს იმიტომ ხდება, რომ აქციები შედის ფინანსურ აქტივებში; ფინანსური აქტივები შედის ფინანსურ ანგარიშში, ანუ ხაზის ქვევით და მიღებული ფულიც ასევე ფინანსური აქტივია. სიტუაცია სრულიად განსხვავებულია, როდესაც მთავრობა ქონებას ყიდის. მიღებული თანხა ისევ ხაზის ქვევით აისახება, ხოლო ქონების გაყიდვა ხაზის ზევით, რასაც შესაბამისად მოყვება ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება. სავარჯიშო 6 იმით არის საინტერესო, რომ მასში ხაზგასმულია ბიუჯეტის დეფიციტის განსაზღვრის ერთ-ერთი შეზღუდვა. რატომ აქვს განსხვავებული გავლენა ფინანსურ განთავსებას (აქციები) და არაფინანსურ განთავსებას (ქონება)? ეს პასუხი შეთანხმებაზეა დაფუძნებული და ისევე როგორც ნებისმიერ შეთანხმებაში, დეფიციტის განსაზღვრებასაც აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები

დარიცხვის მეთოდის გამოყენება სახელმწიფო მართვის ორგანოების ანგარიშებში

ეროვნული ანგარიშები დარიცხვის ბაზაზე დგება (დეტალურად იხ. რუბრიკაში „ჩაუღრმავდით“, თავი 10). აქ უბრალოდ მოვიტანთ ამ მეთოდის გამოყენებას სახელმწიფო მართვის ორგანოების ანგარიშში. ეს მეთოდი ძირითადი სააღრიცხვო მეთოდია კერძო სექტორში, თუმცა, საჯარო სექტორში რამდენიმე ქვეყნის გამოკლებით, ჯერ კიდევ არ არის სრულად დანერგილი. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის სოციალური დაცვის სისტემაში ეს მეთოდი გამოიყენება, სახელმწიფო ბიუჯეტი, განსაკუთრებით კი მისი შემოსავლების ნაწილი ისევ „ნაღდ“ ბაზაზე რჩება. თუმცა, უკანასკნელ წლებში საფრანგეთმა სახელმწიფო დონეზე შეიმუშავა დაგროვებითი სისტემა (“comptabilité generale d'exercice”). მიუხედავად ამისა, საფრანგეთი გადასახადების აღრიცხვის დროს დარიცხვის მაგივრად ფაქტიურად გადახდილი გადასახადების მონაცემებს იყენებს. ამიტომ იძულებული არიან, რომ გარდაქმნან საბიუჯეტო მონაცემები, კერძოდ, დღგ-ს შემთხვევაში. პრაქტიკულად, მთავრობა ფორმების მიერ გადახდილ დღგ-ს მხოლოდ ექვსი კვირის დაგვიანებით იღებს. ამიტომ, INSEE ექვსი კვირით ადრე წინასწარ გადახდებს აფორმებს (იხ.

სავარჯიშო 8 ამ თავის ბოლოს). ზოგ შემთხვევაში, INSEE გადახდების ნაცვლად მათ შეფასებებს იწერს, ამიტომ ჩნდება კორექტირების მუხლი „შეფასებულია, მაგრამ სავარაუდოდ არ შეგროვდება“ (იხ. სავარჯიშო 5). აგრეთვე, INSEE იძულებულია მნიშვნელოვანი მოდიფიკაციები შეიტანოს მთავრობის მიერ გადახდილი პროცენტების თანხებში, რათა უკეთ მოერგოს დარიცხვის მეთოდს. მაგალითად, ზოგიერთი მთავრობის მიერ გამოშვებული ობლიგაციები „ნულოვანი კუპონითაა“, რაც ნიშნავს, რომ პროცენტები ყოველწლიურად კი არ გადაიხდება, არამედ ობლიგაციის დაფარვის შემდეგ. INSEE ვალდებულია ეს თანხა მთელი ვადის განმავლობაში გადაანაწილოს, რომ მთავრობას სწორი ინფორმაცია მიაწოდოს ყოველწლიური ფაქტობრივი შემოსულობების შესახებ.

მე-9 თავის სავარჯიშოები

სავარჯიშო 1. პირველი ცხრილის განახლება

ამ თავში ცხრილები ამოღებულია ძველი ეას 93 სისტემიდან. გადადით INSEE-ს ვებ გვერდზე <http://www.insee.fr>. გამოიყენეთ სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორის წლიური ანგარიშები და იპოვეთ: სახელმწიფო მართვის ორგანოების წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება (B9A); ბიუჯეტის დეფიციტი; ბიუჯეტის ხარჯები; გადასახადები და სავალდებულო შენატანები. ასევე იპოვეთ მშპ მიმდინარე ფასებში. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით განახლეთ ოთხივე ინდიკატორი ცხრილში 9.1 და მოახდინეთ მათი ადაპტაცია ეას 2008-თან.

სავარჯიშო 2. სწორია თუ მცდარი ქვემოთ მოყვანილი დებულებები?

- ა) დეფიციტი იგივეა, რაც „წმინდა დაკრედიტება“.
- ბ) სახელმწიფო მართვის ორგანოების მთელი გამოშვება არასაბაზროა.
- გ) სოციალური შეღავათები სოციალური შენატანებით ფინანსდება.
- დ) ეროვნული ანგარიშების შეთანხმების მიხედვით, სახელმწიფო მართვის ორგანოები მოიხმარს მთელ მის არასაბაზრო გამოშვებას.
- ე) B9A არის წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხების ოფიციალური კოდი.
- ვ) სახელმწიფო მართვის ორგანოების ინსტიტუციური ერთეულების B9A მუხლების ჯამი ნაკლებია სახელმწიფო მართვის ორგანოების B9A მუხლზე.
- ზ) საფრანგეთში სახელმწიფო მონოპოლიის მქონე ელექტროენერგეტიკული საწარმო (EDF) არის სახელმწიფო მართვის ორგანოების ინსტიტუციური ერთეული.
- თ) არასაბაზრო გამოშვება იყიდება ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ფასებით.
- ი) სახელმწიფო მართვის ორგანოების წმინდა საოპერაციო მოგება ნულის ტოლია.

სავარჯიშო 3. სახელმწიფო მართვის ორგანოების ხარჯების იდენტიფიკაცია

სახელმწიფო მართვის ორგანოების ანგარიშში (რთული სავარჯიშო)

ქვემოთ, ცხრილში მოტანილია INSEE-ს მიერ გამოთვლილი საფრანგეთის სახელმწიფო მართვის ორგანოების ხარჯები 2011 წელს. ამ მოდელის საფუძველზე იპოვეთ ამ გაანგარიშების ძირითადი ელემენტები (მუქი შრიფტით) სახელმწიფო მართვის ორგანოების ანგარიშების სრული ნაკრებით, რომელიც ტექსტშია და ასევე სხვა ინფორმაციის გამოყენებით. ახსენით, თუ რატომ არ არის სახელმწიფო მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარების ხარჯები ასახული ხარჯების მონაცემში,

მიუხედავად იმისა, რომ ის „გამოყენების“ ყველაზე დიდი მუხლია. ახსენით, რატომ არ გაითვალისწინება ძირითადი კაპიტალის მოხმარება.

შუალედური მოხმარება (P2)	109.6
შრომის ანაზღაურება (D1)	262.7
მათ შორის: დამსაქმებლის იმპუტირებული სოციალური შენატანები (D122)	39.1
სხვა გადასახადები წარმოებაზე (D29)	9.5
ქონებიდან შემოსავალი პროცენტების გარდა(D4 გარდა D41-ისა)	0.1
მიმდინარე გადასახადები შემოსავალზე, სიმდიდრეზე და ა.შ. (D5)	0.1
პროცენტები (D41)	52.6
სოციალური შეღავათები ნატურალური სოციალური ტრანსფერების გარდა (D62)	388.7
საბაზრო საქონლისა და მომსახურების ნატურალური სოციალური ტრანსფერები (D63 – ნაწილი)	122.0
სუბსიდიები (D3)	29.5
სხვა მიმდინარე ტრანსფერები (D7)	64.9
კაპიტალური ტრანსფერები (D9, გარდა D995-ისა)	14.5
ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება (P51)	62.7
არაფინანსური აქტივების სხვა წმინდა შესყიდვა (P52, P53, K2)	1.6
ხარჯები, სულ	1 118.5

წყარო: Insee Databases (2013): Statistical indices and series: Macroeconomic Database: National Accounts
http://www.bdm.insee.fr/bdm2/index?request_locale=en.

სავარჯიშო 4. დანახარჯებიდან შემოსავლებამდე

წინა სავარჯიშოში მითითებული იყო ჯამური ხარჯები (1 118.5 მლრდ ევრო). როგორ შეიძლება ძალიან იოლად შემოსავლების მიღება სახელმწიფო მართვის ორგანოების ანგარიშიდან?

სავარჯიშო 5. შემოსავლებიდან სავალდებულო გადასახადებამდე (რთული სავარჯიშო)

სავალდებულო გადასახდელები არის მთავრობისათვის შინამეურნეობებისა და ფირმების მიერ გადახდილი გადასახადები და სავალდებულო სოციალური შენატანები. ამიტომ ის მთავრობის შემოსავლებში შედის. ამ სავარჯიშოს საშუალებით შეეცადეთ საფრანგეთის სახელმწიფო მართვის ორგანოების შემოსავლებიდან (ნაჩვენებია ქვემოთ) გადახვიდეთ სავალდებულო გადასახდელებზე დამხმარე ინფორმაციის საშუალებით. გამოიყენეთ ორი პრინციპი:

(1) არ შეიტანოთ იმპუტირებული სოციალური შენატანები; (2) შეიტანეთ ევროპული ინსტიტუციებისთვის გადახდილი გადასახადები. შედეგი, რაც უნდა მიიღოთ, არის 875.4 მლრდ ევრო.

სახელმწიფო მართვის ორგანოების შემოსავლები
2011

საბაზრო გამოშვება და გაყიდვების ნაშთი (P11)	58.0
გამოშვება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის (P12)	1.4
შინამეურნეობების ნაწილობრივი გადახდები (P13 – ნაწილობრივი)	8.9
სხვა სუბსიდიები წარმოებაზე (D39)	3.1
პროცენტები (D41)	3.6
ქონებიდან შემოსავალი პროცენტების გარდა (D4 გარდა D41-ისა)	12.6
გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე (D2)	305.2
მიმდინარე გადასახადები შემოსავალზე, სიმდიდრეზე და ა.შ. (D5)	224.6
კაპიტალური გადასახადები (D91)	10.3
სოციალური შენატანები (D61)*	375.6
გადასახადები და სოციალური შენატანები, რომელიც შეიძლება ვერ შეგროვდეს (D995)	-6.2
სხვა მიმდინარე ტრანსფერები (D7 გარდა D73-ისა)	14.3
კაპიტალური ტრანსფერები (D9 გარდა D91, D995-ისა)	1.2
სულ მისაღებელი ?	1 012.7
ინფორმაციისთვის:	
* მათ შორის: იმპუტირებული სოციალური შენატანები (D612)	39.1
ფაქტობრივი სავალდებულო გადასახადების მიღება ევროკავშირის ინსტიტუციების მიერ	5.0

წყარო: Source Insee Databases (2013): Statistical indices and series: Macroeconomic Database: National Accounts http://www.bdm.insee.fr/bdm2/index?request_locale=en.

სავარჯიშო 6. დეფიციტის და ვალის ჩაწერა T-ანგარიშებში

ამ სავარჯიშოს მიზანია „ხაზის ზევით“ და „ხაზის ქვევით“ ტრანსაქციებს შორის განსხვავების ილუსტრაცია. სავარჯიშოში გამოყენებულია T-ანგარიშები, რაც შესანიშნავი ინსტრუმენტია ამ მიზნისთვის.

პირველად დავუშვათ, რომ სახელმწიფო ყიდის 10 მლრდ ევროს აქციებს ვალის ნაწილის დასაფარად. ქვემოთ მოტანილი არაფინანსური და ფინანსური ანგარიშების დასრულების საფუძველზე აჩვენეთ, რომ აღნიშნულს არანაირი გავლენა არ ექნება დეფიციტზე.

სახელმწიფო მართვის ორგანოების არაფინანსური ანგარიში

გამოყენება	რესურსები
B9A წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება	

სახელმწიფო მართვის ორგანოების ფინანსური ანგარიში

აქტივების ცვლილება	ვალდებულებების ცვლილება
ნაღდი ფული და დეპოზიტები	ნაღდი ფული და დეპოზიტები
ფასიანი ქაღალდები აქციების გარდა	ფასიანი ქაღალდები აქციების გარდა
აქციები და სხვა კაპიტალი	B9B ფინანსური ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლი

ამავე ანგარიშების გამოყენებით აჩვენეთ, რომ 10 მლრდ ევროს ქონების გაყიდვას ექნება გავლენა B9A-ზე. გააკეთეთ დასკვნები.

სავარჯიშო 7. (წინა ინფორმაციაზე დაყრდნობით, მაგრამ ცოტა გართულებული)

ამ სავარჯიშოს მიზანია T-ანგარიშების დასრულება შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე: მთავრობა ყიდის 5 მლრდ ევროს ქონებას, 3 მლრდ ევროს ფასიან ქაღალდებს, 30 მლრდ ევროს გრძელვადიან სახაზინო ბილეთებს და ყიდულობს 10 მლრდ ევროს მოკლევადიან სახაზინო ბილეთებს. რამდენით შემცირდება დეფიციტი? როგორ შეიცვლება ვალი? შეაჯამეთ სახელმწიფო მართვის ორგანოების წმინდა სიმდიდრის ცვლილება.

სახელმწიფო მართვის ორგანოების არაფინანსური ანგარიში

გამოყენება	რესურსები
GFCF	B9B წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება

სახელმწიფო მართვის ორგანოების ფინანსური ანგარიში

აქტივების ცვლილება	ვალდებულებების ცვლილება
ნაღდი ფული და დეპოზიტები	ნაღდი ფული და დეპოზიტები
მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები	მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები
გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდები	გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდები
აქციები და სხვა კაპიტალი	B9B ფინანსური ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლი

სავარჯიშო 8. გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების გაანგარიშება დარიცხვის საფუძველზე

ცხრილში მოტანილია ხაზინაში დღგ-ს გადახდის კვარტალური მწკრივი. გაიანგარიშეთ დღგ-ს მოცულობა ისე, როგორც ეს ჩაიწერება ეროვნულ ანგარიშებში და გაიხსენეთ, რომ დღგ-ს ფორმირებასა და ხაზინაში მის მიღებას შორის დაცილება ექვსი კვირაა. დავუშვათ, რომ მთავრობამ ნოემბრის დასაწყისში 2 პროცენტული პუნქტით გაზარდა დღგ. აჩვენეთ, რატომ არის დარიცხვის ბაზაზე აგებული მწკრივები მაკროეკონომიკური თვალსაზრისით უფრო სასარგებლო, ვიდრე ნაღდ ბაზაზე?

Q1	Q2	Q3	Q4	Q1	Q2
15 420	16 658	14 548	16 510	18 540	19 870

ამ სავარჯიშოების ამოხსნები შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე:

<http://dx.doi.org/10.1787/9789264214637-27-en>

თავი 10

დანახარჯები-გამომწვების ცხრილი და ინტეგრირებული ეკონომიკური ანგარიშები

ეროვნულ ანგარიშებში ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევაა, როდესაც სტატისტიკოსების მიერ მოწოდებული ცხრილები (თითქმის) სრულიად შესაბამისია, რაც ძალმოსილებას ანიჭებს ეროვნულ ანგარიშებს. ამ თავში ვნახავთ, თუ როგორ ხდება ამ ცხრილების აგება. ამ მიზნით განვიხილავთ რესურსები-გამოყენების ცხრილებს, აგრეგატული მოთხოვნისა და საბოლოო გამოყენების ცხრილებს, შუალედური გამოყენების ცხრილს და დანახარჯები-გამომწვების ცხრილს. დასკვნებს გამოვიტანთ მშპ-ის გაანგარიშებებიდან და ჩავუღრმავდებით ინტეგრირებულ ეკონომიკურ ანგარიშებს.

გამოჩენილი თანამედროვე ფრანგი ეკონომისტის ედმონდ მალინვოს მიხედვით, ეროვნული ანგარიშები „არის ანგარიშების მკაცრი სქემა, რომელშიც ერის ეკონომიკური აქტივობის რაოდენობრივი ინფორმაცია არის წარმოდგენილი“ (Malinvaud, 1973). აქ ხაზგასმა კეთდება ფრაზაზე „ანგარიშების მკაცრი სქემა“. ფაქტობრივად, ყველა მაკროეკონომისტი გონებაში ატარებს ეკონომიკის გამარტივებულ მოდელს, რომელშიც ვინმეს მიერ გაკეთებული მეორის მიერ მოიხმარება, ერთის ექსპორტი მეორის მიერ არის იმპორტირებული და ის, რაც ერთმა დაზოგა, მეორის მიერ არის ინვესტირებული და ა.შ.

თუმცა, საბაზისო სტატისტიკა „ანგარიშების მკაცრი სქემით“ არ არის წარმოდგენილი. ანგარიშები ერთმანეთს არასოდეს არ ებმის ზუსტად. მაგალითად, მოცემული პროდუქტის გამოშვების ჯამური ციფრები არ ემთხვევა მის ჯამურ გამოყენებას. მიზეზი იმაშია, რომ გამოშვების სტატისტიკა გამოყენებისგან განსხვავებულად ივსება: სტატისტიკური კითხვარებით ერთი და იმავე ადამიანებისგან არ ხდება ინფორმაციის მოპოვება; კლასიფიკაციები განსხვავებულია; სტატისტიკოსები განსხვავებულ მეთოდებს იყენებენ და ა.შ. არსებობს ირონიული „თეორემა“ იმის შესახებ, რომ თუ ორ სტატისტიკოსს ერთი და იგივე მონაცემთა ბაზას მისცემთ, მათ მიერ მიღებული აგრეგატული შედეგები აუცილებლად განსხვავებული იქნება!

ამიტომ, მაკროეკონომისტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული ანგარიშებში დამკვიდრდეს ერთ-ერთ იშვიათი შემთხვევა, როდესაც სტატისტიკოსების მიერ მოწოდებული ცხრილები (თითქმის) სრულიად შესაბამისია.

„თითქმის“, რადგან ყოველთვის რჩება ცალკეული შეუსაბამობები, რომელიც ცნობილია „სტატისტიკური განსხვავების“ სახელით და რომელიც შემდგომ იქნება განხილული ამ თავში. ზოგიერთ მათგანს უკვე შევხეთ მე-8 თავში, სადაც განხილული იყო განსხვავება არაფინანსური და ფინანსური ანგარიშების “B9“-ებს შორის.

მთლიანი ჯამი შემადგენელი ნაწილების ჯამების ტოლია, ხოლო რესურსები გამოყენების ტოლია და ა.შ. ამიტომ, მარტივ მოდელს, რომელსაც ყველა მაკროეკონომისტი გონებაში ატარებს, კონკრეტული ფორმა აქვს და ეს აძლევს ეროვნულ ანგარიშებს პოტენციალს.

მიუხედავად ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ სტატისტიკაში საოცრებები არ ხდება. თავსებადი (ურთიერთშეთანხმებული) ცხრილების მისაღებად სტატისტიკოსები

ხშირად იძულებულნი არიან, თუნდაც საუკეთესო მეთოდებს იყენებდნენ, ზოგჯერ თვითნებურად შეკვეცონ ან ზოგან გადააფასონ მონაცემები. ეროვნულ ანგარიშთა ცხრილების ერთმანეთთან შესაბამისობის მაღალი დონის (რამდენიმე მილიონიან დონეზე) მიუხედავად, მათი სიზუსტე გარკვეულ საზღვრებშია მოქცეული (იხ. თავი 11). ზოგიერთი სტატისტიკოსის აზრით, სწორედ ცხრილებს შორის შესაბამისობა წარმოადგენს მაღალი ხარისხის მიღწევის მამოძრავებელ ძალას. ეს შესაბამისობა მიიღწევა რამდენიმე გლობალური ცხრილის საშუალებით, რომლებსაც ამ თავში განვიხილავთ.

1. რესურსები-გამოყენების ცხრილები (SUTs)

ეროვნულ ანგარიშებში გლობალური ცხრილების პირველი წყება ცნობილია „რესურსები-გამოყენების ცხრილების“ სახელით. ასეთი სახის ცხრილი დგება თითოეული კლასიფიცირებული პროდუქტის, მაგალითად, პროგრამული უზრუნველყოფისთვის. ამ პროდუქტისთვის წონასწორობა შემდეგი სახით ყალიბდება:

განტოლება 1:

გამომშვება + იმპორტი = მიწოდება = გამოყენება = შუალედური მოხმარება + საბოლოო მოხმარება + GFCF + მარაგების ცვლილება + ექსპორტი.

ჯერ ვცადოთ ამ განტოლების ინტერპრეტაცია *ციფრებით*. ამ განტოლებიდან გამომდინარეობს, რომ წარმოებული პროგრამების *რაოდენობას* პლუს იმპორტირებული პროგრამების *რაოდენობა*, *აუცილებლად* უდრის მომხმარებელი ფირმების მიერ შესყიდული პროგრამული უზრუნველყოფების *რაოდენობას*. პროგრამული უზრუნველყოფა გამოიყენება როგორც: (1) შუალედური მოხმარება (მცირე „განკარგვადი“ პროგრამები); (2) ინვესტიცია (დიდი პროფესიული პროგრამები); (3) შინამეურნეობების მოხმარება (კერძოდ, თამაშების პროგრამული უზრუნველყოფა); (4) პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელი ფირმების მარაგები დაუმთავრებელი წარმოების სახით, ან (5) ექსპორტი.

ეს არის აბსოლუტური იგივეობა: განსაზღვრის მიხედვით, რესურსები (მეორენაირად „მიწოდება“) *აუცილებლად* გამოყენების ტოლია. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ეროვნული მონგარიშები მას იყენებენ როგორც **საანგარიშო** (ბუღალტრულ) **იგივეობას**. ისინი მუდმივად იყენებენ ამ იგივეობას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საჭიროა რომელიმე მუხლის გამოთვლა დანარჩენი მუხლების მეშვეობით. მაგალითად, დავუშვათ, რომ არ გაგვაჩნია არანაირი სტატისტიკა პროგრამული უზრუნველყოფის მარაგების ცვლილებასთან დაკავშირებით. ეს არაფერია, რადგან ამ

მუხლის მიღება შესაძლებელია საანგარიშო იგივეობიდან სხვა მუხლების დაბალანსების საშუალებით:

მარაგების ცვლილება = მიწოდება - შუალედური მოხმარება - საბოლოო მოხმარება - GFCF - ექსპორტი.

ამგვარად, ორი კურდღლის დაჭერა მოვახერხეთ: შევაფასეთ მარაგების ცვლილება და ამავე დროს დავამტკიცეთ საანგარიშო იგივეობა. ეს მაგალითი შემთხვევით არ აგვირჩევია, რადგან ცალკეულ ქვეყნებში, როგორც მაგალითად, საფრანგეთია, სწორედ ამ გზით მიიღება მარაგების ცვლილება. ამავე დროს, აღნიშნულით ხდება ეროვნული ანგარიშების იმ პარადოქსის თვალსაჩინოება, რომ არ არის სავალდებულო, რესურსები-გამოყენების ცხრილის ყველა მუხლის შესახებ გაგვაჩნდეს სტატისტიკური ინფორმაცია. თუმცა, ამ შემთხვევაში სტატისტიკური მონაცემების სპონტანური დაკავშირება კი არ უნდა მოხდეს, არამედ აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რომელი ციფრები უნდა დავაბალანსოთ, რადგან ეს არ არის მარტივი ამოცანა.

აქედან გამომდინარე, არ უნდა ვიფიქროთ, რომ საანგარიშო იგივეობის მეთოდი უნაკლოა. იმის გამო, რომ მარაგების ცვლილება მიიღება როგორც რესურსებისა და გამოყენების სხვაობა, ამ ორივე მუხლში არსებული შეცდომა ყველა მანვე შედეგით ასახვას პოვებს მარაგების ცვლილებაში. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში უკეთესია, თუ უშუალოდ პირდაპირი სტატისტიკური მონაცემები გვექნება, რათა „ხელით“ შევიტანოთ შესწორებები რესურსები-გამოყენების ბალანსში. როგორც ჩანს, თეორიულად წონასწორობა რესურსებსა და გამოყენებას შორის უდავოა, თუმცა მისი პრაქტიკული დამტკიცება ეროვნული მონაგარიშების „ხელოვნებას“ მოითხოვს. ქვემოთ, ჩანართში განხილულია რესურსები-გამოყენების ცხრილების წყაროები.

ჩანართი 10.1. რესურსები-გამოყენების ცხრილების წყაროები

თავებში 1, 3 და 4 აღვწერთ რესურსები-გამოყენების ცხრილების თითოეული მუხლის წყაროები საფრანგეთის მაგალითზე. ახლა მხოლოდ გაგახსენებთ მათ. საბაზრო გამოშვება მიიღება ძირითადად გაყიდვების სტატისტიკიდან; საქონლის იმპორტისა და ექსპორტის შესახებ მონაცემები მიიღება საბაჟოდან; მომსახურების იმპორტი და ექსპორტი - ძირითადად საგადაამხდელო ბალანსიდან, რომელიც დგება საფრანგეთის ცენტრალური ბანკის მიერ; არასაბაზრო გამოშვება და სახელმწიფო მართვის ორგანოების მოხმარება - საჯარო ანგარიშებიდან.

„შიდა ბაზარზე“ (განისაზღვრება როგორც: გამოშვებას + იმპორტი - ექსპორტი) გამოყენება დამოკიდებულია პროდუქტის სახეობაზე. როდესაც პროდუქტი ინვესტიციაა, მაშინ გამოყენება იქნება GFCF. თუ ეს არ არის საინვესტიციო საქონელი,

მაშინ ის ან შინამეურნეობის მოხმარება ან კიდევ შუალედური მოხმარება. ზოგადად, პროდუქტის ბუნების მიხედვით შეიძლება გადავწყვიტოთ, გაყიდვები შინამეურნეობების მოხმარებისთვის არის, თუ შუალედური მოხმარებისთვის. თუ პროდუქტის ბუნება არ არის დამაკმაყოფილებელი კრიტერიუმი, მაშინ მნიშვნელოვანი დაშვებებია საჭირო იმისთვის, რომ პროდუქტი საბოლოო მოხმარებას მივაკუთვნოთ თუ შუალედურს. ყველაზე რთული შუალედური მოხმარების იდენტიფიკაციაა, რაც იმან გამოიწვია, რომ საფრანგეთში აღარ ტარდება ფირმების სისტემატური კვლევები. ამიტომ, შუალედური მოხმარების მატრიცაში ბევრი უჯრა წარსულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოითვლება. ამის გამო, INSEE თავს არიდებს შუალედური მოხმარების ცხრილების გამოქვეყნებას დეტალურ დონეზე. მარაგების ცვლილება ზოგჯერ სხვა მუხლების სხვაობით მიიღება. თითოეული პროდუქტის მიხედვით შეფასებები კეთდება პროდუქტების კლასიფიკაციის 332-ე დონეზე, რაც ნიშნავს, რომ 332 ცხრილი გვექნება. შემდეგ ხდება მათი აგრეგირება და შედარება გლობალურ დონეზე ფირმების იმ ანგარიშებთან, რაც საგადასახადო სამსახურშია წარდგენილი. შემდეგ, ეროვნული მოანგარიშების ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ ერთმანეთს შეუთანხმონ გლობალური და დეტალური შეფასებები შესაბამისობის მაღალი დონის მისაღწევად. ეს ოპერაცია ცნობილია, როგორც „არბიტრაჟი“ (იხ. თავი 11).

ზემოთ, საანგარიშო იგივეობის ინტერპრეტაცია პროგრამული უზრუნველყოფის *რაოდენობებით* ადვილი იყო. პრაქტიკულად, რესურსები-გამოყენების ცხრილები მონეტარულ ბაზაზე დგება, რაც იმას ნიშნავს, რომ პროგრამული უზრუნველყოფის მოცულობები შეწონილია მილიონობით ეროვნული ვალუტით. თუ გამოყენებულია მიმდინარე ფასები, მაშინ რესურსები-გამოყენების ცხრილები მიმდინარე ფასებშია; თუ ისინი სხვა პერიოდის ფასებშია (ხშირად წინა წლის ფასებში), მაშინ რესურსები-გამოყენების ცხრილები მუდმივ ფასებშია. როგორც მე-2 თავში ვნახეთ, ეროვნული ანგარიშებისთვის მნიშვნელოვანია მუდმივი ფასები, რადგან მშპ-ის ფიზიკური მოცულობის მატების გაზომვა სწორედ ამ ფასებით არის შესაძლებელი. საანგარიშო იგივეობა შენარჩუნებულია როგორც მუდმივ, ისე მიმდინარე ფასებში.

მუდმივ ფასებში საანგარიშო იგივეობა შენარჩუნებულია მხოლოდ ფიზიკური მოცულობებისთვის და არა ჯაჭვურად გადაბმული ფიზიკური მოცულობებისთვის, რადგან ეს უკანასკნელი არაადიტიურია (იხ. თავი 2).

თუმცა, ფასების შემოტანა წონასწორობას გარკვეულწილად ართულებს, რადგან სხვადასხვა ტრანსაქცია ერთი და იმავე ფასებში არ არის ასახული. ქვემოთ მოტანილია რესურსები-გამოყენების წონასწორობის უფრო სრული ვერსია, რომელიც მონეტარული აგრეგატებით არის გამოსახული:

განტოლება 2:

გამოშვება + იმპორტი + გამოუქვითავი დღგ + სხვა გადასახადები პროდუქტებზე - სუბსიდიები პროდუქტებზე + სავაჭრო დანამატი + სატრანსპორტო დანამატი = მიწოდება = გამოყენება = შუალედური მოხმარება + საბოლოო მოხმარება + GFCF + მარაგების ცვლილება + ექსპორტი.

სრული განტოლების ანალიზი

თუ მეორე განტოლებას პირველთან შეადარებთ, განსხვავებას აღმოაჩენთ რესურსებში. რესურსებში დამატებულია გამოუქვითავი დღგ (იხ. რუბრიკა „ჩაულრმავდით: დღგ-ს გაანგარიშებები ეროვნულ ანგარიშებში“), სხვა გადასახადები (მინუს სუბსიდიები) პროდუქტებზე, სავაჭრო და სატრანსპორტო დანამატები. საიდან გაჩნდა ეს დამატებები? პასუხი იმ შეთანხმებებშია, რომელიც თითოეული ტრანსაქციის შეფასებისას გამოიყენება. ამ შეთანხმებებიდან უმნიშვნელოვანესია:

- რესურსების მხარეს: გამოშვების ერთეული ფასდება „საბაზისო ფასებში“, რაც განისაზღვრება როგორც მწარმოებლის მიერ მიღებული ღირებულება ამ ერთეულის გამოშვებისთვის. ამიტომ, ეს განსაზღვრა გამორიცხავს გადასახადებს პროდუქტებზე, რომელიც მწარმოებლის ინვოისში გვხვდება და შემდეგ გადაეცემა ბიუჯეტს. იმპორტი ფასდება “cif” ფასებში, სხვა სიტყვებით, იმ ფასებში, რასაც საზღვარზე იხდიან მათი ღირებულების, დაზღვევისა და ფრახტის (ე.ი. ტრანსპორტის) ჩათვლით წარმოშობის ქვეყნიდან საიმპორტო ქვეყნის საზღვრამდე.
- გამოყენების მხარეს: ყველა შიდა გამოყენება ფასდება საბაზრო ფასებში, რომელიც ცნობილია როგორც საბაზრო (შესყიდვის) ფასები და მოიცავს გამოუქვითავ დღგ-ს და სხვა გადასახადებს, ისევე როგორც სატრანსპორტო და სავაჭრო დანამატებს. ექსპორტი ფასდება “fob” ფასებში, რაც ნიშნავს, რომ კლიენტი ამ ფასს იხდის შესყიდული საქონლის გემზე (თვითმფრინავზე ან სატვირთო ავტომობილზე) დასატვირთად საექსპორტო ქვეყნის საზღვარზე.

როგორც ვხედავთ, რესურსებისა და გამოყენების ფასებს შორის სხვაობა პროდუქტებზე გადასახადებით არის გამოწვეული. დღგ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადასახადია, თუმცა ცალკეულ ქვეყნებში არის სპეციფიური გადასახადები ნავთობპროდუქტებზე, ალკოჰოლზე ან თამბაქოზე. გადასახადებთან ერთად,

რესურსების ფასები მოიცავს აგრეთვე შესაბამის სუბსიდიებს (რომლებიც განიხილება როგორც უარყოფითი გადასახადები) და სატრანსპორტო და სავაჭრო დანამატებს. უკეთ გასაგებად მოტანილია შემდეგი მაგალითები:

- *გადასახადები პროდუქტებზე.* ნავთობის კომპანია აწარმოებს საავტომობილო საწვავს. ერთი ლიტრის გადამუშავების საბაზისო ფასია 20 ცენტი. მომხმარებლის შესასყიდი ფასი დამუშავების ფასთან ერთად მოიცავს დღგ-ს ერთ ლიტრზე, რაც 80 ცენტს შეადგენს. საბოლოო ჩასახმელი ფასი 100 ცენტია. ამიტომ, რესურსები-გამოყენების წონასწორობა (ერთ ლიტრზე) იქნება: 20 (საბაზისო ფასი) + 80 (გადასახადები პროდუქტებზე) = 100 (მომხმარებლის ფასი). საბაზისო ფასში არ შედის გადასახადები, რადგან მწარმოებელი უბრალოდ აგროვებს მათ ბიუჯეტისთვის გადასაცემად.
- *სავაჭრო დანამატი.* პირველად აღსანიშნავია, რომ შეთანხმების მიხედვით, ეროვნული მოანგარიშები საცალო და საბითუმო ვაჭრობის მომსახურებას არ განიხილავენ პირდაპირ მოხმარებად. ამის მაგივრად, საცალო და საბითუმო ვაჭრობის მომსახურება ჩაიწერება როგორც სავაჭრო დანამატი, რომელიც გაყიდული პროდუქტის ღირებულებაში შედის. განვიხილოთ კომპიუტერების მაგალითი. მწარმოებლები პირდაპირ არ ყიდნიან მათ მომხმარებელზე (ინტერნეტვაჭრობასთან დაკავშირებული ზოგიერთი გამონაკლისის გარდა). ამის მაგივრად, მწარმოებლები მათ ყიდნიან სუპერმარკეტის ან სხვა რომელიმე საცალო მოვაჭრის საშუალებით. დავუშვათ, რომ მწარმოებელმა კომპიუტერი სუპერმარკეტს მიყიდა 1 000 ევროდ. სუპერმარკეტი მას ამატებს ვთქვათ, 500 ევროს (მარაგებში შეტანის ხარჯის დასაფარად, საჯაროობისთვის და მოგების დანამატისთვის). ის ასევე ამატებს დღგ-ს 225 ევროს ოდენობით (დღგ 15%-ია). აქედან, რესურსები-გამოყენების წონასწორობა კომპიუტერზე იქნება: 1 000 (მწარმოებლის საბაზისო ფასი) + 500 (სავაჭრო დანამატი) + 225 (დღგ) = 1 725 (მომხმარებლის ფასი).
- თუ სავაჭრო დანამატს გამოვრიცხავთ, მაშინ კომპიუტერისთვის წონასწორობა იქნება: 1 000 (საბაზისო ფასი) + 150 (დღგ) = 1 150 (მომხმარებლის ფასი სავაჭრო დანამატის გარეშე), ხოლო პარალელურად, წონასწორობა ამ „განაწილებული“ პროდუქტისთვის იქნება: 500 (კომერციული მომსახურების საბაზისო ფასი) + 75 (დღგ) = 575 (მომხმარებლის ფასი კომერციული მომსახურებისთვის). ასეთი სახით წარმოდგენილი წონასწორობა ძალიან ხელოვნურია, ამიტომ ის არ მიიღეს ეროვნულმა მოანგარიშებმა, ამდენად ანგარიშების ბოლოს ისინი არ აჩვენებენ კონკრეტული კომერციული მომსახურების მოხმარებას. და მაინც, საცალო და საბითუმო ვაჭრობის გამოშვება სავაჭრო დანამატების ჯამის

ტოლია. ამ წინააღმდეგობის გადასაჭრელად ეროვნული მოანგარიშები უარყოფით სვეტს ამატებენ რესურსები-გამოშვების ცხრილში, რომელშიც შეთანხმების მიხედვით აისახება განაწილების (დისტრიბუციის) გამოშვების გაუქმება. ამ საკითხს მოგვიანებით დავუბრუნდებით ამ თავში.

სრული განტოლება მუდმივ ფასებში

წინა მაგალითები მიმდინარე ფასებში იყო გამოსახული. თუმცა, მე-2 განტოლება შეგვიძლია ზუსტად ისევე გამოვიყენოთ, თუ წინა წლის ფასებს ჩავსვამთ, რაც დაგვეხმარება მარაგების ცვლილების გამოთვლაში.

ქვემოთ მოტანილია მოცემული პროდუქტისთვის A წლის ბალანსი (გამარტივებული) მიმდინარე ფასებში რაოდენობებით, ფასებით და მონეტარული აგრეგატებით. უნდა დავამტკიცოთ, რომ მონეტარული აგრეგატები ერთეულის ფასისა და რაოდენობის ნამრავლის ტოლია.

	გამოშვება	იმპორტი	სავაჭრო დანამატი	დღგ	სულ რესურსები	საბოლოო მოხმარება	GFCF	ექსპორტი	სულ გამოყენება
რაოდენობა	35 900	18 800			48 700	42 150	854	5696	48 700
ერთეულის ფასი	15 000	15 000				18 940	16 000	16 000	
ღირებულება მილიონებში	538.5	192.0	48.7	132.9	903.1	798.3	13.7	91.1	903.1

შემდეგი ბალანსი ასევე მიმდინარე ფასებშია მომდევნო წლისთვის, A + 1.

	გამოშვება	იმპორტი	სავაჭრო დანამატი	დღგ	სულ რესურსები	საბოლოო მოხმარება	GFCF	ექსპორტი	სულ გამოყენება
რაოდენობა	42 000	14 100			56 100	43 580	950	11 570	56 100
ერთეულის ფასი	1 5500	15 500				19 538	16 500	16 500	
ღირებულება მილიონებში	651.0	218.6	56.1	132.4	1 058.1	851.5	15.7	190.9	1 058.1

ქვემოთ მოცემულია რესურსები-გამოყენების ბალანსი A + 1 წლისთვის A წლის ფასებში (მუდმივ ფასებში), რომელიც მიიღება, თუ A + 1 წლის ფასებს ჩავანაცვლებთ A წლის ფასებით.

	გამოშვება	იმპორტი	სავაჭრო დანამატი	დღგ	სულ რესურსები	საბოლოო მოხმარება	GFCF	ექსპორტი	სულ გამოყენება
რაოდენობა	42000	14100			56100	43580	950	11570	56100
ერთეულის ფასი	15000	15000				18940	16000	16000	

ღირებულება მილიონებში	630.0	211.5	56.1	128.1	1025.7	825.4	15.2	185.1	1025.7
--------------------------	-------	-------	------	-------	--------	-------	------	-------	--------

ამ ცხრილის ბოლო სტრიქონში მოცულობები ნაჩვენებია წინა წლის ფასებში. ახლა, იმისათვის, რომ მივიღოთ ფიზიკური მოცულობის ზრდა, საჭიროა A + 1 წლის მოცულობა შევავარდოთ A წლის მიმდინარე ფასებში გამოსახულ ღირებულებასთან. მაგალითად, შინამეურნეობის მოხმარების ფიზიკური მოცულობის ზრდა A და A + 1 წლებს შორის იქნება $825.4/798.3 = 1.0344$, ანუ მატებამ შეადგინა 3.4%.

სპეციალურად უნდა აღინიშნოს დღგ-სა და სავაჭრო დანამატის ფიზიკური მოცულობის ციფრების მნიშვნელობა. ეს ორი მუხლი ფასის ელემენტია, ამიტომ, რამდენად შესაძლებელია მათ მოცულობაზე საუბარი? ეს შეთანხმების კიდევ ერთი მაგალითია ეროვნულ ანგარიშებში, რომელიც შეგვიძლია გამოვიყენოთ. დღგ-ს მოცულობა განისაზღვრება როგორც ფულადი თანხა, რომელიც მიიღება გამოყენების მუხლის მოცულობის მატების ტემპის ნამრავლით დღგ-ზე წინა წლის ფასებში. ჩვენს მაგალითში დღგ-ს მოცულობა A + 1 წლისთვის, ანუ 128.1 მიიღება მატების ტემპის, 3.4%-ის ნამრავლით 123.9-ზე, რაც არის დღგ-ს ღირებულება A წელს. რატომ 3.4%? იმიტომ, რომ ეს არის შინამეურნეობის მოხმარების მოცულობის მატება - მუხლი, რომლის დღგ გადახდილია. ასევე, A + 1 წლისთვის სავაჭრო დანამატის მოცულობა მიიღება მოთხოვნის თითოეული მუხლის მატების ტემპის ნამრავლით A წლის სავაჭრო დანამატზე.

სირთულის მიუხედავად, ზემოთ განხილული მაგალითი გაცილებით მარტივია რეალობასთან შედარებით. ჩვენი მიზანია მოვახდინოთ რესურსები-გამოყენების ცხრილის არსებითი როლის, როგორც ეროვნული ანგარიშების გაანგარიშებების ძირითადი შემადგენელი ნაწილის, ილუსტრაცია როგორც მიმდინარე, ისე მუდმივ ფასებში.

2. ერთობლივი მიწოდებისა და საბოლოო გამოყენების ცხრილები

ზოგადად, ეროვნულ ანგარიშებში მიწოდებისა და გამოყენების იმდენი ცხრილი გვექნება, რამდენი პროდუქტის კატეგორიაცაა. საფრანგეთის შემთხვევაში, ყოველწლიურად 332 ცხრილი დგება მიმდინარე და წინა წლის ფასებში. შემდეგ ეს დეტალური ცხრილები იკრიბება უფრო მაღალი დონის აგრეგატული ცხრილების მისაღებად.

აგრეგატულ (ერთობლივ) დონეზე რესურსები-გამოყენების ცხრილები სამ ნაწილად იყოფა: რესურსების ცხრილი; შუალედური გამოყენების ცხრილი და საბოლოო გამოყენების ცხრილი. თუმცა, ყველა ქვეყანა არ იყენებს ასეთ ჩაშლას. ამიტომ, მათი

გავრცელება ეთგო-ს ყველა ქვეყანაზე არ შეგვიძლია. მიუხედავად ამისა, მათი საშუალებით შესაძლებელია პრაქტიკული პრობლემების წარმოჩენა.

რესურსებისა და გამოყენების ცხრილში რესურსები მარცხნივ არის მოთავსებული.

აშშ-ში რესურსების ცხრილს „სამოდულო“ ცხრილს უწოდებენ.

ქვემოთ მოტანილია საფრანგეთის რესურსები-გამოყენების ცხრილები აგრეგირების ე.წ. E საკლასიფიკაციო დონეზე, რომელიც პროდუქტების 17 ჯგუფს მოიცავს. უფრო ნაკლებად აგრეგირებული პროდუქტები დიდ ადგილს დაიკავებდა. ცხრილი 10.1 ისეა აგებული, რომ თითოეული პროდუქტის რესურსები-გამოყენების ცხრილები ერთმანეთის ქვემოთ არის მოთავსებული. მაგალითად, პირველ სვეტში გვაქვს სოფლის მეურნეობის პროდუქტები (საკლასიფიკაციო მუხლი AZ), მესამეში ნაჩვენებია კვების პროდუქტები (საკლასიფიკაციო მუხლი C1, საკვები, სასმელები და თამბაქოს ნაწარმი). თითოეული მუხლისთვის რესურსების დასახელებებში გვაქვს მე-2 განტოლების ელემენტები: გამოშვება, იმპორტი, დანამატები, გადასახადები, სუბსიდიები.

რუბრიკაში „ჩაულრმავდით“ ახსნილია cif-fob კორექტირება (PCAFAB) და ტერიტორიული კორექტირება (PCHTR).

ცხრილში 10.2 წარმოდგენილია ცხრილი 10.1-ის საპირისპირო ნაწილი, ანუ საბოლოო გამოყენება. პროდუქტის თითოეული სახეობისთვის ნაჩვენებია მისი საბოლოო გამოყენება.

ცხრილი 10.1. საფრანგეთი: რესურსების ცხრილი
მლრდ ევროებში, 2011^a

	გამოშვება	იმპორტი	CIF/FOB კორექტირება	სავაჭრო დანამატი	სატრანსპორტო დანამატი	სულ გადასახადები პროდუქტებზე	მათ შორის პროდუქტებზე	სუბსიდიები პროდუქტებზე	სულ რესურსები
AZ სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და თევზჭერა	76	12	0	23	2	2	2	-1	113
DE სამთომომოვებითი მრეწველობა; ელექტროენერჯისა და წყლის მიწოდება; ნარჩენების მენეჯმენტი და ადგილობრივი საქმიანობები	159	61	0	1	3	14	7	-4	236
C1 საკვების, სასმელისა და თამბაქოს წარმოება	165	35	0	74	7	29	13	0	310
C2 კოქსისა და რაფინირებული ნავთობპროდუქტების წარმოება	51	28	0	10	2	35	10	0	126
C3 ელექტრომწიფობილობების, ელექტრონული და კომპიუტერული მოწყობილობების და ჩარხების წარმოება	91	105	0	45	4	7	7	0	252
C4 სატრანსპორტო მოწყობილობების წარმოება	126	70	0	26	1	13	13	0	236
C5 ინსტიტუციური სექტორების ჯამი- სხვა სამრეწველო პროდუქტების წარმოება	364	199	0	140	16	28	26	0	746
FZ მშენებლობა	271	0	0	0	0	23	21	0	293
GZ ვაჭრობა, ავტომობილებისა და მოტოციკლების შეკეთება	369	3	0	-325	0	2	2	0	50

HZ	ტრანსპორტირება და შენახვა	181	27	-16	0	-36	4	3	-9	151
IZ	განთავსება და საკვებით უზრუნველყოფა	89	0	0	0	0	4	4	0	93
JZ	ინფორმაცია და კავშირგაბმულობა	184	9	0	5	1	12	10	0	209
KZ	ფინანსური და სადაზღვევო მომსახურება	190	6	0	0	0	14	3	0	209
LZ	უძრავი ქონება	293	0	0	0	0	3	3	0	296
MN	სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობა; ადმინისტრაციული და უზრუნველყოფის მომსახურება	446	26	0	0	0	25	13	0	496
OQ	მმართველობა, განათლება, ჯანდაცვა და სოციალური სამუშაო	508	0	0	0	0	1	1	0	509
RU	სხვა მომსახურება	94	2	0	0	0	7	3	0	103
PCH	ეროვნული ტერიტორიის გარეთ მოხმარებული პროდუქტი	0	32	0	0	0	0	0	0	32
PCA	CIF/FOB კორექტირება	0	-16	16	0	0	0	0	0	0
FAB	სულ	3656	598	0	0	0	223	141	-15	4461

a) დამრგვალების გამო სვეტებისა და სტრიქონების ჯამები შეიძლება არ დაემთხვეს საერთო ჯამებს.
 წყარო: Insee (2014), Comptes de la nation, TES et TEE,
http://www.insee.fr/fr/themes/theme.asp?theme=16&sous_theme=5.5

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144159>

ცხრილი 10.2. საფრანგეთი, საბოლოო გამოყენების ცხრილი მლრდ ევროებში, 2011^a

		შინამუ რნეობე ის საბოლო ო მოხმარე ბის ხარჯები	სახელმწ იფო მართვის ორგანო ბის საბოლო ო მოხმარე ბის ხარჯები	შმაკოები ს საბოლო ო მოხმარე ბის ხარჯები	სულ საბოლო ო მოხმარე ბის ხარჯები	სუ ლ GFC F	ფასეუ ლობებ ი	მარაგებ ის ცვლილ ება	სუ ლ GCF	ექსპ ორ ტი	სუ ლ საბ ოლო გამ ოყე ნება
AZ	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და თევზჭერა	32	0	0	32	1	0	2	3	16	51
DE	სამთომოპოვებითი მრეწველობა; ელექტროენერჯისა და წყლის მიწოდება; ნარჩენების მენეჯმენტი და ადდგენითი საქმიანობები	46	0	0	46	0	0	1	1	12	59
C1	საკვების, სასმელისა და თამბაქოს წარმოება	167	0	0	168	0	0	1	1	41	210
C2	კოქსისა და რაფინირებული ნავთობპროდუქტების წარმოება	51	0	0	51	0	0	0	0	15	67
C3	ელექტრომომწოდებლობის, ელექტრონული და კომპიუტერული მოწყობილობების და ჩარხების წარმოება	34	0	0	35	35	0	1	36	82	153
C4	სატრანსპორტო მოწყობილობების წარმოება	67	0	0	67	31	0	4	35	83	185
C5	ინსტიტუციური სექტორების ჯამი-სხვა სამრეწველო პროდუქტების წარმოება	147	30	0	177	34	1	5	39	172	388
FZ	მშენებლობა	13	0	0	13	210	0	0	210	0	224
GZ	ვაჭრობა, ავტომობილებისა და მოტოციკლების შეკეთება	15	0	0	15	0	0	0	0	12	27
HZ	ტრანსპორტირება და შენახვა	35	3	0	38	0	0	0	0	20	58
IZ	განთავსება და საკვებით უზრუნველყოფა	79	1	0	79	0	0	0	0	0	79
JZ	ინფორმაცია და კავშირგაბმულობა	50	1	0	50	39	0	0	39	7	96
KZ	ფინანსური და სადაზღვევო მომსახურება	56	0	0	56	0	0	0	0	10	66
LZ	უძრავი ქონება	206	15	0	221	7	0	0	7	0	228

MN	სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობა; ადმინისტრაციული და უზრუნველყოფის მომსახურება	24	11	0	35	40	0	0	40	25	100
OQ	მმართველობა, განათლება, ჯანდაცვა და სოციალური სამუშაო	57	409	24	490	0	0	0	0	1	490
RU	სხვა მომსახურება	43	20	18	80	3	0	0	3	2	85
PCHT R	ეროვნული ტერიტორიის გარეთ მოხმარებული პროდუქტი	-7	0	0	-7	0	0	0	0	39	32
PCAFA B	CIF/FOB კორექტირება	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
	სულ	1114	490	41	1645	400	1	15	415	538	2599

a) დამრგვალების გამო სვეტებისა და სტრიქონების ჯამები შეიძლება არ დაემთხვეს საერთო ჯამებს.
წყარო: Insee (2014), Comptes de la nation, TES et TEE,
http://www.insee.fr/fr/themes/theme.asp?theme=16&sous_theme=5.5

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144165>

3. შუალედური გამოყენების ცხრილი (IUT)

რესურსებისა და საბოლოო გამოყენების ცხრილების გარდა, ეროვნულ ანგარიშებში გვაქვს პროდუქტების შუალედური მოხმარების ცხრილები საქმიანობის სახეების მიხედვით. საქმიანობის სახეში გაერთიანებულია ფირმები ან მათი ნაწილი მოცემული პროდუქტის წარმოების მიზნით.

უკეთ აღქმის მიზნით განვიხილოთ ელექტროენერჯის რესურსები-გამოყენების ცხრილის პირობითი გამარტივებული მაგალითი. ამ შემთხვევაში გვაქვს გამოშვება (250) + იმპორტი (15) = შუალედური მოხმარება (142) + საბოლოო მოხმარება (97) + ექსპორტი (26). როგორც ვხედავთ, შუალედურ მოხმარებაზე მოდის 142, რომელთაგან საავტომობილო მრეწველობა იყენებს 12-ს, ქსოვილების წარმოება 9-ს, ალუმინის მრეწველობა 26-ს და ა.შ.

ამგვარად დგება მატრიცა, რომელიც ცნობილია შუალედური გამოყენების ცხრილის სახელით (IUT). მატრიცის სტრიქონებში ნაჩვენებია მოხმარება პროდუქტების მიხედვით, ხოლო სვეტებში - შუალედური მოხმარება საქმიანობის სახის მიხედვით. ცხრილში 10.3 ეს მატრიცა წარმოდგენილია E საკლასიფიკაციო დონეზე (17 პროდუქტი/ 17 საქმიანობის სახე) 2011 წლისთვის საფრანგეთის მაგალითზე.

ცხრილი 10.3 ასე უნდა წავიკითხოთ: პირველად, სტრიქონების გაყოლებაზე ვპოულობთ მოცემული პროდუქტის შუალედურ მოხმარებას სხვადასხვა საქმიანობის სახის მიხედვით. მაგალითად, „C2 კოქსი და ნავთობპროდუქტები“-ს გასწვრივ ვკითხულობთ, რომ ის შუალედურად მოხმარებული იყო შემდეგ საქმიანობის სახეებში: AZ (სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და თევზჭერა) 4 მლრდ ევრო; C1-ში (საკვების, სასმელისა და თამბაქოს წარმოება) 1 მლრდ ევრო; HZ-ში (ტრანსპორტირება და შენახვა) 15 მლრდ ევრო და ა.შ. სულ ჯამში, კოქსისა და ნავთობპროდუქტების შუალედურმა მოხმარებამ 60 მლრდ ევრო შეადგინა. ამ

ცხრილის მიხედვით შესაძლებელია პროდუქტების ყველა კატეგორიის შუალედური მოხმარების განსაზღვრა საქმიანობის ყველა სახეობის მიხედვით. C2-ის შემთხვევაში ჩანს, რომ 2011 წელს მისმა შუალედურმა მოხმარებამ სამთომოპოვებით მრეწველობაში, ელექტროენერჯისა და წყლის მიწოდებაში, ნარჩენების მენეჯმენტსა და აღდგენით საქმიანობებში შეადგინა 37 მლრდ ევრო; ტრანსპორტირებასა და შენახვაში - 1 მლრდ, დანარჩენ სახეობებში - 2 მლრდ ევრო და ა.შ. მთლიანობაში მისმა შუალედურმა მოხმარებამ შეადგინა 49 მლრდ ევრო.

ცხრილი 10.3. საფრანგეთი: შუალედური მოხმარების ცხრილი
მლრდ ევროებში, 2011^a

საქმიანობის სახეები	A Z	DE	CI	C 2	C 3	C4	C5	FZ	GZ	H Z	IZ	JZ	KZ	L Z	M N	O Q	R U	სულ
AZ სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და თევზჭერა	17	0	40	0	0	0	3	0	0	0	1	0	0	0	0	0	0	62
DE სამთომოპოვებითი მრეწველობა; ელექტროენერჯისა და წყლის მიწოდება; ნარჩენების მენეჯმენტი და აღდგენითი საქმიანობები	2	66	5	37	1	1	26	4	5	2	2	4	1	2	4	11	2	176
C1 საკვების, სასმელისა და თამბაქოს წარმოება	9	0	39	0	0	0	5	1	3	1	26	1	0	0	4	8	2	99
C2 კოქსისა და რაფინირებული ნავთობპროდუქტების წარმოება	4	1	1	4	0	0	8	4	11	15	1	2	0	0	4	2	1	60
C3 ელექტრომოწყობილობების, ელექტრონული და კომპიუტერული მოწყობილობების და ჩარხების წარმოება	2	3	1	1	20	19	14	14	5	2	0	6	0	0	7	3	2	99
C4 სატრანსპორტო მოწყობილობების წარმოება	0	0	0	0	1	35	1	0	4	2	0	0	0	0	2	5	0	51
C5 ინსტიტუციური სექტორების ჯამში- სხვა სამრეწველო პროდუქტების წარმოება	13	13	11	2	25	31	13	56	12	4	1	12	2	1	13	21	5	358
FZ მშენებლობა	0	4	0	1	1	1	2	39	1	1	0	2	1	4	4	7	1	70
GZ ვაჭრობა, ავტომობილებისა და მოტოციკლების შეკეთება	0	0	1	0	1	1	2	1	11	2	0	1	0	0	1	1	0	23
HZ ტრანსპორტირება და შენახვა	0	1	2	1	1	1	5	2	22	35	1	4	2	1	8	8	2	92
IZ განთავსება და საკვებით უზრუნველყოფა	0	0	0	0	0	0	1	0	3	1	1	1	1	0	2	3	1	14
JZ ინფორმაცია და კომუნიკაციები	0	2	2	0	2	1	5	3	14	3	1	32	13	2	22	8	3	113
KZ ფინანსური და სადაზღვეო მომსახურება	2	2	3	0	1	1	5	5	14	7	2	5	53	18	15	6	2	143
LZ უძრავი ქონება	0	0	1	0	1	1	3	1	16	3	2	4	8	10	14	4	1	68
MN სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობა; ადმინისტრაციული და უზრუნველყოფის მომსახურება	3	11	15	2	12	15	38	28	44	17	5	20	21	11	1	35	8	396
OQ მმართველობა, განათლება, ჯანდაცვა და სოციალური სამუშაო	0	0	0	0	0	1	1	1	1	2	0	1	1	0	2	7	0	19
RU სხვა მომსახურება	0	0	1	0	0	1	1	1	2	1	0	1	1	1	3	1	4	17
PCHTR ეროვნული ტერიტორიის გარეთ მოხმარებული პროდუქტი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
PCAFAB CIF/FOB კორექტირება	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
სულ	52	10	12	49	67	10	25	15	16	96	44	97	10	52	21	13	36	1862
		5	2			9	4	9	9				4		6	1		

a) დამრგვალების გამო სვეტებისა და სტრიქონების ჯამები შეიძლება არ დაემთხვეს საერთო ჯამებს.
წყარო: Insee (2014), Comptes de la nation, TES et TEE, http://www.insee.fr/fr/themes/theme.asp?theme=16&sous_theme=5.5.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144173>

შეამოწმეთ, რომ ცხრილის წაკითხვის დროს ერთმანეთში არ აგერიოთ პროდუქტები და საქმიანობები, კერძოდ, სტრიქონებში მოცემულია პროდუქტები, ხოლო სვეტებში - საქმიანობის სახეები. შეიძლება ერთმანეთს დაემთხვეს პროდუქტისა და საქმიანობის კოდები. სახელდობრ, ჩვენს მაგალითში სოფლის მეურნეობის პროდუქცია და სოფლის მეურნეობის საქმიანობა - ორივე კოდირებულია AZ-ით, რომელთაგან პირველი აერთიანებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, ხოლო უკანასკნელი - სასოფლო-სამეურნეო ფირმებს. მსგავსება და განსხვავება პროდუქტებისა და საქმიანობის სახეების კლასიფიკაციებს შორის ახსნილია დანართში „ჩაურმავედით“.

4. დანახარჯები-გამოშვების ცხრილი

ახლა უკვე შეგვიძლია მოვახდინოთ ზემოთ განხილული სამი ცხრილის სინთეზი კიდევ ორის დამატებით. საშედეგო ფართო დანახარჯები-გამოშვების ცხრილი (IO) მოიცავს ყველაფერ იმას, რასაც ჩვენ საქონლისა და მომსახურების ანგარიშებს ვეძახით. (ის განსხვავდება „ინსტიტუციური სექტორის ანგარიშებისგან“, რომლებიც „ინტეგრირებული ეკონომიკური ანგარიშების“ ნაწილია და წარმოდგენილია ამ თავის მე-7 ქვეთავში). IO ცხრილის ორგანიზაცია ნაჩვენებია ქვემოთ ცხრილში, შუაში გვაქვს შუალედური მოხმარების ცხრილი; მარცხნივ რესურსების ცხრილი და მარჯვნივ - საბოლოო მოხმარების ცხრილი.

ცხრილი 10.4. დანახარჯები-გამოშვების ცხრილი

პროდუქტების რესურსების ცხრილი	შუალედური მოხმარების ცხრილი	საბოლოო მოხმარების ცხრილი
	წარმოების ანგარიში საქმიანობის სახის მიხედვით შემოსავლის ფორმირების ანგარიში საქმიანობის სახის მიხედვით	

შუალედური მოხმარების ცხრილის ქვეშ გვაქვს ორი ანგარიში, რომელიც ჯერ არ გვიხსენებია: წარმოების ანგარიში საქმიანობის სახის მიხედვით და შემოსავლის ფორმირების ანგარიში საქმიანობის სახის მიხედვით (იხ. ცხრილი 10.5). ეს ორი ანგარიში თითოეული საქმიანობის სახისთვის გვაძლევს: გამოშვებას, შუალედურ მოხმარებას და ბოლოს, დამატებულ ღირებულებას; შემდეგ, მის ჩაშლას მუხლებად: შრომის ანაზღაურება და მთლიანი საოპერაციო მოგება (ან შერეული შემოსავალი). ყველა ეს კონცეფცია განვიხილეთ თავებში 6, 7 და 9, რომლებიც ფოკუსირებული იყო

შინამეურნეობებზე, ფირმებსა და სახელმწიფო მართვის ორგანოებზე. ფაქტობრივად, ეს ცხრილები მოიცავს ამ ანგარიშების ჩაშლას საქმიანობის სახის მიხედვით. სახე თუ სახეობა?)

დანახარჯები-გამოშვების (IO) ცხრილის პრეზენტაცია, რომელიც ხუთი ცხრილისგან შედგება, გლობალურად და დეტალურად წარმოგვიდგენს ყველა ეკონომიკურ ურთიერთკავშირს პროდუქტებსა და საქმიანობის სახეებს შორის. იმისათვის, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ ამ ცხრილის მასშტაბები, ვიტყვით, რომ საფრანგეთში IO ცხრილი დგება 139 პროდუქტისა და 139 საქმიანობის სახის მიხედვით. ამიტომ, საფრანგეთის დანახარჯები-გამოშვების ცხრილი შეიცავს 19 321 უჯრას (139 × 139) ყოველი წლისთვის 20 წლის განმავლობაში.

თუმცა, INSEE არ აქვეყნებს ყველა დეტალურ ცხრილს. რესურსებისა და საბოლოო გამოყენების მიღება შესაძლებელია მხოლოდ G დონეზე (88 პროდუქტი), ხოლო დანახარჯები-გამოშვების ცხრილი ხელმისაწვდომია მხოლოდ F დონეზე (38 პროდუქტი). სამწუხაროდ, ყველაზე აგრეგირებული სახითაც კი IO ცხრილის დატევა ერთ გვერდზე შეუძლებელია, ამიტომ აქ ვერ მოვახდენთ მის ილუსტრაციას. თუმცა, სავარჯიშო 1-ში მოცემულია დავალება IO ცხრილის აწყობა კოპირებისა და ჩასმის გამოყენებით. მკითხველისთვის უკეთესი იქნება, თუ ხელახლა გადაიკითხავს მთლიანი IO ცხრილის წინა პარაგრაფებს, რაც საშუალებას მოგვცემს რეალურად დავინახოთ საქონლისა და მომსახურების ანგარიშების მაღალი დონის შიდა შესაბამისობა.

ცხრილი 10.5. საფრანგეთი: წარმოებისა და შემოსავლის ფორმირების ანგარიშები საქმიანობის სახეების მიხედვით⁷

		წარმოების ანგარიში საქმიანობის სახის მიხედვით																	
		AZ	DE	C1	C2	C3	C4	C5	FZ	GZ	HZ	IZ	JZ	KZ	LZ	MN	OQ	RU	სულ
P2	შუალედური მოხმარება	52	105	122	49	67	109	254	159	169	96	44	97	104	52	216	131	36	1862
B1	დამატებული ღირებულება	34	44	32	2	23	17	109	111	200	85	44	85	86	237	221	403	61	1794
P1	გამოშვება საქმიანობის სახის მიხედვით	86	149	154	51	91	126	364	270	369	180	88	182	190	289	437	534	96	3656
		შემოსავლების ფორმირების ანგარიში საქმიანობის სახის მიხედვით																	
		AZ	DE	C1	C2	C3	C4	C5	FZ	GZ	HZ	IZ	JZ	KZ	LZ	MN	OQ	RU	სულ
B1	დამატებული ღირებულება	34	44	32	2	23	17	109	111	200	85	44	85	86	237	221	403	61	1794
D1	შრომის ანაზღაურება	8	20	21	1	19	15	77	68	126	58	30	54	51	14	154	307	44	1064
B2 ან B3	მთლიანი საოპერაციო მოგება ან შერეული შემოსავალი	34	23	9	1	3	1	27	40	68	22	13	29	29	201	61	90	17	666
D29	სხვა გადასახადები წარმოებაზე	1	3	2	0	1	1	6	4	8	5	2	3	6	23	8	11	2	87
D39	საოპერაციო სუბსიდიები	-9	-1	0	0	0	0	0	0	-1	-1	0	-1	0	0	-2	-4	-1	-23

a) დამრგვალების გამო სვეტებისა და სტრიქონების ჯამები შეიძლება არ დაემთხვეს საერთო ჯამებს.
წყარო: Insee (2014), Comptes de la nation, TES et TEE,
http://www.insee.fr/fr/themes/theme.asp?theme=16&sous_theme=5.5.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144184>

5. დანახარჯები-გამომშვების ცხრილის გამოყენება ეკონომიკურ ანალიზში

რა გავლენა ექნება ახალი ჩქაროსნული სარკინიგზო ხაზის გაყვანას ეროვნული ან რეგიონული ეკონომიკის სხვადასხვა დარგზე? ჩქაროსნული ხაზის გასაყვანად ლიანდაგებისთვის საჭიროა ფოლადი, ელექტროგაყვანილობის ბოძები, ხიდისთვის ბეტონის კონსტრუქციები და სხვ. შედეგად, გაიზრდება მოთხოვნა ფოლადისა და ბეტონის წარმოებისთვის. მაგრამ, ეს ყველაფერი არ არის. ფირმამ დამატებით უნდა შეიძინოს ექსკავატორები და ამწეები და შედეგად მოთხოვნა ამ პროდუქტებზეც გაიზრდება, რაც გამოიწვევს მოთხოვნის გაზრდას ფოლადზე და მისი წარმოებისთვის ქვანახშირსა და ელექტროენერგიაზე და ა.შ.

თუ გავიზიარებთ საკმაოდ თამამ მოსაზრებას წარმოების წრფივი ფუნქციის შესახებ და კერძოდ, ფუნდამენტურ დაშვებას, რომ „ტექნიკური კოეფიციენტები“ უცვლელი რჩება (Malinvaud, 1973), დანახარჯები-გამომშვების ცხრილი გამოგვადგება. დარგისთვის „ტექნიკური კოეფიციენტები“ წარმოადგენს ფარდობებს, რომლებიც მიიღება დარგის მიერ მოხმარებული თითოეული პროდუქტის ღირებულების გაყოფით ამ დარგის გამოშვებაზე.

უკეთესი იქნება, თუ „ტექნიკური კოეფიციენტების“ ნაცვლად ვიხმართ „სააღრიცხვო კოეფიციენტებს“, რადგან ჩვენ ვიხილავთ მონეტარულ მოცულობებს და არა რაოდენობებს. მიუხედავად ამისა, ტერმინი „ტექნიკური კოეფიციენტები“ უფრო ხშირად გამოიყენება.

ეს ტექნიკური კოეფიციენტები შეგვიძლია აღვნიშნოთ როგორც α_{ji} , სადაც j არის შუალედურად მოხმარებული პროდუქტი და i არის დარგი (ამიტომ α_{ji} არის i დარგის „ტექნიკური კოეფიციენტი“ j პროდუქტისთვის).

დაშვებულია, რომ ამ გამარტივებულ სივრცეში პროდუქტებისა და საქმიანობის სახეების კლასიფიკაციები იდენტურია, სხვა სიტყვებით, i და j ერთი და იგივე სივრცეებია და ორივე იცვლება 1-დან n -მდე. α_{ji} უდრის X_{ji}/x_i , სადაც X_{ji} არის j

პროდუქტის შუალედური მოხმარება I დარგის მიერ და x_i არის i დარგის გამოშვება.

მათ „ტექნიკურკოეფიციენტებს“ უწოდებენ, რადგან მოცემული წარმოების ტექნიკას ასახავენ: მაგალითად, ერთი ტონა ფოლადის საწარმოებლად საჭიროა 5 ტონა ქვანახშირი, 3 ტონა რკინის მადანი, 10 მეგავატი ელექტროენერგია და ა.შ. ფარდობა, რომელიც მიიღება ხუთი ტონა ქვანახშირის გაყოფით მიღებული ფოლადის ღირებულებაზე, არის მისი წარმოებისთვის საჭირო ტექნიკური მახასიათებელი და ითვლება, რომ მისი მოცულობა უცვლელია. ამ დაშვებების შეზღუდვებთან დაკავშირებით იხილეთ რუბრიკა „ჩაუღრმავდით: ურთიერთკავშირი ეკონომიკურ თეორიასთან“.

ამ აღნიშვნებით და ცვლადით y_j , რომელიც საბოლოო (და არა შუალედურ) მოთხოვნას აღნიშნავს j პროდუქტის მიმართ, გამარტივებული რესურსები-გამოყენების ბალანსი შეიძლება ასე ჩავწეროთ:

$$x_j = X_{j1} + X_{j2} + \dots + X_{jn} + y_j \quad (3)$$

ზემოაღნიშნულის მიხედვით, j პროდუქტის გამოშვება უდრის 1-დან n -მდე სხვადასხვა დარგის მიერ j პროდუქტის შუალედურ მოხმარებას პლუს ამავე პროდუქტ j -ზე საბოლოო მოთხოვნა.

რადგან $a_{ji} = X_{ji} \div x_i$, განტოლება 3 შეიძლება ასე ჩავწეროთ:

$$x_j = a_{j1}x_1 + a_{j2}x_2 + \dots + a_{jn}x_n + y_j \quad (4)$$

გამოვიყენოთ მატრიცის აღნიშვნა, $[A]$ -თი გამოვსახოთ a_{ji} კოეფიციენტების კვადრატული მატრიცა, $[x]$ -ით გამოშვების სვეტის ვექტორი $[x_j]$ და $[y]$ -ით საბოლოო მოთხოვნის ვექტორი $[y_j]$. მაშინ გვექნება:

$$[x] = [A] \times [x] + [y] \quad (5)$$

თუ გადავალაგებთ და დიაგონალური ერთეულის მატრიცას I -ით აღვნიშნავთ, ხოლო ნაშთის ფუნქციას $[x]$ -ით, ვიპოვით, რომ:

$$[x] = [I - A]^{-1} \times [y] \quad (6)$$

სხვა სიტყვებით, გამოშვება უდრის $[I - A]$ მატრიცის შებრუნებული გამრავლებული საბოლოო მოთხოვნის ვექტორზე. (რთულად აღიქმება) თუ თამამ დაშვებას

გავაკეთებთ, რომ ტექნიკური კოეფიციენტები უცვლელია, ეს განტოლება კვლავ ძალაშია Δy -ის ვარიაციის დროსაც მოთხოვნაში. შემდეგ გვექნება:

$$[\Delta x] = [I - A]^{-1} \times [\Delta y] \quad (7)$$

ამიტომ Δx არის გამოშვების ცვლილება, რომელიც განაპირობა Δy -ის ვარიაციამ მოთხოვნაში.

ასეთი გაანგარიშებებით ხდება ჩქაროსნული სარკინიგზო ხაზის გაყვანასთან დაკავშირებული ეფექტების შესწავლა. აღვნიშნოთ Δy_j -ით საბოლოო მოთხოვნის ცვლილება, რაც პროექტმა გამოიწვია და გამოვიყენოთ განტოლება 7. სავარჯიშო 4 მსგავს სიმულაციაზეა აგებული.

6. დამატებული ღირებულებების ჯამიდან მშპ-მდე

ცხრილში 10.5, რომელიც წინ განვიხილეთ, წარმოდგენილი იყო წარმოების ანგარიში საქმიანობის სახის მიხედვით და საქმიანობის თითოეული სახის მიხედვით მივიღეთ დამატებული ღირებულება. პირველ თავში ავხსენით, რომ მშპ არის წარმოების აგრეგატი (ორმაგი აღრიცხვისგან თავისუფალი) და მიიღება *მთლიანი დამატებული ღირებულებების შეჯამებით*. ამ მიდგომას ვუწოდოთ მშპ-ს გაანგარიშება *საწარმოო მეთოდით*. 10.5 ცხრილის შემაჯამებელ სვეტში „მთლიანი დამატებული ღირებულებების“ ჯამი 1794-ია. არის თუ არა ეს ციფრი საფრანგეთის მშპ-ის მნიშვნელობა?

პასუხი არის არა, რადგან ეროვნულ ანგარიშებში მშპ ასევე უნდა შეესაბამებოდეს საბოლოო გამოყენებას; სხვა სიტყვებით, *წარმოების მეთოდით* გაანგარიშებული მშპ *დანახარჯების მეთოდით* გაანგარიშებული მშპ-ის ტოლი უნდა იყოს. თუმცა, როგორც ვნახეთ, მშპ-ის გაანგარიშების დროს გამოშვება და დამატებული ღირებულება საბაზისო ფასებშია გამოსახული, ხოლო საბოლოო გამოყენების მეთოდის დროს შესყიდვის ფასებია გამოყენებული, რომელიც მოიცავს გადასახადებს მინუს სუბსიდიები პროდუქტებზე.

ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მშპ-ის ზუსტი განსაზღვრა არა მხოლოდ დამატებული ღირებულებების ჯამს მოიცავს, არამედ დამატებული ღირებულებების ჯამს პლუს გადასახადები პროდუქტებზე (D21), მინუს სუბსიდიები პროდუქტებზე (D31).

აშშ ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს, რადგან NIPA ანგარიშებში დამატებული ღირებულებები საბაზრო, და არა საბაზისო ფასებშია წარმოდგენილი (იხ. თავი 12).

მშპ-ის გაანგარიშებების ტოლობა საწარმოო და დანახარჯების მეთოდებით მიიღწევა ფასების კორექტირებით.

ცხრილში 10.6 მოტანილია შეთანხმების (შესაბამისობაში მოყვანის) პროცესი საწარმოო და დანახარჯების მეთოდებით გაანგარიშებულ მშპ-ებს შორის კორექსიის მაგალითზე 2012 წელს. აღსანიშნავია, რომ შეფასებები გაკეთებულია როგორც ეას 1993, ისე ეას 2008-ის მიხედვით (ეას 2008-ის მიხედვით გაანგარიშებები კორექსიამ ამ სახელმძღვანელოს გამოქვეყნებამდე რამდენიმე კვირით ადრე წარმოადგინა). შემდგომი კომენტარებისთვის გამოვიყენოთ ეას 1993, მაგრამ ეას 2008-ც რომ გამოგვეყენებინა, დასკვნები არ შეიცვლებოდა, თუ მონაცემები არ იქნება განსხვავებული. ცხრილის პირველ ნაწილში ნათლად არის ნაჩვენები საბაზისო ფასებში გამოსახული დამატებული ღირებულებისთვის გადასახადების დამატება პროდუქტებზე და სუბსიდიების გამოკლება (D21 – D31). სწორედ ამ კორექტირების შედეგად ხდება შესაძლებელი მშპ-ის ღირებულების მიღება საბაზრო ფასებში (როგორც ხშირად უწოდებენ), რომელიც დანახარჯების მეთოდით მიღებული მშპ-ის ტოლია.

ცხრილი 10.6. კორექსია: მთლიანი შიდა პროდუქტი: სამი მეთოდი
2012, მლრდ ვონი, მიმდინარე ფასებში, ეას 1993 და ეას 2008

	ეას 1993	ეას 2008
მთლიანი შიდა პროდუქტი (საწარმოო მეთოდი)	1 272 459.5	1377456.6
B1 მთლიანი დამატებული ღირებულება FISIM-ის გარეშე	1 145 970.9	1251455.2
D21_D31 + გადასახადებს მინუს სუბსიდიები პროდუქტებზე	126 488.6	126001.5
მთლიანი შიდა პროდუქტი (დანახარჯების მეთოდი)	1 272 459.5	1377456.6
P3 საბოლოო მოხმარების ხარჯები	882 232.5	911938.1
P5 + კაპიტალის მთლიანი ფორმირება	350 616.8	427028.6
P6 + საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	718 967.0	776062.5
P7 - საქონლისა და მომსახურების იმპორტი	679 786.1	737572.5
+ სტატისტიკური განსხვავება	429.3	-0.1
მთლიანი შიდა პროდუქტი (შემოსავლების მეთოდი)	1 272 459.5	1377456.6
D1 შრომის ანაზღაურება	583 377.0	599308.5
B2_B3 + მთლიანი საოპერაციო მოგება და მთლიანი შერეული შემოსავალი	548 480.5	636915.0
D2_D3 + გადასახადებს მინუს სუბსიდიები წარმოებასა და იმპორტზე	140 602.0	141233.3
D29-39 მათ შორის: სხვა გადასახადებს მინუს სუბსიდიები პროდუქტებზე	14 113.4	15231.9
D21_D31 მათ შორის: გადასახადებს მინუს სუბსიდიები პროდუქტებზე	126 488.6	126001.4

წყარო: OECD (2013), "Aggregate National Accounts: Gross domestic product", OECD National Accounts Statistics (database), [Gross domestic product](#), [OECD National Accounts](#) და ეთგო-ს გაანგარიშებები კორეის ბანკის მონაცემებიდან.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144199>

ცხრილში 10.6 ასევე ნაჩვენებია ამ ორი მეთოდის იგივეობა მესამე „შემოსავლების მეთოდთან“, რომელიც აგრეთვე დანახარჯები-გამოშვების ცხრილს ეყრდნობა. სამივე მშპ ერთმანეთის ტოლია როგორც ეას 1993, ისე ეას 2008-ის მიხედვით. შემოსავლების განაწილების ანგარიშში, რომელიც ადრე განვიხილეთ (ცხრილი 10.5), თითოეული დარგისთვის ნაჩვენებია დამატებული ღირებულების ჩაშლა წარმოების ორი ფაქტორის - შრომის („შრომის ანაზღაურება“, კოდი D1) და კაპიტალის („მთლიანი საოპერაციო მოგება და მთლიანი შერეული შემოსავალი“, კოდი B2/B3) მიხედვით პლუს D29_D39, ანუ „სხვა გადასახადები წარმოებაზე“ (D29) მინუს „სხვა სუბსიდიები პროდუქტებზე“ (D39).

ეს ჩაშლა ასევე ჩანს ცხრილში 10.6. ცხადია, მთლიანი დამატებული ღირებულება საბაზისო ფასებში, რომელიც მშპ-ის წარმოების მეთოდშია გამოყენებული (1 272 459.5) ტოლია ჯამის: „D1 შრომის ანაზღაურება“ ან 583 377.0; პლუს „B2/B3 (მთლიანი საოპერაციო მოგება და მთლიანი შერეული შემოსავალი“, ან 548 480.5; პლუს „D29-D39 სხვა გადასახადები წარმოებაზე მინუს სუბსიდიები ან 14 113.4. ეს „სხვა გადასახადები და სუბსიდიები (D29 და D39) არ უნდა აგვერიოს პროდუქტებზე გადასახადებსა და სუბსიდიებში (D21 ან D31). D29 და D39 არის სპეციფიური გადასახადები და სუბსიდიები, ზოგადად მცირე მოცულობის, რომელიც საწარმოო პროცესთან არის დაკავშირებული. ამის მაგალითია ხელფასის ფონდის გადასახადი. შემოსავლების მეთოდით მშპ ასევე შეგვიძლია მივიღოთ, თუ წარმოების ფაქტორების კომპენსაციას დავუმატებთ ყველა გადასახადს წარმოებაზე. კოდებით ეს ასე გამოისახება: $D1 + B2/B3 + D2 - D3$. მშპ-ის გაანგარიშება სამი მეთოდით უკვე განვიხილეთ პირველ თავში. ეს გაანგარიშებები ასახულია სავარჯიშო 2-ში.

ცხრილი 10. ასევე შეიცავს „სტატისტიკურ განსხვავებას“. დანახარჯების მეთოდით გაანგარიშებული კორეის მშპ მხოლოდ მაშინ არის საწარმოო და განაწილების მეთოდით გაანგარიშებულის ტოლი, თუ 429.3 ვონს დავამატებთ (ეას 1993-ში; ეას 2008-ში ეს ციფრი საგრძნობლად მცირეა 2012 წლისთვის), რასაც „სტატისტიკური განსხვავება“ ეწოდება და მოთხოვნის სხვადასხვა ელემენტზე ნაწილდება. მიზეზი იმაშია, რომ კორეის ეროვნული ანგარიშები ორ ძირითად წყაროს ეყრდნობა. საწარმოო მეთოდისა და შემოსავლების მეთოდისთვის მონაცემები აღებულია ფირმების მონაცემთა ბაზებიდან, რომელიც შედგება საგადასახადო სამსახურებში

გაგზავნილი ანგარიშებისგან, ხოლო მოთხოვნის ელემენტები (მოხმარება, GFCF) - კვლევის შედეგად მიიღება.

აქედან გამომდინარე, კორეის მშპ, რომელიც დანახარჯების მეთოდით მიიღება, მცირედ განსხვავდება სხვა მეთოდებით მიღებული მნიშვნელობისგან. იმის გამო, რომ კორეის ეროვნულმა მოანგარიშებმა ვერ მიაგნეს რაიმე დამაკმაყოფილებელ მეთოდს ამ განსხვავებების გადასაწილებლად მუხლებს შორის, გადაწყვიტეს ის ცალკე ერთ მუხლში ეჩვენებინათ როგორც „სტატისტიკური განსხვავება“. ასეთივე პრაქტიკა აქვს აშშ-საც, თუმცა სხვა ქვეყნები სხვადასხვა მეთოდებით მიღებულ მშპ-ებს შორის განსხვავებას სხვადასხვა მეთოდებით აუქმებენ და არ აჩვენებენ სტატისტიკურ განსხვავებას. ქვეყნებს შორის მეთოდოლოგიური განსხვავება არ გულისხმობს, რომ პირველი ჯგუფის ქვეყნებში სტატისტიკური წყაროები ნაკლებად დამაჯერებელია მეორესთან შედარებით. ეს უფრო პრაქტიკული საკითხია და საპრეზენტაციო არჩევანზეა დამოკიდებული.

ეს სტატისტიკური განსხვავებები ეწინააღმდეგება ედმონდ მალინვოს მოსაზრებას „ანგარიშების მკაცრი სქემის“ შესახებ, თუმცა მიზანშეწონილი იქნება, თუ გარკვეულ თავისუფლებას დავტოვებთ ეროვნული ანგარიშების ცხრილებში. როგორც აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარე, ალან გრინსპენი იტყობდა, სტატისტიკური განსხვავების ჩვენებას ის უპირატესობა აქვს, რომ მომხმარებლებს ახსენებს ეროვნული ანგარიშების დაშორებას 100%-იანი სინამდვილისგან. მისი აზრით, ამ განსხვავებების ანალიზი შეიძლება თავად გამხდარიყო ინფორმაციის წყარო. ფაქტობრივად, ზოგიერთმა მკვლევარმა აჩვენა კორელაცია სტატისტიკური განსხვავების სიდიდესა და ბიზნეს ციკლს შორის.

სამივე მეთოდით მშპ-ის გაანგარიშების განხილვამ გვიჩვენა, რომ მშპ გამოისახება საბაზრო, და არა „ფაქტორული ფასებით“. ფაქტორული ღირებულებით შეფასების დროს დამატებული ღირებულება გამოითვლებოდა იმ ფასებში, რაც წარმოების ფაქტორების ანაზღაურებისთვის იყო გამოყენებული. არანაირი გადასახადი არ გაითვალისწინებოდა. ზოგიერთი ნანობს, რომ წარმოების მეთოდში ახლა აღარ გამოიყენება ფაქტორული ფასები. რასაკვირველია, მწარმოებლის თვალთახედვით, წარმოების გადაწყვეტილებაზე დიდ გავლენას არ ახდენს გადასახადები პროდუქტებზე. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ეროვნული მოანგარიშებისთვის, რომ წარმოების მთავარ ინდიკატორად გამოიყენონ მშპ საბაზრო ფასებში, რადგან ძალიან პრაქტიკული და მნიშვნელოვანია, რომ მშპ იყოს საბოლოო გამოყენების ჯამის ტოლი. თუმცა, ზოგიერთის აზრით, ასეთი პრაქტიკა იწვევს გარკვეულ ორმაგ აღრიცხვას მშპ-ში (იხ. ჩაულრმავდით: „შეზღუდვები ეროვნულ ანგარიშებში“).

თუ მთლიანი დამატებული ღირებულებების ნაცვლად გამოვიყენებთ წმინდა დამატებული ღირებულებების ჯამს, მივიღებთ წმინდა შიდა პროდუქტს, წმპ. სამწუხაროდ, ეს აგრეგატი მშპ-სთან შედარებით ნაკლებად გამოიყენება, მიუხედავად იმისა, რომ კონცეპტუალურად უფრო სწორია. თუმცა, სტატისტიკურად ის უფრო ნაკლებად დამაჯერებელია, რადგან გასათვალისწინებელია სიმწვანეები ძირითადი კაპიტალის მოხმარების გამოთვლასთან დაკავშირებით.

7. ინტეგრირებული ეკონომიკური ანგარიში (IEA)

ახლახან განვიხილეთ დანახარჯები-გამოშვების ცხრილი, რომელიც სრულიად შეესაბამება საქონლისა და მომსახურების ანგარიშებს. ასეთი შინაგანი შესაბამისობა ახასიათებს მეორე მთავარ ცხრილსაც, რომელიც ცნობილია როგორც ინტეგრირებული ეკონომიკური ანგარიში. მასში ხდება ყველა ინსტიტუციური სექტორის ანგარიშების სინთეზი (იხ. ჩანართი „ინსტიტუციური ერთეულები და ინსტიტუციური სექტორები“). ეს ცხრილი საკმაოდ დიდია იმისთვის, რომ ამ წიგნის ერთ ფურცელზე დაეტიოს. ფაქტობრივად, ის ორ ფურცელს იკავებს, მარცხნივ გამოყენებაა, ხოლო მარჯვნივ რესურსები, სვეტებში მოცემულია ინსტიტუციური სექტორები, ხოლო სტრიქონებში - ტრანსაქციები. თუ განვაზოგადებთ, შეიძლება ითქვას, რომ აქ ხდება შედარება შინამეურნეობების, კორპორაციებისა და სახელმწიფო მართვის ორგანოების ანგარიშებისა, რომლებიც წარმოდგენილი იყო მე-6, მე-7 და მე-8 თავებში. ამ სექტორებთან ერთად, IEA ცხრილი მთლიანობაში წარმოგვიდგენს ეროვნულ ეკონომიკასა და დანარჩენ მსოფლიოს (ამ ორ ანგარიშს მოგვიანებით დავუბრუნდებით). IEA ანგარიშის უპირატესობა იმაშია, რომ ის უმაღლეს რაოდენობას შესაბამის წვდომას მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ყველა ტრანსაქციაზე. ეროვნული ანგარიშების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წესი, რომელიც IEA-ში აისახება, არის ოპერაციების გატარება **დარიცხვის მეთოდით** (იხ. დანართი „ჩაუღრმავდით“).

ახლა განვიხილოთ დანიის ინტეგრირებული ეკონომიკური ანგარიშის 60-მდე სტრიქონიდან ერთ-ერთი, „პროცენტი“(D41). IEA-ში ის ერთ სტრიქონზეა მოთავსებული, რომლის მარცხენა მხარეს არის გამოყენების მუხლები, ხოლო მარჯვნივ - რესურსები. სივრცის უკეთ გამოყენების მიზნით, ცხრილში 10.7 რესურსები ნაჩვენებია გამოყენების ქვეშ (მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივ ცხრილში ისინი ერთმანეთის გვერდზეა).

ვნახოთ, როგორ უნდა წავიკითხოთ ეს ცხრილი: პირველი ქვე-ცხრილი არის „გამოყენება“, ანუ ინსტიტუციური ერთეულებისთვის გადახდილი პროცენტი. სვეტებს შორის პირველი ჯგუფი არის „ეროვნული ეკონომიკა“, რომლის კოდია S1. ეს

არის ინსტიტუციური სექტორი, რომელიც წარმოადგენს ოთხი რეზიდენტი ინსტიტუციური სექტორის ჯამს „დანარჩენი მსოფლიოს“ საპირისპიროდ, რომელიც არარეზიდენტებს მოიცავს. ოთხი რეზიდენტი ინსტიტუციური სექტორია: არაფინანსური კორპორაციები, ფინანსური კორპორაციები, სახელმწიფო მართვის ორგანოები, შინამეურნეობები და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ინსტიტუციები. ამიტომ, 305.5 მლრდ დანიური კრონა წარმოადგენს პროცენტების ჯამს, რომელიც გადახდილია შიდა სექტორებისთვის, ე.ი.: 47.1 + 141.1 + 37.5 + 79.8. ყველა ეს ციფრი მოცემულია იმავე სტრიქონში.

ჩანართი 10.2. ინსტიტუციური ერთეულები და ინსტიტუციური სექტორები
ეროვნულ ანგარიშებში საბაზისო ეკონომიკურ ერთეულად მიჩნეულია **ინსტიტუციური ერთეული**. ის განისაზღვრება როგორც „ეკონომიკური გადაწყვეტილების მიმღები ელემენტარული ცენტრი, რომელიც ძირითადი ფუნქციის შესრულების დროს ხასიათდება ქცევის ერთგვაროვნებით და გადაწყვეტილების მიღების ავტონომიურობით“. შინამეურნეობა ინსტიტუციური ერთეულია იმ აზრით, რომ შინამეურნეობის შიგნით გადაწყვეტილების მიღება უკავშირდება მის ძირითად მიზანს, მოხმარებას. ფიზიკური პირისგან განსხვავებით, იურიდიული პირისთვის აუცილებელია ანგარიშების სრული ნაკრები, იმისათვის რომ, ის მიჩნეული იყოს ინსტიტუციურ ერთეულად. თუ სავარაუდო ერთეულს არ გააჩნია ანგარიშების სრული ნაკრები, მაშინ ის იმ ფართო ერთეულის შემადგენლობაში უნდა შევიდეს, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს. მაგალითად, საფრანგეთის სტატისტიკური სამსახური (INSEE) არ წარმოადგენს ინსტიტუციურ ერთეულს, რადგან ის არის ფინანსთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება, ხოლო თვითონ ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორში შედის. სახელმწიფო მართვის ორგანოებს აქვთ ანგარიშთა სრული ნაკრები, ხოლო INSEE-ს ეს არ გააჩნია.

ინსტიტუციური სექტორები წარმოადგენს ინსტიტუციური ერთეულების დაჯგუფებას. ეროვნულ ანგარიშებში გვაქვს ექვსი სექტორი: შინამეურნეობები (S14); არაფინანსური კორპორაციები (S11); ფინანსური კორპორაციები (S12); სახელმწიფო მართვის ორგანოები (S13); შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები (S15) და დანარჩენი მსოფლიო (S2). დანარჩენი მსოფლიო რეალურად არ წარმოადგენს ინსტიტუციურ სექტორს, რადგან ის მხოლოდ არარეზიდენტების ანგარიშების იმ ნაწილს მოიცავს, რომელიც რეზიდენტებთან დაკავშირებულ ტრანსაქციებს ეხება. რეზიდენტობის ცნება მე-4 თავში იყო ახსნილი. სექტორების

უმეტესობა განვიხილეთ მე-5, 6, 7 და მე-9 თავებში ფინანსური კორპორაციების გარდა.

ფინანსური კორპორაციები არის ინსტიტუციური ერთეულები, რომლებიც სპეციალიზებულია ფინანსურ შუამავლობასა (ბანკები) და დაზღვევაზე. ფინანსური კორპორაციების სექტორი (S12) მოიცავს ცენტრალურ ბანკს, კომერციულ ბანკებს, სპეციალურ ფინანსურ კორპორაციებს, ურთიერთფონდებს (ევროპაში უწოდებენ UCITS), ფინანსურ დამხმარე ორგანიზაციებს, რომელიც მოიცავს ცალკეული პორტფელების მმართველ კომპანიებს, სადაზღვევო კომპანიებს და საპენსიო ფონდებს.

S1 სექტორისა და რეზიდენტი სექტორების ჯამის იგივეობა ეროვნული ანგარიშების „არაკონსოლიდირებულობის“ შედეგია (იხ. დანართი „ჩაულრმავდით“).

მომდევნო სვეტში ნაჩვენებია პროცენტი, რომელიც დანამ გადაუხადა დანარჩენ მსოფლიოს - 62.1 მლრდ დანიური კრონა. მთლიანად, სხვადასხვა სექტორისთვის გადახდილია 367.6 მლრდ დანიური კრონა.

ცხრილი 10.7. ამონარიდი დანიის ინტეგრირებული ეკონომიკური ანგარიშიდან, სტრიქონი „D41 პროცენტი“ მლრდ დანიური კრონა, 2011

გამოყენება							სულ
S1: ეროვნული ეკონომიკა	S11: არაფინანსური კორპორაციები	S12: ფინანსური კორპორაციები	S13: სახელმწიფო მართვის ორგანოები	S14_S15: შინამეურნეობები და შმაკოები	S2: დანარჩენი მსოფლიო		
D.41 პროცენტი	305.5	47.1	141.1	37.5	79.8	62.1	367.6
რესურსები							სულ
	S2: დანარჩენი მსოფლიო	S14_S15: შინამეურნეობები და შმაკოები	S13: სახელმწიფო მართვის ორგანოები	S12: ფინანსური კორპორაციები	S11: არაფინანსური კორპორაციები	S1: ეროვნული ეკონომიკა	
	367.6	56.9	19.9	23.7	245.1	21.9	310.7 პროცენტი

წყარო: OECD (2014), “Detailed National Accounts: Non-financial accounts by sectors, annual”, OECD National Accounts Statistics (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00034-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00034-en).

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144200>

მეორე ქვე-ცხრილი („რესურსები“) გვიჩვენებს ინსტიტუციური სექტორებიდან მიღებულ პროცენტს. ეროვნული ანგარიშების შესაბამისობის პრინციპიდან

გამომდინარე, მიღებული და გაცემული პროცენტი ერთმანეთის ტოლია, 367.6 მლრდ. თუ სტრიქონს გავყვებით, ვნახავთ თითოეული სექტორის მიერ მიღებულ პროცენტს.

ეს ცხრილი იმით არის საინტერესო, რომ გვიჩვენებს, თუ როგორ არის ჩაშლილი აგენტებს შორის საპროცენტო ნაკადები. ამასთან, მას ორი შეზღუდვა აქვს. პირველი, ის არაკონსოლიდირებულია (იხ. დანართი „ჩაულრმავდით“), ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს ციფრების არასწორი ინტერპრეტაცია. ფინანსური კორპორაციების მიერ გადახდილი პროცენტის დიდი თანხა არ ნიშნავს, რომ ის სხვა სექტორებში ანაწილებს მას. ფინანსური კორპორაციების მიერ გადახდილი პროცენტის ძირითადი ნაწილი სხვა ფინანსურ კორპორაციებში მიემართება, რაც თანამედროვე ფინანსური სისტემების სირთულით არის განპირობებული.

მეორე შეზღუდვა პირველს უკავშირდება და იმაში მდგომარეობს, რომ ეს ცხრილები არ შეიცავს „ვინ - ვის“ ელემენტს. მაგალითად, ცხრილიდან არ ჩანს, თუ ვის უხდის ფინანსური კორპორაციების სექტორი 245.1 მლრდ-ს. როგორც აღინიშნა, სავარაუდოდ, უმეტესად სხვა ფინანსურ კორპორაციებს, თუმცა შინამეურნეობებსა და შმაკობებსაც, რაც უცნობია. მხოლოდ „ვინ - ვის“ მატრიცა გაგვცემს ამ კითხვაზე პასუხს. ცალკეული ტრანსაქციებისთვის სტატისტიკურ სამსახურებს ასეთი ინფორმაცია აქვთ, თუმცა ჩვეულებრივ მათ არ აქვეყნებენ.

8. გადასვლა მშპ-დან ეროვნულ შემოსავალზე

საკმაოდ მოსაბეზრებელი იქნება, თუ კომენტარს გავაკეთებთ ინტეგრირებული ეკონომიკური ანგარიშის სათითაო მუხლზე, რადგან ძირითადი ინსტიტუციური სექტორების ანგარიშები უკვე აღვწერეთ თავებში 6, 7 და 9. კომენტარს მხოლოდ S1 “ეროვნული ეკონომიკის“ სექტორზე გავაკეთებთ, რადგან ის მოიცავს ძირითად აგრეგატებს, როგორცაა მთლიანი ეროვნული შემოსავალი, მთლიანი განკარგავდი შემოსავალი, ეროვნული დანაზოგი და ერის წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება.

მთლიანი ეროვნული შემოსავალი

ეროვნული ეკონომიკის სექტორის (S1) წარმოების ანგარიშისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მშპ-ს, რომელიც ტოლია დამატებული ღირებულებების ჯამს პლუს წმინდა გადასახადები, რაც კარგად ჩანს ცხრილიდან 10.8 კორეის მაგალითზე. მეორე მნიშვნელოვანი აგრეგატია მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მეშ) ან წმინდა ეროვნული შემოსავალი (წეშ), თუ გამორიცხულია ძირითადი კაპიტალის მოხმარება. ადრე მთლიან ეროვნულ შემოსავალს მთლიან ეროვნულ პროდუქტს უწოდებდნენ,

მაგრამ ძალიან ბევრ ადამიანს ეშვებოდა ის მშპ-ში, ამიტომ ახალი სახელი დაერქვა, რომელიც უფრო მორგებულია შინაარსზე.

მთლიანი შიდა პროდუქტი არის ეკონომიკური სიმდიდრე, რომელიც განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში იწარმოება ეკონომიკური აგენტების მიერ ეკონომიკურ ტერიტორიაზე. მთლიანი ეროვნული შემოსავალი რეზიდენტი ეკონომიკური აგენტების პირველადი შემოსავლების ჯამია განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. კორეის შემთხვევაში მათ შორის განსხვავება ნათლად ჩანს 10.8 ცხრილის პირველ ნაწილშივე. იმისათვის, რომ მშპ-დან მივიღოთ მეშ, რამდენიმე საფეხურია გასავლელი:

1. დაიწყეთ მშპ-დან (2012 წელს 1 272 459.5);
2. დაამატეთ დანარჩენი მსოფლიოდან მიღებული პირველადი შემოსავლები (+25 156.6). პირველად შემოსავლებში შედის ხელფასი, საკუთრებიდან მიღებული შემოსავალი (პროცენტი, დივიდენდი) და გადასახადები და სუბსიდიები;
3. გამოაკელით დანარჩენი მსოფლიოსთვის გადახდილი პირველადი შემოსავლები (- 18 069.7);
4. საბოლოოდ, მივიღეთ მეშ (1 279 546.4).

ცხრილი 10.8. კორეა: გადასვლა მშპ-დან მეშ-სა და სხვა მთავარ აგრეგატებზე
მლრდ ვონი, მიმდინარე ფასები, 2012, ეას 1993

B1_G	მთლიანი შიდა პროდუქტი	1 272 459.5
D1_D4	+ პირველადი შემოსავლების მიღება დანარჩენი მსოფლიოდან	25 156.6
D1_D4	- პირველადი შემოსავლების გადახდა დანარჩენი მსოფლიოსთვის	18 069.7
B5_G	მთლიანი ეროვნული შემოსავალი საბაზრო ფასებში	1 279 546.4
K1	- ძირითადი კაპიტალის მოხმარება	164 262.5
B5_N	წმინდა ეროვნული შემოსავალი საბაზრო ფასებში	1 115 283.9
D5_D7	+ მიმდინარე ტრანსფერების მიღება დანარჩენი მსოფლიოდან	17 891.8
D5_D7	- მიმდინარე ტრანსფერების გადახდა დანარჩენი მსოფლიოსთვის	21 009.1
B6_N	წმინდა ეროვნული განკარგვადი შემოსავალი	1 112 166.6
P3	- საბოლოო მოხმარების ხარჯები	882 232.5
B8_N	დანაზოგი, წმინდა	229 934.2
D9	+ წმინდა კაპიტალური ტრანსფერები დანარჩენი მსოფლიოდან	802.5
P5S1	- კაპიტალის მთლიანი ფორმირება	350 616.8
K2	- არაფინანსური არაწარმოებული აქტივების შესყიდვას მინუს გაყიდვა	122.9
K1	+ ძირითადი კაპიტალის მოხმარება	164 262.5
B9	წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება	44 259.6

Source: OECD (2013), "Aggregate National Accounts: Disposable income and net lending/borrowing", OECD National Accounts Statistics (database), <http://dx.doi.org/10.1787/data-00002-en>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144216>

ზემოთ მოტანილი ცხრილი აადვილებს მეშ-ის ინტერპრეტაციას. ეს არის რეზიდენტი ეკონომიკური აგენტების მიერ მიღებული პირველადი შემოსავლები მიუხედავად

იმისა, მიღებულია თუ არა ისინი ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიიდან. ტერიტორიის შიგნით მიღებულ შემოსავლებთან (შედის მშპ-ში) ერთად არის ისეთი შემოსავლები, რომლებიც ტერიტორიის გარედან მიიღება (არ შედის მშპ-ში). ეს ხსნის იმ ფაქტს, თუ რატომ ემატება პირველად შემოსავლებს დანარჩენი მსოფლიოდან მიღებული შრომის ანაზღაურება, სავარაუდოდ, კორეის რეზიდენტების მიერ მიღებული ანაზღაურება მეზობელ ქვეყნებში. შესაბამისად, უნდა გამოვრიცხოთ კორეის არარეზიდენტი მომუშავეების შემოსავლები კორეაში დასაქმებიდან. ასეთივე ოპერაცია უნდა შესრულდეს პირველადი შემოსავლების ორ სხვა ფორმის ნაკადთან, რომლებიც ტერიტორიას კვეთენ - კერძოდ, შემოსავლები საკუთრებიდან და გადასახადები და სუბსიდიები წარმოებაზე. ბოლოს მიიღება მეშ, რომელიც (მშპ-სგან განსხვავებით) *შემოსავალზე* და არა *წარმოებაზე დაფუძნებული* კონცეფციაა, რამდენადაც მოიცავს შემოსავალს საზღვარგარეთ წარმოებიდან (და ამიტომ არ ჩაიწერება მთლიანად) და გამორიცხავს გამოშვების ღირებულებას, რომელიც წარმოების უცხოური ფაქტორების ანაზღაურებისთვის გადაიხდება. ამიტომ, მის დასახელებაში გამოიყენება „შემოსავალი“ ნაცვლად „პროდუქტისა“. აღსანიშნავია, რომ კორეის მშპ-სა და მეშ-ს შორის განსხვავება ძალიან მცირეა. როგორც პირველ თავში ვნახეთ, ეს განსხვავება გაცილებით მეტია ლუქსემბურგისთვის, რადგან მისი ეკონომიკის თავისებურებიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა აქვს საზღვრის გადაკვეთას მომუშავეების მიერ.

მეშ მნიშვნელოვანი აგრეგატია ევროკავშირის ქვეყნებისთვის, რადგან მისი საშუალებით ხდება ბიუჯეტისა და საოპერაციო ხარჯების გადანაწილება ევროკავშირის ინსტიტუციების მიერ წევრ ქვეყნებს შორის.

თუ მეშ-ს გამოვაკლებთ ძირითადი კაპიტალის მოხმარებას, მივიღებთ წმინდა ეროვნულ შემოსავალს (წშპ). ცხრილი 10.8-ის დანარჩენ ნაწილში ნაჩვენებია გადასვლა წეშ-იდან **ეროვნულ დანაზოგამდე**. მსგავსი დამატებები და გამორიცხვები ხდება დანარჩენი მსოფლიოს ტრანსსაქციებთან დაკავშირებით წმინდა განკარგვადი შემოსავლის მისაღებად, რომლიდანაც საბოლოო მოხმარების ხარჯების გამოკლებით ვიღებთ ეროვნულ დანაზოგს, რაც თავის მხრივ ცალკეულ სექტორებში დანაზოგების ჯამის ტოლია. საბოლოოდ მივდივართ ერის წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხებამდე - არსებითად, როდესაც კაპიტალის ფორმირების გამოკლება ხდება. როგორც ცხრილიდან ჩანს, კორეის წმინდა დაკრედიტება 2012 წელს 44 259.6 მლრდ ვონი იყო. გლობალურ დონეზე, კორეა უფრო მეტ საზღვარგარეთულ ქვეყანას აფინანსებდა, ვიდრე საზღვარგარეთის ქვეყნები - კორეას.

ბიბლიოგრაფია

Ahmad, N. and A. Wyckoff (2003), “Carbon Dioxide Emissions Embodied in International Trade of Goods”, *OECD Science, Technology and Industry Working Papers*, No. 2003/15, OECD Publishing, [doi: http://dx.doi.org/10.1787/421482436815](http://dx.doi.org/10.1787/421482436815).

Malinvaud, E. (1973), “Initiation à la Comptabilité Nationale”, INSEE.

OECD (2013a), “Aggregate National Accounts: Gross domestic product”, OECD National Accounts Statistics (database), <http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en>.

OECD (2013b), “Aggregate National Accounts: Disposable income and net lending/borrowing”, OECD National Accounts Statistics (database), <http://dx.doi.org/10.1787/data-00002-en>.

საკვანძო მომენტები

- რესურსები-გამოყენების ცხრილებში (SUTs) ასახული პროდუქტების ბალანსები საბაზისო სააღრიცხვო იგივეობას აწესებს საქონლისა და მომსახურების ანგარიშებისთვის. აქ ხდება რესურსების (გამოშვება, იმპორტი) შედარება გამოყენებასთან (შუალედური მოხმარება და საბოლოო გამოყენება). მათი გაანგარიშება ხდება მიმდინარე ფასებში და ფიზიკური მოცულობის მიხედვით.
- გამოშვება ფასდება საბაზისო ფასებში. გამოყენება ფასდება საბაზრო ფასებში.
- სავაჭრო და სატრანსპორტო დანამატები, ისევე როგორც გადასახადები (მინუს სუბსიდიები) შედის რესურსები-გამოყენების ცხრილის რესურსებში.
- დანახარჯები-გამოშვების ცხრილი (IO) თავს უყრის და ერთმანეთს ადარებს რესურსებისა და საბოლოო გამოყენების ცხრილებს და ასევე შუალედური მოხმარების მატრიცას. მატრიცაში ნაჩვენებია მოცემული დარგის შუალედური მოხმარებები.
- დანახარჯები-გამოშვების ცხრილი ასევე მოიცავს დარგების წარმოებისა და შემოსავლების ფორმირების ანგარიშებს.
- დანახარჯები-გამოშვების ცხრილი შეიძლება გამოსახული იყოს მიმდინარე ფასებში და ფიზიკური მოცულობით.
- როდესაც დამატებული ღირებულება საბაზისო ფასშია გამოსახული (რაც გავრცელებული შემთხვევაა), მაშინ მთლიანი შიდა პროდუქტი წარმოადგენს დარგების დამატებული ღირებულებების ჯამს დამატებული გადასახადები პროდუქტებზე და მინუს სუბსიდიები.
- მთლიანი ეროვნული შემოსავალი მთლიანი ეროვნული პროდუქტის ახალი სახელია, რომელიც არ უნდა აგვერიოს მთლიან შიდა პროდუქტში. მეშ არის რეზიდენტი ეკონომიკური აგენტების მიერ მიღებული პირველადი შემოსავლების ჯამი მიუხედავად იმისა, თუ რომელი ეკონომიკური ტერიტორიიდან მიიღება ის. მეშ არ მოიცავს არარეზიდენტების მიერ ეკონომიკური ტერიტორიიდან მიღებულ პირველად შემოსავლებს.
- ინტეგრირებული ეკონომიკური ანგარიში წარმოადგენს ინსტიტუციური სექტორების ხელახლა გადაჯგუფებულ ანგარიშებს. ის გვიჩვენებს თითოეული ინსტიტუციური სექტორის რესურსებისა და გამოყენების თანხებს ყველა ტრანსაქციისთვის. ის მხოლოდ მიმდინარე ფასებში გაიანგარიშება.

ჩაულრმავდით

დამატებული ღირებულების ჩაწერა ეროვნულ ანგარიშებში

ბევრ ქვეყანაში დღე პროდუქტებზე ერთ-ერთი მთავარი გადასახადია. ის ეტაპობრივად გროვდება ფირმების მიერ ბიუჯეტის სასარგებლოდ. პრინციპი შემდეგში მდგომარეობს: ყველა საბაზრო მწარმოებელი (დისტრიბუტორების ჩათვლით) ვალდებულია ინვოისში შეიტანოს დამატებული ღირებულების გადასახადის პროცენტი გაყიდულ საქონელსა და მომსახურებაზე. გამყიდველის ინვოისში დღე-ს იდენტიფიცირება განცალკევებით ხდება ისე, რომ მყიდველი ფირმისთვის ცნობილი იყოს, თუ რამდენს იხდის ის დღე-ს სახით. ფირმები ბიუჯეტს მხოლოდ განსხვავებას უხდიან თავიანთი გაყიდვებიდან მიღებულ და შესყიდვების დროს გადახდილ დღე-ებს შორის. ეროვნულ ანგარიშებში დღე აღწერილია როგორც გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია განსხვავებასთან გამოშვებასა (გაყიდვებს) და შუალედურ მოხმარებას და ინვესტიციებს შორის. დღე-ს გადახდა არ ხდება ექსპორტზე, თუმცა ის გადაიხდება იმპორტზე.

თავისი აგებულების მიხედვით დღე ეკონომიკურად უფრო რაციონალური გადასახადია, ვიდრე ძველი გადასახადები, რომლებიც გაყიდვებზე იყო დაფუძნებული. გაყიდვები შეიძლება გაზრდილიყო, თუ წარმოებიდან მომხმარებელამდე ახალი შუამავალი გაჩნდებოდა. დამატებული ღირებულების გადასახადის შემთხვევაში ასეთი რამ არ ხდება. ამ გადასახადის უპირატესობა იმაშია, რომ ტრადიციულ გადასახადებთან შედარებით ის უფრო მეტად არის დაზღვეული მაქინაციებისგან, ამიტომ 100-ზე მეტ ქვეყანაშია დანერგილი. მყიდველი ფირმები ყოველთვის აკონტროლებენ, რომ გამყიდველმა ფირმამ სწორად ჩაწეროს დღე, რადგან მათ შეიძლება ანაზღაურება მოითხოვონ.

„გამოსაქვითი დღე“ არის გადასახადელი იმ საქონლისა და მომსახურების შესყიდვებიდან, რომლებიც ფირმებს შუალედური მოხმარების ან ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირებისთვის აქვთ გამიზნული. მწარმოებელ ფირმას უფლება აქვს ეს თანხები გამოქვითოს სახელმწიფო მართვის ორგანოების წინაშე არსებული დღე-ს დავალიანებიდან მისი გაყიდვების შედეგად. საპირისპიროდ, ტერმინი „გამოუქვითავი დღე“ ნიშნავს, რომ მყიდველი ვერ გამოქვითავს მის საკუთარ დღე-ს დავალიანებიდან, თუ მას ასეთი გააჩნია. განსაზღვრის მიხედვით, შინამეურნეობების მიერ გადახდილი დღე მთლიანად გამოუქვითავია, რადგან ისინი საქონლის საბოლოო მომხმარებლები არიან. მეორე მხრივ, განსაზღვრის მიხედვით,

ვირტუალურად ყველა დღე, რომლებსაც ფირმები თავიანთ შესყიდვებზე იხდიან, გამოსაქვითია. აქ რჩება განსაკუთრებული შემთხვევებიც, როდესაც ფირმებს მაინც უწევთ გამოუქვითავი დღე-ს მცირე პორციების გადახდა.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში მხოლოდ გამოუქვითავი დღე ჩაიწერება. სირთულეებთან ერთად, გამოსაქვითი დღე-ს ჩაწერას ანალიტიკურად ნაკლები აზრი ექნებოდა. ამ გადაწყვეტილებას სამი შედეგი აქვს. პირველი, ეროვნულ ანგარიშებში შინამეურნეობების მოხმარებაზე გადახდილი დღე სრულად აისახება, რადგან ის მთლიანობაში გამოუქვითავია. საპირისპიროდ, მცირე გამონაკლისების გარდა, შუალედურ მოხმარებასა და ინვესტიციებზე დღე უმეტესწილად გამოსაქვითია. დღე ჩაიწერება როგორც ბიუჯეტში არა ინდივიდუალური ფირმების გადახდები, არამედ როგორც გლობალური გადახდა „მთლიანი ეკონომიკიდან“.

ქვემოთ მოტანილია მაგალითი დღე-ს ფაქტობრივი გატარების შესახებ ეროვნულ ანგარიშებში (იგულისხმება, რომ დღე 20%-ია).

- დღე-ს გადახდის ფაქტობრივი მექანიზმი: ფირმა A-მ ფირმა B-ს მიჰყიდა 120, რომელშიც შედის ბიუჯეტში გადასახდელი დღე 20. ფირმა B-მ საბოლოო მომხმარებელს მიჰყიდა 270, რომელშიც შედიოდა დღე 45. ამიტომ, ის ბიუჯეტს გადაუხდის $(45 - 20) = 25$. ჯამში, ბიუჯეტში შევა 45 გამოუქვითავი დღე-ს სახით.
- შესაბამისი გატარებები ეროვნულ ანგარიშებში: ფირმა A ჩაიწერს ფირმა B-სთვის 100-ის მიყიდვას (და არა 120-ს, როგორც სინამდვილეშია). დღე 20 არ ჩაიწერება, რადგან ის გამოსაქვითია. ფირმა B-მ საბოლოო მომხმარებელს მიჰყიდა 270, რომელშიც შედიოდა დღე 45. ეს თანხა, 45, მთლიანად ჩაიწერება, რადგან გამოუქვითავია. მეტიც, ეროვნულ ანგარიშებში მისი მიღება ჩაიწერება არა ფირმა B-დან, არამედ მთელი ეკონომიკიდან.

როგორც ვხედავთ, ეროვნულ ანგარიშების ჩანაწერი არ შეესაბამება ფულად ნაკადებს. ბიუჯეტისთვის დღე-ს მიღების თვალსაზრისით არაფერი არ იცვლება. ეს პრეზენტაცია უფრო უკეთესად ერგება მაკროეკონომიკურ ანალიზს, რადგან გვიჩვენებს, რომ მთლიანობაში დღე ვირტუალურად გავლენას ახდენს შინამეურნეობის მოხმარებაზე. ამიტომ, სისტემა ეკონომიკურ რეალობაში გვაბრუნებს, რაც სხვა შემთხვევაში შენიღბული იქნებოდა. ბიუჯეტში შესული დღე-ს გადამხდელები არიან საბოლოო მომხმარებლები, შინამეურნეობები და არა ფირმები, რომლებიც უბრალოდ აგროვებენ გადასახადს.

აღსანიშნავია, რომ დღე-ს მცირე პორცია ასევე გადაირიცხება ევროპის ბიუჯეტში. პრაქტიკაში, ეს პორცია ჯერ გადაირიცხება ქვეყნის ბიუჯეტში და შემდეგ ხდება მისი ტრანსფერი ევროპის ბიუჯეტში. აეს 1995-ის შემთხვევაში დღე პირდაპირ ევროპის

ბიუჯეტში ირიცხებოდა. ახალი აეს 2010-ის მიხედვით დღე ჯერ ქვეყნის ბიუჯეტში შედის და შემდეგ გადაირიცხება ევროპულ ინსტიტუტებში.

საქმიანობის სახეები, პროდუქტები და სპეციფიკური ოპერაციები დანახარჯები-გამომშვების ცხრილში

ამ ქვეთავში დამატებით განმარტებებს გავაკეთებთ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლის გარეშე დანახარჯები-გამომშვების ცხრილის გაგება სრულად შეუძლებელია. საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია პროდუქციის კლასიფიკაციის ანარეკლია. ფაქტობრივად, საქმიანობის სახე განისაზღვრება როგორც მოცემული პროდუქტის წარმოება ფირმების ან ფირმების შემადგენელი ნაწილების მიერ. ამ ორი კლასიფიკაციის ურთიერთკავშირის უკეთ გასაგებად იხ. საფრანგეთის სტატისტიკური სამსახურის ვებ გვერდი:

<http://www.insee.fr/fr/methodes/default.asp?page=nomenclatures/naf2008/naf2008.htm>.

თავის კლასიფიკაციებს INSEE ერთდროულად წარმოადგენს როგორც პროდუქტსა და საქმიანობას. მაგალითად, განვიხილოთ საქმიანობის კლასიფიკაცია G დონეზე, რომლის დასახელებაა “C21 ფარმაცევტული წარმოება.” ის თავისთავად შედის F დონეში “C დამამუშავებელი მრეწველობა”, ხოლო H დონეზე მისი დასახელებაა “G21.1 საბაზისო ფარმაცევტული პროდუქტების წარმოება“. ბოლო შემთხვევაში გამოყენებულ ტერმინოლოგიაში გვხვდება სიტყვა „წარმოება“, რომელიც სავარაუდოდ გულისხმობს, რომ ეს საქმიანობაა. თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არ წავიდეთ არასწორი გზით, რადგან მისი ინტერპრეტაცია შეიძლება ასევე იყოს წამლების გამოშვება. ამიტომ ის ერთდროულად წარმოადგენს საქმიანობასაც (მრეწველობის დარგი) და შედეგსაც (წარმოებული მედიკამენტები). უნდა გვახსოვდეს, რომ განსაზღვრის მიხედვით, X დარგის გამოშვება (ვირტუალურად) X პროდუქტის გამოშვების ტოლია. სიტყვა „ვირტუალური“ აუცილებელია, რადგან ეროვნული ანგარიშები რთულია და ცალკეული დარგებისთვის ეს იგივეობა არაძალმოსილია. ამ საკითხის უფრო დეტალური განხილვა სცილდება მოცემული სახელმძღვანელოს საზღვრებს.

არის კიდევ ისეთი შემთხვევა, როდესაც არსებობს დარგი, მაგრამ მისი შესაბამისი პროდუქტი არ არსებობს. ასეთია მაგალითად „ვაჭრობა“ (საბითუმო და საცალო). რა თქმა უნდა, ეროვნულ ანგარიშებში გვაქვს ვაჭრობის მომსახურების გამოშვება (იზომება სავაჭრო დანამატით), მაგრამ თავისთავად „ვაჭრობის“ პროდუქტი არ არსებობს და როგორც ძირითად ტექსტშია ახსნილი, ვაჭრობის დანამატი გასაყიდი პროდუქტის ფასში შედის. ამიტომ პროდუქტების რესურსების ცხრილი 10.1 საფრანგეთისთვის შეიცავს სტრიქონს „GZ ვაჭრობა, ავტომობილებისა და

მოტოციკლების შეკეთება“, რომლის გამოშვება 369-ს უდრის და ნაწილობრივ ბათილდება უარყოფითი სავაჭრო დანამატით -325. ეს ორი თანხა ზუსტად ერთმანეთის ტოლი არ არის, რადგან GZ მუხლი წმინდა ვაჭრობის გარდა სხვა დასახელებასაც შეიცავს, მაგრამ აქ ჩანს ის იდეა, რომ გვაქვს ვაჭრობის გამოშვება, მაგრამ არ გვაქვს ვაჭრობის პროდუქტი. მიუხედავად იმისა, რომ იგივე დიქტომიას არა აქვს ადგილი ტრანსპორტის შემთხვევაში (რომელსაც საქმიანობაც აქვს და პროდუქტიც), საბოლოო მოხმარებაში სატრანსპორტო დანამატის ასეთივე გაბათილება ხდება. ეს ხსნის ციფრს -36, რომელიც ჩანს „HZ ტრანსპორტირებისა და შენახვის“ პროდუქტის „სატრანსპორტო დანამატის“ სვეტში.

ასევე ყურადღებას იმსახურებს საფრანგეთის დანახარჯები-გამოშვების ცხრილის ორი სხვა სტრიქონი. ეს არის ცხრილი 10.1-ისა და 10.2-ის ბოლო ორი სტრიქონი: „ეროვნული ტერიტორიის გარეთ მოხმარებული პროდუქტები“ და „cif-fob კორექტირება“. პირველი გულისხმობს ეკონომიკური ტერიტორიის გარეთ მოხმარებულ პროდუქტებს, ძირითადად ტურიზმის პრაქტიკაში (იხ. თავი 5). შეთანხმების მიხედვით, ფრანგი ტურისტების მიერ საზღვარგარეთ მოხმარება ჩაიწერება როგორც მომსახურების იმპორტი (32) პროდუქტების რესურსების ცხრილში (ცხრილი 10.1). უცხოელი ტურისტების მოხმარება საფრანგეთში ჩაიწერება როგორც ექსპორტი (39) საბოლოო გამოყენების ცხრილში (ცხრილი 10.2). მათ შორის განსხვავება (-7) ჩაიწერება საბოლოო გამოყენების ცხრილში იმავე სტრიქონში და სვეტში „შინამეურნეობის საბოლოო მოხმარების ხარჯები“. ეს დაემატება სხვა მოხმარების* ხარჯებს საფრანგეთის რეზიდენტი შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების ჯამური ხარჯის მისაღებად. ეს იმის გამო ხდება, რომ სხვა პროდუქტების სტრიქონები ცხრილში 10.2 მოიცავს შესყიდვებს უცხოელი ტურისტების მიერ და ეს უნდა გამოვაკლოთ რეზიდენტების მოხმარების მისაღებად. საპირისპიროდ, სხვა პროდუქტების სტრიქონები არ მოიცავს მოხმარებას ფრანგი ტურისტების მიერ საზღვარგარეთ და ეს უნდა დავამატოთ მათი ჯამური მოხმარების მისაღებად. მოცემული ორმაგი ოპერაცია დანახარჯები-გამოშვების ცხრილში ტარდება ამ სტრიქონის დახმარებით.

„cif-fob კორექტირება“ ასევე უკავშირდება ურთიერთკავშირს დანარჩენ მსოფლიოსთან. როგორც ტექსტში ვნახეთ, საიმპორტო საქონელი ფასდება cif ფასებში, რაც გულისხმობს ღირებულებას, დაზღვევას და ფრახტს საზღვარზე. თუმცა, ეს ფასი მოიცავს სატრანსპორტო მომსახურებას ექსპორტიორი ქვეყნის

* ეს მნიშვნელობა ფაქტობრივად უარყოფითია საფრანგეთისთვის და უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ის გამოკლებულია. ის უარყოფითია იმის გამო, რომ უცხოელი ტურისტების ხარჯები საფრანგეთში სჭარბობს ფრანგი ტურისტების ხარჯებს საზღვარგარეთ. ეს სიტუაცია ასევე კარგად დახასიათდება, თუ ვიტყვით, რომ ტურისტული ბალანსი დადებითია.

საზღვრიდან საფრანგეთის საზღვრამდე. ამ მომსახურების იმპორტის უფრო ზუსტი ასახვისთვის გადაწყდა, რომ იმპორტის ჩვენება მომხდარიყო fob ფასებში, რომელიც გამორიცხავს ამ სატრანსპორტო ხარჯებს და ეს სატრანსპორტო ხარჯები ჩაწერილიყო „ტრანსპორტის“ სტრიქონში. ამით აიხსნება 16 მლრდ-ს გამოკლება უჯრაში, რომელიც მდებარეობს „საქონლის იმპორტის“ სვეტისა და „cif-fob კორექტირების“ სტრიქონის კვეთაზე ცხრილში 10.1. თუ ტრანსპორტირებას რეზიდენტი ახდენს, მაშინ ამ მომსახურების გამოშვება ჩაიწერება „HZ ტრანსპორტირებისა და შენახვის“ გამოშვებაში, ხოლო თუ არარეზიდენტი ახდენს, მაშინ ეს აისახება სატრანსპორტო მომსახურების იმპორტში. სხვა შემთხვევაში ეს თანხები უნდა გამოგვეკლო სატრანსპორტო პროდუქტის სტრიქონიდან, რადგან ამ რესურსების შესაბამისი გამოყენება არ გვაქვს. ეს ხსნის -16 მლრდ-იან ჩანაწერს უჯრაში, რომელიც მდებარეობს „cif-fob კორექტირების“ სვეტისა და ტრანსპორტის სტრიქონის კვეთაზე ცხრილში 10.1. რაც შეეხება თვითონ „cif-fob კორექტირების“ სვეტისა და „cif-fob კორექტირების“ სტრიქონის გადაკვეთას ცხრილში 10.1, ეს წმინდად შესათანხმებლად კეთდება, რადგან სპეციფიკური ოპერაციების სტრიქონებისა და სვეტების ჯამები გაბათილდეს. cif-fob კორექტირება საკმაოდ რთულია, მაგრამ მას მთლიანობაში არ აქვს გავლენა. მისი მიზანია უფრო მკაფიოდ ასახოს საქონლისა და მომსახურების აგრეგირებული იმპორტი.

შეზღუდვები ეროვნულ ანგარიშებში: არის თუ არა ორმაგი აღრიცხვა მშპ-ში?

მშპ უდრის საბოლოო მოთხოვნის კომპონენტების ჯამს, რომელთაგან თითოეული გამოსახულია შესასყიდი ფასით, რაც გულისხმობს, რომ მასში შედის დღგ. ამავე დროს, მშპ შეიცავს არასაბაზრო მომსახურების გამოშვებასაც, რაც ნაწილობრივ გადასახადებით ფინანსდება. თუ ეს ასეა, ვახდენთ თუ არა ამ გადასახადების ორჯერ გათვალისწინებას მშპ-ში?

ქვემოთ მოტანილია გამარტივებული მაგალითი, რომელიც ამ პრობლემის გაგებას გაგვიადვილებს. დავუშვათ, ელემენტარულ ეკონომიკაში სულ ორი პროდუქტია, სამრეწველო საქონელი და განათლება. ამ ეკონომიკაში წარმოებული საქონელი 20%-იანი დღგ-თი იბეგრება და მიღებული თანხა გამოიყენება მასწავლებლების დასაქირავებლად, რომლებიც უფასოდ ასწავლიან შინამეურნეობებს. დაშვების მიხედვით, ამ ეკონომიკაში არ არის შუალედური მოხმარება.

განათლების დაფინანსება წარმოებული საქონლის დღგ-ს ხარჯზე გამარტივებულ ეკონომიკაში

	გამოშვება = დამატებული ღირებულება	დღგ	საბოლოო მოხმარება
წარმოებული საქონელი	100	20	120
განათლება	120		20
მშპ	140		140

ეროვნული მონაგარიშეები მშპ-ს ითვლიან საწარმოო მეთოდით: დამატებული ღირებულებების ჯამს + დღგ, ანუ $(120 + 20) = 140$. ეს შედეგი ემთხვევა აგრეთვე მშპ-ს გამოთვლის შედეგს საბოლოო მოთხოვნის მეთოდით, რომელიც ამ შემთხვევაში მოხმარებამდეა დაყვანილი და ის ფაქტობრივად 140-ის ტოლია. მაგრამ, ნამდვილად უცნაურია თუ არა, რომ დღგ-ს გადასახადი 20 შედის როგორც წარმოებული საქონლის საბოლოო მოხმარებაში, ისე განათლების მოხმარებაში, იმის გათვალისწინებით, რომ ის უფასოა. მეტიც, სწორია თუ არა საუბარი მშპ-ზე საბაზრო ფასებში, თუ განათლების მომსახურება იმ ფასით იზომება, რომელიც ბაზარზე არ არის დაკვირვებადი, რადგან განათლება უფასოა?

ამ პრობლემის უკეთ დასაწახად დავუშვათ, რომ ხელისუფლებამ გააუქმა დღგ და შინამეურნეობები თვითონ უხდიან მასწავლებლებს ანაზღაურებას. დამატებით ისიც დავუშვათ, რომ არ იცვლება არც ფიზიკური მოცულობა და არც ფასები. ამ პირობების გათვალისწინებით მშპ გვექნება 120 მიმდინარე ფასებში დღგ-ს გარეშე.

დღგ-ს გაუქმება და განათლების მომსახურების პირდაპირი შესყიდვა

	გამოშვება = დამატებული ღირებულება	დღგ	საბოლოო მოხმარება
წარმოებული საქონელი	100		100
განათლება	20		20
მშპ	120		120

ეს კლება გარკვეულწილად უცნაურია. მწარმოებლის თვალთახედვით მათი გამოშვების ღირებულება არ შეცვლილა; მომხმარებლის მხრიდან, ერთობლივი მოხმარება უცვლელია. რა თქმა უნდა, ადგილი ჰქონდა წარმოებული საქონლის ფასის კლებას დღგ-ს გაუქმების გამო, მაგრამ ეს კლება კომპენსირებული იყო განათლების ფასების მატებით, რაც ადრე უფასო იყო და ახლა შინამეურნეობების გადასახდელი გახდა. ამიტომ, მშპ-ის ერთობლივი კლება 20-ით რთულად ინტერპრეტირებადი.

დასკვნა ასეთია, რომ სამწუხაროდ, „საბაზრო ფასებში მშპ“-ის ახლანდელი განმარტება ზემოთ აღნიშნული ინსტიტუციური ცვლილებების გავლენას განიცდის. აქ ორმაგი აღრიცხვის შემთხვევა კი არა, მშპ-ის განმარტების სისუსტე ვლინდება. შეიძლება თუ არა, რომ ეს იყოს მიზეზი? არსებითად არა, რადგან ფიზიკური მოცულობის ცვლილება არ განიცდის არანაირ გავლენას. მშპ-ის მოცულობა წინა წლის ფასებში ინსტიტუციური ცვლილებების შემდეგაც 140-ია. ასევე მოხმარების მოცულობაც 140 დარჩება, თუ წინა წლის ფასებში შევაფასებთ. ჯამში, ფიზიკური მოცულობის მატება ნული იქნება, რაც ლოგიკურად მისაღებია. რაც შეეხება სივრცეში ქვეყნების შედარებას (თუ საჭიროა), გამოიყენება მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი (PPP) და პრობლემა ასევე გადაწყვეტილი იქნება, რადგან PPP გადასახადის გამოკლების შემდეგ გამოითვლება და ავტომატურად სწორდება ნებისმიერი „ორმაგი აღრიცხვა“.

ისიც მართალია, რომ მშპ-ების პირდაპირი შედარებები PPP-თი კორექტირების გარეშე არ შეიძლება, თუმცა ასე ხშირად ხდება. ამასთან, გაურკვეველია, როგორ უნდა მოხდეს მშპ-ის ფასის ინდექსის ინტერპრეტაცია დღგ-ს გარეშე (მშპ-ის უხილავი დეფლატორი გაიზრდება - იმის მაგივრად, რომ უცვლელი დარჩეს). მიუხედავად ამისა, არ არსებობს სხვა განმარტება მშპ-ისთვის, რომ დავამტკიცოთ იგივეობა: მშპ = გამოშვება = შემოსავალი = ხარჯები. ისმის კითხვა: ეს განტოლება წმინდად თეორიული ხომ არ არის გადასახადების წნეხის გამო?

კავშირი ეკონომიკურ თეორიასთან: ვასილი ლეონტიევი და დანახარჯები-გამოშვების ცხრილების გამოყენება

დანახარჯები-გამოშვების პირველი ცხრილების შედგენა რუსული წარმოშობის ამერიკელ ეკონომისტს, ვასილი ლეონტიევს უკავშირდება. 1930 წელს მან გამოაქვეყნა აშშ-ის დანახარჯები-გამოშვების ცხრილები 1919 და 1926 წლებისთვის და გამოიყენა ისინი ამერიკის ეკონომიკის სტრუქტურის შესასწავლად. თუმცა, ეს ცხრილები ყველაზე ფართოდ მის ყოფილ სამშობლოში, საბჭოთა კავშირში გამოიყენებოდა. აქ საგეგმო კომიტეტის მიერ დგებოდა ხუთწლიანი გეგმები სამომხმარებლო და კაპიტალური საქონლის გამოსაშვებად და დანახარჯები-გამოშვების ცხრილების მეშვეობით ცდილობდნენ იმ გამოშვების შეფასებას, რაც დასახული მიზნების მისაღწევად იყო საჭირო. თითოეულ დარგს შესაბამისი მიზნები ჰქონდა, რომელთა მიღწევა სავალდებულო იყო. ასეთივე მეთოდებს იყენებდნენ ინდოეთი, ეგვიპტე, ჩინეთი, ვიეტნამი და კუბა.

ხუთწლიანი გეგმები საფრანგეთსა და ნიდერლანდებშიც გამოიყენებოდა, მაგრამ მათი მიზანი რაიმე ჩარჩოს დაწესება კი არ იყო დარგებისთვის, არამედ ახალი

სიმაღლეებისა და სტიმულების გაჩენა. საფრანგეთი და ნიდერლანდები საბაზრო ქვეყნები არიან და დარგებს ვერავინ მიუთითებს რა აწარმოონ. ხუთწლიანი გეგმები ჯერაც არ გამქრალა. ამავე დროს დანახარჯები-გამოშვების ცხრილების გამოყენება იმ გამოშვების გასაანგარიშებლად, რაც მოცემულ მოთხოვნას დააკმაყოფილებდა, იშვიათი გახდა, თუმცა სრულიად არ გამქრალა.

ფიქსირებული ტექნიკური კოეფიციენტების დაშვება მეთოდის შეზღუდვას წარმოადგენს, თუმცა არა მოკლევადიან პერიოდში. რასაკვირველია, მხედველობაში არ მიიღება შედარებითი ფასების ცვლილებები შუალედური მოხმარების საქონელში, რომელიც ტექნიკურ ცვლილებებს გამოიწვევდა და ამ დაშვებას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა. გარდა ამისა, ტექნიკური კოეფიციენტების გრძელვადიანი ანალიზი ადასტურებს, რომ ისინი დროის განმავლობაში საგრძნობლად იცვლება. მაგალითად, უკანასკნელი ტრენდია სამრეწველო ფირმების მიერ მათი საწარმოო სისტემების ექსტერნალიზაცია, ანუ ფირმის გარეთ გატანა (აუტსორსინგი). სახელდობრ, ფირმებმა შიდა კომპიუტერული მომსახურება გარე ფირმებს გადააბარეს, რომლებიც მათი აზრით, უკეთ ემსახურებიან. ასევეა ფინანსური აუდიტის, დასუფთავების სერვისის, უშიშროების და ა.შ. სფეროებში. სულ უფრო მეტი ფირმა მიმართავს პერსონალის დასაქირავებლად დროებითი დასაქმების სააგენტოების მომსახურებას (რადგან ფიქრობენ, რომ მათი მომსახურება უფრო მოქნილია). ყველა ამ შემთხვევაში სამრეწველო ფირმების შუალედური მოხმარება იზრდება მათი გამოშვების შესაბამისი ზრდის გარეშე. შედეგად, ნელა, მაგრამ გარდაუვლად იზრდება ტექნიკური კოეფიციენტები.

მიუხედავად იმისა, რომ დანახარჯები-გამოშვების ცხრილები თანდათან ნაკლებად გამოიყენება ეკონომიკურ ანალიზში, საპირისპირო შემთხვევებსაც აქვს ადგილი. ეთგო-მ გამოაქვეყნა საინტერესო მასალა, რომელშიც ეს ტექნიკა გამოყენებულია ეკონომიკურ/გარემოსდაცვით შესწავლის საფუძველად (Ahmad and al., 2003). კიოტოს საერთაშორისო შეთანხმების თანახმად, ქვეყნებმა უნდა შეამცირონ ნახშირორჟანგის შემცველობა გამონახობლქვში. ბევრმა ქვეყანამ მიაღწია პროგრესს ამ მიმართულებით. თუმცა, ეს შეიძლება არ შეესაბამებოდეს CO₂-ის ნამდვილ შემცირებას ქვეყნისთვის.

პრობლემა იმაშია, რომ კიოტოს ოქმი ფოკუსირებულია გამონახობლქვის შემცირებაზე ქვეყნის შიგნით, თუმცა, გლობალიზაციის შედეგად ხდება წარმოებების გადატანა მდიდარი ქვეყნებიდან ღარიბში, რაც ამცირებს პირველის გამონახობლქვის დონეს და ზრდის უკანასკნელისას, განსაკუთრებით მაშინ, თუ არაეფექტური საწარმოო ტექნიკა გამოიყენება. შედეგად, CO₂-ის შემცველობა ადრინდელთან შედარებით მაღალია. ეთგო-მ კვლევა ჩაატარა არა მდიდარი ქვეყნების გამოშვებაზე, არამედ მოხმარებაზე. ამ მიზნით მან გამოიყენა დანახარჯები-გამოშვების ცხრილები, რათა გაერკვია,

რომელი წარმოებები საჭიროებდნენ ასეთ მოხმარებას - საზღვარგარეთ განლაგებული საწარმოების ჩათვლით. როგორც აღმოჩნდა, მდიდარი ქვეყნების მიერ მოხმარების შედეგად გამოტყორცნილი CO₂ 5%-ით მეტია მათი შიდა წარმოების გამონახობაზე.

დარიცხვის მეთოდი

ე.წ. დარიცხვის მეთოდი მთელ ეროვნულ ანგარიშებში გამოიყენება და ის იმავე მეთოდს ეფუძნება, რაც კომპანიების ბუღალტერიაშია გამოყენებული. პრინციპი შემდეგში მდგომარეობს: ტრანსაქციის ჩაწერა ხდება იმ დროს და იმ მოცულობით, რა დროსაც კრედიტორის მხრიდან წარმოიშვება პრეტენზია, ხოლო დებიტორის მხრიდან - ვალდებულება. მაგალითად, ფირმა A-ს მიერ B-სთვის საქონლის მიყიდვა ჩაიწერება იმ დროს, როდესაც მოხდება მესაკუთრის ცვლილება. სხვა სიტყვებით, როდესაც ხელი მოეწერება გაყიდვის ხელშეკრულებას ფულის გადახდის ან ფულის ტრანსფერის დალოდების გარეშე. გაყიდვასა და ფულის ტრანსფერს შორის პერიოდში გაყიდვა ანგარიშებში აისახება გამყიდველის კრედიტში მყიდველის სასარგებლოდ. ეს ძირითადი პრინციპი ეროვნული ანგარიშების ყველა მწკრივისთვის საერთოა.

ამ პრინციპის დასაბუთება ორგვარად ხდება. პირველი, თუ ვიტყვით, რომ ეროვნული ანგარიშების მიზანია ეკონომიკური აგენტების სიმდიდრის ჩვენება პერიოდის ბოლოს, ეს სულ მცირე გარდაუვალი აუცილებლობაა. პერიოდის ბოლოს აგენტის სიმდიდრე უნდა მოიცავდეს დადებით მუხლებს სხვა აგენტებისადმი უპირობო პრეტენზიების სახით (მაგალითად, თუ გაყიდვის ხელშეკრულება ხელმოწერილია და საქონელი ადგილზეა მიტანილი, გამყიდველს უპირობო პრეტენზია წარმოექმნება მყიდველისადმი) და უარყოფით მუხლებს სხვა აგენტებისადმი ვალდებულებების სახით (მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ბიუჯეტში ჯერ კიდევ შესატანი გადასახადები). მეორე, მისი გამოყენება უკეთ უზრუნველყოფს ანალიტიკურ შესაბამისობას მაკროეკონომიკური სერიების ვარიაციებს შორის. მაგალითად, თუ მთავრობა დღგ-ს ზრდის მოცემული წლის დეკემბერში, მაშინ დღგ-ს შემოსვლის შედეგები საგრძნობი იქნება მომდევნო წლის პირველ კვარტალში, რადგან აგენტების მიერ დღგ-ს გადახდაში დროითი ლაგი მოქმედებს. თუმცა, ანალიტიკურად არასწორი იქნებოდა, რომ დღგ-ს მატება მხოლოდ მომდევნო წელს ასახულიყო, რადგან ახალი დონით დღგ-ს გამოყენება მიმდინარე წელსაც მოხდა. ბუღალტრების ენაზე ეს ნიშნავს, რომ საჭიროა დღგ-ს „კორექტირება“, რათა მოხდეს მისი მიზმა იმ პერიოდთან, როდესაც ნაკადი წარმოიქმნა (იმ დროსთან, მაგალითად, როდესაც შინამეურნეობამ შეიძინა პროდუქტი).

პრაქტიკულად, ყველაფერი ასე ადვილად არ ხდება. ერთი მხრივ, ეროვნული მოანგარიშები კომპანიის ანგარიშებს იყენებენ, რომლებისთვისაც ეს წესი ოდითგანვე მნიშვნელოვანია. მეორე მხრივ, მრავალ ქვეყანაში ისეთი მსხვილი მაკროეკონომიკური აგენტი, როგორც მთავრობაა, სისტემატურად არ იცავს ამ წესს. სავსებით სწორად იქცევიან ეროვნული მოანგარიშები, როდესაც გარკვეული ტრანსაქციებისთვის (მაგ. გადასახადები) სამთავრობო სტატისტიკას იყენებენ და არა კომპანიის ანგარიშებიდან აგრეგირებულ სტატისტიკას. ასეთ შემთხვევაში ეროვნული ანგარიშების შინაგანი ძალმოსილების შესანარჩუნებლად კომპანიების მიერ გადასახადების დარიცხვის ბაზაზე მიღებულ მონაცემებს ცვლის სამთავრობო სტატისტიკით, რომელიც მოცვის თვალსაზრისით უკეთესია, მაგრამ დარიცხვის მეთოდის გამოყენების მხრივ უარესია. საბოლოოდ, ამის მოწესრიგება ხდება მთავრობის მიერ დღგ-ს დროში გადაწევით, რათა ის შესაბამისობაში მოვიდეს გადასახადის წარმოქმნასთან.

გარდა ამისა, პრაქტიკული სირთულე იქმნება ფირმების მიერ თავის დასაზღვევი გარკვეული „მარაგების“ შექმნიდან, რომელსაც არ სცნობს ეროვნული ანგარიშები. იმის გამო, რომ ფირმას ყოველთვის ჰყავს ცუდი გადამხდელები, ის თავის დაზღვევის მიზნით გვერდზე ქმნის „მარაგს“ ამ გადაუხდელი ანგარიშების დასაფარად და ეს ჩაიწერება მის მოგება-ზარალის უწყისში. ეროვნული ანგარიშები არ იძლევა ნებართვას ამ მარაგების ჩაწერაზე, რადგან თვლის, რომ ეს არის ერთი აგენტის ხედვა სხვების მაგივრად და ამით ირღვევა სიმეტრია. შინაგანი მდგრადობის მიზნით, ეროვნულ ანგარიშებში გატარდება მხოლოდ სიმეტრიული ტანსაქციები. ეს წინააღმდეგობაა, რომელიც უნდა გადაიჭრას.

რას ნიშნავს „კონსოლიდაცია“?

არსებობს ორი გზა ინსტიტუციური ანგარიშების აგრეგირებისთვის. პირველი გზაა მათი ერთმანეთზე დამატება, რასაც უმეტეს ეროვნულ ანგარიშებში აკეთებენ. მეორე გზაა მათი დამატება, მაგრამ იმ ინდივიდუალური ინსტიტუციური ერთეულების ტრანსაქციების ელიმინირება, რომლებიც ჩართულია აგრეგირებაში. ეს მეთოდი ცნობილია, როგორც „კონსოლიდაცია“. როდესაც კონსოლიდაცია კეთდება, რჩება მხოლოდ ტრანსაქციები აგრეგირებულ ჯგუფსა და მის გარეთ არსებულ ერთეულებს შორის. მაგალითად, თუ გავიხსენებთ ცხრილ 10.7-ში განხილულ პროცენტს, კონსოლიდაციის შემთხვევაში მთელი ეკონომიკისთვის (S1) ციფრი გაცილებით ნაკლები იქნებოდა 305.5 მლრდ დანიურ კრონაზე, რადგან პროცენტების უმეტესობის გადახდა ხდება რეზიდენტების მიერ სხვა რეზიდენტებისთვის.

კონსოლიდირებული ციფრის პოვნა S1-ისთვის საკმაოდ ადვილია. თუ რეზიდენტ სექტორებს შორის მოვახდენთ ელიმინირებას, მაშინ გვრჩება მხოლოდ ტრანსაქციები ერთი სექტორთან - დანარჩენ მსოფლიოსთან, S2. „კონსოლიდირებული S1“ შეესაბამება მის საპირისპირო ციფრს S2-ისთვის და ამდენად, ეროვნული ეკონომიკის მიერ გადახდილი კონსოლიდირებული პროცენტი აუცილებლად დანარჩენი მსოფლიოს მიერ მიღებული პროცენტის, ანუ 56.9 მლრდ-ს ტოლი უნდა იყოს. გაითვალისწინეთ, რომ ორი სექტორი უკვე კონსოლიდირებულია. ეს არის დანარჩენი მსოფლიო და შინამეურნეობები. მათ შორის დანარჩენი მსოფლიო განსაზღვრის მიხედვით, რადგან ქვეყნის ეროვნულ ანგარიშებში არ განიხილება ის ტრანსაქციები, რომლებიც შიდა ტრანსაქციებია სხვა ქვეყნებისთვის ან სხვა ქვეყნებს შორისაა; შინამეურნეობები - სტატისტიკური აუცილებლობის გამო, რადგან მათი ანგარიშები სხვაობის საფუძველზე მიიღება, რადგან ვიტრუალურად რაიმე პირდაპირი ინფორმაცია შინამეურნეობების შესახებ არ არსებობს. რადგან მათი მიღება სხვაობის საფუძველზე ხდება, შინამეურნეობები საჭიროების გარეშეც კონსოლიდირებულია. თუმცა, იმის გამო, რომ ძალიან ძნელია აგრეგირებული ბიზნეს ანგარიშების კონსოლიდაცია, ყველაზე ხშირად ეს ანგარიშებია არაკონსოლიდირებული ეროვნულ ანგარიშებში.

აღსანიშნავია, რომ ანგარიშების დამაბალანსებელი მუხლები (დამატებული ღირებულება, საოპერაციო მოგება, დანაზოგი, წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება) კონსოლიდაციის მიმართ ინდიფერენტულია. ეს იმის გამო ხდება, რომ რესურსებისა და გამოყენების სხვაობით მიიღება. თუ რესურსებში შედის სექტორის შიდა ტრანსაქციები, მაშინ გამოყენებაშიც აუცილებელია მათი შეტანა.

მე-10 თავის სავარჯიშოები

სავარჯიშო 1. დანახარჯები-გამოშვების ცხრილის აღდგენა „ამოჭრისა და ჩასმის“ გამოყენებით

ამ სავარჯიშოს მიზანია ნამდვილი დანახარჯები-გამოშვების ცხრილის შევსება საფრანგეთის კლასიფიკაციის E დონეზე (17 პროდუქტი/დარგი). ეწვიეთ INSEE- ვებ გვერდს (insee.fr), იპოვეთ მიმდინარე ეროვნული ანგარიშები და ნახეთ “სინთეზური ცხრილები“ და შემდეგ „დანახარჯები-გამოშვების ცხრილი“ (“tableau des entrées et sorties”). ეს მოგცემთ პროდუქტების მიწოდების ცხრილს (“tableau des ressources en produits”), საბოლოო გამოყენების ცხრილს (“tableau des emplois finals par produits”), შუალედური მოხმარების ცხრილს (“tableau des entrées intermédiaires”) და ბოლოს, წარმოების ანგარიშებს (“comptes de production”) და შემოსავლების ფორმირების ანგარიშებს (“comptes d’exploitation”) დარგების მიხედვით (“branche”). ამოხედეთ ეს ცხრილები ცალ-ცალკე. შემდეგ გამოიყენეთ ამოჭრისა და ჩასმის ხერხი და ისე დაალაგეთ ისინი, რომ მიიღოთ დანახარჯები-გამოშვების ცხრილი ამ თავის მე-4 ქვეთავიდან. მიაქციეთ ყურადღება, რომ სვეტები და სტრიქონები ერთმანეთს შეესაბამებოდეს. ახლიდან წაიკითხეთ 1-4 ქვეთავები თქვენს წინ მდებარე ახალ ცხრილებთან ერთად. ვისაც ეყოფა სითამამე, INSEE-ს გვერდზე შესაძლებელია იგივე მანიპულაციის ჩატარება F დონეზე (38 პროდუქტი). შედეგად მივიღებთ ძალიან ვრცელ ცხრილს. წარმოიდგინეთ, რამდენად დიდი იქნება ის G დონეზე (88 პროდუქტი)!

სავარჯიშო 2. ინსტიტუციური სექტორების ანგარიშების აღდგენა

განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც ეკონომიკაში სამი ინსტიტუციური სექტორია: შინამეურნეობების (შმაკოების ჩათვლით), კორპორაციების (ფინანსური და არაფინანსური) და სახელმწიფო მართვის ორგანოების.

ქვემოთ მოტანილი ცხრილის შესავსებად უამრავი წყაროს გამოყენება გახდა საჭირო:

	კორპორაციები	სახელმწიფო მართვის ორგანოები	შინამეურნეობები
ხარჯები			
პროცენტი	162		20
დამსაქმებლის სოციალური შენატანები	129	35	11
დივიდენდები	60	53	
საოპერაციო მოგება	54	2	2

			65
სხვა გადასახადებს წარმოებაზე მინუს სუბსიდიები	?	?	
მთლიანი ხელფასი	431	87	51
ამოღებები	24		
კვაზიკორპორაციების შემოსავლებიდან			
მიმდინარე გადასახადები შემოსავალზე, სიმდიდრეზე და ა.შ.	34		178
სხვა შემოსავალი ქონებიდან	25		
შემოსავალი მიწიდან და სასარგებლო წიაღისეულიდან	31	7	27
საბოლოო მოხმარების ხარჯები		368	1031
სოცურუნველყოფის ანაზღაურება		57	
შეღვათები		162	
სხვა მიმდინარე ტრანსფერები	57	159	73
სოციალური შეღვათები ნატურალური სოციალური ტრანსფერების გარდა	43	289	
საპენსიო უფლებების ცვლილების რეგულირება	11		
რესურსები			
დამატებული ღირებულება (საბაზისო ფასებში)	780	158	561
სოციალური შენატანები	54	268	
დივიდენდები	28	5	13
გადასახადებს პროდუქტებზე მინუს სუბსიდიები		133	
სხვა მიმდინარე ტრანსფერები	59	109	72
შემოსავალი მიწიდან და სასარგებლო წიაღისეულიდან	44		21
სხვა შემოსავალი ქონებიდან	16		23
პროცენტი	139	14	56
ამოღებები		13	44
კვაზიკორპორაციების შემოსავლებიდან			

ამასთან, საგადასახდელო ბალანსიდან გვაქვს შემდეგი მონაცემები:

დებიტი (დანარჩენი მსოფლიოს რესურსები)	
მთლიანი ხელფასები	2
პროცენტი	21
დივიდენდები	14
სხვა მიმდინარე ტრანსფერები	59
ამოღებები კვაზიკორპორაციების შემოსავლებიდან	3
კრედიტი (დანარჩენი მსოფლიოს გამოყენება)	
მთლიანი ხელფასები	6
პროცენტი	14
დივიდენდები	13
სხვა მიმდინარე ტრანსფერები	36
ამოღებები კვაზიკორპორაციების შემოსავლებიდან	10

ამ სავარჯიშოში უნდა შეავსოთ სამი ინსტიტუციური სექტორის ანგარიშები, რომლებიც ქვემოთ არის მოცემული.

აქ შეგიძლიათ ნახოთ ცალკეული მითითებები სავარჯიშოს შესასრულებლად:

1. ზემოთ მოტანილ პირველ ცხრილში მონაცემები სრულად არ არის წამოდგენილი და საჭიროა დამატებითი ციფრების გამოყენება;
2. შრომის ანაზღაურება, რომელიც საგადასახდელო ბალანსშია ნაჩვენები, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, გადახდილია ან მიღებულია დანარჩენი მსოფლიოს მიერ და ნაშთი გადახდილია შინამეურნეობებისთვის;
3. განსაზღვრის მიხედვით, სოციალურ შეღავათებს იღებენ შინამეურნეობები;
4. სოციალური შენატანები, რომელსაც კორპორაციები და სახელმწიფო მართვის ორგანოები იღებენ, შინამეურნეობების მიერ არის გადახდილი;
5. განსაზღვრის მიხედვით, საპენსიო უფლებების ცვლილების რეგულირება ეხება შინამეურნეობებს;
6. შინამეურნეობების კორექტირებული განკარგვადი შემოსავალი უდრის განკარგვად შემოსავალს დამატებული ნატურალური სოციალური ტრანსფერები (სოცუზრუნველყოფის ანაზღაურება, სხვა შეღავათები ნატურით).

შინამეურნეობები

შემოსავლების ფორმირების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
------------	-----------

შრომის ანაზღაურება	დამატებული ღირებულება
მთლიანი ხელფასი	
დამსაქმებლის სოციალური ანარიცხები	
სხვა გადასახადებს წარმოებაზე მინუს	
სუბსიდიები	
საოპერაციო მოგება	
შერეული შემოსავალი	

პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
	მთლიანი საოპერაციო მოგება და შერეული შემოსავალი
	შრომის ანაზღაურება
	მთლიანი ხელფასი
	დამსაქმებლის სოციალური ანარიცხები
შემოსავალი საკუთრებიდან	შემოსავალი საკუთრებიდან
პროცენტი	პროცენტი
შემოსავლები მიწიდან და სასარგებლო წიაღისეულიდან	დივიდენდები
	ამოღებები კვაზიკორპორაციების შემოსავლებიდან
პირველადი შემოსავლების სალდო	შემოსავლები მიწიდან და სასარგებლო წიაღისეულიდან
	სხვა შემოსავალი საკუთრებიდან

შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
მიმდინარე გადასახადები შემოსავალზე, სიმდიდრეზე და ა.შ.	პირველადი შემოსავლების სალდო
სოციალური შენატანები	სოციალური შეღავათები ნატურალური სოციალური ტრანსფერების გარდა
სხვა მიმდინარე ტრანსფერები	სხვა მიმდინარე ტრანსფერები
განკარგვადი შემოსავალი	

შემოსავლების გამოყენების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
	განკარგვადი შემოსავალი
საბოლოო მოხმარების ხარჯები	საპენსიო უფლებების ცვლილების რეგულირება
დანაზოგი	

კორექტირებული შემოსავლის გამოყენების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
	კორექტირებული განკარგვადი შემოსავალი

ფაქტობრივი მოხმარება დანაზოგი	საპენსიო უფლებების ცვლილების რეგულირება
----------------------------------	---

კორპორაციები

შემოსავლების ფორმირების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
შრომის ანაზღაურება მთლიანი ხელფასი დამსაქმებლის სოციალური ანარიცხები	დამატებული ღირებულება
სხვა გადასახადებს წარმოებაზე მინუს სუბსიდიები	
საოპერაციო მოგება	

პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
შემოსავალი საკუთრებიდან პროცენტი	მთლიანი საოპერაციო მოგება
დივიდენდები ამოღებები კვაზიკორპორაციების შემოსავლებიდან	შემოსავალი საკუთრებიდან პროცენტი
სხვა შემოსავალი საკუთრებიდან	დივიდენდები შემოსავლები მიწიდან და სასარგებლო წიაღისეულიდან
	სხვა შემოსავალი საკუთრებიდან
პირველადი შემოსავლების სალდო	

შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
მიმდინარე გადასახადები შემოსავალზე, სიმდიდრეზე და ა.შ.	პირველადი შემოსავლების სალდო
სოციალური შეღავათები ნატურალური სოციალური ტრანსფერების გარდა	სოციალური შენატანები
სხვა მიმდინარე ტრანსფერები განკარგვადი შემოსავალი	სხვა მიმდინარე ტრანსფერები

შემოსავლების გამოყენების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
საპენსიო უფლებების ცვლილების რეგულირება დანაზოგი	განკარგვადი შემოსავალი

სახელმწიფო მართვის ორგანოები

შემოსავლების ფორმირების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
შრომის ანაზღაურება	დამატებული ღირებულება
მთლიანი ხელფასი	
დამსაქმებლის სოციალური ანარიცხები	
სხვა გადასახადებს წარმოებაზე მინუს	
სუბსიდიები	
საოპერაციო მოგება	

პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
შემოსავალი საკუთრებიდან	საოპერაციო მოგება
პროცენტი	
შემოსავლები მიწიდან და სასარგებლო	გადასახადებს მინუს სუბსიდიები წარმოებასა
წიაღისეულიდან	და იმპორტზე
სხვა შემოსავალი საკუთრებიდან	სხვა გადასახადებს მინუს სუბსიდიები
	წარმოებაზე
	შემოსავალი საკუთრებიდან
	პროცენტი
	დივიდენდები
	ამოღებები კვაზიკორპორაციების
	შემოსავლებიდან
პირველადი შემოსავლების სალდო	სხვა შემოსავალი საკუთრებიდან

შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
	პირველადი შემოსავლების სალდო
	მიმდინარე გადასახადები შემოსავალზე,
	სიმდიდრეზე და ა.შ.
სოციალური შეღავათები ნატურალური	სოციალური შენატანები
სოციალური ტრანსფერების გარდა	
სხვა მიმდინარე ტრანსფერები	სხვა მიმდინარე ტრანსფერები
განკარგვადი შემოსავალი	

შემოსავლების გამოყენების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
საბოლოო მოხმარების ხარჯები	განკარგვადი შემოსავალი
დანაზოგი	

კორექტირებული შემოსავლის გამოყენების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
ფაქტობრივი მოხმარება დანაზოგი	კორექტირებული განკარგვადი შემოსავალი

სავარჯიშო 3. ინტეგრირებული ეკონომიკური ანგარიშის შექმნა

გამოიყენეთ წინა სავარჯიშოს ანგარიშები და დაასრულეთ ინტეგრირებული ეკონომიკური ანგარიში შემდეგ გვერდებზე:

ინტეგრირებული ეკონომიკური ანგარიში (ამონარიდი) (1/3)

სულ	დანაზოგი	მთლიანი	კორპორაციები	სახ. მართვის ორგანიზაციები	შინამეურნეობები	წარმოების ანგარიში	კორპორაციები	სახ. მართვის ორგანიზაციები	შინამეურნეობები	მთლიანი ეკონომიკა	დანაზოგი	სულ
						იმპორტი					499	499
540						ექსპორტი						
						გამოშვება	1708	410	1264	3382		3382
1883		928	252	703		შუალედური მოხმარება						
						გადასახადებს მინუს სუბსიდიები				133		133
1632		780	158	561		დამატებული ღირებულება/მშპ						
-41						სავაჭრო ბალანსი (საქონელი და მომსახურება)						
						შემოსავლების ფორმირების ანგარიში						
						დამატებული ღირებულება						
						შრომის ანაზღაურება						

	მთლიანი ხელფასი
	დამსაქმე ბლის
	სოციალუ რი
	შენატანებ ი
	გადასახა დებს
	მინუს
	სუბსიდი ები
	პროდუქ ტებზე
	სხვა
	გადასახა დები
	საოპერაც იო
	მოგება
	შერეული
	შემოსავა ლი

ინტეგრირებული ეკონომიკური ანგარიში (ამონარიდი) (2/3)

ს უ ლ	დანა რჩენი მსოფ ლიო	მთლ იანად ეკონ ომიკა	კორპორ აციები	სახ, მართ ვის ორგან ოები	შინამეურ ნეობები	პირველადი შემოსავლებ ის განაწილების ანგარიში	კორპორ აციები	სახ, მართ ვის ორგან ოები	შინამეურ ნეობები	მთლ იანად ეკონ ომიკა	დანა რჩენი მსოფ ლიო	სუ ლ
						საოპერაციო მოგება/შერე ული						
						შემოსავალი შრომის ანაზღაურებ ა						
						მთლიანი ხელფასი						
						დამსაქმებლ ის						
						სოციალური შენატანები						
						გადასახადებ ს მინუს						
						სუბსიდიები						
						პროდუქტებ ზე						
						სხვა						
						გადასახადებ ი						
						წარმოებაზე შემოსავლებ						

	ო საკუთრები დან
	პროცენტი დივიდენდ ები
	ამოღებები კვაზიკორპ ორაციების შემოსავლე ბიდან
	შემოსავლებ ი მიწიდან და სასარგებლო წიაღისეული დან
	სხვა შემოსავალი საკუთრები დან
	პირველადი შემოსავლებ ის საღდო/ერო ვნული შემოსავალი

ინტეგრირებული ეკონომიკური ანგარიში (ამონარიდი) (3/3)

სულ	დანარ ჩენი მსოფ ლიო	მთლი ანად ეკონო მიკა	კორპორ აციები	სახ, მართვ ის ორგან ოები	შინამეურ ნეობები	შემოსავ ლების მეორადი განაწილ ების ანგარიში	კორპორ აციები	სახ, მართვ ის ორგან ოები	შინამეურ ნეობები	მთლი ანად ეკონო მიკა	დანარ ჩენი მსოფ ლიო	სულ
						პირველა დი შემოსავ ლების საღდო						
						მიმდინა რე გადასახა დები შემოსავა ლზე, სიმდიდ რეზე და ა.შ.						
						სოციალ ური შენატანე ბი						
						სხვა სოციალ						

	ური შეღვათ ები
	სხვა მიმდინა რე ტრანსფე რები
	განკარგ ადი შემოსავა ლი
	შემოსავ ლების გამოყენე ბის ანგარიში
	განკარგ ადი შემოსავა ლი
	საბოლო ო ხარჯები
	ცვლილე ბები საპენსიო რეგული რებაში
	დანაზოგ ი
	მიმდინა რე ანგარიში ს სალდო

სავარჯიშო 4. დანახარჯები-გამოშვების ცხრილის გამოყენება ლეონტიევის მოდელში

განვიხილოთ შემდეგი დანახარჯები-გამოშვების ცხრილი, რომელშიც მოცემულია: [M] შუალედური მოხმარების მატრიცა; [Y] საბოლოო მოთხოვნის ვექტორი შუალედური საქონლის, კაპიტალური საქონლისა და სამომხმარებლო საქონლისთვის და ბოლოს, [X], ამავე საქონლის მწარმოებელი დარგების გამოშვების ვექტორი (მიმდევრობის მიხედვით - შუალედური საქონლის, კაპიტალური საქონლისა და სამომხმარებლო საქონლისთვის).

		[M]		[Y]
შუალედური პროდუქტები	5	20	20	5
კაპიტალური საქონელი	5	10	12	33

სამომხმარებლო პროდუქტები	10	6	15	89
[X]	50	60	120	
	შუალედური პროდუქტები	კაპიტალური საქონელი	სამომხმარებლო პროდუქტები	

ზემოთ მოცემული ციფრებისა და ამ თავის მე-5 ქვეთავში მოტანილი განტოლებების ბაზაზე:

1. გაიანგარიშეთ ტექნიკური კოეფიციენტების მატრიცა [A];
2. გამოიყენეთ განტოლება 7 და გაიანგარიშეთ სამომხმარებლო საქონლის საბოლოო მოთხოვნის 20-ით გაზრდის ეფექტი [X]-ზე (როგორც გადასახადების შემცირების შედეგი).

ამ სავარჯიშოების ამოხსნები შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე:

<http://dx.doi.org/10.1787/9789264214637-28-en>

თავი 11

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ტექნიკური მხარე: კომპილაცია და ანგარიშგება

ამ თავში განხილულია ეროვნულ ანგარიშთა სისტემის „ტექნიკური“ მხარე. აქ ახსნილია, თუ როგორ ხდება ეროვნული ანგარიშების კომპილაცია და აღწერილია ამ პროცესის შედეგები მომხმარებლებისთვის. პირველად განხილულია კვარტალური ანგარიშები, შემდეგ კი - ურთიერთკავშირი კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს შორის, შემდეგ ყურადღება გამახვილებულია რიგით და ყოვლისმომცველ გადახედვებზე ეროვნულ ანგარიშებში. ამ თავში გამოყენებულია საფრანგეთის მაგალითი, თუმცა ეს გამოცდილება დანარჩენი ქვეყნებისთვისაც მისაღებია.

წინა თავებში კონცენტრირება ხდებოდა ეროვნული ანგარიშების ცვლადების განმარტებებზე. ეს თავი სრულიად განსხვავებულია; მისი მიზანია ახსნას, თუ როგორ ხდება *პრაქტიკაში* ეროვნული ანგარიშების კომპილაცია და მომხმარებლებისთვის აღწეროს ამ პროცესის ძირითადი შედეგები. ჯერ დავიწყებთ კვარტალური ანგარიშებით; შემდეგ ვნახავთ ურთიერთკავშირს კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს შორის. ბოლოს, განვიხილავთ რიგითი და ყოვლისმომცველი გადახედვების (რევიზიების) არსს და გამოყენებას ეროვნულ ანგარიშებში. ამ თავში ძირითადად საფრანგეთის მაგალითია განხილული, თუმცა ეს გამოცდილება სხვა ქვეყნებისთვისაც მისაღებია.

1. კვარტალური ეროვნული ანგარიშები

თავიდან, ეროვნული ანგარიშები აშშ-სა და გაერთიანებულ სამეფოში მხოლოდ კვარტალური იყო. საფრანგეთსა და დანარჩენ ქვეყნებში კი - დიდხანს მხოლოდ წლიური, თუმცა, მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების სფეროში მიღწეულმა პროგრესმა თანდათან გაზარდა კვარტალური ანგარიშების აგების შესაძლებლობა. მაკროეკონომისტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ხარისხიანი, დროული და ფორმატის შესაბამისი კვარტალური ანგარიშები.

რა საჭიროა კვარტალური ანგარიშები?


მაკროეკონომიკური სტატისტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დროულად დაეხმაროს მთავრობას სწორი გადაწყვეტილების მიღებაში. სწორი არ იქნებოდა ეკონომიკური აღმავლობის პოლიტიკის გატარება მაშინ, როდესაც ეს პროცესი უკვე დაწყებულია, ან ეკონომიკის „გაგრილება“, როდესაც ეკონომიკა უკვე რეცესიაშია. ამიტომ, სასურველია, რომ ინფორმაცია ეკონომიკური ციკლის შესაბამისი იყოს. ამ კონტექსტში, საფრანგეთის ეროვნული ანგარიშები, რომელიც ყოველი მომდევნო წლის მაისში ქვეყნდება, საკმაოდ იგვიანებს. ამასთან, საშუალოწლიურ ინდიკატორებზე დაყრდნობამ შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს ეკონომიკის რეალური მდგომარეობის შესახებ (იხ. სავარჯიშო 1 ამ თავის ბოლოს). ამიტომ, საჭიროა წლიურთან შედარებით უფრო დროული ანგარიშების შედგენა. დღეისათვის არსებული რესურსები და სტატისტიკის სანდოობის ხარისხი არ იძლევა კვარტალური ანგარიშების შემდგომი გაფართოების საშუალებას, თუმცა, კანადაში მშპ-ს ყოველთვიურად ითვლიან.

კვარტალური ეროვნული ანგარიშები ეთგო-ს მოკლევადიანი ეკონომიკური ანალიზის მთავარი ინსტრუმენტია. ეკონომიკური პერსპექტივების 93-ე ნომერი

[Economic Outlook No. 93](#), რომელიც 2013 წლის მაისით არის დათარიღებული, შემდეგი ნახაზით და კომენტარით იწყება:

„გლობალური ეკონომიკური გაჯანსაღება არათანაბრად მიმდინარეობს, განსაკუთრებით ეთგო-ს ზონაში, გამოშვების კვარტალური მატება ძალიან ზომიერ დადებით საზღვრებშია. ეკონომიკის გაძლიერებაზე დიდ გავლენას ახდენს როგორც ქვეყნებს შორის მაკროეკონომიკური და სტრუქტურული პოლიტიკის განსხვავებები, ისე ფინანსურ მდგომარეობაზე მოქმედი სხვა ფაქტორები“. (OECD, 2013a).

ნახაზი 11.1. კვარტალური რეალური მშპ: კანადა, ევროზონა, იაპონია და აშშ
2008 Q1 = 100



წყარო: OECD (2013), “OECD Economic Outlook No. 93”, OECD Economic Outlook: Statistics and Projections (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00655-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00655-en).

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144222>

ზოგადად, კვარტალური ანგარიშები პროგნოზისტების მიერ გამოიყენება - იქნება ეს ფინანსთა სამინისტროში ბიუჯეტის მომზადების პროცესი თუ დიდ ბანკებთან ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან არსებული კერძო კვლევითი ორგანიზაციები. კვარტალური ანგარიშების წყალობით ეკონომისტებს საშუალება აქვთ განაახლონ ხოლმე მომავალი წლის პროგნოზები, რადგან კვარტალური ინფორმაციის მიღება მიმდინარე წლის განმავლობაშია შესაძლებელი.

ყველა ზემოაღნიშნულთან ერთად, კარგი პროგნოზი არის ის, რაც ახლო წარსულის ციფრებს იყენებს.

აგრეთვე, საფრანგეთში კვარტალური ანგარიშები ექვსთვიან პროგნოზებთან კავშირში გამოიყენება, რაც INSEE-ს მოკლევადიანი ეკონომიკური პროგნოზების დეპარტამენტში კეთდება. მათი წარდგენა რეგულარულად ხდება პუბლიკაციებში საერთო სათაურით "Conjoncture en France (საფრანგეთის კონიუნქტურა)", რომელიც უამრავ კვარტალურ ციფრსა და კომენტარს მოიცავს (იხ. ჩანართი 11.1.: „ანუალიზაცია (წლიურ მონაცემებში გადაყვანა) და მატების ინდიკატორები“). მართლაც, საფრანგეთის INSEE მსოფლიო სტატისტიკური ინსტიტუტების იმ მცირე ჩამონათვალში შედის, სადაც პროგნოზები კეთდება.

კვარტალური ანგარიშების დამახასიათებელი თავისებურებები

ცალკეულ ქვეყნებში, როგორცაა აშშ და გაერთიანებული სამეფო, მომხმარებელი რეალურ განსხვავებას ვერ ხედავს წლიურ და კვარტალურ ანგარიშებს შორის. ორივე ქვეყანაში *ერთდროულად* დაიწყო კვარტალური და წლიური ანგარიშების შემუშავება. საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში ბევრად გვიან დაიწყო კვარტალური ანგარიშების კეთება (1970-იანი წლების შუაში, ხოლო აშშ-სა და გაერთიანებულ სამეფოში - 1950-იანებში).

მართლაც, ცვლადების განმარტებებთან და საბაზისო პრინციპებთან დაკავშირებით კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს შორის *მნიშვნელოვანი* განსხვავება არ არსებობს. უბრალოდ, განსხვავება იმაშია, რომ კვარტალური ნაკადები წლიურის დაახლოებით მეოთხედს შეადგენს (ლოგიკურია, რადგან კალენდარულ კვარტალში სამი თვეა).

ეს არ ეხება, მაგალითად აშშ-ის კვარტალურ ანგარიშებს, რადგან ხდება მათი „ანუალიზაცია“ და 4-ზე გამრავლება (იხ. ჩანართი 11.1: „ანუალიზაცია (წლიურ მონაცემებში გადაყვანა) და მატების ინდიკატორები“).

აღნიშნულის საპირისპიროდ, წლიური ნაკადები ოთხივე კვარტალის ნაკადების ჯამის ტოლია (თეორიულად, როგორც შემდეგ ვნახავთ).

ჩანართი 11.1. ანუალიზაცია (წლიურ მონაცემებში გადაყვანა) და მატების ინდიკატორები

ეროვნული ანგარიშების უმნიშვნელოვანესი როლი მჟღავნდება მომავალი წლის პროგნოზებზე დაყრდნობით სახელმწიფო ბიუჯეტისთვის მაკროეკონომიკური მოდელის შემუშავებაში. უპირველესი ამოცანაა მომავალი წლისთვის მშპ-ის ფიზიკური მოცულობის მატების ტემპის გაანგარიშება „წლიური საშუალოს“ საფუძველზე, ანუ უნდა გავიანგარიშოთ ცვლილება მშპ-ებს შორის $Y + 1$ და Y წლებს შორის, $(Y + 1)/Y$. კვარტალურ ანგარიშებში მოცემული ინფორმაცია კვარტალურ ცვლილებებს ასახავს, $(Q + 1)/Q$. რაც უფრო ღრმად შევდივართ წლის მონაცემებში, მით მეტი კვარტალური ციფრი გვაქვს მიმდინარე კვარტალების შესახებ და უფრო მეტად ვუახლოვდებით მშპ-ის საშუალოწლიური მატების ტემპის პროგნოზირებას. ცალკეული ქვეყნების ეროვნული მონგარიშები (კანადა, იაპონია, მექსიკა, აშშ) კვარტალურ ციფრებს „წლიურ ბაზაზე“ გამოსახავენ, რაც იმას ნიშნავს, რომ კვარტალური დონეები 4-ზე მრავლდება. ასევე, ისინი კვარტალურ ცვლილებას „აწლიურიზირებულ დონეზე“ ასახავენ და ის მეოთხე ხარისხში აჰყავთ. ამ მეთოდის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ერთ მრუდზე ათავსებენ კვარტალურ და წლიურ მატების ტემპებს. თუმცა, ეს პრაქტიკა ყველა ქვეყანაში არ არის გავრცელებული. მოცემული პრაქტიკა უნაკლო არ არის, რადგან კეთდება დაშვება, რომ კვარტალის განმავლობაში დაკვირვებადი ცვლილებები მომავალშიც გაგრძელდება, რაც დიდად სარწმუნო არ არის. ამდენად, ზოგიერთი მოკლევადიან პრობლემატიკაზე მომუშავე ანალიტიკოსი წლიური მატების ტემპის საჩვენებლად უპირატესობას ანიჭებს „წელი - წელთან“ შედარების და/ან „სტატისტიკური გადატანის“ მეთოდს. „წელი - წელთან“ ცვლილება გულისხმობს მიმდინარე პერიოდის ცვლილების (ამ შემთხვევაში კვარტალი) გაანგარიშებას წინა წლის შესაბამის პერიოდთან $(Q/Q - 4)$ შედარებით. „სტატისტიკური გადატანის“ მეთოდი მოიცავს მიმდინარე კალენდარული წლის საშუალოს გაანგარიშებას იმ დაშვებით, რომ დარჩენილი კვარტალები უკანასკნელი ცნობილი კვარტალის დონეზე იქნება. რაც უფრო შევდივართ კალენდარული წლის სიღრმეში, მით უფრო უახლოვდება სტატისტიკური გადატანა მომავალ წლიურ საშუალოს და ეს ორი ერთმანეთს უტოლდება, როდესაც მეოთხე კვარტალი ხდება ცნობილი. სავარჯიშო 1-ში საშუალება გექნებათ იმუშაოთ ამ მეთოდებზე. იმისათვის, რომ მახეში არ გაებათ, სიფრთხილე უნდა გამოიჩინოთ აშშ-ის მატების ტემპის ციფრისა (რომელიც მე-4 ხარისხშია აყვანილი) და საფრანგეთის ან სხვა რომელიმე ევროპული ქვეყნის შედარების დროს. ვალიდური შედარებებისთვის საჭიროა, რომ ამერიკული მატების ტემპიდან ამოიღოთ მე-4 ხარისხის ფესვი, ან ევროპული მატება აიყვანოთ მე-4 ხარისხში.

კვარტალური ანგარიშების მიზანია რაც შეიძლება მოკლე ვადებში მიაწოდოს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს სანდო ინფორმაცია ძირითადი მაკროეკონომიკური აგრეგატების ცვლილებების შესახებ. ამიტომ, კვარტალური ანგარიშები წლიურთან შედარებით გამარტივებულია და მათი პრეზენტაცია განსხვავებულად ხდება. მაგალითად, საფრანგეთში კვარტალური ანგარიშები 38 საკლასიფიკაციო მუხლის მიხედვით დგება, ხოლო მომხმარებელს მხოლოდ 17 მუხლიანი კლასიფიკაცია მიეწოდება. ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებების სიღრმისეული ანალიზის ფუნქცია წლიურ ანგარიშებზე გადადის, რომელთა დათვლა 332 საკლასიფიკაციო მუხლზე ხდება და ქვეყნდება 88 მუხლისთვის. ასევე, კვარტალურ ანგარიშებში ნაკლები დატალიზაცია ხდება სექტორულ ტრანსაქციებთან დაკავშირებით. ეს საშუალებას აძლევს INSEE-ს შეამციროს კვარტალური ანგარიშების უფრო ხშირი გაანგარიშებები, რაც ახლა კვარტალში ორჯერ ხდება, როგორც ნაჩვენებია ცხრილში. გაანგარიშებების ეს სიხშირე შესაძლებელი გახდა მაღალეფექტური შეფასების პროცედურების დახმარებით, რომლებიც სწრაფადმისაწვდომ ინდიკატორებს იყენებენ (იხ. რუბრიკა ჩაუღრმავდით: „საფრანგეთის კვარტალური ანგარიშების წყაროები და მეთოდები“).

ცხრილი 11.1. საფრანგეთი: ანგარიშების გამოქვეყნების კალენდარი Q კვარტალისთვის

Q + 45 დღე	Q + 90 დღე
პირველი შედეგები	დეტალური შედეგები
მშპ + საქონლისა და მომსახურების ანგარიში + მშპ-ის დანახარჯების მეთოდით გაანგარიშების ცალკეული ელემენტები	გადახედული მშპ + საქონლისა და მომსახურების გადახედული ანგარიში + საკმაოდ სრული ანგარიშთა სისტემა სექტორებისთვის

Q + 45 დღის განმავლობაში ქვეყნდება მშპ და საქონლისა და მომსახურების ანგარიში, ეს არის „პირველი შედეგების“ გამოქვეყნების დრო, რასაც შემდეგ მოყვება მოგებისა და ხელფასის ფონდის შეზღუდული მონაცემები. პირველი გადახედვა ხდება Q + 90 დღისთვის „დეტალური შედეგების“ დონეზე. ამ დროს უკვე გვაქვს საკმაოდ სრული მონაცემები ინსტიტუციური სექტორებისთვის. შედეგად, ხდება შინამეურნეობების კვარტალური დანაზოგის ნორმის ან კორპორაციების მოგების ნორმის გამოქვეყნება Q + 90 დღისთვის. ასეთივე კალენდარი აქვთ სხვა ქვეყნებსაც (იხ. ცხრილი 11.2). სრული სურათის მისაღებად ზოგიერთ ქვეყანაში ეროვნულ ანგარიშთა თვიური მწკრივებიც კეთდება. საფრანგეთში ის შეზღუდულია, ანუ მოიცავს

მხოლოდ „შინამეურნეობების მიერ სამრეწველო საქონლის მოხმარების დანახარჯების“ მონაცემებს და მისი მიღება თვის დამთავრებიდან 23 დღეშია შესაძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ თვიური მწკრივები მხოლოდ წარმოებული საქონლის მოხმარებით შემოიფარგლება, ეს ინდიკატორი სასარგებლოა მოკლევადიან ანალიზში.

კვარტალურ და წლიურ ანგარიშებში ცვლადების განმარტებები ერთნაირია, თუმცა აღმოჩნდა, რომ კვარტალური ანგარიშების ჯამი არ ემთხვევა წლიურს, რადგან საფრანგეთის კვარტალურ ანგარიშებში გამოყენებულია „სამუშაო დღეების კორექტირება“ (wda). უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, დღეისათვის საფრანგეთის კვარტალური ანგარიშები ახლა იანგარიშება, როგორც “wda-sa”, რაც ნიშნავს, რომ ისინი კორექტირებულია როგორც სამუშაო დღეების, ისე სეზონური ცვლილებების გათვალისწინებითაც.¹ სტატისტიკური ტერმინოლოგიით და მოცემულ კონტექსტში, “wda” და “sa” არაკორექტირებული ციფრების საპირისპიროა. **სამუშაო დღეების კორექტირება** გულისხმობს კვარტალური ანგარიშების ისე გაანგარიშებას, თითქოს თითოეული კვარტალი ერთნაირი რაოდენობის სამუშაო დღეებს მოიცავდეს. ეს ნიშნავს, რომ მშპ-ზე გავლენას არ ახდენს კვარტალში სამუშაო დღეების რაოდენობა. ეს კორექტირება უკეთესად წარმოაჩენს რეალურ ეკონომიკურ ტენდენციას და კვარტალური ვარიაციების მოსწორებამდე მიყვავართ, ამიტომ მრავალი ქვეყანა მიმართავს ამ მეთოდს (იხ. ცხრილი 11.2). სამუშაო დღეების კორექტირება ზოგიერთ ქვეყანაში (საფრანგეთი, იტალია და გერმანია) სირთულეებს ქმნის. საქმე იმაშია, რომ კორექტირებული კვარტალების ჯამი უკვე აღარ არის არაკორექტირებული ციფრების ჯამის ტოლი წლის განმავლობაში. ნაწილობრივ, ეს ნაკიანი წლის გამო ხდება, თუმცა ეს არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი. უფრო მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო დასვენების დღეები ზოგიერთ წელს დასვენების დღეებს ემთხვევა, ზოგ წელს კი სამუშაო დღეებს. განსხვავება შეიძლება საკმაოდ მნიშვნელოვანი იყოს, როგორც ეს მოხდა 2004 წელს 2003 წელთან შედარებით (იხ. ჩანართი 11.2: „კალენდარის ეფექტები: 2003 და 2004 წლები). არის თუ არა საჭირო ყველა ეროვნული ანგარიშის, მათ შორის წლიურის, კორექტირება სამუშაო დღეების მიხედვით? ამ საკითხთან დაკავშირებით ეკონომისტებს ერთიანი აზრი არ გააჩნიათ, რადგან იმის მიუხედავად, რომ კორექტირებული მონაცემები ტრენდის ანალიზისთვის უფრო სასარგებლოა, ზოგიერთი ძირითადი ეკონომიკური აგრეგატი არაკორექტირებულია. მაგალითად, სახელმწიფო ბიუჯეტის კენჭისყრა პარლამენტში ხდება და ის არ არის

კორექტირებული (ანუ არ არის კორექტირებული სამუშაო დღეების მიხედვით). ყველაზე კარგი იქნება, თუ ამ ორს შორის არჩევანის საშუალება გვექნება, როგორც ეს საფრანგეთის შემთხვევაშია, სადაც ანგარიშების ორი მწკრივია: ერთი (wda), რომელიც კვარტალური ანგარიშებისგან შედგება, და მეორე, (არაკორექტირებული) წლიური ანგარიშებისთვის. wda საფუძველზე წლიური ანგარიშების მისაღებად საჭიროა კვარტალური ანგარიშებიდან ოთხივე კვარტალის მონაცემების შეკრება; არაკორექტირებული წლიური მონაცემების მისაღებად უბრალოდ საჭიროა ციფრების აღება წლიური ანგარიშებიდან. სხვა ქვეყნებში, მაგალითად, აშშ-ში wda კეთდება კვარტალებისთვის, მაგრამ შემდეგ მონაცემები შესაბამისობაში მოდის არაკორექტირებულ წლიურ მონაცემებთან, ან წლიური მონაცემები მიიღება კვარტალური მონაცემების შეჯამებით ისე, რომ საბოლოოდ არანაირი განსხვავება აღარ არის ოთხი კვარტალის ჯამსა და წლიურ მონაცემებს შორის.

ჩანართი 11.2. კალენდარის ეფექტები: 2003 და 2004 წლები

2003 და 2004 წლები კალენდარის თვალსაზრისით საფრანგეთში ძალიან განსხვავებული იყო. 2003 წელს სამუშაო დღეებმა 252 შეადგინა, რაც მცირედ ჩამორჩა საშუალოს, 253. 2004 წელს სამუშაო დღეებმა 255 შეადგინა, რაც 1976 წლის შემდეგ აღარ დაფიქსირებულა. სამუშაო დღეების გაზრდილი რაოდენობის გავლენამ მშპ-ის წლიურ ცვლილებაზე სხვა თანაბარ პირობებში 0.2/0.3 პროცენტული პუნქტი შეადგინა, რაც არავითარ შემთხვევაში არ არის უმნიშვნელო. თუმცა ის უფრო მცირეა, ვიდრე სამუშაო დღეების უბრალო ფარდობა $255 \div 252 = +1.2\%$. ეს იმის გამო მოხდა, რომ სამუშაო დღეების რაოდენობის ეფექტის გაანგარიშების დროს INSEE განსხვავებულ წონებს ანიჭებს კვირის ცალკეულ დღეებს, განსაკუთრებით ივლისსა და აგვისტოში და განსხვავებული თვეების ერთმანეთთან „დასაწევად“. გამოყენებული მეთოდი ეკონომეტრიკულია. გაუკორექტირებელი თვიური ციფრები წარმოდგენილია ცვლადების სახით კვირის სხვადასხვა დღეებისთვის (სამუშაო ორშაბათების რიცხვი, არასამუშაო სამშაბათების რაოდენობა და ა.შ.) და კვირების რაოდენობა.

კვარტალური ანგარიშების სხვა სახის კორექტირება არის **სეზონური კორექტირება**. ის შედეგება ერთი კვარტალიდან მეორემდე ცვლილებების სეზონური ეფექტების ელიმინაციისგან კომპლექსური სტატისტიკური პროცესის გამოყენებით, რომელიც მცოცავ საშუალოებს ეფუძნება. მაგალითად,

ტრანსპორტის გამოშვება სისტემატურად მაღლა იწევს შობისა და საზაფხულო შვებულებების წინ. ამიტომ, თუ რეალური სურათის დანახვა გვსურს და გვინდა გავიგოთ, მოხმარება შემცირდა თუ გაიზარდა წინა კვარტალთან შედარებით, უნდა მოვახდინოთ სეზონური ფაქტორის ელიმინირება. სამუშაო დღეების კორექტირებისგან განსხვავებით, ისე ხდება, რომ კვარტალური სეზონურად კორექტირებული მონაცემების ჯამი წლისთვის ნულის ტოლია. სხვა სიტყვებით, კვარტალური სეზონურად მოსწორებული ციფრების ჯამი წლის არაკორექტირებული ციფრების ჯამის ტოლია.

ცხრილი 11.2. კვარტალური ანგარიშების მახასიათებლები ეთგო-ს შერჩეული ქვეყნებისთვის

	პირველი შეფასება (Q + 60) ნიშნავს გამოქვეყნებას კვარტალის შემდეგ (დღეში)	მეორე შეფასება	მესამე შეფასება	სამუშაო დღეების კორექტირება (დახრილი შრიფტით ის ქვეყნებია, სადაც კვარტალების ჯამი არ უდრის წლიურს)	კვარტალური მშპ-ის მატების ^ა საშუალო აბსოლუტური გადახედვა (%)
ავსტრალია	Q + 60			დიახ	0.38
კანადა	Q + 60			დიახ	0.23
საფრანგეთი	Q + 45	Q + 90		დიახ	0.27
გერმანია	Q + 44	Q + 54		დიახ	0.34
იტალია	Q + 44	Q + 70		დიახ	0.24
იაპონია	Q + 44	Q + 70		დიახ	0.65
კორეა	Q + 26	Q + 66 ^ა		დიახ	0.62
გაერთიანებული სამეფო	Q + 25	Q + 56	Q + 86	დიახ	0.18
აშშ	Q + 30	Q + 60	Q + 90	დიახ	0.29

a) Q + 80 მეოთხე კვარტალისთვის.

b) კვარტალური დონეებით (i.e. Q/Q-1), აბსოლუტური დონე, პირველი შეფასება სამი წლის შემდეგ შეფასების წინააღმდეგ (იხილეთ გადახედული მონაცემთა ბაზა “Revision Database” ეთგო-ს ვებ გვერდზე). ეს განსხვავდება აშშ-ის გადახედული ანგარიშებისგან, რადგან ხდება კვარტალური მატების ტემპების სისტემატური „ანუალიზაცია“ (იხ. ჩანართი „ანუალიზაცია და მატების ინდიკატორები“).

2. წლიური ეროვნული ანგარიშები

მთავარი მაკროეკონომიკური აგრეგატების სანახავად საკმარისია კვარტალური ანგარიშების მწკრივების ნახვა. თუმცა, თუ დეტალური შედეგები გაინტერესებთ, მაშინ აუცილებლად წლიური ეროვნული ანგარიშები უნდა ნახოთ. კერძოდ, ეთგო-ს ზოგ ქვეყანაში ისეთი მნიშვნელოვანი ანგარიშები, როგორცაა სახელმწიფო მართვის ორგანოების, ფინანსური და აქტივ-პასივების ბალანსი, ჯერ მხოლოდ წლიურ დონეზეა შესაძლებელი. თუმცა, მიმდინარეობს მუშაობა კვარტალური ანგარიშების

გაფართოებაზე. ამიტომ, სულ მალე სახელმწიფო მართვის ორგანოების ანგარიშები ეთგო-ს ყველა ქვეყანაში წლიურთან ერთად კვარტალურად იქნება.

საფრანგეთში, ისევე როგორც ეთგო-ს ყველა ქვეყანაში, გამოქვეყნების მთავარი თარიღები დადგენილია. წლიური ანგარიშების მთავარი პუბლიკაცია სახელწოდებით „*The French Economy* (Insee, 2014)“, ივლისში გამოქვეყნდა და უკანასკნელ ეკონომიკურ ტენდენციებს ასახავს. ეს პუბლიკაცია ეყრდნობა საფრანგეთის სტატისტიკური სამსახურის ვებ გვერდზე გამოქვეყნებულ ცხრილებს ინსტიტუციური სექტორების ანგარიშებისთვის, საქონლისა და მომსახურების საგარეო ნაკადებს, ძირითადი კაპიტალის მთლიან ფორმირებას პროდუქტებისა და ინსტიტუციური სექტორების მიხედვით, საბოლოო მოხმარების ხარჯებს და მოსახლეობასა და დასაქმებას.

წლიური ანგარიშები ეროვნულ ანგარიშთა მთელი სისტემის ხერხემალია. ისინი ძირითადად ოთხ წყაროს ეფუძნება: (1) კომპანიის ანგარიშების აგრეგირება (წლიურად სტატისტიკური სამსახური იღებს და ამუშავებს მონაცემებს 2 მილიონზე მეტი კორპორაციიდან და არაკორპორირებული საწარმოდან); (2) სახელმწიფო მართვის ორგანოების სრული ანგარიშები, რომელიც შედგება ცენტრალური მთავრობისა და მასთან არსებული სააგენტოების, ადგილობრივი ორგანოებისა და სოცუზრუნველყოფის ორგანოებისგან (დაახლოებით 120 000 ორგანიზაცია საფრანგეთის მასშტაბით); (3) ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ არსებული ფინანსური ინსტიტუციების დეტალური ანგარიშები; (4) საგადამხდელო ბალანსი (ჩვეულებრივ გამოიცემა ცენტრალური ბანკის მიერ), რაც საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ კავშირებს დანარჩენ მსოფლიოსთან.

მიუხედავად ამისა, მონაცემების დიდი ნაწილის მიღება მხოლოდ გარკვეული დროითი ლაგით არის შესაძლებელი, რაც ეროვნული ანგარიშების კომპილაციისა და გამოქვეყნების კალენდარს ექვემდებარება. შემდეგში Y-ით აღნიშნული იქნება ის წელი, რომლისთვისაც გაიანგარიშება ახალი ეროვნული ანგარიშები. საფრანგეთში ყოველი $Y + 1$ წლის მაისში ქვეყნდება წლიური ანგარიშები: Y წლისთვის (ე.წ. „წინასწარი“ ანგარიშები), $Y - 1$ წლისთვის (ე.წ. „ნახევრად საბოლოო“ ანგარიშები) და $Y - 2$ წლისთვის (ე.წ. „საბოლოო“ ანგარიშები).

ამის გამო, წლიური ეროვნული ანგარიშების გადახედვის მექანიზმი თითოეულ გამოქვეყნებულ ანგარიშთა მწკრივზე ორ გადახედვას მოითხოვს. ეს რევიზიები (გადახედვები) აშკარა გავლენას ახდენს კვარტალურ ანგარიშებზე. მაგალითად, მშპ Y წლისთვის გამოქვეყნდება $Y + 1$ წლის მაისში, როგორც „წინასწარი“, $Y + 2$ წლის მაისში, როგორც ნახევრად საბოლოო და $Y + 3$ წლის მაისში, როგორც „საბოლოო“ (როგორც შემდგომში ვნახავთ, სიტყვა „საბოლოო“ ფაქტობრივად შეუსაბამოა). ამ თანმიმდევრობის ახსნა ძირითადად კომპანიებიდან მიღებული მონაცემების

დაგვიანებით შეიძლება. სხვა ქვეყნებს შეიძლება გარკვეული განსხვავებები ჰქონდეს ვადებსა და ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით, თუმცა ძირითადად, სისტემა საფრანგეთის მსგავსია.

საფრანგეთში „წინასწარი“ ანგარიშები ძირითადად წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების კვარტალური ანგარიშების კომბინაციას *პლუს* სახელმწიფო მართვის ორგანოების მთლიანი ანგარიშები *პლუს* ფინანსური ანგარიშები. იმ დროისათვის, როდესაც ამ მონაცემების გამოქვეყნება ხდება, INSEE-ს ჯერ არ აქვს მიღებული კომპანიების ანგარიშები და უნდა დაელოდოს Y + 1 წლის Q4-ს მათ მისაღებად (დაახლოებით 400 000 მსხვილი ფირმა), თუმცა, ამ შემთხვევაშიც მცირე ფირმების დიდი ნაწილი გამოთიშულია. ამიტომ, ეს ინფორმაცია დამუშავდება და გამოქვეყნდება მომავალი წლის მაისში. საბოლოოდ, კორპორაციული ანგარიშები მთლიანად (დაახლოებით 2 500 000 ფირმა) დამუშავდება და გამოქვეყნდება Y + 2 წლის Q4 კვარტალში. ცხრილში 11.3 აღწერილია ეს თანმიმდევრობა. საერთოდ, იმისათვის, რომ ეროვნულმა ანგარიშებმა „გადახარშოს“ ყველა შესაძლებელი წყაროდან მიღებული ინფორმაცია Y წლისთვის, საჭიროა ორი წელი და ხუთი თვე.

ცხრილი 11.3. საფრანგეთი: წლიური ანგარიშების გამოთვლის თანმიმდევრობა Y წლისთვის

მაისი Y + 1		მაისი Y + 2		მაისი Y + 3	
წინასწარი ანგარიშები		ნახევრად ანგარიშები	საბოლოო ანგარიშები	საბოლოო ანგარიშები	
ანგარიშები F დონეზე (38 დასახელება).		გადახედული ანგარიშები G დონეზე (88 დასახელება NACE-იდან).	ანგარიშები G დონეზე	ხელახლა გადახედული ანგარიშები G დონეზე.	
დასრულებული ინსტიტუციური ერთეულებისთვის	ანგარიშები	დასრულებული ანგარიშები ერთეულებისთვის	გადახედული ინსტიტუციური ერთეულებისთვის	დასრულებული ანგარიშები ინსტიტუციური ერთეულებისთვის	გადახედული ინსტიტუციური ერთეულებისთვის
<i>წყარო:</i> კვარტალური ანგარიშები, მართვის ანგარიშები, კორპორაციების ანგარიშები	სახელმწიფო ორგანოების ფინანსური	<i>წყარო:</i> კორპორაციების ანგარიშების პირველი ვერსია მცირე ნაწილობრივი სახელმწიფო ორგანოების გადახედული ანგარიშები	კორპორაციების პირველი ვერსია ფირმების მოცვით. მართვის დასრულებული ანგარიშები	<i>წყარო:</i> კორპორაციების დასრულებული ანგარიშები მცირე ფირმების მოცვით	სრული

3. ეროვნული ანგარიშების გადახედვა და მათი სიზუსტე

როგორც უკვე ვნახეთ, საფრანგეთში (და ეს სიტუაცია ყველა ქვეყნისთვის არის დამახასიათებელი), ყველა საინფორმაციო წყარო მისაწვდომი მხოლოდ Y + 2 წლის Q4 კვარტალშია. ამ დროს თუ დაელოდებიან, მოკლევადიანი ანალიზი საერთოდ გამოუსადეგარი იქნება ეროვნული ანგარიშებისთვის. ამით აიხსნება კვარტალური

და წლიური ანგარიშების წარმატებული თანმიმდევრობა, რაც სწრაფად უზრუნველყოფს საიმედო ინფორმაციის მიწოდებას. თუმცა, ამ სისწრაფისთვის სტატისტიკოსებს ხარკის გადახდა უწევთ, რაც საწყისი ციფრების გადახედვაში მდგომარეობს. ზოგიერთი ეკონომისტი ხშირად საყვედურობს ეროვნულ მონაგარიშეებს გადახედვების შესახებ. თუმცა, შეუძლებელია ისიამოვნო სტატისტიკური „ნამცხვრით“, რომელიც სწრაფადაც მზადდება და საიმედოც არის. არ წამოეგოთ ანკესზე: გადახედვები არ კეთდებოდა სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში, სადაც სტატისტიკოსებს პოლიტიკური მიზეზების გამო ეკრძლებოდათ გადახედვები. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეროვნული ანგარიშები საიმედო იყო - სრულიადაც არა. მეორე მხრივ, ცხადია, რომ ძირეული გადახედვები კარგი არ არის. ეროვნული მონაგარიშეების პროფესიონალიზმი იმაში მდგომარეობს, რომ ერთმანეთს მიუსადაგონ საიმედოობის მაღალი ხარისხი და საკმაო სისწრაფე.

როდის არის კვარტალური მშპ-ის მატების ტემპი „საბოლოო“? პასუხი გარკვეულწილად უცნაურია - „არასოდეს“. თვალსაჩინოებისთვის მოვიტანთ კვარტალური მშპ-ის გადახედვის პროცესს საფრანგეთში: (1) პირველი გამოქვეყნება Q პლუს 45 დღეში; (2) პირველი გადახედვა „დეტალური მონაცემების“ შემთხვევაში Q + 90 დღეში (წყარო: ახალი ინდიკატორების ხელმისაწვდომობა); (3) მცირე გადახედვები სეზონური კორექტირების კოეფიციენტის გამო²; (4) ძირითადი გადახედვა მომდევნო წლის მაისში ნახევრადდასრულებული ანგარიშების მისაღებად; (5) მნიშვნელოვანი გადახედვა მომავალი წლის მაისში საბოლოო წლიური ეროვნული ანგარიშების მისაღებად; (6) მოგვიანებით მცირე ცვლილებების შეტანა სეზონური კორექტირების კოეფიციენტებში და ა.შ.


ცხადია, ყველაზე მნიშვნელოვანი პირველი გადახედვაა, რომელსაც მოსდევს გადახედვა მომდევნო წლის მაისში არაკორექტირებული წლიური ანგარიშების მისაღებად. დანარჩენი გადახედვები შედარებით მცირე მასშტაბისაა

რადგან ასეა, მომხმარებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ბოლოს გადახედული მწკრივი გამოიყენოს და ერთმანეთში არ აურიოს სხვადასხვა ვერსიები. დღეს ეს პროცესი ინტერნეტის წყალობით ძალიან გამარტივებულია, რადგან უბრალოდ საჭიროა ბოლო განახლებული ვერსიის ჩამოტვირთვა. გადახედვებთან დაკავშირებით საფრანგეთის პოლიტიკა უკიდურესია. დანარჩენ ქვეყნებში გადახედვები ასეთი ინტენსივობით არ ხდება.

უამრავი კვლევა მიემდგვნა საკითხს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო გადახედვის სკალა და ნიშანი. საფრანგეთში გადახედვის შედეგად მშპ-ის კვარტალური მატების ტემპი ანუ $(Q \div (Q - 1))$ 0.3%-ია აბსოლუტურ გამოსახულებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 90%-იანი ალბათობით, კვარტალური გადახედვების მატების ტემპი

(რამდენიმე წლის გასვლის შემდეგ) იქნება +0.6% და -0.6%-ს შორის პირველად გამოქვეყნებულ ციფრებთან შედარებით. ეს დიაპაზონი შესადარისია აშშ-ის კვარტალურ ანგარიშებთან (იხ. ცხრილი 11.2). ეთგო-ს ზოგ ქვეყანაში საშუალოდ უფრო ფართო გადახედვებს მიმართავენ. რაც შეეხება წლიურ ანგარიშებს, ქვემოთ სქემაზე ნაჩვენებია გადახედვების თანმიმდევრობა წინასწარიდან საბოლოო ვერსიამდე საფრანგეთში. საშუალოდ, ამ პერიოდში საშუალო გადახედვებმა 0.4% შეადგინა (აბსოლუტურ გამოსახულებაში). როგორც ჩანს, განსაკუთრებულ გადახედვებს ადგილი არ ჰქონია, თუმცა წლიურ ანგარიშებთან დაკავშირებულმა გადახედვებმა 1.0%-ზე მეტი შეადგინა (მაგალითად, 1988 წელს, ეკონომიკის გაჯანსაღების წელი), რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია. ზოგიერთი მიმომხილველის აზრით, გაჯანსაღების წლებში საწყისი მონაცემები დაკლებულია, ხოლო რეცესიის წლებში, პირიქით, გადაჭარბებულია. ეს იმის გამო ხდება, რომ პირველი შეფასებების დროს მონაცემთა წყაროებიდან გამოთიშულია მცირე ბიზნესი, რომელიც მსხვილ ბიზნესთან შედარებით უფრო მეტად განიცდის ბიზნეს ციკლის გავლენას.

ნახაზი 11.2. საფრანგეთი: წლიური მატების ტემპების შედარებები „წინასწარი“ და „საბოლოო“ ანგარიშებისთვის



წყარო: INSEE.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/9789264214637-29-en>

ზემოთ წარმოდგენილი მშპ-ის მატების ტემპის გადახედვების სიდიდეები იმაზე მეტყველებს, რომ ეროვნული ანგარიშები არ შეიძლება აბსოლუტურად ზუსტი იყოს. ალბათ სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ პირველად შეფასებებთან შედარებით საფრანგეთის მშპ-ის მატების ტემპი $\pm 0.5\%$ -ის დიაპაზონში იქნება. აშშ-ის შემთხვევაში კვარტალურ ანგარიშებს ახლავს განმარტებები ძირითადი აგრეგატების დიაპაზონის შესახებ.

როგორც ადრე განვმარტეთ, აშშ-ის კვარტალური ანგარიშების მატების ტემპები სისტემატიურად ანუალიზებულია აშშ-ის გამოცემებში (იხ. ჩანართი 11.1), ამდენად აშშ-ის კვარტალური ანგარიშების გადახრა შეიძლება (შეცდომით) უფრო დიდი მოგვეჩვენოს, ვიდრე საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში.

კარგი იქნებოდა, რომ გვეცოდნოდა მშპ-ის სიზუსტის ხარისხი. თუმცა, სამწუხაროდ ეს შეუძლებელია. სიზუსტის ხარისხის გამოთვლა სავსებით რეალურია, როდესაც შერჩევის შედეგების ექსტრაპოლაციას ვახდენთ პოპულაციაზე, თუმცა ეს შეუძლებელია ეროვნული ანგარიშების შემთხვევაში, რადგან აქ ერთმანეთთან შერწყმულია მონაცემთა ისეთი წყაროები, როგორცაა შერჩევითი კვლევები, ყოვლისმომცველი მონაცემთა ბაზები და ა.შ. ისე რომ, აღნიშნული საკითხი შეიძლება „არბიტრაჟის“ განხილვის საგნად იქცეს.

„არბიტრაჟი“ წლიური ეროვნული ანგარიშების ტექნოლოგიაში საკვანძო სიტყვაა. საფრანგეთში მშპ-ის შეფასების ორი გზაა: გამოშვება-საბოლოო მოხმარებაზე დაფუძნებული და შემოსავლებზე დაფუძნებული. სწორედ ამისთვის არის საჭირო „არბიტრაჟი“ ამ ორ საშედეგო მნიშვნელობას შორის. INSEE ცდილობს, რომ ეს ოპერაცია სულ უფრო მეცნიერულ დონეზე აიყვანოს. ზოგიერთი ქვეყანა, მაგალითად, აშშ არ აკეთებს არბიტრაჟს, ამიტომ მას ოფიციალურად აქვს ორი მშპ და სტატისტიკური განსხვავება მათ შორის.

შემდეგი მოსაზრება იმაში მდგომარეობს, რომ როგორც მე-4 თავში ვნახეთ, ეროვნულ ანგარიშებში გვაქვს „ფარული ეკონომიკის“ შეფასების მცდელობა, თუმცა გაანგარიშებები არსებით შეცდომებს შეიცავს. დასასრულ, „რეალური“ მშპ-ის დონე შეიძლება საკმაოდ განსხვავდებოდეს გამოქვეყნებულისგან, დაახლოებით 5%-მდე საფრანგეთში. რაც არ უნდა ბევრი ბრალდება

წავუყენოთ სტატისტიკოსებს, ჩვენ უნდა ვცნოთ ის ფაქტი, რომ ეროვნულ ანგარიშებს შეზღუდულობა ახასიათებს და რომ ცვლილებები უკეთ არის ცნობილი, ვიდრე აბსოლუტური დონეები. ამდენად, როგორც მე-3 თავში ავხსენით, საერთაშორისო შედარებები, რომელიც დონეებზეა დამყარებული (მშპ-ის ან რომელიმე სხვა ცვლადის) უფრო ფრთხილად უნდა გავაკეთოთ, ვიდრე ვარიაციები ეროვნულ აგრეგატებს შორის. მეტიც, თუ არჩევანი გვაქვს. დონეებთან შედარებით ცვლილებებს უფრო მივანიჭოთ პრიორიტეტი. ეს ნიშნავს, რომ თუ ეროვნული ანგარიშების უკანასკნელ ციფრში შეცდომას აღმოაჩენენ და ტექნიკური მიზეზების გამო წინა მწკრივების შესწორება შეუძლებელია, ეროვნული მონგარიშები არ შეასწორებენ ამ უკანასკნელ ციფრს, რადგან ის გადახრას გამოიწვევს ცვლილებებში. ამის ნაცვლად, ისინი შეასწორებენ შეცდომას აბსოლუტურ დონეში, რათა დაიცვან ცვლილება მომდევნო ყოვლისმომცველ გადახედვამდე. საფრანგეთში ამ მიდგომას ეროვნული მონგარიშები ცოტა უცნაურ სახელს ეძახიან - „შეცდომების მუდმივ გამოთვლას“.

4. ყოვლისმომცველი გადახედვები

ზემოთ აღწერილი ჩვეულებრივი, ანუ რიგითი გადახედვების გარდა, ზოგჯერ ეროვნული მონგარიშები „ყოვლისმომცველ“, ანუ „ძირფესვიან“ გადახედვებსაც მიმართავენ. ასეთი გადახედვის აუცილებლობა ეთგო-ს ქვეყნებს ახალი ეას 2008-ის დანერგვასთან დაკავშირებით გაუჩნდათ. ცვლილებები, რომელსაც ეას 2008/აეს 2010-ის დანერგვა მოიცავს, შეგიძლიათ იხილოთ მე-14 თავში.

ამ განსაკუთრებულ ცვლილებებთან ერთად არსებობს კიდევ მუდმივი „საბაზისო ცვლილებები“, რომელსაც მაგალითად, საფრანგეთი ყოველ ხუთ წელიწადში აკეთებს. ბოლო ცვლილება 2014 წელს მოხდა, ხოლო მის წინ - 2011-ში (იხ. ჩანართი 11.3: „საფრანგეთი: უკანასკნელი საბაზისო ცვლილებები“). საბაზისო ცვლილება ოთხ ჩამოყალიბებულ ოპერაციას მოიცავს: (1) ხდება ე.წ. „საბაზისო წლისთვის“ აბსოლუტური დონეების გადაანგარიშება იმ სტატისტიკური წყაროების გამოყენებით, რომლებიც ყოველწლიურად არ მოგვეპოვება (მოსახლეობის ან ეკონომიკური აღწერები, საცხოვრისების აღწერა და ა.შ.) და წარსულში დაშვებული შეცდომების შესწორება; (2) ცვლილებები, რომლებსაც შეთანხმების საფუძველზე იღებენ, შესაბამისობაში უნდა მოვიდეს საერთაშორისო სტანდარტებთან; (3) ხდება ჯაჭვური ფასებისთვის ათვლის წლის მოდიფიცირება; (4) ყველა წარსული

მონაცემის ხელახლა შეფასება ახალი საბაზისო წლის გათვალისწინებით ხდება. ეს უკანასკნელი ოპერაცია, რომელსაც „რეტროპოლაცია“ ან „უკუგამოთვლა“ ეწოდება, საკმაოდ ხარჯიანია რესურსების თვალსაზრისით. საბაზისო ცვლილება ან უფრო მეტი, გლობალური სქემის ცვლილება, ყველა მწკრივის საკმაოდ გენერალიზებულ მოდიფიკაციას იწვევს და მას ხშირად თან ახლავს კლასიფიკაციების ცვლილებაც. მაკროეკონომისტებს, რომლებიც ამ მწკრივებს იყენებენ, ნამდვილად დიდი დრო სჭირდებათ მონაცემთა ბაზების განახლებისა და მოდულების ხელახალი შეფასებისთვის. მათი აზრით, პრინციპული დაბრკოლება იმაში მდგომარეობს, რომ „რეტროპოლაციის“ სირთულეებიდან გამომდინარე, სტატისტიკოსები დაუყოვნებლად ვერ აწვდიან გრძელ დროით მწკრივებს.

ჩანართი 11.3. საფრანგეთი: უკანასკნელი საბაზისო ცვლილებები

საფრანგეთში ბოლოსწინა საბაზისო ცვლილება (ე.წ. საბაზისო 2005) 2011 წლის მაისში განხორციელდა და ითვალისწინებდა ეკონომიკური საქმიანობის სახეების განახლებული სტატისტიკური კლასიფიკაციის (NACE rev. 2) დანერგვას. ასევე იყო მოდიფიკაციები აბსოლუტურ დონეებში, სახელდობრ, მშპ-ის (-0.8%), რაც დაკავშირებული იყო შინამეურნეობებისა და შმაკოების უკეთეს შეფასებასთან, დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასების გადახედვასთან (NOE) და სტარუქტურული ბიზნეს სტატისტიკის ახალი მოდელის ინტეგრაციასთან (Esane). ფიზიკური მოცულობის ყველა მწკრივი გადაყვანილი იყო 2005 საბაზისო წელში (2000-ის ნაცვლად, რომელიც წინა საბაზისო წელი იყო). ბოლო საბაზისო ცვლილება (ბაზა 2010) მოხდა 2014 წლის მაისში აეს 2010-ის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც განხორციელდა, მოიცავდა R&D-ს და მძიმე სამხედრო შეიარაღების ხარჯების ჩაწერას GFCF მუხლში და საგარეო ვაჭრობის ახალ აღწერას (საქონელი გადამუშავებისთვის, გადაყიდვა, იხ. თავი 14).

5. ეროვნულ ანგარიშებთან დაკავშირებული სხვა მონაცემთა მწკრივები

ამ სახელმძღვანელოს შეზღუდული მოცულობის გამო, თქვენი ყურადღება ძირითად ანგარიშებზე შევაჩერეთ, თუმცა ეროვნულ ანგარიშებში არის კიდევ ანგარიშები, რომლებსაც კონკრეტული მიზნები აქვთ და ისინი ცნობილია „სატელიტური ანგარიშების“ სახელით. ქვემოთ ჩამოთვლილია საფრანგეთში გამოყენებული სატელიტური ანგარიშები და ის სააგენტოები, რომლებიც ამ ანგარიშებს ავსებენ:

- რეგიონული ანგარიშები ან მშპ რეგიონების მიხედვით. ეთგო-ს უმეტესი ქვეყნები ავსებენ რეგიონულ ანგარიშებს. ევროპაში მათ ძირითადად ევროკომისიაში იყენებენ სტრუქტურული ფონდების განთავსების მიზნით; კანადაში მათ იყენებენ დღგ-ს განაწილებისთვის.
- საცხოვრისების ანგარიშები - საბინაო პირობების ანგარიშები, რომელსაც აქვეყნებს საცხოვრისებისა და ტექნიკის სამინისტროს სტატისტიკური სამსახური.
- ჯანმრთელობის დაცვის ანგარიშები - ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სტატისტიკური სამსახური.
- სოციალური კეთილდღეობის ანგარიშები - ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სტატისტიკური სამსახური.
- ეროვნული თავდაცვის ანგარიშები - თავდაცვის სამინისტროს სტატისტიკური სამსახური.
- განათლების ანგარიშები - განათლების სამინისტროს სტატისტიკური სამსახური.
- კვლევების ანგარიშები - კვლევების სამინისტროს სტატისტიკური სამსახური.
- გარემოს დაცვის ანგარიშები - საფრანგეთის გარემოს დაცვის ინსტიტუტი.

ამ ანგარიშების შედგენა ყოველწლიურად აუცილებელი არ არის. სხვა ქვეყნებში, სატელიტური ანგარიშების დიაპაზონი განსხვავებულია. ქვეყნების უმეტესობა ავსებს ჯანდაცვის, ტურიზმისა და გარემოს დაცვის ანგარიშებს. აშშ-ში მკვლევარები აქვეყნებენ შინამეურნეობების სატელიტურ ანგარიშებს, რომელიც მოიცავს შინამეურნეობების არაანაზღაურებადი წევრების საშინაო მომსახურების შეფასებას.

შენიშვნები

1. საფრანგეთის კვარტალური ანგარიშების მეთოდოლოგიაში (იხ. ჩაუღრმავდით: “საფრანგეთის კვარტალურ ანგარიშებში გამოყენებული წყაროები და მეთოდები”) ინდიკატორები კორექტირებულია ჯერ სამუშაო დღეების მიხედვით და შემდეგ სეზონური ვარიაციების თავიდან ასაცილებლად. შემდეგ იყენებენ კალიბრაციას თითოეული ტიპის ინდიკატორის მიმართ: არაკორექტირებული, sa, wda-sa. ამიტომ კვარტალურ ანგარიშებს სამი მწკრივი აქვთ: არაკორექტირებული ანგარიშები, სეზონურად კორექტირებული ანგარიშები და wda-sa ანგარიშები. კვარტალური კალიბრაციის ნარჩენები სამივე შემთხვევაში ერთნაირია. მთავარ გამოცემაში ქვეყნდება wda-sa ანგარიშები. არაკორექტირებული მონაცემების ნახვა შესაძლებელია მოთხოვნის საფუძველზე.

2. „სეზონური კორექტირების კოეფიციენტები“ გამოიყენება არაკორექტირებულ კვარტალურ ანგარიშებთან სეზონური ვარიაციების თავიდან ასაცილებლად. საფრანგეთში ეს

კოეფიციენტები ყოველკვარტალურად გადაიანგარიშება, რაც მცირე განახლებებს იწვევს დაწყებული 1970-იანებიდან.

ბიბლიოგრაფია

Insee (2014), L'économie française, http://www.insee.fr/fr/publications-et-services/sommaire.asp?ref_id=ECOFRA14.

Insee Databases (2013), Statistical indices and series: Macroeconomic Database: National Accounts http://www.bdm.insee.fr/bdm2/index?request_locale=en.

OECD (2013a), *OECD Economic Outlook, Vol. 2013/1*, OECD Publishing, Paris, [doi: http://dx.doi.org/10.1787/eco_outlook-v2013-1-en](http://dx.doi.org/10.1787/eco_outlook-v2013-1-en).

OECD (2013b), "OECD Economic Outlook No. 93", OECD Economic Outlook: Statistics and Projections (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00655-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00655-en).

საკვანძო მომენტები

- მაკროეკონომისტებისთვის კვარტალური ეროვნული ანგარიშები უმნიშვნელოვანესი მონაცემთა წყაროა.
- ეთგო-ს უმეტესი ქვეყნები კვარტალურ ზრდას უბრალოდ აქვეყნებენ როგორც ზრდის ტემპს, $Q/Q - 1$. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში მიმართავენ ამ ციფრის „ანუალიზაციას“. ასეთ ციფრებს ეთგო-ც ხშირად იყენებს. ზრდის კიდევ ერთი ინდიკატორია წელი-წელთან ცვლილება, რომელიც წარმოადგენს მიმდინარე კვარტალის ფარდობას წინა წლის შესაბამის კვარტალთან ($Q \div (Q - 4)$).
- კვარტალური ანგარიშების უმეტესობა სეზონურად კორექტირებულია (“sa”); ამასთან, ზოგიერთი სამუშაო დღეების მიხედვითაც არის კორექტირებული (“wda”). ასეთ შემთხვევაში კვარტალების ჯამი შეიძლება არ დაემთხვეს წლიურ ანგარიშს.
- ეროვნული ანგარიშები მუდმივი გადახედვის საგანია. ამიტომ აუცილებელია ყურადღების გამახვილება და უკანასკნელად გამოქვეყნებული მონაცემების გამოყენება.
- საფრანგეთში მატების ტემპების გადახედვა საშუალოდ 0.3%-იან ცვლილებას იწვევს კვარტალური ანგარიშების აბსოლუტურ დონეებში ($Q \div (Q - 1)$) და 0.5%-იან ცვლილებას წლიურ ანგარიშებში ($Y \div (Y - 1)$). გადახედვების სკალა სხვა ქვეყნებში მცირედ განსხვავებულია.

ჩაულრმავდით

საფრანგეთის კვარტალურ ანგარიშებში გამოყენებული წყაროები და მეთოდები

ყველა ქვეყანაში წლიური სტატისტიკური მონაცემების სრული სპექტრის მიღება კვარტალურად შეუძლებელია. მაგალითად, არსებითად არ გვაქვს კომპანიების კვარტალური მონაცემთა ბაზა, ეს მხოლოდ წლიურ საფუძველზე დგება. სამაგიეროდ, კვარტალურ ანგარიშებში გამოიყენება თვიური ან კვარტალური „ინდიკატორები“, რომელთა წლიური ცვლილებები მათი შესაბამისი ციფრების ცვლილების მსგავსია ეროვნულ ანგარიშებში. მაგალითად, INSEE აქვეყნებს თვიური წარმოების ინდექსებს, რომელიც ფირმების მცირე ზომის კვლევებიდან მიიღება. ამ ინდიკატორის ცვლილებებს ეროვნული მოანგარიშები კვარტალური მოძრაობების გამოსაყვანად იყენებენ, ხოლო ცვლილებების ბაზად წლიური ანგარიშების არსებულ სტრუქტურას იყენებენ (დონეების გამოსაყვანად კვარტალური ანგარიშები წლიურ ანგარიშებს ეყრდნობა).

მრავალი ქვეყანა მარტივად იყენებს ინდიკატორებს: ხდება ინდიკატორის ცვლილების ექსტრაპოლირება კვარტალურ ანგარიშზე. საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში უფრო რთული მეთოდი გამოიყენება ინდიკატორების გამოყენებით კვარტალური ანგარიშების მისაღებად. აღნიშნულს ეწოდება „ბენჩმარკინგი“ ან „კალიბრაცია/მორგება“ („étalonnage/calage“). კალიბრაცია შედგება ეკონომეტრიკული მოდელის შეფასებისგან, რომელიც აკავშირებს ინდიკატორის წლიურ მნიშვნელობას ეროვნული ანგარიშების წლიურ მწკრივებთან. მას შემდეგ, რაც მოხდება ამ მოდელის კოეფიციენტების შეფასება, კეთდება დაშვება, რომ იგივე კოეფიციენტების გამოყენება დასაშვებია (იყოფა ოთხზე) კვარტალურად და ეს ქმნის ბაზას ე.წ. „არამორგებული“ კვარტალური ანგარიშებისთვის. ამ კვარტალური ანგარიშების ჯამი არ არის წლიური ანგარიშების ტოლი, რადგან არ არსებობს მიზეზი, რომლის გამოც ეკონომეტრიკული მეთოდით შეფასებული წლიური ნარჩენი ნულის ტოლი იქნება. ამგვარად, კიდევ ერთი დამატებითი ნაბიჯია გაანგარიშებებში, რომელიც ცნობილი როგორც „მორგება“, რომელიც გულისხმობს წლიური ნარჩენების ჯამის ინტერპოლაციას შედარებით „გლუვი“ გზით (დავარქვით მას კვარტალური მოსწორება) კვარტალური ნარჩენების მისაღებად, რომლებიც არამორგებულ მწკრივებთან ერთად ქმნიან ე.წ. „მორგებულ“ მწკრივებს. განმარტების მიხედვით, ისინი წლიური ანგარიშების ტოლია (ამ ეტაპზე ხდება სამუშაო დღეების კორექტირების იგნორირება). კალიბრაცია/მორგების მეთოდი გამოყენებულია მე-3 სავარჯიშოში. რთული მეთოდების გამოყენების გამო, ზოგიერთს მიაჩნია, რომ

კვარტალურ ანგარიშებს ეკონომეტრიკული მოდელების მსგავსი ბუნება აქვთ. საბედნიეროდ, ეს არ არის მართალი. ასე რომ იყოს, ერთმანეთში აგვერეოდა სტატისტიკური გამოთვლები და მოდელირება. კვარტალურ ანგარიშებში ფაქტობრივად არ გვაქვს „ქცევითი“ ურთიერთკავშირები და კალიბრაცია/მორგება ეს არის წმინდად სტატისტიკური ურთიერთკავშირი, რომელიც ორ დროით მწკრივს დაახლოებით ერთი რამის გასაზომად აკავშირებს.

საფრანგეთში კვარტალური ანგარიშების მთავარი ინდიკატორებია: გამოშვებისთვის - სამრეწველო წარმოების ინდექსები და დღგ-ს დეკლარაციების დამუშავების შედეგად მიღებული გაყიდვების ინდექსები; მოხმარებისთვის - განაწილების პანელებიდან მიღებული უამრავი ინფორმაცია (საფრანგეთის ცენტრალური ბანკის მიერ ჩატარებული ბიზნეს კვლევა) ან ადმინისტრაციული მონაცემები (მაგალითად, ახალი მრავების რეგისტრაცია ავტომობილების მოხმარების შემთხვევაში); იმპორტისა და ექსპორტისთვის წყაროები იგივეა, რაც წლიური ანგარიშებისთვის და რადგან საბაჟოდან ციფრების მიღება ყოველთვიურად არის შესაძლებელი, კალიბრაციის ხარისხი ძალიან მაღალია; ინვესტიციების (GFCF) შეფასება ან გაყიდვების წყაროებიდან ხდება, ან შიდა ბაზრის ინდიკატორებიდან (გამოშვება + იმპორტი - ექსპორტი). საფრანგეთში სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით მარაგების ცვლილების შესაფასებლად პირდაპირი წყარო არ არსებობს და ამიტომ ის სხვაობის საფუძველზე მიიღება რესურსები-გამოყენების ცხრილიდან. ფასების ინდიკატორები ფასების მთავარი ინდექსებია, რომელთა გაანგარიშება ყოველთვიურად ან კვარტალურად ხდება INSEE-ს მიერ. ამ შემთხვევაშიც კალიბრაცია მაღალი ხარისხისაა.

ინსტიტუციური ერთეულებისთვის დამატებული ღირებულება მიიღება გამოშვებასა და შუალედურ მოხმარებას შორის სხვაობის საფუძველზე. საბაზრო სექტორის ხელფასების გაანგარიშება ხდება ნამუშევარი საათების გამრავლებით საათობრივ ანაზღაურებაზე. უკანასკნელ პერიოდში საფრანგეთის ეროვნულმა მონაგარიშებმა წარმოადგინეს სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ გადახდილი ხელფასის ფონდის კვარტალური ინდიკატორი. სოციალური შენატანები, შერღვათები და გადასახადები კვარტალურად გაინგარიშება. მთლიანი საოპერაციო მოგება მიიღება რესურსებსა და გამოყენებას შორის სხვაობით და არა მოგების პირდაპირი კვლევებით. დანარჩენ მსოფლიოსთან კავშირები მიიღება საგადამხდელო ბალანსიდან, რომელიც თვიურად დგება. ზოგიერთი მუხლისთვის კვარტალური მონაცემები არ მიიღება. ამ შემთხვევაში, წლიური მწკრივის შიგნით კეთდება კვარტალური ინტერპოლაცია. ის ავტომატურად ხდება მეთოდით, რომელსაც ეწოდება კვარტალური მოსწორება; ამის გამო, კვარტალური ანგარიშები წლის

შიგნით მწკრივების სურათზე ვერანაირ ინფორმაციას ვერ გვაძლევს. 2014 წელს INSEE გამოაქვეყნებს კვარტალურ წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხებას სამთავრობო სექტორისთვის, რადგან ევროპული დირექტივის მიხედვით ევროკავშირის ყველა ქვეყანამ უნდა გამოაქვეყნოს ბიუჯეტის დეფიციტი/გადაჭარბების კვარტალური მონაცემები.

ჩანართი 11.4. ეროვნულ ანგარიშთა დეპარტამენტების რესურსები

კარგი სტატისტიკის მიღება კომპლექსური პროცესია, რომელიც შესაბამის ადამიანურ რესურსებს მოითხოვს. მაგალითად, INSEE-ს შტატში 5 500 ადამიანია. ეროვნულ ანგარიშთა დეპარტამენტი მხოლოდ მისი მცირე ნაწილია - საფრანგეთში ამ დეპარტამენტში 120 კაცია დასაქმებული. იაპონიაში კიდევ უფრო ნაკლები - 50. ეს იმით აიხსნება, რომ ეროვნული მონაგარიშეები თვითონ არ ატარებენ დაკვირვებებს. ისინი იყენებენ სტატისტიკურ ან ადმინისტრაციულ მონაცემებს, რომლებიც უკვე დამუშავებულია სხვა სტატისტიკური ერთეულების მიერ და ტრანსფორმირებულია ეროვნული ანგარიშების განმარტებების მიხედვით. ამდენად, ფაქტობრივად ეროვნული ანგარიშების დამუშავების ღირებულება უშუალოდ პერსონალზე გაწეულ ხარჯებს აჭარბებს. ჯერაც, კომპანიის ანგარიშებზე დახარჯული რესურსები ეროვნულ ანგარიშებთან შედარებით უფრო მაღალია. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ეროვნული ანგარიშები საკმაოდ ხარჯიანია სტატისტიკისთვის, სხვები ფიქრობენ, რომ ეროვნული ანგარიშების მზარდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, პირდაპირ მისთვის გამოყოფილი რესურსები არასაკმარისია.

მე-11 თავის სავარჯიშოები

სავარჯიშო 1. კვარტალური შედეგები წლიურის წინააღმდეგ

გაიანგარიშეთ წლიური საშუალოები A და B წლების მშპ-ების მწკრივებისთვის ფიზიკური მოცულობით. ააგეთ გრაფიკი კვარტალებისთვის და დაიტანეთ წლიური საშუალოების წერტილები. წლების საშუალოებს შორის განსხვავება დაახასიათეთ წლის შიგნით ეკონომიკური სიტუაციის გათვალისწინებით.

A Q1	600.00
A Q2	420.00
A Q3	300.00
A Q4	150.00
B Q1	180.00
B Q2	250.00
B Q3	380.00
B Q4	450.00

სავარჯიშო 2. ანუალიზაცია, წელი-წელთან, სტატისტიკური გადატანა

ქვემოთ ცხრილში ნაჩვენებია საფრანგეთის მშპ-ის კვარტალური მწკრივები 2010, 2011 და 2012 წლებისთვის. კითხვა 1: გამოთვალეთ წლიური მშპ 2010 და 2011 წლებისთვის. კითხვა 2: აჩვენეთ 2010 წლის კვარტალური აბსოლუტური დონეები „წლიურ დონეზე“. კითხვა 3: ამ ციფრების საფუძველზე გაიანგარიშეთ 2010 წლის საშუალოწლიური და იპოვეთ 2010 წლის მშპ. კითხვა 4: გამოთვალეთ საშუალოწლიური ცვლილება 2010 და 2011 წლებს შორის. კითხვა 5: გამოთვალეთ კვარტალური ცვლილება Q3 2012-სა და Q2 2012-ს შორის. კითხვა 6: გამოსახეთ ეს ცვლილება „ანუალიზირებულ დონეზე“. კითხვა 7: გამოთვალეთ წელი-წელთან ცვლილება Q3 2012-ისთვის. კითხვა 8: გამოთვალეთ სტატისტიკური გადატანა Q3 2012-ში. გააკეთეთ კომენტარი ყველა შედეგზე.

ცხრილი 11.4. მშპ უცვლელ 2005 წლის ფასებში
მოცულობები ჯაჭვურად გადაბმულია წინა წლის ფასებთან

	2010	2011	2012
Q1	439.22	451.30	453.03
Q2	441.82	451.04	451.50
Q3	444.09	452.11	452.21
Q4	446.33	452.91	

წყარო: Insee.

სავარჯიშო 3. კალიბრაცია/მორგება: კვარტალური ანგარიშების ფრანგული მეთოდი

ეს სავარჯიშო მოიცავს კალიბრაცია/მორგების საფეხურებს, რომელიც საფრანგეთის კვარტალურ ანგარიშებშია გამოყენებული და აღწერილია ჩანართში „საფრანგეთის კვარტალურ ანგარიშებში გამოყენებული წყაროები და მეთოდები“. გაითვალისწინეთ, რომ ამ სავარჯიშოში გამოყენებული სტატისტიკური მეთოდები ძალიან გამარტივებულია იმასთან შედარებით, რასაც INSEE ან სხვა ქვეყნები იყენებენ, თუმცა ეს სავარჯიშო საშუალებას იძლევა, რომ ამ მეთოდის ძირეული პრინციპები გავიგოთ.

ქვემოთ ცხრილებში მოტანილია კვარტალური ინდიკატორის (QI) მწკრივი და შესაბამისი მწკრივი წლიური ინდიკატორისთვის (AA). ნაბიჯი 1: გამოთვალეთ წლიური საშუალოები AI ინდიკატორის მწკრივისთვის. ნაბიჯი 2: დახაზეთ გრაფიკი წერტილოვანი ღრუბლის სახით, სადაც აბსცისაზე იქნება AI და ორდინატაზე AA. დაასაბუთეთ, რომ წრფივი რეგრესიის განტოლება $AA = a \times AI + b$ მისაღები მიახლოებაა. ნაბიჯი 3: უმცირეს კვადრატთა მეთოდით შეაფასეთ a და b პარამეტრები მოდელისთვის $AA = a \times Ai + b$. ნაბიჯი 4: გაიანგარიშეთ არამორგებული კვარტალური მწკრივები (QA) იმავე მოდელის გამოყენებით კვარტალურ აბსოლუტურ ციფრთან $QA = a/4 \times QI + b/4$ და გამოთვალეთ წლიური ნაშთები. ნაბიჯი 5: აქედან გამოიყვანეთ კვარტალური ნარჩენები (უბრალოდ 4-ზე გაყოფით). ნაბიჯი 6: გამოთვალეთ კალიბრირებული/მორგებული QA მწკრივები.

ეს არის საბოლოო კვარტალური ანგარიშების მწკრივები.

კვარტალური ინდიკატორი QI (ხუთი წლის მანძილზე)

	Y1	Y2	Y3	Y4	Y5
Q1	105.2	103.9	111.5	117.6	116.3
Q2	106.7	105.9	117.2	118.1	115.8
Q3	104.3	107.8	117.3	119.1	114.2
Q4	104.2	109.6	117.5	117.4	112.0

წლიური ანგარიშების მწკრივი AA (ხუთი წლის მანძილზე)

Y1	Y2	Y3	Y4	Y5
----	----	----	----	----

6658.1

6813.2

7435.4

7455.9

7302.4

ამ სავარჯიშოების ამოხსნები შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე:

<http://dx.doi.org/10.1787/9789264214637-29-en>

თავი 12

აშშ-ის ეროვნული შემოსავალი და პროდუქციის ანგარიშები

ამ თავში განხილულია აშშ-ის ეროვნული შემოსავალი და პროდუქციის ანგარიშები, რაც ცნობილია, როგორც NIPA (National Income and Product Accounts). პირველად წარმოდგენილია NIPA-ს ისტორია 1930-იანი წლებიდან დღემდე. განხილულია NIPA-ს შემაჯამებელი ანგარიშების ცხრილები, აგრეთვე სხვა ცხრილები და ახსნილია, თუ როგორ ხდება NIPA-ს გავრცელება. შემდეგ განხილულია ეროვნული, დარგობრივი, რეგიონული და საერთაშორისო ანგარიშები, რომლებსაც აწარმოებს ეკონომიკური ანალიზის ბიურო (BEA) და ისინი ინტეგრირებულია NIPA-სთან, ისევე როგორც პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ მონაცემთა წყაროებს NIPA-ს მოსამზადებლად. დასასრულ, თავში მოტანილია დისკუსია BEA-ს წინასწარი კვარტალური მშპ-ის შეფასების აუცილებლობისა და მისი მომზადების მეთოდოლოგიის შესახებ.

გლობალური ეკონომიკური რეცესიის დროს აშშ-ის ეკონომიკა 2007 წლის მეოთხე კვარტალში რეალური მშპ-ის პიკური მაჩვენებლიდან 2009 წლის მეორე კვარტალისთვის 4.3%-ით შემცირდა. მოგვიანებით, რეალური მშპ კვლავ გაიზარდა. 2009 წლის მეორე კვარტალიდან 2013 წლის მეოთხე კვარტალამდე რეალური მშპ-ის საშუალოკვარტალურმა მატებამ 2.4% (წლიურ დონეზე გადაანგარიშებით) შეადგინა და 2013 წლის ბოლო კვარტალში რეალური მშპ უკვე 6.5%-ით მეტი იყო ექვსი წლის წინანდელ დონესთან შედარებით, რეცესიის დაწყებამდე.

ამ თავში მოტანილი მშპ-ის შეფასებები ასახავს ოფიციალურ მონაცემებს 2014 წლის 31 იანვრის მდგომარეობით. „წლიურ დონეზე გადაანგარიშებასთან“ დაკავშირებით იხ. თავი 11.

იქიდან გამომდინარე, რომ რეალური მშპ წლიურ დონეზე გადაანგარიშებით მესამე კვარტალში 4.1%-ით და მეოთხე კვარტალში 3.2%-ით გაიზარდა, 2013 წლის ბოლოსთვის პროგნოზისტები ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილი 2014 წელს მშპ-ის მატების პერსპექტივების შესახებ.

2013 წლის ნოემბერში გამოქვეყნებულ ეთგო-ს ეკონომიკური პერსპექტივების კრებულში (OECD Economic Outlook), აღნიშნული იყო, რომ შემცირებულმა საგადასახადო შემოსავლებმა და მომხმარებლებსა და ბიზნესში ნდობის დაბალმა დონემ შეაფერხა ზრდა 2013 წელს, თუმცა სავარაუდოდ ეს ფაქტორები 2014 წლის განმავლობაში განეიტრალდებოდა (OECD, 2013). ვალების გადაუხდელობა და აქტივების გაძვირება სავარაუდოდ გამოიწვევს მოხმარებისა და ინვესტიციების სტიმულირებას, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზრის თანდათან გაჯანსაღებას. ეს ფაქტორები აისახა ეთგო-ს პროგნოზებში 2014 და 2015 წლებისთვის - აშშ-ის რეალური მშპ-ის სავარაუდო მატება შესაბამისად, 2.9% და 3.4% უნდა ყოფილიყო. ეთგო-ს პროგნოზებით, ოთხი კვარტალის მატებამ მეოთხე კვარტალში 3.2% შეადგინა, ხოლო 2015 წლის ოთხი კვარტალის ბოლოსთვის - 3.5%.

2013 წლის ნოემბრის პროგნოზები ცოტა უფრო ოპტიმისტური იყო, ვიდრე 2013 წლის დეკემბერში. 1965 წლიდან აშშ-ში ბიზნესის ეკონომიკის ეროვნული ასოციაცია (NABE) რეგულარულად აქვეყნებს ეკონომიკური საქმიანობის პროექტებს, რომლებიც ექსპერტული პროგნოზების პანელური კვლევიდან მიიღება.¹ კვლევის მიხედვით, რომლის შედეგები 2013 წლის 9 დეკემბერს გამოქვეყნდა, 2014 წლის წლიური მატება 2.5%-ით განისაზღვრა, ხოლო ოთხი კვარტალის მატება, მეოთხე კვარტალის ბოლოსთვის, 2.8% -ით (NABE, 2013).

ამდენად, 2013 წლის ბოლოს ბევრმა პროგნოზისტმა ეთგო-სა და აშშ-ში იწინასწარმეტყველა, რომ აშშ-ის ეკონომიკა გააგრძელებდა ზრდას შემდეგ წლებში. თუმცა, პროგნოზისტებიც ცდებიან ხოლმე. თუ ამ სახელმძღვანელოს 2015 წელს გადაიკითხავთ, უფრო კარგ პოზიციაში აღმოჩნდებით, რადგან შეძლებთ განსაჯოთ, იყო თუ არა პროგნოზები სწორი. ყველა შემთხვევაში, ეს პროგნოზები აშშ-ის ეროვნული შემოსავლისა და პროდუქციის ანგარიშებს ან NIPA-ს ეყრდნობა, რაც აშშ-ის არაფინანსური ეროვნული ანგარიშებია. NIPA აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების მიერ გამოიყენება ბიუჯეტის შეფასებებისა და გაანგარიშებების მოსამზადებლად, ფედერალური სარეზერვო საბჭოს მიერ - საპროცენტო და გაცვლითი კურსების დასადგენად, საერთაშორისო ორგანიზაციების და კერძო სექტორის მიერ - ფინანსური და საინვესტიციო სტრატეგიების შესამუშავებლად.

1. წინაპირობა

NIPA-ს ისტორია დიდი დეპრესიით იწყება, რომელმაც 1930-იან წლებში ყოვლისმომცველი ეროვნული ეკონომიკური მონაცემების ნაკლებობა გამოააშკარავა. ამ მიზნით, კომერციის დეპარტამენტმა ნობელის პრემიის მომავალი ლაურეატი, საიმონ კუზნეცი მიავლინა ეკონომიკური კვლევის ეროვნულ ბიუროში (NBER) ეროვნული შემოსავლის სტატისტიკის ასაწყობად. კუზნეცი კოორდინირებას უწევდა მკვლევართა მუშაობას NBER-ში და საგარეო და შიდა კომერციის დეპარტამენტის ბიუროს მცირე შტატს. პირველი შედეგები და ანგარიში კონგრესს 1934 წელს წარედგინა - ეროვნული შემოსავალი 1929 - 32, ხოლო 1935 წლიდან ბიურო ყოველწლიურად აქვეყნებდა ამ მწკრივების წლიურ განახლებებს. 30-იანი წლების ბოლო შეფასებები გაფართოვდა და მოიცავდა ეროვნული შემოსავლის გაანგარიშებებს შტატების მიხედვით ყოველთვიური შემოსავლების მწკრივებზე დაყრდნობით.

მეორე მსოფლიო ომის დროს მოხდა მთლიანი ეროვნული პროდუქტის (GNP) გაანგარიშების წარდგენა საბოლოო მოხმარების მეთოდით 1942 წელს, რამაც შეავსო ეროვნული შემოსავლის გაანგარიშებები. 1943 წელს დაემატა მნიშვნელოვანი ელემენტები წარმოების კონსოლიდირებული ანგარიშის შესადგენად მიმდინარე და მუდმივ ფასებში, სექტორული შემოსავლებისა და ხარჯებისა და კონსოლიდირებული დანაზოგი-ინვესტიციების ანგარიშისთვის. ეს ანგარიშები გამოიყენებოდა საომარ პირობებში წარმოების მიზნების ანალიზისა და ანტიინფლაციური პოლიტიკის შესამუშავებლად. NIPA-ს ოფიციალური წარდგენა

მოხდა ბიზნესის ეკონომიკის ოფისის მიერ (OBE) 1947 წელს პუბლიკაციით „*National Income Supplement to the Survey of Current Business*“.

შემდეგი სამი ათწლეულის განმავლობაში OBE-მ განავრცო აშშ-ის ანგარიშები და აამალა მათი სიზუსტის ხარისხი შემდეგი ღონისძიებებით: ოფიციალური დანახარჯები-გამომშვების ცხრილების წარდგენით, კაპიტალის მარაგების შეფასებით, შტატებისა და ადგილობრივი პერსონალური შემოსავლების უფრო დეტალური და დროული შეფასებებით და ფასებისა და ინფლაციის მიხედვით კორექტირებული (რეალური) გამომშვების გაუმჯობესებული საზომებით. მეორე მხრივ, ამ პერიოდის განმავლობაში აშშ-მ გააკეთა არჩევანი, რომ არ მიერთებოდა საერთაშორისო სტანდარტებს (ეროვნულ ანგარიშთა სისტემა 1953 და ეას 1968 - იხ. თავი 14) და დაიტოვა ის საანგარიშო სისტემა, რაც 1947 წელს წარადგინა.

1980-იანებში, ეკონომიკური ანალიზის ბიურომ (BEA), რომელიც 1972 წელს ჩამოყალიბდა OBE-ს ადგილზე, გააფართოვა მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის ინფორმაცია საერთაშორისო ტრანსაქციების ანგარიშსა და NIPA-ში. რეალური გამომშვების გაზომვის გასაუმჯობესებლად BEA მუშაობდა კორპორაცია IBM-თან კომპიუტერებისთვის ხარისხით კორექტირებული ფასისა და გამომშვების საზომების შესამუშავებლად. მას შემდეგ, რაც NIPA-ს მოსამზადებლად საგადასახადოდან მიღებული ინფორმაციის კორექტირება მოახდინა, BEA-მ წინ წამოწია საკითხი ფარული ეკონომიკის გავლენის შესახებ აშშ-ის ეკონომიკურ სტატისტიკაზე.

BEA აქტიურად მონაწილეობდა 1993 წლის ეას-ის გადახედვაში და გადაწყვიტა, რომ მიერთებოდა ეას-ის განვითარების პროცესს.² 1990-იანი წლების დასაწყისიდან, BEA-მ მრავალი ცვლილება შეიტანა NIPA-ს მშპ-ის გაზომვაში, ინვესტიციებსა და დანაზოგში და უფრო დაუახლოვდა ჯერ ეას 1993-ს, ხოლო შემდეგ ეას 2008-ს. 1991 წელს აშშ-ის გამომშვების საზომად BEA-მ სცნო მშპ და 1996 წელს მიიღო ფიშერის ჯაჭვური ინდექსის ფორმულა რეალური მშპ-ისა და ფასების ცვლილებების გასაზომად. 1999 წელს BEA-მ სცნო პროგრამული უზრუნველყოფა ინვესტიციად. 2003 წელს, BEA-მ მიიღო არაპირდაპირი ფინანსური მომსახურების გაზომვის მეთოდი საბაზისო განაკვეთის მიხედვით და განაახლა და სახელი შეუცვალა შემაჯამებელ ანგარიშებს ეას-ის ტრანსაქციების კლასიფიკაციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ამასთან, BEA-მ გააფართოვა NIPA-ს შემაჯამებელი ანგარიშების რიცხვი 5-დან 7-მდე და სექტორების განმარტებებში ცვლილებები შეიტანა ეას-თან, BEA-ს დანახარჯები-გამომშვების (IO) ანგარიშებთან, ფედერალური სარეზერვო საბჭოს (FRB) ფინანსურ ანგარიშებთან და შრომის სტატისტიკის ბიუროს (BLS) შრომის მწარმოებლურობის სტატისტიკასთან შესაბამისობის მიზნით. BEA-მ

აგრეთვე დაიწყო დარგების შეფასებები ახალი, ჩრდილო ამერიკული საკლასიფიკაციო სისტემით (NAICS), რომელიც 1997 წელს მიიღო აშშ-მ, კანადამ და მექსიკამ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ცვლილებებმა განამტკიცა NIPA-ს და ეას-ის შესაბამისობა, რამდენიმე განსხვავება მაინც დარჩა. BEA აგრძელებს მუშაობას ამ საკითხზე და სავარაუდოდ, ეს განსხვავებები აღარ დარჩება, თუმცა ანგარიშების სპეციალური შემთხვევები შეიძლება დარჩეს აშშ-ის მომხმარებლების საჭიროებიდან გამომდინარე. ეს განსხვავებები განხილულია ამ თავის ბოლოს დანართში „ჩაულრმავდით: განსხვავებები NIPA-სა და ეას-ს შორის“. ზოგიერთი განსხვავება მხოლოდ ტერმინოლოგიაშია და არა არსში. მაგალითად, NIPA-ში შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების ხარჯების სახელია პირადი მოხმარების ხარჯები (PCEs).

აშშ-ის ეკონომიკური ანგარიშების უმეტესობა BEA-ს მიერ მზადდება; ეს არის სტატისტიკური სააგენტო, რომელიც კომერციის დეპარტამენტშია განთავსებული. NIPA-ს გარდა BEA ამზადებს აშშ-ის საერთაშორისო ტრანსაქციების ანგარიშებს (ITAs), სადაც ასახულია აშშ-ის ტრანსაქციები და ბალანსები დანარჩენ მსოფლიოსთან და მოიცავს მიმდინარე, კაპიტალურ და ფინანსურ ანგარიშებს და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციას. ფედერალური სარეზერვო საბჭო (FRB) ამზადებს აშშ-ის ფინანსურ ანგარიშებს (FAUS), რომელსაც ადრე ფინანსური საშუალებების ნაკადების ანგარიშები ერქვა. ის უზრუნველყოფს სექტორებისთვის კაპიტალურ ანგარიშებს, ფინანსურ ანგარიშებს და აქტივ-პასივების ბალანსებს. BEA და FRB ერთობლივად ამზადებენ ინტეგრირებულ მაკროეკონომიკურ ანგარიშებს (IMAs), სადაც კომბინირებულია NIPA, ფინანსური ანგარიშები და აქტივების და ვალდებულებების მონაცემები ეას-ის ტიპის პრეზენტაციაში. შრომის მწარმოებლურობის შეფასებები მზადდება BLS-ში - ეს არის შრომის დეპარტამენტის სტატისტიკური სააგენტო. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები და მწარმოებლურობის შეფასებები NIPA-სგან დამოუკიდებლად მზადდება, BEA-სა და სხვა სააგენტოებს შორის მჭიდრო კოორდინაციაა.

BEA-ს თავის მისიად მიაჩნია ეკონომიკური ანგარიშებისთვის დროული, შესაბამისი და ზუსტი მონაცემების უზრუნველყოფა მიზნობრივად და ეკონომიკური ეფექტიანობის დაცვით. ის აგრეთვე მუშაობს, რომ უფრო გასაგებად მიაწოდოს საზოგადოებას აშშ-ის ეკონომიკის მდგომარეობა მისი ანგარიშების გამოქვეყნების გზით.³

მიუხედავად იმისა, რომ NIPA არის BEA-ს მთავარი პროექტი, BEA-მ გააფართოვა მისი შეფასებები და ახლა ეკონომიკური საქმიანობების ფართო სპექტრს მოიცავს. NIPA-ს გარდა, ახლა BEA ამზადებს ეროვნულ, რეგიონულ, დარგობრივ და

საერთაშორისო ანგარიშებს ისეთ საკვანძო საკითხებზე, როგორცაა ეკონომიკური ზრდა, რეგიონული ეკონომიკური განვითარება, დარგებს შორის ურთიერთკავშირი და აშშ-ის ადგილი გლობალურ ეკონომიკაში.

ამ პროგრამების შესასრულებლად BEA მონაცემებს აგროვებს როგორც სხვა სტატისტიკური სააგენტოებიდან, ისე ბიზნესებიდან. ეს მონაცემები გროვდება 400-ზე მეტი დაკვირვებიდან ფედერალური სტატისტიკური სააგენტოების, სგადასახადო სამსახურების, ადმინისტრაციული და მარეგულირებელი წყაროების და კერძო სავაჭრო წყაროების მხარდაჭერით. BEA თვითონაც ატარებს კვლევებს, ძირითადად პირდაპირ ინვესტიციებსა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობაზე.

BEA მუდმივად მზად არის სიახლეებისთვის. ის აქტიურად არის ჩაბმული კვლევით პროცესში და თანამშრომლობს როგორც სამთავრობო სააგენტოებთან თანამშრომლობისა და კვლევით კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის გზით.

BEA დიდ გამოცდილებას იღებს მისი მრჩეველთა კომიტეტისა და ფედერალური ეკონომიკური სტატისტიკის მრჩეველთა კომიტეტის საშუალებით. ორივე კომიტეტი შედგება აკადემიური და ბიზნეს წრეებიდან მოწვეული სტატისტიკოსებისგან და ისინი რეგულარულად აძლევენ მას რჩევებს სააგენტოს პოლიტიკის შესახებ.

2. NIPA-ს ცხრილები

NIPA შედგება შემაჯამებელი ანგარიშებისგან (იხ. ცხრილები 12.1 და 12.2) და სხვა ცხრილებისგან. შემაჯამებელი ანგარიშები გამარტივებულად წარმოგვიდგენს უმნიშვნელოვანეს აგრეგატებს და გვიჩვენებს საანგარიშო ურთიერთკავშირებს მათ შორის. დანარჩენ 300 რეგულარულად გამოქვეყნებულ ცხრილში მოტანილია თვიური, კვარტალური და წლიური დეტალური შეფასებები, რაც შემაჯამებელ ანგარიშებში ვერ მოხვდა. NIPA-ს შეფასებები რეგულარულად ქვეყნდება BEA-ს ვებ გვერდზე და “*Survey of Current Business*“- ში. აგრეთვე, დამატებითი შეფასებები დეტალების გათვალისწინებით შეგიძლიათ იხილოთ BEA-ს ვებ გვერდზე.⁴ როგორც სხვა ქვეყნებში, აშშ-შიც ეროვნული ანგარიშების სიხშირე, დროულობა, მოცვის ხარისხი და პრეზენტაცია მონაცემთა სანდო წყაროების არსებობასა და მომხმარებელთა მოთხოვნილებებზეა დამოკიდებული.

ცხრილი 12.1. ეროვნული შემოსავლისა და პროდუქციის შემაჯამებელი ანგარიშები,
2012

მლრდ აშშ დოლარი, მიმდინარე ფასებში

ანგარიში 1. შიდა შემოსავალი და პროდუქციის ანგარიში

ხაზი			ხაზი		
1	შრომის გადახდილი ანაზღაურება,	8 620.0	15	პირადი მოხმარების ხარჯები (3-3)	11 149.6
2	ხელფასი	6 935.1	16	საქონელი	3 769.7
3	შიდა (3-12)	6 920.5	17	გრძელვადიანი მოხმარების	1 202.7
4	დანარჩენი მსოფლიო (5-11)	14.6	18	მოკლევადიანი მოხმარების	2 567.0
5	დანამატები ხელფასზე (3-14)	1 684.9	19	მომსახურება	7 379.9
6	გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე (4-15)	1 122.9	20	მთლიანი კერძო შიდა ინვესტირება	2 475.2
7	მინუს სუბსიდიები (4-8)	57.3	21	ფიქსირებული ინვესტიცია (6-2)	2 409.1
8	წმინდა საოპერაციო მოგება	4 033.2	22	არასაცხოვრებელი	1 970.0
9	კერძო საწარმოები (2-19)	4 060.9	23	ნაგებობები	437.3
10	სახელმწიფო საწარმოების მიმდინარე მოგება (4-25)	-27.7	24	მოწყობილობები	907.6
11	ძირითადი კაპიტალის მოხმარება (6-14)	2 542.9	25	ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტები	625
			26	საცხოვრებელი	439.2
12	მთლიანი შიდა შემოსავალი	16 261.6	27	ცვლილებები კერძო მარაგებში (6-4)	66.1
			28	საქონლისა და მომსახურების წმინდა ექსპორტი	-547.2
13	სტატისტიკური განსხვავება	-17	29	ექსპორტი (5-1)	2 195.9
			30	იმპორტი (5-9)	2 743.1
			31	სახელმწიფო მოხმარების ხარჯები და მთლიანი ინვესტიციები (4-1 პლუს 6-3)	3 167.0
			32	ფედერალური	1 295.7
			33	ეროვნული თავდაცვა	817.1
			34	არათავდაცვითი	478.6
			35	სახელმწიფო და ადგილობრივი	1 871.3
14	მთლიანი შიდა პროდუქტი	16 244.6	36	მთლიანი შიდა პროდუქტი	16 244.6

ანგარიში 2. კერძო საწარმოს შემოსავლების ანგარიში

ხაზი			ხაზი		
1	საშემოსავლო აქტივებზე გადასახადი	2 654.2	19	წმინდა საოპერაციო მოგება, კერძო საწარმოები (1-19)	4 060.90
2	პროცენტი და სხვა გადასახადები (2-21 და 3-20 და 4-20 და 5-13)	2 407.2	20	შემოსავლების მიღება აქტივებზე	2 475.80
3	დივიდენდების დანარჩენი მსოფლიოსთვის (5-14)	141.1	21	პროცენტი (2-2 და 3-4 და 4-7 და 5-5)	1 809.90
4	პირდაპირი ინვესტიციების რეინვესტირებიდან მიღებული შემოსავალი აშშ-ში (5-15)	105.9	22	დივიდენდების მიღება დანარჩენი მსოფლიოდან (5-6)	297.9
5	მიმდინარე გადახდები ტრანსფერული ბიზნესისთვის (წმინდა)	106.9	23	რეინვესტირებული შემოსავლები აშშ-ის პირდაპირი ინვესტიციებიდან საზღვარგარეთ (5-7)	368.1
6	ინდივიდებს (წმინდა) (3-24)	41.4			
7	მთავრობას (წმინდა) (4-23)	70.6			
8	დანარჩენ მსოფლიოს (წმინდა) (5-19)	-5.1			
9	მესაკუთრების მარაგების შეფასებითა და კაპიტალის მოხმარების კორექტირებით (3-17)	1 224.9			
10	შემოსავალი რენტის სახით პირებისთვის კაპიტალის	541.2			

მოხმარების კორექტირებით (3-18)				
11	კორპორატიული მოგება მარაგების შეფასებითა და კაპიტალის მოხმარების კორექტირებით	2 009.5		
12	გადასახადები კორპორაციის შემოსავლებზე	434.8		
13	მთავრობას (4-16)	402.4		
14	დანარჩენ მსოფლიოს (5-19)	32.4		
15	მოგება გადასახადების გადახდის შემდეგ მარაგების შეფასებითა და კაპიტალის მოხმარების კორექტირებით	1 574.7		
16	წმინდა დივიდენდები (3-21 პლუს 4-21)	770.3		
17	კორპორაციების გაუნაწილებელი მოგება მარაგების შეფასებითა და კაპიტალის მოხმარების კორექტირებით (6-12)	804.3		
18	კერძო საწარმოების შემოსავლების გამოყენება	6 536.7	24	კერძო საწარმოების შემოსავლების წყაროები 6 536.7

ანგარიში 3. პირადი შემოსავლისა და ხარჯების ანგარიში

ხაზი			ხაზი	
1	პერსონალური მიმდინარე გადასახადები (4-14)	1 498.0	10	შრომის ანაზღაურება, მიღებული
2	პერსონალური ხარჯები	11 558.4	11	ხელფასი
3	პერსონალური სამომხმარებლო ხარჯები (1-15)	11 149.6	12	შიდა (1-3)
4	პერსონალური საპროცენტო ხარჯები (2-21 და 3-20 და 4-20 და 5-13)	248.4	13	დანარჩენი მსოფლიო (5-3)
5	პერსონალური მიმდინარე ტრანსფერული გადახდები	160.4	14	დანამატები ხელფასზე (1-5)
6	მთავრობას (4-24)	88.5	15	დამსაქმებლის შენატანები საპენსიო და სადაზღვევო ფონდებში დასაქმებულების სასარგებლოდ
7	დანარჩენ მსოფლიოს (წმინდა)(5-17)	71.9	16	დამსაქმებლის შენატანები სახელმწიფო სოცდაზღვევაში
8	პერსონალური დანაზოგი (6-11)	687.4	17	მესაკუთრეების შემოსავალი მარაგების შეფასებითა და კაპიტალის მოხმარების კორექტირებით (2-9)
			18	შემოსავალი რენტის სახით პირებისთვის კაპიტალის მოხმარების კორექტირებით (2-10)
			19	შემოსავლების მიღება აქტივებზე
			20	პროცენტი (2-2 და 3-4 და 4-7 და 5-5)?
			21	დივიდენდების მიღება დანარჩენი მსოფლიოდან (2-16 მინუს 4-21))
			22	პერსონალური მიმდინარე ტრანსფერების მიღება
			23	მთავრობის სოციალური შეღავათები (4-4)

			24	ბიზნესიდან (წმინდა)(2-6)	41.4
			25	მინუს: სახელმწიფო სოცდაზღვევის შენატანები, შიდა (4-18)	950.7
9	პერსონალური გადასახადები, ხარჯები და დანაზოგი	13 743.8	26	პერსონალური შემოსავალი	13 743.8

ანგარიში 4. მთავრობის შემოსავლისა და ხარჯების ანგარიში

ხაზი				ხაზი	
1	სამომხმარებლო ხარჯები (1-31)	2 548.0	13	მიმდინარე გადასახადების მიღება	3 041.2
2	მიმდინარე ტრანსფერული გადახდები	2 384.7	14	მიმდინარე პერსონალური გადასახადები (3-1)	1 498.0
3	მთავრობის სოციალური შეღავათები	2 334.8	15	გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე (1-6)	1 122.9
4	ინდივიდებს	2 316.8	16	გადასახადები კორპორაციების შემოსავალზე (2-13)	402.4
5	დანარჩენ მსოფლიოს	18	17	გადასახადები დანარჩენი მსოფლიოდან (5-18)	17.8
6	სხვა მიმდინარე ტრანსფერული გადახდები დანარჩენ მსოფლიოს (წმინდა)	49.9	18	შენატანები სახელმწიფო სოცდაზღვევაში	955.3
7	საპროცენტო გადახდები	631.6	19	შემოსავლების მიღება აქტივებზე	131.4
8	სუბსიდიები	57.3	20	პროცენტი და სხვა მისღებლები (2-2 და 3-4 და 4-7 და 5-5)?	107.9
9	მთავრობის წმინდა დანაზოგი	-1 362.3	21	დივიდენდები (2-16 მინუს 3-21)	23.4
10	ფედერალური	-1 109.7	22	მიმდინარე ტრანსფერების მიღება	159.1
11	სახელმწიფო და ადგილობრივი	-252.7	23	ბიზნესიდან (წმინდა) (2-7)	70.6
			24	ინდივიდებისგან (3-6)	88.5
			25	სახელმწიფო საწარმოების მიმდინარე შემოსავლები (1-10)	-27.7
12	მთავრობის მიმდინარე ხარჯები და დანაზოგი	4 259.2	26	მთავრობის მიმდინარე შემოსავლები	4 259.2

ანგარიში 5. უცხოური ტრანსაქციების მიმდინარე ანგარიში

ხაზი				ხაზი	
1	საქონლისა და მომსახურების ექსპორტი (1-29)	2 195.9	9	საქონლისა და მომსახურების იმპორტი (1-30)	2 743.1
2	შემოსავლების მიღება დანარჩენი მსოფლიოდან	818.6	10	საშემოსავლო გადასახადები დანარჩენ მსოფლიოს	565.7
3	ხელფასების მიღება (3-13)	6.3	11	ხელფასების გადახდა (1-4)	14.6
4	შემოსავლების მიღება აქტივებზე	812.3	12	საშემოსავლო გადასახადები აქტივებზე	551.1
5	პროცენტი (2-21 და 3-20 და 4-20)	146.3	13	პროცენტი (2-2 და 3-4 და 4-7)	304.1
6	დივიდენდები (2-22)	297.9	14	დივიდენდები (2-3)	141.1
7	აშშ-ის პირდაპირი ინვესტიციების რეინვესტირებული შემოსავლები საზღვარგარეთ (2-23)	368.1	15	პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეინვესტირებული შემოსავლები აშშ-ში (2-4)	105.9
			16	მიმდინარე გადასახადები და სატრანსფერო გადახდები დანარჩენ მსოფლიოს (წმინდა)	144.6
			17	პირებისგან (წმინდა)(3-7)	71.9

			18	მთავრობისგან (წმინდა)(3-25 პლუს 4-5 პლუს 4-6 მინუს 4-17 მინუს 4-18)	45.4
			19	ბიზნესისგან (წმინდა)(2-8 პლუს 2-14)	27.3
			20	მიმდინარე ანგარიშის, ეროვნული შემოსავლისა და პროდუქციის ანგარიშების ბალანსი (7-1)	-439
8	მიმდინარე შემოსავლები და დანარჩენი მსოფლიოდან	3014.5	21	მიმდინარე გადახდები და დანარჩენ მსოფლიოს და მიმდინარე ანგარიშის ბალანსი	3014.5

ანგარიში 6. კაპიტალის შიდა ანგარიში

ნაზი	ნაზი	ნაზი	ნაზი		
1	მთლიანი შიდა ინვესტიციები	3 094.2	10	წმინდა დანაზოგი	129.4
2	კერძო ფიქსირებული ინვესტიციები (1-21)	2 409.1	11	პირადი დანაზოგი (3-8)	687.4
3	მთავრობის ფიქსირებული ინვესტიციები (1-31)	619	12	გაუნაწილებელი კორპორაციული მოგება მარაგების შეფასებით და კაპიტალის მოხმარების კორექტირებით (2-17)	804.3
4	ცვლილებები კერძო ინვესტიციებში (1-27)	66.1	13	მთავრობის წმინდა დანაზოგი (4-9)	-1 362.3
5	კაპიტალის ანგარიშის ტრანსაქციები (წმინდა)	-6.6	14	პლუს: ძირითადი კაპიტალის მოხმარება (1-11)	2 542.9
6	ტრანსფერების გადახდა კატასტროფული დანაკარგების გამო (7-3)	7.7	15	კერძო	2 049.3
7	კაპიტალის ანგარიშის სხვა ტრანსაქციები (7-4)	-14.2	16	მთავრობა	493.6
8	წმინდა დაკრედიტება ან წმინდა სესხება(-), ეროვნული შემოსავალი და პროდუქციის ანგარიში (7-5)	-432.4	17	სახელმწიფო მართვის ორგანოები	434.2
			18	სამთავრობო საწარმოები	59.4
			19	უდრის: მთლიანი დანაზოგი	2 672.2
			20	სტატისტიკური განსხვავება (1-13)	-17
9	მთლიანი შიდა ინვესტიციები, კაპიტალის ანგარიშის ტრანსაქციები და წმინდა დაკრედიტება	2 655.2	21	მთლიანი დანაზოგი და სტატისტიკური განსხვავება	2 655.2

ანგარიში 7. უცხოური ტრანსაქციების კაპიტალის ანგარიში

ნაზი	ნაზი	ნაზი	ნაზი		
			2	კაპიტალის ანგარიშის ტრანსაქციები (წმინდა)	-6.6
			3	ტრანსფერების გადახდა კატასტროფული დანაკარგების გამო (6-6)?	7.7
			4	კაპიტალის ანგარიშის სხვა ტრანსაქციები (6-7)	-14.2
			5	წმინდა დაკრედიტება ან წმინდა სესხება(-), ეროვნული შემოსავალი და პროდუქციის ანგარიში (6-8)	-432.4
1	მიმდინარე ანგარიშების ბალანსი,	-439	6	კაპიტალის ანგარიშის ტრანსაქციები	-439

NIPA-ს შვიდი შემაჯამებელი ანგარიში, რომელიც ზემოთ იყო წარმოდგენილი, ფარავს იმ ტრანსაქციებს, რომელიც ეას-ში დაჯგუფებულია როგორც წარმოების ანგარიში, შემოსავლის განაწილებისა და გამოყენების ანგარიშები და კაპიტალის ანგარიში. ეას-თან შედარებით (იხ. ცხრილი 12.2), NIPA-ს შიდა შემოსავალი და პროდუქციის ანგარიში (შემაჯამებელი ანგარიში 1) უზრუნველყოფს მშპ-ის შეფასებას საბოლოო მოხმარების კომპონენტით და ეას-ის წარმოების ანგარიშის მსგავსია მთელი ეკონომიკისთვის. NIPA-ს შემაჯამებელი ანგარიში 1 ასევე გვაწვდის ინფორმაციას მშპ-ის წარმოების შედეგად წარმოქმნილ შემოსავალთან დაკავშირებით; ეას-ში ეს მუხლები შეტანილია შემოსავლების ფორმირების ანგარიშში. NIPA-ს პირადი (პერსონალური) შემოსავლისა და ხარჯების ანგარიში (შემაჯამებელი ანგარიში 3) და მთავრობის შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშები (შემაჯამებელი ანგარიში 4) და კერძო წარმოების შემოსავლების ანგარიშის ნაწილი (შემაჯამებელი ანგარიში 2) მიახლოებით შეესაბამება ეას-ის დანარჩენი შემოსავლების განაწილებისა და გამოყენების ანგარიშებს შიდა სექტორისთვის (შემაჯამებელი ანგარიში 2 ფაქტობრივად ყველაზე მეტად შეესაბამება ეას-ის სამეწარმეო შემოსავლების ანგარიშს). NIPA-ს შიდა კაპიტალის ანგარიში (შემაჯამებელი ანგარიში 6) შეესაბამება ეას-ის კაპიტალის ანგარიშს მთელი ეკონომიკისთვის. როგორც NIPA, ისე ეას-ი მოიცავს მიმდინარე და კაპიტალურ ანგარიშებს დანარჩენი მსოფლიოს სექტორისთვის (შემაჯამებელი ანგარიშები 5 და 7). NIPA-ს ანგარიშების მთავარი ჩანაწერები მოცემულია ქვემოთ თითოეული ანგარიშისთვის.⁵

ცხრილი 12.2. NIPA-ს შემაჯამებელი ანგარიშები

		შიდა ანგარიშები			დანარჩენი მსოფლიო
ტრანსაქციები		ეკონომიკის სექტორები			
		ბიზნესი	მთავრობა	პერსონალური	
წარმოება		შიდა შემოსავალი და პროდუქცია (შემაჯამებელი ანგარიში 1)			უცხოური ტრანსაქციების მიმდინარე ანგარიში
შემოსავლები და ხარჯები	და	კერძო საწარმოების შემოსავალი (შემაჯამებელი ანგარიში 2)	მთავრობის მიმდინარე შემოსავლები და ხარჯები (შემაჯამებელი ანგარიში 4)	პერსონალური შემოსავალი და ხარჯები (შემაჯამებელი ანგარიში 3)	(შემაჯამებელი ანგარიში 5)

დანაზოგი ინვესტიცია	და	ანგარიში 4) შიდა კაპიტალის ანგარიში (შემაჯამებელი ანგარიში 6)	ანგარიში 3)	უცხოური ტრანსაქციების კაპიტალური ანგარიში (შემაჯამებელი ანგარიში 7)
------------------------	----	---	-------------	---

“1-36” ნიშნავს 36-ე სტრიქონს შემაჯამებელ ანგარიშში 1.

ანგარიში 1, შიდა შემოსავლისა და პროდუქციის ანგარიში, მარჯვენა მხარეს გვიჩვენებს ყველა სექტორის მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების მიყიდვას საბოლოო მომხმარებლებისთვის და წარმოების მიერ ფორმირებული შემოსავლის მოცულობას მარცხენა მხარეს. მშპ (1-36) არის აშშ-ის გამოშვების მახასიათებელი და წარმოადგენს აშშ-ში განთავსებული შრომისა და საკუთრების ბაზაზე წარმოებული საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულებას. მშპ იზომება აშშ-ში წარმოებული საქონლისა და მომსახურების ჯამით, რომელიც საბოლოო მომხმარებლებზე გაიყიდება („ხარჯების“ ან „საბოლოო მოთხოვნის“ მეთოდი). NIPA-ს გამოყენების მუხლი “მთლიანი შიდა შემოსავალი (მშშ)” (GDI) (1-12) წარმოადგენს მშპ-ის საზომს შემოსავლების მეთოდით, ანუ წარმოების პროცესში გაწეულ ხარჯებს და მიღებულ შემოსავლებს.⁶ მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად მშპ და მშშ ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს, პრაქტიკულად ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან, რადგან მათი კომპონენტების შეფასება სრულიად დამოუკიდებელი და ნაკლებადზუსტი წყაროების საფუძველზე ხდება. ეს „სტატისტიკური განსხვავება“ აშშ-ში ცალკე მუხლად არ ჩაიწერება მშპ-ის ან მშშ-ის კომპონენტებს შორის, თუმცა გვხვდება „შემოსავლის“ კომპონენტებში. იხ. რუბრიკა ჩაულრმავდით: „სტატისტიკური განსხვავებები NIPA-ში“.

ანგარიში 2, კერძო საწარმოს შემოსავლის ანგარიში, დამატებით ინფორმაციას გვაწვდის კერძო საწარმოების შემოსავლების წყაროებისა და მათ მიერ შემოსავლების გამოყენების შესახებ, რაც დიდწილად განსაზღვრავს აშშ-ის გამოშვებას. კერძო საწარმოების შემოსავლების წყაროები ნაჩვენებია ამ ანგარიშის (2-24) მარჯვნივ, ხოლო გამოყენება - (2-18) მარცხნივ. ეს შეიძლება განვიხილოთ როგორც არაფინანსური კორპორაციების, ფინანსური კორპორაციების და არაკორპორირებული ბიზნესის - ბიზნესის მესაკუთრეების ჩათვლით - ანგარიშების კონსოლიდაცია. სახელმწიფო (მთავრობის) საწარმოები არ შედის ამ ანგარიშში, რადგან სახელმწიფო კვაზიკორპორაციების სრული მონაცემები რესურსებისა და გამოყენების შესახებ მიმდინარე ეტაპზე არ მოიპოვება. თუმცა, IMA

დამოუკიდებლად ადგენს ეას-ის მსგავს ანგარიშებს არაფინანსური კორპორაციების, ფინანსური კორპორაციებისა და არაკორპორირებული ბიზნესის შესახებ.

ანგარიშებში 3, 4 და 5 წარმოდგენილია ეკონომიკის სხვა მთავარი სექტორების ხარჯები და შემოსავლები. ანგარიში 3 ფარავს პირად სექტორს, რომელიც მოიცავს შინამეურნეობებსა და შმაკოებს. „პირადი შემოსავალის“ (3-26) რესურსები მოცემულია ანგარიშის მარჯვენა ნაწილში, ხოლო მათი განთავსება გადასახადების, ხარჯებისა და დანაზოგის სახით - მარცხენა ნაწილში. ანგარიში 4 ასახავს სამთავრობო ხარჯებსა და შემოსავლებს. მიმდინარე შემოსავლები (4-27) ნაჩვენებია მარჯვნივ, ხოლო ხარჯები და დანაზოგი (4-13) - მარცხნივ. ანგარიში 5 უცხოური ტრანსაქციების მიმდინარე ანგარიშია, რომლის მარჯვენა მხარეს ნაჩვენებია გადახდები დანარჩენი მსოფლიოსთვის და მიმდინარე ბალანსი (5-21) და მარცხენა მხარეს - შემოსავლები დანარჩენი მსოფლიოდან და ბალანსი (5-8).

ანგარიში 6 კაპიტალის შიდა ანგარიშია, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას ეკონომიკის შიდა სექტორების დანაზოგისა და ინვესტიციების შესახებ. ანგარიში 7 უცხოური ტრანსაქციების კაპიტალის ანგარიში - გვაწვდის ინფორმაციას კაპიტალურ ტრანსაქციებზე დანარჩენ მსოფლიოსთან. ანგარიში 6 გვიჩვენებს მთლიან დანაზოგს და სტატისტიკურ განსხვავებას (6-20) მარჯვენა მხარეს და მთლიან შიდა ინვესტიციებს, კაპიტალის ანგარიშის ტრანსაქციებსა და წმინდა (6-7) მარცხენა მხარეს. წმინდა დაკრედიტება ან წმინდა სესხება (-), ეროვნული შემოსავალი და პროდუქციის ანგარიშები (6-8) უდრის მიმდინარე ანგარიშების ბალანსს (5-20) მინუს კაპიტალის ანგარიშის ტრანსაქციები (6-5). ანგარიში 7-ის მარჯვენა მხარეს ნაჩვენებია ანგარიში 6-ის ორი ჩანაწერის, ჯამი: კაპიტალის ანგარიშის ტრანსაქციები დანარჩენ მსოფლიოს (წმინდა) და წმინდა დაკრედიტება ან წმინდა სესხება (-) და ეროვნული შემოსავალი და პროდუქციის ანგარიშები. კაპიტალის ანგარიშის ტრანსაქციები მოიცავს კაპიტალურ ტრანსფერებს და არაწარმოებული აქტივების შეძენას მინუს გაყიდვებს. მარცხენა მხარეს ნაჩვენებია მიმდინარე ანგარიშის ბალანსი, ეროვნული შემოსავალი და პროდუქციის ანგარიშები (7-1).

NIPA-ს ყველა ცხრილი უკანასკნელი გაანგარიშებებით განთავსებულია BEA-ს ვებ გვერდზე. ამ გვერდზე ნახავთ 100-ზე მეტ ცხრილს თვიური და კვარტალური შეფასებებით. დანარჩენ ცხრილებში მოტანილია წლიური შეფასებები ან დეტალური კვარტალური შეფასებები, კონკრეტული გაანგარიშებები, როგორცაა დასაქმება და ნამუშევარი საათები ან მონაცემთა წყროების შედარებები NIPA-ს აგრეგატებისთვის. NIPA-ს რამდენიმე ცხრილი ასახავს დამატებით გაანგარიშებებს, რომლებსაც არ გააჩნია საპირისპირო მხარე შემაჯამებელ ანგარიშებში. ამ საზომების შესახებ

ინფორმაცია ქვეყნდება BEA-ს ახალი ამბების რელიზში და მოტანილია ჩანართში 12.1.

ჩანართი 12.1. NIPA-ს ცხრილების პოპულარული საზომები

მთლიანი შიდა შესყიდვები არის აშშ-ის რეზიდენტების მიერ შესყიდული საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულება მიუხედავად იმისა, თუ სად იყო ეს საქონელი და მომსახურება წარმოებული. ეს არის მშპ-ს მინუს საქონლისა და მომსახურების წმინდა ექსპორტი; ეკვივალენტურად, ეს არის შემდეგი ელემენტების ჯამი: მთლიანი შიდა ინვესტიციები, სახელმწიფო მოხმარების ხარჯები და მთლიანი ინვესტიციები. ეას-ში ეს აგრეგატიები განიხილება როგორც შიდა საბოლოო ხარჯები. მთლიან შიდა შესყიდვებს BEA იყენებს ფასების ცვლილების გამოკვეთილ საზომად, რადგან გამორიცხავს უცხოელების მიერ აშშ-ის ექსპორტში გადახდილ ფასებს და მოიცავს იმპორტის ფასებს. *შიდა მყიდველებზე საბოლოო გაყიდვები* არის შიდა შესყიდვებს მინუს კერძო მარაგების ცვლილებები. ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, ეს არის **“შიდა მოთხოვნის“** ან **„საბოლოო შიდა მოთხოვნის“** საზომი. *შიდა პროდუქტის საბოლოო გაყიდვები* არის მშპ მინუს კერძო მარაგების ცვლილება; ეკვივალენტურად, ეს არის PCE-ს ჯამი, ანუ წმინდა კერძო ფიქსირებული ინვესტიციების, მთავრობის მოხმარების ხარჯების და მთლიანი ინვესტიციების და საქონლისა და მოსახურების წმინდა ექსპორტის ჯამი. მთლიანი ეროვნული პროდუქტი არის აშშ-ის რეზიდენტების შრომისა და ქონების საფუძველზე წარმოებული საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულება. ეას-ში ამ საზომს ეწოდება მთლიანი ეროვნული შემოსავალი (GNI). NIPA-ში, GNI ეფუძნება შემოსავლების მეთოდს, ხოლო GNP - ხარჯების მეთოდს, ამდენად ისინი ერთმანეთისგან „სტატისტიკური განსხვავების“ ტოლი სიდიდით განირჩევიან. პირადი დანაზოგი, რომელიც პირადი განკარგვადი შემოსავლის მიმართ იანგარიშება პროცენტებში, **„პირადი დანაზოგის ნორმას“** განეკუთვნება. მთლიანი დანაზოგის პროცენტული ფარდობა ეროვნულ შემოსავალთან გვაძლევს **„ეროვნული დანაზოგის ნორმას“**.

3. NIPA-ს გავრცელება

ყოველთვიურად BEA აქვეყნებს NIPA ცხრილების კვარტალურ შეფასებებს და პირადი შემოსავლებისა და ხარჯების თვიურ შეფასებებს. მშპ-ის კვარტალური შეფასებები შემდეგი სქემით ქვეყნდება: „წინასწარი“ შეფასებები კვარტალის მომდევნო თვის ბოლოსკენ; როდესაც ბაზის შევსება უფრო დეტალური და ყოვლისმომცველი მონაცემებით ხდება, მეორე და მესამე თვის ბოლოსკენ ქვეყნდება

„მეორე“ და „მესამე“ შეფასებები.⁷ წინასწარი, მეორე და მესამე შეფასებები BEA-ს მიერ განიხილება როგორც „მიმდინარე“.⁸

წინასწარ რელიზში ვერ ხვდება მეშ, მთლიანი შიდა შემოსავალი, ეროვნული შემოსავალი, წმინდა საოპერაციო მოგება, კორპორატიული მოგება და წმინდა საპროცენტო გადახდები. მეოთხე კვარტალის შეფასებების გარდა, ამ მწკრივების საწყისი შეფასებები ქვეყნდება მშპ-ის მეორე შეფასებასთან ერთად და განახლებული შეფასებები - მშპ-ის მესამე შეფასებასთან ერთად. მეოთხე კვარტალისთვის ეს შეფასებები ქვეყნდება მხოლოდ მშპ-ის მესამე შეფასებასთან ერთად. თვიური პირადი შემოსავლები და ხარჯები ჩვეულებრივ ქვეყნდება კვარტალური შეფასებების მომდევნო სამუშაო დღეს.

როდესაც კვარტალური მშპ ქვეყნდება, წინა კვარტალების ან თვეების შეფასებები არ გადაიხედება შემდეგი შემთხვევების გარდა: მშპ-ის მეორე კვარტალური შეფასების გამოქვეყნებისთანავე წინა კვარტალის შეფასებიდან გადაიხედება კერძო ხელფასები და ანაზღაურება. (იხ. ქვეთავი 5: “კვარტალური მთლიანი შიდა პროდუქტის კომპილაცია”). პირადი შემოსავლებისა და ხარჯების გადახედვა ხდება კვარტალური მშპ-ების გადახედვის დროს. ყოველი წლის ივლისში ტარდება წლიური NIPA-ს გადახედვა და უკანასკნელი სამი წლის კვარტალური და თვიური შეფასებების გადახედვა. გადახედვების მიზანია ანგარიშებში ახლად აღმოჩენილი წყაროების ჩართვა. ბოლოს, დაახლოებით ხუთწლიანი ინტერვალებით ხდება ყოველისმომცველი გადახედვები. გადახედვებში ჩართული დანახარჯები-გამოშვების ცხრილები ხუთწლიანი ინტერვალებით, კონცეპტუალური ცვლილებები (როგორც არის ეას-ის განახლება), სხვა მეთოდოლოგიური გაუმჯობესებები და ცვლილებები შეფასებების ცხრილებში. კონცეპტუალური ცვლილებები წინა პერიოდის მონაცემებშიც შედის და აუცილებლობიდან გამომდინარე ის შეიძლება 1929 წელსაც მოიცავდეს.

კვარტალური მშპ-ისა და თვიური პირადი შემოსავლებისა და ხარჯების რელიზები ქვეყნდება დილის 8:30 საათზე BEA-ს ვებ გვერდზე და დაბეჭდილი ასლები კომერციის დეპარტამენტის მედია წარმომადგენლებს გადაეცემათ ვაშინგტონში. მშპ-ს თან ახლავს ტექნიკური განმარტებები, რომელშიც მოცემულია მოსაზრებები გამოტოვებული მონაცემების წყაროებისა და ახალი შეფასებების მეთოდოლოგიების შესახებ.

იმავე დილით და შემდგომ დღეებში ამავე ვებ გვერდზე ქვეყნდება დამატებითი ინფორმაცია. როგორც წესი, ინფორმაციები იდება 106 NIPA ცხრილის შესახებ, რომელიც გამოქვეყნდება *Survey of Current Business*-ის შემდეგ ნომერში. ცხრილები ინტერაქტიურია და საშუალებას იძლევა მომხმარებელმა დააკონკრეტოს ოპციები,

როგორც არის სიხშირე და მონაცემების დიაპაზონი, ასევე შესაძლებელია მათთვის სხვა ფორმატის გამოყენებაც, მაგ. “pdf.” ყოველთვიური გამოცემა მოიცავს სტატის სახელწოდებით „მშპ და ეკონომიკა“, რომელშიც განხილულია უკანასკნელი შეფასებები.

NIPA ცხრილების დანარჩენ ნაწილში ძირითადად წლიური შეფასებებია და როგორც წესი, ყოველი წლის აგვისტოში ქვეყნდება NIPA-ს წლიური ან ყოვლისმომცველი გადახედვის დროს.

ამასთან, ყოველთვიურ შეფასებებთან ერთად BEA ვებ გვერდზე ათავსებს „დამატებით შეფასებებს“. ეს შეფასებები მოიცავს თვიურ და კვარტალურ დეტალებს, რაც არ შევიდა NIPA ცხრილებში, BEA-ს დაშვებებს, რაც კეთდება მშპ-ის წინასწარი შეფასების დროს მონაცემთა წყაროებს დეფიციტის შემთხვევაში და ეას-თან დაკავშირებულ NIPA-ს მონაცემებს. NIPA-ს დამატებითი დეტალები ძირითადად მოიცავს BEA-ს პირველად შეფასებებს თვიური და კვარტალური მწკრივებისთვის. წინასწარი შეფასებებისთვის „საკვანძო წყაროების მონაცემები და დაშვებები“ BEA-ს მიერ გამოიყენება მშპ-ის შეფასებაში დანახარჯების მეთოდით, რომელსაც თან ახლავს ტექნიკური განმარტებები თვიურ მონაცემთა წყაროების შესახებ.


ეას-თან დაკავშირებული შეფასებები ორი ჩანაწერისგან შედგება. პირველია „BEA-ს მიერ მომზადებული მონაცემები საერთაშორისო შედარებებისთვის, რომელიც ეას-ს ეფუძნება“. ეს არის ეას-ზე დაფუძნებული შეფასებები, რომლებიც წლიურად მზადდება ივლისში NIPA მონაცემების გადახედვის შემდეგ. შეფასებები მზადდება ეთგო-ს კითხვარის საფუძველზე, რომელიც მცირედ განსხვავებულია ოფიციალური NIPA შეფასებებისგან, რომელსაც BEA აქვეყნებს სხვა ქვეყნებთან შესადარისობის გასაუმჯობესებლად. შეფასებების მეორე წყება, რომელიც ეას-ს უკავშირდება, არის „მთლიანი შიდა პროდუქტი საბოლოო ხარჯების კატეგორიების მიხედვით (საერთაშორისო სტილით)“. ამ ცხრილებში NIPA-ს საბოლოო მოხმარების მონაცემები უფრო მეტად შესაბამისია ეთგო-ს პრეზენტაციასთან. შეფასებები გვიჩვენებს საბოლოო მოხმარების დანახარჯებს (მთავრობისა და პირადი მოხმარების ხარჯები) და მთლიან შიდა ინვესტიციებს (მთავრობის მთლიანი ინვესტიციები და კერძო შიდა ინვესტიციები).

კვარტალში ერთხელ, IMA ასევე დებს ინფორმაციას BEA-ს ვებ გვერდზე მას შემდეგ, რაც ფედერალური სარეზერვო საბჭო (FRB) გამოაქვეყნებს FAUS-ს. FRB ასევე აქვეყნებს IMA-ს ინფორმაციას თავის ვებ გვერდზე, <http://www.federalreserve.gov>.

4. NIPA-სთან დაკავშირებული სხვა პროგრამები

NIPA-ს დამატების სახით BEA აწამოებს ეროვნული, დარგობრივი, რეგიონული და სერთაშორისო ანგარიშების მწკრივებს, რომლებიც ინტეგრირებულია NIPA-სთან, ისევე როგორც პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ მონაცემთა წყაროებს NIPA-ს მოსამზადებლად. მომდევნო დისკუსია შეჯამებულია ნახაზზე 12.1 და მოიცავს იმ პროგრამებს, რომლებიც ქმნიან შეფასებებს, სტანდარტულ I-O ანგარიშებს (დანახარჯები-გამოშვების ცხრილები), ფიქსირებულ აქტივებს და წლიური დარგობრივი ანგარიშების პროგრამებს. ამ პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია BEA-ს ვებ გვერდზე.

ნახაზი 12.1. აშშ-ის ეროვნული ანგარიშების ინტეგრაცია



საერთაშორისო ტრანსაქციების ანგარიშები (ITA)

ITA უზრუნველყოფს საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის თვიურ შეფასებებს (BEA-სთან და აღწერის ბიუროსთან ერთად), ხოლო კვარტალურად და წლიურად - აშშ-ის საერთაშორისო ტრანსაქციების ანგარიშების შეფასებას. ITA-ს გადახედვა ყოველწლიურად ხდება და ეს განახლებული ვერსია ქვეყნდება ივლისის *Survey*-ის გამოცემაში. მიმდინარე ანგარიში, რომელიც ზომავს შემოსავლებსა და გადასახადებს საქონელზე, მომსახურებაზე, შემოსავალსა და ცალმხრივ მიმდინარე ტრანსფერებზე, წარმოადგენს ყველა უცხოური ტრანსაქციის ბაზას NIPA-ში, ასევე სტანდარტს წლიური I-O ანგარიშებისთვის. NIPA-ს ცხრილში 4.3 წარმოდგენილია ამ ორ ანგარიშს შორის შეთანხმება. კვარტალური შეთანხმება იბეჭდება *Survey* -ის დანართში A, რომელსაც ჰქვია “დამატებითი ინფორმაცია NIPA შეფასებების შესახებ”.

სტანდარტული (ამოსავალი) დანახარჯები-გამოშვების ცხრილები

ეას-ი მოიცავს ინტეგრირებული რესურსები-გამოყენების ცხრილებს, რომლებიც აბალანსებენ თითოეული დარგის გამოშვებასა და საბოლოო მოხმარებას (იხ. თავი 10). BEA-ს სტანდარტული I-O ანგარიშები უზრუნველყოფს დეტალური „რესურსების“ და „გამოყენების“ ცხრილებს ხუთწლიანი ინტერვალებით ეკონომიკურ აღწერასთან შესაბამისობაში. ეას-ისგან განსხვავებით, რომლის მიხედვითაც რესურსები უნდა შეფასდეს საბაზისო ფასებში და გამოყენება საბაზრო ფასებში, BEA-ს ანგარიშებში რესურსებიც და გამოყენებაც საბაზრო ფასებით გამოისახება. რესურსები-გამოყენების ცხრილებით ხდება მთლიანი გამოშვებისა და შუალედური მოხმარების შეფასება, რომლებიც შესაბამისობაშია წლიურ დარგობრივ ანგარიშებთან და საბოლოო მოხმარების ამოსავალ შეფასებებთან, რომლებიც თავის მხრივ შესაბამისობაშია NIPA-სთან. 2002 წლის ამოსავალი I-O ანგარიშები გამოქვეყნდა 2007 წელს, ხოლო 2007 წლის ანგარიშები - 2013 წელს.

ფიქსირებული აქტივები

BEA ამზადებს მოწყობილობების, ნაგებობების და ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტების შეფასებებს, რომლებიც ბიზნესის და სახელმწიფოს მფლობელობაშია.⁹ შეფასებები მიმდინარე ფასებშია, ხოლო რეალური შეფასებები მოცემულია როგორც ფიზიკური მოცულობის (რაოდენობის) ჯაჭვური ინდექსებით, ისე ჯაჭვური დოლარებით. ანგარიშები მოიცავს ცვეთის შეფასებას (ძირითადი კაპიტალის მოხმარება), ინვესტიციებს და ისტორიული ღირებულებისა და ცვეთის შეფასებებს

შედარების მიზნით. დეტალური შეფასებები მოიცავს წმინდა მარაგებს, ცვეთას და ინვესტიციებს საქმიანობის სახისა და აქტივის ტიპის მიხედვით. მარაგებისა და ცვეთის შეფასება ხდება უწყვეტი ინვენტარიზაციის მეთოდის გამოყენებით, რომელიც ეფუძნება საინვესტიციო ნაკადებს და ცვეთის გეომეტრიულ ფორმულას; მთლიანი საინვესტიციო ნაკადები აღებულია NIPA-ს გაანგარიშებებიდან. ცვეთის შეფასებები გამოიყენება ძირითადი კაპიტალის მოხმარების შესაფასებლად NIPA-ში, რომელიც თავის მხრივ გამოიყენება წმინდა შემოსავლის, დანაზოგისა და ინვესტიციების გაანგარიშებაში.

წლიური დარგობრივი ანგარიშები

2004 წელს BEA-მ წარადგინა ინტეგრირებული წლიური დარგობრივი ანგარიშები, რომელიც შედგება დარგების მიხედვით გაანგარიშებული მშპ-ისა და წლიური I-O ანგარიშებისგან. ინტეგრაცია უზრუნველყოფს დეტალურ, შესაბამის ინფორმაციას აშშ-ის ეკონომიკის სტრუქტურის შესახებ, რომელიც აერთიანებს კერძო წარმოებისა და სახელმწიფოს წვლილს მშპ-ში და საქონლისა და მომსახურების წლიურ ნაკადებს წარმოების პროცესისთვის, რომელიც შემდეგ მშპ-ში ერთიანდება როგორც საბოლოო მოხმარების ელემენტები.¹⁰ აღსანიშნავია, რომ როდესაც BEA-ს წლიური დარგობრივი ანგარიშები ბალანსდება, ისინი დამოუკიდებლად არ ზომავენ მშპ-ს; ისინი იყენებენ NIPA-ს მშპ-ის საზომს, რომელიც დანახარჯების მეთოდს ეყრდნობა. სტანდარტული ათვლის წლების გარდა, როდესაც გამოშვებისა და საბოლოო მოთხოვნის საზომები სრულად შეთანხმებულია I-O ანგარიშებთან, BEA მშპ-ის განსაზღვრაში არ იყენებს საწარმოო მეთოდს, რადგან შუალედური მოხმარების მონაცემები იგვიანებს და ისინი უფრო ნაკლებადსანდოა, ვიდრე დანახარჯების მეთოდის წყაროები. ეას-ისგან განსხვავებით, რომელიც დარგების დამატებულ ღირებულებას საბაზისო ფასებით აფასებს, BEA საბაზრო ფასებს იყენებს. დარგობრივი დამატებული ღირებულებების განსხვავებული განსაზღვრა განხილულია რუბრიკაში „ჩაუღრმავდით: გამოშვებისა და დამატებული ღირებულების შეფასების ალტერნატიული მეთოდები: საბაზისო და საბაზრო ფასები“.

5. კვარტალური მთლიანი შიდა პროდუქტის კომპილაცია

როგორც წინა ქვეთავში ვნახეთ, თითოეული კვარტალისთვის BEA ამზადებს მშპ-ის მიმდინარე შეფასებების მწკრივებს. პირველი (წინასწარი) შეფასება ქვეყნდება კვარტალის დამთავრების მომდევნო თვის ბოლოს, მეორე შეფასება - მეორე თვის ბოლოს, ხოლო მესამე - მესამე თვის ბოლოს. თითოეული კვარტალის დამატებითი შეფასებები ქვეყნდება როგორც წლიური გადახედვის ნაწილი (ჩვეულებრივ, ყოველი

წლის ივლისის ბოლოს) ან როგორც ყოვლისმომცველი გადახედვის ნაწილი (ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ).

მიუხედავად იმისა, რომ წინასწარი კვარტალური მშპ-ის შეფასება წინასწარი კვლევისა და BEA-ს პროგნოზებს ეყრდნობა იმ თვეებში, როდესაც მონაცემები არ არის, სწორედ ეს შეფასებები იმსახურებს მომხმარებელთა განსაკუთრებულ ყურადღებას. მომხმარებლის ესოდენი ყურადღება ამ მონაცემების დროულობით არის გამოწვეული (ერთ-ერთი ყველაზე ადრე გამოქვეყნებული ეთგო-ს ქვეყნებს შორის), ასევე გამჭვირვალობითა და ისტორიულად ჩამოყალიბებული სანდოობით. მაგალითად, გამჭვირვალობა ეფუძნება მშპ-ის შეფასების დროს მონაცემთა წყაროებთან საზოგადოებრივ მისაწვდომობას და ასევე შეფასების პროცედურებთან დაშვებას. BEA გამჭვირვალობას შემდეგი სახით უზრუნველყოფს: 1) მონაცემთა წყაროების და შეფასების მეთოდების წლიური გამოქვეყნება *Survey*-ში NIPA-ს მთავარი კომპონენტების მიხედვით; 2) საზოგადოების ინფორმირებულობა მონაცემთა წყაროების, შეფასების მეთოდების ან სპეციალური კორექტირებების შესახებ; 3) წინასწარ შეფასებამდე გამოტოვებული ინფორმაციის შესახებ BEA-ს დაშვებების გამოქვეყნება და 4) მიმდინარე კვარტალური მშპ-ის შეფასების საფუძვლად აღებული დეტალების გამოქვეყნება.

წინასწარი და შემდგომი ორი კვარტალური შეფასების სანდოობას დიდი ხნის ისტორია აქვს, რაც იმაში გამოიხატება, რომ საზოგადოებას ყოველთვის აქვს საშუალება იცოდეს, თუ როგორი იქნება წინასწარი შეფასება: დადებითი თუ უარყოფითი, აჩქარებული თუ შენელებული, ტრენდთან შედარებით მაღალი თუ დაბალი და ის, თუ ეკონომიკური ციკლის რომელ სტადიაზე იმყოფება ეკონომიკა.¹¹ 2011 წლის შესწავლამ აჩვენა, რომ კვარტალური შეფასებები მშპ-ის ცვლილების მიმართულებით 97%-ით გამართლდა, მისი ზრდის ან კლების მიმართულებით 72%-ით, ტრენდთან დამოკიდებულების (ზევით, ქვევით ან ახლოს) მიმართულებით 80%-ზე მეტით. ამ შესწავლის დანარჩენი შედეგები შეჯამებულია ქვემოთ, ქვეთავში „მშპ-ის გადახედვები“.

მშპ-ის გადახედვები

ახალი ამბების მიმოხილვებში BEA ახდენს წარმატებული წინასწარი შეფასებების შედარებას მშპ-ს მიმდინარე და რეალურ მნიშვნელობებთან. 1983-2010 წლების განმავლობაში წინასწარი შეფასებისა და შემდეგი ერთი თვის გადახედვის სხვაობა რეალურ მშპ-ებს შორის 0.5 პროცენტულ პუნქტს შეადგენდა წლიურ დონეზე, მეორე და მესამე გადახედვებს შორის - 0.7 პროცენტულ პუნქტს, წინასწარსა და ყველაზე ბოლოს შორის -1.3 პროცენტულ პუნქტს. რაც უფრო დიდია გადახედვების საშუალო

მნიშვნელობა, მით უფრო მეტი კონცეპტუალური ცვლილებებია შესული NIPA-ს გაუმჯობესებაში, როგორცაა მაგალითად, ჯაჭვური ინდექსების წარდგენა და პროგრამული უზრუნველყოფისა და კვლევებისა და განვითარების კაპიტალიზაცია. მშპ-ის მიმდინარე კვარტალური შეფასებები წარმოიშვა მშპ-ის ხარჯვითი კომპონენტების ინდივიდუალური შეფასებების აგრეგირებით. ეს ინდივიდუალური კვარტალური შეფასებები მზადდება წინა კვარტალის ექსტრაპოლირებით - პირდაპირი ინდიკატორების გამოყენებით თვიური ან კვარტალური დაკვირვებებიდან და არაპირდაპირი ინდიკატორებით, როგორცაა წარსული ტრენდები. ამ ტიპის ინფორმაციისთვის საჭირო სპეციფიკური მონაცემების წყაროები განხილული იქნება ამ თავის მომდევნო ქვეთავში. ექსტრაპოლაციის პროცედურა ეფუძნება „საუკეთესო ცვლილების მეთოდს“ წინა კვარტალური შეფასებებიდან. ამ მეთოდის გამოყენებით, საბოლოო კვარტალის შეფასებები განისაზღვრება ინდიკატორების მწკრივების ცვლილების (ჩვეულებრივ პროცენტული) გაანგარიშებით და მისი გამრავლებით წინა კვარტალის გამოქვეყნებულ მნიშვნელობაზე.¹² ეს გაანგარიშება ნიშნავს, რომ თუ ინდიკატორის მწკრივის დონე გადაიხედა, მაშინ გადახედული „საუკეთესო დონე“ არ აისახა მიმდინარე შეფასებაში. სამაგიეროდ, საუკეთესო დონეები არ აისახება წლიური ან ყოვლისმომცველი გადახედვის დადგომამდე. მიუხედავად იმისა, რომ BEA საუკეთესო ცვლილების ბაზაზე ახდენს მონაცემთა წყაროს ჩართვას, მშპ-ის დონეები მაინც არ არის სრულ შესაბამისობაში მონაცემებთან. ზოგადად, ეს მანიპულაცია მატების ზუსტი შეფასებების დაცვისა და მდგრადი დროითი მწკრივებისთვის გამოიყენება.¹³

მშპ-ის კვარტალური შეფასების ყველა პროცესი BEA-ს სპეციალისტთა ჯგუფიდან იწყება, რომლებიც შეფასებებს ამზადებენ სპეციფიკური კომპონენტებისთვის. შეფასების ეს პროცესი ორი კვირის განმავლობაში გრძელდება და თანხვედრაშია საკვანძო მონაცემების ხელმისაწვდომობასთან. სპეციალისტები სტანდარტული მეთოდოლოგიებით მუშაობენ, იღებენ მონაცემებს წყაროებიდან და იყენებენ შეფასების შესაბამის მეთოდოლოგიას, რომელიც საშუალებას იძლევა გარკვეული დაშვებები გაკეთდეს გამოტოვებულ მონაცემებთან დაკავშირებით. შეფასებები სეზონურად კორექტირებული მნიშვნელობებით კეთდება მონაცემთა წყაროებსა და მშპ-ის შეფასებებს შორის შესადარისიბის მისაღწევად. თუ მონაცემები სეზონურად კორექტირებული არ არის, მაშინ სპეციალისტები ექსტრაპოლაციამდე სეზონურად აკორექტირებენ მათ.

სპეციალისტები მონაცემებს ამოწმებენ ცვლილებებისადმი მდგრადობაზეც, როგორცაა კვლევის ახალი მეთოდოლოგიის გამოყენება, სანდოობა

(გამოუპასუხებლობის მაღალი დონე) ან შესაბამისობა მშპ-ის კომპონენტის გაანგარიშებასთან დროის კონკრეტულ მომენტში, მაგალითად ბუნებრივი კატაკლიზმების დროს. ამ მიმოხილვაზე დაყრდნობით სპეციალისტი განსაზღვრავს, არის თუ არა საჭირო რაიმე სპეციალური კორექტირება. მაგალითად, შრომის ანაზღაურების კვლევა ზომავს საშუალოდ კვირაში ნამუშევარ საათებს მხოლოდ თვის შუა კვირაში. თუ ეს კვირა მთელი თვის რეპრეზენტატული არ არის თვის ბოლოს ცუდი ამინდის გამო, მაშინ სპეციალისტი განსაზღვრავს, რომ საჭიროა კორექტირება.

სპეციალისტის მიერ შემოთავაზებული შეფასებები ორსაფეხურიანი განხილვის საგანი ხდება. პირველ საფეხურზე განხილვა იმართება მთავარ ეკონომისტებთან ერთად. ეს ჯგუფი ერთად იხილავს, რამდენად სწორად მოხდა დაშვებები გამოტოვებულ მონაცემებთან დაკავშირებით, სწორად გაკეთდა თუ არა კორექტირებები და არის თუ არა კომპონენტებს შორის ეკონომიკური შესაბამისი ურთიერთკავშირები, მაგალითად, მარაგებსა და გაყიდვების ცვლილებას შორის, რაც მშპ-ის შეფასებაში გამოჩნდა. ხშირად, ამ განხილვის შემდეგ სპეციალისტები ცვლიან თავიანთ თავდაპირველ შეფასებებს. ეს განხილვა სამი-ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარეობს და მთავრდება ორი დღით ადრე მშპ-ის შეფასების გამოქვეყნებამდე. ამ ჯგუფის მუშობა იმით მთავრდება, რომ განხილვის მეორე ეტაპისთვის ამზადებს NIPA შეფასებების სრულ ნაკრებს. მეორე განხილვა ხდება BEA-ს მთავარი სპეციალისტების მიერ გამოქვეყნებამდე ერთი დღით ადრე. ისინი მაღალი დონის მიმოხილვას ატარებენ ძირითად აგრეგატებზე შესაძლო ეფექტების მიმართულებით და ადარებენ მშპ-ის წამოყენებულ შეფასებებს გამოშვების ალტერნატიულ შეფასებებთან, როგორცაა: ნამუშევარი საათები, სამრეწველო წარმოება ან კერძო სექტორის პროგნოზები მშპ-ის მატებაში. ამ ჯგუფის მიერ ჩატარებული განხილვის შემდეგ იშვიათად ხდება ცვლილებების შეტანა შეფასებებში, თუმცა ის მზადაა პასუხი გასცეს მომხმარებლების კითხვებს შეფასებების შედეგებთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ მშპ-ის შეფასების საფეხურები ერთნაირია მშპ-ის სამივე მიმდინარე შეფასებისთვის, მაინც რჩება მნიშვნელოვანი განსხვავებები შეფასების პროცესიდან გამომდინარე. წინასწარი შეფასების დროს საკვანძო მონაცემთა თვიური მწკრივები ხელმისაწვდომია მხოლოდ კვარტალის პირველი ორი თვის განმავლობაში, რაც შემდეგ თვეებში გადახედვას ექვემდებარება. შედეგად, სპეციალისტებისა და ამ ორი ჯგუფის მიერ განხილული შეფასებები ფოკუსირდება დაშვებების გარშემო გამოტოვებული მონაცემების შესახებ, რაც ისტორიულ ინფორმაციასა და არსებული მონაცემების სავარაუდო გადახედვებს ეფუძნება. მწკრივები, რომლებისთვისაც მონაცემები კვარტალის სამივე თვისთვის არსებობს,

მოწმდება მონაცემთა წყაროსა და შესაბამის NIPA კომპონენტს შორის გადახრის არსებობაზე. მაგალითად, განსხვავება სამომხმარებლო ფასების ინდექსსა (CPI) და პირადი მოხმარების ხარჯების, PCE, ცვლილებას შორის.¹⁴

მეორე და მესამე შეფასებებისთვის უფრო მეტი მონაცემია ხელმისაწვდომი სპეციალისტების დაშვებების საპირისპიროდ, ასევე ხელმისაწვდომია წლის პირველი სამი კვარტალისთვის კორპორატიული მოგების შეფასებები. შესაბამისად, გამოტოვებული მონაცემების შესახებ სპეციალისტების მოსაზრებებიდან ხდება გადანაცვლება ახალი და განახლებული მონაცემთა წყაროებისკენ. კორპორაციების მოგების პირდაპირი შეფასებებიც ინაცვლებს ცალკეული დარგის გამოტოვებული მონაცემებისკენ. წინასწარ და მეორე შეფასებას შორის ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება იმაშია, რომ კორპორაციების მოგების ხელმისაწვდომობა განაპირობებს მთლიანი შიდა შემოსავლისა და სტატისტიკური განსხვავების შეფასების შესაძლებლობას.

დიდი სტატისტიკური განსხვავება მონაცემთა წყაროების პრობლემებზე მეტყველებს, ამიტომ განხილვაში ჩართული გუნდი ამოწმებს NIPA-ს კომპონენტების საიმედოობას და არკვევს კორექტირების საჭიროებას. მშპ-ის მესამე შეფასების დროს უფრო ვიწროვდება გამოტოვებული მონაცემების და დაშვებების წრე. ამასთან ერთად, სპეციალისტები წინა გადახედვებსაც განიხილავენ მომავალი გადახედვების სქემის ჩამოსაყალიბებლად, რამაც შეიძლება კორექტირება გამოიწვიოს.

როგორც ეთგო-ს სხვა ქვეყნებში, BEA-ს მიმოხილვების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ამ შეფასებების ინტეგრირებულობაში დარწმუნებაა.¹⁵ ეს პროცესი შედგება საფეხურებისგან იმაში დასარწმუნებლად, რომ აღნიშნული შეფასებები მიუკერძოებლად კეთდება და ისინი არ იქნება მისაწვდომი არაავტორიზებული პირებისთვის. მაგალითად, ფინანსურ ბაზრებზე მშპ-ის წინასწარი შეფასებების ცოდნა პრივილეგიურ მდგომარეობაში ჩააყენებს ფასიანი ქაღალდებით მოვაჭრეებს. გარე ან შიდა გავლენებისაგან თავის აცილების მიზნით BEA-მ შეიმუშავა შემდეგი შეზღუდვები: 1) მიმოხილვების გამოქვეყნების გამოცხადებული განრიგის მკაცრი დაცვა; 2) გამოქვეყნებამდე მონაცემებთან დაშვების შესაძლებლობა ეძლევა BEA-ს განსაზღვრულ შტატს; 3) სტატისტიკური პოლიტიკის მესამე დირექტივის საფუძველზე თანამდებობის პირების დაშვება მონაცემებთან შეზღუდულია გამოქვეყნების წინა საღამომდე და 4) ფიზიკური და კომპიუტერული უსაფრთხოების მიზნით აკრძალულია იმ პირების დაშვება, რომლებსაც ეს მონაცემები ესაჭიროებათ.

BEA დიდ სიფრთხილეს იჩენს მშპ-ის შეფასებების გამოქვეყნებამდე. BEA-ს შტაბ-ბინაში იკრიბება მაღალი დონის მენეჯმენტის ვიწრო წრე, რომლებსაც არ აქვთ უფლება დამოუკიდებლად ჰქონდეთ კონტაქტი BEA-ს შტატთან ამ შეკრების

განმავლობაში. შეკრება იწყება შუადღის შემდეგ და გრძელდება შეფასებების საბოლოო მიღებამდე, სანამ ისინი არ გადაეცემა ეკონომიკურ მრჩეველთა საბჭოს. გადაცემა ხდება ამ შეკრების ერთ-ერთი მონაწილის მიერ სალამოსთვის. შეფასებები სხვა არავის არ გადაეცემა. თუ ასეთი მოთხოვნა ოფიციალური პირების მხრიდან იქნება, მაშინ გამოქვეყნებამდე ერთი საათით ადრე მათ მიეწოდებათ ეს ინფორმაცია, ოღონდ იმ პირობით, რომ არავის არ გაანდობენ მას გამოქვეყნების მსვლელობის დროს. მედიას აგრეთვე მიეწოდება ეს ინფორმაცია ნახევარი საათით ადრე უცხო პირებისგან დაცულ ოთახში. ოთახში არის კომპიუტერები მედიისთვის, რათა მათ მოამზადონ რეპორტაჟები ეთერისთვის და ჩაწერონ ისტორიები რელიჯის დროს.

6. კვარტალური მშპ-ის მოსამზადებელი მეთოდოლოგიები

BEA აქვეყნებს დეტალურ და შემაჯამებელ მეთოდოლოგიებს, როგორც მონაცემთა წყაროებზე, ისე შეფასების მეთოდებზე - მშპ-ისა და NIPA-ს სხვა კომპონენტებისთვის. დეტალური მეთოდოლოგიები გამოქვეყნებულია *Concepts and Methods of the U.S. National Income and Product Accounts*-ში და ცალკეულ მეთოდოლოგიურ სტატიებში. იმის გამო, რომ მეთოდოლოგიური გაუმჯობესებები რეგულარულად გაითვალისწინება წლიურ და ყოვლისმომცველ გადახედვებში, ამ მეთოდოლოგიური ცვლილებების აღწერა შესულია *Survey of Current Business*-ში, ხოლო *Survey* -ში მოცემულია შემაჯამებელი ინფორმაცია მშპ-ისა და მთლიანი შიდა შემოსავლის კომპონენტების მეთოდოლოგიების შესახებ.¹⁶ წინასწარი კვარტალური შეფასებების მეთოდოლოგიების გამოყენება ბოლო საფეხურია იმ პროცესის დასაწყებად, რომელსაც ჰქვია უკანასკნელად მიღებული სტანდარტული I-O ანგარიშების ჩართვა ყოვლისმომცველ გადახედვაში. პირველი, განახლებული წლიური შეფასებები მიღებულია I-O სტანდარტით გამოთვლილი NIPA-ს კომპონენტების ექსტრაპოლაციის საფუძველზე.¹⁷ მეორე, კვარტალური შეფასებები გამოთვლილია ახალი წლიური შეფასებების ინტერპოლაციით. მესამე, კვარტალური შეფასებები უკანასკნელ პერიოდამდე გამოითვლება ბოლოს ინტერპოლირებული კვარტალური შეფასების ექსტრაპოლირებით. ბოლოს, წინასწარი კვარტალური შეფასება უკანასკნელი კვარტალისთვის გამოითვლება ექსტრაპოლირებით. წლიური გადახედვების დროს განახლებული წლიური და კვარტალური შეფასებები ამავე თანმიმდევრობით ხდება, ოღონდ იმ წლებში, რომლებიც განახლებას ექვემდებარება (ჩვეულებრივ, ბოლო სამი წელი).

ამ ქვეთავში წარმოდგენილია ინფორმაცია იმ მეთოდოლოგიების შესახებ, რომელიც გამოიყენება წინასწარი კვარტალური შეფასებების შერჩეული კომპონენტების მოსამზადებლად მშპ-ისთვის მიმდინარე და რეალურ გამოსახულებაში. მეორე

ქვეთავში NIPA-ს სამი ასპექტი იყო აღნიშნული: მიმდინარე ფასებში მშპ იზომება დანახარჯების მეთოდით; საზომი, რომელიც შემოსავლებს ეფუძნება, არის მთლიანი შიდა შემოსავალი (მშშ) და ის მშპ-ისგან განსხვავდება სიდიდით, რომელსაც „სტატისტიკური განსხვავება“ ეწოდება; დარგების დამატებული ღირებულებების ბოლო შეფასებები დამოუკიდებელად არ ეფუძნება საწარმოო მეთოდს, არამედ კონტროლდება დანახარჯებით გაზომილი მშპ-ის საშუალებით. ამიტომ, დისკუსიები მშპ-ის მეთოდოლოგიების შესახებ დაიყვანება საბოლოო დანახარჯების კომპონენტებამდე (შინამეურნეობების საბოლოო მოხმარება, მთავრობის საბოლოო მოხმარება, კაპიტალის მთლიანი ფორმირება და ექსპორტს მინუს იმპორტი).

კვარტალური და წლიური მშპ-ის რეალური მნიშვნელობებისთვის მეთოდოლოგიებში ხაზგასმულია რეალური მშპ-ის დანახარჯების კომპონენტების დეტალები. ეს კომპონენტებია ფასი და რაოდენობა, რომელთა აგრეგირებით მიიღება მშპ. აგრეგირებისთვის BEA იყენებს ფიშერის ინდექსის ფორმულას, რაც საშუალებას იძლევა გაიზომოს ფასების შედარებითი (რელატიური) ცვლილების ეფექტი გამოშვების შემადგენლობაზე დროის მანძილზე. შედეგად, რაოდენობის ან ფასის ცვლილებები არ განიცდის შენაცვლების გავლენას, რაც დაკავშირებულია რაოდენობის ან ფასის ცვლილებასთან, რომელიც ფიქსირებული წონის მქონე ლასპეირესის ფორმულასთან ასოცირდება. რაოდენობებისა და ფასების წლიური ცვლილებები მოიცავს ორი მომიჯნავე წლის წონებს. რაოდენობებისა და ფასების კვარტალური ცვლილებები ფიშერის ინდექსით გაიანგარიშება და მოიცავს ორი მომიჯნავე კვარტალის წონებს. კვარტალური ინდექსები კორექტირდება წლიურ ინდექსებთან შესაბამისობის მიზნით, სანამ პროცენტული ცვლილების გაანგარიშება მოხდება.

მშპ-ის კომპონენტების ჯაჭვური მიმდინარე მნიშვნელობების ჯამი აუცილებლად არ უდრის მშპ-ის მიმდინარე ჯაჭვურ შეფასებას (ან რომელიმე შუალედურ აგრეგატს), რადგან წონებად გამოყენებული შედარებითი ფასები განსხვავებულია საბაზისო (ათვლის) წლის ფასებისგან. ამ განსხვავების საზომია „ნაშთის“ ხაზი, რომელიც მიიღება ძირითადი აგრეგატის ჯაჭვურ მიმდინარე მნიშვნელობასა და ყველაზე დეტალური კომპონენტების ჯამს შორის ცხრილში.

ათვლის წელთან ახლოს პერიოდებში, როდესაც წონებად გამოყენებული შედარებითი ფასები დიდად არ არის შეცვლილი, ნაშთი შედარებით მცირეა; რაც უფრო მეტად ხდება დაშორება ათვლის წლიდან, მით უფრო იზრდება ნაშთის სიდიდე. ჯაჭვური შეფასებების არაადიტიურობა აკნინებს მათ ანალიტიკურ შესაძლებლობებს (იხ. თავი 2); შედეგად, BEA უზრუნველყოფს „პროცენტულ

ცვლილებებში შეტანილი წვლილის“ ცხრილს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს ინდივიდუალური კომპონენტების წვლილის ზუსტ საზომად.

მიმდინარე დოლარში NIPA-ს შეფასებებისთვის საბოლოო მოთხოვნის 14 კომპონენტი, რომელიც ამ ქვეთავშია განხილული, შეირჩა მშპ-ის წინასწარი შეფასებებისთვის მონაცემებზე BEA-ს ხელმისაწვდომობის ნიშნით. შემაჯამებელი მეთოდოლოგიების წლიურ პრეზენტაციაში BEA გვიჩვენებს მონაცემთა წყაროებს და შეფასების მეთოდებს NIPA-ს სრული გამოთვლებისა და გადახედვებისთვის. ეს პრეზენტაციები მოიცავს მშპ-ის კომპონენტების 50 დაჯგუფებას და მშპ-ის კომპონენტების 40 დაჯგუფებას.

მონაცემთა წყაროების ხელმისაწვდომობა

საწყისი წლის შეფასებებიდან ექსტრაპოლირების მიზნით BEA თვიური, კვარტალური და წლიური მონაცემების ფართო სპექტრს იყენებს ინდიკატორების მწკრივებთან ერთად. ეს მონაცემები მოდის სტატისტიკური სამსახურებიდან, ფედერალური საგადასახადო სამსახურებიდან, სამთავრობო რეგულირების პროგრამებიდან, კერძო ვაჭრობის წყაროებიდან და ამიტომ საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისგან გამოქვეყნებისა და გადახედვების პრაქტიკით.

მონაცემების გამოყენებას შეფასებებში განაპირობებს მათი დროული ხელმისაწვდომობა. კომპონენტების უმეტესობისთვის კვარტალის ყველა თვის მონაცემი მშპ-ის წინასწარი შეფასების დროს არ არის ხელმისაწვდომი, ამიტომ გამოტოვებული მონაცემებისთვის BEA ითვლის ტრენდზე დაფუძნებულ მონაცემებს. წარმატებული გადახედვების შედეგად, კომპონენტების უმეტესობისთვის ტრენდზე დაფუძნებული შეფასებები ინდიკატორების მწკრივებით იცვლება. მაგალითად, მშპ-ის წინასწარი შეფასებისთვის დაახლოებით მშპ-ის 46% იანგარიშება კვარტალური ან თვიური ინდიკატორების გამოყენებით, რომელიც კვარტალის სამივე თვისთვის მოიპოვება, 30%-ის გაანგარიშება ხდება ინდიკატორების 2-თვიანი მწკრივებისა და ტრენდზე დაფუძნებული ერთთვიანი მონაცემების საშუალებით, ხოლო 24% გაიანგარიშება მხოლოდ ტრენდზე დაფუძნებული მონაცემების გამოყენებით.¹⁸ მშპ-ის მესამე კვარტალის შეფასებისთვის, რომელიც ორი თვის დაგვიანებით ქვეყნდება, მშპ-ის 90% ინდიკატორების მწკრივებიდან იანგარიშება, დაახლოებით 9% მხოლოდ ტრენდზე დაფუძნებული მონაცემებიდან და 1%-ზე ნაკლები ინდიკატორების მწკრივებისა და ტრენდზე დაფუძნებული მონაცემების კომბინაციით. რამდენიმე ახალი ინდიკატორის მწკრივი, როგორც არის აღწერის ბიუროს მომსახურების კვარტალური კვლევა და ელექტროენერჯის მოხმარების თვიური მონაცემები, მშპ-ის შეფასებისთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ მეორე და მესამე კვარტალში.

ტრენდზე დაფუძნებული მონაცემების ვალიდურობაში დასარწმუნებლად, რაც ძირითადად BEA-ს სპეციალისტების მოსაზრებებზეა აგებული, BEA მომხმარებლებს აცნობს „გამოყენებულ დაშვებებს გამოტოვებული მონაცემთა წყაროებისთვის“ და მშპ-ის ახალ მიმოხილვებში მათგან ყველაზე მნიშვნელოვანს აქვეყნებს.

შეფასების მეთოდები

კომპონენტის შეფასების მეთოდს BEA იმის მიხედვით ირჩევს, თუ რამდენად ხელმისაწვდომი და სანდოა მონაცემთა წყარო და რამდენად შეესაბამება ის NIPA-ს განმარტებებს. იმ მეთოდებს შორის, რომელსაც BEA მიმდინარე დოლარში შეფასებისთვის იყენებს არის: სასაქონლო ნაკადების მეთოდი; საცალო კონტროლის მეთოდი; უწყვეტი ინვენტარიზაციის მეთოდი და ფისკალური წლის ანალიზის მეთოდი. სასაქონლო ნაკადების მეთოდი იწყება შიდა გამოშვების შეფასებით, აკორექტირებს გამოშვებას იმპორტით, ექსპორტით და მარაგების გათვალისწინებით და მიღებულ შედეგს ანაწილებს შინამეურნეობების, ბიზნესისა და მთავრობის შესყიდვებზე. სასაქონლო ნაკადების მეთოდი სრულად გამოიყენება დანახარჯების კომპონენტებისთვის I-O ანგარიშებში; ამ მეთოდის შემოკლებული სახე გამოიყენება წლიური და კვარტალური NIPA შეფასებებისთვის იმ კომპონენტებზე, რომლებისთვისაც აუცილებელი მონაცემები არსებობს.¹⁹ საცალო კონტროლის მეთოდი იყენებს საცალო გაყიდვების მონაცემებს შინამეურნეობების მიერ სპეციფიკური პროდუქტების წლიური და კვარტალური შესყიდვების შეფასების მიზნით. უწყვეტი ინვენტარიზაციის მეთოდი გამოიყენება ფიქსირებული აქტივების მარაგის შეფასებისთვის, რომელიც თავის მხრივ გამოიყენება ფიქსირებული კაპიტალის მოხმარების შეფასების მიზნით. ფისკალური წლის ანალიზის მეთოდი გამოიყენება ფედერალური მთავრობის წლიური სამომხმარებლო ხარჯებისა და მთლიანი ინვესტიციების შესაფასებლად. დანახარჯების შეფასება ბიუჯეტის დეტალური ხარჯების მონაცემებს ეფუძნება. ამ ხარჯებს BEA შესაბამისობაში მოიყვანს NIPA განმარტებებთან და ანაწილებს მათ NIPA-ს შესაბამის კომპონენტებზე, როგორც არის მოხმარების ხარჯები ან ტრანსფერული გადახდები. ფისკალური წლის ანალიზი ასევე უზრუნველყოფს საკონტროლო ჯამების მიღებას NIPA-ს კვარტალური შეფასებებისთვის.

რეალური მშპ-ის შეფასებებისთვის BEA სამ მეთოდს იყენებს: დეფლაციას, რაოდენობრივ ექსტრაპოლაციას და პირდაპირ შეფასებას. ყველაზე გავრცელებული მეთოდია დეფლაციის მეთოდი, რომელშიც რაოდენობის (ფიზიკური მოცულობის) ინდექსი მიიღება მიმდინარე ფასებში გამოსახული ინდექსის (საქონელბრუნვის ან ღირებულების ინდექსი) ფარდობით შესაბამის ფასების ინდექსზე. რაოდენობრივი

ექსტრაპოლაციის მეთოდში რაოდენობის ინდექსი გამოიყენება საბაზისო წლის ღირებულების ექსტრაპოლაციისთვის. პირდაპირი შეფასების მეთოდში რაოდენობის ინდექსი მიიღება საბაზისო წლის ფასის ნამრავლით საინდექსო პერიოდის რეალურ რაოდენობრივ მონაცემზე. სამივე მეთოდში რაოდენობრივი ინდექსები რეალურ ან ჯაჭვურ მშპ-ად გარდაიქმნება ინდექსის ნამრავლით საბაზისო წლის მიმდინარე ღირებულებაზე.

მიმდინარე ფასებში გამოსახული მშპ-ის შერჩეული კომპონენტების მეთოდოლოგიები

2013 წლის *Survey of Current Business*-ის ნოემბრის ნომერში პირველ ცხრილში ნაჩვენებია მშპ-ის კომპონენტების დაახლოებით 50 ჯგუფის მეთოდოლოგიები. ქვემოთ შერჩეულ კომპონენტებში ასახულია შეფასების მეთოდებისა და მონაცემთა წყაროების მრავალფეროვნება წლიური და წინასწარი კვარტალური შეფასებებისთვის. პირველი 13 კომპონენტი ჩამოთვლილია წინასწარი შეფასებისთვის მონაცემების ხელმისაწვდომი თვის მიხედვით. პირველი ოთხი კომპონენტისთვის საკვანძო მონაცემების მიღება წინასწარი შეფასებისთვის შესაძლებელია კვარტალის სამივე თვისთვის. მეხუთედან მეათე კომპონენტამდე მონაცემები ხელმისაწვდომია მხოლოდ კვარტალის ორი თვისთვის. 11-13 კომპონენტისთვის წინასწარი კვარტალური შეფასებები ეფუძნება ძირითადად BEA-ს მიერ გაანგარიშებულ ტრენდულ მონაცემებს. ბოლო კომპონენტი, ინვესტიციები პროგრამულ უზრუნველყოფაში ასახავს სხვადასხვა წყაროების გამოყენებას კვარტალური და წლიური შეფასებებისთვის.

1. *PCE (პირადი სამომხმარებლო ხარჯები) უმეტეს გრძელვადიან და მოკლევადიან მოხმარების საქონელზე.* ამ კომპონენტის წლიური და კვარტალური შეფასებებისთვის გამოიყენება საცალო კონტროლის მეთოდი. ყველა წლისთვის და განსაკუთრებით ბოლოსთვის წლიური შეფასებები ეფუძნება საცალო გაყიდვების წერტილებში აღწერის ბიუროს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს. წინასწარი კვარტალური შეფასებისთვის ხელმისაწვდომია სამივე თვის მონაცემები და არსებობს მათი შემდგომი გადახედვის შესაძლებლობა.

2. *PCE ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე.* ამ კომპონენტის წლიური და კვარტალური შეფასებები კეთდება შესყიდული პროდუქტის ფიზიკური მოცულობისა და საშუალო საცალო ფასის გათვალისწინებით. წინასწარი კვარტალური შეფასებისთვის ხელმისაწვდომია სამივე თვის მონაცემები მოხმარებული გალონებისა და საშუალო საცალო ფასის შესახებ და არსებობს მათი შემდგომი გადახედვის შესაძლებლობა.

3. ახალი ავტომობილები (PCE და კერძო ფიქსირებული ინვესტიციები). ამ კომპონენტის წლიური და კვარტალური შეფასებები კეთდება შესყიდული პროდუქტის ფიზიკური მოცულობისა და საშუალო საცალო ფასის გათვალისწინებით. ყველა მონაცემი შესყიდვების რაოდენობისა და ფასების შესახებ მიიღება სავაჭრო ობიექტებიდან. წინასწარი კვარტალური შეფასებისთვის ხელმისაწვდომია სამივე თვის მონაცემები გაყიდვების მოცულობისა და ფასის შესახებ და ორი თვის მონაცემები მყიდველებს შორის მათი განაწილების შესახებ.

4. სახელმწიფო და ადგილობრივი საჯარო მოხელეების ანაზღაურება. ხელფასებისა და დასაქმების შესახებ მონაცემები მიიღება შრომის სტატისტიკის ბიუროდან (BLS) კვარტალური აღწერების საფუძველზე (QCEW). დანარჩენი მონაცემები მიიღება სოციალური სააგენტოებიდან, საპენსიო პროგრამებიდან, სავაჭრო წყაროებიდან, სამედიცინო მომსახურების ცენტრებიდან და სახელმწიფო და ადგილობრივი მთავრობების წლიური აღწერებიდან. ხელფასების წინასწარი შეფასებისთვის BEA აერთიანებს BLS-ის დასაქმების სამი თვის მონაცემებს და კვარტალური შემოსავლების მონაცემებს BLS-ის დასაქმების ღირებულების ინდექსიდან. თვიური დასაქმების მონაცემები სამომავლო გადახედვების ობიექტია. სხვა კომპონენტებისთვის BEA ითვლის ტრენდზე დაფუძნებულ შეფასებებს.

5. ფიქსირებული ინვესტიციები ახალი ნაგებობების უმეტესი სახეებისთვის. წლიური და კვარტალური შეფასებები კეთდება მშენებლობის თვიური კვლევებიდან. წინასწარი კვარტალური შეფასებისთვის ხელმისაწვდომია ორი თვის მონაცემები მშენებლობის თვიური კვლევებიდან და წარმოადგენს შემდგომი გადახედვის ობიექტს.

6. კერძო ფიქსირებული ინვესტიციები მოწყობილობებში ავტომობილების გარდა. წლიური შეფასებისთვის გამოიყენება სასაქონლო ნაკადების შემოკლებული ვარიანტი მწარმოებლების მიწოდებებზე დაყრდნობით, რომელიც კორექტირებულია ექსპორტითა და იმპორტით. წინასწარი შეფასებისთვის ხელმისაწვდომია ორი თვის მიწოდება, ექსპორტისა და იმპორტის მონაცემები და წარმოადგენს შემდგომი გადახედვის ობიექტს.

7. საქონლისა და მომსახურების იმპორტი. ამ კომპონენტის შეფასება ხდება საერთაშორისო ვაჭრობის ანგარიშების (ITA) მომზადების ფარგლებში. საქონლის წლიური და კვარტალური შეფასებებისთვის გამოიყენება საგარეო ვაჭრობის თვიური მონაცემები საგადამხდელო ბალანსთან შესაბამისობაში მოსაყვანი კორექტირებებით და NIPA-ს ბაზაზე. წინასწარი კვარტალური შეფასებისთვის ხელმისაწვდომია საგარეო ვაჭრობის ორი თვის მონაცემები და წარმოადგენს შემდგომი გადახედვის ობიექტს. მომსახურებისთვის, სამთავრობო ტრანსაქციების წლიური შეფასებისთვის

გამოყენებულია ფედერალური სააგენტოების ანგარიშები, ხოლო დანარჩენი მომსახურებისთვის BEA-ს წლიური და კვარტალური კვლევები. წინასწარი კვარტალური შეფასებისთვის BEA ითვლის მესამე თვისთვის ტრენდზე დაფუძნებულ შეფასებებს როგორც საქონლის, ისე მომსახურებისთვის.

8. *ფედერალური მთავრობის მოხმარების ხარჯები და მთლიანი ინვესტიციები ხარჯების უმეტესი სახეებისთვის.* ნაგებობების, პროგრამული უზრუნველყოფის, R&D, ძირითადი კაპიტალის მოხმარების და FISIM-ის ხარჯების გარდა BEA იყენებს ფისკალური წლის ანალიზის მეთოდს. სამხედროების ხელფასების შესახებ მონაცემების მიღება ხდება აშშ-ის ბიუჯეტიდან, ხოლო სამოქალაქო პირების ხელფასების - ფედერალური სააგენტოებიდან. სოცდაზღვევის პროგრამებში შენატანების მონაცემები მიიღება ხაზინიდან. საპენსიო და სადაზღვევო ფონდებში შენატანების შეფასებისთვის გამოყენებულია აქტუართა ანგარიშები. წინასწარი შეფასებებისთვის გამოყენებულია თავდაცვის სამინისტროსა და შრომის სტატისტიკის ბიუროს სამი თვის მონაცემები დასაქმების შესახებ. სხვა კომპონენტების შეფასება ემყარება საკონტროლო ჯამებს ფისკალური წლის ანალიზიდან და სამი თვის მონაცემებს ხაზინიდან. ნაგებობების შეფასება ახსნილია ზევით, მეხუთე პუნქტში; პროგრამული უზრუნველყოფის, R&D და ძირითადი კაპიტალის მოხმარების შეფასება ქვემოთ არის ახსნილი.

9. *ძირითადი კაპიტალის მოხმარება ფედერალური, სახელმწიფო და ადგილობრივი მთავრობის მიერ.* კვარტალური და წლიური შეფასებები ეყრდნობა უწყვეტი ინვენტარიზაციის გამოთვლებს მიმდინარე ღირებულებით, რომელიც ეფუძნება მთლიან ინვესტიციებს და ინვესტიციების ფასებს.

10. *ბინათმფლობელის რენტა და მდგმურის მიერ გადახდილი რენტა.* ყველა, მაგრამ განსაკუთრებით უკანასკნელი წლისთვის შეფასებები ეფუძნება საბინაო ფონდისა და საშუალოწლიური რენტის მონაცემებს. საბინაო ფონდის მონაცემები მიიღება BEA-ის ფიქსირებული აქტივების ანგარიშებიდან და BLS-ის მიერ გაანგარიშებული CPI-დან მესაკუთრის რენტისთვის; საშუალოწლიური რენტა მდგმურებისთვის მიიღება კომუნალური კვლევის მონაცემებიდან და BLS-ის მიერ გაანგარიშებული CPI-დან რენტისთვის. წინასწარი კვარტალური შეფასებებისთვის ხელმისაწვდომია სამი თვის CPI და ერთეულების რაოდენობა ფასდება ტრენდზე დაფუძნებული მონაცემებით.

11. *სახელმწიფო და ადგილობრივი მთავრობის მოხმარება და ინვესტიციები ძირითადი კაპიტალის მოხმარების, ანაზღაურების, ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტებისა FISIM-ის გარდა.* ბოლო ორი წლის გარდა, საბოლოო შეფასებები ეფუძნება ჯამურ ხარჯებს სახელმწიფო და ადგილობრივი მთავრობების წლიური აღწერებიდან. ბოლო ორი წლის და წინასწარი შეფასებები ტრენდზე დაფუძნებულია,

გარდა ნაგებობებისა, რომელიც მშენებლობის კვლევიდან მიიღება.? მგონი ცოტა გასამართია

12. *PCE ექიმები, სტომატოლოგების, სამედიცინო ლაბორატორიების და ყველა სხვა პროფესიული სამედიცინო მომსახურებისთვის შინ მოვლის გარდა.* ყველა წლისთვის არაკომერციული პროფესიული მომსახურების შეფასება ხდება მთავრობის მომსახურებით კორექტირებული მომსახურების წლიური კვლევის საფუძველზე. წინასწარი და მეორე შეფასებები ეყრდნობა უპირველესად ტრენდზე დაფუძნებულ მონაცემებს და მომსახურების კვარტალურ კვლევებს.

13. *კერძო და სამთავრობო ინვესტიციები კვლევებსა და განვითარებაში.* ინვესტიციები კვლევებსა და განვითარებაში (R&D) მოიცავს როგორც ნაყიდ, ისე საკუთარი სახსრებით განხორციელებულ ინვესტიციებს და იზომება იმ წარმოების ხარჯებით, რომელიც R&D-სთან არის დაკავშირებული. მიმდინარე ფასებში ინვესტიციების ღირებულება მიიღება უმეტესად ბიზნესსა და სახელმწიფო სექტორში ეროვნული სამეცნიერო ფონდის (NSF) მიერ ჩატარებული კვლევებით. კორექტირებები კეთდება მოცვის ხარისხისა და იმპორტირებულ და ექსპორტირებულ R&D-სთან დაკავშირებით. კორექტირება ეხება აგრეთვე სამეცნიერო ფონდის მიერ მოუცველ ნაწილს, კერძოდ დანახარჯებს სოციალური მეცნიერებების კვლევებსა და განვითარებაზე, რაც BEA-ს საშუალებით ხორციელდება; R&D-ს წარმოებაზე ნაგებობებისა და მოწყობილობების ცვეთის გარდაქმნა ხდება ეკონომიკურ და არა ისტორიულ ღირებულებამდე; ხდება NSF-ის მონაცემებისა და აღწერის ბიუროს მონაცემების შეთანხმება; პროგრამული უზრუნველყოფის R&D ხარჯები გამოირიცხება, რადგან BEA მათ ცალკე ითვალისწინებს. იმ წლებში, როდესაც NSF-ს ეს მონაცემები არ გააჩნია, დეფიციტის შევსება ხდება კომპანიების ფინანსური ანგარიშებიდან, ფედერალური ბიუჯეტიდან, ხელფასის მონაცემებიდან, რომელიც R&D ინდუსტრიაში გაიცემა. წინასწარი მონაცემები ეყრდნობა BLS-ის მიმდინარე დასაქმების სტატისტიკას, რომელიც შენაცვლდება კომპანიის ფინანსური ანგარიშების მონაცემებით მეორე და მესამე შეფასებებისთვის.

14. *კერძო და სამთავრობო ინვესტიციები პროგრამულ უზრუნველყოფაში.* ინვესტიციები პროგრამულ უზრუნველყოფაში ორ ნაწილად ფასდება: ნაყიდი პროგრამები და საკუთარი წარმოების. უკანასკნელი წლის გამოკლებით ნაყიდი პროგრამული უზრუნველყოფა გამოითვლება სასაქონლო ნაკადების შემოკლებული მეთოდით, რომელიც ეყრდნობა მომსახურების წლიურ კვლევას და საგარეო ვაჭრობის აღწერებს. წინასწარი და მეორე შეფასება ეფუძნება კომპანიის ანგარიშებს, ხოლო მესამე შეფასება - მომსახურების კვარტალურ კვლევას. ყველა წლისთვის საკუთარი ძალებით შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფა ეფუძნება წლიური

წარმოების ხარჯებს, რომელიც მიიღება BLS დასაქმების მონაცემებიდან და დასაქმებისა და ხელფასების კვარტალური აღწერიდან (QCEW). საკუთარი ძალებით შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის წინასწარი შეფასება ემყარება BLS-ის თვიურ მიმდინარე დასაქმების სტატისტიკას, რომელიც სამივე თვისთვის ხელმისაწვდომია.

რეალური მშპ-ის შეფასების მეთოდოლოგიები

მშპ-ის მიმდინარე შეფასებებისგან განსხვავებით, რეალური მშპ-ის დეფლატორების გამოსათვლელად წინასწარი შეფასება კვარტალის სამივე თვისთვის არის შესაძლებელი და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ის გადაიხედოს ან ჩანაცვლდეს წლიური მონაცემების წყაროებით.

შედეგად, კვარტალური, წლიური და ათვლის (საბაზისო) წლის შეფასებები გაიანგარიშება იგივე მონაცემთა წყაროებითა და მეთოდებით. ყველაზე ფართოდ გამოყენებული დეფლატორისთვის ფასების ინდექსები ხელმისაწვდომია BLS-ის ფასების ინდექსების პროგრამებიდან – CPI, PPI და საერთაშორისო ფასების ინდექსები (IPI). CPI და PPI მხოლოდ PCE-ს ან ფიქსირებული აქტივებისთვის კი არ გამოიყენება, არამედ სამთავრობო მოხმარებისა და ინვესტიციებისთვისაც, სადაც უფრო შესაბამისი ინდექსები არ არის ხელმისაწვდომი. IPI-ის ელემენტები გამოიყენება საქონლისა და მომსახურების ექსპორტისა და იმპორტისთვის და სხვა კომპონენტებისთვის, სადაც იმპორტის არაპირდაპირი შეფასებები გამოიყენება შესაბამისი შეფასებებისთვის მიმდინარე ფასებში. იქ, სადაც BLS ინდექსები ვერ უზრუნველყოფს სრულ მოცვას, როგორცაა ნაგებობებზე განხორციელებული ინვესტიციები, BEA იყენებს ღირებულების ინდექსებს კერძო ვაჭრობის წყაროებიდან ან ხარისხით კორექტირებულ ფასის ინდექსებს, რომელიც აღწერის ბიუროს მიერ არის მომზადებული. არაკომერციული ინსტიტუციების ხარჯებისთვის, როგორცაა განათლება, რელიგია და კეთილდღეობა, BEA იყენებს ხარჯების საკუთარ ინდექსებს სხვა წყაროებიდან. ეროვნული თავდაცვის და დაკავშირებული არა-თავდაცვითი ხარჯებისთვის BEA სპეციალურად შეიმუშავებს ფასების ინდექსებს.²⁰ R&D-სთვის ფასების ცვლილება იზომება დანახარჯების მეთოდით მრავალფაქტორიანი მწარმოებლობის კორექტირებით.

მშპ-ის კომპონენტები, რომლისთვისაც BEA რაოდენობრივ ექსტრაპოლაციას იყენებს, მოიცავს: FISIM-ს; საბროკერო გადასახადებს; დაზღვევის უმეტესობას; სამთო-სამიეზო, შახტებისა და ჭაბურღილების და ფედერალური, სახელმწიფო და ადგილობრივი მოხელეების ანაზღაურებას. კომპონენტები, რომლებისთვისაც BEA იყენებს პირდაპირი შეფასების მეთოდს: მეორადი ავტომობილების წმინდა შესყიდვა,

კომუნალური მარაგების ცვლილება, მთავრობის მიერ ძირითადი კაპიტალის მოხმარება და საქონლისა და მომსახურების ზოგიერთი ხარჯი თავდაცვაში.²¹

შენიშვნები

1. NABE პროფესიული ასოციაციაა, რომელიც 2 500-ზე მეტ წევრს აერთიანებს, რომლებიც თავიანთ სამუშაოზე ეკონომიქს იყენებენ.
2. “New International Guidelines in Economic Accounting”, *Survey of Current Business*, February 1993, p. 42.
3. ანგარიშები და დამატებითი ინფორმაცია თვიურ ონლაინ ჟურნალ *Survey of Current Business*-თან ერთად უფასოდ ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე <http://www.bea.gov>.
- 4., BEA-ს ოფიციალური ჟურნალი, ყოველთვიური *Survey of Current Business* ბეჭდური სახით აღარ გამოდის, მაგრამ შეიძლება მისი ჩამოტვირთვა უფასოდ BEA-ს ვებ გვერდიდან http://www.bea.gov/scb/date_guide.asp.
5. შემაჯამებელი ანგარიშების ინდივიდუალური ხაზების შესახებ ინფორმაციისთვის იხ. “A Guide to the National Income and Product Accounts of the United States” BEA-ს ვებ გვერდზე.
6. საპირისპიროდ, ეას-ი იყენებს “რეალურ მთლიან შიდა შემოსავალს” შიდა წარმოების მიერ გენერირებული შემოსავლის მსყიდველობითუნარიანობისთვის, ეს არის მშპ-ის საზომი, რომელიც აკორექტირებს ვაჭრობის შემოსავლებსა და დანაკარგებს ვაჭრობის პირობების ცვლილების გამო.
7. BEA და სხვა სტატისტიკური სააგენტოები, რომლებიც ამზადებენ შერჩეულ ეკონომიკურ ინდიკატორებს მშპ-ის, პირადი შემოსავლებისა და ხარჯების ჩათვლით, ვალდებული არიან ყოველ სექტემბერს გამოაქვეყნონ მომავალი წლის რელიზის დღეების განრიგი.
8. FAUS-ის კვარტალური შეფასებები ქვეყნდება FRB-ს მიერ კვარტალის დამთავრებიდან მესამე თვის დასაწყისში. წლიური გადახედვები ჩვეულებრივ ქვეყნდება სექტემბერში. მწარმოებლობის კვარტალური შეფასებები ქვეყნდება BLS-ის მიერ მშპ-ის წინასწარი და მეორე შეფასებიდან ერთ კვირაში.
9. ეს პროგრამა ასევე აფასებს გრძელვადიანი მოხმარების საქონლის წმინდა მარაგებს, რომელიც შინამეურნეობების მიერ არის შესყიდული. 2003 - 12 წლების შეფასებები გამოქვეყნებულია *Survey of Current Business*-ის 2013 წლის ოქტომბრის გამოცემაში სტატიაში “Fixed Assets and Consumer Durable Goods” BEA-ს ვებ გვერდზე http://www.bea.gov/scb/date_guide.asp.
10. დაბალანსების პროგრამის აღწერა ინტეგრაციის მისაღწევად იხ. Strassner and al, 2013; Rassier and al, 2007.

11. BEA-ს კვლევები საიმედოობასთან დაკავშირებით იხ. Fixler and al., 2011.
12. სხვა ქვეყნები, მაგ. საფრანგეთი, ეკონომეტრიკულ მეთოდს იყენებს კვარტალური ჩანაწერის საუკეთესო ცვლილების შეფასებისთვის (იხ. თავი 11).
13. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. თავი 4 *Concepts and Methods of the U.S. National Income and Product Accounts*, November 2012-დან, BEA-ს ვებ გვერდზე <http://www.bea.gov>.
14. CPI-სა და PCE ფასების ინდექსებს შორის განსხვავების ასახსნელად იხ. McCully and al., 2007.
15. სტატისტიკური პოლიტიკის მესამე დირექტივის მიხედვით, ეკონომიკური ინდიკატორების რელიზების განრიგი წინა წლის შემოდგომაზე დგება. პუბლიკაციების წინასწარ დაგეგმილი განრიგი იცავს პოლიტიკოსებს „კარგი“ ამბების ვადამდე გამოქვეყნებისგან და „ცუდი“ ამბების გადადებისგან.
16. ყველაზე ბოლო შეჯამება მოცემულია *Survey of Current Business*-ის 2013 წლის ნოემბრის გამოცემაში “Updated Summary of NIPA Methodologies” (BEA, 2013).
17. I-O ანგარიშებს შორის პერიოდში შეფასებისთვის გამოყენებულია ინტერპოლაციის მეთოდი.
18. ეს პროცენტები აღებულია *Concepts and Methods of the U.S. National Income and Product Accounts*, November 2012-ის მესამე თავიდან, რომელიც ხელმისაწვდომია BEA-ს ვებ გვერდზე.
19. იხ. Horowitz and Planting.
20. ამ სფეციფიკური ინდექსების დეტალებისთვის იხ. “MP-5, Government Transactions”, BEA-ს ვებ გვერდზე.
21. შემაჯამებელი მეთოდოლოგიების სტატიის ცხრილში 2 (2013 წლის ნოემბერი) მოცემულია რეალური მშპ-ის შეფასების მეთოდებისა და მონაცემთა წყაროების დეტალური ინფორმაცია.

ბიბლიოგრაფია

Aruoba, S. Boragan, Diebold, Francis X., Nalewaik, Jeremy, Schorfheide, Frank, and Song, Dongho, Song, (2012), “Improving GDP Measurement: A Forecast Combination Perspective,” in Chen, X. and Swanson, N., eds., *Recent Advances and Future Directions in Causality, Prediction, and Specification Analysis: Essays in Honor of Halbert L. White Jr.* Springer, pp. 1-25.

BEA (1993), *Survey of Current Business*, http://www.bea.gov/scb/date_guide.asp.

Fixler, D. J., Greenaway-McGrevy, R. and Grimm, B. T., “Revisions to GDP, GDI, and Their Major Components” in the July 2011 *Survey of Current Business*.

Guo, J. and Planting, M. A., “Integrating U.S. Input-Output Tables with SNA: Valuations and Extensions,” presented at the International Association for Research in Income and Wealth, August 2006.

Horowitz, K. J., and Planting, M. A., *Concepts and Methods of the Input-Output Accounts* on BEA website, <http://www.bea.gov>.

Landefeld, J. S., “Comment” in *Brookings Papers on Economic Activity*, Spring 2010.

McCully, C. P., Moyer, B. C., and Stewart, K. J., “Comparing the Consumer Price Index and the Personal Consumption Expenditures Price Index” in the November 2007 *Survey of Current Business*.

Mead, C. I., Moses, K. E. and Moulton, B. R., “The NIPAs and the System of National Accounts”, December 2004 *Survey of Current Business*.

Mead, C. I., McCully, C. P., and Reinsdorf, M. B., “Income and Outlays of Households and Nonprofit Institutions Serving Households” in the April 2003 *Survey*.

Nalewaik, Jeremy J., “The Income- and Expenditure-Side Estimates of U.S. Output Growth,” *Brookings Papers on Economic Activity*, Spring 2010.

National Association for Business Economics, 2013, *NABE Outlook*, December 2013, available on the NABE website at <http://www.nabe.com>.

OECD (2013), *OECD Economic Outlook, Vol. 2013/2*, OECD Publishing, Paris, [doi: http://dx.doi.org/10.1787/eco_outlook-v2013-2-en](http://dx.doi.org/10.1787/eco_outlook-v2013-2-en).

Rassier, Dylan G., Howells, Thomas F., Morgan, Edward T., Empey, Nicholas R., and Roesch, Conrad E., “Integrating the 2002 Benchmark Input-Output Accounts and the 2002 Annual Industry Accounts,” in the December 2007 *Survey of Current Business*. http://www.bea.gov/scb/date_guide.asp.

Strassner, E. H. and D. B. Wasshausen, “Preview of the 2013 Comprehensive Revision of the Industry Economic Accounts,” in the June 2013 *Survey of Current Business*.

ჩაუღრმავდით

განსხვავებები NIPA-სა და ეას-ს შორის

რამდენიმე მიზეზის გამო აშშ-იმ არ მიიღო ეროვნული ანგარიშიანობის ყველა სახელმძღვანელო პრინციპი ეას-ის 2008 წლის ვერსიასთან ერთად, თუმცა გადაჭარბებით არ უნდა შევაფასოთ ამ განსხვავებების გავლენა. ძირითადი აგრეგატები, მაგალითად, მშპ ეას-ის პრინციპებთან შესაბამისობაში იანგარიშება. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში BEA-მ მრავალი ნაბიჯი გადადგა ეას-თან შესაბამისობის მიმართულებით, თუმცა, ამავე დროს ინარჩუნებს გრძელ მონაცემთა მწკრივებს NIPA-ს მომხმარებლების მოთხოვნის შესაბამისად.

ეას-ის სახელმძღვანელო პრინციპების დანარჩენი განსხვავებები ეხება ინსტიტუციური სექტორების ანგარიშებს, ანგარიშების პრეზენტაციას და დარგების გამოშვების შეფასებას დარგობრივ ანგარიშებში. NIPA-ს შესაბამისობის განმტკიცება ეას-თან კვლავ რჩება BEA-ს მიზნად, რომლის მისიაა “ზუსტი, შესაბამისი და დროული სტატისტიკის წარმოება, რომელიც პასუხობს მომხმარებლების მოთხოვნებსა და ცვალებადი ეკონომიკის გამოწვევებს”.¹

ამ ქვეთავში იდენტიფიცირებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი განსხვავება NIPA-სა და ეას 2008-ს შორის.² აქ განხილულია ის განსხვავებები, რომლებიც გავლენას ახდენს: 1) მშპ-ის დონესა და მისი დანახარჯების კომპონენტებზე; 2) შეფასებაზე; 3) სექტორების განსაზღვრაზე და 4) ანგარიშების პრეზენტაციაზე. რა თქმა უნდა, საანგარიშო კონცეფციებთან და პრეზენტაციასთან ერთად ეროვნული ანგარიშები შეიძლება ერთმანეთისგან ქვეყნებს შორისაც განსხვავდებოდეს მონაცემთა წყაროებისა და მეთოდოლოგიების მიხედვით, როგორც არის მაგალითად, ხარისხით კორექტირებული ფასების ინდექსები (იხ. თავი 3), თუმცა, ამ ქვეთავში სტატისტიკური და მეთოდოლოგიური განსხვავებები არ იქნება განხილული.

მშპ-თან დაკავშირებით მთავარი კონცეპტუალური განსხვავება NIPA და ეას-ს შორის არის ის, რომ კულტივირებული აქტივები, როგორც არის ხეხილის ბაღები და მეწველი პირუტყვი, ეას-ში განიხილება როგორც ინვესტიცია, ხოლო NIPA-ში - როგორც შუალედური მოხმარება. თუმცა, BEA აგრძელებს კვლევას და სავარაუდოდ, სცნობს კულტივირებად აქტივებს მომავალი გადახედვის დროს. შემდეგი განსხვავება, რომელიც ადრე არსებობდა, იყო ის, რომ სამხედრო დანიშნულების იარაღი NIPA-ში ინვესტიციად განიხილებოდა, ხოლო შემდეგ მოხდა ამ მოსაზრების ჰარმონიზება ეას 2008-სთან. სხვა ქვეყნების მსგავსად, ზოგჯერ ეას-ისგან განსხვავება

ინფორმაციის ნაკლებობით არის გამოწვეული. მაგალითად, არალეგალური წარმოება, როგორც არის პროსტიტუცია ან არალეგალური ნარკოტიკების კულტივაცია და წარმოება, ეას-ის მიხედვით უნდა შევიდეს წარმოების საზღვრებში, თუმცა ის NIPA-დან გამორიცხულია მონაცემთა წყაროების არარსებობის გამო. შემდეგი მაგალითი: მარაგების ცვლილების საზომში NIPA-ს არ შეაქვს მთავრობის მარაგები. რადგან ამ კუთხით ინფორმაცია ძალიან მწირია, NIPA შუალედურ მოხმარებაში ითვალისწინებს მთავრობის მიერ შესყიდულ და არა გამოყენებულ საქონელს.

როგორც NIPA-ში, ისე ეას-ში, მშპ საბაზრო (მყიდველის) ფასებშია შეფასებული. თუმცა, სექტორისა და დარგის გამოშვების დონეზე ეას-ი უპირატესობას ანიჭებს საბაზისო ფასებს. NIPA-სთვის, I-O და დარგების მიხედვით მშპ-ისთვის BEA იყენებს საბაზრო ფასებს. შესაბამისად, NIPA-ში შედის გადასახადები პროდუქტებზე და არ შედის სუბსიდიები დარგების დამატებული ღირებულების გაანგარიშების დროს; ეას-ის შემთხვევაში, გადასახადები პროდუქტებზე გამოირიცხება და სუბსიდიები ემატება. ეს განსხვავება ფრიად მნიშვნელოვანია მომხმარებლებისთვის. ეს ნიშნავს, რომ აშშ-ის ეროვნულ ანგარიშებში მშპ უდრის დარგების დამატებული ღირებულებების ჯამს საბაზრო ფასებში, ხოლო ეთგო-ს ქვეყნებისთვის ის უდრის დამატებული ღირებულებების ჯამს საბაზისო ფასებში *დამატებული* გადასახადები და *მინუს* სუბსიდიები პროდუქტებზე.

საბაზისო ფასების გამოყენება ხელს შეუწყობს საერთაშორისო შედარებებს, რადგან გადასახადები ქვეყნებს შორის ძალიან განსხვავებულია. საბაზრო ფასების გამოყენება იწვევს აშშ-ის ვაჭრობის დარგების გამოშვებაზე მნიშვნელოვან დამატებებს, რაც გარკვეულ როლს თამაშობს დარგების სტატისტიკის საერთაშორისო შედარებებში და ართულებს მწარმოებლურობის გაანგარიშებას.

უკანასკნელ პერიოდში BEA-მ ჩაატარა კვლევა საბაზრო ფასებიდან I-O ანგარიშების საბაზისო ფასებში გამოსახვასთან დაკავშირებით.³ ეთგო-სთვის წარდგენილი მონაცემებით, 2011 წელს გადასახადებს მინუს სუბსიდიებმა გამოქვეყნებული მშპ-ის დაახლოებით 7% შეადგინა აშშ-ში. თუმცა მას მნიშვნელოვნად უფრო დიდი გავლენა აქვს ვაჭრობის დარგებზე, სადაც უფრო მეტი გადასახადი იყრის თავს. თუ აშშ მიიღებს და გამოიყენებს საბაზისო ფასებს, მაშინ დამატებული ღირებულება როგორც საბითუმო, ისე საცალო ვაჭრობაში დაახლოებით 20%-ით შემცირდება, რაც თავის მხრივ შეამცირებს მშპ-ის სტრუქტურაში მომსახურების ხვედრით წილს.

საერთაშორისო სექტორისთვის NIPA-ს ორი დაჯგუფება აქვს. წარმოებისთვის: NIPA-ს ყურადღება ფოკუსირებულია სამ მთავარ სექტორზე: ბიზნესი, შინამეურნეობები და ინსტიტუციები და მთავრობა. ბიზნეს სექტორში შედის ყველა კერძო ერთეული,

რომელიც მოგებაზეა ორიენტირებული სხვა არაკორპორირებული საწარმოების ჩათვლით და სხვა ერთეულები (სახელმწიფო საწარმოები), რომელთა უპირველესი დანიშნულებაა საქონლისა და მომსახურების წარმოება გასაყიდად იმ ფასებში, რომელიც ფარავს წარმოების ხარჯებს. ამგვარად, NIPA-ს ბიზნეს სექტორი განსხვავდება ეას-ის კორპორაციების სექტორისგან, რადგან ის მოიცავს არაკორპორირებულ საწარმოებს, რომლებიც ეას-ში შინამეურნეობების სექტორშია კლასიფიცირებული. NIPA-ს ბიზნეს სექტორიდან ასევე გამოირიცხება შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები. NIPA-ს პრეზენტაციას ის უპირატესობა გააჩნია, რომ ზომავს მთელი საბაზრო წარმოების გამოშვებას და მას მრიცხველად იყენებს შრომისა და მრავალფაქტორიანი მწარმოებლურობის გაანგარიშებაში. ასეთ დაჯგუფებას სხვა რამდენიმე ქვეყანაც იყენებს (იხ. თავი 7). შინამეურნეობებისა და ინსტიტუციების სექტორი მოიცავს შინამეურნეობების არასაბაზრო საქმიანობას (კონკრეტულად, ბინათმფლობელების მომსახურება და შინამომუშავეები) და შმაკოების წარმოებას. სახელმწიფო მართვის ორგანოები მოიცავს სამთავრობო სააგენტოებს იმ საწარმოების გარდა, რომლების კლასიფიცირებულია როგორც სამთავრობო. ასევე, NIPA საბაზრო და არასაბაზრო მწარმოებლების დიფერენცირების მიზნით არ ეფუძნება 50 პროცენტის წესს, რაც ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ფასების საფუძველია. NIPA-ში სამთავრობო მწარმოებლები და არამომგებიანი ინსტიტუციები, რომლებიც შინამეურნეობების მომსახურების გასაწევად იყენებენ როგორც შემოწირულობებს, ისე გაყიდვებს, ჩვეულებრივ განიხილება როგორც არასაბაზრო მწარმოებლები, თუნდაც მათი გაყიდვები აჭარბებდეს წარმოების ხარჯების ნახევარს.

NIPA-ში შემოსავლების, ხარჯებისა და დანაზოგის გასაზომად ინსტიტუციები სამ მთავარ სექტორად ჯგუფდება: პირადი, სამთავრობო და კორპორატიული. პირადი სექტორი მოიცავს შემოსავალს, რომელიც გადაერიცხება შინამეურნეობებსა და შმაკოებს ან გამომუშავეებულთა მათ მიერ, ასევე მოიცავს შინამეურნეობების წმინდა შემოსავალს ბიზნესიდან, როგორცაა ბინათსარგებლობა მესაკუთრის მიერ. ამდენად, პირადი სექტორი უფრო ახლოს არის ეას-ის შინამეურნეობებისა და შმაკოების სექტორთან, რადგან მოიცავს არაკორპორირებული საწარმოების შემოსავალს. ამასთან, NIPA მოიცავს წლიურ ცხრილს, რომელშიც ნაჩვენებია შმაკოების შემოსავლები და ხარჯები შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯებისგან დამოუკიდებლად.⁴ NIPA-ს სამთავრობო სექტორი მოიცავს სახელმწიფო მართვის ორგანოებისა და მთავრობის საწარმოებს, ხოლო ეას-ის სამთავრობო სექტორი არ მოიცავს მთავრობის საწარმოებს. აღნიშნული ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ სახელმწიფო და ადგილობრივი მთავრობებისთვის ხელმისაწვდომი მონაცემთა

წყაროები აშშ-ში ერთად უყრის თავს მთავრობის საწარმოებსა და სახელმწიფო მართვის ორგანოების სააგენტოებს. NIPA-ს კორპორაციების სექტორი მოიცავს ბიზნესს, რომელიც მოგების მიღებაზეა ორიენტირებული. ის განსხვავდება ეას-ის ფინანსური და არაფინანსური კორპორაციების სექტორისგან, რადგან არ მოიცავს მთავრობის საწარმოებს და არაკორპორირებულ საწარმოებს, რომლებიც საქმიანობენ როგორც კორპორაციები. მიუხედავად იმისა, რომ NIPA ხაზგასმას არ აკეთებს ფინანსური და არაფინანსური კორპორაციების განსხვავებაზე, მონაცემები ორივე კატეგორიის მიხედვით არსებობს.

ზემოაღნიშნული არსებითი განსხვავებების გარდა არსებობს განსხვავებები ამ ორი სისტემის პრეზენტაციებშიც. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ ეს განსხვავებები შეიძლება მარტივად გადავლახოთ სხვადასხვა ცხრილების გადაჯგუფებით.

როგორც IMA-ს, ასევე BEA-ს წლიური ანგარიშების პრეზენტაციები, რომელიც ეთგო-ს წარედგინება, უფრო ტრადიციული ეას-ის სტილშია. მთავრი NIPA პრეზენტაციებისთვის BEA შვიდ შემაჯამებელ ანგარიშს იყენებს. ამ თავის ქვეთავში “NIPA-ს და მასთან დაკავშირებული ცხრილების პრეზენტაცია“ მოიცავს დისკუსიას მთავარ საპრეზენტაციო განსხვავებებზე NIPA-ს შემაჯამებელ ანგარიშებსა და ეას-ის წარმოების, შემოსავლების განაწილებისა და გამოყენების და კაპიტალის ანგარიშებს შორის.

კერძოდ, მშპ-ის პრეზენტაცია დანახარჯების მეთოდით მცირედ განსხვავდება NIPA-სგან. NIPA მშპ-ს გვიჩვენებს ოთხი მთავარი კომპონენტის ჯამის სახით: პირადი მოხმარების ხარჯები; მთლიანი კერძო შიდა ინვესტიციები; საქონლისა და მომსახურების წმინდა ექსპორტი და მთავრობის მოხმარების ხარჯები და მთლიანი ინვესტიციები. ეას-ი ამ კომპონენტებს სხვაგვარად აჯგუფებს: საბოლოო მოხმარების ხარჯები, კაპიტალის მთლიანი ფორმირება (GCF) და საქონლისა და მომსახურების ექსპორტს მინუს საქონლისა და მომსახურების იმპორტი. ეას-ში საბოლოო მოხმარების ხარჯები წარმოადგენს შინამეურნეობების, შმაკოებისა და მთავრობის საბოლოო მოხმარების ხარჯებს. როგორც ადრე იყო აღნიშნული, კაპიტალის მთლიანი ფორმირება სამი მუხლისგან შედგება: ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება; მარაგების ცვლილება და ფასეულობების შესყიდვებს მინუს გაყიდვები.⁵

NIPA-ში გვხვდება ტერმინოლოგიური განსხვავებებიც, როგორცაა „მთლიანი ეროვნული პროდუქტი“, რომელიც ეას-ის „მთლიანი ეროვნული შემოსავლის“ ეკვივალენტურია. ასევე გვხვდება რამდენიმე აგრეგატი, რომელიც ეას-ში არ არის, როგორცაა კორპორატიული მოგება და პირადი შემოსავალი (ჩანართი 12.1). ორივე სისტემაში მსგავსი საზომები გვხვდება განკარგვადი შემოსავალისთვის, თუმცა, ეს

საზომები - NIPA-ს განკარგვადი პირადი შემოსავალი და ეას-ის შინამეურნეობების განკარგვადი შემოსავალი მხოლოდ იმით არ განსხვავდება, რომ NIPA-ს საზომი შმაკობსაც მოიცავს, არამედ გაანგარიშების მეთოდითაც. NIPA-ს განკარგვადი პირადი შემოსავალი მოიცავს პირადი შემოსავლის ყველა წყაროს გარდა სოცდაზღვევის შენატანებისა და პირადი გადასახადებისა და მოიცავს პროცენტებს და ინდივიდების მიერ გადახდილ ტრანსფერებს. საპირისპიროდ, შინამეურნეობების განკარგვადი შემოსავალი მოიცავს შენატანებს საპენსიო ფონდში, მაგრამ არ მოიცავს საპენსიო გადმორიცხვებს რამდენადაც HDI (ჰუმანური განვითარების ინდექსი) გამორიცხავს შენატანებს საპენსიო ფონდში და მოიცავს საპენსიო გადმორიცხვებს. ამ განსხვავებების მიუხედავად განკარგვად შემოსავლებში, NIPA-ს და ეას-ი დანაზოგები თავსებადია. NIPA-ში პირების მიერ გადახდილი პროცენტები და სატრანსფერო გადახდები ხარჯებად განიხილება, ხოლო ეას-ში პენსიების კორექტირება ისე ხდება, რომ ორივე სისტემაში შინამეურნეობები საპენსიო ფონდების მფლობელებად გამოდიან.

NIPA და ეას-ი კლასიფიკაციებითაც განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგალითად, NIPA იყენებს ჩრდილოეთ ამერიკის დარგობრივ კლასიფიკაციას (NAICS), რომელიც გამოიყენება კანადაში, მექსიკასა და აშშ-ში; ეას-ში გამოყენებულია ეკონომიკური საქმიანობის სახეების საერთაშორისო დარგობრივი კლასიფიკაცია (ISIC).

შემდეგი განმასხვავებელი ნიშანია დამაბალანსებელი მუხლების გამოყენება ორ სისტემაში. როგორც აღნიშნული იყო რუბრიკაში „ჩაუღრმავდით: სტატისტიკური განსხვავებები NIPA-ში“, NIPA-ს GDI (მთლიანი შიდა შემოსავალი), რომელიც შეესაბამება „მშპ-ის შემოსავლების მეთოდით“, ამ წიგნში (შემოსავლების ჯამი) არ უდრის მშპ-ის დანახარჯების მეთოდით, რადგან კომპონენტები დამოუკიდებლად არის გაზომილი. განსხვავებას GDI-სა და მშპ-ის შორის NIPA-ში ეწოდება სტატისტიკური განსხვავება და ნაჩვენებია როგორც შემოსავლის სახეობა. ამ დამაბალანსებელ მუხლს ეთგო-ს ყველა ქვეყანა არ ითვლის, რადგან ერთი ან მეტი დანახარჯის ან შემოსავლის სახეობა ნაშთის (ნარჩენის) სახით გამოითვლება ან ხდება მათი მიკუთვნება სხვა კომპონენტებზე. აშშ-ში ტერმინი „მშპ“ მკაცრად ასოცირდება დანახარჯების მეთოდთან.

ბოლოს, მნიშვნელოვანია შევახსენოთ ეროვნული ანგარიშების საერთაშორისო მომხმარებლებს, რომ კვარტალური ცვლილებები NIPA-ში წარმოდგენილია წლიურ დონეზე. ეთგო-ს ქვეყნების უმეტესობა უბრალოდ კვარტალურ დონეებს იყენებს. როგორც ამ თავში იყო აღნიშნული, BEA ამზადებს NIPA-ს სპეციალურ წლიურ შეფასებებს საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის (მაგალითად, ეთგო), რომლებიც

უფრო შეესაბამება ეას-ს. ეს შეფასებები შეტანილია ეთგო-ს წლიური ეროვნული ანგარიშების მონაცემთა ბაზაში.

სტატისტიკური განსხვავებები NIPA-ში

NIPA-ში განსხვავებას მთლიან შიდა შემოსავალსა (GDI), რომელიც წარმოების შედეგად მიღებული შემოსავლების ჯამია და მშპ-ს შორის, რომელიც საბოლოო მოხმარების ხარჯების ჯამის ტოლია, ეწოდება „სტატისტიკური განსხვავება“. ეს არ არის ერთადერთი სტატისტიკური განსხვავება ეროვნულ ანგარიშებში. თითოეული სექტორის წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხებას შორის ასევე არის სტატისტიკური განსხვავება, რომელიც მიიღება არაფინანსური და ფინანსური ანგარიშებიდან. თუმცა, ამ ქვეთავში საუბარი იქნება სტატისტიკურ განსხვავებაზე მშპ-სა და მთლიან შიდა შემოსავალს (მშშ) შორის. თეორიულად ეს ინდიკატორები ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს, მაგრამ პრაქტიკაში ისინი განსხვავდებიან, რადგან მათი კომპონენტები ძალიან განსხვავებულ და ნაკლებად სრულყოფილ მონაცემთა წყაროებს იყენებენ.

NIPA-ს შემაჯამებელ ანგარიშში 1 (იხ. ცხრილი 12.1), სტატისტიკური განსხვავება ჩაწერილია როგორც შემოსავლის სახეობა (ტიპი). აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ BEA-ს აზრით, მშპ უფრო დამაჯერებელი საზომია გამოშვებისთვის, ვიდრე მშშ და რომ ჯერ არ არის შემუშავებული დამაკმაყოფილებელი მეთოდოლოგია, რომელიც ამ განსხვავებას მშპ-ს ან მშშ-ს მიაკუთვნებს.⁶ ორივე ეს შეხედულება ქვემოთ არის ახსნილი.

1990-იანების შუა წლებში საზოგადოებრივი დებატები გაიმართა იმასთან დაკავშირებით, რომ მთლიანი შიდა შემოსავლით გაზომილი ეკონომიკის მატების ტემპი უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე რეალური მშპ-თი გაზომილი.⁷ დებატები ერთხანს ჩაცხრა, მაგრამ შემდეგ ისევ გაძლიერდა, როდესაც ჯერემი ნალევაიკმა და სხვებმა კვლევა ჩაატარეს იმასთან დაკავშირებით, რომ მშშ უფრო საიმედო იყო, ვიდრე მშპ.⁸

BEA-ს აზრი იმის შესახებ, რომ მშპ უფრო საიმედოა, ამ ორი აგრეგატის მონაცემთა წყაროებიდან გამომდინარეობს.⁹ საწყისი კვარტალური შეფასებებისთვის დანახარჯების უმეტესი კომპონენტებისთვის არსებობს პირდაპირი ექსტრაპოლაციორები. მშპ-ის გაანგარიშებისას გამოტოვებულია პირდაპირი მონაცემთა წყაროები მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების, საბინაო პირობების გაუმჯობესებისა და სახელმწიფო და ადგილობრივი მთავრობების ხარჯების შესახებ. მშშ-სთვის გამოტოვებულია მონაცემები საპენსიო და სადაზღვევო ფონდებში დამქირავებლის შენატანების შესახებ და კერძო საწარმოების უმეტესობის წმინდა საოპერაციო მოგება. ამასთან, ამ კომპონენტების წარსული ტრენდები გვიჩვენებს,

რომ უფრო ძნელია სანდო დაშვებების გაკეთება მშმ-ის კომპონენტებთან დაკავშირებით, ვიდრე მშპ-ის კომპონენტებთან.

წლიური შეფასებებისთვის ყველა კომპონენტისთვის ხელმისაწვდომია ყოვლისმომცველ მონაცემთა წყაროები, თუმცა დაგვიანებით. წლიური მონაცემების უმეტესობა, რომელიც მშპ-ის შეფასებაში გამოიყენება, მთლიანად წლიური გადარიცხვებია, როგორცაა ფედერალური ბიუჯეტის მონაცემები ან მითითებულია რეგულარული გადარიცხვების დასრულება ეკონომიკური აღწერების ან სამთავრობო აღწერებისთვის ყოველ ხუთ წელიწადში, რაც ჩართულია BEA-ს I-O ანგარიშებში.

მშმ-ის შემთხვევაში მხოლოდ წლიური ხელფასის ცხრილებია დასრულებული გადარიცხვები საგადასახადო და ფედერალური ბიუჯეტის მონაცემებით, ხოლო მშმ-ის უმეტესი კომპონენტებისთვის წლიური მონაცემების წყაროებია საგადასახადო დეკლარაციების შერჩევითი კვლევები. გარდა ამისა, საგადასახადო და ადმინისტრაციული მონაცემების გამოსაყენებლად მშმ-ის შეფასებაში BEA-ს სჭირდება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა ეროვნულ ანგარიშებსა და ადმინისტრაციულ მონაცემებს შორის კონცეპტუალური და საანგარიშო განსხვავებების გასასწორებლად. მშპ-ის მონაცემები უმეტესწილად შერჩევითი დაკვირვებებიდან გროვდება.

BEA აგრძელებს მუშაობას სტატისტიკური განსხვავების შესამცირებლად, თუმცა სავარაუდოდ ამ განსხვავების მოსპობა შეუძლებელია, რადგან ადგილი აქვს შერჩევისა და გამოუპასუხებლობის შეცდომებს, ასევე მოცვის შეზღუდულობას და არასრული ინფორმაციით გამოწვეულ კორექტირებებს. მომხმარებლების მოთხოვნით BEA ორივე აგრეგატს აქვეყნებს, რათა მათ ჰქონდეთ შედარების და საკუთარი აზრის ჩამოყალიბების საშუალება. მოთხოვნისამებრ, მშპ-ის კვარტალურ რელიზებს დაემატა ინფორმაცია მშმ-ის შესახებ.

შენიშვნები

1. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. Mead and al, 2004. სანამ ეს სტატია გამოქვეყნდებოდა, დასრულდა ეას 2008-ის განახლება და BEA-მ ორჯერ ჩაატარა ყოვლისმომცველი გადახედვა, ამიტომ, ზოგიერთი ინფორმაცია მოძველებულია.
2. განსხვავებები, რომელიც ამ ქვეთავშია აღწერილი, ეფუძნება 2004 წლის *Survey* -ის სტატიას 2003 წელს კანადაში გამოქვეყნებულ კვლევაზე “Measurement of Output, Value Added, and GDP in Canada and the United States”, რომელიც კანადის სტატისტიკის ვებ გვერდზეა განთავსებული.
3. იხ. Guo and al, 2006.

4. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. Mead and al, 2003.
5. NIPA-ში არ არსებობს დამოუკიდებელი ანგარიში ფასეულობებისთვის, თუმცა კეთდება კორექტირებები არამონეტარული ოქროს ექსპორტის ან იმპორტის შესახებ, რათა თავიდან აიცილონ მათი გატარება ფასეულობებში მშპ-ზე ეფექტის მოხდენის მიზნით.
6. სექტორის დონეზე დამატებული ღირებულების შეფასების დროს (NIPA-ს ცხრილი 1.3.5), BEA აუქმებს განსხვავებას ბიზნეს სექტორის დამატებული ღირებულების, როგორც ნაშთის გამოთვლით. იმ მონაცემებისთვის, რომელსაც BEA უგზავნის ეთგო-ს ეას-ის ბაზაზე, განსხვავება არ არის გაუქმებული. დარგების მიხედვით მშპ-ის ანგარიშში, რომელიც მშპ-ის განაწილებას ეფუძნება დარგების მიხედვით, BEA ამ განსხვავებას ისე ანაწილებს დარგებს შორის, რომ დარგების დამატებული ღირებულებების ჯამი მშპ-ის ტოლია.
7. რეალურ მშპ-ის BEA აფასებს მშპ-ის დეფლატორის გამოყენებით; შეფასებები ნაჩვენებია NIPA-ს ცხრილში 1.7.6.
8. იხ. Nalewaik and al, 2010 and Aruoba and al, 2012.
9. იხ. Landefeld, 2010.

თავი 13


2007 – 2009 წლების ფინანსური კრიზისისა და რეცესიის ასახვა ეროვნულ ანგარიშებში

ამ თავში ვანახავთ, თუ როგორ მოხდა ფინანსური კრიზისისა და რეცესიის ასახვა ეთგო-ს ქვეყნების ეროვნულ ანგარიშებში. პირველად, ეთგო-სა და G7 ქვეყნების მასშტაბით გაანალიზებულია 2008-09 წლების რეცესიის გავლენა მშპ-სა და ეროვნული ანგარიშების სხვა მთავარ აგრეგატებზე ფინანსური ანგარიშებისა და აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსის ჩათვლით. შემდეგ, 2009 წლიდან დაწყებული, განხილულია ეკონომიკის გაჯანსაღების პროცესის თავისებურებები სხვადასხვა ქვეყანაში. შემდეგ, ვუბრუნდებით წარსულ პერიოდს, რომელმაც რეცესიამდე მიიყვანა მსოფლიო და ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, თუ როგორ ხდებოდა სხვადასხვა შეუსაბამობის ასახვა ეროვნულ ანგარიშებში. თავში შეჯამებულია დისკუსია კრიზისის ფონზე ეროვნულ ანგარიშებში გამომყდავენებული ნაკლოვანებების შესახებ: რა სახის რელევანტურ ინფორმაციას ითხოვენ პოლიტიკოსები ეროვნული ანგარიშებისგან, რომლის მიწოდება მას არ შეუძლია? ასევე, თავში მოტანილია მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, თუ რა ნაბიჯები იდგმება ამ ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

2000 – 2006 წლებში აშშ-სა და ეთგო-ს ზოგ ქვეყანაში უძრავი ქონების ფასები სწრაფად გაიზარდა, რამაც, როგორც ფიქრობენ, ბინებზე ფასების „გაბერვა“ გამოიწვია. ფასებმა პიკს მიაღწია აშშ-ში და შემდეგ დაეცა, რამაც დიდი დარტყმა მიაყენა სესხებს, რომლებიც უძრავი ქონების უზრუნველყოფით იყო გაცემული (იხ. ნახაზი 13.1). ამ პერიოდში სწრაფად იზრდებოდა ე.წ. “subprime” ტიპის იპოთეკური რისკიანი სესხების გაცემა, თუმცა, 2006 წლისთვის უკვე სახეზე იყო სერიოზული დარღვევები (მკვეთრად გაიზარდა 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე სესხების რაოდენობა). 2007 წლის პირველ ნახევარში მასმედიაში გაჩნდა აზრი, რომ ასეთი სესხები ბაზრებისთვის საფრთხეს წარმოადგენდა და პოლიტიკოსები რეგულაციების შესაძლო შემოღებაზე ალაპარაკდნენ.¹ ამასთან, რამდენიმე მაკროეკონომისტმა შეძლო ეწინასწარმეტყველა, თუ რა შედეგს მოუტანდა ეს გაზრდილი რისკი გლობალურ ეკონომიკასა და ფინანსურ სისტემას. 2007 წელს კრიზისი უკვე რეალური გახდა, როდესაც ერთ-ერთმა უდიდესმა ბანკმა, BNP Paribas-მა განაცხადა, რომ ის გადახდებს უჩვეულებად სამ საინვესტიციო ფონდს სარისკო სესხებიდან მიღებული ზარალის გამო. ინვესტორებმა, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულ ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობენ, ტოტალურად დაიწყეს სახსრების ამოღება და ბაზრების გაყინვა. აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ (Fed) და ევროპის ცენტრალურმა ბანკმა ლიკვიდურობის დეფიციტის აღმოსაფხვრელად გააფართოვეს კომერციული ბანკების დაკრედიტება.² 2007 წლის სექტემბერში, Northern Rock-ი, გაერთიანებული სამეფოს სიდიდით მეხუთე ბანკი იძულებული იყო დეპოზიტებზე ემუშავა, სანამ Bank of England-მა არ უზრუნველყო ლიკვიდურობის ინექციები, ხოლო თებერვალში ის სახელმწიფოს მფლობელობაში გადავიდა. 2008 წლის მარტში Bear Stearns, აშშ-ის წამყვანი ბანკი დადგა გაკოტრების წინაშე, სანამ ხაზინამ და ფედერალურმა სარეზერვომ არ უზრუნველყვეს მისი მიყიდვა JP Morgan Chase-ზე, რომლის საგარანტიოდ Fed-მა 30 მლრდ აშშ დოლარი გადაიხადა. ამავე დროს, ეთგო-ს უმეტესი ქვეყნები რეცესიაში აღმოჩნდნენ, რამდენადაც 2008 წლის პირველ ნახევარში მშპ-მა შემცირება დაიწყო.

ნახაზი 13.1. საბინაო ფასების ინდექსები აშშ-ში (2000 Q1-2013 Q3)

2000 Q1 = 100



შენიშვნა: S&P Case-Shiller-ის ინდექსი აშშ-ის საცხოვრებლის კომპოზიტური ინდექსია, რომელიც აერთიანებს ყველა ტიპის უძრავ ქონებას და მათ წონებს. FHFA-ს ინდექსი მოიცავს ფედერალური საბინაო დაფინანსების სააგენტოს ყველა ტრანსაქციას საბინაო ფასების ინდექსებით. ის ეფუძნება ერთი ოჯახის განმეორებად ტრანსაქციებს ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც შესყიდულია ან დაზღვეულია Fannie Mae ან Freddie Mac-ის მიერ; ის გამორიცხავს ბინებს, რომელთა დაფინანსება „არაკონდიციური“ გირაოთი ხდება, როგორცაა ძალიან დიდი და რისკიანი ქონება, რომელთა ფასები არასტაბილურია შესაბამის გირაოსთან შედარებით.

წყარო: FRED (Federal Reserve Economic Data), Federal Reserve Bank of St. Louis, <http://research.stlouisfed.org/>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144236>

2008 წლის ივლისში მეორე ამერიკული საფინანსო ინსტიტუტი, IndyMac Bank, გაკოტრდა. 7 სექტემბერს Fannie Mae და Freddie Mac, აშშ-ის უძრავი ქონების ორი უდიდესი გარანტორი გადავიდა სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ. 15 სექტემბერს გაკოტრდა აშშ-ის სიდიდით მეოთხე საინვესტიციო ბანკი, Lehman Brothers. მეორე დღეს, AIG, მსოფლიოს უდიდესი სადაზღვევო კომპანია აცხადებს, რომ მხოლოდ ფედერალური სარეზერვო სისტემის 85 მლრდ-იანი სესხით გააგრძელებს საქმიანობას. ამ მოვლენებმა მსოფლიო მასშტაბის პანიკა გამოიწვია. ე.წ. „ჩრდილოვანი საბანკო სისტემა“, რომელიც გაზრდილ კონკურენციას უწევდა ტრადიციულ კომერციულ ბანკებს, სხვადასხვა ხრიკებს მიმართავდა კრედიტის მისაღებად, რადგან ინვესტორები ცდილობდნენ თანხები ამოეღოთ და სადმე უფრო დედახანდებიანთ. TED დიაპაზონი – სხვაობა ბანკთაშორის განაკვეთებსა და აშშ-ის მოკლევადიან სახაზინო ვალდებულებებს შორის გაიზარდა, რაც საკრედიტო რისკების გაზრდაზე მიანიშნებდა.

შემდგომი კვირების განმავლობაში მთავრობები და ცენტრალური ბანკები მთელი მსოფლიოს მასშტაბით ცდილობდნენ სხვადასხვა ღონისძიებებით აღედგინათ ბანკების ლიკვიდურობა და ნდობა.

ამასობაში, მთელი ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკისა და იაპონიის მასშტაბით მშპ დავარდა. 2009 წლის პირველ ნახევარში ქვეყნების უმეტესი ნაწილის ეკონომიკური აქტივობა საგრძნობლად დავარდა და მას შემდეგ გაჯანსაღების პროცესი შენელებული და არასტაბილურია, განსაკუთრებით ევროზონაში, სადაც თავდაპირველად დაწყებული კრიზისი ევროზონაში სამთავრობო ობლიგაციებით გაღრმავდა - პირველად საბერძნეთში, შემდეგ ირლანდიაში, პორტუგალიაში, ესპანეთსა და სხვა ქვეყნებში.

ამ თავში აღწერილია, თუ როგორ ხდებოდა ფინანსური კრიზისისა და რეცესიის ასახვა ეთგო-ს 34 განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნის ეროვნულ ანგარიშებში. აქ შეჯამებულია 2008-09 წლების რეცესიის გავლენა მშპ-სა და ეროვნული ანგარიშების სხვა მთავარ აგრეგატებზე ფინანსური ანგარიშებისა და აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსების ჩათვლით - ძირითადად ეთგო-სა და G7-ის ქვეყნების მაგალითზე. შემდეგ ვიმსჯელებთ 2009 წლის შემდგომ ეკონომიკის გაჯანსაღებაზე და ამ პროცესის განსხვავებებზე ქვეყნებს შორის. შემდეგ მივუბრუნდებით რეცესიამდე არსებულ შეუსაბამობებს, დისბალანსებს და მათ ასახვას ეროვნულ ანგარიშებში. თავში შეჯამებული დისკუსია იმასთან დაკავშირებით, თუ რა ნაკლოვანებები გამოამჟღავნა კრიზისმა ეროვნულ ანგარიშებში: თუ რა სახის რელევანტურ ინფორმაციას ითხოვენ პოლიტიკოსები ეროვნული ანგარიშებისგან და რა ნაბიჯები იდგმება იმასთან დაკავშირებით, რომ თავიდან ავიცილოთ ის, რაც მოხდა - კერძოდ, ეკონომისტებმა ვერ შეძლეს კრიზისის პროგნოზირება და პრევენცია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეკონომიკური პერსპექტივების 2013 წლის ოქტომბრის მონაცემებით, 2008 წელს ეთგო-ს ქვეყნებში წარმოებული მშპ გაცვლითი კურსების მიხედვით მსოფლიო მშპ-ის 69%-ს შეადგენდა, ხოლო მსყიდველობითუნარიანობის მიხედვით - 55%-ს. შესაბამისად, G7-ის ქვეყნების - აშშ-ის, იაპონიის, გერმანიის, საფრანგეთის, გაერთიანებული სამეფოს, იტალიის და კანადის მშპ გაცვლითი კურსების მიხედვით მსოფლიო მშპ-ის 77% იყო, ხოლო მსყიდველობითუნარიანობის მიხედვით - 76%.

მეორე მხრივ, ამ თავში არ არის მოტანილი გაანგარიშებები კრიზისის გამომწვევი მიზეზების შესახებ და არ არის გაანალიზებული მისგან თავის დაღწევის

პოლიტიკები. ამ საკითხს უამრავი წიგნი მიეძღვნა და მრავალი კიდევ დაიწერება.³ მიუხედავად იმისა, რომ კრიზისის პოლიტიკური შედეგები დიდ ინტერესს იწვევს, აღნიშნული საკითხი სცილდება ამ თავის საზღვრებს.

1. დიდი რეცესია

2008-09 წლების დიდი რეცესია 1930-იანების დიდი დეპრესიის შემდეგ ყველაზე მძიმე გლობალური ეკონომიკური ვარდნა იყო. ეთგო-ს განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში რეცესიამ ეკონომიკური საქმიანობის მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვია, რამაც შედეგად რეალური მშპ-ის ვარდნა მოიტანა. ნომინალური მშპ-ის ცვლილებისა და სხვადასხვა ფასების ინდექსები დაგვეხმარება გავარკვიოთ ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების ცვლილების შეფარდებითი მნიშვნელობა. ამის გარდა, რეცესიის ეფექტებმა ბევრ სხვა ბალანსშიც იჩინა თავი, რომელიც შედის კვარტალურ ეროვნულ ანგარიშებში, ისევე როგორც განკარგვადი შემოსავლის, დანაზოგის, წმინდა სესხების და ეროვნულ და სექტორულ ბალანსებზე.

რეალური მშპ

2008 წლის პირველი კვარტალიდან 2009 წლის პირველ კვარტალამდე ეთგო-ს ქვეყნების რეალური მშპ ჯამში 4.9%-ით (იხ. ცხრილი 13.1 და ნახაზი 13.2) შემცირდა.⁴

ცხრილი 13.1. რეალური მშპ-ის კვარტალური პიკი, უკიდურესი ვარდნა და კუმულაციური ცვლილება ეთგო-ს ქვეყნებში დიდი რეცესიის დროს



ქვეყანა	კვარტალური პიკი	უკიდურესი ვარდნა	რეალური მშპ-ის ცვლილება	კვარტალების რაოდენობა კრიზისამდელი პიკის გადამეტებით
ავსტრია	Q1 2008	Q2 2009	-5.1%	13
ბელგია	Q2 2008	Q1 2009	-4.3%	11
კანადა	Q3 2008	Q2 2009	-4.2%	9
ჩილე	Q1 2008	Q1 2009	-3.1%	7
ჩეხეთის რესპუბლიკა	Q3 2008	Q2 2009	-5.6%	*
დანია	Q2 2008	Q2 2009	- 8.0%	*
ესტონეთი	Q4 2007	Q3 2009	-20.0%	*
ფინეთი	Q4 2007	Q2 2009	-10.4%	*
საფრანგეთი	Q1 2008	Q2 2009	-4.4%	*
გერმანია	Q1 2008	Q1 2009	-6.8%	12
უნგრეთი	Q1 2008	Q3 2009	-8.5%	*
ისლანდია	Q3 2007	Q2 2010	-12.8%	*



ირლანდია	Q4 2007	Q4 2009	-11.5%	*
ისრაელი	Q3 2008	Q1 2009	-0.9%	4
იტალია	Q3 2007	Q2 2009	-7.2%	*
იაპონია	Q1 2008	Q1 2009	-9.2%	*
კორეა	Q3 2008	Q4 2008	-4.6%	4
ლუქსემბურგი	Q1 2008	Q1 2009	-9.4%	*
მექსიკა	Q2 2008	Q2 2009	-6.7%	9
ნიდერლანდები	Q1 2008	Q2 2009	-5.0%	*
ახალი ზელანდია	Q4 2007	Q1 2009	-2.6%	8
ნორვეგია	Q4 2007	Q2 2009	-3.4%	17
პოლონეთი	Q3 2008	Q4 2008	-0.4%	3
პორტუგალია	Q4 2007	Q1 2009	-4.2%	*
სლოვაკეთის რესპუბლიკა	Q4 2008	Q1 2009	-8.5%	1
სლოვენია	Q2 2008	Q4 2009	-9.7%	*
ესპანეთი	Q1 2008	Q4 2009	-5.0%	*
შვედეთი	Q4 2007	Q1 2009	-7.6%	12
შვეიცარია	Q3 2008	Q2 2009	-3.3%	8
თურქეთი	Q1 2008	Q1 2009	-13.3%	9
გაერთიანებული სამეფო	Q1 2008	Q3 2009	-7.2%	*
აშშ	Q4 2007	Q2 2009	-4.3%	14
ევროზონა (17 ქვეყანა)	Q1 2008	Q2 2009	-5.7%	*
ეთგო – სულ	Q1 2008	Q1 2009	-4.9%	14



* Q3 2013-ისთვის კრიზისამდელი პიკის გადამეტებას ადგილი არ ჰქონია.



წყარო: OECD (2012), "Quarterly National Accounts", OECD National Accounts Statistics (database)
<http://dx.doi.org/10.1787/data-00017-en>.

ნახაზი 13.2 ეთგო-ს და G7-ის ქვეყნების რეალური მშპ (2005 Q1-2013 Q3)
 2008 Q1 = 100









წყარო: OECD (2012), "Quarterly National Accounts", OECD National Accounts Statistics (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00017-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00017-en).

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144240>

2008 წლის მეორე კვარტალში ევოლ-ს რეალური მშპ მხოლოდ 0.1%-ით შემცირდა, თუმცა კლების ტემპმა 0.5%-ით მოიმატა მესამე კვარტალში, ხოლო მეოთხე კვარტალში Lehman Brothers-ის გაკოტრებისა და ფინანსური პანიკის ფონზე მშპ

დამატებით 2.2%-ით დაეცა. 2009 წლის პირველ კვარტალში რეალური მშპ კიდევ 2.3%-ით დავარდა და მის ციკლურ უფსკრულს მიუახლოვდა.

ეთგო-ს ქვეყნებში რეცესია დროისა და ხანგრძლივობის მახასიათებლებით განსხვავებული იყო, თუმცა 2008 წლის მეოთხე კვარტალსა და 2009 წლის პირველ კვარტალში ყველა განვითარებულ ქვეყანაში სინქრონულად აღინიშნა მკვეთრი ვარდნა. აშშ-ის რეალურმა მშპ-იმ თავის ციკლურ პიკს 2007 წლის მეოთხე კვარტალში მიაღწია; შემდეგ ის 0.7%-ით შემცირდა 2008 წლის პირველ კვარტალში; შემდეგ მშპ ისევ დაეცა 0.5%-ით მესამე კვარტალში, მეოთხე კვარტალში 2.2%-ით, 2009 წლის პირველ კვარტალში 1.4%-ით და კიდევ დამატებით 0.1%-ით მომდევნო კვარტალში. აშშ-ში დიდი რეცესია ექვსი კვარტალის მანძილზე გაგრძელდა და რეალური მშპ 4.3%-ით შემცირდა.

ევროპაში რეალური მშპ-ის კლება კიდევ უფრო მკაცრი იყო. ეთგო-ს ევროპულ ქვეყნებს შორის რეალური მშპ 5.7%-ით შემცირდა 2008 წლის პირველი კვარტალიდან 2009 წლის პირველ კვარტალამდე. გერმანიის მშპ 6.8%-ით დაეცა, ხოლო საფრანგეთის - 4.4%-ით. იტალიის რეალური მშპ-ის ვარდნა გარკვეულწილად უფრო ადრე დაიწყო და 2009 წლის მეორე კვარტალისთვის ჯამში 7.2%-ით დაეცა. ასევე 7.2%-ით დაიკლო გაერთიანებული სამეფოს მშპ-მა. ბევრი ევროპული ქვეყნის მშპ-მა კრიზისიდან 20 კვარტალის შემდეგაც, Q3 2013-შიც კი ვერ მიაღწია კრიზისამდელი პიკის დონეს.

დიდი რეცესია განსაკუთრებით მკაცრი აღმოჩნდა იაპონიისთვის, რადგან რეალური მშპ 9.2%-ით შემცირდა. მეორე მხრივ, რეცესია კანადაში შედარებით გვიან დაიწყო, რადგან ეკონომიკას ნედლეულზე მაღალი ფასები უმაგრებდა ზურგს. თუმცა, 2008 წლის მესამე კვარტალიდან 2009 წლის მეორე კვარტალამდე კანადის რეალური მშპ 4.2%-ით შემცირდა. მსგავსი სცენარი განმეორდა G7-ის გარეთ ეთგო-ს ქვეყნების უმეტესობაში, რომელთა შორის რამდენიმემ მძიმე კრიზისი გადაიტანა. მაგალითად, ესტონეთის მშპ 20.0%-ით დაეცა; ისლანდიაში, სადაც კრიზისის შედეგად სამი უმსხვილესი კომერციული ბანკი გაკოტრდა, კრიზისი სხვა ქვეყნებზე ადრე დაიწყო და უფრო ხანგრძლივად გაგრძელდა; ისლანდიის რეალური მშპ 2010 წლის მეორე კვარტალში განსაკუთრებით დიდ უფსკრულში აღმოჩნდა, კერძოდ 12.8%-ით დაბლა მის ციკლურ პიკთან შედარებით. ირლანდიის მშპ 11.5%-ით შემცირდა 2007 წლის მეოთხე კვარტალიდან 2009 წლის მეოთხე კვარტალამდე.

თუმცა, იყო ქვეყნები, რომლებმაც შეძლეს თავიდან აეცილებინათ ერთმანეთის მიყოლებით ორი კვარტალის განმავლობაში რეალური მშპ-ის ვარდნა, რაც ჩვეულებრივ, რეცესიის მანიშნებელია. პოლონეთში მშპ მხოლოდ ერთხელ, 2008 წლის მეოთხე კვარტალში შემცირდა და ისიც მხოლოდ 0.4%-ით. ასევე, მხოლოდ

ერთხელ, იმავე პერიოდში აღინიშნა ვარდნა ავსტრალიაში 0.9%-ით.⁵ ასევე, ერთხელ დაფიქსირდა მშპ-ის შემცირება იმავე პერიოდში, თუმცა უფრო მნიშვნელოვანი - კორეაში 4.6%. სლოვაკეთის რესპუბლიკაშიც ერთხელ დაფიქსირდა ვარდნა, 2009 წლის პირველ კვარტალში, თუმცა ეს ვარდნა იმდენად დიდი იყო, 8.5%, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ამ ქვეყანამ შეძლო თავიდან აერიდებინა გლობალური რეცესიის გავლენა. და ბოლოს, ისრაელში ორი კვარტალის განმავლობაში, 2008 წლის მესამე კვარტალიდან 2009 წლის პირველ კვარტალამდე ვარდებოდა მშპ, თუმცა ეს ვარდნა შედარებით ზომიერი იყო, 0.9%.


ეთგო-ს გარეთ, განვითარებად ბაზრებზე დიდი რეცესიის გავლენა კიდევ უფრო განსხვავებული იყო. მაგალითად, სამხრეთ აფრიკაში სამი კვარტალის განმავლობაში მშპ 2.7%-ით შემცირდა, ბრაზილიაში ორი კვარტალის მანძილზე - 5.4%-ით, ხოლო რუსეთში ოთხი კვარტალის განმავლობაში - 10.7%-ით. მეორე მხრივ, აზიის განვითარებადი ბაზრები უფრო იზოლირებული აღმოჩნდა რეცესიისგან, მაგალითად, ინდოეთში კლება მხოლოდ ერთი კვარტალი გაგარძელდა და ისიც -1.9%, ხოლო ინდონეზიაში მშპ საერთოდ არ შემცირებულა. რაც შეეხება ჩინეთს, ამ პერიოდის სეზონურად კორექტირებული კვარტალური მშპ-ის საზომები არ გვაქვს, თუმცა არსებული მონაცემების ბაზაზე შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთის ეკონომიკას ამ პერიოდში ვარდნა არ განუცდია.



მშპ-ის ხარჯების კომპონენტებმა ეთგო-ს უმეტეს ქვეყნებში მსგავსი ცვლილება განიცადა. მთლიანად ეთგო-ს მასშტაბით რეალური კერძო (შინამეურნეობებს პლუს შმაკოები) საბოლოო მოხმარების ხარჯები 2.7%-ით შემცირდა. ეს შემცირება მშპ-ის შემცირებაზე ნაკლები იყო, თუმცა, იმის გამო, რომ საბოლოო მოთხოვნაში კერძო საბოლოო მოხმარების ხარჯებს დიდი წილი აქვს, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა (იხ. ნახაზი 13.3). კლება ძალიან მკვეთრი აღმოჩნდა ძირითადი კაპიტალის მთლიან ფორმირებაში (ახალი საცხოვრებლების მშენებლობა), რომელიც პირველივე კვარტალიდან შემცირდა და შვიდი კვარტალის ჯამში 15.1% შეადგინა. საპირისპიროდ, ეთგო-ს ქვეყნების ერთობლივი ექსპორტი მხოლოდ სამი კვარტალის მანძილზე მცირდებოდა, მაგრამ 2008 წლის მეორე კვარტალიდან 2009 წლის მესამე კვარტალამდე ძალიან საგრძნობლად, 15.2%-ით შეცირდა. ერთობლივი იმპორტის კლება ცოტა უფრო გახანგრძლივდა 2008-ის პირველი კვარტალიდან 2009-ის მეორე კვარტალამდე და საქონლისა და მომსახურების იმპორტი 16.9%-ით შემცირდა. ამისგან განსხვავებით, ანტიციკლური ფისკალური პოლიტიკის საფუძველზე რეცესიის განმავლობაში ეთგო-ს ქვეყნებში 2.9%-ით გაიზარდა სახელმწიფო მართვის ორგანების საბოლოო მოხმარების ხარჯები. ეს ხარჯები მხოლოდ მოგვიანებით, აღდგენით პერიოდში შემცირდა, როდესაც მკაცრი ეკონომიურობის რეჟიმი მიიღეს.

როგორც ნაჩვენებია ჩანართში 13.1, ფისკალური პოლიტიკა მშპ-ის რამდენიმე კომპონენტში აისახება და არა მხოლოდ სახელმწიფო მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარების ხარჯებში.


ეროვნულ ანგარიშებში მუშავდება აგრეთვე ინფორმაცია დარგების დამატებული ღირებულების შესახებ. კლება დაფიქსირდა მრეწველობაში და მრეწველობის პროდუქციის საბითუმო და საცალო ვაჭრობასა და ტრანსპორტირებაში. მაგალითად, ევროკავშირში 2007 – 2009 წლებში მრეწველობის დამატებული ღირებულების ფიზიკური მოცულობის ინდექსი 16.3%-ით შემცირდა; აშშ-ში ის 11.5%-ით შემცირდა. აშშ-ში მშენებლობის დამატებული ღირებულება 2005 – 2010 წლებში 28.5%-ით შემცირდა. ასევე, უძრავი ქონების ტრანსაქციების ვარდნის გამო საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობა 2006-დან 2008 წლამდე 15.2%-ით შემცირდა.⁶ (იხ. ჩანართი 13.2).

ნახაზი 13.3. რეალური მშპ საბოლოო ხარჯების კატეგორიების მიხედვით, ეთგო, სულ (2005 Q1-2013 Q3)
2008 Q1 = 100







ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება



ექსპორტი





წყარო: OECD (2012), "Quarterly National Accounts", OECD National Accounts Statistics (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00017-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00017-en).

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144252>

ჩანართი 13.1. ანტიციკლური ფისკალური პოლიტიკა ეროვნულ ანგარიშებში

ანტიციკლური ფისკალური პოლიტიკა შედგება სახელმწიფო მართვის ორგანოების ხარჯების გაზრდის ან ერთობლივი მოთხოვნის მასტიმულირებელი გადასახადებისა ან სხვა შემოსავლების შემცირებისგან. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობას შეუძლია მოთხოვნის პირდაპირი სტიმულირება საბოლოო მოთხოვნის ხარჯების გაზრდით, უფრო ხშირად, ანტიციკლური პოლიტიკის მიზანია შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების ხარჯების სტიმულირება გადასახადების შემცირების ან სოციალური შენატანების ან ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირების გაზრდით - სუბსიდიების, კაპიტალური ტრანსფერების ან გადასახადების შემცირების გზით. ანტიციკლური ფისკალური პოლიტიკის მაგალითი იყო ამერიკის აღდგენისა და რეინვესტირების აქტი, რომელიც აშშ-ში 2009 წლის თებერვალში ამოქმედდა. აქტის შეფასებული ღირებულება გაზრდილი ხარჯებისა და შემცირებული შემოსავლების პირობით 825.4 მლრდ აშშ დოლარი იყო, ხოლო ხარჯების უმეტესობა პირველი სამი წლისათვის დაიგეგმა. 2013 წლის პირველ კვარტალში აქტის ეფექტების შეფასებამ აჩვენა, რომ ხარჯების დაახლოებით 26% მთავრობამ მიიღო შემცირებული გადასახადებისა და შემოსავლების ფორმით, ხოლო დაახლოებით 74% დამატებითი ხარჯების ფორმით. დამატებითი ხარჯები უპირველესად სოციალური

შეღვათებისთვის (როგორცაა უმუშევრობის შემწეობები და დაბრუნებადი საგადასახადო კრედიტები) და სახელმწიფო და ადგილობრივი მთავრობების გრანტებისთვის იყო გათვალისწინებული; მხოლოდ 7.3% დაიხარჯა ფედერალური მთავრობის მიერ საბოლოო მოხმარებაზე ან ძირითადი კაპიტალის მთლიან ფორმირებაზე, რაც მშპ-ის პირდაპირ ხარჯებს წარმოადგენს (იხ. ცხრილი 13.2).

ცხრილი 13.2. ამერიკის აღდგენისა და რეინვესტირების აქტის ხარჯების წილები ტრანსაქციის ტიპის მიხედვით

ფედერალური მთავრობის ტრანსაქცია	პროცენტული ხვედრითი წილი აქტის მთლიან ღირებულებაში
შემოსავლები (შემცირებები)	25.7%
მიმდინარე გადასახადები შემოსავალზე, სიმდიდრეზე და ა.შ. (შინამეურნეობები)	23.1
მიმდინარე გადასახადები შემოსავალზე, სიმდიდრეზე და ა.შ. (კორპორაციები)	2.5
ხარჯები (დამატებები)	74.3
საბოლოო მოხმარების ხარჯები	5.1
მიმდინარე ტრანსფერული გადახდები	54.7
სოციალური შეღვათები	25.0
სხვა მიმდინარე ტრანსფერები (პირველადი გრანტები სახელმწიფოს და ადგილობრივ მთავრობას)	29.8
ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	2.2
კაპიტალური ტრანსფერული გადახდები	10.0

წყარო: US Bureau of Economic Analysis, Federal recovery programs and BEA statistics, <http://www.bea.gov/recovery/>.

ჩანართი 13.2. რა გავლენა მოახდინა ფინანსურმა კრიზისმა ფინანსური მომსახურების საზომებზე

მე-4 თავში, რუბრიკაში „ჩაულრმავდით: FISIM“ აღწერილია, თუ რა სახის არაპირდაპირ მომსახურებას სთავაზობენ ბანკები და სხვა ფინანსური შუამავლები თავიანთ მომხმარებლებს. მიუხედავად იმისა, რომ ბანკები თავიანთ მომსახურებაზე გადასახადებს აწესებენ, მაინც ვერ ფარავენ სრულად მის საფასურს. მომსახურების ნაწილის ანაზღაურება არაპირდაპირ ხდება - დეპოზიტებთან შედარებით, გაცემულ სესხებზე უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთის დაწესებით. ამ ორ საპროცენტო განაკვეთს შორის არსებული მარჯა გამოიყენება ბანკების არაპირდაპირი მომსახურების (FISIM) გასაზომად. როგორც მე-4 თავში იყო აღნიშნული, ამ მომსახურების ღირებულების გადახდა მეანაზღაურება და მსესხებელზე გადადის მათ საპროცენტო განაკვეთებსა და საბაზისო საპროცენტო განაკვეთს შორის სხვაობის მიხედვით.

ფინანსური კრიზისის პირველი შედეგი იყო უმოქმედო (პროცენტის გადაუხდელობა 90 ან მეტი დღის განმავლობაში) სესხების მატება. ასეთი სესხები პირდაპირ არ აისახება ეას-ის აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსში. მათი ასახვა რეკომენდირებულია არასაბალანსო მუხლების სახით. თუ იპოთეკური სესხი სეკიურტიზებული (გირაოში აქტივების კომბინირება) იყო, მაშინ კრიზისის პერიოდში ამ ფასიანი ქაღალდების ფასი დაეცა და ეას-ის აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსში მათი ასახვა გადაფასების სახით მოხდა.

კრიზისის მიმდინარეობის პროცესში ინვესტორები ცდილობენ „ხარისხისკენ“ შემობრუნდნენ. კერძოდ, ისინი იღებენ სახსრებს რისკიანი წამოწყებებიდან, რითიც საპროცენტო განაკვეთის ზრდას იწვევენ და აბანდებენ მათ საბაზისო ვალდებულებებსა და მთავრობის მიერ დაზღვეულ დეპოზიტებში, რითიც აგდებენ მათ განაკვეთს. ეას-ის მიხედვით, FISIM-ის გაზომვაში სხვადასხვა ეფექტები ჩნდება, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით იჩენს თავს. მაგალითად, აშშ-ის შემთხვევაში ხარისხისკენ მისწრაფების გამო დავარდა როგორც საბაზისო განაკვეთები, ისე მეანაბრეთა განაკვეთები. საბაზისოსთან შედარებით გაიზარდა სესხის განაკვეთი, რაც გამოწვეული იყო სესხის გადაუხდელობის გაზრდილი რისკით, რაც ეას-ის მიხედვით წარმოების ღირებულებაში არ შედის. შესაბამისად, აშშ-ის ეროვნულ ანგარიშებში გადაწყდა FISIM-ის გაანგარიშებაში კორექტივების შეტანა მოსალოდნელი დეფოლტის ეფექტების მოსაცილებლად.¹ აშშ-ის FISIM-ის შეფასებებმა გვიჩვენა, რომ მეანაბრეთა და მსესხებელთა მომსახურების ღირებულება (მიმდინარე ფასებში) ფინანსური კრიზისის დროს შემცირდა, თუმცა მეანაბრეთა მომსახურების აღდგენა უფრო სწრაფად მოხდა² (დეტალებისთვის იხ. თავი 4).

1ob. Hood, 2013.

2. Bureau of Economic Analysis-ის ვებ გვერდზე ეროვნული შემოსავლისა და პროდუქციის ანგარიშების ცხრილში 7.11 მეანაბრეთა მომსახურება ნაჩვენებია სტრიქონზე 44, ხოლო მსესხებელთა - სტრიქონზე 96.

ერთობლივი მოთხოვნა და მიწოდება


ხშირად, ეკონომისტები რეცესიას ხსნიან გადაადგილებებით ერთობლივ მოთხოვნასა და ერთობლივ მიწოდებაში. ეროვნულ ანგარიშებში ამ თეორიული კონცეფციების გაზომვა ფაქტობრივი ეკონომიკური მონაცემებით ხდება.


ერთობლივი მოთხოვნა წარმოადგენს ურთიერთკავშირს საბოლოო მომხმარებლების მიერ მოთხოვნილი საქონლისა და მომსახურების მოცულობასა და ერთობლივი

ფასის დონეს შორის. ჩვეულებრივ, ეს აღიწერება დადამავალი მრუდით, რომლის მიხედვითაც გამოშვების მოცულობა ფასების ვარდნასთან ერთად იზრდება. ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილება შეიძლება გამოწვეული იყოს მონეტარული ან ფისკალური პოლიტიკით.⁷

ერთობლივი მოთხოვნის ცვლილება აისახება ნომინალური მშპ-ის (რომელიც რეალური მშპ-ისა და მშპ-ის ფასის დეფლატორის ნამრავლია) ცვლილებაში, ამდენად ნომინალურ მშპ-ში მომხდარი ძვრები ხშირად ერთობლივი მოთხოვნის მიახლოებით ინდიკატორად განიხილება. ნახაზზე 13.4 ნაჩვენებია აშშ-ისა და ევროზონის ნომინალური მშპ-ების ცვლილებები დიდი რეცესიის დროს მკვეთრად დადამავალი გადაადგილებით. დიდი რეცესიის შემდეგ აშშ-ის ნომინალური მშპ გაიზარდა, თუმცა აღარ უჩვენებია დაჩქარებული ზრდის ტემპი, როგორც წინა წლებში. ევროზონაში ნომინალური მშპ კიდევ ერთხელ შენედა 2011 წლის დასაწყისში და ჯერ კიდევ საკმაოდ ჩამორჩება მის რეცესიამდელ ტრენდს. ეთგო-ს უმეტეს ქვეყნებში ნომინალური მშპ 2009 წელს დავარდა, გამონაკლისი იყო ავსტრალია, ისრაელი, კორეა და პოლონეთი - ქვეყნები, რომლებმაც თავი გაართვეს რეცესიის არასასურველ ეფექტებს. ნომინალური მშპ-ის მიხედვით, ქვეყნების უმეტესობისთვის, რეცესიაში მთავარი წვლილი ერთობლივი მოთხოვნის შემცირებამ შეიტანა.

ნახაზი 13.4. მშპ მიმდინარე ფასებში, აშშ-ისა და ევროზონის ქვეყნების ეროვნულ ვალუტაში (2005 Q1-2013 Q3)
2008 Q1 = 100





წყარო: OECD (2012), "Quarterly National Accounts", OECD National Accounts Statistics (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00017-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00017-en).


StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144265>

მეორე მხრივ, ერთობლივი მიწოდების ცვლილებების - გადაადგილება მშპ-ის პოტენციურ დონეში - დახასიათება უფრო რთულია ეროვნულ ანგარიშთა მონაცემებით. რიგ შემთხვევებში ისინი „სტაგფლაციასთან“ ასოცირდება, რაც არის რეალური მშპ-ის კლება დაჩქარებულ ინფლაციასთან კავშირში. იმის გამო, რომ მშპ-ის პოტენციური დონის ცვლილება შეიძლება სხვადასხვა ფაქტორმა გამოიწვიოს, როგორცაა: მწარმოებლურობის შოკები, ვაჭრობის პირობების შეცვლა, გადასახადებთან და რეგულაციებთან დაკავშირებული დანაკარგები და ა.შ., ერთობლივი მიწოდების იდენტიფიკაცია იოლი საქმე არ არის.

მიუხედავად მათი გაზომვის სიძნელეებისა, რეცესიაში თავისი წვლილი ერთობლივი მიწოდების ფაქტორებმაც შეიტანა. კერძოდ, ნავთობისა და სხვა ნედლეულის ფასები 2008 წლის პირველ ნახევარში მკვეთრად გაიზარდა. ეს იმის გამო მოხდა, რომ ეთგო-ს ქვეყნებში რეცესიის მიუხედავად, მსოფლიოს განვითარებად ნაწილში - ჩინეთში, ინდოეთში და ინდონეზიაში ნედლეულზე მაღალი მოთხოვნა შენარჩუნდა. გლობალური ეკონომიკის ახალი თვისებაა ეთგო-ს ქვეყნების მდგომარეობასა და დიდი განვითარებადი ქვეყნების მდგომარეობას შორის კავშირის გაწყვეტა. ქვეყნებში, რომლებიც ნედლეულის იმპორტს ახდენენ, ფასების ზრდამ ინფლაცია გამოიწვია და გაართულა ვაჭრობა. მაგალითად, აშშ-ში კერძო საბოლოო მოხმარების ხარჯების ფასების ინდექსი 2007 წლის მესამე კვარტალიდან 2008 წლის მესამე

კვარტალამდე 4.0%-ით გაიზარდა მაშინ, როდესაც მშპ-ის ფასების ინდექსი მხოლოდ 2.2%-ით გაიზარდა (იხ. ნახაზი 13.5). ამავე პერიოდში ვაჭრობის პირობების ინდექსი (ექსპორტის ფასების ფარდობა იმპორტის ფასებთან) 100.0-დან 92.5-მდე დავარდა.⁸ ენერგომატარებლების ფასების ზრდამ შეიძლება სხვა სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე ხარჯების შეკვეცა და მრეწველობისა და სხვა საქმიანობების თვითღირებულების ზრდა გამოიწვიოს.⁹ მეორე მხრივ, ქვეყნებმა, რომლებიც ნედლეულის ექსპორტს ეწევიან, შეძლეს შეეკავებინათ ფინანსური კრიზისის არასასურველი გავლენები, თუმცა მეოთხე კვარტალში ფასები იქაც მკვეთრად დავარდა და დიდი რეცესია გლობალური გახდა.

ნახაზი 13.5. მშპ-ის დეფლატორი და კერძო საბოლოო მოხმარების ხარჯების დეფლატორი, აშშ (2006 Q1-2010 Q3)
2008 Q1 = 100



წყარო: OECD (2012), "Quarterly National Accounts", *OECD National Accounts Statistics* (database), [doi:%20http://dx.doi.org/10.1787/data-00017-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00017-en).

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144277>


დანაზოგი, წმინდა სესხება ან დაკრედიტება და აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსები

გლობალური ფინანსური კრიზისისა და დიდი დეპრესიის ეფექტი არა მხოლოდ წარმოებასა და შემოსავლებზე, არამედ დანაზოგზე, წმინდა სესხებასა ან დაკრედიტებაზე და აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსზეც აისახა. რეცესიამ განაახლა ეკონომისტების ინტერესი ბალანსსა და ეკონომიკურ საქმიანობას შორის ურთიერთკავშირზე. გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ში 2001-2006 წლებში უძრავ ქონებაზე ფასების სწრაფი ზრდა დაკავშირებული იყო შინამეურნეობების დაბალ დანაზოგსა და სესხების აღებასთან. მაგალითად, 2007 წლისთვის შინამეურნეობების და შმაკოების წმინდა დანაზოგი აშშ-ში წმინდა განკარგვადი შემოსავლის 3.2% იყო, ხოლო გაერთიანებულ სამეფოში უარყოფითი, -3.7%. დანიასა და ირლანდიაში, სადაც ასევე ფასების ბუმი იყო უძრავ ქონებაზე, წმინდა დანაზოგი უარყოფითი იყო 2007 წელს. 2009 წლისთვის ცვლილებები იმაში აისახა, რომ ამ დასახელებულ ქვეყნებში გაიზარდა შინამეურნეობების დანაზოგის ნორმა: აშშ-ში თითქმის 3%-ით (6.4%-მდე), 6 პროცენტით გაერთიანებულ სამეფოში (2.3%-მდე), 4 პროცენტით დანიაში და 12 პროცენტით ირლანდიაში.


შინამეურნეობების წმინდა დანაზოგის მატება ამ ქვეყნებში მშპ-ის საბოლოო მოხმარების კომპონენტის, კერძოდ, შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების სისუსტით აიხსნება. ასეთი ეფექტი წმინდა დაზოგვაზე ნაკლებად იყო გამოხატული იმ ქვეყნებში, რომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ უძრავი ქონების ფასების ბუმში. დაზოგვის ნორმა არ გაზრდილა გერმანიასა და იტალიაში, ხოლო იაპონიასა და საფრანგეთში მხოლოდ ერთი პროცენტით გაიზარდა. დანაზოგის ასეთი ცვლილება გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ში შინამეურნეობების აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსზე აისახა როგორ დელევერეჯინგი - რაც ნიშნავს, რომ შინამეურნეობების სესხები შემცირდა. გაერთიანებულ სამეფოში სესხის, როგორც წმინდა განკარგვადი შემოსავლის შემადგენელის ხვედრითი წილი 179.8-დან 167.9-მდე შემცირდა 2007-დან 2009-მდე (იხ. ნახაზი 13.6). ამავე პერიოდში შინამეურნეობების სესხის დონე აშშ-ში 142.8-დან 133.3-მდე შემცირდა. შინამეურნეობების სესხების შემცირება უპირველეს ყოვლისა იმ ქვეყნებს შეეხო, სადაც უძრავი ქონების ფასები გაიზარდა. როგორ ჩანს 13.6 ნახაზიდან, დიდი რეცესიის პერიოდში შინამეურნეობების სესხების დონე ვარდებოდა იაპონიასა და გერმანიაში, მაშინ როცა საფრანგეთსა და იტალიაში აღმავალი ტრენდი შეინიშნებოდა, რომელიც არაფერს მეტყველებდა რეცესიის შედეგზე.

ნახაზი 13.6. შინამეურნეობების ვალი, როგორც წმინდა განკარგვადი შემოსავლის პროცენტული წილი, შერჩეული ქვეყნები (2001 – 2012)


აშშ




გერმანია





იპონია



საფრანგეთი






წყარო: OECD (2014), "National Accounts at a Glance: National Accounts at a Glance", OECD National Accounts Statistics (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00369-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00369-en).

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144281>


დიდი რეცესიის დროს სახელმწიფო მართვის ორგანოების წმინდა დაკრედიტება შემცირდა (ან გაიზარდა წმინდა სესხება) ეთგო-ს თითქმის ყველა ქვეყანაში. რა თქმა უნდა, რეცესიასთან დაკავშირებული უამრავი ეკონომიკური ფაქტორი იყო, რომლებმაც ავტომატურად მოახდინა გავლენა საგადასახადო ბალანსზე, რადგან

შემცირებული იყო ეკონომიკური აქტიურობა და შემოსავლები და ასევე ავტომატურად გაზარდა სოციალური სახის შეღავათები, მაგალითად, უმუშევრობის დაზღვევა. გარდა ამისა, რამდენიმე ქვეყანამ ექსპანსიონისტური საგადასახადო პოლიტიკა გაატარა - აშშ-ში ამერიკის აღდგენისა და რეინვესტირების აქტის სახით 2009 წელს, ხოლო ეთგო-ს ქვეყნებში ავტომობილების უტილიზაციის ე.წ. (“cash for clunkers”) პროგრამების სახით. 2007-დან 2009 წლამდე მშპ-ში წმინდა სესხების წილმა 3.6%-დან 12.7%-ს მიაღწია და 9 პროცენტით მოიმატა აშშ-ში, 8 პროცენტით გაერთიანებულ სამეფოში, 6 პროცენტით იაპონიაში და 4 პროცენტზე მეტით ევროზონაში.


ნახაზი 13.7 სახელმწიფო მართვის ორგანოების ვალი, როგორც მშპ-ის პროცენტული წილი, G7-ის ქვეყნები (2002-12)




გერმანია




იაპონია





საფრანგეთი



კანადა





წყარო: OECD (2014), "National Accounts at a Glance: National Accounts at a Glance", OECD National Accounts Statistics (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00369-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00369-en).

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144296>

წმინდა დაკრედიტების შემცირებასთან ერთად, ეთგო-ს თითქმის ყველა ქვეყანაში 2007-2009 წლებში გაიზარდა სახელმწიფო მართვის ორგანოების ვალის წილი მშპ-ში (იხ. ნახაზი 13.7). ზოგ შემთხვევაში, რეცესიის დროს ეს ხვედრითი წილი საკმაოდ მაღალი იყო - მაგალითად, აშშ-ში 2007-09 წლებში ის 29 პროცენტით გაიზარდა

(75.8%-დან 105.0%-მდე), ხოლო გაერთიანებულ სამეფოში 25 პროცენტული პუნქტით (47.0%-დან 72.1%-მდე). ბევრ სხვა ქვეყანაში ვალის წილი 10 და მეტი პროცენტით გაიზარდა. ჩანართში 13.3 ახსნილია ის სიძნელებები, რომელიც იქმნება სახელმწიფო მართვის ორგანოების ვალის დონეების შედარების დროს ეთგო-ს ქვეყნებში.

ჩანართი 13.3. სახელმწიფო ვალის გაზომვა და შედარება

სახელმწიფო ვალი, მშპ-ის პროცენტული წილის სახით უმნიშვნელოვანესი ინდიკატორია, თუმცა რამდენიმე გზა (ე.წ. შეთანხმება) არსებობს ამ ფარდობის მრიცხველის გამოსახვისთვის. ყველა ასეთი გაზომვის შედეგად ვნახავთ, რომ მსგავსი „იტორიები“ გვექნება, რადგან უკანასკნელ პერიოდში ვალი მშპ-ზე სწრაფად იზრდება, რაც ნაჩვენებია ნახაზზე 13.7. ამდენად, რომელი მრიცხველიც არ უნდა გამოვიყენოთ, ყველა გაზომვის მესიჯი ერთნაირი იქნება. თუმცა, ნახაზი 13.7 შეიძლება ქვეყნებს შორის ვალის დონის შედარებისთვისაც გამოვიყენოთ. რამდენიმე შეთანხმება შესაბამისობაში არ მოდის საერთაშორისო შედარებებთან. ნახაზი 13.7 ერთ-ერთი მათგანია, მიუხედავად იმისა, რომ აქ სახელმწიფო მართვის ორგანოების ჯამური ვალდებულებები ისეა ასახული, როგორც ეთგო-ს სტატისტიკურ მონაცემთა ბაზაში.

კონსოლიდაცია

ჩვეულებრივ, სახელმწიფო ვალი კონსოლიდირებული სახით არის ნაჩვენები. ეს ნიშნავს, რომ თუ სახელმწიფო მართვის ერთი ორგანო მეორე ორგანოს ასესხებს ფულს, ეს არ აისახება სახელმწიფო ვალში. რა თქმა უნდა, ეს მთავრობის შიდა ვალია. ეს შეთანხმება ფართოდ არის გამოყენებული და ნახაზზე 13.7 ნაჩვენებია კონსოლიდირებული ვალები ყველა ქვეყნის მიხედვით იაპონიის გარდა, რომელიც კონსოლიდირებულ ციფრს არ უგზავნის ეთგო-ს. ამდენად, თუ ყველა დანარჩენი ქვეყნის მიხედვით სახელმწიფო ვალის შესადარისობა დაცულია, იაპონიის ვალის დონე სხვა ქვეყნებთან შედარებით სისტემატურად გადაჭარბებულია და ეს ჩანს კიდევ ნახაზზე 13.7 (თითქმის 8%-ით 2002 წელს და 17%-ით 2012 წელს).

აქტივების ურთიერთკომპენსაცია

13.7 ნახაზზე ნაჩვენებია მთლიანი ვალი. ეს ნიშნავს, რომ ის ასახავს სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ აღებულ ყველა ვალდებულებას იმის გაუთვალისწინებლად, რომ მთავრობას შეუძლია აქტივების განკარგვა. მაგალითად, მთავრობას შეუძლია ბანკების დაკრედიტების მიზნით ფინანსურ ბაზრებზე ობლიგაციების გამოშვება. ამ შემთხვევაში, ეს სესხება ზრდის მთლიან ვალს, თუმცა შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ეს არ იწვევს წმინდა ვალის ზრდას, რადგან მთავრობას აქვს აქტივი (ბანკისთვის მიცემული კრედიტი), რომელიც ობლიგაციის

ანალოგიურია. სახელმწიფო ვალის ყველაზე გავრცელებული ციფრები მთლიანი სახისაა (კერძოდ, მასტრიხტის ვალი), თუმცა ეთგო წმინდა ვალსაც აქვეყნებს, რომელიც უდრის მთლიან ვალს მინუს სახელმწიფო მართვის ორგანოების აქტივები. ეს ამცირებს სახელმწიფო ვალის თანხას და შეუძლია შეცვალოს ვალის ფარდობითი დონე ქვეყნებს შორის. ეკონომისტების აზრი ორად არის გაყოფილი მთლიან და წმინდა ვალთან დაკავშირებით.

სავალო ინსტრუმენტების მოცვა

ნახაზზე 13.7 ნაჩვენებია სახელმწიფო ვალის გაზომვის ყველაზე ფართო შეთანხმება. მასში ასახულია სახელმწიფო მართვის ორგანოების ყველა მთლიანი ვალდებულება როგორც ეს არის ჩაწერილი ეროვნულ ანგარიშებში. ის მოიცავს შემდეგ ვალდებულებებს: ნაღდი ფული და დეპოზიტები (F2), ობლიგაციები (F3 - რაც სახელმწიფო ვალის ძირითადი ნაწილია), სესხები (F4), საპენსიო ვალდებულებები (F6) და გადასახდელები (F8*). ამ საზომის საერთაშორისო შესადარისობა პრობლემატურია, განსაკუთრებით იმის გამო, თუ როგორ ხდება საჯარო მოხელეების საპენსიო ვალდებულებების ჩაწერა. ეთგო-ს არაეფროპულ ქვეყნებში, როგორცაა აშშ, ავსტრალია ან კანადა, ეროვნულ ანგარიშებში ჩართულია საჯარო მოხელეების მომავალი საპენსიო ვალდებულებების შეფასება. ევროკავშირის ქვეყნებში ეს შეფასება არ შედის ეროვნულ ანგარიშებში. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხაა, რომელიც კანადაში მშპ-ის დაახლოებით 14% იყო 2012 წელს და 20% აშშ-ში. ამიტომ, ნახაზი 13.7 წინააღმდეგობას აწყდება საერთაშორისო შესადარისობასთან დაკავშირებით, რადგან ის შეიცავს ამ თანხებს აშშ-სა და კანადისთვის, მაგრამ არა საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის ან გაერთიანებული სამეფოსთვის, რომელთაც შეიძლება გააჩნდეთ ასეთი ვალდებულებები, მაგრამ ისინი არ არის ჩაწერილი ეროვნულ ანგარიშებში.

მასტრიხტის შეთანხმება

ევროკავშირში ფისკალური მონიტორინგის ქვაკუთხედს სტაბილურობისა და ზრდის პაქტი წარმოადგენს, რომელიც უფრო შემზღულდველ შეთანხმებას იყენებს. ფინანსური ინსტრუმენტები, რომელიც ვალში შედის, არის მხოლოდ F2 (ნაღდი ფული და დეპოზიტები), F3 (ობლიგაციები) და F4 (სესხები). ეს გამორიცხავს F8-ს (გადასახდელებს) F6-თან ერთად (საპენსიო ვალდებულებები), რომელზეც ადრე შევჩერდით.

მასტრიხტის ვალი ასევე იყენებს ვალის შეფასებას „სახელდებულო“ ღირებულებით, მაშინ როდესაც სხვა შეფასებები „ნომინალური“ (რაც წარმოადგენს დაგროვილი, მაგრამ გადაუხდელი პროცენტების შეტანას), ან „საბაზრო“ ღირებულებით ხდება (ობლიგაციების ხელახალი შეფასება ხდება ისე, თითქოს ისინი მეორად ბაზარზე

გაიყიდა). თუმცა, მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა იცავს ზუსტად სახელმწიფო ვალის შეფასების საკითხს საბაზრო ფასით ეროვნულ ანგარიშებში.

ცხრილში 13.3 მოცემულია ამ განსხვავებული შეთანხმებების გავლენა ვალის დონეზე სამი ქვეყნის მიხედვით. როგორც ჩანს, სურათი დრამატულად იცვლება შეთანხმებების მიხედვით. კერძოდ, კანადის მდგომარეობა უკეთესია, როდესაც შესადარ მონაცემებს იყენებს. ფაქტობრივად, *OECD's Economic Outlook*-ი არ აქვეყნებს იმ მონაცემებს, რომელიც 13.7 ნახაზზეა, რადგან თვლიან, რომ ისინი არ არის სრულიად შესადარისი.

* F7 ეას 1993-ში

წყარო: OECD (2014), "Financial Balance Sheets: Consolidated stocks, annual", OECD National Accounts Statistics (database), doi: <http://dx.doi.org/10.1787/data-00024-en>.

ცხრილი 13.3. სხვადასხვა შეთანხმების ეფექტი ვალის დონეზე

2012, მშპ-ის პროცენტი	აშშ	კანადა	საფრანგეთი
(1) ჯამური მთლიანი ვალდებულებები (ნახაზი 13.7)	122.5	109.7	109.3
(2) მთლიანი ვალი საპენსიო ვალდებულებების გამოკლებით (სტრიქონი 1 - F6)	102.1	96.1	109.3
(3) მასტრიხტის ვალი (სტრიქონი 2 - F8; სახელდებულო ღირებულებით)	94.2	72.9	90.2
(4) წმინდა ვალი საპენსიო ვალდებულებების გამოკლებით (სტრიქონი 2 - ფინანსური აქტივები)	80.0	43.6	70.3

* ეთგო-ს შეფასება აშშ-ისა და კანადისთვის.

წყარო: OECD (2014), National Accounts at a Glance: National Accounts at a Glance, OECD National Accounts Statistics (database), doi: <http://dx.doi.org/10.1787/data-00369-en>

2. ნელი ეკონომიკური გაუმჯობესება

2009 პირველ ნახევარში ღრმა ვარდნის შემდეგ განვითარებული ქვეყნების ეკონომიკებმა ისევ დაიწყეს ზრდა. თუმცა, ეს ზრდა შენელებული და არასტაბილური იყო (იხ. ცხრილი 13.1-ის ბოლო სვეტი). ვარდნიდან 4½ წლის შემდეგ, 2013 წლის მესამე კვარტალისთვის ეთგო-ს ერთობლივი მშპ 9.0%, ან წლიურად 1.9%-ით გაიზარდა.

მრავალ ევროპულ ქვეყანაში დიდი რეცესიიდან გამოსვლა შეაფერხა სუვერენული ვალის (მთავრობის მიერ გამოშვებული ობლიგაციები) კრიზისით გამოწვეულმა

ვარდნამ და მასთან დაკავშირებულმა საბანკო კრიზისმა ევროზონაში. მაგალითად, ორი წლის განმავლობაში ევროზონა თანდათან გამოდიოდა კრიზისიდან და მისი რეალური მშპ 4.0%-ით გაიზარდა 2011 წლის მესამე კვარტალისთვის, მაგრამ ამ დროს ახალი რეცესია დაატყდა თავზე ევროპას, რამაც ევროზონაში შემდგომი ექვსი კვარტალის განმავლობაში მშპ-ის შემცირება გამოიწვია 1.5%-ით. 2013 წლის პირველი კვარტალის შემდეგ, მდგომარეობა თანდათან სწორდება.

თუმცა, აგრეგატული საშუალოები მრავალფეროვან ვარიაციებს მალავს ცალკეული ქვეყნების მიხედვით. ევროზონაშიც დიდია განსხვავებები ქვეყნებს შორის. სამწუხაროდ, საბერძნეთში, ევროპის ცენტრში, უდიდესი და ხანგრძლივი რეცესია მძვინვარებს, რამაც მისი მშპ-ის 25%-იანი ვარდნა განაპირობა 2007 – 2013 წლებში. პორტუგალიის მშპ-იმ შემცირება დაიწყო 2010 წლის მეოთხე კვარტალში და 2013 წლის კვარტალისთვის თითქმის 7.0%-ით შემცირდა. იტალიის მშპ-იმ ვარდნა დაიწყო 2011 წლის მესამე კვარტალში და 2013 წლის მესამე კვარტალისთვის 4.9%-ით შემცირდა. 2013 წლის მეოთხე კვარტალისთვის იტალიის მშპ 2009 წლის მაქსიმალურ ვარდნაზე დაბლა ჩაეშვა 2.0%-ით. ესპანეთის მშპ-იმ კლება დაიწყო 2011 წლის მეორე კვარტალში და 2013 წლის მეორე კვარტალისთვის 3.3%-ით შემცირდა. 2009 წლის ვარდნის შემდეგ ესპანეთის მშპ 2013 წლის მეოთხე კვარტალისთვის კიდევ 2.3%-ით შემცირდა.

ევროპის სხვა ქვეყნებში კრიზისიდან 19 კვარტალის შემდეგ პოლონეთის მშპ 14.2%-ით გაიზარდა, ყოველწლიურმა მატებამ 2.8% შეადგინა და სლოვაკეთის რესპუბლიკაში მშპ-ის მატებამ 13.4%, ხოლო წლიურად 2.7% შეადგინა. ევროზონის უდიდესი ეკონომიკის ქვეყანაშიც, გერმანიაში, მშპ 10.5%-ით და წლიურად 2.1%-ით გაიზარდა. მეორე მხრივ, საფრანგეთის მშპ მხოლოდ 4.6%-ით (წლიური 1.0%) გაიზარდა, ნიდერლანდების მშპ მხოლოდ 2.0%-ით (წლიური 0.4%) გაიზარდა. გაერთიანებულ სამეფოშიც, რომელიც ევროზონაში არ შედის, 2011-2012 წლების სამ კვარტალში ვარდნას ჰქონდა ადგილი და 2009 წლის შემდეგ ძალიან ზომიერი მატება შეინიშნებდა 6.3%-ის ფარგლებში (წლიური 1.5%).

აღდგენის პროცესი ჩრდილოეთ ამერიკაში ნელი, მაგრამ მტკიცე იყო. აშშ-ის მშპ 11.2%-ით გაიზარდა 2009 წლის ვარდნის შემდეგ, წლიურად 2.4%-ით და მხოლოდ ერთ კვარტალში იყო ვარდნა აღნიშნული (2011 წლის პირველი კვარტალი). კანადის მშპ წლიურად 2.5%-ით გაიზარდა, მექსიკისა კი - 3.8%-ით. ჩრდილოეთ აზიაში, იაპონიაში მშპ ორჯერ დაეცა 2.4%-ით 2011 წლის პირველ ორ კვარტალში და 1.3%-ით - 2012 წლის პირველ სამ კვარტალში. მთლიანობაში, იაპონიის მშპ 9.9%-ით (წლიურად 2.0%) გაიზარდა 2013 წლისთვის. მეორე მხრივ, ამ პერიოდში კორეის მშპ

განუწყვეტლად იზრდებოდა და მატებამ 21.8%, ხოლო წლიურმა მატებამ 4.0% შეადგინა.

საბოლოო მოხმარების კომპონენტებიდან მშპ-ის ზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალა ექსპორტი გახდა. 1929 წლისგან განსხვავებით, პოლიტიკოსები აღარ ებმებიან ანტიგლობალიზაციური პოლიტიკის მახეში. ეთგო-ს მასშტაბით, რეალური ექსპორტი 28.7%-ით გაიზარდა 2009 წლის პირველი კვარტალიდან 2013 წლის მესამე კვარტალამდე, საშუალოწლიურად კი 5.8%-ით (იხ. ნახაზი 13.3). ამავე პერიოდში იმპორტი სულ 22.8%-ით, წლიურად კი 4.7%-ით გაიზარდა. ეკონომიკური აღდგენის პროცესებისგან განსხვავებით, ძალიან სუსტი იყო ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირების მდგომარეობა. მშპ-ის 2009 წლის ვარდნის შემდეგ, ძირითადი კაპიტალის რეალური მთლიანი ფორმირება მხოლოდ 6.3%-ით, ანუ წლიურად 1.4%-ით გაიზარდა და 2008 წლის პირველი კვარტალის დონეზე 7.0%-ით დაბალ ნიშნულზე დარჩა, როდესაც ეთგო-ს ქვეყნები რეცესიამდე პიკზე იმყოფებოდნენ. კერძო საბოლოო მოხმარება გაიზარდა, მაგრამ უფრო ნელა, ვიდრე მშპ (7.6%, წლიური 1.6%), რადგან ცალკეულ ქვეყნებში ისევ გაგრძელდა დელევერეჯიზაცია. აღდგენიდან პირველი ოთხი კვარტალის განმავლობაში გაიზარდა სახელმწიფო მართვის ორგანოების მოხმარების ხარჯები, თუმცა შემდეგ შემცირდა 2010 წლის მეორე კვარტალში, რამდენადაც ვალის გაზრდის გამო ქვეყნებმა ეკონომიის რეჟიმზე გადასვლა არჩიეს. 2013 წლის მესამე კვარტალისთვის სახელმწიფო მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარების ხარჯები დიდი რეცესიის დონეს მხოლოდ 2.4%-ით აღემატებოდა.

აღდგენის პერიოდში ყველაზე საკამათო სახელმწიფო ვალისა და ბიუჯეტის დეფიციტის თემები იყო. მიუხედავად მკაცრი ეკონომიის ზომების გატარებისა, რომელიც გულისხმობდა სოციალური შეღავათების შეკვეცას და გადასახადების შემცირებას, სახელმწიფო ვალი ეთგო-ს ბევრ ქვეყანაში განაგრძობდა ზრდას, რადგან ეკონომიკის გაჯანსაღების შენელებული ტემპი აფერხებდა მთავრობის შემოსავლების გაზრდას. 2009 – 2012 წლებში ვალის პროცენტული წილი მშპ-ში გაიზარდა G7-ის ქვეყნებში და გაერთიანებულ სამეფოში 29, ხოლო კანადაში 8 პროცენტი შეადგინა (იხ. ნახაზი 13.7).

3. ფინანსური კრიზისის წინაპირობა

როგორც ვნახეთ, ეროვნული ანგარიშების საშუალებით მივიღეთ სტატისტიკური ანგარიში დიდი რეცესიის და მისგან ნელი გამოსვლის შესახებ. რა დონეზე შეუძლია ეროვნულ ანგარიშებს ჩვენი ინფორმირებულობა იმ დისბალანსის შესახებ, რაც გლობალურ ფინანსურ კრიზისს იწვევს? ეს ძალიან საინტერესოა, რადგან


ანალიტიკოსების აზრით, კრიტიკული დისბალანსის იდენტიფიკაციაში ეროვნულ ანგარიშებს აქვს წარმატებებიც და წარუმატებლობაც.

ვსარგებლობთ შესაძლებლობით და ეროვნული ანგარიშების მომხმარებლებს ვახსენებთ, რომ სამწუხაროდ, ეროვნული ანგარიშებიდან საცხოვრებელზე ფასების ინდექსის პირდაპირ მოძებნა შეუძლებელია. რასაკვირველია, გადაფასება მოიცავს ძველი საცხოვრებლების ფასების ცვლილებას, მაგრამ არა ინფორმაციას მათ ძველ ღირებულებაზე. ეროვნული ანგარიშების მომხმარებლებისთვის საინტერესო იქნება იმის გაგება, რომ ბინებზე ასეთი ფასების ინდექსები შეტანილია ეროვნული ანგარიშების სტანდარტულ ცხრილებში.

აშშ-ის უძრავი ქონების „ბუშტის“ დანახვა შესაძლებელი იყო აშშ-ის ინტეგრირებული მაკროეკონომიკური ანგარიშების აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსიდან, როგორც ნაჩვენებია ნახაზზე 13.8. 2001-დან 2006 წლამდე შინამეურნეობების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება 67.6%-ით გაიზარდა.¹¹ ეს ზრდა უპირველესად გამოიწვია უძრავი ქონების გადაფასებამ გაზრდილი ფასებით, ასევე, ზრდას ხელი შეუწყო მშენებლობის მატებამაც. ასევე ცხადია უძრავი ქონების ფასების შემდგომი კრიზისიც, რამდენადაც აქტივებზე ფასები 27.4%-ით დავარდა 2006-დან 2011 წლამდე. შინამეურნეობების დავალიანების ზრდაც ცხადია, რადგან აშშ-ის შინამეურნეობები უძრავი ქონების ბუმის დროს წმინდა მსესხებლები გახდნენ. ასეთი სიტუაცია გამოვლინდა ირლანდიასა და ესპანეთშიც.

ნახაზი 13.8. შინამეურნეობების და შმაკოების უძრავი ქონების აქტივები (2001-12)

მლრდ აშშ დოლარი



წყარო: Integrated Macroeconomic accounts of the United States, table S.3.a, from Bureau of Economic Analysis, <http://www.bea.gov/national/sna.htm>.


StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144309>

პრინციპში, ეროვნულ ანგარიშებს აქვს შესაძლებლობა იგივე ამბავი მოგვითხროს სხვა ქვეყნების შემთხვევაშიც, თუმცა პრაქტიკულად მისი შესაძლებლობები შეზღუდულია მრავალ ქვეყანაში სრული სახის არაფინანსური ბალანსების უქონლობით. 2009 წელს G20-ის ფინანსთა მინისტრების და ცენტრალური ბანკების ზედამხედველობის ანგარიშში სსფ-ისა და ფინანსური სტაბილურობის საბჭოს მიერ აღნიშნული იყო, რომ „კრიზისმა გამოავლინა სექტორული და სხვა ფინანსურ-ეკონომიკურ მონაცემთა ბაზის ნაკლოვანებები“. მათი რეკომენდაციით საჭიროა „სტრატეგიის შემუშავება ფინანსური ნაკადების და სექტორული მონაცემების კომპილაციისა და გავრცელებისთვის უფრო ფართო გაგებით“.¹²

2009 წელს მაიკლ პალუმომ და ჯონათან პარკერმა საინტერესო კრიტიკა წარმოადგინეს აშშ-ის ინტეგრირებული მაკროეკონომიკური ანგარიშების ეფექტიანობის თაობაზე კრიზისამდელი დისბალანსების იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით.¹³ მათ აღმოაჩინეს, რომ ეას-ის საშუალებით სწორად იყო იდენტიფიცირებული შინამეურნეობების სექტორის გაზრდილი ლევერეჯი და სესხები, უპირველესად იპოთეკური. მათი საშუალებით აგრეთვე აღმოჩნდა, რომ სესხის თანხის საპროცენტო ურთიერთობა დაგირავებულ შეფასებულ ქონებასთან შედარებით დაბალი იყო. სხვა წყაროებიდან ისინი საქმის კურსში იყვნენ, რომ ბევრი იპოთეკური სესხი ძალიან დაბალი შენატანებით და ძალიან გაზრდილი ლევერეჯით

იწყებოდა, მაგრამ ეს ეფექტი არ იყო შესამჩნევი სესხის თანხის საპროცენტო ურთიერთობაში დაგირავებულ შეფასებულ ქონებასთან, რადგან უძრავი ქონების ფასების ზრდამ მნიშვნელოვნად გაზარდა ამ კოეფიციენტის მნიშვნელი. თუმცა, როგორც ტაკაში იამასიტამ აღნიშნა, ლევერეჯის ზრდის სხვა საზომი შეიძლება ნაკადების მონაცემებით აიგოს, კერძოდ შინამეურნეობების სექტორის იპოთეკური დავალიანების წმინდა წარმოქმნის ფარდობით საცხოვრებელი ძირითადი კაპიტალის მთლიან ფორმირებასთან, რომელიც ნაჩვენებია ნახაზზე 13.9.¹⁴ თუ იპოთეკური დავალიანება ახლად აშენებულ საცხოვრებლებზეა გათვალისწინებული, ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს ტიპური იპოთეკის წილს ახალი ბინების შექმნაში. თუმცა, აშშ-ში იპოთეკური სესხის უმეტესობის გაცემა რეფინანსირების ხარჯზე მოხდა, რაც ხშირად საშუალებას აძლევს ბინათმფლობელს, რომ გაანადღოს სესხი (ანუ რეფინანსირება უფრო მაღალი გირაოთი წინანდელთან შედარებით იმ განსხვავებით, რომ ნაღდად მოხდება გადახდა ბინათმფლობელისთვის). ეს საშუალებას აძლევს მსესხებელს, რომ დააფინანსოს სამომხმარებლო ხარჯები და ნაკლები დაზოგოს საბინაო ფასების ზრდის დროს. 2001 წელს ეს კოეფიციენტი 1.0-ს გადასცდა და უძრავი ქონების გამვირებასთან ერთად 1.4-ს გადააბიჯა 2002 – 2006 წლებში, რამდენადაც იპოთეკის ნაღდად რეფინანსირებამ საშუალება მისცა შინამეურნეობებს გაეზარდათ ხარჯები და შეემცირებინათ დანაზოგი. ამ კოეფიციენტის უჩვეულოდ მაღალი დონე იმის მანიშნებელი იყო, რომ იპოთეკური მსესხებლები ბედის ანაბარად იყვნენ მიტოვებული უძრავი ქონების ცვალებადი ფასების პირობებში. ამ პროცესმა პიკს მიაღწია 2003 წელს, რამდენადაც საცხოვრებელი კაპიტალის მთლიანი ფორმირება (კოეფიციენტის მნიშვნელი) სწრაფად გაიზარდა უძრავ ქონებაზე ფასების ზრდის შედეგად.

ნახაზი 13.9. იპოთეკური სესხის წმინდა წარმოქმნის ფარდობა საცხოვრებელი კაპიტალის მთლიან ფორმირებასთან, შინამეურნეობები და შმაკოები, აშშ (1998-2007)



წყარო: Integrated Macroeconomic accounts of the United States, table S.3.a, from Bureau of Economic Analysis, <http://www.bea.gov/national/sna.htm>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144312>

ეროვნული ანგარიშები უუნარო აღმოჩნდა იმისთვის, რომ მოეხდინა დავალიანების მქონე და სხვა ფინანსური ვალდებულებებით შებოჭილი შინამეურნეობების ქვესიმრავლეების იდენტიფიკაცია, რამაც უზიბოდა ისეთი მონაცემების შემუშავებისკენ შემოსავლების გადანაწილებასა და მოხმარებაზე, რომლებიც შესაბამისი იქნებოდა ეროვნული ანგარიშების მეტად აგრეგირებულ მონაცემებთან. ეკონომიკის მდგომარეობისა და სოციალური პროგრესის გაზომვის კომისიამ ჯოზეფ სტიგლიცის, ამარტია სენის და ჟან-პოლ ფიტუსის შემადგენლობით შეიმუშავა რეკომენდაცია, რომ უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს შემოსავლების განაწილებას, მოხმარებასა და სიმდიდრეს, ამიტომ ეთგო-მ ექსპერტთა ჯგუფი შექმნა ეროვნულ ანგარიშებში აღმოჩენილ შეუსაბამობებთან დაკავშირებით. ეს რეკომენდაცია გაიზიარა აგრეთვე სსფ-მა და ფინანსური სტაბილურობის საბჭომ G20-ის ფინანსთა მინისტრების შეკრებაზე.

პალუმბო და პარკერი ასევე კრიტიკულად აფასებდნენ აშშ-ის ინტეგრირებული მაკროეკონომიკური ანგარიშების შესაძლებლობებს ფინანსურ სექტორში შექმნილი სიმძნელების დანახვასთან დაკავშირებით.¹⁵ სახელდობრ, ისინი აღნიშნავდნენ, რომ ორმა ფაქტორმა გაართულა ეს პროცესი. პირველი, ეას-ში გამოყენებულმა აქტივების აგრეგირების მაღალმა დონემ, რაც გულისხმობს, რომ ერთმანეთისგან არ იყო გამოყოფილი სხვადასხვა სახის ობლიგაციები და გირაოთი უზრუნველყოფილი

სასესხო ობლიგაციები, რომელთაგან ზოგიერთი მაღალრისკიანი იყო ტრადიციულ კორპორაციულ ობლიგაციებთან შედარებით. მეორე, გაზრდილმა სექიურიტიზაციამ (ფასიანი ქაღალდების მოხმარების გაფართოების პროცესი ინსტრუმენტის სახით; ფულადი მოდინების გამოყენება, კონტრაქტის პირობებით გათვალისწინებული, უზრუნველყოფის სახით) შეუძლებელი გახდა მათი იდენტიფიცირება ეას-ის აგრეგირებული ფინანსური ანგარიშიდან და აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსის მონაცემებიდან. მეორე, ფინანსური კორპორაციების აგრეგირებამ გაართულა მაღალი ლევერეჯის მქონე ფინანსური ინსტიტუციების იდენტიფიკაცია, როგორცაა საინვესტიციო ბანკები, ბროკერები/დილერები და აშშ-ში მთავრობის მიერ დაფინანსებული საწარმოები, როგორცაა Fannie Mae და Freddie Mac. იმის გამო, რომ ფინანსური ინსტიტუციების სექტორში გაერთიანებულია როგორც მაღალი, ისე დაბალი ლევერეჯის მქონე ინსტიტუციები, როგორცაა ურთიერთფონდები, საპენსიო ფონდები და სადაზღვევო კომპანიები, მთლიანობაში ფინანსურ სექტორში მხოლოდ ზომიერი ზრდა გამოჩნდა აქტივების და ვალდებულებების ბალანსის ლევერეჯში საკრედიტო ბუმის პირობებში.

გარკვეულწილად აგრეგირების პრობლემა ეას-ში უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტების დაყოფას ქვესექტორებად. ამის გარდა, სსფ-სა და ფინანსური სტაბილურობის საბჭოს მიერ შემუშავდა რეკომენდაციები რისკების უკეთესი მონიტორინგისა და ინფორმაციის გაზიარების მიზნით. მიუხედავად ამისა, აგრეგატული ინფორმაცია ყოველთვის კრიტიკას იმსახურებს, რადგან მასში შენიღბულია მნიშვნელოვანი რისკები, რაც იმას ნიშნავს, რომ მაკროეკონომიკური სტატისტიკა სრულად ვერ შეცვლის ინსტიტუციური და სპეციფიკური რისკების მატარებელი აქტივების მონიტორინგს. გრძელდება მუშაობა რისკების გაუმჯობესებულ შეფასებაზე და ამ საზომების ინტეგრირებაზე ეას-ში.¹⁶

სხვა შეუსაბამობები, რომელიც შედარებით დიდ ყურადღებას იმსახურებს, არის საგარეო ბალანსების შეჯამება მიმდინარე და ფინანსურ ანგარიშებში. ზოგიერთი ქვეყანა, მაგალითად, აშშ, ესპანეთი და ირლანდია, რომელთაც გამოსცადეს საცხოვრებელზე ფასების ზრდა, მნიშვნელოვანი წმინდა მსესხებლები გახდნენ დიდი რეცესიის დადგომამდე. ასევე აღსანიშნავია, რომ შედარებით ღირები ქვეყნები, სადაც მიმდინარე თუ ფინანსურ ბალანსებში ასეთი გარღვევები არ დაფიქსირდა, მაგალითად, პოლონეთში, იმ პერიოდში წმინდა მსესხებლები იყვნენ.

დასასრულ, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულმა ანგარიშებმა ვერ გამოავლინა ყველა დისბალანსი, რაც განვითარდა 2000-იან წლებში ფინანსური კრიზისისა და დიდი რეცესიის წინ, ის მაინც ძალიან სასარგებლო გამოდგა რიგი მნიშვნელოვანი შეუსაბამობების გამოვლენაში. ამის გარდა, გრძელდება G20-ის ინიციატივაზე

მუშაობა მონაცემების შევსებასთან დაკავშირებით, რაც გააუმჯობესებს ეას-ის შესაძლებლობებს განაწილებასა და რისკზე ინფორმაციის დამატებით. გარდა ამისა, დიდი რეცესიის შემდეგ ეკონომიკურ საქმიანობაზე, შემოსავლებზე, დანაზოგებზე და აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსებზე თვალის გასადევნებლად და დასაკვირვებლად ეას-ი შეუცვლელი იყო.

შენიშვნები

1. იხ. Isidore, 2007 და Bernanke, 2007.
2. იხ. Federal Reserve Bank of St. Louis, 2008 და Johnson, 2008.
3. მაგალითად, Schiller, 2008; Reinhart and Rogoff, 2009; Lowenstein, 2010; Johnson and Kwok, 2010; Lewis, 2011; Rajan, 2011; Gorton, 2012.
4. თუ სხვა წყარო არ არის მითითებული, ამ თავში მოტანილი ყველა სტატისტიკური მონაცემი აღებულია ეთგო-ს Stat Extracts database-იდან და მათი უმეტესობა 2014 წლის 24 თებერვლის მდგომარეობას ასახავს.
5. წყარო: Australian bureau of statistics (2013): Australian system of National Accounts, <http://www.abs.gov.au/AUSSTATS/abs@.nsf/DetailsPage/5204.02012-13?OpenDocument>.
6. ამ ქვეთავში მონაცემები მოტანილია ეროვნული ანგარიშების მონაცემთა ბაზიდან Eurostat-ისა და Bureau of Economic Analysis-ის ვებ გვერდებიდან.
7. მაგალითად, იხ. Mankiw (2003), pp. 242-245.
8. წყარო: ეროვნულ ანგარიშთა მონაცემთა ბაზა, NIPA ცხრილი 1.8.6, Bureau of Economic Analysis-ის ვებ გვერდი.
9. მაგალითად, იხ. Hamilton, 2009: 215-261.
10. მაგალითად, იხ. Mian and al, 2010: 74-11 6 and Dynan, 2012: 299-34 4.
11. წყარო: აშშ-ის ინტეგრირებული ეროვნული ანგარიშები, ცხრილი S.3.a, Bureau of Economic Analysis-ის ვებ გვერდი.
12. იხ. IMF and al., 2009.
13. იხ. Palumbo and al. 2009: 80-86 ; Eichner and al. 2010.
14. იხ. Yamashita, 2013.
15. იხ. Palumbo and al. 2009b. 80-86.
16. იხ. Hulten and al., forthcoming.

ბიბლიოგრაფია

- Australian bureau of statistics (2013): Australian system of National Accounts, <http://www.abs.gov.au/AUSSTATS/abs@.nsf/DetailsPage/5204.02012-13?OpenDocument>.
- Bernanke, B. S (2007), “The Subprime Mortgage Market”, speech given at Federal Reserve Bank of Chicago’s 43rd Annual Conference on Bank Structure and Competition (May 17).
- Dynan, K. E. (2012), “Is a Household Debt Overhang Holding Back Consumption?” Brookings Papers on Economic Activity (Spring).
- Eichner, M. J., Donald, L.K, and. Palumbo, M. G, “Financial Statistics for the United States and the Crisis: What Did They Get Right, What Did They Miss, and How Should They Change?” paper presented at Fifth ECB Conference on Central Bank Statistics, Frankfurt, April 22-12 , 2010.
- Federal Reserve Bank of St. Louis (2008), “The Financial Crisis: A Timeline of Events and Policy Actions”; Martin Neal Baily, Robert E. Litan.
- FRED (Federal Reserve Economic Data), Federal Reserve Bank of St. Louis, <http://research.stlouisfed.org/>.
- Gorton, G. B. (2012), Misunderstanding Financial Crises: Why We Don’t See Them Coming, Oxford University Press, NewYork.
- Hamilton, J. D. (2009), “Causes and Consequences of the Oil Shock of 2007-08”, Brookings Papers on Economic Activity (Spring).
- Hood, K. K. (2013), “Measuring the Services of Commercial Banks in the National Income and Product Accounts: Changes in Concepts and Methods in the 2013 Comprehensive Revision”, Survey of Current Business, 93, No. 2 (February), 8-19.
- Hulten, C., Palumbo, M. and Reinsdorf, M. (forthcoming), Wealth, Financial Intermediation, and the Real Economy, NBER Book Series, Studies in Income and Wealth, conference held November 12-13 , 2010.
- IMF staff and the Financial Stability Board Secretariat (2009), “The Financial Crisis and Information Gaps”, Report to the G20 finance ministers and central bank governors (October 29).
- Integrated Macroeconomic accounts of the United States, table S.3.a, from Bureau of Economic Analysis, <http://www.bea.gov/national/sna.htm>.
- Isidore, C. (2007), “SubprimeWoes: How Far, HowWide?” CNNMoney (March 5).
- Johnson, M.S (2008), “The Origins of the Financial Crisis”, Brookings Institution, Fixing Finance Series – Paper 3 (November).

Johnson, S. and Kwok, J. (2010), *13 Bankers: The Wall Street Takeover and the Next Financial Meltdown*, Vintage Books, New York.

Lewis, M. (2011), *The Big Short: Inside the Doomsday Machine*, W.W. Norton & Company, New York.

Lowenstein, R. (2010), *The End of Wall Street*, Penguin Press, New York.

Mankiw, N. G. (2003), *Macroeconomics*, Worth Publishers, New York.

Mian Atif and Sufi Amir (2010), "Household Leverage and the Recession of 2007-2009", *IMF Economic Review*, 51, No. 1 (April).

OECD (2012a), "Quarterly National Accounts", OECD National Accounts Statistics (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00017-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00017-en).

OECD (2010b), "National Accounts at a Glance: National Accounts at a Glance", OECD National Accounts Statistics (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00369-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00369-en).

OECD (2010c), "Financial Balance Sheets: Consolidated stocks, annual", OECD National Accounts Statistics (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00024-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00024-en).

Palumbo, M. G. and Jonathan A. Parker (2009), "The Integrated Financial and Real System of National Accounts for the United States: Does It Presage the Financial Crisis?", *American Economic Review: Papers & Proceedings*, 99, No. 2; <http://www.aeaweb.org/articles.php?doi=10.1257/aer.99.2.80>.

Rajan Raghuram G. (2011), *Fault Lines: How Hidden Fractures Still Threaten the World Economy*, Princeton University Press, Princeton.

Reinhart, C.M. and Rogoff, K.S. (2009), *This Time Is Different: Eight Centuries of Financial Folly*, Princeton University Press, Princeton.

Shiller, R. (2008), *The Subprime Solution: How Today's Global Financial Crisis Happened and What to Do about It*, Princeton University Press, Princeton.

US Bureau of Economic Analysis, "Federal recovery programs and BEA statistics", <http://www.bea.gov/recovery/>.

Yamashita, T. (2013), "A Guide to the Integrated Macroeconomic Accounts", *Survey of Current Business*, 93, No. 4 (April), 12-26.

თავი 14

ეროვნულ ანგარიშთა საერთაშორისო სისტემები: წარსული და მომავალი

ამ თავში წარმოდგენილია ეროვნულ ანგარიშთა სისტემების ისტორია მე-17 საუკუნიდან დღემდე. ადრეული ანგარიშების მიმოხილვის შემდეგ სიღრმისულად არის განხილული 1953, 1968, 1993 და 2008 წლის ეროვნულ ანგარიშთა სისტემები (ეას-ები). აქ აგრეთვე მიმოხილულია 1995 და 2010 წლების ანგარიშთა ევროპული სისტემები (აეს). ორივე შემთხვევაში ნათლად არის წარმოდგენილი ის ცვლილებები, რასაც ადგილი ჰქონდა ეას-ისა და აეს-ის განვითარების პროცესში, განსაკუთრებით კი - ეას 2000/აეს 2010-ში.

ეროვნული ანგარიშების ისტორიის შესწავლას უკანასკნელ პერიოდში ოთხი მნიშვნელოვანი ნაშრომი მიეძღვნა. 1993 წლის ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შესავალში აღწერილია 1953, 1968 და 1993 წლების ვერსიების განვითარების ეტაპები. ფრანგი ექსპერტის, ანდრე ვანოლის ნაშრომში შთამბეჭდავად არის გადმოცემული ეროვნულ ანგარიშთა ისტორია [*A History of National Accounts* (Vanoli, 2005)]. მსოფლიო ეკონომიკის შესავალში ანგუს მედისონი [*The World Economy: Historical Statistics* (OECD, 2003)] გვაცნობს ეროვნული შემოსავლის გაზომვის ადრეულ ცდებს. ეროვნული ანგარიშების კავშირი ბუღალტერიასთან და ორმაგ ჩაწერასთან ვენეციელი ვაჭრების ოქროს ხანაში კარგად გადმოსცა გლისონ-უაიტმა (Gleeson-White, 2011). შემდეგი ქვეთავი კი მედისონის ნაშრომს ეყრდნობა.

1. როგორ იწყებოდა ისტორია...

ისტორიულად, ეროვნული ანგარიშების განვითარებას მთავარი იმპულსი ომებმა და საომარმა ვითარებამ მისცა. მას განიხილავდნენ როგორც რაოდენობრივ სქემას, რომელიც დაეხმარებოდა ქვეყანას ეროვნული რესურსების მობილიზაციასა და მიღებული ზარალის გამოსწორებაში. პირველი ეროვნული ანგარიშები შეიმუშავა უილიამ პეტიმ მე-17 საუკუნეში. მის მიერ გამოქვეყნებული *Verbum Sapiencia* (1665) მიზნად ისახავდა ეროვნული ანგარიშების შედგენას ინგლისისა და უელსისთვის, რათა რესურსების მობილიზება მოეხდინათ ინგლის-ჰოლანდიის ომის დროს 1664-1667 წლებში. 1694 წელს ჩარლზ დავენანტმა გამოაქვეყნა დაუმუშავებელი ეროვნული ანგარიშები ესეისტურ ნაშრომში „*Essay upon Ways and Means of Supplying the War*“, რომელიც მიეძღვნა აუგსბურგის ლიგის ომს 1668-1697 წლებში, რამაც უზიდა მის მეგობარს, გრეგორი კინგს გამოექვეყნებინა უფრო დეტალური ეკონომიკური და დემოგრაფიული ხასიათის ანგარიშები ნაშრომში: „*Natural and Physical Observations and Conclusions on the State and Condition of England* (1696)“. 1707 წელს გამოქვეყნდა სებასტიან დე ვოზანის მიერ შეფასებული საფრანგეთის ეროვნული შემოსავალი. მისი ინტერესი ამ საკითხისადმი დაკავშირებული იყო ვოზანის გამოცდილებასთან, რომელიც მან საფრანგეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში საბრძოლო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისა და გამაგრებისთვის რესურსების მობილიზაციით მიიღო.

2. ...პირველ თანამედროვე ანგარიშებამდე

გადმოვინაცვლოთ რამდენიმე საუკუნით თანამედროვე ერამდე, ეროვნული შემოსავლის პირველი ოფიციალური სტატისტიკა გამოქვეყნდა აშშ-ში (1934) საიმონ კუზნეცის მიერ (ნობელის პრემია, 1971) და გაერთიანებულ სამეფოში (1941) რიჩარდ სტოუნის მიერ (ნობელის პრემია, 1984). ამ შემთხვევაშიც მთავარი მოტივაცია იყო

ომში რესურსების მობილიზაციისა და მშვიდობის დროს რეკონსტრუქციის მიზნით რაოდენობრივი სქემის შემუშავება.

1947 წელს რიჩარდ სტოუნმა ერთა ლიგის ეროვნული შემოსავლის ქვეკომიტეტისთვის დაწერა ანგარიში: „*Definition and measurement of the national income and related totals*“, რაც პირველი ნაბიჯი იყო ანგარიშთა საერთაშორისო სისტემისკენ. შემდეგ სტოუნი მიიწვიეს ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში (შემდგომში ეთგო) რათა ეროვნულ ანგარიშთა ისეთი სისტემა შეემუშავებინა, რომელიც მარშალის გეგმის მიხედვით ევროპის ქვეყნების ომისშემდგომი განვითარების კონტროლის საშუალებას შექმნიდა. მარშალი აშშ-ის სახელმწიფო მდივანი იყო, რომელმაც ამომწურავი გეგმა შეიმუშავა მეორე მსოფლიო ომით დაზარალებული ევროპის ქვეყნებისა და კანადის ფინანსური დახმარების მიზნით. სტოუნის მიერ გაწეული სამუშაოს შედეგად შეიქმნა *ეროვნული ანგარიშების სტანდარტული სისტემა*, რომელიც ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ 1952 წელს გამოქვეყნდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო პირველი საერთაშორისო სისტემა. მომდევნო წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ანგარიშების განახლებული ვერსია, როგორც *ეროვნულ ანგარიშთა სისტემა და თანმხლები ცხრილები*. სწორედ ეს გახლდათ ქვემოთ განხილული 1953 წლის ეას-ი.

3. 1953 წლის ეას-ი

1953 წლის ეას-ის ავტორი, რიჩარდ სტოუნი აღნიშნავდა, რომ ის მიზნად ისახავდა ეკონომიკის რაოდენობრივ ასახვას ოთხი მიმართულებით:

1. ეროვნული შემოსავლის გაზომვა;
2. დანახარჯები-გამოშვების ცხრილების აგება;
3. ფულადი ნაკადების მოძრაობის ანალიზი და
4. აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსების აგება.

სტოუნი ხედავდა, ეს ოთხი მიმართულება იმდენად ახლოს იყო ერთმანეთთან, რომ საბოლოოდ შეიძლებოდა მათი გაერთიანება ერთ სისტემაში. თუმცა, 1953 წლის ეას-ი მხოლოდ პირველი მიმართულებით შემოფარგლა. ავტორების აზრით, შემდეგი ნაკლოვანება შეეხებოდა ცხრილებში მონაცემების ასახვას მიმდინარე და არა მუდმივ ფასებში, რაც სამომავლო განვითარების სფეროდ დასახელდა.

1953 წლის ეას-ი წარმოდგენილი იყო ექვსი მარტივი ანგარიშით: მშპ-ის საბოლოო მოხმარება; ეროვნული შემოსავალი; შიდა კაპიტალის ფორმირება; განკარგვადი შემოსავალი და შინამეურნეობებისა და მთავრობის წმინდა სესხება; და საგარეო

ანგარიში. ამ ანგარიშებს ახლდა სტანდარტული ცხრილები, რომელიც ქვეყნებს უნდა გამოეყენებინათ გაერო-ში წარსადგენად. გარდა საბაზისო საანგარიშო ურთიერთკავშირებისა, რომელიც არსებითად დღესაც უცვლელად დარჩა, 1953 წლის ვერსიაში საკამათო მუხლებიც იყო. მაგალითად:

- წარმოების საზღვრებში გათვალისწინებული იყო ორი სახის საკუთარი წარმოების პროდუქცია: ფერმების ნატურალური პროდუქცია და ბინათმფლობელების მიერ გაწეული კომუნალური მომსახურება. დანარჩენი მომსახურება შინამეურნეობის შიგნით - საკვების მომზადება, დასუფთავება და ბავშვების მოვლა - გამორიცხული იყო წარმოების საზღვრებიდან.
- კანონიერ და არაკანონიერ წარმოებას შორის განსხვავება არ იყო. რადგან საქონელი და მომსახურება დაინტერესებული მწარმოებლების მიერ დაინტერესებულ მყიდველებზე იყიდებოდა, ასეთი საქმიანობა მწარმოებლურად იყო მიჩნეული. ამ ადრეული რეკომენდაციის მიუხედავად, დღესაც, ეთგო-ს ყველა ქვეყანას არ შეაქვს უკანონო საქმიანობის სრული შეფასება მშპ-ში.
- მთავრობა განიხილებოდა როგორც მწარმოებელი, თუმცა, იმის გამო, რომ მისი მომსახურება არ იყიდებოდა, გამოშვების შეფასება წარმოების დანახარჯებით ხდებოდა - მომუშავეთა შრომის ანაზღაურება, შუალედური მოხმარება და ძირითადი კაპიტალის მოხმარება. ასეთივე მიდგომა იყო გამოყენებული შმაკოების მიმართაც. მიუხედავად ამისა, ეს მიდგომა ერთბაშად არ იყო გაზიარებული ყველა ქვეყნის მიერ. მაგალითად, საფრანგეთმა თავის ანგარიშებში მთავრობა მხოლოდ 1976 წელს შეიტანა.
- კაპიტალის ფორმირება განხილული იყო როგორც დანახარჯები ფიზიკურ ობიექტებზე - შენობებზე, მანქანა-მოწყობილობებზე, გზებზე - რომელიც მრავალი წლის განმავლობაში უწევს მომსახურებას საწარმოო პროცესს. სხვა ტიპის ხარჯები, რომელიც მომავალშიც გაუწევდა მომსახურებას წარმოებას, მაგრამ არამატერიალური იყო - რეკლამა და კვლევები და განვითარება - განიხილებოდა როგორც მიმდინარე მოხმარება. კაპიტალის ფორმირებიდან ასევე გამოირიცხებოდა განათლებასა და ჰუმანურ კაპიტალში ჩადებული ინვესტიციები „რადგან ადამიანები არ არიან კაპიტალური აქტივები“.

ეას-ის 1953 წლის ვერსიის გამოქვეყნებიდან ათი წლის მანძილზე სამოცამდე ქვეყანამ რეგულარულად დაიწყო გარკვეული სახის ეროვნული ანგარიშების გამოქვეყნება. ეთგო-ს უმეტესი ქვეყნები სრულად ავსებდნენ ეას-ის თანამდე ცხრილებს, ხოლო დანარჩენი ქვეყნები მხოლოდ მშპ-ის შეფასებებს აქვეყნებდნენ სხვადასხვა დარგების დამატებული ღირებულებების დაჯამების გზით და საბოლოო ხარჯების მიხედვით.

ამ მარტივი ეროვნული ანგარიშებითაც ნათლად გამოჩნდა, თუ რა მნიშვნელოვანი იყო მისი წარმოება ქვეყნის ფისკალური და მონეტარული პოლიტიკისა და ეკონომიკური განვითარების მონიტორინგისთვის. ეროვნული ანგარიშები სულ უფრო მეტად გამოიყენებოდა ეკონომიკური სტატისტიკის, როგორცაა სამრეწველო წარმოების ინდექსები, ფასების სტატისტიკა, საცალო გაყიდვები და სამუშაო ძალის სტატისტიკა, შემაჯამებელი სქემის სახით. ეას-ის 1953 წლის ვერსიის განმარტებები და კლასიფიკაციები ამ დაკავშირებულ სფეროებშიც გამოიყენებოდა.

4. 1968 წლის ეას-ი

1960-იანი წლების დასაწყისში ეროვნულ მოანგარიშებს შორის მომწიფდა აზრი იმის შესახებ, რომ საჭირო იყო 1953 წლის ვერსიის განახლება. სახელდობრ, დანახარჯები-გამოშვების ცხრილების (მაგალითად, საფრანგეთსა და ნიდერლანდებში), ფულადი ნაკადების მოძრაობის (გაერთიანებულ სამეფოში) და აქტივების და ვალდებულებების ბალანსების (აშშ-ში). ამასთან, ეთგო-ს უმეტეს ქვეყნებში უკვე ქვეყნდებოდა ანგარიშები უცვლელ ფასებში და უფრო დეტალური სახით, ვიდრე ეს 1953 წლის ვერსიით იყო შეთავაზებული.

ასევე ცვლილება განიცადა ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებამაც. მას შემდეგ, რაც ეროვნული ანგარიშების გამოყენების საფუძველზე პოლიტიკოსებს საშუალება მიეცათ გაეცნობიერებინათ წარსული სიტუაცია და პროგნოზების საშუალებით დაენახათ სამომავლო ტრენდები, მათ აქტიურად დაიწყეს მუშაობა ეკონომიკური განვითარების სამომავლო კურსის შესახებ. ინდოეთსა და ეგვიპტეში დეტალურად გაწერილი ხუთწლიანი გეგმები შემუშავდა, ხოლო საფრანგეთმა სხვა დასავლურ ევროპულ ქვეყნებთან ერთად უფრო სუსტი „ინდიკატორული დაგეგმვა“ აირჩია. ახალი სისტემის შემუშავება დაკავშირებული იყო ეკონომიკური დაგეგმვის გაზრდილ ინტერესთან.

თუ 1953 წლის ეას-ი 46 გვერდზე იყო აღწერილი, ხოლო ანგარიშები მხოლოდ 2 გვერდს მოიცავდა, 1968 წლის ვერსია (*A System of National Accounts*, United Nations, 1968) უკვე 250 გვერდზე იყო წარმოდგენილი და ანგარიშები 12 გვერდს იკავებდა. ტრანსაქციების უფრო დეტალურ აღწერასთან ერთად გამოყენებული იყო დანახარჯები-გამოშვების ცხრილები, აქტივ-პასივების ბალანსები და ასევე გარკვეული ინოვაციები (იხ. ჩანართი 14.1). ახალ ვერსიაში იგივე დარჩა ბუღალტრული ტოლობები, წარმოების საზღვრები და განსხვავება კაპიტალის ფორმირებასა და მიმდინარე ხარჯებს შორის.

ჩანართი 14.1.რა იყო ახალი 1968 წლის ეროვნულ ანგარიშებში?

- მონეტარულ ტრანსაქციებში მონაწილე ყველა ერთეული დაჯგუფდა **ინსტიტუციურ სექტორებში**. 1953 წლის ეას-ში მხოლოდ შინამეურნეობები და მთავრობა იყო გამოყოფილი. 1968 წლის ვერსიაში კორპორაციები დაიყო ფინანსურად და არაფინანსურად, ხოლო შმაკოები ცალკე სექტორად გამოიყო.
- გაფართოვდა ინსტიტუციური სექტორების ანგარიშების ჩამონათვალი: წარმოების ანგარიში; შემოსავლების და ხარჯების ანგარიში დამაბალანსებელი მუხლით - დანაზოგი; კაპიტალის ანგარიში დამაბალანსებელი მუხლით - წმინდა სესხება; და ფინანსური ანგარიში, რომელშიც აისახება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მუხლები.
- ერთმანეთისგან გაიმიჯნა **საბაზრო და არასაბაზრო მწარმოებლები**. საბაზროს მიეკუთვნებიან ის „დარგები“, რომლებიც საქონელსა და მომსახურებას მოგების მიზნით ყიდნიან, ხოლო არასაბაზროს - „დანარჩენი მწარმოებლები“ - მთავრობა და არაკომერციული ორგანიზაციები, რომლებიც საქონელსა და მომსახურებას უფასოდ ან მინიმალურ ფასებში აწვდიან. ასეთივე განსხვავება გაკეთდა „საქონელსა“ (რომელიც მოგების მიზნით იყიდება) და „სხვა საქონელსა და მომსახურებას“ შორის.
- მთლიანი თავი მიედღვნა შედარებებს მოცულობისა და ფასის მიხედვით, ანუ ანგარიშების ასახვას **მუდმივ ფასებში**. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულმა მონაგარიშებმა და ფასების სტატისტიკოსებმა აღნიშნულის საფუძველზე გარკვეული პრაქტიკული მითითებები მიიღეს, დისკუსია ძირითადად თეორიული იყო. მნიშვნელოვანი შედეგი იყო მუდმივ ფასებში გაზომვის საზღვრების დაწესება. მუდმივ ფასებში საბოლოო ხარჯების გადაყვანა შესაძლებელია შესაბამისი ფასების ინდექსის გამოყენებით, დეფლატორების გზით. რაც შეეხება დამატებული ღირებულების გადაყვანას მუდმივ ფასებში, აქ გამოყენებული იყო ირლანდიის სტატისტიკის სამსახურის შეთავაზება, რაც ითვალისწინებს მთლიანი გამოშვებისა და შუალედური მოხმარების ცალ-ცალკე გადაყვანას მუდმივ ფასებში შესაბამისი ფასების ინდექსებით და შემდეგ მათ სხვაობას. ამ შემთხვევაში ორივე მონაწილე მუხლის გადაყვანა მუდმივ ფასებში შეიძლება, რადგან შესაძლებელია საბაზისო ნაკადების დეკომპოზიცია ფასისა და ფიზიკური მოცულობის მიხედვით. ანგარიშების სხვა მუხლების - მომუშავეთა შრომის ანაზღაურების, საკუთრებიდან მიღებული შემოსავლის, გადასახადების, საოპერაციო მოგებისა და ა.შ. -

დაყოფა ამ გზით შეუძლებელია. ისინი უნდა გამოისახოს მუდმივი მსყიდველობითუნარიანობით ანუ საქონლისა და მომსახურების ფიქსირებული კალათიდან რისი ყიდვაც შესაძლებელი მიმდინარე ხელფასით წინა წელთან შედარებით - მაგრამ, მუდმივი მსყიდველობითუნარიანობა მუდმივი ფასებისგან განსხვავებული კონცეფციაა.

- 1968 წლის ეას-ი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ეროვნული ეკონომიკის გაზომვის ოთხი მიდგომის ინტეგრაციაში, რაც სტოუნმა 1953 წელს განსაზღვრა. მოხდა **დანახარჯები-გამომწვების ცხრილების ინტეგრირება წარმოების ანგარიშში**; ფინანსურ ანგარიშში გაერთიანდა ფულადი ნაკადების ცხრილები ტრანსაქციების ორივე მონაწილე მხარის სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტებით; ახსნილი იყო ბმა (ნაწილობრივ) **აქტივებისა და პასივების ბალანსის** გახსნასა და დახურვას შორის და წლის განმავლობაში გატარებულ ტრანსაქციებს შორის.

5. 1993 წლის ეას-ი

1968 წლის ვერსია წინადადებული ნაბიჯი იყო მაკროეკონომიკური გაზომვების მიმართულებით, მაგრამ ვერცერთი სისტემა ვერ დარჩება მუდმივად რელევანტური. ეკონომიკების განვითარებასთან ერთად, ანგარიშების საერთაშორისო სისტემამ ახალი რეალობა უნდა ასახოს. 1968 წლის ვერსიის განახლებაზე გადაწყვეტილება ადრეულ 1980-იანებში მიიღეს, რაშიც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ეთგო-ს მიერ გამართულმა შეხვედრამ და ორწლიანმა კონფერენციებმა შემოსავლისა და სიმდიდრის კვლევაზე. ეს მასალები შეგიძლიათ იხილოთ ეთგო-ს ვებგვერდის არქივში.

1953 წლის ეას-ი ხუთი ადამიანის მიერ იყო დაწერილი, ხოლო 1968 წლის - დაახლოებით 15-ის მიერ. რაც შეეხება 1993 წლის ეას-ს, მისი შემუშავების პროცესში 50-ზე მეტი სტატისტიკოსი და ეკონომისტი იყო ჩართული. ამასთან ამ პროცესში ჩართული იყო საერთაშორისო სააგენტოების ფართო ჯგუფიც. პირველი ორი ვერსია გაერთიანებული ერების ეგიდით გამოვიდა, ხოლო 1993 წელს ეს იყო ეთგო-ს, ევროსტატის, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთობლივი პუბლიკაცია. კონსულტაციებში მონაწილეობა მიიღეს შრომის საერთაშორისო ოფისმა, გაერო-ს რეგიონულმა კომისიებმა და დსთ-მ.

ახალ ვერსიაზე მუშაობა უკვე დაწყებული იყო, როდესაც 1993 წლის ეას-ის საერთაშორისო მისწრაფებებმა ახალი ბიძგი მიიღო ბერლინის კედლის დანგრევით. სოციალისტური ბანაკის ქვეყნები ადრე ეროვნული ანგარიშების საკუთარ სისტემას,

სახალხო მეურნეობის ბალანსს იყენებდა, 1990-იანების დასაწყისში კი მათ განაცხადეს, რომ სურდათ ეას-ს მიერთებოდნენ. ამ ქვეყნებს მიბაძა ჩინეთმა, მონღოლეთმა და ვიეტნამმა. ახლა მხოლოდ ორი ქვეყანა დარჩა, კუბა და ჩრდილოეთ კორეა, რომელსაც არ დაუნერგავს 1993 წლის ეას-ი.

1993 წლის ეროვნულ ანგარიშთა სისტემა სრულ შესაბამისობაშია ეთგო-ს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და საერთაშორისო სავალუტო ფონდის საგადამხდელო ბალანსისა და საჯარო ფინანსების სტატისტიკის მითითებებთან. ცხადია, რომ ეს დიდი უპირატესობაა როგორც მომხმარებლების, ისე ეროვნული სტატისტიკური სამსახურებისთვის. ამ ვერსიაში უფრო დეტალურად არ მოცემული ისეთი საკითხები, რომლებიც მთელ რიგ ქვეყნებს სიძნელეებს უქმნიდა: დაზღვევის ტრანსაქციები; ბანკების იმპუტირებული მომსახურების საფასური (FISIM); განსხვავება ფინანსურ და საოპერაციო ლიზინგს შორის და ძირითადი კაპიტალის მოხმარება. ამასთან, ცალკე თავები ეთმობა სატელიტურ ანგარიშებს და სოციალური აღრიცხვის მატრიცებს, ე.წ. “SAMs”. ამის გამო, 1993 წლის ეას-ი 700 გვერდიანია. ჩანართში 14.2 მოტანილია ძირითადი სიახლეები.

ჩანართი 14.2. რა იყო ახალი 1993 წლის ეროვნულ ანგარიშებში?

- აქტივებისა და პასივების ბალანსები სრულად არის ჩართული სისტემაში. აქტივების მარაგებში ჩადებისა და ამოღების კავშირისათვის ნაკადების ტრანსაქციებთან საჭიროა არა მხოლოდ გადაფასების ანგარიში (რომელიც 1968 წლის ვერსიაში იყო), არამედ დამატებითი ანგარიშიც, სადაც ჩაიწერება აქტივების ფიზიკური მოცულობის ცვლილება. ეს შეიძლება გამოიწვიოს სასარგებლო წიაღისეულის ახალიმარაგების აღმოჩენამ, კულტივირებული ტყის მასივების ბუნებრივმა ზრდამ და ბუნებრივმა კატასტროფებმა ან ნავთობის მარაგების ამოწურვამ და ა.შ. ყოველივე აღნიშნული აისახება „აქტივების მოცულობის სხვა ცვლილებების ანგარიშში“.
- 1968 წლის ეას-ში ინსტიტუციური სექტორებისთვის ოთხი ანგარიში იყო, 1993 წელს კი - თექვსმეტი. ძირითადად მოხდა 1968 წლის ანგარიშების ფრაგმენტაცია. მაგალითად, შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშები ექვს დამოუკიდებელ ანგარიშად დაიყო და მოხდა ახალი დამაბალანსებელი მუხლების იდენტიფიკაცია ეკონომიკური ანალიზის გაუმჯობესების მიზნით.
- წინა სისტემებში ნაჩვენები იყო, რომ მთავრობა თვითონ მოიხმარდა საკუთარ გამოშვებას. 1993 წლის ვერსიაში ერთმანეთისგან განსხვავებულია მთავრობის მიერ შინამეურნეობებისთვის გაწეული ინდივიდუალური მომსახურება (ჯანდაცვა, განათლება) და კოლექტიური მომსახურება (თავდაცვა,

უსაფრთხოება). რამდენადაც მთავრობა იხდის როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური მომსახურების წარმოების საფასურს, უკანასკნელი განიხილება როგორც შინამეურნეობების მიერ რეალურად მოხმარებული. ამ ვერსიაში შემოვიდა ახალი კონცეფცია შინამეურნეობების რეალური ინდივიდუალური მოხმარების შესახებ, რაც მოიცავს მთავრობის მიერ უზრუნველყოფილ საქონელსა და მომსახურებას პლუს შინამეურნეობების მიერ საკუთარი ფულით ნაყიდი საქონელი და მომსახურება.

- მოცულობების შეფასებას უფრო დიდი მნიშვნელობა მიენიჭა. უკანასკნელი კვლევების საფუძველზე ფასების ინფლაციის შესწავლაში პირველი პრიორიტეტი მიენიჭა ფიშერის ჯაჭვურ ინდექსებს, ხოლო შემდეგი - ლასპეირესის ჯაჭვურ ინდექსებს.
- გაფართოვდა აქტივების საზღვრები და მის შემადგენლობაში შევიდა სასარგებლო წიაღისეულის მოძიებაზე და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებაზე გაწეული დანახარჯები, ასევე ხელოვნების ნიმუშების ორიგინალები და ფასეულობები. წინა ვერსიებში პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები მიმდინარე ხარჯებად აღიქმებოდა (უმნიშვნელო იყო 1970-იანებამდე). 1993 წლიდან ეს ხარჯები უკვე კაპიტალის ფორმირებაში შედის. სამთო-მოპოვებითი კომპანიები საძიებო სამუშაოების ხარჯებს კაპიტალურ ხარჯებში ატარებდნენ, 1993 წლიდან კი ეს მოსაზრება ეას-შიც იყო გათვალისწინებული. დაიმახსოვრეთ, რომ საძიებო ხარჯები, იმის მიუხედავად, მოჰყვება თუ არა მას წარმატება, მაინც კაპიტალური ხარჯებია. ხელოვნების ნიმუშების ორიგინალები, როგორცაა ფილმები, ხმოვანი ჩანაწერები, ხელნაწერები და ა.შ. შემდგომში შეიძლება შემოსავლის წყარო გახდეს, მაგალითად, როიალტის სახით. ფასეულობები წარმოადგენილია ძვირფასი ქვებით, ლითონებით, ანტიკვარიატითა და ხელოვნების ნიმუშებით, რომლებიც წარმოადგენენ „ღირებულების მარაგს“. წინა სისტემებში უმეტესი ხარჯები ფასეულობებზე შინამეურნეობების მოხმარების ხარჯებში შედიოდა.

6. 1995 წლის აეს-ი

1960-იანებში ახალგაზრდა ევროკავშირი მიხვდა, რომ მას სჭირდებოდა ჰარმონიზებული ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სტატისტიკა წევრი ქვეყნებისთვის. პირველი ასეთი სისტემა გამოქვეყნდა 1970 წელს როგორც ანგარიშების ევროპული სისტემა (*აეს, European System of Accounts*), ხოლო განახლებული ვერსია - 1979 წელს. შემდეგ ის ჩაანაცვლა 1995 წლის ვერსიამ, რომელიც 1993 წლის ეას-ის ევროპულ ვერსიას წარმოადგენს.

1995 წლის ვერსია 99%-ით ემთხვევა 1993 წლის ეას-ს, თუმცა, მასში უფრო დაზუსტებულია მომიჯნავე მუხლები, რომლებიც ღია დარჩა ეას 1993-ში. მაგალითად, 1993 წლის ვერსიაში დაყოფა „საბაზრო“ და „არასაბაზრო“ მწარმოებლებად დამოკიდებულია იმაზე, ყიდიან თუ არა ისინი თავიანთ პროდუქციას „ეკონომიკურად მნიშვნელოვან ფასებში“. 1995 წლის ვერსიით არასაბაზრო მწარმოებლები თავიანთ პროდუქციას ყიდიან ისეთ ფასებში, რომელიც პროდუქციის ღირებულების 50%-ზე ნაკლებს ფარავს, ხოლო „ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ფასები“ ფარავს პროდუქციის ღირებულების 50%-ზე მეტს. ეს დაზუსტებული მითითებები აუცილებელია, რადგან ეროვნული მონაგარიშეები მათ იყენებენ რეგიონული განვითარების ფონდების განაწილების, ევროკულ ბიუჯეტში მათი წვლილისა და საჯარო ფინანსების (მაასტრიხტის კრიტერიუმი) მდგრადობის მონიტორინგისთვის, უკანასკნელ პერიოდში კი - მაკროეკონომიკური დისბალანსის შესასწავლად.

ევროპაში ეროვნული ანგარიშების ადმინისტრაციულმა გამოყენებამ ხელი შეუწყო ამ ტიპის სტატისტიკის ჰარმონიზაციას და გამოყენებას, თუმცა უფრო გაამკაცრა მისი წარმოება. 1995 წლის ეას-მა უკვე კანონის ძალა შეიძინა ევროკავშირის ქვეყნებში. ეს მოთხოვნა ვრცელდება იმ ქვეყნებზეც, რომლებიც მომავალში აპირებენ ევროკავშირში გაწევრიანებას. 1993 წლის ვერსია ისე იყო აგებული, რომ მისი გამოყენება სხვადასხვა ეკონომიკური სისტემისა და ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონის ქვეყნებისთვის იყო შესაძლებელი. ამიტომ, საერთაშორისო შედარებებისთვის 1993 წლის ეას-ი გარკვეულწილად უფრო ნაკლებადეფექტურია 1995 წლის ვერსიასთან შედარებით.

7. 2008 წლის ეას-ი

2009 წელს გადაწყდა, რომ 1993 წლის ეას-ი 2008 წლის ვერსიით ჩანაცვლებულიყო. 2014 წლის ბოლოსთვის ეთგო-ს ქვეყნების უმეტესობაში ეს პროცესი დასრულდა. გამონაკლისს წარმოადგენს ჩილე, იაპონია და თურქეთი, სადაც 2008 წლის ეას-ი 2015 წლის ბოლოსთვის დაინერგება. ამ ორ ვერსიას შორის ძირითადი განსხვავებებია: აქტივებისა და პასივების გაუმჯობესებული აღრიცხვა, სიახლეების შეტანა ფინანსურ სექტორში, მზარდი გლობალიზაციის ასახვა ანგარიშებში, საჯარო ფინანსებისა და არაფორმალური სექტორის უკეთესი აღწერა. ჩანართში 14.1 მოტანილია ეს ცვლილებები საფრანგეთისთვის. გვერდების გაზრდილი რაოდენობა, რაც 1993 წლის ეას-ისთვის იყო დამახასიათებელი, შეიძლება შევაჩეროთ, თუ ორ-სვეტიან ფორმატს გამოვიყენებთ და ერთ გვერდზე უფრო მეტ სიტყვას მოვათავსებთ! 2008 წლის ეას-ში 50-ზე მეტი ცვლილება შევიდა. მათ შორის ძირითადია:

- *კვლევები და განვითარება (R&D) ახლა აქტივებად განიხილება.* ხანგრძლივი დისკუსიების შემდეგ გადაწყდა, რომ R&D-ზე გაწეული ხარჯები ჩაიწეროს როგორც GFCF (ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება). მთავარი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ უმეტეს ქვეყნებში ბუღალტრულ სტანდარტებში კვლევებსა და განვითარებაზე გაწეული ხარჯები მიმდინარე ხარჯებად განიხილება. შედეგად, რთულია დამაკმაყოფილებელი მონაცემების მიღება. მეორე მხრივ, ქვეყნებს უკვე აქვთ ასეთი მონაცემების შეგროვების კარგი პრაქტიკა ე.წ. ფრასკატის სახელმძღვანელოთი, რომელიც ინფორმაციის შეუფასებელი წყაროა. ამ ცვლილებამ გამოიწვია მშპ-ის ზრდა, თუმცა ნაკლები გავლენა მოახდინა მთლიან ეროვნულ პროდუქტზე.
- *ხარჯები მსხვილ საბრძოლო იარაღზე აქტივებში განიხილება.* ახალ ვერსიაში საბრძოლო ხომალდები, ბალისტიკური რაკეტები, ტანკები და ა.შ. განიხილება აქტივებად, როგორც ძირითადი კაპიტალი. ამ ცვლილებამ ასევე გამოიწვია მშპ-ის ზრდა, არა იმიტომ, რომ შეიცვალა ხარჯების კლასიფიკაცია, არამედ იმის გამო, რომ ძირითადი კაპიტალის მოხმარება ჩაიწერება და ემატება სამთავრობო მოხმარების გაზომვას.
- *ახალი მიდგომა გადასამუშავებელი საქონლის მიმართ.* 1993 წლის ვერსიაში საქონელი, რომელიც ერთი ქვეყნიდან მეორეში იგზავნებოდა გადამუშავებისა და შემდგომში უკან დაბრუნების მიზნით, პირობითად იცვლიდა მესაკუთრეს და ამიტომ ექსპორტ-იმპორტში აისახებოდა. 2008 წლის ეას-ის რეკომენდაციის მიხედვით ექსპორტ-იმპორტში გატარება მხოლოდ მესაკუთრის რეალური ცვლილების შედეგად უნდა მოხდეს. აღნიშნულმა შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს საქონლით ვაჭრობისა და მომსახურებით ვაჭრობის ერთმანეთისგან განსხვავებაზე, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებიც დიდი დოზით არიან ჩაბმული საქონლის გადამუშავებაში. გლობალურ პროცესებთან დაკავშირებით, 2008 წლის ეას-ის ფარგლებში წარმოიშვა დისკუსია ე.წ. „ქარხნის გარეშე მწარმოებლების“ აღრიცხვის შესახებ.
- *სახელმწიფო მართვის ორგანოების გამოშვება და გამოშვება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის.* როგორც მე-4 თავში იყო ახსნილი, ეას 1993-ს აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ ის ნაკლებად აფასებდა მთავრობის მიერ კაპიტალის გამოყენების ღირებულებას, რადგან კაპიტალის მოხმარებას არ ამატებდა კაპიტალის შეფასებულ უკუგებას „კაპიტალური მომსახურების“ სრული ღირებულების ასახვის მიზნით. სამწუხაროდ, აღნიშნულ საკითხზე არ არის მიღწეული შეთანხმება. მეორე მხრივ, კაპიტალიდან მიღებული მოგება

გაითვალისწინება საბაზრო მწარმოებლების (შინამეურნეობები და კორპორაციები) გამოშვებაში საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის.

- *საპენსიო ვალდებულებების გაზომვის გაფართოება.* 1993 წლის ეას-ში ხდებოდა მხოლოდ იმ საპენსიო ვალდებულებების ჩაწერა, რომლებიც ფინანსდებოდა. ახალ ეას-ში გაფართოება შეეხო კერძო სექტორში ყველა მომუშავის საპენსიო გეგმას იმის მიუხედავად, ფინანსდება თუ არა. ამასთან, უფრო მოქნილი გახდა სამთავრობო სქემები საჯარო მოხელეებისთვის. ასევე, შემოღებულია „დამხმარე ცხრილი“, რომელშიც ასახულია როგორც დაფინანსებული, ისე დაუფინანსებელი საპენსიო სქემები. ამ გაფართოებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს სახელმწიფო ვალზე, რადგან საჯარო მოხელეთა დაუფინანსებელ გეგმებს საკმაოდ მძიმე ვალდებულებები აქვს აღებული ზოგიერთ ქვეყანაში. კიდევ ერთი ცვლილება, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ბიუჯეტის დეფიციტზე, ეხება სახელმწიფო კორპორაციებიდან ერთჯერად მსხვილ გადარიცხვებს ბიუჯეტში ამ კორპორაციების საპენსიო ვალდებულებების მთავრობაზე დაკისრების მიზნით. წინა ვერსიაში არ იყო ნათელი, თუ სად უნდა ჩაწერილიყო ეს გადარიცხვები და ევროპაში მათ კაპიტალურ ტრანსფერად აღიქვამდნენ. 2008 წლის ვერსიაში ისინი განიხილება ფინანსურ ტრანსაქციებად და არ ახდენენ გავლენას ბიუჯეტის დეფიციტზე.
- *არა-სიცოცხლის დაზღვევის გამოშვების მოსწორება.* 1993 წლის ვერსიით, არა-სიცოცხლის დამზღვევი კომპანიების მთლიანი გამოშვება იზომებოდა პრემიებსა და პრეტენზიებს შორის სხვაობით. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტმა გამოააშკარავა ამ მიდგომის ნაკლოვანება რიგ ქვეყნებში - სახელდობრ, გამოშვების მკვეთრი რყევები (უარყოფითი მნიშვნელობის ჩათვლით), თუ პრეტენზიები მოსალოდნელზე ბევრად მაღალია რომელიმე მოცემული წლისათვის. ახალ ვერსიაში გამოშვების გაზომვისას პრემიებს აკლებენ არა რეალურ, არამედ მოსალოდნელ პრეტენზიებს.
- *აქციების ოპციონების შეტანა მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაში.* საფონდო ბაზარზე 1990-იანების ბოლოს შექმნილი ბუმის დროს მაღალტექნოლოგიურ კომპანიებში მომუშავეები დაბალ ანაზღაურებას იღებდნენ კომპანიის აქციების მიღების შანსის სანაცვლოდ მაღალ ფასებში. 1993 წლის ვერსიის მიხედვით აქციების ოპციები ფინანსურ ტრანსაქციებად განიხილებოდა და ამიტომ გამოირიცხებოდა მომუშავეთა შრომის ანაზღაურებიდან. მიუხედავად ამისა, მომუშავეები აქციების მიღებას „ანაზღაურების პაკეტის“ ნაწილად

ალიკვამდნენ. ამდენად, ახლა აქციების ოპციები მომუშავეთა ანაზღაურებაში შედის.

- *ჰოლდინგური კომპანიების გაერთიანება ფინანსური კორპორაციების სექტორში.* 1993 წლის ვერსიის მიხედვით, ჰოლდინგური კომპანია იმ ინსტიტუციურ სექტორში უნდა შეეტანათ, სადაც მისი ძირითადი დამფინანსებელი ჯგუფი იყო. ახალი ვერსიის მიხედვით, ჰოლდინგები ყოველთვის უნდა მიეკუთვნოს ფინანსური კორპორაციების სექტორს.

2008 წლის ვერსიაზე გადასვლასთან ერთად 1995 წლის ევროპული ანგარიშებიც განახლდა 2010 წლის ვერსიით. ჩანართში 14.3 წარმოდგენილია ეას 2008/აეს 2010-ის დანერგვის შედეგები საფრანგეთში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ეას-ი არის სტატისტიკური სისტემა, რომელიც მუდმივად განახლებადია, სულ უფრო ფართოდ გამოიყენება და მასში ხდება ახალი ეკონომიკური ძვრების გათვალისწინება. საინტერესოა, რომ ეას-ის ახალი ვერსიების კვალდაკვალ ხდება მშპ-ის გაზომვის მოდიფიცირება წარმოების საზღვრების რეგულარული გაფართოების ხარჯზე, რაც მშპ-ის ზრდას იწვევს. ეს ერთხელ კიდევ დადასტურდა ეას 2008-ის შემთხვევაში კვლევებისა და განვითარების და ასევე, საბრძოლო იარაღის კაპიტალიზაციის საფუძველზე. სავარაუდოდ, ეს პროცესი გაგრძელდება. მაგალითად, ჰუმანური კაპიტალის კონცეფცია, რომელიც არ შედის ეას 2008-ის აქტივებში, სულ უფრო რელევანტური გახდება ეთგო-ს ქვეყნებისთვის, რაც ერთხელ კიდევ გააფართოებს წარმოების საზღვრებს. თუმცა, ეს ხვალ არ მოხდება...

ჩანართი 14.3. ეას 2008/აეს 2010-ის დანერგვის შედეგები საფრანგეთში

ეას 2008/აეს 2010-ის ახალი მონაცემები საფრანგეთში 2014 წლის მაისში გამოქვეყნდა. შედეგად, ისევე როგორც ეთგო-ს ყველა ქვეყანაში, მშპ წინა წელთან შედარებით გაიზარდა - 3.2%-ით (61.8 მლრდ ევრო). ეს ციფრი 2010 წელს ეკუთნის. თუმცა, რადგან ეს ცვლილება სტრუქტურულია, იმ აზრით, რომ მშპ-ს გადახედვისას ის მეტნაკლები სისტემატურობით ამდენივე პროცენტით იზრდება, ის რეპრეზენტატიულია. ამ ცვლილების ერთ-ერთი შედეგი არის ის, რომ გლობალურ დონეზე მშპ არ იცვლება. საგულისხმოა, რომ ყველა ეს ცვლილება ახალ ეას-ს არ უკავშირდება. მათი ნაწილი განპირობებულია საწარმოთა სტატისტიკის ახალი წყაროების გამოყენებით და სხვა ფაქტორებით (მაიოტის კუნძულის ჩართვით), რამაც ჯამში 0.8 პროცენტი (15.4 მლრდ ევრო) შეადგინა. საერთოდ, ახალი ეას 2008/აეს 2010-ის დანერგვის შედეგად კონცეპტუალურმა ცვლილებებმა 2.4% შეადგინა (46.4 მლრდ ევრო). ქვემოთ, ცხრილში 14.1 მოცემულია რამდენიმე სხვა ცვლადის ცვლილებები.

მნიშვნელოვანია, რომ ყველა კოეფიციენტი, რომელიც მნიშვნელში მშპ-ს იყენებდა, შემცირდა, რადგან თვითონ მშპ გაიზარდა. კერძოდ, ეს მოხდა სახელმწიფო ვალის დონეში, რომელიც 1.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა. ეს მშპ-ის მატებაზე (+3.2%) ნაკლებია, რამდენადაც რეკლასიფიკაციების შედეგად სახელმწიფო ვალიც გაიზარდა (მრიცხველი).

ცხრილი 14.1. ეას 2008/აეს 2010-ის განახლებები ეროვნულ ანგარიშებში. საფრანგეთი, 2014 წლის მაისი

	განახლების დონე 2010 წელს, %	2010 წლის ახალი დონე	განახლების წყარო
მშპ	+3.2%	1998.5 მლრდ ევრო	R&D-ის კაპიტალიზაცია (+41.5 მლრდ), საბრძოლო სისტემები (+3.3) და ახალი მონაცემთა ბაზები (1.2).
მეშ	+3.2%	2039.3 მლრდ ევრო	R&D-ის, (+41.5 მლრდ), საბრძოლო სისტემებისა (+3.3) და მონაცემთა ბაზების კაპიტალიზაცია (1.2) და ახალი სტატისტიკური წყაროები
არაფინანსური კორპორაციების მოგების წილი	+1.5	31.6%	R&D-ის, (+41.5 მლრდ), საბრძოლო სისტემებისა (+3.3) და მონაცემთა ბაზების კაპიტალიზაცია (1.2) და ახალი სტატისტიკური წყაროები
მრეწველობის წილი მთლიანად დამატებულ ღირებულებაში	+0.7	13.5%	R&D-ის, საბრძოლო სისტემებისა და მონაცემთა ბაზების კაპიტალიზაცია და ახალი სტატისტიკური წყაროები
სულ ექსპორტი	+5.2%	520.5 მლრდ ევრო	საქონლის გადამუშავება (-9.9); ახალი სტატისტიკური წყაროები (+30).
სულ იმპორტი	+3.7%	558.1 მლრდ	საქონლის გადამუშავება (-8.6); ახალი სტატისტიკური წყაროები (+30).

		ევრო	
GFCF	+16.9%	441.1	R&D-ის, (+41.5 მლრდ), საბრძოლო მლრდ სისტემებისა (+3.3) ევრო და მონაცემთა ბაზების კაპიტალიზაცია(1.2) დაახალი სტატისტიკური წყაროები
ბიუჯეტის დეფიციტი/მშპ	-0.3	6.8%	სიახლეები საპენსიო ვალდებულებებისა და გადასახადების დამუშავებაში
სახელმწიფო ვალი/მშპ	-1.5	80.8%	მშპ-ის მატება (-3.1%); რეკლასიფიკაცია (+1.6 %)

წყარო: INSEE (2014), les comptes nationaux passent en base 2010, http://www.insee.fr/fr/themes/comptes-nationaux/default.asp?page=base_2010/methodologie/methodo-b2010.htm.

ბიბლიოგრაფია

- Gleeson-White (2011), Double Entry: How the merchants of Venice shaped the modern world – and how their invention could make or break the planet, ASIN:B005ZLZJ46.
- Maddison, A. (2003), The World Economy: Historical Statistics, Development Centre Studies, OECD Publishing, [doi: http://dx.doi.org/10.1787/9789264104143-en](http://dx.doi.org/10.1787/9789264104143-en).
- SNA 1993, Commission of the European Communities, International Monetary Fund, Organisation for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank (1993), System of National Accounts 1993, Brussels/Luxembourg, New York, Paris, Washington, DC, <http://unstats.un.org/unsd/nationalaccount/docs/1993sna.pdf>.
- SNA 2008, European Commission, International Monetary Fund, Organisation for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank (2009), System of National Accounts 2008, New York, <http://unstats.un.org/unsd/nationalaccount/docs/SNA2008.pdf>.
- Vanoli (2005), *A History of national accounts*, IOS Press, ISBN-10: 1586034693, ISBN-13: 978-1586034696.

თავი 15

მშპ, როგორც კეთილდღეობის საზომი: დღის წესრიგშია „მშპ-ის მიღმა“ საკითხები

ამ თავში განხილულია მშპ-ის შეზღუდვები „კეთილდღეობის“ და „კარგად ცხოვრების“ გაზომვის დროს. მოცემულია „უკეთესი ცხოვრების“ ინდიკატორების ბოლო მიღწევები როგორც ეროვნული ანგარიშების ჭრილში, ისე მისგან დამოუკიდებლად, რაც საშუალებას მოგვცემს გავზომოთ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ეს ორი კონცეფცია.

ჩვეულებრივ, „კეთილდღეობის“ (ე.ი. ეკონომიკური კარგად ყოფნის) კონცეფცია ეკონომისტებისა და სტატისტიკოსების მიერ აღიქმება როგორც ადამიანების ბატონობა ნივთებზე. ეს კონცეფცია აღწერს პიროვნების „შეძლებულობას“, ქონებას (ანუ, რამდენად მდიდარია ის) უფრო ფართო გაგების - „კარგად ცხოვრების“ (ანუ, რამდენად კარგად გრძნობს პიროვნება თავს) საპირისპიროდ, რომელიც მხოლოდ არაპირდაპირ არის დაკავშირებული პოლიტიკურ და სოციალურ უფლებებთან, ან იმ მახასიათებლების დიაპაზონთან, რაც განსაზღვრავს მათ ცხოვრებას (მაგალითად, ჯანმრთელობა და განათლება). ამ თავში განვასხვავებთ ამ ორ ცნებას: „კეთილდღეობას“ და „კარგად ცხოვრებას“.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, მშპ უპირველესად ეკონომიკური წარმოების საზომია და კეთილდღეობასთან მრავალმხრივად არის დაკავშირებული. ყველაზე საბაზისო დონეზე ეკონომიკური თეორია ამტკიცებს, რომ სრულყოფილი ინფორმაციის პირობებში და როდესაც მომხმარებლის უპირატესობები შედარებით იოლად კმაყოფილდება, საბაზრო ფასები მოხმარებული საქონლის სარგებლიანობის მიხედვით იცვლება: აქედან გამომდინარეობს, რომ შინამეურნეობის საბოლოო მოხმარება, მშპ-ის დიდი „ნაჭერი“, დაკავშირებულია შინამეურნეობების კეთილდღეობასთან და რომ მოცემული უპირატესობებით მომხმარებლის გაზრდილი ფულადი შემოსავალი შეესაბამება საქონლის რაოდენობას ინდიფერენტულობის მრუდის გაზრდილ ნიშნულზე, რაც გულისხმობს განსახილველი პირის კეთილდღეობის უფრო მაღალ დონეს.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ანგარიშები დაკავშირებულია კეთილდღეობასთან, ის დიდწილად ეკონომიკური საქმიანობის გაზომვაზეა კონცენტრირებული. ისტორიულიად, თანამედროვე ეროვნული ანგარიშების ფესვები წინა საუკუნის 30-იან და 40-იან წლებს უკავშირდება, ანუ კეინსიანურ მაკროეკონომიკას, როდესაც პოლიტიკოსების მცდელობა ისეთ საკითხებს უკავშირდება, როგორცაა ეკონომიკის აღდგენა ნანგრევებიდან, სრული დასაქმების დაცვა და მაღალი საგადასახადო შემოსავლების მობილიზება - უფრო ზოგადად, ეკონომიკური სისტემის მენეჯმენტის განმტკიცება მისი შეზღუდული მწარმოებლურობის პირობებში. 2008 წლის ეას-ში „არავითარი პრეტენზია არ არის წაყენებული მშპ-ის, როგორც კეთილდღეობის საზომის მიმართ, ამასთან, ეას-ში რამდენიმე შეთანხმებაც არის მოტანილი იმის დასამტკიცებლად, რომ არ შეიძლება ანგარიშების ინტერპრეტირება კეთილდღეობის ჭრილში“.

კონცეპტუალურად, მშპ კეთილდღეობას მხოლოდ ნაწილობრივ ზომავს მრავალი მიზეზის გამო:

- განსხვავება ეკონომიკური წარმოების კონცეფციასა - „შიდა“ წარმოება მოიცავს რეზიდენტებისა და არარეზიდენტების საქმიანობას ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე და „მთლიან“ (ძირითადი კაპიტალის მოხმარებული ნაწილის აღსადგენად გადადებული გამოშვების გამოკლების გარეშე) - და წმინდა შემოსავალს შორის (რომელიც ჯონ ჰიქსის (1939) განმარტებით წარმოადგენს მაქსიმალურ თანხას, რომელიც ადამიანს შეუძლია მოიხმაროს კვირის განმავლობაში და იმაზე უფრო მდიდარი იყოს კვირის ბოლოს, ვიდრე კვირის დასაწყისში), რაც კეთილდღეობასთან უფრო პირდაპირ დაკავშირებული კონცეფციაა.
- მშპ უმეტესწილად გვამლევს ინფორმაციას ჯამური (ან ერთ სულზე) აგრეგატების შესახებ, ვიდრე ამ აგრეგატის განაწილების შესახებ სხვადასხვა ადამიანებსა და შინამეურნეობებს შორის. განსხვავება აგრეგატის მოცულობასა და მის ინდივიდუალურ დონეს შორის მნიშვნელოვანია კეთილდღეობის გაგებისთვის, რადგან როდესაც ვუშვებთ, რომ პიროვნების კეთილდღეობა ადეკვატურად აღიწერება მისი შემოსავლით, „სოციალური კეთილდღეობის“ (ანუ საზოგადოების, როგორც მთლიანობის) ნებისმიერი შეფასება მოითხოვს განაწილების ნორმატიულ დასაბუთებას, რამდენადაც შემოსავლის ზღვრული სარგებლიანობა გასხვავდება ადამიანებს შორის (ე.ი. ერთი დოლარის შემოსავალი უფრო მეტად გაზრდის ღარიბი ადამიანის კეთილდღეობას, ვიდრე ერთი დოლარის ზარალი შეამცირებს მდიდარის კეთილდღეობას).
- ის ფაქტი, რომ წარმოების ზოგიერთი საქმიანობა, რომელიც ეროვნული ანგარიშების მიხედვით ხვდება წარმოების საზღვრებში და ზრდის მშპ-ის, კეთილდღეობის თვალსაზრისით უფრო აწონასწორებს მაღალი ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებულ „დისკომფორტს“ (ადამიანების სამუშაოზე გადაადგილების მოხმარების ნაკადები) ან ჰუმანური და ბუნებრივი კატასტროფების შედეგებს. საპირისპიროდ, ადამიანების კეთილდღეობა მაღლდება წარმოების ნაკადებით, რომლებიც ეროვნული ანგარიშების საზღვრებს მიღმაა (მაგალითად, შინამეურნეობის მიერ თავისთვის გაწეული მომსახურება) და ასევე არასაბაზრო საქმიანობებით (მაგალითად, დასვენება), რაც არ განიხილება როგორც „წარმოება“.
- კონცეპტუალურად, საბაზრო ფასები, რომლებიც მშპ-ის სასაქონლო რაოდენობების შეწონვისთვის გამოიყენება, წარმოადგენს მომხმარებლისთვის უკანასკნელი მოხმარებული ერთეულის ღირებულებას. რადგან ამ მიდგომის საფუძველი მოხმარების თეორიაშია, ის არ ითვალისწინებს მომხმარებლის მიერ სრული თანხის გადახდას ამ საქონლის ჯამური რაოდენობისთვის (ანუ

ის არ ითვალისწინებს საბოლოო ერთეულამდე გამოყენებული ყველა ერთეულის ღირებულებას), რომელიც ხალხის კეთილდღეობასთან უფრო პირდაპირ დაკავშირებული კონცეფციაა.

- შეიძლება საბაზრო წონასწორობიდან არსებობდეს გადახვევები, რაც გულისხმობს, რომ საბაზრო ფასები ყოველთვის არ შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს, როგორც სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და მოხმარების შეფარდებითი ღირებულება (ზღვარზე). სხვა შემთხვევებში, შეიძლება ბაზარი არ არსებობდეს როგორც წარმოების რესურსების (ე.ი. საზოგადოებრივი რესურსების), ისე კეთილდღეობის ამალგებზე მოქმედი აქტივებისთვის, რომელიც ადამიანის საქმიანობების გავლენას განიცდის (მაგალითად, კლიმატური სისტემები).
- და ბოლოს, კეთილდღეობის სტატისტიკური საზომი ბევრს არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ რამდენ ხანს შენარჩუნდება ეს დონე. „მდგრადობა“ მოითხოვს განხილვას, თუ როგორ მოქმედებს ეკონომიკური საქმიანობა კაპიტალის სხვადასხვა მარაგებზე, რომლებიც საწარმოო პროცესში მონაწილეობს (როდესაც აქცენტი კეთდება მშპ-ის მატების მდგრადობაზე) ან უფრო ზოგადად, რამდენად მნიშვნელოვანია ის ხალხის კეთილდღეობისა და პლანეტისთვის მომავალში. ეს მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეზღუდული რესურსების პირობებში (ანუ არაგანახლებადი ბუნებრივი კაპიტალის შემთხვევაში), რომლის მომსახურების შეცვლა შეუძლებელია სხვა ტიპის (წარმოებული) რესურსებით.

ყველა ზემოთ მოტანილი არგუმენტი კარგად არის ცნობილი პროფესიონალი ეკონომისტებისა და სტატისტიკოსებისთვის. მიუხედავად ამისა, ეს შეხედულებები იკარგება მედიისა და პოლიტიკოსების დისკუსიებში, სადაც მშპ განიხილება როგორც „წარმატების“ მთავარი საზომი იმის გათვალისწინების გარეშე, თუ რამდენად უფრო ემპირიული კონსტრუქციაა მშპ, ვიდრე „ფაქტი“ და არგუმენტებისა და მსჯელობების გარეშე, რაც მის გაანგარიშებამდე მიგვიყვანს (Coyle, 2014). ამ თემებზე 1970-იანებში მიმდინარე დისკუსიების (Nordhaus and al, 1973) შემდეგ, აღნიშნულ საკითხებს კვლავ მიუბრუნდა 2008 წელს საერთაშორისო კომისია ეკონომიკური საქმიანობისა და სოციალური პროგრესის გაზომვის შესახებ საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის ხელმძღვანელობით, რომლის მთავარი ამოცანა იყო მშპ-ის, როგორც კეთილდღეობის საზომის შესახებ რეკომენდაციების დადგენა, რაც შეჯამებულია ჩანართში 15.1. ფაქტობრივად, ბოლო წლებში განხორციელებული ბევრი სტატისტიკური ინიციატივა კეთილდღეობის, ცხოვრების ხარისხისა და

მდგრადობის შესახებ პირდაპირ თუ არაპირდაპირ ამ რეკომენდაციებიდან არის აღებული.

ამ ინიციატივებს შორის გამოჩენილი ადგილი უკავია ეთგო-ს შეთავაზებებს „უკეთესი ცხოვრების ინიციატივის სახით“ <http://www.oecd.org/statistics/betterlifeinitiativemeasuringwell-beingandprogress.htm>) და ევროპის სტატისტიკური სისტემის ინიციატივებს „პროგრესის, კეთილდღეობისა და მდგრადი განვითარების დაფინანსების“ შესახებ.

პირველი ხუთი რეკომენდაცია არ უნდა განვიხილოთ როგორც ეროვნულ ანგარიშებში არსებული ცვლადების უარყოფა, არამედ როგორც არსებულ აგრეგატებში უფრო მეტი გამომსახველობის შეტანა კეთილდღეობის გაზომვის მიზნით და მათი პოტენციალის გაფართოება. ბოლო ხუთი რეკომენდაცია ეთმობა „კარგად ყოფნის“ საზომების შემუშავებას ეკონომიკური ელემენტების მიღმა.

ამ თავში ასახულია რამდენიმე მიდგომა, რომელიც წარმოჩენილია ან დანერგილია ეკონომიკური ანგარიშების სისტემაში კეთილდღეობის უფრო გამომსახველობითი საზომების მისაღებად. პირველი, ამ თავში აღწერილია კეთილდღეობის საზომები ეას-ის შიგნით შინამეურნეობის დონეზე. მეორე, ამ თავში განხილულია მიდგომები (რათა უკეთ იყოს დანახული სხვადასხვა ადამიანების ეკონომიკური პირობების უთანაბრობები) „საშუალოების მიღმა“, „ბაზრის მიღმა“ (იმ ნაკადებისთვის და მარაგებისთვის, რომელთა გაცვლა ბაზარზე არ ხდება) და „აქ და ახლა“ პრინციპის მიღმა. ბოლოს, ამ თავში განხილულია ის მიდგომები, რომლებიც გამოყენებულია ეკონომისტებისა და სტატისტიკოსების მიერ ადამიანების „კარგად ყოფნის“ ფართო გაგების საზომად (ანუ რას აკეთებენ და რას წარმოადგენენ ადამიანები გარდა იმისა, რომ განკარგავენ საგნებს). „ძველ“ ინდიკატორებთან შედარებით, რომლებიც წინა თავებში განვიხილეთ, ეს სტატისტიკური ინდიკატორები ახალია და მათზე მუშაობა ჯერ ისევ მიმდინარეობს. მიუხედავად ამისა, ბოლო პერიოდში ეს ცვლადები ექსპერიმენტული/კვლევითი ფაზიდან მეორე ფაზაში გადავიდა, რაც გულისხმობს, რომ ისინი რეგულარულად გამოქვეყნდება ეთგო-ს მიერ.

ჩანართი 15.1. კომისიის რეკომენდაციები ეკონომიკური საქმიანობისა და სოციალური პროგრესის შესახებ

● რეკომენდაცია 1: როდესაც აფასებთ მატერიალურ კეთილდღეობას, უფრო მეტი ყურადღება მიაქციეთ შემოსავალს და მოხმარებას, ვიდრე წარმოებას, რადგან მშპ-ისა და კეთილდღეობის გაერთიანებამ შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს იმასთან

დაკავშირებით, თუ რამდენად კარგად ცხოვრობს ხალხი და არასწორი გადაწყვეტილებები მიგვაღებინოს.

● *რეკომენდაცია 2: აქცენტი გააკეთეთ შინამეურნეობაზე, რადგან მოქალაქეთა ცხოვრების სტანდარტის შეფასება უკეთ არის შესაძლებელი შინამეურნეობების შემოსავლებისა და მოხმარების საზომებით.*

● *რეკომენდაცია 3: შემოსავალი და მოხმარება განიხილეთ სიმდიდრესთან ერთად, რაც მოითხოვს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო მონაცემებს და ამ მარაგების სწორ შეფასებას.*

● *რეკომენდაცია 4: მეტი ყურადღება დაუთმეთ შემოსავლის განაწილებას, მოხმარებას და სიმდიდრეს, რაც მოითხოვს საშუალო შემოსავლის, მოხმარებისა და სიმდიდრის გაზომვას მათი განაწილების ინდიკატორებთან ერთად.*

● *რეკომენდაცია 5: შემოსავლების საზომის გაფართოება არასაბაზრო საქმიანობებით, როგორცაა შინამეურნეობის წევრების მიერ ერთმანეთისთვის გაწეული მომსახურება და დასვენება.*

● *რეკომენდაცია 6: ცხოვრების ხარისხი დამოკიდებულია ხალხის ობიექტურ პირობებსა და შესაძლებლობებზე, როგორცაა: ჯანმრთელობა, განათლება, ინდივიდუალური საქმიანობა და ეკოლოგიური პირობები მათ სოციალურ კავშირებთან, პოლიტიკურ ხმასთან და დაცულობასთან ერთად.*

● *რეკომენდაცია 7: უთანაბრობის შეფასება ადეკვატურად უნდა მოხდეს ცხოვრების ხარისხის ინდიკატორებით ყველა განზომილებაში კავშირებისა და კორელაციების გათვალისწინებით.*

● *რეკომენდაცია 8: თითოეული ადამიანის ცხოვრების ხარისხის სხვადასხვა მახასიათებელს შორის კავშირის შეფასების საშუალება კვლევებმა უნდა მოგვცეს და ეს ინფორმაცია გამოყენებული უნდა იყოს პოლიტიკის შემუშავების დროს.*

● *რეკომენდაცია 9: სტატისტიკურმა სამსახურებმა უნდა უზრუნველყონ ცხოვრების ხარისხის შესახებ მრავალგანზომილებიანი ინფორმაცია აგრეგირებისა და ინდექსების ასაგებად.*

● *რეკომენდაცია 10: ადამიანების ცხოვრების ხარისხის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია კეთილდღეობის სუბიექტური და ობიექტური შეფასებებიდან, ამიტომ სტატისტიკურმა სამსახურებმა თავიანთ კვლევებში უნდა გაითვალისწინონ ისეთი კითხვები, რომლებიც დაგვანახებს ადამიანების მიერ ცხოვრების შეფასებას, ჰედონურ გამოცდილებას და პრიორიტეტებს.*

● *რეკომენდაცია 11: მდგრადობის შეფასება კარგად ჩამოყალიბებულ ინდიკატორთა სისტემას მოითხოვს, რომლის ელემენტების ინტერპრეტაცია შესაძლებელი უნდა იყოს საფუძვლად აღებული „მარაგების“ ვარიაციით.*

● **რეკომენდაცია 12:** მდგრადობის ეკოლოგიური ასპექტები ცალკე კვლევას მოითხოვს კარგად შერჩეული ფიზიკური ინდიკატორებით.

წყარო: Stiglitz, Sen and Fitoussi (2009).

1. კეთილდღეობის უკეთესი საზომები ეროვნული ანგარიშების ფარგლებში

1.1. საზომები შინამეურნეობის დონეზე

მშპ ისეთი საზომია, რომელიც ანგარიშების სრული ნაკრებიდან მხოლოდ მთლიანობაში ეხება ეკონომიკას. ეკონომიკური კეთილდღეობის შესაფასებლად ანგარიშების ამ ნაკრებში მშპ-ზე უკეთესი ჩამნაცვლებელი ცვლადები არსებობს. ეს ის საზომებია, რომლებიც უშუალოდ შინამეურნეობებს ეხება (და არა მთლიანად ეკონომიკას), რამდენადაც ინდივიდები და შინამეურნეობები კეთილდღეობის შეფასებებისთვის ბუნებრივ საფუძველს წარმოადგენს. როგორც მე-5 თავში იყო ნაჩვენები, ეროვნული ანგარიშები საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ ეკონომიკური წარმოების გზით შექმნილი პირველადი შემოსავლების (როგორც მონეტარული, ისე იმპუტირებული) გარდაქმნას შინამეურნეობების განკარგვად შემოსავლად. რამდენადაც კეთილდღეობა ადამიანებს ეხება, შინამეურნეობის დონეზე შედგენილი ანგარიშები შეიძლება გამოვიყენოთ ათვლის წერტილად კეთილდღეობის კონცეფციასთან მეტად მიახლოებული საზომების მისაღებად. შინამეურნეობის განკარგვადი შემოსავლისა (ე.ი. შემოსავალი, რომელიც რჩება შინამეურნეობებს გადასახადებისა და აუცილებელი სოციალური შენატანების გადახდის შემდეგ) და მოხმარების ხარჯების საზომები (შინამეურნეობების მიერ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით საქონლისა და მომსახურების შესყიდვა) მნიშვნელოვანია, რადგან ისინი შეიძლება განსხვავებულად წარმოიქმნან მშპ-დან როგორც ბიზნეს-ციკლთან მიმართებით, ისე საშუალოვადიან პერსპექტივაში (ნახაზი 15.1), რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ცვლილებებით ფისკალურ პოლიტიკასა ან ხელფასისა და მოგების წილებში. მიზნებიდან გამომდინარე, შინამეურნეობების ეს საზომები შეიძლება გაკორექტირდეს მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით, რაც მიიღწევა მოსახლეობის ერთ სულზე, ერთ შინამეურნეობაზე ან ერთ მომხმარებელ ერთეულზე გადაანგარიშებით.¹

იმისათვის, რომ შინამეურნეობის დონეზე „კეთილდღეობის“ კონცეფციის უფრო მჭიდრო დაკავშირება მოხდეს ეას-ის საზომებთან, საჭიროა ორი ტიპის კორექტირების გამოყენება:


- პირველი მათგანი მდგომარეობს შინამეურნეობის მთლიანი განკარგვადი შემოსავლის კორექტირებაში წარმოების პროცესში მოხმარებული კაპიტალის

ღირებულების გამორიცხვით. შინამეურნეობის შემთხვევაში ეს კორექტირება ძირითადად დაკავშირებულია საცხოვრებლის ცვეთასთან, რომელიც საჭიროა შინამეურნეობების მთლიანი შემოსავლის ეას-ისეული საზომის დასაახლოებლად შემოსავლის ჰიქსისეულ განმარტებასთან, ანუ *შინამეურნეობის წმინდა განკარგვად შემოსავალთან*

- მეორე კორექტირება მდგომარეობს შინამეურნეობებთან დაკავშირებული მონეტარული ნაკადების დამატებაში (მაგალითად, ფულადი შემოსავალი, რომელსაც ისინი იღებენ და მათი მოხმარების ხარჯები), რომელიც წარმოადგენს მთავრობისა და შმაკოებისგან მიღებული იმპუტირებული მომსახურების ღირებულებას ნატურალური სახით. ამ შეფასებებს მივყავართ *შინამეურნეობების კორექტირებული განკარგვადი შემოსავლებისა და შინამეურნეობების რეალური (ფაქტობრივი) მოხმარების* საშუალო საზომებამდე (იხ. თავი 5). ნატურით ასახული მომსახურება უფრო მეტად ინდივიდის მიერ მიღებულ სარგებელს წარმოადგენს (მაგალითად, განათლება), ვიდრე კოლექტიურს, რომლისგანაც სარგებელს ყველა შინამეურნეობა ან მთლიანად ეკონომიკა იღებს (მაგალითად, თავდაცვა). ამასთან, კეთილდღეობის პერსპექტივიდან, ამ ინდივიდუალური მომსახურების შეფასება ბაზარზე არსებული ეკვივალენტური მომსახურების ფასით უნდა მოხდეს; ეს გულისხმობს, რომ *შინამეურნეობის წმინდა კორექტირებული განკარგვადი შემოსავლისა და შინამეურნეობის ფაქტობრივი მოხმარების* მოცულობის ცვლილებები უფრო დაბალი ღირებულებით შეფასდება, თუ ნატურალური სახით გაწეული მომსახურების ხარისხი (ან ამ მომსახურების გაწევის მწარმოებლურობა) დროთა განმავლობაში ამაღლდება.

ნახაზი 15.1. მშპ-ისა (GDP) და მთლიანი განკარგვადი შემოსავლის (HDI) ტრენდები ერთ მოსახლეზე

ინდექსები, აშშ 1990 = 100 და ევროზონა 2007 = 100



წყარო: OECD (2013), “Aggregate National Accounts: Gross domestic product”, OECD National Accounts Statistics (database) <http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en>; and OECD (2014), “Detailed National Accounts: Non-financial accounts by sectors, annual”, OECD National Accounts Statistics (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00034-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00034-en).

StatLink  [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00034-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00034-en).

ორივე კონცეფცია (შინამეურნეობების კორექტირებული წმინდა განკარგვადი შემოსავალი და შინამეურნეობის ფაქტობრივი მოხმარება) წარმოადგენს შინამეურნეობის ეკონომიკური კარგად ყოფნის ნაკადის ვალიდურ საზომს და უკანასკნელ წლებში სტატისტიკური სამსახურების მიერ რამდენიმე ინიციატივაც იქნა განხილული მათი ხშირი და დროული გამოყენების მიზნით. თუმცა, შინამეურნეობის წმინდა სიმდიდრის მარაგი (ანუ განსხვავება შინამეურნეობების ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებსა და მათ ვალდებულებებს შორის, იხ. თავი 8) ასევე მნიშვნელოვანია ადამიანების კეთილდღეობისთვის - თავისთავად (ე.ი. შინამეურნეობები, რომელთაც უფრო მეტი წმინდა სიმდიდრე აქვთ, უკეთეს პოზიციაში არიან, ვიდრე ისინი, ვისაც იგივე შემოსავალი და მოხმარება აქვს, მაგრამ ნაკლები სიმდიდრის მარაგი) და იმის გამო, რომ მარაგების ცვლილება ისეთი ნაკადებით არის გამოწვეული (მაგალითად, კაპიტალის ან ჰოლდინგური მოგება/ზარალი), რაც ეას-ში არ ჩაირთვება შემოსავლებში, მაგრამ შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი იყოს აქტივებზე ფასების ცვლილების დროს.

როგორც ვხედავთ, შინამეურნეობის დონეზე კეთილდღეობის შეფასების ეას-ისეული საზომები შეიძლება საწყის წერტილად გამოვიყენოთ, თუმცა კიდევ ბევრია გასაკეთებელი მათი ფართო გამოყენებისთვის, რადგან რამდენიმე ფაქტორი ზღუდავს მათ გამოყენებას. პირველი, ამ ეტაპზე ეთგო-ს ყველა ქვეყანა არ ავსებს

სრულად შინამეურნეობის სექტორის ანგარიშებს. მეორე, იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ისინი სრულად ივსება, მათი სიხშირე განსხვავებულია (მაგალითად, ეთგო-ს მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა ავსებს მათ კვარტალურად), დროულობა (მაგალითად, წლიური ანგარიშების მიღება შესაძლებელია მშპ-ის შეფასებიდან მხოლოდ 1 ან 2 წლის შემდეგ) და მოცვა (ზოგიერთი ქვეყანა ერთმანეთისგან არ ასხვავებს შინამეურნეობებსა და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციულ ორგანიზაციებს, ან ეყრდნობა კვაზიკორპორაციებისა ან ინდივიდუალური სამთავრობო მომსახურების განსხვავებულ განმარტებებს). უფრო მეტი განსხვავება იჩენს თავს შინამეურნეობების აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსის კომპილაციის დროს.

1.2. ინფორმაციის ჩართვა შინამეურნეობებს შორის უთანაბრობების შესახებ ეროვნულ ანგარიშებში

ეროვნული ანგარიშების ერთ-ერთი შეზღუდულობა კეთილდღეობის შესახებ ინფორმირებულობის პერსპექტივიდან იმაში მდგომარეობს, რომ ისინი არანაირ ინფორმაციას არ გვაწვდიან შინამეურნეობების ეკონომიკური რესურსების განაწილების შესახებ სხვადასხვა მახასიათებლების მქონე ერთეულებს შორის. ეს მნიშვნელოვანი შეზღუდვაა, რადგან სოციალური კეთილდღეობის ნებისმიერი შეფასება ნორმატიულ დასაბუთებას მოითხოვს ეკონომიკური რესურსების შესახებ. ამ პერსპექტივიდან, მხოლოდ ჯამის ან საშუალოს განხილვის არჩევანით (მაგალითად, ერთ მოსახლეზე) თავიდან ვერ ავიცილებთ ნორმატიულ არჩევანს, თუმცა ეს უფრო გულისხმობს, რომ თემის შიგნით ერთეულები მათი შემოსავლებით „შეიწონებიან“ (ე.ი. საშუალოს მიღების დროს, რაც უფრო მდიდარი ხარ, მით უფრო მაღალია შენი წონა), რაც არასასიამოვნო არჩევანია უმრავლესი ნორმატიული პერსპექტივიდან.

ეკონომიკურ ანგარიშებში უთანაბრობების შესახებ ინფორმაციის ინტეგრირება კონცეპტუალური მიზნების გარდა ასევე მნიშვნელოვანია რამდენიმე პრაქტიკული მოსაზრების გამო:

- პირველი, 1980-იანი წლების შუა პერიოდიდან ღრმავდება უთანაბრობა შინამეურნეობების შემოსავლების განაწილებაში (OECD, 2011). ეს უთანაბრობა გულისხმობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ 1950-იანების შუა პერიოდიდან 1980-იანების დასაწყისამდე შინამეურნეობების შემოსავლების მატების ტემპები თითქმის ერთნაირი იყო ეთგო-ს უმეტეს ქვეყნებში (რაც მაკროეკონომისტებს საშუალებას აძლევდა, რომ მოეხდინათ უთანაბრობის იგნორირება და მხოლოდ ერთი „წარმომადგენელი აგენტის“ დაშვება

გაეზიარებინათ), რაც ახლა ნაკლებად მისაღებია, რადგან უმაღლესი შემოსავლები ყველა დანარჩენისკენ არ მიედინება.

- მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ შინამეურნეობების შემოსავლებისა და მოხმარების საშუალო საზომები, რომელიც მიკროწყაროებიდან (როგორც წესი, შინამეურნეობების კვლევები, ადმინისტრაციული ჩანაწერები და ამ ორის ინტეგრაცია სხვადასხვა გზით) მიიღება, უფრო ნელი ტემპებით იზრდება, ვიდრე იგივე მუხლები ეროვნულ ანგარიშებში. თუმცა ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ მდიდარ შინამეურნეობებს შეუძცივდათ მიდრეკილება ეკონომიკური რესურსების გადანაწილების კვლევებში მონაწილეობისკენ, ხოლო ეროვნულ ანგარიშებში გაიზარდა იმ მუხლების ჯამური მაჩვენებლების მნიშვნელობა, რომლებიც არ ჩაიწერება მიკროწყაროებში (მაგალითად, სიცოცხლის დაზღვევის პოლისების მფლობელების იმპუტაციები ან საკუთარ სახლში ცხოვრების მომსახურების ღირებულება), რაც გულისხმობს, რომ შინამეურნეობების ეკონომიკური რესურსების მზარდი წილი კვლევის მონაცემებში გამოტოვებული იქნება.
- მესამე, ის ფაქტი, რომ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ეთგო-ს ქვეყნებში შინამეურნეობების შემოსავლების, მოხმარებისა და უთანაბრობის ტრენდებში დიდი განსხვავებებია. ამიტომ ეს ხაზს უსვამს ეკონომიკური რესურსების განაწილების უთანაბრობების ერთობლივ შესწავლას, ვინემ იმის დაშვებას, რომ ისინი ყოველთვის ერთმანეთს დაემთხვევა.

ყველა ეს ფაქტორი მოტივაციას უჩენს სტატისტიკურ და ინდივიდუალურ მკვლევარებს, რომ უკეთ მოახდინონ შინამეურნეობების ეკონომიკური რესურსების მაკრო- და მიკრო მონაცემების ინტეგრაცია და გადალახონ ამ ორი ტიპის მიდგომის ხანგრძლივი დაცალკეება. კერძოდ, სამუშაოს, რომელსაც ადრე ეროვნულ ანგარიშებში უთანაბრობების ასახვაზე ეთგო/ევროსტატის ექსპერტთა საბჭო ასრულებდა 2012-14 წლებში და ახლა ეთგო ასრულებს, ორი მიზანი ჰქონდა.

პირველი მიზანი იყო ამომწურავად მომხდარიყო განსხვავებული ტიპის შინამეურნეობების ეკონომიკური რესურსების მიკრო- და მაკრო საზომებს შორის განსხვავების შეფასება. ეს სხვაობა შეიძლება ასახავდეს ამ ორ წყაროს მოცვისა და განმარტებების განსხვავებებს (მაგალითად, ერთი რომელიმე სპეციფიკური ტიპის შინამეურნეობის შემოსავალი შედის მაკროსტატისტიკაში, მაგრამ გამორიცხულია მიკროსტატისტიკიდან) და ამ ორი წყაროდან მიღებული აგრეგატების ფაქტობრივ საზომებს შორის არსებულ განსხვავებას (მაშინაც კი, თუ იგივე ტიპის შემოსავალი განიხილება ორივე წყაროს მიერ). მიკრო- და მაკრო წყაროებს შორის განსხვავება

ნაწილობრივ ასახავს განსხვავებულ ტრადიციებსა და კვლევით კითხვებს ორ სამუშაო მიმართულებას შორის და ისინი ეხება:

- *განსხვავებებს ორი ტიპის საზომების მოცვაში.* მიკროწყაროებიდან ჩვეულებრივ გამორიცხულია კოლექტიურად (როგორცაა სასტუმროები ან დროებითი საცხოვრებელი ადგილები) ან ინსტიტუციებში (მაგალითად, სამხედრო ყაზარმები) მცხოვრები შინამეურნეობები, ისევე როგორც დაშორებული ან ნაკლებადდასახლებული ადგილების მაცხოვრებლები, რომლებიც შინამეურნეობის სექტორისთვის მაკროსტატისტიკაში შედიან.
- *მათში გაერთიანებული მუხლების დიაპაზონის სხვაობებს.* მაკრორესურსები მოიცავს რამდენიმე იმპუტირებულ მუხლს (მაგალითად, იმპუტირებული რენტა, კაპიტალიდან მიღებული შემოსავალი დაზღვევის პოლისის მფლობელებისთვის ან არაპირდაპირ გაზომილი ფინანსური მომსახურება), რომლებიც ყოველთვის არ შედის მიკროწყაროებში იმის გამო, რომ ინდივიდუალურ რესპონდენტებს სწორად არ უსვამენ ასეთ კითხვებს.
- *კვლევით კითხვებში არსებულ განსხვავებებს.* როგორც წესი, მიკრომონაცემები გამოყენებულია ეკონომიკური რესურსების განაწილებაში არსებული განსხვავებების გამოსაკვეთად დროის მომენტში, ხოლო მაკროსაზომები - იმ ცვლილებების აღსაწერად, რაც დროის პერიოდში ხდება და მოითხოვს ფასებისა და მოცულობების მდგრად საზომებს მაღალი დონის შესაბამისობით დროის პერიოდთან.
- საბოლოოდ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მიკრო მონაცემებით და ეას-ით ერთი და იგივე ტიპის ეკონომიკური რესურსები იქნება მოცული, მათი ფაქტობრივი საზომები შეიძლება განსხვავებული იყოს. ეს იმის გამო ხდება, რომ ეას-ში გამოიყენება ექსტენსიური მონაცემები სხვა ინსტიტუციური სექტორებიდან (მაგალითად, ფინანსური შუამავლების ხელში არსებული ინფორმაცია შინამეურნეობის აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ), ხოლო კვლევები მხოლოდ რესპონდენტებისგან მიღებულ ინფორმაციას ეყრდნობა.


ნახაზზე 15.2 ნაჩვენებია საშუალო სხვაობა (ეთგო-ს ქვეყნების შერჩევის მიხედვით 2000-იანების შუაში), რომელიც ფესუსა და თანაავტორების კვლევას ემყარება [Fesseau at al. (2013a)], შინამეურნეობების კორექტირებული განკარგვადი შემოსავლის, მოხმარების და სიმდიდრის გაზომვებში ეას-ისა და მიკროსაზომების საშუალებით. ეს კვლევა გვიჩვენებს, რომ:

- შინამეურნეობების კორექტირებული განკარგვადი შემოსავლის შემთხვევაში საშუალო დაცილება (ეთგო-ს 20 ქვეყნის მიხედვით) დაახლოებით 40%-ია. ეს სხვაობა 20%-მდე ვიწროვდება, როდესაც შესადარებელი მუხლები ეროვნული

ანგარიშებისა და მიკრომონაცემების მოცვის არეალში ხვდება. მიუხედავად ამისა, ქვეყნებს შორის განსხვავებები მნიშვნელოვანია და მათი დიაპაზონი 5%-დან (იაპონია) 57%-მდე (მექსიკა) მერყეობს. მაკრო- და მიკრო ჯამებს შორის დამთხვევა „კარგია“ (ანუ 80-120%-ის დიაპაზონშია) ქვეყნების 4/5-ში მუხლებისთვის „ხელფასი“ და „ფაქტიური დამსაქმებლის სოციალური დაცვის შენატანები“, მაგრამ ქვეყნების მხოლოდ 2/3-ში მუხლებისთვის „გადასახადები შემოსავალზე“ და „სოციალური შემოსავლების მიღება ნაღდი სახით“; საპირისპიროდ, დამთხვევა მნიშვნელოვნად დაბალია შემდეგი მუხლების მიხედვით: „შემოსავალი და სხვა საკუთრებიდან მიღებული შემოსავალი“ (კარგი დამთხვევაა ქვეყნების მხოლოდ 1/3-ში) და უფრო მეტი ხარისხით - „თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავლისა“ და „საცხოვრებლების ლიზინგისთვის“ (კარგი დამთხვევაა ქვეყნების 1/4-ზე ნაკლებისთვის).

- შინამეურნეობების ფაქტობრივი მოხმარების ხარჯების შემთხვევაში საშუალო სხვაობა (ეთგო-ს 21 ქვეყნის მიხედვით) 40%-ზე ცოტა მეტია. ეს განსხვავება ვიწროვდება 30-ზე უფრო ნაკლებ პროცენტამდე, როდესაც შედარება ხდება კორექტირებული სახით ორი წყაროს მოცვის მიხედვით, ავსტრალიის 16%-იან მინიმუმსა და მექსიკის 62%-იან მაქსიმუმს შორის დიაპაზონში. ზოგადად, „კარგი“ დამთხვევაა მიკრო- და მაკრო ჯამებს შორის ხარჯების უდიდეს კომპონენტებში (საკვები, საბინაო-კომუნალური და სატრანსპორტო ხარჯები) და მნიშვნელოვნად დაბალია „ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს“ და „სხვა საქონლისა და მომსახურების“ მიხედვით.
- შინამეურნეობების სიმდიდრის შემთხვევაში სხვაობა ორი ტიპის წყაროს შორის ზღვრულად მაღალია (თუ გავითვალისწინებთ განსხვავებებს მოცვასა და განმარტებებში) შინამეურნეობების შემოსავლებთან და ხარჯებთან შედარებით, თუმცა ამ შემთხვევაში ეს მტკიცებულება მხოლოდ ეთგო-ს 7 ქვეყნით შემოიფარგლება. სხვაობის დიაპაზონი ქვეყნებს შორის შინამეურნეობების შემოსავლებისა და მოხმარების მსგავსია.

ნახაზი 15.2. საშუალო სხვაობა შინამეურნეობების სხვადასხვა ტიპის ეკონომიკურ რესურსებს შორის ეას-ის და მიკროსაზომების მიხედვით



შენიშვნა: ნახაზზე ნაჩვენებია საშუალო სხვაობა ეას-ის მიხედვით და მიკროსაზომებზე დაფუძნებულ შინამეურნეობების ეკონომიკური რესურსების საზომებს შორის, როდესაც ყველა კომპონენტია მოცული ეასი-დან ან კვლევებიდან (წრეებით) ან მხოლოდ ის კომპონენტები, რომელიც ორივეში შედის (ჰისტოგრამებით).


წყარო: Fesseau et al. (2013a).

ეთგო/ევროსტატის სამუშაოების მეორე ელემენტი იყო სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური რესურსების განაწილებაში არსებულ უთანაბრობებზე ინფორმაციის თავმოყრა და ეროვნულ ანგარიშებთან რაც შეიძლება უფრო ახლოს მათი წარმოდგენა. ამ სამუშაოში ჩართული იყო ეთგო-ს 16 ქვეყნის ექსპერტი. მათ მაკრო- და მიკრო წყაროებზე დაყრდნობით ექსპერიმენტული შეფასებები გააკეთეს სხვადასხვა ტიპის შინამეურნეობების უთანაბრობებზე შემოსავლებსა და ხარჯებში 2000-იანების დასაწყისსა და ბოლოს (შემოსავლების კვანტილის, შემოსავლის მთავარი წყაროსა და შინამეურნეობის ტიპის მიხედვით, (Fesseau et al. 2013b)).

მიუხედავად იმისა, რომ შემოსავლებს შორის უთანაბრობის საზომი საკმაოდ ახლოს იყო ეთგო-ს ქვეყნებში გამოყენებულ მიკრო-წყაროებთან, ამ კვლევამ აჩვენა ის, რაც ყურადღების მიღმა რჩებოდა ანალიზში, კერძოდ, დანაზოგის უპირატესად უარყოფითი ნორმა განაწილების ბოლოსა და შუაში ეთგო-ს ყველა ქვეყანაში; სხვა სიტყვებით, დანაზოგების მაღალი კონცენტრაცია ხდება განაწილების მწვერვალზე, ხოლო ჩვეულებრივ, განაწილების ბოლოსა და შუაში - არა. მიუხედავად იმისა, რომ ნაწილობრივ შეიძლება მეთოდოლოგიურ შეუსაბამობებს ჰქონოდა ადგილი, ეს კვლევა იმაზე მიუთითებს, რომ 2007 წლის კრიზისის წინ მრავალ ქვეყანაში დაბალი

და საშუალო შემოსავლების მქონე შინამეურნეობები იძულებული იყვნენ სესხი აეღოთ მათი ცხოვრების დონის შესანარჩუნებლად, რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აშშ-ის ფინანსურ კრიზისში.

ნახაზი 15.3. შინამეურნეობების დანაზოგების ნორმები შინამეურნეობების სხვადასხვა ჯგუფებში



წყარო: Fesseau at al. (2013b).

2. კეთილდღეობის საზომები ეროვნული ანგარიშების მიღმა


ხალხის ეკონომიკური კეთილდღეობის უკეთესი საზომების შემუშავებამ შეიძლება საჭირო გახადოს ეას-ის საზღვრებისა და შეთანხმებების დარღვევა. ეროვნული ანგარიშების პერსპექტივიდან, ამ გაფართოებებიდან ზოგიერთი კონცეპტუალურად ნაკლებად პრობლემურია, ვიდრე დანარჩენები. ეს ეხება საქმიანობის სახეებს, რომლებიც არ არიან ჩართული ეას-ის წარმოების საზღვრებში ან ბაზარზე გაცვლილ კომერციულ ბუნებრივ რესურსებს. სხვა გაფართოებები, რომლებიც ეხება არასაწარმოო საქმიანობებს, ან ბუნების ხელშემწყობ ფუნქციებს, ისინი უფრო წინააღმდეგობრივი ხასიათისაა და მნიშვნელოვნად სცილდება ეას-ის ჩარჩოს.

2.1. საწარმოო ნაკადების გათვალისწინება ეას-ის ფარგლებს მიღმა

შეთანხმების მიხედვით, საწარმოო საქმიანობა არის ის, რაც ამ მიზნით დაქირავებულის მიერ ხორციელდება („მესამე მხარის კრიტერიუმი“). თუმცა, არის საქმიანობის ისეთი სახეები, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ კრიტერიუმს, მაგრამ ეროვნული ანგარიშების საზღვრებს მიღმა რჩებიან, რადგან მათი გაზომვა პრაქტიკულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ეს ეხება შინამეურნეობების მიერ წარმოებულ მომსახურებას საკუთარი მოხმარების მიზნით. ჩვენთვის ცნობილია, რომ მშპ-ში შედის საკუთარი მოხმარებისთვის შინამეურნეობის მიერ საქონლის წარმოება და საკუთარ სახლში ცხოვრების ღირებულება, თუმცა არ შედის საკვების დამზადება ან მშობლების მიერ გაწეული ხარჯები შვილების აღზრდაზე. ეს გამონაკლისები მნიშვნელოვანია კეთილდღეობის შედარებებისთვის ქვეყნებს შორის როგორც დროის მომენტში (მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში ქალებს უფრო მეტი მომსახურების გაწევა უწევთ), ასევე კეთილდღეობის ცვლილებების ინტერპრეტირებისთვის დროთა განმავლობაში (როდესაც წარმოების გადანაცვლება ხდება შინამეურნეობიდან ბაზრისკენ, ეროვნული ანგარიშები ჩათვლის მას დამატებით საბაზრო წარმოებად, მაგრამ არ გამოქვითავს შინამეურნეობის მომსახურების მცირე წარმოებას, რითიც კეთილდღეობის გადაჭარბებულ მატებს იწვევს).

ხარჯების მეთოდით ამ არასაბაზრო მომსახურების შეფასების ბაზაზე, აჰმადი და კო [Ahmad and Koh (2011)] იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ამ მომსახურების გათვალისწინება ყველა ქვეყანაში შეამცირებს კეთილდღეობის დონეში არსებულ სხვაობას აშშ-ისთან მიმართებით (ქვეყანა, სადაც ერთ შინამეურნეობაზე საბოლოო მოხმარების ხარჯები ყველაზე მაღალია) და ეს დაცილება 70-დან 50%-მდე (დამოკიდებულია შეფასების მეთოდზე) დავიწროვდება თურქეთში (ეთგო-ს ქვეყანა, სადაც ამ მომსახურების მოხმარება ყველაზე მაღალია, ნახაზი 15.4). იგივე ავტორების შეფასებით, თუ ამ მომსახურების მწარმოებლობა არ შეიცვლება, უკანასკნელი 4 ათწლეულის მონაცემთა მწკრივის მიხედვით ეთგო-ს ხუთ ქვეყანაში შინამეურნეობების არასაბაზრო მომსახურების წარმოების მოცულობის შემცირება გამოიწვევს ამ „გაფართოებული“ მშპ-ის მატების ტემპის ზრდას (ანუ, ამ არასაბაზრო მომსახურების ჩათვლით), რომელიც დაახლოებით 40%-ით ნაკლები იქნება, ვიდრე ცალკე აღებული მშპ-ისა.

ნახაზი 15.4. ერთ შინამეურნეობაზე მოხმარების მოცულობის სხვაობა აშშ-სთან მიმართებით
ინდექსი, აშშ = 100



შენიშვნა. შინამეურნეობის ჯამური მოხმარება მოიცავს კორექტირებული ინდივიდუალური მოხმარებისა (AIC) და შინამეურნეობის მიერ წარმოებული არასაბაზრო მომსახურების ჯამს. ამ კვლევის დროს შესწავლილ იქნა შინამეურნეობების ამ მომსახურებაზე გაწეული შრომისა და კაპიტალის ხარჯები. შრომის ხარჯები შეფასდა აღდგენითი (შენაცვლების) ღირებულებით (რომელიც ეფუძნებოდა გადასახადების გადახდის შემდგომ საათობრივ ხელფასს არასაბაზრო წარმოების საქმიანობების ფართო ჯგუფისთვის) ან დაფარული ხარჯებით (რომელიც ეფუძნებოდა გადასახადების გადახდის შემდგომ საათობრივ ხელფასს მთელი ეკონომიკის მასშტაბით). „ოფიციალურის“ ქვეშ იგულისხმება კორექტირებული ინდივიდუალური მოხმარების (AIC) შეფასება ერთ სულზე ეას-ში.

წყარო: Ahmad and Koh (2011).

2.2. არასაწარმოო ნაკადების გათვალისწინება

ადამიანების კეთილდღეობისთვის ასევე მნიშვნელოვანია სხვა საქმიანობები, რომლებიც არ წარმოადგენენ ეკონომიკურ წარმოებას, მაგრამ მოხმარების დიდი შესაძლებლობები გააჩნიათ. ეს არის დასვენება, ანუ დრო, რომელსაც ადამიანები ისეთ საქმიანობებს უთმობენ, რომელიც არ არის დაკავშირებული წარმოებასთან და ის ხმარდება ადამიანების ფიზიკური მთლიანობის (როგორცაა ძილი და კვება) შენარჩუნებას. ეს გულისხმობს, რომ როდესაც მომუშავეები მაღალ შემოსავლებს იღებენ ხანგრძლივი სამუშაო საათების, ან ხანმოკლე დასვენების ხარჯზე, ის, რაც არ იზომება ეროვნული ანგარიშების მიერ (ანუ დასვენების დრო) „დაკარგულია“ მომუშავეებისთვის, რამდენადაც მათი შემოსავალი იზრდება. რამდენადაც ქვეყნების მიხედვით სამუშაო დროის დონეები და ტრენდები განსხვავებულია, ნებისმიერი კორექტირება, რომელიც დადებით მნიშვნელობას მიანიჭებს დასვენების დროს

(ნულისგან განსხვავებით ეკონომიკურ ანგარიშებში), წესით მნიშვნელოვანი ეფექტის მომხდენი უნდა იყოს ეკონომიკურ კარგად ყოფნაზე (მატერიალური ცხოვრების პირობები).²

როგორც სტიგლიცი, სენი და ფიტუსი (2009) ამტკიცებდნენ: „თუ ადამიანი წლის განმავლობაში 2000 საათის ნაცვლად 1500 საათს მუშაობს და იგივე საქონელსა და მომსახურებას მოიხმარს, ეს ნიშნავს, რომ მისი ცხოვრების დონე ამაღლდა“.

თავისუფალი დროის მონეტარული შეფასების დროს სირთულეები დგება როგორც რაოდენობების, ისე ფასების გაზომვაში. პირველის შემთხვევაში, ინფორმაცია ადამიანების მიერ სხვადასხვა საქმიანობისთვის დათმობილი დროის რაოდენობის შესახებ შეიძლება მივიღოთ დროის გამოყენების კვლევებიდან, რაც იშვიათად ტარდება და მათი შესადარისობა ქვეყნებს შორის შეზღუდულია. ასევე, ზღვარი დასვენებასა და დროის სხვა ტიპის გამოყენებას (მაგალითად, ბავშვებთან გატარებული დრო) შორის ერთი და იმავე პირისთვის ნაწილობრივ შემთხვევითი; ასევე, როდესაც ადამიანებს სხვადასხვა სიტუაციაში ვადარებთ, უმუშევრისთვის თავისუფალ დროს სხვა დატვირთვა აქვს, ვიდრე კარგად ანაზღაურებადი პირისთვის. რაც შეეხება შეფასებას, დასვენების ღირებულების შედარება საბაზრო საქონლისა და მომსახურების მოხმარებისგან მიღებულ სარგებელთან უფრო რთულია, ვიდრე ის, რომ შინამეურნეობების მიერ წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას მოვუძებნოთ ეკვივალენტი ბაზარზე, რომელიც არ არსებობს.

მიმდინარე ეტაპზე ამ პრობლემებთან დაკავშირებით საერთაშორისო კონსენსუსი არ არსებობს. რაც შეეხება ადრეულ მიდგომებს, ისინი ეთმობოდა დასვენების დროის მთლიანი ღირებულების გაზომვას, ხოლო უფრო მოგვიანებით - დასვენების დროის ცვლილების გავლენის შეფასებას დაფარული ხარჯების საზომების ბაზაზე. ბოარინის და სხვების [Boarini et al. (2006)] შეფასებით, სხვადასხვა მეთოდით მშპ-ის კორექტირება დასვენების დროის მიხედვით ცალკეული ევროპული ქვეყნების (ნიდერლანდები და დანია) ცხოვრების დონეს აშშ-ზე მაღლა ასწევს. გარდა ამისა, იმ დროს, როდესაც ევროპის უმეტესი ქვეყნები შეეცდებიან მნიშვნელოვნად შეამცირონ თავიანთი ჩამორჩენა აშშ-ისთან შედარებით, ეს სხვაობა მაინც გაიზრდება იმ ქვეყნებში (მექსიკა და კორეა), სადაც სამუშაო დრო აშშ-ის დონეს აჭარბებს.

2.3. საქონლის მოხმარების განსხვავებების გათვალისწინება

მოხმარების თეორიის სტანდარტული მიდგომის მიხედვით, ადამიანი უპირატესობების მინიჭებაში თავისუფალია და ყოველი დამატებითი

განსხვავებული საქონლის ერთეულის მოხმარების ზღვრული სარგებლიანობა თანატოლია. ყველა ეს დაშვება იმ მოსაზრებას ეყრდნობა, რომ „შედარებით გაზრდილი მოხმარება გაზრდილ კეთილდღეობას გულისხმობს“. ეს არის დაშვება, რომელიც არაპირდაპირ არის ასახული ეროვნული ანგარიშების მეთოდოლოგიაში. რეალურად, მოხმარებლის კეთილდღეობაზე მოხმარებული საქონლის ბუნებამ შეიძლება მრავალი გზით მოახდინოს გავლენა. მაგალითად, ტრადიციულ ეკონომიკურ თეორიაში განხილული კერძო საქონლის გარდა არსებობს *პოზიციური საქონელი* (ანუ საქონელი, რომლის სარგებლიანობაზე უარყოფით გავლენას ახდენს სხვა საქონლის მოხმარება) და *სტატუსის მქონე საქონელი* (ანუ საქონელი გამოკვეთილი სტილით, დიზაინითა და ბრენდით), სადაც მაღალი დანახარჯები არ მიგვიყვანს საზოგადოების მატერიალურ კეთილდღეობამდე მთლიანობაში. ამასთან, არსებობს საქონელი, რომელიც თავისი ბუნებიდან გამომდინარე *დეფიციტურია*, როგორც არის კონკრეტულ მომსახურებასთან (კომფორტთან) სიახლოვეში მდებარე საცხოვრებელი ბინები, რომლებზეც მისაწვდომობა უფრო მეტად შეფარდებითი და არა აბსოლუტური შემოსავლით განისაზღვრება; ისევე როგორც *საზოგადოებრივი საქონელი* (რომელიც არაკონკურენტული და არაგამორიცხვადია) და *საზოგადოებრივი ფონდების რესურსები* (რომლებიც კონკურენტული, მაგრამ არაგამორიცხვადია), რომლებიც არ ჯდება საბაზრო ჩარჩოებში. ყველა ჩამოთვლილი საქონლისთვის ეას-ის ტრადიციული შეფასება (ანუ საბაზრო ფასების გამოყენება) მარცხისთვის არის განწირული ადამიანების კეთილდღეობაზე მათი ზემოქმედების გაზომვის შემთხვევაში.

ბოლოს, არის გარკვეული საქონელი, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ „სამწუხაროდ“, როგორცაა დანახარჯები გადატვირთულობაზე (საცობი, შეჯგუფება, ჭარბი მოსახლეობა), სასამართლო დავებზე, უსაფრთხოებაზე, ან გარემო პირობების გაუარესების თავიდან აცილებაზე, რომელთა გაღება მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ მოვახდინოთ წინარე მოვლენების კომპენსირება, რომლებმაც გააუარესეს ადამიანთა კეთილდღეობა. ამ შემთხვევაში, ზოგიერთი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც ზრდის მშპ-ს, უბრალოდ ახდენს ეკონომიკური ზრდის კორექტირებას არაკომფორტულობის ფაქტორით (მაგალითად, ურბანიზაცია), ან ბუნებრივი კაპიტალის შემცირებით (მაგალითად, გამონახობის შემცირებაზე გაწეული ხარჯები), ან სოციალური კაპიტალით (მაგალითად, კრიმინალური უბნების სიახლოვეში ბინების უსაფრთხოების გაზრდა). რადგან ეროვნულ ანგარიშებში ეს ხარჯები განიხილება როგორც „საბოლოო მოხმარება“, განსხვავებული ნორმატიული არჩევანები (ანუ ამ ნაკადების ხელახალი კლასიფიცირება „საბოლოო“ მოხმარებიდან „შუალედურამდე“) მატერიალური კეთილდღეობის განსხვავებულ შეფასებასა და

გაზომვამდე მიგვიყვანს. „სამწუხარო“ ხარჯების შემდგომმა განხილვამ დაგვანახა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მათ შეიძლება აამაღლონ კეთილდღეობა მოცემულ სიტუაციაში (დანახარჯების გაწევა სასამართლო განხილვაზე აუმჯობესებს კეთილდღეობას დავის დასრულების შემდეგ), რეალურად ეს ეროვნულ ანგარიშებში გაუთვალისწინებელი ეფექტების გამოსწორებაა, რაც შემდგომი ქვეთავის განხილვის საგანს წარმოადგენს.

2.4. კაპიტალის მარაგების გათვალისწინება: მდგრადობა

მსოფლიოს, სადაც რესურსები შეზღუდული და არაგანახლებადია, მშპ-ის მაღალი მნიშვნელობა შეიძლება ძვირად დაუჯდეს შემცირებული კეთილდღეობის სახით. ეს კომპრომისი საფუძვლად უდევს დისკუსიებს „მდგრადობის“ შესახებ. აღნიშნული დისკუსია და მასში სტატისტიკოსების მონაწილეობა პროვოცირებულია მოსაზრებებით ბუნებრივი რესურსების სასრულობისა და ეკოლოგიური ზღვრების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ ანგარიშებში ხდება ძირითადი კაპიტალის მოხმარების გაზომვა (რომლის გამორიცხვის შედეგად მშპ-იდან მივიღებთ „წმინდა“ შიგა პროდუქტს), ეს მოხმარება მხოლოდ ნაწილობრივად ასახავს წარმოების პროცესში მოხმარებულ კაპიტალს (და მითუმეტეს, თუ კაპიტალის რაოდენობის გამოფიტვა მოხდა ეკონომიკური პროცესების შედეგად კეთილდღეობის მისაღწევად). 1987 წლის ბრუნდტლანდის ანგარიშიდან მდგრადი განვითარების კანონიკური განმარტებით, ეს არის განვითარება, “რომელიც აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნილებებს და საფრთხის ქვეშ არ აყენებს მომავალი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას“. ამ განმარტებას მარტინ ვიცმანმა დაამატა გაგება იმის შესახებ, რომ „წმინდა“ ეროვნული პროდუქტის საზომი (მასში მონაწილე ყველა რესურსის ცვეთის გათვალისწინებით) შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც მოხმარების მაქსიმალური დონე, რომელიც განუსაზღვრელი ვადით შეიძლება შენარჩუნდეს მომავალში. მდგრადობის შესახებ დისკუსიების ნაწილი განპირობებულია ბუნებრივი რესურსების მდგომარეობით. ეროვნული ანგარიშების მიხედვით, მშპ-ში შედის კომერციული ბუნებრივი რესურსების გამოყენების შედეგი (მაგალითად, ხის მასალა), ასევე მისი ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები, თუმცა არ შედის მათი მარაგების გამოფიტვა ან ამოწურვა. ასევე, ეროვნულ ანგარიშებში აისახება ნავთობის მოპოვების დროს მისი ჩაღვრის შედეგად მიღებული ზიანის გამოსწორება დასახლებულ პუნქტებში მაცხოვრებლებისთვის, თუმცა არა იმ ზიანისა, რომელიც თავდაპირველად მიაღება ბუნებას. ადამიანების კეთილდღეობა ზიანის გამოსწორების შემდეგაც შეიძლება შემცირდეს, მიუხედავად მაღალი მშპ-ისა. აღნიშნული გულისხმობს, რომ მშპ-ის, როგორც კეთილდღეობის საზომის პრობლემა

გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ხარჯების ჩართვა კი არ არის, არამედ ეკონომიკასთან დაკავშირებული ეფექტიანობის გამოტოვება ბუნებრივ კაპიტალზე. ბუნებრივი კაპიტალი აქტივების მრავალფეროვან ჩამონათვალს მოიცავს, დაწყებული კომერციული მუხლებიდან, როგორცაა სასარგებლო წიაღისეული და ტყე და დამთავრებული ოკეანეებითა და ატმოსფეროთი. ერთმანეთისგან ასხვავებენ „ეკოლოგიურ აქტივებს“, რომლებიც გარემოს ინდივიდუალურ კომპონენტებს წარმოადგენენ (როგორცაა, მაგალითად, თევზი ან ნავთობის რესურსები) და „ეკოსისტემებს“, რაც წარმოადგენს სხვადასხვა ეკოლოგიური აქტივის ერთობლივ ფუნქციონირებას (როგორცაა ნიადაგი, ტყეები, წყლის რესურსები და ატმოსფერო). ეკოლოგიურ აქტივებს ასევე ყოფენ - განახლებად და არაგანახლებად რესურსებად. არაგანახლებადი რესურსები ამოწურვადია, რაც ნიშნავს, რომ მათი ექსპლუატაციის შემდეგ არ ხდება მარაგის ხელახალი გენერირება. ის მოიცავს შემდეგ მუხლებს: მეტალები და სხვა მინერალები, მიწა, ქვანახშირი, ნავთობი და აირი. განახლებადი აქტივები ექსპლუატაციის შემდეგ შეიძლება აღდგეს ზრდის ან შევსების გზით, თუ არ იქნება დარღვეული მარაგების „კრიტიკული“ ზღვრები. ეს არის მერქანი რეგულირებადი ტყეებიდან, მატყლი, რომელიც მიიღება ცხვრისგან ან ადამიანის მიერ მომრავლებული თევზი მდგრადად მართვადი მარაგებიდან.

ეკოლოგიური აქტივებისა და ნაკადების სტატისტიკის არსებობამ განაპირობა ინტეგრირებული და რეგულარული ანგარიშების შემუშავება გარემოს განსხვავებული ელემენტებით და მათი დაკავშირების გზების მიხედვით ეკონომიკასთან. 2012 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკურმა კომისიამ გამოაქვეყნა გარემოსა და ეკონომიკური ანგარიშების ახალი სისტემა (SEEA) და მოარგო ის საერთაშორისო სტანდარტებს. SEEA-ში ეკოლოგიური აქტივები მოცემულია როგორც ფიზიკურ, ისე ფულად ერთეულებში. SEEA-ს ცენტრალური ჩარჩო მიმდინარე ეტაპზე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაინერგა და მის სპეციფიკურ ელემენტებს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ცალკეული ქვეყნების მხრიდან. 2015 წლიდან ეთგო შედარების მიზნით დაიწყებს „ძირითადი ცხრილების“ შეგროვებას. საწყის ეტაპზე ყურადღება დაეთმობა გამონაბოლქვისა და ბუნებრივი რესურსების შესწავლას, რომელიც მიზნად ისახავს მწარმოებლობის საზომების გაფართოებას ეკონომიკურ წარმოებაში ბუნებრივი რესურსების გათვალისწინებით. ევროკავშირის მასშტაბით 2011 წელს მიღებული გარემოს ანგარიშების წლიური კომპილაცია სავალდებულოა წევრი ქვეყნებისთვის სამი მოდულის მიხედვით: 1) ეკოლოგიური გადასახადები; 2) დარგებისა და შინამეურნეობების მიერ 14 ნივთიერების გაფრქვევა ჰაერში და 3) მატერიალური ნაკადების ანგარიშები 40 ნედლეულის შიდა მოპოვებაზე, ექსპორტსა და იმპორტზე,


რომელთა მონაცემების მიწოდება პირველად 2013 წელს დაიწყო. ევროკავშირის მეორე რეგულაცია სამ ახალ მოდულს მოიცავს: 1) გარემოს დაცვის ხარჯები; 2) ეკოლოგიური საქონელი და მომსახურება და 3) ფიზიკური ენერჯის ნაკადები, რომლის მონაცემების მიწოდება 2017 წელს არის გათვალისწინებული.

ბუნებრივი და ეკოლოგიური რესურსების გარდა მდგრადი განვითარებისთვის კაპიტალის სხვა სახეებიც მნიშვნელოვანია (იმავე აზრით, რომ სხვა შედეგებიც, რომელიც ნედლეულს არ ეხება, მნიშვნელოვანია კარგადყოფნისთვის). მდგრადი განვითარების ინდიკატორების გასაზომად ევროპელი სტატისტიკოსების კონფერენციამ 2014 წელს მიიღო რეკომენდაციები, რომელთა სტრუქტურა განსხვავებულია შემდეგი განზომილებების მიხედვით: „აქ და ახლა“ (ანუ კეთილდღეობის მიმდინარე მდგომარეობა მოცემულ ქვეყანაში და დროის მოცემულ მომენტში), „მოგვიანებით“ (ანუ კაპიტალის მარაგების საზომები მოცემულ ქვეყანაში) და „სხვაგან“ (ანუ მოცემული ქვეყნის გავლენა სხვა ადგილის ნაკადებსა და მარაგებზე). ეს სტრუქტურა მოიცავს ერთი ქვეყნის ეკონომიკური საქმიანობის გავლენის შეფასებას მეორე ქვეყნის კაპიტალის მარაგებზე, სადაც ეს წარმოება ხდება და ასევე კაპიტალის მარაგების შეფასებასაც ბუნებრივი კაპიტალის მიღმა.

პირველ შემთხვევაში, „ნაკვალევს“ საზომებით ხდება ერთი ქვეყნის ეკონომიკური საქმიანობის გავლენის შეფასება სხვა ქვეყანაში ან გლობალურად არსებულ ბუნებრივ რესურსებზე. ეს საზომები მოითხოვს მსოფლიო მასშტაბის დანახარჯები-გამოშვების ცხრილს, რომელიც მოგვაწვდის ინფორმაციას არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ მის საზღვრებს გარეთ განხორციელებულ ეკონომიკურ ტრანსაქციებზეც, რაც ახასიათებს წარმოებისა და მოხმარების გაფართოებულ გლობალიზაციურ პროცესებს. ნაკვალევს საზომები ძირითადად გამოიყენება ნახშირბადის გამონაბოლქვის შემთხვევაში, რამდენადაც ეს გამონაბოლქვი შეიძლება პირდაპირ უკავშირდებოდეს ეკონომიკური წარმოების დროს დახარჯული ენერჯის მოცულობას. ნახშირბადის ნაკვალევს ექსპერიმენტული საზომებით, 1995-2005 წლებში მოთხოვნაზე დაფუძნებული გამონაბოლქვის დონე ეთგო-ს ქვეყნებში 1/4-ით მეტი იყო წარმოებაზე დაფუძნებული გამოფრქვევისაგან (რამდენადაც ამ ქვეყნებმა ინტენსიურად დაიწყეს ნახშირბადტევადი საქონლისა და მომსახურების იმპორტი ეთგო-ს არაწევრი ქვეყნებიდან), ხოლო განვითარებად ქვეყნებში საპირისპირო ვითარება იყო.

ნახაზი 15.5. გამოშვებაზე დაფუძნებული და მოთხოვნაზე დაფუძნებული CO₂-ის გამოფრქვევა

ყოველწლიური ცვლილების დონე, 1995-2005



წყარო: OECD (2011b), *Towards Green Growth: Monitoring Progress – OECD Indicators*, OECD Publishing, Paris.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144339>

მდგრადობისთვის არაეკონომიკური კაპიტალიდან მნიშვნელოვანია ჰუმანური კაპიტალი. ის არ შედის ეროვნული ანგარიშების აქტივების საზღვრებში, რადგან კაპიტალი, რომელიც ადამიანშია ჩადებული, არ შეიძლება ვინმეს საკუთრება იყოს ან ვინმეს გადაეცეს და რადგან ადამიანის მიერ ამ ინვესტიციის განხორციელება არ აღიქმება „წარმოებად“ (ანუ არ შეიძლება მისი დელეგირება მესამე მხარისთვის). ეკონომიკური კაპიტალისგან განსხვავებით, ჰუმანურ კაპიტალს სხვა თვისებებიც გააჩნია. კერძოდ, გამოყენებასთან ერთად ის უფრო უმჯობესდება (გაცვეთის მაგივრად). მიუხედავად იმისა, რომ ჰუმანურ კაპიტალს გააჩნია როგორც რაოდენობრივი საზომები (მაგალითად, სხვადასხვა საგანმანათლებლო კვალიფიკაციის ადამიანების რაოდენობა, რაც შეჯამებულია სტატისტიკურ ინდიკატორში „სწავლაზე დახარჯული წლების საშუალო რაოდენობა“, ან სახელობო კვალიფიკაციების მქონე პირთა რაოდენობა), ისე ხარისხობრივი (მაგალითად, სასკოლო გამოცდებზე მიღებული ქულები), მათი შესადარისობა მაინც შეზღუდულია ქვეყნებისა და პროგრამების მიხედვით. არსებობს ასევე ჰუმანური კაპიტალის ფულადი საზომები, რომელიც შესაფასებლად იყენებს შედეგებს ან ხარჯებს (Boarini et al., 2013); ჯერ-ჯერობით არ არსებობს კონსენსუსი გაზომვის საუკეთესო მეთოდთან და ეას-ში ამ საზომების ინტეგრირებასთან დაკავშირებით. მიუხედავად კონსენსუსის არარსებობისა, მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო ნაკადების შესწავლა მათი სწორი კლასიფიცირების მიზნით, რადგან ეს ნაკადები ეროვნულ ანგარიშებში მოხმარებას განეკუთვნება და არა ინვესტიციას.

ეთგო-ს განმარტებით, ჰუმანური კაპიტალი არის „ცოდნა, უნარები, კომპეტენციები და სხვა თვისებები, რომელიც შეძენილია ცალკეული ადამიანების ან ჯგუფების მიერ სიცოცხლის განმავლობაში და გამოიყენება საქონლის, მომსახურების ან იდეების საწარმოებლად საბაზრო პირობებში“ (Boarini and al., 2013).


3. კარგადყოფნის გაზომვა: უფრო ვრცლად საკითხზე „მშპ-ის მიღმა“

კეთილდღეობის გაგება უკავშირდება კითხვას, თუ „რამდენად მდიდარია ხალხი“, ხოლო პასუხი - იმ ნივთებს, რომელსაც ისინი ფლობენ. კარგად ყოფნის ფართო გაგება უკავშირდება კითხვას: „რამდენად კარგად არის ხალხი?“, რომელზე პასუხიც კარგი ცხოვრების მოთხოვნებია. კარგი ცხოვრების გაგება მოითხოვს ფოკუსირებას „მშპ-ის მიღმა“ საკითხებზე. მიუხედავად იმისა, რომ კარგი ცხოვრების განსაზღვრისადმი მრავალი მიდგომა არსებობს, მათი უმეტესობა არ ავიწროებს მას მხოლოდ ნივთების ფლობამდე. ის მოიცავს მრავალფეროვან ასპექტებს და თვისებებს, რომელიც ბაზარზე არ იყიდება და მნიშვნელოვანია როგორც ინდივიდუალურ (მაგალითად, ჯანმრთელობა, მეგობრები, უსაფრთხოება და ა.შ.), ისე საზოგადოების დონეზე (მაგალითად, ძლიერი თემები(კომუნები), სოციალური ნორმები). ეს ფართო დიაპაზონი არ არის მოცული მშპ-ის და ეროვნული ანგარიშების სხვა საზომებით. ზოგიერთი ავტორის აზრით, რადგან მშპ მჭიდრო კორელაციაშია კარგად ყოფნის არამონეტარულ ასპექტებთან, საჭიროა მხოლოდ კარგად ყოფნის ადეკვატურ საზომებზე ყურადღების გამახვილება. თუმცა, ამ შეხედულების დასამტკიცებლად სუსტი არგუმენტები გვაქვს. ადამიანების კარგადყოფნის მრავალი არამონეტარული კომპონენტი მშპ-სთან „ხელიხელჩაკიდებული“ მხოლოდ რაღაც მომენტამდეა (ნახაზი 15.6, პანელი A და B). მაგალითად, როგორც სიცოცხლის ხანგრძლივობა, ისე ცხოვრებით კმაყოფილება (ადამიანების კარგადყოფნის ორი კრიტიკული განზომილება) წრფივ-ლოგარითმულ დამოკიდებულებაშია მშპ-სთან; ეს გულისხმობს, რომ მშპ-ის ერთ დამატებულ ერთეულთან ერთად სიცოცხლის ხანგრძლივობა და ცხოვრებით კმაყოფილება სულ უფრო მცირდება, თუმცა ერთ სულზე მშპ-ის პროცენტული ცვლილება იგივე რჩება არამონეტარული განზომილებებით საშუალოდ ქვეყნისთვის. იმის გამო, რომ ლოგარითმულ-წრფივი დამოკიდებულება შესაბამისობაშია მიკროეკონომიკური დაშვებების სტანდარტთან (რომ ზღვრული სარგებლიანობა მცირდება მის კომპონენტებში), მისი ინტერპრეტირება ასე შეიძლება: მაღალშემოსავლიან ქვეყნებში მშპ სუსტი წარმომადგენლობითი ცვლადია ადამიანების კეთილდღეობის ასახვისთვის და მისი ხარისხი უფრო უარესდება მშპ-ის ზრდასთან ერთად. ეს ასევე სწორია ყველა იმ


ქვეყნისთვის, რომლებიც მრუდის გარეთაა ნახაზე 15.6. მაგალითად, რუსეთი ან ჩილე კეთილდღეობის მაჩვენებლებით ძალიან განსხვავებულია, თუმცა დაახლოებით ერთნაირი მშპ აქვთ ერთ მოსახლეზე, რაც გულისხმობს, რომ ამ შემთხვევაში მთავარი მამოძრავებელი მშპ არ არის.

ნახაზი 15.6. ურთიერთკავშირი სიცოცხლის ხანგრძლივობასა და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის

პანელი A: სიცოცხლის ხანგრძლივობა და მშპ ერთ მოსახლეზე, 2009



პანელი B: ცხოვრებით კმაყოფილება და მშპ ერთ მოსახლეზე, 2011



წყარო: OECD (2013), "OECD Health Data: Health status", OECD Health Statistics database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00540-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00540-en) and OECD (2014), "Aggregate National Accounts: Gross domestic product", OECD National Accounts Statistics (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en) and GallupWorld Poll <http://www.gallup.com/home.aspx?ref=b>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144347>

დამოკიდებულება ცხოვრებით კმაყოფილებასა და შემოსავალს შორის მრავალი კვლევის ობიექტი გახდა და ის ცნობილია ე.წ. „ისტერლინის პარადოქსის“ სახელით. ამერიკელი ეკონომისტის, რიჩარდ ისტერლინის დაკვირვებით, 1970-იანების ეკონომიკური ზრდა აშშ-ში არ გარდაისახა სუბიექტურ კარგად ყოფნაში (Easterlin, 1974). რიგ შემთხვევებში ამ პარადოქსის ახსნა ხდებოდა შეფარდებითი (რელატიური)

შემოსავლის ჰიპოთეზით (ანუ, ინდივიდები ზრუნავენ მხოლოდ მათი შემოსავლების შეფარდებითი პოზიციების ცვლილებაზე და არა მათი შემოსავლის აბსოლუტურ ცვლილებაზე), ადაპტაციური (ანუ, ადამიანები თავიანთ მისწრაფებებს ცვლიან როდესაც მდიდრდებიან) და სატურაციის ან გაჯერების ჰიპოთეზით (ანუ, შემოსავალს დამატებითი სუბიექტური კეთილდღეობა მოაქვს მხოლოდ ღარიბებისთვის).

3.1. კეთილდღეობა, როგორც შესაძლებლობები

რადგან ადამიანების კეთილდღეობის გასაზომად მხოლოდ მშპ არ არის საკმარისი, ამიტომ დიდი დრო დაეთმო მისი დამატებითი საზომების შემუშავებას, რასაც სათავე დაუდო ამარტია სენის „შესაძლებლობების“ მიდგომა. ამ მიდგომის თანახმად, კარგად ყოფნა არის *კარგი ცხოვრების შესაძლებლობები*. ეს შესაძლებლობები წარმოადგენს ფუნქციონირების ალტერნატიული კომბინაციების სიმრავლეს (ანუ უამრავი რამ, რასაც პიროვნება აპირებს გააკეთოს და იყოს), რასაც შეიძლება ადამიანმა მიაღწიოს. განვითარება და პროგრესი მოითხოვს ადამიანების შესაძლებლობების გაფართოებას და ტრაგიკული არჩევანიდან თავის დაღწევას, რომელშიც ადამიანი მატერიალური არსებობის შესანარჩუნებლად თმობს ჯანმრთელობას, განათლებას ან ღირსებას. ამ შეხედულებიდან არაპირდაპირ გამომდინარეობს, რომ კარგი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტი თავისთავად ფასეულობა და არა მხოლოდ ინსტრუმენტია კეთილდღეობის მაღალი დონის მისაღწევად.

შესაძლებლობების მიდგომა გულისხმობს კეთილდღეობის მრავალგანზომილებიან განსაზღვრას, რომელიც შესაძლებლობებთან ერთად მიღწეულ შედეგსაც მოიცავს. რადგან მიღწეული დონეც და შესაძლებლობებიც მნიშვნელოვანია, ამ მიდგომის ამოქმედება შეიძლება ინდიკატორების საშუალებით, იმ დაშვებით, რომ ყველა განზომილება მნიშვნელოვანია. სწორედ ამ მიმართულებას მიყვება ეთგო-ს უკეთესი ცხოვრების ინიციატივა (ჩანართი 15.2) და ეთგო-ს უკეთესი ცხოვრების ინდექსი.


ჩანართი 15.2. ეთგო-ს მიერ შემუშავებული კრიტერიუმები კეთილდღეობის გასაზომად

კეთილდღეობის გასაზომად ეთგო-ს მიერ შემუშავებული კრიტერიუმები (ნახაზი 15.7) წარმოადგენს შესაძლებლობების მიდგომის განხორციელების მცდელობას და მის გაზომვას კეთილდღეობის ინდიკატორების საშუალებით პოლიტიკოსებისა და სტატისტიკური სამსახურების მიერ მოსახლეობის კარგად ყოფნის მონიტორინგისა და გაუმჯობესების მიზნით. კრიტერიუმების ამოქმედება უპირველეს ყოვლისა

მოითხოვს ფუნქციებისა და შესაძლებლობების ჩამონათვალის შერჩევას და შემდეგ მათი გაზომვის მიზნით სპეციფიკური ინდიკატორების განსაზღვრას. პირველ ასპექტთან დაკავშირებით ეთგო კარგად ყოფნას ორ ქრილში განიხილავს; მატერიალური ცხოვრების პირობები (ე.ი. „კეთილდღეობა“ ან „ეკონომიკური კარგად ყოფნა“) და ცხოვრების ხარისხი. ეს ორი ქრილი შემდეგ თერთმეტ პუნქტად არის ჩაშლილი, კერძოდ: 1) შემოსავალი და სიმდიდრე; 2) სამუშაო და შემოსავლები; 3) საბინაო პირობები; 4) ჯანმრთელობა; 5) სამუშაო და ცხოვრებს ბალანსი; 6) განათლება; 7) სოციალური კავშირები; 8) სამოქალაქო ჩართულობა; 9) გარემოს მდგომარეობა; 10) პირადი უსაფრთხოება და 11) სუბიექტური კეთილდღეობა. ითვლება, რომ ეს თერთმეტი განზომილება უნივერსალურია, მისაღებია ყველა საზოგადოებისთვის. რა თქმა უნდა, ქვეყნების და კულტურების მიხედვით ამ განზომილებების საზომი ინდიკატორები შეიძლება განსხვავებული იყოს, თუმცა მათ აქვთ იმის პრეტენზია, რომ მნიშვნელოვანობა არ დაკარგონ ნებისმიერი სოციალ-ეკონომიკური და ჰუმანური განვითარების პირობებში.

კეთილდღეობის თითოეული განზომილება სპეციფიკურ საკითხებთან არის დაკავშირებული, ამიტომ მათი შესაბამისი ინდიკატორები ყოველთვის არ არის შესაბამისი ხარისხის (იხ. ეთგო-ს 2011 და 2013 წლების დისკუსიები ამ საკითხთან დაკავშირებით). მუხედავად ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია სტატისტიკამ უკანასკნელ ოცწლეულში (მაგალითად, დასაქმება, ჯანმრთელობა, უნარები და გარემო). ზოგიერთ ინდიკატორს ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი საერთაშორისო სტანდარტის დონემდე (მაგალითად, სოციალური კავშირები, მართვა, პირადი უსაფრთხოება). ზოგადად, კეთილდღეობის სტატისტიკას ისეთი ნაკლოვანებები ახასიათებს, როგორცაა დროში შეზღუდული შესაძარისობა, ხარვეზები დროულობის მხრივ და დეტალიზაციის არასაკმარისი დონე (ანუ, მაკროდონეზე ეს ინდიკატორები მისაწვდომია, თუმცა არა მოსახლეობის განსხვავებული ქვეჯგუფების დონეზე). ასევე, ისინი მხოლოდ ფიზიკურ გამოსახულებაში გვევლინება, რაც გულისხმობს, რომ შეფასების დროს არ გაითვალისწინება კომპრომისები. რიგ შემთხვევებში შესადარი მონაცემები მხოლოდ არაოფიციალური ხერხებით მოიპოვება, რასაც სხვა სტატისტიკური შეზღუდვები აქვს.

ნახაზი 15.7. ეთგო-ს მიერ შემუშავებული კრიტერიუმები კეთილდღეობის
გასაზომად



წყარო: OECD (2013), How's Life? 2013: Measuring Well-being, OECD Publishing, <http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en>.

3.2. მრავალგანზომილებიანობის გაზომვა და გაგება: ინდიკატორები თუ ინდექსი?

რადგან შესაძლებლობების მიდგომა ყველა შედეგს თავისთავად ფასეულობად განიხილავს, მისი ამოქმედებისთვის საჭიროა ინდიკატორების სისტემის შემუშავება თითოეული შედეგის დამოუკიდებელი ჩვენების მიზნით. ამ მეთოდის ნაკლოვანება იმაში მდგომარეობს, რომ ის მხოლოდ ნაწილობრივ ამყარებს წესრიგს სტატუსებს შორის (ანუ, მათი საშუალებით ვიგებთ ქვეყნის მიღწევებს თითოეული განზომილების მიხედვით დამოუკიდებლად და არა მთლიანობაში), დადებითი კი ის არის, რომ აღწერს ელემენტარული კომპონენტების ქცევის ტრენდებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკის პერსპექტივიდან.

ინდიკატორების ალტერნატივად შეიძლება განვიხილოთ ინდექსები, რომელთა დახმარებით ხდება ელემენტარული ინდიკატორების გამსხვილებული წარმოდგენა.

კომპოზიციური ინდექსების საშუალებით ხდება ინფორმაციის კომბინირება და წარმოდგენა აგრეგატული სახით, ხოლო სინთეზურის საშუალებით - ინფორმაციის კომბინირება ინდივიდუალურ დონეზე. ამ ინდექსების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ამარტივებენ მონაცემების წაკითხვას და ითვალისწინებენ შედეგების ერთობლივ კორელაციას, რაც კომპონენტებს შორის ურთიერთკორელაციის შესაძლებლობაზე მიანიშნებს (შერწყმა ან კომპრომისი აგრეგატულ დონეზე და უპირატესობების/ნაკლოვანებების კონცენტრაცია ინდივიდუალურ დონეზე). ამ ინდექსების ნაკლოვანებად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ მათმა გამოყენებამ შეიძლება მოითხოვოს შემთხვევითი დაშვებები მათი აგების სხვადასხვა ეტაპზე, ანუ ინდიკატორების ნორმალიზაცია (როდესაც ინდივიდუალური კომპონენტები ერთი საზომით არ გამოისახება) და ფუნქციონალური ფორმის არჩევანი სხვადასხვა ელემენტისა (მაგალითად, არგუმენტების მდგრადობა ან ურთიერთშეკვება) და მათი წონების კომბინირების მიზნით. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს დაშვებები ან ეკონომიკური თეორიიდან იყოს აღებული, ან /და მოხდეს მათი ტესტირება ანალიზის საფუძველზე.

ეთგო-ს უკეთესი ცხოვრების ინდექსში ამ პრობლემის თავიდან აცილება ხდება იმით, რომ მომხმარებლებს საშუალება აქვთ თვითონ შეარჩიონ ინდივიდუალური წონები და მოახდინონ მრავალი ინდიკატორის აგრეგირება.

თუმცა, ბოლო პერიოდში დიქტომია ინდიკატორებსა და კომპოზიციურ/სინთეზურ ინდექსებს შორის სულ უფრო არააუცილებელი ხდება, რამდენადაც დამატებული ღირებულების ანალიზში შესაძლებელია კომპოზიციური/სინთეზური ინდექსების გამოყენება, მაგრამ ამავე დროს არააგრეგირებული ინდიკატორებით საშუალება გვეძლევა ჩავწვდეთ კომპოზიციური/სინთეზური ინდექსების შეზღუდვებსაც. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კომპოზიციური/სინთეზური ინდექსების გამოყენება უფრო მოსახერხებელია, მაგალითად, როდესაც ჩვენი მიზანია არა კეთილდღეობის, არამედ პოლიტიკის ეფექტის შეფასება კეთილდღეობაზე. მრავალ პოლიტიკას ან საზოგადოებრივ პროგრამას ადამიანების ცხოვრებაზე გავლენის ფართო დიაპაზონი გააჩნია; ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მათი წინასწარი ან შემდგომი შეფასება გაკეთდეს მათი ერთობლივი გავლენით ადამიანების ცხოვრებაზე.

ამასთან დაკავშირებით, ეთგო-ს მიზანია კეთილდღეობაზე სხვადასხვა პოლიტიკების გავლენის კომპოზიციურ საზომში კეთილდღეობის სამი განზომილების გაერთიანება,

რომელიც შედის უკეთესი ცხოვრების ინიციატივის კრიტერიუმებში მონეტარული საზომების სახით (იხ. ჩანართი 15.3).

ჩანართი 15.3. ეთგო-ს ინკლუზიური ზრდის კონცეფცია


ეთგო-ს ინკლუზიური ზრდის გაზომვის კონცეფცია, კეთილდღეობის კომპოზიტური ინდექსი (ეწოდება „მრავალგანზომილებიანი ცხოვრების დონე“) განისაზღვრება შემოსავლისა და შემოსავლისგან განსხვავებული შერჩეული ცხოვრების ასპექტებით, რომელიც ქვეყანაშია მიღწეული და იმით, თუ როგორ ხდება მათი განაწილება მოსახლეობის მასშტაბით. ამ ინდექსის აგება სამ საფეხურად ხდება:

- პირველი, *შემოსავალზე დაფუძნებული* ცხოვრების დონის საზომი (რომელიც შეიძლება „დავიჭიროთ“ რეალური შემოსავლის მოხმარებით) გამოითვლება ინდივიდუალურ დონეზე.
- მეორე, ანალიზში შემოტანილია *შემოსავლისგან განსხვავებული* სხვა განზომილებები, რომელიც იზომება ინდივიდუალურ ან ინდივიდების ჯგუფების ბაზაზე გაზომილ შემოსავალთან კომბინაციის მიზნით.
- ცხოვრების დონის ეს ფართო საზომი აგრეგირებულია ცხოვრების დონის მრავალგანზომილებიანი საზომის მისაღებად.

მეორე საფეხურზე ეთგო-ს კონცეფცია მიყვება შემოსავლის ეკვივალენტურ მიდგომას (Fleurbaey, 2009). ეკვივალენტური შემოსავალი არის ჰიპოთეტური შემოსავალი, რომელიც ინდივიდს ინდიფერენტულს გახდის მისი მიმდინარე ცხოვრების არა-საშემოსავლო ასპექტებსა და საორიენტაციო სიტუაციას შორის (ჩვეულებრივ, ეს არის საუკეთესო შესაძლო შედეგი). შემდეგ ხდება ეკვივალენტური შემოსავლის ჩანაცვლება მონეტარული შემოსავლით და კეთილდღეობის შედარებები ინდივიდებს შორის და დროთა განმავლობაში სტანდარტული შემთხვევის ანალოგიურია. ეკვივალენტური შემოსავლის მიდგომა მოითხოვს არასაშემოსავლო კომპონენტებიდან მიღებული სარგებლის მონეტიზაციას. მონეტიზაცია უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია საბაზისო დონეზე, რომელსაც ედარება ინდივიდების ფაქტობრივი შედეგები (მაგალითად, სიცოცხლის ხანგრძლივობის სტანდარტთან შედარებით მაღალი ან დაბალი ნიშნული). მეორე საფეხურზე ხდება სტანდარტიდან ინდივიდის დაცილების მონეტიზაცია და მისი გამოსახვა ეკვივალენტური შემოსავლის სახით. ნახაზზე 15.8 ნაჩვენებია, რომ 1995 და 2007 წლებს შორის მედიანური შინამეურნეობის ცხოვრების მრავალგანზომილებიანი სტანდარტი მონეტარულ სიდიდეებში უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე მშპ ერთ სულზე და შინამეურნეობების შემოსავლები, რაც განპირობებული იყო სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდითა და უმუშევრობის შემცირებით. 2007-2009 წლების

კრიზისის შემდეგ ცხოვრების მრავალგანზომილებიანი სტანდარტი მშპ-სთან შედარებით უფრო დავარდა ეთგო-ს ყველა ქვეყანაში მაღალი უმუშევრობის შედეგად.

ნახაზი 15.8. მედიანური შინამეურნეობის ცხოვრების მრავალგანზომილებიანი დონის ზრდა 1995-2007 წლებში



შენიშვნა: ამ ნახაზზე ნაჩვენებია ცხოვრების მრავალგანზომილებიანი დონის ზრდა 1995 – 2007 წლებში. აქ აგრეთვე ასახულია ცხოვრების მრავალგანზომილებიანი დონის კომპონენტების, კერძოდ, შემოსავლის, სიცოცხლის ხანგრძლივობის, უმუშევრობის ზრდა.

წყარო: Boarini et al., 2014.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144366>

შენიშვნები

1. მომხმარებელი ერთეულები ჩვეულებრივ კორექტირდება შინამეურნეობის იმ წევრთა რაოდენობით, რომლებიც საერთო რესურსებს ინაწილებენ. მომხმარებელი ერთეულების გაანგარიშება მოითხოვს ინფორმაციას ინდივიდების დაჯგუფების შესახებ სხვადასხვა შინამეურნეობაში, ანუ მიკროდონის ინფორმაციას, იხ.:

<http://www.oecd.org/eco/growth/OECD-Note-EquivalenceScales.pdf>

2. ეთგო-ს შეფასებებით, დასაქმების მანძილზე ერთი სულის მიერ ნამუშევარი საშუალოწლიური საათების რაოდენობა 2012 წელს მერყეობდა 2,226 საათსა (მექსიკა) და 1,381 საათს შორის ნიდერლანდებში (ანუ განსხვავება დაახლოებით 40%). 1979 წლიდან ფაქტობრივად ნამუშევარი საათების საშუალო რაოდენობა შემცირდა 18%-ით საფრანგეთში, თუმცა აშშ-ში მხოლოდ 2%-ით).

ბიბლიოგრაფია

Ahmad, N. and S. Koh (2011), “Incorporating Estimates of Household Production of Non-Market Services into International Comparisons of Material Well-Being”, OECD Statistics Working Papers, No. 2011/07, OECD Publishing, Paris, [doi: http://dx.doi.org/10.1787/5kg3h0jgk87g-en](http://dx.doi.org/10.1787/5kg3h0jgk87g-en).

Boarini R., Å. Johansson and M. M. d'Ercole (2006), “Alternative Measures of Well-Being”, OECD Social, *Employment and Migration Working Papers*, No. 33, OECD Publishing, Paris, [doi: http://dx.doi.org/10.1787/713222332167](http://dx.doi.org/10.1787/713222332167).

Boarini R, De Mello L., De Serres A., Martin F., Schreyer P. (2014), “OECD Framework on Inclusive Growth”, *OECD Statistics Directorate Working Paper*, forthcoming, OECD Publishing, Paris Boarini R., M. Mira d'Ercole and G. Liu (2012), “Approaches to Measuring the Stock of Human Capital: A Review of Country Practices”, OECD Statistics Working Papers, No. 2012/04, OECD Publishing, Paris, [doi: http://dx.doi.org/10.1787/5k8zlm5bc3ns-en](http://dx.doi.org/10.1787/5k8zlm5bc3ns-en).

Coyle D. (2014), “GDP: a brief but affectionate history”, Princeton University Press, Princeton, New Jersey Fesseau, M., F. Wolff and M. L. Mattonetti (2013a), “A Cross-country Comparison of Household Income, Consumption and Wealth between Micro Sources and National Accounts Aggregates”, OECD Statistics Working Papers, No. 2013/03, OECD Publishing, Paris, [doi: http://dx.doi.org/10.1787/5k3wdjrn7mv-en](http://dx.doi.org/10.1787/5k3wdjrn7mv-en).

Fesseau, M. and M. L. Mattonetti (2013b), “Distributional Measures Across Household Groups in a National Accounts Framework: Results from an Experimental Crosscountry Exercise on Household Income, Consumption and Saving”, OECD Statistics Working Papers, No. 2013/04, OECD Publishing, Paris, [doi: http://dx.doi.org/10.1787/5k3wdjq775f-en](http://dx.doi.org/10.1787/5k3wdjq775f-en).

Fleurbaey M. (2009), “Beyond the GDP: The quest for measures of social welfare”, *Journal of Economic Literature*, Vol. 47, No. 4, December, pp. 1029-1075, [doi:%20http://dx.doi.org/10.1787/5k3wdjq775f-en](http://dx.doi.org/10.1787/5k3wdjq775f-en).

Gallup World Poll, <http://www.gallup.com/home.aspx?ref=b>.

Nordhaus W. D. and J. Tobin (1973), "Is Growth Obsolete?" in *The Measurement of Economic and Social Performance, Studies in Income and Wealth*, National Bureau of Economic research, Vol. 38.

OECD (2014), "Detailed National Accounts: Non-financial accounts by sectors, annual", OECD National Accounts Statistics (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00034-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00034-en).

OECD (2013a), "Aggregate National Accounts: Gross domestic product", OECD National Accounts Statistics (database), <http://dx.doi.org/10.1787/data-00001-en>.

OECD (2013b), "OECD Health Data: Health status", OECD Health Statistics (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00540-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00540-en).

OECD (2013c), "Income Distribution", OECD Social and Welfare Statistics (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00654-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00654-en).

OECD (2013d), *How's Life? 2013: Measuring Well-being*, OECD Publishing, [doi: http://dx.doi.org/10.1787/9789264201392-en](http://dx.doi.org/10.1787/9789264201392-en).

OECD (2011), *How's Life?: Measuring Well-being*, OECD Publishing, Paris, [doi: http://dx.doi.org/10.1787/9789264121164-en](http://dx.doi.org/10.1787/9789264121164-en).

Stiglitz J. E., A. Sen, and J-P Fitoussi (2009) *Report by the Commission on Measurement of Economic Performance and Social Progress*, available under <http://www.stiglitz-sen-fitoussi.fr/en/index.htm>.

თავი 16

ეროვნული ანგარიშები გლობალიზებულ სამყაროში

ამ თავში ნაჩვენებია გლობალიზაციის მზარდი ტრენდი, როდესაც პროდუქციის წარმოება მსოფლიო მასშტაბის პროცესების შედეგია. საერთაშორისო ვაჭრობის ურთიერთდაკავშირებული ნაკადების უკეთესი გაგების მიზნით ის გვთავაზობს ახალ სტატისტიკურ ინსტრუმენტს, TiVA (ვდლ). თავში მოტანილია მსჯელობა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა შეინარჩუნოს მაღალი ხარისხი ეროვნული ანგარიშების სტატისტიკამ უფრო და უფრო გლობალიზებულ სამყაროში.

გლობალიზაცია საუკუნეებს ითვლის და ეროვნულ ეკონომიკებს შორის გაფართოებულ ინტერაქციაში გამოიხეხა. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ამ ფენომენმა ახალი იმპულსი შეიძინა - ძირითადად, ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პოლიტიკების განვითარებისა და პროგრესის გამო. მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყნებს შორის ტრადიციული ურთიერთკავშირები, მაგალითად, პროდუქტების გაცვლასა და მჭიდროდ დაკავშირებულ ფინანსურ ბაზრებზე. ამავე დროს, გლობალიზაცია გაღრმავდა საწარმოო პროცესებშიც. მაგალითად, წარმოვიდგინოთ iPad-ის წარმოების პროცესი. ეს პროდუქტი შეიქმნა და განვითარდა აშშ-ში, მისი ნახევარფაბრიკატები დამზადდა სხვადასხვა ქვეყანაში და შემდეგ ააწყეს ჩინეთში, რის შემდეგაც მთელ მსოფლიოში იყიდება, ხოლო სარეკლამო კამპანიები სხვა ქვეყნებში მუშავდება. ქვემოთ, ნახატზე გამოსახულია ბოინგის წარმოების პროცესში არსებული ურთიერთკავშირები მსოფლიოს მასშტაბით.


ამ ძვრებმა დადებითი გავლენა მოახდინა შემოსავალსა და მწარმოებლურობაზე მსოფლიოს მასშტაბით. ამასთან, ეს პროცესი რისკსაც შეიცავს, რაც დადასტურდა 2007 წელს აშშ-ში დაწყებული ეკონომიკური და ფინანსური კრიზისით, რომელიც გაზრდილი ურთიერთკავშირების ფონზე სწრაფად მოედო მთელ მსოფლიოს. აშშ-ის უძრავი ქონების ბაზრის ვარდნა მხოლოდ ამერიკული კომპანიების პორტფელებზე კი არ აისახა, არამედ პირდაპირი გზით, აშშ-ის უძრავ ქონებაში ჩადებული ინვესტიციების მეშვეობით და ასევე არაპირდაპირ, ამერიკული კომპანიების Fanny Mae, Freddy Mac და Lehman Brothers-ის ინვესტიციების მეშვეობით დანარჩენ მსოფლიოში. შემდეგი მაგალითია ფუკუსიმას კატასტროფა, რომელმაც გავლენა მოახდინა არა მხოლოდ იაპონიის, არამედ სხვა ქვეყნების ეკონომიკებზეც, რომლებიც მასთან მიწოდების ჯაჭვით იყვნენ დაკავშირებული.

თუ გლობალიზაციას სტატისტიკური თვალსაზრისით შევხედავთ, რამდენიმე გამოწვევას დავინახავთ, რომლებიც ოთხ მსხვილ ჯგუფში ერთიანდება:

- თვით ამ ფენომენის გაზომვა. როგორ უნდა გავზომოთ გლობალიზაციის განვითარება მომავალში? რომელი ინდიკატორებით უნდა მოვახერხოთ ეროვნული ეკონომიკების გაზრდილი ურთიერთდამოკიდებულების შეფასება?
- ტრანსნაციონალური საწარმოების, როგორც გლობალიზაციის მამოძრავებელი ძალის ქცევის აღწერა. როგორ და რატომ საქმიანობენ ასე ეს საწარმოები? რა მიზეზები უდევს საფუძვლად საქმიანობების ასეთ დაყოფას და შემდგომ განაწილებას ქვეყნების მიხედვით? რა შეფარდებითი უპირატესობები აქვთ ეროვნულ ეკონომიკებს?

- გლობალიზაციის გავლენა ტრადიციულ ინდიკატორებზე. გლობალიზაციამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს საზოგადოების განვითარების ყველა ასპექტზე, ეკონომიკაზე, სოციალურ ცხოვრებასა და გარემოზე. სამომავლო ანალიზისთვის საჭიროა უფრო დეტალური ინფორმაცია უმნიშვნელოვანესი გავლენის სფეროების შესახებ.
- გლობალიზაციის გავლენა ტრადიციული ინდიკატორების კომპილაციაზე. სულ უფრო იზრდება საწარმოები, რომელთა ბიზნესს საერთაშორისო ხასიათი აქვს, სულ უფრო მეტი ხალხი კვეთს საზღვარს ბიზნესის საწარმოებლად, ასევეა ფინანსური კაპიტალისა და საქონლისა და მომსახურების შემთხვევაში, რაც სპეციფიკურ პრობლემებს უჩენს ეროვნული სტატისტიკის წარმოებას და კერძოდ, ეროვნულ ანგარიშებს.

მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაცია პრობლემებს უჩენს სტატისტიკის წარმოებას, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მაკროეკონომიკური პოლიტიკები დიდწილად ისევ ეროვნულ საფუძველზე რჩება. ევროზონაშიც კი, 19-ივე ქვეყნისთვის მხოლოდ მონეტარული პოლიტიკა არის საერთო და არა საბიუჯეტო პოლიტიკა, რომელიც ეროვნულ ეკონომიკას ეყრდნობა. ამდენად, ეროვნული ანგარიშების ცვლადები ამოსავალ ცვლადებად რჩება, რამდენადაც ისინი ქმნიან სტატისტიკურ ჩარჩოს, რომელსაც ეყრდნობა ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკები. სხვა სიტყვებით, ტერმინი „ეროვნული“ კი არ მოძველდა ეროვნულ ანგარიშებში, არამედ, „უბრალოდ“ უფრო გართულდა ეროვნული ანგარიშების აგრეგატების გაზომვა და სტატისტიკოსებს ახალი ხერხების გამოყენება უხდებათ ხარისხის შესანარჩუნებლად.



წყარო: <http://www.newairplane.com>.


ამ თავს დავიწყებთ მზარდი გლობალიზაციის ზოგიერთი მაგალითის განხილვით. შემდეგ შევხერდებით ტრანსნაციონალური საწარმოების როლსა და გავლენაზე ეროვნული ეკონომიკების სავაჭრო ნაკადებსა და კონკურენტუნარიანობაზე, რაც ემყარება ახალ სტატისტიკურ ინსტრუმენტს, ვაჭრობას დამატებული ღირებულებით (TiVA, ვდლ). თავში მოტანილი იქნება ზოგიერთი გაანგარიშება, სახელდობრ, როდესაც საქმე ეროვნული ანგარიშების კომპილაციაზე მიდგება.

1. მზარდი გლობალიზაციის მტკიცებულება

ხშირად, გლობალიზაცია აღიქმება როგორც საქონლისა და მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის გაზრდილი ხვედრითი წილი მშპ-ში. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის ეროვნული ეკონომიკების ურთიერთკავშირის მხოლოდ ერთადერთი გზა, მისი საშუალებით სწრაფად არის შესაძლებელი ამ ფენომენის გაგება. ნახაზზე

16.1 ნაჩვენებია 1995-2012 წლების პერიოდი, როდესაც ეთგო-ს ქვეყნების ექსპორტის ხვედრითი წილი მშპ-ში 20.1-დან 29.0%-მდე გაიზარდა.

ნახაზი 16.1. ეთგო-ს ქვეყნების ექსპორტის საშუალო ხვედრითი წილი საქონლისა და მომსახურების ექსპორტის ხვედრითი წილი მშპ-ში, %




წყარო: OECD (2014), National Accounts at a Glance 2014, OECD Publishing, [doi: http://dx.doi.org/10.1787/na_glance-2014-en](http://dx.doi.org/10.1787/na_glance-2014-en).

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144375>

პატარა და ღია ეკონომიკის ქვეყანა ლუქსემბურგში ექსპორტის ხვედრითი წილი მშპ-ის 100%-ს აჭარბებს; მისი პიკი, 182%, ზუსტად ფინანსური კრიზისის წინ დაფიქსირდა. თუმცა ექსპორტის მაღალი ხვედრითი წილი სხვა ქვეყნებშიც აღინიშნა: ბელგია, ესტონეთი, უნგრეთი, ირლანდია, ნიდერლანდები და სლოვაკეთის რესპუბლიკა, სადაც უკანასკნელ წლებში მისი ხვედრითი წილი 75% იყო. თუ დინამიკაში განვიხილავთ, ვნახავთ, რომ გრძელვადიანი განვითარების გზიდან მთავარი ამოვარდნა ეკონომიკურმა და ფინანსურმა კრიზისმა გამოიწვია, თუმცა ტრენდის გასწორება მალევე მოხდა კრიზისამდელზე უფრო მაღალი ექსპორტის წილებით.

მეორე ინდიკატორი, რომელიც ეროვნულ ეკონომიკებს შორის მზარდი ურთიერთკავშირების ტენდენციას გვიჩვენებს, არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) ხვედრითი წილი მშპ-ში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) ძირითადად დაკავშირებულია ტრანსნაციონალური საწარმოების მიერ განხორციელებულ ინვესტიციებთან მის საზღვარგარეთულ ფილიალებში. ნახაზზე 16.2 ნაჩვენებია ეთგო-ს ქვეყნების მიერ განხორციელებული პუი საზღვარგარეთ 1990-2013 წლებში. აქაც, ექსპორტის წილებთან მსგავსი ტენდენცია შესამჩნევია. თუ 1990 წელს ეთგო-ს ქვეყნების საშუალო პოზიცია 9.7% იყო, 2013 წელს ის უკვე 42.6%-მდე გაიზარდა. უკანასკნელ წლებში ლუქსემბურგიდან და ირლანდიიდან გატანილმა ინვესტიციებმა 200%-ს გადააჭარბა და მას ფეხდაფეხ მიყვებოდა ბელგია და შვეიცარია 190%-ით.

ნახაზი 16.2. ეთგო-ს ქვეყნების მიერ განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალო ხვედრითი წილი მშპ-ის %



წყარო: OECD (2013), FDI series of BOP, http://stats.oecd.org/Index.aspx?DataSetCode=FDI_BOP_IIP და <http://www.oecd.org/investment/statistics.htm>.

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144407>

ასევე შეიძლება დავაკვირდეთ უცხოური კორპორაციების კონტროლქვეშ მყოფი საწარმოების შიდა გამოშვებასა და დასაქმებას. ქვემოთ მოტანილია ცხრილი, რომელიც ნიდერლანდებს შეეხება. ცხრილიდან ჩანს, რომ არაფინანსურ საქმიანობაში საზღვარგარეთული კორპორაციების მიერ კონტროლირებადი საწარმოების ხვედრითი წილი 1995 წლიდან მოყოლებული მნიშვნელოვნად გაიზარდა უკანასკნელ პერიოდში. 2009-11 წლებში ასეთი საწარმოების ხვედრითი წილი დამატებულ ღირებულებაში 19%-იდან (1995 წ.) დაახლოებით 30%-მდე გაიზარდა. მომუშავეთა ანაზღაურებაში მათი ხვედრითი წილი 16.5%-დან 2009-11 წლებში 25%-მდე გაიზარდა. განსაკუთრებით მაღალი მატება კრიზისის პირველ წლებში შეინიშნებოდა, რაც სავარაუდოდ იმაზე მეტყველებს, რომ უცხოეთის მიერ კონტროლირებადი კორპორაციები კრიზისისადმი უფრო მედეგი აღმოჩნდა. ყოველივე ეს ნათლად მიანიშნებს ეროვნული ეკონომიკების მზარდ ურთიერთკავშირებზე. ასეთივე მაგალითების მოძიება შესაძლებელია ფინანსური კაპიტალის გაზრდილ დღიურ ტრანსაქციებში მსოფლიო მასშტაბით. მომდევნო ქვეთავში მეტი ყურადღება დაეთმობა ტრანსნაციონალურ საწარმოებს და მათ როლს.

ცხრილი 16.1. უცხოეთის მიერ კონტროლირებადი არაფინანსური კორპორაციები ნიდერლანდებში

დამატებული ღირებულება და მომუშავეთა შრომის ანაზღაურება

უცხოური კორპორაციის მიერ კონტროლირებადი საწარმოს დამატებული ღირებულება	უცხოური კორპორაციის მიერ კონტროლირებადი საწარმოს მომუშავეთა შრომის ანაზღაურება	არასაფინანსო კორპორაციების დამატებული ღირებულება	არასაფინანსო კორპორაციების მომუშავეთა შრომის ანაზღაურება	ხვედრითი წილი დამატებულ ღირებულებაში	ხვედრითი წილი მომუშავეთა ანაზღაურებაში	
1995	32490	17207	171001	104177	19.0%	16.5%
1996	34175	18033	179451	109181	19.0%	16.5%
1997	37558	18545	192310	115903	19.5%	16.0%
1998	41317	21188	204671	125214	20.2%	16.9%
1999	44602	23674	217558	134326	20.5%	17.6%
2000	49246	25358	237147	144303	20.8%	17.6%
2001	55600	29912	251994	154574	22.1%	19.4%
2002	61780	32296	263024	161243	23.5%	20.0%
2003	63461	32617	266631	164883	23.8%	19.8%
2004	68858	35949	273709	168539	25.2%	21.3%
2005	72365	38312	287162	170995	25.2%	22.4%
2006	78791	39889	304212	179049	25.9%	22.3%
2007	84228	42810	325204	190018	25.9%	22.5%
2008	82997	42238	339872	201020	24.4%	21.0%
2009	94399	51402	322929	201913	29.2%	25.5%

2010	100335	51874	327892	201801	30.6%	25.7%
2011**	100161	51289	338359	207140	29.6%	24.8%

წყარო: CBS (2012), Internalisation Monitor 2012, <http://www.cbs.nl/nl-NL/menu/themas/internationale-handel/publicaties/publicaties/archief/2012/2012-internationalisation-monitor-2012-pub.htm>.


StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144385>

2. ახალი სტატისტიკური ინსტრუმენტი გლობალიზაციის გავლენის გასაზომად: ვაჭრობა დამატებული ღირებულებით (TiVA)

გლობალიზებული სამყაროს მთავარი მოთამაშეები ტრანსნაციონალური საწარმოები არიან. სულ უფრო მეტი საწარმო ერთვება გლობალურ საწარმოო საქმიანობაში, რაც ხშირად მთელ მსოფლიოს მოიცავს. საწარმო პროცესები დანაწილებულია და იმ ქვეყნებშია განთავსებული, სადაც ეს ყველაზე ეფექტურია. ეს პირდაპირ გავლენას ახდენს დამატებული ღირებულებისა და დასაქმების ფორმირებასზე ამ ქვეყნებში, აგრეთვე საზღვრის მკვეთი სავაჭრო ნაკადების ინტენსივობასა და იმ კონკურენტულ უპირატესობებზე, რაც გლობალიზებული სამყაროსთვის არის დამახასიათებელი. მსოფლიო სულ უფრო მეტად ურთიერთდაკავშირებული გახდა და ამიტომ ეროვნული ეკონომიკების ფუნქციონირების გაგება მხოლოდ ტრადიციული მიდგომებით და ეროვნული სტატისტიკით შეუძლებელია. დარგობრივი პოლიტიკების შექმნისა და კონკურენტუნარიანობის მისაღწევად სულ უფრო მეტად ხდება საჭირო ეკონომიკის მთლიანობაში დანახვა.

გლობალიზაციის, როგორც ფენომენის შესასწავლად მრავალი ინიციატივა გაჩნდა. მათ შორისაა მონაცემებისა და ანალიზის გაუმჯობესება ახალი ხერხის გამოყენებით, რომელსაც ეწოდება ვაჭრობა დამატებული ღირებულებით (TiVA), რომელიც ეთგო-სა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) ერთობლივი წამოწყება. ვაჭრობა დამატებული ღირებულებით (ვდღ) მიმართულია ორმაგი აღრიცხვისკენ ვაჭრობის მთლიან ნაკადებში და ამის ნაცვლად ზომავს ღირებულების დამატებულ ნაკადებს (მომუშავეთა შრომის ანაზღაურება, სხვა გადასახადები წარმოებაზე და საოპერაციო მოგება ან შემოსავალი), ქვეყნის მიერ ნებისმიერ წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაზე, რომელსაც ექსპორტში უშვებს. თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ მაგალითი. ვთქვათ, A ქვეყანა ახდენს ამ ქვეყანაში წარმოებული 100 აშშ დოლარის ღირებულების საქონლის ექსპორტს B ქვეყანაში, სადაც ხდება მისი შემდგომი გადამუშავება C ქვეყანაში გატანამდე, სადაც მისი საბოლოო მოხმარება ხდება. B ქვეყანა ამატებს თავისი საქონლის ექსპორტს 10 აშშ დოლარს და C-ში გააქვს 110 აშშ დოლარის საქონელი. ტრადიციული გაზომვით, გლობალურად ჯამური ექსპორტი

და იმპორტი 210 აშშ დოლარის ტოლია, თუმცა მათი წარმოების პროცესში მხოლოდ 110 აშშ დოლარის დამატებული ღირებულების გენერირება მოხდა. ტრადიციული საზომებით ასევე ჩანს, რომ C-ს B-სთან აქვს სავაჭრო დეფიციტი 100 აშშ დოლარის ოდენობით და რომ მას ვაჭრობა არ ჰქონია A-სთან, იმის მიუხედავად, რომ A არის C-ს მოხმარების მთავარი ბენეფიციარი.



თუ ზემოაღნიშნულის ნაცვლად დამატებული ღირებულების ნაკადებს დავაკვირდებით და ხალახლა გამოვთვლით C-ს სავაჭრო დეფიციტს B-ს მიმართ იმ დამატებული ღირებულების საფუძველზე, რომელიც საბოლოო მოთხოვნისთვის არის „შემქნილი“ B-დან, მაშინ მისი დეფიციტი 10 აშშ დოლარამდე შემცირდება. თუ იგივე მიდგომას გამოვიყენებთ A-ს დამატებული ღირებულების მიმართაც, მაშინ C-ს სავაჭრო დეფიციტი A-ს მიმართაც ექნება 100 აშშ დოლარის მოცულობით. აღსანიშნავია, რომ C-ს მთლიანი დეფიციტი მსოფლიოს მიმართ კვლავ 110 აშშ დოლარი რჩება. რაც შეიცვალა, არის მისი ორმხრივი პოზიციები. ამ მარტივი მაგალითით შეიძლება დავინახოთ, თუ როგორ გავლენას ახდენს ერთი ქვეყნის მოხმარება მეორე ქვეყნის გამოშვებაზე და რამდენად დიდია ეს გავლენა (მაგალითად, C-ს მოხმარება ასტიმულირებს A-ს გამოშვებას), მაგრამ ამასთან, სხვა მრავალი მომენტიც შეიძლება დავინახოთ, რაც გლობალიზაციას უკავშირდება. მაგალითად, ის გვიჩვენებს, რომ B-ს ექსპორტი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული A-დან შუალედურ იმპორტზე და ავლენს, რომ პროტექციონისტულმა საზომებმა A-დან შეიძლება ავნოს მის საკუთარ ექსპორტს და შესაბამისად კონკურენტუნარიანობას. რა თქმა უნდა, შესაბამისი ინფორმაციის შემთხვევაში შესაძლებელია სხვა დარგების მოცვაც, მაგალითად, მომსახურების სფეროს წვლილისაც საერთაშორისო ვაჭრობაში. ამ თვალსაზრისით, პასკალ ლამი, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეზიდენტი, აღნიშნავდა, რომ „სტატისტიკური გადახრა, რომელიც დაკავშირებულია სავაჭრო ღირებულების მიწერასთან

უკანასკნელი წარმოშობის ქვეყანაზე, ამახინჯებს ორმხრივი ვაჭრობის დისბალანსის ნამდვილ ეკონომიკურ ასპექტს. ეს გავლენას ახდენს პოლიტიკურ დებატებზე და იწვევს არასწორ აღქმას“ (Financial times, 24 January 2011).


ამ სავაჭრო ნაკადების გამოცალკევებისა და დამატებული ღირებულებით ვაჭრობის შესაფასებლად ვდღ იყენებს გლობალური დანახარჯები-გამოშვების ცხრილს, რომელიც ერთად უყრის თავს ეროვნული ეკონომიკების დანახარჯები-გამოშვების ცხრილებს და საქონლისა და მომსახურების ორმხრივი ვაჭრობის მონაცემებს. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ ვდღ-ს გამოყენება არ ნიშნავს ეროვნული ანგარიშების ძირითადი ცვლადების, როგორცაა მშპ ან დამატებული ღირებულება, კორექტირებას, რომლებიც თავისუფალია ნებისმიერი ორმაგი აღრიცხვისა ან გადახრისგან. საპირისპიროდ, ვდღ-ს შეფასებები ეფუძნება ეროვნულ ანგარიშთა სისტემას. ვდღ გვამღვეს მთლიანი ვაჭრობის ნაკადების დამატებითი ინტერპრეტირების საშუალებას. ქვემოთ მოტანილია ძირითადი მესიჯების მაგალითები საერთაშორისო ვაჭრობის ნაკადების მონაცემების ახალი პრეზენტაციიდან.

ექსპორტი მოითხოვს იმპორტს

როგორც მონაცემებიდან ჩანს, იმპორტის ხვედრითი წილი ექსპორტში (საზღვარგარეთ წარმოშობილი პროდუქტის ექსპორტის დამატებული ღირებულების ხვედრითი წილი იმპორტში) მნიშვნელოვანია თითქმის ყველა ქვეყნის მიხედვით. ნახაზზე 16.3 ნაჩვენებია შებრუნებული დონე (ანუ, ექსპორტის შიდა წილი პროცენტულად). ჩვეულებრივ, რაც უფრო დიდია ქვეყანა, მით უფრო მაღალია ექსპორტში შიდა წილი. მაგრამ მცირე ეკონომიკების შემთხვევაშიც, როგორცაა ავსტრალია, ჩილე და ნორვეგია, შედარებით მაღალია შიდა წილი ექსპორტში. ამ ქვეყნებიდან გადის რკინის მადანი, ნავთობი და სპილენძი, ამიტომ დაბალია საგარეო ხვედრითი წილი. გეოგრაფიაც თავის როლს თამაშობს, რაც გვეხმარება ახალი ზელანდიის შედარებით მაღალი დონის ახსნაში. ეს ასევე ხსნის მის მაღალ დამოკიდებულებას სასოფლო-სამეურნეო ექსპორტზე, რაშიც შედარებით დაბალია საგარეო წილი. საშუალო ეკონომიკებისთვის, კერძოდ აღმოსავლეთ ევროპაში, ნორმად იქცა შიდა წარმოების წარმოდგენა ექსპორტში ორი მესამედით. უფრო ზოგადად, მონაცემებმა გამოავლინა ევროპული, აზიური და ჩრდილო-ამერიკული პროდუქციის გამოყენება და მრავალი ქვეყნის მნიშვნელოვანი დამოკიდებულება ამ ქვეყნებიდან მიღებულ იმპორტზე თავიანთი ექსპორტის ფორმირების მიზნით. მექსიკის მაქილადორებსა და ჩინეთის ამწყობ საწარმოებში წარმოებული პროდუქციის ექსპორტის დაახლოებით ერთი მესამედი უცხოური წარმოშობისაა.

ნახაზი 16.3. ექსპორტის შიდა ხვედრითი წილი

შიდა დამატებული ღირებულების ექსპორტის პროცენტული წილი მთლიან ექსპორტში, 2009



წყარო: OECD/WTO (2013), OECD-WTO: Statistics on Trade in Value Added, (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00648-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00648-en).

StatLink <http://dx.doi.org/10.1787/888933144418>


გარკვეული სიფრთხილე მაინც საჭიროა შედეგების ინტერპრეტირების დროს: 2009 წელი გამონაკლისი იყო, რადგან ალბათ კრიზისის მანძილზე ყველაზე დაბალი შედეგებით გამოირჩეოდა, ამასთან მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უპრეცედენტოდ დაბალი იყო გლობალური ვაჭრობის დონე. თუ 1995 წლის ციფრებს დავუბრუნდებით, წარმოების საერთაშორისო ფრაგმენტაცია (იმპორტის ხვედრითი წილი ექსპორტში) გაცილებით გაიზარდა უკანასკნელ ათწლეულში და ეკონომიკის ვარდნის მიუხედავად მრავალ ქვეყანაში გრძელდებოდა 2005-08 წლებში. მაგრამ, 2009 წელს მოხდა იმპორტის ხვედრითი წილის ვარდნა ექსპორტში და ამდენად, გაიზარდა საშინაო წილი, რაც გულისხმობს, რომ რაც უფრო მაღალია საქონლისა და მომსახურების ფრაგმენტაცია, სავარაუდოდ მით უფრო განიცდის ვაჭრობა სინქრონულ ვარდნას. ამის გამო, უმეტეს ქვეყნებში იმპორტის ხვედრითი წილი მთლიან ექსპორტში 2005 წლის დონეს დაუბრუნდა, მაგრამ ჩინეთის ექსპორტში სტაბილურად მოხდა საგარეო წილის ვარდნა.

შუალედური იმპორტის მაღალი ხვედრითი წილი გამოიყენება საექსპორტო ბაზრის მომსახურებისთვის

ზემოთ მოტანილი ციფრები იმაზე მეტყველებს, რომ საექსპორტო ფირმებს სჭირდებათ ეფექტურ იმპორტზე მისაწვდომობა კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად და ამით პროტექციონისტური საზომების პოტენციურად კონტრპროდუქტული ეფექტების გამოაშკარავება. მაგრამ ასეთი პოლიტიკების

საპირისპირო ეფექტების ჩვენების ალტერნატიული გზაა შუალედური იმპორტის ხვედრითი წილის გამოყოფა საექსპორტო ბაზრებიდან. ეკონომიკების უმეტესობაში შუალედური იმპორტის ერთი მესამედი საექსპორტო ბაზრების მომსახურებისთვის არის განკუთვნილი. გასაკვირი არ არის, რომ, რაც უფრო მცირეა ეკონომიკა, მით უფრო მაღალია შუალედური იმპორტის წილი, თუმცა აშშ-სა და იაპონიაშიც მაღალია ეს წილი, 15 და 20% შესაბამისად (ნახაზი 16.4). მაგალითად, იაპონიაში სატრანსპორტო მოწყობილობების შუალედური იმპორტის დაახლოებით 40% ექსპორტში იყრის თავს. სხვა დანარჩენ ქვეყნებში ექსპორტში განხორციელებული შუალედური იმპორტის ხვედრითი წილი გაცილებით მაღალია. უნგრეთში შუალედური იმპორტის ორი მესამედი საექსპორტო ბაზარზე გადის გადამუშავების შემდეგ; ასე ხდება ელექტრომოწყობილობების 90%-ის შემთხვევაში. ჩინეთში, კორეასა და მექსიკაში ელექტრომოწყობილობების შუალედური იმპორტის სამი მეოთხედი ექსპორტში ჰპოვებს ასახვას.

ნახაზი 16.4. ექსპორტში განხორციელებული შუალედური იმპორტი
%-ულად მთელ შუალედურ იმპორტთან, 2009



წყარო: OECD/WTO (2013), OECD-WTO: Statistics on Trade in Value Added, (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00648-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00648-en).

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144425>


მნიშვნელოვანია ღია და ეფექტური მომსახურების ბაზრები

ყველაზე განვითარებული ქვეყნების მშპ-ს ორ მესამედს მომსახურება შეადგენს. თუმცა, მთლიანი მაჩვენებლებით, მომსახურებით ვაჭრობა მთლიანი ვაჭრობის ერთ მეოთხედზე ნაკლებს შეადგენს უმეტეს ქვეყნებში. ნაწილობრივ ეს იმით აიხსნება,

რომ მომსახურების გამოშვების მნიშვნელოვანი ნაწილი საერთაშორისო დონეზე არაკომერციულია, მაგალითად, სახელმწიფო მართვის ორგანოების მომსახურება, პირადი მომსახურება და საკუთარ სახლში ცხოვრების იმპუტირებული საფასური, რაც ასახულია მშპ-ში. მაგრამ აქ ისიც აისახება, რომ მომსახურების სექტორს მნიშვნელოვანი შუალედური წვლილი შეაქვს შიდა საქონლის წარმოებაში.

საქონლისა და მომსახურების წარმოებაში მომსახურების დამატებითი ღირებულების წილიდან გამომდინარე, ეთგო-ს უმეტეს ქვეყნებში მთლიან ექსპორტში მომსახურების ხვედრითი წილი 50%-ზე მეტია, ხოლო გაერთიანებულ სამეფოში ორ მესამედს აღწევს (ნახაზი 16.5). კანადას, რომელიც ბუნებრივი რესურსების მნიშვნელოვანი ექსპორტიორია, G7-ის ქვეყნებს შორის ყველაზე დაბალი მომსახურების წილი აქვს ექსპორტში და ის მაინც 40%-ს უახლოვდება. ჩვეულებრივ, განვითარებად ეკონომიკებს და ბუნებრივი აქტივების სხვა უმსხვილეს ექსპორტიორებს, როგორცაა ნორვეგია, ჩილე და ავსტრალია, ყველაზე დაბალი მომსახურების წილი აქვთ. მეორე მხრივ, ინდოეთის მთლიანი ექსპორტის ნახევარზე მეტი მომსახურებიდან არის წარმოშობილი. 40 ქვეყანას შორის ინდონეზიას ყველაზე დაბალი მომსახურების წილი აქვს ექსპორტში და ის დაახლოებით 20%-ია.

ნახაზი 16.5. მომსახურების დამატებული ღირებულება: ხვედრითი წილი მთლიან ექსპორტში (2009), %




Source: OECD/WTO (2013), OECD-WTO: Statistics on Trade in Value Added, (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00648-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00648-en).

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144433>

ეთგო-სა და განვითარებად ქვეყნებს შორის განსხვავების ასახსნელად შეიძლება მოვიყვანოთ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ეთგო-ს ქვეყნებში გამოყენებული მომსახურების აუტოსორსინგის მაღალი დონე (უმეტესწილად შიდა), რაც გულისხმობს, რომ მსგავსი პროცესი გააუმჯობესებს აგრეთვე განვითარებადი ქვეყნების მწარმოებელთა კონკურენტუნარიანობასაც. ნახაზზე 16.5 გამოაშკარავებულია უცხოელი პროვაიდერების მიერ გაწეული მომსახურების არც თუ უმნიშვნელო წვლილი ექსპორტში.

მომსახურების როლის უფრო მკაფიოდ წარმოსაჩენად შესაძლოა უკეთესი იყოს საქონლის მწარმოებელი სექტორის მიერ განხორციელებულ ექსპორტში გამოყენებული მომსახურების ხვედრითი წილის დანახვა. 16.6 ნახაზზე 40 ქვეყნის მონაცემების ბაზაზე ასახულია, რომ მომსახურებას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს (დაახლოებით ერთი მესამედი) ყველა მწარმოებელ სექტორში მომსახურების როგორც შიდა, ისე გარე პროვაიდერების მიერ. ზოგიერთ ქვეყანაში ცალკეული სექტორების მიხედვით მომსახურების სექტორის მდგომარეობა ხშირად არასახარბიელოა. რაც შეეხება საფრანგეთს, აქ სატრანსპორტო მომწყობილობების შიდა დამატებული ღირებულების ნახევარზე მეტი საფრანგეთის მომსახურების სექტორიდან იღებს სათავეს.

ნახაზი 16.6. მომსახურების დამატებული ღირებულება: ხვედრითი წილი საქონლის მთლიან ექსპორტში, საშუალოდ 40 ქვეყანაში (2009),%




წყარო: OECD/WTO (2013), OECD-WTO: Statistics on Trade in Value Added, (database), [doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00648-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00648-en)

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144440>

რასაც ხედავთ, განსხვავდება იმისგან, რასაც იღებთ: ვაჭრობის სტრუქტურა იცვლება
 ორმხრივი ვაჭრობის ბალანსის პოზიციები შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს, თუ დამატებული ღირებულებებით მოვახდენთ გაზომვას, მაშინაც კი, თუ მთლიანი ვაჭრობის ბალანსი უცვლელი იქნება. მაგალითად, ვდლ-ში ასახული ჩინეთის ორმხრივი ვაჭრობის ბალანსის მატება აშშ-სთან 40 მლრდ დოლარზე (25%) ნაკლები იყო 2009 წელს (და 30%-ზე ნაკლები 2005 წელს). ნაწილობრივ ეს გამოიწვია აშშ-ის იმპორტის დამატებული ღირებულების მაღალმა ხვედრითმა წილმა ჩინეთის საბოლოო მოთხოვნაში, აგრეთვე იმ ფაქტმა, რომ ჩინეთის ექსპორტის მნიშვნელოვანი წილი (ერთი მესამედი) უცხოური შემადგენლობისა იყო „ქარხანა აზიის (Factory Asia)“ ფენომენის გამო. ქვემოთ მოტანილია მონაცემები კორეის დამატებული ღირებულების ექსპორტის შესახებ იაპონიაში ჩინეთის გავლით, რამაც გამოიწვია შედარებით დაბალი სავაჭრო დეფიციტი ამ ქვეყნებთან და როგორც წესი, იაპონიისა და კორეის მაღალი სავაჭრო მოგება სხვა ქვეყნებთან. ანალოგიურად, მონაცემებიდან ჩანს, რომ მთლიან გამოსახულებაში კორეის მნიშვნელოვანი სავაჭრო დეფიციტი იაპონიასთან ქრება, როდესაც მას ვდლ-ს საშუალებით ვზომავთ.

ნახაზი 16.7. განსხვავება ჩინეთის დამატებულ ღირებულებასა და მთლიანი ვაჭრობის ბალანსს შორის
 აშშ მლრდ დოლარი, 2009



წყარო: OECD/WTO (2013), OECD-WTO: Statistics on Trade in Value Added, (database),[doi: http://dx.doi.org/10.1787/data-00648-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00648-en).

StatLink  <http://dx.doi.org/10.1787/888933144458>

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ქვეყნების კონკურენტული სიძლიერე არ შეიძლება მარტივად განვსაზღვროთ მათ მიერ ექსპორტირებული პროდუქტების ტიპის მიხედვით, რამდენადაც ისინი შეიძლება სხვა ქვეყნებში წარმოებულ დამატებულ ღირებულებებს შეიცავდეს. გლობალიზებულ სამყაროში ქვეყნის კონკურენტული უპირატესობა უფრო მეტად დაკავშირებულია განსაზღვრული ტიპის აქტივობებთან გლობალურ ჯაჭვში.

3. კარგი ეროვნული ანგარიშების კომპილაციის გაგრძელება გლობალიზებულ სამყაროში

რადგან ვდღ ტრადიციული ეროვნული ანგარიშების მნიშვნელოვან გაფართოებას წარმოადგენს, ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ეროვნული ეკონომიკების ეროვნული ანგარიშების ხარისხზე. პირველი, და ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია დამატებული ღირებულების განაწილება ეროვნულ ეკონომიკებს შორის. ტრანსნაციონალურ კომპანიებს მნიშვნელოვანი გარიგებები აქვთ ფირმის შიგნით ისეთ საქონელსა და მომსახურებაზე, რომელიც საზღვრებს კვეთს. ამ გარიგებების შეფასება, რომელიც ხშირად მოიხსენიება როგორც

„ტრანსფერული ფასწარმოქმნა“, პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს დამატებული ღირებულებისა და მშპ-ის განაწილებაზე. თუ მაგალითად, აშშ-ის ტრანსნაციონალური კომპანია თავისი საქონლის წარმოებას ჩინეთში ახდენს და შემდეგ ანაწილებას მას შვილობილ ევროპულ კომპანიაზე, მაშინ, ჩინეთიდან ევროპაში ექსპორტისთვის ხელოვნურად შემცირებული ფასი გავლენას მოახდენს ჩინეთის გამოშვებაზე, დამატებულ ღირებულებაზე და მოგებაზე და აამაღლებს მის ფასს ჩინეთის გარეთ და შებრუნებით. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული საგადასახადო კანონმდებლობების შესაბამისად ასეთი ფასები მათი საბაზრო ეკვივალენტების მიხედვით უნდა დადგინდეს, მაინც რჩება სივრცე მანევრირებისთვის, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ რელევანტური საქონელი მაღალ მოგებაზე მუშაობს ბრენდის ცნობადობის გამო, ან იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი საქონელი შუალედურია, რომელიც არ სარგებლობს მოთხოვნით ბაზარზე და ამიტომ შეუძლებელია მისი ეკვივალენტური საბაზრო ფასის გამოყენება.

მეორე პრობლემა შეიძლება უკავშირდებოდეს მომსახურების გამოყენების გამოყოფას ტრანსნაციონალურ კომპანიაში. განსაკუთრებული პრობლემა შეიძლება შექმნას არამატერიალური აქტივების გამოყენების ჩაწერამ. მაგალითად, წარმოვიდგინოთ პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ტრანსნაციონალური კომპანიის ერთ საწარმოშია წარმოებული და მთელ კომპანიაში გამოიყენება. მეორე მაგალითია R & D, რომელიც ეას 2008-ის მიხედვით განიხილება როგორც ძირითადი კაპიტალის დაგროვება. ჰოლანდიური ტრანსნაციონალური კომპანიების არაოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით ჩანს, რომ R & D საქმიანობები მნიშვნელოვნად კონცენტრირებულია, ხოლო ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი მოდის ტრანსნაციონალური კომპანიის მშობელ ქვეყანაზე. ამ საქმიანობამ შეიძლება გარკვეული სარგებელი მოუტანოს საქონლისა და მომსახურების წარმოებას სხვადასხვა ქვეყანაში განლაგებულ შვილობილ კომპანიებში, თუმცა, ჯერ არავის უნახავს შვილობილი კომპანიებიდან მშობელი კომპანიისთვის გადარიცხული თანხა R & D-ს გამოყენების ან ყიდვისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს შვილობილი კომპანიის რეზიდენტ ქვეყნებში დამატებული ღირებულებისა და ინვესტიციების შემცირება.

კიდევ ერთი პრობლემაა ე.წ. „სპილენძის ფირფიტის“ კომპანიები, ხშირად მოხსენიებული, როგორც სპეციალური დანიშნულების ეკონომიკური სუბიექტები (SPEs) გარკვეულ ქვეყნებში როიალტის, სალიცენზიო საფასურის ან მოგების შეგროვების გადასანაწილებლად, უფრო ზოგადად, გადასახადების თავიდან აცილების მიზნით. გასაგები მიზეზების გამო, ზოგიერთი ქვეყანა ძალიან მიმზიდველია ასეთი არხების შესაქმნელად. მათ სახელებს ხშირად შეხვდებით

ჟურნელ-გაზეთების წინა გვერდებზე, თუ ცნობილები ხდებიან და პოპულარულ ტრანსნაციონალურ კომპანიებთან აქვთ საქმე.

ზემოთ მოტანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ ხელოვნურმა ანგარიშიანობამ შეიძლება გავლენა იქონიოს გამოშვების, დამატებული ღირებულების (მშპ) და მოგების განაწილებაზე მსოფლიო მასშტაბით. რა თქმა უნდა, მომავალშიც გადასახადების შემცირების მოტივაცია ხშირად მოახდენს გადაწყვეტილებების დარეგულირებას საწარმოს დონეზე, რაც ხელს შეუშლის მაკროეკონომიკურ დონეზე ეროვნული ეკონომიკის სურათის ასახვას. საკითხის თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ ცხრილი 16.2. (რომელიც ამოღებულია Lipsey, 2010-დან), სადაც მოცემულია იმ ტრანსნაციონალური საწარმოების მოგების განაწილება, რომელთა ცენტრალური მმართველობა აშშ-შია. როგორც ჩანს, ზოგიერთ ქვეყანაში მოგების ნორმის შეფარდება ფილიალებში დასაქმებულთა ანაზღაურებასთან 35-36-ზე მაღალია (ბარბადოსი და ბერმუდი). სხვა აღმოსავლეთ ნახევარსფეროში მთლიანობაში ეს კოეფიციენტი 12-ს უახლოვდება. ეს ჯერობით მაღალი დონეა მსოფლიოს საშუალოსთან, რომელიც 0.8-ის ტოლია. ევროპული ფილიალებისთვის, ეს კოეფიციენტი უფრო დაბალია 0.6-ზე, მხოლოდ ირლანდიას აქვს მაღალი დონე, 6.6. მიუხედავად ამისა, ეთგო-ს ინიციატივამ Base Erosion and Profit Shifting (იხ. ჩანართი 16.1) შეიძლება შეცვალოს სიტუაცია და დადებითად იმოქმედოს ეროვნული ანგარიშების ხარისხზე.

ცხრილი 16.2. მოგების ფარდობა მომუშავეთა შრომის ანაზღაურებასთან

აშშ-ის არასაბანკო მშობლების არასაბანკო ფილიალები, 2005

ყველა ქვეყანა	0.840
კანადა	0.848
ევროპა	0.579
ირლანდია	6.639
ნიდერლანდები	0.878
შვეიცარია	1.614
ლათინური ამერიკა და სხვა დასავლეთი ნახევარსფერო	1.555
ცენტრალური და სამხრეთ ამერიკა	0.978
სხვა დასავლეთი ნახევარსფერო	11.709
ბარბადოსი	34.967
ბერმუდი	36.062
ბრიტანეთი კუნძულები, კარიბის	8.833
დასავლეთ ნახევარსფერო, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	6.347
ახლო აღმოსავლეთი	1.837
აზია-წყნარი ოკეანის	1.178
ჰონ-კონგი	0.953
სინგაპური	2.978

ჩანართი 16.1. ეთგო-ს პროექტი „საძირკვლის ეროზია და მოგების გადატანა“ (Base Erosion and Profit Shifting)

სულ უფრო სწრაფადმზარდ გლობალიზებულ სამყაროში ეროვნულმა საგადასახადო კანონმდებლობებმა ვერ აუწყეს ფეხი გლობალურ კომპანიებს, ლიკვიდურ კაპიტალს, ციფრულ ეკონომიკას და თავისუფალი სივრცე დაუტოვეს კომპანიებს, რომლებსაც თავიანთ ქვეყნებში სურთ გადასახადებისგან თავის აცილება და ამ მიზნით ეწევიან ძირგამომთხრელ საგადასახადო საქმიანობას. ეს ანგრევს მთელი საგადასახადო სისტემის სამართლიანობას და მთლიანობას. პროექტი, რომელიც ცნობილია როგორც BEPS, მოწოდებულია გააკონტროლოს, აძლევს თუ არა საგადასახადო კანონმდებლობა ნებას კომპანიას გადაანაწილოს დასაბეგრი მოგება ისეთ ლოკაციებზე, სადაც ადგილი არ ჰქონია წარმოებას და ამასთან, რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ ასე არ მოხდეს.

BEPS-ის დეკლარაცია 2013 წლის მინისტრიალზე მიიღეს, ხოლო G20-ის ფინანსთა მინისტრების მოთხოვნით 2013 წლის ივლისში ეთგო-მ აამუშავა სამოქმედო გეგმა. ამ მიზნით განისაზღვრა 15 სპეციფიკური ღონისძიება. გეგმა სცნობს უსაზღვრო ციფრულ ეკონომიკას და მოწოდებულია შეიმუშაოს ორმაგი დაუბეგრაობის ახალი სტანდარტები. ეს საჭიროებს საერთაშორისო თანამშრომლობას, დიდ გამჭვირვალობას და მონაცემებისა და ანგარიშებისადმი ახალ მოთხოვნებს. იმისათვის, რომ სწრაფად გატარდეს ღონისძიებები, უნდა შემუშავდეს მრავალმხრივი ინსტრუმენტი ორმხრივი დაბეგვრის შეცვლასთან დაკავშირებით.

ეს სამოქმედო გეგმა ფინანსთა მინისტრების მიერ ცენტრალური ბანკების სახედამხედველო საბჭოებთან ერთად სრულად მოიწონეს მოსკოვის შეხვედრაზე 2013 წლის ივლისში და ასევე, 2013 წლის სექტემბერში სანკტ-პეტერბურგში. გეგმაში გაწერილი ღონისძიებების ჩატარება განზრახულია უახლოესი 18-24 თვის მანძილზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს ინიციატივა პირდაპირ არ უკავშირდება სტატისტიკის კომპილაციას, მან შეიძლება არაპირდაპირი დადებითი გავლენა იქონიოს ეროვნული ანგარიშების ხარისხზე ხელოვნური ანგარიშგების გაუქმებით და უკეთესი სტატისტიკური წყაროების შექმნით ტრანსნაციონალური საწარმოებისთვის.

ეას-ის უკანასკნელ სტანდარტში, ეას 2008-იც გათვალისწინებულია გლობალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც ზემოთ იყო განხილული. კერძოდ, უფრო მეტი ყურადღება ეთმობა მერჩენდაიზინგს და საქონლის დამუშავებას, რაც გლობალური წარმოების ტიპიური საქმიანობებია. ეას

1993-თან შედარებით, შეიცვალა და უფრო მკაფიოდ განისაზღვრა ორივე საქმიანობის ჩაწერა (იხ. თავი 14). გარდა ამისა, სპეციალური ქვეთავი დაეთმო სპეციალური დანიშნულების ეკონომიკურ სუბიექტებსა და კეპტივურ ინსტიტუციებს (ფილიალები, რომლებიც სარგებლობენ სათაო წარმოების პროდუქტებით). აღსანიშნავია, რომ ამ პუბლიკაციის წერის დროს სტატისტიკა ჯერ კიდევ პირველ ნაბიჯებს დგამდა გლობალიზაციის სრული გაგებისთვის და მის გასათვალისწინებლად ეროვნულ ანგარიშებში. მაგალითად, ბევრ სტატისტიკურ სამსახურს უკვე დანერგილი აქვს კვლევის პროგრამები ტრანსნაციონალური კორპორაციების მონაცემების „დასაჭერად“. შემდგომი მითითებები წარმოდგენილი იყო ევროსტატის, ეთგო-ს და გაეროს ეკონომიკური კომისიის მიერ. უფრო დეტალური რეკომენდაციები მოცემული იქნება გლობალური წარმოების გაზომვის სახელმძღვანელოში 2014 წლის ბოლოსა და 2015 წლის დასაწყისში.

მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერებაც, რომ ყველა ზემოაღნიშნული პრობლემის ერთბაშად გადაწყვეტა შეუძლებელია. დამატებული ღირებულებისა და მოგების განაწილება ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ მათი საგადასახადო მიზნების გათვალისწინებით პრობლემას წარმოადგენს, რაც ლოგიკურად აისახება ეკონომიკაზეც. თუმცა, მეორე მხრივ, მილიონობით წვრილი ფირმა არსებობს, რომელთაც არ გააჩნიათ ასეთი შესაძლებლობები და რადგან ასეთმა პრობლემებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს მათზე, გარკვეულ დონემდე, მშპ-ის შეფასებამ შეიძლება შეამციროს ეკონომიკური ზრდის ტემპი. ასევე დიდი დაკვირვებაა საჭირო მრავალფაქტორიანი მწარმოებლურობის ანალიზსა და ყველა სახის რესურსისა და გამოშვების ცვლილების შედარებების ანალიზში, მათ შორის არამატერიალური აქტივების დანახარჯებთანაც, განსაკუთრებით თუ მაღალია უცხოეთის მიერ კონტროლირებადი საწარმოების წილი. იგივე შეიძლება ითქვას უცხოეთის მიერ კონტროლირებადი საწარმოების დამატებული ღირებულებისა და მოგების ანალიზის შესახებ.

ზოგიერთის აზრით, მშპ-სთან შედარებით, უფრო მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს მთლიან/წმინდა ეროვნულ შემოსავალზე. სინამდვილეში, ეროვნული შემოსავალი არ არის დამოკიდებული დამატებული ღირებულების ან მოგების განაწილებაზე სხვადასხვა ქვეყანაში, რამდენადაც საბოლოო ჯამში ყველა ეს მოგება თავს მოიყრის ტრანსნაციონალური საწარმოს რეზიდენტ ქვეყანაში „პირდაპირ უცხოური ინვესტიციების რეინვესტირებული შემოსავლების“ სახით (იხ. თავი 7). ეს იდეა შეიძლება უკვე რეალურია მცირე ქვეყნებში, სადაც ბევრი ტრანსნაციონალური კომპანია საქმიანობს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საერთაშორისო ორგანიზაციების ბიუჯეტის განაწილება უკვე ეროვნული შემოსავლის და არა მშპ-ის საფუძველზე

ხდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სულ უფრო აქტუალური ხდება ეროვნულ ეკონომიკაში უცხოეთის მიერ კონტროლირებადი საწარმოებისა და სხვა დანარჩენი საწარმოების ერთმანეთისგან განსხვავება. ეს სწორია არა მარტო საწარმოო პროცესის დეტალური ანალიზისთვის რესურსები-მიწოდების ცხრილებში, არამედ ინსტიტუციური სექტორების ანგარიშებში შემოსავლებისა და ფინანსების ანალიზისთვისაც.

უცხოეთის მიერ კონტროლირებადი საწარმოების შესახებ მონაცემების ფლობა პოტენციურად საშუალებას მოგვცემს აგრეგირებულ დონეზე, მსოფლიო მასშტაბით მოვახდინოთ ტრანსნაციონალური საწარმოების კონსოლიდირებული მონაცემების კომპილაცია, რომელიც შესაბამისობაში იქნება ეროვნულ ეკონომიკებთან და მოგვცემს ტრანსნაციონალურების დეტალური ანალიზის საშუალებას. იმედია, ეს გააუმჯობესებს ტრანსნაციონალურების ტრანსაქციების ჩანაწერებს, რომლის საწყის ეტაპზე საჭიროა საერთაშორისო შესაბამისობის მქონე ეროვნული ბიზნეს-რეგისტრების შექმნა, როგორცაა მაგალითად, Eurogroups Register, ევროკავშირის დონის ინიციატივა, რომელიც საშუალებას იძლევა ტრანსნაციონალური საწარმოების რთული ორგანიზაციული სტრუქტურა თანმიმდევრულად და შესაბამისად განაწილდეს ქვეყნებზე. ეს, და ყველა ამასთან დაკავშირებული წამოწყება მიგვიყვანს ეკონომიკური განვითარების რეალურ ანალიზამდე და გლობალიზებული სამყაროს უკეთ გაგებამდე.

ბიბლიოგრაფია

CBS (2012), Internalisation Monitor 2012, <http://www.cbs.nl/nl-NL/menu/themas/internationale-handel/publicaties/publicaties/archief/2012/2012-internationalisation-monitor-2012-pub.htm>.

Lipsey, R. (2010), “Measuring the Location of Production in a World of Intangible Productive Assets, FDI and Intrafirm Trade”, Review of Income and Wealth, Issue 56, Special Issue 1, June 2010.

OECD (2014), *National Accounts at a Glance 2014*, OECD Publishing, Paris, [doi: http://dx.doi.org/10.1787/na_glance-2014-en](http://dx.doi.org/10.1787/na_glance-2014-en).

OECD (2013), FDI series of BOP, http://stats.oecd.org/Index.aspx?DataSetCode=FDI_BOP_IIP და <http://www.oecd.org/investment/statistics.htm> and www.oecd.org/investment/statistics.htm.

OECD/WTO (2013), OECD-WTO: Statistics on Trade in Value Added, (database), [doi:http://dx.doi.org/10.1787/data-00648-en](http://dx.doi.org/10.1787/data-00648-en).

SNA 2008, European Commission, International Monetary Fund, Organisation for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank, New York, 2009, System of National Accounts 2008, <http://unstats.un.org/unsd/nationalaccount/docs/SNA2008.pdf>.

UNECE and al., UNECE/Eurostat/OECD, “Guide on the Impact of Globalisation on National Accounts”;

http://www.unece.org/fileadmin/DAM/stats/publications/Guide_on_Impact_of_globalization_on_national_accounts_web.pdf.

საძიებელი

ტერმინი	გვერდი
აგრეგატი	29, 30
არასაბაზრო მომსახურების გამოშვება	327
არასაბაზრო მწარმოებლები	139
არასაბაზრო სექტორი	139
არაფინანსური ანგარიშები	208
არაფინანსური კორპორაციები	211
არაფინანსური ტრანსაქცია	274
აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსი	294
გადასახადები შემოსავალსა და სიმდიდრეზე	216
გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე	40
გამოშვება	38
განკარგვადი შემოსავალი	45
დამატებული ღირებულება	34
დანაზოგი	41
დანარჩენი მსოფლიო	26
დანახარჯები-გამოშვების ცხრილი	367
დარიცხვის მეთოდი	375
დაუკვირვებადი	420
ეკონომიკურად მნიშვნელოვანი	467
ეკონომიკური ტერიტორია	185
ვაჭრობის პირობების ინდექსები	189
იატაკევეშა	151
იმპუტირებული ხარჯები	598
ინდივიდუალური მოხმარების ხარჯები	172
ინსტიტუციური ერთეული	241
ინსტიტუციური სექტორი	180
კაპიტალის მარაგი	260
კოლექტიური მოხმარების ხარჯები	329
კორექტირება სამუშაო დღეების მიხედვით	411
მარაგების ცვლილება	32
მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეპ)	379
მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მეშ)	378
მთლიანი კაპიტალის ფორმირება	32

ტერმინი	გვერდი
მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)	31
მიწოდებისა და გამოყენების სალდო	455
მოთხოვნა	33
მომსახურება	52
მომუშავეთა შრომის ანაზღაურება	103, 170
მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტები	97
მუდმივი ფასები	72
მყიდველის ფასი	465
მშპ-ის დეფლატორი	17
მშპ-ის ფიზიკური მოცულობა	27
პოტენციური მშპ	127
რეზიდენტობა	185
საანგარიშო იგივეობა	357
საბაზისო ფასი	360
საბაზრო მწარმოებლები	333
საბაზრო სექტორი	49
საბაზრო ფასი	192
საბოლოო გამოყენება	82
საბოლოო მოხმარების ხარჯები	169, 171
საგარეო მოთხოვნა	35
საოპერაციო მოგება	39
საქონელი	23
საქონლისა და მომსახურების ანგარიშები	368
სახელმწიფო მართვის ორგანოები	198
სახელმწიფო მართვის ორგანოების წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება	334
სეზონური კორექტირება	412
სოციალური შეღავათები ნატურალური სოციალური ტრანსფერების გარდა	350
სოციალური შეღავათები ნატურალური ფორმით	362
სხვაობა ფაქტობრივ და პოტენციურ მშპ-ებს შორის	196
რეალური მოხმარება	172
ფიზიკური მოცულობის ინდექსი	69
ფინანსური კორპორაციები	103
ფინანსური ტრანსაქცია	274
ფინანსური შუამავლობა	174

ტერმინი	გვერდი
ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება (FISIM)	270
ფულადი ნაკადების ცხრილი	19
შიდა მოთხოვნა	186
შინამეურნეობა	159
შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ინსტიტუციები (შმაკო)	171
შინამეურნეობების ფაქტობრივი საბოლოო მოხმარება	162
შინამეურნეობის დანაზოგის ნორმა	169
შინამეურნეობის მთლიანი განკარგვადი შემოსავლის მსყიდველობითუნარიანობა	208
შინამეურნეობის საბოლოო მოხმარების ხარჯები	128
შრომის მწარმოებლურობა	21
შუალედური მოხმარება	174
ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	25
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	40
ძირითადი ხელფასი	126
წარმოების ფუნქცია	144
წმინდა გადასახადები	218
წმინდა განკარგვადი შემოსავალი	42
წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება	26
წმინდა დამატებული ღირებულება	35
წმინდა ექსპორტი	211
წმინდა საოპერაციო მოგება	255

გლოსარიუმი

აგრეგატი: თავი 1

აგრეგირების შედეგად მიღებული მონაცემები, რომლებიც ერთეული მონაცემისგან განსხვავებულია.

მარაგების ცვლილება: თავი 1

მარაგების ცვლილება (დაუმთავრებელი წარმოების ჩათვლით) მოიცავს შემდეგ ცვლილებებს: ა) მზა პროდუქციის მარაგების, რომლებიც ჯერ ისევ მწარმოებლის საწყობშია და შეიძლება გამოყენებული იყოს სხვა საწარმოებზე გადაცემისთვის შემდგომი დამუშავების, მიწოდების და გაყიდვის მიზნით; და ბ) სხვა ერთეულებისგან შეძენილი მარაგების, რომელიც შუალედური მოხმარების ან შემდგომი გადაყიდვისთვის არის გამიზნული შემდგომი დამუშავების გარეშე; ისინი იზომება როგორც მატერიალური საბრუნავი საშუალებების მიღების ღირებულებას მინუს მარაგებიდან ამოღების ღირებულება და მინუს ნებისმიერი მიმდინარე დანაკარგი.

მომუშავეთა შრომის ანაზღაურება: თავი 1

მომუშავეთა ანაზღაურება წარმოადგენს საწარმოს მიერ დასაქმებულისთვის გადახდილ ფულად ან ნატურალურ ანაზღაურებას მიმდინარე პერიოდში შესრულებული სამუშაოსთვის.

მომუშავეთა ანაზღაურება შედგება ორი ძირითადი კომპონენტისგან:

ა) ხელფასი ფულად ან ნატურალურ გამოსახულებაში;

ბ) დამსაქმებლის მიერ გადახდილი სოციალური შენატანები სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებში მის საწარმოში დასაქმებულების სოციალური შეღავათების დასაცავად; ან დამსაქმებლების მიერ გადახდილი სოციალური შენატანები დაუფინანსებელი სოციალური შეღავათების მისაღებად.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება: თავი 1

მიმდინარე პერიოდში საწარმოო პროცესში გამოყენებული ძირითადი კაპიტალის ღირებულების შემცირება ფიზიკური ცვეთის, ნორმალური მორალური ცვეთისა და შემთხვევითი დაზიანებების გამო.

განკარგავადი შემოსავალი: თავი 1

განკარგვადი შემოსავალი წარმოადგენს შემოსავლების მეორადი განაწილების ანაგარიშის დამაბალანსებელ მუხლს, რომელიც მიიღება ინსტიტუციური ერთეულის ან სექტორის პირველადი შემოსავლების სალდოზე მიმდინარე ტრანსფერების დამატებით, ნატურალური სოციალური ტრანსფერების გარდა.

მშპ-ის დეფლატორი: თავი 1

მშპ მიმდინარე ფასებში გაყოფილი მშპ-ის ფიზიკურ მოცულობაზე.

მშპ-ის ფიზიკური მოცულობა: თავი 1

მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ფიზიკური მოცულობა წარმოადგენს მშპ-ს მუდმივ ფასებში, რომელიც მიიღება მისი ღირებულების გამოსახვით საბაზისო პერიოდში. თეორიულად, ხდება ღირებულების კომპონენტების - ფასისა და რაოდენობის იდენტიფიკაცია და მიმდინარე ფასის ჩანაცვლება საბაზისო ფასით. პრაქტიკაში მიღებულია და გამოიყენება ორი ძირითადი მეთოდი.

პირველი მიეკუთვნება „რაოდენობის გადაფასებას“, რომელიც ზემოთ მოტანილ მეთოდოლოგიას შეესაბამება (მიმდინარე პერიოდის რაოდენობა მრავლდება საბაზისო პერიოდის ფასზე).

მეორე, ზოგადად წარმოადგენს „ფასის დეფლატირებას“ და გულისხმობს ფასების ინდექსების დაყოფას დაკვირვებად ღირებულებებად მოცულობის შეფასების მიღების მიზნით. გამოყენებული ფასების ინდექსები აგებულია თითოეულ ღირებულებაში შემავალი ძირითადი მუხლების ფასების წვლილის საფუძველზე.

სახელმწიფო მართვის ორგანოები: თავი 1, 9

სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორი შედგება ინსტიტუციური ერთეულებისგან, რომლებიც გარდა პოლიტიკური ვალდებულებებისა და მათი როლისა ეკონომიკურ რეგულირებაში, აწარმოებენ ძირითადად არასაბაზრო მომსახურებას (შესაძლებელია საქონელსაც) კოლექტიური და ინდივიდუალური მოხმარებისთვის და ახორციელებენ შემოსავლისა და სიმდიდრის გადანაწილებას.

მთლიანი კაპიტალის ფორმირება: თავი 1

მთლიანი კაპიტალის ფორმირება მოიცავს ძირითადი კაპიტალის ფორმირებას პლუს საბრუნავი კაპიტალის ცვლილება პლუს ფასეულობების წმინდა შესყიდვები ინსტიტუციურ ერთეულში ან სექტორში.

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ): თავი 1

მთლიანი შიდა პროდუქტი არის წარმოების აგრეგატული საზომი, რომელიც წარმოების პროცესში ჩართული ყველა რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულის მთლიანი დამატებული ღირებულების ჯამის ტოლია (პლუს გადასახადები პროდუქტებზე და მინუს სუბსიდიები პროდუქტებზე). ის ასევე ტოლია საქონლისა და მომსახურების საბოლოო მოხმარების ჯამისა მყიდველის ფასში მინუს საქონლისა და მომსახურების იმპორტი.

ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება: თავი 1

ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება იზომება ახალი და უკვე არსებული ძირითადი კაპიტალის შექმნის ღირებულებით მინუს ასეთივე აქტივების გასვლის ღირებულება საანგარიშო პერიოდში არაწარმოებული აქტივების გარკვეული დამატებებით (მაგალითად, ნიადაგის გაუმჯობესებაზე გაწეული დანახარჯები).

მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მეშ): თავი 1

მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მეშ) არის მშპ-ს მინუს გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე, მინუს დანარჩენი მსოფლიოსთვის გადასარიცხი მომუშვეთა ანაზღაურება და შემოსავლები საკუთრებიდან (სხვა სიტყვებით, მშპ-ს მინუს პირველადი შემოსავლების გადახდა არარეზიდენტებისთვის და პლუს შემოსავლების მიღება არარეზიდენტებისგან). აღსანიშნავია, რომ ადრინდელი ტერმინოლოგიით მეშ არის მთლიანი ეროვნული პროდუქტის (მეპ) იდენტური.

მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეპ): თავი 1

იხ. მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მეშ).

შინამეურნეობა: თავი 1, 6

შინამეურნეობა არის ადამიანების ჯგუფი, რომლებიც ცხოვრობენ ერთი და იმავე საცხოვრისში, მთლიანად ან ნაწილობრივ გაერთიანებული აქვთ შემოსავლები და ქონება და კოლექტიურად მოიხმარენ ზოგიერთ საქონელსა და მომსახურებას, ძირითადად საბინაო მომსახურებას და საკვებ პროდუქტებს. არსებითად, ჩვეულებრივი გაგებით, შინამეურნეობა „ოჯახს“ წარმოადგენს. შინამეურნეობა შეიძლება იყოს: ა) ერთწევრიანი, როდესაც პირი თვითონ უზრუნველყოფს საკუთარ საცხოვრებელს და საკვების ხარჯებს სხვებთან განაწილების გარეშე და ბ) მრავალწევრიანი, როდესაც ორი ან მეტი ადამიანი ინაწილებს ამ ხარჯებს. შინამეურნეობის წევრებს შეიძლება გააჩნდეთ ერთიანი ბიუჯეტი და ისინი შეიძლება იყვნენ ან არ იყვნენ ერთმანეთთან ნათესაურ კავშირში.

შინამეურნეობა შეიძლება განთავსებული იყოს საცხოვრებელ ბლოკში ან კოლექტიურ საცხოვრებელში, როგორცაა პანსიონატი, სასტუმრო ან ბანაკი ან შეიძლება მოიცავდეს ინსტიტუციის ადმინისტრაციულ პერსონალს. შინამეურნეობა შეიძლება იყოს უსახლკაროც.

შინამეურნეობის საბოლოო მოხმარების ხარჯები: თავი 1

შინამეურნეობის საბოლოო მოხმარების ხარჯები სხვა ხარჯებთან ერთად მოიცავს იმპუტირებულ ხარჯებს ისეთი საქონლისა და მომსახურების ინდივიდუალური მოხმარებისთვის, რომლებიც ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასებში იყიდება.

შინამეურნეობის დანაზოგის ნორმა: თავი 1

შინამეურნეობის დანაზოგის ნორმა ხშირად განისაზღვრება წმინდა დანაზოგის ფარდობით წმინდა განკარგვად შემოსავალთან და D8-ის კორექტირებით. მთლიანი დანაზოგის შემთხვევაში: მთლიანი განკარგვადი შემოსავლის ფარდობა მთლიან განკარგვად შემოსავალთან და D8-ის კორექტირებით.

შუალედური მოხმარება: თავი 1

შუალედური მოხმარება მოიცავს წარმოების პროცესში საქონლისა და მომსახურების მოხმარებას ძირითადი კაპიტალის გარდა, რომელიც ჩაიწერება როგორც ძირითადი კაპიტალის მოხმარება; წარმოების პროცესში საქონელი და მომსახურება გარდაიქმნება ან მთლიანად მოიხმარება.

სახელმწიფო მართვის ორგანოების წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება: თავი 1, 9

იხ. “წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება”.

წმინდა დამატებული ღირებულება: თავი 1

წმინდა დამატებული ღირებულება მიიღება, თუ მთლიან გამოშვებას დავაკლებთ როგორც შუალედურ მოხმარებას, ისე ძირითადი კაპიტალის მოხმარებას.

დანარჩენი მსოფლიო: თავი 1

დანარჩენ მსოფლიოში შედიან ის არარეზიდენტები, რომლებსაც ტრანსაქციები, ან სხვა ეკონომიკური კავშირები აქვთ რეზიდენტ ერთეულებთან. მასში ერთიანდება ის ინსტიტუციური ერთეულები, რომლებიც ფიზიკურად მოცემული ქვეყნის გეოგრაფიულ საზღვრებში იმყოფებიან, მაგალითად, უცხოური ანკლავები, როგორცაა საელჩოები, საკონსულოები, სამხედრო ბაზები ან საერთაშორისო ორგანიზაციები.

დანაზოგი: თავი 1, 6

დანაზოგი მიიღება განკარგვადი შემოსავლიდან საბოლოო მოხმარების ხარჯების გამოკლებით (ან კორექტირებულ განკარგვად შემოსავალს მინუს ფაქტობრივი საბოლოო მოხმარება), ორივე შემთხვევაში საპენსიო ფონდების კორექტირების გათვალისწინებით; დანაზოგი მნიშვნელოვანი აგრეგატია, რომელიც შეიძლება გამოვთვალოთ თითოეული ინსტიტუციური სექტორისა და მთელი ეკონომიკისთვის.

წმინდა გადასახადები: თავი 1

გადასახადებს მინუს სუბსიდიები.

დამატებული ღირებულება: თავი 1

მთლიანი დამატებული ღირებულება მიიღება გამოშვებიდან შუალედური მოხმარების გამორიცხვით; ის არის ინდივიდუალური მწარმოებლის, დარგისა და სექტორის წვლილის საზომი მშპ-ში; მთლიანი დამატებული ღირებულება არის წყარო, საიდანაც ხდება პირველადი შემოსავლების წარმოქმნა.

ძირითადი ხელფასი: თავი 2

ხელფასი წარმოადგენს ძირითად ანაზღაურებას ნამუშევარი დროის ან გამოშვებული პროდუქციის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ შრომის სტატისტიკოსთა მე-12 საერთაშორისო კონფერენციაზე (ICLS, 1973) მიღებულ რეზოლუციაში არ გვხვდება „ხელფასის“ სპეციფიკური განმარტება, რეკომენდირებულია მისი გაანგარიშება ძირითადი ხელფასის და სხვადასხვა გარანტირებული და რეგულარული დახმარების გათვალისწინებით, ხოლო გამოირიცხება დამქირავებლის მიერ გაწეული ზეგანაკვეთური ანაზღაურება, ბონუსები, ჯილდოები და საოჯახო დახმარებები. ასევე გამოირიცხება ნებაყოფლობითი ნატურალური გადახდები ძირითად ხელფასზე დამატებით. ხელფასის დონის გაანგარიშება უნდა მოხდეს შესაბამისი დროის პერიოდისთვის - საათობრივად, დღიურად, კვირეულად ან თვიურად. ხელფასი განიხილება როგორც შრომითი მომსახურების „საფასური“.

მუდმივი ფასები: თავი 2

თუ მონაცემები „მოცემული წლის მუდმივ ფასებშია“ გამოსახული, ეს ნიშნავს, რომ აქ ასახულია საქონლისა და მომსახურების ნაკადებისა ან მარაგების ღირებულებები იმ ფასებში, საიდანაც ხდება მათი ფასების ცვლილების ათვლა. „მუდმივ ფასებში“ ზოგადად ხდება საქონლისა და მომსახურების ფიზიკური მოცულობის შეფასება ლასპეირესის ინდექსებით; ამიტომ, ხშირად, ტერმინი „მუდმივ ფასებში“ ფიზიკური მოცულობის სინონიმი.

ფიზიკური მოცულობის ინდექსი: თავი 2

ფიზიკური მოცულობის ინდექსი ჩვეულებრივ წარმოდგენილია სპეციფიკური საქონლის ან მომსახურების ნაკრების რაოდენობის შეწონილი საშუალოს სახით დროის ორ პერიოდში. მათი საშუალებით შეიძლება ქვეყნებს შორის საქმიანობის შეფარდებითი დონეების შედარება (მაგალითად, მსყიდველობითუნარიანობის ინდექსების გამოყენებით).

შინამეურნეობების ფაქტობრივი საბოლოო მოხმარება: თავი 3

შინამეურნეობების ფაქტობრივი საბოლოო მოხმარება არის საქონლისა და მომსახურების ღირებულება, რომელიც შესყიდულია შინამეურნეობების მიერ საკუთრად ან მიღებულია უსასყიდლოდ სახელმწიფო მართვის ორგანოებისა და შმაკოების ტრანსფერის სახით მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით; ის მიიღება საბოლოო მოხმარების ხარჯებზე მისაღები ნატურალური სოციალური ტრანსფერის დამატებით.

ინდივიდუალური მოხმარების ხარჯები: თავი 3

სახელმწიფო მართვის ორგანოების ხარჯების ნაწილს, რომელიც შინამეურნეობებისთვის არის განკუთვნილი, პლუს შმაკოების ყველა ხარჯი.

მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტები: თავი 3

მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტები (PPP) არის ვალუტების კონვერტაციის განაკვეთები, რომლებიც ფასებს შორის განსხვავების ელიმინირების გზით ათანაბრებს სხვადასხვა ვალუტების მსყიდველობითუნარიანობას. მარტივად თუ ვიტყვით, ეს შეფარდებითი ფასებია, რომლებიც გვიჩვენებს ერთი და იმავე საქონლზე ან მომსახურებაზე ფასების თანაფარდობას ეროვნულ და სხვა ქვეყნების ვალუტებს შორის.

შრომის მწარმოებლურობა: თავი 4

შრომის მწარმოებლურობა განისაზღვრება გამოშვების ან დამატებული ღირებულების ფარდობით ერთ მომუშავეზე ან ერთ ნამუშევარ საათზე.

ფინანსური შუამავლობა: თავი 4

ფინანსური შუამავლობა არის მწარმოებლური საქმიანობა, რომელშიც ინსტიტუციური ერთეული თავისი სახელით იღებს ვალდებულებას ფინანსური აქტივების შესყიდვისა და მათი განთავსების მიზნით ფინანსურ ტრანსაქციებში; ფინანსური შუამავლების როლი მდგომარეობს კრედიტორებისაგან სახსრების მოზიდვასა და მათ მიწოდებაში დებიტორებისთვის.

ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება (FISIM): თავი 4

ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება წარმოადგენს ფინანსური შუამავლობის არაპირდაპირ საზომს, რომლის აშკარა გადახდა არ ხდება ფინანსური ინსტიტუციების მიერ.

საქონელი: თავი 4

ყველა პროდუქტი, რომელიც არ არის მომსახურება.

საბაზრო მწარმოებლები: თავი 4

მწარმოებლები, რომლებიც მათ მიერ გამოშვებულ მთელ პროდუქციას ან მათ უმეტეს ნაწილს ყიდნიან ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ფასებით.

საბაზრო სექტორი: თავი 4

ასევე უწოდებენ „ბიზნეს სექტორს“. სექტორი, რომელიც მოიცავს ყველა საწარმოს, რომელიც თავის პროდუქციას ყიდის ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ფასებით.

არასაბაზრო მწარმოებლები: თავი 4, 9

მწარმოებლები, რომლებიც მათ მიერ გამოშვებულ მთელ პროდუქციას ან მათ უმეტეს ნაწილს ყიდნიან ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასებით ან უფასოდ.

არასაბაზრო სექტორი: თავი 4

სექტორი, რომელიც მოიცავს ყველა საწარმოს, რომლებიც თავიანთ პროდუქციას აწვდიან უფასოდ ან ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასებით.

დაუკვირვებადი: თავი 4

დაუკვირვებადი საქმიანობების სახეები შეიძლება იყოს: იატაკქვეშა, არაკანონიერი და არაფორმალური, ან შინამეურნეობების მიერ საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის. დაუკვირვებადი მონაცემები შეიძლება წარმოიშვას საბაზისო მონაცემების გამოტოვებით ან მონაცემების სტატისტიკურ შეგროვებასთან დაკავშირებული სიძნელეების გამო.

გამოშვება: თავი 4

გამოშვება შედგება საწარმოს მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურებისგან საწარმოს გარეთ მოხმარებისთვის პლუს საკუთარი მოხმარებისთვის საქონლისა და მომსახურების წარმოება.

სხვაობა ფაქტობრივ და პოტენციურ მშპ-ებს შორის: თავი 4

გაიანგარიშება როგორც ფაქტობრივ და პოტენციურ მშპ-ებს შორის სხვაობის ხვედრითი წილი პოტენციურ მშპ-ში.

პოტენციური მშპ: თავი 4

ეს არის გამოშვების დონე, რომელიც ეკონომიკამ შეიძლება უზრუნველყოს მუდმივი ინფლაციის პირობებში. ეკონომიკას აქვს შესაძლებლობა გაზარდოს პოტენციური გამოშვება გაზრდილი ინფლაციის ხარჯზე. პოტენციური გამოშვება დამოკიდებულია კაპიტალის მარაგზე, პოტენციურ სამუშაო ძალაზე (რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია დემოგრაფიულ ფაქტორზე და მონაწილეობის დონეზე), უმუშევრობის იმ დონეზე, რომელიც არ იწვევს ინფლაციის აქსელერაციას (NAIRU) და შრომის ეფექტიანობის დონეზე.

წარმოების ფუნქცია: თავი 4

გამოშვების მაქსიმალური მოცულობა, რომელიც მიიღწევა მოცემული რესურსების პირობებში. წარმოების ფუნქციის გამოყენება გულისხმობს ტექნიკურ ეფექტიანობას.

მომსახურება: თავი 4

მომსახურება საქონლის საპირისპიროა, რომელიც ფიზიკური ნივთებით არის წარმოდგენილი. მომსახურებას არ აქვს ნივთობრივი ფორმა და მისი მიზანია მომხმარებელი ერთეულის მდგომარეობის შეცვლა. მომსახურება არ არსებობს მისი წარმოებისგან დამოუკიდებლად.

იატაკევეშა: თავი 4

იატაკევეშა წარმოება მოიცავს საქმიანობებს, რომლებიც მწარმოებლურია და ეკონომიკური თვალსაზრისით სავსებით ლეგალურია (შეესაბამება გარკვეულ სტანდარტებსა ან რეგულაციებს), თუმცა ხდება მათი დამალვა საჯარო ხელისუფლებისთვის შემდეგი მიზნებით:

- ა) გადასახადებისგან თავის აცილების გამო;
- ბ) სოციალური უზრუნველყოფის შენატანებისგან თავის აცილების გამო;
- გ) მინიმალური ხელფასის, მაქსიმალური სამუშაო საათების ან შრომის დაცვის სტანდარტებისგან თავის აცილების გამო და ა.შ.
- დ) ადმინისტრაციული პროცედურებისგან თავის აცილების გამო, როგორცაა სტატისტიკური და სხვა კითხვარების შევსება.

რეალური მოხმარება: თავი 5

ფაქტობრივი მოხმარება იზომება შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების ხარჯების, შმაკოების საბოლოო მოხმარების ხარჯებისა და სახელმწიფო მართვის ორგანოების ხარჯების (ინდივიდუალურ მოხმარებაზე) ჯამით. შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების ხარჯები არის შინამეურნეობების მიერ შესყიდულ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯები ან სახელმწიფო მართვის ორგანოებისა და შმაკოების ტრანსფერები მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, რაც მიიღება მათი საბოლოო მოხმარების ხარჯებზე ნატურალური სოციალური ტრანსფერების დამატებით.

სახელმწიფო მართვის ორგანოების ფაქტობრივი საბოლოო მოხმარება იზომება კოლექტიური მომსახურების ხარჯებით, რომელიც გაეწევა მთლიანად საზოგადოებას, ან საზოგადოების დიდ ჯგუფებს სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ. ის მიიღება მათი საბოლოო მოხმარების ხარჯებისგან ნატურალური სოციალური ტრანსფერების ღირებულების გამოკლებით.

შმაკოებს არ გააჩნიათ ფაქტობრივი საბოლოო მოხმარება, რადგან პრაქტიკულად მათი მომსახურების უმეტესობა ინდივიდუალურია და სიმარტივისთვის ყველა მათი მომსახურება განიხილება როგორც ინდივიდუალური (როგორც ნატურალური სოციალური ტრანსფერები).

მოთხოვნა: თავი 5

საბოლოო მოთხოვნა არის მოკლე ტერმინი, რომელსაც ეკონომისტები იყენებენ საბოლოო მოხმარების ხარჯების, საინვესტიციო ხარჯებისა და წმინდა ექსპორტის ჯამის აღსანიშნავად.

შიდა მოთხოვნა: თავი 5

საბოლოო შიდა მოთხოვნა არის მოკლე ტერმინი, რომელსაც ეკონომისტები იყენებენ საბოლოო მოთხოვნის შიდა ნაწილის აღსანიშნავად: საბოლოო მოხმარების ხარჯები + საინვესტიციო ხარჯები.

ეკონომიკური ტერიტორია: თავი 5

ქვეყნის ადმინისტრაციის მიერ მართვადი გეოგრაფიული ტერიტორია, რომელზეც ადამიანები, საქონელი და ფული თავისუფლად გადაადგილდება. ის მოიცავს: ა) საჭაერო სივრცეს, ტერიტორიულ წყლებს, კონტინენტურ შელფს საერთაშორისო წყლებში, რომელზეც ქვეყანას ექსკლუზიური მოპოვების უფლება აქვს; ბ) ტერიტორიულ ანკლავებს დანარჩენ მსოფლიოში; გ) თავისუფალ ზონებს ან საბაჟო საწყობებს ან საბაჟო კონტროლქვეშ მომუშავე ოფშორულ საწარმოებს (ისინი იმ

ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაში შედიან, სადაც ფიზიკურად არიან განთავსებული).

საგარეო მოთხოვნა: თავი 5

საგარეო მოთხოვნა არის მოკლე ტერმინი, რომელსაც ეკონომისტები წმინდა ექსპორტის დასახასიათებლად იყენებენ.

საბოლოო გამოყენება: თავი 5

მოკლე ტერმინოლოგია საბოლოო მოხმარების ხარჯების, კაპიტალის მთლიანი ფორმირებისა და წმინდა ექსპორტის ჯამის დასახასიათებლად.

იმპუტირებული ხარჯები: თავი 5

ზოგიერთი ტრანსაქცია, რომელიც შესატანია ანგარიშებში, არ იცვლება ფულზე და ამიტომ შეუძლებელია მათი პირდაპირ გაზომვა; ამ შემთხვევაში ხდება შესაბამისი მომსახურების ღირებულების იმპუტაცია შეთანხმების საფუძველზე (ეს შეთანხმებები იცვლება შემთხვევიდან შემთხვევამდე და ეას-ში იმათი გამოყენება აუცილებელია).

წმინდა ექსპორტი: თავი 5

სხვაობა საქონლისა და მომსახურების ექსპორტსა და იმპორტს შორის. ასევე გამოიყენება ტერმინები: უცხოეთის წმინდა სალდო ან ექსპორტ-იმპორტის სალდო (ბალანსი).

შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ინსტიტუციები (შმაკო): თავი 5

ეს არის ინსტიტუციები, რომლებიც არ ფინანსდება მთავრობის ან ბიზნესის მიერ და რომლებიც უზრუნველყოფენ შინამეურნეობებს უფასო ან ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასების მქონე საქონლითა და მომსახურებით.

რეზიდენტობა: თავი 5

ერთეულს ეწოდება „რეზიდენტი“, თუ მისი „ეკონომიკურ ინტერესთა ცენტრი“ მოცემულ ეკონომიკურ ტერიტორიაზე მდებარეობს.

ვაჭრობის პირობების ინდექსები: თავი 5

ექსპორტისა და იმპორტის ფასების დონეების თანაფარდობა.

წმინდა განკარგვადი შემოსავალი: თავი 6

მთლიან განკარგვად შემოსავალს მინუს ძირითადი კაპიტალის მოხმარება.

***შინამეურნეობის მთლიანი განკარგვადი შემოსავლის მსყიდველობითუნარიანობა:
თავი 6***

შინამეურნეობის მთლიანი განკარგვადი შემოსავალი, რომელიც დეფლაცირებულია შესაბამისი ფასების ინდექსით; ზოგადად, ეს არის შინამეურნეობის საბოლოო მოხმარების არაპირდაპირი დეფლატორი.

არაფინანსური კორპორაციები: თავი 7

არაფინანსური კორპორაციების მთავარი საქმიანობაა საბაზრო საქონლისა და არაფინანსური მომსახურების წარმოება.

წმინდა საოპერაციო მოგება: თავი 7

მთლიან საოპერაციო მოგებას მინუს ძირითადი კაპიტალის მოხმარება.

საოპერაციო მოგება: თავი 7

საოპერაციო მოგება ზომავს წარმოების შედეგად მიღებულ მოგებას ან ზარალს საკუთრებიდან მიღებული შემოსავლის გათვალისწინებამდე. არაკორპორირებული საწარმოებისთვის, რომლებსაც ფლობენ შინამეურნეობები, ამ კომპონენტს ეწოდება „შერეული შემოსავალი“.

აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსი: თავი 8

ეს არის ოფიციალური ანგარიში დროის გარკვეული მომენტისთვის საკუთრებაში არსებული აქტივებისა და აღებული ვალდებულებების შესახებ. დამაბალანსებელ მუხლს ეწოდება წმინდა სიმდიდრე. ეროვნულ ანგარიშებში აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსი დგება სექტორების, მთლიანად ეკონომიკისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის. სექტორებისთვის ბალანსში ნაჩვენებია ყველა აქტივის ღირებულება - წარმოებული, არაწარმოებული და ფინანსური - ასევე ვალდებულებები და სექტორის წმინდა სიმდიდრე. მთლიანად ეკონომიკისთვის საბალანსო მუხლია ეროვნული სიმდიდრე: არაფინანსური და ფინანსური აქტივების ჯამი დანარჩენი მსოფლიოს გათვალისწინებით.

კაპიტალის მარაგი: თავი 8

კაპიტალის მთლიანი მარაგი წარმოადგენს გამოყენებული ძირითადი კაპიტალის ღირებულებას ან იგივე ტიპის ახალი ძირითადი კაპიტალის ფაქტობრივ ან შეფასებულ ღირებულებას მყიდველის ფასებში, აქტივის ასაკის მიუხედავად.

კაპიტალის წმინდა მარაგი არის ყველა გამოყენებული ძირითადი კაპიტალის აღწერილი თვითღირებულება; ის აგრეთვე შეიძლება აღვწეროთ როგორც სხვაობა კაპიტალის მთლიან მარაგსა და ძირითადი კაპიტალის მოხმარებას შორის.

ფინანსური ტრანსაქცია: თავი 8

ფინანსური ტრანსაქციები ინსტიტუციურ ერთეულებს შორის და ინსტიტუციურ ერთეულებსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის მოიცავს ყველა ტრანსაქციას ფინანსური აქტივების საკუთრების უფლების ცვლილებით, ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნისა და ლიკვიდაციის ჩათვლით.

ფულადი ნაკადების ცხრილი: თავი 8

წარმოადგენს „ფინანსური ანგარიშების“ სინონიმს.

წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება: თავი 8

ერთეულის ან სექტორის შესაძლებლობა პირდაპირ ან არაპირდაპირ დააფინანსოს სხვა ერთეულები ან სექტორები. ეს არის კაპიტალის ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლი და ასე განისაზღვრება: (წმინდა დანაზოგს პლუს მიღებული კაპიტალური ტრანსფერები მინუს გაცემული კაპიტალური ტრანსფერები) მინუს (არაფინანსური აქტივების შესყიდვებს მინუს გაყიდვები, მინუს ძირითადი კაპიტალის მოხმარება). უარყოფითი წმინდა დაკრედიტება აღიწერება როგორც „წმინდა სესხება“.

არაფინანსური ანგარიშები: თავი 8

ეროვნული ანგარიშების ნაკრები ფინანსური ანგარიშებისა და აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსის გარეშე.

არაფინანსური ტრანსაქცია: თავი 8

ტრანსაქცია, რომელიც არ შედის ეროვნული ანგარიშების ფინანსურ ანგარიშებში.

კოლექტიური მოხმარების ხარჯები: თავი 9

საქონელი და მომსახურება, რომელიც მოიხმარება მომხმარებელთა ჯგუფის ან მთლიანად საზოგადოების მიერ, მაგალითად, სახელმწიფოს მიერ გაწეული მომსახურება თავდაცვით.

ეკონომიკურად მნიშვნელოვანი: თავი 9

ფასები ეკონომიკურად მნიშვნელოვანია, თუ ისინი მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მწარმოებლების სასურველ მიწოდებასა და მომხმარებლების სასურველ მოხმარებაზე.

საბოლოო მოხმარების ხარჯები: თავი 9

სახელმწიფო მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარების ხარჯები მოიცავს ხარჯებს, იმპუტირებულის ჩათვლით, როგორც საქონლისა და მომსახურების ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ მოხმარებაზე.

შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების ხარჯები მოიცავს ხარჯებს, იმპუტირებულის ჩათვლით, რეზიდენტი შინამეურნეობების მიერ მოხმარებულ საქონელსა და მომსახურებაზე, ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასებში გაყიდულის ჩათვლით.

შმაკოების საბოლოო მოხმარების ხარჯები მოიცავს ხარჯებს, იმპუტირებულის ჩათვლით, რეზიდენტი შინამეურნეობებისთვის ინდივიდუალურად მიწოდებულ საქონელსა და გაწეულ მომსახურებაზე.

ინსტიტუციური სექტორი: თავი 9, 10

ეას 08-ის მიხედვით, ინსტიტუციურ სექტორში ინსტიტუციური ერთეულები ერთიანდებიან მათი ძირითადი ფუნქციების, საქმიანობისა და მიზნების ერთგვაროვნების მიხედვით.

ინსტიტუციური ერთეული: თავი 9, 10

ეს არის ეკონომიკური ერთეული, რომელსაც გააჩნია საკუთარი აქტივები და საკუთარი სახელით შეუძლია ვალდებულებების აღება და ტრანსაქციების განხორციელება სხვა ერთეულებთან.

საბაზრო ფასი: თავი 9

ტრანსაქტორებს შორის შეთანხმების შედეგად მოქმედი ფასი. ასეთის არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება ბაზარზე არსებული ანალოგიური ფასები (მაგალითად, სახელმწიფო მართვის ორგანოების არასაბაზრო მომსახურების ან საკუთარ სახლში ცხოვრების მომსახურებისთვის).

არასაბაზრო მომსახურების გამოშვება: თავი 9

სხვა არასაბაზრო გამოშვება შეგება საქონლისა და ინდივიდუალური ან კოლექტიური მომსახურებისგან, რომელსაც შმაკოები ან სახელმწიფო მართვის ორგანოები უზრუნველყოფენ უფასოდ ან ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასებით. ეს გამოშვება ერთ-ერთია ეას-ის გამოშვებების სამი მსხვილი კატეგორიიდან (საბაზრო გამოშვება და გამოშვება საკუთარი მოხმარების მიზნით).

სოციალური შეღავათები ნატურალური ფორმით: თავი 9

სოციალური შეღავათები ნატურალური ფორმით მოიცავს: ა) სოციალური დაცვის შეღავათებს, ბ) სხვა სოციალური დაცვის შეღავათებს ნატურით და გ) სოციალურ დახმარებებს ნატურით; ისინი ტოლია სოციალური ნატურალური ტრანსფერებისა ინდივიდუალური არასაბაზრო საქონლისა და მომსახურების ტრანსფერების გამოკლებით.

სოციალური შეღავათები ნატურალური სოციალური ტრანსფერების გარდა: თავი 9

სოციალური შეღავათები ნატურალური სოციალური ტრანსფერების გარდა მოიცავს ყველა შეღავათს ნატურალურის გარდა:

ა) ყველა სოციალური შეღავათი ნაღდი სახით – მთავრობისა და შმაკოების მიერ გაწეული სოციალური დაზღვევა და სოციალური დახმარება.

ბ) სოციალური დაზღვევის შეღავათები კერძო დაფინანსებით ან დაფინანსების გარეშე ნაღდი ან ნატურალური სახით.

გადასახადები შემოსავალსა და სიმდიდრეზე: თავი 9

მიმდინარე გადასახადების უმეტესობა შემოსავალზე, სიმდიდრეზე და ა.შ. მოიცავს შინამეურნეობების საშემოსავლო გადასახადებს, მოგების გადასახადებს ან სიმდიდრის გადასახადებს, რომელთა გადახდა ხდება რეგულარულად საგადასახადო პერიოდში.

გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე: თავი 9

ეს არის საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე, მიწოდებაზე, გაყიდვაზე, ტრანსფერზე ან სხვაგვარ განაწილებაზე გადახდილ გადასახადებს მწარმოებლების მიერ პლუს გადასახადები იმპორტზე, როდესაც საქონელი კვეთს საზღვარს, ან როდესაც არარეზიდენტის მიერ ხდება რეზიდენტისთვის მომსახურების გაწევა; ის ასევე მოიცავს სხვა გადასახადებს წარმოებაზე, როგორცაა მიწის ფლობა ან გამოყენება, აქტივების გამოყენება წარმოების პროცესში, ან შრომის გამოყენება.

საანგარიშო იგივეობა: თავი 10

იგივეობა ეროვნული ანგარიშების ცვლადებს შორის. მაგალითად, მიწოდება = გამოყენება.

დარიცხვის მეთოდი: თავი 10

დარიცხვის მეთოდი ითვალისწინებს ნაკადების ჩაწერას ეკონომიკური ღირებულების წარმოქმნის, გარდაქმნის, გაცვლის, ტრანსფერის ან დაფარვის დროს; ეს ნიშნავს, რომ ნაკადების ჩაწერა ხდება საკუთრების უფლების გადასვლის

მომენტში, მომსახურებისა - მომსახურების გაწევის დროს; გამოშვების ჩაწერა ხდება მაშინ, როდესაც იწარმოება პროდუქცია და შუალედური მოხმარებისა - როდესაც ნედლეული და მასალები გამოიყენება წარმოების პროცესში.

საბაზისო ფასი: თავი 10

საბაზისო ფასი მწარმოებლის მიერ მიიღება მყიდველისგან საქონლისა და მომსახურების ერთეულზე, რასაც აკლდება გადასახადები და ემატება სუბსიდიები. მასში არ შედის მწარმოებლის მიერ ცალკე აღრიცხული სატრანსპორტო ხარჯები.

ფინანსური კორპორაციები: თავი 10

ფინანსური კორპორაციები მოიცავს ყველა რეზიდენტ კორპორაციასა და კვაზიკორპორაციას, რომელიც ჩართულია ფინანსურ შუამავლობაში ან მის დამხმარე საქმიანობაში.

საქონლისა და მომსახურების ანგარიშები: თავი 10

საქონლისა და მომსახურების ანგარიშში მთელი ეკონომიკისა და პროდუქციის ცალკეული ჯგუფებისთვის რესურსებში ასახულია გამოშვება და იმპორტი, ხოლო გამოყენებაში - შუალედური მოხმარება, საბოლოო მოხმარება, კაპიტალის მთლიანი ფორმირება და ექსპორტი.

დანახარჯები-გამოშვების ცხრილი: თავი 10

ეს არის წარმოების, საქონლისა და მომსახურების გამოყენებისა და შემოსავლების ფორმირების დეტალური ანალიზის პრეზენტაციის ფორმა; ის შეიძლება წარმოდგენილი იყოს: ა) რესურსები-გამოყენების ცხრილისა და ბ) დანახარჯები-გამოშვების სიმეტრიული ცხრილების სახით.

მყიდველის ფასი: თავი 10

მყიდველის ფასი არის მყიდველის მიერ გადახდილი ფასი ნებისმიერი გამოსარიცხი დღე-ს გარეშე. მასში შედის სატრანსპორტო დანახარჯების ანაზღაურება, რომელსაც მყიდველი იხდის საქონლის მიწოდებისთვის მოთხოვნილ დროსა და ადგილზე.

მიწოდებისა და გამოყენების სალდო: თავი 10

მიწოდებისა და გამოყენების ცხრილები მატრიცული ფორმის ცხრილებია, სადაც ჩაწერილია, თუ როგორ ხდება მიწოდების წარმოქმნა შიდა წარმოებიდან და იმპორტიდან და მათი განთავსება სხვადასხვა შუალედურ და საბოლოო მოხმარებაში ექსპორტის ჩათვლით.

სეზონური კორექტირება: თავი 11

სეზონური კორექტირება არის სტატისტიკური ხერხი სეზონური გავლენის აღმოსაფხვრელად პირდაპირ ან წარმოების მწკრივებისა ან სოციალური შეთანხმებების საშუალებით.

სხვა ტიპის კალენდარული ვარიაციები წარმოიქმნება კალენდარული პერიოდის დღეების რაოდენობის განსხვავების გამო, ჩაწერის ან განსხვავებული ბუღალტრული პრაქტიკის გამო მცოცავი დასვენების დღეების შემთხვევაში (მაგალითად, აღდგომა).

კორექტირება სამუშაო დღეების მიხედვით: თავი 11

სამუშაო ან სავაჭრო დღეების მიხედვით კორექტირება არის მოცემული თვის ან კვარტალის განმავლობაში სამუშაო დღეების განსხვავებული რაოდენობის მოსწორება, რადგან აღნიშნულმა შეიძლება გავლენა მოახდინოს აქტივობის დონეზე ამ პერიოდებში.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

ეთგო წარმოადგენს უნიკალურ ფორუმს, სადაც მთავრობები ერთად მუშაობენ, რათა დაუპირისპირდნენ გლობალიზაციის ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ გამოწვევებს. ეთგო ასევე ფლობს ბერკეტებს, რათა დაეხმაროს მთავრობებს რეაგირება მოახდინონ ახლადგანვითარებულ მოვლენებსა და პრობლემებზე, როგორც კორპორატიული მართვა, ინფორმაციული ეკონომიკა და მოსახლეობის დაბერება. ორგანიზაცია უზრუნველყოფს ისეთ გარემოს, სადაც მთავრობებს საშუალება ეძლევათ შეადარონ პოლიტიკური გამოცდილება, მოიძიონ პასუხები საერთო პრობლემებზე და ითანამშრომლონ საუკეთესო შიდა და საერთაშორისო პოლიტიკის გამოვლენისთვის.

ორგანიზაციის წევრი ქვეყნები არიან: ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, კანადა, ჩილე, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ისლანდია, ირლანდია, ისრაელი, იტალია, იაპონია, კორეა, ლუქსემბურგი, მექსიკა, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, სლოვაკეთის რესპუბლიკა, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, თურქეთი, გაერთიანებული სამეფო და ამერიკის შეერთებული შტატები. ევროკავშირი მონაწილეობს ეთგო-ს მუშაობაში.

ეთგო აქვეყნებს და ავრცელებს სტატისტიკურ გამოცემებს ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებზე, ასევე კონვენციებს, სახელმძღვანელო პრინციპებსა და სტანდარტებს, რომელიც შეთანხმებული მის წევრ ქვეყნებს შორის.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: როგორ ვისწავლოთ და გავიგოთ

მეორე გამოცემა

განახლებული და გაფართოებული

განახლებულია ეას 2008-ისა და აეს 2010-ის მიხედვით

2014 წლის ეს გამოცემა შეიცავს ახალ მონაცემებსა და ახალ თავებს და ის ადაპტირებულია ეროვნული ანგარიშების ახალ, ეას 2008 და აეს 2010, სისტემებთან, რომლებიც 2014 წლის სექტემბერში შევიდა ძალაში. ეს აახლოვებს ეროვნულ ანგარიშებს ჭეშმარიტად გლობალურ პერსპექტივასთან, რადგან სპეციალური თავები ეძღვნება საერთაშორისო შედარებებს, გლობალიზაციასა და კეთილდღეობას ეთგო-ს წამყვან ქვეყნებში.

ამ სახელმძღვანელოს თითოეულ თავში ეროვნული ანგარიშების ძირითადი ცნებების ნათლად და ხელმისაწვდომი გზით ასახსნელად გამოყენებულია პრაქტიკული მაგალითები. საკვანძო პუნქტებს მოყვება რესურსები შემდგომი გაღრმავებული შესწავლისათვის და სავარჯიშოები ცოდნის შესამოწმებლად. ეს ეროვნული ანგარიშების იდეალური სახელმძღვანელოა სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მკითხველისთვის.

ეროვნული ანგარიშების მონაცემები, ასევე პასუხები სავარჯიშოებზე და დამხმარე მასალები ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე <http://www.oecd-ilibrary.org>.